კარლო ინახარიძე

ლევილის ქართული
მამულის
ბიბლიოთეკა

Bibliotheque du Chateau
de Leuville
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
France

ძველი ქართული კულტურის კერის

# ივერიონის მონასტრის

დაარსების მე-1000 წლისთავი

რადიოდოკუმენტაცია

მიუნხენი, 1980-1983 წლები

## საქართველოს ეკლესიის ეპარქიათა მღვდელმთავრები 1980 წლისათვის

1. მცხეთა-თბილისის ეპარქია — სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთ. ეპ. ილია II. კათ. — მცხეთის სვეტიცხოველსა და თბილისის სიონში, რეზ. — თბილისში, გელათსა და მოქვში.

2. აგარაკ-წალკის ეპარქია — დროებით ჭყონდიდელი მთეპ. იოანე (ანანიაშვილი). კათ. — წალკაში, რეზ. — ბოლნისში.

3. ალავერდის ეპარქია — მიტრ. გრიგოლი (ცერცვაძე). კათ. — ალავერდში, რეზ. — თელავში.

4. არგვეთის ეპარქია — დროებით ნიკორწმიდელი ეპ. ამბროსი (ქათამაძე). კათ. — არგვეთში, რეზ. საჩხერეში.

5. ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპარქია — ეპ. ქრისტეფორე (წამალაიძე). კათ. — აწყურში, რეზ. — ახალციხეში.

6. ბათუმ-შემოქმედის ეპარქია — ეპ. დავითი (ჭკადუა). კათ. — ბათუმში, რეზ. — მახარაძეში.

7. ბოდბის ეპარქია — ეპ. ათანასე (ჩახვაშვილი) — კათ. ბოდბეში, რეზ. — სიღნაღში.

8. მანგლისის ეპარქია — მიტრ. გიორგი (ღონღაძე). კათ. — მანგლისში, რეზ. — რუსთავში.

9. ნიკორწმიდის ეპარქია — ეპ. ამბროსი (ქათამაძე). კათ. — ნიკორწმიდაში, რეზ. — ონში.

10. ურბნისის ეპარქია — ეპ. კონსტანტინე (მელიქიძე). კათ. — ურბნისში, რეზ. — გორში და ბორჯომში.

11. ქუთაის-გაენათის ეპარქია — მიტრ. შიო (ავალიშვილი). კათ.— ქუთაისში, რეზ. — სამტრედიასა და ქუთაისში.

12. ცაგერისა და ლეჩხუმ-სვანეთის ეპარქია — დროებით მესხეთ-ჯავახეთის ეპ. ქრისტეფორე (წამალაიძე). კათ. — ცაგერში, რეზ. — მესტიასა და ლენტეხში.

13. ცხუმ-აფხაზეთის ეპარქია — მთეპ. ნიკოლოზი (მახარაძე). კათ. — სოხუმში, რეზ. — ბიჭვინთასა და ტყვარჩელში.

14. წილკნის ეპარქია — ეპ. თადეოზი (იორამაშვილი). კათ. — წილკანში, რეზ. — დუშეთსა და ყაზბეგში.

15. ჭყონდიდის ეპარქია — მთეპ. იოანე (ანანიაშვილი). კათ. — მარტვილში, რეზ. ფოთსა და ზუგდიდში.

— მიტრ. ზინობი (მაჟუგა) — წინამძღვარი თბილისის ალექსანდრე ნეველის ეკლესიისა. თეთრწყაროელად წოდებული.

— კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი ახალციხისა და მესხეთ-ჯავახეთის ეპ. ქრისტეფორე (წამალაიძე).

## ს ა რ ჩ ე ვ ი


წინასიტყვა....................................................1

რადიორეპორტაჟები: 1967 წელი: **1967**

წინასიტყვა....................................................4

"ჯვარის" მონასტერი - 1 - ..............................6

"ჯვარის" მონასტერი - 2 - ..............................16

"ჯვარის" მონასტერი - 3 - ..............................23

"ჯვარის" მონასტერი - 4 - ..............................30

"ჯვარის" მონასტერი - 5 - ..............................37

ქართული კათოლიკური მონასტერი...........................50

"ივერიონის" მონასტერი - 1 - ..........................65

"ივერიონის" მონასტერი - 2 - ..........................74

"ივერიონის" მონასტერი - 3 - ..........................83

"ივერიონის" მონასტერი - 4 - ..........................92

"ივერიონის" მონასტერი - 5 - ..........................98

რადიოდოკუმენტაციები: 1981 წელი: **1981**

სულ გადაიცა რადიოთი 66 (სამოცდაექვსი) ნახევარსაათიანი გადაცემა 1982-1983 წლებში.

"ჯვარის" მონასტერი იერუსალიმში..........................113

ი.სტოვზუნი "ჯვარის" შესახებ..............................120

ი.აბაშიძე:"პალესტინის დღიურიდან"........................143

თ.ქადაგიძე:"ათონი,ჯვარი,პეტრიწონი".......................168

პ.ინგოროყვა:"რუსთველიანას ეპილოგი".......................177

ჟურნალი"ჯვარი ვაზისა" ჯვარის მონასტრის შესახებ........188

"რუსთაველის სახელობის საზოგადოება" თელ-ავივში..........215

მოგზაურობა ბეთლემში......................................251

ე.მეტრეველი:"ჯვარი...."..................................281

"ივერიონის" მონასტერი ათონის მთაზე.......................296

ს.კალას ათონის შესახებ...................................303

თ.პროვოტაკის ათონის შესახებ..............................340

კ.გრიგორულის ათონის შესახებ..............................349

ა.ვასილიადის ათონის შესახებ..............................351

ლ.მენაბდე ივერიონის შესახებ..............................358

ი.ჭავჭავაძე ათონის შესახებ...............................389

გ.ნოზაძე ივერიონის შესახებ...............................419

"გეორგიკა" ივერიონის შესახებ.............................438

ჟურნალი "ჯვარი ვაზისა" ივერიონის მონასტრის შესახებ... 450

ეპისკოპოსი ანანია(ჯაფარიძე) ივერიონის შესახებ........ 465

კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური მონასტერი........ 474

დასასრული................................................509

დამატება:პ.ზაქარაია:პეტრიწონი - ბაჩკოვო.................521

# SUMMARIES OF ORIGINAL SCRIPTS

GEORGIAN SERVICE — Language

Date: I980/I983

| Author | Summaries(please double-space) |
|---|---|

ლევილის ქართული მამულის ბიბლიოთეკა

Bibliotheque du Chateau de leuville
10, rue Jules Ferry
91310 Leuville sur Orge
France

**S P E C I A L   P R O G R A M S:**

Inasaridse

**GEORGIAN MONASTERY"IVERIONI"("IVIRON") ON HOLY MOUNT ATHOS:**

**Reports and Documents**

IOOOth Anniversary of the Georgian Monastery "Iverioni" was mentioned in a few Articles in Soviet Georgia.

Radio Liberty Nationalities Services sent Mr. Inasaridse to the centers of Georgian Culture in Jerusalem, where that is the Georgian Monastery of the Holy"Cross" and to the Holy Mount Athos, where that is Georgian Monastery "Iverioni"("Iviron"). From August I6,I98I to August 3I,I98I materials were gathered, Interviews taken, Church Songs, Church Bells etc. recorded in the Monasteries of the Holy"Cross"and "Iverioni", and also in the Georgian Catholic Monastery in Constantinople-Istanbul.

The Georgian Service broadcast and will continue to broadcast SIXTY-SIX HALF-HOUR Special Programs on these subject every Thursday during I982/I983.

Source:

Georgian Monastery of Holy "CROSS"(Jerusalem,Israel).

Georgian Monastery "IVERIONI" on Holy Mount Athos(Greece).

Georgian Catholic Monestery in Constantinople-Istanbul.

# ათონის ივერთა მონასტერი

ათონ-ოროსი (ათონი)



# წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

ეს "კრებული" შეიცავს "რადიორეპორტაჟებს": "რადიორეპორტიორის დღიური" ანუ მიკროფონით ხელში ქართულ ჯვარის მონასტერში, იერუსალიმში (ისრაელი), ქართულ კათოლიკურ მონასტერში, კონსტანტინოპოლში=სტამბოლში (თურქეთი) და ქართულ ივერიონის მონასტერში, ათონის მთაზე (საბერძნეთი), რომლებიც - დავათვალიერე რა პირველად 1967 წლის 18-ი იანვრიდან 29-ა იანვრამდე - გადავეცით რადიო "თავისუფლებით" იმავე წელს, - და "რადიოდოკუმენტაციებს", რომლებიც შევქმენი 1981 წელს, - ვიმოგზაურე რა ხელმეორედ 1981 წლის 16-ტ აგვისტოდან 31-ტ აგვისტომდე ისრაელსა და საბერძნეთში და ისევ დავათვალიერე იერუსალიმის "ჯვარის" ქართული მონასტერი და "ივერიონის" ქართული მონასტერი, ათონის მთაზე, საბერძნეთში. ეს "რადიოდოკუმენტაციაც" გადაცემულ იქნა რადიო "თავისუფლებით" 1982-1983 წლებში; სულ 66-ი (სამოცდაექვსი) ნახევარსაათიანი გადაცემა.

გასაგებია, რომ ეს "რადიორეპორტაჟები" და "რადიოდოკუმენტაციები", როგორც ყოველი სახის რადიოინტერვიუ თუ რადიორეპორტაჟი, - "ფიცარგანულია", ხშირად, "ადგილზე-უცბათ-შექმნილია", რაც, ვფიქრობ, აძლიერებს ამგვარი გადაცემების დოკუმენტურობას, თუმცა, სამწუხაროთ, გამართული ქართული ენის ხარჯზე. მაგრამ ამ ნაკლის გამართლება, ნაწილობრივ მაინც, იმით შეიძლება, რომ ეს რადიოგადაცემები "მოსასმენადაა" შექმნილი და არა "წასაკითხად".

ამ "რადიორეპორტაჟების" და "რადიოდოკუმენტაციების", უთუოთ, საგულისხმიერო მხარეა ის, რომ "ერთიდაიგივე" ადგილები დავათვალიერე ჯერ 1967 წელში და შემდეგ 1981 წელს, 15-ი წლის შემდეგ, რაც, ვფიქრობ, ამ ქართულ მონასტერთა უფრო სრული სურათის ასახვას უწყობს ხელს, და ეს, ვიმედოვნებ, გამოსჭვივის ამ გადაცემებიდან. და-ბოლოს შევნიშნავ, რომ ამგვარი რეპორტაჟ-დოკუმენტაციის შექმნისათვის უფრო მოწოდებული იქნებოდა სასულიერო პირი, თუმცა ვიმედოვნებ, ეს გადაცემებიც არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული.

კარლო ინასარიძე
მიუნხენი, 1982 წელი

კ ა რ ლ ო   ი ნ ა ს ა რ ი ძ ე

# რ ა დ ი ო რ ე პ ო რ ტ ი ო რ ი ს

# დ ღ ი უ რ ი

1967

რადიო"თავისუფლება" - ქართული რედაქცია

მიუნხენი, 1967 წელი

რადიო "თავისუფლება" - ქართული რედაქცია

კარლო ინასარიძე

# რ ა დ ი ო რ ე პ ო რ ტ ი ო რ ი ს დ ღ ი უ რ ი

ანუ

"მიკროფონით ხელში" ქართულ ჯვარის მონასტერში - იერუსალიმში(ისრაელი), ქართულ კათოლიკურ მონასტერში-კონსტანტინეპოლში=სტამბოლში(თურქეთი) და ქართულ ივერიონის მონასტერში ათონის მთაზე(საბერძნეთი).

მ ი უ ნ ს ე ნ ი - 1967 წელი

## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა

ტექნიკური ეპოქის "სასწაულებიდან" – ფილმი,რადიო და ტელეხედვა, ქრონოლოგია რომ დავიცვათ, – ყველაზე უფრო აახლოებს,აცნობს,ამეგობრებს ერებს,ხალხებს და ცალკეულ ადამიანებსაც ერთმანეთთან,უპირველეს ყოვლისა, თავიანთი დოკუმენტური გამოსახვითი ძალით: და რა გასაკვირია, რომ ჩვენც ვცდილობთ დოკუმენტური გამოსახვითი ფორმებით, ინტერვიუებით,რეპორტაჟებით და სხვა, – ჩვენს მსმენელებს საშუალება მივცეთ უშუალო მონაწილეობა მიიღონ,უშუალო მოწმე გახდნენ ამა თუ იმ მოვლენისა თუ ფაქტისა. ცხადია, რადიოს მხოლოდსმენადობით მედიუმს არ გააჩნია შესაძლებლობა კონკურენცია გაუწიოს ფილმის და ტელეხედვის სურათოვან გამოსახვას,რაც უფრო უშუალო დოკუმენტური გამოსახვის შესაძლებლობას იძლევა. მაგრამ არანაკლები პოპულარობით სარგებლობს რადიო-დოკუმენტური გამოსახვითი ფორმები მსმენელებში დღესაც,როცა ფილმი,ტელეხედვა თავის გაფურჩქვნის ეტაპზეა. ეს კი ცხადყოფს, რომ რადიოს მხოლოდსმენადობითი მსოფლიო უკვდავია,თუ,როგორც წარსულში, რაიმე ახალი"სასწაული" არ გვემუქრება ატომის ეპოქა. და აი, რადიო-მედიუმის მხოლოდსმენადობითი შესაძლებლობით შექმნილ იქნა ამ კრებულში თავმოყრილი რეპორტაჟის სერია – "რადიორეპორტიორის დღიური". "მიკროფონით ხელში" ვიმოგზაურე ქართულ ჯვრის მონასტერში–იერუსალიმში(ისრაელი), ქართულ კათოლიკურ მონასტერში – კონსტანტინეპოლში=სტამბოლში(თურქეთი) და ქართულ ივერიონის მონასტერში ათონის მთაზე(საბერძნეთი).

მსმენელი=მკითხველი შეატყობს, რომ ამ თერთმეტ ნახევარსაათიან გადაცემაში ბევრია დოკუმენტური მაგნეტოფონის ფირზე ჩანაწერი ტექსტი,მუსიკა, ხმაური, თუ სხვა აკუსტიკური ეფექტი. ამავე რეპორტაჟების დამაკავშირებელი ტექსტი კი შექმნილია რადიოს რედაქციაში,თუ სტუდიაში. ამ რეპორტაჟების შექმნის ამგვარმა,ერთადერთმა შესაძლებელმა, წესმა განაპირობა ის ფაქტი, რომ ცალკეულ რეპორტაჟებში ადგილი აქვს განმეორებებს,ტექსტის იმპროვიზაციულ=ფიცარნაგულ სტილს. ეს ჩვენ იმპროვიზაციულ=ფიცარნაგული დოკუმენტურობის გარდაუვალ თვისებათ ჩავთვალეთ; მიუხედავათ იმისა,რომ ამგვარი წესით შექმნილი დოკუმენტაცია შეუცდომლობისაგან დაზღვეული არაა.

ეს "რადიორეპორტიორის დღიური" განხორციელებულ-შექმნილი იქნა 1967 წელს. სანამ გზას გავუდგებოდი, შესაძლებლობის ფარგლებში, გავეცანი ჯვარის, ივერიონისა და კონსტანტინეპოლის კათოლიკური მონასტრების ისტორიას და დავწერე "ნედლი-რეპორტაჟები", რომლებიც მოთავსებულია ამ კრებულის "დამატებაში". გზას გავუდექი თვითმფრინავით 18 იანვარს, 1967 წელს, და უკან დავბრუნდი იანვრის 29-ს, ე.ი. მთელი მგზავრობა გაგრძელდა თერთმეტი დღე, რაც საკმარისი არ გამოდგა. ხშირად იძულებული ვიყავი, დროს უქონლობის გამო, გეგმა შემემცირებინა, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც შევძელი ამ ქართული მონასტრების მდგომარეობის საერთო დოკუმენტური სურათის მოხაზვა, რაც, ვიმედოვნებ, სიამოვნებით მოისმინა ჩვენმა მსმენელებმა.

ეს თერთმეტი ნახევარსაათიანი რეპორტაჟი გადაცემულ იქნა ყოველ შაბათს, დაწყებული 1967 წლის 11 მარტიდან. განზრახული გვაქვს ამ სერიის კიდევ ერთხელ გამეორება.

მიუნხენი, 1967 წლის აპრილი.

შენიშვნა: სწორკუთხოვან ფრჩხილებში [---] ჩასმული ტექსტი არ გადაცემულა.

ქართული რედაქცია

ავტორი: ინასარიძე

დიქტორი: ინასარიძე-კალანდაძე

## რადიორეპორტიორის დღიური - I.

## "ჯვარის" ქართული მონასტერი იერუსალიმში - 1.

სტანდარტული დასაწყისი

რეპორტიორი: (იერუსალიმის ქართული "ჯვარის" მონასტრის ზარების რეკა)

პატივცემულო თანამემამულენო! თქვენ ისმენთ იერუსალიმის ქართული "ჯვარის" მონასტრის ზარების რეკას...

(ზარების რეკა...)

(გადაბნელება): (ივერიონის მონასტრის ზარების რეკა)

ახლა თქვენ ისმენთ ქართული ივერიონის მონასტრის ზარების რეკას ათონის წმინდა მთიდან...

(ზარების რეკა...)

აბა, იკითხავთ, პატივცემულო მსმენელებო, საიდან გვაქვს იერუსალიმის ჯვარის მონასტრისა და ივერიონის მონასტრის ზარების ხმა, რომელიც თქვენ ახლა მოისმინეთ? - მქონდა ბედნიერება, ქართული რადიორედაქციის დავალებით, 1967 წლის 18 იანვრიდან - 29 იანვრამდე მენახა და დამეთვალიერებინა ქართული ჯვარის მონასტერი იერუსალიმში, ქართული კათოლიკური მონასტერი კონსტანტინეპოლში-სტამბოლში და ქართული ივერიონის მონასტერი ათონის წმინდა მთაზე. ვინახულე და დავათვალიერე რა ეს ქართული კულტურის ცენტრები უცხოეთში, გადავწყვიტე მოგაწოდოთ თქვენ, პატივცემულო თანამემამულენო, დაწვრილებითი ცნობები ამ ქართული მონასტრების (დღევანდელი) მდგომარეობის შესახებ- გადაცემათა სერიაში - "რადიორეპორტიორის დღიური", ანუ "მიკროფონის სელში იერუსალიმის, კონსტანტინოპოლის და ათონის ქართულ მონასტრებში". ამ გადაცემათა სერიაში,

თქვენ მოისმენთ ჩემს ხმას სხვადასხვა (ანუ ვიქვაო) „ფლერადიოზით" ამ სიტყვებს, მაგალითად, ახლა ვლაპარაკობ რადიო "თავისუფლების" სტუდიაში, მაგრამ აი მოისმინეთ ჩემი ეს ხმაც:

(ფირი)

"ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე იერუსალიმის ჯვარის მონასტრიდან..."

(ფირი)

"ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე კონსტანტინეპოლიდან..."

(ფირი)

"ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე ათონის მთიდან..."

ყველა ეს ჩემივე ხმა დოკუმენტურია, ე.ი. გადაღებულია იქ, საიდანაც მე ვლაპარაკობდი იმ დროს, როცა ვიყავი იერუსალიმში, კონსტანტინეპოლში, ათონის მთაზე. მაგრამ ახლა გვეყოფა ახსნა-განმარტება. გსურთ, პატივცემულო თანამემამულენო, ჩემთან ერთად -"მიკროფონით ხელში" - იმოგზაუროთ იერუსალიმის კონსტანტინეპოლისა და ათონის მთის ქართულ მონასტრებში და გაეცნოთ მათ დღევანდელ მდგომარეობას? - თუ გსურთ, მაშ გაუდგეთ გზას:

<u>(სტანდარტული შესავლის დასასრული)</u>

==============================

დავიწყოთ ჯვარის მონასტრით იერუსალიმში...

<u>(ფირი) - I.</u>

===========

ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე იერუსალიმიდან! პატივცემულო მსმენელებო, დღეს არის 1967 წლის 20 იანვარი, დილის ათი საათი, პარასკევი. ალბათ იკითხავთ, პატივცემულო მსმენელებო, როგორ იყო, რომ მე ახლა ვიმყოფები აქ -იერუსალიმში? - ამის გაგება არც ისე ძნელი საქმეა, თუ მივიღებთ მხედველობაში იმ გარემოებას, რომ როცა 1960 წელს ჩვენმა აკადემიკოსებმა - აკაკი შანიძემ, გიორგი წერეთელმა და ჩვენმა პოეტმა-აკადემიკოსმა - ირაკლი აბაშიძემ იერუსალიმში, ჯვარის მონასტერში, აღმოაჩინეს შოთა რუსთაველის სურათი, ჩვენ ქართული რედაქციის წევრებს მოსვენება არ გვქონდათ როგორმე მოგვეხერხებინა ერთხელ ჩამოსულიყავით, ეხე-იგი, ერთხელ ჩამოსულიყავით აქ, ჯვარის მონასტერში და ჩვენი თვალით გვენახა შოთა რუსთაველის სურათი: და, ასე ვთქვათ, დაგვემყარებინა კავშირი თქვენთან, ჩვენს მსმენელებთან, ეთერის, ესე იგი, რადიოტალღების საშუალებით და გადმოგვცემა სურათი ჩვენი ჯვარის მონასტრის დღევანდელი მდგო=

რეობისა და მოგვეთხრო, თუ როგორ პირობებშია დღეს ამ ჩვენი ისტორიული კულტუ-
რის ცენტრის მდგომარეობა. და როგორც ხედავთ, ან უფრო სწორად, როგორც გესმით
ახლა ვიმყოფები ჯვარის მონასტერთან...აქ არის ერთი ქუჩა, ალბათ, გესმით ავტო-
მობილის ხმაურობა, რუპინის ქუჩა. აქედან ჯვარის მონასტერი მოსჩანს ძალიან
კარგად. უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოება, რომ ჯვარის მონასტერი,
როდესაც ის დაარსებულ იქნა, იყო ქალაქგარეთ. მაგრამ დღეს, როდესაც იერუსალი-
მი უკვე გადიდდა, ის მოექცა ქალაქის ფარგლებში; და თუ მხედველობაში მივი-
ღებთ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ჯვარის მონასტერი ხეობა-
შია, მაშინ ცხადი ხდება თქვენთვისაც, რომ ჩვენ მას ზემოდან დავყურებთ და
აქედან უკვე კარგად ჩანს ჩვენი ისტორიული ცენტრის - ჯვარის მონასტრის - სა-
დრის გუმბათი და მერე პატარა ეკლესიის გუმბათიც".

ეს სიტყვები ჩაწერილია იერუსალიმის ჯვარის მონასტერთან, როგორც
აღვნიშნე, 1967 წლის 20 იანვარს, პარასკევს, დილის ათ საათზე. მაგრამ მე
ჯვარის მონასტერს პირველად ვეწვიე ხუთშაბათს, 19 იანვარს. საქმე შემდეგში
იყო: 1967 წლის 18 იანვარს, ევროპიდან, "ბოინგის" ტიპის ტურბინებიანი თვით-
მფრინავით, ანუ როგორც იტყვიან ხოლმე, "რეაქტიული"="ჯეტის" თვითმფრინავით გა-
ვემგზავრე იერუსალიმისაკენ; მაგრამ ვინაიდან ქართული ჯვარის მონასტერი
ისრაელის სახელმწიფო ტერიტორიაზეა, ესე იგი, იერუსალიმის იმ ნაწილშია, რო-
მელიც ისრაელს ეკუთვნის, ხოლო იერუსალიმში ისრაელს აეროდრომი არ გააჩნია,
ჩვენი თვითმფრინავი საღამოს 5 საათსა და 30 წუთზე დაეშვა თელ ავივის აერო-
დრომზე. ღამე გავათიე ტელავივში, რომელიც ოცი კილომეტრითაა დაშორებული აერო-
დრომიდან; და მეორე დღეს დილითვე ავტომობილით გავემგზავრე იერუსალიმში. სამ-
წუხაროდ როგორც 18 ისე 19 იანვარს მეტად წვიმდა და განსაკუთრებით ძლიერ დამ-
წყდა, რომ ტელ ავივში ჩაფრენისას თვითმფრინავიდან ვერ მოვახერხე ([illegible]) დაახლოებით
50 კილომეტრით დაშორებული იერუსალიმის საერთო ხედის. ვერც ავტომობილით
შევძელი არემარის დანახვა, ვინაიდან კოკისპირული წვიმა სდიოდა.

ხუთშაბათს, დილის ათ საათზე უკვე იერუსალიმში ვიყავი და დავბინავდი
თუ არა "უიმსეის" (YMCA) ჰოტელში, რომელიც "კინგ დევიდ ჰოტელის" წინ
მდებარეობს, მაშინათვე ავიჭურვე თანწაღებული მაგნეტოფონით, ფოტოაპარატით
და ტაქსით გავეშურე ჩვენი ჯვარის მონასტრისაკენ...მჯერა, გაიგებთ, თუ რა
გულის ძგერა მქონდა... ჰოტელიდან დაახლოებით ოთხი კილომეტრითაა დაშორებული

ჯვარის მონასტერი: და გადაუხვია რა ტაქსმა მარჯვნივ, ასფალტიანი გზით მიადგა ერთ, ციხე-სიმაგრის მაგვარ, ჩვენს მხრიდან გალავან ჩამონგრეულ დიდ შენობას და თქვა "ეს არის ჯვარის მონასტერიო". ისე წვიმდა, რომ ტაქსიდან გამოსვლა ადვილი საქმე არ იყო! ტაქსის მძღოლმა კი მითხრა, რომ "დღეს ვერ შეხვალთ ჯვარის მონასტერში და ვერ დაათვალიერებთ, ვინაიდან ეს მონასტერი ტურისტებისათვის მხოლოდ კარგ ამინდშია ღია და შესასვლელი ბილეთი ღირს ნახევარი ისრაელური გირვანქა!"

გამოვედი თუ არა ტაქსიდან, ვიცანი ის ერთადერთი დახლართული რკინის კარი, რომელიც უზარმაზარი ქვების ლოდების სიღრმეშია მოთავსებული და ისე დაბალია, რომ თავი თუ არ დაღუნე, ვერ მისვალ ამ რკინის კართან. მივადექი რა რკინის კარს, ტაქსის მძღოლმა დამიცადა, ვინაიდან ის დარწმუნებული იყო, რომ მე მონასტერში ვერ შევიდოდი და ისევ უკან წამიყვანდა ჰოტელში. ამ რკინის კარზე ზემოთ ჩამოკიდებულია რკინისვე ჩაქუჩისმაგვარი სწორკუთხედი ნაჭერი, რომელიც მიმაგრებულია კარზე და ამ "ჩაქუჩის" დარტყმით კარზე-შეიძლება გავაგებინოთ მონასტრის ბერებს ჩვენი მისვლა...მეც დავაკაკუნე ეს "ჩაქუჩი"...

(ფირი: "ჩაქუჩის დაკაკუნება"...) - 2

"არსაიდან ხმა, არსად ძახილი!" კიდევ მეორეჯერ დავაკაკუნე, მაგრამ ახლა გაცილებით უფრო ხანგრძლივად...

(ფირი: "ჩაქუჩის დაკაკუნება...") - 2

ახლა კი მომესმა მონასტრიდან ბერის ხმა; მაგრამ ვინაიდან მე ბერძნული არ ვიცი, შევეცადე სხვა ენით გამეგო, თუ რას მითრა მან. მან მითხრა შემდეგ ინგლისურად, რომ დღეს მონასტერი დაკეტილია და შემოსვლა არ შეიძლებაო. მაგრამ როცა მე ვუთხარი, რომ "ქართველი ვარ მეთქი", მან უკვე შეცვალა ლაპარაკის ტონი და "დაიძახა-მოიცადე, ახლავე მოვალო". ამის შემდეგ კი ტაქსის მძოლი განმშორდა...

ცოტა ხნის შემდეგ კართან მოვიდა ერთი ახალგაზრდა ბერი და კარების გაღებისთანავე აღფრთოვანებით მომესალმა, გამომკითხა საიდან ვარ და მაშინათვე ჩამოაგდო ლაპარაკი შოთა რუსთაველის სურათზე. და მაშინათვე აღნიშნა, რომ თქვენ რომ ქართველი არ იყოთ, მე დღეს ჯვარის მონასტერს არ დაგათვალიერებინებდით, მაგრამ ქართველისათვის ყოველთვის ღიაა ამ მონასტრის კარებიო!"

აქ კი,პატივცემულო მსმენელებო, უნდა შევაჩერო თქვენი ყურადღება, თუ როგორ ვიდექი მე ჯვარის მონასტრის კარებთან 1967 წლის 19 იანვრის დილით და შევხთარე რა თავი კოკისპირულ წვიმას ქვის ლოდების სიღრმეში ჩასმულ თაბაო/ რკინის კარებზე წინ წამოწეულ ქვებს; ჩავრთე ჩემი მაგნეტოფონი და ახეთი აზრები,განცდები მსურდა გადმომეცა თქვენთვის,პატივცემულო მსნელებო:

(ფირი: კარლო...) - 3
====================

"სანამ გზას გამოუდგებოდი აქეთკენ -იერუსალიმისკენ,პატივცემულო მსმენელებო, შევეცადე ზოგადათ მაინც შემესწავლა ჯვარის მონასტრის წარსული. სელთ მქონდა მიშელ ტამარატის "L'Eglise Georgienne ",რომელიც გამოცემულია რომში 1910 წელს;სელთ მქონდა აგრეთვე ირაკლი აბაშიძის "პალესტინის დღიური" და სხვა. გავეცანი რა ამ მასალებს, რა თქმა უნდა, მეც ისეთივე სიამაყის გრძნობამ შემიპყრო,როგორც ყოველი ქართველი ამაყობს ამ ჩვენი ერის დიდი ისტორიული წარსულით და განა საამაყო არ არის ის, რომ ქართველმა ერმა ჯერ კიდევ 337 წელს გამოაცხადა ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიათ: და განა საამაყო არ არის ის, რომ ჯერ კიდევ მე-5 საუკუნეში ქართველებმა იერუსალიმში ჯვარის მონასტერი დაარსეს? და განა საამაყო არ არის ის, რომ ქრისტიანობის, იმ სანის ამ ყველაზე უფრო პროგრესიული რელიგიის ცენტრში-იერუსალიმში,ოცამდე ქართული მონასტერი არსებობდა? და განა საამაყო არ არის ის,რომ ანტიოხიაში,ე.წ."შავ მთებში" თორმეტი ქართული მონასტერი არსებობდა? და ქართული მონასტრები იერუსალიმში,ანტიოხიაში,ათონის მთაზე თუ ბულგარეთში მარტო რელიგიური ტაძრებითკი არ ითვლებოდა,არამედ კულტურულ ცენტრებადაც? და განა ეს საამაყო არ არის? - რა თქმა უნდა, საამაყოა, საამაყოა!

მაგრამ ვდგევარ რა ახლა იერუსალიმის ქართული ჯვარის მონასტრის შესასვლელთან, ჩემს ეროვნულ სიამაყეს,გრძნობას ვაყუჩებ ჩვენი დიდი ისტორიკოსის - ივანე ჯავახიშვილის - საპროგრამო აზრით:

"საჭიროა - გვასწავლის ივანე ჯავახიშვილი -საჭიროა საღსმა იცოდეს თავისი წარსული...უნდა იცოდეს,რასაკვირველია,უტყუარი,ჭეშმარიტი ისტორია და არა გაზვიადებული,ყალბი. გაზვიადებული-ადვოკატური ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს,ვინც წარსულში ეძებს ხსნას,ან ვისაც წარსუ-

ლის მესწავლით სურს თავისი ეროვნული გრძნობა დააკმაყოფილოს; ხოლო ამგვარი საფუძველი აზრათაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს,რომელიც სიცოცხლესა და მოქმედებაზე ფიქრობს". ასე გვასწავლის ივანე ჯავახიშვილი. მაგრამ ვდგევარ რა ახლა ქართული ჯვარის მონასტრის შესასვლელთან - იერუსალიმში, მაინც მავიწყდება ივანეს ეს,უთუოთ, გზისმაჩვენებელი სიტყვების და ამ ჩვენი მონასტრის-ციხესიმაგრისმსგავსი არქიტექტურა, აქვე მაგონებს ჩვენს მეორე დიდი ისტორიოგრაფის - ვახუშტის სიტყვებს:

"ქართველნი...სალაშქროთა შინა ახოვანნი,საჭურველმოყვარენი,ამაყნი,ფიცნი,ს ა ხ ე ლ ი ს  მ ა ძ ი ე ბ ე ლ ნ ი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელისთვის არა რიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა."

ასე ამბობს ვახუშტი; და უნდა მაპატიოს ჩვენმა ივანემ, თუ მე ახლა,როცა ჩვენს წინაპართა თითქმის 1500-ს წლოვანი კულტურული ცენტრის - ჯვარის მონასტრის - შესავალთან ვდგევარ, უფრო გრძნობები ვალაპარაკო,ვიდრე ობიექტური გონი; მიუხედავათ იმისა, რომ მე ივანე ჯავახიშვილის და ვახუშტის აღნიშნულ აზრებს შორის წინააღმდეგობას კი არა, ერთი ობიექტური ფაქტის ორმხრიდან გაშუქებას ვხედავ; და ეს ობიექტური ფაქტია ის, რომ ეს კულტურის ტაძარი შექმნა ჩვენმა ხალხმა არა მარტო ქართველი ერის, არამედ, საერთოდ,კაცობრიობის კულტურის სადიდებლად,რომლის,უთუოთ, პროგრესიული მიმდინარეობა იმ დროს ქრისტიანიზმი იყო. ამიტომაა, რომ ისრაელის,ამ ახალგაზრდა სუვერენული სახელმწიფოს ტურისტების ბიუროები, ისევე აჩვენებენ მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნებიდან აქ ჩამოსულ ტურისტებს ჩვენს ჯვარის მონასტერს,როგორც იერუსალიმის სხვა ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს. მაგრამ გვეყოფა ახლა საერთო სასიათის ლაპარაკი! შევხედოთ ჩვენს მონასტერს..."

ეს ახალგაზრდა ბერი,რომელმაც ასე დიდი სიხარულით ჯვარის მონასტრის დაბალი რკინის კარები გამიღო და მომესალმა, გამოდგა მეტად კეთილი და გულღია ადამიანი,რა თქმა უნდა, რამდენადაც მას შეეძლო გულღია ყოფილიყო ჩემთან არაბერძენთან და არაბერთან. მან მითხრა, რომ ის ჯერ კიდევ სტუდენტია.მართლაც,სულ დიდიჯეს ახალგაზრდა ბერი იქნებოდა 25-28 წლის ასაკში. ის ყოფილა ჯვარის მონასტრის წინამძღვარი; მაგრამ ამ მონასტერში ცხოვრობს ახლა მხოლ სამი ბერი: მეორე-ამ წინამძღვარივით ახალგაზრდა სტუდენტია,ხოლო მესამე მო-

ხუცი ბერია. ამ ჯვარის მონასტრის ახალგაზრდა წინამძღვრის ოფიციალური სახელი და ტიტულია შემდეგი: "ბერი-მამა იოაქიმ მეიმარიძე, წმინდა ჯვარის მონასტრის წინამძღვარი. ბერძნული ორთოდოქსული (=მართლმადიდებელი) პატრიარქატი. იერუსალიმი".

შევედით თუ არა ჯვარის მონასტრის ეზოში, მაშინვე ვთხოვე ბერ იოაქიმს პირველად ეჩვენებინა ჩემთვის შოთა რუსთაველის სურათი და შემდეგ მოეცა საშუალება დამეთვალიერებინა მთელი მონასტერი. ვფიქრობ, პატივცემულო მსმენელებო, რომ ჩემს ამგვარ თხოვნას გაიგებთ, ვინაიდან როგორ შეიძლება კაცს დაიწყოს ჯვარის მონასტრის გულდასმითი დათვალიერება, თუ პირველად შოთას სურათი არ ნახა და ამით თავისი შოთას სურათის ნახვის "წყურვილი არ მოიკლა!?" იოაქიმმა მაშინვე დამეთანხმა და პირველი ეზოდან, რომელიც ქვითამოფენილი და გარშემორტყმულია ორ თუ სამსართულიანი სწორკუთხოვანი დახლართულ კიბეებიანი შენობით, გავედით მეორე ეზოში, რომელიც ხსენებული შენობის ქვეშ მდებარე გვირაბისმაგვარი გასასვლელითაა დაკავშირებული ერთმანეთთან. მეორე ეზო უფრო დიდია, მაგრამ ისიც სწორკუთხოვანი და შენობებით გარშემოვლებული. ამ ეზოს შესასვლელიდან მარჯვნივმდებარე კუთხეში კი არის ჯვარის მონასტრის მთავარი საყდრის შესასვლელი. მივედით თუ არა შესასვლელთან, კარების მაღლა დავინახე ხატი, რომელიც გამოსახავს სიმბოლურად იმ ხეს, რომელიც მოჭრეს და (მისგან) ჯვარი გააკეთეს, როგორც გვეუბნება ამ მონასტრის ისტორია. ამ სურათზე გამოსახულია ამ ჯვარის ხის ძირის (ქართული:) მის გვერდით მდგომი (ბერი - გამოსახული) რწყავს ამ ხეს.

იოაქიმმა გამოიტანა უშველებელი გასაღები მთავარი საყდრის შესასვლელთან-მარჯვნივმდებარე-ოთახიდან, გააღო პირველი კარი და შევედით ახლა არა ეკლესიაში, არამედ მის შესასვლელ კარების წინმდებარე დერეფანისმაგვარ დარბაზში; აქედან კი მარცხნივ არის ეკლესიაში შესასვლელი კარი, რომელიც გააღო მან და ჩვენს თვალწინ გადაიშალა ეკლესიის მთელი, საერთო ხედი...მაშინვე გამახსენდა აღწერილობა თუ სად უნდა იყოს შოთას სურათი...პირველ სვეტზე, მარჯვნივ და მეც მაშინვე მივადექი ამ სვეტს...ვეძებ...და დავინახე ამ უკვე ყოველი ქართველისათვის კარგად ცნობილი შოთა რუსთაველის სურათი...ტანში გამაჟრჟოლა წუთოდენი დუმილის შემდეგ ისევ მომაგონდა ირაკლი აბაშიძის სიტყვები "შენ აქ ხარ, აქ ხარ..." შემატყო რა აღელვება ბერმა იოაქიმმა, მანაც ხელი არ შემიშალა, გაჩუმდა... წუთოდენი პაუზის შემდეგ, ე.ი. იმის შემდეგ, როცა დავი-

კმაყოფილი თავი შოთას სურათის ცქერით, ვთხოვე ბერ იოაქიმს მოეთხრო მას მოკლედ ჯვარის მონასტრის ისტორია. რა თქმა უნდა, მე კარგათ ვიცოდი ამ ჩვენი მონასტრის ისტორია, მაგრამ, ამ შემთხვევაში, მე მაინტერესებდა, თუ რას მეტყოდა ეს ახალგაზრდა ბერი, ჯვარის მონასტრის წინამძღვარი და ამასთანავე სტუდენტიც. მან დაიწყო ჯვარის მონასტრის ისტორიის მოთხრობა:

(ფირი: იოაქიმ....) - 4

ხმა: "მე მოგიყვებით, ამ მონასტრის ისტორიას დასაწყისიდან დღემდე. მეოთხე საუკუნეში ბიზანტიის დედოფალმა ჰელენამ, კონსტანტინე დიდის დედამ, მოვიდა იერუსალიმში და ააგო ქალაქ იერუსალიმში ყველგან სხვას ეკლესიაზე მეტი ეს მონასტერიც, აქ ჯვარის ხის ხეობაში, ხისა, რომლისგანაც გაკეთებულ იქნა ჯვარი, ააშენა მან. მოგვიანებით 630 წელს ბიზანტიის იმპერატორი ჰერაკლიუსი, როცა ის დაბრუნდა სპარსეთიდან, მისი არმიით მოვიდა ამ ხევში და ააგო ამ ადგილას უფრო დიდი, ახალი ეკლესია...ამ ეკლესიის მშენებლობის დროს ადგილი ჰქონდა არაბთა შემოსევას და ასე შეწყდა ეკლესიის მშენებლობა, რის გამო მან ვერ შეძლო ეკლესიის მშენებლობის დამთავრება. შემდეგ, 1036, ქართველმა ბერებმა დაამთავრეს იმპერატორ ჰერაკლიუსის მიერ დაწყებული ტაძრის მშენებლობა. მე-12 საუკუნეში ამ მონასტერში ცხოვრობდა დაახლოებით 400 ბერი და ისინი თარგმნიდენ ბერძენ ფილოსოფოსებს (და საეკლესიო წიგნებს) ბერძნულიდან ქართულ ენაზე... ამ პერიოდში მოვიდენ აქ თამარ მეფის წარმომადგენლები საქართველოდან, რომ ენახათ, თუ როგორ მუშაობენ ბერები.. ისინი მოვიდენ აქ ათონის მთაზე გამოვლის შემდეგ, ე.ი. ჯერ მათ მოილოცეს ათონის მთაზე და შემდეგ მოვიდენ აქ. მათ სურდათ არა მარტო აქაური ბერების მუშაობის ნახვა, არამედ აგრეთვე შეარემონტეს ამ მონასტრის ზოგიერთი ნაწილი, ვინაიდან, როცა ჯვაროსნებმა დაიპყრეს ეს მონასტერი, მათ დაანგრიეს ზოგიერთი ნაგებობანი."

შეეხო რა შოთა რუსთაველის სურათის ისტორიას, ჯვარის მონასტრის წინამძღვარმა-ბერმა იოაქიმმა-განაცხადა:

(ფირი: იოაქიმი...) - 5.

ხმა:"მან დახატა თავისი თავი იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის
შუა-ფეხებთან. მთელი ეს ნახატი ატარებს ქართულ ხასიათს და აქვს წარწერა:
"ამის დამხატავსა შოთას შეუნდევს ღმერთმან.ამინ." "შოთა რუსთაველი".
შოთა რუსთაველის სურათის აღწერის შემდეგ, ჯვარის მონასტრის წინამძღვარმა
ბერმა იოაქიმმა განაგრძო:

(ფირი:"იოაქიმი"...) - 5

ხმა:"მოგვიანებით,1685 წელს, ქართველმა ბერებმა დატოვეს ეს მონასტერი
და ეს მონასტერი გადავიდა ბერძენთა ძმობის ხელში,რომელიც ექვემდებარება
იერუსალიმის პატრიარქატს.1835 წლიდან - 1909 წლამდე აქ იყო თეოლოგიური
სემინარია,მეტად ცნობილი თეოლოგიური სკოლა "წმინდა ჯვარისა". და შემდეგ 1909
წლიდან დღემდე ეს არის ისევ მონასტერი რამდენიმე ბერით."
რეპორტიორი: ახლა მომითხრო ჯვარის მონასტრის ისტორია მოკლედ ამ მონასტრის
წინამძღვარმა-ბერმა იოაქიმმა. შემდეგ მან შეეხო ამ მონასტრის არქიტექ-
ტურის სტილს და განაცხადა:

(ფირი: იოაქიმი...) - 6

ხმა:"ყველაზე უფრო საინტერესო ამ ეკლესიის არქიტექტურაში მისი ბიზანტიური
სტილი. იატაკი მოზაიკითაა მოქარგული და მრავალი ფრესკები...წმინდა გიორგი-
სა და მრავალი სხვები...

(ფირი: იოაქიმი...) - 6

"1966 წელს აქ იყო ორი ქართველი თბილისიდან,რომლებმაც გადაიღეს შოთა
რუსთაველის სურათები შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლის თავთან დაკავშირე-
ბით... შოთა რუსთაველი ხომ საქართველოს დიდი ეროვნული პოეტია!.."
რეპორტიორი: ეს ინტერვიუ,თუ როდის მივიღე და ვისგან,ესეც, რა თქმა უნდა,
ჩავწერე მაგნიტოფონის ფირზე:

(ფირი: იოაქიმი...) - 6

"ჩემი სახელია იოაქიმი მაიმარის,მამა იოაქიმ მაიმარის,ჯვარის მონასტრის

წინამძღვარი."

(ტირი°კარლო...) - 6

"დღეს არის 1967 წლის 19 იანვარი".

რეპორტერი· მე,რა თქმა უნდა,მადლობა გადავუხადე ახალგაზრდა სტუდენტ ზერს იაოქამის - ამ ინტერვიუსათვის, მაგრამ მან რომ ამ ჩვენი ჯავრის მონასტრის ისტორია სიზუსტით ვერ, ან არ მოყვა, ეს ხომ ცხადია თქვენთვის,პატივცემულო თანამემამულენო. მაინც მეტად საინტერესოა მის მიერ მოთხრობილი ჯვარის მონასტრის ეს ისტორიული წარსული,ვინაიდან აქედან ცხადი ხდება, თუ როგორ ახწავლიან დღეს ზერძენ სტუდენტებს-ზერებს იერუსალიმში იმ მონასტრების,ამ შემთხვევაში, ქართული ჯვარის მონასტრის ისტორიას,რომელიც მათ ხელმძღვანელობის,პატრონობის ქვეშ მოექცა ჩვენი ერის,საქართველოს ტრაგიკული ისტორიული ზედის გამო,რაც დაიწყო მონღოლების შემოსევის დღიდან საქართველოში. მაგრამ ამის შესახებ სხვა დროს.

ეს არის. პატივცემულო მსმენელებო, პირველი გადაცემა "რადიორეპორტიორის დღიურიდან". მეორე გადაცემას ამ სერიიდან თქვენ მოისმენთ დღეისწორს ამავე დროს. ჩვენ მომავალ რეპორტაჟში განვაგრძობთ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დოკუმენტებს,რა თქმა უნდა, იმ დოკუმენტური (ხმოვანი-აკუსტიკური) მასალებით, რომლებიც მე ჩამოვიტანე ჯვარის მონასტრიდან.

(იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკა)

თქვენ ისმენთ იერუსალიმის ქართული ჯვარის მონასტრის ზარების რეკას...

(ზარების რეკა...)

ქართული რედაქცია
ავტორი,დოქტორი: ინასარიძე

## რადიორეპორტიორის დღიური - II.

(გაგრძელება)

## "ჯვრის" ქართული მონასტერი იერუსალიმში - 2.

რეპორტერი: (სტანდარტული დასაწყისი, გვ. 1 და2).

წინა გადაცემაში,პატივცემულო თანამემამულენო, ჩვენ ვისაუბრეთ, თუ როგორ ჩავედი იერუსალიმში,ვინახულე ჯვარის მონასტერი და შემდეგ ვესაუბრე ჯვარის მონასტრის წინამძღვარს - იოაქიმს - ამ მონასტრის ისტორიული წარსულის შესახებ. მაშ განვაგრძოთ საუბარი ბერ იოაქიმთან:

ჯვარის მონასტრის ტაძრის ხატების დათვალიერების შემდეგ, ბერმა იოაქიმმა გამიძღვა წინ,გავიდა მთავარ საყდარიდან მარცხნივ მდებარე დერეფანის-მსგავს დამაკავშირებელ ოთახში და იქიდან (მიმიყვანა) იმ პატარა ალტართან,სადაც,გადმოცემით, იდგა ის ხე,რომლისაგან გააკეთეს ჯვარი, რომელზე ჯვარს აცვეს ქრისტე:

(ფირი: იოაქიმი...) - 7

ხმა: "ძველი აღთქმის თანახმად და ხელნაწერების დადასტურებით, აქ იყო ის ხე,რომლისაგან გაკეთებულ იქნა ჯვარი,რომელზედაც აცვეს იესო ქრისტე და ამიტომ ამ მონასტერს უწოდეს "ჯვარის მონასტერი"."

(ფირი: იოაქიმი...) - 7

"აქ არის ამ ზეთისხილის (სიმბოლური) ისტორია გამოსახული სურათებში...როგორ იზრდებოდა ეს ხე,როგორ გაიზარდა და როგორ გამოჭრეს და გააკეთეს მისგან ჯვარი..."

რეპორტერი: ამ ზეთისხილის ხის ძირი მოთავსებულია სპეციალური ალტარის ქვეშ, რომელიც წინიდან ნახევრად დაფარულია მატერიის ფარდით,ხოლო სიღრმეში მოჩანს წრიული ფორმის ლითონის წარწერიანი დისკო,სადაც იდგა,გადმოცემით, ის ხე. იქვე ანთია მარადიული სანთელი."

შემდეგ ბერ იოაქიმს ვთხოვე:

(ფირი: კარლო...) - 8.

ხმა: "მე მსურს დღეს ან ზვალ გადავიღო ფოტოსურათები აქ"...

(ფირი: იოაქიმი...) - 8

*კომენტარი:*

იოაქიმმა მიპასუხა, რომ აქ იქნება ხვალ სხვა ბერი და მე მას ვეტყვი ამაზე. მან თქვა აგრეთვე, რომ ისიც იქნება ხვალ აქ, მაგრამ ის არის სტუდენტი უნივერსიტეტში და შეიძლება ლექცია ექნეს. იოაქიმმა დასძინა, რომ ის ცხოვრობს ამ მონასტერში და მეორე ბერიც.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რამდენი ბერი ცხოვრობს ჯვარის მონასტერში, მან მიპასუხა:

(ფირი: იოაქიმი...) - 8

ხმა: "სამი, ორი ახლა აქ ვართ და ერთი არის წასული იერუსალიმის ძველ ნაწილში, რომელიც იორდანიის ტერიტორიაზეა

ჩემი შემდეგი შეკითხვა იყო, თუ წარმოებს წირვა-ლოცვა ჯვარის მთავარ ტაძარში. მან მიპასუხა:

(ფირი: კარლო-იოაქიმი...) - 8

ხმა: " ჩვენ ვატარებთ აქ წირვა-ლოცვას, მაგრამ არა ყოველდღე."

ჩემს შეკითხვაზე, თუ იქნება ჯვარის მონასტერში წირვა ხვალ ან ზეგ, მან თქვა, რომ არა. ჯვარის მონასტერში წირვა წარმოებს მხოლოდ დღესასწაულების დროს.

შემდეგ მე მას ვუთხარი, რომ მე თან მაქვს წამოღებული ქართული წირვა-ლოცვა, გადაღებული პარიზის წმინდა ნინოს ქართულ ეკლესიაში და აგრეთვე ქართული გალობა - "შენ ხარ ვენახი". ჩემმა თანამემამულეებმა მთხოვეს, რომ ეს, მაგნეტოფონის ფირზე გადაღებული წირვა და გალობა, დაუკრა მაგნეტოფონით ამ ჯვარის მონასტერში, სადაც ჩვენ ახლა ვდგევართ: და ხომ არაფერი აქვს მას ამის საწინააღმდეგო?! იოაკიმმა თქვა:

(ფირი: იოაქიმი...) - 8

ხმა: "ძალიან სიამოვნებით. მე მსურს ეს წირვა-ლოცვა და გალობა გადავიღო მაგნეტოფონის ფირზე, მაგრამ აქ თან არ მაქვს ჩემი მაგნეტოფონი, იერუსალიმის ძველ ნაწილში მაქვს." მე შევპირდი, რომ მას გავუგზავნი არა მარტო წირვისა და გალობის ლენტს, არამედ სხვა ქართულ გალობებსაც. მაგრამ მან

მეპირებაზე გაიცინა და თქვა, რომ ვინც აქ მოდის ყველა მპირდება ყველაფრის გამოგზავნას,მაგრამ როცა აქედან წავლენ,შემდეგ ყველაფერი ავიწყდებათ. ამის შემდეგ, მე,რა თქმა უნდა, მივეცი პატიოსანი სიტყვა, რომ მართლაც გავუგზავნი ქართულ გალობისა და წირვის ფირს,რაც,მართლაც,როცა თქვენ ისმენთ ამ სიტყვებს, პატივცემულო თანამემამულენო, უკვე გაგზავნილი მაქვს ბერ იოაქიმისათვის იერსალიმში. იოაქიმმა მაინც მოინდომა ქართული წირვისა და გალობის ფირის ჩემგან მიღება,მაგრამ როცა ვუთხარი,რომ იერუსალიმიდან მე ჯერ კონსტანტინეპოლში, ხოლო შემდეგ ათონის მთაზე მივდივარ და შეიძლება იქაც დამჭირდეს ეს წირვა-გალობა მეთქი,მან გაიგო ჩემი მდგომარეობა.

შემდეგ ჩამოვაგდე ლაპარაკი ქართული ხელნაწერების შესახებ,რომლებიც იყო ჯვარის მონასტერში. იოაქიმმა მკითხა:

(ფირი: იოაქიმი...) - 9

ხმა: "თქვენ გადასვალთ ძველ ქალაქში? იერუსალიმში,იორდანიაში?!" "თუ თქვენ წასვალთ იქ, მე მოგცემთ ჩემს ადარბაზო ბარათს,შეგიძლიათ მისვიდეთ იერუსალიმის საპატრიარქოს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და იქ არის მეტად ბევრი,ზუსტად არ ვიცი რამდენი, ქართული მანუსკრიპტები".

ტურისტი: მე ვუთხარი ბერ იოაქიმს,რომ ჩემთვის შეუძლებელია იორდანიაში გადასვლა,ვინაიდან შემდეგ ისრაელში უკან დაბრუნება არ შემიძლია და მე კი ისევ ცელ ავივიდან უნდა გავფრინდე კონსტანტინეპოლში მეთქი. მან შემდეგ მომითხრო, რომ ყველა მანუსკრიპტი ჯვარის მონასტრიდან ახლა მოთავსებულია საპატრიარქოს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. მანუსკრიპტები,როგორც მან თქვა, აღნუსხულია და არსებობს ზუსტი კატალოგი.

ჩემს შეკითხვაზე, თუ არის ჯვარის მონასტრის ამ ბიბლიოთეკაში ქართული მანუსკრიპტები, ბერმა იოაქიმმა მიპასუხა:

(ფირი:იოაქიმი...) - 9

"ჩვენ არ გვაქვს აქ ქართული არც მანუსკრიპტები და არც წიგნები.მანუსკრიპტები,როგორც აღვნიშნე, იერუსალიმის საპატრიარქოს ცენტრალურ ბიბლიოთეკაშია, რომელიც მდებარეობს ქალაქის ძველ ნაწილში - იორდანიის ტერიტორიაზე, ხოლო ქართული წიგნები აქ არ არის იმიტომ, რომ როცა ამ მონასტერში ქართველი ბერე-

იყვნენ, მაშინ სტამბა არ არსებობდა."

რეპორტიორი: ახლა განაცხადა ბერმა იოაკიმმა, მაგრამ ჩემი შეკითხვა ისევ ქართულ მანუსკრიპტების ბედს ეხებოდა: შევეკითხე, როგორც მოხვდა ქართული მანუსკრიპტები იერუსალიმის ძველ ნაწილში და როდის? იოაკიმმა მიპასუხა:

(ფირი: იოაკიმი...) - 12

ხმა: "მე არ მახსოვს ზუსტად თარიღი...60 წლის წინათ ბერმა პაპადოპულოს/კერამეუსმა მოიარა იერუსალიმის ყველა მონასტერი და მან წაიღო ამ მონასტრებში მოთავსებული მანუსკრიპტები იერუსალიმის საპატრიარქოს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში. ამ დროიდან ქართული მანუსკრიპტები იქ არის ბიბლიოთეკაში. შედგენილია აგრეთვე კატალოგი პაპადოპულოს კერამეუსის მიერ; ბერძნულ ენაზე... ესაა ყველაფერი... ეს-იგი იერუსალიმის საპატრიარქოს სურდა ყველა მონასტრისაგან წაეღო მანუსკრიპტები და ყველა ამისათვის თავი მოეყარა საპატრიარქოს ცენტრალურ ბიბლიოთეკაში და ეს ასეც მოხდა."

რეპორტერი: ჩემს შეკითხვაზე თუ რამდენი წიგნია მოთავსებული ჯვარის ამ ბიბლიოთეკაში, მან თქვა, რომ მან ეს არ იცის. სხვათა შორის, არც ამ წიგნების კატალოგი არსებობს; ასე რომ ეს წიგნები ჩაკეტილია აქ ორ დიდ ოთახში და სრულიად გამოუყენებელია. შემდეგ ბერმა იოაკიმმა თქვა:

(ფირი: იოაკიმი...) - 12

ხმა: "ჩვენ გვქონდა აქ კატალოგი, მაგრამ რამდენიმეჯერ ეს ბიბლიოთეკა გაალეს ჯარისკაცებმა და წაიღეს (ბევრი) წიგნები...ჩვენ ახლა არ ვიცით, თუ რა წიგნები წაიღეს მათ და რა დარჩა ისევ ბიბლიოთეკაში."

რეპორტიორი: შემდეგ იოაკიმმა გვაჩვენა პეტერბურგში გამოცემული, დაბეჭდილი კატალოგი:

(ფირი: იოაკიმი...) - 13

ხმა: "ეს კატალოგი აღნუსხავს მანუსკრიპტებს ჯვარის და საბაის მონასტრებისა."
"ამაში დაბეჭდილია რამდენიმე ხატი და აგრეთვე სურათებიც..."

რეპორტიორი: ამ წიგნში ხუცური და მხედრული ასოებით არის რამდენიმე ქართული მანუსკრიპტი აღწერილი, რომელთა შორის ერთ ადგილას ამოვიკითხე:

(ფირი: კარლო...) - 14

ხმა: "ქალღმერთო და წმინდაო თეოდორე შეიწყალე ირუზაქიძე."

რეპორტიორი: ამავე წიგნ-კათალოგის მეორე ადგილას კი ვკითხულობთ:

(ფირი: კარლო...)-15

ხმა: "იესო ქრისტე შეიწყალე ცოდვილითა ნიკოლოზ. მოიხსენე უფალო ნიკიფორე ჯვარის მამა და ძლიერ ცოდვილი..."

რეპორტიორი: ამის შემდეგ ბერმა იოაქიმმა შემოგვთავაზა კონიაკი...

(ფირი: იოაქიმი...) - 16

ხმა: "ხომ არ მიირთმევთ ერთ ჭიქა კონიაკს...მგონი ერთი ბოთლი კონიაკი მაქვს,რომელსაც "შოთა რუსთაველის" ეტიკეტი უნდა ჰქონდეს!"

რეპორტიორი: მაგრამ სანამ კონიაკზე დაგვპატიჟებდა ჯვარის მონასტრის წინამძღვარი-იოაქიმი,კიდევ გვაჩვენა რამდენიმე წიგნი,მათ შორის სტრაბონის შრომები,რომლის დროს მას მე გვავახსნე,რომ სტრაბონს ბევრი რამ აქვს დაწერილი საქართველოს შესახებ,რაც მან თურმე არც კი იცოდა. შემდეგ გამოვედით ბიბლიოთეკიდან.

გამოვედით რა ჯვარის მონასტრის ბიბლიოთეკიდან, მას წაგვიყვანა პატარა სამლოცველოსაკენ,რომელიც შიგნიდან,როგორც პატარა ეკლესია,ხოლო გარედან ჩვეულებრივი ბერთა სენაკების არქიტექტურული ფორმა აქვს. ვერც კი შეატყობ გარედან,რომ აქ საერთოდ პატარა ეკლესიაა. სანამ ბიბლიოთეკიდან მივიდოდით მის პირდაპირ მდებარე ამ ეკლესიაში, გავიარეთ რა ბალკონზე,ბერმა იოაქიმმა ჩემს შეკითხვაზე, თუ ვინმე იყენებს დღეს ჯვარის მონასტრის ამ ბიბლიოთეკას, მიპასუხა,რომ "არავინაო!"

ამასობაში შევედით ხსენებულ პატარა ეკლესიაში:

(ფირი: იოაქიმი...) - 10

"ეს პატარა ეკლესია-სამლოცველო განკუთვნილი იყო თეოლოგიური სკოლის სტუდენტებისათვის ყოველდღიურ ლოცვისათვის ."

რეპორტიორი: შემდეგ გვაჩვენა ერთი ბიუსტი,რომელიც იდგა ამ პატარა სამლოცველოს შესასვლელთან,მარცხნივ,კუთხეში:

(ფირი: იოაქიმი...) - 17

ხმა: "ეს არის ფოტიუს ალექსანდრიტის. ის იყო ჯვარის მონასტრის თეოლოგიური სკოლის დირექტორი; ის იყო აგრეთვე ალექსანდრიის პატრიარქი; და როცა ის გარდაიცვალა სტუდენტებმა და მთელმა თეოლოგიურმა ს...

ნემში აქ და ახლა მისი კუბო არის აქ. ალბათ, ის იყო ამ მონასტრის ბიბლიოთე-კის მმართველიც."

რეპორტიორი: ამ პატარა, მშვენიერი სამლოცველო-ეკლესიის დათვალიერების შემდეგ ჯვარის მონასტრის წინამძღვარმა მიგვიწვია მის ბინაზე, რომელიც ამ ეკლე-სიის გვერდითვე მდებარეობს, გაგვაცნო მეორე ახალგაზრდა ბერი-სტუდენტი და შემდეგ მოიტანა კონიაკი. მაგრამ როცა ეტიკეტზე დავხედე და ვიცანი სომხური კონიაკი და ვუთხარი, რომ ეს კონიაკი არც შოთა რუსთაველის ეტიკეტითაა და სა-ერთოდ არც ქართულია, არამედ სომხურია, გულნაწყენი თქვა - რა მნიშვნელობა აქვს-მოდი დავლიოთ!

ყავისა და კონიაკის შექცევის დროს, ბერმა იოაქიმმა მოყვა, რომ იერუსალიმის ისრაელის ნაწილში რუსული საყდარ-მონასტერი მდებარეობს, რომე-ლიც მოსკოვის სინოდის უმაღლესობას სცნობს, ხოლო რუსული საყდარ-მონასტერი, რომელიც იერუსალიმის იორდანიის ნაწილში, ესე იგი, ძველ ქალაქში მდებარეობს, არ სცნობს მოსკოვის სინოდის უმაღლესობას და მათ შორის დიდი დავაა ათო. ჯვარის მონასტრის დღევანდელ უმოწყალო ბედსა და მის მომავალზე მან სრულიადაც არაფერი უთქვამს. ბევრი ვეცადე არაპირდაპირ მეკითხა, თუ როგორ უნდა ეშველოს ჯვარის მონასტერს! სამი ბერი ამ უშველებელი მონასტრისათვის -ეს ხომ წვეთია ზღვაში. მან ისეთი ტონით ილაპარაკა ჯვარის მონასტერ-ზე, საერთოდ, რომ თითქოს ყველაფერი რიგზე იყოს; და ქართული კულტურის ეს უდიდე-სი ცენტრი დღეს რომ ტურისტთა დასათვალიერებელ სანახაობად იქცა, ამის სრულია ნორმალურად თვლის, როგორც ჩანს.

ამასობაში შებინდდა. ჩვენ გამოვემშვიდობეთ წინამძღვარ იოაქიმს, რომელმაც მონასტრის ხსენებულ ვიწრო და დაბალ რკინის კარებამდე მოგვაცილა; და ვთხოვე, რომ მეორე დღეს, პარასკევს, 20 იანვარს, მოეცა უფლება კიდევ გამეგრძელებინა ამ ჩვენი მონასტრის დაწვრილებითი დათვალიერება. მან მითხრა, რომ დილის ათი საათიდან - ნაშუადღევის ოთხ საათამდე ყოველთვის შემიძლია შევიდე მონასტერში და დავათვალიერო ყველაფერი, გადავიღო სურათები.

გამომშვიდობებისას, იოაქიმმა ორი ლიმონი მოსწყვიტა შესავალ კარებთან, ეზოში მარცხნივ აშოლტილ ლიმონის ხიდან და გვაჩუქა. მან თქვა, რომ აქაური ლიმონი განსაკუთრებული სურნელოვანებით გამოირჩევაო; და მართლაც ისეთი სასიამოვნო სურნელოვანი იყო, რომ გაგვიკვირდა. გამოვედით რა მონასტრის

რიდან და ჩაკეტა რა მან შიგნიდან ეს გადახლართული რკინის კარები, გული მე-
ტკინა: "რატომ მოგვტაცა ჩვენ, ქართველებს, ისტორიის "ჩარხის უკუღმა ბრუნვამ" ეს ჩვენი ეროვნული კულტურის ერთი ცენტრი?" "ნუთუ ვერასოდეს ვერ დავიბრუნებთ ჩვენ ამ ჩვენს ისტორიულ ძეგლს?" - ამ აზრებში ვიყავი გახვეული, როცა მეტად აღელვებული ნახულით, მეტად დამწუხრებული ამ ჩვენი მონასტრის დღე-
ვანდელი ბედით, დავტოვე ეს ქართველთათვის მარადაც წმინდა ადგილი - ჯვარის მონასტერი.

ეს იყო 1967 წლის 19 იანვარს, საღამოს 6 საათზე. 20 იანვარს დილით ისე-
ვანვაგრძე იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დათვალიერება.

ამის შესახებ, თქვენ მოისმენთ ჩვენს მორიგ (მესამე) გადაცემას სერიიდან - რადიორეპორტიორის დღიური - დღეის წოის, ამავე დროს.

(იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკა)

თქვენ ისმენთ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკას...

(ზარების რეკა...)

==========================

ე რთული რედაქცია

ავტორი, დიქტორი: ინასარიძე

## რადიორეპორტიორის დღიური - III.

(გაგრძელება)

## ჯვარის ქართული მონასტერი იერუსალიმში - 3.

რეპორტიორი: (სტანდარტული დასაწყისი, გვ. 1 და 2).

წინა ორ გადაცემაში, პატივცემულო მსმენელებო, ჩვენ ვისაუბრეთ, თუ როგორ ჩავედი იერუსალიმში, ვინახულე ჯვარის მონასტერი და შემდეგ ვესაუბრე ჯვარის მონასტრის წინამძღვარს ბერ იოაკიმს ამ მონასტრის ისტორიული წარსულის შესახებ. [illegible] ჯ ვ ა რ ი ს მ ო ნ ა ს ტ რ. ის ბიბლიოთეკის, განსაკუთრებით, ქართული ხელნაწერების შესახებ. დღეს კი გაცნობთ პირველად ჯვარის ხევს, ესე იგი, იმ ადგილმამულის მდგომარეობას, რომელიც ეკუთვნის ჯვარის მონასტერს და რომლის შუაგულში თვით მონასტერი მდებარეობს. შემდეგ მოგასმენინებთ ჯვარის მონასტრის ზარების რეკას, და აგიწერთ თუ როგორ პირობებში მოხდა ამ ზარების რეკის გადაღება მაგნეტოფონის ფირზე. ახლა, დავიწყოთ ჯერ ჯვარის ხევის დათვალიერება:

(ფირი: კარლო...) - 18

*ხმა:*

„ლაპარაკობს                ოთარ კეთილაძე იერუსალიმიდან. პატივცემულო მსმენელებო, დღეს არის 1967 წლის 20 იანვარი. ისევ ვიმყოფები იერუსალიმში, რუპინის ქუჩის გასწვრივ, რომელიც მდებარეობს ჩვენი ჯვარის მონასტრის ახლოს. ისევ გადავყურებ ჯვარის მონასტერს და ჯვარის მონასტრის ხეობას. სანამ ამ ჩვენი ჯვარის მონასტრის ისტორიულ წარსულს ორიოდე სიტყვით შევეხებოდე, მსურს ავღწერო მისი გარეგანი მდგომარეობა. უნდა ვთქვათ, რომ მთელი მონასტერი მეტად მოუვლელია. მთელი ჭალა, სადაც, როგორც გადმოგვცემენ, ძველად ყვაოდა ზეთის ხილის ხეები და ვენახი, დღეს, თითქმის, მთლიანად გაპარტახებუ-

ლია. ქვები,ქვები,ქვები,ყველგან ჩანს ქვები და არსად მოვლილი ხეები ან მამული.ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ყველაფერი ეს,რომ თითქოს არ უკვე აღარაფე-რი არ არსებობს,რაც იძლევა ნაყოფს,გარდა ორიოდე ხეთის ხილისა,რომლებიც, როგორც ავღნიშნე,მოუვლელობის შთაბეჭდილებას ტოვებს."

*რეპორტიორი:*

ეს აზრი დაემზადა,პატივცემულო მსმენელებო, და ჩავწერე მაგნეტოფონის ფირზე, როცა 1967 წლის 20 იანვარს "უაიმსეის" პოცელიდან,რაც დაახლოებით 5-6 კილომეტრითაა დაშორებული ჯვარის მონასტრიდან, - ფეხით წავედი,დილის 8 საათზე, ჩვენს მონასტრისაკენ და უკვე დილის 9 საათზე     რუპინის ქუჩიდან ჩვენს ჯვარის ხეობას გადავყურებდი. სამწუხაროთ 20 იანვარსაც,ისე როგორც 19 იანვარს, ცუდი ამინდი იყო: სიცივე,მოღრუბლული ცა,მაგრამ საბედნიეროდ არ წვიმდა და ამიტომ საშუალება მქონდა ფეხით მომეარა ჯვარის მონასტრის ან უკვე მოუვლელი-გაპარტახებული მამული. გადაუხვიე რა რუპინის მოასფალტებულ ქუჩას,რომელიც ისრაელის პარლამენტის - კნესეტის - შენობის მხრიდან ეხაზღვრება ჯვარის ხეობას, გავუყევი ამ გზის გასწვრივ მდებარე ბილიკს,რომლის დროს თიხიან მოწითალო მიწაში ისე ვეფლებოდი, რომ ჩემი თითოეული ფეხსაცმელი რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ უკვე,უთუოდ,რამდენიმე კილოს იწონიდა,იმდენი თიხა მიეწება ფეხსაცმელებს. დაახლოებით 150 მეტრის გავლის შემდეგ,უკვე სრულიად სხვა ხედი გადაიშალა ჩემს თვალწინ:

(ფირი: კარლო....) - 19

*ხმა:*

"აქედანაც კარგად მოჩანს ჩვენი ჯვარის მონასტრის გუმბათი და ეკლესიის, ეხე იგი პატარა ეკლესიის პატარა გუმბათი.როგორც ცნობილია,პატივცემულო მსმენელებო, ჯვარი იმიტომ უწოდეს ამ მონასტერს,ჩვენმა წინაპრებმა, რომ გადმოცემით,ამ ადგილას მოჭრილ იქნაის ხე, რომელზედაც აცვეს იესო ქრისტე და სწორედ იმ ადგილას,სადაც ამ ხის ძირი იყო ააშენეს ქართველებმა მონასტერი და უწოდეს "ჯვარი". მთელი მონასტერი,არქიტექტურულად მოგვაგონებს ციხესიმაგრეს,რომელიც გარშემორტყმულია მაღალი გალავანით: ხოლო ეზო,ადგილმამული - ზეთისხილის ბაღნარია,მაგრამ დღეს,როგორც ავღნიშნეთ, სრულიად გაპარტახებულია."

*რეპორტიორი:*

აქ მსურს,პატივცემულო თანამემამულენო, ორიოდე სიტყვით ავღნიშნო ის ამბავი, რომ ჯვარის მონასტრის ადგილმამულის გაპარტახების ერთერთი მიზეზია ის ფაქტიც,რომ ქართველი ადამიანები,რომლებიც ამ ბაღვენახს საუკუნეების მანძილზე

უვლიდენ, აი სრულიად ახლო წარსულში, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ გაქრენ ისტორიის ფურცლებიდან! ალბათ, მიხვდით, პატივცემულო თანამემამულენო, თუ რომელ ქართველებზე ვლაპარაკობ: ვლაპარაკობ სოფელ მალხაში მცხოვრებ ქართველებზე, რომელთა ბედი ასე შთამაგონებლად აღწერა ჩვენმა პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ თავის "პალესტინის დღიურში". სამწუხაროდ, მე, ჩემი იერუსალიმში ყოფნის დროს, ისე ვიყავი დატყვევებული ჩვენი ჯვარის მონასტრის სევდით, რომ იერუსალიმის გარეუბანში-მდებარე-რამალ-რაპელის სიმაღლეზე წასვლა-ასვლაც კი ვერ მოვახერხე, რომ ჩემი თვალით მენახა ქართველთა ნასოფლარი "მალხა":

გადმოცემით, ქართველ მეფეს ვახტანგ გორგასალს, მისი მეფობის დროს – მეხუთე საუკუნის მეორე ნახევარში, – დაუტოვებია აქ პატარა გარნიზონი, ჯვარის მონასტრის მტერთაგან დასაცავად. ამის შესახებ, დეკანოზი კონჭოშვილი, რომელმაც გასული საუკუნის მიწურულში იმოგზაურა პალესტინაში და თავის მოგზაურობის შესახებ გამოაქვეყნა წიგნი, ასე წერს:

სმა: "მახლობლად ჯვარის მონასტრისა ეხრეღ წოდებულ "ვარდის ველესა" არის დაბა "მალხა", სადაც ცხოვრობს ექვსასი სული ორივე სქესისა: ამბობენ, ვითომც ეს მცხოვრებნი არიან შთამომავალნი აქ გადმოსახლებულთა ქართველთა მეფე ვახტანგ გორგასლანის დროსა მეხუთე საუკუნეში, დასაცავად ჯვარის მონასტრის, მტერთა დევნისაგან. მათ დაუვიწყიათ მშობლიური ენა და სარწმუნოება მამა პაპათა, მაგრამ გადმოცემით იციან, რომ იგინი არიან შთამომავალნი მორეულ ჩრდილოეთიდან გადმოსახლებულთა და უწოდებენ თავის თავსა "გურჯებად", ქართველ ად და გარეშე მცხოვრებნი არაბნიც ისე უყურებენ, ვითარცა მოსულსა უცხო ტომს. იგინი ლაპარაკობენ არაბულად, რამდენადმე თათრულად და ბერძნულადაც. იგინი სარგებლობენ საკუთარის უფლებითა შეიმუშაონ მონასტრის მიწდვრები და ვენახები. და აძლევენ მონასტერს მხოლოდ მეხამედ ნაწილს შემოსავლისას. მონასტერს არ შეუძლია ეს საქმე გადასცეს სხვათა, რომ უსიამოვნება არ გამოიწვიოს მალხას მცხოვრებთა შორის. სახითა, ზნეობითა და ჩვეულებითა ისინი განსხვავდებიან გარეშე მცხოვრებთა არაბის ტომისაგან."

რეპორტიორი: ასე წერს დეკანოზი კონჭოშვილი, რომელმაც გასული საუკუნის მიწუ

რულში იმოგზაურა პალესტინაში და ინახულა ქართული სოფელი მალხა. ირაკლი აბაშიძემ ეს სოფელი თუ ნასოფლარი დაინახა რამალ-რაშელის სიმაღლიდან და ასეთი განმარტება მიუღია სოფელ მალხის შესახებ:

ხმა: "ახლა, თითქმის, როგორც გვითხრეს, არავინ ცხოვრობს ამ სოფელში. აქაური მცხოვრებნი პალესტინის ამ უკანასკნელი ომის დროს ხალხაც შორს გადასახლებიან... მალხა, მალხა... — ამბობს ირაკლი აბაშიძე — მშვიდობით, "სახითა, ზნეობითა და ჩვეულებითა" უცნაურო არაბებო...ავერ გუშინ, თითქმის ჩვენს თვალწინ, დასრულებულა თქვენი სევდიანი ისტორია."

რეპორტიორი: გადავყურებთ რა ახლა, 1967 წლის 20 იანვარს, დილის 9 საათზე ჯვარის ხევს, გაპარტახებულ ადგილმამულს, მაჭონდება მალხას სოფელი, მისი წარმომობით ქართველნი, მცხოვრებნი, რომლებიც დღეს ხალხაც გაფანტულნი არიან იორდანიის ტერიტორიაზე.

მე ვერ შევძელი გამეგო, თუ რამდენხანს შეინარჩუნეს მალხას მცხოვრე? ჯვარის მონასტრის ადგილმამულის დამუშავების უფლება. ვერ შევძელი გამეგო, თუ როდის დაიწყო ამ ხევის ასეთი გაპარტახება და ისიც ვერ გავიგე, თუ რა ბედი უნდა ეწვიოს ამ ჩვენი ეროვნული ისტორიისათვის ასეთ დიდ კულტურულ ძეგლს- ჯვარის მონასტერს. მაგრამ ამის შესახებ კიდევ ვილაპარაკებთ. დავუბრუნდეთ ამ მონასტრის დოკუმენტურ აღწერას:

მე გავნაგრძე ჯვარის ხევის იმ მაღლობის გასწვრივ სვლა, რომლის ზევით ისრაელის სახელმწიფო მუზეუმი მდებარეობს; აქედან კი ჯვარის მონასტერი მართლაც მეტად კარგი შესახედავია:

(ფირი: კარლო...) - 20

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე იერუსალიმიდან. პატივცემულო მსმენელებო! ეს-და მე ვდგევარ იერუსალიმის ისრაელის სახელმწიფო მუზეუმისმიდან და დავყურებ მაღლიდან ჩვენს ეროვნულ სიამაყეს - ჯვარის მონასტერს–იერუსალიმში. უნდა ავღნიშნო, პატივცემულო თანამემამულენო, რომ (ჯვარის მონასტერი) ყველაზე უფრო ლამაზი სწორე ამ ისრაელის სახელმწიფო მუზეუმიდანაა, რომელიც მდებარეობს მაღლა; და ხევში დაბლა სეთისხილებში და სხვადასხვა ხეებს შუა იმყოფება ჩვენი ჯვარის მონასტერი. კარგათ მოსჩანს გუმბათი, მეორე გუმბათი და აგრეთვე შიდა შენობები, მეორე სართულის ფანჯრები."

„...იმ ისტორიული დღის შემდეგ,როდესაც ჩვენმა მეცნიერებმა - აკაკი შანიძე გიორგი წერეთელმა და ჩვენმა პოეტმა-აკადემიკოსმა ირაკლი აბაშიძემ, 1960 წლ. 6 ნოემბერს,ჯვარის მონასტერში შოთა რუსთაველის სურათი აღმოაჩინეს,ეს ადგი- ლი ახლა ჩვენთვის წმინდა ადგილად არა მარტო როგორც რელიგიური ცენტრი,არამედ აგრეთვე (იმიტომ) რომ აქ აღმოჩენილ იქნა ჩვენი გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის სურათი. ამიტომ,რა გასაკვირია, რომ მაგონდება ირაკლი აბაშიძის სიტყვები „შენ აქ ხარ,აქ ხარ...სად არ გძებნე მესხეთ თუ სამცხეს! მე გული ჩემი შენ მინად ვრაცხე: კვალდაკვალ მოგყევ კლდეში თუ ღრეში... შენ აქ ხარ, აქ ხარ.. და,მართლაც, აქ არის შოთა რუსთაველის სურათი...ჯერჯერობით! ვინ იცის,შეიძ- ლება თვით მისი აკლდამა,მისი საფლავიც აღმოჩენილ იქნეს აქ.მაგრამ ჯერჯერო ბით ამითაც ბედნიერი ვიყოთ ,რომ მისი სურათი აღმოჩენილ იქნა,ისტორიულ დღეს 1960 წლის 6 ნოემბერს."

რეპორტიორი: ამგვარად,შემოუარე რა ჯვარის მონასტრის ადგილ-მამულს ირგვლივ, და ვეშვი,ისრაელის სახელსწიფო მუზეუმის მხრიდან,პირდაპირ დაბლა თვით ჯვა- რის მონასტრისაკენ...ოდნავად წვიმდა და ღელესთან,რომელიც ჯვარის ხევს ორ ნაწილად ჰყოფს, უკვე იმდენი წყალი მოზავებულიყო, რომ - ჯერ ჩემი ფეხსაცმე- ლები გავირეცხე თიხიან ტალახისაგან,ხოლო შემდეგ,როგორც იქნა, გავცდი ღელის მეორე მხარეს ისე,რომ თავიდან ავიმორე ფეხის დასველება ცივი-ნაწვიმარი, მოყვითალო ფერის წყლისაგან. ალბათ,ზაფხულში აქ წყალი საერთოდ არ მოდის,მა- გრამ როგორც კი გაწვიმდება თუ არა, მაშინათვე ჩნდება ყვითელი წყლის ღელე,ვი- ნაიდან,როგორც ჩანს, თიხიანი მიწა წყალს არ იშრობს. და სწორედ ამ წვიმისა- გან შემქნილი ღელის გაღმა მდებარეობს ჩვენი ჯვარის მონასტერი,რომელშიც მის- ვლა-დათვალიერება ჩემს მთავარ მიზანს შეადგენს.

მივედი თუ არა ჯვარის მონასტრის ცნობილ ვიწყო,დაბალ ჰკარის კარებთან, რომელიც ქვის ლოდების სიღრმეშია ჩასმული, ამავე დროს აქვე გამოჩნდა ჩვენ- თვის უკვე ცნობილი - ბერი იოაქიმი,რომელსაც სურსათ-სანოვაგე ეყიდა ქალაქში და ახლა სწორედ მონასტერში შედიოდა. მისალმების შემდეგ,ჩვენ შევედით მონას- ტერში და ბერ იოაქიმს ვთხოვე შეესრულებია ჩემი თხოვნა - ჯვარის მონასტრის ზარების რეკა ჩამეწერა მაგნეტოფონზე. მან ამაზე დამეთანხმა და მაშინათვე წავედით სამრეკლოსაკენ. მან მითხრა, რომ „სამრეკლოზე ასვლა მარტო მე შემიძ- ლია,ვინაიდან ფანჯრიდან უნდა შევიდე სამრეკლოშიო." მე, ცოტა არ იყოს, მეეცნა-

ურა მისი ასეთი განცხადება. მაგრამ როცა ავედით მონასტრის შენობათა იატა-
კისმაგვარ სახურავზე,რომლის ერთ შუა ალაგას სამრეკლოს გუმბათია აღმართული,
შევხედე,რომ სამრეკლოში შესასვლელი კარი საერთოდ არ რკის. ეს კარი
ფიცრებითაა ისე ამოჭედილი,რომ მისი დანგრევის გარეშე შეუძლებელის მასში
შესვლა. ბერმა იოაქიმმა, ატლეტური მოხერხებით გადააბიჯა იატაკისმაგვარ სა-
ხურავის გარშემორტყმულ რკინის ბალკონს და გვერდიდან,დიდის წვალებით,გააღო
სამრეკლოს ფანჯარა,რომელიც ათასგვარი მავთულით იყო ჩაკეტილი-დახვეული ლურ-
სმნებზე. ცოტა არ იყოს საშიში იყო ამ მხრიდან სამრეკლოს ფანჯრის გაღება,
ვინაიდან ფანჯრის მხრიდან დაახლოებით 10 მეტრის სიღრმეში სწორკუთხოვანი
მიწა მოსჩანდა,რომელზედაც ერთ ბროწეულის ხეს ისე ძოედგა
ფეხი, რომ თითქმის სამრეკლოს ფანჯრამდე აღწევდა. წარმოიდგინეთ, რამოდენიმე
ბროწეულიც შევნიშნე მასზე,მაგრამ უკვე ლპობის პროცესში იყო. როგორც იქნა
იოაქიმმა გააღო სამრეკლოს ფანჯარა გარედან და შევიდა სამრეკლოში. მეც მინ-
დოდა სამრეკლოში შესვლა,ვინაიდან რამდენადაც ახლოს ზარებთან მაგნეტოფონის
მიკროფონი,იმდენად "უშუალო" ზარების რეკის ჟღერა, მაგრამ მან ამის ნება
არ დამრთო,ალბათ, შეეშინა, რომ არ ჩავარდნილიყავი ამ ათი მეტრის სიღრმის
'ქვაბულში." იოაქიმმა მითხრა, რომ ის ავა სამრეკლოს ზარებთან მაღლა და დაა-
ხლოებით სამი წუთის განმავლობაში დარეკავს ზარს და მე ზარების ეს ხმა და-
ბლიდან უნდა ჩამეწერა მაგნეტოფონის ფირზე. რას ვიზამდი,დავეთანხმე და მო-
ვემზადე ზარების რეკის ჩასაწერად: (ფირი: კარლო-ზარების რეკა...) - 21

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე ჯვარის მონასტერიდან. პატივცემულო მსმენელე-
ბო! ეხლა თქვენ მოისმენთ ჯვარის მონასტრის ზარების რეკას: მაშ,დავუგდოთ
ყური: (ჯვარის მონასტრის ზარების რეკა...)

რეპორტიორი: როგორც კი დაამთავრა ზარის რეკა ბერმა იოაქიმმა, ჩამოვიდა
სამრეკლოდან დაბლა,მოვიდა სამრეკლოს ფანჯარასთან და მკითხა - "თუ გამოვიდა
კარგად!" მე ვუთხარი, რომ მაინცდამაინც კარგი არ არის მეთქი და ვთხოვე კი-
დევ ერთხელ დაერეკა ზარები. მეკი შევეცადე ჩემი მიკროფონი სამრეკლოს შესა-
ვალი ფიცრებით ჩაჭედილი კარების მაღლა გადამედვა, რომ ამ გზით
უფრო ახლოს მივსულიყავი ზარების რეკის ჟღერასთან. იოაქიმი,როგორც იქნა, და-
ეთანხმა და ისევ ავიდა სამრეკლოს ზარებთან. აი,მოისმინეთ ეს მეორე,უთუოდ

უკეთესი ჩანაწერი ჯვარის მონასტრის ზარების რეკისა:

(ჯვარის მონასტრის ზარების რეკა...)

===================================

როგორც მოისმინეთ, პატივცემულო მსმენელებო, ეს მეორე ჩანაწერი ჯვარის მონასტრის ზარების რეკისა, უთუოდ, უკეთესია.

ამის შემდეგ, ბერი იოაქიმი ჩამოვიდა სამრეკლოდან, გადმოძვრა სამრეკლოს ფანჯრიდან, ჩაკეტა ფანჯარა ათასგვარი მავთულით თუ ლურსმნით და გადმოვიდა ისაკისმაგვარ სახურავის ბარკონზე. მაჩვენა თავისი თითები, და თითქმის სისხლი გამოდიოდა მარცხენა ხელის საჩვენებელ თითიდან... თქვა, რომ ზარებს ფეხი კი არა, მავთულები აქვს მიბმული და მავთულით ზარების რეკამ თითქმის კინაღამ გადაეჭრა თითი. მე შევეცადე, განსაკუთრებული მადლობის ანაზღაურება, მისი ამდენი მონდომება და ჯაფა-როგორმე ჩამეწერა ფირზე ჯვარის ზარების რეკა.

ამის შემდეგ შევედით მონასტრის მთავარ საყდარში და შევუდექი შოთა რუსთაველისა და სხვა სახებ-სურათების გადაღებას ფოტოაპარატით... თითქმის ორი საათი წამართვა ამან დრო და ისე დავიღალე, რომ შევწყვიტე არა მარტო ფოტო-სურათების, არამედ საერთოდ ჯვარის მონასტრის უფრო დაწვრილებითი დათვალიერებ შესწავლა, რომ დასვენების შემდეგ ახალი ენერგიით შევდგომოდი ჩემი ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილებას. ასე დავამთავრე მეორე დღე იერუსალიმის ჯვარის მონასტერში, ისევ სასტუმრო, დასვენება და ისევ ჯვარის მონასტერი...

დღეის წორს ამავე დროს თქვენ მოისმენთ, პატივცემულო მსმენელებო, მეოთხე გადაცემას ჯვარის მონასტრის შესახებ იერუსალიმში. მაშ, ნახვამდის, დღეისწორამდე.

(იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარის რეკა...)

თქვენ ისმენთ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკა...

(ზარების რეკა...)

====================================

ქართული რედაქცია

ავტორი,დიქტორი· ინასარიძე

## რადიორეპორტიორის დღიური - IV.

(გაგრძელება)

## ჯვარის ქართული მონასტერი იერუსალიმში - 4.

**რეპორტიორი:** (ხტანდარტული დასაწყისი,გვ. 1 და 2 ).

წინა ხამ გადაცემაში,პატივცემულო თანამემამულენო,ჩვენ ვისაუბრეთ თუ როგორ წავედი იერუსალიმში,ვინახულე ჯვარის მონასტერი: შემდეგ ვისაუბრეთ მონასტრის წინამძღვართან - ბერ იოაქიმთან მონასტრის ისტორიული წარსულის შესახებ:შემდეგ შევეხეთ ჯვარის მონასტრის ბიბლიოთეკის ხვედს,განსაკუთრებით ქართული ხელნაწერების ბედს. შემდეგ აღვწერეთ ჯვარის ხევის,აღგილმამული დღევანდელი მდგომარეობა და მოვისმინეთ აგრეთვე ჯვარის მონასტრის ზარების რეკა და აღვწერეთ,თუ როგორ პირობებში შევძელი ზარების რეკის ჩაწერა მაგნეტოფონის ფირზე. დღევანდელ საუბარში, დაწვრილებით აღვწერთ ჯვარის მთავარი საყდრის მდგომარეობას,განსაკუთრებით შოთა რუსთაველის სურათს.
მაშ,განვაგრძოთ მგზავრობა-დათვალიერება ჩვენი ეროვნული კულტურის ამ ერთ მნიშვნელოვან ცენტრის.

(ფირი:კარლო....) - 22

**ხმა:** "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე იერუსალიმიდან.პატივცემულო მსმენელებო!
უკვე დღეს მესამე დღეა ვიმყოფები იერუსალიმში ჯვარის მონასტერთან. დღესაც ვარ, დღეს არის 1967 წლის 21 იანვარი, ჯვარის მონასტრის მამულში - კნესეტის,ესე იგი, ისრაელის პარლამენტის მხრიდან.დღეს საზედნიეროდ საუკეთესო ამინდია: მზე ანათებს და ჩვენი ჯვარის მონასტრის გუმბათი ვერცხლისფერად ანათებს...ხალხი დასეირნობს იქეთ-აქეთ, ასე რომ აქ დღეს მართლაც მხიარულობს მთელი ბუნება,მიუხედავათ იმისა, რომ ზამთარია,იანვარია...
ყოველდღიურად ჯვარის მონასტერში და დღესაც მინდა ისევ დავათვალიერო ჩვენი ეროვნული კულტურის ეს დიდი ცენტრი...აქედან,როგორც აღვნიშნე, კარგად მოსჩა=

საყდრის გუმბათი და სამრეკლო,რომელიც ოდნავად უფრო მაღალია,ვიდრე ეკლესიის გუმბათი."

რეპორტიორი: ნელნელა,მაგნეტოფონითა და ფოტოაპარატებით აღჭურვილი, გავყევი ახლა უკვე მზისაგან თითქმის მთლიანად გამშრალ ბილიკს,რომელიც მიიკლაკნებოდა ჯვარის მონასტრისაკენ...ვაკვირდები ჯვარის ხეობის ყოველ ზეთისხილის ხეს, ყოველ კლდოვან ქვათა კრებულს... და ახლა აღმოვაჩინე ზეთისხილებს შორის ისეთი ხეებიც,რომლებიც შეთითხნილია ყვითელი ფერის სითხით: ალბათ, [illegible] მონასტრის დღევანდელ პატრონებს, ახალგაზრდა ზეთის ხილის ხეები მაინც იქნას იმდენად მოვლილი, რომ გაისარონ,გაიზარდონ. მაგრამ თუ ვინ ასრულებს აქ ამგვარ სამუშაოებს, ამის გაგება ვერ მოვახერხე.

ამასობაში მივედი ჯვარის მონასტერთან:

(ფირი: კარლო...) - 22

ხმა": ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე იერუსალიმიდან,ჯვარის მონასტრიდან. დღეს არის შაბათი,1967 წლის 21 იანვარი. ეხლა ვდგევარ ჯვარის მონასტრის მთავარ რკინის კარებთან,რომელიც დღეს,ვინაიდან აქ კარგი ამინდია, ღიაა: ასე რომ კარებთან დარეკა დღეს საჭირო არ არის,რომ ჯვარის მონასტერში შევიდე".

რეპორტიორი: სხვათა შორის, ამ დღესაც ბევრი ტურისტები და ადგილობრივი მოსახლეობა შედიოდენ ჩვენს ჯვარის მონასტერში და ~~ათ~~ათვალიერებდენ,რა თქმა უნდა, ბერელეთ უმთავრესად ტაძარს. ეს გასაკვირი არც არის,ვინაიდან,როგორც ავღნიშნე, ჯვარის მონასტერი შეტანილია იერუსალიმის ღირსშესანიშნაობათა შორის.— "ტურისტთა გიდში",რომელიც მთავრობის ტურისტული საზოგადოების ყოველკვირეული გამოცემაა, ერთ თვალსაჩინო ადგილზე დაბეჭდილია შემდეგი:

ხმა:" როცა შენ იერუსალიმში იმყოფები,არ დაგავიწყდეს... ჯვარის მონასტრის დათვალიერება...ეს მეექვსე საუკუნეში დაარსებული მონასტერი რესტავრირებულ იქნა მე-11 საუკუნეში. ძველი ტრადიციის თანახმად, ეს მონასტერი აშენებულ იქნა იმ ადგილას,სადაც იყო ის ხე,რომლისაგან გაკეთებულ იქნა ჯვარი,რომელზეც იესო ქრისტე აცვეს. ეს მონასტერი მდიდარია [illegible],ფრესკებით ბიზანტიური და ქართული სურათებით."

რეპორტიორი: ასეთი აღწერილობა წერია ჯვარის მონასტრის შესახებ ყოველკვირეულ აფიშაზე, რომელიც გაკრულია იერუსალიმის ქუჩებში და ტურისტთა ბიუროებში თუ პოტელებში: და რა გასაკვირია, რომ როცა ასე მზიანი ამინდია იერუსალიმში, როგორიც იყო 1967 წლის 21 იანვარს, მრავალი ტურისტი, თუ ცნობისმოყვარე მედიოდა ჯვარის მონასტერში, რომლის დროს ყოველმა უნდა გადაიხადოს შესასვლელი ბილეთის საფასური - ნახევარი ისრაელური გირვანქა, რაც დაახლოებით 25 კაპიკს უდრის.

მეც, რა თქმა უნდა, შევედი მონასტერში და შემდეგ მთავარ საყდარში. როცა გადავიღე შოთა რუსთაველის ფრესკის რამდენიმე სურათი, არა ერთმა ტურისტმა მთხოვა გადამეღო მათთვისაც სურათი და რომ უარს ვეუბნებოდი, მეტად გულგატეხილი რჩებოდნენ. სხვათა შორის, თითქმის ყოველი კაცი მიდიოდა იმ ადგილის სანახავად, სადაც,            გადმოცემით, იყო ის ხე, რომლისგანაც გააკეთეს ჯვარი. შოთა რუსთაველს აბა აქ ვინ იცნობს, რომ მისი ფრესკა დაათვალიერონ, მით უმეტეს, რომ მისი სურათი, სხვა ხატებთან შედარებით, მ პატარაა.

ვიშოვე დრო, ორიოდე სიტყვა ჩამეწერა ჯვარის მონასტრის საყდარში სწორედ იმ დროს, როცა არავინ არ იყო შიგ. აი მოვისმინოთ:

(ფირი: კარლო...) - 22

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე ჯვარის მონასტრის მთავარ საყდრიდან იერუსალიმში... ეხლა ვიმყოფები რა ჯვარის მონასტრის მთავარ საყდარში, მსურს გადმოგცეთ ამ საყდრის შინაგანი სურათი: ჯვარის საყდარში ოთხი ოთხკუთხოვანი სვეტია, რომლებიც ამოლტილია მაღლა გუმბათი წინა მხარეს - შესასვლელიდან. ამ ოთხკუთხოვანი სვეტების ოთხივე გვერდი მთლიანად დახატულია წმინდანთა და - სხვათა ხატებით. საყდრის მოზაიკით მორთულ იატაკის შუაგულში კი მოსჩანს წრიული ფორმის ჩაჭედილი ლითონის დისკო... აი ახლა მივდივარ ამ დისკოსთან და ამ წრიულ ლითონის დისკოზე ქართული ასომთავრული ასოებით აწერია შემდეგი:

"დექით მტკიცეთ და შეურყეველად!"

ვდგევარ რა ამ ლითონის დისკოსთან ახლა, თავდახრილი, ტანში სიამაყის და ამავე დროს პასუხისმგებლობის ჟრუანტელი მივლის... მე ვფიქრობ, ეს გასაგებიცაა ყოველი ქართველისათვის."

რეპორტიორი: როცა თავდაღუნული ვიდექი ამ მეტად დიდი მნიშვნელობის დისკოსთან

ჩემთან მოვიდა ჯვარის მონასტრის წინამძღვარი – ბერი იოაქიმი და მაშინათვე მკითხა, "თუ მოიტანე ფირი,რომ მოვისმინოთ ქართული წირვალოცვა და გალობა." როგორც აღვნიშნე, მე მაგნეტოფონის ფირზე ჩაწერილი მქონდა წირვა,რომელიც საშობაოდ ჩაატარა არქიმადრიტმა ილიამ პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში და აგრეთვე ქართული ცნობილი გალობა – "შენ ხარ ვენახი"! მე გადაწყვეტილი მქონ-და ეს წირვალოცვა და გალობა მაგნეტოფონით დამეკრა ჯვარის მონასტრის მთავარ საყდარში და ამ გზით შემექმნა ფაქტი ქართული წირვა-გალობის აჟღერებისა ჯვარის მონასტერში;ან უფრო სწორად, მე მსურდა ჩვენს წინაპართა აჩრდილებს, მოესმინათ ამ ქართულ საყდარში ქართული ლოცვა,ქართული წირვა,ქართული გალო-ბა. და თვით იოაქიმსაც მეტად სურდა ამ ლოცვა-გალობის მოსმენა. მოვამზადე ფირი:

(ფირი: კარლო...) – 22

ხმა: "...ახლა მე ვიმყოფები იმ ადგილას,სადაც არის ლითონის დისკო,რომელზე ქართულ ასომთავრული ასოებით აწერია:"დექით მტკიცეთ და შეურყევლად"! და აი სწორედ ამ ადგილას დავდე ჩემი მაგნეტოფონი და მაგნეტოფონის ფირზე დაწერილი ლოცვა წმინდა ნინოს პარიზის ეკლესიაში..."

რეპორტიორი: ამ დროს,პატივცემულო მსმენელებო, ლაპარაკი ვერ მოვახერხე,ისე ვღელავდი...იოაქიმი დადგა ჩემს გვერდით და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის საყდარში ისევ გაისმა ქართული წილვა...ლოცვა...გალობა...

(ფირი: მამა ილია..."შენ ხარ ვენახი!")

მოვისმინეთ იოაქიმმა და მე, აქ ჯვარის მონასტრის საყდარში, ნაწყვეტი საშო-ბაო წირვიდან,რომელიც ჩაატარა პარიზის ქართულ წმინდა ნინოს ეკლესიაში არქი-მადრიტმა ილიამ, ქართული გალობა "შენ ხარ ვენახი"... და ჩვენ მაინც უძრავად ვიდექით ტაძრის აღნიშნულ ლითონის დისკოსთან.

... ბერ იოაქიმს მეტად მოეწონა გალობა "შენ ხარ ვენახი" და კიდევ ერთხელ მთხოვა,რომ აუცილებლად ეს ფირი გადამეგზავნა მისთვის,რაც უკვე შევასრულე.

ამის შემდეგ ისევ შოთას ფრესკას დავუბრუნდი...

(ფირი: კარლო...) – 22

ხმა: "...ეხლა, პატივცემულო თანამემამულენო, ვდგევარ შოთა რუსთაველის სურათის წინ...მთელს სვეტზე აღმართულია წმინდანების იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის სახეები: მათ თვსთა შორის დგას "იგი, სათნო მოხუცი, ხელაპყრობილი შეცისაკენ...რა მშვენიერი ფერები... რა სათნოებით სავსე სახის გამომეტყველება...გონებამახვილი თვალთა მზერა...ზევით თეთრად ანათებს მსხვილი ქართული ასომთავრული წარწერა - "ამის დამხატავსა შოთას შეუნდვეს ღმერთმან ამინ." ქვემოთ კი შოთას პორტრეტზე აწერია "რუსთველი". ვითომ რუსთველის საფლავიც აქაა? ვინ იცის!? ამას მომავალი გვაჩვენებს, თუ ოდესმე შევძელით, რომ ეს ჩვენი ქართული კულტურის ცენტრი - ჯვარის მონასტერი - ისევ გადავიდეს ქართველი ერის ხელში და ქართველებს მიეცეს საშუალება და ჩვენი ისტორიული კულტურის ცენტრის საფუძვლიანად შესწავლისა."

რეპორტიორი: სანამ ჯვარის მონასტრის საყდარს, ასე ვთქვათ, გამოვემშვიდობებოდი, კიდევ ერთხელ დავათვალიერე ის ადგილი, რომელიც ~~ითავსებს~~ მდებარეობს ჯვარის ზეთისხილის ხის ძირს...

(ფირი: კადრი...) - 22

ხმა: "ახლა, პატივცემულო მსმენელებო, ვდგევარ იმ ადგილთან, სადაც გადმოცემით, მოჭრეს ის ხე, რომლისგან გააკეთეს ჯვარი და მასზე აცვეს იესო ქრისტე. და აი სწორედ იმ ადგილას, სადაც იმ ხის ძირი იყო დაარსეს-ააშენეს ჩვენმა დიდმა წინაპრებმა - ქართველებმა - მე-5 საუკუნეში ჯვარის მონასტერი. ამ ჯვარის ხის ძირი კი ახლა ალტარია, სადაც ანთია მარადიული სანთელი. ეს ჯვარის ხის ადგილი მდებარეობს საყდრის მთავარი ალტრის მარჯვნივ - უკანმდებარე სწორკუთხოვან ოთახისმაგვარ წმინდა ადგილას, რომლის კედლები მორთულია მრავალი ხატით, რომლებზედაც სიმბოლიურად გამოსახულია ჯვარის ხის ზრდა, გაზრდა, მოჭრა და სხვა."

რეპორტიორი: სხვათა შორის, უნდა ავღნიშნო, რომ ხატი, რომელიც გამოსახავს ზეთისხილის ხის ზრდას, რომელსაც რწყავს ერთი ბერი, ჩამოკიდებულია აგრეთვე საყდრის მთავარი შესასვლელის ზევით, რაც, ასე ვთქვათ, ცხადს ხდის, რომ ეს საყდარი ჯვარის მონასტრის ტაძარია.

ამის შემდეგ, კიდევ ერთხელ მივედი იმ ხევცთან, სადაც იმყოფება შოთა რუსთაველის ფრესკა, კიდევ ერთხელ დავაკვირდი ლითონის იმ დისკოს, რომელზეც აწერია "დექით მცკიცეთ და შეურყევლად!", კიდევ ერთხელ შემოუარე ყველა ხვეულს, ალცანს, ხაცებს, ფრესკებს და დავაკვირდი იმ, აწ შეთეთრებულ კედლებსაც, რომლებზეც, ალბათ, მრავალი ხატებია, ფრესკებია, რომლებიც მზის სინათლეს ელოდებიან, ესე იგი, ისევე განმენდას და მზის სინათლეზე გამოსვლას ელოდებიან, როგორც წილად ხვდა შოთა რუსთაველის ფრესკას... ამის შემდეგ ქართველთა სახელით                გავიღე ამ ჩვენი მონასტრისათვის შეწირულობა, რომლისთვის სპეციალური მაგიდა დგას შესასვლელის მარცხენა მხარეს და გამოვედი გარეთ.

აქ კი ისევ უკვე ჩვენი ნაცნობი იოაქიმი, ჯვარის მონასტრის წინამძღვარი დამხვდა და, თუ არა ვცდები, მას მეტად ეწყინა, რომ მე უკვე დღეს უკანასკნელად ვარ ჯვარის მონასტერში, ვინაიდან ხვალ, ესე იგი, 22 იანვარს იერუსალიმი უნდა დამეტოვებინა. მაგრამ მე მას ვუთხარი, რომ მე გემშვიდობები, მაგრამ ვამბობ არა "მშვიდობით", არამედ "ნახვამდის" და ავუხსენი, თუ რა განსხვავებაა ამ ორ გამომშვიდობებას შორის. მან ჩემს მეუღლეს ჯვარის მონასტრის ნაკურთხი ერთი ბოთლი ზეთი          და თხოვა მიეცა ცოტცოტა ქართველ მორწმუნეებისათვის, რისთვისაც მას ჩვენ დიდი მადლობა გადავუხადეთ. ასე დავშორდით ჯვარის მონასტერს და თვით იოაქიმმაც დიდი ჯაფით წარმოსთქვა ჩემს მიერ წინათ თქმული სიტყვა "ნახვადის"!

მე, გამოვედი თუ არა ჯვარის მონასტრიდან, კედელზე, გალავანზე ერთი პაწარა ქვის ნაგლეჯის ძებნა დავიწყე; ვნახე და როცა ჯიბეში ჩავიდე, როგორც სუვენირი, კმაყოფილი ვიყავი, რომ ამ მოყვითალო ქვის ნატეხს, როგორც ჯვარის მონასტრის სიმბოლოს, დავდებ ჩემს საწერ მაგიდაზე იმ მარმარილოს ქვის ნატეხის გვერდით, რომელიც ათენის დიონისოს თეატრის ნანგრევებიდან წავიღე, მგონი, ამ ათი წლის წინათ.

ვამთავრებთ რა იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის დათვალიერებას, კიდევ ერთი მეტად საინტერესო ამბავი მსურს მოვითხრო, პაცივცემულო თანამემამულენო:

გიორგი ბრწყინვალეს მეფობის დროს(1314-1346), რომელიც გიორგი მე-V სახელით მეფობდა საქართველოში, მონღოლთა ურდოში 1327 წლიდან ისევ შფოთი ატყდა, რით მან ისარგებლა და ჯერ ყაენს ხარკის ძლევა შეუწყვიტა, შემდეგ 1329 წელს, როდესაც დასავლეთ საქართველოში მეფე მ ი ქ ე ლ დავითის ძე გარდაიცვალა, დასავლეთი საქართველო ადვილად დაიმორჩილა; ხოლო ამის შემდეგ (1334 წელს) სამცხის სამთავროც დაიმორჩილა. ქვეყნის პოლიტიკურმა გაერთიანებამ, ქვეყანაში მშვიდობიანობისა და წესრიგის დამყარებამ ნაყოფი გამოიღო. დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის გაცხოველებასთან ერთად, საქართველო ცდილობდა ახლო აღმოსავლეთშიაც აღედგინა თავისი ძველი პრესტიჟი. გიორგი მეფემ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ეგვიპტის სულთანთან, რომლის ხელში იმყოფებოდა მაშინ პალესტინა, ქრისტიანობის სალოცავი ადგილი. იქაური ქართველთა მონასტერი მაჰმადიანებს მუსლიმანთა სამლოცველო სახლად ექციათ. ეგვიპტის სულტანმა დიდი პატივი დასდო გიორგი მეფეს და ჯვარის მონასტერში ქართველთა უფლება აღადგინა, ხოლო იერუსალიმში მიმავალ ქართველ მლოცველებს ნება დართო წმინდა ქალაქში მხედრულად გაშლილი დროშებით შესულიყვნენ ხოლმე.

ვითომ საქართველო ისევ შესძლებს თავისი ისტორიული პრესტიჟის აღდგენას საერთაშორისო ასპარეზზე, როგორც ეს მეფემ გიორგი ბრწყინვალემ შესძლო? ვითომ საქართველო ისევ გამოვა საერთაშორისო ასპარეზზე, რომ ისევ გადაიხადოს არა მარტო ჯვარის მონასტრის, არამედ სხვა ქართული კულტურის ცენტრების მოვლა-პატრონობა?

ყველა ამ საკითხს ჩვენ შევეხებით ჩვენს მომავალ საუბარში, რომელსაც გადმოგცემთ დღეისწორს ამავე დროს. მანამდე კი, ნახვამდის ეთერში!

(ჯვარის მონასტრის ზარების რეკა...)

თქვენ ისმენთ, პატივცემულო მსმენელებო, ჯვარის მონასტრის ზარების რეკას იერუსალიმიში...

(ზარების რეკა...)

=====================================

ქართული რედაქცია

ავტორი: ინასარიძე

## რადიორეპორტიორის დღიური - V

## ჯვარის ქართული მონასტერი იერუსალიმში - 5.

რეპორტიორი: (სტანდარტული დასაწყისი, გვ. 1 და 2 ).

წინა ჩვენს ორს გადაცემაში, პატივცემულო თანამემამულეებო, ვისაუბრეთ, თუ როგორ ვიმოგზაურე იერუსალიმში, ვინახულე ჯვარის მონასტერი: შემდეგ ვისაუბრეთ ჯვარის მონასტრის წინამძღვართან - ბერ იოაქიმთან მონასტრის ისტორიული წარსულის შესახებ: შემდეგ შევეხეთ ჯვარის მონასტრის ბიბლიოთეკის ხვედრს, განსაკუთრებით ქართული მანუსკრიპტების=ხელნაწერების ბედს. შემდეგ ავწერეთ ჯვარის ხევის, ადგილმამულის დღევანდელი მდგომარეობა და მოვისმინეთ აგრეთვე ჯვარის მონასტრის ზარების რეკა, რომელიც მე ჩავწერე მაგნეტოფონის ფირზე. და ბოლოს ავწერეთ დაწვრილებით ჯვარის მონასტრის მთავარი საყდარი, განსაკუთრებით შოთა რუსთაველის ფრესკა.

დღეს ვისაუბრეთ შოთა რუსთაველის ფრესკის მომავალი ბედის შესახებ და შემდეგ შევეხებით საკითხს, თუ რა შესაძლებლობა არსებობს, რომ ჯვარის მონასტერი ისევ ჩავიბაროთ ჩვენ, ქართველებმა, როგორც ამ მონასტრის კანონიერმა მესაკუთრეებმა. მაშ, დავიწყოთ:

(ფირი: კარლო...)....1.

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე იერუსალმმიდან..."

რეპორტიორი: როგორც ავღნიშნე, პატივცემულო მსმენელებო, მე გადავიღე შოთა რუსთაველის ფერადი სურათი და გავაკეთებინე თუ არა სურათი ლაბორატორიაში, მაშინვე ამ სურათზე გამოჩნდა ის, რის დანახვა მე ვერ შევძელი ჯვარის მონას-

ჭრის მთავარის საყდრის დათვალიერებისას: საყდარში შოთა რუსთაველის ფრეს-
კა მოსჩანს ისე, რომ თითქოს ფერთა ჟღერადობა დღესაც ისევე მკვეთრია,რო-
გორიც იყო მაშინ, 1960 წლის 6 ნოემბერს,როცა ჩვენმა აკადემიკოსებმა - აკა-
კი შანიძემ,გიორგი წერეთელმა და პოეტმა-აკადემიკოსმა - ირაკლი აბაშიძემ
ეს სურათი აღმოაჩინეს. მაგრამ ფოტოაპარატის ობიექტივი გაცილებით უფრო
"დაუნდობელი" გამოდგა,ვიდრე ჩემი მხედველობა. გადაღებულ ფერად სურათზე
უკვე ცხადათ ჩანს, რომ შოთა რუსთაველის ფრესკის ფერები თანდათანობით გა-
ხუნებულა,არა,კიდევ მეტი: მგონი ფერის ნაწილი ჩამოცვენილა კიდეც...შოთა რუსთაველის
პინდისფერი მოსასხამი უკვე შეთეთრებულია ზოგ ალაგას,მგონი,ფერთა ჩამოცვე-
ნის,თუ გახუნების შედეგად. როგორც ჩანს, ჰაერმა და შეიძლება ცვალებადმა
ამინდმა და უფრო მოსალოდნელია, თვით ამ ფრესკაზე გადაღებული ფერის ქიმი-
ურად მოპყრობამ-დააზიანა ამ ფრესკის ფერები ისე, რომ უკვე ექვსი წლის გან-
მავლობაში ფერთა ჟღერადობა ქრება...რა საშუალება არსებობს, რომ ეს ფრესკა
გადავარჩინოთ,ამაზე პასუხი მხოლოდ სპეციალისტებს შეუძლია გასცეს: მაგრამ
ეს ნაბიჯი რომ დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გადადგმული, ამაზე არ შეიძლება
ორაზროვნება არსებობდეს ქართველებს შორის. ამიტომ დღის წესრიგში დგას ჩვენ-
თვის,ქართველებისათვის,საქართველოსათვის, თუ როგორი ფორმითა და უფლებით
უნდა შევძლოთ ის,რომ ეს მონასტერი ისევ გადავიბაროთ ჩვენ,ქართვე-
ლებმა. ამასთან დაკავშირებით, მსურს მოგითხროთ ერთი ამბავი,რომელიც გა-
ვიგე იერუსალიმში:

სამწუხაროთ,როგორც აღვნიშნე, სამი დღე - 19,20 და 21 იანვარი - ვიყა-
ვი იერუსალიმში და მხოლოდ ეს დრო მქონდა ჯვა-

რის მონასტრის დასათვალიერებლად. ამიტომ თვით იერუსალიმის ღირშესანიშნაობების დასათვალიერებლად თითქმის სრულიად არ მქონდა დრო; მაგრამ, სამეუღლე, ჩემი მეუღლე, რომელიც თან მახლდა, 20 იანვარს, პარასკევს, დილით წავიდა ერთ ცურისცულ ჯგუფთან ერთად იერუსალიმის სხვადასხვა ღირსშესანიშნაობის დასათვალიერებლად; მე კი ისევ ჯვარის მონასტერში წავედი. "საბედნიეროდ" ვამბობ, იმიტომ, რომ ამ ცურისც-ექსკურსანცთა გიდმა-მძღოლმა მოუყვა მას მეტად საინტერესო ამბავი ჩვენი ჯვარის მონასტრის შესახებ:

"ჯვარის მონასტრის შესახებ, - მოყვა ეს ექსკურსანთა-მძღოლი ებრაელი, - დიდი პროცესი იყო, [illegible] ხუთი წლის წინ, ნოემბერში საბჭოთა კავშირმა მოითხოვა ამ ჯვარის მონასტრის უკან დაბრუნება. პროცესი წააგო, მაგრამ, მგონი, საბჭოთა კავშირმა გაასაჩივრა ეს განაჩენი!"

შემდეგ ამ ექსკურსანცთა მძღოლს უთქვამს: "საბჭოთა კავშირმა ჯვარის მონასტრის უკან დაბრუნება მოითხოვა საქართველოს სახელით; მაგრამ მას ამის უფლება არ აქვს, ვინაიდან ჯვარის მონასტრის უკან დაბრუნება შეუძლია მოითხოვოს საქართველომ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მაგრამ საქართველო დღეს არ არის დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფო და ასეთი მოთხოვნის წამოყენება მას არ შეუძლია!"

ასე უთქვამს ჩემს მეუღლისათვის ერთ ექსკურსანთა-მძღოლ ებრაელს იერუსალიმში მიმდინარე წლის 20 იანვარს, პარასკევს, სადილობისას. მომიყვა თუ არა ეს ამბავი, ჩვენ მაშინვე გავექანეთ ცურისცთა ბიუროსაკენ, რომ მე პირადათ მენახა ის გიდი და კიდევ უფრო დაწვრილებით გამეგო ამ პროცესის ამბავი მაგრამ, სამწუხაროთ, ისრაელში შაბათი დასვენების დღეა, და დაწყებული პარასკევის ნაშუადღევიდან - კვირა დილამდე არა მარტო ყველა წარმოება-დაწესებულება არ მუშაობს, არამედ, წარმოიდგინეთ, ავტობუსები, ტაქსი, რესტორნებიც კი არ მუშაობენ. ამიტომ მისგან მე მეტი ვერაფერი გავიგე. ჯვარის მონასტრის წინამძღვართან - ბერ იოაქიმთან - საუბრისას კი ამ საკითხზე პირდაპირ არ მილაპარაკია, ვინაიდან ვშიშობდი, რომ ამის შემდეგ არაფერს არ დამათვალიერებინებდა მონასტერში; ხოლო ჩემს "არაპირდაპირ" შეკითხვებზე, მას სიტყვაც კი არ დაუძრავს. ერთი სიტყვით, ვერ შევძელი გამეგო დაწვრილებით, თუ როდის მოხდა ეს პროცესი და როგორ. (დღეს ჯვარის მონასტრის სა-

კითხვა: ვის ეკუთვნის ეს მონასტერი, თავისი ადგილ-მამულით? აქვე მსურს აღვნიშნო, რომ ჯვარის ხევის დათვალიერებისას, მიუხედავად იმისა რომ მე არავითარი დოკუმენტი არ გამაჩნდა, რომელიც არკვევს ამ ხევის იმ საზღვრებს, რომელიც ჯვარის მონასტერს ეკუთვნის, — (ადგილსა) ორიოდე სცაბილური შენობა, თითქმის ანგრეული ამ ტერიტორიაზე. სხვა ადგილას ლვას რაღაც სარდაფები... ვითომ ამ მონასტრის დღევანდელი პატრონები ყიდიან ამ ადგილ-მამულს? თუ მივიღებთ მხედველობაში იმ ფაქტს, რომ ახლა ჯვარის ხევი ქალაქის ფარგლებშია მოქცეული, უნდა ვივარაუდოთ, რომ აქ მიწის ფასები მეტად მაღალია და, უთუოდ, ასეთ პირობებში ჯვარის მონასტრის დღევანდელი პატრონები უკან არ დაიხევენ ადგილ-მამულის გაყიდვისაგან; მით უმეტეს, რომ დღეს ეს მონასტერი მხოლოდ სამ ბერს იფარებს, რომლებიც უფრო ამ მონასტრის დამთვალიერებელთა-მძღოლებია, ვიდრე ნამდვილი პატრონი-მომვლელი ამ უზარმაზარი მონასტრისა და ადგილ-მამულისა.

როგორც ჩემი რეპორტაჟის დასაწყისში აღვნიშნე, სანამ იერუსალიმს, ჯვარის მონასტერს ვეწვიე, გავეცანი ამ ჩვენი კულტურული ცენტრის შესახებ იმ ლიტერატურას, რომლის შოვნა მე შევძელი: ერთერთი ასეთი წიგნია ილია ჭავჭავაძის "თხზულებათა" მე-VII ტომი, რომელიც გამოცემულია თბილისში 1957 წელს და რომელშიც მოთავსებულია ილია ჭავჭავაძის წერილი "ათონის ქართული სავანის შესახებ"; ხოლო თვით ამ წერილში უფრო მეტად იერუსალიმის ქართულ მონასტრებზე ლაპარაკი, ვიდრე ათონის ქართულ სავანე - "ივერიონზე".

ამ წერილში მოყვანილია იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის სიგელ-გუჯარი, გამოცემული 1706 წლის ივნისის თვესა, რომელიც ამტკიცებს, რომ მაშინ იერუსალიმში ქართველებს ჰქონიათ ექვსი მონასტერი: წმინდა ჯვარისა, წმინდა ნიკოლოზისა, წმინდათა თეოდორეთა, წმინდა ბასილისა, წმინდა ანასი და წმინდა გიორგისა. "იმ ხანებში, - წერს ილია ჭავჭავაძე - როცა ზემოხსენებული გუჯარი გამოსცა პატრიარქმა დოსითეოსმა, საქართველო დაუძლურებული იყო შინაური და გარეულ მტერთაგან და ხელი შველისა და მფარველობისა ველარ მიეწვდინა ამ მონასტრებისათვის. რადგანაც ამ საუბედურო გარემოების გამო იქაურ ქართველთა იმედი მოესპოთ შველისა და მფარველობისა საქართველოდამ და შური და მტრობა ოსმალთა მეტად აწუხებდათ, ერთი საშუალება დარჩათ: რომ მონასტრები არ გაუქმებულიყო და როგორმე შეერჩინათ, ვიდრე უკეთესი დღე დაუდგებოდათ, აიღეს და

იგი მონასტრები ჩააბარეს თანამორწმუნეთა თვისთა ბერძნებს საპატრონებლად, რაწვე გადასცეს ყოველი მამული და მამულების შემოსავალი,რაც-კი რამ ქართველთაგან შეწირული იყო გუჯრებით,ხოლო იმ პირობით კი, რომ როცა უკეთესი დრო დაუბრუნდებათ ქართველთა, ყოველივე ეს უკანვე ჩაებარებინათ შეწყვეტილი მოღვაწეობის განსაგრძობად."

ამავე წერილში მოყვანილია ამონაწერები იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის 1706 წლის სიგელ-გუჯარიდან,რომელშიც აღწერილია მიზეზი,რის გამოც ქართველთა მონასტრების გამგეობა მიუღია ბერძენთა სამღვდელოებას. აი ეს ამონაწერებიც:

სმა: "ხოლო ოდეს ღმერთი ინებებს და ივერიიდამ მოვა წინა-მძღვარი(იღუმენი) მაშინ იმან უნდა ჩაიბაროს და თვის გამგეობის ქვეშ მიიღოს ყველა მონასტრები უწინდელებრ."

რეპორ: მეორე ამონაწერი კი განსაზღვრავს იმ პირობებს,რომელშიაც ეს მონასტრები უნდა გადაეცეს ქართველებს. აი ეს ამონაწერიც:

სმა: "არცა ჩვენ თვითონ,არცა ჩვენნი შემდგომნი წმინდანი პატრიარქნი წმინდა იერუსალიმისანი, არც წმინდა მამანი და მთავარნი ყოველად უწმინდესის საფლავისა ვერ მოვითხოვთ ივერიელთაგან ფულს, ვერც ბევრს და ვერც ცოტას, არც იმის სამაგიეროს,რაც ჩვენ შეგვიწირავს მონასტრების განახლებისათვის,რაც ჩვენ დაგვხარჯვია ფირმანებსა,პაცცი-შერიფებსა და სხვა სახარჯოსა რაზედმე; ხოლო იყვნენდა იგი მონასტრები თავისუფალნი ყოველგვარის დავისა,ვალისა და შეწუხებისაგან და იქმნენ-და ქრისტეს მოყვარე ივერიელნი ჭეშმარიტ და სრულ პატრონად."

რეპორტიორი: ასეა თქმული იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის სიგელ-გუჯარში რომელიც დათარიღებულია 1706 წლით. ეს გუჯარი სრულიად ცხადად განსაზღვრავს, თუ როგორ პირობებში შეუძლია ისევ მიიღოს საქართველომ ეს თავისი მონასტრები ადგილ-მამულებით.მაგრამ,როგორც ილია ჭავჭავაძის მეორე წერილი ცხადჰყოფს ბერძნებს არ შეუსრულებიათ ეს პირობები:"იმის შიში,რომ ქართველებს მონასტრები იერუსალიმში ხელიდამ გამოეცლებათ, და თვითონ მონასტრებსაც წყარო ცხოვრებისა დაუშრებათ – წერს ილია ჭავჭავაძე – იქიდამ წარმოსდგა,რომ ბერძნები დღეს აღარ უბრუნებენ მონასტრებს და მის მამულებსა პყრიან." და,მართლაც, დღეს იერუსალიმში დარჩენილის მხოლოდ ერთადერთი ქართული მონასტერი-ჯვარი-,

რომლის მომავალი ბედი, ყოველ ქართველს - მორწმუნეა ის თუ არა, - განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ამ მონასტერში შოთა რუსთაველის ფრესკა იქნა აღმოჩენილი, - მეტად აწუხებს და ამ მონასტრის ისევ ქართველთა ხელში გადასვლაზე ოცნებობს.

თუ ჩვენ ჯვარის მონასტრის საკუთრების საკითხს იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის სიგელ-გუჯარით განვსჯით, და, ვფიქრობთ, ეს დოკუმენტია ერთადერთი საკუთრების უფლების განმსაზღვრელი, - მაშინ პირველი პირობაა ის, რომ -როგორც ილია ჭავჭავაძე წერს - "უკეთესი დრო დაუბრუნდეთ ქართველებს". "უკეთილესი" ნიშნავს იმას, რომ საქართველო უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებთან, ამ შემთხვევაში, ისრაელთან. ამის განხორციელება ადვილი საქმეა, თუ საქართველოს მთავრობა გადადგამს ნაბიჯს ცხოვრებაში გაატაროს საქართველოს სსრ-ეს კონსტიტუციის მე-16 - "ა" მუხლი, რომელშიც თქმულია შემდეგი:

"საქართველოს სსრ-ეს აქვს უფლება დაამყაროს უშუალო დამოკიდებულება საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათთან შეთანხმება და გაცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობა."

საქართველოს სსრ-ეს კონსტიტუციის ამ მუხლის ცხოვრებაში გატარებით, საქართველოს მთავრობას შეუძლია დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ისრაელთან, იორდანიასთან, საბერძნეთთან, თურქეთთან, უამრავი ქართული კულტურის ნაგებობანი მოიპოვება; და ამ წინაპირობის შესრულების შემდეგ, საქართველოს მთავრობას შეუძლია მოითხოვოს თავისი მონასტრების უკან დაბრუნება ხსენებული - 1706 წლის სიგელ-გუჯარის საფუძველზე. ამ გზით, შეგვიძლია გვერდი ავუაროთ ისრაელის მთავრობისა და იერუსალიმის საპატრიარქოს სამართლიან მტკიცებას, რომ საბჭოთა კავშირი - მეფის რუსეთის მემკვიდრე სახელმწიფოა და არა დამოუკიდებელი საქართველოს მემკვიდრე სახელმწიფო. და ვითომ მოსკოვის პარტხელმძღვანელობა წინააღმდეგი იქნება გატარებულ იქნეს ცხოვრებაში საქართველოს სსრ-ეს კონსტიტუციის მე-16 - "ა" მუხლი?

უკიდურეს შემთხვევაში იმისგანაც არ უნდა დავივიწყოთ უკან, რომ ეს მონასტერი ვიყიდოთ, ვიყიდოთ რაც არ უნდა დაჯდეს. ამას ჩვენ გვავალებს ჩვენი ეროვნული შეგნება, ჩვენი ეროვნული მოვალეობა. დარწმუნებული ვართ, რომ სრულიად საქართველოს პატრიარქი ეფრემ მეორე, საქართვე

ლის პასუხისმგებელი პირები ყოველ ღონეს ხმარობენ,რომ იერუსალიმის ჯვარის მონასტერი გადმოვიდეს ჩვენს,ქართველების,საქართველოს ხელში და იერუსალიმის ეს წარმტაცი უბანი - ჯვარის ხევი - ისევ გახდეს ქართული კულტურის ერთერთი ცენტრი,როგორიც ის იყო საუკუნეების მანძილზე-დაწყებული ჩვენი წელთაღრიცხვის მეხუთე საუკუნიდან.

ამ რწმენით, შევემზადე ჩემი მგზავრობის განგრძობისათვის...

(ფირი: კარლო...) - 23

ხმა:" ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე იერუსალიმიდან. დღეს,პატივცემულო მსმენელებო, არის 1967 წლის 22 იანვარი. მე მქონდა ბედნიერება,ქართული ეკლესიის დავალებით,წამოვსულიყავი იერუსალიმში,რომ მენახა ქართული ჯვარის მონასტერი და დამეთვალიერებინა და შემესწავლა მისი დღევანდელი მდგომარეობა; და მართლაც, 1967 წლის 18 იანვარს ჩამოვედი ჯერ თელ-ავივში,შემდეგ თელ ავივიდან მანქანით ჩამოვედი იერუსალიმში და 19 იანვრიდან - დღემდე,ესე იგი, 22 იანვარამდე ვარ იერუსალიმში და ყოველდღიურად ვნახულობ ჩვენს ქართული კულტურის ცენტრს ჯვარის მონასტერს და ვათვალიერებ მას. 19,20, 21 იანვარს უკვე ვიყავი რამდენიმეჯერ ჯვარის მონასტერში; და,როგორ შეიძლება სხვაგვარა ყოფილიყო, -ყოველთვის მივდიოდი ჩვენი უკვდავი შოთას სურათთან,რომელიც მდებარეობს შესასვლელიდან პირველ სვეტზე მარჯვნივ. ეხლა,როდესაც ამ სიტყვებს ვლაპარაკობ,ვდგევარ "კინგ დევიდ ჰოტელ"-ის წინ და ეს-ესაა ველოდები მანქანას,რომ წავიდე აეროდრომზე და იქიდან მივემგზავრები კონსტანტინოპოლში,ე.ი. სტამბოლში. სიმართლე გითხრათ, ძალიან გული მწყდება, რომ არ მაქვს მეტი დრო ჯვარის მონასტრის კიდევ უფრო გულდასმითი დასათვალიერებლად-შესასწავლად. მაგრამ ვტოვებ რა იერუსალიმს დღეს,1967 წლის 22 იანვარს, ვამბობ "ნახვამდის!" და დარწმუნებული ვარ,რომ აქ კიდევ მექნება საშუალება მოვიდე და ვნახო ეს ჩვენი კულტურის ცენტრი - ჯვარის მონასტერი.

(იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკვა...)

თქვენ ისმენთ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკვას...

(ზარების რეკვა)

მაგრამ სანამ ისრაელს დავტოვებდე, მიუხედავად იმისა, რომ - როგორც აღვნიშნე, დროის უქონლობის გამო, ამ ახალგაზრდა სახელმწიფოს ზოგიერთი ღირსშესანიშნაობების დათვალიერება ვერ მოვახერხე, - მაინც ორიოდე სიტყვა მსურს ვთქვა ისრაელთა-ებრაელთა ამ მართლაცდა "მკვდრეთით აღმსდგარი" სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს, მისი ხალხის და მისი ისტორიულ-დედაქალაქის - იერუსალიმის შესახებ.

ჯერ ერთი, ყოველი ქართველისათვის, იმედის მომცემია ის მართლაც და განსაცვიფრებელი ფაქტი, რომ ებრაელებმა ორიათასწლოვანი განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ, ორიათასწლოვანი წარმოუდგენელი ტრაგიკული "ბედის უკუღმართობის" შემდეგ, ისევ შეძლეს თავისი ისტორიული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენა, თავის ისტორიულ ტერიტორიაზე, მიუხედავად ათასგვარი სიძნელეებისა, მიუხედავად ურიცხვი მტრებისა. ისრაელის დღევანდელი ტერიტორია უდრის 20.677 კვადრატულ კილომეტრს, ე.ი. ტერიტორიით ისრაელი სამ-ჯერ უფრო მეტად ნაკლებია საქართველოს დღევანდელ ტერიტორიაზე. მოსახლეობა 1963 წლს უდრის 2.000.000 სულს, რომელთაგან 80 პროცენტი ცხოვრობს ქალაქებში. მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტია ებრაელები, დარჩენილები კი არაბები, დრუზები. ისრაელის სახელმწიფო ენაა "ივრით", ე.ი. "ახალი ებრაული". სახელმწიფო და მმართველობის ფორმაა - პარლამენტალური დემოკრატია. პარლამენტი შედგება ერთი პალატისაგან, რომლის დეპუტატებს ირჩევს ისრაელის ყოველი მოქალაქე, რომელსაც 18 წელი შეუსრულდა, ოთხი წლით. ისრაელის ისტორია, რაც პალესტინისა და ბიბლიური ქვეყნის "კანაანის" მემკვიდრედ უნდა ჩაითვალოს, - უშუალოდ დაკავშირებულია ებრაელი ერის ისტორიასთან. ამ ერის ფუძემდებლად ითვლება აბრაჰამი ურ-იდან, ქალდეას ქვეყანაში. ვინაიდან მაშინ ეს ერი მომთაბარე ყოფილა, დაძრულა "აღთქმის ქვეყნის" საძებნად და იპოვეს სამშობლო ბეერ შებაში, დღეს ნეგევის უდაბნოთ წოდებული. ისრაელის ისტორია და

მის მოქალაქეთა საქმენი აღწერილია ბიბლიაში: მასში მოთხრობილია კანონმდებ-
ლის მოსეს, ებრაელთა პირველ მეფე საულის, ცვრისმწყემს-მეფე დავითის, რომელმაც
გოლიათი ჩაქოლა, და ფსალმუნებს წერდა, ბრძენ სოლომონის და სხვა მრავალის მე-
სახებ, რომელთა სახელნი მთელს მსოფლიოში ცნებადაა ქცეულნი. ბიბლია მოგვით-
ხრობს, აგრეთვე, ახალ აღთქმაში იესო ქრისტეზე და მის მოციქულთა, გლეხთა, მეთევ-
ზეებთა და ისრაელის უბრალო მოქალაქეთა ცხოვრება-მოღვაწეობაზე.

სტრატეგიული მნიშვნელობა ისრაელისა აზიასა და ევროპას შორის იმდენად
დიდი იყო, რომ ყოველი ჯურის დამპყრობელთა ჯარები ამ მხარეს მიაწყდნენ: სირი-
ელები, ეგვიპტელები, ფილისტრები, ბერძნები, რომაელები, ჯვაროსნები, მუსლიმანები
და თურქები სხვადასხვა დროს ბატონობდნენ ამ ქვეყანაში, რომლის დროს უდიდესი
ზიანი და წამება გადაიტანა ისრაელის ხალხმა. ბევრი იძულებული გახდა და-
ეტოვებინა თავისი სამშობლო და გაფანტულიყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში; ნა-
წილმა კი, მიუხედავად ათასგვარი ჩაგვრისა, არ მოშორდა სამშობლოს. მაგრამ ისი-
ნიც, რომლებიც იძულებით ემიგრაციაში ცხოვრობდნენ ორი-ათასი წლის განმავლო-
ბაში, არ ივიწყებდნენ თავის სამშობლოს - თავის "აღთქმის ქვეყანას". მათი ერთადე-
რთი იმედი იყო სიონზე დაბრუნება; და მე-19 საუკუნეში დაიწყო ამ იმედე-
ბის თანდათანობითი განხორციელება. ჯგუფჯგუფებად დაიწყეს ებრაელებმა პალეს-
ტინაში დასახლება, რომლებსაც მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდათ თავისი (ისევ) უკვე უდაბ-
ნოდქცეული მიწა აღეთვისებინათ და ნაყოფიერი გაეხადათ. ასე დაიწყო პალესტინა-
ში ე.წ. "კიბუცების" დაარსება, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა ისრაელის და-
მოუკიდებელი სახელმწიფოს ისევ აღდგომის საქმეში. "კიბუცი" ძველი ებრაული
სიტყვაა და ნიშნავს "შეკრებას", "შეკრებულობას". ამ მოძრაობის ნამდვილი მნი-
შვნელობა რომ გაიგო, უკეთესია მოვიყვანოთ ერთი მაგალითი, რომელიც ერთი კიბუ-
ცის დაარსების ისტორიაა ნეგევის უდაბნოში: ამ ათი წლის წინათ ასი ახალგაზ-
რდა ვაჟი და ასი ქალიშვილი, აღჭურვილი საჭირო მანქანა-იარაღებით, გაემგზავ-
რნენ ნეგევის უდაბნოში და აქ არსებული პაპანაქება სიცხეში დაიწყეს ერთი კი-
ბუცის შექმნა; და ათი წლის შემდეგ, ეს ადგილი აქციეს პირდაპირ "ედემის-
ბაღად": მუშაობდნენ კოლექტიურად, შექმნეს გზები, ირიგაციული სისტემა, ააშენეს
საცხოვრებელი სახლები, სასადილო, გააშენეს ბაღები... ერთი სიტყვით, ღებს ეს კი-
ბუცი "ედემის ბაღის" თვალუწვდენელ უდაბნოში. ასეთი სასწაულის მოხდენა კი მე

იმ ერის მჭიდებს, რომელთაც სწამთ, რომ ისრაელის უდაბნო ისევ უნდა გაცოცხლდეს; ისევ უნდა გახდეს ნაყოფიერი. იდეალი კიბუცისა დარჩა ისეთივე, როგორიც იყო იმ დროს, როცა 1909 წელს ჩამოყალიბებულ იქნა პირველი კიბუცი ისრაელში – დეგანიაში. მისი ინიციატორები იყვნენ სიონის მუშათა მოძრაობის ახალგაზრდა წევრთა დაჯგუფებები, რომლებიც აღმოსავლეთ ევროპიდან პალესტინაში მივიდნენ, რომ ეს ებრაელთა ძველი სამშობლო ისევ გაენაყოფიერებინათ და ამით საფუძველი შეექმნათ ახალი ისრაელის სახელმწიფოს შექმნისათვის; და ეს ბედნიერი დღე ისრაელის ხალხისათვის იყო 1948 წლის 14 მაისს, როცა გამოცხადებულ იქნა ისრაელის დამოუკიდებლობა. დღეს კი ისრაელი არის მოდერნული, დემოკრატიული სახელმწიფო, რომელიც გამოსულია საერთაშორისო ასპარეზზე, არის გაერთიანებული ერების წევრი და ყოველი მაღლონით ცდილობს განამტკიცოს ქვეყნის საშინაო და საგარეო მდგომარეობა. ჩასვალთ თუ არა ისრაელში, თვალში გეცემათ, რომ აქ ხალხი განუწყვეტელ მშენებლობის პროცესშია – შენდება ახალი გზები, სახლები, ფაბრიკები, ქარხნები; იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტი ხომ დღეს უკვე მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერების ცენტრია და ვინ ჩამოთვლის ყველაფერს, რაც ასე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს (ისრაელში) ტურისტზე. შეიძლება თავისუფლად ითქვას, რომ დღევანდელი ისრაელის სახელმწიფო – ესაა ჩირაღდანი ყველა იმ ერისათვის, რომელსაც დღეს არ გააჩნია ეროვნული თავისუფლება, არ არის საერთაშორისო ასპარეზზე გამოსული. და განა საქართველოც ამ ერთა ჯგუფს არ ეკუთვნის? – ამიტომაა, რომ მქონდა რა ბედნიერება მყოფილიყავი ისრაელში, მენახა ამ ისევ "მკვდრეთით აღმდგარი" სახელმწიფოს და მისი ხალხის ცხოვრება, ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ საქართველოც, ქართველი ხალხიც, ადრე თუ გვიან, ეღირსება ეროვნულ თავისუფლებას, გახდება მსოფლიო ერთა საერთო ოჯახის თავისუფალი წევრი, გახდება საერთაშორისო სამართლის სუბიექტი; და მაშინ, უდაოა, კიდევ უფრო შევძლებთ დავიცვათ, მოუაროთ ქართული კულტურის იმ წმინდა ადგილებს, რომლებიც იმყოფება ისრაელში, იორდანიაში, ანტიოხიაში, საბერძნეთში თუ ბულგარეთში. ამიტომ იყო, რომ, როცა მე ისრაელის ქალაქებსა და სოფლებს ვხედავდი, როცა მე ამ ერის დაუღალავ შრომას ვხედავდი მშენებლობაზე, სოფლის მეურნეობაში თუ კიბუცში, მაშინ ყრუანტელი მივლიდა ტანში, ვინაიდან მე როგორც ქართველს, ალბათ, ყველაზე უფრო კარგათ მესმის, თუ რას ნიშნავს, იყო შენი თავის ბატონ-პატრონი. ამიტომ

გასაკვირი არაა,რომ ყოველთვის მაგონდებოდა ჩვენი ილიას სიტყვები:"ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეყუნდეს!" - ესაა ეროვნული პოლიტიკური,ეკონომიკური,კულტურული ცხოვრების აყვავების გამომხატველი წერტილი,საძირკველი.

[სხვათა შორის, ისრაელის არმიის ახალწვეულები ასეთ ფიცს დებენ:"მასადა ისევ არასოდეს არ უნდა დაეცეს." მასადა-200 მეტრის სიგანისა და 580 მეტრის სიგრძის პლატო-მთაა იუდეას უდაბნოში,მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროსთან. ეს მასადა პლატომთა გიგანტურ გემივით ძევს იუდეას უდაბნოში,რომელზედაც 200 მეტრის სიგრძის კლდეში გაჭრილი მისასვლელია უდაბნოდან. ებრაელთა მეფემ - ჰეროდეს დიდმა,ეს პლატომთა გააშენა თავშესაფარ ციხესასახლეთ;ხოლო როცა ჰეროდეს,ოთხი წლით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე,გარდაიცვალა, მასადას ციხესიმაგრეს რომაელები დაეპატრონენ. ჩვენი წელთაღრიცხვის 66 წელს, ებრაელები აღსდგნენ რომაელთა წინააღმდეგ და ებრაელმა აჯანყებულებმა ("ზელოტებმა") აიღეს ეს ციხესიმაგრე და დაეპატრონენ მას. ხოლო შვიდი წლის შემდეგ,ებრაელთა წელთაღრიცხვის 3834 წელს,ე.ი.ჩვენი წელთაღრიცხვის 73 წელს, რომაელთა სარდალმა- ფლავიუს სილვამ - 9.000 ლეგიონერით მასადას ციხესიმაგრე ალყა შემოარტყა,შეტევაზე გადავიდა და უკანასკნელ სიმაგრეს მიადგა, მასადა! ციხეთის დამცველთა სარდალმა - ელეაზარ ბენ იაირმა,იცოდა რა რა მოელოდა ებრაელ-აჯანყებულებს=ზელოტებს,გასცა თვითმკვლელობის ბრძანება;რის შემდეგ აჯანყებულებმა ჯერ თავიანთი ცოლშვილი და შემდეგ თვითონ თავი მოიკლეს. მხოლოდ ორი ქალი და ხუთი ბავშვი გადაურჩნენ რომაელებს და ამცნეს მსოფლიოს მასადას დაცემის ეს ტრაგედია. მაზადას გმირ-დამცველთა ეს სასოწარკვეთილი თვითმკვლელობა,მსოფლიოში გაფანტულ ებრაელთა გმირული თავდაცვის სიმბოლოდ,მითად იქცა; და აი,აღსდგა რა ისევ ისრაელის სუვერენული სახელმწიფო,ისრაელის ყოველი ჯარისკაცის ფიცია:"მასადა ისევ არასოდეს არ უნდა დაეცეს!" რა პოეტური სიდიადეა ამ აქტში! კაცს აგონდება რომაელთა თავგანწირული თავდაცვა! ან, თუ გნებავთ,ლეონიდას 1400 ჯარისკაცით ქსერქსეს საუხმრავალი არმიის თერმოფილებთან,სადაც ლეონიდას საფლავზე ვკითხულობთ:"მგზავრო თუ ეწვიო სპარტას, აუწყე,გვნახე აქ განგმირულნი,როგორც ადათი ბრძანებდა." ალბათ, ასეთი დიადი მამაცობა ადამიანებს შეუძლიათ გამოიჩინონ, როცა ისინი "თ ა ვ ი ს - უ ფ ა ლ ნ ი ა", როგორც ამას გვასწავლის ჩვენი ერის ისტორია თუ გნებავთ, დიდგორი, სამასი არაგველი, კრწანისი...]

მაგრამ დავუბრუნდეთ კიდევ ერთხელ იერუსალიმის ქართული ჯვარის მონასტრი დღევანდელ რაობას: როგორც ჩვენს პირველ რეპორტაჟში ავღნიშნეთ, ჯვარის მონასტრის წინამძღვარმა - ბერმა იოაქიმმა - მომითხრო რა ამ მონასტრის ისტორია, აღნიშნა:

(ფირი: იოაქიმი...) - 4.

ხმა:"მე მოგიყვებით ამ მონასტრის ისტორიას დასაწყისიდან დღემდე. მეოთხე საუკუნეში ბიზანტიის დედოფალმა ჰელენამ, კონსტანტინე დიდის დედამ, მოვიდა იერუსალიმში და ააგო ქალაქ იერუსალიმში ყველგან სამას ეკლესიაზე მეტი; ეს მონასტერიც, აქ ჯვარის ხის ხეობაში,ხისა,რომლისაგან გაკეთებულ იქნა ჯვარი, ააშენა მან."

რეპორტიორი: ახე თქვა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის დღევანდელმა წინამძღვარმა - ბერმა იოაქიმმა. მაგრამ ისტორიული ფაქტია ის, რომ ქართული ჯვარის მონასტერი იერუსალიმში დაარსა არა ბიზანტიის დედოფალმა ჰელენამ,არამედ პეტრე იბერიელმა. ეს ისტორიული ფაქტი კი,ისე როგორც ბევრი სხვა ისტორიული ფაქტები, ჯვარის მონასტრის დღევანდელმა წინამძღვარმა,შეიძლება,მართლაც არც კი იცის,ვინაიდან,როგორც მან თქვა, ის ჯერ კიდევ სტუდენტია და თუ უნივერსიტეტში ახე ასწავლიან, სხვა წყაროების ძებნა-შესწავლას,ალბათ, არც ეცანება! ამიტომ ჩვენი უპირველესი მოვალეობაა როგორმე ისევ დავიბრუნოთ ეს ჩვენი ისტორიული კულტურის ცეტრი - ჯვარის მონასტერი.

ამ რწმენით დავტოვე იერუსალიმი, ეს ბიბლიური ქალაქი იუდაიზმის, ქრისტიანიზმის,მაჰმადიანიზმის სამშობლო, დღეს კი - მიდერნული დემოკრატიული სახელმწიფოს - ისრაელის დედაქალაქი} დავტოვე იმ რწმენით, რომ აქ არა მარტო მე, არამედ ქართველები ხშირად მოვლენ,როგორც ტურისტები,სტუდენტები,სტუმრები,რომ ინახულონ ეს მშვენიერი ქვეყანა,ხალხი და,პირველ ყოვლისა, ინახულონ ჩვენი ერთი ისტორიული კულტურის ცენტრი - ჯვარის მონასტერი,შოთა რუსთაველი და ვინ იცის კიდევ ვინ და რა,რომელიც,უდაოთ,აღმოჩნდება ჯვარის ხევის მიდამოებში,თვით ჯვარის მონასტერში.

იმ რწმენით დავტოვე იერუსალიმი, რომ, ვფიქრობ, საქართველოს მთავრობა მოკლე ხანში შეძლებს, რომ ისრაელის ან მსოფლიოში სახელგან-თქმულ უნივერსიტეტებში ქართველ სტუდენტებს გამოგზავნის სასწავლებლად, მოაწყობს ქართველ ტურისტთა მასობრივ მიმოსვლას იერუსალიმსა და თბილისს შორის. ეს ხომ დღეს, რეაქტიური თვითმფრინავების ეპოქაში, პრობლემა არაა? იერუსა-ლიმი ხომთბილისიდან გაცილებით უფრო ახლოა-საჰაერო გზით, ვიდრე მოსკოვი და განა დღეს შეუძლებელი უნდა იყოს ამგვარი სატურისტო გზის შექმნა?

ვნახოთ, რას მოგვიტანს მომავალი! მანამდე კი, ვტოვებ რა იერუსა-ლემს, ჯვარის მონასტერს, ვამბობ – "ნახვამდის!", "ნახვამდის!"

(იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკა...)

თქვენ ისმენთ იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის ზარების რეკას...

(ზარების რეკა)

================

ქართული რედაქცია
ავტორი, დიქტორი: ინასარიძე

## რადიორეპორტიორის დღიური - VI.

## ქართული კათოლიკური მონასტერი კონსტანტინეპოლში

**რეპორტიორი:** (სტანდარტული დასაწყისი, გვ. 1 და 2 ).

წინა ერთ გადაცემაში, პატივცემულო თანამემამულენო, ჩვენ ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ვინახულე ჯვარის მონასტერი იერუსალემში; შემდეგ ვისაუბრეთ მონასტრის წინამძღვართან - ბერ იოაქიმთან ჯვარის მონასტრის ისტორიული წარსულის შესახებ; შემდეგ შევეხეთ ჯვარის მონასტრის ბიბლიოთეკის ხვედრს, განსაკუთრებით ქართული მანუსკრიპტების ბედს. შემდეგ აღვწერეთ ჯვარის ხევის, ადგილმამულის დღევანდელი მდგომარეობა და მოვისმინეთ აგრეთვე ჯვარის მონასტრის ზარების რეკა. დაბოლოს აღვწერეთ ჯვარის მონასტრის მთავარი საყდარი, განსაკუთრებით შოთა რუსთაველის ფრესკა; შევეხეთ აგრეთვე საკითხს, თუ როგორ შეიძლება, რომ ჩვენ ქართველები ისევ გავხდეთ ამ ჩვენი ისტორიული კულტურის ცენტრის პატრონები; და იმ რწმენით, რომ ჯვარის მონასტერი ისევ გადმოვა ქართველთა ხელში, დავტოვეთ იერუსალიმი.

დღეს მე მოგითხრობთ, თუ როგორ გადავხედე თვითმფრინავიდან ანტიოხიას - (ერთ დროს) მაკ მთებს, სადაც ერთ დროს მეცამეტე ქართული მონასტერი იყო; როგორ გადავხედე თვითმფრინავიდან თურქეთის ქალაქს ბურსას, რომლის სამხრეთ ნაწილში 26 ქართველთა სოფელია; იმ ქართველთა, რომლებიც, როგორც ერთმა იქაურმა ქართველმა მიგვითხრა, "93 წლის წინათ გადასახლებულ იქნა თურქეთის მმართველების მიერ გურია-აჭარიდან ამ შორეულ მხარეში;" და ბოლოს ვისაუბრებთ ქართული კათოლიკური მონასტრის ხვედრის შესახებ კონსტანტინეპოლში-სტამბოლში. მაშ, გაუდგეთ გზას:

(ფირი: კარლო... ) - 24

**ხმა:** " ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე. პატივცემულო მსმენელებო, დღეს დილის 12

საათზე და 50 წუთზე თვითმფრინავით-"ვისკონსინის" ტიპისა,-დავტოვეთ ტელ ავივის აეროდრომი და ნიკოზიაზე გადაფრენის შემდეგ, ვუახლოვდებით თურქეთის ტერიტორიას სწორედ იმ ადგილას, სადაც იმყოფება ისტორიული ქალაქი - ანტიოხი. როგორც იცით, პატივცემულო მსმენელებო, ანტიოხიის ახლოს, "შავ მთებში", ჩვენ გაგვაჩნდა 12 მონასტერი, რომელთაგან, სამწუხაროდ, დღეს არც ერთი ქართველთა ხელში არ არის და არც მათი ბედი არავინ იცის. სხვათა შორის, ეხლა არის მეტად კარგი ამინდი, მზიანი ამინდი, და მიუხედავად იმისა, რომ 8-ათასი მეტრის სიმაღლეზე მივფრინავთ, დაბლა ყველაფერი კარგად ჩანს და, ალბათ, მალე დავუახლოვდებით ანტიოხიას და შემდეგ შავ მთებს."

<u>რეპორტიორი</u>: სამწუხაროდ, იმედი არ გამიმართლდა: ჩვენმა თვითმფრინავმა გეზი აიღო სტამბოლისაკენ პირდაპირი ხაზით და ამიტომ ანტიოხია და მასთანმდებარე შავი მთები მეტად შორს მოჩანდა ჩვენს თვითმფრინავიდან. ამის [illegible] იყო ის, რომ შავ მთებში მონასტერთა თუ მონასტერთა ნანგრევების დანახვა, მიუხედავად იმისა, რომ მზიანი ამინდი იყო, მაინც ვერ შევძელი. სამაგიეროდ, კარგად მოჩანდა სტამბოლიდან დაახლოებით ორასი კილომეტრით-სამხრეთით-მდებარე ქალაქი - ბურსა, რომლის სამხრეთ რაიონებში, 26 ქართული სოფელია. ყველაფერი ეს ჩვენ მოგვითხრო ერთმა ქართველმა, სოფელ ჰაირიდან, რომელიც სწორედ ამ რაიონში მდებარეობს. "ჰაირი" იმიტომ უწოდებიათ ამ სოფლისათვის, რომ ამ სოფელში დასახლებულან ხეიროშვილები, რის შემდეგად სოფლისათვისაც ჯერ "ხეირო", ხოლო შემდეგ "ჰაირო" დაურქმევიათ. საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ აქაურმა ქართველმა ზუსტად თქვა, რომ მისი წინაპრები (თურქებს) საქართველოდან გადაუსახლებიათ 93 წლის წინათ გურია-აჭარის სასაზღვრო რაიონებიდან. ქართულს დაპარაკობდა საშუალოდ, რომლის დროს ისეთ სიტყვებსაც ხმარობდა, რომლებიც ჩვენში უკვე ხმარებაში არ არის. თვითმფრინავიდან (მოსჩანდა, რომ) ეს ტერიტორია მთაგორიანია, წააგავს საქართველოს ბუნებას. აქაური ქართველები ქართულს სწავლობენ კერძოდ, ვინაიდან სკოლებში ქართული ენა დაშვებული არ არის. თვით მან თქვა, რომ ის "თურქ-ქართველია", ხოლო საქართველოში მცხოვრებ ქართველებს "რუს-ქართველებს" უწოდებს. ყველაფერი ეს მომაგონდა ახლა, როცა 8000 მეტრის სიმაღლიდან გადავყურებ ბურსას და მის სამხრეთ რაიონებს, სადაც არსებობს ეს 26 ქართველთა სოფელი.

ამასობაში გამოჩნდა თვით კონსტანტინეპოლი-სტამბოლი...უშველებელი ქალაქი ბოსფორის სრუტის მარმარილოს ზღვაში გასასვლელთან; ტოტაოდენი

დროც და უკვე დავეშვით სტამბოლის აეროდრომზე,რომელიც ქალაქიდან დაახლოებით 20 კილომეტრითაა დაშორებული და თურქეთის ევროპულ ტერიტორიაზე მდებარეობს. ევროპულ ტერიტორიაზე,ვამბობ,იმიტომ, რომ სწორედ ბოსფორის სრუტე ჰყოფს ევროპას აზიისაგან და ყველაზე უმოკლესი მანძილი ამ ორ კონტინენტს შორის-სწორედ ბოსფორის სრუტეა.

დავეშვით თუ არა აეროდრომზე,მაშინვე ავიღე ტაქსი,ავიღე ჰოტელი სტამბოლში,დავტოვე იქ ბარგი, ავიღე მაგნეტოფონი და ფოტოაპარატი და ისევ ტაქსით წავედი სტამბოლის ერთ უბნისაკენ, - რომელსაც ეწოდება შიშლი, სადაც მდებარეობს ქართუ-ლი კათოლიკური მონასტერი. მონასტერთან რომ მივედი, უკვე ნაშუადღევის 5 საათი და 30 წუთი იყო. მივადექი რა მონასტრის ეკლესიაში შესასვლელ კარებს, კარის მაღლა წავი-კითხე წარწერა: ჯერ თურქულად,შემდეგ ქართულად და ბოლოს ლათინურად:"ქარ-თველ მამათა სავანე. ქართული ტაძარი". კარი ღია იყო და თითო-ოროლა მლოცვე-ლი შედიოდ-გამოდიოდა. შევედი ამ კარიდან ეზოში,რომელიც გალავანი-თაა შემოზღუდული და შიგ თითო-ოროლა წიწვოვანი ხეებია. ეზო მშვენივრად დაგვი-ლი და მოვლილია; ეკლესიასთან მისასვლელი გზა კი მოპირკეთებულია. მივედი ეკ-ლესიის კარებთან, გავაღე კარები,შემდეგ მეორე კარები და შევედი ეკლესიაში. აქაც სისუფთავე,წესრიგი,მშვენიერი მორთულობა:

(ფირი: კარლო...) - 25

ჟურ: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე სტამბოლიდან,ე.ი.კონსტანტინეპოლიდან. ახლა ვარ,პატივცემულო მსმენელებო, კონსტანტინეპოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში. დღესაა 1967 წლის 22 იანვარი. უნდა აღინიშნოს,რომ როგორც კი მოვედი ამ მო-ნასტერთან,მაშინათვე ეტყობა,რომ ეს მონასტერი მართლაც კარგადაა მოვლილი. შესასვლელთან აქვს წარწერა ქართულად,ლათინურად და თურქულ ენაზე... ეზო სა-ეკეთესოთაა მოვლილი და შემოვედი თუ არა ტაძარში, თვალში გვეცემათ ალტარი,რომ-ლის შუა ადგილას ნათლად მოსჩანს წმინდა ნინო ჯვარით ხელში. ეს სახე,როგორც აქედან მოსჩანს, უნდა იყოს გაკეთებული მატერიაზე,ე.ი.მოქარგული მატერიაზე. თვით ეს მთელი ალტარი მორთულია მეტად მშვენივრად: მარჯვნივ-მარცხნივ ყვავი-ლები,სანთლებით და წმინდანთა სურათებით."

რეპორტიორი: ამასობაში უფრო ახლოს მივედი მთავარ ალტართან და ახლა უფრო კარ-გად გამოჩნდა წმინდა ნინო:

(ფირი: კადრი...) - 25

ხმა: "მთავარ ალტარის შუა ადგილას, როგორც აღვნიშნე, ქსოვილზე არის მოქარგული წმინდა ნინო, რომელსაც ხელში უჭირავს ჯვარი, გაკეთებული, როგორც ცნობილია, ვაზის ლერწებისაგან და შეკრული მისივე თმისაგან: ზემოთ აწერია: "წმინდა ნინო", ქვემოთ კი ლათინურად="სანქტა ნინო".

რეჟისორი: მთავარი ალტარის დათვალიერების შემდეგ, ჩემი ყურადღება მიიპყრო მეორე ალტარმა:

"ფირი: კადრი...) - 25

ხმა: "მეორე ალტარი, რომელიც მდებარეობს მთავარი ალტარის მარჯვნივ, მშვენივრადაა მორთული. მასზე არის ქართული წარწერა შემდეგი შინაარსის: "მარიამ ღვთისმშობელო, იბერიის მოციქულო — მეოხ მეყავ ჩვენ ცოდვილთა ქართველთა!"
"ამ ალტარის სიღრმეში კი მოთავსებულია მარიამ ღვთისმშობლის ქანდაკება..."

რეჟისორი: აქვე უნდა ავღნიშნო, რომ ამ ეკლესიას, ეზოს კარების მხრიდან მაღლა, ეკლესიის კედელზე აქვს წარწერა ფრანგულად: "N(otre) D(ame) de Lourdes Eglise Georgienne. F.1861,R.1901" ესე-იგი, "ღვთისმშობლის ქართული ეკლესია ლურდის სახელობისა. დაარსებულია 1861 წელს, შეკეთებულია 1901 წელს."
ახლა, იკითხავთ, რატომ უწოდეს ქართველმა კათოლიკე მამებმა ამ ქართულ კათოლიკურ ეკლესიას ლურდის სახელი?

როგორც ცნობილია, ლურდი არის ერთი ყველაზე უფრო ცნობილი კათოლიკური სალოცავი ადგილი (საფრანგეთში - პირენეის მთებში) ქალწულს-ბერნადეტ სუბირუსს 1858 წელს, 11 თებერვალს, მდინარე გავის ნაპირთანმდებარე მღვიმეში ღვთისმშობელი გამოეცხადა და ოთხი დღის შემდეგ ამ მღვიმეში წყარო ამოჩუხჩუხდა, რომელსაც მკურნალობით ძალას აწერენ. ამ მღვიმეზე შემდეგ აშენებულ იქნა გოთური ბაზილიკა, სადაც ყოველწლიურად მილიონზე მეტი მლოცველები მიდიან, მათ შორის 25-ათასზე მეტი ავადმყოფები, რომლებიც ლურდის წყლიდან მკურნალობას მოელიან. კათოლიკურმა ეკლესიამ-ლურდის მღვიმეში ღვთისმშობლის გამოცხადება-სასწაულად სცნო და ყოველწლიურად, 11 თებერვალს, აქ ტარდება დიდი რელიგიური პროცესია. და სწორედ ქართული კათოლიკური მონასტერი სტამბოლში ლურდის სახელს ატარებს და მლოცველთა უმრავლესობა, შედის რა ეკლესიაში, სანთელს ანთებს რომელშიც ღვთისმშობლის ალტართან რომლის სიღრმეში მოჩანს ლურდის მღვიმე,

ღვთისმშობელია

გამოცხადებული სწორედ ისე, როგორც ეს აღწერა ქალწულმა ბერნადეტამ მისი გამოცხადების დროს მდინარე გავის ნაპირთანმდებარე მღვიმეში.

შევეხოთ ორიოდე სიტყვით ამ ქართული კათოლიკური მონასტრის ისტორიას სტამბოლში:

ხმა: "როგორც აღვნიშნეთ, ქართული კათოლიკური მონასტერი სტამბოლში დაარსებულ იქნა 1861 წელს: და თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ ჯვარის მონასტერი იერუსალიმში დაარსებულია მე-V საუკუნეში, ივერიონის მონასტერი ათონის მთაზე მე-10 საუკუნეში, ასი წლის შემდეგ კი დაარსებულ იქნა პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში, მაშინ კონსტანტინეპოლის ქართული კათოლიკური მონასტერი მართლაც ახალი ნამოწყებაა."

რეპორტიორი: ჩვენ განსაკუთრებით იმიტომ მივაქციეთ ამ ჩვენი კათოლიკური მონასტრის დღევანდელ მდგომარეობას ყურადღება, რომ მისმა ხელმძღვანელმა და გამგემ - პავლე აკობაშვილმა - 1960 წელს ასეთი მიმართვით წარსდგა ქართველთა წინაშე:

ხმა: "თხოვნა ქართველ თანამემამულეებისადმი!

მე ქართული მონასტრის გამგე და მცველი ძმა პავლე აკობაშვილი-[illegible] ვალდებულად ვთვლი ჩემს თავს ქართულ საზოგადოებას ღვოლვილობაში და ყოველ ქართველს ვაცნობო შემდეგი:

1861 წლიდან სტამბოლში (კონსტანტინეპოლში), როგორც ცნობილია, არსებობს ქართული კათოლიკური დედათა-მამათა მონასტერი, რომელიც ქართული კულტურის ერთერთ ცენტრად იქცა დროთა განმავლობაში: და რომელმაც წარმოშვა დიდი თავდადებული მოღვაწენი ჩვენს საყვარელ სამშობლოსათვის. ამას შორის, რამდენიმე დასახელება მინდა: მაკალათია, ერის [illegible] იპკემული მამა პეტრე სარისჯარაშვილი - დამფუძნებელი მონასტრისა და რომელიც მარხია აქ, ჩვენი ეკლესიის გულში, რომელზედაც [illegible] ქართულად და ლათინურად.

რეპორტიორი: მართლაც, შესვალთ თუ არა ამ მშვენიერ ეკლესიაში, მისი იატაკის შუაადგილას, ქვის ლოდზე, არის შემდეგი წარწერა:

"საფლავსა ამასა მდებარე ყღპ.მ.

პეტრე სარისჯარანთი

დამფუძნებელი ქართველთა
კათოლიკე სავანეთა

ძონათა და მხევალთა

უმანკო ჩასახებისათა

იმვა ჩყიცწყდ

მიიცვალათ.ოქთჩყფ."

ხმა:"ამ ჩვენს ეკლესიას – წერს თავის მიმართვაში ამ ქართული სავანეს გამგე და მცველი – დიდის პატივისცემით ეპყრობა აქაურ უცხო კათოლიკობა,მაჰმადიანებიც. ჩვენი ეკლესია დიდათ განთქმულია აქაურ კათოლიკეთა შორის. და ასეთი ეკლესია,საუბედუროთ, უმღვდლოთ არის დარჩენილი. არავინ დაგვრჩა,სულ ყველანი გარდაიცვალენ...ასე რომ სულ მარტოდმარტო,ვიბრძვი და ვმუშაობ,რომ იგივე ბედი არ ეწვიოს ამ ჩვენს ეკლესიას,როგორც წილადსვდა ჩვენს კულტურის ცენტრებს პალესტინაში,ათონის მთაზე,სინაის მთაზე და სხვაგან.

ბატონებო!

შველა გვჭირია მორალურად და,რაც მთავარია, სათანადო სასულიერო პირის ან პირების აღმოჩენა,რომლებიც თავის თავს მოწოდებულად გრძნობენ ხელი მოკიდონ ამ მეტად სათუთ და საპასუხისმგებლო საქმეს. პიროვნულადაც ვთხოვ ზოგიერთ ქართველს ამ სამამულიშვილო საქმეში დახმარებას...არ მინდა,რომ აქ შეკრებილი საუნჯე – წიგნსაცავი,მამულები,სახლები და სხვა–დაგვეკარგოს.

ჯერჯერობით აქ შევადგინე ერთი პატარა კომიტეტი "ეფორია",რომელიც ხელმძღვანელობს სამლოცველოებას აქაურ მთავრობის მფარველობის ქვეშ. ამგვარად,ჯერჯერობით ჩვენი მონასტრის ძვირფასი ნივთები დაკარგვას გადავარჩინე. სანამ მე ცოცხალი ვარ, არ ვზოგავ ძალღონეს,რომ ყველაფერი ეს განძი შერჩეს ჩვენს ერს. ჩემს შემდეგ არ ვიცი რა დაემართება. ღმერთმა იცის,ყველაფერი ჩვენი საყვარელი სამშობლოს და მის შვილებზეა დამოკიდებული. ყოველთვის აქ ქართული წირვა გვქონდა და საუბედუროთ ახლა ლათინურათ ვაწირინებთ უცხოელ სასულიერო პირებს.

ვფიქრობ, მოკლედ გაგაცანით,ქართველნო თანამემამულენო,ქართული მონასტრის სვებედი. ჩემი თხოვნაა ზომები მიიღოთ,რომ აღმოაჩინოთ ისეთი პირი,ან პირები,რომლებიც მთელი თავისი ეროვნული შეგნებით განაგრძობენ ამ ქართული კულტურის ცენტრის მოვლასა და პატრონობას. საჭიროა ამასთან ერთად

მორალური დახმარება.

იმ ღრმა რწმენით, რომ ქართველობა,სადაც არ უნდა იყოს ისინი,ყოველ ძალღონეს ხმარენ ამ ჩვენი ეროვნული კულტურის ცენტრის შენარჩუნებისათვის

ვრჩები თქვენი პატივისმცემელი
პავლე აკობაშვილი(ადგულაძე)
მონასტრის გამგე და მცველი.
სტამბოლი(კონსტანტინეპოლი).
თებერვლის 3-ში,1960 წელი."

რეპორტიორი: ასეთი მიმართვით ამცნო ქართული კათოლიკური მონასტრის გამგემ და მცველმა კონსტანტინეპოლში ამ მონასტრის გასაჭირი ქართველებს 1960 წელს. მას შემდეგ გავიდა ექვ-წელზე მეტი. მაგრამ,როგორც,გავიგე ქართული კათოლიკური მონასტრის ხვედრი სტამბოლში არ შეცვლილა. ამიტომ იყო, რომ გადავწყვიტე იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და ათონის ივერიონის მონასტრის დათვალიერება-შესწავლასთან ერთად, სტამბოლშიც,ადგილზე,გავცნობოდი ამ ქართული კათოლიკური მოხნასტრის ბედს. რა თქმა უნდა, პირველად წერილი მივწერე ბატონ პავლე აკობაშვილს და მეტად გამანცვიფრა და დამაღონა მის წერილის შინაარსმა. მან ასეთი (სცენოგრაფიული სტილის) პასუხი მომწერა:

ხმა:"ბატონო კეთილაძევ!

მივიღე თქვენი წერილი. დიდი მადლობელი ვარ. წერილში ძალიან მაქებ: იმდენათ ღირსი არ ვარ: მარტო მოვალეობას ვასრულებ,ქართული მონასტრის გადასარჩენათ და დასაცავად. რაც შემიძლია მთელ ღონეს ვხმარობ. ბატონო კეთილაძე,რაც შეეხება თქვენს აქ, სტამბოლში ჩამოსვლას, სამწუხაროთ,მე აქ ვერ მიგიღებ და ვერც შეგხვდები იმიტომ, რომ ძალიან ვერიდები და სულ არავის ვღებულობ,საიდანაც უნდა იყვნენ. თბილისის ბალეტი აქ ჩამოვიდა. არც ისინი მიმიღია. ძალიან თვალყურადღებას გვაქცევენ და ამიტომ ძალიან მეშინია. აქ ბევრი აგვაწრიალეს და ძალიან გავიტანჯეთ. ამიტომ ბოლოშს ვისხდი.სულ არავის არც ვინახულებ და არც არავის მივიღებ... ერთი სიტყვით ასე გაიგეთ.

უკაცრავათ ვარ თუ ჩამოსვლით ჩვენსკენ ნუ გამოივლით,თუ შეიძლება წერილსაც ნუ მომწერთ.

გამარჯობით.კარგათ იყავით. პავლე."

რეპორტიორი: აი ახეთი წერილი მივიღე ბატონ პავლე აკობაშვილისაგან, ქართული კათოლიკური მონასტრის გამგისა და მცველისაგან კონსტანტინეპოლში. მე მისი თხოვნა, შეიძლება, იმდენათ ვერ შევასრულე, რომ მას საშობაო-საახალწლო დია ბარათი გავუგზავნე და ვაცნობე, რომ მე, მის სურვილის თანახმად, მას არ ვინახულებ მაგრამ ქართულ ეკლესიაში შესვლა ყველას შეუძლია და მეც შევალ შიგ და დავათვალიერებ მეთქი. და მართლაც, 1967 წლის 22 იანვარს ჩაველი კონსტანტინეპოლში, იმავე საღამოს ვინახულე და დავათვალიერე ქართული კათოლიკური მონასტერი, ვიყავი ეკლესიაში; მეორე დღეს, ესე იგი, 1967 წლის 23 იანვარს ისევ მიველი ქართულ მონასტერში:

(ფირი: კარლო...) - 26

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე კონსტანტინეპოლიდან. პატივცემულო მსმენელებო, დღეს არის 1967 წლის, 23 იანვარი, დილის 8 საათი. ეხლა მე ვდგევარ ქართული კათოლიკური ეკლესიის წინ კონსტანტინეპოლში, რომლის კარებს აქვს წარწერა "ქართველ მამათა სავანე. ქართული ტაძარი" მე დილის 8 საათზე მოვედი აქ იმისათვის, რომ დავესწრებოდი დილის წირვა-ლოცვას, რომელიც უნდა ყოფილიყო, როგორც მე წავიკითხე(?)წლნა(?) საღამოს დაფაზე გაკრული ცნობით...დილის რვა საათზე. მაგრამ შევედი რა ეკლესიაში წირვა-ლოცვა არ იყო. მხოლოდ მოდიოდენ მლოცველები და ჩვეულებისამებრ ანთებენ სანთლებს, ლოცულობენ და შემდეგ მიდიან. მე ისევ დავათვალიერე ეკლესიის შინა, მეტად მდიდრულად მოწყობილი, ალტარი, მეორე ალტარი, დამფუძნებელთა დაფა და შემდეგ გამოვედი გარეთ. ეხლა ვდგევარ კარებთან და ვაკვირდები (ბაზილიკურ) ამ ეკლესიის ფორმას, რომელიც არც მაინცდამაინც დიდია, მაგრამ მეტად კარგადაა მოვლილი და უთუოდ ამ ეკლესიას, ამ მონასტერს -პატრონობა მოვლა დღესდღეობით არ აკლია. მინდოდა_მელაპარაკა ეკლესიის გამგესთან, მაგრამ მან, როგორც აღვნიშნე, არ მიმიღო."

(ის როგორც ჩვენ სხვა დოკუმენტებიდან ვიცით,)

რეპორტიორი: ვინაიდან ზემოთქმული სიტყვები იმპროვიზაციურ ფიცარნაგული წესითაა თქმული, მოვიხოვს ზოგიერთ დაზუსტებას: მე ეკლესიაში ყოფნის დროს, ბატონ პავლე აკობაშვილის ნახვა არ მიცდია, ვინაიდან მე არ მსურდა ის უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებია. მაგრამ როცა დილით, 8 საათზე, ეკლესიის ეზოში შევედი და მთავარ კარებთან ერთი მეეზოვე დავინახე, რომელიც, ქართველს წააგავდა თავისი გარეგანი შესედულებით, მე მას ჯერ ავხედ-დავხედე და შემდეგ

მივედი მასთან და შევეკითხე.სხვათაშორის, მაგნეტოფონი ჩართული მქონდა:აი ეს ეპიზოდური შეკითხვა:

(ფირი:კარლო-მეეზოვე...) - 26

ხმა:"თქვენ ქართველი ხომ არ ხართ...ხომ არ ბრძანდებით? აა,აა, "გურჯი"? "გურჯი"!.. ქართველი ხართ? ქართველი..."

რეპორტიორი: მგონი,მეეზოვე ქართველი იყო,თუ არა ვცდები,ვინაიდან მან ჩემი შეკითხვა გაიგო.მაგრამ მაინც გამშორდა და ეზოს მეორე მხარეს დაიწყო ბუჩქების წესრიგში მოყვანა. მეც თავი დავანებე.

ამის შემდეგ, გამოვედი ეკლესიის ეზოდან და დავიწყე მთელი ადგილ-მამულის დათვალიერება ამ მონასტრისა,რამდენადაც ეს მე შევძელი,ვინაიდან მთელი ადგილ-მამული მაღალი გალავანითაა გარშემოვლებული და გარედან მხოლოდ რამდენიმე სართულიანი ორი დიდი სახლი მოსჩანს:პატარა შენობების კი-მხოლოდ სახურავი. ქართული კათოლიკური მონასტრის ადგილ-მამული-ოთხივე მხრიდან ბუჩქებითაა შემოვლებული,რომელიც სწორკუთხოვანი ფორმისაა. სიგძით იქნება ეს ადგილმამული დაახლოებით 300 მეტრი,სიგანით დაახლოებით 100 მეტრი;ასე რომ,მამული დიდი და,რამდენადაც მე შევძელი დანახვა, მოვლილია. თუ ვინ და რამდენი კაცი ცხოვრობს ამ მონასტრის სახლებში - არ ვიცი. ვერ შევძელი აგრეთვე მენახა მონასტრის ბიბლიოთეკა. ვერ შევძელი მონასტრის ზარების რეკა გადამეღო მაგნეტოფონის ფირზე. ვერ შევძელი,საერთოდ,გამეგო ადგილზე ამ მონასტრის დღევანდელი ხვედრი თვით ამ სავანის გამგის პავლე აკობაშვილისაგან. თვით ეკლესიაში კი,შესასვლელის მარჯვენა მხარეს,კედელზე არსებობს მარმარილოს დაფა,რომელზედაც შემდეგი მემორიალური წარწერაა:

ხმა:"1861-1961

დამფუძნებელი:

ფ.რ.პ.მ. პეტრე ხარისჭარანთი

მ.სტეფანე გიორგიძე

მ.ალფონსი ზითარაშვილი

მ.ბენედიქტე ვარდიძე

მ.პიო ბალიძე

მ.პიო განძანაშვილი

მ. პეტრე ტატალაშვილი

წელს: 1966, მაისს

პავლე ზაზაძე – თავჯდომარე

პავლე აკობაშვილი – გამგე სავანისა"

**რეპორტიორი:** ასი ასეთი წარწერაა ეკლესიის შესასვლელის მარჯვენა მხარეს, კედელზე, მარმარილოს მემორიალურ დაფაზე. აქედან კი ცხადი ხდება, რომ ქართულ კათოლიკურ მონასტერს კონსტანტინეპოლში ჰყავს დღესდღეობით გამგე და თავჯდომარე, ხოლო არ გააჩნია ქართველი ღვდელი და სხვა საჭირო პირები, რომლებიც, უთუოდ, საჭიროა ამ მონასტრის მოვლა-პატრონობისათვის.

ემიგრაციაში მყოფმა ქართველობამ, რა თქმა უნდა, დიდი ყურადღებით მოეპყრო ამ ქართული სავანის გამგის-პავლე აკობაშვილის-1960 წლის მიმართვას, მაგრამ ჩვენ ემიგრაციაში, სამწუხაროთ, ისეთი ძალები არ გაგვაჩნია, რომელიც ამ მონასტერს ესაჭიროება. პირველ ყოვლისა საჭიროა, როგორც პატივცემული პავლე აკობაშვილი წერს, ქართველი ღვდლის მოვნა, რომელიც ისევ დაიწყებდა ქართული წირვა-ლოცვის ჩატარებას ამ ეკლესია-მონასტერში. მაგრამ ემიგრაციაში სად უნდა ვიშოვოთ ჩვენ ასეთი ადამიანი? ამიტომ ვფიქრობთ, რომ ქართული კათოლიკური ეკლესია თბილისში, უდაოთ, დაუკავშირდება ამ ქართულ კათოლიკურ ეკლესიას კონსტანტინეპოლში და შეეცდება დახმარება აღმოუჩინოს ამ ჩვენს მონასტერს სტამბოლში: ეს ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია განსაკუთრებით იმიტომაც, რომ ქართულ კათოლიკურ ეკლესიას თბილისში, უთუოთ, კავშირი აქვს სხვადასხვა ქვეყნების კათოლიკურ ეკლესიის მმართველობებთან და ამ გზით, უთუოთ, შესაძლებელია გამოინახოს საშუალებები და გზები, რომ ქართულ მამათა სავანე სტამბოლში ისევ ისე გაძლიერდეს, რომ ამ მონასტერმა თავისი ქართული სახე არ დაკარგოს, მიუხედავათ იმისა, რომ ამ მონასტერ-ეკლესიის მრევლთა ნაწილი არაქართველებია.

რა თქმა უნდა, ყველა ამ პრობლემის მოგვარება თავისუფლად შეუძლიათ იმ ქართველებს, რომლებიც ცხოვრობენ თურქეთში ან იმ ქართველებს, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს თურქეთის სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული. მაგრამ ამ გზას წინ ელობება-ჯერ ერთი-ის ფაქტი, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულ ქართველთა დიდი უმრავლესობა მაჰმადიანებია: და, რაც უფრო მთავარია, მათ არავითარი ავტონომიური უფლებები

არ გააჩნიათ; კიდევ მეტი: ქართველები თურქეთში არ ამბობენ, რომ ისინი ქართველებია, განსაკუთრებით ქალაქებში, რომ ამით მმართველი წრეების შევიწროების ობიექტი არ გახდენ. არც ის არ იციან თურქეთში მცხოვრებმა ქართველებმა, თუ, საერთოდ, რამდენი ქართველია დღეს თურქეთის ტერიტორიაზე. ზოგი ამბობს - ორი მილიონიო, ზოგი ერთი მილიონიო... ფაქტი კი რჩება ფაქტად, რომ ქართველთა რაოდენობა თურქეთის სახელმწიფო ტერიტორიაზე დიდია; ზუსტი ცნობების მიღება კი შეუძლებელია, ვინაიდან თურქეთში აღწერა ხდება არა ეროვნებათა, არამედ რელიგიური რწმენის მიხედვით და ამის შედეგია ის, რომ ქართველი მაჰმადიანები მაჰმადიანებათ ირიცხება და არა ქართველებად.

ამას ემატება კიდევ ერთი მეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტი: ქართულ სოფლებს, ქართველებს - არ აქვთ ქართული სკოლები და არც აქვთ უფლება ჰქონდეთ. ამის შედეგია ის, რომ ქართველების უმრავლესობა ქართულს სწავლობენ მალულად, თავისი პირადი ინიციატივით და ხშირად, როგორც ერთმა ქართველმა მოგვითხრო, ქალაქ ბურსას სამხრეთ რაიონიდან, ერთი სოფლიდან მიდის ახალგაზრდები მეორე სოფელში, რომ იქ რომელიმე ქართული ენის მცოდნესაგან ქართული ისწავლონ. ქართული სიმღერების/ლექსების სწავლაც კი ასეთივე სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ერთი სიტყვით, ქართველებს თურქეთში არ გააჩნიათ მინიმალური ავტონომიური უფლებები და წარმოიდგინეთ, მეტად ცოტა რამ იციან საქართველოს ისტორიისა და საერთოდ საქართველოს შესახებ. ამიტომ იყო, რომ ერთმა ქართველმა გვითხრა, რომ ის "ქართველია, მაგრამ თურქი პატრიოტია". საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ ქართველებს ისინი უწოდებენ "რუს-ქართველებს", ხოლო თურქეთში მცხოვრებ ქართველებს "თურქ-ქართველებს!" მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ საქართველოს შეუძლია იყოს თავისი თავის ბატონ-პატრონი და რომ ქართველებს არც "რუსისა" და არც "თურქის" ზედსართავი სახელი არ ესაჭიროება; რომ ქართველი - ქართველია, რომ საქართველო უძველესი ერია, თავისი სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიით. საინტერესო ის ფაქტიც, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველებმა, უკიდურეს შემთხვევაში მათ უმრავლესობამ, არც კი იცის თუ ვინ იყო თამარ მეფე, შოთა რუსთაველი... აი, ასეთ სავალალო პირობებში ცხოვრობენ ქართველები თურქეთში, რამდენადაც მე ამის გაგება შევძელი. უკანასკნელ დრომდე ქართველები უფრო შეკრულ ერთეულებს წარმოადგენდნენ, როგორც ეს გავიგე, ხოლო უკანასკნელ ხანებში მდიდარი თურქები

ქორწილდებიან ქართველ ქალებზე და ამით მეტად შეარყიეს ქართველთა ოჯახები, ტრადიცია. ამის შესახებ კიდევ ბევრი რამეს თქმა შემეძლო,მაგრამ ჯერჯერობით ესეც საკმარისია, რომ გავიგოთ ჩვენი თანამემამულეების მძიმე ხვედრი თურქეთში და საქართველოს იმ ისტორიულ ტერიტორიაზე,რომელიც დღეს თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებშია მოქცეული.

ყველა ამას თუ მივიღებთ მხედველობაში მაშინ გასაგებია ქართული კათოლიკური მონასტრის გამგის - პავლე აკობაშვილის-ის სიტყვები,როცა ის ამბობს თავის ჩემდამი მომართულ წერილში:

ხმა: "...ძალიან თვალყურადღებას გვაქცევენ და ამტომ ძალიან მეშინის.აქ ბევრ-აგვაწრიალეს და ძალიან გავიტანჯეთ.ამიტომ ბოლოშს ვისდი სულ არავის არც ვინახულებ და არც არავის მივიღებ...ერთი სიტყვით ათას გაიგებთ. უკაცრავათ ვარ თუ ჩამოსვლით ჩვენსკენ ნუ გამოივლით,თუ შეიძლება წერილსაც ნუ მოიწერთ."

რეპორტიორი: მე მისი თხოვნა და მუდარა დავაკმაყოფილე: ვიყავი კონსტანტინეპოლში,ვინახულე ქართული კათოლიკური მონასტერი,მაგრამ არც კი მიცდია მენახა თვით პავლე აკობაშვილი,ამ სავანის გამგე, რომ მისთვის საშიში მდგომარეობა არ შემექნა,როგორც ის იწერება. და,განსაცვიფრებელია, რომ ყველაფერი ეს ხდება დღეს,ატომურ ეპოქაში,დემოკრატიულ სახელმწიფოში,რომელიც დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების მოკავშირეა! გასაკვირია,დღეს,როცა მთელს მსოფლიოში არა მარტო დიდი თუ პატარა ისტორიული ერების შვილები,არამედ ხალხები,რომლებსაც დღემდე არავითარი ისტორია,კულტურა,ენა არ გააჩნდათ თავისუფლებას ღებულობენ - არა მარტო ავტონომიურ,არამედ სრულ თავისუფლებას,ესე-იგი, ქახდენ და ხდებიან დამოუკიდებელნი,სუვერენული სახელმწიფოები და თურქეთთან ერთად ზიანს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში,-რატომ ქართველებს თურქეთში არ უნდა გააჩნდეს მინიმალური ავტონომია მაინც? რატომ არ უნდა ჰქონდეთ უფლება,გახსნან თავისი ქართული სკოლები და შეისწავლონ დედა ენა,ქართული ზნეჩვეულება,საქართველოს ისტორია? მაგრამ,როგორც ჩანს, თურქეთი და საბჭოთა რუსეთი დღესაც ისევე ერთი აზრისაა საქართველოს შესახებ,როგორც ისინი იყვნენ საუკუნეთა განმავლობაში! ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა საქართველოზე და ,როგორც ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება ცხადყოფს, თავიანთ

სურვილისამებრ ვაინაწილონ საქართველოს ტერიტორია—ქართველი ერის დასუსტება. მათ ამ საშუალოსაუკუნოებრივ პოლიტიკაში, დღემდე ცვლილებას ვერ ვხედავთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რომ გამაგრდეს, აღადგინოს თავისი სახელმწიფოებრივი ტრადიცია, როგორც ეს მოხდა 1918-21 წლებში, ეს თვით ამ ორი სახელმწიფოს ინტერესებს იმით [illegible], რომ მათ შორის შეიქმნება ერთი დასაყრდენი ერთეული, რომელიც თურქებისა და რუსების ისტორიულ ქიშპობას კავკასიის რაიონში შეამსუბუქებდა და ერთგვარ წონასწორობას დაამყარებდა მათ შორის.]

მაგრამ გვეყოფა ახლა ამაზე ლაპარაკი: მოდი, სანამ კონსტანტინოპოლს-სტამბოლს დავტოვებდეთ, ვინახულოთ ორიოდე ისტორიული ადგილები ამ შესანიშნავი ქალაქისა; ფრანგი მწერალი ლამარტინი(1790-1869) კონსტანტინოპოლის სილამაზეს თავის წიგნში —"Souvenirs, impressions, pensées et paysages pendant un voyage en Orient"(Lamartine, 1835), ასე აღწერს:

სმა: "აქ ღმერთმა და ადამიანმა, ბუნებამ და ხელოვნებამ ერთმანეთთან ითანამშრომლეს, რომ კაცობრიობისათვის სასწაულოებრივი მშვენიერება შეექმნათ."

რეპორტიორი: და მართლაც, ეს ქალაქი მშვენიერია და სრულიად იმსახურებს თავის სახელს: "აღმოსავლეთი რომის" დედაქალაქის სახელს! [მიუხედავად იმისა, რომ მე იმ ქართველ მეცნიერთა აზრი უფრო მომწონს, რომ არსებობდა არა ორი რომი, არამედ სამი: ესენი იყვნენ — დასავლეთის რომის იმპერია, დედაქალაქი რომით, შუარომის იმპერია, დედაქალაქი კონსტანტინეპოლი და აღმოსავლეთის რომის იმპერია, დედაქალაქი თბილისით; და ამ აზრით განმტკიცება იმ ფაქტით, რომ მე-12 საუკუნეში ბიზანტიამ დროებით შესწყვიტა თავისი ისტორიული გზა და ეს როლი მაშინ საქართველომ მიიღო (მემკვიდრეობა) მთელს კავკასიის ტერიტორიაზე, შექმნა კულტურის "ოქროს ხანა" — სრულიად ობიექტური შეფასებაა ისტორიული ფაქტებისა.] [კონსტანტინოპოლი-სტამბოლში, ექსკურსანტთა-მძღოლი, სამწუხაროდ, მხოლოდ სტამბოლის იმ პერიოდზე ლაპარაკობს, როცა ის დაიპყრო თურქებმა (1453 წელს) და ამის შემდეგ იწყება მეჩეთების შენება... ერთმა თურქმა, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, ვინაიდან ჩვენი ქაღალდზე დაწერილი მისამართი ვერ წაიკითხა, მიუხედავად იმისა, რომ ლათინური ასოებით იყო დაწერილი და ლათინური ანბანი დღეს ხომ თურქულ ენაშიც შემოღებულია, — დიდის სიამაყით გვითხრა: "დღეს სტამბოლში 507 მეჩეთი გვაქვს!" მართლაც ზოგიერთი მათგანი, მშვენიერის არქიტექტურულად, მაგრამ ვითომ უკეთესი არ ...

ბოლა მეჩეთების რიცხვი შემცირდეს და სკოლების გადიდდეს? - ვიმეორებ, რომ დღეს,ალბათ,ბევრი თურქი ფიქრობს ასე;მაგრამ მათ სიტყვას,ალბათ, არავინ უჯერებს. დავათვალიერეთ აგრეთვე სულთანთა სასახლე,საძინარეული, და გიდმა დიდი ბოდიში მოიხადა,რომ ჰარემს ვერ დავათვალიერებინებდა,ვინაიდან შიგ რემონტი მიმდინარეობს! სიმართლე გითხრა, მშვენიერია ნაწილი ამ ნაგებობათა,განსაცვიფრებელია აქ თავმოყრილი ფაიფურის ჭურჭლეულობა,ოქროულობა, ძვირფასეულობა;მაგრამ ჩემზე,როგორც ქართველზე, ყველაფერი ეს ისტორიული ნივთები, სწორედ იმ დროს მაგონებდა,როდესაც თურქები თარეშობდნენ ჩვენს ტერიტორიაზე, ანადგურებდნენ,აწიოკებდნენ ჩვენს ხალხს და განა ყველა ამ ჩვენი ისტორიული ტრაგედიის გახსენება ყოველ ქართველს გულს არ დაწყვავს? რა საინტერესოა ჩემთვის ამა თუ იმ სულთანის ხმალი თუ მოსასხამი,რომელიც მას ეცვა თუ აფარებდა იმ დროს,როცა ის ქართველთა ლაშქარს ამარცხებდა და ქართველ მოსახლეობას აწიოკებდა? ამგვარი დაკოდილი გულით მიგვიყვანა გიდმა "აია სოფიას" ტაძართან,რომელიც ბიზანტიის დიდების გამომხატველი ნაშთია დღეს კონსტანტინეპოლში;მიუხედავად იმისა,რომ მისი პირვანდელი არქიტექტურაც შეცვლილია. ვინახულე ბოსფორი,გადავედი გემით აზიის ნაპირზე - იუსკუდარაში,რომელიც კონსტანტინეპოლის ერთი ნაწილია,მაგრამ ბოსფორის მეორე მხარეს- აზიაში მდებარეობს. მშვენიერი ქალაქია,დიდი ქალაქია დღეს კონსტანტინეპოლი;მაგრამ მე დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ამ მშვენიერ ევროპულ ქალაქში თითქოს მხოლოდმხოლოდ უცხოელები"ცხოვრობენ; თითქოს ამ ქალაქში მცხოვრებ ხალხს ალღო ვერ აუღია ამ ევროპული ქალაქის ცხოვრების სტილისა;ის ქალაქი ცხოვრობს თავისთვის, მასში მცხოვრები ხალხი კი თავისთვის. ამიტომ მე ვუწოდებ დღევანდელ სტამბოლს ერთდროულად: კონსტანტინეპოლს-სტამბოლს: კონსტანტინეპოლი ევროპული,მშვენიერი ქალაქია, ხოლო მასში ცხოვრობს სტამბოლის მოსახლეობა.

სანამ სტამბოლს-კონსტანტინეპოლს დავტოვებდი,კიდევ ერთხელ მივედი ქართულ კათოლიკურ მონასტერთან,გადავიღე სურათები და დავიმახსოვრე,რომ ეს ჩვენი მონასტერი მდებარეობს კონსტანტინეპოლის ერთ უბანში,რომელსაც ეწოდება "შიშლი".გული დამწყდა, რომ ამ ერთადერთ ქართულ მონასტერში დღეს არის ქართველი და სწორედ მე მასთან საუბრის საშუალება არ მქონდა. აქაც უნდა ვთქვა - "ნახვამდის!" ვინ იცის,ერთ დროს,შეიძლება,კიდევ შევძლო კონსტანტინეპოლში ჩასვლა და მაშინ შეიძლება, ვესაუბრო მის ქართველ თავმჯდომარეს თუ გამ

გეს. ამ იმედით დავტოვე კონსტანტინეპოლი და გაუდექი გზას ათონის მთისაკენ, რომ მენახა ჩვენი დიდი მონასტერი "ივერიონი".

თუ როგორც მივედი ივერიონის მონასტერში და როგორ მიმიღეს იქ ბერძენმა ბერებმა,ამის შესახებ გესაუბრებით დღეისწორს,ამავე დროს. და ვინაიდან აქ კონსტანტინეპოლის ქართული კათოლიკური მონასტრის ზარების რეკას ვერ მოგასმენინებთ,ისევ მოვისმინოთ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკა...

(იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკა..)

თქვენ ისმენთ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკას...

(ზარების რეკა...)

====================================

ქართული რედაქცია

ავტორი: ინასარიძე

## რადიორეპორტიორის დღიური - VII. "A"

## ივერიონის მონასტერი ათონის მთაზე - 1.

რეპორტიორი: (სტანდარტული დასაწყისი, გვ. 1 და 2 ).

ჩვენს წინა ექვს საუბარში, პატივცემულო თანამემამულენო, გესაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ვინახულე ჯვარის მონასტერი იერუსალიმში და სამი დღის იქ ყოფნის შემდეგ, როგორც ვიმოგზაურე კონსტანტინეპოლში-სტამბოლში და ვინახულე იქ ქართული კათოლიკური მონასტერი. დღეს შევეხები და მოგითხრობთ ჩემს მგზავრობას ივერიონის ქართულ მონასტერში ათონის მთაზე:

(ფირი: კარლო...) - 27

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე. დღეს არის 1967 წლის 24 იანვარი. დღეს დილით 8 საათზე-თვითმფრინავით "ბოენგის" ტიპისა-გამოვედით სტამბოლიდან და მივფრინავთ ათენისაკენ. ეხლა არის 8 საათი და 35 წუთი და ვიმყოფებით ათონის მთის მაღლა დაახლოებით 9.000 მეტრის სიმაღლეზე; აქედან ჩვენ ვხედავთ მთას, რომელზედაც მონასტერში მეტად პატარა მოსჩანს ნ...ჩემი მიზანია, ათენიდან წავიდე ათოსზე და ვინახულო იქ ჩვენი ივერიონის მონასტერი და გადმოგცეთ საერთო სურათი ამ მონასტრის დღევანდელი მდგომარეობისა."

რეპორტიორი: ჩავფრინდით თუ არა ათენში, აეროდრომიდანვე გავექანე საბერძნეთის საგარეო სამინისტროში, იმის შემდეგ, როცა ჩემი მეუღლე ათენში დავტოვე ერთ ქართველთან, რომელიც აგე უკვე 45 წელია ათენში ცხოვრობს და მუშაობს. საბერძნეთის საგარეო სამინისტროს რელიგიის განყოფილებაში უნდა მიმეღო ნებართვა ათონის მთაზე წასვლისა. საქმე შემდეგშია:

სანამ გზას გაუდგებოდი ათონისაკენ, შევეცადე ზოგადათ შემესწავლა არა მარტო ამ წმინდა მთისა და ქართული მონასტრის "ივერიონის" წარსული, არამედ გავარკვიე, თუ როგორ შეიძლება ამ მთაზე მისვლის უფლების მიღება. დიდი დახმარება გამიწია ამ მხრივ გიორგი ნოზაძის ვრცელმა წერილმა – "ივერიელთა მონასტერი ათონზე", რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალ "კავკასიონში" 1964 წელს. გიორგი ნოზაძე ყოფილა ათონის მთაზე 1963 წელს, როცა აღინიშნულ იქნა ათონის მთის ათასი წლის თავი. ამიტომ, როცა საბერძნეთში წასასვლელი ვიზა მივიღე, მაშინვე მივიღე ცნობა, თუ რა ნებართვაა საჭირო ათონის მთაზე მისასვლელად: მითხრეს – "ამგვარ ნებართვას საბერძნეთის საგარეო სამინისტროს რელიგიურ საქმეთა განყოფილება მოგცემს." ამგვარი ნებართვა იმიტომაა საჭირო, რომ 1927 წელს მიღებული საბერძნეთის კონსტიტუციის ძალით, ათონის ნახევარკუნძული იმყოფება საბერძნეთის უზენაესობის ქვეშ. მაგრამ მის შინაგან მმართველობაში საბერძნეთი ვერ ჩაერევა. ათონის მთა წარმოადგენს, ასე ვთქვათ, რესპუბლიკას, რომლისაც თავისი ბერი განაგებს. ადმინისტრაციულ ცენტრად, ანუ, ასე ვთქვათ, დედაქალაქად ითვლება კარიეს: და სწორედ აქ არიან მონასტრების წარმომადგენლები, რომლებიც ათონის მთის მმართველობას წარმოადგენენ. ამიტომაა, რომ ათონის მთაზე მისვლის ნებართვას ფაქტიურად სწორედ კარიესში იძლევიან; მანამდე კი საჭიროა საბერძნეთის მთავრობის ორგანოების ნებართვა, რომ კარიესში მისვიდე, რაც უფრო შუამდგომლობაა, ვიდრე ნებართვა. საბერძნეთის საგარეო სამინისტროს რელიგიის საქმეების განყოფილებაში მითხრეს, რომ ათონის მთაზე მისვლის ნებართვას თქვენ მიიღებთ თესალონიკში "ჩრდილოეთ საბერძნეთის სამინისტროში!" მეც იმავე წუთში ავიღე ტაქსი, წავედი ისევ ათენის აეროდრომზე და საღამომდე მოვასწარი თესალონიკისაკენ გაფრენა. ამასობაში მეტად კარგი, მზიანი ამინდი დადგა და როცა თვითმფრინავი თესალონიკს დაუახლოვდა, მე, საბედნიეროდ, თვითმფრინავში მარჯვენა-ფანჯარასთან ვიჯექი და ვინაიდან თვითმფრინავი დაახლოებით 3.000 მეტრის სიმაღლეზე მიფრინავდა, საუკეთესოდ მოსჩანდა ხელის სამი თითებივით ერთმანეთთან მიდაგებული სამი ნახევარკუნძული, შეჭრილი ეგეის ზღვაში. ამ დროსაც ჩავწერე ფირზე რამდენიმე სიტყვა:

(ფირი: კადრი...) - 27

ხმა:

"ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე...პატივცემულო მსმენელებო! ესეს-არის ვეშვებით თესალონიკის აეროდრომზე. ეხლა არის 1967 წლის 24 იანვარი.ვართ ჰაერში,დაახლოებით, 3.000 მეტრის სიმაღლეზე და აქედან ძალიან კარგათ მოსჩანს ათონის წმინდა მთა,რომლის უმაღლესი მწვერვალი თოვლითაა დაფარული."

რეპორტიორი: მართლაც იმ სამ ნახევარკუნძულებიდან,რომლებიც,როგორც ავღნიშნე, სამი თითივითაა შეჭრილი ეგეის ზღვაში, ათონის მთა,მართლაც "წმინდა" მთაა თავისი რელიეფით. მხოლოდ ათონის მთა ნახევარკუნძულის ვიწრო ყელიდან თანდათან იწევს მაღლა და ზღვაში შეჭრილი უკანასკნელი [illegible] თავზე სმოლცილის ცაში ათონის 2033 მეტრის სიმაღლის მთა,რომელიც ახლა განსაკუთრებით ლამაზია იმიტომ, რომ მისი მწვერვალი თოვლითაა დაფარული. ამ მწვერვალს გვერდს უმშვენებს მეორე უფრო დაბალი მთა და შემდეგ იწყება დაქანება ნახევარკუნძულის ყელისაკენ. მართლაც, მშვენიერია ეს ნახევარკუნძული,განსაკუთრებით,ახლა,იმიტომაც, რომ მის გვერდით მდებარე ორ სხვა ნახევარკუნძულს ამგვარი რელიეფური სიმშვენიერე არ გააჩნიათ.

დავეშვა თუ არა თვითმფრინავი აეროდრომზე,რა თქმა უნდა, მაშინათვე მივადექი "ჩრდილოეთ საბერძნეთის სამინისტროს",მაგრამ,საუბედუროთ, ეს სამინისტრო თურმე მხოლოდ სადილობამდე მუშაობს;

მეორე დღეს, "ჩრდილოეთ საბერძნეთის სამინისტრომ" ჯერ მომთხოვა საკონსულოს სპეციალური მიწერილობა;ამის შემდეგ დაიწყეს პასპორტის და სხვა დოკუმენტების გასინჯვა და სხვა. მიწერილობისა და მთელი ჩემი დოკუმენტების სამინისტროში ჩაბარების შემდეგ,მითხრეს"ორ საათზე მოდიო".ამან კი მეტად დამაღონა,ვინაიდან სწორედ ორ საათზე გადიოდა ავტობუსი ურანოპოლისაკენ,ესე იგი,იმ დაბისაკენ ათონის მთის ყელთან,საიდანაც დღეში ერთხელ დილის 6 საათსა და 45 წუთზე,გადის ნავი ათონის მთისაკენ. ჩემმა ხვეწნამ არ გასჭრა,ვინაიდან,მითხრეს, "წესი არის წესიო და გამონაკლისის გაკეთების უფლება არ გვაქვსო!" მეც გამოვედი სამინისტროდან, და ორ საათამდე "მოვკალი დრო" თესალონიკის ქუჩებში,თუ ბაღებში,მიუხედავათ იმისა,რომ კარგათ ციოდა.

(ფირი: კადრი...) - 27

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე თესალონიკიდან. პატივცემულო მსმენელებო! გუშინ, როგორც უკვე ავღნიშნე, თვითმფრინავით ჩამოვედი. პირველ საათზე თესალონიკში. ავღნიშნე აგრეთვე, რომ როდესაც თვითმფრინავით თესალონიკს ვუახლოვდებოდით, მზიანი ამინდი იყო და ძალიან კარგად მოსჩანდა "ათოს", ესე იგი, ათონის წმინდა მთა, რომლის 2033 მეტრის მწვერვალი თოვლით იყო მოფენილი. დღეს ვარ თესალონიკში და ვეძებ საშუალებას როგორმე მივიღო ნებართვა ათონის მწინდა მთაზე წასასვლელად... ერთი დაწესებულება მაგზავნის მეორეში, მეორე მესამეში და ასე გაუთავებლად..."

რეპორტიორი: ორ საათზე მივედი "ჩრდილოეთ საბერძნეთის სამინისტროში" და ისევ შეკითხვები, თუ რატომ მიმაქვს მაგნეტოფონი ათონის მთაზე, რატომ ამ ზამთარში მივდივარ იქ და არა, როცა ტურისტთა სეზონია და სხვა. ამის შემდეგ, დიდი ცდის შემდეგ, მითხრა მოხელემ, რომ "უცხოელთა განყოფილების დირექტორი არ არის აქ და უნდა მოიცადოთ!" მეც ვიცადე... დირექტორი, საერთოდ, არ მოვიდა; მოხელემ შემდეგ ხელი მოაწერინა სხვა განყოფილების დირექტორს და, როგორც იქნა, მივიღე ხელში სამი დაბეჭდილი წერილი - ერთი - თესალონიკის პოლიციის "უცხოელთა განყოფილებისადმი" მიმართული, მეორე - საბერძნეთის პოლიციის წარმომადგენლობისადმი მიმართული - კარიესში - ათონის მთაზე - და მესამე ათონის მთის ადმინისტრაციული მართველობისადმი - კარიესში.

თესალონიკის პოლიციის ნებართვის მიღების შემდეგ, მივედი ავტობუსის სადგურში და როგორც იქნა საღამოს 4 საათსა და 50 წუთზე მოვახერხე ათონის მთისაკენ გამგზავრება... 160 კილომეტრის გავლის შემდეგ, ღამის ათ საათზე მივედი ათონის მთის ყელთანმდებარე დაბაში, რომელსაც ეწოდება "იერისოს". იერისოსიდან, როგორც გავიგე, დილის ხუთ საათზე გადის ნავი - ათონის ნახევარკუნძულის ჩრდილო-აღმოსავლეთ მხრიდან - პირდაპირ ივერიონის მონასტერში, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ ზღვა მითხრეს, რომ ამ მხრიდან ზამთრობით ზღვა მეტად ღელავს და "ჩვენს პატარა ნავებით მოგზაურობა მეტად საშიშია!" ღამე გავათიე ერთ ბერძენთან, რომელმაც მეტად ადრე გამაღვიძა და ფანჯრიდან ზღვის მეტად დიდი ღელვის ხმაური კარგად მესმოდა, მივხვდი, რომ ის მეუბნებოდა, საჩქაროდ წავსულიყავი ავტობუსის გაჩერებასთან, რომ იქიდან მივსულიყავი დილის 7 საათამდე ურანოპოლში ან ტრიპიტიში, რომლებიც მდებარეობენ ათონის მთის ყელის დასავლეთ ნაწილში.

მართლაც, ავტობუსით დილის 6 საათამდე მივადექით ურანოპოლისს, მაგრამ ნავი იქიდან უკვე გასული იყო და ავტობუსი სასწრაფოდ გაემურა ტრიპიტისაკენ, რომ იქ მიგვესწრო ნავისათვის. მართლაც, მივასწარით და ცოტა ცდაც კი დაგვჭირდა:

(ფირი: კარლო...) - 27

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე ტრიპიტიდან. დღეს არის 1967 წლის 26 იანვარი. დღეს დილით ხუთ საათზე უნდა წავსულიყავით იერისოდან ივერიონში ნავით, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა, ვინაიდან ისეთი ღელვა იყო ზღვაზე, რომ იძულებული გავხდი იერისოდან წამოვსულიყავი ტრიპიტიში და ახლა ვარ ტრიპიტიში და ველოდები ნავს, რომლით ჯერ წავალთ დაფნიში, შემდეგ იქიდან კარიესში და კარიესიდან შემდეგ წავალ ივირონში. ეხლა არის დილის 8 საათი და 30 წუთი..."

რეპორტიორი: როგორც იქნა მოვიდა ნავი, მაგრამ რა ნავი: თევზებივით ჩავეწყვეთ მის ვიწრო მუცელში და გავემგზავრეთ დაფნისაკენ... ზღვის ღელვა აქედანაც საკმარისი ძლიერი გამოდგა, რომ ეს პატარა ნავი იქეთ-აქეთ მიექდო...
ხუთის საათის ამგვარი წამების შემდეგ, როგორც იქნა მივედით დაფნიში. უნდა აღვნიშნო აქვე, რომ ნავში ვიჯექით დაახლოებით ათი კაცი, რომელთაგან მხოლოდ ორი იყო ბერი, დანარჩენები უპიროვნესობა მონადირეები იყვნენ, ხანაფირო თოფებითა და ძაღლებითაც კი, რომლებიც ზოგი გადადიოდა და ზოგი შემოდიოდა ნავის ყოველი გაჩერების დროს; და ნავი ხომ ყოველ ათონის მთის ყურეში ჩერდებოდა, სადაც მონასტრებია ათონის ამ მხრისაც. გამიკვირდა, ათონის მთაზე ქალებს არ აქვთ უფლება მისვლისა, ხოლო მონადირეები კი დადიან! რაღაც შეუსაბამობა მეჩვენება მე აქ: "თუ ათონის მთა წმინდა მთაა, მაშინ არავითარი - ნადირის თუ ფრინველის - მკვლელობაც არ უნდა იყოს აქ დაშვებული" - გავიფიქრე.

დაფნიში მისვლისთანავე, ისევ პოლიციელი მოვიდა ჩემთან, ვინაიდან მე გამოვდექი ერთადერთი ტურისტი: მან ჩამომართვა ყველა მოწყობები და მითხრა მომეცადა იქვემდებარე პატარა რესტორანში. დაფნიში მხოლოდ ორიოდე სახლია და აქედანაა ერთადერთი მისასვლელი გზა კარიესში-ათონის მთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილიდან. აქაურმა პოლიციამ, მაგნეტოფონის გასინჯვის შემდეგ, მომცა დამატებითი მიმართვა, კარიეს პოლიციისადმი და როგორც იქნა 11 საათზე ავტობუსით გავემგზავრეთ კარიესისაკენ. უნდა აღვნიშნო, რომ ათონის მთაზე-

არის მხოლოდ ეს ერთადერთი მეტად დაძველებული ავტობუსი,რომელიც დღეში ერთ-ხელ კარიესიდან მოდის დაფნიში და ბრუნდება უკან. ავტობუს წინ აქვს წარწე-რა "ΑΓΙΟΝ ΟΡΟΣ"="წმინდა მთა" გზა დაფნიდან - კარიესამდე მიიკლაკნება აღმართისაკენ და ისე ვიწრო და ცუდია, რომ მძღოლი,უთუოთ,აკრობატულ ხელოვ-ნებას იჩენდა. მიუხედავად იმისა, რომ ათონის მთის ეს ადგილი სიგანით დაა-ხლოებით ათი კილომეტრია, ამ მიხვეულ-მოხვეულ ცუდ გზაზე ვიარეთ სადილობამ-დე. საინტერესოა ის, რომ გზაში რამდენიმე მონასტერი დავინახე,რომლებიც გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ტოვებენ,მაგრამ ბევრი დავინახე დანგრეული და მი-ტოვებული,უფრო მომცრო სიდიდის სახლები,სახლთა ჯგუფი თუ მონასტრები. თვით კარიეს კი ჩვეულებრივ სოფელს გავს,მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეტად ბევრი ეკლესიის გუმბათი მოსჩანს აქ და გარდა ამისა,ქალები,ბავშვები,ში-ნაური საქონელი - არსად არ ჩანს. ყველგან ბერებია;თუ გარეთ გამოდიან საერ-თოდ, და გამწევ ძალათ მხოლოდ ჯორებია ნებადართული;ესე იგი, შინაური ფრინვე-ლების (უფრო) ქათმებისა და ჯორებს გარდა-ათონის მთაზე აკრძალულია სხვა საქონლის ყოლა.

სადილობამდე მოვასწარი კარიეს პოლიციაში მისვლას და იქ გადავეცი ჩე-მი თესალონიკში მიღებული მეორე წერილი,რომლის გასინჯვისა და ჩემი დაკითხ-ვის შემდეგ, მომცეს ნებართვა და წაველი კარიეს ადმინისტრაციულ სამართველო-ში,რომელსაც,როგორც უკვე ავღნიშნე, ოთხი ბერი განაგებენ: უკვე სადილობის დრო იყო და მითხრეს სამ საათზე მოდიო. გამოვედი თუ არა გარეთ, ამ სამართ-ველოს მეტად ლამაზ შენობიდან, ერთ ვიწრო ქუჩიდან ერთმა ბერმა დამიქნია ხელი "მოდი ჩემთანო!" მეც მივედი. მან მითხრა,რომ მე მისი სტუმარი ვარ და მართლაც დამპატიჟა სადილზე: სადილი შესდგებოდა ბოსტნეულობისა და კვერცხისაგან,ვინაიდან,როგორც მან თქვა, "ხორცს ათონის მთაზე საერთოდ არ ჭამენ და არც ყველს",ვინაიდან შინაური საქონელი,როგორც ავღნიშნე, აქ დაშ-ვებული არაა. საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტიც,რომ ჩემს შეკითხვაზე - მომი-თხრეს მან ათონის მთის ისტორია", მითხრა:

(ფირი: ბერი ) - 28

ხმა: (ფრანგულად) "...ეს მე არ ვიცი!"

რეპორტიორი: ამ ბერის ამგვარმა პასუხმა,ცოტა არ იყოს, გამაკვირვა!

შემდეგ მან ჩემს შეკითხვებზე უფრო ზუსტად მიპასუხა და მითხრა:

(ფირი: ბერი...) - 28

ბერი: "ახლა არის ათონის მთაზე ოცი დიდი მონასტერი, რომლებიც განაგრძობენ თავიანთ მოღვაწეობას..." "...ყველაზე უძველესი მონასტერი ათონის მთაზეა დიდი ლავრა"... "დიდი მონასტრებია ვოცოპეცი...ივერიონი..." "კარიეს არის ათონის მთის დედაქალაქი ..."

(ფირი: ბერი...) - 28

ბერი: "...ათონი ემორჩილება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს..."

რეჟისორი: ერთი სიტყვით, ამ ბერმა ბევრი არაფერი იცოდა ათონის მთის საერთოდ-და თვით კარიეს ფუნქციის შესახებ - კერძოდ.

უნდა აღვნიშნო ისიც, რომ ეს ბერი ოდესღაც მდიდარი ყოფილა და მხოლოდ 25 წლის წინათ გამხდარა ბერად; თვითონ კი ახლა, ალბათ, 70 წლისაა. ცხოვრობდა, თურმე, ეგვიპტეში, ყავდა ცოლი, ერთი ქალიშვილი, რომელიც გათხოვილი ყოფილა ათენში, მაგრამ შემდეგ ყველა წასულან მონასტრებში; თვითონ, მისი მეუღლე და ქალიშვილიც. მან ხოტბა შეასხა ათონის მთაზე ასეთ წყნარ ცხოვრებას და არ მოეწონა ის, რომ მე ძალიან მეჩქარებოდა ივერიონის მონასტერში წასვლა. რა იცოდა მან, რომ მე ქართველი ვარ და რომ ივერიონი ქართული მონასტერია, მიუხედავათ იმისა, რომ იქ უკვე ქართველი ბერები აღარ არიან.

ამ ბერმა გამიმასპინძლდა ისე, როგორც მას შეეძლო: თავისი გაკეთებული ღვინოც კი დამალევინა და როცა ღვინო მოვსვი, მაშინვე ვიცანი ადესას ღვინო.. მან კი მეტად გამახარა, ვინაიდან ათონის მთის ბუნება, მართლაც, მეტად წააგავს საქართველოს, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს, მთიან ადგილების ბუნებას, და იქაც ხომ ადესას ღვინოც მოდის!..

ამ ბერმა ბევრი მელაპარაკა და მთხოვა, რომ ივერიონიდან მასთან დავბრუნებულიყავი და გამეთია ღამე; ის მაჩვენებდა სხვადასხვა მონასტრებს, რომლებიც ათონის მთის ამ რაიონში მდებარეობენ და შემდეგ შემიძლია აქედან ავტობუსით დაფნისაკენ გამგზავრება და სხვა. ასე გამოვემშვიდობე მას.

ნაშუადღევის ხამ საათსა და 30 წუთზე, როგორც იყო, მივიღე ნებართვა, რომ მე შემიძლია ხუთი დღის განმავლობაში ვიყო ათონის მთაზე და წავიდე იმ მონასტერში, თუ მონასტრებში, რომლებშიც მე მსურს. მე, რა თქმა უნდა, მხოლოდ ივერიონის ნახვა მინდოდა და გავიკითხე, თუ რა საშუალება არსებობს კარიე-სიდან ივერიონის მონასტერში მისასვლელად. მითხრეს, [illegible], ავტო-ბუსი კარიესიდან ივერიონის მონასტრისაკენ არ მიდის, ვინაიდან გზები ცუ-დია, ხოლო ჯორი შეგიძლიათ იშოვოთო. როგორც იქნა ვიქირავე ერთი ჯორი, რომელ-საც ერთი ბერი თავისი ჯორით გამოყვა და ისე წავედი კარიესიდან - ივერიო-ნისაკენ. მან მიმიყვანა ივერიონამდე, დაახლოებით ორი კილომეტრის დაშორებით, პირდაპირი სავით, და შემდეგ გავუდექი გზას ფეხით, რომლის ორის გზას თავი არ უჩანდა: ტალახი, მიხვეულ-მოხვეული გაჭრეთების პროცესში მყოფი ვიწრო მა-რა გზები... ყოველი ღელედან ახვლისა და მთის ზირგვთან დაახლოებისას, ვფიქრობ-დი გამოჩნდებოდა ივერიონის მონასტერი. მაგრამ ივერიონი არსად ჩანდა..

დავიღალე. გადავწყვიტე ცოტა შემესვენებინა.

(ფირი: კარლო...) - 28

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე ათონის მთიდან! დღეს არის, პატივცემულო მსმენელებო, 1967 წლის 26 იანვარი. ეხლა ვარ ფეხით გზაში კარიესიდან ივერიონის მონასტრისაკენ. ეხლა არის დღის 16 საათი."

რეპორტიორი: შესვენების დროს ჯერ ვათვალიერე აქაურ წარმტაც ბუნებას, რომელიც ახლაც იანვარის თვეში გამწვანებულია... შემდეგ ამოვიღე ის განაწესი, რომელიც მომცეს თესალონიკიში, საკონსულოში, და ახლა, ქვაზე ჩამომჯდარი, დავა-წყე ამ ათონის მთაზე ტურისტთა სახელმძღვანელოს წაკითხვა. აქ წერია, სხვათა შორის, შემდეგი:

ხმა: "ათონის ბერთა რესპუბლიკაში მოგზაურობის უფლებას იძლევა ჩრდილოეთ სა-ბერძნეთის სამინისტრო. ამგვარი ნებართვის მიღება შეუძლია მხოლოდ მამაკა-ცებს (ქალებს არ აქვთ ათონის მთაზე მისვლის უფლება), რომლებსაც საკმარისი პატივისცემა და [illegible] აქვთ ამ ბერთა რესპუბლიკის ხელოვნების ნიმუშებისა და რელიგიური ტრადიციისადმი. მამაკაცებს, რომლებსაც შეუსრულდათ 25 წელი, ჩვეულებისამებრ, შეუძლიათ მიიღონ ამგვარი ნებართვა. პირებს ოციდან-25-ით წლა-

მღე შეუძლიათ მიიღონ ნებართვა, თუ ისინი დაამტკიცებენ, რომ ისინი სტუდენტებია და შესაფერი მოწყობებით დაამტკიცებენ, რომ მათი სწავლა მჭიდროდაა დაკავშირებული ათონის მთის იდეასთან. ასეთ სტუდენტებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, თეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები, აგრეთვე ხელოვნების ისტორიის, არქიტექტურის და სამხატვრო აკადემიის სტუდენტები. პირები, რომლებიც ოცი წლის არ არიან, შეუძლიათ ათონის მთაზე მისვლა მამების თანხლებით.

კათოლიკურ და პროტესტანტულ სასულიერო პირებს ათონის მთაზე მისვლა შეუძლიათ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საგანგებო ნებართვით, რომლის მიღებისათვის საჭიროა ამ სასულიერო პირის ეპისკოპოსის ან საეკლესიო სამართველოს მოწმობა.

პირველ ყოვლისა, ტურისტებისაგან უნდა იქნეს დაცული ის წესი, რომ ათონის მთაზე და მის მონასტრებში მივიდენ წესიერად ჩაცმულნი. მოკლე შარვლებით ათონის მთაზე მისვლა სასტიკად აკრძალულია.

ათონის მთაზე მისვლის ნებართვის მიღება არ შეიძლება მიწერ-მოწერით. საჭიროა მთხოვნელის პირადი გამოცხადება."

რეპორტიორი: აი ზოგიერთი ის დებულება, რომელიც უნდა იქნეს დაკმაყოფილებული, რომ კაცმა შესძლოს ათონის მთაზე მისვლა.

ამასობაში მზე თანდათან იწევდა ათონის მთის 2033 მეტრიანი მწვერვალის უკან, რაც ფერთა შესანიშნავ გამას ქმნიდა." მე ისევ გავუდექი გზას და ვცდილობდი, როგორმე "ზევიდან დამესედა" ათონის მთის ერთ უბეში მდებარე ჩვენს მონასტერ-ივერიონისათვის; მაგრამ ეს არც ასე ადვილი საქმე გამოდგა: დაახლოებით ერთი საათის სიარულის შემდეგ, გადავუხვიე მთავარ გზას და ავედი ერთ მაღლობზე, რომ როგორმე დამენახა ჩვენი მონასტერი.

მაშ, დღეისწორს ამავე დროს ვისაუბროთ ივერიონის მონასტრის შესახებ. მანამდე გამარჯვებით.

(ივერიონის მონასტრის ზარების რეკა)

თქვენ ისმინეთ ივერიონის მონასტრის ზარების რეკა ათონის მთიდან...

ქართული რედაქცია

ავტორი: ინასარიძე

## რადიორეპორტიორის დღიური - VII - "B"

## ივერიონის მონასტერი ათონის მთაზე - 2.

რეპორტიორი: (სტანდარტული დასაწყისი, გვ. 1 და 2).

ჩვენს წინა შვიდ საუბარში, პატივცემულო თანამემამულენო, გესაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ვინახულე ჯვარის მონასტერი იერუსალიმში და სამი დღის იქ ყოფნის შემდეგ, როგორც ვიმოგზაურე კონსტანტინეპოლში-სტამბოლში და ვინახულე იქ ქართული კათოლიკური მონასტერი. შემდეგ ავღწერე, თუ როგორ მივედი მე ათონის მთის დედაქალაქ - კარიესში და როგორ გავუდექი გზას ივერიონის მონასტრისაკენ.

დღეს აღვწერ, თუ როგორ მივედი ჩვენს მონასტერში და როგორ შემხვდნენ იქ ბერძენი ბერები. ..... მე ისევ გავუდექი გზას და ვცდილობდი, როგორმე "ზევიდან დამენახა" ათონის მთის ერთ უბეში მდებარე ჩვენს მონასტერს - ივერიონისათვის. მაგრამ ეს არც ისე ადვილი საქმე გამოდგა: დაახლოებით ერთი საათის სიარულის შემდეგ, გადავუხვიე გზას და ავედი ერთ მაღლობზე, რომ როგორმე დამენახა ჩვენი მონასტერი:

(ფირი' კადრი...) - 29

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე ათონის მთიდან. დღეს არის 1967 წლის 26 იანვარი. ახლა ვარ, პატივცემულო მსმენელებო, გზაში კარიესიდან, ე.ი. ათონის მთავარ მმართველობის ქალაქიდან - ჩვენს ქართულ მონასტრისაკენ - ივერიონის მონასტრისაკენ. ეხლა არის 17 საათი. სხვათა შორის, აქედან ძალიან კარგად მოჩანს ათონის მთის მწვერვალი, რომელიც დასავლეთიდან მზის სხივებშია გახვე-

უღი' აღმოსავლეთიდან და ჩრდილოეთიდან კი ოდნავად ღრუბლები ეფარება,მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც კარგად მოსჩანს ეს თოვლით დაფარული მშვენიერი მთა.

რეპორტიორი' აქედან საჩქაროთ ავედი ამ მაღლობის უმაღლეს წერტილზე და აი, გამოჩნდა ივერიონი....

(ფირი' კარლი...) - 29

ხმა' "...და როდესაც ამ სიტყვებს ვლაპარაკობ,ახლა უკვე ვხედავ ჩვენს ქართ- მონასტერს,ივერიონის მონასტერს..."

რეპორტიორი' გამოჩნდა თუ არა ივერიონის მონასტერი,რომელსაც მე ზემოდან დავ-ჰყურებდი,რაც ასე ჰგავს ივერიონის იმ ლიაზარათზე გამოსახულს,რომელიც იყი-დება არა მარტო ათონის მთის სუვენირების,არამედ თესალონიკის სუვენირების მაღაზიებშიდაც, მე,ასე ვთქვათ, ენა ჩამივარდა' ფიქრთა კორიანტელი დატრიალ-და ჩემს გონში...წარსული და აწმყო ამ ჩვენი ერთი ისტორიული კულტურის ცენ-ტრისა.

ამის შემდეგ კიდევ ბევრი ფეხით სიარული დამჭირდა და როცა ზღვის პირას ჩამავალი გზის მარჯვნივ-ერთი ხვანური კომკისმაგვარი ნაგებობას მივა-დექი,რომლის მარცხნივ მოკირწლული გზა ადიოდა ორ მაღლობს შორის მდებარე დიდ მონასტერთან,ამ მონასტრის არქიტექტურა ისე მეუცხოვა, რომ ვფიქრობდი ეს ივერიონი არ არის! მეტად დაღლილი ვიყავი უკვე,ამასთანავე ბნელდებოდა და კიდევ ფეხით სიარული და,ისიც სიბნელეში, ადვილი საქმე არ იყო ჩემთვის, მაგრამ რა უნდა მექნა!? მალე,დაახლოებით 100 მეტრის დაშორებით ჩემგან, გამოჩნდა ერთი ახალგაზრდა ბერი,რომელსაც ზღვის პირაგზიდან დაუყვირე - "ივირონ?" და ხელით ვანიშნე ის მიმართულება,საით გზა მიდიოდა ზღვის პირას. მან დამიყვირა,რომ "ივირონი" ეს არისო და მიმითითა სწორედ ამ მონასტერზე, რომელიც ასი მეტრით იყო ჩემგან დაშორებული. ეს კი მეტად გამიხარდა;მაგრამ მეუცნაურა,რომ მისი,ე.ი. ივერიონის სახე ზღვის პირიდან არასოდეს არ მენა-ხა სურათზე და ერთი შეხედვით არც კი მომეწონა. შემდეგ გავიგე,რომ ზღვის პირიდან ივერიონის მონასტერს ფოტოსურათებს არ იღებენ იმიტომ, რომ,თითქოს, ეს სახე ისე კარგი არ არის,ვიდრე "ჩიტის" პერსპექტივით გადაღებული სურა-თი ამ მონასტრის მდებარე მარცხენა და მარჯვენა გორიდან.

იმ ახალგაზრდა ბერმა გამცა თუ არა პასუხი,რომ ივერიონი აქ არისო, დააპირა წასვლა,მაგრამ მე დავუყვირე ერთადერთი სიტყვა,რომელიც მე ბერძნულად ვიცოდი, რომ მე ვარ "გეორგიანოს!" როგორც კი მან სიტყვა "გეორგიანოს" გაიგონა,მიანება თავი თავის სამუშაოს,გამოიქცა ჩემსკენ,მოვიდა ჩემთან,ჩამომართვა ხელჩანთა და გახარებული გაიძახოდა "გეორგიანოს,გეორგიანოს!" როგორც იქნა გავაგებინე,მიმიკური ენით,რომ მე ქართველი ვარ,მსურს ივერიონის მონასტრის დათვალიერება და თუ შემიძლია აქ ღამის გათევა. მან აღფრთოვანებული მითხრა, რომ "რას ქვია ღამის გათევა თუ შეგიძლია, ეს მონასტერი თქვენია და თქვენ აქ სტუმარი კი არა,თქვენს მონასტერში ხართო!" ამასობაში მივედით მონასტრის მთავარ შესასვლელთან,რომელიც მშვენიერი კოლონადით-სვეტებითაა მორთული და ეს ახალგაზრდა ბერი იქ მდგომ ბერთა ჯგუფს და გზაში მდგომ ცალკეულ ბერებს ყველას ეუბნებოდა "გეორგიანოს,გეორგიანოს!" და უთითებდა ჩემზე; ყველა მოდიოდა ჩემთან,მართმევდენ ხელს,ხარობდენ და გაიძახოდენ "გეორგიანოს,გეორგიანოს!" ამ ბერთა ჯგუფიდან,ჩემზე შთაბეჭდილება მოახდინა ერთმა მოხუცმა,მეტად სიმპათიურმა, ბერმა,რომელიც,როგორც ჩანს, ამ ჩვენი მონასტერის მკვიდრი არ იყო,ვინაიდან მას ჯოხი ეჭირა ხელში და გადაკიდებული ჰქონდა ჩანთა,რომელშიც,რამდენადაც მე შევატყვე, საჭმელი ჰქონდა.

ეს მოხუცი ბერი ისეთი სათნო პიროვნება იყო, რომ მას დიდ ყურადღებას აქცევდენ სხვა ბერები და მეტად თავაზიანად ეპყრობოდენ. ის მოვიდა ჩემთან, ჩამომართვა ხელი,მელაპარაკა ბევრი ბერძნულად,რომელთაგან მე მხოლოდ სიტყვა "გეორგიანოს" გავიგე და შემდეგ უმარტავდა სხვა ბერებს,როგორ შევატყვე, საქართველოს,ე.ი.როგორც აქ უძახიან, "ივირონელების" ამბავს და ამას ამ მონასტერში,რაც,როგორც შევატყვე, ყოველმა ბერმა კარგად იცოდა. ეს სათნო ბერი,ალბათ, დადის ერთი მონასტრიდან-მეორეში და ასე ცხოვრობს ამ წმინდა მთაზე. ამის შემდეგ იმავე ახალგაზრდა ბერმა წამიყვანა სასტუმროში,რომელიც მონასტრის ეზოს უკანა მხარესაა მეორე სართულზე და მკითხა,თუ რა ენაზე ვლაპარაკობ მე. ერთადერთი კაცი გამოდგა ივერიონის მონასტერში,რომელიც ლაპარაკობს ფრანგულად და მითხრეს, რომ ის ბერი არის მონასტრის ბიბლიოთეკის გამგე და შეატყობინებენ,რომ ჩემთან მოვიდეს სასტუმროში. ამასობაში მიმიწვიეს სასადილოში და მომართვეს ღვინო და უხორცო საჭმელი.მაგრამ მე ისე ვიყავი აღელვებული ივერიონის მონასტერში მოსვლით და ასეთი გულთბილი

მიღებით, სრულიად ვერაფერი ვჭამე. ამასობაში გამოჩნდა აქ, სასადილოში, ერთი ახალგაზრდა, რომელიც ბერის ტანსაცმელს არ ატარებდა, და დამიწყო საქართველოზე ლაპარაკი ორიოდე გერმანული სიტყვებით. მე მას ავუხსენი ჩვენი ერის ენა, კულტურა, ლიტერატურა, ვუთხარი ივერიონის დაარსებისა და სხვა ამბები, რის შემდეგ მან მითხრა: "მაშ, ქართული ენა რუსულის ერთი დიალექტი არ არის?" და როცა მას ეს ყოვლადმცდარი აზრი გავუქარწყლე, მან განრისხებულმა წამოიძახა: "მაშ, რატომ არის ამ მონასტრის ყოველ კუთხეში ნიკოლოზ მე-II-ის სურათები!" მართლაც, ივერიონის მონასტრის სასტუმროში სამამდე ნიკოლოზ მე-II სურათი ვნახე, დანარჩენი სურათები იყო ბერძნებისა, ხოლო ქართველთა სურათი იქ არ დამინახავს. ამ ახალგაზრდა ბერის უცოდინარობა კი არ გამიკვირდა, ვინაიდან ის თურმე ორი თვეა მოსული ამ მონასტერში: წესით მან უნდა იმუშაოს მონასტერში ყოველგვარ შავსამუშაოზე სამი წელიწადი, შემდეგ სამი წელიწადის უნდა ისწავლოს და ამ პროცედურის დამთავრების შემდეგ გახდება ივერიონის მონასტრის ბერი; და მაშინ, რა თქმა უნდა, ეცოდინება ყველაფერი ის, რასაც ასწავლის მას ამ მონასტრის ხელმძღვანელობა ივერიონის წარსულისა და აწმყოს შესახებ.

თუ, როგორ მოხდა, რომ ივერიონის მონასტერში რუსეთის იმპერატორის - ნიკოლოზ მე-II ამდენი სურათებია გამოკრული კედლებზე, ეს, ვფიქრობ, თქვენთვის გასაგებია, პატივცემულო მსმენელებო: როგორც იცით, როცა 1801 წელს რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე პირველმა ანექსია მოუხდინა საქართველოს, რაც 1783 წლის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულების დარღვევა იყო, საქართველო როგორც სუვერენული სახელმწიფო გაქრა საერთაშორისო ასპარეზზე. რუსეთის იმპერატორები და მათი მღვდელმთავარნი ამითაც არ დაკმაყოფილდნენ და 1811 წელს გააუქმეს სრულიად საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და დაუმორჩილეს რუსეთის ეკლესიის სინოდს. ამით საქართველო გაქრა საერთაშორისო არენაზე არა მარტო როგორც სუვერენული სახელმწიფო, არამედ აგრეთვე სრულიად საქართველოს ავტოკეფალური ეკლესია კათალიკოს-პატრიარქით სათავეში, გაქრა მსოფლიოს მართმადიდებელთა ოჯახშიაც. ამის შემდეგ რუსეთის იმპერატორი და რუსეთის ეკლესიის სინოდი ცდილობდა თავისი მფარველობის ქვეშ დაეყენებინა (მანამდე) სრულიად საქართველოს საპატრიარქოს მფარველობის ქვეშ მყოფი ქართული მონასტრები უცხოეთში. და ამის

შედეგად ივერიონის მონასტრის ათონის მთაზე მიწვდა რუსეთის იმპერატორისა და სინოდის ხელიც და აქედან იწყება რუსეთის იმპერატორთა სურათების მიტანა ივერიონის ქართულ სავანეშიც. და, რა გასაკვირია, რომ ამ ახალგაზრდა ბერს, რომელმაც ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა ისწავლოს, ივერიონის მონასტრის სრულუფლებიანი ბერი გახდეს, ყველაფერი ეს არ იცოდა და ამიტომ, სამართლიანად დაიყვირა: "რატომ არის ნიკოლოზ მე-II ამდენი სურათები გაკრული ამ ივერიონის მონასტერში!"

ასეთი საუბარი გვქონდა გამართული, როცა სასადილო დარბაზში შემოვიდა ივერიონის მონასტრის ბიბლიოთეკის გამგე, რომელმაც მაშინვე ფრანგულად მოგვესალმა და მითხრა "კეთილი იყოს თქვენი მობრძანება თქვენს მონასტერში!" მან ბევრი მესაუბრა ივერიონის მონასტრის შესახებ, განსაკუთრებით ბიბლიოთეკისა და ქართული ხელნაწერების შესახებ და მითხრა, რომ ხვალ ყველაფერს დაგვათვალიერებთ გულდასმით. მე როცა ვუთხარი მას, რომ მე ყველაფრის ნახვა მაინტერესებს და რომ ყველაფერ აქ ნახულს ქართველებს გავაცნობ მეთქი, მას ეს გაუხარდა; გაუხარდა აგრეთვე, როცა ვუთხარი, რომ ყოველი ქართველი, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს ის, მეტად დაინტერესებულია ივერიონის მონასტრის ბედით და მზად არის თავისი წვლილი შეიტანოს ამ მონასტრის მოვლა-პატრონობაში, რომ ეს უდიდესი კულტურის ცენტრი შენარჩუნებულ იქნეს მეთქი.

ჩემს შეკითხვაზე, თუ რამდენი ბერი ცხოვრობს

ახლა მონასტერში, მიპასუხა, რომ მხოლოდ "სამოცდა-ათამდე, ძველად კი აქ ორ-ასამდე ბერი იყო; მაგრამ დღეს ახალგაზრდობას უფრო ფული და ავტომობილი აინ-ტერესებს ძნელია ახალგაზრდობის გულის მოგებაო!"

მისმა ამგვარმა, თითქმის, უიმედო პასუხმა, ცოტა არ იყოს, ჩამაფიქრა: ნუთუ უკვე ბერძნებსაც უჭირს მიიზიდოს ახალგაზრდობა და ივერიონის მონასტრის ბერთა რაოდენობა აიყვანოს, გაზარდოს საჭირო დონემდე? ჩემის აზრით, ამაში ბრალი მიუძღვის, ნაწილობრივ მაინც, ამ მონასტრის ხელმძღვანელობასაც; საქმე იმაშია, რომ დღეს, მეოცე საუკუნეში, ატომის ხანაში, უთუოდ საჭიროა, რომ ამ მონასტრის წესრიგიც შეთავსებული იქნეს თანამედროვეობასთან. მაგალითად, დღესაც ივერიონის მონასტერში ჭრაქის ლამპებია, რომელიც, როგორც ცნობილია, ნავთით ინთება; გზები, როგორც აღვნიშნე, საერთოდ არ არსებობს: მხოლოდ დანო-დან ალის ერთი პრიმიტიული გზა კარიესამდე და კარიესიდან შემდეგ ივერიონამდე და ესაა მთელი გზა, სადაც ზაფხულობით შეუძლია მოძრაობა ათონის მთაზე მხოფ ერთადერთ დაძველებულ ავტობუსს. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ერთი მსუბუქი ძველი ტიპის ავტომობილი დავინახე აგრეთვე ივერიონის მონასტრის წინმდება-რე ბაღში, მაგრამ არ ვიცი, თუ რა დანიშნულება აქვს ამ ავტომობილს და ისიც არ ვიცი, თუ საერთოდ წესრიგშია ის თუ არა. სატელეფონო ხაზი, როგორც მით-ხრეს, არსებობს მხოლოდ კარიესსა და თესალონიკს შორის. ცალკეულ მონასტრებს შორის კი სატელეფონო ხაზი საერთოდ არ არსებობს. მხოლოდ ორი მონასტერი დაკავ-შირებულია სატელეფონო ხაზით კარიესთან - ესენია - ივერიონი, ვატოპედი, დიდი ლავრა და ჩილანდარი, ხოლო ამ მონასტრებს შორის სატელეფონო ხაზი არ არსებობს. გარდა ამისა, ათონის მთაზე დაშვებული არ არის შინაური საქონლის ყოლა, რის შედეგად მათ არ გააჩნიათ ხორცი, ყველი და საერთოდ ხორცისა და რძის ნაწარმი; მინიმუმამდეა დაყვანილი აგრეთვე ტურისტთა მიმოსვლა, რაც კიდევ უფრო ასუსტებს ამ წმინდა მთის საარსებო საშუალებების დაგროვებას. ერთი სიტყვით, ყველა ასეთი შევიწროებანი, ალბათ, აფრთხობს ღრმა მორწმუნე ახალგაზრ-დებსაც კი გახდნენ ბერი. მაგრამ ყველაზე უფრო დიდ პრობლემად მიმაჩნია კიდევ ის ფაქტი, რომ ივერიონის მონასტერმა "ქართული ტრადიცია" ვერ შეინარჩუნა და ის მხოლოდამხოლოდ "ლოცვის ტაძრად" იქცა. სანამ ივერიონის მონასტერი ქართველთა ხელში იყო, ივერიონი იყო არა მარტო "ლოცვის ტაძარი", არამედ ამას თანავეჯლიტერატურულ-მეცნიერული კვლევა-ძიების კერა; და ლიტერატურულ-მეცნი-

რული კვლევაძიება მარტო ქრისტიანობის მსოფლმხედველობითაც არ კმაყოფილდებოდა, როგორც ცნობილია,მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკაში არის,1665 წელს რუსს არსენ სუხანოვის მიერ ივერიონის მონასტრიდან ჩატანილი ხელნაწერები,რომელთა შორის ანტიკური საბერძნეთის ცნობილი მწერლების - ესქილეს,სოფოკლეს ტრაგედიები,არისტოფანეს კომედიები,ჰომეროსის ილიადა და ოდისეა,პინდაროსის და სხვათა ნაწარმოებები. ყველაფერი ეს კი ცხადჰყოფს, რომ დღეს ივერიონის მონასტრის მოღვაწეობა შეზღუდულია, ვიდრე ეს იყო იმ დროს,როცა ეს მონასტერი ქართველთა ხელში იყო; და რა გასაკვირია, რომ დღეს,ატომის ხანაში, ძნელია ახალგაზრდა ბერთა გულის მოგება, თუ გინდ ღრმა მორწმუნენი იყონ ისინი! ალბათ, ივერიონის დღევანდელი ხელმძღვანელობა ადრე თუ გვიან მიიღებს ყველა ამ მომენტებს მხედველობაში, რომ შეიზიდონ ახალგაზრდობა და ამით ისევ თანდათანობით გაზარდონ ბერთა რაოდენობა ივერიონის მონასტერში. რა თქმა უნდა, ჩვენც ქართველებსაც შეგვიძლია განსაზღვრული როლის თამაში ამ საქმეში: ბიბლიოთეკარმა მომითხრო, რომ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი - ეფრემ მე-II იყო ივერიონის მონასტერში 1963 წელს, როცა აღინიშნულ იქნა ათონის წმინდა მთის ათასი წლის თავი. მან მეტად კარგი და გულთბილის სიტყვებით მოიხსენა მისი უწმინდესობა,სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი-ეფრემ მე-II-ე. მაგრამ მეტი არაფერი არ თქვა. მე კი მოველოდი, რომ ივერიონის მონასტერსა და სრულია-საქართველოს საპატრიარქოს შორის უკვე არსებობს მჭიდრო კავშირი,რა თქმა უნდა, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს მეშვეობით; და ეს კავშირი განსაზღვრული პრაქტიკული ნაბიჯების განხორციელების შესაძლებლობას ისახავს! მაგალითად, ნუთუ სრულიად საქართველოს საპატრიარქოს არ შეუძლია აწარმოოს მოლაპარაკება ივერიონის მონასტრის ხელმძღვანელობასთან, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს თანხმობით, რომ ისევ დაშვებულ იქნეს ქართველი ბერები ამ ქართულ სავანეში? ამის განხორციელება მით უფრო შესაძლებელია დღეს,ვინაიდან,როგორც ივერიონის ბიბლიოთეკის გამგემ თქვა, -"ახალგაზრდა ბერთა შოვნა მონასტრისათვის მეტად ძნელი გახდა საბერძნეთში!" ჩვენ გვჯერა, რომ სრულიად საქართველოს საპატრიარქოს,უეჭველად გადადგმული აქვს ამ მიმართლებით ნაბიჯები, და,ალბათ, ახლო მომავალში ივერიონის მონასტერს ისევ ეწვევა ქართველი

ბერები,რომ მათ ჩვენი მამაპაპათა ტრადიცია განაგრძონ ამ ქართულ კულტურის ერთერთ უძველეს ცენტრში. ამგვარი იმედები იმ ფაქტმა ჩამინერგა, რომ როცა 1967 წლის 26 იანვარს ათონის მთის სამხრეთ-დასავლეთით-მდებარე პაწარა ნავსადგურში – დაფნიში მივედი და იქ ავტობუსში,დაახლოებით,ხუთამდე რუს ბერს გავეცანი და ლაპარაკი ჩამოუგდე ივერიონის შესახებ, მითხრეს, რომ "ალბათ,ივერიონის მონასტერშიც გამოჩნდებიან ქართველი ბერები საქართველოდან!" მე როცა მეტად დავინტერესდი ამგვარი აზრით, ერთმა მათგანმა მითხრა რომ"ის ორი თვის წინათ წამოვიდა მოსკოვიდან და ახლა სამუდამოთ რჩება რუსულ მონასტერში ათონის მთაზე. მანვე თქვა, რომ ამ წელში სულ ოთხი ბერი ჩამოვედით მოსკოვიდან ათონის მთაზე,რუმინეთიდან სამი ბერი მოვიდა და,ალბათ, ქართველებიც წაბაძავენ ჩვენს მაგალითსა!" "მართალია, – განაგძო მან– –ქართველთა მონასტერში ახლა ქართველი ბერი არ არის და ეს,ცოტა არ იყოს, სიძნელეს შექმნის ამ გზაზე,მაგრამ მე გასულ კვირაში ვიყავი ივერიონის მონასტერში და,ვფიქრობ,ამგვარი მოლაპარაკების წარმოება უკვე შესაძლებელია ივერიონის მონასტრის წინამძღვართან!" შემდეგ ამ ბერმა მომითხრო,რომ ის ორი წლის წინათ იყო საქართველოში და აღტაცებული იყო საქართველოთი,ქართველი ხალხით და საერთოდ ჩვენი ერის ყოფა-ცხოვრებით. მე კი მისი სიტყვების ის ნაწილი ჩამრჩა თავში,რომლითაც მან მეტად დამაჯერებელი იმედი გამოთქვა,რომ "ქართველებიც წაბაძავენ რუმინელებს,ჩვენ-და უთუოთ მალე გამოგზავნიან საქართველოდან რამდენიმე ბერებს ივერიონის მონასტერშიო!" მჯერა,ვიმეორებ,რომ ეს იმედი მალე ფრთებს შეისხამს და ფაქტი გახდება.

მაგრამ განვაგრძოთ ჩვენი მონასტრის ამბავი: ივერიონის ბიბლიოთეკის გამგესთან საუზმის დროს,1967 წლის 26 იანვრის საღამოს, მეორე-დღეს,ე.ი.27 იანვრის თვალიერების მონასტრის და ასე განვმარტოთ ერთმანეთს. პირველად,დილის 4 საათზე უნდა დავსწრებოდი ბერთა ლოცვას: და ვინაიდან უკვე ღამის 11 საათი იყო,საჩქაროთ ვივახშმე მონასტერში: მომიტანეს მაკარონი,თეთრი პური და წითელი ღვინო,რომელიც,როგორც მითხრეს, "ივერიონის ქართულ მამულშია მოწეული." მე ისე ვიყავი აღელვებული ასეთი სტუმართმოყვარეობით,განსაკუთრებით ივერიონის მონასტრის ნახვით, რომ ჭამა ვერ შევძელი,მაგრამ ქართულ მამულში მოწეული აქაური ღვინო როგორ შემეძლო არ დამელია?

წამიყვანეს შემდეგ დასაძინებელ მეტად სუფთა ოთახში, ცხრას ბუხარში ცეცხლი დაანთეს და ერთ ბერძენ სტუმართან ერთად გავმართეთ საუბარი - მიმიკური საუბარი, ვინაიდან მან (მხოლოდ) ბერძნული იცოდა. გავიგე, რომ ის სატელეფონო ხაზებს ამოწმებს ათონის მთაზე და დაწვრილებით მომიყვა, თუ როგორ ამოწმებს ის ცალკეული მონასტრის კავშირგაბმულობას კარიესთან. შემდეგ დავწექით, მაგრამ არ მეძინებოდა! ვფიქრობდი ამ მონასტრის წარსულსა და აწმყოზე და, ალბათ, გვიან ჩამეძინა, მაგრამ ღამის ორ საათზე ტურის საშინელმა კივილმა გამომაღვიძა; გამახსენდა საქართველო, ჩემი სოფელი!.. განსხვავება ის იყო მხოლოდ, რომ, რატომღაც, ერთადერთი ტურა კიოდა, მაგრამ ისე საშინლად, რომ მთადაბარს აწრიალებდა. მე მინდოდა ავმდგარიყავი და ეს ჩამეწერა მაგნიტოფონის ფირზე, მაგრამ მომეხათრა ბერძენის, რომელსაც ძინავდა. ტურის კივილი ჯერ ისმოდა დაახლოებით 300 მეტრის დაშორებით, ხოლო შემდეგ თანდათანობით დაუახლოვდა მონასტერს და პოლოს თითქმის ჩვენი ფანჯრის პირდაპირმდებარე ფერდობზე გაიარა, ვინაიდან საშინელი კივილი ისმოდა ჩვენს ოთახში. შემდეგ კი ყველაფერი ისევ მიყუჩდა; მე კი მაინც არ მეძინებოდა...
მაშ, დღეის-წორს აძავე დროს, ვისაუბროთ ისევ ივერიონის მონასტრის შესახებ. მანამდე გამარჯვებით.

(ივერიონის მონასტრის ზარების რეკა...)

თქვენ ისმენთ ივერიონის მონასტრის ზარების რეკას ათონის მთაზე...

(ზარების რეკა...)

================================

ქართული რედაქცია

ავტორი: ინასარიძე

## რადიორეპორტიორის დღიური - VIII.

## ივერიონის მონასტერი ათონის მთაზე - 3.

რეპორტიორი: (სტანდარტული დასაწყისი, გვ. 1 და 2 ).

ჩვენს წინა რვა საუბარში, პატივცემულო თანამემამულენო, გესაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ვინახულე ჯვარის მონასტერი იერუსალიმში და სამი დღის იქ ყოფნის შემდეგ, როგორ ვიმოგზაურე კონსტანტინეპოლში-სტამბოლში და ვინახულე იქ ქართული კათოლიკური მონასტერი. შემდეგ გესაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ მივედი ათონის მთაზე ივერიონში მონასტერში და როგორ გულთბილად მიმიღეს იქ ქართულ სავანეში ბერძენმა ბერებმა. დღეს მოგითხრობთ, თუ როგორ დავათვალიერე ივერიონის მონასტერი და გაგაცნობთ მის დღევანდელ მდგომარეობას. მაშ, შეუდგეთ ამ ჩვენი მონასტრის დათვალიერებას:

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე ივერიონის მონასტრის ეზოდან..."

რეპორტიორი: დილის სამ საათსა და 30 წუთზე, 1967 წლის 27 იანვარს, მოვიდა ჩემთან საძინებელ ოთახში ერთი ბერძენი ბერი და გამაღვიძა: მითხრა "საჩქაროდ ჩაიცვი წავიდეთ დილის წირვაზეო." მეც საჩქაროდ ჩავიცვი და მასთან ერთად გავუდექით გზას. გამოვედით ბალკონზე. ჯერ კიდევ მეტად ბნელოდა. გავემართეთ ივერიონის მონასტრის მთავარი ტაძრისაკენ... ვუახლოვ-დებოდით ამ ტაძარს, უკვე ისმოდა ბერთა წირვა.. შევედით ტაძარში და წირვა უკვე დაწყებული იყო...

(ფირი: წირვა...) - 30

რეპორტიორი: შევედი რა ივერიონის მონასტრის მთავარ ტაძარში, ჩემმა გამცი-

ლეზელმა-ზერ მა-მიმითითა ერთ ადგილზე - სამხრიდან გადაცხილულ საჯდომზე - სადაც უნდა დავმდგარიყავი. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიაში მხოლოდ რამდენიმე სანთელი ენთო და ამიტომ ბნელი იყო მთელი გარემოს დანახვა, მე მაინც შევნიშნე, რომ საჯდომები მხოლოდ ტაძრის იმ კედლებთან იყო მიშენებული, სადაც სიმყუდროვე იყო...

(ფირი· ზირვა....) - 30
=====================

....თითქმის,ყველა,ამ სამხრიდან გადაცხილულ საჯდომზე კი არ იჯდენ,არამედ იდგნენ და მკლავებით დაყრდნობილი იყვნენ საჯდომის მკლავის დასაყრდენზე. ბერები იმდენი არ იყო,რამდენიც საჯდომი;ამიტომ მხოლოდ აქა-იქ მოსჩანდა ბერთა სილუეტები...

(ფირი· წირვა...) - 30
=====================

...წირვა,როგორც გესმით,პატივცემულო თანამემამულენო, დიალოგის სახით ატარებს: ჯერ ერთი გალობს,შემდეგ მეორე,შემდეგ მესამე,შემდეგ ორი ერთად, და ასე შემდეგ. თვით ეკლესიაში კი ხან ერთ მხარეს აინთება სანთელი,ხან მეორეს;ხან გუმბათის უკანა ნაწილიდან ჩამოუშვებენ ხოლმე კანდელს,აანთებენ და ისევ მაღლა აწევენ... ერთი სიტყვით, წირვა-ლოცვა აქ საუკუნოებრივი წესრიგით მიმდინარეობს,რომელიც მეტად შთამაგონებელია...შთამაგონებელია, მიუხედავად იმისა, რომ სიტყვები,ენა ბერძნულია,რაც მე არ მესმის... ვინ იცის,რამდენი დრო გავიდა მას შემდეგ,რაც აქ,ივერიონის მონასტრის მთავარ ეკლესიაში ქართული გალობა,წირვა არ აჟღერებულა!?

(ფირი· წირვა...) - 30
=====================

...დაახლოებით ორი საათი დავყავი ივერიონის მონასტრის მთავარ ტაძარში და ვუსმენდი ამ ქართულ მონასტერში ბერძენ ბერთა წირვას-დიალოგს,რაც ჩემში ისეთ შთაბეჭდილებას ქმნიდა, რომ თითქოს მე აქ ბერძნული კლასიკური ტრაგედიის მაგვარ თეატრალურ ინსცენირებას ვხედავ,ჩასმულს ქრისტიანობის სამოსელში. გამანცვიფრა აგრეთვე ზოგიერთ მოხუც ბერთა მეტად მხატვრულმა გალობამ-რეჩიტაციამ...ერთი,დაახლოებით 70 წლის ასაკის,ბერი,წარმოიდგინეთ, კითხულობდა რა თავის მონოლოგს პატარა სანთლის სინათლეზე,სათვალეებიც კი არ ჰქონდა!.. საერთოდ აქ ბერები-მოხუცები სათვალეებით მხოლოდ მონასტრის მმართველ-

თა შეკრებულობაზე ვნახე,რომლის შესახებ კიდევ ვილაპარაკებთ.ვინაიდან ტაძა
ში მეტად სიცივე იყო, დაახლოებით 6 საათზე დავტოვე წირვა და გა-
ვედი მონასტრის ეზოში. კიდევ ისე ბნელოდა, რომ დავბრუნდი მონას
ტრის სასტუმროში და ველოდებოდი გათენებას.

გათენდა თუ არა, მაშინვე მოვიდა ჩემთან ივერიონის მონასტრის
ბიბლიოთეკის გამგე და შევუდგექით მონასტრის დათვალიერებას. მას თან ახლდა
კიდევ ერთი ახალგაზრდა ბერი,რომელიც ებმარებოდა მას მონასტრის
დღევანდელი და ისტორიული ძეგლების განმარტებაში? ეზოში
ჯერ დავათვალიერეთ სამრეკლო და შემდეგ შევედით მთავარ ტაძარში,სადაც,რო-
გორც ავღნიშნეთ, დილის 4 საათიდან 7 საათამდე ტარდებოდა წირვა. ახლა უკვე
დღისსინათლე შეჭრილიყო ტაძარში. შევედით თუ არა ბიბლიოთეკარმა მიმიყვანა
ტაძრის შუაგულში და მარჯვენა იატაკის შუაალაგას,გუმბათის ქვეშ,მდებარე
მოვარდისფერო მარმარილოს ფიქალი,რომელსაც თეთრი მარმარილოს არშია უვლის.
ბიბლიოთეკარი და მისი თანმხლები ახალგაზრდა ბერი შეეცადენ ამ მარმარილოს
თეთრ არშიაზე წარწერილ ბერძნული ასოების ამოკითხვას...

(ფირი:ბიბლიოთეკარი...) - 31
===========================

ხმა:"...მე აღვაშენე ეს ეკლესია,რომელიც იარსებებს სამუდამოდ.გიორგი
=====
ივრინელი,დამფუძნებელი."

რეპორტიორი: ასე მითარგმნეს ამ ბერძნული წარწერის შინაარსი,წარწერისა,
===========
რომელიც მდებარეობს ივერიონის მონასტრის მთავარი ტაძრის იატაკის შუაადგი-
ლას მარმარილოს წრიულ დისკოზე. უნდა ითქვას აქვე, რომ ივერიონის მონასტრის
ეზოში სამი ეკლესიაა,რომელთაგან ყველაზე უფრო დიდი,მთავარი ტაძარი,სწორედ
ეს ეკლესიაა. ეს ეკლესია აშენებულია ბერძნული ჯვარის ფორმით. გუმბათი
დაყრდნობილია "პანტატივებზე". გუმბათის ქვეშ,შუაში მეტად დიდი დიამეტრის
ბრინჯაოს წრიული კანდელია ჩამოკიდებული; ამ კანდელის შუა კი მოჩანს
კიდევ მეორე კანდელი,უფრო პატარა,რომელსაც საერთოდ არაფერი გააჩნია
ჯვარის ფორმისა. ბიბლიოთეკარი და ახალგაზრდა ბერი განმარტავენ:

(ფირი:ბიბლიოთეკარი...) - 31
===========================

ხმა:"...როგორც ხედავთ ამ კანდელს არაფერი ქრისტიანული არ გააჩნია.
=====
ერთ ჯვარსაც კი ვერ ნახავთ მასზე. ეს კანდელი ბიზანტიის იმპერატორმა

მოიტანა სპარსეთიდან და შესწირა ივერიონის მონასტერს...არაფერი მასზე ქრისტიანული არ არის, არც ჯვარი, არც სხვა რამ...ყველაფერი ამ კანდელისა ლითონისაგან გაკეთებული..."

რეპორტიორი: ეხება რა ეკლესიის ცენტრში მარმარილოს ფილაზე ბერძნულ წარწერას, კიორკი ნოზაძე წერს, რომ აქ გიორგი-მშენებლის სიტყვები ფსალმუნიდან ამოღებული სიტყვებია: "მე დავამტკიცე სვეტნი მისნი და უკუნისამდე არ შეინძრენ" - "გიორგი მონაზონი ქართველი და აღმაშენებელი." თარიღი დაფუძნებისა ამ ფილაზე არ არის დაწერილი. კორნელი კეკელიძის აზრით, ეს (გიორგი-) გიორგი I არის, ვარაზვაჩე, რომელიც აქ იყო წინამძღვრად 1204 წელს. მაშასადამე ამ მთავარი ტაძრის დაარსება ამ პერიოდს ეკუთვნის. გიორგი მე- I კი იყო ცნობილი მწიგნობარი, გიორგი მთაწმინდელის სახელმწოდებში.

ამის შემდეგ დავათვალიერეთ ხატები, რომლებითაც მოფენილია არა მარტო ამ ეკლესიის ყოველი კედელი, არამედ თითქმის სახურავამდის ასის ხატებით მოფენილი სივრცე. მაგრამ ხატების უმრავლესობა, რომლის წარწერის წაკითხვა შეიძლება, თითქმის ყველა ბერძნულია: ქართული ხატები ერთ-, უფრო მიმალულ ადგილებშია: ეს თვითონ ბიბლიოთეკარმაც დაადასტურა, როცა თქვა, რომ "აქ ჩვენ მეტად ბევრი ქართული ხატი გვაქვსო", ხოლო ნახვა-დათვალიერება მხოლოდ ერთი ხატისა მოვასწრეთ, რომელთანაც მან მე მიმიყვანა და მითხრა წაიკითხე ეს წარწერაო. მე წავიკითხე:

(ფირი: კარლო,..) - 31

ხმა: "დედა ღვთისა, __ იესო ქრისტე, წმინდა ნათლის მამა".

რეპორტიორი: ამ ხატზე გამოხატულია დედაღვთისა, იესო ქრისტე და წმინდა იოანე ნათლისმცემელი. ქვეშ კი აწერია თარიღი: 1902 წელი. თვით სტილი ხატისა ბიზანტიურ-რუსულია. ბიბლიოთეკარმა თქვა, რომ მას ეს ხატი არქივიდან აქ მოუტანია, ვინაიდან მას ეს მოწონებია.

ამით დავამთავრეთ ივერიონის მონასტრის მთავარი საყდრის ზოგადი

დათვალიერება,გამოვედით გარეთ. ბიბლიოთეკარმა და მისმა თანმყოლმა ახალგაზრდა ბერმა დაიწყეს ლაპარაკი იმ გრანდიოზულ დღესასწაულზე,როცა ივერიონის მონასტერშიც აღნიშნეს ათონის წმინდა მთის ათასი წლის თავი.

(ფირი: ბიბლიოთეკარი-კარლო...) - 32

ხმა:" ეს იყო 1963 წელს..."

რეპორტიორი: აქვე მოვაგონე მას, რომ ივერიონის მონასტერი დაარსებულია ოცი წლის შემდეგ, 980-983 წლებში.

ხმა:როგორც ცნობილია,ათასი წლის წინათ, ე.ი. 963 წელს ათონის მთაზე დააფუძნა პირველი მონასტერი ბერმა ანტონიც ათანასემ - "დიდი ლავრა". ბერი ათანასე ყოფილა ბიზანტიის იმპერატორის - ნიკიფორე ფოკასის მრჩეველი და სულიერი მამა. ოცი წლის შემდეგ - 980-83 წლებში ათონის მთაზე ქართველებმა დაარსეს და ააშენეს ქართული მონასტერი "ივერიონი",რომელსაც ბერძნები "ივირონს" უწოდებენ. ივერიონის დამფუძნებელი - ბერი იოანე,ერისკაცობაში გვარად ჩორჩანელი სურსიძე და მისი უმცროსი შვილი - ექვთიმე,შემდეგ საეკლესიო მოღვაწე და მწერალი, - საქართველოდან გადასახლებულან ათონის მთაზე და შეჰფარებულან დიდ ლავრასთან. თვით დიდი ლავრის დამაარსებელი - ათანასე, ყოფილა დედით ლაზი (და მამით ბერძენი), ესე იგი,ნახევრად ქართველი. მალე მათ შეერთებიათ მრავალი ქართველი,მათ შორის ცნობილი მხედართმთავარი თორნიკე ერისთავი, უკვე ბერად აღკვეცილი. ქართველ ბერთა რიცხვი იმდენად გაზრდილა,რომ დიდ ლავრაში სისწრაფით შექმნილა და ათანასეს რჩევითა და კურთხევით ქართველებს,დიდ ლავრას მახლობლად,დაუარსებიათ პაწარა ეკლესია - იოანე ნათლისმცემლის სახელისა. გამოვედით რა მონასტრის მთავარი ტაძრიდან და შევხედე მის უკან მარცხნივმდებარე ამ პაწარა ეკლესიას,მაშინვე მსურდა შიგ შესვლა,მაგრამ ჩემმა მასპინძლებმა მითხრეს, რომ "მასში შესვლა ახლა არ შეიძლება,ვინაიდან რემონტი მიმდინარეობს!"

რა უნდა მექნა!? ასე ვერ შევძელი იოანე ნათლისმცემლის ხატის ნახვა. ბიბლიოთეკარმა კი მითხრა:

(ფირი: ბიბლიოთეკარი...) - 33

ხმა:"...ამ ადგილას იყო წინათ ნეპტუნის ტაძარი,რომლის ნანგრევებზე შემდეგ

აშენებულ იქნა ეს პატარა ეკლესია,რომელშიც დასვენებულია იოანე ნათლისმცემლის ხატი."

რეპორტიორი: ძალიან მეწყინა, რომ ამ პატარა ეკლესიის,ე.ი.ივერიონის მონასტრის ყველაზე უფრო ძველი ეკლესიის დათვალიერება ვერ შევძელი. შეუსაბამობას აქვს ადგილი ივერიონის მონასტრის ბიბლიოთეკარისა და გიორგი ნოზაძის ნათქვამს შორის იმ მხრივ,რომ ბიბლიოთეკარმა-ბერმა თქვა:"ამ ადგილას,სადაც ახლა იოანე ნათლისმცემლის პატარა ეკლესია დგას წინათ იყო "ნეპტუნის ტაძარი!",გიორგი ნოზაძე კი აღწერს ათანასეს ნაამბობს:

ხმა:"ეს ეკლესია მესამე საუკუნისაა და მის ადგილზე ძველად იყო აპოლონის ტაძარი.ქრისტიანებს ის დაუნგრევიათ და მის ადგილზე იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია აუშენებიათ. ამ ეკლესიის ქვეშ დამარხული არიან წარმართული კერპები,მათი ძეგლები,რათა არასოდეს მზის შუქი არ მოხვდეს მათ."

რეპორტიორი: ათანასეს ამ ნაამბობს გიორგი ნოზაძე დასძენს:

ხმა:"ეს ამბავი ცოტა საეჭვოდ მიმაჩნია - მესამე საუკუნის ნაგებობას არა ჰგავს ეს ეკლესია!"

რეპორტიორი: და ეს ეჭვი კიდევ მით უფრო დასაბუთებულია, რომ ახლა,როგორც ბიბლიოთეკარმა-ბერმა მომითხრო, - ამ ეკლესიის ადგილას არა აპოლონის,არამედ ნეპტუნის ტაძარი ყოფილა ძველად! (ნეპტუნი,როგორც ცნობილია,რომაული ზღვის ღმერთის.) მე შემექმნა შთაბეჭდილება, რომ ბერები, ([illegible]) არც კი იცნობენ ათონის მთის საერთო ისტორიას, ცალკეული ეკლესიების,ხატების თუ მონასტრების ისტორიას, და თუ იცნობენ, "საჭიროების მიხედვით" ალამაზებენ ისე,როგორც მათ მოსწონთ.უთუოდ, ბერთა ამგვარ მოქმედებაში ის მომენტიც თამაშობს მნიშვნელოვან როლს,რომ ათონის მთის ისტორიაში მეტად აღიდებენ (ბერძენი ბერები -) ბერძენთა, უთუოდ (ისედაც) მნიშვნელოვან როლს სხვა ერების მოღვაწეობის ხარჯზე. მაგრამ ყველაფერი ამის ობიექტური გარკვევა მეცნიერებს უნდა მიენდოს, და არა ჩემსავით ჩვეულებრივ მოგზაურს.

როგორც აღვნიშნე, ივერიონის მონასტერში არის, (მრავალ ეკლესიათა და სამლოცველოს შორის,) სამი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეკლესია: პირველია მთავარი საყდარი,რომელიც ჩვენ უკვე აღვწერეთ; (მეორე -) მის ჩრდილო-აღმოსავლეთით,დაახლოებით 25 მეტრის დაშორებით, მდებარე იოანე ნათლისმცემლის პატარა ეკლესია,რომელიც ყველაზე უფრო ძველი ეკლესიაა ივერიონის მონასტერში და მესამე ეკლესია,რომელიც თავის

არქიტექტურით მეტად წააგავს იოანე ნათლისმცემლის პაწარა ეკლესიას, დგას
ივერიონის მონასტრის მთავარი შესასვლელის მარჯვნივ, დაახლოებით 20 მეტრის
დაშორებით მთავარ საყდარიდან და ახლოვე მანძილით დაშორებით იოანე ნათლის
მცემლის პაწარა ეკლესიიდან. ამ ეკლესიას აქ უწოდებენ "პორტაიტის", ე.ი.
"კარის" ღვთისმშობლის ხატის ეკლესიას. ბიბლიოთეკარმა-ბერმა დიდი გასაღებით
გააღო ამ მშვენიერი ეკლესიის კარები და შევედით შიგ. მთელი ეს ეკლესია
მოფენილია ხატებით, ფრესკებით... ბერმა პირდაპირ მივიდა ოქროს ჩარჩოში
ჩასმულ ღვთისმშობლის ხატთან და ეამბორა მას. შემდეგ მითხრა:

(ფირი: ბიბლიოთეკარი...) - 33

ხმა: "ამ ეკლესიას ეწოდება "პორტაიტისა"...ანუ თვით "პორტაიტის" ღვთისმშობლის ხატის...აი შეხედეთ ხატს სახეზე: აქ ჩაარტყეს ამ ხატს ხანჯალი და ხედავთ, ხატს გამოდინდა სისხლი...შემდეგ ეს ხატი გადააგდეს ზღვაში და ზღვამ მოიტანა ათონის მთაზე, რომლის შემდეგ დაბრძანებულ იქნა აქ...ეს უკვე მსოფლიოში ცნობილი სასწაულმოქმედი ხატია...ბევრი სასწაული მოახდინა ამ ღვთისმშობლის ხატმა...ამერიკაშიც, ყველგან..."

რეპორტიორი: მართლაც, ამ ოქროსჩარჩოში ჩასმული ხატის ქვეშ, ეყარა ბეჭდები და სხვა ძვირფასეულობა, რომლებიც, ბერის თქმით, განკურნებულებს ამ სასწაულმოქმედ ღვთისმშობლის ხატისთვის.

ლეგენდა ამბობს:

ამ ღვთისმშობლის ხატის ისტორია-

ხმა: ბიზანტიის იმპერატორ - თეოფილეს (829-842) დროს ატეხილა დავა ამ ღვთისმშობლის ხატის თაყვანისმცემელთა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. იმპერატორი მიმხრობია მოწინააღმდეგეებს და მეფის ერთ მოხელეს ქალაქ ნიკეაში აღმოუჩენია გადამალული ხატი და გაჯავრებულს ხმალი დაუკრავს ღვთისმშობლის სახეზე; ხატს კი სისხლი გამოსვლია...მოხელე გიჟივით გაქცეულა, ხოლო შეშინებულ დედაკაცს ეს ხატი ზღვაში გადაუგდია. ზღვას ეს ხატი ათონის მთის ნაპირთან მიუტანია და ღამღამობით თურმე ხატს ზეციური სხივები ეცემოდა და ანათებდა. ბერებს გადაუწყვეტიათ ამ უცნაური [illegible], მაგრამ მიახლოებისას ხატი მათ შორდებოდა. ერთ დღეს კი მათ მოესმათ ხმა: "ხატის გამოყვანის ღირსი არის მხოლოდ ქართველი ბერი გაბრიელი!" მონასტერში კი ბერი გაბრიელი არ აღმოჩნდა; მაგრამ დიდი ძებნის შემდეგ, ათონის მთის ერთ

მიყრუებულ ადგილას-აღმოუჩენიათ დაყუდებული ბერი გაბრიელი.მას აუხსნეს თურმე საქმის ვითარება,მაგრამ მას უარი უთქვამს ნავში ჩაჯდომაზე.იგი ფეხით წასულა ზღვაზე და ხატი მას მიახლოვებია. შემდეგ ეს ხატი დაუსვენე-ბიათ ივერიონის მონასტერში. ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით, ამასთან მეხრაზ ნაცოხხ აუშენებია ამ ხატისათვის მონასტრის კარებთან პაწარა გუმბათიანი ეკ-ლესია,სადაც ეს ხატი დაუსვენებიათ.ამიტომ უწოდებენ ამ ხატს ბერძნები "პო-რტაიტისას" ანუ "კარისა".ყვარყვარე ათაბაგს ეს ხატი მოუჭედინებია და მდი-დრულად შეუმკია.

მართლაც, დღესაც დიდ შთაბეჭდილებას ახდენს ამ ხატის მდიდრულად და დიდი გემოვნებით შექმნილი ჩარჩო,რომლისგან ამ სასწაულმომქმედი ღვთისმშო-ბლის სახე და განსაკუთრებით ის ადგილი,სადაც ხანჯალი დაურტყამს იმპერატორ თეოფილეს მოხელეს, კარგად მოჩანს.მაგრამ ამ ხატის შესახებ არსებობს სხვა ლეგენდებიც,როგორც ეს ჩვეულებრივი მოვლენაა ხოლმე ყოველი "სასწაულისმომქ-მედი" ხატისათვის.

გამოვედით რა "პორტაიტის" პაწარა გუმბათიანი ეკლესიიდან, ბი-ბლიოთეკარმა ბერმა დამათვალიერებია ივერიონის მონასტრის ეზო,რომლის სამი მთავარი ეკლესია,როგორც აღვნიშნე, წყალზე უფრო მნიშვნელოვანი ნაგებობაა, მას დასავლეთ-სამხრეთით-მდებარე მაღალ,დაახლოებით 35 მეტრის სიმაღლის სამრეკლოსთან ერთად. ყველა ეს ეკლესია,სამრეკლო და სხვა მიშენებული ნა-გებობანი-მთლიანად გარშემორტყმულია ორ-სამ და მეტ სართულიანი შენობებით, რომელთა ჩრდილოეთ მხრიდან მდებარეობს მთავარი შესასვლელი,რომლის პორტალი-დამშვენებულია თეთრი სვეტებით.

სმა'როგორც ცნობილია, ივერიონის მონასტრის გაძლიერება-გამდიდრებას დიდათ ხელი შეუწყო თორნიკე ერისთავმა. მეათე საუკუნის მიწურულში, ბიზანტიის მცირეწლოვან იმპერატორებს - ბასილს და კონსტანტინეს - აუჯანყდა იმპერიის აღმოსავლეთი მხარის მმართველი - ბარდას სკლაროსი,რომელმაც სას-ტიკად დაამარცხა იმპერატორთა ლაშქარი და თვით კონსტანტინეპოლსაც დაემუქრა

ამ დროს ცნობილი ქართველი მხედართმთავარი და სტრატეგი - თორნიკე ერის-თავი გამდგარი იყო ბერად ათონის მთაზე;და ბიზანტიის დედოფალმა - თეოფანა - გადაწყვიტა დახმარება ეთხოვა საქართველოს მეფე - დავით კურაპალატისა-თვის და დიდი ხვეწნის შემდეგ დაითანხმა თორნიკე ერისთავი გამგზავრებული-ყო საქართველოში დედოფლის სავედრებელი წიგნით. მეფე დავით კურაპალატმა შეაგროვა 12.000-ზე მხედარი და მის სარდლად თვით თორნიკე ერისთავი და-ნიშნა. საქართველოს ჯარმა სასტიკად დაამარცხა აჯანყებულები და დიდძალი ქონება ჩაუვარდათ ხელში,რომლის ერთი ნაწილი თორნიკე ერისთავს ერგო; მან კი ეს ქონება ივერიონის მონასტერს შესწირა და ამის წყალობით ქართული მონასტერი - ივერიონი - გაადიდეს და გაამდიდრეს. საერთოდ, მონასტრების დაარსება-მშენებლობა ისეთი ტემპით განვითარდა შუა-საუკუნეებში, რომ ათო-ნის მთაზე მაშინ უკვე 180 მონასტერი არსებობდა; ხოლო როცა თურქეთმა ჯერ კონსტანტინეპოლი და შემდეგ მთელი საბერძნეთი დაიპყრო,მონასტრთა რაოდენობა თანდათანობით შემცირდა და 1822 წელს მხოლოდ 21 მონასტერი დარ-ჩენილა,სადაც წირვა-ლოცვა გაისმოდა. ახლა,კი,როგორც აღვნიშნეთ, ათონის მთაზე 20 მონასტერია. ბიბლიოთეკარმა-ბერმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმი-სა - ევროპაში და საერთოდ ათონის მთის რაიონშიაც-დიდ ისტორიულ ძეგლებს ჰქონდა ადგილი ამ ათასი წლის განმავლობაში, ათონის მთა მაინც ხელუხლებე-ლი დარჩა; წარმოიდგინეთ, თვით თურქებმაც და ჰიტლერელებმაც კი ვერ გაბედეს ამ წმინდა მთის იარაღის ძალით დაპყრობა და მის შინაურ საქმეებში ჩარე-ვაო!..

ამის შემდეგ დავათვალიერეთ ივერიონის მონასტრის ბიბლიოთეკა. შემდეგ შევხვდი ივერიონის მონასტრის წინამძღვარს და მის უახლოეს თანამ-შრომლებს,შემდეგ მოვისმინეთ ივერიონის ზარების რეკა,რაც მე მაგნიტოფონის ფირზე ჩავწერე და ბოლოს გავედი ივერიონის მონასტრიდან გარეთ,დავათვალი-ერე ამ მონასტრის მამული,ნავსადგური, ბუნება...მაგრამ ამის შე-სახებ გესაუბრებით ჩვენს შემდეგ საუბარში დღეისწორს,ამავე დროს. მანამდე კი ნახვამდის ეთერში.

(ივერიონის მონასტრის ზარების რეკა...)

თქვენ ისმენთ ივერიონის მონასტრის ზარების რეკას...

(ზარების რეკა...)

ქართული რედაქცია

ავტორი: ინასარიძე

## რადიორეპორტიორის დღიური - IX.

## ივერიონის მონასტერი ათონის მთაზე - 4.

**რეპორტიორი:** (სტანდარტული შესავალი, გვ. 1 და 2.)

ჩვენს წინა საუბარში, პატივცემულო თანამემამულენო, ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ვინახულე ჯვარის მონასტერი იერუსალიმში და სამი დღის იქ ყოფნის შემდეგ, როგორ ვიმოგზაურე კონსტანტინეპოლში-სტამბოლში და ვინახულე იქ ქართული კათოლიკური ეკლესია-მონასტერი. შემდეგ ვისაუბრეთ ჩემი მოგზაურობის შესახებ ათონის მთაზე; და თუ როგორ გულთბილად მიმიღეს ივერიონის ქართულ მონასტერში ბერძენმა ბერებმა. შემდეგ დავათვალიერეთ ივერიონის მონასტრის მთავარი საყდარი, "პორტაიტის" პატარა ეკლესია და იოანე ნათლისმცემლის პატარა ეკლესია, რომელშიც დასვენებულია იოანე ნათლის-მცემლის ხატი. დღეს ჯერ დავათვალიერებთ ივერიონის მდიდარ ბიბლიოთეკას, შემდეგ ვისაუბრეთ, თუ როგორც შევხვდი ივერიონის მონასტრის წინამძღვარსა და მის უახლოეს თანამშრომლებს; შემდეგ მოგითხრობთ, თუ როგორ ჩავწერე ივერიონის მონასტრის ზარების რეკვა მაგნეტოფონის ფირზე; და ბოლოს ივერიონის დღევანდელ საერთო მდგომარეობასაც.

მაშ, შევუდგეთ მონასტრის ბიბლიოთეკის დათვალიერებას:

(ფირი: ბიბლიოთეკარი...) - 34

**ხმა:** "ამ ბიბლიოთეკაში არის 2.000 ცალი მანუსკრიპტები-ხელნაწერები. მეტად ძველი ხელნაწერებია" მე-8 საუკუნისაც კი. ყველა ეს ხელნაწერი ქართულია.

**რეპორტიორი:** მართლაც საუცხოოდაა მოვლილი ეს ბიბლიოთეკა, რომელიც მთავარი საყდრის წინა ნაწილში, მეორე სართულზე მდებარეობს. მეორე სართულზე ასასვ-

ლელი კარი       და შემდეგ მეორე სართულზეც ჩაკეტილია; ხოლო თვით ხელნაწე-
რების ოთახებში შესასვლელი კიდევ დიდი გასაღებითაა ისე ჩაკეტილი, რომ აქ
მართლაც რომ არავის არ შეუძლია შესვლა, თუ არა ბიბლიოთეკარის თანხლებით.
თვით ქართული ხელნაწერები თაროებზე აწყვია, მაგრამ ეს თაროები წინიდან
დაფარულია მავთულხლართებიანი კარებით, რომლის გაღების გარეშე შეუძლებე-
ლია, საერთოდ, ხელნაწერების გამოღება. ხელნაწერები შეკრულია ტომებად: ყოვე-
ლი ფურცელი ცალცალკეა აღნუსხული კატალოგში. ბიბლიოთეკარმა-ბერმა, შევე-
დით თუ არა ქართული ხელნაწერების ბიბლიოთეკაში, მაშინვე მიმიყვანა იმ
ადგილას, სადაც ძევს ქართული უძველესი ბიბლია.

(ტირი: ბიბლიოთეკარი-ბერი ...   ) - 34

ხმა: "ეს არის ჩვენი უძველესი ბიბლია...24 კილოა..."

რეპორტიორი: ეს ქართული ბიბლია, რომელიც თაროს ულაბლეს რიგში იდვა, დიდი
ჯაფით გამოვიღე და დავდევი მაგიდაზე. ბიბლიოთეკარმა მითხრა, რომ მას
უკვე ამ უმველებელი წიგნის გამოღება და მაგიდაზე დადება აღარ შეუძლია, ვი-
ნაიდან ის უკვე მეტად მოხუცებულია. ეს ბიბლია ჩასმულია მავ ყდაში და შეი-
ცავს პერგამენტის ფურცლებს. ეს ქართული ბიბლია დაწერილია ხუცური ანბანით,
მაგრამ ისეთი დიდი ოსტატობით, რომ კაცს ეგონება დაბეჭდილიაო. ამ ბიბლიის
შესახებ გიორგი ნოზაძე წერს:

ხმა: "ეს, ოშკის ბიბლიის უძვირფასესი ხელნაწერი შესრულებულია 978 წელში.
ქართველი მეცნიერები მას დიდ ყურადღებას აქცევენ. ლ. მენაბდის ცნობით,
1849 წელს პლატონ იოსელიანს იგი ათონიდან თბილისში მიუტანია; ის გადაუწე-
რიათ ორ ცალად: ერთი სამეგრელოს მთავრის, დავით დადიანისათვის, ხოლო მეო-
რე - თბილისის სიონის ტაძრისათვის. შემდეგ ეს ბიბლია დაუბრუნებიათ ისევ
ათონის მთაზე."

რეპორტიორი: მოვუყევი რა ეს ამბავი ბიბლიოთეკარ-ბერს, მან ამის შესახებ
არაფერი იცოდა. ამ ბიბლიას, სხვათა შორის, აქვს წარწერა მხედრული ანბანით.
"წავიკითხე და განვიხილე წიგნი ესე აქა მთასა წმინდას ყოფნისა ჩემსა.
პლატონ იოსელიანი."

ამის შემდეგ ბიბლიოთეკარმა-ბერმა მაგიდაზე დადო წიგნი...

(ტირი: კარლო-ბერი...) - 34

ხმა: "...ეს წიგნი "ბალავარიანია"

რეპორტიორი: გადავშალე ეს უძვირფასესი წიგნი, შესა-
ნიშნავია. "ბალავარიანი" არის პირველი ქრისტიანული რომანი საერო. მისი
ავტორი/ცნობილი მწერალი, ივერიონის მონასტრის წინამძღვარი - ექვთიმე მთა-
წმინდელი, რომელიც მეათე საუკუნეში ცხოვრობდა ივერიონის მონასტერში. მან
"ბალავარიანი" ქართულიდან ბერძნულად თარგმნა, ხოლო შემდეგ ბერძნულიდან
გავრცელდა მთელ ქრისტიანულ მსოფლიოში. "ბალავარიანის "ერთი ხელნაწერი
ყოფილა პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში, მეთუთხმეტე საუკუნის ტექსტით, რო-
მელზედაც ყოფილა წარწერა, რომ იგი ექვთიმე ივერიელმა თარგმნა ქართულიდან
ბერძნულად. ვენეციაში, წმინდა მარკოზის ბიბლიოთეკაშიც, ყოფილა მეთერთმეტე
საუკუნის იგივე ხელნაწერი ანალოგიური წარწერით. ჩვენმა მეცნიერებმა -
ნიკო მარმა, ივანე ჯავახიშვილმა, პავლე ინგოროყვამ და შალვა ნუცუბიძემ კი
საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ "ბალავარიანის "ბერძნული ტექსტის ავტორია -
ექვთიმე მთაწმინდელი. გასაკვირი არ არის, რომ მაქვს რა ახლა ეს წიგნი ხელ-
ში და ვფურცლავ, სიამაყის გრძნობას ჰბადებს ჩემში ეს ამბავი!

ამის შემდეგ ბიბლიოთეკარმა-ბერმა მაჩვენა ივერიონის მონასტრის ბიბ-
ლიოთეკის ხელნაწერთა კატალოგი:

(ფირი: ბერი-კარლო...) - 34

ხმა: "აი ეს არის ამ ბიბლიოთეკის ხელნაწერთა კატალოგი. ყოველი ფურცელი
ხელნაწერისა დანომრილია და აქ არის აღბეჭდილი, ასე რომ შეუძლებელია ხელ-
ნაწერთა ერთი ფურცელიც კი დაიკარგოს..."

რეპორტიორი: ბიბლიოთეკარმა-ბერმა მაჩვენა არა ერთი, არამედ ორი კატალოგი:
ერთის ბლეიკის მიერ, ხოლო მეორე ლუმენილის მიერ შედგენილი. აქ თავმოყრილი
ხელნაწერები უმთავრესად ტაო-კლარჯეთის სავანეებიდანაა მოტანილი. როცა ეს
მხარე მე-15-მე-16 საუკუნეებში თურქებმა დაიპყრეს, ქართული მონასტრები ისწ-
რებოდნენ და ბერებს თავიანთი ხელნაწერები მიჰქონდათ ათონის მთაზე, რათა
იქ განეგრძოთ მოღვაწეობა.

ამის შემდეგ ბერმა მაჩვენა მისი ჩანაწერი და თქვა:

(ფირი: ბერი... ) - 34

ხმა: "აქ მაქვს ჩაწერილი, თუ როდის გარდაიცვალა უკანასკნელი ქართველი ბერი

ივერიონის მონასტერში` ბერი ცისნი,ასე ეთქვა მას, გარდაიცვალა 1956 წლის 6 თებერვალს.ის იყო მეტად პატიოსანი და სათნო ადამიანი..."

რეპორტიორი` მე მომაგონდა, რომ ის "ფალავა" და როცა მე ეს მას უთხარი, მან მითქრა`

(ფირი`ბერი...) - 34

ხმა` "შეიძლება,შეიძლება..."

რეპორტიორი` ამის შემდეგ ბიბლიოთეკარმა მომიყვა, რომ ივერიონის ბიბლიოთეკის სანახავად და გამოსაყენებლად მოდიან მონასტერში მეცნიერები თბილისიდან,რაც "სრულიად ნორმალურია" თქვა; მაგრამ აგრეთვე ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდანაც და ამერიკიდანაცო. ასე დავამთავრეთ ივერიონის ხელნაწერთა ბიბლიოთეკის დათვალიერება; ხოლო ნაბეჭდი წიგნების განყოფილებაში არ წამიყვანა,ვინაიდან მითხრა, რომ იქ ქართული წიგნები არ არისო.

ბიბლიოთეკის დათვალიერების შემდეგ,გამოვედით გარეთ გავუარეთ წინ ჯერ მთავარ საყდარს,შემდეგ "პორტაიტისის" საყდარს და ბოლოს "იოანე ნათლისმცემლის" პატარა ეკლესიას და შევედით ეზოს გარშემორტყმულ შენობაში აღმოსავლეთ ნაწილში და ავედით მეორე სართულზე. დერეფნის გავლის შემდეგ, უცბათ შევედით ერთ მოზრდილ დარბაზში,სადაც თავმოყრილი იყო დაახლოებით ათი ბერი. ცოტა არ იყოს, არ მოველოდი ; ხეთ შეკრებულობას: გამოდგა, რომ თურმე ჩემს გასაცნობათ თავი შეუყრია ივერიონის მონასტრის კრებას-წინამძღვარ ათანასეს ინიციატივით. შევედი ოთახში, ბიბლიოთეკარმა-ბერმა გააცნო ჩემი თავი ბერებს და უთხრა,რომ ეს არის "ივირონელიო!" თავაზიანად ხელი ჩამომართვეს და დამაჯინეს ცენტრალურ ადგილას. ამის შემდეგ დაიწყეს ბჭობა საქართველოს,ქართველების,ივერიონის მონასტრის შესახებ. მართალია, მე,როგორც აღვნიშნე, ბერძნული ლაპარაკი არ მესმოდა,მაგრამ ბევრი რამ გადმომითარგმნა ბიბლიოთეკარმა-ბერმა; ილაპარაკეს,მაგალითად, რომ ჩვენ ვესალმებით ყოველი ქართველის მოსვლას აქ,ვინაიდან ეს "ივირონელთა" მონასტერია და თქვენ გეკუთვნითო. შემდეგ მითხრეს, რომ მიუხედავათ იმისა, რომ აქ ქართველი ბერები დიდი ხანია არ არის, ჩვენ არც კი გვიფიქრია იმაზე, რომ ამ მონასტერს სახელი შეუცვალოთო. შემდეგ დაიწყეს საქართველოს და ქართველი ერის ქება-დიდება: თქვეს,რომ ქართველი ხალხი ლამაზი,ამაყი და მებრძოლი ხალხიაო.

შემდეგ შეაქეს საქართველოს მდიდარი და ლამაზი ბუნება. ყველაფერ ამ საუბარს ჰქონდა მეტად მეგობრული ტონი ქართველების მიმართ. ამაში, უთუოთ, მნიშვნელოვან როლსაც თამაშობდა ის ფაქტიც, რომ ბიბლიოთეკარი-ბერი, როგორც მან თქვა, ახალგაზრდობაში, მგონი, საქართველოს დამოუკიდებლობის დროს - 1918-21 წლებში, საქართველოში ყოფილა რამდენიმე ხნით და ბევრი კარგი შთაბეჭდილებები დარჩენია ჩვენი ერის შესახებ. შემდეგ საუბარი ჩამოაგდეს, საქართველოს დამსახურებული ცეკვის ანსამბლის გასტროლებზე საბერძნეთში და თქვეს, რომ ქართველმა მოცეკვავეებმა ასახელეს საქართველო! ივერიონის მონასტრის წინამძღვარმა კი სინანული გამოთქვა იმის გამო, რომ ქართველი მოცეკვავეები არ ესტუმრნენ ივერიონის მონასტერს! თქვა: "მართალია, ქალიშვილებს არ შეეძლოთ ჩვენს მონასტერში მოსვლა, მაგრამ რატომ არ მოვიდნენ მამაკაცები!?" ცოტა არ იყოს, ჯერ მეუცხოვა, რომ ასე გულახდილად ლაპარაკობდნენ ქართველე-ზე, ქართველ მოცეკვავეებზე, ვინაიდან, ვფიქრობდი, მათ მხოლოდ რელიგიური საკითხები აინტერესებთ; მაგრამ მერმე მეტად გამიხარდა, რომ ისინი კეთილი განწყობილებით უყურებს ჩვენს ერს, საქართველოს!..

ცოტა დამაკლდა, რომ გამბედაობა გამომეჩინა და შევკითხოდი, თუ ისინი დღეს დაუშვებდნენ ივერიონის მონასტერში ქართველ ბერებს... მაგრამ თავი შევიკავე ამგვარი შეკითხვისაგან, ვინაიდან, გავიფიქრე, ეს ჩემი საქმე კი არა, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს საქმეა და ასეთი სერიოზული საკითხის ასე შემთხვევით დაყენება არ შეიძლება მეთქი.

დაახლოებით ერთი საათის საუბრის შემდეგ, მათ მოილაპარაკეს და მაჩუქეს ერთი დასურათებული წიგნი ათონის წმინდა მთის შესახებ.

ამ წიგნს ხელი მოაწერეს სამმა ბერმა, მათ შორის, რა თქმა უნდა, მონასტრის წინამძღვარმა. შემდეგ დაარტყეს ივერიონის მონასტრის ბეჭედი, ჩადეს სპეციალურ კონვერტში და გადმომცეს. მაჩუქეს აგრეთვე ივერიონის მონასტრის ლია ბარათები ივერიონის ბეჭედდარტყმული. ამის შემდეგ გამოვემშვიდობე შეკრებულობას, მაგრამ მონასტრის წინამძღვარი და ბიბლიოთეკარი თან გამომყვნენ, რომ ჩემთვის სპეციალურად მოწყობილ ივერიონის მონასტრის ზარების რეკას დასწრებოდათ.

მივადექით რა ივერიონის მონასტრის სამრეკლოს, ჩვენთან მოვიდა ხშირედ ის ახალგაზრდა ბერი,რომელმაც ივერიონის მონასტერში მისვლისას კარებთან შემხვდა და ასე გაუხარდა "გეორგიანოს"=ქართველის ნახვა. გამოდგა, რომ ის არის ზარების რეკის სპეციალისტი ივერიონის მონასტერში. მე ჩემი სურვილის თანახმად, მას ავყევი სამრეკლოში,რომ ზარების რეკა რაც შეიძლება ახლოდან გადამეღო. მართლაც ავედით ზევით სამრეკლოში და დავინახე ოთხი დიდი და ერთი პატარა ზარი: სიდიდე ამ ზარების,დაწყებული სრულიად პატარადან, სულ უფროდაუფრო იზრდებოდა და მეხუთე ზარი მეტად დიდი იყო. დაიწყო ახალგაზრდა ბერმა ზარის რეკა...მაგნეტოფონი: თითქოს კარგად მუშაობდა; მაგრამ როცა მოვისმინეთ,სრულიად არ ვარგოდა...ამის შემდეგ,გავიფიქრე,შეიძლება მეტად ახლოს ვარ ზარებთან და ჩამოველი ეზოში...ისევ გავიმეორეთ ეს ცდა,მაგრამ ამაოდ: ზარის რეკა არ ვარგოდა ფირზე გადაღებული...დიდი ვაივაგლახის შემდეგ,გავიგე,რომ მაგნეტოფონის ბატარეა დაცლილი იყო...მონასტრის წინამძღვარმა და ბიბლიოთეკარმა,როცა გაიგეს რომ მე სათადარიგო ბატარეიბი მაქვს, საჩქაროთ გამიშვეს სასტუმროში...მეც გამოვცვალე ბატარეები და ისევ მივედი სამრეკლოსთან...ამასობაში ახალგაზრდა ბერსაც მოუტანა თავისი მაგნეტოფონი,რომ როგორმე მას მაინც მოეხერხებინა ზარების რეკის (ფირზე) გადაღება. უკანასკნელი ცდა ზარების რეკის ფირზე გადაღებისა,ასე თუ ისე, კარგათ დამთავრდა,რამაც ყველა ჩვენ დამსწრენი - ივერიონის მონასტრის წინამძღვრის ჩათვლით, მეტად გაგვახარა. აი მოისმინეთ ივერიონის ზარების ეს რეკა: ზარების რეკა,როგორც მოისმენთ,სანგრძლივია;მაგრამ,ვფიქრობთ, ჩვენმა რომელიმე მსმენელმა შეიძლება მოისურვოს ივერიონის ზარების რეკა ჩაწეროს მაგნეტოფონის ფირზე!?...

(ფირი: ივერიონის ზარების რეკა...).....35.

თქვენ მოისმინეთ ივერიონის ქართული მონასტრის ზარების რეკა ათონის მთიდან, რომელიც ჩაწერილ იქნა მაგნეტოფონის ფირზე 1967 წლის 27 იანვარს. ჩვენს უკანასკნელ რეპორტაჟს სერიიდან -"რადიორეპორტიორის დღიური" ანუ "მიკროფონით ხელში" იერუსალიმის,კონსტანტინეპოლისა და ათონის ქართულ მონასტრებში, გადმოგცემთ დღეისწორს ამავე დროს. მაშ,ნახვამდის ეთერში.

(ჯვარის მონასტრის ზარების რეკა...)

თქვენ ისმენთ იერუსალიმის ქართული ჯვარის მონასტრის ზარების რეკას...

— . —

ქართული რედაქცია

ავტორი: ინასარიძე

## რადიორეპორტიორის დღიური - X.

## ივერიონის მონასტერი ათონის მთაზე - 5.

რეპორტიორი: (სტანდარტული შესავალი, გვ.1 და 2 )

დღეს გადმოცემთ,პატივცემულო მსმენელებო, უკანასკნელ - მეთერთმეტე - რეპორტაჟს სერიიდან "რადიორეპორტიორის დღიური" ანუ "მიკროფონით ხელში" იერუსალიმის,კონსტანტინეპოლისა და ათონის ქართულ მონასტრებში. ჩვენს წინა ათ რეპორტაჟში, ჩვენ ვისაუბრეთ ქართული ჯვარის მონასტრის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ იერუსალიმში; შემდეგ დავათვალიერეთ ქართული კათოლიკური მონასტერი კონსტანტინეპოლში-სტამბოლში და ბოლოს ვისაუბრეთ ივერიონის ქართულ მონასტრის ათონის მთაზე.

დღევანდელ ჩვენს რეპორტაჟში განვაგრძობთ ივერიონის მონასტრის და საერთოდ ათონის წმინდა მთის დღევანდელი მდგომარეობის აღწერას და შევეხებით კითხვას, თუ რა გზები და საშუალებები გაგვაჩნია ჩვენ,ქართველებს, რომ ისევ დავეპატრონოთ ამ ჩვენს ისტორიულ კულტურის ძეგლებს. მაშ, განვაგრძოთ ივერიონის მონასტრის დათვალიერება:

(ფირი: კარლო...)........35.

ხმა:"ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე ივერიონის მონასტრის ეზოდან. დღეს არის 1967 წლის 27 იანვარი..."

რეპორტიორი: ჰოდა, სწორედ ამ დღეს ჩავწერე მაგნეტოფონის ფირზე ივერიონის მონასტრის ზარების რეკა,რომელიც თქვენ უკვე წინა გადაცემაში მოისმინეთ. ამის შემდეგ ივერიონის მონასტრის წინამძღვარმა შემომთავაზა, რომ ის მე გამაყოლებს ერთ ბერს ჯორით და მეორე ჯორით მე შემიძლია კარიესში ასვლა,ხოლო კარიესიდან შემიძლია ავტობუსით დაფნიში და შემდეგ ნავით ათონის მთიდან წასვლა...მე მას დიდი მადლობა გადავუხადე, მივიღე ამგვარი ტრანსპორტის მაგრამ მე ახლა კიდევ ივერიონის მონასტრის ადგილ-მამულის დათვალიერება მინდოდა და ფოტო სურათების გადაღება.

მათ დამეთანხმეს და მეც მაშინვე შევუდექი ისევ ივერიონის მონასტრის-ჯერ შიდა ეზოს დათვალიერებას და ფოტოსურათების გადაღებას, შემდეგ გამოვედი მთავარ კარებიდან და გავემართე ივერიონის მონასტრის წინმდებარე ეზოში - ზღვის სანაპიროსაკენ. მართლაც რომ მშვენიერია ეს ჩვენი ივერიონის მონასტერი ამ მხრიდან! გასაკვირია მხოლოდ ის, რომ ამ მხრიდან ამ მონასტრის დია-ზარმთისოდენა ფოტოსურათი საერთოდ არ არსებობს. ალბათ, იმიტომ, რომ "ჩიტის პერსპექტივით" გადაღებული სურათები ივერიონის მარჯვნიდან და მარცხნიდან ვორიდან, გაცილებით უფრო ლამაზია,ვინაიდან მთელი მონასტერ ი ცუში ჩაფლული მოსჩანს; ზღვის პირიდან გადაღებული სურათი კი უფრო "ცივად" შთაბეჭდილებას ტოვებს;მაგრამ - ჩემის აზრით - სამაგიეროთ დიდებულია თვით ივერიონის მონასტრის მაღალი კედლები,რომლებიც მას სანახევროდ ციხე-სიმაგრის აქტიტექტორულ იერს აძლევს,რაც სინამდვილესაც შეესაბამება,ვინაიდან არა ერთხელ გამხდარა ივერიონის მონასტერი რბევის მსხვერპლიც. ამის შემდეგ გავედი რა ივერიონის მონასტრის სამხრეთ-დასავლეთ მხარეს, ჩემს თვალწინ გა დაიშალა შესანიშნავი მშვენიერება. მომაგონდა ქართველი მოგზაურის ტიმოთე გაბაშვილის სიტყვები,რომელმაც 1775 მოილოცა ათონის მთა. ის თავის "მიმოსვლა"-ში წერს: "გავიცადე რა ადგილთა მშვენიერება, სეხილთა,ვენახთა და წყაროთა, ედემის შესწორებულ იყვნეს"!გიორგი მთაწმინდელი კი ამბობს: "ფრიადნი იყვნენ მონასტერნი,გარნა მსგავსი მისი არ მოიპოვებოდა არამხოლოდ მთასა,არამედ სხუათაცა მრავალთა ადგილთაცა!"

დავიღალე რა ამდენი სირბილით,დათვალიერებით,ფოტოსურათების გადაღებით,მივედი ივერიონის მონასტრის ნავსადგურთან, ჩამოვჯექი იქ დაწყობილ ქვებზე და დავიწყე ნაჩუქარი წიგნის გადაფურცვლა; ისე გამიტაცა ამ დასურათებული წიგნის ტექსტმაც,რომ აქვე მსურს ორიოდე აზრები გაგაცნოთ: ეს წიგნი გამოცემულია 1928 წელს. მეტად მშვენიერია ათონის მთის ცალკეული მონასტრების ფოტოსურათები,მათ შორის ივერიონის ფოტოსურათი. აი,მოკლედ,თუ როგორია მოთხრობილი ამ წიგნში ათონის მთის ქრისტიანული პერიოდის ისტორია:

სმა:ათონის მთა წარმოადგენს მთიან და კლდოვან ნახევარკუნძულს,რომელზედაც უამრავი მონასტერია აშენებული. ათონს ამშვენებს 2033 მეტრის სიმაღლის მთა, რომელიც ხვეთიდშობილებს აქაურ არე-მარეს.ჩვენი წელთაღრიცხვის მესამე საუკუ-

დან,როგორც ჩანს, ათონის მთაზე მოსახლეობა გამქრალა. და სწორედ ამ დროი-
დან, ათონის მთა ბიზანტიის მორწმუნეთა სავანეთ გახდა. აქ უკვე ამ დროს
აუშენებიათ რამდენიმე მონასტერი. გადმოცემის თანახმად, თვით ღვთისმშობელი
ახულა ამ მთაზე და მის პატივსაცემად ათონის მთა ითვლება მის წილხვდომილად.

პირველ ხანებში ბერები ათონის მთაზე კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდნენ. მაგრამ მეტად განათლებულმა და აქტიურად მომქმედმა ბერმა – ათანასე ტრაპიზონელმა, იმპერატორ ნიკიფორე ფოკას დახმარებით, ჩაატარა დიდი რეფორმები ათონის მთაზე და ააშენა "დიდი ლავრა",რომლის მოდელზე შემდეგ სხვა მონასტრები იქნა აშენებული. ათონის მთაზე ბერები დიდ კულტურულ მუშაობას ეწეოდნენ. იმპერატორ ალექსი კომნენმა მეტად დიდათ დააფასა ათონის მთაზე მოღვაწე ბერების მუშაობა და ის ყოველგვარ ზომებს ღებულობდა დაეცვა ეს წმინდა მთა ყაჩაღებისა და მძარცველებისაგან,რომლებიც ხშირად ესხმოდნენ თავს ათონის მთაზე მონასტრებს და ძარცვავდნენ. განსაკუთრებით დიდი ზარალი განიცადა ათონის მთამ მე-13 საუკუნეში ჯვაროსანთა მე-4 ლაშქრობის დროს. მე-14 საუკუნეში ათონის მთა გაძარცვეს და აოხრეს კატალანებმა. მაგრამ ათონის მთა ისევ აღსდგა ბერთა დაუღალავი და ენერგიული მუშაობის წყალობით. მე-15 საუკუნეში ათონის მთის წმინდა საკრებულომ,რომელსაც 972 წლიდან ათონის მთის ცენტრალურ ადგილას-მდებარე ქალაქ "მესიში" ჰქონდა თავისი რეზიდენცია,"მესიში",რომელსაც შემდეგ სახელი შეუცვალეს და "კარიეს" უწოდეს, – უარყო ფლორენციის სინოდის [illegible] და იერუსალიმისა და სინაის მონასტრებთან ერთად, მორჩილება გამოუცხადეს სულთან მურად II-ეს, 1430 წელს,რომელმაც [illegible] ამ მონასტრების მფარველობა და მათ შინაურ საქმეებში ჩაურევლობის გარანტია მისცა მონასტრების მმართველობას.

ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ, ათონის წმინდა მთას მფარველობდა სერბიის მეფეები და მოლდავეთის მთავრები. ათონის მთაზე ყოველთვის იყო და დღესაც არის სხვადასხვა ეროვნებათა მონასტრები,რომლებსაც მფარველობას უწევს თავიანთი სახელმწიფოები: თვით ათონის მთა კი დღეს საბერძნეთის მთავრობის მფარველობის ქვეშაა.

რეპორტიორი: ამ დასურათებული წიგნის მნიშვნელოვან ადგილას გამოქვეყნებულია ჩვენი მონასტრის –ივერიონის – სურათი და თანდართული აქვს ტექსტი,რომელშიც,სხვათა შორის, თქმულია შემდეგი:

სმა: ათონის მთაზე ერთერთ საუკეთესო და დიდ მონასტრად ითვლება "ივერიონის" მონასტერი. ეს მონასტერი დაარსა იოანე იბერიელმა 980 წელს. ამ მონასტერში დიდი კულტურული მუშაობა წარმოებდა ქართველი ბერების მიერ. მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს წაქცევის შემდეგ, მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ივერიონის მონასტერს თავის მშობელი ერის მეთაურთა მზრუნველობა და მფარველობა მოაკლდა, პატრიარქ კალისტრატე მეორემ ამ მონასტერში ბერძნული ენა შემოიღო. მე-14 საუკუნეში ივერიონის მონასტერი გაანადგურეს მეკობრეებმა. მაგრამ თავდადებული ქართველი ბერების წყალობით, დიდი ვაი-ვაგლახით, იგი მე-18 საუკუნემდე მოიტანეს, პატრონობა გაუწიეს. ივერიონის მონასტერი იმდენად მდიდარი მონასტერი იყო, რომ ის მთელი მე-18 საუკუნის განმავლობაში ეხმარებოდა სხვა ღარიბ მონასტრებს. 1865 წელს ივერიონის მონასტერი ხანძარმა იმსხვერპლა; მაგრამ საბედნიეროდ გადარჩა მონასტრის სალარო, რის შემდეგ ეს მონასტერი ისევ აღდგენილ იქნა. ივერიონის მონასტერში რამდენიმე ეკლესიაა - წმინდა ნიკოლოზის, მთავარ-ანგელოზის და სხვა. ივერიონის მონასტერი ცნობილია თავისი ფასდაუდებელი ბიბლიოთეკით. ამ ბიბლიოთეკაში ინახება - მერვე საუკუნის სახარება; 31 სახარება აგრეთვე მე-1 მე-14 საუკუნეებისა, 772 საეკლესიო ხასიათის ხელნაწერი მე-14 - მე-19 საუკუნეებისა. ამავე საუკუნოების საეკლესიო მუსიკის 156 ხელნაწერი და სხვა.

<u>რეპორტიორი:</u> აი ზოგიერთი ამონაწერები ამ წიგნიდან ათონის მთის ისტორიისა და ქართული მონასტრის "ივერიონის" ისტორიის შესახებ. ყველაფერი ეს იმიტომ მოგითხრეთ, პატივცემულო თანამემამულენო, რომ მიუხედავათ იმისა, რომ დღეს ივერიონის მონასტერი სრულიად ბერძენი ბერების ხელშია, ისინი მაინც თავისთავს თვლიან ამ მონასტრის დამფუძნებელი და შემქმნელი-ქართველი ბერების მემკვიდრეთ და ყოველ შემთხვევის დროს აღნიშნავენ ამ ფაქტს. ამიტომ იყო, რომ როცა ბიბლიოთეკარმა-ბერმა მაჩვენა ჩანაწერი იმისა, რომ 1956 წლის 6 თებერვალს გარდაიცვალა ივერიონის მონასტერში უკანასკნელი ქართველი ბერი - ტიხონი, მას ეს თარიღი მწუხარების თარიღათ აქვს აღნიშნული, ვინაიდან ამ მონასტერში მას შემდეგ ქართული ენა საერთოდ გაჰქრა.

ამ წიგნიდან ვტყობილობთ, აგრეთვე, შემდეგს:

ათონის წმინდა მთას,ამ ასე ვთქვათ, თეოკრატიულ რესპუბლიკას, გააჩნია ორი საერთო ორგანო: ერთი ="IEPA KOINOTHΣ" ="იერა კოინოტის"= ="წმინდა კრება" და მეორე-"IEPA ΕΠΙΣΤΑΣΙΑ" ="იერა ეპისტასია"= = "წმინდა გამგეობა".

ხმა: "წმინდა გამგეობა დაარსებულ იქნა 1783 წელს,რომელსაც აქვს აღმა-სრულებელი,ადმინისტრაციული ძალაუფლება და ვაჭრობის ინსპექციის უფლება-

"წმინდა გამგეობა" შედგება ოთხი "ეპისტატის"="გამგებლისაგან",რომლე-ბიც ყოველწლიურად იცვლებიან პირველ ივნისს,რომლის დროს კარიესში პროტა-ტონის ეკლესიაში დიდი ცერემონიით ხდება ახალ გამგებელთა მათ თანამდებობა-ზე დალოცვა."პროტეპისტატი",ე.ი."უფროსი გამგებელი" თავის კვერთხს,რომელ-ზედაც ათონის მთის ოცი მონასტრის სახელწოდებაა მიწერილი, -აბა-რებს დიდ ლავრის წარმომადგენელს,რომელიც მოკლე სიტყვით მიმართავს "წმინდა გამგეობას" საერთო მდგომარეობის შესახებ, და გადასცემს კვერთხს ახალ "უფროს გამგებელს". "უფროსი გამგებელი" ანგარიშს აბარებს "წმინდა კრებას".

"წმინდა კრება" არსებობს 1810 წლიდან,რომელშიც გაერთიანებულია ათონის მთის ოცი მონასტრის ოცი წარმომადგენელი. ყოველი მონასტერი თავის წარმომა-დგენელს ირჩევს ერთი წლით პირველ იანვარს,რა თქმა უნდა,ძველი სტილით. ეს წარმომადგენელი მთელი წლის განმავლობაში ცხოვრობს კარიესში. მხოლოდ შობის წინ შეუძლიათ მათ რამდენიმე დღე დაჰყონ თავიანთ მონასტრებში. "წმინდა კრებას" ჰყავს მდივანი,მეორე მდივანი და ოთხი აღმასრულებელი. "წმინდა კრებას" მაჩნია კვარცალური გამხვეული სააპელა-ციო ტრიბუნალი,რომელიც იხილავს იმ გასაჩივრებულ განაჩენებს,რომლებიც გა-მოტანილ იქნა ცალკეულ მონასტერთა სასამართლოების მიერ.

"უფროს გამგებლის" გვერდით, დანარჩენ სამ "გამგებელს",რომლებიც წარმოადგენენ "წმინდა გამგეობას", - არ გააჩნიათ იმდენი უფლებამოსი-ლება,როგორც აქვს "უფროს გამგებელს".ამ სამი "გამგებლის" მოვალეობაა, პოლიციასთან ერთად, მოაგვარონ ადგილობრივი საქმეები.

ათონის მთის მონასტრები დაყოფილია ხუთ ჯგუფად: პირველ ჯგუფშია დიდი ლავრა და კიდევ სამი უფრო პატარა მონასტერი; მეორეშია - ვატოპედი და კი-დევ სამი სხვა მონასტერი; მესამე ჯგუფშია - ივერიონი და კიდევ სხვა სამი მო-ნასტერი; მეოთხე ჯგუფშია - ჩილანდარი და კიდევ სხვა სამი მონასტერი და მეხუთე ჯგუფშია - წმინდა დენისის მონასტერი და კიდევ სამი სხვა მონასტ-

რი. ლავრის მონასტრის წარმომადგენელს წმ.გამგებლობაში ეწოდება "ლავრიოტი-კი", ვატოპედის წარმომადგენელს - "ვატოპედინი", ივერიონის წარ-მომადგენელს - "ივირიტიკი", ჩილანდარის წარმომადგენელს - "ჩილანდარინი" წმინდა დენის წარმომადგენელს -"დიონისიაკი". მხოლოდ ამ მონასტრების წარმომადგენლებს აქვს უფლება იყონ "წმინდა გამგებლობის" წევრნი,როგორც "უფროსი გამგებელი" თუ "გამგებელი."

ჩანართი: ჩემს ნებართვასაც,რომლის ძალით მე უფლება მქონდა ექვის დღე დამე-ჰყო ათონის მთაზე, ხელი მოაწერა სწორედ ამ "წმინდა გამგებლობის" ოთხმა გამგებელმა-წევრმა. აი,მოკლედ ათონის მთის მართვა-გამგეობის თავისებუ-ლობის აღწერა,რომელსაც უნდა დავმატოთ კიდევ ის, რომ კონსტანტინოპოლის პატრიარქის ბრძანებით მისი ერთი წარმომადგენელიც იმყოფება კარიესში.

აქვე მაგონდება ერთი ამბავი: როცა 26 იანვარს,საშუადღევის სამ საათზე,კარიესში,"წმინდა გამგებლობის" სადგომისაკენ მივიწრაფოდი და გზა-ში ერთ, უთუოდ, "დიდი თანამდებობის" ბერს, რომელსაც ერთი "აღმ-სრულებელი", დაახლოებით ათი ნაბიჯით უკან დაშორებით,მიაცილებდა,-წინ გავუსწარი და პირველი შევედი "წმინდა გამგებლობის" სხდებიან მშვენიერ შენობის დიდ დარბაზში, ეს "დიდი თანამდებობის" ბერი შემოვიდა თუ არა დიდ დარბაზში, შემომხედა! მისმა თანმყოლმა მაშინა"ალექიი",მეც ავლექი მოწიწე-ბით და ცოცხალი პაუზის შემდეგ ჰკითხა თავის გამცილებელს,როგორც მე მივ-ხვდი, თუ ვინ ვარ მე! მისი პასუხის შემდეგ, ეს დიდი თანამდებობის" ბერი შევიდა მეორე დარბაზში მეტად დაზიზღებული და ამაყი ნაბიჯით,რომელსაც მისი
*დიდი სიცოცხლით ჰქონდა.*
თანმხლები შემდეგ გავიგე, რომ ეს სასულიერო პი-რი იყო "წმინდა გამგებლობის" პროტეპისტატი"="უფროსი გამგებელი" კვერთხით ხელში,რომელზედაც,როგორც ავღნიშნეთ, ათონის წმინდა მთის ოცი მონასტრის სახელწოდებაა ამოკვეთილი-დაწერილი.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ათონის წმინდა მთაზე ამ ოც მონასტერს გარდა არსებობს პატარა-პატარა მონასტრები სხვადასხვა ქრისტიანულ სექტე-ბისა,რომელთა სამლოცველოები-მონასტრები უფრო გაფანტულად დასახლებული სოფ-ლების შთაბეჭდილებას ტოვებს,ვიდრე მონასტრებისა;მიუხედავად ამისა,რომ ეკლე-სიათა გუმბათები თითქმის ყველგან მოჩანს იმ შემთხვევაშიც კი,როცა ცალკეუ-ლი ბერების ცალკეული,უთუოდ, მის მიერვე აშენებული სამლოცველოს ბატონ-პატრო-ნი.

ამასობაში დავინახე, რომ ერთი პოლიციელი და ერთი კაცი გავიდენ ივერონის მონასტრის ნავმისადგომთან და იყურებოდენ ზღვისაკენ...მე თავი დავანებე წიგნის კითხვას, და მივედი მათთან. დავინახე, რომ ერთი ნავი მოდიოდა ივერიონის მონასტრის ნავმისადგომისაკენ, ე.ი. ჩვენსკენ. მე მათ გამაგებინეს, რომ "დღეს კარგი ამინდია, ზღვა არ ღელავს და ამიტომ ნავი მოდის ივერიონის მონასტრის ნავმისადგომთან და ისევ გაბრუნდება იერისოში." მე მაშინ ვე ვუთხარი პოლიციელს, რომ მალე მოვალ და წავალ ნავით იერისოში მეთქი. მისი თანხმობის შემდეგ სირბილით ავედი მონასტერში, შევკარი ბარგი და გამოვედი გარეთ...როგორც იქნა მთავარ კარებთან დავინახე მონასტრის წინამძღვარი, რომელსაც ხელში პლასტმასის ცოცხიკაში დაახლოებით ერთი კილო თხილი ჰქონდა და ხელში ეჭირა. თურმე ის მე მიცდიდა და ჩემთან გამომშვიდობება უნდოდა. როცა მან გაიგო, რომ ნავი მოდის ივერიონის ნავმისადგომთან და ჯორებით წასვლა კარიესში საჭირო აღარ არის, მაშინვე გამომყვა და ზევიდან დაუყვირა ნავმისადგომთან მყოფ მენავეს "მოიცადეო"; მან ნელი ნაბიჯით გამაცილა ნავამდე, გადმომცა ცოცხიკა თხილით და მითხრა: "ეს თხილი მოკრეფილია თქვენს, ქართველების ბაღში და წაიღეთ და დაურიგეთ ცოცხალ ქართველებს და გადაეცით ჩვენი კეთილი სურვილები და კურთხევაო!" ივერიონის მონასტრის წინამძღვრის ამგვარმა, შეიძლება ითქვას, ქართულმა მოქმედებამ მეტად იმოქმედა ჩემზე...მე დიდი მადლობით დავემშვიდობე მას; და ნავი დაიძრა ივერიონის მონასტრის ნავმისადგომიდან... მე ჯერ განვაგრძე ივერიონის მონასტრის სურათის გადაღება ზღვიდან, ხოლო შემდეგ, როცა თანდათან მონასტერს, რამდენიმე სიტყვა ჩავწერე მაგნეტოფონის ფირზე, რომლის დროს ნავის მოტორის ხმაურიც კარგად ისმის:

(ფირი: კარლო... ) - 35

ხმა: "ლაპარაკობს ოთარ კეთილაძე ათონის მთიდან, მონასტერ ივერიონიდან. ეს-ესაა, პატივცემულო მსმენელებო, ნავით ვტოვებ ივერიონის ნავსადგურს. სხვათა შორის, უნდა აღინიშნოს, რომ ივერიონის მონასტერთან მისვლა ზამთრობით შეიძლება მხოლოდ სამხრეთიდან, ე.ი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, სამხრეთ დასავლეთიდან: ესე იგი, ნავით უნდა მივიდეს კაცმა დაფნიში, დაფნიდან კარიესში და კარიესიდან ფეხით, დაახლოებით ორი საათი ფეხით სავალი, ივერიონა-

მდე. ზაფხულობით კი ნავი პირდაპირ იერისხიდან მიდის ივერიონის ნავსადგურის-თან.ზამთრობით,ვინაიდან ღელვა მეტად დიდია, ნავი არ მოძრაობს.მაგრამ არის გამონაკლისი შემთხვევები,როდესაც ნავი მიდის ივერიონის მონასტერთან; დღესაც ერთი ასეთი გამონაკლისი შემთხვევაა და, დახეთ, უცბათ მოვიდა ნავი იერისხიდან.ამ შემთხვევით ვისარგებლე და დავტოვე დღეს, 1967 წლის 27 იანვარს, 11 საათსა და 30 წუთზე ივერიონის მონასტერი.] უნდა ავღნიშნო, პატივცემულო თანამემამულენო,რომ ივერიონის მონასტერში როგორც კი მივედი, ყველამ ისე მიმიღო, როგორც თავისიანი.[ყოველმა ბერმა, რომელიც შემხვდა, ყველა მეუბნებოდა, რომ "თქვენ აქ სტუმარი არ ხართ; თქვენ ხართ თქვენს მონასტერში! ამიტომ კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ივერიონის მონასტერშიო!" შემდეგ,რა თქმა უნდა, ველაპარაკე ბიბლიოთეკარს,ველაპარა-კე სხვადასხვა პირებს; და ბოლოს, დღეს დილით, 9 საათზე მიმიღო ივერიონის მონასტრის მთავარმა სამამთველომ...] ისეთი დიდი პატივისცემით მიმიღეს იქ, რომ... პირდაპირ მართლაც რომ თავს ვგრძნობდი ჩვენიანებში...ეხლა უკვე მიიმალა ივერიონის მონასტერი ჩემს თვალებიდან და,ასეთ ვთქვათ, გული მწყდება."

<u>რეპორტიორი:</u> მიიმალა რა ივერიონის მონასტრის სილუეტი ათონის მთაზე, მე აქაც ისეთი გრძნობით დავტოვე ეს ჩვენი ისტორიული კულტურის ცენტრი — საქართველოს გარეთ, რომ,უთუოთ, კიდევ ვეწვევი ამ ჩვენს მონასტერს,ვფი-ქრობ,უფრო მეტი დროით, და შევეცდები კიდევ უფრო ახლოს გავეცნო ჩვენს აქა-ურ ხელნაწერებს,ადგილ-მამულს,საცებს,ფრესკებს და სხვა. ამიტომ აქაც იგივე დამშვიდობება მსურს გავიმეორო,როგორც ჯვარის მონასტრის დატოვებისას იერუ-სალიმში - "ნახავდის!"

(ჯვარის მონასტრის ზარების რეკა...)

ამგვარად,პატივცემულო თანამემამულენო, ჩვენ დავიწყეთ ჩვენი მოგზაურობა 1967 წლის 18 იანვარს; ვინახულეთ ჯვარის მონასტერი იერუსალიმში,ვინა-ხულეთ ქართული კათოლიკური მონასტერი კონსტანტინეპოლში-სტამბოლში,ვინახუ-ლეთ ივერიონის მონასტერი ათონის მთაზე!.. რა დასკვნების გამოტანა შეგვი-ძლია ჩვენ ჩვენს მიერ ნახული ფაქტებიდან? - ჩვენ შეგვიძლია იმ დასკვნე-ბის გამოტანა, რომ ყველა ამ ქართულ მონასტრებს ესაჭიროება ჩვენი პატრო-ნობა. რა გზა და საშუალებები არსებობს იმისათვის, რომ ჩვენ ისევ შევძლოთ

პატრონობა გაუწყვიტოთ ამ ჩვენს კულტურის ცენტრებს საქართველოს საზღვრებს გარეთ? - დავიწყოთ ჯვარის მონასტრით იერუსალიმში:

ჯვარის მონასტერი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აქ ჩვენმა მეცნიერებმა- აკაკი შანიძემ, გიორგი წერეთელმა და პოეტმა ირაკლი აბაშიძემ შოთა რუსთაველის სურათი აღმოაჩინეს, -ყველაზე უფრო ყურადღების ცენტრში მოექცა. ეს მონასტერი დღეს, როგორც ჩვენს გადაცემათა სერიაში დაწვრილებით ავღწერეთ, უმწეო მდგომარეობაშია: მხოლოდ სამი ბერი პატრონობს ამ მონასტერს, ხოლო თვით მონასტერი ტურისტთა სანახაობად არის გადაქცეული, რომლის ღრის ამ მონასტრის მოვლა-პატრონობაზე არავინ ფიქრობს. პირიქით, როგორც ჩანს, ამ მონასტრის ადგილ-მამული იყიდება და ამ გაყიდულ მიწებზე სახლებიც კი შენდება ხოლმე, რამდენადაც ჩვენ ამის გაგება შევძელით. აქ საჭიროა, რომ საქართველოს მთავრობამ, (სრულიად) საქართველოს საპატრიარქომ დაუყონებლივ მიიღოს ზომები, რომ ეს მონასტერი ისევ საქართველოს ხელში გადმოვიდეს. ამისათვის საჭიროა, როგორც აღვნიშნეთ, პირველად საქართველომ, როგორც სუვერენულმა რესპუბლიკამ, ცხოვრებაში გაატაროს, საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-16 - "ა" მუხლი, რომელშიც თქმულია შემდეგი:

"საქართველოს სსრ უფლება აქვს დაამყაროს უშუალო დამოკიდებულება საზღვაგარეთის სახელმწიფოებთან, დადოს მათთან შეთანხმება და გაცვალოს დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობა."

ამ მუხლზე დაყრდნობით, საქართველოს სსრ-ის მთავრობას შეუძლია დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს ისრაელის სახელმწიფოსთან, მოახდინოს მასთან ელჩთა გაცვლა-გამოცვლა; სრულიად საქართველოს საპატრიარქოსაც შეუძლია დაამყაროს კავშირი იერუსალიმის საპატრიარქოსთან და აწარმოოს მოლაპარაკება ჯვარის მონასტრის ისევ საქართველოზე გადაცემის შესახებ. ყველაფერი ეს ადვილად მოწესრიგდება, თუ მოსკოვის პარტხელმძღვანელობა ხელს არ შეუშლის საქართველოს მთავრობას, სრულიად საქართველოს საპატრიარქოს-გამოვიდეს ჩვენი ქვეყანა საერთაშორისო ასპარეზზე და ისევ დაეპატრონოს იმ ქონებას, კულტურის ცენტრებს, რომლებიც საქართველოს ეკუთვნოდა (ჩანდა), როგორიცაა თვით ჯვარის მონასტერი. თუ ამის განხორციელების უფლებას არ მოგვცემს მოსკოვის პარტხელმძღვანელობა, მაშინ საქართველოს მთავრობამდა სრულიად საქართველოს საპატრიარქომ უნდა შეეცადოს, უკიდურეს შემთხვევაში, ი ყ ი დ ო ს ჯვარის მონასტერი იერუსალიმის საპატრიარქოდან. (ფონსს, იყიდოს) ჩვენს ქვეყანას ამის შესაძლებლობა გააჩნია და ეს შესაძლებლად მიგვაჩნია მით უფრო, რომ, როგორც აღვნიშნე, ჯვარის მონასტრის დღევანდელი პატრონები უკვე, როგორც ჩანს, თანდათანობით

ყოლიან ამ მონასტრის ადგილმამულებს. ყველა ამისათვის საჭიროა დაუყონებლივ მოქმედება ჩვენს მიერ, რომ დროზე გადავარჩინოთ ამ ჩვენს კულტურის ცენტრში ის, რის გადარჩენა კიდევ შეიძლება. აქვე მსურს აღვნიშნო, რომ თვით შოთა რუსთაველის ფრესკა ჯვარის მონასტერში, როგორც ფერადმა, ჩვენს მიერ გადაღებულმა ფოტოსურათებმა ნათელყვეს, - კარგავს თავის ელვარებას; უკვე იმდენათ გასუფთავებულა შოთა რუსთაველის წითელი ფერის მოსასხამი, რომ ზოგ ადგილას გათეთრებულია. და ამ ფრესკას, რომ გამოცდილი რესტავრატორი ესაჭიროება, ამას ხომ მტკიცება არ სჭირდება.

ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი კონსტანტინეპოლის-სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერშიც; აქ, ჯერჯერობით, ქართველები მფარველობენ, უვლიან მონასტერს, ბიბლიოთეკას; მაგრამ, თუ დროზე არ მიიღო საქართველოს მთავრობამ და განსაკუთრებით თბილისის კათოლიკურმა ეკლესიამ ღონისძიებები და არ გაგზავნა ამ მონასტერში ქართველი ღვდლები თუ ბერები, ეს მონასტერიც გადავა არაქართველთა ხელში. აქვე მსურს დავძინო; გვაკვირვებს, რომ საქართველოს მთავრობა არ ცდილობს დიპლომატიური ურთიერთობა დაამყაროს თურქეთის მთავრობასთან. თურქეთი ხომ ჩვენი მოსაზღვრე სახელმწიფოა და ამ სახელმწიფოსთან საჭიროა მოლაპარაკება ყოველნაირი საკითხზე, რომლებიც დაკავშირებულია ჩვენი ერის სასიცოცხლო ინტერესებთან; მაგალითად, რატომ საქართველო არავითარ ღონისძიებებს არ ღებულობს, რომ როგორმე მხედველობაში მიიღოს თურქეთის მთავრობამ ჩვენი თანამემამულეთა გარდაუვალი ინტერესები საქართველოს იმ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს თურქეთის სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებშია? დაუშვას განსაზღვრული ავტონომია ავტონომია, ვთქვათ, იმ მხრივ, რომ ქართველებს მიეცეთ უფლება გააჩნდეთ ქართული სკოლები, საქართველოსთან მიმოსვლის საშუალება და სხვა. ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ამ მხრივ არ შეიძლება განსაზღვრული შეთანხმებს მიღწევა თურქეთის მთავრობასთან; მაგრამ ამის პირველი პირობაა ის, რომ საქართველოს სსრ მთავრობამ დაამყაროს, როგორც აღვნიშნეთ, დიპლომატიური ურთიერთობა თურქეთის მთავრობასთან, რომლის უფლებას თვით საქართველოს სსრ კონსტიტუცია იძლევა.

ივერიონის მონასტრის მდგომარეობაც ანალოგიურ ნაბიჯს მოითხოვს საქართველოს მთავრობისა და სრულიად საქართველოს საპატრიარქოსაგანაც; თუ ჩვენ

პოლიტიკურ ურთიერთობას დავამყარებთ საბერძნეთის მთავრობასთან, თუ სრულიად საქართველოს საპატრიარქო კავშირს დაამყარებს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან, მაშინ გამდიდრდება ჩვენი კავშირი ათონის ივერიონის მონასტრის მღვდელმთავრებთანაც, და, ვფიქრობთ, თუ ჩვენ რუსების, რუმინელების და სხვების მაგალითს წავბაძავთ, დღეს უკვე შესაძლებელი იქნება-თანდათანობით ქართველი ბერები გაიგზავნოს ამ ჩვენს ისტორიულ მონასტერში, რომ აქ ისევ გაისმას ქართული სიტყვა, ქართული წირვა-ლოცვა. ამას გარდა შესაძლებელი გახდება ისიც, რომ ქართველი ახალგაზრდა მეცნიერები რამდენიმე თვით ესტუმრონ ივერიონის მონასტერს და მის უძვირფასეს ქართულ ხელნაწერთა ბიბლიოთეკაში შეუდგნენ ამ უძვირფასესი დოკუმენტების შესწავლა-გამოკვლევას.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ისიც, რომ საქართველოს ტურისტთა სამართველომ დაუყონებლივ მიიღოს ზომები, რომ საქართველოს მოქალაქეებს საშუალება მიეცეს, როგორც ტურისტებს, იმოგზაურონ და ინახულონ ჯვარის მონასტერი, კონსტანტინეპოლის მონასტერი, ივერიონის მონასტერი და სხვა ადგილები, სადაც ჩვენი კულტურის ცენტრებია, როგორც მაგალითად, ანტიოხიის შავ მთებში თუ სხვაგან.

ამგვარი ტურისტული მოგზაურობის განხორციელება დიდ სიძნელეებთან არ არის დაკავშირებული, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ, როგორც ავღნიშნე, თბილისიდან მოსკოვი ორჯერ უფრო შორსაა, ვიდრე იერუსალიმი თუ ათონის მთა.

აი, ამ დასკვნებით მსურს დავასრულო ჩემი - რადიორეპორტაჟის დღიური, იმ იმედით, რომ ყველა ეს წინადადებანი არ დარჩება "ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა"! უნდა ვაკისხენოთ და ყოველთვის გვახსოვდეს ის სიგელ-გუჯარის ერთი ადგილი, რომელიც 1706 წლის ივლისის თვეს გამოსცა იერუსალიმის პატრიარქმა დოსითეოსმა: "ხოლო ოდეს ღმერთი ინებებს და ივერიიდამ მოვა წინა-მძღვარი(იღუმენი), მაშინ იმან უნდა ჩაიბაროს და თვის გამგეობის ქვეშ მიიღოს ყველა მონასტრები უწინდელებრ". და რომ ეს შევძლოთ, პირველი პირობაა, რომ საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-16-"ა" მუხლის თანახმად საქართველომ, როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ გამოვიდეს საერთაშორისო არენაზე, გახდეს მსოფლიო ერთა ოჯახის თავისუფალი წევრი. და რომ ეს განხორციელებულ იქნება, რომ ამის განხორციელებას ჩვენ შევძლებთ, ამ რწმენით მსურს დავამთავრო ეს ჩემი მოგზაურობა - "მიკროფონით ხელში" - ჯვარის, ივერიონისა (მონასტრებში) და კონსტანტინეპოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერში.

დასასრულ კიდევ ერთი პირადი განცდა, რომლის განზოგადოება შეიძლება, – მაიძულებს ვთქვა ორიოდე სიტყვა: სად არ მიმოგზაურია ჩემი ცხოვრების განმავლობაში!?.. ვნახე=დავათვალიერე რომი, ეს "მარადიული ქალაქი" თავისი განუმეორებელი რენესანსის ეპოქის ძეგლებით, რომელთა სიახლე თანამედროვე ადამიანის დაბადებას გვამცნობს; ანტიკური ეპოქის ნაგებობანი, რომლებიც რომაელთა მსოფლიო იმპერიული სულითაა გაჟღენთილი; ვნახე=დავათვალიერე შორეული წარსულის კულტურის ძეგლები; ბისკაის უბესთან ახლომდებარე ალტამირას გამოქვაბული, სადაც, უთუოდ, იბერიელებისა და ბასკების წინაპრებმა, ამ ოცი-ათასი წლის წინათ, როგორც ამბობენ, გამოქვაბულში, სხვათა შორის, იმდროინდელი "სიქსტინის კაპელა" შექმნეს, რამაც ჩვენამდე დაუზიანებლად მოაღწია; ვნახე=დავათვალიერე ევროპული კულტურის აკვანი – საბერძნეთი: დელფოსი, ეს მისან პითიას "წმინდა ადგილი", ოლიმპია – ეს ანტიკური კერა თანამედროვე ოლიმპიური თამაშებისა, მინოსურ-მიკენური კულტურის ცენტრი – კნოსოსი, კუნძულ კრეტაზე, სადაც დაუჯერებელი განცვიფრებაში მოყავს კრეტული კულტურის აყვავების პერიოდის (1500 წელი ჩვენს ერამდე) მინოსის ლაბირინთით ცნობილ სასახლეს ნანგრევებს, ეპიდავრის, თავისი შესანიშნავი ანტიკური პოსპიტალითა და ამფითეატრით, რომლის აკუსტიკას დღესაც შეშურდიან თანამედროვე ინჟინრები, კორინთი, რომელიც კოლხელი მედეას უბედო ბედის მითოლოგიური ადგილია; მინახავს=დამითვალიერებია ნაგებობანი კუნძულებზე – კრეტაზე, როდოსზე, კოსზე, დილოსზე, პატმოსზე და როგორ გამოვტოვებდი ელადის, ელინური კულტურის ცენტრს – ათენს თავისი განუმეორებელი აკროპოლით="მაღალი მთით" და აგორათი, სადაც ადამიანის გონმა პირველად იტრიუმფა! ვნახე=დავათვალიერე დანტეს ფლორენცია, შექსპირის სტრატფორდი, ბეთხოვენის ბონი, თუ ესქილეს, სოფოკლესა და ევრიპიდეს ათენის ანტიკური ამფითეატრი; და ვინ ჩამოთვლის ყველასა და ყველაფერს!? ვნახე=დავათვალიერე რა მსოფლიო სხვადასხვა ერთა და სხვადასხვა ეპოქის ეს ჩვენამდე მოღწეული კულტურული ძეგლები, თანამედროვე მეტროპოლიების პარიზის, ლონდონის, მადრიდის, ბრიუსელის, ბერლინის, თუ ვენის ჩათვლით, – ვიგრძენი ის დიდი რეალობაზე დაყრდნობილი=აღმოცენებული გონებრივი ძალა, რომელიც ამოძრავებდა მათ, ვინც შექმნეს ამგვარი უკვდავების ძეგლები.

მაგრამ ვნახე=დავათვალიერე რა ქართული კულტურის ძეგლები-იესუსალიმში

ჯვარის მონასტერი, თუ ათონი ა მთაზე ივერიონის მონასტერი, მე შემიპყრო ისეთმა გრძნობამ,რომლის მსგავსი განცდა დაიბადა,არა, გაღრმავდა ჩემში, როცა 1938 წელს პირველად თბილისიდან მცხეთას ვეწვიე და ვნახე=დავათვალიერე ამ ჩვენი ძველი დედაქალაქის ნაგებობანი,რომლებშიც მე "დავინახე"=ვიგრძენი ჩვენი "ეროვნული სული",ეროვნული მეობა; და სიამაყემ შემიპყრო,გავიმართე წელში. ამ გრძნობამ=განცდამ კიდევ უფრო განამტკიცა ჩემში რწმენა სულიერ-გონებრივ-ენობრივ-კულტურულ-საზოგადოებრივ-ეკონომიურ ერთობისა,რაც ასე ახასიათებს ,ამ შემთხვევაში, მხოლოდ ქართველ ერს. ამ გრძნობას ვუწოდებ მე იმ ურყევ საძირკველზე აღმოცენებულ განცდას, რომლის ჯამი ჩვენი ერის წარსული და აწმყოა. ამიტომ ჩვენ (უნდა მოვახერხოთ) მასობრივი ნახვა=დათვალიერება ქართული კულტურის ძეგლებისა საქართველოს დღევანდელ საზღვრებს გარედაც, უცხო ქვეყნებშიაც; ვნახოთ=დავათვალიეროთ ივერიონის,თუ ჯვარის მონასტერი და ამით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ჩვენში ჩვენი ეროვნული მეობა,რაც გარდაუვალ წინაპირობად მიმაჩნია იმისათვის, რომ ერთა შორის სუფევდეს "ძმობა-ერთობა-თავისუფლება".

რა თქმა უნდა, ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ ივანეს სიტყვები, რომ "გაზვიადებული-პატრიოტული ისტორიის საჭიროებას მხოლოდ ის უნდა გრძნობდეს,ვინც წარსულში ეძებს ხსნას, ან ვისაც წარსულის შესწავლით სურს თავისი ეროვნული გრძნობა დაიკმაყოფილოს. ხოლო ამგვარი საფუძველი აზრადაც არ უნდა მოუვიდეს იმ ეროვნების წარმომადგენელს,რომელიც სიცოცხლეს და მომავალზე ფიქრობს."

მაშ,ვეწვიოთ,პატივცემულო თანამემამულენო, იერუსალიმის ქართულ ჯვარის მონასტერს,ვეწვიოთ - კონსტანტინეპოლის=სტამბოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერს,ვეწვიოთ ივერიონის მონასტერს ათონის მთაზე;გზა გავიკაფოთ,რომ შევძლოთ ჩვენი კულტურის ძეგლების ნახვა=დათვალიერება ანტიოხიაში, ბულგარეთში და ქართულ იმ მიწებზე,რომლებიც დღეს საქართველოს საზღვრებს გარედაა.

იმ იმედით,რომ ჩვენ შევძლებთ ყველა ამ მიზნის განხორციელებას,ვამთავრებ ჩემს "რადიორეპორტიორის" დღიურს,ანუ "მიკროფონით ხელში" იერუსალიმის ჯვარის მონასტერში,კონსტანტინეპოლის ქართულ კათოლიკურ მონასტერში და ივერიონის მონასტერში ათონის მთაზე.

ვფიქრობ,ნაწილობრივ მაინც, შევძელი გამეცნო თქვენთვის,ძვირფასო თანამემამულენო, ამ ჩვენი მონასტრების ოთვანდელი მდგომარეობის

(ჯვარის და ივერიონის მონასტრების ძარღვის რეკა...)

==========================================

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

=================

# რადიოდოკუმენტაცია

## 1981

კარლო ინახარიძე

**1981**

ძველი ქართული კულტურის კერის

# ივერიონის მონასტრის

დაარსების მე-1000 წლისთავი

რადიოდოკუმენტაცია

მიუნხენი,1980-1983 წლები

ქართული რედაქცია - რადიო"თავისუფლება"

ავტორი,დიქტორი: დავით თაზორიძე

## რადიოდოკუმენტაცია:

## რეპორტაჟთა ციკლი: "ივერიონის" ქართული მონასტრის 1000-ხი წლის თავის გამო:

წამყვანი: (სიგნალი,გალობა...) (I.)

დაპარაკობს დავით თაზორიძე!.. 1000-ხი წლის წინ, 980-983 წლებში,დაარსებულ და აშენებულ იქნა ივერიონის ქართული მონასტერი ათონის წმინდა მთაზე საბერძნეთში.ამ იუბილესთან დაკავშირებით, ჩვენი დღევანდელი პროგრამის მეორე ნაწილში გაგაცნობთ ჩემს მორიგ რადიოდოკუმენტაციას არა მარტო ივერიონის ქართული მონასტრის,არამედ იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრისა და კონსტანტინეპოლის-სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

ჯერ მოვისმინოთ"ივერიონის" ქართული მონასტრის ზარების რეკვა:(ფირი)

დიქტორი:"ივერიონის" ქართული მონასტრის დაარსება, 980-983 წლებში, ათონის მთაზე,საბერძნეთში,დაკავშირებულია იოანე მთაწმინდელისა და თორნიკე ერისთავის მოღვაწეობასთან;"ჯვარის" ქართული მონასტრის დაარსება იერუსალიმში კი-პეტრე იბერიელის მოღვაწეობასთან.

და "ივერიონის" ქართული მონასტრის დაარსებიდან 1000-ხი წლის შესრულებასთან დაკავშირებით, ვიმოგზაურე ქართული კულტურის ამ ორი ცენტრის ადგილებში - იერუსალიმსა და ათონის მთაზე, დავათვალიერე ეს მონასტრები, და მსურს გაგაცნოთ ჩემი შთაბეჭდილებანი "ჯვარისა" და "ივერიონის" მონასტრების დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

მე იერუსალიმში ჩაველი 1981 წლის 16-ტ აგვისტოს; 20-ც აგვისტოს კი - ათენსა და სალონიკზე გავლით - აველი ათონის მთაზე და დავათვალიერება ჩვენი "ივერიონის" მონასტერი. ისიც მსურს ავღნიშნო, რომ "ივერიონის"და"ჯვარის" ქართული მონასტრები პირველად დავათვალიერე 1967 წლის იანვარში და მაშინ გაგაცანით,რადიო"თავისუფლებით" ამ ქართული კულტურის ცენტრების მაშინდელი მდგომარეობა.იმავე 1967-ი წლის იანვარში ვინახულე აგრეთვე ქართული კათოლიკური მონასტერი კონ-

სტანტინეპოლში-სტამბოლში, რომლის გამგე და მცველი იყო და დღესაც არის პავლე აკობაშვილი(ადგუდაძე); და ახლა, 1981 წლის აგვისტოში, ეს კა-თოლიკური ქართული მონასტერი არ დამითვალიერებია,ვინაიდან იქ უკვე სამ-ჯერ ვიყავი, უკანასკვნელად 1977-ტ წელს; და,ნათელია, ამ ქართული კათოლიკური მონასტრის შესახებაც გესაუბრებით ჩემს ამ რეპორ-ტაჟთა ციკლში.

(გალობა:"შენ ხარ ვენახი")

დავით თაბორიძე:(რეპორტაჟი 1-ლი, მე-2, მე-3 და ა.შ.)

==========================

და-ბოლოს მოვისმინოთ "ჯვარის" ქართული მონასტრის ზარების რეკვა იერუსალიმიდან: (ზარების რეკვა..........)

დასასრული: ეს იყო ჩვენი მორიგი გადაცემა ციკლიდან - "ივერიონის" ქართული მონასტრის დაარსების მე-1000 წლისთავის [illegible].

პროგრამა მიყავდა დავით თაბორიძეს!..

(სიგნალი)

ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..

(სიგნალი)

========================

ჩ ა ნ ა რ თ ე ბ ი:

1.და აქ მსურს შევწყვიტო ჩემი დღევანდელი რადიოდოკუმენტაციის გადა-ცემა "ჯვარის"("ივერიონის")მონასტრის შესახებ. დღეისწორს,ამავე დროს განვაგრძობ ჩემს მორიგ საუბარს ამავე თემაზე.
2.განვაგრძობ ჩემს რადიოდოკუმენტაციის გადაცემას "ჯვარის"("ივერი-ონის") მონასტრის შესახებ იერუსალიმში(ათონის მთაზე).
3.ამ ჩემს რადიოდოკუმენტაციაში მსურს მოგაგონოთ ზოგიერთი ცნობები ქართველთა მოღვაწეობაზე პალესტინაში(ათონის მთაზე);............

========================

## რ ა დ ი ო დ ო კ უ მ ე ნ ტ ა ც ი ი ს   ქრონოლოგია:

მიუხედავათ იმისა, რომ ჩემი ეს "რადიოდოკუმენტაცია" მიძღვნილია "ივერიონის" მონასტრის ათასი წლისთავისადმი და ამ რეპორტაჟთა ცენტრში - გასაგებია - "ივერიონის" ქართული მონასტერი და საერთოდ ათონის წმინდა მთა დგას,-მე მაინც გადავწყვიტე ""ივერიონის" მონასტრის გვერდით - გაგაცნოთ ქართული "ჯვარის" მონასტრისა და კონსტანტინოპოლის-სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის დღევანდელი მდგომარეობაც. ამიტომ ჩემს რეპორტაჟთა ამ რიგს ვიწყებ ქრონოლოგიურად, ე.ი. დროს ისეთი თანამიმდევრობით, როგორც ვნახე მე ჩვენი ეს კულტურის ცენტრები 1981 წლის აგვისტოში.

## იერუსალიმი - ისრაელი

1981 წლის 16-ტ აგვისტოს გავემგზავრე (მიუნხენიდან) იერუსალიმისაკენ. აეროდრომზე ისრაელში მიმავალ მგზავრებისათვის, როგორც წესი, განსაკუთრებული კონტროლი იყო,ვინაიდან ტერორისტულ აქტებს, ისრაელის ყველა უწყების და ამით ისრაელის საავიაციო კამპანიის "ელ-ალის" წინააღმდეგაც, განსაკუთრებული სიმწვავით აწარმოებს "პალესტინის განმათავისუფლებელი ორგანიზაციის" სხვადასხვა ჯგუფები; და,გასაგებია, ისრაელის უწყებათა წარმომადგენლობა განსაკუთრებულ სიფხიზლეს იჩენს ამგვარი ტერორის თავიდან აცილების მიზნით. აეროდრომზე ისრაელის საავიაციო ხაზის "ელ-ალის" მოსამსახურეები აწარმოებენ არა მარტო ბარგისა  და მგზავრის საბუთების კონტროლს, არამედ ამასთანავე გასაუბრებასაც კი აქვს ადგილი ცალკეულ მგზავრთან,რის შედეგად მართლაც უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს მგზავრთა უშიშროება. და მეც გავიარე რა ამგვარი მეტად საჭირო კონტროლი, "ელ-ალის"თვითმფრინავმა მიმართულება აიღო ისრაელის ქალაქ ტელ-ავივისაკენ, სადაც არის ისრაელის ერთადერთი საერთაშორისო მიმოსვლის აეროდრომი. ჩავფრინდი

რა ტელ-ავივის აეროდრომზე, გამოვედი გარეთ, ავიღე ტაქსი და მაშინვე გავემგზავრე იერუსალიმისაკენ, რომელიც ტელ-ავივიდან სულ 56-ი კილომეტრითაა დაშორებული,როგორც ეს ტაქსის შოფერმა მითხრა. ერთი საათიც კი არ გასულა და შევედით უკვე იერუსალიმში, რომელიც - ტელ-ავივთან შედარებით - ზღვის დონიდან უფრო მაღლა მდებარეობს და განსაკუთრებული სილამაზისაა მისი მთაგორიანი მდებარეობის წყალობით, თუმცა მთელი ქალაქი - იმდენი მშენებლობა მიმდინარეობს მასში - სამშენებლო ადგილის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს. ტაქსის შოფერმა მიმიყვანა ე.წ-ლ "ეილონ-ჰოტელში",სადაც შეკვეთილი მქონდა ოთახი, და დავბინავდი ამ "ცათამბჯენის" სასტუმროს მე-16 სართულზე,საიდანა იერუსალიმის ერთი მხარის საუკეთესო პანორამა მოსჩანდა.

დაბინავებისთანავე,მიუხედავათ იმისა, რომ უკვე საღამოს 7-ი საათი იყო, შევუდექი ჩემი მასალების გადასინჯვას ქართული "ჯვარის" მონასტრის შესახებ, და შევისწავლე "ეილონ-ჰოტელიდან" "ჯვარის"მონასტერში მისასვლელი გზა, და ვინაიდან ჩემი ჰოტელი არც ისე შორს იყო "ჯვარის" მონასტერისაგან.

სანამ გზას გავუდგებოდით, ეილონის ჰოტელში, მაგნეტოფონის ფირზე ჩავწერე შემდეგი:

(ფირი.....................)

ლაპარაკობს დავით თაზორიძე იერუსალიმიდან,
დღეს არის პატივცემულო მსმენელებო 1981 წლის 17 აგვისტო და ეხლა მე ვარ ჰაელონტაუერ ჰოტელში იერუსალიმში და დღეს მსურს პირველად დავათვალიერო ჩვენი ქართული ჯვარის მონასტერი იერულსაოიმში.

(ფირის დასასრული....)

ორშაბათს, 17-ც აგვის-
ტოს გავუდექი გზას ჩვენს მონასტერისაკენ. ბენ იეჰუდას ქუჩიდან, რომელზედაც "ეილონ-ჰოცელია", გავყევი ფეხის მეფე-გიორგი-V-ეს ქუჩას, ჩავუარე "შერმანის ბაღს", გადავჭერი ჯერ "ცარფაცის", ხოლო შემდეგ "აუსცერის" მოედნები, გავიარე "ბენ-მაიმონის" გამზირი, "ალ-ფასის" ქუჩა, სადაც ძველთაძველი "იასონის აკლდამაა" და, დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ, ზემოდან "ხა-ალია-გარომის" ქუჩიდან მივადექი "ჯვრის მონასტრის ხევს", საიდანაც დაბლა, ხევის დაბლობში მოს-ჩანს შუა-საუკუნეების ციხე-სიმაგრის მსგავსი იერუსალიმის "ჯვარის" ქართული მონასტერი. აი ჩემი მაშინდელი ჩანაწერი მაგნიტოფონის ფირზე:

(ფ ი რ ი..............)

---

დაპარაკობს დავით თაზორიძე იერუსალიმიდან. ეხლა მე ვარ, პაციენტ-ული მსმენელებო, ქართული "ჯვარის" მონასტერის აღმოსავლეთით, მაღლობზე, და ჩემგან დაბლა მოსჩანს ჯვარის მონასტერი; ჯვარის ახევ ქვათ, ხეობაში, როგორც ამ ადგილს უწოდებენ. მე წამოვედი სასცუმრო ეილონიდან ფეხით, ცაქსი არ ავიღე, ვინაიდან მინდოდა ნელნელა დაუვახლოებოდი ჩვენს წმინდა ადგილს ქართულ ჯვარის მონასტერს, გამოვიარე ფეხით მეფე გიორგ მეხუთეს

ბულვარდი, შემდეგ მივედი რამბან ბულვარდამდე, და შემდეგ წავედი ე.წ. ოლსცერ სკვერამდე, ე.ი. ოლსცერის მოედნამდე და შემდეგ გავყევი ბენ მაიმონის ბულვარდს–პროსპექტს და გზაში დავათვალიერე, ე.წ. იასონის აკლდამა, რომლისაც, როგორც იცით, საუკუნოვანი ისტორია გააჩნია. იასონის აკლდამის დათვალიერების შემდეგ გავყევი ნელ-ნელა რამპალ ქუჩას და ეს–ესაა მივედი "ჯვარის" მონასტრის ხეობის მაღლა, აღმოსავლეთით, საიდანაც მოსჩანს ჩვენი ჯვარის მონასტერი, რომელიც კიდევ უფრო წმინდა ადგილად იქცა ჩვენთვის მას შემდეგ რაც მასში აღმოჩენილი იქნა შოთა რუსთაველის სურათი, "ჯვარის" მონასტრის მთავარ ეკლესიის ერთერთ სვეტზე.

დღეს არის, როგორც აღვნიშნეთ, 1981 წლის 17 აგვისტო და ახლა იერუსალიმში არის საუკეთესო ამინდი; მზე, სითბო, დაახლოებით, 30 გრადუსი და ვინაიდან იერუსალიმი, ასე ვთქვათ, მაღლობზეა, მთაგორიან ადგილებშია მაინც სიგრილე და სასიამოვნო სასიარულოა ქუჩებში. და საერთოდ იერუ-

სალიმი რომ საუცხოო საცხოვრებელი ადგილია–ეს ცნობილია [illegible] დიდი

აქედან სხვათაშორის კარგად მოსჩანს ისრაელის ქნესეტი, ე.ი. ისრაელის პარლამენტი, პარლამენტის შემდეგ მარცხნივ, აღმოსავლეთიდან, მოსჩანს ისრაელის მუზეუმი, რომელიც ერთერთი შესანიშნავი მუზეუმია, განსაკუთრებით ხელნაწერებით, ვიტყოდი, მთელს მსოფლიოში; იქიდან, ერთის მხრიდან, ქნესეტის, მეორის მხრიდან, ისრაელის მუზეუმისა და აღმოსავლეთითით, სადაც მე აქ ვდგევარ ეხლა, არის ხეობა, ჯვარის მონასტრის ხეობა, რომლის ყველაზე უფრო სიღრმეში, ე.ი. დაბალ ადგილზე დგას ქართული ჯვარის მონასტერი. მაშ, დაუახლოვდეთ ჩვენს ჯვარის მონასტერს და შევეცადოთ მისი დღევანდელი მდგომარეობის აღწერას. აქედან კი მოსჩანს, რომ ეს ხეობა, ე.ი. ჯვარის მონასტრის ხეობა, უკვე დასერილი ბილიკებით, სასეირნო ბილიკებით და ბაღი, რომელიც შესდგება უმთავრესად ზეთის ხილისაგან კარგად მოვლილი ჩანს; განსხვავებულია იმისაგან, რაც მე აქ ვნახე დაახლოებით 15 წლის წინათ. მე უკვე თავისდროზე გაცნობეთ, რომ 1967 წლის იანვარში, უფრო ზუსტად, 19 იანვარს, მე ვიყავი პირველად იერუსალიმში, დავათვალიერე ჩვენი ჯვარის მონასტერი და ამ ჯვარის მონასტრის

მაშინდელი მდგომარეობა ავღწერე და გაცნობეთ თქვენ, ჩვენი რადიოთი. მაშინ ავღნიშნავდი, რომ აქ ეს "ჯვარის" მოხასტრის ხეობა, ე.ი. მამული, რომელიც ეკუთვნის ჯვარის მონასტერს, არიყო მოვლილი; იყო, ასე ვთქ-ვათ, გაპარტახებული; ; ეხლა, როგორც სჩანს, მოვლილია, მაგრამ არის, ასე ვთქვათ, ღია ყველასათვის, ე.ი. მე ვფიქრობ მეურნეობითი მნიშვნელობა, შემოსავლითი მნიშვნელობა ამ ბაღს ვააჩნია დღეს. გააჩნია, ალბათ, მხოლოდ იმდენათ, რამდენათაც ამ ზეთის ხილს შეუძლია მოსავლის მოცაბა, ე.ი. ზეთის ხილის მოწევა შეიძლება როგორც ხილისა და შემდეგ გაყიდვა, რაც, მე ვფიქრობ, დიდ შემოსავალს ვერ მისცემს ამ მონასტერს; თუმცა უნდა აღინიშნოს რომ დღეს "ჯვარის" მონასტერი არის მუზეუმი და ყოველდღიურად ღია არის დამთვალიერებლისათვის, და მნახავები იხდიან შესასვლელ ფულს. მაგრამ ამის შესახებ, უფრო დაწვრილებით, როდესაც მივალ ჯვარის მონასტერში, და მოდი გაუდგეთ გზას.

(ფირის დასასრული)

================

ამ ჩემს რადიოდოკუმენტაციაში, აქ მსურს, პატივცემულო მსმენელებო, მოგაგონოთ ზოგიერთი ცნობები ქართველთა მოღვაწეობაზე პალესტინაში და ამით იერუსალიმში:

(ამონაწერები...............)

===========================

ივანე ლოლაშვილი

# შოთა რუსთაველის ფრესკა

ხელოვნება ● თბილისი ● 1981

## ზოგიერთი ცნობა ქართველთა მოღვაწეობაზე პალესტინაში

როგორც ცნობილია, საქართველოში ქრისტიანობამ გავრცელება დაიწყო ამ რელიგიის ჩასახვის ადრეული ხანიდან. 337 წელს კი მეფე მირიანმა, ბიზანტიის შემდეგ, იგი სახელმწიფო რელიგიად აღიარა. ამიტომაც ქართული მართლმადიდებლური ეკლესია ერთ-ერთ უძველესად ითვლება მსოფლიოში. იგი V საუკუნიდან ავტოკეფალური, ე. ი. დამოუკიდებელი ხდება და მას იმდროიდან სათავეში უდგას სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში თავიდანვე ხელი შეუწყო აღმოსავლეთის, უპირატესად კი წინა აზიის (იმ დროს ასე უწოდებდნენ ახლო აღმოსავლეთს) ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკურმა ურთიერთობამ. ამ ორბიტაში იყო მოქცეული პალესტინაც. ამ უძველეს ქვეყანასთან საქართველოს ისტორიულ კავშირს ბიბლიური ეპოქის სიღრმეშიც კი აქვს გადგმული ფესვები. როგორც ისტორიკოსი და მწერალი ა. ლიდინსკი აღნიშნავდა, იბერიის გამგებლებს ყოველთვის თავი მოჰქონდათ ბიბლიური დავითის ჩამომავლობით, „თავიანთ თავს თვლიდნენ არა მარტო ფსალმუნის შემქმნელის,

არამედ ღვთისმშობლის ჩამომაელებად, რაკი იგი დავითის ოჯახიდან იყო გამოსული, და ამტკიცებენ მისი გვირგვინი იერუსალიმში ჯერ ნამუქოდონოსორის ხელში გადავიდა, მისგან კი — ივერიის მეფეებთანო“[1].

ნუ დავიწყებთ ამ ვერსიის საფუძვლიანობის განსჯას იგი მაინც მიგვანიშნებს ბიბლიურ მიწასთან ქართველთა შორეულ კავშირზე. ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ IV საუკუნიდან ქართველები არა მარტო მიმოიხილავენ პალესტინის „წმინდა ადგილებს“, არამედ აქ აარსებენ თავიანთ საკუთარ საეკლესიო-კულტურულ კერებს, აჩაღებენ აქტიურ რელიგიურ მწიგნობრულ მოღვაწეობას.

ქართული კოლონიის მრავალრიცხოვნობაზე თავისთავად მეტყველებს იერუსალიმის მახლობლად ქართველთა სოფლის მალხას (ამჟამად იერუსალიმის გარეუბანი — მინხატი) არსებობა. ამ ადგილის არჩევაც, ალბათ, შემთხვევით არ მომხდარა. ყველას, ვინც „წმინდა ქალაქის“ — და ბეთლემის ნახვას ეშურებოდა, „ჯერ მალხაში უნდა“ გაევლო, სადაც, გადმოცემით, თავის დროზე „ქრისტეს საფლავის“ მცველი ქართული გარნიზონი ყოფილა დაბანაკებული.

ივერიის შვილთა კულტურული მოღვაწეობა პალესტინაში განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს მას შემდეგ, რაც იქ მკვიდრდება დიდი ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერი (411—491). სიცოცხლეშივე „საქართველოს სიამაყედ“ აღიარებული ამ სასულიერო პირის, ენერგიული და დაუცხრომელი საქმიანობის ერთ-ერთი შედეგი იყო პალესტინაში მრავალი ქართული ტაძრის, მონასტრისა და ქარვასლის აგება.

[1] А. Ладинский. «Последний путь Владимира Мономаха». «Сов. писатель», М., 1966.

ბევრი ქართულყოფილი ძეგლი დღეს გარდასული საუკუნეების მტვერით არის დაფარული, მაგრამ, ალბათ, მრავალ საიდუმლოსაც ინახავს. ეს ნათლად დასტურდება თუნდაც იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვრებით. ექსპედიციის მიერ ბეთლემის მახლობლად ბირ-ელ-კუთის მაღლობზე მიკვლეული და გათხრილი ძეგლი აღმოჩნდა თვით პეტრე იბერის მიერ დაარსებული წმინდა თევდორეს სახელობის ქართული მონასტრის ნანგრევები. განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული ღირებულებისაა სატრაპეზოს მოზაიკური იატაკის წარწერები, რომელთაგან ერთი თითქმის ნახევარი საუკუნით უსწრებს ბოლნისის ტაძრის მანამდე უძველესად მიჩნეულ ქართულ წარწერას.

ბეთლემის წარწერები ზუსტად აღწერა ვ. ჩაჩანიძემ[2], ხოლო წაიკითხა და გამოიკვლია უცხოეთში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა მ. თარხნიშვილმა. გარდა ამისა, მათ საგანგებო შრომა მიუძღვნა გამოჩენილმა აღმოსავლეთმცოდნემ, აკადემიკოსმა გ. წერეთელმა.

წარწერები გვამცნობენ:

1. „შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თევდორესითა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია, მომსხმელი ამის სუფისაჲ და დედა-მამაჲ იოსიაჲსი. ამენ“.
2. „წმიდაო თეოდორე მაროვან და

[2] ვ. ჩაჩანიძე. პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში. თბ., 1974, გვ. 36—39.

ბოერზენ [-ში (ჰ) რ]
. . . . ენ აში [ს (?)] „ე . . . ."
3. „და ძოუ ძეოულნი მ ათნი
ბაკოურ და გრი ორმ იზდ დ
ნ ამობნი მათნი ქრისტე შეიწყალენ
ი მენ".

მეოთხე წარწერიდან მხოლოდ ცალკეული ასოებია შემორჩენილი და მისი ამოკითხვა ვერ მოხერხდა.

მათმა გულმოდგინედ შესწავლამ მეცნიერებს საშუალება მისცა, უტყუარად დაედგინათ მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი:

ჯერ ერთი, გათხრილი აღმოჩნდა სწორედ პეტრე იბერის დაარსებული, მისი ცხოვრების აღმწერისა და, აგრეთვე, იუსტინიანეს დროინდელი ბიზანტიელი ისტორიკოსის მიერ „ლაზთა მონასტრად" მოხსენიებული სავანე.

დადგინდა ისიც, რომ ერთ-ერთ წარწერაში მოხსენიებული მარუანი თვით პეტრე იბერის რამდენადმე სახეშეცვლილი სახელია ერისკაცობაში,[3] ხოლო ბაკური მისი პაპაა.

მონასტრის სარდაფში მოთავსებული სძვლე გვაფიქრებინებს, რომ აქვე უნდა იყვნენ დასაფლავებულნი თვით პეტრე და მისი მასწავლებელი იოანე ლაზი. აკადემიკოს შ. ნუცუბიძეს ეს არც კი ეეჭვებოდა: „ტაძრის ქვეშ მყოფ ორ დაცარიელებულ საფლავში, ეჭვი არ არის, განისვენებდნენ პეტრე იბერიელისა და იოანე ლაზის ნეშტები მათ მიერვე აგებული ქართული სავანის ქვეშ და დუმდნენ დიდი საიდუმლოების გამო, როგორც თავისთა საქმეთა, ისე საკუთარ დედასამშობლოს შესახებ"[4].

[3] მისი საერისკაცო სახელია მურვანი.

საქართველოდან ჩამოსულმა კინოგადამღებმა სამეულმა 1966 წლის მაისში საგანგებოდ მოინახულა კორბოს არქეოლოგიური გათხრების ადგილი ბირ-ელ-კუთის გორაკზე, შემდეგ კი იერუსალიმში მოძებნა თვით არქეოლოგიც. ილია რურუა თავის წიგნში ასე გადმოგვცემს ამ შეხვედრის ამბავს:

„ჩვენ იერუსალიმში მოვინახულეთ და ფირზედაც აღვბეჭდეთ არქეოლოგი, რომელმაც თავისი აღმოჩენით ესოდენ დიდი ამაგი დასდო ქართული კულტურის ისტორიას. კორბო სასულიერო პირი აღმოჩნდა. ჩვენ ხელთ გვქონდა ავტორის პირადი ბიბლიოთეკიდან წამოღებული ეგზემპლარი გ. წერეთლის წიგნისა — „ქართული წარწერები პალესტინიდან", რომელიც ძირითადად აგებულია კორბოს გათხრების მასალებზე. გამოირკვა, რომ ამ წიგნის არსებობის შესახებ იტალიელ არქეოლოგს არაფერი სცოდნოდა და მან აქვე ჩაიკითხა წიგნის რეზიუმე. ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენოდა გარდა იმისა, რომ ქართველი მეცნიერის სახელით წიგნი კორბოსათვის დაგვეტოვებინა, რითაც ფრიად ნასიამოვნები დარჩა[5].

ადრიდანვე პალესტინაში ქართველთა მოღვაწეობის ფაქტებიდან ჩვენ მკითხველს შევახსენებთ მხოლოდ რამდენიმეს. რად ღირს თუნდაც შუა საუკუნეების ცნობილი საეკლესიო პირისა და მწიგნობრის იოანე ზოსიმეს მოღვაწეობა ჯერ საბაწმიდის განთქმულ ლავრაში, შემდეგ კი სინას მთის ქართველთა მონასტერში.

[4] შ. ნუცუბიძე. კრიტიკული წერილები. აზროვნება და შემოქმედება. თბ., 1966.

[5] ი. რურუა. „მოგზაურთა და მენავეთათვის".

მრავალი უცხოური წყარო გვიდასტურებს ქართველების დიდ აქტიურობას პალესტინაში, განსაკუთრებით XI—XII საუკუნეებში, კერძოდ, ამაზე ლაპარაკობს 1173 წლით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში ვინმე რაბინი ბენიამინი. ბერძენი პილიგრიმი ფუკასი, რომელსაც პალესტინა მოუვლია 1185 წელს, ადასტურებს, რომ ქართველებს ეკუთვნოდათ არა მარტო ჯვრის მონასტერი, არამედ იერიქონას ველზე აგებული ტაძარიც, რომ ქართველი ბერები კლდეებში გამოკვეთილ გამოქვაბულებში — „კომკოსებშიც" ცხოვრობდნენ[6].

მე-14 საუკუნის პირველი ნახევრის ერთ-ერთ დოკუმენტში გერმანელ მოგზაურს აღუნიშნავს, რომ ამავე ველზე მდებარე კრიენიტალის მონასტერი ადრე ქართველებისა ყოფილა[7].

პალესტინაში არაბთა ბატონობის ერთ პერიოდში „მაცხოვრის საფლავის" მთავარი ტაძრის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველების გამგებლობაში ყოფილა, რაც დიდ პრივილეგიაზე ლაპარაკობს და რისი მიღწევაც იმ დროს არც ისე ადვილი იყო. ამავე ცნობას გვიდასტურებს 1347 წელს გერმანელი მოგზაური, რომლის სიტყვითაც ქრისტეს საფლავის ტაძრის „გასაღები ქართველებს აქვთო"[8].

სხვა მოგზაურები იმასაც ჰყვებიან, რომ ქართველები იერუსალიმში ჩამოდიან დიდ ჯგუფებად, ზოგჯერ ცოლ-შვილითაც. ამასთან „წმინდა ქალაქის" კარიბჭეებში ისინი შემოდიან

[6] T. E. Dowling. The Georgian Church in Jerusalem: OS, 1911.

[7] G. Garitte. Catalogue des manuscrits Géorgiens littéraires du mont Sinai, 1956.

[8] R. P. Blake. Catalogue des manuscrits Géorgiens à Jerusalem: ROC 23—25, 1922—1926.



იარაღასხმულნი, ამაყად გაშლილი დროშებით და მუსულმანებს არავითარ გადასახადს არ უხდიანო.

მოგვიანო ხანის ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, ქართველთა დედოფალი ელენე იერუსალიმში ჩასულა 1624 წელს, როცა აქ უკვე თურქები ბატონობდნენ. დედოფალმა წმ. ნიკოლოზის სახელობის მონასტერი დააარსა და თავადაც აქ ცხოვრობდაო. 1789 წელს ძველ იერუსალიმში, ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქოს მონასტერში აღმოუჩენიათ მოგრძო ფორმის ქვა ქალის გამოსახულებითა და ქართული წარწერით, რომელშიც მოხსენიებულია ელისაბედი, ელენე-ყოფილი[9].

მრავალ საგულისხმო ფაქტსა და მასალას ვპოულობთ პალესტინაში ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ცნობილი ისტორიკოსის ალექსანდრე ცაგარელის შრომებში, რომლებიც დაწერილია „წმინდა მიწის" მოხილვის საფუძველზე. მეცნიერის თქმით, „...ქართველთა მოღვაწეობის დაცემა ან აღზევება დამოკიდებული იყო... ისტორიული ცხოვრების დაცემასა და აღზევებაზე თვით საქართველოში".

და მაინც, თავიანთი მოღვაწეობის ყველაზე წარუშლელი კვალი ქართველებს ჯვრის მონასტერში დაუტოვებიათ.

[9] Н. Марр. Описание грузинских рукописей Синайского монастыря. Тб., 1940

პალესტინაში და ამით იერუსალიმში ქართველთა მოღვაწეობასთან დაკავშირებით, საინტერესოა აგრეთვე მოვიყვანოთ ამონაწერები "საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოდან, რომელშიც, სხვათა შორის, ვკითხულობთ:

როგორც კი თამარ მეფე გარდაიცვალა (1213 წ.) და სამეფო ტახტი მისმა მემკვიდრემ გიორგი-ლაშამ (გიორგი მეოთხემ) დაიჭირა,

საქართველო თავს უძლეველად გრძნობდა და გიორგი ლაშას კარზე მწიფდებოდა აზრი შორეულ პალესტინაში ლაშქრობისა თურქთა ხელიდან

იერუსალიმის გამოსახსნელად. თვით პალესტინა-იერუსალიმის ქრისტიანებს შორის კი უკვე დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ ქართველი ჯვაროსნების ვითომ დიდი ლაშქრობის დაწყების შესახებ პალესტინის მიმართულებით.

სწორედ იმ ხანებში მეფე გიორგი-ლაშას დასავლეთ ევროპიდან რომის პაპის ჰ ო ნ ო რ ი უ ს ი ს წერილი მოუვიდა. პაპი სთხოვდა მეფეს ევროპის ქრისტიანულ სახელმწიფოთა მიერ განზრახულ ჯვაროსანთა ომში საქართველოსაც მიეღო მონაწილეობა.

ლაშა-გიორგიმ თანხმობა განაცხადა და ლაშქრობის სამზადისსაც შეუდგა, მაგრამ მთელი ეს გეგმა მოულოდნელად ჩაიშალა: საქართველოს აღმოსავლეთით, შუა აზიასა და ირანში, თავი იჩინა ისეთმა მოვლენებმა, რომელთაც სავსებით მიიპყრეს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკის მესვეურთა გულისყური.

**გიორგი V-ის ურთიერთობა ილხანებთან**

XIV საუკუნის დამდეგს, როგორც ვიცით, ერთიანი საქართველოს სახელმწიფო უკვე კარგა ხნის გაუქმებული იყო. ლიხთიქით ცალკე სამეფო არსებობდა. საქართველოს სახელმწიფოში ფაქტიურად აღარც სამცხის სამთავრო შემოდიოდა, ხოლო დანარჩენ ქვეყანას დემეტრე მეორის შვილები დაპატრონებოდნენ და მონღოლთა ყაენის ნებით ზოგი ერთ კუთხეს ფლობდა, ზოგი — მეორეს.

1314 წლიდან საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში გიორგი დემეტრეს ძე მეფობდა. იმ დროს მისი უფროსი ძმები დ ა ვ ი თ ი და ვ ა ხ ტ ა ნ გ ი უკვე გარდაცვალებული იყვნენ და ქვეყნის უდიდესი ნაწილი გიორგის ემორჩილებოდა. ქვეყნის შემოკრებაში მეფეს ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ მას განსაკუთრებით კარგი ურთიერთობა დაემყარებინა მონღოლთა ყაენის კართან.

1316 წელს, როცა ოლჯაით ყაენი გარდაიცვალა და ყაენად მცირეწლოვანი ა ბ უ ს ა ი დ ი დასვეს, გიორგი მეფე ურდოში წავიდა. ყაენის კარზე იმ დროს პირველი ვაზირი იყო ჩ ო ფ ა ნ ნ ო ი ნ ი, გიორგი მეფის ახლო მეგობარი. ჩოფანი დიდად აფასებდა საქართველოს მეფის მეგობრობას და მას თავის ერთგულ კაცად სთვლიდა. გიორგი მეფე მართლაც ერთგულობდა ჩოფანს. რჩევა-თათბირით თუ მონღოლთა ჯართან ერთად მხნე ლაშქრობით მან ყაენის კარის დიდი ნდობა დაიმსახურა. ამიტომ იყო, რომ ურდოში მისულ გიორგი მეფეს ჩოფანმა „მოსცა ყოველი საქართველო და ყოველნი მთავარნი საქართველოსანი და შვილნი დავით მეფისანი და მესხნი შვილნი ბექასნი“.

რაკი მონღოლთა კარის მხარდაჭერა გაინაღდა და სათანადო დასტური მიიღო, გიორგი მეფემ საქართველოს შემომტკიცება დაიწყო.

**მონღოლთა ბატონობის გადაშენება და საქართველოს ძლიერების აღდგენა**

1327 წლიდან მონღოლთა ურდოში ისევ შფოთი ატყდა. აბუსაიდ-ყაენმა თავის აღმზრდელსა და პირველ ვაზირს ჩოფანს ორგულობა დასწამა. ჩოფანი, მისი შვილები და თანამოაზრეები გაწყვიტეს, მაგრამ არეულობას ისე ღრმად გაედგა ფესვები, რომ ყაენმა ძველი ძალა ვეღარ მოიცა.

ამასობაში გიორგი მეფე კიდევ უფრო გაძლიერდა და კიდევ უფრო გათავისუფლდა მონღოლთა ბატონობისაგან. მან საქართველოში მდგომი მონღოლთა ჯარი ქვეყნის დიდი ნაწილიდან გარეკა, ხოლო ყაენს ხარკის ძლევა შეუწყვიტა.

1335 წელს აბუსაიდ ყაენი გარდაიცვალა და მას შემდეგ ილხანთა ერთიანი სახელმწიფო ფეხზე აღარც წამომდგარა და 50-იანი წლებიდან ის ფეოდალურ ერთეულებად ან მომთაბარე თურქმანულ-მონღოლურ ტომთა რამდენსამე გაერთიანებად დაიშალა. მათ შორის ატყდა ბოლომოუღებელი ომები, რაც არა ნაკლებ ანადგურებდა მშვიდობიანი შრომის ნაყოფს, ვიდრე მონღოლთა ყაენის ბასკაკები.

ქართული ფეოდალური სახელმწიფო მტკიცედ დაადგა პოლიტიკური რესტავრაციის გზას. დასავლეთ საქართველოსა თუ სამცხის სამთავროში ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვებოდა ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის აღდგენის მომხრე ძალები. ისინი განსაკუთრებით უნდა გამრავლებულიყვნენ მას შემდეგ, რაც აღმოსავლეთ საქართველომ ქედიდან გადაიგდო მონღოლთა ბატონობის მძიმე უღელი.

ასეთ პირობებში გიორგი მეფემ 1329 წელს, როდესაც დასავლე-

ქვეყანა ეკონომიურად გამოცოცხლდა. ვაჭრობა-აღება-მიცემისათვის ხელის შეწყობის მიზნით გიორგი მეფემ სრულფასიანი ვერცხლის მონეტა („გიორგაული") მოაჭრევინა. განსაკუთრებით გაცხოველდა ვაჭრობა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებთან. საქართველომ შორს გაითქვა სახელი. ამასთან იყო კავშირში ის გარემოება, რომ რომის პაპმა აღმოსავლეთის აგენტურა (მისიონი) ქალაქ სმირნიდან თბილისში გადმოიტანა.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის გაცხოველებასთან ერთად, საქართველო ცდილობდა ახლო აღმოსავლეთშიაც აღედგინა თავისი ძველი პრესტიჟი. გიორგი მეფემ მეგობრული ურთიერთობა დაამყარა ეგვიპტის სულტანთან, რომლის ხელშიც იმყოფებოდა მაშინ პალესტინა, ქრისტიანების სალოცავი ადგილი. იქაური ქართველთა მონასტერი მაჰმადიანებს მიზგითად (მუსლიმანთა სამლოცველო სახლად) ექციათ. ეგვიპტის სულტანმა დიდი პატივი დასდო გიორგი მეფეს და ჯვარის მონასტერში ქართველთა უფლება აღადგინა, ხოლო იერუსალიმში მიმავალ ქართველ მლოცველებს ნება დართო წმინდა ქალაქში მხედრულად გაშლილი დროშებით შესულიყვნენ ხოლმე.

ასეთივე ცხოველი დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა გიორგი მეფეს სხვა მახლობელ თუ შორეულ ქვეყნებთან — ბიზანტიასთან, რომის პაპთან. რაც შეეხება ტრაპიზონის სამეფოს, იქ საქართველოს სამეფო კარი ტრადიციულ პოლიტიკას განაგრძობდა: ტრაპიზონის მეფის კარზე გიორგი მეფე ენერგიულად უჭერდა მხარს იმ დასს, რომელიც ბიზანტიის საკეისროს წინააღმდეგ და საქართველოს სასარგებლოდ მოქმედებდა.

ასეა ნათქვამი, სხვათა შორის, "საქართველოს ისტორიის" სახელმძღვანელოში პალესტინისა და ამით იერუსალიმის შესახებ.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ ქართული "ჯვარის" მონასტრის ხეობას, სადაც მე ვიმყოფებოდი 1981 წლის 17-ტ აგვისტოს. აი ჩემი მაშინდელი ჩანაწერი მაგნიტოფონის ფირზე:

(ფ ი რ ი......................)

ლაპარაკობს დავით თაბორიძე იერუსალიმიდან

ეხლა მე ვარ პატივცემული მსმენელებო ჯვარის მონასტერის ხეობაში და გავყევი ბილიკს, რომ მივიდე ჯვარის მონასტრის შესასვლელთან. მაგრამ გზაში თვალში მხვდება წარწერა ინგლისურ ენაზე და, რათქმა უნდა, ებრაულ ენაზეც, Sir Charles Hill Gardens, ე.ი. ბატონ ჩარლზ ჰილის ბაღები." და ეს ბაღები, რამდენადაც აქ სჩანს, არის ჯვარის მონასტრის ირგვლივ. ჯვარის მონასტერი კი ამ ბაღებიდან გამოყოფილია ქვის ღობით და თუ როგორ მოხდა ეს გაყოფა, ე.ი. საიდან დადგინდა საზღვარი მონასტრის ღობესა და ამ "ჩარლს ჰილის ბაღებს" შორის, ჯერჯერობით ჩემთვის უცნობია. უნდა აღინიშნოს, რომ, როდესაც მე აქ 1967 წლის იანვარში ვიყავი, მაშინ, როგორც აღვნიშნე, მთელი ეს ხეობა იყო მოუვლელი, გაპარტახებული, დღეს ყველაფერი მოვლილი სჩანს, ყველგან გაყვანილია ბილიკები, სასეირნო ბილიკები, მაგრამ თვალში მომხვდა, რომ ეს ბაღები, ე.ი. ჯვარის მონასტრის ირგვლივ მდებარე ბაღები ბილიკებით, უკვე ეკუთვნის "სერ ჩარლს ჰილ გარდენს", ე.ი. "ბატონ ჩარლზ ჰილის ბაღებს". ვნახოთ თუ გავიგებთ რაშია საქმე, როგორ მოხდა ამ ხეობის ასე გაყოფა. ამგვარი აზრის გამოთქმის საშუალებას მაძლევს ის, რომ ჯვარის მონასტრის ხეობა მამული უკვე იმყოფება იერუსალიმის ქალაქის ცენტრში და, გასაგებია, აქ ყოველი კვადრატული მეტრი მეტად ძვირია, და, როგორც სჩანს, აქ უკვე სახლების აგების, ე.ი. ქალაქის შენობების აგება აღარ შეიძლება, ვინაიდან ეს ხეობა უნდა დარჩეს როგორც ხეობა, მაგრამ როგორც სჩანს, შესაძლებელია, ამ ხეობის, ე.ი. ჯვარის მონასტრის ხეობის, ასე ვთქვათ, გაყიდვაც, თუ ამას გადაწყვეტს იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო, ვინაიდან, როგორც ცნობილია, უკვე საუკუნეების განმავლობაში ქართული ჯვარის მონასტერი არის ბერძენთა საპატრიარქო

განკარგულებაში იერუსალიმში და ჩვენ, ქართველებს, საქართველოს, საქართველოს საპატრიარქოს, ჯერჯერობით არავითარი იურიდიული უფლება არ გააჩნია აქ ამ მონასტერში, ვიცყოდი სამწუხაროდ, მაგრამ მოდი გავყვეთ გზას ჯვარის მონასტრის მთავარი შესასვლელისაკენ.

(ფ ი რ ი ს  დასასრული....)

შემდეგ გადავჭერი "სა-ადია-გაონის" ქუჩა, რომლის მეორე მხარეს დღეს "კლორის კონცხის ბაღია" = Clore Hill Gardens,) საიდანაც უკვე ხევის სიღრმეში მოსჩანს "ჯვარის" მონასტერი. პირველად რაც თვალში მომხვდა იყო ის, რომ "ჯვარის" ხევის დასავლეთ ნაწილში გაუყვანიათ ფართე ასფალტირებული გზა ისე, რომ ამ ხევის ერთი ნაწილი გამოყოფილია მის უფრო დიდ ნაწილისაგან, და ამ პატარა ბაღს, რომელიც "ჯვარის" ხევის მთელ სიგრძეზე, დასავლეთით, შედარებით ვიწრო ზოლს წარმოადგენს, ეწოდება აღნიშნული "კლორის კონცხის ბაღი". ამგვარად, "ჯვარის" მონასტრის ხევი დაპატარავებულია ამ ფართე საავტომობილო გზით, რომელიც "ჯვარის" მონასტრის ახლო-გვერდზე უვლის. ეს კი მეტად მეწყინა, ვინაიდან – როცა მე ვიყავი იერუსალიმში 1967-ი წლის იანვარში, ე.ი. თითქმის 15-ი წლის წინათ, მაშინ ეს საავტომობილო გზა არ ყოფილა აქ გაყვანილი, რაც მთელ "ჯვარის" ხევს მაშინ უფრო "ხელუხლებელს", უფრო "ბუნებრივს" ხდიდა, თუმცა მაშინ ეს ხევი ისე მოვლილი და გაშენებული არ ყოფილა, როგორც არის დღეს.

III

გავყევი რა ფეხით ბილიკს "ჯვარის" მონასტრისაკენ, რაც – როგორც ავღნიშნე – კარგადაა გაკეთებულ-მოვლილი, ბილიკის ერთ ჯვარედინზე ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთმა არც ისე დიდმა ლოდმა, რომელზედაც ინგლისური წარწერაა ამოკვეთილი: Sir Charles Hill Gardens.

დაუახლოვდი რა ამ ზილიკით ჩვენს ქართულ"ჯვარის" მონასტერს 1981 წლის 17-ტ აგვისტოს, ჩემს მაგნეტოფონის ფირზე ჩავწერე შემდეგი:

(ფ ი რ ი.....................)

დალაპარაკობს დავით თაზორიძე იერუსალიმიდან, ეხლა მე ვარ, პატივცემულო მსმენელებო, დაახლოებით 50 მეტრის დაშორებით ქართული ჯვარის მონასტრის მთავარი შესასვლელიდან და აქიდან მოსჩანს ის ცვლილებები, რომლებიც აქ მომხდარა უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში. როგორც ავღნიშნე, მე ვიყავი აქ 1967 წლის იანვარში და ეხლა ვარ აქ, 1981 წლის 17 აგვისტოს, და უკვე ერთერთი მთავარი ცვლილება, რომელიც ეტყობა მოხდა ამ ჯვარის ხეობაში არის ის, რომ ჯვარის მონასტერი უკვე გალავანით=ლობერით შემოვლებულია ირგვლივ, რომლის დროს, მთელი ეს ხეობის ფერდობები აღმოსავლეთით, დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით უკვე მის, ასე ვთქვათ, მამულის ფარგლებში არ არის. თვით ჯვარის მონასტრის ფარგლებშია მცირე ნაწილი ამ ხეობისა, რომელიც მდებარეობს თვით ამ მონასტრის, განსაკუთრებით, ჩრდილოეთით, დასავლეთით და სამხრეთით. აღმოსავლეთით კი, თითქმის, მონასტრის გვერდით, სადაც მე ეხლა ვდგევარ, გადის გზა, ავტოსტრადის ტიპის, რომელიც ერთერთი, ასე ვთქვათ, ხშირი მოგზაურობის გზაა, როგორც თქვენ გესმით ავტომობილების ხმაურობითაც, როგორც ავღნიშნე, არ ვიცი რა მოხდა; შეიძლება ჯვარის მონასტრის ხელმძღვანელობამ-და ხელმძღვანელობამ, ე.ი. იურდიული საკუთრებაქეს დღეს იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოსი, შეიძლება გაყიდა ამ ხეობის ეს გარშემო მდებარე ადგილები; შეიძლება იჯარით გასცა, ერთი სიტყვით ჯერჯერობის ეს ჩემთვის უცნობია. მაგრამ ფაქტი რჩება ფაქტად, რომ თვით ჯვარის მონასტრის ხეობა მხოლოდ იმდენათაა ამ მონასტრის, ასე ვთქვათ, იურდიული განკარგულების ქვეშ, დამდენადაც ის შემოღობილია ქვის ღობერით, რომელიც შემოვლებულია ამ მონასტრის ირგვლივ. თვით მონასტერი, პატივცემულო მსმენელებო, 15 წლის წინათ, როცა მე აქ ვიყავი, გარედან ტოვებდა მოუვლელ შთაბეჭდილებას. ახლა კი ყველაფერი შეკეთებული მოსჩანს. გარედან

ჯვარის მონასტერი შემოვლებულია მაღალი კედლებით, ყო-
ველი მხრიდან, და ეს კედლები ეკუთვნის ჯვაროსნულ ეპოქას, ე.ი. შუა სა-
უკუნეებს, როდესაც ჯვარის მონასტერსაც უხდებოდა სხვადასხვა ჯურის თა-
ვდამსხმელებისგან თავის დაცვა, და აი ამიტომ ირგვლივ ამ ჯვარის მონა-
სტერს აქვს მაღალი კედლები, ვიწრო ფანჯრებით, და ეკლე-
სიების მხოლოდ ჯვარი მოსჩანს, მხოლოდ გუმბათის წვერი.
მარცხენა მხარეს, აღმოსავლეთიდან მოსჩანს აგრეთვე ერთი ბალკონი, რომე-
ლზედაც სჩანს ვენახის, ასე ვთქვათ, ბალკონი, როგორც ჩვენში იცყვიან სო-
ლმე, "ცალავერი", რომელიც განსაზღვრულ ჩრდილს აწვდის ამ ბალ-
კონს. ე.ი. გარედან მხოლოდ სჩანს კედლები ამ ჩვენი მონასტრისა და
რამდენიმე კვიპაროსის ხის წვერი, რომლებიც შიგ, ეზოშია, დარგული. მაგრამ
შევეცადოთ შევიდეთ შიგ მოსანცერში. უკვე ეხლა შესრულდა 10 საათი და
სწორედ ათ საათზე იღება ჯვარის მონასტერი, როგორც მუზეუმი და ყოველ
დამთვარიელებელს შეუძლია შიგ შესვლა. მაშ, შე-
ვუდგეთ ამ მონასტრის დათვალიერებას და შევიდეთ თვით მონასტერში.

(ფ ი რ ი ს დასასრული..........)

იმისათვის, რომ "ჯვარის" მონასტერში შესვიდე დასავლეთის, ე.ი.იერუ-
სალიმის ქალაქის მხრიდან, საჭიროა სწორედ ამ ფართე ასფალტიანი შარა-
გზის, რომელსაც ჩვენ ცვის გამზირი ეწოდება, გადაჭრა; მისი გადაჭრა
კი შეუძლებელია ისეთი მჭიდრო საავტომობილო მიმოსვლაა მასზე. ამი-
ტომ დამჭირდა "ჯვარის" მონასტრის ხევის სამხრეთ საზღვრამდე ჩასვლა,
სადაც ცუნელია ამ გზის ქვეშ გაყვანილი, და ამ ცუნელით გავედი მეორე
ვიწრო მოასფალტებულ გზაზე, რომელიც მიემართება "ჯვარის" მონასტრამდე
და გადის "ჯვარის" მონასტრის ხევის ჩრდილოეთამდე, სადაც ამ ხევის

საზღვარს წარმოადგენს "რუპინის" ფართე შარა-გზა. დაუახლოვდი რა "ჯვარის" მონასტერს, თვალში მომხვდა აგრეთვე ისიც, რომ"ჯვარის" მონასტრის გალავანი, ჭიშკარი და ამ უშველებელი ციხე-სიმაგრის-მაგვარი შენობის მაღალი გარსშემოვლებული კედლები შესანიშნავადაა შეკეთებული. მაგრამ "ჯვარის" მონასტრის ხევზე ლაპარაკი უკვე აღარ შეიძლება, ვინაიდან "ჯვარის" მონასტრის ხევის მხოლოდ მცირე ნაწილია, მონასტრის ირგვლივ , გალავანით შემოღობილი, დიდი ნაწილი სამხრეთით და ჩრდილოეთით საზოგადოებრივი ბაღებია, რომლებსაც ეწოდება "რეჰავია პარკი". აი ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე, როცა მივედი "ჯვარის" მონასტრის შესასვლელთან, 1981 წლის 17-ტ აგვისტოს:

(ფირი.......................)
===========================

ლაპარაკობს დავით თაბორიძე იერუსალიმიდან

ეხლა მე ვარ, პატივცემულო მსმენელებო, ჯვარის მონასტრის შესასვლელთან და სანამ აქ მოვიდოდი ჩემი ყურადღება მიიპყრო იმ გარემოებამ, რომ ბაღში, რომელიც უკვე ჯვარის მონასტრის გარეთ არის, ე.ი. მის შემოღობილ ტერიტორიაზე, აღმოვაჩინე ბევრი ბროწეული, უკვე გარეული ბროწეული, რომელთაგან ერთი მოვწყვიტე და თან წამოვიღე როგორც სუვენეტი. აქ არის აგრეთვე ატმის, ზეთის ხილის ხეები და წარმოიდგინეთ, აღმოვაჩინე აგრეთვე, უკვე გახევებული, დიდი კამა, რომელიც უკვე აყვავებულა და მაკვირვებს, რომ ასე მაღალი და ასეთი დიდი კამის მცენარე არსებობს. ერთი სიტყვით, ამ ადგილს ეტყობა, რომ აქ იყო ერთდროს მამული და ეხლა გადაქცეულია საზოგადოებრივ ბაღად. მაგრამ ხეხილი, რომლებიც ერთ დროს აქ გაშენებული იყო ბერების მიერ, ზოგიერთები გადარჩენ და, უკვე ველური სახით, განაგრძობენ ნაყოფის გამოღებას. მაგრამ შევიდეთ თვით მონასტერში, "ჯვარის" მონასტერში იერუსალიმში.

(ფირის დასასრული......)

ამასობაში მივედი"ჯვარის"მონასტრის მთავარ შესასვლელთან,რომელიც გამოირჩევა იმით, რომ შესასვლელი ჭიშკარი-კარი მეტად დაბალია,რომ მასში შესვლა შეიძლება მხოლოდ წელში დაღუნული; თვით კარებში კი მძიმე რკინისაგანაა გაკეთებული,რომელიც ჩასმულია ქვის უზარმაზარ,შეიძლება ითქვას, დაუმუშავებელ ლოდებს შორის. მონასტრის ამგვარი კარი,ნათელია, ემსახურებოდა იმ მიზანს, რომ მასში მტერი,"დაუპატიჟებელი" სტუმარი ვერ უნდა შესულიყო. მივედით ამ კართან და დავაკაკუნე კარზე მძიმე რკინის ნაჭერით,რომელიც სწორედ დასაკაკუნებლადაა მიკიდებული კარზე.

(ფ ი რ ი..................)
==========================

შევაჯამოთ: ახალგაზრდა ბერძენმა ბერმა გააღო "ჯვარის" მონასტრის კარი, გამაფრთხილა თავი დაბლა დაწიეო, და შევედი მონასტრის ეზოში, რომელიც ვიწრო გასასვლელ-გამოსასვლელების ლაბირინთის შთაბეჭდილებას ტოვებს, რომლის                იატაკი ქვებითაა მოპირკეთებული ისე თითქოს ოთახებში იყოს. ბერძენმა ახალგაზრდა ბერმა გაგვიყვანა ერთი ვიწრო ეზოდან მეორეში, და ბოლოს მიგვიყვანა "ჯვარის" მონასტრის მთავარ ეკლესიის შესასვლელთან, რომლის კარებს ზევით ჩამოკიდებულია დიდი ხატი "ჯვარის" ხის ისტორიის-გადმოცემის ასახვით. აი ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე:

(ფ ი რ ი..................)
==========================

ლაპარაკობს დავით თაბორიძე იერუსალიმიდან!

ეხლა მე ვდგევარ,პატივცემულო მსმენელებო, ქართული "ჯვარის" მონასტრის მათავრი ეკლესიის შესასვლელში, კართან,რომლის მაღლა განლაგებულია ხატი-სურათი,რომელზედაც ერთი ბერი წყალს უსხამს სამ-შტოიან ხეს, რომლის შესახებ არსებობს თქმულება,რომელიც დაბეჭდილია საქართველოს ეკლესიის კალენდარშიც. ამ თქმულების შინაარსი ასეთია:

## ძელი ჯვარისა

პალესტინაში, ჯვარის ქართულ მონასტერში არსებობს თქმულება ჯვარის ძელზე, რომელიც გვაუწყებს: წმიდა აბრამმა თავის ძმისწულს, ლოთს დაუწესა სასჯელი მის მიერ ჩადენილი ცოდვის გამო. სასჯელი ასეთი იყო: იერუსალიმთან ახლოს ლოთს მიწაში უნდა ჩაერგო კვიპაროსის, ნაძვისა და კედარის გამხმარი რტოები და მანამდის ერწყა ისინი, სანამ არ ამწვანდებოდნენ. მათი ამწვანება იქნებოდა ლოთისათვის ნიშანი შენდობისა. ყოველდღიურად რწყავდა ლოთი ამ რტოებს წყალში გარეული საკუთარი ცრემლებით. რამდენიმე წლის შემდეგ გამხმარი რტოები განედლდა და ერთი ხის ტანად აღმოცენდა. მეფე სოლომონმა ბრძანა, იერუსალიმის ტაძრის მშენებლობაზე გამოეყენებინათ ეს ხე, მაგრამ მშენებელთა გულმავიწყობის მიზეზით, ძელი სიონის კედლებთან დარჩა უყურადღებოდ მიტოვებული. შემდგომში იგი ბოგირად გასდეს ნაკადულზე, რომელიც ტაძარს ჩაუდიოდა და კარგახანს ხიდად ემსახურებოდა მლოცველებს.

იესო ქრისტეს სიკვდილით დასჯისას ჯვრის ძელად გამოიყენეს სწორედ ეს ძველი მორი და მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ მიწაში დაფლეს გოლგოთის მთაზე, რომელზედაც რომაელებმა წარმართული საკერპე აღმართეს.

ჯვარის ზეციური ხატი რამდენჯერმე გამოეცხადა მეფე კონსტანტინეს და როცა თავისი ძალაუფლების ქვეშ მთელი რომის იმპერია გააერთიანა, თავგამოდებით შეეცადა აღმოეჩინა ძელი ჯვარისა. 324 წელს კონსტანტინე იმპერატორის დედამ, წმიდა ელენემ, წარმართული ბომონის ქვეშ აღმოაჩინა გოლგოთის ჯვარი. მეშვიდე საუკუნემდე იგი ინახებოდა იერუსალიმის ჯვრის მონასტერში; შემდეგ სპარსელებმა გაიტაცეს, მაგრამ მალე ისევ დააბრუნა იმპერატორმა ირაკლიმ.

მუსულმანების შემოსევისა და ჯვაროსნულ ლაშქრობათა ეპოქაში წმინდა ჯვარი იმყოფებოდა ხან ქრისტიანების, ხან დამპყრობელი მაჰმადიანების ხელში.

დღეისათვის წმიდა ჯვარი ასობით ნაწილადაა დაყოფილი და ინახება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. უმეტესი ნაწილი ჯვრისა ეკუთვნის იერუსალიმის საპატრიარქოს.

მეოთხე საუკუნეში იმპერატორმა კონსტანტინემ საქართველოს უსახსოვრა და გამოუგზავნა გოლგოთის ჯვრის განივი ფიცარი, რომელზედაც ფეხები ედგა ჯვარზე გაკრულ ქრისტეს. ეს წმიდათაწმიდა განძი ინახებოდა მთის მიუვალ ციხე-სიმაგრეში, მაგრამ საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი მეთორმეტის მეფობის პერიოდში უგზოუკვლოდ გაქრა და დღემდე არაა მიკვლეული.

---

| სტილი | |
|---|---|
| ძვ. წ. | ახ. წ. |
| 12 | 25 |

ორშ.

## თებერვალი

მე-2 შვიდეული დიდი მარხვისა.

დღესასწაული ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატისა.

ხს. წმ. პროხორე ქართველისა, იერუსალიმის ქართული ჯვრის მონასტრის განმაახლებლისა (XI), წმ. მღვდელმოწამე ლუკა იერუსალიმელისა (მუხაიძის) მოწამებრივ გარდაცვალებულისა (1277), ნიკოლოზ დვალისა — იერუსალიმის ქართულ ჯვრის მონასტერში წამებულისა (1314).

ამჟამად პალესტინაში, იერუსალიმში ჯვარის ქართულ მონასტერში მთავარ ეკლესიის შესასვლელთან მაღლა დღესაც ჰკიდაია ხატი-სურათი, რომელზედაც წმინდა აბრამის ძმისწული ლოტეა გამოხატული, რომელიც კვიპაროსის, ნაძვისა და კედრის გამხმარ შტოებს უსხამს წყალს, და სურთაზეა სწორედ გამოხატული ის მომენტი, როდესაც ეს შტოები გაიხარებენ, ამწვანდებიან და ერთ ხეთ იზრდებიან. აი ეს თქმულება, რომელიც დაბეჭდილია როგორც ავღნიშნე საქართველოს ეკლესიის კალენდარში.

## IV

იერუსალიმის "ჯვარის" ქართული მონასტრის დღევანდელი მდგომარეობის აღწერასთან დაკავშირებით, ჯერ მხურს გესაუბროთ საერთოდ ჯვარის მნიშვნელობის შესახებ:

### ჯვარი

ჯვარი — ადამიანის დალუპვისა და სრული განწირვის ეს ძველი სიმბოლო, ახალი აღთქმის ეკლესიისათვის უდიდესი სალოცავი, ნასოების მომცემი და დიდება გახდა, რადგანაც ჩვენი მიწიერი ცოდვების გამოსახსნელად ჯვარს ეცვა და ევნო ქრისტე ღმერთი, მაცხოვარი ქვეყნისა, რითაც გადაგვარჩინა ჩვენ ჯოჯოხეთის სატანჯველსა და მარადიულ სიკვდილს. ჯვარის მეშვეობით გამოვლინდა მთელი სავსეობა ღმერთის უსაზღვრო სიყვარულისა კაცობრიობის მიმართ, „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თვისი მხოლოდშობილი მოჰსცა მას, რათა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი; არა წარჰსწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხოვრება საუკუნო“ (იოანე 3, 16).

ჯვარცმულისაგან ვიბადებით ჩვენ ქვეყანაზე, ჯვარით ვცოცხლობთ და ჯვარითვე აღვესრულებით. გულზე ჯვარის ტარება ძველი ჩვეულებაა. ესაა აშკარა ნიშანი იმისა, რომ ვეკუთვნით ქრისტიანულ ეკლესიას; ჯვარი დამცველია ჩვენი, მაცხოვნებელი ძალაა, რომელიც იმარჯვებს ყოველგვარ ბოროტებასა და ეშმაკეულზე. მაცხოვნებელი ჯვრის ტარების უფლებას ადამიანი იძენს ნათლისღების საიდუმლოების ჟამს.

რაც შეეხება პირჯვარის გამოსახვას, ეს წესი ოვით მახარებლების დროიდან მოდის. უკვე მეორე საუკუნეში ქრისტიანები პირჯვარს იწერდნენ ყოველი ახალისაქმის დაწყებისას. მოციქულების დროიდან პირჯვარის გადასახვა წესად იყო შემოღებული ღვთისმსახურებისა და ლოცვის დროს.

პირჯვარის გამოსახვა არის რწმენის სიმბოლო. სამი მჭიდროდ შეკრული თითიდან პირველი ნიშნავს სამების რწმენას. ორი მომდევნო ოდნავ მოხრილი თითი კი აღნიშნავს ორბუნებოვან ერთარსებას — იესო ქრისტეს — ძეს ღვთისას. გარდმოვლენილს დედამიწაზე, ხოლო თვით პირჯვარის გადასახვა — ცოდვათაგან გამოხსნის დოგმატს.

პირჯვარის წერისას უმთავრესი სულიერი ძალების: ნების, გონებისა და გრძნობის თაყმოყრითა და გაძლიერებით, სულისა და სხეულის კურთხევით, ჩვენსა და მამაზეციერს შორის უხილავად ვლინდება ჯვარის სახე: გაღებად უფლისმიერი ნათლისა და სიყვარულისა, რომლის ჟამს უხვად გადმოდის ჩვენზე მოწყალების ღვთაებრივი ნაკადული.

## ცხოველმყოფელი ჯვარი

მოციქულებზე წმიდა სულის გადმოსვლის შემდეგ ქრისტიანობამ დაიწყო სწრაფი გავრცელება მთელ დედამიწაზე, მაგრამ წარმართი იმპერატორები მტრულად იყვნენ განწყობილნი ქრისტიანების მიმართ, ყოველმხრივ დევნიდნენ, აწამებდნენ მათ. ქრისტიანთა დევნა გაგრძელდა სამას წელს და დამთავრდა მხოლოდ იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს, რომელმაც თვითონ მიიღო ქრისტიანული სარწმუნოება.

დიდად პატივცემულმა კეთილმა დედოფალმა ელენემ, იმპერატორ კონსტანტინეს დედამ, განიზრახა მოეძებნა ჯვარი, რომელზედაც გააკრეს ჩვენი უფალი იესო ქრისტე და ამ მიზნით გაემგზავრა იერუსალიმში. დედოფალს უთხრეს, რომ ქრისტეს ჯვარი ჩაფლულია მიწაში და იმ ადგილზე აშენებულია წარმართული ტაძარი. როდესაც დედოფლის ბრძანებით დაშალეს ტაძარი და დაიწყეს მიწის გათხრა, ნახეს მიწაში სამი ჯვარი და პატარა ფიცარი წარწერით: „იესო ნაზარეველი, მეუფე ურიათა". რომ გაეგოთ, რომელია უფლის ჯვარი, დაიწყეს ჯვრების შეხება მიცვალებულზე, ორი ჯვრით არ მოხდა არავითარი სასწაული, როდესაც მიცვალებულს შეახეს მესამე ჯვრით, მიცვალებული აღსდგა და ამით გამოიცნეს უფლის ჯვარი. იქ მყოფ მრავალრიცხოვან ხალხს ეწადა დაენახა ცხოველმყოფელი ჯვარი. იერუსალიმის პატრიარქი მაკარი და დედოფალი ელენე დადგნენ ამაღლებულ ადგილზე და აღმართეს ჯვარი. ხალხმა თაყვანი სცა ჯვარს და შეჰღაღადა: „უფალო შეგვიწყალე". პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების დღე დადგენილია მძიმე მარხვად, ტაძარში სრულდება ჯვრის სადღესასწაულოდ გამოტანა და თაყვანისცემა.

ტროპარი: აცხოვნე, უფალო, ერი შენი და აკურთხე სამკვიდრებელი შენი, ძლევა ჯვარითა ბარბაროზთა ზედა ღვთივ-დაცულსა ერსა ჩვენსა მოანიჭე, და საფარველსა ქვეშე ჯვარისა შენისა დაიცევ, რათა ვიტყოდეთ: უფალო, დიდება შენდა!

კონდაკი: რომელი ამაღლდი ნებსით ჯვარსა ზედა, მოსახელესა შენსა ახალსა მოქალაქობასა, წყალობანი შენნი მოგვანიჭე, ქრისტე ღმერთო, ახარე ძალითა შენითა ღვთივ-დაცულსა ერსა ჩვენსა, და ძლევა მოჰმადლე მას მბრძოლთა მიმართ, რომელსა თანა-შემწედ აქვს შენი საჭურველი მშვიდობისა, უძლეველი საძლეველი, ჯვარი შენი, ყოვლად-ძლიერი.

აი, ასეთია ჯვარის მნიშვნელობა. მაგრამ ახლა დაუბრუნდეთ ჩვენს მოგზაურობას იერუსალიმის "ჯვარის" მონასტერში, იერუსალიმში 1981 წლის აგვისტოში. შევედით რა "ჯვარის" მონასტერში,(გაგრძელება შემდეგ გვერდზე).

ახალგაზრდა ბერძენმა ბერმა შეგვიძღვა "ჯვარის" მონასტრის "მთავარ ეკლესია"="კათოლიკონში" და დაგვტოვა იქ. აი ჩემი პირველი შთაბეჭდილება "ჯვარის" მონასტრის მთავარი ეკლესიაში შესვლის დროს; იმის შემდეგ,როცა შოთა რუსთაველის სურათი-ხატი ვნახე:

(ფირი..................)

როგორც გესმით,პატივცემულო მსმენელებო, ხარისხი ამ ჩანაწერისა მაგნიტოფონის ფირზე მეტად ცუდია,ვინაიდან ჩაწერის დროს ბევრი ხალხი იყო მონასტერში და ხმამაღლა ლაპარაკი არ შემეძლო. ამიტომ ამ სიტყვებს გავიმეორებ ახლა:

"ჯვარის" მონასტერში და ამ მონასტრის მთავარ ეკლესიაშიც,როგორც აღვნიშნე, მიმდინარეობს რემონტი, რასაც, ჩემის აზრით, მეტად მძიმე შედეგი მოყვა იმით, რომ ამ მთავარი ეკლესიის თითქმის ყველა კედელი ჩამოფხეკილია ქვებამდე; და ამით განადგურებულია არა მარტო ის მოხატულობა, რომელიც ამ ტაძრის კედლებზე შესრულებული იყო ბერძნების მიერ, არამედ ამ მოხატულობის ქვეშ მდებარე ქართული სახეები თუ სურათები, რომლებიც შესრულებული იყო ქართველების მიერ და საუკუნეების განმავლობაში მიმალული იყო ბერძნული სახეების თუ სურათების უკან. "ჯვარის" ქართული მონასტერი რომ მთლიანად მოხატული იყო ქართული სახეებითა და სურათებით, ამის ერთერთი ძველი დოკუმენტია რუსი ბერის დანილის ნაწერი,რომელმაც 1167-ღ წელს, იერუსალიმში ყოფნისას, ეწვია "ჯვარის" ქართულ მონასტერსაც და გვაცნობს შემდეგს:

"ეს ადგილი შემოზღუდულია ციხისებური გალავანით და მის შიგნით დგას წმინდა ჯვრის ეკლესია, ერთიანად მოხატული. მაღალ საკურთხეველს ქვემოდ არის წმინდა ხის გადანაჭერი, რომლის ნახვა შეიძლება თეთრი ქვის ფილებით დაფარულ იატაკში ამოჭრილი ხვრელიდან".

(Petrus der Iberer, Herausgegeben und uebersetzt von R.Raabe,1885).

ახლა კი,ვდგევარ რა "ჯვარის" ქართული მონასტრის მთავარ ეკლესიაში და ვუყურებ რა ამ ეკლესიის ქვებამდე ჩამოფხეკილ კედლებს, არ ვიცი როგორ გამოვთქვა ჩემი აღშფოთება, ვინაიდან,ვფიქრობ,

ბევრი ხატი და სურათი, რომელთა აღმოჩენა,უდავოა, ნათელს მოჰ-
ფენდნენ საქართველოს არა მარტო ეკლესიის ისტორიას, უკვე განად-
გურებულია. ამ ტაძრის ოთხი დიდი ხვეტიდან კი,რომელთაგან ერთ-
ერთზე,როგორც ცნობილია, შოთა რუსთაველის ხატი-სურათიცაა, მხო-
ლოდ სამი ხელუხლებელია, ხოლო მეოთხე ხვეტი თითქმის
მთლიანად გაფხეკილია ქვებამდე. და თუ მივიღებთ მხედველობაში,
რომ ხშირად ეს ხვეტები იქნებოდა მრავალი ღირსშესანიშნავი ქარ-
თული ხატებითა და სურათებით მოხატული,მაშინ გასაგებია,რომ
ამგვარი "რემონტით" ბევრი,მეტად ბევრი ხატი-სურათი,ისტორიული
დოკუმენტი უკვე განადგურებულია სამუდამოდ. და ყველაფერი ეს
მოხდა,როგორც აქ ვხედავ, ახლა,ჩვენს დროში,სულ ერთი თუ ორი წლის
წინათ,ვინაიდან ამ ტაძრისა და,საერთოდ, "ჯვარის" ქართული მო-
ნასტრის რეკონსტრუქცია თუ რემონტი ჯერაც კი არ არის დამთავრე-
ბული.

"გული გამისკდა", რომ იტყვიან ხოლმე, მაშინაც, როცა მივედი
ჯვარის მონასტრის მთავარი ეკლესიის ცენტრში და ვერ ვნახე ლითო-
ნის დისკო, რომელზედაც იყო წარწერა "ხლექით მტკიცედ და შეურ-
ყევლად". ვითომ ამ ტაძრის რემონტთან დაკავშირებით მოხსნეს,
ამოიღეს ეს დისკო?.. აი საკითხი,რომელიც უნდა გავარკვიო. აქვე
მსურს ავღნიშნო, რომ - როცა მე აქ ამ 15-ი წლის წინათ ვიყავი,
უფრო ზუსტად 1967 წლის იანვარში, მაშინ ეს ტაძარიც,მთელი"ჯვარის"
მონასტერი და თვით ჯვარის ხეობაც ასე კარგად,ასე ვთქვათ, მოვლილი
არ იყო, მაგრამ ტაძრის კედლებიც ჩამოუფხეკავნი, დისკოც
წარწერით-"ხლექით მტკიცედ და შეურყევლად" ტაძრის ცენტრში იყო.
ეხლა კი ყველაფერი რემონტშია,რაც მეტად ჩამაფიქრებელია,ვი-
ნაიდან,როგორც ავღნიშნე, ალბათ, მრავალი ძველი ხატი თუ სურათი,
ტაძრის კედლების აფხეკის დროს, განადგურდა,რის აღდგენა უკვე
შეუძლებელია.

მადლობა ღმერთს, რომ ის ხვეტი, რომელზედაც აღმოჩენილია
შოთა რუსთაველის ხატი-სურათი ხელუხლებელია, და აქ მსურს მოვიყვანო

ამონაწერები ივანე სტოვბუნის წიგნაკიდან, რომელშიც ის ეხება შოთა რუსთაველის ფრესკასთან დაკავშირებულ საკითხებს. ეს წიგნაკი, როგორც ცნობილია, გამოცემულია თბილისში 1981 წელს. ი.სტოვბუნი, სხვათა შორის, წერს:

ივანე სტოვბუნი

# შოთა რუსთაველის ფრესკა

ხელოვნება • თბილისი • 1981

## კიდევ ერთი ცნობა იერუსალიმში რუსთაველის ყოფნის თაობაზე

1187 წელს იერუსალიმი სალადინმა დაიპყრო. თამარ მეფემ თავისი დიპლომატიკური ნიჭის წყალობით მოახერხა, კარგი ურთიერთობა დაემყარებინა მასთან და მის შეილებთან. ამიტომაც ქართული კოლონიის მდგომარეობა იერუსალიმში დიდად არ გაუარესებულა. ქართველი პილიგრიმები განსაზღვრული პრივილეგიებითაც კი სარგებლობდნენ თვით XVII საუკუნემდე.

ზოგიერთი ცნობით, სწორედ თამარმა წარგზავნა რუსთაველი იერუსალიმს, სულთანთან ქართული მონასტრების გამოსყიდვაზე მოსალაპარაკებლად.

აკადემიკოსი ა. ბარამიძე თავის შრომებში იმოწმებს უფრო ადრეულ არაბულ წყაროებს (ისტორიკოსები ნურ-ედდინი და სალაჰ ედ-დინი), რომელთა თანხმობით 1192 წელს იერუსალიმში ჩავიდა „ქართველი ელჩი".

ზოგიერთი უფრო გვიანდელი ბერძნული წყაროები პირდაპირ მიუთითებენ ამ წელს. ზემოთ ნახსენებ ბერძნულ კრებულში „ახალი სიონი" (1905 წ. იერუსალიმი) მოთავსებულია ჯვრის მონასტრის არქიმანდრიტის ქამთა ალმწერელის

პოპანდოპოლოსის სტატია სახელწოდებით: „ჯვრის წმინდა მონასტერი და სასულიერო სემინარია“. მასში ნათქვამია, რომ ჯვრის მონასტერს ბაგრატიონთა სამეფო გვარეულობა მფარველობდა.

ბერძენი მემატიანე წერს: „ლეგენდარულმა თამარ მეფემ, რომლის კარზეც ცხოვრობდა მგოსანი შოთა რუსთაველი, 1192 წელს იგი იერუსალიმის „წმინდა ადგილებში“ გააგზავნა“ (გვ. 650) და კიდევ: „თამარის მიერ ჯვრის მონასტერში გაგზავნილ რუსთაველს, მისგან ნაბრძანები ჰქონდა, რომ იგი არა მარტო მხარში უნდა ამოსდგომოდა მონასტრის სასულიერო მოღვაწეობას, არამედ უნდა განეახლებინა იგი, რესტავრაცია გაეკეთებინა მისთვის და აღედგინა დანაკლისი, რომელიც მას ჯვაროსნებმა მიაყენეს“. (გვ. 651)[1].

უეჭველია, რომ მონასტრის გამოსყიდვისა და რესტავრაციის მიზნით, თამარს „წმინდა მიწაზე“ ყველაზე ღირსეული და განათლებული ადამიანი უნდა გაეგზავნა, რომელსაც უნარი ექნებოდა, აღესრულებინა არა მარტო პირდაპირი დავალებანი, არამედ საქართველოსი და ქართული ეკლესიის პრესტიჟი აემაღლებინა, იმდროინდელი ქართული კულტურის მაღალი დონის დემონსტრირებაც მოეხდინა.

როცა არქიმანდრიტ ხ. პოპანდოპოლოსს ვიმოწმებთ, ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მას დამთავრებული ჰქონდა ჯვრის მონასტერთან არსებული სასულიერო სემინარია და შემდგომში როგორც ოფიციალურ მემატიანეს, უფლება ჰქონდა, თავისუფლად ესარგებლა მონასტრისა და იერუსალიმის ბერძნული პატრიარქის ბიბლიოთეკის განკარგულებაში მყოფი სამატიანო მასალებით. ხ. პოპანდოპოლოსი მონასტრის ისტორიის აღწერისას ალბათ ქართული პირველწყაროებითაც სარგებლობდა, რაც მის ცნობას უფრო მნიშვნელოვანს ხდის, თუმცა ქართველი მეცნიერები ამ ცნობას რატომღაც უგულებელყოფენ.

ასეა თუ ისე, ჩვენ ხელთ გვაქვს ჯვრის მონასტრის ბერძნული მატიანე, რომელშიც ნათქვამია, რომ 1192 წელს შოთა რუსთაველი იერუსალიმში ჩავიდა.

ამ ფაქტთან დაკავშირებით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს შ. ნუცუბიძის მტკიცება იმის შესახებ, რომ პოემის პროლოგში ამოსავალურ პოეზიაზე მსჯელობისას, რუსთაველი გულისხმობს ნიზამის ორ ნაწარმოებს: „ლეილა და მეჯნუნს“ და „ბაჰრამ გურის“. პირველი 1190, ხოლო მეორე 1198 წელს არის დაწერილი.

„ვეფხისტყაოსნის“ ძირფესვიანად გარჩევისა და ამ თარიღების შეჯერების საფუძველზე ქართველი მეცნიერი დაასკვნის, რომ პოემის რაღაც ნაწილი იერუსალიმში დაიწერა. თუმცა ამის თაობაზე სხვა აზრიც არსებობს.

პალესტინაში შოთა რუსთაველის ყოფნის ვერსიას მხარს უჭერენ მთელი რიგი მეცნიერები და ლიტერატორები. ასე მაგალითად, ქართველი არქიმანდრიტი გრიგოლ ფერაძე (იგი იყო ვარშავის უნივერსიტეტის ფილოსოფიის დოქტორი) 1937 წელს გამოცემულ თავის წიგნში წერს: „ქართული თქმულების მიხედვით მათ შორის, ვინც მონასტერში ცხოვრობდა, იყო დიდი პოეტი შოთა რუსთაველი. იგი აქ ცხოვრობდა,

---

[1] Х. Попандополос. Святой монастырь Креста и духовная семинария, сборник «Новый Сион», том. II, Иерусалим, 1905. На [illegible]ском языке.

როგორც ბერი, გარდაიცვალა იმავე მონასტერში და იქვე იქ-ნა დასაფლავებული"[2].

თეიმურაზ ბაგრატიონის მტკიცებით, „შოთა რუსთაველი როგორათაც ყოველს ზნეობასა და სწავლაში სრული იყო, უკანასკნელსაცა ჟამსა აღსასრულიცა ეგრეთივე შეუყენა, ეს ამაო სოფელი დაუტევა და თავისი ქვეყნიდამაც უცხოებაში წავიდა. წმინდას იერუსალიმს მივიდა და იქ ჯუარის მონას-ტერი არის და ის მონასტერი ქართველთ არის, დიდი და მშვენიერი მონასტერი არის"[3].

არქიმანდრიტმა ტიმოთე გაბაშვილმა ჯვრის მონასტერში ნახა შოთა რუსთაველის თითქოსდა ბერის სამოსში გამოხა-ტული პორტრეტი.

ალბათ ასეთმა ცნობებმა, მისცა საფუძველი აკადემიკოს შ. ნუცუბიძეს ასეთი დასკვნა გამოეტანა: „პოეტის ბოლო წლები პალესტინაში გავიდა... ასე დამთავრდა დიდი რუსთა-ველის, ქართული კულტურის ლამპარის ცხოვრება. იგი განი-სვენებს ქართულ მონასტერში, პალესტინაში"[4].

---

[2] Г. Перадзе. Повествование грузинских монахов монастырей в Палестине в переложении негрузинских паломников. Изд. Греческого исторического общества, 1937, стр. 222.

[3] თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკადემიკოს მარი ბროსესადმი. „მეცნიერება", თბ., 1964, გვ. 37.

[4] Ш. Нуцубидзе. Творчество Руставели. Изд. «Заря Востока», Тбилиси, 1958, стр. 286.

(V.)

ჯერ გაგაცნობთ ი. ხცროვბუნის აზრს –

შოთა რუსთაველის პორტრეტის გარშემო:

პირველი ცნობა ჯვრის მონასტერში შემორჩენილი შოთა რუსთაველის პორტრეტული გამოსახულების შესახებ ეკუთვ-ნის ტიმოთე საბაშვილს, რომელსაც 1754—1756 წლებში შე-მოუვლია ახლო აღმოსავლეთის ქართული მონასტრები. მოგ-ზაურის თქმით, ეს პორტრეტი მოთავსებული იყო ტაძრის შესასვლელი კარების მარჯვენა მხარეს, პირველ სვეტზე, გა-მოჩენილი ჰიმნოგრაფების მაქსიმე აღმსარებელისა და იოანე დამასკელის ფრესკებს შორის.

1845 წელს რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება ფანქრით გადმოუღია ნიკოლოზ ჩუბინიშვილს და შემდეგ მხატვრისათვის გადაუცია ფერებში აღსადგენად, საქართვე-ლოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში და-ცული ჩუბინიშვილისეული ჩანახატი 1958 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში".

რუსთაველის ფრესკული პორტრეტული გამოსახულება უნახავთ აგრეთვე პროფ. ალექსანდრე ცაგარელს 1883 წელს და ბერ პ. კენჭოშვილს 1900 წელს. ერთი წლის შემდეგ იერუ-სალიმში ჩასულ ნიკო მარს ფრესკა აღარ დახვედრია[1]. მას

---

[1] ს. კაკაბაძე. რუსთაველი და მისი პოემა „ვეფხისტყაოსანი". თბ., 1966, გვ. 69.

აქეთ, ვიდრე 1960 წლამდე, დიდი პოეტის ეს უნიკალური გამოსახულება დაკარგულად ითვლებოდა.

1960 წლის ნოემბერში იერუსალიმში მოეწყო ქართველ მეცნიერთა პირველი ჯგუფური ექსპედიცია პოეტი აკადემიკოსი ი. აბაშიძის (ჯგუფის ხელმძღვანელი), აკადემიკოსების ა. შანიძისა და გ. წერეთლის შემადგენლობით. ესოდენ ავტორიტეტული ექსპედიციის მიზანი ფრიად დიდი იყო, მაგრამ, პირველ რიგში, გულისხმობდა ახალი ცნობების მიკვლევას თვით რუსთაველზე, საქართველოსა და პალესტინის ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობებზე. მეცნიერებს მეტად რთულ პირობებში მოუხდათ მუშაობა. იმ დროს იერუსალიმი ორ ნაწილად იყო გაყოფილი, რომელთაც კონტროლს უწევდნენ ისრაელი და იორდანია. ჯვრის მონასტერი ქართველ მეცნიერებს მეტად მიშვებულ მდგომარეობაში დახვდათ, მრავალი ადრე ცნობილი ქართული წარწერა უკვალოდ გამქრალა.

რუსთაველის პორტრეტული გამოსახულება არც მათ დახვედრიათ. აკადემიკოსმა ა. შანიძემ სტატიაში „ახალი ცნობები დიდ ქართველ პოეტზე", რომელიც 1960 წლის 22 ნოემბერს გაზეთ „ვეჩერნი თბილისში" გამოქვეყნდა, ასე დაახასიათა შექმნილი ვითარება, ექსპედიციის წევრებს სტანჯავდათ ის აზრი, რომ შინ დაბრუნება მოუწევდათ, როგორც იტყვიან, ცარიელი ხელებით ისე, რომ თვალსაც კი ვერ მოჰკრავდნენ იმ უძვირფასეს ქართულ ხელნაწერებს, რომლებიც ოდესღაც ჯვრის მონასტერს ეკუთვნოდა, ახლა კი იერუსალიმის იორდანიის ნაწილის საპატრიარქო ბიბლიოთეკაში ინახება. მონასტრის მორიგი დათვალიერების დროს ირაკლი აბაშიძის და გიორგი წერეთლის ყურადღება მიიპყრო ხელების ოდნავ შესამჩნევმა გამოსახულებამ აღმოსავლეთის მხარეს, შესასვლელიდან მარჯვენა პირველ სვეტზე, გამოსახულება მკრთალად მოჩანდა საღებავიდან, იოანე დამასკელისა და მაქსიმე კონფესორის ფრესკული გამოხატულებების ფეხთით. წარწერა არ ჩანდა. იმ ვარაუდით, რომ ეს შოთა რუსთაველის პორტრეტია, მეცნიერებმა მოიძიეს საშუალება ნახატის გამოსამჟღავნებლად და შეუდგნენ მის გაწმენდას. დიდ იმედებს ამყარებდნენ ქიმიურ შემადგენლობაზე, რომელიც საღებავის ზედა ფენას გააცლიდა, პორტრეტს კი არას ავნებდა. ამ მუშაობაში ირაკლი აბაშიძე წარმატებით ეჯიბრებოდა გიორგი წერეთელს და მათი დიდი მონდომების შედეგად დიდი პოეტის პორტრეტი მთლიანად წარმოჩინდა და მათ წინაშე ხელოვნების შესანიშნავი ნიმუში აღმოჩნდა. თანდათანობით გაწმინდეს წარწერაც: „ამისა დამხატავსა შოთას შეუნდვეს ღმერთმან, ამინ". ქვევით, თავთან არის წარწერა, რომელიც მარცხნიდან იწყება და მარჯვნივ მთავრდება: „რუსთაველი". პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ ამ ფრესკაზე შ. რუსთაველია გამოსახული დაახლოებით 1245—1250 წლებში.

ფრესკის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთველოლოგიისათვის. იგი ყველაზე დამაჯერებლად ასაბუთებს შოთა რუსთაველის შესაძლო ყოფნას პალესტინაში.

უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი ფრესკაზე გამოსახულია არა ბერის სამოსელში, არამედ ქართველი დიდებულისათვის დამახასიათებელ საერისკაცო ტანსაცმელში. მხრებზე მოსხმული აქვს ყარყუმის ბეწვის საყელოიანი მეწამული ფერის მანტია. თავზე, შავი ფერით გაწყობილი თეთრი ბეწვის ქართული ქუდი ახურავს. იგი მუხლმოდრეკილი და ხელებაპყრობილი

დგას მაქსიმე აღმსარებლისა და იოანე დამასკელის წინაშე.

შ. ნუცუბიძეს მიაჩნია, რომ ამ ფრესკით ეკლესიას სურდა, რუსთაველის ნამდვილი მასწავლებლები ფსევდო-დიონისე (პეტრე იბერი) და იოანე პეტრიწი ეკლესიისათვის უფრო მისაღები პირებით შეეცვალა.

ამ შესანიშნავი ფრესკის ავტორის ვინაობა დღემდე დადგენილი არ არის. არც ისაა ცნობილი, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის: XII საუკუნეს, ე. ი. იერუსალიმში რუსთაველის ჩასვლისა და ჯვრის მონასტრის რესტავრირების ხანას, თუ 1643 წელს, როდესაც მონასტრის მეორე რესტავრაცია ჩატარდა. ზოგიერთი მას ავტოპორტრეტადაც მიიჩნევს, ზოგიც კიდევ ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ნაღვაწად: მან ტაძრის კედლებზე ის პიროვნებები გამოსახა, რომლებიც დაკავშირებულნი იყვნენ მონასტრის ისტორიასთან. თითქოს ამის გამო აღმოჩნდა აქ პოეტის გამოსახულება საქართველოს მეფეების მირიანის, ვახტანგ გორგასალის, საეკლესიო მოღვაწე პროხორე შავაშელისა და სხვათა გვერდით. ერთი რამ უდავოა, ფრესკის აღმოჩენამ ბოლო მოუღო შეხედულებას, თითქოსდა შ. რუსთაველი ბერი იყო, ამდენად უფრო სარწმუნო ჩანს თეიმურაზ ბაგრატიონის სიტყვები: „შოთა რუსთაველი იმ ჯვარის მონასტერში დაემკვიდრა, მრავალი შესწირა იმ მონასტერსა და დიდის სათნოებით მუნ აღესრულა ერისკაცობაშივე და მუნვე დაეფლა“[2].

---

[2] თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკადემიკოს მარი ბროსესადმი. „მეცნიერება“, თბილისი, 1964, გვ. 38.

## [ძვირფასი საფლავების შესახებ]

ქართველმა ხალხმა თავიდანვე ერთმანეთს დაუკავშირა რუსთაველისა და თამარის სახელები. გადმოცემებისა და ლეგენდების მიხედვით საქართველოს უმშვენიერესი დედოფალი იყო პოეტის გენიალური პოემის შთამაგონებელი, მისი გულის მეუფე — „უწყალო ვითა ჯიქია“.

ეს ორი სახელი არც სიკვდილის შემდეგ დასცილებია ერთმანეთს.

ხალხური გადმოცემებით რუსთაველმა თავისი სიცოცხლე უცხოეთში დაასრულა და ჯვრის მონასტერში აღესრულა.

ამ გადმოცემას მეცნიერებიც იზიარებენ. ზოგიერთი მათგანის აზრით, რუსთაველს შემოქმედებითი მოღვაწეობა არც პალესტინაში შეუწყვეტია, ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და დაახლოებით 1250 წელს გარდაიცვალა. დასაფლავებული უნდა იყოს ჯვრის მონასტრის საკრებულო ტაძრის იმ სვეტის ძირში, რომელზედაც მისი პორტრეტია გამოსახული. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ძველთაგან მომდინარე საეკლესიო ტრადიცია: გამოჩენილი მოღვაწის პორტრეტი ჩვეულებრივ, მისი სამარის თავზე იხატებოდა.

გამოთქმულია აზრი, რომ აქვეა დაკრძალული თამარის

ეპოქის მეორე ცნობილი პოეტი, „თამარიანის“ ავტორი ჩახრუხაძეც.

1967 წლის იენისში, საბჭოთა კავშირსა და ისრაელს შორის დიპლომატიკური ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, მე კიდევ ერთხელ მოვინახულე ჯვრის მონასტერი და მამაო იოაკიმს ვთხოვე შ. რუსთაველის ფრესკისათვის თვალყური ედევნებინა (საბჭოთა წარმომადგენელთაგან ყველაზე ბოლოს მე წამოვედი ისრაელიდან).

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა და ეს უძვირფასესი ფრესკა, ალბათ, განახლებას მოითხოვს.

ამ ოთხმოციოდე წლის წინათ გამოქვეყნდა ლათინურ ენაზე შედგენილი დოკუმენტების კრებული, რომელშიც აღმოჩნდა პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ერთი ფრიად საყურადღებო წერილი. იგი მიმართულია ქალაქ ბეზანსონის არქიეპისკოპოსისადმი, რომელსაც კათედრა 1195—1220 წლებში სჭერია. ვინმე ფრანგი რაინდი გ... დე ბუა ამ წერილში გადმოგვცემს ასეთ ამბავსაც: „თამარს სიცოცხლეში აღთქმა მიეცა იერუსალიმად წასვლისა; და მიიცვალა-რა, ახლა შვილმა მისმა დედოფლის ძვლები წამოიღო და ძლევამოსილი ლაშქრით წამოვიდა წმინდა ქალაქის მისაღწევად და სარკინოზთა შესამუსრავად, რათა დედამისი ცოცხალი თუ არა, მიცვალებული მაინც შესულიყო იერუსალიმს“.

ფრანგი რაინდი გადმოგვცემს ამ ლაშქრობასთან დაკავშირებულ დეტალებსაც: „გავიგეთ და სანდო მაცნეთა წყალობით ჭეშმარიტად მივითვალეთ, რომ ვიღაც ქრისტიანები იბერიიდან, რომელთაც გეორგენებს (ქართველებს) უწოდებენ, ღვთის შემწეობით შეგონებულნი, უთვალავი მეომარით უშიშრად ალსდგნენ ურწმუნოთა წინააღმდეგ. აიღეს 300 ციხე-სიმაგრე და 9 დიდი ქალაქი... ისინი, რომლებიც მოვიხსენიე, მოვლენ წმინდა იერუსალიმის გასათავისუფლებლად და დაიმორჩილებენ ურწმუნოთ, სახელგანთქმული მათი თექვსმეტი წლის მეფე მსგავსია ალექსანდრესი (მაკედონელისა) შემართებითა და მოკრძალებულობით. რწმენით კი — არა. ამ ახალგაზრდას მოაქვს დედამისის უძლიერესი დედოფლის თამარის ძვლები, ვინაიდან (თამარს) მისთვის სიცოცხლეში ანდერძად დაუტოვებია, როცა მოკვდებოდა იერუსალიმში წასულიყო და მისი ძვლები უფლის საფლავის ახლო დაეკრძალა. დედის სურვილის ღრმად პატივისმცემელს, მას გადაუწყვეტია დანაბარების აღსრულება და დედის ნეშტის წმინდა ქალაქში დამარხვა ურწმუნოთა ნება-სურვილის მიუხედავად“[1].

ამ ცნობას ესიტყვება ქართველი მიქელ თარხნიშვილის მიერ ვატიკანის ფონდებში მიკვლეული სხვა საბუთიც.

ბუნებრივია, ამ იშვიათმა საბუთებმა თავიდანვე მიიპყრო ქართველ მეცნიერთა ყურადღება. მათ ეს დოკუმენტები სავსებით სარწმუნოდ მიაჩნიათ. აკად. შ. ამირანაშვილი პირდაპირ წერს:

„თამარ დედოფლის საფლავი უნდა ვეძიოთ მაცხოვრის საფლავის ტაძარში. შესაძლებელია, იგი მოიძებნოს, ვინაიდან ბერძნები მართლმადიდებელი მეფის საფლავს არ მოშლიდნენ.

ეს გარემოება გასაგებს ხდის შოთა რუსთაველის მისწრაფებას. იერუსალიმში, მისი ცხოვრების მიწურულში, ჯვარის მონასტრის საკანში დიდი პოეტი პოულობს განსვენების ადგილს“.

[1] გ. ხახანიძე. პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში. თბ., „მეცნიერება“, 1974, გვ. 27—28.

(გალობა: "შენ ხარ ვენახი")

ახლა გაგაცნობთ ამონაწერს ირაკლი აბაშიძის "პალესტინის დღიურიდან", რომელშიც აწერილია შოთა რუსთაველის სურათის აღმოჩენის ამბავი "ჯვარის" მონასტერში, იერუსალიმში. ირაკლი აბაშიძე, სხვათა შორის, წერს:

# პალესტინის დღიურიდან

## (ნაწყვეტი)

1960 წლის

6 ნოემბერი

კვირაა. ჯერ კიდევ მთვარით გაქათქათებულ ღამეში გავეღვიძა.

რა გრძელი დილაა!

ადრიანად მივდივართ საქმეზე.

მონასტრის კარებს გვიღებს ბიზანტიუსი, დღეს მისი უქმე დღეა.

ვეკვეთით რუსთაველის შავ სალებავს ახალი საშუალებებით, რომლითაც დღეს უკვე აღჭურვილები ვართ ფრესკების წმენდის სპეციალისტებისაგან.

გამოდის, გამოდის... მოპკიდა ხელი. შავ სუდარას, ქიმიურად შლის, ნელ-ნელა ძლევს, სულ უფრო და უფრო ინმინდება რუსთველის წითელი ტანსაცმელი, მაგონდება სტრიქონები: „გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი"... მიჰყვებით მაღლა, სულ მაღლა, გამოჩნდა თეთრი წვერი. ერთმანეთს ვენაცვლებით, ვღელავთ, ვჩურჩულებთ. სიხარულისაგან ვკრთით. სახეს რომ მივუახლოვდით, ვცდილობთ ზედმეტი ძალა არ დავატანოთ მარჯვენას, ერთმანეთს ვათვალიერებთ, ალერსიანით მსუბუქად ვნმენდთ. გვეშინია თვით რუსთველის პორტრეტზეც არ ვიმოქმედოთ. საძნაულია, რუსთველის სურათის ფერებს არაფერი ეკარება, თუ რუსთველის სურათის ფერები არ იკარებენ არაფერს, სურათი ინმინდება და ანათებს ისე, როგორც ოდესღაც უნათებია.

ნაშუადღევი, 6 ნოემბერი.

ვაშა, გამოჩნდა, გამოჩნდა დიდებული სახე ბრძენი მოხუცისა, ამაყი, მაგრამ ღრმად კაეშნიანი — თითქოს ნაცნობი სახე, საოცრად ნაცნობი სახე.

მთელ სვეტზე აღმართული წმინდანების: იოანე დამასკელისა და მაქსიმე აღმსარებლის ფერხთა შორის დგას იგი, ხელაპყრობილი.

„ამისა დამხატავსა შოთას შეუნდვეს ღმერთმან ამინ". ხოლო ქვემოთ პორტრეტზე „რუ-სთველი". თეთრად გამოანათა მსხვილმა ქართულმა ასომთავრულმა.

„ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია მთქმელსა ლექსთა ბოროტთასა, რომელმაც ასნავა ქართველთა სიწმინდისა წილ ბილწება და განრყვნა ქრისტიანობა... შოთას ჰიტყვი რუსთველსა, მეჭურჭლეთ უხუცესს თითონაც შიგ ხატია მოხუცებული".

აგერ „ბოროტთა ლექსთა მთქმელი შოთა რუსთველ ჭურჭლეთუხუცესი" — როგორც ტიმოთე გაბაშვ...ი ამბობდა.

ჩვენ გადავეხვიეთ ერთმანეთს.

რა დიდებული მხატვრობაა.

ვოლკოვი თავისი ავტომანქანით გაფრინდა ბერნჰაიმთან, ბერნჰაიმი, რადგან დროზე არ მივაკითხეთ, შინ არ დაგვხვდა. რუსთველის სურათს ხვალ გადავიღებთ, ახლა უკვე ნამდვილ, განმენდილ, აღდგენილ ფერად სურათს.

ნამდვილ ფერად სურათს, რა დიდებულია...

7 ნოემბერი

იერუსალიმის ოცნებით სავსე მთვარიანი ღამე...

ნუხელ ასეთი ტექსტი შევადგინეთ თბილისში გამოსაგზავნად: „საბჭოთა კავშირი, საქართველო, თბილისი: შოთა რუსთველის პორტრეტი იერუსალიმში, რომელიც უკვე დაკარგულად ითვლებოდა, აღმოჩენილია, განმენდილია და აღდგენილია. მთლიანად იგი ხელოვნების მშვენიერი ნაწარმოებია. მოგვაქვს მისი ჩვეულებრივი და ფერადი ფოტოგამოსახულებანი". ჩვენი ხელის მოწერა.

არ ავჩქარდით. დეპეშის გაგზავნა დღეისთვის გადმოვდეთ.

დეპეშის ტექსტი მგონი, უპრეტენზიოა. ჩვენ აქ ჯერ არავითარ მეცნიერულ დასკვნებს არ ვაკეთებთ. მხოლოდ ფაქტს აღვნიშნავთ, ფაქტს, რომ იგი აღმოჩენილი და აღდგენილია, ფაქტს, რომ იგი ხელოვნების დიდებულ ნიმუშს წარმოადგენს.

მეცნიერული დასკვნები — საქართველოში.

ფაცა-ფუცით ვისაუზმეთ. ცხრა საათსა და 30 წუთზე უნდა ბერნჰაიმი წავიყვანოთ მონასტერში.

გულში ცოტა შიში გვაქვს შეპარებული, რა მდგომარეობაშია ამ დილით რუსთველის პორტრეტი. ნუხელ მისი ფერებიც ხომ არ შეილახა?

აკადემიკოსი გიორგი წერეთელი ადრიანად მიდის ბერნჰაიმის ლაბორატორიისაკენ ბერნჰაიმის წამოსაყვანად ჯვარის მონასტერში, მე და აკადემიკოსი აკაკი შანიძე ფეხით მივყვებით ჯვარის მონასტრისაკენ იერუსალიმის ქუჩებს.

აკაკი შანიძე მშვენიერად მღერის, ჩვენ კარგა ხანია შევუწყვეთ ხმები ერთმანეთს. მივდივართ ნელ-ნელა და აგერ ინგლისის მეფე გიორგის სახელობის ბაღში ამ დილა ადრიანად მხიარულად მივიმღერით: „დილავ-დილავ". მშვენიერი დილაა, დიდებულია ამ დილით იერუსალიმის ქუჩებსა და ბაღებში ფეხით გასეირნება ჯვარის მონასტრისაკენ. ჯერ გიორგი წერეთელი და ბერნჰაიმი მისული არ იქნებიან. ნელა ვიაროთ.

როგორ ესიამოვნებათ ეს ამბავი ჩვენს მეგობრებს. ქართული კულტურის მეგობრებს, პირველ რიგში რუსთველის მოძმე და უცხო ენებზე მთარგმნელებს. გამახსენდა, რა აღტაცებით გამოეგზაურა ნამოსვლის წინა დღით მოსკოვში მიკოლა ბაჟანმა, რომელიც ის-ის იყო იტალიიდან ჩამოსულიყო და იმავე საღამოს კიევში ბრუნდებოდა. შემთხვევით შეგვხვდა სასტუმრო „მოსკვაში", უსაზღვროდ გაეხარდა, თითქოს ტანმა მიგრძნო, რომ უსათუოდ დღეს ეყოთილიყავ მოსკოვში და იერუსალიმს გამგზავრების წინ აქ შეგხვედროდითო. ოთხივემ ერთად ვისადილეთ და მიკოლამ გზა დაგვილოცა.

როგორ გაუხარდება ეს ამბავი რუსთველის გერმანულად მთარგმნელს ჰუგო ჰუპერტს — ავსტრიაში, კურნზახს — რუმინეთში, იგორ სიკორიცკის — პოლონეთში, ოდლიჩკას — ჩეხოსლოვაკიაში.

რასულ ჰამზათოვი ჯერ კიდევ ამ ზაფხულს, როცა ერთ საღამოს მოსკოვში ჩუმად გავანდე ჩემი განზრახვა, ხუმრობით მთხოვდა: მართალია, ქრისტიანი არა ვარ, მაგრამ მუსულმანების მეტი რაა პალესტინაში, მეც ჩამრიცხეთ თქვენს ექსპედიციაშიო.

ჩვენც მივედით ჯვარის მონასტერში და ისინიც მოვიდნენ — გიორგი წერეთელი და ალფრედ ბერნჰაიმი, თავისი ასისტენტებით, აპარატით, მოწყობილობით.

რუსთველის პორტრეტი ისევ გუშინდელივით ელავს, ელავს ძველებურად.

სახტად დარჩა. მეტად გაიცდა ალფრედ ბერნჰაიმი: ეს როგორ? რა საშუალებებით, რა ხერხით?

სიამოვნებით გაამზადეს და სურათისაკენ მიმართეს მძლავრი ფოტოაპარატი. მიამუქეს რუსთველის პორტრეტს მძლავრი ელექტრონათურები და ერთ საათში ჯვარის მონასტრის შოთა რუსთველის დიდებული გამოსახულება უკვე პალესტინელი სპეციალისტის ფოტოაპარატში იყო.

ან ვულარსად დაგვეკარგება ... ვერვინ ნაშლის

ჯვარის მონასტრის შოთა რუსთაველს, იგი ჩვენია დღეს, ჩვენს ხალხს ეკუთვნის!

დღეს, 7 ნოემბრის საღამოს, ჩვენმა ელჩმა მიგვიწვია თელ-ავივში საბჭოთა საელჩოს საოქტომბრო მიღებაზე. ყველას დიდად გაუხარდა ჩვენი ამბავი საელჩოში.

მიღებაზე ჩვენს ელჩს მიწვეული ჰყავდა ყველა უცხო სახელმწიფოს დიპლომატიური მისიების გარდა, თელ-ავივის თითქმის მთელი ინტელიგენცია. მთელმა ინტელიგენციამ გაიგო იმ საღამოს ჩვენი ამბავი. საელჩოს ეზოში ჩვენს გარშემო იკრიბებოდნენ და დეტალურად გვეკითხებოდნენ ყველაფერს ჩვენი მუშაობის შესახებ. ჩვენც სიამოვნებით ვუამბობდით. განსაკუთრებით ესიამოვნა ეს ამბავი საბჭოთა კავშირის ისრაელელ მეგობარს, გამოჩენილ ებრაელ პოეტს ალექსანდრე პენს, რომელსაც განზრახული აქვს ებრაულ ენაზე თარგმნის შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილება.

შუაღამისას, მშვენიერ ხასიათზე დავბრუნდით თელ-ავივიდან იერუსალიმში.

8 ნოემბერი

რუსთაველის პორტრეტი დღეს მხოლოდ საღამოს იქნება მზად. დილით სხვა არაფერი გვახსოვს.

საღამო, ალფრედ ბერნჰაიმის ლაბორატორიაში.

ლაბორატორია ნახევრად სარდაფშია.

მხიარული სახით შემოგვეგება მოხუცი ბერნჰაიმი. ეს კარგი ნიშანია. სავარძლებზე თუჩქარებლად დაგვსვა. ჯერ მისი ძველი, აქამდე გადაღებული სურათები გვაჩვენა. მსოფლიოს თითქმის ყველა გამოჩენილი მოღვაწე გადაუღია მას თავისი ფოტოაპარატით. მეტად მდიდარი ალბომი შეუკრავს. მათგან, ამ ფოტოსურათებიდან, ჩვენი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ალბერტ აინშტაინმა... აინშტაინი ღრმა მოხუცებულობაში... მას თითქოს ისევ ბავშვობის სახე, გულუბრყვილო სახე დაბრუნებია. მარცხენა თვალში ცრემლის გამჭვირვალე კურცხალი ნამდვილ კურცხალივით უკრიალებს და ეს კურცხალი საკვირველად აცოცხლებს ამ პორტრეტს. თითქოს ეს კაცი აგერ ცხვირსახოცით შეიმშრობს ცრემლსაო... ხომ არ უბრუნდებათ სიბერეში სახის ბავშვური გამომეტყველება დიდ მოაზროვნე ადამიანებს? ადამიანებს, რომელთა ტვინსაც მოხუცებულობის სკლეროზის მსახვრალი ხელი არ შეხებია?

ჯვარის მონასტრის შოთა რუსთაველის პორტრეტსაც სადღაც ბავშვის გამომეტყველება დაჰკრავს, დააკვირდით. ეს ახლა მომაგონდა ბერნჰაიმის ლაბორატორიაში.

მძიმე-მძიმედ, ფუსფუსით, როდის-როდის, გამოიტანა ბერნჰაიმმა რუსთაველის პორტრეტის ანაბეჭდი. შავთეთრი ანაბეჭდი.

კარგია, ნამდვილად კარგია!

მეტად ნასიამოვნები დარჩა სპეციალისტი ხელობა რომ მოეწონეთ.

ახლა ფერადი ანაბეჭდი...

ბერნჰაიმმა მსხვილი ელექტრონათურა გაანათა, და ზედ ახლოს მიიტანა რუსთაველის ფერადი ფოტოსურათის დიაპოზიტივი.

მშვენიერია, ნამდვილად მშვენიერია!

საჭიროა ეს ფერადი დიაპოზიტივი სასწრაფოდ დაიბეჭდოს აქვე.

სამწუხაროდ, ისრაელს არა აქონია დიაპოზიტივების ბეჭდვის სათანადო მოწყობილობა. იგი შვეიცარიაში უნდა გაიგზავნოს, საიდანაც უკან მხოლოდ ორი კვირის შემდეგ შეგვიძლია მივიღოთ. ჩვენი დრო კი ნელ-ნელა უკვე იწურება. სხვა გზა არ არის. რუსთაველის პორტრეტის ფერადი დიაპოზიტივი ახლავე უნდა წავიღოთ საბჭოთა კავშირში.

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის პალესტინელი წარმომადგენლის ვოლკოვის მიერ შერჩეული ფოტოგრაფის დამზადებულ ჯვარის მონასტრის ფრესკების დიაპოზიტივებსაც ავიღებთ. მივიტანთ საბჭოთა კავშირში, საქართველოში. ამ დიაპოზიტივებსაც გულმოდგინებით ამზადებს ვოლკოვის ფოტოგრაფი ბორის გრიგოლის ძე კორში...

ახლა ჩვენ შეგვიძლია დავბრუნდეთ საქართველოში, შეგვიძლია.

როგორც ჩემს წინა გადაცემებში აღვნიშნე, "ჯვარის" ქართულ მონასტრის მთავარ ეკლესიაში შესვლისას, რომ იტყვიან ხოლმე, - "გული გამისკდა", როცა შევხედე ეკლესიის ინტერიერის შეკეთების შედეგებს: კედლები აფხე-კილია ქვებამდე. მხოლოდ აქა-იქ მოხატულ კედელთა ნაწილებია დატოვებული. ეკლესიის ოთხი სვეტიდან, ერთი - ეკლესიაში შესასვლელიდან მარჯვნივ უკანა სვეტი, სრულიად გაფხეკილი ქვებამდე; და როცა ეკლე-სიის ცენტრში იატაკში "ჩასმული" მრგვალი დისკოც ველარ დავინახე, დისკო, რომელზედაცაა წარწერა - "[illegible]" — ჩემს სასოწარკვეთილებას საზღვარი აღარ ჰქონდა. მაგრამ მაინც მოვი-კრიფე ენერგია და იმ ადგილას, სადაც ეს დისკო იყო, ავანთე სანთელი, რომელიც თან მქონდა წაღებული, და ამით პატივი ვეცი ამ წმინდა ადგილს. სხვათა შორის, შოთა რუსთაველის სურათთან ჩემს მიერ ანთებული სანთელი, ისევე როგორც ეკლესიის ცენტრში ანთებუ-ლი სანთელი, ეკლესიის გუმბათის სარკმლებიდან შემოჭრილ სინათლესთან ინკრახც ქმნიდა, რომ მთელი ეკლესია მართლაც "სამლოცველოს", სულიერი სიმშვიდის ოაზისად იქცა.

ამასობაში "ჯვარის" მთავარ ეკლესიაში შემოვიდა ბერ-ძენი ახალგაზრდა ბერი Father Narcissos = მამა ნარკისოსი, რომელიც ახლა ამ [illegible] გამოცხადებული მონასტრის ხელმძღვანელია, ბოდიში მოიხადა, რომ ამდენ ხანს მაცდევინა და ჩემთვის დროს არ ჰქონდა, და ლაპარაკი ჩამოაგდო შოთა რუსთაველის სურთ-ხატზე, თითქოს, არაპირდაპირ სურდა ეთქვა, რომ ამ მონასტრის ქართული იერიც შენარჩუნებულიაო.

მოვაგონე რა, რომ მე 1967-ი წლის იანვარში ვიყავი პირველად "ჯვარის" მონასტერში, და რომ მაშინ ამ მონასტრის ხელმძღვანელი იყო ბერი მამა იოაკიმე, — მან მითხრა, რომ იოაკიმემ უკვე) ბერობაზე უარი თქვა, ხელი მიჰყო არქეოლოგიას, დაქორწინდა და ახლა არის იერუსალიმის უნივერსიტეტში არქეოლოგიის პროფესორი. ჩემს თხოვნაზე ეცნობებია მისთვის, რომ მე ჩამოსული ვარ იერუ-სალიმში და მსურს მასთან შეხვედრა, ახალგაზრდა ბერძენმა ბერმა

დამპირდა, რომ ის შეეცდება ჩემი თხოვნის დაკმაყოფილებას, თუმცა
დასძინა, რომ მისი ნახვა ახლა,აგვისტოში,არდადეგების დროს მეტად
ბერ მიცემას -
რთული საქმეაო. ნარცისხოსამი შეკითხვების რაცომ ახე "დაჭრილია"
გზებით "ჯვარის" მონასტრის ხევი, რაცომ ამ ხევის სხვადასხვა ნა-
წილს სხვა სახელწოდებები აქვთ, რაცომ მოხდა ის, რომ "ჯვარის"
მონასტრის მთავარი ეკლესიის კედლები ახე უმოწყალოდ ჩამოფხეკილია
თვით შენობის ქვებამდე კი,როცა - გადმოცემით - ცნობილია, რომ ამ
ეკლესიის კედლები მოხატული იყო საცებ-სურათებით,რომელიც შემდეგ
გადალესილ და შეღებილ იქნა, - თავი დავანებე,ვინაიდან ვიფიქრე:
ამგვარმა შეკითხვებმა ის შეიძლება ისეთ მდგომარეობაში ჩააყენოს,
რომ საერთოდ არაფერი არ მითხრას ამ ეკლესიის დღევანდელი რაობის
შესახებ. მაგრამ მოვისმინოთ ეს განაუზრებაც:<u>(ფ ი რ ი...........)</u>
ბერმენმა ბერმა ნარცისოსმა
ამგვარად, მითხრა, რომ მოდი ხვალ დილით, 9-ა საათზე და
მაშინ თქვენთვის მექნება დრო დაკათვალიერებინოთ ამ მონასტრის
აკლდა შემალულული ნაწილი წმინდა საგნებისო. მეც დავეთან-
ხმე და ახე გამოვემშვიდობე "ჯვარის" მონასტრის ახალგაზრდა ბერ
*მამა ნარცისოსს,* რომელთმაც მეტად კეთილი ადამიანის შთაბეჭდი-
ლება დატოვა ჩემში. აქაც ჩავრთოთ მაგნეტოფონის ფირი:

<u>(ფ ი რ ი...........................)</u>

8

ეხლა გამოვედი ჯვარის ქართული მონასტრიდან. ბერმა მითხრა,რომ ღია არის მხოლოდ ცხრა საათიდან თერთმეტ საათამდე და ეხლა უკვე 11 საათია,ე.ი. ზაფხულობით,როგორც ჩანს,გაღების დრო სხვანაირათ არის; და დამპირდა,რომ ხვალ ისევ მოვა, აქ იქნება თვით ეს ახალგაზრდა ბერი. ამის გარდა,შეიძლება,იოაკიმი, რომელიც იყო ამ მონასტრის ბერი 1967 წელს,როდესაც მე,იანვარში,აქ ვიყავი, -როგორც ამ ბერმა მითხრა-უკვე გამხდარა არქეოლოგიის პროფესორი, აქ,იერუსალიმში, ლექციებს კითხულობს უნივერსიტეტში და უკვე დაქორწინებულა, ბერობაზე უარი უთქვამს დახელი მიუცია საერო ცხოვრებისათვის. მე ამ ახალგაზრდა ბერს ვთხოვე რომ შეატყობინოს ეხლა უკვე პროფესორ. იოაკიმს, რომ მე ხვალ,თვრამეტ აგვისტოს,მოვალ ჯვარის მონასტერში და თუ შეეძლება მას მოსვლა,მე ძალიან გამეხარდება. სხვათაშორის,მან ჯერ კიდევ 1967 წელში,როდესაც მე აქ ვიყავი, მომწერა მეტად მეგობრული წერილი,და აი [illegible] ვაჩვენი ამ ბერს,მივეცი ჩემი მისამართი

და ვნახოთ ხვალ როგორ წარიმართება ჩემი შეხვედრა ამ ახალგაზრდა ბერთან და,თუ პროფესორი იოაკიმი მოვიდა,მასთაც შეხვედრა. მაგრამ, როგორც ავღნიშნე,ძალიან იმოქმედა, მეტად ძლიერად იმოქმედა იმ გარემოებამ ჩემზე,რომ ეკლესია, მთავარი ეკლესია და,საერთოდ,მთელი ამ ჯვარის მონასტრის რესტავრაცია ხდება და ამ შეკეთება-შელამაზებას,როგორც ჩანს,ბევრი ქართული უკვე შეეწირა. მთავარი ეკლესიის შიგნით არის ოთხი სვეტი. ამ ოთხი სვეტიდან ერთზე,როგორც იცით,აღმოჩენილ იქნა შოთა რუსთაველის სახის-სურათი და ვიმედოვნებდით, რომ ერთდროს შესაძლებელი გახდებოდა ამ მონასტრის მთავარი ეკლესიის სამლოცველო ადგილების პირვანდელი მდგომარეობის რესტავრაცია,რაც იმას ნიშნავს,რომ მასზე გადასატული ბერძნული [illegible] უკან გამოჩნდებოდნენ ქართული სახეები-სურათები,როგორც ეს მოხდა შოთა რუსთაველის შემთხვევაში.მაგრამ ახლა უკვე ეს შესაძლებლობა გაქარწყლებულია,ვინაიდან სამი სვეტისა და შესასვლელის ზოგიერთი კარების თაღების გარდა,ყველა მოფხეკილია, ე.ი. მოფხეკილია არა მარტო ბერძნული სურათები,რომლებიც გადასატული იყო ქართულზე, არამედ ქარ-

თულიც; სულ ქვეზამლია დასული. ასე რომ, ყველა ისტორიული ხატი-სურათი, რომელიც იყო ამ კედლებზე, უკვე აღარ არსებობს. ეს არის სავალალო, სავალალო, სავალალო. მაკვირვებს, რომ საქართველოდან ჩვენმა საპატრიარქომ ვერავითარი ზეგავლენა ვერ მოახდინა იერუსალიმის ბერძენთა საპატრიარქოზე, რომ-თუ დადგებოდა ამ მონასტრის რემონტის დრო, ე.ი. შეკეთების დრო-აუცილებლად ყურადღება მიექციათ ამ დიდი მნიშვნელობის ამბებისათვის. და, ერთ დროს სრულიად მოხატული კედლები, აი, ჩვენდროს-1967 წლიდან 1981 წლამდე, ე.ი. სულ რაღაც 15 წლის განმავლობაში განადგურებულ იქნა. უკვე რა გაეწყობა! ვფიქრობ ის სამი სვეტი, რომელიც დარჩენილია, შეიძლება მაინც აღმოჩნდეს, დროთა/განმავლობაში, ქართული რამ. მაგრამ, ვინ იცის, [illegible]ვს მონასტერი ოდესმე გადავა საქართველოს საპატრიარქო იურისდიქციის ან საქართველოს საპატრიარქოს მფარველობის ქვეშ!

ვნახოთ რას მოგვიტანს მომავალი. მაგრამ არ შემიძლია, კიდევ ერთხელ, ჩემი აღშფოთება არ გამოვთქვა იმის გამო, რომ ამ ქართული ჯვარის მონასტრის რესტავრაციის დროს განადგურებული იქნა ის ხატები და სურათები, რომლებიც აუცილებლივ იყო ამ მონასტრის მთავარი ეკლესიის კედლებზე და გადახატული იყო შემდეგ ბერძნული ხატებით თუ სურათებით, და, მადლობა ღმერთს, რომ შოთა რუსთაველის სურათის გადარჩენა მაინც შევძელით.

(ფირის დასასრული.......)

---

გამოველი რა ეკლესიიდან და შემდეგ თვით მონასტრის აღნიშნულ დაბალ ჭიშკარიდან, გავყევი ვიწრო, ძველ ასფალტიან გზას, რომელიც, როგორც უკვე ავღნიშნე, დასავლეთით უვლის "ჯვარის" მონასტრის ციხე-სიმაგრის-მაგვარ მაღალ კედლებსა და შემდეგ, ამ დასავლეთის კედლების გაგრძელება გალავანს, რომელიც დაახლოებით სამის მეტრის სიმაღლისაა, რომლის ფუნდამენტი და პირველი ნახევარი ქვისაგან, ხოლო მეორე ნახევარი რკინის მშვენივრად გაკეთებულ სარებისაგანაა აგებული, რაც - გავიფიქრე - მეტად ძვირი უნდა ღირდეს, რამაც ისევ წამოჭრა საკითხი: საიდან აქვს ამ აწ უკვე მუზეუმად-ქცეულ მონასტრის ხელმძღვანელობას ამდენი თანხა?!.. და დამებადა ისევ მომდევნო ლოგიკური კითხვა: ხომ არ იქნა გაყიდული "ჯვარის" მონასტრის სევის უკვე აღნიშნული ნაწილები, რომლებსაც უკვე სხვა სახელწოდებები აქვთ, და ამ თანხით

ან მისი ნაწილით ამ მონასტრის შეკეთების დაფინანსება?..ეს ლოგი-
კური კითხვები უპასუხოთ დარჩა,ვინაიდან ასეთი შეკითხვების დასმა
'ჯვარის" მონასტრის ახალგაზრდა ბერ-ხელმძღვანელისათვის "პროვოკა-
ციულ" შეკითხვად მომეჩვენა,რასაც - შეიძლება - მოყოლოდა ისეთი
შედეგი, რომ საერთოდ ვერაფერს ვერ ვნახავდი ამ მონასტერში ისეთს,
რაც ხელმიუწვდომელია ამ მონასტერ-მუზეუმის ჩვეულებრივ დამთვალიერებ-
ლისათვის.

განვაგრძე გზა "ჯვარის" მონასტრის გალავანის გასწვრივ ისრა-
ელის სახელმწიფო მუზეუმის მიმართულებით, რომელიც "ჯვარის" მონასტრის
ხევის აღმოსავლეთით-მდებარე გორაკზეა აგებული. აქაც, "ჯვარის" მო-
ნასტრის ხევის ეს ნაწილიც უკვე საზოგადოებრივ ბაღადაა ქცეული და
მონასტრის აწ უკვე კარგად გაკეთებულ გალავნის გარეთაა.

აქვეა აგრეთვე, ისრაელის სახელმწიფოს პარლამენტის - ქნესეთის -
ბალკონიანი შესანიშნავი შენობა, რომლის წინ დგას,როგორც
სახელმწიფო გერბი, შვიდ-განშტოებიანი მენორა=შანდალი=სასა-
ნათლე. და აქვე მსურს მოკლედ შევჩერდე ისრაელისა და აწ
მისი დედაქალაქის - იერუსალიმის - ზოგიერთ ისტორიულ ფაქტებზე:

[ქართული რედაქცია - რადიო "თავისუფლება"
ავტორი, დიქტორი: დავით თაბორიძე

## ისრაელის დედაქალაქი იერუსალიმი:

წამყვანი: (სტანდარტული შესავალი...).

დიქტორი: ლაპარაკობს დავით თაბორიძე იერუსალიმიდან. დღეს არის 1981 წლის 17 აგვისტო; და დღევანდელ ჩემს გადაცემაში მსურს გესაუბროთ ისრაელის დედაქალაქის იერუსალიმის შესახებ.] იერუსალიმის, როგორც ქალაქის ისტორია მჭიდროდაა დაკავშირებული არა მარტო დღევანდელი ისრაელის ისტორიასთან. თვით ისრაელი კი არის ერთი ნაწილი ყოფილი პალესტინისა, ანუ "ფილისტრების ქვეყნისა", რომელიც მესოპოტამისთან ერთად, რაც დაახლოებით დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე არსებობდა, - უძველესი კულტურული რეგიონია მთელი მსოფლიოსი, სულ ცოტა, "ევროპული მსოფლიოსი. მსოფლიოს ამ რეგიონში პირველი სემიტური სახელმწიფო არსდება 2500-იან წლებში ძველი წელთაღრიცხვით. ძველი აღთქმის თანახმად, აბრაჰამი ურიდან (მესოპოტამია, მოგვიანებით ქალდეა) სახლდება კანაანში, ღვთისაგან ებრაელთათვის, როგორც ამბობენ ხოლმე, "აღთქმულ მიწაზე". კანაანელებში 1715-1580 წლებში - ძველი წელთაღრიცხვით - იპყრობენ პალესტინას და ეგვიპტეს, და ებრაელები სახლდებიან ეგვიპტეში, სადაც იოსების მამა იაკობი ღვთისაგან მიიღებს სახელს ისრაელს. ეგვიპტის ფარაონის რამსეს მეორეს დროს - 1301-1234 წლებში - ძველი წელთაღრიცხვით, დიდისანია პალესტინა უკვე ეგვიპტელების ხელშია, და ფარაონი ისე ავიწროებს "ისრაელის შვილებს" ნილოსის დელტაში, - და 430-თი წლის განმავლობაში [illegible] შემდეგ, - ებრაელები ტოვებენ ეგვიპტეს, მოსეს ხელმძღვანელობით, და სახლდებიან ისევ თავიანთ "აღთქმულ მიწაზე" პალესტინაში. 1000-ს

წელს - ძველი წელთაღრიცხვით კი - დავით, იუდას ტომიდან, იპყრობს იერუსალიმს და აცხადებს მას მის დედაქალაქად. 960-925 წლებში მეფე სოლომონი ააშენებს იერუსალიმში ებრაული რელიგიის პირველ ტაძარს, მაგრამ მისი სიკვდილის შემდეგ მისი სამეფო იყოფა ორ სახელმწიფოდ: ჩრდილოეთში ისრაელად, ხოლო სამხრეთში იუდეათ, რომლის დედაქალაქია იერუსალიმი. შემდეგ ფინიკიელები, ასურელები, ბაბილონიელები, სპარსელები, ალექსანდრე მაკედონელი, და ბოლოს 64-ს წელს, ქრისტეს დაბადების წინ, პალესტინას იპყრობს რომაელი მხედართმთავარი პომპეი და ხდება რომის პროვინცია. პალესტინის მეფე ჰეროდეს დიდი მეფობს რომაელების წყალობით 39-ტი წლიდან 4-ს წლამდე ქრისტეს დაბადების წინ, ხოლო ჰეროდეს ანტიპას მეფობის დროს - 4-ი წლიდან, ქრისტეს დაბადების წინ, 40-ც წლამდე, ქრისტეს დაბადების შემდეგ, ხდება ქრისტეს ჯვარცმა 33-ტ წელში. ებრაელთა განუწყვეტელი აჯანყებები მარცხით მთავრდება უკანასკნელად 132-135-ტ წლებში, რომლის შემდეგ რომის კეისარი ჰადრიანი ებრაელებს უკრძალავს იერუსალიმში შესვლასაც კი.

პალესტინისათვის ახალი ეპოქა იწყება მას შემდეგ, როცა კეისარი კონსტანტინე დიდი აღიარებს ქრისტიანიზმს სახელმწიფო რელიგიად 335 წელს. 396-ტ წელს კი მოხდა რომის იმპერიის გაყოფა, რომლის შედეგად პალესტინა ექცევა "აღმოსავლეთი რომის"="რომა ნოვა"= ე.ი. ბიზანტიის გავლენის ქვეშ და იმართება კონსტანტინოპოლიდან. შემდეგ პალესტინას ეპატრონებიან არაბები, ჯვაროსნები, თურქები... 1920-ც წელს კი ინგლისი მიიღებს ერთალიგის მანდატს პალესტინაზე, რომლის დროს იწყება ებრაელთა გაძლიერებული ისევ-დასახლება პალესტინაში.

1947-ლ წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ დაადგინა პალესტინის გაყოფა ებრაულ და არაბულ სახელმწიფოებად, ხოლო იერუსალიმი ხდება ინტერნაციონალური ქალაქი. 1948 წლის 14-ტ მაისს კი ებრაელები აცხადებენ ისრაელის სახელმწიფოს დამოუკიდებლობას, როცა

დამთავრდა ინგლისელთა მანდატი პალესტინაზე. 1949 წელს ისრაელი მიღებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სრულუფლებიან წევრად როგორც დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო. 1956-1957 წლებში ომი ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის,რომლის დროს ისრაელი იკავებს სინაის ნახევარკუნძულს. 1973 წელს კიდევ ომი ისრაელსა და არაბულ ქვეყნებს შორის; და 1979 წლის 26-ს მარტს, როგორც იქნა, დადებულ იქნა საზავო ხელშეკრულება ისრაელსა და ეგვიპტეს შორის,რის შედეგად ისრაელი თანდათან ტოვებს მის მიერ დაპყრობილ ტერიტორიას სინაის ნახევარკუნძულზე.

ამგვარად, იერუსალიმი დღეს არის არა მარტო მსოფლიო დიდ რელიგიათა - ქრისტიანობის,ისლამისა და ებრაელთა - წმინდა ქალაქი, არამედ ამასთანავე დედაქალაქი ისრაელის სახელმწიფოსი,რომელიც ისევ აღსდგა თითქმის ორი-ათასი წლის შემდეგ. ისრაელის სახელმწიფო ტერიტორია დამოუკიდებლობის გამოცხადებისას უდრიდა 20.325 კვადრატულ კილომეტრს; ე.წ-ლი "ექვს-დღიანი-ომის" შემდეგ ისრაელის ტერიტორიას მიემატა მდინარე იორდანის დასავლეთი სანაპიროები,გაზას ზონა,სინაი და გოლანის მაღლობები. მოსახლეობა ისრაელის სახელმწიფოსი კი 1948 წელს უდრიდა 848.000-ს სულს,1979 წელს კი უდრიდა 3.830.000-ს სულს,რომელთაგან 617.800-ი არაებრაელია, ე.ი.16,1 პროცენტი. ისრაელის სახელმწიფო წყობა პარლამენტალური დემოკრატიაა; პარლამენტი=კნესეთი შესდგება 120-ი დეპუტატისაგან,რომელიც ყოველ ოთხ წელიწადში .ირჩევა საერთო,პირდაპირი,ფარული და თავისუფალი საარჩევნო სისტემით. კნესეტის წევრები ირჩევენ სახელმწიფოს პრეზიდენტს ხუთი წლის ვადით. ისრაელის სახელმწიფო ენაა "ივრიტ"=ახალი ებრაული და არაბული,აღმოსავლეთ არაბული დიალექტი. უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ენა კი არის ინგლისური.

## ისრაელის სახელმწიფო გერბი:

ისრაელის სახელმწიფოს სიმბოლო=გერბია "მენორა"=Menorah=შანდალი=სასანთლე, რაც წარმოადგენს შვიდ-განშტოებიან სასანთლეს განლაგებულს ჩამწკრივებულად ისე,თითქოს, ერთი მსვილ-ტანიანი ათასწლოვანი ხის შვიდი შტოა. ეს სასანთლე სიმბოლოა სინათლის, თავისუფლების, შეურყევლობისა და თვითარსებობის. ამდენად, ისრაელი ერთადერთი სახელმწიფოა მსოფლიოში, რომლის გერბი სასანთლეა – სინათლის წყარო. ტაძრის ეს შვიდ-სასანთლიანი შანდალი, თავისი ფორმით მოგვაგონებს აგრეთვე ხეს, რაც – ებრაული ტრადიციის თანახმად – "ცხოვრების ხეა", ებრაულად "ეც-ხაიმ". ამგვარად, ებრაული გაგებით, სინათლე და ცხოვრება – თავისებური სინონიმებია. და თვით ებრაული რელიგიური რვა-განშტოების სასანთლეა ისრაელის სახელმწიფო გერბის საფუძველი, ხოლო ებრაული რელიგიური დღესასწაული – "ხანუკა" – ესაა სინათლის დღესასწაული, ცეცხლის დღესასწაული, და ამასთანავე დღესასწაული მარადიულად ნათელ ცხოვრებისა, რომლის სიმბოლოა მარადიულად მწვანე ხე.

და მარადიულად მწვანე რომ იყო და დარჩა ებრაელი ერის სახელმწიფოებრივი შვიდ-ტოტიანი ხე, ამას ადასტურებს, თუ გნებავთ, ის ფაქტი, რომ ებრაელმა ერმა, თითქმის ორი-ათასი წლის შემდეგ, ისევ შესძლო თავისი სახელმწიფოებრივი დამოუკი-
სამაგალითო
დებლობისა და სუვერენობის აღდგენა, რაც ლამპარია აგრეთვე ყველა დაყრობილი ერისათვის მთელს მსოფლიოში.

=======================

VII.

რელიგიათა წმინდა ქალაქი:

სამი მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიისათვის იერუსალიმი არის წმინდა ქალაქი. ებრაელებისათვის იერუსალიმი გახდა საერო-რელიგიური ცენტრი მას შემდეგ, რაც მეფე დავითმა 1000-ან წლებში - მეელი წელთაღრიცხვით - იერუსალიმი გახადა "...მის ქალაქად. დავითის ქალაქად". დავითის შვილმა მეფე სოლომონმა - 960-925 წლებ..ი - მორიას მთაზე, სადაც გადმოცემის თანახმად აბრამს მისი შვილი ისააკი უნდა შეეწირა, [illegible] შესანიშნავი პირველი ტაძარი. მას შემდეგაც, როცა 70-თ წელში, ქრისტეს დაბადების შემდეგ, რომაელებმა დაანგრიეს ჰეროდე დიდის ტაძარი და გაანადგურეს ებრაული სახელმწიფო, - ებრაელი ხალხისათვის იერუსალიმი დარჩა, მთელი ორი-ათასი წლის განმავლობაში, უცხო ქვეყნებში ცხოვრების დროს, რელიგიური ნატვრის ქალაქი: "...თუ შენ დაგივიწყო, იერუსალიმო, გახმეს ჩემი მარჯვენა", - ამბობდნენ მსოფლიოში მიმოფანტული ებრაელები.

ქრისტიანებისათვის იერუსალიმი არის "მაღლა აშენებული ქალაქი", როგორც ეს ნათქვამია მე-17 საუკუნის ერთ გალობაში; და ამ ქალაქში იქნა ჯვარცმული იესო ქრისტე.

მაჰმადიანები იერუსალიმს უწოდებენ "ელ კუდს"="წმინდა ქალაქს", რომელიცაა - მექასა და მედინას შემდეგ - მესამე წმინდა ადგილი, ვინაიდან ყურანის მე-17 ნაწილის თანახმად, მოჰამედი სიზმარში მექადან იერუსალიმში მორიას კლდეებზე გაჩნდა და მისი ფრთოსანი რაშით ბურაკით - ზეცაში ამაღლდა, სადაც ის აბრამთან, მოსესთან და იესო ქრისტესთან ერთად ლოცულობდა. და
დამახ.ჯოს ყალიფა აბდ ალ-მალიკმა ბიზანტიელ ხუროთმოძღვრებს ააშენებინა მორიას კლდეზე შესანიშნავი ტაძარი-მეჩეთი.

მას შემდეგ, რაც იერუსალიმი 1967 წელს გაერთიანდა, ებრაელებს, ქრისტიანებსა და მაჰმადიანებს თავისუფლად შეუძლიათ ილოცონ თავიანთ წმინდა ქალაქში. ვინ იცის, შეიძლება ახლა მართლაც გახდეს იერუსალიმი მარადიული "მშვიდობის ქალაქი".

მაგრამ დავუბრუნდეთ "ჯვარის" ქართულ მონასტერს იერუსალიმში:

ჯერ მოვისმინოთ ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე, რომელიც შევქმენი 1981 წლის 17-ც აგვისტოს, ჯვარის ხეობაში, იერუსალიმში:

(ფ ი რ ი..................)

ლაპარაკობს დავით თაბორიძე იერუსალიმიდან, (10)

ეხლა მე ვარ,პატივცემულო მსმენელებო,ჯვარის მონასტრის დახავლეთით,
ისრაელის მუზეუმის მხრიდან,მაღლობზე, ბაღში,რომლიდგანაც და[illegible]ლა მოხ-
ჩანს ჩვენი ჯვარის მონასტერი. აქიდან, როგორც ავღნიშნე,მოხჩანს,რომ
ჯვარის მონასტერი უკვე შეკეთებულია, ე.ი. რემონტი გაკეთებულია და
გარედან უკვე გამოიყურება კარგად,თუმცა ბა ლები,როგორც გარე ბაღი,
ისევე შიდა ბაღი,ე.ი. რომ[illegible] იც შემოღობილია მ[illegible]ინცდა მაინც მოვლილი
არ არის,ვინაიდან აქ მხოლოდ ქვები და ზეთის ხილია უმთავრესათ,და,რო-
გორც ხჩანს,მორწყვის საკითხი ან სხვა ბაღნარისეული მცენარეულობის
გაშენება არ ხდება. 15 წლის წინათ,როდესაც მე
აქ ვიყავი,მაშინ სრულიად ყველაფერი გაპარტახებული იყო,და
შედარებით დღეს უკვე ყველაფერი მოვლილია. მაგრამ, როგორც უკვე
ავღნიშნე როდესაც ჯვარისმონასტრის ეკლესიაში ვიყავი,მე მაშინდ-
ელი მდგომარეობა ათასწილად მირჩევ ნოდა,ვინაიდან მაშინ თვით ჯვარის
მონასტერის

მთავარი ეკლესიის კედ-
ლები ია იყო ჩამომტვრეული,ე.ი. გაწმენდილი, რის
შედეგად განადგურებულია ყველა ის ხატები,რომლებიც იყო ბერძნების მიერ
[illegible] ქართულ ხატებზე თუ სურათებზე,რომლებიც,უთუოდ,ძალიან
ბევრი მოიპოვებოდა ამ მონასტრის შინა კედლებზე. მადლობა ღმე-
რთ,რომ დარჩენილია სამი ხვეტი,და ერთერთზე,როგორც ავღნიშნე,არის
შოთა რუსთაველის სურათი-ხატი. შეიძლება,თუ ოდესმე ეს მონასტერი
ქართველთა ხელში გადავიდა,ან ქართველებს ექნათ, მიეცათ იმდენი უფლება,
რომ შეისწავლონ ეს მონასტერი მეცნიერულად,ე.ი. გამოაკვლიონ თუ რა
ქართული ხატებია იმ ხატების უკან,რომლებიც კიდევ გადარჩენილია ამ
მთავრარ ეკლესიაში და ამ მონასტრის სხვა ადგილებში,ეს იქნებოდა ქა-
რთული კულტურისთვის ერთერთი დიდი სამსახური,ვინაიდან ვინ იცის რა-
მდენი ქართული კულტურის ძეგლია ამ მონასტერში. თუ გავიხსენებთ იმასაც,
რომ შუასაუკუნეებში აქ ზოგჯერ 400 -დე ქართველი ბერი ცხოვრო-
ბდა ამ მამულით,რომელსაც დღეს ეწოდება ჯვრის მონასტრის ხევი,
დღეს უკვე აქ მამული არსად არ ხჩანს. გარდა იმისა,რომ გარეუბნები
არის უკვე ბაღები და ჯვარის მონასტრის ირგვლივ,როგორც ავღნიშნე,
შემოღობილია მცირე მიწა,რომელზედაც მხოლოდ ზეთის ხილის ხეებია და
გახევებული,როგორც ავღნიშნე,კამა,
და სხვა გავეღურებული ხეები,მაგალითად,ბროწეულის ბუჩქები

აცამი თუ სხვა აქაური მცენარეულობა თვით პალმების, დეკორატიული
პალმების ჩათვლით.

<u>(ტ ი რ ი ს ლახსრული)</u>

ავედი "ისრაელის მუზეუმის" გორაკზე, რომელიც უკვე ისრაელის მნიშვნელოვან ნაგებობათა მთელი კომპლექსია: აქაა, როგორც ავღნიშნე, "ისრაელის სახელმწიფო მუზეუმი", "წიგნსაცავები", "ბიბლის" მუზეუმი, რომელშიც ბიბლიის უძველესი უნიკალური ხელნაწერებია გამოფენილი, და "ჯვარის" მონასტრის ხევის ჩრდილოეთის ამ გარემოს ამშვენებს ისრაელის პარლამენტის, ე.ი. კნესეტის მოდერნული შენობა. სხვათა შორის, "ისრაელის მუზეუმიდან" როცა გადავხედე "ჯვარის" მონასტრის ხევს, რომლის ყველაზე უდაბლეს ადგილას თვით ეს მონასტერია გადაჭიმული, აქედან ეს ნაგებობა ყველაზე უფრო მშვენივრად მეჩვენება "ჯვარის" მონასტრის ხევის ზეთის ხილის მეჩხერ გამწვანებულ ხევში ჩაფლული.

---

მაგრამ მოვისმინოთ ისევ ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირიდან:

## (ფ ი რ ი ს დასაწყისი) -10.

ლაპარაკობს დავით თაბორიძე იერუსალიმიდან

პატივცემულო მსმენელებო! მე ისევ ვარ ჯვარის მონასტრის ხეობაში. ბილიკებით ავედი ზევით, ჯვარის ხეობის დასავლეთით, სადაც განლაგებულია ისრაელის სახელმწიფო მუზეუმი. შემდეგ დავათვალიერე ეს მუზეუმი და გავყევი ზევით ჩრდილოეთისაკენ კნესეტის, ე.ი. ისრაელის პარლამენტის მიმართულებით, რომელიც მდებარეობს ჯვარის მონასტრის ხეობის ჩრდილოეთ-დასავლეთით; და ეხლა გამოვყევი ქალაქის მხარეს, დიდი შარაგზის გასწვრივ, ჯვარის მონასტრის ხეობის ერთერთ ბილიკს, რომელიც ყველაზე უფრო მაღლა მდებარეობს და აქედან კარგად მოსჩანს ჩვენი ჯვარის მონასტერი, მოსჩანს ჩრდილოეთის მხრიდან. აქედან ნათლად მოსჩანს აგრეთვე, რომ ეზო, ასე ვთქვათ, ბაღი, მამული ამ ქართული მონასტრისა მეტად მცირე სიდიდისაა, რომელიც უკვე შემოღობილია და მთელი გარემო, ჯვარის მონასტრის ირგვლივ მდებარე ფერდობები, როგორც აღმოსავლეთით, ისე დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთითაც უკვე გაშენებულია როგორც ბაღი, ე.ი. გამწვანილია მასში ბილიკები და ხალხი, ასე ვთქვათ, მიმოდის ამ ბილიკებზე. მაგრამ, სად იყო საზღვარი ამ ჯვარის მონასტრის მამულისა, ეს მე ვერ გავარკვიე; უთუოდ, ეს იყო გაცილებით უფრო დიდი, ვიდრე დღეს ჯვარის მონასტერთან შემოღობილი.

ხვალ კიდევ უნდა მივიდე მონასტერში, დილის ცხრა საათზე, და შეიძლება შევძლო ამ საკითხის გარკვევა. მაგრამ, ახლა თუ ისე, ჯვარის მონასტერი უკვე ის აღარ არის, რაც იყო ამ თხუთმეტი წლის წინათ, ე.ი. 1967 წელს, როცა მე აქ პირველად ვიყავი. ამ თხუთმეტი წლის განმავლობაში მოხდა ის, რომ მთელი ჯვარის მონასტრის ხეობა უკვე, მონასტრის შემოღობილ ეზოს გარეთ. თვით მონასტრის შეკეთება-რემონტი, როგორც ჩანს, დღესაც მიმდინარეობს და, როგორც უკვე ავღნიშნე, ყველაზე სავალალო ის არის, რომ მთავარი ეკლესიის ინტერიორი, სადაც ერთერთ სვეტზე შოთა რუსთაველის სახე-სურათია, სრულიად გაუწმენდიათ ქვებამდე და დარჩენილია მხოლოდ სამი სვეტი, რომელიც ჯერკიდევ შემონახულია ისეთი ფორმით როგორც იყო მანამდე.

და სამწუხაროა, მეტად სამწუხაროა, რომ საქართველოს საპატრიარქოს არ გააჩნდა შესაძლებლობა, თავის დროზე, მიეღო ზომები, რომ — თუ ჯვარის მონასტრის მთავარი ეკლესიის ინტერიორი უნდა ყოფილიყო გაფხეკილი სრულიად, ე.ი. მისი რემონტი უნდა ჩატარებულიყო, შესაძლებელი გახდებოდა, რომ თავის დროზე ზომები ყოფილიყო მიღებული, ჯერ გამოეკვლიათ თუ რა სახეები, რა სურათები იყო ამ მთავარი ეკლესიის კედლებზე, სვეტებზე, თუ მოხდებოდა ამგვარი მათი გაწმენდა, შესაძლებელი გახდებოდა ქართული კულტურის ამ უძველესი ერთ-ერთი ცენტრის, რაობის კიდევ უფრო გარკვევა და ამასთანავე ქართული კულტურის ძეგლების აღმოჩენა. ერთი სიტყვით, სავალალოა, სავალალოა, რომ ეს ასე მოხდა, და ამისი გამოსწორება უკვე შეუძლებელია, ვინაიდან, კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, უკვე ამ ეკლესიის კედლები სულ გაფხეკილია, ქვებამდე და დარჩენილია მხოლოდ სამი სვეტი და ზოგიერთი, ასე ვთქვათ, მიშე, ან კარების თაღები; და შეიძლება იქაც, დროთა განმავლობაში, თუ ოდესმე საქართველოს, ქართველ ხალხს საქართველოს საპატრიარქოს მიეცა უფლება ამ ეკლესიის საფუძვლიანი შესწავლისა, აღმოჩენილი იქნეს ისეთივე ძვირფასი რამ, რომელიც ნათელს მოჰფენდა ჩვენს წარსულს ჯვარის მონასტრის ისტორიაში, განსაკუთრებით შუასაუკუნეებში, თამარ მეფის დროს და მოგვიანებით, როდესაც აქ ქართველი ბერები, ქართველი სწავლულები მოღვაწეობდენ.

ამგვარად,"ისრაელის მუზეუმისა"და სხვა მუზეუმების დათვალიერების შემდეგ, გავყევი ფეხით გზას "ჯვარის" მონასტრის ჩრდილოეთით-მდებარე ფართო ასფალტირებული მარა-გზის "რუპინის" გასწვრივ, საიდანაც რამდენიმეჯერ გადავიღნ ჩვენი მონასტრის ფოტოსურათები, ისე, რომ არ დამიტოვებია ჩვენი ამ მონასტრის არც ერთი - ჩემის აზრით - მნიშვნელოვანი ხედი არც გარედან და არც შიგნიდან,

ცხადია, ამ მონასტრის ფოტოსურათთა ცენტრი 1967-დ წელსაც,როცა პირველად ვიყავი აქ და 1981 წელსაც იყო და დარჩა "ჯვარის" მონასტრის მთავარი ეკლესიის შესასვლელის მარჯვენა პირველ სვეტზე გამოსახული შოთა რუსთაველის სურათი-სახე,რომელიც - მადლობა ღმერთს - კარგადაა შემონახული; და - სხვათა შორის - როცა პირველად "ჯვარის" მონასტერში შეველი და ჩემი თავი გავაცანი ამ მონასტრის ხელმძღვანელს, ახალგაზრდა ბერს [illegible] და ვუთხარი, რომ მე ქართველი ვარ, მან დაუყონებლივ გამახსენა, რომ აქ არის შოთა რუსთაველის სურათიო და მიმიყვანა ამ სურათთან დიდი სიხარულითა და პატივისცემით. რა თქმა უნდა, ეს მეტად გამიხარდა, რომ ბერძენი ახალგაზრდა ბერი ასეთი პატივისცემით ეპყრობა ჩვენი ამ გენიალური პოეტის სურათ-სახეს "ჯვარის" მონასტერში.

გავყევი რა,როგორც ავღნიშნე, "ჯვარის" მონასტრის ხევის ჩრდილოეთით მდებარე "რუპინის" მარა-გზას, ჩავუარე ისრაელის პარლამენტის აღმოსავლეთით-მდებარე ბაღს ბენ-ცვის-გამზირის გადამკვეთი ტუნელის გავლის შემდეგ, გაველი"ბეზალელისა" და შემდეგ "ბენ-იეჰუდას" ფართო ქუჩებზე, საიდანაც ფეხით მივედი ჩემს "ეილონის-ჰოტელში".

ამასობაში დაღამდა და მეც - მთელი დღის განმავლობაში სიხარულითა და აუარებელი შთაბეჭდილების მიღებით-ისე დავიღალე, რომ საღამოს ჰოტელიდან მხოლოდ იქვე-მდებარე"შამაის" ქუჩაზე გაველი,სადაც აუარებელი სასადილოები და სასაუზმეებია, ვჭამე ე.წ-ლი"ქებაბი",ე.ი.ცხვრის ხორცი თავისებურად შემწვარი, და ისევ შეველი ჰოტელში დასაძინებლად, რომ მეორე დღეს, 18 აპრილს დილის 9-ა საათზე ზუსტად მივსულიყავი,შეპირებისთანახმად, "ჯვარის" მონასტერში.

VIII

18-ტ აგვისტოს, 1981 წელს, დილის 9-ა საათზე, ისევ მივადექი "ჯვა-რის" მონასტრის ჭიშკარს და,ჩვეულებისამებრ, დავაკაკუნე რკინის კარზე იქვე ჩამოკიდებული რკინის ნაჭერი-ჩაქუჩი, რის შემდეგ "ჯვარის" მონასტრის ხელმძღვანელმა ახალგაზრდა ბერძენმა ბერმა მამა ნიკოლოზმა გამიღო კარი, მომესალმა და ბოდიში მოიხადა იმისათვის, რომ მე მოცდა დამჭირდებოდა, ვინაიდან მას სტუმრები, ახალგაზრდა ორი ბერძენი ბერი ამერიკის შეერთებულ შტატებიდან, მოსვლია,რომელთანაც სხვადასხვა საკითხები მაქვს მოსალაპარაკებელი; და შემდეგ მოვალ შენთანო. მან გააღო "ჯვარის" მონასტრის მთავარი ეკლესია, შემიშვა შიგ და მითხრა ნელნელა კიდევ ყველაფერი დამეთვალიერებია, სანამ მას დრო ექნებოდა ჩემთვის. მე ისევ დავათვალიერე "ჯვარის" მონასტერი,განსაკუთრებით "მთავარი ეკლესია",შოთა რუსთაველის სურათი-ხატი; ისევ ავანთე ეკლესიის ცენტრში სანთელი და ისევ ვუყურებდი გულმოკლული ამ ეკლესიის ჩამოფხეკილ კედლებს,ვფიქრობდი რა, რომ ამგვარი "შეკეთებით",უთუოთ, მრავალი ისტორიული სურათი-ხატი დაიღუპა. აქაც მოვისმინოთ ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე:

(ფირი...................)

ლაპარაკობს დავით თაზორიძე. დღეს არის,პატივცემულო მსმენელებო, 1981 წლის 18 აგვისტო,და ეხლა მე ვარ იერუსალიმის ქართული ჯვარის მონასტრის შესასვლელთან,რომელიც არის ვიწრო,დაბალი კარი, რომელსაც აქვს გარედან ბოქლომი და ამ ბოქლომზე, ე.ი. რკინაზე უნდა დავარტყა მეორე ეს ბოქლომი,რომ შიგ გაიგონ და გამიღონ კარი; მოდი მივიდეთ კარებთან და დავარტყათ ეს ბოქლომი რკინის კარზე... ახალგაზრდა ბერი გამოვიდა, გამომეხედა და მითხრა, მოიცადე ხუთიწუთით, ეხლა ჟუცდი მის მოსვლას. ლაპარაკობს დავით თაზორიძე ჯვარის მონასტრის მთავარ ტაძრიდან! ეხლა მე ვარ ამ ეკლესიის სამლოცველოსთან და დისკოზე, ე.ი. იმ ადგილას, სადაც იყო დისკო ქართული წარწერით, შუა ადგილას, ე.ი. ეკლესიის შუა ადგილას, ისევ ავანთე დღესაც სანთელი, გუშინ ანთებულისანთლის ადგილზე. ეხლა მე ველაპარაკე აქ ახალგაზრდა ბერს, რომელიც არის ამ მონასტრის მეთვალყურე და მითხრა, რომ დისკო აქიდან ავიღეთ, ე.ი. ეკლესიის შუა ადგილიდან იატაკზე იყო დამაგრებული, აქიდან ავიღეთ და შევი-

ნახეთ სხვა ადგილას და დამპირდა, რომ ეხლა მალე მოვა, სტუმრები ჰყავს ჰაიდაპან, და გაჩვენებ ამ დისკოს. ერთი სიტყვით, დისკო ქართული წარწერით, რომელიც აქ მე პირველად ვნახე 1967 წლის 17 იანვარს, ეხლა უკვე თავის ადგილას, ეკლესიის შუა ადგილას, აღარ არის; აქედან აუღიათ და შეუნახავთ სხვა ადგილას. თვით ეკლესიას ხდება რემონტი, შიგნიდან გარედან და შიგნიდან რემონტის დროს კედლები ყველა გაუწმენდიათ თვით ქვამდე; ამის შედეგათ, რა თქმა უნდა, უკვე ყველა ხატი- სურათი, რომლებიც იყო კედლებზე, განადგურებულია, ე.ი. განადგურებულია არა მარტო გარე დახატული სურათები, არამედ მის უკან მდებარე სურათები, რომლებიც უნდა ყოფილიყო, როგორც ვარაუდობენ, ქართული, ჭინაიდან, გადმოცემით, ეს კელესია იყო სულ მოხატული ქართული ხატებით და სურათებით; ეხლა მხოლოდ დარჩენილია ხელუხლებათ სამი სვეტი, სამი-ოთხკუთხოვანი სვეტი, ერთი ოთხკუთხოვანი სვეტი სრულიად გაწმენდილი და გაფხეკილია და მოსჩანს ქვები. დანარჩენ სამზე კი სურათები არის გარეთ ბერძნული, ბიზანტიური, და, ალბათ, ამ სურათების ქვეშ არის ქართული სურათები-ხატები; მადლობა ღმერთს, რომ შოთა რუსთაველის სურათი ხელუხლებელია; ეს არის პირველ სვეტზე, როდესაც მთავარ ეკლესიაში შევდივართ, მარჯვნივ, და ეს სურათი, როგორც თვითონ ბერმა მითხრა, მანაც იცის მისი სახელი მითხრა, რომ რუსთაველის სურათი არისო; და ეს სურათი, მადლობა ღმერთს, რომ აღმოჩენილი იქნა ჩვენი ქართული დელეგაციის მიერ და ვიმედოვნებთ;

რომ ეს სურათი დარჩება სამუდამოთ აქ, სანამ ეს ეკლესია იარსებებს; და ვიმედოვნებთ, რომ ამ ეკლესიის არსებობა მარადიულია, როგორც მარადიულია ქართველი ხალხის, საქართველოს არსებობა; ერთი სიტყვით, ძალიან გულნატკენი ვარ, რომ მთელი კედლები ამ მთავარი ტაძრისა აფხეკილია და, ალბათ, მრავალი ხატი-სურათი ამ კედლებზე, რომლებიც ნათელს მოფენდა საქართველოს სიტორია, საქართველოს კულტურას, უკვე აღარ არსებობს; ვიმედოვნებთ, რომ დარჩენილი ადგილები, რომლები, ასე ვთქვათ, არ არის აფხეკილი ამ სვეტზე და ზოგიერთ თაღებზე აქა-იქ, შეიძლება აქ გამოჩნდეს, დროთა განმავლობაში, რაიმე ქართული, რაიმე ჩვენი კულტურის ნიმუში, თუ ოდესმე ეღირსა საქართველოს ისევ გახდეს ამ მონასტრის ბატონ-პატრონი; სულ ცოტა ისევ გახდეს ამ მონასტრის თანამონაწილე ბერძნული საპატრიარქოს გვერდით, რომელიც ხელმძღვანელობს ამ მონასტერსაც; გუშინ როცა აქ ვიყავი, ე.ი 1981 წლის 17 აგვისტოს, შემოვედი რა მთავარ ტაძარში, დავინახე რა გაფხეკილი კედლები, გული მომიკვდა; ამავე დროს გული მომიკვდა, რომ დავინახე დისკო ეკლესიის შუა ადგილას, ქართული წარწერით, აღარ იყო. მაგრამ დღეს დავწყნარდი ოდნავათ, ვინაიდან, როგორც ავღნიშნე, ეს დისკო ქართული წარწერით, მართალია აუღიათ ამ ტაძრის შუა ადგილიდან, მაგრამ შენახულია და არ დაიკარგება. ესეც, რა თქმა უნდა, დადებითი მოვლენაა, თუმცა იმ ადგილას, სადაც ის იდგა საუკუნეების განმავ-

ლობაში, ყველას ის სჯობდა, რომ იქ დარჩენილიყო. მაგრამ მიზეზი, თუ რატომ აიღეს ის დისკო ცენტრიდან, ე.ი. ჯაძრის ცენტრიდან, არ ვიცი. ჯვარის მონასტერი კი არის ძველი ქალაქის გარეთ, ჯვარის ხეობაში, და აგებულია იმ ადგილას, სადაც გადმოცემით მოსჭრეს ხე, რომელზედაც ქრისტე იქნა ჯვარცმული და

ალტარიის ქვეშ მოსჩანს მრგვალი ადგილი, რომელიც სის ძირის მსგავსად არის გაკეთებული და მის შუა ადგილას მოსჩანს ღრუ, და აი აქ იქნა მოჭრილი, გადმოცემით, ხე, რომელზედაც იესო ქრისტე იქნა ჯვარცმული. ვდგევარ ეხლა რა ამ ტაძარში, ჰუყურებ რა შოთა რუსთაველის სახე-სურათს, რომელიც არის ოთხკუთხოვან სვეტზე შემოსასვლელიდან მარჯვნივ, პირველ სვეტზე, მაგონდება ქართველი ერის, საქართველოს წარსული; მაგონდება, როცა პირველად, გადმოცემით, მეხუთე საუკუნეში, ე.ი. დაახლოებით 1500 წლის წინათ, დაარსებული იქნა ქართველთა მიერ ეს მოსასტერი; მაგონდება საქართველოს ბრწყინვალების დრო — დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და მაგონდება, რომ აქ, ერთდროს, შუა საუკუნეებში, ოთხასი ქართველი ბერი იყო ერთდროულად, რომლებიც აწარმოებდნენ დიდ კულტურულ მუშაობას; აწარმოებდნენ მთარგმნელობით და სხვა სახის კულტურულ მუშაობას და ეს ბრწყინვალე პერიოდი აღინიშნება ქართველთა მოღვაწეობით არა მარტო იერუსალიმში, სადაც ჯვარის მონასტრის გარდა, რამდენიმე ქართული სხვა წმინდა ქართული ადგილები არსებობდა, როგორც აღმოჩენილი მოზაიკური წარწერები ამტკიცებენ ამ მარ-

ადიული ქალაქიდან, გაგვაჩნდა აგრეთვე ათონის მთაზე ცნობილი "ივერიონის" მონასტერი, რომლის ათასი წელი 1983 წელში სრულდება, და, სადაც განზრახული მაქვს წავიდე ჯვარის მონასტრის დათვალიერების შემდეგ. გაგვაჩნდა აგრეთვე პეტრიწონის მონასტერი-ქართული კულტურის ერთერთი ცენტრი, გაგვაჩნდა მრავალი მონასტერი ანტიოქიაში, ე.წ. შავ მთაზე და ქართველი მოღვაწეები მოღვაწეობდნენ აგრეთვე სინას მთაზე; და ყველა ამ ადგილებში, რომ უამრავი ხელნაწერებია ეს უკვე კარგად ცნობილია, ვინაიდან როგორც უკანასკნელად გვაცნობა ქართულმა საბჭოთა პრესამ, უკვე ყველა ხელნაწერთა მიკროფილმები-სინადან, იერუსალიმიდან, ივერიონიდან უკვე თბილისშია და, ვიმედოვნებთ, ყველა ამ უდიდესი მასალების შესწავლის შემდეგ, კიდევ ნათელი მოფინება ჩვენს ისტორიულ წარსულს, ჩვენს კულტურას და ეს რომ დიდი, დიდი საქმეა, ამას, ვფიქრობ, მტკიცება არ ესაჭიროება; მაგრამ მნიშვნელოვანია აგრეთვე-როგორმე საქართველომ, ქართველმა ხალხმა, საქართველოს საპატრიარქომ თავისი, ასე ვთქვათ, გავლენა აღადგინოს სინას მთაზე, იერუსალიმში, ათონის მთაზე, პეტრიწონში, ე.ი. ბულგარეთში ქართულ მონასტრებში და სხვა ადგილებში, სადაც მრავალი ქართული კულტურის ძეგლი, მანუსკრიპტები, ხატები და სხვა მასალები ინახება; ამისათვის ყველაზე პირდაპირი გზა იქნებოდა, რომ საქართველო იყოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტი, ე.ი., ვთქვათ, საქარ-

თვით იყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, ე.ი. დამოუკიდებელი სახელმწიფო, სუვერენული სახელმწიფო;და ამის შემდეგ,მას საშუალება ექნებოდა საელჩოების, საკონსულოების და, პირველ ყოვლისა, საქართველოს საპატრიარქოს მეშვეობით თავისი ძველი გავლენა ამ წმინდა ადგილებში აღედგინა, რომ საქართველომ, ქართულმა ერმა, ქართულმა მართლმადიდებელმა ეკლესიამ დაიკავოს ის ადგილი საერთაშორისო ერთა ოჯახში, რომელიც მას ეკუთვნის.

ეს იყო, პატივცემულო მსმენელებო, ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე, რომელიც შევქმენი იერუსალიმის ჯვარის ქართული მონასტრის მთავარ ეკლესიაში 1981 წლის 18-ტ აგვისტოს.

================================

1981 წლის 18 აგვისტოს, როცა ჯვარის ქართული მონასტრის მთავარი ეკლესია დავათვალიერე,

"ჯვარის" მონასტრის ახალგაზრდა ბერ ნარცისოსს ბევრი დრო დახარჯა თავისი ამერიკელი სტუმრებისათვის, და - როგორც იქნა - შუადღეზე მოვიდა ჩემთან, მონასტრის "მთავარი ეკლესიის" შესასვლელთან, გამაცნო ორი ახალგაზრდა ამერიკელი,უთუოთ,ბერძნული წარმოშობის ბერი, მოიხადა ბოდიში,რომ ამდენ ხანს მაცდევინა, და მითხრა ახლა გაჩვენებთ და დაგათვალიერებინებთ ამ მონასტრის ბიბლიოთეკას, წმინდა ჯვარის ხის ძირს, და წმინდა საგნებს,რომლებიც ინახება ამ ეკლესიაში. დავიწყეთ ბიბლიოთეკის დათვალიერებით, რომელსაც მე ვიცნობდი უკვე, იქ 1967-ლ წელს ყოფნის დროს: ამ "ჯვარის" მონასტრის ბიბლიოთეკაში ინახება მხოლოდ წიგნები, ხოლო ხელნაწერები და ყველა სხვა ძვირფასი წიგნები ინახება იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში, სადაც ყველაფერი ზუსტადაა კათალოგში აღნუსხული და საუკეთესოდ მოვლილი, როგორც ეს ამ ახალგაზრდა ბერძენმა ბერმაც მითხრა.

ბიბლიოთეკის დათვალიერების შემდეგ, შევედით მონასტრის "მთავარ ეკლესიაში", გააღო მან ეკლესიის მთავარი ნავის ჩრდილოეთით-მდებარე კარი და შეგვიყვანა ვიწრო ნავში,სადაც ვიტრინებში მოთავსებულია ჯვრები,ხატები და სხვა წმინდა საგნები, თვით შოთა რუსთაველის, საქართველოში ჭედური მანერით შესრულებული,ხურათი-ხატის ჩათვლით, რომელიც ამ მონასტერში მოუტანია უწმინდეს და უნეტარეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს,როცა ის 1980-ც წელს ბრძანებულა "ჯვარის" მონასტრის სტუმარი და - შოთა რუსთაველის ამ ჭედური ხურათ-ხატის გვერდით,-სხვა საგნებიც უჩუქებია "ჯვარის" მონასტრისათვის, რაც დიდი მოწიწებით დამათვალიერებია ამ მონასტრის ახალგაზრდა ბერძენმა ბერმა.

ჩემს შეკითხვაზე თუ სად არის ის მრგვალი დისკო,რომელიც იყო "მთავარი ეკლესიის" იატაკში, ცენტრში, ჩასმული წარწერით - "სტეფა[illegible]", მან მიპასუხა, რომ ეს აქ არისო,მაგრამ ვიტრინებში ის ვერ აღმოაჩინა. შემდეგ მითხრა, რომ ეს დისკო აქ ინახება, და როცა დამთავრდება "მთავარი ეკლესიის" იატაკის შეკეთება, შემდეგ ისევ იქნება ჩასმული იმ ადგილას, სადაც იყო მანამდეო. მისმა ამგვარმა=

ახსნა-განმარტებამ ამ დისკოს შესახებ, რა თქმა უნდა, გამახარა, მაგრამ მე,უთუოთ, კიდევ ერთხელ ჩავალ იერუსალიმის "ჯვარის" მონასტერში, რომ ეს დისკო ისევ დავინახო თავის ადგილზე ჩასმული ამ მონასტერის "მთავარ ეკლესია"="კათოლიკონში". არ უნდა იქნას დაშვებული, რომ ეს,ასეთი დიდი მნიშვნელობის დისკო,არ დარჩეს ჩვენი წინაპრის მომავალ თაობებს, როგორც არა მარტო რელიგიური რწმენის უდრეკობის სიმბოლო.

ამის შემდეგ, "ჯვარის" მონასტრის წინამძღოლმა ახალგაზრდა ბერძენმა ბერმა შეგვიყვანა იმ ადგილას, სადაც არის იეროს ქრისტეს ჯვარცმის ხის ძირი,რომელიც სიმბოლიურადაა მშვენივრად მორთული, რომელთანაც ანთებულია მუდმივი სანთელი. გადმოცემით, აქ იყო ის ხე,რომლისაგან გაკეთებულ იქნა ჯვარი,რომელზედაც აცვეს იესო ქრისტე. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ "ჯვარის" მონასტრის მთავარი ეკლესიის ალტარი-სამლოცველოს შეკეთებაც ხდება, რომლის-წმინდა სამლოცველოს-ქვეშ - ვიტრინაში - მოსჩანს ხის ძირი, ვერცხლისფერის ლითონით შემოვლებული,რითაც უკვე ამ ეკლესიაში ერთი "ნამდვილი" და მეორე "მისი პირი" ხის ძირია,რომლის დანახვა შესაძლებელია მთავარი ეკლესიის მთავარი ნავიდან,ე.ი.იმ ნავიდან,რომლის ცენტრშია აღნიშნული დისკო წარწერით - "[illegible]".

"მთავარი ეკლესიის" დათვალიერების შემდეგ, ამერიკელი ახალგაზრდა ორი ბერი დაინტერესდენ ჩემი ვინაობით, რომლის დროს მათ ავუხსენი "ჯვარის" მონასტრის ის პერიოდი,როცა აქ ქართველი ბერები იყვნენ და მივიყვანე შოთა რუსთაველის სურათ-სატთან და ვუთხარი თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ მონასტერს ქართველი ერისათვის. მათ , "როგორც წესი", [illegible] რუსეთს დაუკავშირეს ჩემი,ასე ვთქვათ, პროტესტის შემდეგ, სტალინის სახელს დაუკავშირეს,რამაც კიდევ უფრო დიდი პროტესტი გამოიწვია ჩემგან,ვინაიდან ნუთუ არ დადგა დრო ქართველი ერის,საქართველოს რაიმის გარკვევა არ იქნეს დაკავშირებული რუსეთის ან სტალინის სახელთან?!..რა თქმა უნდა, ამ ახალგაზრდა ამერიკელ ბერებს ურჩიე წავიდნენ საქართველოში, ნახონ ეს ერთერთი უძველესი ქრისტიანული ქვეყანა,მაგრამ ეს უფრო "ფორმალური" ხასიათის

საუბარი იყო,ვინაიდან მერების მოგზაურობა კომუნისტურ ქვეყნებში მრავალგვარ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, და ეს მათაც კარგად ესმოდათ.

"ჯვარის" მონასტრის წინამძღოლმა ახალგაზრდა ბერძენმა ბერმა შემდეგ მითხრა, რომ მან უკვე ყველაფერი მაჩვენა,რის ჩვენება შეიძლებოდა, და - ვუთხარი რა რომ მე კიდევ ორ დღეს ვრჩები იერუსალიმში - მითხრა:"ჯვარის" მონასტრის ჭიშკარი თქვენთვის ყოველთვის ღიაა, და მობრძანდით, როცა გსურთ." ჩემს წინაშე წამოჭრილი საკითხები კი - "ჯვარის" მონასტრის ხევის ბედი, "ჯვარის" მონასტრის რადიკალური რემონტი-შეკეთება, რომლის დროს, გადმოცემით, ერთ დროს მოხატული კედლები "მთავარი ეკლესიისა" სრულიად ჩამოფხეკილია და ამით - ვინ იცის - მრავალი ქართული ხატი-სურათი სამუდამოდ დაიკარგა, რომლებიც, იმავე გადმოცემით, გადალე-სილ-შეთეთრებული მასის უკან უნდა ყოფილიყო, როგორც შოთა რუსთაველის სურათი-ხატი,რომელიც მასზე გადასმული ფერის მოშორების შემდეგ გა-მოჩნდა, - ყველა ეს კითხვა უპასუხოდ დარჩა.

აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტიც, რომ ვერსად იერუსალიმში "ჯვარის" მონასტრის ღია ბარათი-სურათი ვერ ვიშოვე, რაც გაუგებარი დარჩა ჩემთვის, ვინაიდან "ჯვარის" მონასტერი უკვე მუზეუმია, შე-სანიშნავი არქიტექტურა გააჩნია ასევე შესანიშნავი "ჯვარის" მონას-ტრის ახლა უკვე დაქუცმაცებული ხევით, და რადგან ამ ღირსშესანიშნავი ნაგებობის ღია ბარათი-სურათი არ უნდა იყიდებოდეს იერუსალიმის სხვა ღირსშესანიშნაობათა სურათებს გვერდით, - ჩემთვის გაუგებარია. 15-ი წლის წინათ კი,როცა 1967-ლ წელს პირველად დავათვალიერე "ჯვარის" მონასტერი, მაშინ,მართალია, თვით მონასტერი და "ჯვარის" ხევიც მოუვლელი იყო, მაგრამ ამ ნაგებობის ღია ბარათი-სურათი ყველგან იშოვებოდა ქალაქის ისრაელის ნაწილში. მოგაგონებთ, რომ 1967-ლ წელში იერუსალიმი ორად გაყოფილი ქალაქი იყო: "ძველი ქალაქი" იორდანიის სახელმწიფოს უფლებამოსილების ქვეშ იყო, ხოლო იერუსალიმის, ასე ვთქვათ, ახალი ნაწილი "ჯვარის" მონასტრისა და ხევის ჩათვლით, ისრაელის სახელმწიფოს უფლებამოსილების ქვეშ იყო. 1981-თ

წელს კი, იერუსალიმი მთლიანად ისრაელის უფლებამოსილების ქვეშ და ისრაელის დედაქალაქია, თუმცა არაბული სახელმწიფოები ამას არ ცნობენ. ამდენად, იერუსალიმის "ძველი ქალაქის" დათვალიერების საშუალება 1967-დ წელს არ გამაჩნდა, ვინაიდან ქალაქი გაჭრილი იყო ორ - იორდანიულ და ისრაელურ ნაწილად, და ამ საზღვარზე მაშინ საშიში იყო გადახედვაც კი.

სამაგიეროდ ტურისტებისათვის გამოცემულ დასურათებულ წიგნებ-ბროშურებში ყველგან ლაპარაკია "ჯვარის" მონასტერზედაც და, მოკლე ისტორიის მოთხრობასთან ერთად, სურათებიცაა გამოქვეყნებული. ერთი ახეთი წიგნია, მაგალითად, "პოლიგლოტის" გამომცემლობის ტურისტთა სახელმძღვანელო, რომელსაც ეწოდება "იერუსალიმი". ამ წიგნის 51-ე გვერდზე ლაპარაკია "ჯვარის" მონასტერზე, სადაც ვკითხულობთ:

"ეს მე-6 საუკუნის ბერძნების მიერ დაარსებული მონასტერი, შემოფარგლულია მაღალი კედლებით, რომელიც ამ მონასტერს იცავდა თავდასხმებისაგან. მონასტერში შესასვლელი კარი "ნემსის ყუნწივით" ვიწრო და დაბალია, რომელშიც შესვლისას ადამიანმა მეცად უნდა მოიღუნოს წელში. მთავარი ეკლესია-გუმბათი, გადმოცემით, აგებულია იმ ადგილას, სადაც მოუჭრიათ ხე, რომლისაგან გაუკეთებიათ ქრისტეს წამების ჯვარი. ერთი ვერცხლის რგოლი ეკლესიის სამლოცველოს უკან, მიუთითებს ამ ადგილზე. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მრავალი ფრესკა ამ ეკლესიაში."

ეს წიგნი მიუთითებს აგრეთვე, რომ "ჯვარის" მონასტერი უკვე მუზეუმია და რომ მისი დათვალიერება შეიძლება 10-ი საათიდან 17-მდ საათამდე, რომლის დროს შესასვლელი ბილეთის ყიდვაა სავალდებულო.

მეორე წიგნში, რომლის სახელწოდებაა "ისრაელი", თითქმის იმავე სიტყვებითაა აღწერილი "ჯვარის" მონასტრის ისტორია და დღევანდელი რაობა. ამგვარად, "ჯვარის" მონასტრის ისტორიის აღწერაში ვერსად ვერ ვნახე აღნიშვნა იმ ფაქტისა, რომ ამ მონასტერში იყვნენ ქართველები, ერთ დროს 400-ი ქართველი ბერიც კი, და რომ ამ მონას-

ტრის მოვლა-პატრონობისათვის იქვე ახლოს არსებობდა ქართული სოფელი "მალხა",რომელთა მცხოვრებნი - ქართული ენის არცოდნის მიუხედავათ - "გურჯებს"="ქართველებს" უწოდებდნენ თავიანთ თავს და ეს სოფელი გაქრა ისრაელ-არაბთა უკანასკნელი ომის შედეგად და მისი მცხოვრებნი მიმოიფანტა სხვადასხვა ადგილებში.

მსოფლიო მნიშვნელობის დიდ სტანდარტულ გამოცემებშიც მეტად "მჭლეა" ცნობები "ჯვარის" მონასტრის შესახებ იერუსალიმში. გერმანულ დიდ ენციკლოპედია "ბროკჰაუსში",მაგალითად, საერთოდ არ არის განცალკევე-ბულად მოხსენებული "ჯვარის" მონასტერი, თუმცა "იერუსალიმის" განმარ-ტების საკმაოდ ვრცელი სტატია დასურათებულია მხოლოდ "ჯვარის" მონას-ტრის საერთო ხედით. "ენციკლოპედია ბრიტანიკაში" კი საერთოდ არ არის მოხსენებული "ჯვარის" მონასტერი არც ცალკე და არც იერუსალიმთან და-კავშირებით. ალბათ, მხოლოდ ბერძნულ და ქართულ ენაზეა ამ მონასტრის სრული აღწერილობა, მაგრამ ეს მასა-ლები ჩემთვის ხელმიუწვდომელია [illegible].

რაც შეეხება ქართულ მასალებს "ჯვარის" მონასტრის შესახებ, მე ხელთ მაქვს ზოგიერთი მათგანი:

ერთი ახალი წიგნაკის შესახებ,მაგალითად, თ.ქადაგიძე, 1981 დეკემბრის წლის ჟურნალ "მნათობში", წერს:

მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 58-ე № 12 დეკემბერი, 1981 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

# „ათონი, ჯვარი, პეტრიწონი"

1981 წ., №

შარშან გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ" გამოსცა ბორის კანდელაკის მცირე მოცულობის ნაშრომი „ათონი, ჯვარი, პეტრიწონი". წიგნს უცნაური სტრიქონივით სათაური აქვს და თავისებურად ასახავს კიდეც ავტორის დამოკიდებულებას მოსათხრობი ამბებისადმი — შეკავებულ აღტაცებასაც, სევდასაც და თითქმის ჯერებულ რწმენასაც.

საქართველოს ფარგლებს გარეთ მრავალი ძეგლი და მონასტერია, რომლებიც სამშვილიშვილოდ არიან დაკავშირებულნი ჩვენი ხალხის ისტორიასთან. ერთნი, მტრისაგან მოტაცებული ქართველი ქალებივით დღე-მუდამ საქართველოს ცა-ღრუბლისკენ იმზირებიან და ღელუღელიდან დაბერილ ნავს ულელავენ ოცნებებით ავსილ მკერდს; მეორენი, არწივების ნასახლარი ბუდეებივით, უტყვი სიჯიუტით ინახავენ რწმენისა და ერის მსახურებით აღძრულ სულთა ხსოვნას, იმ მოღვაწეთა სახელებს, რომლებმაც თავისი ნებით იტვირთეს ყველაზე მძიმე ჯვარი — სამშობლო სადიდებელი და მშრომელ ხალხზე ფიქრით ფერნაცვალი. ასეთი ძეგლებია — ათონი, ჯვარი, პეტრიწონი.

თითქოსდა ასეთი იყო შუა საუკუნეების ქართველი რაინდის მორალური კოდექსი: განვლე შენი ახალგაზრდობა ხმლის ქნევასა და სამშობლოს მტრების მოგერიებაში, ხოლო შემდეგ, ბრძოლებით დაღლილმა და თასი განსაცდელით დაბრძენებულმა, ფარი და ხმალი გვერდზე გადადე და წიგნსა და კალამს მოჰკიდე ხელი, რადგანაც ესენიც სამშობლოს მსახურებისთვის განკუთვნილი იარაღებია. ასეთი იყო ვარაზვაჩე — შემდეგში სასულიერო მოღვაწე იოანე — ათონის ივერთა მონასტრის დამაარსებელი. ასეთი იყო თორნიკე ერისთავი, რომლის ჯავშნის პერანგიც დღესაც ათონის მთაზეა, როგორც სიმბოლო ჯანითა და სულით გაუტეხელი ქართველი კაცისა. შეპირებული, წელში გაწყვეტილი ერის შვილი ძნელად შესძლებდა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ მონასტრის აგებას.

ქართველი კაცისთვის დღეს განსაკუთრებით ახლობელია იერუსალიმის ჯვრის მონასტერი. ეს სავანე დაკავშირებულია გენიალური შოთა რუსთაველის სახელთან, მის ბიოგრაფიასთან.

იერუსალიმში ქართველებს ორმოცამდე ეკლესია-მონასტერი და სასტუმრო სახლი ჰქონიათ. ჯვრის მონასტერი, გადმოცემით, მირიან მეფეს აუგია, შემდეგ კი ვახტანგ გორგასალს შეუკეთებია და გაუმაგრებია; ხოლო დღევანდელი ჯვრის მონასტერი მეთერთმეტე საუკუნის პირველნახევარში შავშელ გიორგი პროხორეს აუშენებია.

მესამე ნარკვევი წიგნისა პეტრიწონის მონასტერს შეეხება. პეტრიწონის მონასტერი სიდიდით მეორე ყოფილა ბულგარეთში. იგი 1083 წელს აუშენებია ბიზანტიის იმპერიის დასავლეთის ჯარების მთავარსარდალს გრიგოლ ბაკურიანის ძეს და ამ საქმისათვის საქართველოდან ორმოცდაათი მშენებელი და მხატვარი წაუყვანია. ამ მონასტრის ბიოგრაფიაც ძალზე დრამატულია. საინტერესოა ისიც, რომ ქართველი კაცის მიერ აგებული მონასტერი მრავალი საუკუნის შემდეგ, ბულგარელთაგან თავისუფლების მოპოვების ჟამს (რუსეთ-თურქეთის ომში) დაღუპვისაგან ისევ ქართველს — გიორგი ჯორჯაძეს გადაურჩენია.

უნდა ღინიშნოს, რომ ბორის კანდელაკის ნაშრომი სადად, უპრეტენზიოდ, მეცნიერებაში გაკრცელებულ დებულებებზე დაყრდნობით გვიყვება იმ ფაქტებზე და მოვლენებზე, რომლებიც წარუხოცელი არიან ჩვენი ხალხის ისტორიიდან, გვიყვება ჩვენი წინაპრების ღვაწლზე, მათ შრომასა და ბრძოლაზე და იმასაც შეგვახსენებს, რომ ამ სახელოვან ტრადიციებს ღირსეული გამგრძელებელი და მომგონებლები სჭირდება.

თ. ძადაბიძე

(X.)

ივანე სტროეჩუნი წიგნაკში -

# შოთა რუსთაველის ფრესკა,

მ შ
რომელიც გამოხცა ხელოვნება ● თბილისი ● 1031 წელს,

განაკვეთში-ჯვრის მონასტერი — ქართული სასულიერო და კულტურული ცენტრი პალესტინაში - ,ხხვათა შორის, წერს:

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ერთადერთი ისტორიული ძეგლია უცხოეთში, რომელიც დაკავშირებულია დიდი შოთას სახელთან.

როგორც ცნობილია, XI-XII საუკუნეების საქართველო ვიდრე XIII საუკუნის დამდეგამდე თავისი დროის უძლიერესი სახელმწიფო იყო. ამ პერიოდში უმაღლეს აყვავებას მიაღწია ფეოდალურმა საქართველომ, განმტკიცდა მისი პოლიტიკური ერთიანობა და ეკონომიკური ძლიერება, რასაც ხელი შეუწყო მრავალრიცხოვან გარეშე მტრებზე და შინაფეოდალურ რეაქციაზე გამარჯვებამ.

ფეოდალური საქართველოს აღზევების პროცესი დაიწყო დავით აღმაშენებლის დროიდან და დასრულდა თამარის მეფობის ხანაში. ქართველთა უდიდესი და უპირველესი პოეტის მოღვაწეობაც ამ ეპოქაზე მოდის. რუსთაველის გენიალური პოემა აშკარად მაშინდელ სინამდვილეზეა ამოზრდილი. მასში იგრძნობა ძლიერების ლაღი სუნთქვა. მართლაც, იმდროინდელმა საქართველომ მძლავრი განახლება განიცადა: გატარდა დიდმნიშვნელოვანი საშინაო რეფორმები, გაფართოვდა საგა-

რეო ურთიერთკავშირი უცხოეთის, განსაკუთრებით კი ბიზანტიასა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებთან არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ კულტურული თანამშრომლობის სფეროშიც. საქართველოს საზღვრები გაწფენილი იყო დიდ სივრცეზე შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე, კავკასიონის ქედიდან ირანის აზერბაიჯანამდე. ამიტომ შემთხვევით არ შეიძლებოდა მომხდარიყო ის, რომ სახელგანთქმულმა იტალიელმა მოგზაურმა მარკო პოლომ 1307 წელს თავის რუკაზე საკმაოდ ზუსტად აღნიშნა ეს ქვეყანა[1].

საქართველოს კულტურული ცხოვრების ისტორიაში ამ პერიოდმა თავისი კვალი დატოვა „აღმოსავლური რენესანსის" სახით, რომელიც მრავალი მეცნიერის აზრით, იყო წინამორბედი დასავლური რენესანსისა. ეს მეცნიერული დებულება პირველად დიდმა ქართველმა ისტორიკოსმა ი. ჯავახიშვილმა წამოაყენა, შემდეგ კი დეტალურად დაამუშავა და დაასაბუთა აკადემიკოსმა შ. ნუცუბიძემ თავის გახმაურებულ წიგნში „რუსთაველი და აღმოსავლური რენესანსი"[2]. აღსანიშნავია, რომ ამ იდეას, ერთ-ერთმა პირველმა დაუჭირა მხარი მწერალმა-აკადემიკოსმა ალექსეი ტოლსტოიმ, ხოლო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ლიტერატურის ინსტიტუტში გამართული დისკუსიის შემდეგ იგი ბევრმა მეცნიერმა გაიზიარა, მათ შორის საზღვარგარეთაც.

მოგვიანებით აკადემიკოსმა ი. ორბელმა და პროფესორმა ჩელოიანმა დაასაბუთეს ადრეული სომხური რენესანსის არსებობაც.

---

[1] В. Шкловский. Марко Поло. Журнально-газетное объединение. М., 1936, стр. 288.

[2] Ш. И. Нуцубидзе. Руставели и Восточный Ренессанс. Изд. АН ГРУЗ. ССР. Тб., 1967.

საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ თავის დროზე მონასტრები ქრისტიანულ სამყაროში მწიგნობრობისა და განათლების თავისებურ ცენტრებსაც წარმოადგენდნენ. მათთან იქმნებოდა ბიბლიოთეკები, ინახებოდა ხელნაწერები, ჟამთააღმწერლები ადგენდნენ მატიანეებს, იქმნებოდა სადღესასწაულო, ღვთისმეტყველო და ისტორიულ-ფილოსოფიური ხასიათის წიგნები, იწერებოდა სულთა მოსახსენებელი წიგნები და სხვ. სწორედ ამგვარმა საქმიანობამ აქცია გელათისა და იყალთოს სამონასტრო კომპლექსები აკადემიებად დავით აღმაშენებლის დროს. იერუსალიმის ჯვრის მონასტერიც თავისი საქმიანობით ამ დიდ კულტურულ ცენტრებს უსწორებდა მხარს.

ჯვრის მონასტერი დგას იერუსალიმის სამხრეთ-დასავლეთით გარეუბნის ველზე (ზღვის დონიდან 700 მეტრის სიმაღლეზე), რომელიც ამჟამად მოქცეულია ქალაქის ფარგლებში და იწოდება რეხავიის კვარტლად. მიუხედავად იმისა, რომ მონასტერს ირგვლივ შემორტყმია თანამედროვე შენობები, მათ შორის საუნივერსიტეტო კომპლექსი, ძველი სამონასტრო ანსამბლი მაინც შთამბეჭდავია, შუა საუკუნეების ციხე-დარბაზს გაგონებთ.

მონასტერს აკრავს მაღალი, მასიური ქვის გალავანი, რომელშიც ალაგ-ალაგ ჩართულია ოთხკუთხა ბურჯები. გალავანი ერთიანადაა შეკრული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აქაიქ ჩაჭრილ, სათოფურების მსგავს, სამზერებს. მთელ ანსამბლს აგვირგვინებს მისი შუაგულიდან ამოზრდილი ოთხკუთხა სამრეკლო და ტაძრის ვერცხლისფერი გუმბათი.

თავის დროზე მონასტერში ყოფილა 400-მდე სენაკი, საკრებულო ტაძარი, სასულიერო სემინარია, სატრაპეზო, ბიბლიოთეკა, რამდენიმე შიდა ეზო და დამხმარე ნაგებობები. მთავა-

რი, რა თქმა უნდა, თვით ტაძარია, რომლის სიგრძე 86, ხოლო სიგანე 48 ფუტს შეადგენს. გადმოცემით, მონასტერი სწორედ იმ ადგილზეა აგებული, სადაც მოუჭრიათ ქრისტეს საწამებელი ჯვრის გასაკეთებელი ხე. სახელი — ჯვრის მონასტერიც აქედანაა. ივრიტულად მას უწოდებენ „გა მაცლეეს", არაბულად „ალ-მაცლაბს", ასევე, „დეირ-ა-ცალიბსაც". ქრისტიანულ სამყაროში იცნობენ შემდეგი სახელებით. ინგლისურად — „The Monastery of the Holy Cross", ფრანგულად — „Le Monastère de la Sainte Croix", გერმანულად — „Das kloster des Heiligen Kreuzes", ბერძნულად — „Agio Stabro".

როგორც ჩანს, ჯვრის მონასტერი V საუკუნეში დაარსებულა, როცა ბიზანტიის გავლენის სფეროში მოქცეულ ქვეყნებში ინტენსიურად გაჩაღდა სამონასტრო-საეკლესიო მშენებლობა. გადმოცემით, „წმინდა ქალაქის" ეს ადგილი ბიზანტიის იმპერატორს უბოძებია ქართველთა პირველი ქრისტიანი მეფის მირიანისათვის და მასაც აქ ეკლესია აღუმართავს, რომელიც შემდეგ გაუფართოებია ვახტანგ გორგასალს. ამის თაობაზე თეიმურაზ ბაგრატიონი თავის დროზე ცნობილ ფრანგ ქართველოლოგ მარი ბროსეს სწერდა:

„იმისი საფუძველი დიდის კონსტანტინე ბერძენთა და რომთა იმპერატორის დროს მირიან მეფეს დაუდვია. რადგანაც პირველად ქრისტიანობის სარწმუნოებაზედ მირიან მეფე მოიქცა კერპთმსახურებისაგანა, ამისთვის დიდმა კონსტანტინემ, პირველის მსოფლიო კრების განჩინებითა, მრავალი შეწევნა მისცა ქრისტიანობის განსამტკიცებლად საქართველოს და იერუსალიმშიაც ადგილები მისცეს"[3].

[3] თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკადემიკოს მარი ბროსესადმი, თბ., „მეცნიერება", გვ. 37.

ჯვრის მონასტერს, როგორც ჩანს, თავიდანვე საპატიო ადგილი დაუჭერია იერუსალიმის მრავალრიცხოვან სასულიერო-რელიგიურ ცენტრებს შორის. შემთხვევითი არ უნდა იყოს, VI საუკუნეში, იმპერატორ იუსტინიანეს დროს აღდგენილ-განახლებულ უმნიშვნელოვანეს ტაძრებს შორის იეერთა კუთვნილი იერუსალიმის ტაძარიც რომ არის მოხსენიებული.

ჯვრის მონასტრის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ისიც მიგვანიშნებს, რომ ოდესღაც რომაელების მიერ იერუსალიმიდან გატაცებული და 536 წელს ბიზანტიის მხედართმთავრის ველიზარიუსის მიერ კვლავ „წმინდა ქალაქში" დაბრუნებული უმნიშვნელოვანესი რელიკვიები ქრისტიანობისა, დამპყრობ მუსულმანთა ხელყოფისაგან დასაცავად, პერიოდულად ჯვრის მონასტერში ინახებოდა.

საუკუნეების მანძილზე ქართველთა სავანეს ბევრი რამ გადახდა, არაერთხელ დაინგრა და აღდგა. ამ მხრივ განსაკუთრებულად მოიხსენიება ცნობილი ქართველი სასულიერო პირის პროხორეს ღვაწლი. მან გაერთიანებული საქართველოს მეფის ბაგრატ IV და მისი დედის მარიამის მორალური და მატერიალური მხარდაჭერით, აგრეთვე ანტიოქიისა და სინას მთის ქართული მონასტრების ხელშეწყობით, XI საუკუნის დასაწყისში საფუძვლიანად აღადგინა, გააფართოვა და გაამშვენიერა ეს დიდმნიშვნელოვანი სავანე. პროხორეს აღმშენებელი ხელის კვალი აქ დღემდე არ წაშლილა.

ჯვრის მონასტრის სახელი კიდევ უფრო განადიდა აქ გამოჩენილი ქართველი სასულიერო მწიგნობარი მამების ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების მოღვაწეობამ, რასაც გვიდასტურებს დასავლეთის კედელზე დღემდე შემორჩენილი მათი ფრესკული გამოსახულებაც.

ჯვრის მონასტრის ისტორიაში ჩახედვამ მე, არასპეციალისტიც კი, დამარწმუნა, რომ იგი პალესტინაში ქართველთა სასულიერო-კულტურული მოღვაწეობის უდიდესი ცენტრი ყოფილა. იმის წერილობით დადასტურებასაც წავაწყდი, რომ ამ მონასტრის წინამძღვარი იერუსალიმის ყველა დანარჩენი ქართული ტაძრის წინამძღვრადაც ითვლებოდა. აქ იყრიდნენ თავს საუკეთესო სასულიერო მოღვაწენი, აქ იღებდნენ განათლებას ახალგაზრდები, რათა შემდეგ კვლავ თავისი ხალხისათვის ემოღვაწათ, მშობლიურ ენაზე ეთარგმნათ და გადაეწერათ უმნიშვნელოვანესი წიგნები სახელგანთქმული მოაზროვნე ფილოსოფოსებისა.

კვლავ თეიმურაზ ბაგრატიონი უნდა დავიმოწმო: „ჯუარის მონასტერი წიგნთ-საცავად გადააკეთეს და დიდი ბიბლიოტიკა შეკრიბეს ქართულს ენაზედა და დღესაც მრავალი წიგნები არის ქართული იმ მონასტერში უძველესნი და რჩეულნი და გაურყვნელნი. და მის ჟამითგან საქართველოს მეფედ უმეტესად გაამშვენიერეს ჯუარის მონასტერი და იერუსალიმში და იმის გარეშამოში სხვა მონასტრებიც აღაშენეს და საქართველოს განუსაკუთრეს“[4].

პალესტინაში ქართველთა მოღვაწეობის მასშტაბზე თავისთავად ლაპარაკობს აკადემიკოს ნ. მარის მიერ მოყვანილი ზოგიერთი ციფრი. მეცნიერის თქმით, ქართველებს იერუსალიმსა და მის მიდამოებში ჰქონიათ 20-ზე მეტი ეკლესია და სასტუმრო სახლი, ხოლო ნაზარეთსა და ტიბერიადის ტბის

[4] თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკადემიკოს მარი ბროსესადმი, თბ., „მეცნიერება“ 1964, გვ. 37.

პირას დაახლოებით 40 ეკლესია (იგულისხმება მცირე სამლოცველოებიც) და სასტუმრო სახლი.

ქართველთა დედამონასტერი არც ევროპელ მოგზაურ პილიგრიმებს დარჩენიათ შეუმჩნეველი, განსაკუთრებით ჯვაროსნული ლაშქრობების დაწყების დროიდან. კერძოდ, 1103 წლით დათარიღებულ აღწერილობაში ვინმე ინგლისელი სიუღლფი მასზე წერს, როგორც „პატივდებულ და ლამაზ მონასტერზე, რომელიც ადრე ერეტიკოსებს (ე. ი. მუსულმანებს) დაუნგრევიათ“[5].

ახლა მოვუსმინოთ რუს ბერ დანიილს, რომელიც 1167 წელს იერუსალიმში ყოფნისას ამ მონასტერსაც სწვევია: „ეს ადგილი შემოზღუდულია ციხისებური გალავნით და მის შიგნით დგას წმინდა ჯვრის ეკლესია, ერთიანად მოხატული. მაღალ საკურთხეველს ქვემოთ არის წმინდა ხის გადანაჭერი, რომლის ნახვა შეიძლება თეთრი ქვის ფილებით დაფარულ იატაკში ამოჭრილი ხვრელიდან“[6].

ბერძენი ფოკასი (დაახლოებით 1185 წელი) და ვინმე ირლანდიელი კათოლიკე (1323 წელი) მოგვითხრობენ ჯვრის მონასტერში მცხოვრებ ბერებზე.

მონასტრის არაბული სახელწოდება ალ-მაცლაბა („ჯვრის დედა“) მოხსენიებულია 1350 წლის ლათინურ თხზულებაში, რომელშიც „წმინდა მიწაა“ აღწერილი[7].

თავისი არსებობის მანძილზე ჯვრის მონასტერმა მრავალი

[5] Anders Historische Beziehungen Grusiens zum Heiligen Lande: ZDPV, 11—12, 1889.

[6] Petrus der Iberer, Herausgegeben und übersetzt von R. Raabe, 1885.

[7] R. P. Blake. Catalogue des manuscrits Géorgiens de la bibliotèque Patriarcale Grecque à Jerusalem: ROC 23—25, 1922—1926.

განსაცდელი გამოიარა. განსაკუთრებით ტრაგიკული ამბები დაატყდა თავს XIII საუკუნის ბოლოს, როდესაც ეგვიპტის სულთანმა მალეხან-ნასერ ბენ ხალუინმა ქართველი ბერები მონასტრიდან გააძევა, მონასტერი მეჩეთად გადააქცია და სახელად დეირელ-მუსა-ლიბა უწოდა.

მუსულმანი ალუმარი, რომელსაც მამელუქებთან დიდი თანამდებობა ეკავა, ალტაცებით მოგვითხრობს ზვრებში და ზეთისხილისა და ბროწეულის ბაღებში ჩაფლულ მონასტერზე: „ადრე აქ მუსულმანური მეჩეთი მიზგითი იყო, მაგრამ ქართველთა მეფის მოთხოვნით მონასტერი ისევ ქართველებს დაუბრუნდათ, რამაც ისლამის იერუსალიმელი თავკაცების უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ მათ იმედი აქვთ, რომ მონასტერს კვლავ დაიბრუნებენ". ავტორი დასძენს: „ალაჰს ალთქმა მივეცი, ყველა ღონე ვიხმარო, რათა მონასტერი უკან დავიბრუნო. ალაჰია ამის მოწმე". თხრობას იგი ასე ამთავრებს: „ბერებმა მიამბეს, რომ ამ მონასტრის სახელზე მათ ქვეყანაში დიდძალ ქონებას სწირავენ... ძირითადად — იალაღებზე მიშვებული ცხენების რემას, რომლის გაყიდვის შემდეგ აღებული თანხა ყოველწლიურად ბერებს ეგზავნებათ. ეს თანხა კი ძალზედ დიდია"[8].

XV საუკუნის დამდეგს, იერუსალიმის მკვიდრი არაბი მოსამართლე მუჯერ-ა-დინი კიდევ ერთხელ გვიდასტურებს ქართველების შეუნელებელ მზრუნველობას მონასტრისადმი.

1305 წელს იერუსალიმში ჩავიდნენ ქართველთა მეფისა და ქალაქ კონსტანტინოპოლის წარგზავნილები, რომლებიც სულ-

---

[8] Н. Марр. Описание грузинских рукописей Синайского монастыря. Тб., 1940.

ტანს ეახლნენ და ქრისტიანებისათვის ეკლესიის დაბრუნება სთხოვეს[9].

XV საუკუნის სხვა წყაროს მიხედვით, ქართველი ბერების გარდა, მონასტერში რამდენიმე ქალიც ცხოვრობდა. ერთ-ერთი მოგზაურის თქმით, აქ წმინდანთა ნაწილებიც ინახებოდა.

XVI საუკუნეში მონასტრის სენაკებში ქართველების გარდა უკვე ბერძენი, სომეხი და სხვა ეროვნების ბერებიც ცხოვრობენ. კათოლიკეებსაც კი ჰქონიათ თავიანთი პატარა საკურთხეველი.

იერუსალიმელმა მუსლიმანებმა თურმე ჯვრის მონასტრის ისევ მიზგითად გადაქცევა მოიწადინეს და ქართველებს მისი უკან დაბრუნება მოსთხოვეს. იმის დასამტკიცებლად, რომ აქ ადრე მიზგითი იყო, ასახელებენ მონასტრის სამხრეთი კედლის ორ ნიშს — „მიჰრაბს", რომლებთანაც მუსულმანები ლოცულობდნენ. პრეტენზიის მეტი დამაჯერებლობისათვის ასახელებენ რაღაც ქვებს არაბული წარწერებით, აგრეთვე კარს, რომელზედაც თითქოს წარწერილი ყოფილა ყურანის შეგონებანი და რომელნიც ბერებს გადაუშლიათ. ყოველივე ამის დამადასტურებელი დოკუმენტები კონსტანტინეპოლში ინახებაო. როგორც ჩანს, მუსულმანების ცდა ამჯერად უნაყოფო გამომდგარა, მონასტერი კვლავაც ძველი პატრონის ხელში დარჩენილა.

XI.

[ყოველ შემთხვევაში] უდავო ფაქტია, რომ XVII საუკუნეში ჯვრის მონასტერში კვლავაც ქართველები იყვნენ. საყურადღებოა თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ 1643—44 წლებში სამეგრელოს მთავრის ლევან II დადიანის შემწეობით აქ აღდგენითი

---

[9] ივ. ჯავახიშვილი. სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. თბილისი, საქ. მეცნ. აკადემიის გამ-ბა, 1947.

და განსაახლებელი სამუშაოები ჩაუტარებია მონასტრის წინამძღვარს ნიკიფორეს. ამის დამადასტურებელი წარწერა ქართულ და ბერძნულ ენებზე დღემდე შემორჩენილია ტაძრის მთავარი კარების თავზე:

„აქ დაიხატა და განათდა (განახლდა) წმინდა ესე და ყოვლად პატიოსანი ტაძარი ჯვარისა ცხოველის-მყოფელისა ჯერჩინებითა დადიანისა ლეონისითა, ხელითა და ფრიად ჰირგანცდილებითა ყოვლად-უღირსისა ჯვარისა და წმინდისა გოლგოთისა მამისა ნიკიფორესითა ჩოლოყაის შეილის ომანისა ძისათა, მსასოებელსა და სარწმუნოსა ამის მონასტრისასა, რომელმან ნგუმბადი და წმიდა საკურთხეველი გავაკეთე, ჩემისა საფასითა, ქორონიკონსა ტკა. ამინ". 1643-44 წლ.

საქართველოს უაღრესი ძნელბედობის ხანებში ქართველი ბერების რიცხვი თანდათან მცირდება და ბოლოს მონასტერს ბერძნები დაეპატრონენ. ქართული სასულიერო კულტურის ამ უმნიშვნელოვანესი ძეგლის ისტორიას რომ ეხება, დოქტორი ხ. ვარდი აღნიშნავს:

„XIV-XV საუკუნისათვის ქართველებმა შექმნეს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სათვისტომო წმინდა მიწაზე. ეს მდგომარეობა მათ შეინარჩუნეს მამელუკთა ბატონობის დროსაც, რადგან მათთან კარგ ურთიერთობაში იყვნენ მამელუკთა დიდი ნაწილის კავკასიური წარმომავლობის გამო. გამოდიოდნენ რა ორთოდოქსალიზმის მთავარ წარმომადგენლებად და დამცველებად, ქართველებს აქ ეკავათ ცნობილი მონასტრები, მათ შორის ჯვრის მონასტერი, რომელიც ადმინისტრაციული და სასულიერო ცენტრი იყო. მონასტერი კარგად იყო მოწყობილი. იგი ფლობდა საკუთარ მამულებს როგორც პალესტინაში, ისევე, საქართველოში... მაგრამ XV საუკუნის დამლევიდან, განსაკუთრებით თურქთა მიერ 1517 წელს იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, ქართველთა პოზიცია პალესტინაში სუსტდება. იმდროინდელი საქართველო უკვე ცალკეულ სამთავროებად დაქუცმაცებული სახელმწიფო იყო და გაუთავებელი [illegible] კლებული. პოლიტიკურ დაცემულობას მოჰყვა ეკონომიკურიც და საქართველოს უკვე აღარ შესწევდა უნარი შეენახა თავისი სასულიერო ცენტრები უცხოეთში, ეგზავნა მოგზაურები და ბერები"[10].

მე-17 საუკუნეში მონასტერი შეისყიდა ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქმა დოსითეემ. ქართველები იძულებული იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ იმიტომ, რომ სხვა უკეთესი გამოსავალი არ დარჩენოდათ. სხვებს ისევ ერთმორწმუნე ბერძნები არჩიეს. მონასტრის ბედის ამგვარად გადაწყვეტა, ცხადია, უპირველეს ყოვლისა განაპირობა ფეოდალური შინააშლილობით აწეწილი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების დაცემულობამ, რასაც მოჰყვა ქართველთა პოლიტიკური და სულიერი გავლენის შესუსტება პალესტინაში. ასეთ ვითარებაში მონასტერს განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვებოდა ოტომანთა იმპერიის მესვეურთა მიერ დაწესებული, სულ უფრო მზარდი გადასახადები. მათი გადაუხდელობის შემთხვევაში მონასტერს ოსმალები კვლავ მუსულმანურ მეჩეთად გადააქცევდნენ, ამიტომაც ქართველებმა არჩიეს თავიანთი სასულიერო კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი ნაწილობრივ მაინც გადაერჩინათ ბერძნების მეშვეობით.

მართლაც, ჯვრის მონასტერი შემდეგ ხანებშიც იხსენიება

---

[10] ხ. ვ ა რ დ ი, „ისრაელის ქრისტიანული ახალი ამბები", ფრანგულ ენაზე, ტ. XI, № 1, 1960 წ. იერუსალიმი.

როგორც ქართული ძეგლი. ასე, მაგალითად, სერბიულ ენაზე 1662 წელს შედგენილ მანუსკრიპტში, რომელიც იერუსალიმის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება, კვლავ ლაპარაკია „პატივდებულ ჯვრის მონასტერზე“ და იმაზე, რომ იგი „იბერიულია“ და გამოირჩევა მეტად ლამაზი გუმბათით. ტაძრის „მარმარილოს იატაკი, — ვკითხულობთ ამ დოკუმენტში, — დამშვენებულია დიდებული მოზაიკით. ხოლო საკურთხევლის შიგნით, წმიდა ტრაპეზს ქვემოთ, არის ადგილი, სადაც მოიჭრა წმინდა ხე... და არის იქ აგრეთვე ხატი წმინდა მთავარ-ანგელოზისა“[11].

მე-18 საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში მცხოვრებ ერთ გერმანელ ფრანცისკანელ ბერს ლათინურ ენაზე შეუდგენია მოგონებები, რომელიც ამჟამად ვატიკანის ბიბლიოთეკაში ყოფილა შენახული. ბერის სიტყვებით, მის დროს მონასტერში ცხოვრობდა „რამდენიმე ქართველი და ბერძენი ბერი“[12]. ტექსტს ახლავს ჩანახატი, რომელზედაც გამოსახულია მონასტერი, იერუსალიმიდან ეინ-კარემისაკენ მიმავალი გზა, რომელსაც ორი მოგზაური შესდგომია. ნახატის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მონასტრის გარეგნული ხედი მას შემდეგ თითქმის არ შეცვლილა.

ცნობილი ტიშენდორფიც 1846 წელს წერდა: „აქ ცხოვრობს ოთხი ქართველი ბერი და მათი მომვლელი ერთი ხნიერი ქალი“.

რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების შემ-

[11] M. Tarkhnichvili. Le grand leclionnaire géorgien de l'église de Jerusalem, 1959.

[12] P. V. Gorbo. Cli Slavi di Khirbel siyar el-Chanam ei Monasleri dei Dinlorlini, Gerusalemme, 1955.

დეგ იყო რამდენიმე ცდა, მონასტერი თავის ადრინდელ პატრონებს დაბრუნებოდათ, მაგრამ უშედეგოდ.

თავიანთ ხელში მოქცეული მონასტერი ბერძნებმა გადააკეთეს, ქართული წარწერები წაშალეს, უნიკალური ძველი ფრესკები ბათქაშით დაფარეს და კედლების ერთი ნაწილი თავიდან მოხატეს. ყველაფერი ეს მიმართული იყო „წმინდა მიწაზე“ ბერძნების გავლენის გაძლიერებისაკენ.

უკეთესი ხვედრი საუკუნეების მანძილზე არც აქ დაგროვებულ ქართულ ხელნაწერებს რგებიათ. ისინი გადაიტანეს ბერძნული ეკლესიის საპატრიარქოში, ძველ იერუსალიმში, სადაც დღემდე ინახება. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გადატანის პროცესში და შემდგომაც ბევრი ხელნაწერი დაიკარგა.

მწერალი და დიპლომატი გიორგი ავალიშვილი თავის წიგნში, რომელიც დაწერა 1819—20 წლებში იერუსალიმში მოგზაურობის შედეგად, აღნიშნავს, რომ ბერძენთა მიტროპოლიტს წმინდა სინოდის სახელით, მისთვის უბოძებია მონასტერში დაცული ქართული წიგნები და ხელნაწერები. ავალიშვილს აქედან აურჩევია მხოლოდ 9 ხელნაწერი და რამდენიმე ნაბეჭდი წიგნი. იმაზე კი არაფერს წერს, თუ რატომ არ წამოიღო ესოდენ ძვირფასი საჩუქარი მთლიანად. მოგზაური არც შ. რუსთაველის ფრესკას ახსენებს[13].

ა. ცაგარელს მხოლოდ 138 წიგნი დახვედრია და მათი სიაც შეუდგენია. მეორედ ეს ხელნაწერი წიგნები აღწერა აკადემიკოსმა ნ. მარმაც, რომელიც მათში რაიმე ცნობას დიდი პოე-

[13] გ. ავალიშვილი. მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმში. თბ., გვ. 214—215.

ტის შესახებ არ წასწყდომია. შემდგომ გადარჩენილ ქართულ ხელნაწერთა რაოდენობა 180-მდე ავიდა.

1966 წლის მაისში საქართველოს ტელევიზიის წარმოგზავნილებმა ი. რურუამ, გ. პატარაიამ და გ. მელქაძემ დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ შეძლეს მიეღოთ ბერძნული ეკლესიის საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ნახვის ნებართვა ძველ იერუსალიმში. მათ ეს ხელნაწერები და წიგნები არასახარბიელო პირობებში დახვდათ.

იმავე ძველ იერუსალიმში, ამჟამად სომეხთა ხელში მყოფი იაკობის ტაძრის მონახულებისას მათ აჩვენეს პერგამენტზე გადაწერილი ქართული ხელნაწერების რამდენიმე დაფანტული ფურცელი, რომლებიც ბეჭდვური წიგნების დასაცავად იყო გამოყენებული, როგორც გარეკანი. ფირზე გადაღებული ამ 32 გვერდის გაცნობის შემდეგ პროფესორებმა ილია აბულაძემ და ელენე მეტრეველმა დაასკვნეს, რომ ხელნაწერების მეტი ნაწილი X-XI საუკუნეებისაა.

ისრაელში ჩვენი მუშაობის დროისათვის ჯვრის მონასტერში კიდევ იყო შემორჩენილი რამდენიმე ქართული წარწერა ტაძრის კედლებსა და სვეტებზე. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ტაძრის შუაგულში ძველებური მოზაიკით მოფენილი იატაკის ცენტრში დაჭედილი ლითონის დისკო ქართული წარწერით: „სდექით მტკიცედ და შეურყეველად". ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ხელის ნამოქმედარი თითქოს ეხმიანება რუსთაველის გმირულ მოწოდებას — „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა".

ჯვრის მონასტრის თავგადასავალი ჯერაც არ დასრულებულა, კვლავ გრძელდება. გავიხსენოთ კიდევ რამდენიმე ეპიზოდი მისი ბოლო ხანის ცხოვრებიდან:

აქ კარგა ხანს მოქმედებდა ბერძნების მიერ 1855 წელს დაარსებული სასულიერო სემინარია. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ბერძნები იძულებული გახდნენ, მონასტერი დაეხურათ და თავიანთი ბერები სხვაგან გადაეყვანათ. მოქმედად დარჩა მხოლოდ მთავარი ტაძარი, შემთხვევით შემორჩენილი პილიგრიმებისა და მლოცველების იმედით.

1948 წელს მონასტერში განალაგეს ისრაელის მხედრიონის ნაწილი, რომელსაც იგი მთელი 10 წლის მანძილზე ეკავა. ჩვენი იქ ყოფნის დროს მონასტერი მოუვლელ მდგომარეობაში იყო, ერთი ბერძენი მღვდლისა და რამდენიმე მომსახურე კაცის ამარა. აქ დროდადრო ტურისტები და მოგზაურები თუ შემოიხედავდნენ. მონასტრის კარებში შემოსულს პირველი ხვდებოდა ძველი, ტანმსხვილი ვაზი და მისი ლერწებით შეკრული საგრილობელი. ასეთს იერუსალიმის სხვა ტაძრებში არ შევხვედრივარ. ესეც, ალბათ, მისი ერთ-ერთი ქართული ნიშანია.

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი მე-40 | № 5 | მაისი, 1963 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


რუსთველოლოგია

პავლე ინგოროყვა

## რუსთველიანას ეპილოგი*

საუკუნეთა საიდუმლოების ამოხსნის

ახალი დადასტურება

ჩვენმა დიდმა მეცნიერმა პავლე ინგოროყვამ კი შეისწავლა, სხვათა შორის,

ნაწილი მეორე

### სამი ნარკვევი

I. ძეგლი შოთა რუსთველის ოჯახიდან. — შოთას ახლობელნი. — პოეტი ქალი ბორენა.

II. იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის მატიანენი და შოთა რუსთველის მოსახსენებელის თარიღი.

III. იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის მხატვრობა და შოთა რუსთველის ფრესკა.

და-ბოლოს წერს:



ა

### ჯვარის სამონასტრო მატიანეები — პირველდედნები.

ჯვარის სამონასტრო ხელნაწერები — პირველდედნები, დაწყებული მე-11 საუკუნის პირველი ნახევრიდან ვიდრე მე-17 საუკუნემდე, ოთხი არსებულა.

1. ჯვარის მთავარი საალაპე წიგნი, პირველი, რომელიც შეიცავდა ჯვარის ალაპებს, დაწყებული მე-11 საუკუნის პირველი ნახევრიდან ვიდრე მე-12 საუკუნის დასასრულამდე (1187 წლამდე): ეს პირველი მთავარი საალაპე წიგნი არ მოღწეულა. როგორც შემდეგი გამოკვლევის დროს იქნება დადგენილი, ეს პირველი მთავარი საალაპე წიგნი დაღუპულა მე-12 საუკუნის დასასრულს, 1187

[წლის შემდეგ, როდესაც იერუსალიმი დაიპყრეს მუსულმანებმა; ამ დროს მუსულმანებმა დახურეს ქრისტიანული მონასტრები, დატაცებულ იქმნა სამონასტრო ქონება, კერძოდ ხელნაწერები (რაც მაშინ დიდად ფასობდა); ამ დროს დაკარგულა ეს პირველი მთავარი საალაპე წიგნი ჯვარისა.

•

**2. ჯვარის მთავარი საალაპე წიგნი, მ ე ო რ ე.**

მას შემდეგ, რაც თამარ მეფის მოღვაწეობით ჯვარის მონასტერი დაიბრუნეს ქართველებმა მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე, ეს ახალი (მეორე) მთავარი საალაპე წიგნი გაუხსნიათ ჯვარის მონასტერში მე-13 საუკუნის დასაწყისში. ამ მთავარ საალაპე წიგნში ჩაწერილია ალაპები მე-13 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე მე-17 საუკუნემდე, ჩათვლით.

ეს მთავარი საალაპე წიგნი (მეორე), როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, დაცულია იერუსალიმის ჯვარის ხელნაწერში № 24—25. იგი აღმოაჩინა იერუსალიმის ჯვარის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაზე მუშაობის დროს 1920 წელს ნ. მარმა[1].

•

**3. ჯვარის სპეციალური საალაპე წიგნი „მოძრავი კალენდარის“ წრისა 1250—1305/0 წლებისა.**



4. თამარ მეფის „დ ა ღ ო ც ვ ა ნ ი ს ვ ი ნ ა ქ ს ა რ ს ა ზ ე დ ა“.

მეოთხე ძეგლი, ჯვარის სამონასტრე მატიანეთა შორის, რომელიც პირვანდელის სახით მოღწეულა, ეს არის თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს „დ ა ღ ო ც ვ ა ნ ი“, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი. იგი ჩაწერილია ჯვარის მონასტრის ხელნაწერ სვინაქსარში 1212 წელს (თამარის გარდაცვალების წელს), თამარის მემკვიდრის გიორგი-ლაშას ჯერჩინებით[1].



• • •

**იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის წინამძღვარნი**
**XI საუკუნიდან — XV საუკუნის დასაწყისამდე**

1. პროხორე (გიორგი-პროხორე I), ჯვარის აღმაშენებელი.
ჯვარის წინამძღვარი 1020/30-იანი წლებიდან 1060-იან წლებამდე.
გარდაიცვალა 1066 წელს.
2. გიორგი II
3. ლუკა I
4. მარტიანე I
5. გაბრიელ I სანატრელი
6. მარტიანე II
7. საბა I
8. სვმონ I
9. სვმონ II

(2—9:) 1060-იანი წლებიდან — XIII საუკუნის დასაწყისამდე.

• 10. გერმანოზ I XIII საუკუნის დასაწყისი — 1250/5 წ.
• 11. იოვანე I (მთავარეპისკოპოს ყოფილი) 1250/5—1271 წ.[1]
• 12. ლუკა II მუხაძს-ძე აბაშიძე 1271—1274 წ.[2]
• 13. სოლომონ I 1274—1310 წ.[3]
• 14. სვმონ III ელმელიქისძე 1310—1320-იანი წ.[4]
• 15. საბა II 1320/30-იანი—1350 წ.[5]
• 16. იოსებ I ქერიმადინისშვილი 1350—1395 წ.[6]
• 17. ქერაბინ I 1395—1400 წ.[7]
• 18. პიმენ I (მაწყვერელ მთავარეპისკოპოს ყოფილი) 1400—1410 წ.[8]
• 19. იოვანე II 1410/20-იანი წლები[9]. ]

### საქართველოს მეფენი, მოხსენებულნი ჯვარის მატიანეებში.

გავეცნოთ ამის შემდეგ სიას საქართველოს მეფეებისა (და მათი ოჯახის წევრთა), რომელნიც მოიხსენებიან ჯვარის სამონასტრო მატიანეებში.

1. თამარ მეფე. მოიხსენება 1212 წელს (გარდაცვალების შემდეგ, თამარის დალოცვათა წიგნში).

2. გიორგი IV (ლაშა) 1212—1222 წ.
(ჯვარის აღაპები №№ 284/280, შენ., 280/276; თამარის დალოცვათა წიგნი 1212 წლისა)

3. რუსუდან 1222—1242 წ.
(ჯვარის სულთა მატიანე I, გვ. XVIII, IVს).

4. დავით VI რუსუდანის ძე 1247—1293 წ.
(ჯვარის აღაპთა მოკლე ნუსხა T—16/M—11).

5. დავით VII გიორგი-ლაშას ძე 1247—1270 წ.
(ჯვარის აღაპთა მოკლე ნუსხა T—12/M—8).

6. დიმიტრი II თავდადებული 1271—1289 წ.
(ჯვარის აღაპები №№ 42/40, 202/220; ჯვარის სულთა მატიანე I, გვ. VIII, V ს).

6-ა ნათელ დედოფალი, მეუღლე დიმიტრი II თავდადებულისა, მონაზონობაში ნინიმე (ჯვარის აღაპთა მოკლე ნუსხა T—69/M—48).

7. დავით VIII 1293—1312 წ.
(ჯვარის აღაპი № 295/288).

8. ვახტანგ III 1298—1309 წ.
(ჯვარის აღაპი № 206/203).

8-ა. დედოფალი რიფსიმე (მონაზონობის სახელით). მეუღლე ყოფილი ვახტანგ III-ისა.
(ჯვარის აღაპი № 206/203).

9. კონსტანტინე დავით VI-ის ძე, მეფე დასავლეთ საქართველოისა 1293—1327 წ.
(ჯვარის აღაპი № 239/235).

10. გიორგი ბრწყინვალე 1299 წ., 1314—1346 წ.
(ჯვარის აღაპები №№ 48/46, 26/25, 126/124, 149/147, 258/254;
ჯვარის აღაპთა მოკლე ნუსხა T—28/M—20, T—69/M—48).

11. დავით IX 1346—1360 წ.
(ჯვარის აღაპები №№ 7/6, 195/193, 196/194, 286/280ს).

12. ბაგრატ V დიდი 1360—1393 წ.
(ჯვარის აღაპები №№ 17/16, 254/250, 296/289).

13. გიორგი VII 1393—1407 წ.
(ჯვარის აღაპები №№ 212/214, 15/14).

13-ა. ულუმპია (ასული ბაგრატ V-ისა, და გიორგი VII-ისა)
(ჯვარის აღაპი № 239/235).

როგორც ვხედავთ წარმოდგენილი სიიდან, ჯვარის სამონასტრო მატიანეებში მოიხსენება საქართველოს ყველა მეფეები XIII საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული ვიდრე XV საუკუნის დასაწყისამდე (თამარ მეფის გარდაცვალებიდან ვიდრე გიორგი VII-მდე); ხოლო არ მოიხსენება საქართველოს არც ერთი მეფე XI—XII საუკუნეთა, მატიანეში არაა ჩაწერილი არც ერთი მოსახსენებელი საქართველოს მეფისა XIII საუკუნის დასაწყისამდე.

აქედან სრულიად ეჭვმიუტანელად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ჯვარის ჩვენ დრომდე გადარჩენილი მატიანეები დაუწყიათ XIII საუკუნის დასაწყისში.



III

## ჩვენ დრომდე არმოღწეული ჯვარის მთავარი სამონასტრო მატიანე (პირველი) დაღუპულა XII საუკუნის დასასრულს.

ზემოთ წარმოდგენილი მიმოხილვიდან ირკვევა შემდეგი:

1. ჩვენ დრომდე მოღწეული ჯვარის მთავარი სამონასტრო მატიანე (საალაპე წიგნი), რიგის მიხედვით მეორე ყოფილა, იგი იწყება მე-13 საუკუნის დასაწყისიდან.

2. პირველი მთავარი სამონასტრო მატიანე — (საალაპე წიგნი, რომელიც შეიცავდა მე-11—12 საუკუნეთა აღაპებს) დაკარგულია.

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი მე-40 № 6 ივნისი, 1963 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო


## რუსთველოლოგია

პავლე ინგოროყვა

# რუსთველიანას ეპილოგი*

საუკუნეთა საიდუმლოების ამოხსნის

ახალი დადასტურება

ნარკვევი მეორე

## იერუსალიმის ჯვარის ქართული სავანის მატიანენი და შოთა რუსთველის მოსახსენებლის თარიღი.

ნაწილი მეორე

## მოგზაურობა XIII—XIV საუკუნეებში ჯვარის მატიანეების მოსახსენებელთა მიხედვით. ვინ — ვინ იყო.

მიმოხილვის პირველ ნაწილში ჩვენ გაეარკვიეთ ჯვარის სამონასტრო მატიანეთა ქრონოლოგიის ზოგადი საკითხები. დადგენილია, რომ ჯვარის მოღწეული მატიანეები იწყება მე-13 საუკუნის დასაწყისიდან.

მიმოხილვის მეორე ნაწილში ჩვენ მოგვიხდება ხანგრძლივი მოგზაურობა XIII—XIV საუკუნეებში ჯვარის მატიანეების მოსახსენებელთა მიხედვით, რათა დავადგინოთ; ვინ — ვინ იყო, და ვისი მოსახსენებელი მატიანეში როდის იყო ჩაწერილი.

### I

### მოსახსენებელნი, ჩაწერილი ჯვარის მატიანეებში 1200 წლიდან — 1250 წლამდე

*

თამარ მეფის „დალოცვანი სვინაქსარსა ზედა“, განწესებული 1212 წელს.

თამარ მეფის ღვაწლი იერუსალიმის ქართულ სავანეთა წინაშე დიდი იყო.

მოსახსენებელთა XVII ჯგუფი.

95. მეფე დავით VIII

ალაპი, განწესებული მეფის დავით VIII-სათვის (№ 295/286), გადმოგვცემს:

15 აგვსტო.

„ამასვე დღესა წირვაჲ და ალაპი საუკუნოჲ დავით მეფეთა-მეფისაჲ და მეორედ აღმაშენებელისაჲ წმიდისა მონასტრისაჲ, რომელმან სარკინოზთაგან წარტყუენული მონასტერი და ეკლესიაჲ მიზეზთად შეცვალებელი ეკლესიადვე სალოცველად შეცვალა და კუალად აგო ნათესავსა ქართველთასა, რომლისა საუკუნოდ არს საჴსენებელი, და ვინცა არ გარდაიჴდიდეს, სამჴელი მიჰკადენ ღმერთმან საუკუნოდ".

დავით VIII-ის ღვაწლის შესახებ ჯვარის მონასტრის გამოხსნისა და განახლების („მეორედ აღშენების") საქმეში ჩვენ საუბარი გვექნება აგრეთვე მესამე ნარკვევში, როდესაც შევეხებით ჯვარის მონასტრის მხატვრობის ისტორიას.

ამავე მდივან-მწიგნობარს, რომელსაც ჩაუწერია მატიანეში დავით VIII-ის ზემოთ-მოყვანილი ალაპი, ჩაუწერია აგრეთვე ცხრა მოსახსენებელი, განწესებული შემდეგ პირთათვის:



96. სარგის ჯაყელი ათაბაგი (ალაპი № 249/244); განწესებულია მისი მეუღლის თეკლას მიერ).

96-ბ. სარგის ჯაყელი ათაბაგი (მეორე ალაპი, № 246/242), აგრეთვე განწესებული მისი მეუღლის თეკლას მიერ); 97. ბექა მანდატურთ-უხუცესი (ალაპი № 246-ა/242ა); გაგრძელება ზემოთ-დასახელებული ალაპისა № 246/242).

98. შაჰანშაჲს შვილი არდაშერი (ალაპი № 240/236).

99. დავით მანაწკერტელი (ალაპი № 298/291).

100. ბეშქენ ჰილაჲსძე (ალაპი № 113/110).

101—103. ჯოღედიანი ინასარისძე, მისი შვილი სადირ, და ღედა თეკლა (ალაპი № 175/174).

104. მიქაელ ქუაბისჯუარელი (ალაპი № 171/172);

105. მიქაელ ჯუარელი მონაზონი (ალაპი № 160/158);

106. ათანასე ჯუარელი მოძღუარი (ალაპი № 169/167).

ამრიგად, ყველა ეს ალაპი შეტანილია მატიანეში 1305—1314 წლებს შორის.



მოსახსენებელთა XVIII ჯგუფი.

მოსახსენებელთა XVIII ჯგუფი შეიცავს 6 ალაპს, რომლებიც შეტანილია მთავარ მატიანეში. ყველა ისინი ჩაწერილია ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ 1305—1314 წლებს შორის.

107. მეფე ვახტანგ III.

ალაპი, განწესებული ვახტანგ III-ისათვის (№ 206/203) გადმოგვცემს:

25 მარტი.

„ამასვე დღესა ღირებულსა ხარებისასა ალაპი და პანაშჳდი, და რაჲზომიცა მლოცველი და ღირსყოფილი იყოს მეფეთა-მეფისა ვახტანგისთჳს და მეუღლისა მისისა რიფსიმესთჳს (შემონაზონებულისა) შეიმოსნენ... მას ჟამსა ოდეს ჯუარისა მონასტერი 26 წელსა სპარსთა წაელო, მაშინ რჲაჲ თავი ლაშრი და ათასი თეთრი ჩუენ მაჰამან სოლომონ და სჳმეონ მოვაქმარეთ მონასტერსა..."

მეფე ვახტანგ III-ის ამ ალაპს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ იგი იძლევა საშუალებას დაზუსტდეს თარიღი, სახელდობრ რომელ წელს მოხდა ჯვარის მონასტრის დაჭერა მუსულმანთა მიერ XIII საუკუნის მეორე ნახევარში.

**მოსახსენებელთა XIX ჯგუფი.**

მოსახსენებელთა XIX ჯგუფი შეიცავს 8 აღაპს; ჩაწერილია ყველა ეს აღაპები ერთი მდივან-მწიგნობრის მიერ, რომლის ხელი, დამწერლობა, მეტად თავისებურია; ასევე თავისებურია მისი მართლწერა (კერძოდ იგი ქარაგმის ნიშანს ურთავს ყველა სიტყვას, როგორც შემოკლებულს, ისე შეუმოკლებელს).

ჩაწერილია ეს აღაპები მატიანეში 1305 წლის ახლო, თარიღი ირკვევა ქვემოთ-მოყვანილი აღაპიდან.

116—117. ინასარ ინასარისძე და მეუღლე აგუტი.

მათი აღაპი (№ 151/149) გადმოგვცემს:

7 იანვარი.

„ამასვე დღესა აღაპი არის ინასარ ინასარისძისაჲ და მისისა მეუღლისა აგუტისაჲ საუკუნოჲ. მას ჟამსა, ოდეს სოლტანმან ჯუარი მოგჳცა, ათასი დრამაჲ სორტ-ნოლი შემოგჳწირა...“

ამრიგად აღაპი განწესებულია 1305 წლის ახლო, ჯვარის განთავისუფლების შემდეგ.

ამის მიხედვით ირკვევა თარიღი დანარჩენი შვიდი აღაპისა, რომლებიც, როგორც მოვიხსენეთ, ჩაწერილია იმავე მდივან-მწიგნობრის მიერ.

ეს აღაპები ვანწესებულია შემდეგ პირთათვის:

118—119. ფირთოხ მაკარის ძე გარეჯანისძე და მისი მეუღლე ხათუთა, ბეშქენ ვარდანისძისა ასული (აღაპი № 140/138).

120. ვარდანისძე პაპა (აღაპი 187/185).

120-ა. მიქაელ ქუაბისჯუარელი (აღაპი № 311/306).

121. სადირ ლაშხაძსა-შვილი (აღაპი № 312/307).

122. ყონდო ჰახობისძე (აღაპი № 313/308).

123—127. გოშოსძენი მიცვალებულნი: ზაალი, ივანე, კეკე, ბეშქენ და სარგის (აღაპი № 307/302).

128. ზოსიმე თარგმანი (აღაპი № 183/181).



VIII

**შეჯამება**

ჩვენ დავასრულეთ ეს ხანგრძლივი მოგზაურობა მე—13-14 საუკუნეებში ჯვარის ქართული სავანის მატიანეების მიხედვით. ჩვენ ხშირად მოგვიხდა დეტალური განხილვა მთელი რიგი ისეთი საკითხებისა, რაც შეიძლება ვისმე წვრილმანებზე შეჩერებად ეჩვენოს, მაგრამ, როგორც აღვნიშნავდით, ჩვენს წინაშე ისეთი დიდი მნიშვნელობის პრობლემაა გადასაჭრელი, რომ არ შეიძლება ერთიც ერთი წვრილმანი, რასაც კავშირი აქვს ძირითად საკითხებთან, დარჩეს გაუხილველი და შეუმოწმებელი.



პოეტის სიტყვები რომ გავიმეოროთ, ჩვენ ხშირად ქალაქი საკითხთა გამო მოგვიხდა დაგვემუშავებინა ტონა მადანი, რომ მიგველო გრამები ოქროსი.

კერძოდ ძირითადი საკითხი, რაც ჩვენს წინაშე იდგა გასხსახილველად, თუ როდის არის ჩაწერილი ჯვარის მატიანეში მოსახსენებელი შოთა რუსთველისა, ყველა ასპექტში შემოწმების შემდეგ, საბოლოოდ გადაწყდა.

შოთას მოსახსენებელი, როგორც გამოირკვა, შემდეგ ქრონოლოგიურ რკალში არის მოქცეული: იგი ჩაწერილია მატიანეში არა უადრეს 1210-იანი წლებისა და არა უგვიანეს 1250 წლისა.

საკითხის ყოველმხრივი შემოწმების შემდეგ შესაძლო გახდა ამ სათარიღო რკალის კიდევ უფრო დაზუსტება. შოთას მოსახსენებელი ჩაწერილი ყოფილა ჯვარის მატიანეში 1240-იან წლებში, შოთას ღრმა მოხუცების ჟამს, ახტოსი ალავერდელი, რომელსაც თავისი ხელით ჩაუწერია შოთას მოსახსენებელი ჯვარის მატიანეში, მოღვაწეობს იერუსალიმში 1240-იან წლებში

ამას გარდა, სრულიად უდავოა ქრონოლოგიური კავშირი ჯვარის მატიანეში ჩაწერილი შოთას მოსახსენებელისა და ჯვარის მხატვრობაში წარმოდგენილი შოთას ფრესკისა. ისინი ეროდროულია. ხოლო ფრესკაზე შოთა წარმოდგენილია როგორც ღრმა მოხუცი, 80 წელს მიწევნილი.

ამასვე ეთანხმება აგრეთვე მესამე მაჩვენებელი, ის ისტორიული ფაქტი, რომ შოთა რუსთველი, ჰერეთის ბაგრატიონი, საქართველოს სახელმწიფოს ვაზირად მეჭურჭლეთ-უხუცესად იყო 1240-იან წლების მეორე ნახევარში (1245 1250).

შოთას ფრესკა და აქ დადგენილი სათარიღო მაჩვენებლები გვაძლევს საშუალებას შევამოწმოთ აგრეთვე შოთას დაბადების თარიღიც. რაკი შოთა 1240-იან წლების მეორე ნახევარში ღრმა მოხუცი, 80 წლამდე კოფილა მიწევნილი, იგი დაბადებულა 1160-იანი წლების მეორე ნახევარში.

ხოლო ეს საოცარი სიზუსტით ემთხვევა შოთას ცხოვრების იმ თარიღებს, რაც ადრე გვქონდა დადგენილი: [1166- -1250. შოთა რუსთველი დაიბადა 1160-იანი წლების მეორე ნახევარში, 1166 წლის ახლო, ხოლო გარდაიცვალა 1240-იანი წლების მეორე ნახევარში, 1250 წლის ახლო.]

შოთა თამარის თანამედროვეა. შოთა დაახლოებით ხუთი წლით უფროსია თამარზე.

ვეფხის-ტყაოსანი დაწერილია, როგორც დადგენილია აქვს რუსთველოლოგიაში, 1196 - 1207 წლებს შორის. ე. ი. შოთას ცხოვრების შუადღეზე, როდესაც შოთას მზე 40 წელს უახლოვდებოდა.[7]

ასეთია დასკვნები, რაც ჩვენ მივიღეთ წყაროების ყოველმხრივი შემოწმების შედეგად.

ეს სათარიღო მაჩვენებლები არის ურყევი კლდე, რომელსაც ამიერიდან ემყარება შოთა რუსთველისა და მისი უკვდავი პოემის ქრონოლოგია.

[ამიერიდან საბოლოოდ მოხსნილია და გაცამტვერებული ის ყალბი და უსუსური მოსაზრება, რომელიც ნიჰილისტთა წრეში წარმოიშვა, ვითომც ვეფხისტყაოსანი შესაძლოა მე-14 საუკუნეში ყოფილიყოს დაწერილი. მოსაზრება ანტი-ისტორიული, რომელსაც შოთას პოემა საქართველოს რენესანსის ეპოქიდან — საქართველოს დეკადანსის ხანაში გადაჰქონდა.]

საქართველოს რენესანსი XII--XIII საუკუნეთა და მზე ქართული პოეზიისა შოთა რუსთველი გასუვერენული არიან.

მზე დგას ზენიტში.

# მნათობი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი მე-40 № 6 ივნისი, 1963 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

 XII.

როგორც აღვნიშნე, პატივცემულო მსმენელებო, 1981 წლის 17-ცსა და 18-ც აგვისტოს დავათვალიერე "ჯვრის" მონასტერი" იერუსალიმში. დავათვალიერე რა ჩვენი კულტურის ეს ერთი ცენტრი უცხოეთში, მაგნეტოფონის ფირზე ჩავწერე მაშინ შემდეგი:

(ფ ი რ ი.......)

დღეს, 1981 წლის 18 აგვისტოს, უკვე დავამთავრე ჯვარის მონასტრის დათვალიერება, და ეს-ეს არის გამოვემშვიდობე ჯვარის მონასტრის ახალგაზრდა ბერს, ხელმძღვანელს, და ისევ იმ ადგილას ვარ, საიდანაც მივედი ჯვარის მონასტერთან. დღეს მე მქონდა ჯვარის მონასტრის ხელმძღვანელთან სულ ხუთი კითხვა: პირველი: თუ შეიძლებოდა ჩაწერა ჯვარის მონასტრის ზარების რეკვისა, რაზედაც მე მან უარი მითხრა და განმარტა და დაასაბუთა იმით, რომ, თითქოს, ისრაელის მართველობას არ მოსწონს, რომ ასეთ უდროვო დროს, ე.ი. დღეს არის, იყო ის დრო, როდესაც მას ვთხოვე, ცხრა საათი და ოცდაათი წუთი, ზარები დაიწყებს დარეკვასო; მე, რათქმა უნდა, მაინც ვთხოვე, მაგრამ ჩემი ეს პირველი თხოვნა ვერ დამიკმაყოფილა. მაგრამ დავაიმედე თავი იმით, რომ მე ჯვარის მონასტრის ზარების რეკვა უკვე ჩავწერე 1967 წლის იანვარში, როცა პირველად ვიყავი ჯვარის მონასტერში. მეორე ჩემი შეკითხვა იყო: თუ რა ბედი ეწვია ჯვარის მონასტრის ხეობას, ვინაიდან ეხლა ჯვარის მონასტერი შემოღობილია მეტად მცირე მიწით და გარშემო მდებარე ბაღები უკვე საზოგადოებრივი საკუთრება უნდა იყოს, ვინაიდან ბაღია მასში გაშენებული, და ეს ბაღი არის, ასე ვთქვათ, სასეირნო ბილიკებით მორთული და რწყავს ხოლმე ქალაქის მოსამსახურეები; მან ამ კითხვაზე პასუხი ვერ გამცა; შეიძლება, მანაც არ იცის თუ რა სიდიდის იყო ჯვარის მონასტრის ეს ბაღები და რა სიდიდისაა დღეს. მაგრამ მე როცა თხუთმეტი წლის წინათ დავათვალიერე ჯვარის მონასტერი, მაშინ ყველაფერი ერთიანი იყო, სხვათაშორის მოუვლელი. ჩემი მესამე კითხვა იყო: ბიბლიოთეკა, თუ სად არის ხელნაწერები, რომლებიც ჯვარის მონასტერში ინახებოდა. მან მითხრა, რომ ეს ყველაფერი ინახება ბერძნული საპატრიარქოს ბიბლიოთეკაში; ყველაფერი არის დანომრილი და რომ არავითარი საშიშროება მანუსკრიპტებს არ მოელის; ერთი სიტყვით, მან თქვა, რომ ყველაფერი კარგად არის მოვლილი, კატალოგი შედგენილია და რომ, როგორც ქართული საბჭოთა პრესა იტყობინება, თვით მიკროფილმებიც უკვე საქართველოშია. ასე რომ, ბიბლიოთეკას აწი, რამდენათაც ამის გათვალისწინება შეიძლება, საშიშროება არ მოელის და ქართული ხელნაწერები და სხვა ძვირფასეულობა უკვე შენახულია და მოვლილია. ჩემი შემდგომი კითხვა იყო ლისკოს შესახებ; ლისკო, როგორც მან მითხრა, აღებული არის და დამპირდა, რომ მაჩვენებს ლისკოს და მართლაც გაალო ძვირფასეულობის საკანი, სადაც ვი-

ცრინებში გამოწყობილია, ე.ი. შუშის უკან გამოწყობილია სხვადასხვა რელიქვიები, ე.ი. წმინდა საგნები, და მათშორის ეს დისკო, რომელიც დამპირდა მაჩვენებდა, არ აღმოჩნდა; მე უთხარი-სად არის ეს დისკო და რატომ აიღეთ მთავარი ეკლესიის ცენტრიდან; მან თქვა, რომ ეს დისკო ავიღეთ ჩვენ იმისათვის, რომ ხდება მთელი ეკლესიის რესტავრაცია, ე.ი. შეკეთება და როდესაც შეკეთება დამთავრდება დისკო ისევ დადგმული იქნება იმ ადგილას, ე.ი. დასვენებული იქნება იმ ადგილას, სადაც იყო. ამგვარად, ვიმედოვნებთ, რომ ეს დაპირება სინამდვილეს შეესაბამება და ეს დისკო, ქართული წარწერით, იქნება დასვენებული, სადაც იყო საუკუნეების განმავლობაში. შემდეგი შეკითხვა იყო კედლების ასე ვთქვათ აფხეკის შესახებ, რომელზედაც მან მე პასუხი ვერ გამცა; უნდა ვიგულისხმოთ, რომ ზოგიერთი მნიშვნელოვანი ადგილი უთუოდ დაზიანებულია ამ რემონტის შედეგათ. მაგრამ დავკმაყოფილდეთ ამჯერათ იმით, რომ შოთა რუსთაველის სახე-სურათი ხელუხლებელია; ის არის თავის ადგილას შენახული კარგად და, ვფიქრობთ, ეს ერთი ძვირფასი სურათი, ჩვენი ისტორიული წარსულისა, ასევე შენახული იქნება მომავალი თაობებისათვის. ერთი სიტყვით,

ვინ იცის                                        რა იყო კედლებზე დახატული და შემდეგ გადახატული ბერძნული სურათებით და ეხლა არცერთი ეს სურათი-ხატები უკვე აღარ ჩანს; დარჩენილია, როგორც ავღნიშნე, სამი ოთხკუთხოვანი სვეტი, რომლებიც აფხეკილი არ არის დაზღანაწილებში, და, ვიმედოვნებთ, რომ ეს დარჩება ასე. ერთროს, შესაძლებელი გახდება ამ ხატების-სურათების უკან მდებარე ქართული ხატებისა და სურათების გამიჯრა, ე.ი. გაწმენდა და ამით ჩვენი ისტორიული წარსულის ზოგიერთი თარიღების თუ მოვლენების გარკვევაც. შემდეგ ჯვარის მონასტრის მმართველმა ბერმა, ახალგაზრდა ბერძენმა მაჩვენა შოთა რუსთაველის ჭედური, რომელიც ჩამოტანილია უწმინდეს და უნეტარეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქს ილია მეორეს, რომელიც გასულ წელში (1980 წ.) ყოფილა აქ, იერუსალიმში, და უჩუქებია ჯვარის მონასტრისათვის; ეს ძვირფასი საჩუქარიც ამ ძვირფასეულობათა[63]        შენახული და ბერმა ეს აუხსნა, ჩვენთან ერთად მყოფ ორ ახალგაზრდა ბერს, რომლებიც ამერიკელებია და სტუმრად ყოფილან იერუსალიმში. ერთის სიტყვით, საბოლოოდ მსურს ვთქვა, რომ თხუთმეტი წლის განმავლობაში, რაც მე ეს ჯვარის მონასტერი არ მინახავს, ბევრი რამ შეცვლილა; შეცვლილია, როგორც ავღნიშნე, ჯვარის მონასტრის ხეობა, რომლის უდიდესი ნაწილი აღმოსავლეთით, დასავლეთით, სამხრეთით, ჩრდილოეთით-უკვე მონასტრის ფარგლებში აღარ არის; და მონასტრის ფარგლებშია მხოლოდ პატარა მიწის ნაჭერი, რომელიც შემოღობილია გალავანით, ე.ი. ღობერით და თვით ჯვარის მონასტრის გარე კედლები, რომელიც ეკუთვნის ჯვაროსნული ომების პერიოდს, უკვე შეკეთებულია და ეს კედლები, როგორც ჩანს შეკეთდა სრულიად ამ რამდენიმე წლის წინათ და შეკეთება მიმდინარეობს დღესაც,

თუმცა თვით მონასტრის

მოვლა-პატრონობა არ აკლია. მაგრამ ქართული სული მასში არ იგრძნობა, ვინაიდან არც იერუსალიმში, არც ივერიონის მონასტერში, ათონის მთაზე, და არც სხვაგან ქართველი ბერები, ქართველი სასულიერო პირები არსად არ ჩანან; სამწუხაროდ სამწუხაროდ. ჯვარის მონასტრის ბერმა მითხრა, რომ ორი სტუდენტი სწავლობს ათენის უნივერსიტეტის თეოლოგიურ ფაკულტეტზე, ე.ი. ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე და სახელიც მას ჩაწერილი აქვს. მან ისურვა, რომ ის სიამოვნებით ინახულებდა საქართველოს საპატრიარქოს, დაათვალიერებდა საქართველოს და ამით გაეცნობოდა ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას რელიგიის სფეროში.

მაგრამ ამის განხორციელება შესაძლებელია, ალბათ, მხოლოდ მაშინ თუ საქართველოს საპატრიარქო დაუკავშირდება საბერძნეთის, ე.ი. ბერძნულ საპატრიარქოს იერუსალიმში და მათი ურთიერთ კავშირი გახშირდება, გაძლიერდება არა მარტო მისვლა-მოსვლის სფეროში. აი ამით მსურს დავამთავრო ჩემი რეპორტაჟი ჯვარის მონასტრიდან, რომელიც მე ვინახულე 1981 წლის 17-სა და 18 აგვისტოს.

ლაპარაკობს დავით თაზორიძე იერუსალიმიდან, ჯვარის მონასტრიდან, რომლის აღმოსავლეთ ნაწილში ეხლა მე ვდგევარ და გადავცქერი ჩვენს ამ წმინდა ადგილს. ლაპარაკობს დავით თაზორიძე

---

სხვათა შორის, მეტად დიდი საქმეა ის ფაქტი, რომ - როგორც 1981 წლის ოქტომბრის გაზეთი "სამშობლო" გვაცნობს - კავშირები საქართველოს საპატრიარქოსა და იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოს შორის უკვე დამყარებულია. აი, რას წერს საქართველოს საპატრიარქოს მემატიანე - მიხეილ თარხნიშვილი - იერუსალიმის ბერძნული ეკლესიის პატრიარქის სტუმრობის შესახებ საქართველოში:

სამშობლო 1981 წლის ოქტომბერი, № 2.

# ორი პატრიარქის შეხვედრა

საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელის, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის ილია II მოწვევით, ა. წ. 17-20 სექტემბერს საქართველოში ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა მისი უნეტარესობა, წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქი დიოდოროს I (კარივალისი).

აღნიშნული ვიზიტის მიზანი იყო იერუსალიმის და საქართველოს ეკლესიათა შორის ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში დაწყებული კონტაქტების აღდგენა.

ვიზიტის დღეებში დიოდოროს I და მისი თანხმლები პირები დაესწრნენ თბილისის ტაძრებში ჩატარებულ ლიტურღიას, მაღალი შეფასება მისცეს ქართულ საეკლესიო გალობას, რომელმაც წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა მათზე.

კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული უძველესი ქართული ხელნაწერების გაცნობისას პატრიარქმა დიოდოროს I აღუთქვა ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ელენე მეტრეველს, რომ მოაწვდის იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დღემდე უცნობი ქართული ხელნაწერების მიკროფილმებს, რაც მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება ქართული კულტურისათვის. სტუმრებმა მოინახულეს აგრეთვე საქართველოს ისტორიის და ხელოვნების მუზეუმების საგანძურები და დედაქალაქის სხვა ღირსშესანიშნაობანი.

18 სექტემბერს ილია II თავის რეზიდენციაში მიიღო დიოდოროს I. საუბრის დროს ხაზი გაესვა საუკუნეთა მანძილზე პალესტინაში მოღვაწე ქართველ მამათა განუზომელ ამაგს. განსაკუთრებით აღინიშნა მეხუთე საუკუნის იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტერზე მისი აღმაშენებლის, დიდი ფილოსოფოსისა და ღვთისმეტყველის პეტრე იბერის — იგივე ფსევდო დიონისე არეოპაგელის დიდი ღვაწლი; ისაუბრეს ამავე მონასტრის გამამშვენიერებლის, გენიალური შოთა რუსთაველის შესახებ. იმავე საღამოს საპატიო სტუმართა პატივსაცემად რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა ქართული ფოლკლორული ანსამბლის კონცერტი.

საქართველოში ყოფნისას დიოდოროს I მიიღო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულმა საქართველოს სს რესპუბლიკაში გივი მაისურაძემ და საუბარი ჰქონდა მასთან.

19 სექტემბერს სიონის საპატრიარქო ტაძარში ორმა პატრიარქმა აღასრულა მწუხრისა და ცისკრის ლოცვა, ხოლო მეორე დღეს, სვეტიცხოვლის კათედრალურ ტაძარში შედგა ერთობლივი ლიტურღია. წირვის დასასრულს პატრიარქებმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს, რომლის შემდეგომ ილია II საქართველოს ეკლესიის უმაღლესი ჯილდო — წმ. გიორგის I ხარისხის ორდენი გადასცა დიოდოროს I.

იმავე დღეს წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქის დიოდოროს I და მის თანმხლებ პირთა პატივსაცემად საქართველოს სამოციქულო ეკლესიის წმიდა სინოდმა გამართა დარბაზობა.

20 სექტემბერს საპატიო სტუმრები სამშობლოში გაემგზავრნენ.

**მიხეილ თარხნიშვილი,**
საქართველოს საპატრიარქოს მემატიანე.

ვიმედოვნებთ, რომ ეს კავშირები იერუსალიმის საპატრიარქოსა და საქართველოს ეკლესიას შორის კიდევ უფრო გაფართოვდება და განმტკიცდება, და - ვინ იცის! - , შეიძლება ერთ დროს "ჯვარის" მონასტერი ისევ მოექცეს,სულ ცოტა, საქართველოს საპატრიარქოს თანა-უფლებამოსილების ქვეშ იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოსთან ერთად.

# ჯვარი ვაზისა

## ႵႰႨႱႲႤ ႠႶႱႣႢႠ

## III

საქართველოს საპატრიარქო

თბილისი—1980

დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის,
ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტის
ილია II ლოცვა-კურთხევით



# ჯვარი ვაზისა

დღეს გაგაცნობთ ამონაწერებს ვრცელი ნარკვევიდან ქართველთა ჯვარის მონასტრის შესახებ იერუსალიმში, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს საპატრიარქოს ორგანოში "ჯვარი ვაზისა" 1980 წლისა. ამ ნარკვევის დასაწყისში მოყვანილია ამონაწერი პალესტინის პატრიარქის დოსითეოსის 1706 წლის ივლისში გამოგზავნილ ეპისტოლედან საქართველოს მეფე ვახტანგ VI-სადმი, რომელშიც ნათქვამია:

# ქართველთა ჯვრის მონასტერი იერუსალიმში

— ჩვენ არა თუ არ მოვითხოვთ რაიმე საფასურს ივერიელებისაგან (ქართველებისაგან), არამედ ვუბრუნებთ მათ როგორც წმიდა ჯვრის მონასტერს, აგრეთვე სხვებსაც: წმ. ნიკოლოზის, წმ. თევდორეს, წმ. ბასილის, წმ. ანასა და ებრაულ წმ. გიორგის (იგულისხმება წმ. გიორგის ქართველთა მონასტერი, რომელიც დგას იერუსალიმის ებრაულ ნაწილში, — „მონასტერი წმიდისა გიორგისი ურიათ უბანში დადიანთა აღშენებული" — ე. გ.), ვალებგადახდილს და ყოველგვარ მიმართებათ თავისუფალს, და არც ჩვენ თვითონ და არც ჩვენს შემდეგ წმიდა ქალაქ იერუსალიმის უწმიდესი პატრიარქები, არც ყოვლადწმიდა საფლავის მამები და მოსაყდრეები არ მოითხოვენ ივერიელებისაგან არავითარ ფულს, არც დიდს და არც მცირეს... და იყოს თავისუფალი მათი მონასტრები ყოველგვარი მაძიებლობით, ყოველგვარი ვალებისა და თავმომაბეზრებელი, აბეზარი საქმეებისაგან და, იყონ მათი ნამდვილი და სრული ბატონ-პატრონები ღვთისმოყვარე ივერიელები. ხოლო როცა ღმერთი ინებებს და ივერიიდან მოვა იღუმენი, მაშინ მან ძველებურად აიღოს თავის ხელში ძალაუფლება ყველა მონასტერზე", — ვკითხულობთ ქალაქ იერუსლიმის და სრულიად პალესტინის პატრიარქის დოსითეოსის 1706 წლის ივლისში გამოგზავნილ ეპისტოლეში საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ისადმი.

მე-18 საუკუნის დასაწყისში, დიდი ხარჯითა, საჩუქრითა და „სიგლითა მტკიცითა", „ღვთის მოყვარე ივერიელებმა" მთლიანად გადაიხადეს ვალი და კვლავ დაიბრუნეს ჯვრის მონასტერი, ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი" და სხვანი მონასტერნი ქართველთა". მაგრამ ეს იყო იურიდიული აქტი, რომელსაც პრაქტიკული განხორციელება არ ღირსებია.

• • •

დიდი და სასახელო ისტორია აქვს ქართველთა კოლონიას პალესტინაში.

იბერიელთა მონასტრების არსებობა იერუსალიმში შემთხვევითი როდია. იგი გაპირობებული იყო სახელმწიფოებრივი და სარწმუნოებრივი მოთხოვნილებებით. როგორც წერილობითი წყაროები, საისტორიო საბუთები, დღევანდლამდე შემორჩენილი მატერიალური ძეგლები და არქეოლოგიური გათხრების მასალები მეცნიერულად ადასტურებენ, ქართველთა სამონასტრო კოლონიზაცია პალესტინაში ჯერ კიდევ მე-4 საუკუნის მიწურულიდან დაწყებულა. მე-5 საუკუნის დასაწყისში ქართველებს უკვე თავიანთი ეკლესიები ჰქონიათ. საბა განწმედილი (იგი გარდაიცვალა 532 წელს) თავის „ანდერძში“ მიუთითებს, რომ იბერიელებს (ე. ი. ქართველებს) და ასურელებს, „თავიანთ ეკლესიებში შეკრებილთ, ნება ეძლევათ წარმოსთქვან ჟამნი და სამხრისანი, წარიკითხონ სამოციქულო და სახარება თავიანთ დედაენაზე“.

მარტო ის ისტორიული ფაქტი რად ღირს, რომ მე-5 საუკუნის პირველ ნახევარში აქ მოღვაწეობდა ქართლის მეფის დიდი ბაკურის შვილი — პეტრე (ერობაში მურვანი) იბერი (411–491). იგი ბერად 429 წელს აღიკვეცა. მეცნიერულად ისიც ცნობილია, რომ მან მოიარა „ყოველი უდაბნონი“ ეგვიპტისა, „კვალად მოიქცა“ პალესტინაში და იორდანიაში აღაშენა „ადგილსა უდაბნოსა მონასტერი“, ააგო იერუსალიმში „ქალაქსა შინა სახლი სასტუმრო“ და აქვე იწყო „შენებად ეკლესიისა“. ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრების დროს მისმა ხელმძღვანელმა ვირჯილიო კორბომ აღმოაჩინა პეტრეს მიერ აგებულ ეკლესიაში ქართული წარწერება მოზაიკით და სხვ. შესანიშნავი სათავსოები...

დიახ, მსოფლიო ცივილიზაციის ცენტრში, მე-V საუკუნიდან აქტიურ კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობაში, სხვა ქართველთა შორის ჩაბმულია ეპისკოპოსი პეტრე ქართველი — ამჟამად მსოფლიოში აღიარებული მოაზროვნე, — ავტორი არეოპაგიტიკული წიგნებისა, საუკუნეების მანძილზე ფსევდო დიონისედ ცნობილი (იხ. შ. ნუცუბიძის და ე. ჰონიგმანის შრომები).

შემდგომ პერიოდში ქართველი ხალხის მასიური ლტოლვა იმანაც განაპირობა, რომ ბაგრატიონთა გვარის მეფეები თავიანთ თავს ღვთაებრივ ჩამომავლებად, დავით წინასწარმეტყველის განშტოებად სთვლიდნენ, დავითისა, რომლისაგან წარმოიშვა ღვთისმშობელი და ძე მისი იესო ქრისტე. შემთხვევითი როდია, რომ ისინი თავიანთ სიგელ-გუჯრებს ასე იწყებდნენ: „შეწევნითა და ბრძანებითა ღმრთისათა ჩვენ იესიან დავითიან სოლომონიან პანკრატონიანნი“-ო (იგულისხმებოდა ბიბლიური დავით მეფე, მისი მამა იესე და დავითის შვილი სოლომონი). ამიტომ საქართველოს პატრონნი თავიანთ მონოდებად, სახელმწიფოებრივ მოვალეობად სთვლიდ-

ნენ, თავიანთი თავი წარმოედგინათ ქრისტიანულ სამყაროს მფარველად და მპრძანებლად. ამან განაპირობა ისიც, რომ ისტორიის მთელ მანძილზე ქართველთა ბრძოლა ახლო აღმოსავლეთში მუსლიმან დამპყრობთა წინააღმდეგ, საბოლოო ანგარიშით, იყო ბრძოლა ორ სარწმუნოებას შორის.

— —

ბიზანტიის კეისარი კონსტანტინე პორფიროგენეტი (912—959) მიუთითებდა რა ქართველი ბაგრატიონების ყოვლადწმიდა ღვთისმშობლიდან წარმომავლობაზე წერდა: „რადგან ისინი... იერუსალიმიდან შთამომავლობენ და რადგან დიდი რწმენა აქვთ მათი და ჩვენი უფლის იესო ქრისტეს საფლავისა, ისინი განსაზღვრულ ხანებში უხვად უგზავნიან ფულს წმიდა ქალაქის პატრიარქს და იქაურ ქრისტიანებს". ეს ცნობა იმას მიუთითებს, რომ იერუსალიმში კონსტანტინემდე დიდი ხნით ადრე არსებობდნენ იბერიელთა მონასტრები („გეორგიკა", IV, ნაწ. II, თბ., 1952, გვ. 258), და ეს ისტორიული სინამდვილეა. ქართულ წერილობით წყაროებს რომ დავეხსნათ, ჯერ კიდევ კონსტანტინეზე სამი საუკუნით ადრე ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი (VI საუკუნე) თხზულებაში „შენდობათათვის" წერდა, რომ: იერუსალიმში იუსტინიანე დიდმა (527—565) განაახლა მონასტრები „წმიდა თალელესი, წმიდა გრიგოლისა... იბერთა მონასტერი იერუსალიმში, ლაზთა (ასევე ქართულია — ვ. გ.) მონასტერი იერუსალიმის უდაბნოში" და სხვ. („გეორგიკა", II, გვ. 192).

ქრისტიანული კულტურის კერებისადმი ქართველთა განსაკუთრებული ყურადღება იგრძნობა საქართველოს აყვავების ხანაში — IX—XII საუკუნეებში. ეს უპირველესად ითქმის დავით აღმაშენებელზე, რომელმაც „განამდიდრნა" მონასტერი არა მარტო თავის ქვეყანაში, „არამედ საბერძნეთისნიცა, მთაწმიდისა და ბულღარეთისანი, აღავსნა კეთილითა, უფროსღა საფლავი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, და მყოფნი იერუსალიმისანი" („ქართლის ცხოვრება", I, გვ. 352—353).

თამარ მეფე თავისი ღირსეული წინაპრების მსგავსად, დიდ დახმარებას უწევდა ეკლესია-მონასტრებს, განსაკუთრებით კი იერუსალიმის სავანეებს. — „ხოლო იერუსალიმისათვის რაღღა სახმარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდეს ამათ ყოველთა შინა ეკლესიათა ბარძიმფეშხუმებსა და სიწმიდეთა საბურველს და მონოზონთა და გლახაკთა ოქროთა აურაცხელთა", — გადმოგვცემს „ქართლის ცხოვრება". თამარმან ქველი საქმითა და უხვი მოწყალებით, აგრეთვე აავსო ქართველთა ეკლესია-მონასტრები ელადის, მთაწმიდის, მაკედონიის, თრაკიის, კონსტანტინეპოლის, შავი მთის, კვიპროსის და სხვათა. იგი იწვევდა წმიდა ადგილებიდან ბერებს, შეიწყნარებდა და პატივს ცემდა ჩვეულებისამებრ და გასცემდა ყველას დიად და აღავსებდა ყოვლითა სახმრითა. აღსანიშნავია, ისიც, რომ თამარმა, ბასიანის ომის შემდეგ, ზავი დაამყარა დამასკოს სულთნებთან (რომლებიც ყოველთვის ავიწროებდნენ და სტანჯავდნენ წმიდა ადგილებში სალოცავად მიმავალ ქრისტიანებს), რის საფუძველზეც აეკრძალათ მათ ქრისტიანთა დევნა-წვალება.

ამავე ხელშეკრულებით ქართველებს სრული უფლება მიეცათ ცხენზე ამხედრებულნი, თავიანთი დროშით (ყოველგვარი გადასახადის გარეშე) შესულიყვნენ იერუსალიმში (მაშინ, როცა ყველა შესვლაზე რომაელი იხდიდა 14 გროშს (პიასტრს); ბერძენი — 6, ხოლო თვით არაბ ეგვიპტელნი — 3 გროშს). თამარისავე თხოვნით სულთანმა სალადინმა, ქრისტიანებს დაუბრუნა ის ჯვარი, რომელზედაც მიმსჭვალული იყო ქრისტე (ამ ჯვარის დასახსნელად თამარმა გადაუხადა 200.000 დინარი).

ქართულმა ეკლესიამ თამარი წმიდანად შერაცხა და მას მოიხსენიებდნენ ყველგან. მისი პატივისცემის ნიშნად, ჯვრის მონასტერსაც თამარის ხსენება დაუწესებია, მაგრამ მოსახსენებელი საერთო სვინაქსარში კი არ შეუტანიათ, არამედ მისთვის საკუთარი სვინაქსარი განუჩენიათ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს, მაშინაც კი, როცა აწიოკებული და დაპყრობილი იყო მტერთაგან, არასოდეს მიუტოვებია უყურადღებოდ იერუსალიმის წმიდა ადგილები, — მთელი ერი — მეფენი და მისი ახლობელნი, კათალიკოსები და მათი მრევლი, თავადნი და აზნაურნი, დარბაისელნი და გლეხნი" დიდთა და ცოტათა" თავიანთი შეწირულებით ყოველთვის ათავისუფლებდნენ ტყვეობისაგან თავიანთ კულტურის კერებს. ამ მიმართებით მრავალზე-მრავალი დოკუმენტია შემონახული, რომელთაგან თავიანთი მნიშვნელობით მეტად საყურადღებო ცნობებს იძლევიან (სწორედ ყველაზე ავბედობის პერიოდში) ჩვენს მიერ წერილის დასაწყისში მოხსენებული პალესტინის ბერძენთა პატრიარქის დოსითეოსის ეპისტოლენი ქართველი მეფეებისადმი (ერეკლე I, ვახტანგ VI და რუსეთში არჩილისადმი). აი, რას სწერს 1682 წლის 23 სექტემბერს დოსითეოსი არჩილს: „შენმა მშობლებმა ცალკ-ცალკე უხვი, მრავალფეროვანი და ძვირფასი დახმარება გაუწიეს უწმიდეს და უპატიოსნეს მაცხოვრის საფლავს... შენს ძმებს და დებს, სიძეებსა და ბიძაშვილებს სურვილი აქვთ წმიდა და პატიოსანი ჯვრის მონასტრისა და სხვების, რომლებიც იერუსალიმშია, დახსნა... დღე და ღამ ვტირი ივერიის ხალხისათვის, რადგან დამხობილია ივერიის დედაქალაქი და მასში მყოფი მართლმადიდებელი ქრისტიანები დაქვრივებულებივით არიან და დამორჩილებულნი მოთქმით გოდებენ, ნუგეში კი არსაითაა" („Посланиа иерусалимскаго патриарха Досифеиа в Грузии", Труды Киевской Духовной Академии („ქართული წყაროთმცოდნეობა", III, 1971 წ., გვ. 253).

ასევე საყურადღებოა გიორგი XI მიერ პატრიარქისადმი გაგზავნილი სიგელი („აქტი, სობრანნიე კავკაზსკოი არხეოგრაფიჩესკოი კომისიეიუ", (ტ. I, გვ. 26), სადაც ნათქვამია: „ჩვენც თქუენი ბრძანება გავათავეთ და რაც ვალი ჩვენს მონასტერს ემართა, სრულყველას გარდასაწყვეტლად მოგართვითო".

როგორც ვხედავთ, საუკუნეების მანძილზე, ქართველმა ხალხმა, გარდა ეროვნული და სარწმუნოებრივი დაცვის დროს ომებში გაღებული მსხვერპლისა, უდიდესი, შეიძლება ითქვას, აღუწერელი საგანძური და საფასური გაიღო წმიდა სამონასტრო კერების აღსაშენებლად, დასაცავად და ხშირად ტყვეობისაგან გამოსახსნე-

ლად. ეს ფაქტი კიდევ უფრო ნათელი გახდება მსოფლიო ხალხებისათვის მაშინ, როდესაც გამოქვეყნდება სხვადასხვა ქვეყნის, უპირველეს რიგში მეზობელი სახელმწიფოების არქივებში (განსაკუთრებით იერუსალიმისა და კონსტანტინეპოლის საპატრიარქოებში) დაცული წერილობითი წყაროები.

XIV

იერუსალიმში ოცამდე სავანე-მონასტერი არსებობდა „აღშენებულნი მეოთხე საუკუნიდან დაწყებული ვიდრე მე-18 საუკუნის დასრულებამდის ქართველ მეფეთა, მღვდელმთავართა, თავად-აზნაურთა და სრულიად კეთილმორწმუნე ქართველის ერისაგან, ვითარცა ძეგლნი (სახსოვარი ჩვენის ცხოველის სარწმუნოებისა და მართლმადიდებლობისა, ეროვნული ძლიერებისა და დიდებისა“ (პ. კონჭოშვილი, „მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ“, თბ., 1901 წ., გვ. V—VI).

ხელნაწერებით, მოგზაურთა ჩანაწერებით, მოსახსენებელი აღაპებითა და სხვა სახის საისტორიო წყაროებით მეცნიერულად დადასტურებულია, რომ პალესტინაში ქართველებს შემდეგი მონასტრები ჰქონიათ:

1. ჯვარი, — ქართველთა უდიდესი სავანე, კოლონიის ცენტრი, შესაკრებელად ქართველთათვის“ აღშენებული მეფე ბაგრატ კურაპალატისაგან. „რამეთუ პირველი ქრისტიანე ქმნილი მეფე საქართველოსა მირიან ხოსროიანი ნინოს მიერ წარმოვლენილ არს, მეფე კონსტანტინე უხილავს და იერუსალიმად მისრულ არს და ჯვარისა მონასტრის ადგილი მას უშოვნია... ხოლო ამასა შემდგომად სულიერი ვინმე მონოზონი შავთელი, სახელად პროხორე, მოსრულ არს მონასტერსა და ლავრასა წმიდისა საბასსა დაყუდებულა. და მეფესა საქართველოისასა ბაგრატ კურაპალატს საფასე დიდძალი წარმოუცემია. ღირსისა პროხორესათვის, რათამცა ჯვარის მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია ჯვრის მონასტერი შესაკრებლად ქართველთათვის (ტ. გაბაშვილი, მიმოსვლა, გვ. 77—78).

2. წმ. მოციქულთა, — აშენებული საქართველოს მეფის გიორგი I მიერ.

3. მამამთავრის აბრაამისა, — განახლებული გიორგი აბაშიძის მიერ.

4. წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული საქართველოს დედოფლის ელენეს მიერ.

5. წმ. იოანესი, — აშენებული სამცხის ათაბაგის მიერ.

6. წმ. ვასილისა, — აშენებული ამირანდო ამილახვრისა და თაქოს მიერ.

7. მეორე სავანე წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეების მიერ.

8. წმ. თედორესი, — აშენებული ბექან და ბაადურ ჩოლოყაშვილების მიერ.

9. წმ. თეკლასი, — აშენებული ქრისტეფორე ზედგენიძის მიერ.

10. წმ. გიორგისა (ურიათ უბანში), აშენებული თავად დადიანის მიერ.

11. დედათა მონასტერი პატივად მირქმისა უფლისა, — აშენებული რაჭის ერისთავის მიერ.

12. წმ. დიმიტრისა, — აშენებული შალვა ქსნის ერისთავის მიერ.

13. წმ. ქალწულ მოწამის ეკატერინას სახელობის ქართველ დედათა მონასტერი, — აშენებული ციციშვილებისა და მაჩაბლების მიერ.

14. ტაძარი ქრისტეს აღდგომისა გოლგოთაზე:

15. ტაძარი წინასწარმეტყველისა სამუელისა.

16. წმ. მოციქულისა და იაკობ ზებედესი (ჯვრის შემდეგ, „სიმდიდრითა და მშვენიერებით არც ერთი ეკლესია არ შეედრება მას").

17. ტაძარი მამისა საბა განწმედილისა (საბაწმიდა). „საბას ლავრა იყო უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს უძველესი საზღვარგარეთული ცენტრი ქართული კულტურისა და მწერლობისა, სადაც VIII—IX საუკუნეებში დუღდა ქართველების ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება" (კ. კეკელიძე).

18. სვიმეონ ღმრთის მიმრქმელისა.

19. წმ. იოანე ნათლისმცემლისა იორდანის ნაპირზე.

შემორჩენილი ცნობებით (ჯვრის მონასტრის ალაპებით, სინას მთის მატიანითა და იერუსალიმის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით) ჯვრის მონასტერში — ქართული კულტურის ამ დიდებულ სავანეში, სხვადასხვა დროს მოღვაწეობდნენ და ჯვარის მამათ, წინამძღვრებად მოიხსენებიან:

XI საუკუნეში — პროხორე, გიორგი.

XII საუკუნეში —

XIII საუკუნეში — ლუკა, მარტიანე, გაბრიელ სანატრელი, მარტიანე, საბა.

XIV საუკუნეში — სოლომონი, იოანე, სვიმონი (ელმელიქისძე), სვიმონი (ციდაშვილი), გერმანოზი, ქერაბინი, იოსები.

XV საუკუნეში — პიმენი, იოანე, ქრისტეფორე ზედგენიძე, დანიელ ნიქოზელი.

XVI საუკუნეში — ბეენა ჩოლოყაშვილი, იოკიმე, ბარნაბი, ეპიფანე, იოსებ არქიმანდრიტი.

XVII საუკუნეში — თეოდოსე რევიშვილი, ნეოფიტე, მაკარი, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, მარკოზი, გაბრიელი, იოსები, მელეტი.

XVIII საუკუნეში — პართენიოსი, 1739 წელს — გერასიმე (ელ. მეტრეველის „მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის", გვ. 36—40).

იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ისტორიული ტრადიციით და წერილობითი წყაროებით, როგორც აღვნიშნეთ, დაკავშირებულია საქართველოში ქრისტიანობის მიღების პერიოდთან (IV საუკუნე). ამჟამად, როგორც ჩვენთან, ისე უცხოეთში გავრცელებული ვერსიით

მის დაფუძნებას უკავშირებენ მირიან ქართლის მეფეს, რომელმაც შეიძინა ადგილი მონასტრისათვის და მანვე ააგო ეკლესია, რომელიც შემდეგ განავრცო და კეთილმოაწყო ვახტანგ გორგასალმა. მანვე ჩაასახლა იერუსალიმის ახლოს ქართველები მონასტრის დასაცავად (როგორც გადმოგვცემენ ამჟამადაც ცხოვრობენ უკვე გაარაბებული გურჯები" — „ან არაბნი იერუსალიმელი ქართველნი"). წერილობითი წყაროები გვაუწყებენ, რომ:

— „ხელმწიფეთა ვახტანგ და. ბაგრატ და დავით დავითიანთა, რომელთა აღაშენეს წმიდა ესე მონასტერი"; „კურთხეულიმც არს სული მამისა პროხორესი, რომელმან აღაშენა მონასტერი ესე სამლოცველოდ მეფეთა ბაგრატოვანთა"; — ესე წმიდა და ყოვლად პატიოსანი მონასტერი მეფეს დავითიანს ბაგრატს პალატს აღუშენებია, — იკითხება ჯვრის მონასტრის წმიდა ტრაპეზის მარცხნივ იატაკზე მარმარილოს ქვაზე. ზოგიერთი ცნობით ვახტანგის შემწეობით ტაძარი აუგია პეტრე იბერს. ყველა ერთხმად მიუთითებს, რომ ეს მონასტერი აგებულია იმ ხის ადგილზე, რომლისაგანაც გაკეთდა ჯვარი და რომელზედაც აცვეს (მიმსჭვალეს) ქრისტე.

ერთი კი უტყუარი ჭეშმარიტებაა, — დღევანდელი ჯვრის ქართველთა მონასტრის შენობა თავისი სამლოცველოებით, სენაკებით და ზღუდე-სიმაგრეებით (რომელიც არსებითად წარმოადგენს ციხე-ქალაქს 323 ოთახით) აშენებულია ქართველი მონოზონის პროხორეს (ერისკაცობაში გიორგის) მიერ XI საუკუნეში. „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი — პროხორე, სახელად ოდენ მღვდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომელთა შემძლებელ ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად „წმიდასა ამას ცხოველსამყოფლისა ჯუარისა ადგილსა", — ვკითხულობთ მონასტრის დამაარსებლის მინაწერს 1038 წლის ერთ

ხელნაწერზე. ჯვრის მონასტრის ამშენებლად პროხორე დასახელებულია „გიორგი ათონელის ცხოვრებაშიც". რადგან გიორგი ამ მონასტრის აგებამდე ჯვარელად იწოდებოდა, — „ბრძანებითა შჳსემოსილისა წმიდისა მამისა... გიორგი ჯვარელისაითა" (ა. ცაგარელი, პამიატნიკი, გვ. 186), — იგულისხმება, რომ სანამ ის ააგებდა ამ დიდებულ სავანეს, მანამდე ამ ადგილზე არსებობდა ჯვრის ეკლესია. ბუნებრივია, შემდგომ პერიოდშიც, ქართველთა დახმარებითა და შემოწირულებით, იზრდებოდა სავანეთა რიცხვი და შესაბამისად იცვლებოდა მონასტერიც, რომ არაფერი ვთქვათ, მიშენებაზე დაზიანების შედეგად, ან კიდევ მეჩეთად, საცხოვრებლად, სასულიერო სასწავლებლად, ზოგჯერ ციხე-სიმაგრედ გადაკეთება-გადმოკეთების შედეგად ცვლილებებზე.

ჯვრის მონასტერი იყო ქართული კულტურის მოღვაწეთა მიზიდვისა და სულიერი აღზრდის მთავარი კერა.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჯვრის მონასტერში არა მარტო პილიგრიმები მოდიოდნენ, არამედ ქართველებს აქვე მოქონდათ ძვირფასი ნეშთი საქართველოს დიდებული შვილებისა.

ამ ტაძართანაა დაკავშირებული დიდი ქართველი მოაზროვნე და მწერლის შოთა რუსთაველის (მეჭურჭლეთუხუცესის) სახელი. მან თავის უკანასკნელი დღეები გაატარა იერუსალიმში და იქვე — ჯვრის მონასტერში დაიდო სამუდამო სასუფეველი. ჯვრის კედელზე შოთას სურათი წარწერით და მისი ლვაწლის გამო ალაპის დაწესება დამაჯერებლად მეტყველებს, თუ რაოდენ დიდი და მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის, ყოველი ქართველისათვის ჯვრის მონასტერი (აქვეა გადმოსვენებული პეტრე იბერის და სხვ. ნეშთიც).

ძველად, ყველა იმ ხალხთა შორის, — წერს რ. ჟანენი თავის წიგნში „ქართველები იერუსალიმში“, — ქართველებს განსაკუთრებული უპირატესობა და დიდი გავლენა ჰქონდათ წმიდა ქალაქში და მათ ერთი უპირველესი ადგილი ეჭირათო“. ასეთი გამოთქმა უცხოელი პირისაგან სრულიად არ არის გადაჭარბებული. ამ უპირატესობაზე მიუთითებს არა ერთი ისტორიკოსი და მოგზაური. თვით მაშინაც კი, როცა ჯვარი დატყვევებული იყო, წმიდა ადგილებზე საქართველოდან ჩასულ მლოცველებს თავაზიანად ეპყრობოდნენ, — არაბი მოხელეები მათ იერუსალიმში მიაცილებდნენ ალეპოდან და უკან დააბრუნებდნენ ხოლმე, რომ გზაზე რაიმე ხიფათს არ გადაპყროდნენ. საინტერესო ცნობას გადმოგვცემს უცხოელი ეპისკოპოსი ჟაკ დე ვიტრიც (დამოწმებული აქვს რ. ჟანენს), იერუსალიმში ქართველების უფლებებზე. ეგვიპტელთა ბატონობის პერიოდშიც, მას შემდეგ, რაც ჯვაროსნებმა სამუდამოდ დაპკარგეს იერუსალიმი (1244), ასეთი ცნობებიც არსებობს: „ცხოვრობს აღმოსავლეთში ქრისტიანი ხალხი — ომის მოყვარული და ბრძოლებში გამოცდილი. მას ჰყავს უამრავი მებრძოლი. მეტად დაშინებული ჰყავს სარკინოზნი და თავდასხმების დროს დიდ ზარალს აყენებდნენ სპარსელებს, მიდიელებს და ასურელებს, რომელთა მოსაზღვრეთაც ცხოვრობს, ვინაიდან გარშემორტყმულია ურჯულოებით. მათ ეწოდებათ ქართველები... როდესაც ისინი მიდიან ქრისტეს საფლავის თაყვანისაცემად, წმიდა ქალაქში შედიან გაშლილი დროშებით, ბაჟის გადახდის გარეშე. რაც შეეხება სარკინოზებს, ისინი ვერ ბედავენ მათ შეწუხებას, რათა უკან დაბრუნებისას ქართველებმა ჯავრი არ იყარონ მათ მეზობლად მცხოვრებ სარკინოზებზე. ქართველები ძალზე აღშფოთებულნი არიან და ემუქრებიან ორადინუსს — დამასკოს პრინცს, იმის გამო, რომ მან განიზრახა იმათი სურვილის გარეშე იერუსალიმის კედლების დანგრევა“.

XV.

როცა იერუსალიმი ბაპიდების დინასტიის მამლუქი სულთნების ხელში გადავიდა და ქართველთა ჯვრის მონასტერი „დაატყვევეს“ და მიზგიდად გადააკეთეს (1273 წ.), — როდესაც იერუსალიმის ქართველთა კოლონიას განსაკუთრებული მძიმე გასაჭირი, ტრაგიკული დრო დაუდგა, მაშინ მთელი საქართველოს წინაშე დადგა საკითხი, რადაც არ უნდა დასჯდომოდათ, შეენარჩუნებიათ თავიანთი უფლებები ქართველთა უმთავრესი სავანის — ჯვრის მონასტერზე, დაეხსნათ იგი მტრის ხელიდან. მაშინ, როგორც იერუსალიმის ჯვარელი მოღვაწენი, ისე მათი თანამემამულეები საქართველოდან არაფერს ზოგავდნენ ამ მიზნის მისაღწევად. ჯვრის მო-

ნასტრის აღაპებში მრავლად მოხსენებულნი არიან ისინი, ვინც ხელი გაუწოდა ქართველთა ჯვრის მონასტერს (დიმიტრი თაყდადებული, გრიგოლ ფანასკერტელი, სარგის ჯაყელი და მრავალი სხვანი). ამ შემთხვევაში ქართველთა მეფეებმა დიპლომატიურ ხერხსაც მიმართეს. მათ ეგვიპტეში გაგზავნეს ელჩები მოსალაპარაკებლად. ქართველი დიპლომატები კონსტანტინეპოლში ჩავიდნენ. ბიზანტიის იმპერატორმა ანდრონიკე II-მ (1282–1328) ქართველებს თავისი დესპანიც გააყოლა. ქართველებმა საწადელს მიაღწიეს, — კაიროში მოლაპარაკებისას სულთანი დაითანხმეს და ქართველებს დაუბრუნდათ მეჩეთად გადაკეთებული ჯვრის მონასტერი. მათვე უფლება მიეცათ ტრადიციულად იერუსალიმში შესვლისას ცხენ-სახედარზე მსხდარიყვნენ (ვ. ტიზენგაუზენ, ზამეტკა ელკალკაშანდი ო გრუზიი, — ზაპისკი ვოსტოჩნოგო ოტდელენია რუსკოგო არხეოლოგიჩესკოგო ობშესტვა, 1886, 1, 3, გვ. 212–213).

როგორც არაბულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ჩამოვიდა კონსტანტინეპოლის იმპერატორის ელჩი, გურჯების მეფის ელჩის თანხლებით, რომელმაც ჩამოიტანა საჩუქარი და წერილი, რომელშიც უფლისწული მოითხოვდა იერუსალიმში მუსალაბის (ჯვრის) მონასტრის გახსნას, რათა ქართველებს შესძლებოდათ, თუ მოისურვებდნენ, წასულიყვნენ იქ სალოცავად... გამოსცეს ბრძანება ეკლესიის გახსნის შესახებ, რაც შესრულებული იქნა“ (ვ. ტიზენგაუზენი, იქვე). როგორც აკად. ე. მეტრეველმა გაარკვია (იხ. მისი „მასალები“, გვ. 47–48) ჯვარის მონასტერი გამოიხსნა ქართველთა მეფე დავით VIII (1293–1311). ჯვრის გამოხსნაში, „მეორედ აშენებაში“ — დავითისათვის დახმარება გაუწევიათ: აფხაზთა მეფეს კონსტანტინეს (დავით ნარინის ვაჟს) და ბევრ სხვა დიდებულ და სასულიერო მოღვაწეს.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ დაპყრობის შემდეგ, ქართველებს უხდებოდათ არა მარტო საკუთარი მონასტრების ხელმეორედ დახსნა, — „მეორედ აშენება“, არამედ მონასტრების შემოგარენის, ბაღ-ვენახებად ქცეული ზვრებისა და სხვ. დამხმარე მეურნეობების შესყიდვაც.

როგორც ცნობილია, მე-14 საუკუნის დასასრულს აღმოსავლეთის ხალხებს დამპყრობთა ახალმა, დამანგრეველმა ტალღებმა გადაუარა, — გამოჩნდა თემურ ლენგი, რომელსაც მთელი მსოფლიო მხოლოდ ერთი მბრძანებლისათვის მიაჩნდა საკმარისად...

მისი, ამ დამპყრობლის სისხლიანი ხელი საქართველოსაც და მის წმიდა ადგილებსაც მისწვდა. „აქა მოვიდა მანყუერელი პიმენ მას ჟამს, — გადმოგვცემს მატიანე, — ოდეს თემურ დიმახში აოხრა და ჯვარისა სახლი აშლით აოხრეს“. თემურმა დიმახში (დამასკო) აიღო 1400 წელს. სწორედ ამ დროს მისულა დასახმარებლად მაწყვერელი მღვდელთმთავარი პიმენი ჯვრის მონასტერში, — „ზეთი და ცვილი შემოსწირაო“. ამ პერიოდშიც იერუსალიმელ ქართველებს მატერიალური დახმარების ხელი, ჩვეულებისამებრ, მრავალმა გაუწოდა საქართველოდან.

როგორც ისტორია გვაუწყებს, მიუხედავად დაპყრობისა, XV საუკუნის დამდეგს და შემდგომშიც, ქართველები სხვებთან შედარებით ერთგვარ პრივილეგიურ

მდგომარეობაში იმყოფებოდნენ თაეიანთი მონასტრების
„უფლება-მოსილების“ საქმეში და კარგადაც იხსენები-
ან. ალ-კალკამანდი თავის „დიპლომატიურ საცნობა-
როში„ ქართველ მეფეს სხვა ტიტულებთან ერთად, იხ-
სენებს როგორც ქრისტიანული რელიგიის დამცველს,
სამართლიანს ქვეშევრდომების მიმართ, ბერძენ მეფეთა
შორის საუკეთესოს ზღვათა და სრუტეთა სამეფოს განძ-
თა მცველს, ქრისტეანთა სახელის განმადიდებელს და
გვირგვინს, ქრისტიანობის საყრდენს, „რომელმაც თა-
ვისი მოქმედებით განამდიდრა და აღამაღლა წმიდათა-
წმიდა სახლი იერუსალიმისა; .მირონცხებულთა საყრდე-
ნი, შემწე რომის პაპისა“.

კიდევ უფრო გაუარესდა მდგომარეობა მას შემდეგ,
რაც თურქებმა ბიზანტია დაიპყრეს, როცა !1453 წელს
კონსტანტინეპოლი დაეცა. ამ პერიოდში ქართველებს
თავიანთ ქვეყანაში საკუთარი სადარდებელი შეექმნათ,—
ხმალამოღებულ ბრძოლაში ჩაებნენ დამოუკიდებლობის
შენარჩუნებისათვის....

ხოლოს და ბოლოს ძლიერი სახელმწიფო სამთავე-
როებად დაიშალა, დაკნინდა ეკონომიურად, დაუძლურ-
და. ყოველივე ეს დაეტყოთ საქართველოს გარეთ მყოფ
ქართულ მონასტრებს და პირველ რიგში ჯვარს. დახმა-
რება იერუსალიმის ქართული კოლონიისადმი შენელდა,
მაგრამ არ შეწყვეტილა. „ცხოვრების ასეთმა გაჭირვე-
ბამ, სამშობლოსთან მიმოსვლის გაძნელებამ და გულ-
უხვ მლოცველთა შემცირებამ უცხოეთში არსებული ყვე-
ლა ქართული მონასტერი საშინელ მდგომარეობაში ჩა-
აგდო და არსებობის უმთავრესი წყარო მოუსპო. ძმო-
ბას თავისი თავის შენახვაც კი უჭირდა და რა გასაკვი-
რია, თუ რომ გადასახადების გამოღება გაუძნელდებო-
დათ და საშინელ სიღარიბეში ჩაცვივდებოდნენ“ (ივ.
ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, $IV^2$, გვ. 276).

რადგან ქართველებისათვის წმიდა ადგილების და-
ცვა წარმოადგენდა ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ღირ-
სებას, ამ გაჭირვების ჟამსაც, უყურადღებოდ არ
სტოვებდნენ თავიანთ თანამემამულეებს იერუსალიმში.
სწორედ ამ პერიოდში მიიღეს მათ ზაზა ფანასკერტელ-
ციციშვილისაგან „დიადი საქონელი“, ხოლო სერაპიონ
კომურდოელის მისვლით დაიწყო ჯვრის მონასტრის
ტრაპეზის, და იოანე მახარებლის საყდრის მეორედ აღ-
მშენებლობა. ასე იყო XV საუკუნის მიწურულამდე, რო-
ცა თმოგველმა, უჯარმელმა ასულმან მარინემ აღაშენა
„ჯვრის პატიოსნისა გალავნისა ბურჯი“, ამილახორის
თაყოს ქალმან რიფსიმემ დაიხსნა მონასტრის მარანი,
მეორედ იყიდა წისქვილი და ა. შ. (ე. მეტრეველი, მასა-
ლები, გვ. 90, 124, 165 და სხვ.).

XVI საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში ჩავიდა
მზეჭაბუკ ათაბაგის მიერ გაგზავნილი პირი ამბროსი,
შემდეგ, — ბევნა ჩოლოყაშვილი — „ჯვარის მამად მივ-
ლინებული“. იერუსალიმში ბ. ჩოლოყაშვილმა ფრანგთა
გოლგოთა დააგდებინა და სომხებს დავა გაუმართა იაკო-
ბის ტაძრის გამო. დიდი შეწირულებით ესტუმრა ზო-
სიმე კუმურდოელი იერუსალიმს და კვლავ დაიხსნა
გოლგოთა, — „მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთაი წაგვარ-
თვეს და მან დაიხსნა, ოთხასი ფლური გამოიღოო“.

იერუსალიმში ქართველთა ხშირი ჩასვლა, მათი

ზრუნვა ჯვარსა და სხვა სავანეებზე, ძველ უფლებათა აღდგენაზე, ძველი ხელნაწერების ბედზე საკმაოდ შესამჩნევი იყო. აღნიშნულის შესაბამისად ქართველებს იქ პატივს სცემდნენ, მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია. ამაზე საგანგებოდ წერდნენ უცხოელი მოღვაწენი: ი. პასიმტეინსკი (1493), მ. ბაუმგარტენი (1507), ლ. ჩუდი (1519), ბ. დე სალინიაგო (1522) და სხვ. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ქართველები კვლავ გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით, — საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მსხდომნი, — თავისუფლად, ბაჟის გადაუხდელად, შედიოდნენ იერუსალიმშიო. მაგალითად, ჩეხი მოგზაური ი. პასიმტეინსკი, იერუსალიმში ყოფნისას აღნიშნავს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში რვა ქრისტიან ხალხს აქვს თავისი სამლოცველო: „პირველთა აქვთ საერთო სარწმუნოება ჩვენთან (იგულისხმება რომაელი კათოლიკეები, — ე. გ.), მეორენი არიან ბერძნები, მესამენი — ქართველები, მეოთხენი — იაკობიტელნი, მეხუთენი — სირიელნი, მეექვსენი — ინდოელნი, მეშვიდენი — სომხები და მერვენი — მარონიტები“. საყურადღებო ფაქტი ისიცაა, რომ ამ ხალხებიდან ქრისტეს საფლავის ეკლესიაში: რომაელებს ჰქონიათ 11 კანდელი, ბერძნებს — 9, ქართველებს — 13, იაკობიტელნებს — 5, სირიელებს — 5, ეთიოპელებს — 4, სომხებს — 4 და მარიონიტებს — 5. ასე, რომ მე-15 საუკუნის ბოლოს და მე-16 საუკუნის დასაწყისშიც ქრისტეს საფლავის ეკლესიაში კვლავ პრივილეგიებით სარგებლობენ და პირველი ადგილი უჭირავთ ქართველებს (იხ. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960, გვ. 6—7). ერთ-ერთი საზღვარგარეთელი მოგზაური ლ. სუდპეიმი კი (1331—1341 წლებში იყო იერუსალიმში) პირდაპირ მიუთითებს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღებს ქართველები ფლობენო („არხივე დე ლ'ორიანტ ლატინ“, II, პარიზი, 1884, გვ. 353—354; დამოწმებული აქვს რ. ჟანენს „ქართველები იერუსალიმში“). უცხოელ მეცნიერთა აღიარებით ქართველებს ეს უფლება XV საუკუნის ბოლომდე ჰქონიათ.

როგორც აღვნიშნეთ, 1512 წელს ბეენა ჩოლოყაშვილმა ფრანგებს კვლავ „დააგდებინა გოლგოთა“, ხოლო მანამდე — „გოლგოთა... ბაგრატ მეფეს (1466—1478) ალექსანდრეს ძმისწულს, უშოვია, გუმბათი აღუშენებია დიდის საფასით. იგულისხმება, რომ ჯვრის მონასტრის მსგავსად, ქრისტეს საფლავის შენარჩუნება, მისი ხელმეორედ დაბრუნება „დიდ საფასად“ უჯდებოდათ ქართველებს.

მე-16 საუკუნეში მართალია ქართველებს არ შეუნელებიათ ბრძოლა იერუსალიმში ძველი უფლებების შენარჩუნებისათვის, მაგრამ მათი მდგომარეობა მეტად გაუარესებულია. ამ ფაქტზე თავიანთ ყურადღებას ამახვილებენ უცხოელნი — ე. პოზნიაკოვი (1558—1561), ლ. რაუვოლფი (1573), ს. შვაიგერი (1577—1581), ნ. რაძივილი (1582—1584), ტ. კორობეინიკოვი (1593), ი. სოტოვიკი (1598) და სხვ. (ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები საზღვარგარეთ, თბილისი, 1980, გვ. 142).

ამ დროს ქართველები ორმხრივ გასაჭირში აღ-

მოჩნდნენ: ჯერ ერთი, რომ ისინი თანდათანობით აკარგავდნენ თავიანთ მონასტრებზე უფლებებს და მათ ეპატრონებოდნენ ბერძნები და სხვები, მეორე — თურქ-ოსმალებმა, პალესტინის დაპყრობის შემდეგ, დაუწესეს დიდი გადასახადი, როგორც ქრისტიანულ ტაძრებს, ისე იქ მომსვლელ მლოცველებს. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, იერუსალიმში მყოფი ქართველები, შემოსავლის შემცირებითა და სამშობლოდან დახმარების შეწყვეტის შედეგად, თანდათანობით ვალებში ვარდებიან. გადასახადების გამო გაუჭირდათ თვით ბერძნებსაც. ამის გამო ისინი იძულებულნი გახდნენ მე-17 საუკუნის დასაწყისში საპატრიარქო იერუსალიმიდან კონსტანტინეპოლში გადაეტანათ (ისტორია სვიატოგო გრადა იერუსალიმა, ტომ II, საკტ პეტერბურგ, 1844 გ. სტრ. 298).

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში — „დიდ დაჭირვებაში" აღმოჩნდა ქართველთა ჯვრის მონასტერი. ამ გაჭირვების ჟამს, ჯვრის მონასტრისადმი დიდი ზრუნვა და დახმარება გასწია მესხეთიდან ჩასულმა ფილიპე შაქარაშვილმა, რომელმაც ჩაიტანა „საიერუსალიმო თეთრი", იქ დაჰყო წელიწადნახევარზე მეტი და იერუსალიმის მონასტრები — ჯვარი, გოლგოთა, კათამონი, წმ. გიორგის ეკლესია და სხვ. ზოგი აღადგინა, ზოგი შეამკო, ზოგს დაგირავებული საეკლესიო ნივთები დაუხსნა. მიუხედავად გაჭირვებისა მე-16 საუკუნეში ქართველები, კვლავ კარგი ავტორიტეტითა და სახელით მოიხსენებიან. მაგალითად, პოლონელი მოგზაური ნ. რაძივილი (1549—1616) პირდაპირ მიუთითებს, რომ „კათოლიკეთა და ყოველთა აღმოსავლეთის ეკლესიისა ქრისტიანეთა დიდი პატივისცემაა ჯვრის მონასტრისადმი" (პუტეშესტვიე პო სვიატიმ მესტამ ი ვ ეგიპეტ კნიაზია ნ. რადზივილა, პეტერბურგი, 1787, გვ. 131).

კიდევ უფრო რთული პირობები შეექმნათ ქართულ მონასტრებს XVII საუკუნეში. „ისინი კნინლა დაინგრნენ... ჯვრის მამებიდან — გაბრიელი მოკლეს, იოსები — ღამით გაიქცა იერუსალიმიდან, მელეტი კი რამდენი წელიწადია სადილეგოშია (დოსითეოზის წერილიდან). მართალია, საქართველოდან თითქოს გაძლიერდა კიდევ შეწირულებანი და სხვა სახის დახმარება (ჯვრის მონასტრისათვის საქართველოში ბევრაც კი აიკრიფა), რომლის მიზანი იყო სხვათა ხელში გადასული სავანეების დაბრუნება, ძველ ნაგებობათა აღდგენა, მაგრამ ამით საქმეს არაფერი ეშველა.

XVII საუკუნეში, ვინც იერუსალიმის ქართული კოლონიის — დაკნინების ჟამს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იერუსალიმში ქართული კულტურის უდიდეს კერას — ჯვრის მონასტერს, იყო ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი (1585—1659), რომელიც ჯვრის მონასტერს მოევლინა არამარტო დამხმარედ, არამედ წინამძღვრად და მეთაურად. იგი დიდი ქართველი, გამორჩენილი პიროვნებაა. რომში განათლების მიღების შემდეგ, მოღვაწეობდა კახეთში თეიმურაზ პირველთან, იმერეთში ალექსანდრე მეფესთან, სამეგრელოში ლევან დადიანთან; მოვლილი ჰქონდა მსოფლიოს ბევრი ქვეყანა; 1614—1626 წლებში ცხოვრობდა იერუსალიმში, განმეორებით 1643—1649 წლებში კვლავ იერუსალიმშია, როგორც ჯვრის მონასტრის მამა და ხელმძღვანელი.

„სამცხე თურქთა დაიჭირეს და გაათათრეს, კახეთი და ქართლი სპარსთა დაიჭირეს. მას ჟამთა მომხვდა მე ცოდვილსა ჯვარის მამობა... ესრეთ შევამკევ (ჯვრის მონასტერი) რომელ სრულიად საბერძნეთი და არაბისტანი გაკვირდა“, — გადმოგვცემს ნ. ჩოლოყაშვილის შესახებ წარწერა (ა. ცაგარელი, „სვედენია“, 1, 3, გვ. 51—52). ნ. ჩოლოყაშვილის დამსახურება ჯვრის ტაძრის განახლებაში საგანგებოდაა წარმოჩენილი ბერძნულ წარწერაშიც 1643 წელს (იხ. პ. იოსელიანი, რაზბორ ნეკოტორიხ ნადპისეი გრუზინსკიხ“, პეტერბურგი, 1865, II, გვ. 142).

მიუხედავად ნ. ჩოლოყაშვილის დიდი მცდელობისა და ალმშენებლობითი საქმიანობისა, განსაკუთრებით ჯვრის მონასტერში ქართულ კოლონიას მაინც არაფერი ეშველა, — ეკონომიურად და უფლებრივად სულ უკან-უკან მიდიოდა მისი საქმე. ვერც დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსი მაქსიმე მაჭუტაძის იერუსალიმში რამდენიმე ჩასვლამ, ვერც ქართლის მეფის გიორგი XI დახმარებამ და ჯვრის მონასტრის ვალებისაგან გათავისუფლებამ, ვერც პილიგრიმების ღვაწლმა, ვერც საქართველოში არსებულ ჯვრის მონასტრის ყმა-მამულებიდან გაგზავნილმა საფასურმა, ვერც ჯვრის წინამძღვრების საკალმასოდ ჩასვლამ საქართველოში და ვერც იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქების ჩასვლამ საქართველოში (ამ საუკუნეში იერუსალიმის ოთხი პატრიარქიდან 3 — თეოფანე, პაისიოსი და დოსითეოსი — ეწვიენენ საქართველოს) და ვერც ქართველი მეფეებისა და მთავრების დიდი შეწირულებით — ქართული სავანეების ვალებისაგან გათავისუფლებამ და ქართველებზე „დაბრუნებამ“, ვერ უშველა საქმეს, — ქართულ მონასტრებს უცხოელები დაეუფლნენ.

ამავე პერიოდიდან, ბერძენმა მღვდელმთავრებმა მშობლიურ სავანეებს ჩამოაშორეს ქართველები და სხვადასხვა ეკლესიაში დაქსაქსეს. ჯვარში დარჩენილებს ჯერ სასტიკად შეუზღუდეს, ხოლო შემდეგ მთლიანად ჩამოართვეს გამგებლობა. 1749 წლისათვის უკვე მთლიანად ბერძნები დაეუფლნენ მონასტერს და მის უდიდეს სიმდიდრეს (იხ. რუსი მოღვაწის სერაპიონის ცნობები ქართული მონასტრების შესახებ).

ამ დროის საქართველო თურქთა და სპარსთა დაუსრულებელი შემოსევებისაგან დაუძლურებულია. მოშლილია ქვეყნის სახელმწიფოებრივი წყობილება. თვით ქართველ მეფეებს ხშირად საკუთარ სამფლობელოშიც აღარ ედგომებათ. დიდი მცდელობა აქვთ დახმარება მიიღონ ჩრდილოეთიდან — ერთმორწმუნე რუსეთის სახელმწიფოსაგან...

ასეთი მდგომარეობა შესაძლებლობას არ იძლეოდა აქტიური მოქმედებისაკენ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. ქართველებს თითქოს „დაავიწყდათ“ ძველი ტრადიციები, მამა-პაპათა სისხლითა და ცეცხლით ნაწერი ისტორია... მათი წმიდა ადგილები (მაგრამ ეს „დავიწყება“ პირობითი გამოთქმაა — იერუსალიმის საპატრიარქო, მე-19 საუკუნის მანძილზეც, გარდა საქართველოდან გაგზავნილი საჩუქრებისა, თავისი წარმომადგენლებით — ბერძენი ბერების მეშვეობით იღებდა საქარ-

თველოდან კარგ შემოსავალს — გადასახადებს ერთი მხრივ — ყმა-მამულებისაგან (სოფლებიდან — მარტყოფი, კონდოლა, წინანდალი და სხვ.), ხოლო მეორე მხრივ, — თბილისის ჯვრის მამის ეკლესიისაგან, რომლის ხელმძღვანელი წარმოადგენდა აგრეთვე იერუსალიმის ჯვრის რწმუნებულს, აგროვებდა შეწირულებებს და უგზავნიდა ჯვრის მონასტერს).

სწორედ ამ პერიოდში მოისმის იერუსალიმიდან „წმიდა საფლავსა და სისხლ მეწამულს გოლგოთას მდგომი, მლოცველი, საბრალო ქართველი ქალის" გოდება-ღაღადისი ეროვნული ღირსების დასაცავად, წმიდა ადგილების შესანარჩუნებლად და, საბოლოო ანგარიშით, ეროვნული სულის გადასარჩენად. საბრალო მონოზონი მართა წერილით მიმართავს დასავლეთ საქართველოს კათოლიკოსს გრიგოლს (1696—1742) და წერს: „ამისთანა რა გასაჭირი არის, რომ აქაურობა ასრე დაკარგეთ?.. წამობრძანდით, ამათა აღარა უნდა ჩვენი კაცი, რომ მონასტრები საქართველო ამათ ჩაიგდეს ხელად და ჭამენ. რა უანგარიშო საქონელი გამოზიდეს ჩვენის მონასტრების!... ნუ იქნთ, ნუ დაკარგავთ ამ მეუფის სახლს. ყოველი სული ამისთვის კვდების, რომ აქ ერთის ტრაპეზის დასადები ადგილი იშოვნოს, და თქვენ სულ იერუსალიმი დაკარგეთ... დიდი სირცხვილი არ არის ესა, რომ პატიოსანი დიდი წმიდა იაკობის მონასტერი სხვებმა იშოვნეს? ხვანთქარი მოატყუეს და ახლა სხვათა აქვს. ბეთლემი ფრანგმა აიღო, მაგრამ მაგათ შიში და მოლოდინი აქვს და ჩვენი სამწირველო ისრევ მორთული არის: თუ არ მოხვალთ, დააქცევენ... ერთი ელჩი გამოგზავნეთ ხვანთქართან, ისრევ მოგცემთ. უსაცილოდ

გოლგოთასაც და გეთსამანიას დაიჭირავს ფრანგი, თუ არ მოეშველებით. ამათი კერძი გოლგოთა დაიჭირა, ჩვენი ჯერ კარგად არის. ერთი თავი ჯვარის მამა გაიჩინეთ, რომ წამოვიდეს. ან ერის კაცი, ან ბერი გამოაშურეთ ამ ქვეყანას, თვარამ წახდა საქმე... თუ ასრე არა იქთ, ეს მონასტრები და იერუსალიმი დაგვეკარგვიან. ნუ იქთ, სხვას ნუ უყურებთ... თუ იერუსალიმი დაგვეკარგვიან, რასლა სჯული და რალა პირჯვრის წერა გვქნებათ" (ე. მეტრეველი, მასალები, გვ. 0191—0192).

ასეთივე დიდ გულისტკივილს გამოხატავს XIX საუკუნის დასაწყისში ქართველთა კოლონიის მონახულების შემდეგ, ღვდელმონოზონი ლავრენტი გუგულაძე: „თქვენ პატიოსანო მამაო ქართველნო... გაკვირვებულ ვარ რასათვის გაგიშვიათ და დავგივიწყებიათ დიდებული და ნათლით შემოსილი ესე ქალაქი იერუსალიმი. ჰეი, უდებებასა და უსასოებასა ჩვენის ქვეყნისა..."

„ჩვენს ეკლესიებში ყველგან ქვები და წერილები აცხადებს ჩვენს ქვეყნის ნაჭირნახულებს და თუ ვის გაუკეთებია და ხარჯი უქნია და ვინც ამ ჯვრის მონასტერში (მოხვიდეთ), გოლგოთის სვინაქსარი აქ არის და დასაწყის თავში იხილეთ და ნახეთ, თუ ვისია გოლგოთა. და აქა ჯვრის მონასტერში მხედრული დაწერილი მოსახსენებელი სახელები განიხილეთ დოსითეოს პატრიარქის დროს და მით სცნობთ, ამ წმიდა ალაგის ამბავს და ვინც ამოიკითხოთ, ცოდვილისა მონოზონის ლავრენტისათვის შენდობა ბრძანეთ" (იხ. ნ. მარი, იერუსალიმის ქართული ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 43; ე. მეტ-

რეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი, ჯანაშიას სახელობის მუზეუმის მოამბე, XV-3, 1948, გვ. 39—40).

შეუნდოთ ღმერთმა ჩვენს ღირსეულ წინაპრებს — მონოზონ მართას და მღვდელ ლავრენტის (მათაც, ვინც თავისი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის საქმეში), მაგრამ მათ არ იცოდნენ ისტორიული მოვლენების მსვლელობა თავიანთ მშობლიურ ქვეყანაში, რომ არათუ იერუსალიმისა და სხვა საზღვარგარეთულ სავანეებში (ათონი, კონსტანტინეპოლი, კვიპროსი, პეტრიწონი და სხვ.), არამედ საქართველოს შიგნით არსებული ეკლესია მონასტრებიც ისტორიული ავბედობით, გაუქაცრიელების გზაზე იდგა...

„მეჭირვეებაში" და სხვის ტყვეობაში ჩავარდნილმა ქართულმა ეკლესიამ რუსეთის 1917 წლის რევოლუციამ იხსნა, მან 1811 წლიდან დაკარგული ავტოკეფალია, რომელიც საქართველოში V საუკუნიდან მომდინარეობდა, აღდგენ[illegible] და დიდი ტრადიციის მართლმადიდებელი ქართული ეკლესია თავის სამწყსოს პატრონი შეიქმნა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ყურადღება მიგვექცია ჩვენს წმიდა ადგილებისათვის და გვეზრუნა ჩვენი უფლებების აღდგენაზე.

ქართველი ხალხი კანონიერი მემკვიდრეა თავისი კულტურული წარსულისა და, ბუნებრივია, ცდილობს წინაპართა მემკვიდრეობის დაბრუნებას. დროა ეს ტრადიცია აღდგეს და წმ. ჯვრის მონასტერი ჩაჰბარდეს თავის ნამდვილ პატრონს, — „ღვთის მოყვარე ივერიელებს" (დოსითეოსი). ამას მოითხოვს სამართლიანობა, ხალხთა შორის სიყვარულის, ძმობისა და მეგობრობის მარადიული იდეა.



[illegible] I-ის, [illegible] 1981 წლის [illegible]

1978 წლის ივლისი, № 13

საქმოზე ... 

# მეგობრობა გრძელდება

იმპერატორის ხელისუფლებისადმი ეკლესიის დაქვემდებარების მიზნით პეტრე პირველმა გააუქმა პატრიარქის ერთმმართველობა და ეკლესიის მართვა-გამგებლობა გადასცა უწმიდეს სინოდს იმ მიზნით, რომ გაეძლიერებინა იმპერატორის გავლენა ეკლესიაზე. სწორედ ამავე მიზნით 1811 წელს რუსეთის იმპერიამ გააუქმა საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო და დააწესა საეგზარქოსო. მხოლოდ 1917 წელს დიდი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად აღდგენილ იქნა საპატრიარქო რუსეთშიც და საქართველოშიც. რუსეთის ეკლესიის მამამთავრად არჩეულ იქნა ტიხონი, საქართველოში კი — კირიონი (საძაგლიშვილი).

ამას წინათ სრულიად რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პატრიარქობის აღდგენის 60 წლისთავი. მსოფლიოს ყველა ეკლესიის წარმომადგენლობა ეწვია მართლმადიდებელ ეკლესიის უმაღლეს კერას — ზაგორსკს.

მათ შორის იყო საქართველოს დელეგაცია სრულიად საქართველოს უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მოთავეობით. ზეიმის შემდეგ კონსტანტინეპოლისა და ანტიოქიის საპატრიარქოების წარმომადგენლებმა ისურვეს საქართველოს მონახულება.

მეგობრულმა ვიზიტმა ქართულ მიწაზე გადმოინაცვლა.

ისტორიულად კონსტანტინე დიდმა სხვა სახელმწიფოებზე ადრე გამოაცხადა ქრისტიანული სარწმუნოება სახელმწიფო რელიგიად და შექმნა მსოფლიო საპატრიარქო. ამიტომაც დღესაც ავტოკეფალური ეკლესიები ტრადიციულად კონსტანტინეპოლის პატრიარქს აღიარებენ მსოფლიო პატრიარქად. რაც შეეხება ანტიოქიასთან კავშირს, მე-5 საუკუნემდე საქართველოს ეკლესია იმყოფებოდა ანტიოქიის ეკლესიის გავლენის ქვეშ, მე-5 საუკუნეში მისგან მივიღეთ ავტოკეფალია — დამოუკიდებლობა. ამ საუკუნიდან დღემდე კი ჩვენს ეკლესიას დიდი მეგობრობა აქვს ანტიოქიასთან.

თბილისს ეწვიენენ მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, ქალკიდონის მიტროპოლიტი მელიტონი, ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართლომე და შვეციისა და სკანდინავიის ქვეყნების მიტროპოლიტი პავლე. დელეგაციას ახლდა მინსკისა და ბელორუსიის მიტროპოლიტი ანტონი. სტუმრებმა მოინახულეს დედაქალაქის ტაძრები, შამადავითის ეკლესია და მთაწმინდის პანთეონი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმები. დელეგაცია მიიღო სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. გაიმართა მეგობრული საუბარი საქართველოსა და კონსტანტინეპოლის ეკლესიების დამოუკიდებლობის შესახებ. გორისა და მცხეთის დათვალიერების შემდეგ სვეტიცხოვლის ტაძარში შესრულდა ერთობლივი სადღესასწაულო წირვა.

საქართველოს ეწვიენენ აგრეთვე ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთის საპატრიარქოს წარმომადგენლები, ტრიპოლის მიტროპოლიტი ილია, მიტროპოლიტი ალექსი (აბდელ-ქარიმი), არქიმანდრიტი მაკარი (ტაიარი) და მათ ახლდათ რუსეთის ეკლესიიდან ზვენიგოროდის ეპისკოპოსი ... ტოლი.

ქართული და მსოფლიოს მართლმადიდებელი ეკლესიების მეგობრობა გრძელდება. ყოველი ვიზიტი ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობის ინტერესებს ემსახურება.



სრულიად საქართველოს უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოს-პატრიარქი ილია II (ღუდუშაური-შიოლაშვილი) და მსოფლიო პატრიარქის წარმომადგენელი ქალკიდონის მიტროპოლიტი მელიტონი.

[illegible] I-ის, [illegible] 1981 წლის [illegible] საქართველოს. [illegible] 1706 წლის [illegible] VI-ს [illegible]

---

— ჩვენ არა თუ არ მოვითხოვთ რაიმე საფასურს ივერიელებისაგან (ქართველებისაგან), არამედ ვუბრუნებთ მათ როგორც წმიდა ჯვრის მონასტერს, აგრეთვე სხვებსაც: წმ. ნიკოლოზის, წმ. თევდორეს, წმ. ბასილის, წმ. ანასა და ებრაულ წმ. გიორგის (იგულისხმება წმ. გიორგის ქართველთა მონასტერი, რომელიც დგას იერუსალიმის ებრაულ ნაწილში, — „მონასტერი წმიდისა გიორგისი ურიათ უბანში დადიანთა აღშენებული“ — ე. გ.), ვალებგადახდილს და ყოველგვარ მიმართებათ თავისუფალს, და არც ჩვენ თვითონ და არც ჩვენს შემდეგ წმიდა ქალაქ იერუსალიმის უწმიდესი პატრიარქები, არც ყოვლადწმიდა საფლავის მამები და მოსაყდრეები არ მოითხოვენ ივერიელებისაგან არავითარ ფულს, არც დიდს და არც მცირეს... და იყოს თავისუფალი მათი მონასტრები ყოველგვარი მაძიებლობით, ყოველგვარი ვალებისა და თავმომაბეზრებელი, აბეზარი საქმეებისაგან და, იყონ მათი ნამდვილი და სრული ბატონ-პატრონები ღვთისმოყვარე ივერიელები. ხოლო როცა ღმერთი ინებებს და ივერიიდან მოვა ილუმენი, მაშინ მან ძველებურად აიღოს თავის ხელში ძალაუფლება ყველა მონასტერზე“, — ვკითხულობთ ქალაქ იერუსლიმის და სრულიად პალესტინის პატრიარქის დოსითეოსის 1706 წლის იელისში გამოგზავნილ ეპისტოლეში საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ისადმი.

(XVII.)

განვაგრძობ ჩემს რადიოდოკუმენტურის გადაცემას იერუსალიმის"ჯვარის" მონასტრის შესახებ,რომლის დროს დღეს ჯერ გაგაცნობთ ჩემს,ასე ვთქვათ, "სახასიათო"გასაუბრებას"ჯვარის"მონასტრის ხელმძღვანელ ბერძენ ბერ ნარსისოსთან და შემდეგ გესაუბრებით ქართველების შესახებ ისრაელსა და ამით იერუსალიმშიც.მაშ, ჯერ გასაუბრება"ჯვარის"მონასტრის ხელმძღვანელ ბერძენ ბერ ნარსისოსთან:
(ფ ი რ ი..............)
ეს იყო ჩემი,ასე ვთქვათ,"სახასიათო" გასაუბრება"ჯვარის"მონასტრის ხელმძღვანელ ბერძენ ბერთან და სხვა ორ ახალგაზრდა ბერძენ ბერთან, რომლის დროს არეულია ბერძნული და ინგლისური ენები.

იერუსალიმის "ჯვარის" მონასტრის დათვალიერებასთან ერთად, რა თქმა უნდა, შევეცადე იერუსალიმის - ამ მსოფლიო მნიშვნელობის სამი რელიგიის დედაქალაქის - სხვა ბიბლიური ადგილების დათვალიერებას, თუმცა არ დავივიწყე ისიც, რომ ისრაელში საერთოდ და იერუსალიმში კერძოთ მრავალი ქართველი ებრაელი ცხოვრობს,რომლებიც განსაკუთრებული სითბოთი და შთაგონებით იგონებენ და არ ივიწყებენ საქართველოს, რის თვალსაჩინო მაგალითია ის, რომ ისრაელში რამდენიმე ქართული გაზეთი თუ ჟურნალი გამოდის, და თვით იერუსალიმში "ქართული რესტორანი" უკვე ისეთი დიდი სახელით სარგებლობს, რომ იერუსალიმის ქალაქის რუკაზეც კი არის შეტანილი. ამიტომ 1981 წლის 19-ი აგვისტოს დილიდან სადილობამდე ქართული რესტორანისა და ჟურნალ-გაზეთების საქმეების გარკვევას მოვანდომე,ხოლო იმავე დღის ნაშუადღევს,ზუსტად,14-ც საათზე, ერთ ტურისტულ ჯგუფთან ერთად დავათვალიერე იერუსალიმის "ძველი ქალაქი".

მაშ,შევჩერდეთ ჯერ ქართველებზე ისრაელში, საერთოდ, და იერუსალიმში, კერძოთ:

1981 წლის 19-ც აგვისტოს დილით, როგორც ავღნიშნე, გავემგზავრე ფეხით "მეფე დავითის" ქუჩისაკენ, რომელზედაც, როგორც იერუსალიმის ქალაქის რუკაზე ამოვიკითხე, მდებარეობს "რესტორანი საქართველო". მიუხედავათ იმისა, რომ ჩემი"ეილონ-ჰოტელიდან" მეფე დავითის ქუჩამდე არც ისე მოკლე გზაა, მე მაინც ფეხით წავედი,ვინაიდან,ჩემის აზრით, მხოლოდ ამ გზით შეიძლება ქალაქის გულდასმითი დათვალიერება. გავყევი ჯერ "შამაის" ქუჩას, შემდეგ იაფას გამზირს, შემდეგ "ჰამალკას" ქუჩას და გავედი მეფე დავითის ქუჩაზე, სადაც მარმარილოში ჩასმულ

ფახალზე გამოჩნდა დიდი წარწერა ინგლისურ ენაზე "ჯორგია რესტორანტ"= "რესტორანი საქართველო" და იქვე იყო აგრეთვე ქართული იმავე შინაარსის წარწერა. აი ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე, 1981 წლის 19-ტ აგვისტოს, მეფე დავითის ქუჩაზე, ქართული რესტორნის წინ:

(ფ ი რ ი.......................)

ლაპარაკობს დავით თაზორიძე იერუსალიმიდან

დღეს არის პატივცემულო მსმენელებო 1981 წლის 19 აგვისტო და ეხლა მე ვდგევარ ქუჩაზე, რომელსაც ეწოდება "მეფე დავითის" ქუჩა და აქ არის მეფე დავითის სასტუმრო, მარჯვნივ, განლაგებულია ქართული რესტორანი, რომელიც იერუსალიმის რუკაზეც არის აღნიშნული და აწერია ზედ ინგლისურად "ჯორჯიან რესტორანტ", ე.ი. "ქართული რესტორანი". ეს ქართული რესტორანი დაარსეს აქ, გახსნეს აქ ქართველებმა, ქართველმა ებრაელებმა, რომლებიც როგორც იცით, ოფიციალურად წამოვიდნენ საქართველოდან და დასახლდნენ, ე.ი. თავის, ასე ვთქვათ, აღთქმულ მიწაზე, ისრაელში. დღეს ამ ქართველთა ებრაელთა ნაწილი ცხოვრობს იერუსალიმში და უმთავრესად, აგრეთვე, ისრაელის ხმელთაშუაზღვის სანაპირო ქალაქებში. ეს ქართული რესტორანი, როგორც აქ მითხრეს, მეტად ცნობილია და დიდათ ამაყობს ამ რესტორანის ხელმძღვანელობა, რომ ერთდროს აქ ისადილა, ივახშმა ამერიკის შეერთებული შტატების მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა, ე.ი. სახელმწიფო მდივანმა ჰენრი კისინჯერმა, რომელმაც დიდი კმაყოფილება გამოთქვა ქართული სამზარეულოს განსაკუთრებულობის გამო.

საერთოდ, ისრაელში დღეს უკვე დასახლებული ქართველი ებრაელობა დიდ კულტურულ მუშაობას აწარმოებენ ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში; აქ, ისრაელში უკვე გამოდის რამდენიმე ჟურნალი და გაზეთი ქართულ ენაზე და ქართველი ებრაელობა ინარჩუნებენ ჩვენს ეროვნულ კულტურას, რომელსაც ისინი ეზიარენ საქართველოში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი ისრაელი შესდგება სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ებრაელობისაგან და, დროთა განმავლობაში, ისრაელის ხელმძღვანელობა ფიქრობს, რომ ყველა აქ მოსული, სხვადასხვა ქვეყნებიდან მოსულ ებრაელობისაგან თანდათანობით ჩამოყალიბდება ერთი ისრაელის ერი, რასაც უკვე საფუძველი საუკუნეების ათასწლეულების მანძილზე აქვს პალესტინაში, ე.ი. დღევანდელ ისრაელში.

ლაპარაკობს დავით თაზორიძე იერუსალიმიდან

იერუსალიმის ქართულ რესტორანში,სამწუხაროთ, ვერც ვისადილე და ვერც ვივახშმე,ვინაიდან საამისო დრო ვერ ვიშოვე: ხულ ოთხი დღე ვიყავი ამ ქალაქში და, გასაგებია, სხვა ისტორიული თუ ბიბლიური მნიშვნელობის ადგილების დათვალიერება უფრო მნიშვნელოვნად ჩავთვალე.

მეფე დავითის ქუჩაზე "რესტორან საქართველოს" დათვალიერების შემდეგ, ერთ ქუჩაში გამვლელს შევეკითხე გზა იერუსალიმის "ძველი ქალაქის" "იაფას ჭიშკრისაკენ",რომელმაც არა მარტო ამიხსნა თუ საით წავსულიყავი, არამედ მითხრა, რომ იერუსალიმში ბევრი ქართველი ებრაელი ცხოვრობს, დავითის ქუჩაზე ქართული რესტორანია, ქართული ჟურნალ-გაზეთებიც გამოდის ისრაელში და სხვა. ერთი სიტყვით, ეს ახალგაზრდა ებრაელი ქალიშვილი აღტაცებით ლაპარაკობდა საქართველოზე, ქართველებზე,ქართველ ებრაელებზე ისრაელში. თვით ეს ქალიშვილი კი გადასახლებულა იერუსალიმში პოლონეთიდან და - როგორც თქვა - უკვე სამშობლოში ვგრძნობ თავს

და მართლაც, ისრაელში ჩემი ყურადღება მიიპყრო ქართულ ენაზე გამომავალმა გაზეთმა "ალიამ" და ქართულ ენაზე გამომავალმა ჟურნალ "დრომამ".

ხელთ მაქვს,მაგალითად, ჟურნალ "დრომის" 1981 წლის მე-6 და მე-8 ნომრები,რომლებშიც მრავალი საინტერესო მასალაა გამოქვეყნებული არა მარტო ისრაელის,არამედ საქართველოს შესახებ.

ჟურნალის მე-6 ნომრის ლიტერატურულ განყოფილებიდან ჩემი ყურადღება მიიპყრო მწერალ აბრამ მამისთვალოვის რომანმა -"სიკვდილის აჩრდილი" -,რომლის დასაწყისი უკვე გამოქვეყნდა ამავე ჟურნალის წინა ნომერში. აბრამ მამისთვალოვი კი საქართველოშიც ცნობილი მწერალია,ვინაიდან სანამ ის ისრაელში გადასახლდებოდა საქართველოშიც გამოაქვეყნა მისი შემოქმედების ნიმუშები.

ჟურნალი "დრომა" უკვე ერთი წლისაა, და მასალები ამ ერთი წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულია სწორედ ამ მე-6 ნომერში. ამ, ასე ვთქვათ, "საიუბილეო ნომრის" ყდაზე გამოქვეყნებულია შემდეგი შინაარსის მოკლე ლექსი:



ანალოგიური მისასალმებელი ლექსებია აგრეთვე გამოქვეყნებული ამ ჟურნალის მე-23 გვერდზეც საერთო სათაურით "ღროშა, ღროშა..." უთუოთ, საინტერესოა აგრეთვე ჟურნალის ამ ნომერში გამოქვეყნებული "ქართულ-ებრაული ფოლკლორის ნიმუშები, რომლებიც - როგორც აქ ვკითხულობთ - "...გაგონილ იქნა საქართველოში, საქართველოს ებრაელებს შორის", და ფოლკლორულ მასალებისათვის ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა მიუცია აზა რცხილელს.

ამ ჟურნალის მე-8 ნომერიც ისევე მრავალფეროვანი და შინაარსიანია, როგორც წინა ნომრები. ეს მხატვრულ-ლიტერატურული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ილუსტრირებული ჟურნალი რომ შეხაფერისი ავტორიტეტით სარგებლობს ისრაელში მცხოვრებ ქართველებში, ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ ის ფაქტი, რომ ამ მე-8 ნომრის პირველ გვერდზე გამოქვეყნებულია ისრაელის პრეზიდენტის იცხაკ ნავონის - საახალწლო მილოცვა საქართველოდან ისრაელში მოსულთათვის. აი სრული ტექსტი ამ მილოცვისა:

იცხაკ ნავონი,ისრაელის პრეზიდენტი, წერს:

საქართველოდან ისრაელში ამოსულთ ვუსურვებ მშვიდობიან და ბედნიერ წელიწადს!

ისტორიული ფესვები აკავშირებს საქართველოს ებრაელობას ერეც ისრაელთან. ებრაელები საქართველოში ყოველგვარ პირობებში იცავდნენ ისრაელურ ტრადიციებს, კომუნისტური რეჟიმის პერიოდშიც კი. სილ 18 ქართველმა ებრაელმა თავისი ცნობილი წერილით გვაუწყა საბჭოთა კავშირის ჯიმკრის გახსნა ალიისათვის. მათ სიამაყით, გმირულად გამოამჟღავნეს თავიანთი ლტოლვა აბრაამის სამშობლოსადმი, გამოავლინეს ისრაელში ამოსვლის მისწრაფება.

მიუხედავად აბსორბციის სიძნელეებისა, საქართველოდან ამოსული ებრაელები მალე გახდნენ ისრაელის რჩეული, სასარგებლო მოქალაქეები, ბევრმა მათგანმა კი მშვენიერ წარმატებებს მიაღწია.

ახალი წლის მიჯნაზე საქართველოდან ამოსულთა თემს - ერთგულ და მამაც ადამიანებს ვუსურვებ კარგ წელიწადს - ერთობის, ბედნიერების, ზრდისა და გაფურჩქვნის წელიწადს!

იცხაკ ნავონი

ისრაელის პრეზიდენტი.

ჟურნალ "დროშის" ამ მე-8 ნომერში გამოქვეყნებულია აგრეთვე მასალები სხვადასხვა საკითხებზე,რომელთაგან ერთი ეძღვნება "ვეფხისტყაოსნის" ებრაულ ენაზე უბადლო მთარგმნელის ბორის გაპონოვის ცხოვრებასა და შემოქმედებას.

ამ მე-8 ნომრის მეცად მდიდარ შინაარსიდან კი, მსურს გაგაცნოთ პოეტ გ.ენუქაშვილის ლექსი "დედას". აი ეს ლექსიც.

ივნისი 1981 წ.

## დედას

დედა ერთია ამ ქვეყანაზე,
დედის სიკეთით ყველანი ვხარობთ.
მუდამ მზრუნველი, მუდამ მლოცველი
მშვიდია იმედად და ხანჯარიც.

რამ დაგვავიწყოს დედა-გამზრდელი,
ჩვენს სასთუმალთან ღამის მთეველი.
მისი სიმღერა, ზრუნვა თუ დარდი -
მარადი, გულში ჩაუქრეველი.

ო, ბევრჯერ დედას გული სტკენია,
მუხლმოუხრელი გაგვიბრაზებია...
და კარგი შვილი თუ გამოსულა,
ღვაწლი ასმაგად დაუფასებია.

დღეს, გაშუქდის ბუნების ძალამ
დედის დარდი და დედის ცრემლები...
თუ გავიხსენებ ქართულ სიმღერას:
"სანამ დედა მყავს, არ დავბერდები

გ. ენუქაშვილი

XVIII.

ისრაელში ქართულ ენაზე გამოდის ყოველკვირეული,უპარტიო,დამოუკიდებელი გაზეთი,რომელსაც ეწოდება"ალია".ეს გაზეთი ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს აცნობს როგორც ისრაელში,ისე მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მთელ რიგ მნიშვნელოვან მოვლენებს.გაზეთს თავის გარშემო ჰყავს შემოკრებილი საქართველოდან ისრაელში ჩამოსულ ქართველ-ებრაელ ინტელიგენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი,რაც ქმნის სათანადო პირობებს სხვადასხვა საზოგადოებრივი ღონისძიებების ჩატარებისათვის,

ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებას წარმოადგენდა აღნიშნულ გაზეთთან ისრაელ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების დაარსება,რის შესახებაც მოთხრობილია გაზეთ"ალიას" 1978 წლის 2 სექტემბრის ნომერში, რომელშიც გამოქვეყნებულია

ინფორმაცია ისრაელ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების დაარსებისა და იერუსალიმში შოთა რუსთაველის მემორიალური დაფის გახსნაზე გადაწყვეტილების მიღების შესახებ.

"1977 წლის 23 აგვისტოს,-ვკითხულობთ გაზეთ"ალიას"ფურცლებზე"- ქ.თელ-ავივში"დორ ამემენთან"არსებულ აკადემაიმთა კლუბის შენობაში მოწვეულ იქნა გაზეთ"ალიასთან"არსებული ისრაელ-საქართველოს მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გაერთიანებული სხდომა.სხდომამ დაამტკიც ამ საზოგადოების პროგრამა და წესდება....

საქართველოდან გამოსულთა გაერთიანების გენერალურმა მდივანმა რაფი ბალუაშვილმა მიულოცა დამსწრე საზოგადოებას ახლადწამოწყებული ჰუმანური საქმე...იერუსალიმის მერთან თედი კოლეკთან შეთანხმებით,-განაცხადა რაფი ბალუაშვილმა,-იერუსალიმში გაკეთდება შ.რუსთაველის მემორიალური დაფა მგოსნის პორტრეტით ან ბარელიეფით.

ერთ-ერთ წერილში,რომელიც გაზეთის იმავე ნომერშია დაბეჭდილი სათაურით -"ღირსშესანიშნავი წამოწყება" - ვკითხულობთ:"...იმ ხალხს, რომელმაც 2700 წლის მანძილზე თითქმის ანტისემიტიზმის გარეშე შეგვინახა, საჭიროა სიკეთე რაიმე სიკეთით გადავუხადოთ.საქართველოს უდიდესი გენია - შ.რუსთაველი ისრაელში,კერძოდ იერუსალიმში განისვენებს,რომლის შემოქმე-

ლება საქართველოს დიდებაა და მსოფლიო კულტურის ნაწილიც.მით უმეტეს,რომ ივრითის მდიდარ ენაზეც ამეტყველდა ეს ნაწარმოები დოვ გაპონოვის შესანიშნავი თარგმანით.რუსთაველის ძეგლის დადგმა იერუსალიმში იქნება უდიდესი თანაგრძნობის გამოხატვა ქართველებისადმი,უფრო დიდ გამოძახილს ჰპოვებს და დიდი პატივისცემით მოეპყრობიან ჩვენს დარჩენილ და-ძმას იქ -ტურფა საქართველოში"-წერს გაზეთ"ალიაში"დაბეჭდილი სტატიის ავტორი სოლომონ აჯიაშვილი.

ისრაელ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე მიღებულ იქნა საზოგადოების წესდება და არჩეულ იქნა საზოგადოების საპატიო პრეზიდიუმი და გამგეობა.საზოგადოების პრეზიდენტად არჩეულ იქნა მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი,პროფესორი შალვა მარდახიაშვილი.გაერთიანებულ სხდომაზე არჩეულ იქნა სამი კომისია:

1.შ.რუსთაველის მემორიალური დაფის ტექნიკური და ხელოვნური მხარის განხილვის კომისია.

2.შ.რუსთაველის მემორიალური დაფის დასაფინანსებელი სპეციალური ფონდის კომისია.

3. შ.რუსთაველის მემორიალური დაფის გახსნისადმი მიძღვნილი საღამოს მომწყობი კომისია.

იმავე გაზეთ"ალიის" 1977 წლის 4 ნოემბრის ნომერში დაბეჭდილია შოთა რუსთაველის პორტრეტი ან უფრო სწორად "ვეფხის ტყაოსნის"ივრითული თარგმანის გარეკანი.სურათს გაკეთებული აქვს ასეთი წარწერა:"ამ ბოლო დროს ქორწილებში,დაბადების დღეებზე საჩუქრად მიაქვთ თუ ფული.იგი მალე ისარჯება და საჩუქრად არაფერი რჩება.არის ყველაზე უკეთესი საჩუქარი - ბორის გაპონოვის მიერ ებრაულად თარგმნილი შოთა რუსთაველის"ვეფხისტყაოსანი",რომელიც საშვილიშვილოდ სამახსოვროდ დარჩება ოჯახს".

1977 წლის 30 დეკემბრის გაზეთ"ალიაში"კიდევ ერთხელ,არის დაბეჭდილი უკვდავი შოთას სურათი,რომელსაც თან ახლავს რუსთაველის სახელობის ისრაელ-საქართველოს მეგობრობის საზოგადოების საახალწლო მილოცვა ყველა

კეთილი ნების აღმშენებისადმი. ყველა ეს ღონისძიებები, ცხადია ხელს უწყო-ბენ საქართველოსა და მისი უკვდავი მგოსნის -შოთა რუსთაველის პოპულარი-ზაციის საქმეს და ამ წამოწყების გვირგვინი უსათუოდ იქნება რუსთაველის მემორიალური დაფის გახსნა იერუსალიმში, ქართული ჯვრის მონასტრის მახლობლად.

მაგრამ მოვიყვანოთ თვით "რუსთაველის სახელობის საზოგადოების" განცხადებიდან ამონაწერი:

რუსთაველის სახელობის საზოგადოება

თელ-ავივი თელ-ხაის 4 ტელ: 280 634

האגודה ע״ש רוסתוילי

תל־חי 4, תל־אביב - טל. 280634

23.4.78

[illegible]

მოვლენათა ვითარების გამო ჯერ-ჯერობით ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ, მაგრამ იმედია მალე გავიცნობთ. თავი, რომ არ შე-გაწყინოთ, მოკლედ მოგითხრობთ ჩვენი ორგანიზაციის შესახებ.

"რუსთაველის სახელობის საზოგადოება" ჩამოყალიბდა გასუ-ლი წლის თებერვალში ქართულენოვან გაზეთ "ალია" რედაქციის ინიციატივით. მისი მთავარი მიზანია გენიალური პოეტის შოთა რუს-თაველის მემორიალის /ვინაიდან ისრაელის კანონების თანახმად სასაფლაოზე ძეგლის დადგმა აკრძალულია/ დადგმა ქართულ ჯვრის მონასტერთან იერუსალიმში.

დიდი ქართველი პოეტი გარდაიცვალა და დაკრძალულია იე-რუსალიმში, მსოფლიოს სამი მნიშვნელოვანი რელიგიის ცენტრში. ისრაელში საქართველოდან ალია ჩამოსულ ინტელიგენციის ნაწილს მიაჩნია, რომ რუსთაველის მემორიალის დადგმა იერუსალიმში იქ-ნება, ქართველი და ებრაელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მეგობრო-ბის უკვდავი სიმბოლო.

იერუსალიმის ქალაქის საბჭო /მუნიციპალიტეტი/ დიდი პატივისცემით მოეკიდა ამ საქმეს და დახმარება შეგვპირდა. პროექტის შექმნა დავალა ახალგაზრდა მხატვარ სოსო მირენკაველს. მან დაამზადა გრანდიოზული /მონუმენტალი/ პროექტი, მაგრამ ქალაქის საბჭომ არ დაამტკიცა უმეტეს ფორმის გამო /რომ. ისრაელში ძეგლი დიდი და გრანდიოზული ფორმის არ არის/. გადაწყვიტეს დაემზადებინათ ერთი პატარა ძეგლის პროექტი. და აი სოსო ნიკოლაიშვილმა დაამზადა მემორიალის პროექტი, რომლის მიხედვით ძეგლის სიმაღლე და სიგანე მეტრი იქნება. პროექტი დასრულებულია მარმარ-საშუალ და იქნება დამტკიცებულია.

მემორიალის ირგვლივ გაშენდება ძალიან ლამაზი პარკი, რომელსაც რუსთაველის სახელი დაერქმევა. იქვე გაკეთდება სპეციალური სადგური ავტობუსებისათვის, ტურისტთა მისაღებად.

პატივისცემით – ცადო /ანზორ/ საღინაშვილი.

როგორც ვხედავთ,–რომ იტყვიან ხოლმე,–"საქმე მხვდელობაშია", და ვიმედოვნებთ, რომ "ჯვარის"მონასტრის გარეთ დაიდგმება შოთა რუსთაველის მემორიალი.

ქართველებისა და ებრაელების ისტორიული მეგობრობის შესახებ კი, აქვე მხურს მოვიყვანოთ ისტრისს მეცნიერებათა კანდიდატის სამ იაკობის-მე ხუციშვილის – წერილიდან ამონაწერი–ქართველი ებრაელების შესახებ. ეს განცხადება სამ ხუციშვილმა გააკეთა 1969 წლის 27-ლ ოქტომბერს რადიოთი. მან,სხვათა შორის, თქვა:

1959 წლის საკავშირო აღწერით საქართველოში ცხოვრობდა 35–ათასი ქართველი ებრაელი. როდის და საიდან მოვიდნენ ებრაელები საქართველოში?

ქართველი ებრაელები უძველესი დროიდან ცხოვრობენ საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. ისტორიულად დასაბუთებულია, რომ პირველი ებრაელები საქართველოში დასახლდნენ ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე საუკუნეში. ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ იუდეას სამეფოს დედაქალაქის იერუსალიმის დანგრევის შემდეგ. როგორც ცნობილია, ეს მოხდა 586 წელს ძველი წელთაღრიცხვით. საქართველოში უძველესი დროიდანვე მოსახლე ებრაელები ქართველეთაგან არავითარ დევნასა და შევიწროებას არ განიცდის. ქართველი მშრომელი ებრაელობის მოწინავე ნაწილი ქართველ და სხვა ხალხთა რევოლუციონერებთან ერთად აქტიურად იბრძოდა მეფის რუსეთის თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ.

თბილისი 27.10.1969წ.

ახლა გადავხედოთ იერუსალიმს, ამ მსოფლიო რელიგიათა დედაქალაქის ზოგიერთ ისტორიულ მონაცემებს:
აი ერთი ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფო-
ნის ფირზე:

(ფირი....................)
========================

(ფირი....)
ლაპარაკობს დავით თაბორიძე იერუსალიმიდან

დღეს არის 1981 წლის 18 აგვისტო, დღის ორი საათი, და ეხლა მე მივდივარ იერუსალიმის ძველი ნაწილის დასათვალიერებლად, და ვარ ერთად ჯგუფში, რომ ლსაც ჰყავს თავისი გიდი, და ვნახოთ რას გვეტყვის ეს ძველი ქალაქის იერუსალიმის შესახებ რომელიც ასე დაკავშირებულია, პირველ ყოვლისა, იესო ქრისტეს სახელთან.) (ფირის დასასრული)

ჯერ მოკლედ გადავხედოთ იერუსალიმის წარსულს: იერუსალიმს=*Jerusalem*, ებრაულად ეწოდება "იერუშალაიმ"=*Jeruschalajim*, *EL KUDS*, არაბულად კი "ელ კუდს"= *El Kuds*; და დღეს არის ისრაელის სახელმწიფოს დედაქალაქი, თუმცა იერუსალიმის [illegible] იორდანული ნაწილისა და ისრაელის ნაწილის გაერთიანება 1968 წელს ცნობილი არ არის საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. იერუსალიმის მოსახლეობის რაოდენობა კი 1967 წელს უდრიდა 260.000-ს სულს, რომელთაგან 65.000-სი არა? ია.

იერუსალიმი პირველად აღნიშნულია ერთ ეგვიპტურ ტექსტში ძველი წელთაღრიცხვის 1850 წელში. ამარნაში აღმოჩენილ იქნა აგრეთვე მეფე ურუსალიმუს წერილები ეგვიპტის ფარაონ ანენოფისადმი 1360-ი წლით დათარიღებული ქრისტეს დაბადებამდე. იერუსალიმი დაიპყრო 1000-ს წელს ქრისტეს დაბადებამდე დავითმა და გახადა ის "დავითის ქალაქად", საიდანაც ის ებრაელთა ტომებს მართავდა. მაშინ ქალაქს ამშვენებდა ციხესიმაგრე-სასახლე და ტაძარი, რომელსაც უწოდებდნენ "სიონ-ს"= *Zion*. 975-ტ წელში ქრისტეს დაბადებამდე აღწერილ იქნა მეფე სოლომონის ტაძარი იერუსალიმის "მაღალ მთაზე", ე.ი. აკროპოლზე, რომელიც, როგორც ჩანს, იყო მოგრძო ნაგებობა "წმინდა შესავალით"="პეკალ" და ამაღლებული უწმინდესი ადგილით="დებირ". ამ ადგილას შემდეგ აგებულ იქნა არაბული ტაძარი. იერუსალიმის ცვალებადი ისტორიული ბედი [illegible] (63-ე წელს ქრისტეს დაბადების წინ ამ ქალაქის რომაელი მხედართმთავარის პომპეიუსის მიერ დაპყრობით. მაშინ იერუსალიმის მოსახლეობა უდრიდა 25.000-ს სულს და სტუმრობას უწევდა დაახლოებით 100.000-ს ებრაელს რელიგიური დღესასწაულების დროს, ხმელთაშუაზღვისა და აღმოსავლეთის რაიონებიდან. "ტაძრების

მთაზე"="აკროპოლისზე" კი აგებულ იქნა რომაული ტაძარი "იუპიტერ კაპიტოლინუსი".რომაელებმა იერუსალიმს უწოდეს "აელია კაპიტოლინა" და ებრაელებს აუკრძალეს - სიკვდილის სასჯელით - ქალაქში შესვლა. ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინემ ქრისტეს"წმინდა საფლავზე" ააგო ბაზილიკა და ამით იერუსალიმი გახდა ქრისტიანული ქალაქი. 637-ც წელს ყალიფამ ომარმა დაიპყრო იერუსალიმი და უწოდა "ელ კუდს"= "წმინდა" თუ "ბაიც ელ მაკდის"="წმინდა ადგილი", და შეუერთა აღმავალ არაბულ იმპერიას. 700-ან წლებში კი არაბებმა ააგეს ისლამური "კლდის-ტაძარი"(მეჩეთი) იერუსალიმში. მრავალი დამპყრობელი ბრძოლობდა იერუსალიმის დაპყრობისათვის თვით ევროპიელი ჯვაროსნების ჩათვლით. 1917-ც წელს იერუსალიმი პალესტინის მთავარი ქალაქია და ინგლისის პროტექტორატის ქვეშაა. 1948 წელს კი,როცა თითქმის ორი-ათასი წლის შემდეგ ისრაელი,როგორც ებრაელთა სახელმწიფო ისევ აღსდგა და დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა, იერუსალიმი გაყოფილ იქნა ისრაელსა და იორდანიას შორის. ისრაელის პარლამენტმა 1950 წელს იერუსალიმი გამოაცხადა ისრაელის დედაქალაქად. ე.წ-ლი"ექვს-დღიანი-ომის" დროს, ისრაელმა დაიკავა იერუსალიმის იორდანული ნაწილიც და, როგორც ავღნიშნე, 1950 წელს გამოაცხადა ისრაელის ერთიან დედაქალაქად.

იერუსალიმი არის რელიგიათა ქალაქი: ამ ქალაქთანაა დაკავშირებული ებრაული,ქრისტიანული და მაჰმადიანური მსოფლიო რელიგიები. იერუსალიმის ძველ ნაწილშია სამი რელიგიის წმინდა ადგილები: ებრაული რელიგიის ე.წ-ლი"გოდების კედელი",რომელიც ნარჩენია სოლომონის ტაძრისა; "კლდის ტაძარი" და "ალ-აკცა-მეჩეთი" ისლამური რელიგიისა;"საფლავის-ტაძარი",რომელიც იესო ქრისტესთანაა დაკავშირებული. იერუსალიმი სავსეა საპატრიარქოებით,ტაძრებით,მონასტრებით, სინაგოგებით, მეჩეთებით,საქველმოქმედო უწყებებით, რაც ახე იზიდავს მლოცველებსა და ტურისტებს.

ივანე სტოეჯუნი

# შოთა რუსთაველის ფრესკა

ხელოვნება • თბილისი • 1981

სტოეჯნის —

## მოკლე ნარკვევი იერუსალიმის ისტორიაზე

იერუსალიმს უძველეს დროში სემატურად „სალემს" უწოდებდნენ, ე. ი. სამყაროს; ანუ არაბულად — „ელ — კოდოსს ე. ი. წმინდას. ახლანდელი ებრაელები ისრაელში — „იერუშალაიმ"-ს, ხოლო ქრისტიანები უწინაც და დღესაც, „უფლის ქალაქს", „წმინდა ქალაქს" და ა. შ.

ქრისტიანობის ისტორია მჭიდროდ არის დაკავშირებული იერუსალიმის ისტორიასთან. აქ ჩაისახა ქრისტეს სიცოცხლისა და სიკვდილის ლეგენდა. გადმოცემით ძველ იერუსალიმში აღმართული იყო „ქრისტეს საფლავის ტაძარი".

ძველი იერუსალიმის ქრისტეს საფლავის ტაძრის ეკლესიის შუაგულში, გუმბათქვეშ ძევს მოწითალო მარმარილოსაგან გაკეთებული საფლავის ქვა. ამ ქვაზე აღმართულია ოქროს კოშკი, რომელსაც ოთხკუთხა ფორმის კლდის ნატეხის ფორმა აქვს. კოშკში მარადიული ცეცხლი ანთია და სწორედ ამ ადგილებისაკენ მიისწრაფოდნენ ქრისტიანი მლოცვარები საუკუნეების განმავლობაში. ამჟამად „ქრისტეს საფლავს" სამი ეკლესია განაგებს — ბერძნული, კათოლიკური და სომხურ-გრიგორიანული და მას არც ერთი მათგანი არ აკლებს ზრუნვას.

ჩვენი წელთაღრიცხვით 313 წელს რომის იმპერატორმა კონსტანტინემ ქრისტიანობა დააკანონა და სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა. მან დიდი სამშენებლო სამუშაოები გააჩაღა იერუსალიმში, რომელიც მთელი მსოფლიოს ქრისტიანული სამყაროს სამლოცველო ცენტრად გადააქცია.

იერუსალიმი მრავალრიცხოვანი ომებისა და ბრძოლების ასპარეზი გახლდათ. XI—XIII საუკუნეებში იგი დასავლეთ ევროპის ფეოდალთა სამხედრო აგრესიის ჯვაროსანთა ლაშქრობების ობიექტი გახდა. სულ 11 ლაშქრობა შედგა. მათი ისტორიული მიზეზები კარგად არის ცნობილი. წვრილმა, გაღატაკებულმა რაინდობამ, თითქოსდა „უფლის საფლავის" განთავისუფლების ან დაცვის საბაბით, ხელი მიჰყო ეკონომიკურად განვითარებული აღმოსავლეთის ქვეყნების ძარცვას, ახალი მიწებისა და ყმების მითვისებას. კათოლიკური ეკლესია, რომელიც იდეურად და ნაწილობრივ, ორგანიზაციულად ჯვაროსანთა ლაშქრობებს მეთაურობდა, ისწრაფოდა თავისი საკუთარი მიწათმფლობელის მდგომარეობაც განემტკიცებინა.

XI საუკუნის დამლევს აღმოსავლეთი ერთმანეთს შორის მოქიშპე თურქეთის სასულთნოებს (მისული, დომასკი, გალები, იკონია) წარმოადგენდა. ამ რეგიონის ასეთი პოლიტიკური დაქსაქსულობა დამპყრობლების ამოცანას აადვილებდა.

საფრანგეთში ჯვაროსანთა ლაშქრობების ორგანიზაციის ყველაზე მგზნებარე აგიტატორი იყო „წმინდა მიწაზე" ნამყოფი პეტრე პუსტინიკი. აი, რას მოგვითხრობს ჯვაროსანთა ლაშქრობების ერთი ძველი აღწერილობა. „ვინმე პეტრე პიკარდელი პუსტინიკი, პალესტინიდან დაბრუნების შემდეგ პაპს ურბან II მიეახლა და გულის ამაჩუყებელი სიტყვებით მოუთხრო იმ უბედურებაზე, რომელიც თავს დაატყდათ ქრისტიანებს პალესტინაში. პაპმა დალოცა იგი ასეთი მნიშვნელოვანი საქმისათვის (ჯვაროსნული ლაშქრობის ორგანიზაციისათვის). ძონძებში გამოწყობილმა და წელზე თოკშემოკერილმა პუსტინიკმა ქალაქები და სოფლები შემოიარა. თავისი ენამჭევრობით ყველას შთაბერა ურჯულოთაგან წმინდა მიწის განთავისუფლების დაუძლეველი სურვილი. ამასთან დაკავშირებით ურბან II მაშინვე კრება მოიწვია კლერმონში (1095 წ. საფრანგეთი — ი. ს.). კრებაზე დიდძალი ხალხი და, მათ შორის, ბევრი რაინდი გამოცხადდა. მღვდელმთავარმა მათ ქრისტეს საფლავის ქრისტიანობის მტრებისაგან დასახსნელად შეიარაღება შესთავაზა. მისი მჭევრმეტყველებით მოხიბლულებმა, ერთხმად შესძახეს" „ღმერთს ასე სურს". „ჭეშმარიტად, ღმერთს ასე სურს", — თქვა მღვდელმთავარმა, — დაე ჯვარი იესო ქრისტესი ფარავდეს ამ წმინდა ლაშქარს". „ისინი მგზნებარე ენთუზიაზმით გაემართნენ მღვდელმთავრისაკენ. რათა პირადად მისი ხელიდან მიეღოთ საკუთარ ტანსაცმელებზე მისამაგრებელი წითელი ნაჭრის ჯვრები. აღტყინებამ (ენთუზიაზმმა) ბევრი იმდენად მოიცვა, რომ გახურებული შანთით ტანზე ჯვრებს იწვავდნენ. აქედან წარმოიშვა ჯვაროსნული ლაშქრობის სახელწოდება"[1].

ჯვაროსანთა პირველ ლაშქრობაში (1096—1146 წლები) ძირითადად გლეხები მონაწილეობდნენ. მათმა ლაშქარმა, პეტრე პუსტინიკის მეთაურობით მცირე აზიამდე მიაღწია, თუმცა კი დამარცხდა და თვითონ პუსტინიკმა კონსტანტინოპოლში გაქცევით უშველა თავს. ჯვაროსნების მეორე მეთაურმა, გოტფრიდ ბულონსკიმ, რომელსაც კარგად გაწვრთნილი და

[1] И. К. Кайданов. Крестовые походы, часть II. СПб., 1826

ორგანიზებული ჯარები ჰყავდა, იერუსალიმამდე მიაღწია და სამდღიანი შეტევის შემდეგ 1099 წლის 15 ივლისს აიღო იგი. იერუსალიმში შეჭრისას მათ მასობრივად ამოჟლიტეს (ამოხოცეს) მაჰმადიანები და ებრაელები. „დავითის ქალაქი დაეცა. აღტაცებულმა ქრისტიანებმა გოტფრიდი იერუსალიმის მეფედ გამოაცხადეს“[2]. იერუსალიმის სამეფომ 1099 წლიდან 1187 წლის ჩათვლით იარსება.

იერუსალიმის აღების შემდეგ ჯვაროსნებმა ჯვრის მონასტერს მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიაყენეს, მაგრამ იძულებული გახდნენ, ქართველებისათვის დაეტოვებინათ, რადგან არ უნდოდათ, საქართველოსთან კარგ დამოკიდებულებაში მყოფ ბიზანტიასთან ურთიერთობა გაემწვავებინათ.

დაიპყრეს თუ არა ქალაქი, ჯვაროსნებმა ეგრეთ წოდებული ახალი იერუსალიმი გააშენეს. შემდეგში „წმინდა ადგილების“ დაცვის ფუნქცია ორმა ქრისტიანულმა ეკლესიამ გაინაწილა: მართლმადიდებლურმა და კათოლიკურმა; ზუსტად ამ პერიოდში ყველა ქრისტიანული ეკლესია ინტენსიურად აშენებდა ტაძრებს, ეკლესიებს და მონასტრებს „წმინდა ადგილებზე“.

ამ პერიოდში, 1102 წელს, დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, ქართველებმა რესტავრაცია გაუკეთეს იერუსალიმში რეჰავიას კვარტალში მდებარე ჯვრის მონასტერს. ამასთან სამნეფიანი ბაზილიკა გუმბათოვან ტაძრად გადააკეთეს.

1187 წელს სულთანმა სალადინმა ეგვიპტე და სირია დაიმორჩილა. მან გიტინთან დაამარცხა იერუსალიმის სამეფოს ჯარები, მთელი პალესტინა დაიმორჩილა და იერუსალიმი

[2] И. К. Кайданов. Крестовые походы. часть II. СПб., 1826.

4. ი. სტოვბუნი

დაიპყრო. იერუსალიმის სამეფომ შეწყვიტა არსებობა.. სწორედ ეს პერიოდია საინტერესო რუსთველოლოგებისათვის.

იმ ხანებში ბიზანტიის იმპერია, რომელთანაც ქართველებს კარგი ურთიერთობა ჰქონდათ, დაკავშირებული იყო აგრეთვე სალადინთან. მეფე თამარმაც, როგორც უკვე ვთქვით, აღარ გაამწვავა მასთან ურთიერთობა. სალადინთან გონივრული, დიპლომატიკური ურთიერთობით მიაღწია იმას, რომ ქართულ ეკლესიას და ქართველ მლოცვარებს ისეთი პრივილეგიური მდგომარეობა შეექმნათ „წმინდა მიწაზე“, როგორიც არც ერთ სხვა ქრისტიანულ ეკლესიას არა ჰქონია. ამაზე ისტორიკოსი ა. ცაგარელი წერდა: „მეფე თამარმა... 1192—1193 წ.წ. სალადინს, მის მიერ დაპყრობილ „წმინდა ჯვარში“ (ანუ ჯვარის მონასტერში) 200 ათასი დინარი შესთავაზა და მოსთხოვა ყველა იმ ქართული წმინდა რელიქვიების დაბრუნება, რომლებიც კი მუსლიმანებმა ქართველებს წაართვეს იერუსალიმის აღების დროს...“ გარდა ამისა, ცაგარელი ფიქრობს რომ რუსთაველმა ჯვრის მონასტერი თამარ მეფის ნება-სურვილითა და მხარდაჭერით მოხატა. ქართული წარწერები ჯვრის მონასტერში გვხვდება ბრინჯაოზე, მარმარილოსა და უბრალო ფილებზე, კედლებზე[3].

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ სალადინისადმი თამარ მეფის მიმართვის თარიღი (1192 წელი) და რუსთაველის იერუსალიმში ჩასვლის პერიოდი (იგივე 1192 წელი). სავსებით ნათელია, რომ მონასტრის განადგურებისა და გაძარცვის შემდეგ, თამარმა გადაწყვიტა, სალადინთან დადებული

[3] А. Цагарели. Памятники грузинской старины на Святой земле и в Синае. «Православный Палестинский сборник», том, IV, СПб., 1888, стр. 107.

ხელშეკრულების მიხედვით აღადგინა, თავიდან მოხატა და შეამკო მონასტერი. ეს საპატიო მისია, როგორც ჩანს, შოთა რუსთაველს ხვდა წილად, რომელიც ზოგიერთი მკვლევარის აზრით, მხატვარიც ყოფილა.

შემდგომ ამბებზე ი. კ. კაიდანოვი წერს: „პალესტინის ბედი გადაწყდა. მამლუქები, გაანადგურეს რა განთქმული სალადინის შთამომავალთა სამფლობელოები, დაიძრნენ იმა ქვეყნისკენ, რომელიც ასე მნიშვნელოვანი და ძვირფასი იყო ქრისტიანთათვის და რომელიც მათ სიცოცხლის ფასად დაუჯდათ. ქრისტიანები შეიარაღდნენ. გაჩაღდა სისხლისმღვრელი ბრძოლები და დამთავრდა ქრისტიანობის დაცემით აზიაში. ჯვაროსნული ლაშქრობებიც დასრულდა"[4].

ჯვაროსანთა ლაშქრობები, რომლებმაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლეს, დიდძალი თანხა ჯდებოდა და კულტურული განძეულობის უაზრო განადგურებამდე მიგვიყვანეს, ხალხში აღვივებდნენ და ავრცელებდნენ ცრუმორწმუნეობას და ფანატიზმს, იმავე დროს ხელს უწყობდნენ აღმოსავლეთის გავლენას ევროპის კულტურაზე, რითაც მნიშვნელოვნად გააფართოეს ევროპელების კულტურული ჰორიზონტი და შემეცნება.

1229 წელს, იმპერატორმა ფრიდრიხ II დაამარცხა სულთანი ალ-მალეკ-კამილი და შეუთანხმდა მას, რომ ქალაქი ჯვაროსნებისათვის გადაეცა ათი წლით, ათი თვითა და ათი დღით.

1239 წელს იერუსალიმი ემირმა კერაკ (ყერაყ) არაბიმ დაიპყრო, მაგრამ ოთხი წლის შემდეგ ქალაქი კვლავ ჯვაროსნებმა დაიპყრეს.

---

[4] И. К. Кайданов. Крестовые походы. часть, II. СПб., 1826.

1244 წელს პალესტინაში მონგოლური ურდოები შეიჭრნენ. მათ სულ ერთიანად აღგავეს პირისაგან მიწისა იერუსალიმი და მოსახლეობა მთლიანად ამოხოცეს.

1260 წელს სულთანმა ბაივარსმა აინ-ჯალუდთან ბრძოლაში დამარცხება აგემა მონგოლებს. ამიტომაც ისინი იძულებული გახდნენ, დაეტოვებინათ პალესტინა.

1291 წელს სენ-ჟან-დაკრასთან სულთანმა ალ-მალეკ-ალაშრაფამ ჯვაროსნები გაანადგურა, რითაც ბოლო მოეღო „წმინდა მიწაზე" ჯვაროსანთა ლაშქრობას.

იერუსალიმი მამლუქების ხელში აღმოჩნდა, 1517 წელს კი იგი თურქებმა დაიპყრეს.

მას შემდეგ, თითქმის ოთხი საუკუნის განმავლობაში, იერუსალიმი თურქების უღელქვეშ იმყოფებოდა. საგრძნობლად გაუარესდა ქრისტიანული ეკლესიის მდგომარეობა „წმინდა მიწაზე". არც ქართული ეკლესიისა და ჯვრის მონასტრის მდგომარეობა იყო სახარბიელო. ასეთ მტრულ გარემოცვაში, როდესაც ქართველი ხალხი უზომო ხარკს უხდიდა თურქ სულთანებს, საქართველომ მაინც მოახერხა თავისი პოზიციების შენარჩუნება. „და ამ დროიდან, — მართებულად მიუთითებს ა. ცაგარელი, — სამნახევარი საუკუნის განმავლობაში საქართველო ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო იყო აზიაში, ამ მუსლიმანური მორევის შუაგულში"[5].

მაგრამ პალესტინაში ქართველთა მოღვაწეობის დაცემა თუ აღმავლობა, ასევე ჯვრის მონასტრის საქმიანობა, ძირითადში დამოკიდებული იყო საქართველოს პოლიტიკური თუ

---

[5] А. Цагарели. Памятники грузинской старины на Святой земле и в Синае. «Православный Палестинский сборник». том. IV, СПб., 1888.

ეკონომიკური ცხოვრების დონის დაცემასა და ალმაველობაზე. იყო ხანგრძლივი პერიოდები, როდესაც ქართველებს პალესტინაში არ შეეძლოთ აქტიური კულტურული მოღვაწეობა. როგორც ცნობილია, XV—XVI საუკუნეებში ფეოდალური საქართველო დაიშალა ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად; მისი მოკავშირე ბიზანტიის დაცემასთან დაკავშირებით (1453 წელი) საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა. იგი ორ ცეცხლშუა აღმოჩნდა, — ოტომანურ თურქეთსა და სეფევიდურ ირანს შორის, რომლებიც აგრესიულ პოლიტიკას ატარებდნენ. ისინი ცდილობდნენ არა მარტო იმას, რომ საქართველო თავიანთ ვასალად გადაექციათ, არამედ ქართველი ხალხის ასიმილირება და ფიზიკური განადგურებაც კი მოინდომეს. საქართველოს ხსნის ერთადერთ იმედად რუსეთი რჩებოდა და 1801 წელს საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა.

XIX საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში თურქეთის ბატონობა ათი წლით ეგვიპტის ფაშის — იბრაგიმის ბატონობით შეიცვალა.

1813 წელს ეგვიპტის ვიცე-მეფემ მუჰამედ ალიმ პალესტინა დაიპყრო, რომელსაც იგი 1841 წლამდე განაგებდა: შემდეგ პალესტინაში კვლავ თურქები გაბატონდნენ.

1851 წლიდან პალესტინა წარმოადგენდა განხეთქილების მიზეზს დასავლეთის სახელმწიფოებს შორის, რომლებიც ფორმალურად იბრძოდნენ „წმინდა მიწაზე“ ოტომანური იმპერიისაგან ქრისტიანების „დასაცავად“, ფაქტობრივად კი — თავიანთი გავლენის გაზრდისათვის.

1917 წლის 11 დეკემბერს ანტანტის ჯარებმა იერუსალიმი თურქეთს ხელიდან გამოგლიჯეს; მეორე მსოფლიო ომამდე პალესტინას, მანდატის თანახმად, ინგლისი ფლობდა, მაგრამ ომის შემდეგ მან დაკარგა ეს მანდატი. 1947 წელს ამ რეგიონში ჩამოყალიბდა ისრაელის სახელმწიფო.

იერუსალიმის შემდგომი ბედის საკითხი განსაკუთრებულ განხილვას საჭიროებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1947 წლის 29 ნოემბრის რეზოლუციის თანახმად პალესტინა ორ დამოუკიდებელ — არაბულ და ებრაულ სახელმწიფოდ გაიყო. ქალაქი იერუსალიმი გამოიყო როგორც განსაკუთრებული საერთაშორისო რეჟიმის მქონე დამოუკიდებელი ადმინისტრაციული ერთეული, რომელსაც უხელმძღვანელებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებული სამეურნეო საბჭო.

მაგრამ ისრაელმა მაინც უხეშად დაარღვია ეს გადაწყვეტილება. ჯერ კიდევ 1948 წელს მიითვისა იერუსალიმის მნიშვნელოვანი ნაწილი (ახალი იერუსალიმი), ხოლო 1967 წლის ივნისში მეზობელ არაბულ ქვეყნებთან აგრესიის პერიოდში დაიპყრო დარჩენილი ნაწილიც (ძველი იერუსალიმი).



ხელოვნება ● თბილისი ● 1991

როგორც წინა გადაცემებში ავღნიშნე, იერუსალიმის ძველი ქალაქი

პირველად დავათვალიერე 1981 წლის 18-ც აგვისტოს ტურისტთა ერთ ჯგუფთან ერთად, ხოლო მეორე დღეს - 19-ც აგვისტოს - ხელმეორედ დავათვალიერე ეს, ასე ვთქვათ, "რელიგიათა ქალაქი". აი ჩემი ჩანაწერი მაგნიტოფონის ფირზე:

(ფირი..........)

ლაპარაკობს დავით თაბორიძე იერუსალიმიდან!

დღეს არის 1981 წლის 19 აგვისტო. ეხლა მე ვდგევარ, პატივცემული მსმენელებო, იერუსალიმის ძველი ქალაქის-იაფას კარებთან, ე.ი. ეს ჭიშკარი არის იმ მიმართულებით, საიდანაც იაფას ნავსადგურიდან, ძველ დროში, მოდიოდნენ მლოცველები და შედიოდნენ იერუსალისიმ ძველ ქალაქში. იერუსალიმის ძველი ქალაქი შემოღობილია მაღალი გალავანით, რომელიც დღესაც უკვე შეკეთებულია და მთელ ქალაქს არტყია ირგვლივ. ამ გალავანის სიგრძე არის, ე.ი. შემოვლებული მთელი როგორც გუშინ დათვალიერებისას გიდმა თქვა, ხუთი მაილი, ე.ი. დაახლოებით რვა კილომეტრი. ამ ძველ ქალაქში არის, ასე ვთქვათ, კერა სამი დიდი რელიგიისა: ეს სამი დიდი რელიგიაა, ქრონოლოგიურად რომ ვთქვათ, იუდაიზმი, რომელიც აქ, ასე ვთქვათ, დაიბადა; და მეორე დიდი რელიგია, რომელიც აქ ამ წმინდა ქალაქში წარმოიშვა, ეს არის ქრისტიანიზმი, რომლისაგან დასაბამს ღებულობს ჩვენი წელთაღრიცხვა-ამჯერად 1981 წელი. აქ ამ წმინდა ქალაქში აღნიშნულია ქრისტეს წამების ყველა საფეხურები, რომელსაც აქ უძახიან "სადგურს"-დაწყებული სადგურიდან გათავებული 14-ე სადგურამდე; და აი ამ გზას, ე.ი. ამ წამების გზას გავიარე მე, მიკროფონით ხელში, და შევეცდები განვმარტო ქრისტიანული რელიგიის ამ კერის მნიშვნელობა, უფრო სწორად, გზა ქრისტეს წამებისა. მესამე რელიგია, რომელიც აქვე პოულობს თავის კერას ეს არის ისლამი-მაჰმადიანური რელიგია. შევიდეთ თვით ამ ქალაქში და დავათვალიეროთ უმთავრესად გზა წამებისა იესო ქრისტესი, რომლის ცალკეულ ნაწილებს მე დავათვალიერებ.

(ფირის დასასრული.....)

და აქვე მსურს, ჯერ, სანამ იერუსალიმის ძველ ქალაქს დავათვალიერებდეთ, მოგაგონოთ "ბიბლიის" მეორე წიგნიდან "ახალი აღთქმიდან"-ის ადგილები, რომლებიც ეხება იესო ქრისტეს წამებასა და აღდგომას.

"ახალი აღთქმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი" შეიცავს, სხვათა შორის, მათეს სახარებას, რომელშიც აღწერილია ქრისტეს შესვლა იერუსალიმში, მისი წამება და იესო ქრისტეს აღდგომა. აი ამონაწერები ბიბლის მეორე წიგნიდან "ახალი აღთმა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი":

58 მათე 20

სამართლიანი იქნება, მოგცემთ, და წავიდნენ.

5 კიდევ გამოვიდა მეექვსე და მეცხრე საათს, და ასევე გააკეთა.

6 გამოვიდა მეთერთმეტე საათს, ნახა სხვები მდგომარენი და უთხრა მათ: რატომ დგახართ აქ მთელ დღეს უქმად?

7 ხოლო მათ უთხრეს მას: რადგან არავინ დაგვიქირავა ჩვენ. უთხრა მათ: წადით თქვენც ვენახში [და რაც სამართლიანი იქნება მოგცემთ].

8 როცა მოსაღამოვდა, ვენახის პატრონმა უთხრა თავის მნეს: დაუძახე მუშებს და გადაუხადე ქირა, უკანასკნელიდან დაწყებული პირველამდე.

9 მოვიდნენ ისინი მეთერთმეტე საათიდან და მიიღეს თითო დინარი.

10 პირველად მოსულები კი ფიქრობდნენ, რომ მეტს მიიღებდნენ; მაგრამ იმათაც თითო დინარი მიიღეს.

11 ხოლო როცა მიიღეს, ბუზღუნი დაიწყეს სახლის პატრონის მიმართ.

12 და ამბობდნენ: ამ უკანასკნელებმა მხოლოდ ერთი საათი იმუშავეს და შენ ისინი გაათანაბრე ჩვენთან, ვინც ვიტვირთეთ დღის სიმძიმე და სიცხე.

13 მან კი ერთ მათგანს მიუგო პასუხად: მეგობარო, მე არაფერი მიწყენინებია შენთვის; განა დინარად არ მომირიგდი?

14 აიღე შენი და წადი; მე კი მინდა ამ უკანასკნელსაც იგივე მივცე, რაც შენ.

15 განა არ მაქვს უფლება, იმით, რაც ჩემია, რაც მინდა, ის გავაკეთო? თუ შენს თვალს შურს, რომ მე კეთილი ვარ?

16 ასე გახდებიან უკანასკნელნი პირველი და პირველნი – უკანასკნელნი. [ვინაიდან მოწოდებული ბევრია, რჩეული კი ცოტა]. მათ.19.30; 22.14

*წინასწარმეტყველება იესოს სიკვდილის შესახებ*

17 იერუსალიმს რომ ადიოდა, იესომ თან წაიყვანა თორმეტი განცალკევებით და უთხრა მათ გზაში:

18 აი, ჩვენ ავდივართ იერუსალიმს, და ძე კაცისა გადაეცემა მღვდელმთავრებსა და მწიგნობართ, და მსჯავრს დაადებენ მას სასიკვდილოდ. მარ.10.33; ლუკ.18.31.

19 და გადასცემენ მას წარმართებს, რომ შებღალონ, გაროზგონ და ჯვარს აცვან. და მესამე დღეს აღდგება. იოან.18.31

60 მათე 21

33 უთხრეს მას: უფალო, თვალები რომ აგვეხილოს.

34 შეებრალა იესოს ისინი და შეეხო მათ თვალებს, უცებ აეხილათ და გაჰყვნენ მას.

## თ ა ვ ი 21

*იესოს შესვლა იერუსალიმში; ბალბის ზეთი.*

1 როცა იერუსალიმს მიუახლოვდნენ და ბეთბაგეში მიადგნენ ზეთისხილის მთასთან, მაშინ იესომ გაგზავნა ორი მოწაფე. მარ.11.1 ლუკ.19.29.

2 უთხრა მათ: წადით სოფელში, რომელიც თქვენს პირდაპირ არის; მაშინვე იპოვით დაბმულ ვირს ჩოჩორთან ერთად: ახსენით და მომგვარეთ მე.
3 და თუ ვინმე რამეს გეტყვით, უთხარით: უფალს სჭირდება; და მაშინვე გამოგზავნის მათ.
4 ყოველივე ეს მოხდა, რათა აღსრულდეს წინასწარმეტყველის მიერ ნათქვამი, რომელიც ამბობს:
5 უთხარით სიონის ასულს: აი, მეფე შენი მოდის შენთან მშვიდი, ზის ვირსა და ჩოჩორზე, კარაულის ნაშობზე.
ეს.62.11; ზაქ.9.9; იოან.12.15.
6 მოწაფეები წავიდნენ და ისე მოიქცნენ, როგორც იესომ უბრძანა.
7 მოჰგვარეს ვირი და ჩოჩორი, დააწყეს ზედ თავიანთი სამოსელნი და დაჯდა მათზე. მარ.11.7.
8 ხოლო დიდძალი ხალხი თავის სამოსელს უფენდა გზაზე, სხვები კი ხეებიდან ტოტებს ჭრიდნენ და გზაზე უფენდნენ.
იოან.12.13.
9 და ხალხი, მის წინ მიმავალი და უკან მიმდევარი, შესძახოდა: ოსანა დავითის ძეს! კურთხეულ არს უფლის სახელით მომავალი! ოსანა, სიმაღლეთა შინა!
ფს.117.26; მარ.11.10; ლუკ.19.38.
10 და როცა ის შევიდა იერუსალიმს, მთელი ქალაქი შეიძრა და ამბობდნენ: ვინ არის ეს?
11 ხალხი კი ამბობდა: ეს არის იესო, წინასწარმეტყველი გალილეის ნაზარეთიდან.

*ტაძრის განწმენდა; ბრმებისა და კოჭლების განკურნება*

12 შევიდა იესო ტაძარში და განდევნა ყველა, ვინც ყიდდა და ყიდულობდა ტაძარში, მოაყირავა ფულის გადამცვლელთა მაგიდები და მტრედების გამყიდველთა სკამები.
მარ.11.15; ლუკ.19.45; იოან.2.14.
13 და უთხრა მათ: დაწერილია: ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება. თქვენ კი ავაზაკთა გამოქვაბულად აქციეთ იგი. ეს.56.7; იერ.7.11; მარ.11.17; ლუკ.19.46.
14 და მოვიდნენ მასთან ტაძარში ბრმები და კოჭლები, და მან განკურნა ისინი.
15 როცა მღვდელმთავრებმა და მწიგნობრებმა დაინახეს სასწაულნი, რომელნიც მან მოახდინა, და ბავშვები, რომლებიც ტაძარში იძახდნენ და ამბობდნენ: ოსანა დავითის ძეს, – უხალისოდ გახდნენ.
16 და უთხრეს მას: თუ გესმის, რას ამბობენ ესენი? იესომ კი უთხრა მათ: ჰო! ნუთუ არასოდეს წაგიკითხავთ: ყრმებისა და ძუძუმწოვრების პირით დაიმკვიდრე დიდება? ფს.8.3.
17 დატოვა ისინი, გავიდა ქალაქიდან ბეთანიაში და ღამე იქ გაათია.

*ლეღვის ხის გახმობა; რწმენის შესახებ*

18 განთიადისას, ქალაქში რომ ბრუნდებოდა, მოშივდა.
19 დაინახა ერთი ლეღვი გზაზე, მიუახლოვდა მას და ვერაფერი იპოვა ზედ, გარდა ფოთლებისა, დაეუბნება მას: ნუღარ გექნეს შენ ნაყოფი უკუნისამდე. და უცბად გახმა ლეღვი. მარ.11.13.
20 მოწაფეებმა რომ დაინახეს ეს, გაუკვირდათ და თქვეს: რა უცბად გახმა ეს ლეღვი!
21 მიუგო იესომ მათ პასუხად: ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: თუ რწმენა გექნებათ და არ დაეჭვდებით, მარტო ამას კი არ გააკეთებთ, რაც ამ ლეღვს შეემთხვა, არამედ ამ მთასაც რომ უთხრათ, აიწიე და ზღვაში ჩავარდიო, – ასე იქნება.
მათ.17.20; ლუკ.17.6; იაკ.1.6.
22 და ყველაფერს, რასაც ლოცვაში ითხოვთ რწმენით, მიიღებთ. მათ.7.7; მარ.11.24; იოან.14.13.

*რომელი ძალაუფლებით?*

23 როცა ტაძარში მივიდა და ასწავლიდა, მიუახლოვდნენ მას მღვდელმთავრები და ხალხის უხუცესნი და უთხრეს მას: რომელი ძალაუფლებით აკეთებ ამას და ვინ მოგცა შენ ეს ძალაუფლება? მათ.7.29; მარ.11.28; ლუკ.20.1-2.

იგივე სიტყვები წარმოთქვა.

45 მაშინ მიდის მოწაფეებთან დაეუბნება მათ: თქვენ ისევ გძინავთ დაისვენებთ? აი, მოახლოვდა საათი და ძე კაცისა გადაეცემა ცოდვილთა ხელთ.

46 ადექით, წავიდეთ, აგერ, მოახლოვდა ჩემი გამცემი.]

### იესოს გაცემა და შეპყრობა

47 და ჯერ კიდევ ლაპარაკობდა, აი, მოვიდა იუდა, ერთი თორმეტთაგანი, მასთან ერთად დიდძალი ხალხი მახვილებით და კეტებით – მღვდელმთავრებისგან და ხალხის უხუცესთაგან.
მარ.14,43; ლუკ.22,47; იოან.18,3.

48 ხოლო მისმა გამცემმა მისცა მათ ნიშანი და უთხრა: ვისაც მე ვეამბორები, ის არის, შეიპყარით.

49 მყისვე მივიდა იესოსთან და უთხრა: გიხაროდეს, რაბი! – და ეამბორა.

50 ხოლო იესომ უთხრა მას: რისთვის მოსულხარ, მეგობარო? მაშინ მივიდნენ, ხელები დაადეს იესოს და შეიპყრეს იგი.

51 და აი, ერთ-ერთმა იესოსთან მყოფმა ხელი გაიწოდა, იძრო თავისი მახვილი, დასცხო მღვდელმთავრის მონას და ყური მოკვეთა.

52 მაშინ იესომ უთხრა მას: თავის ადგილას ჩააბრუნე ეგ მახვილი, ვინაიდან ყველა, ვინც მახვილს აიღებს, მახვილით დაიღუპება.
დაბ.9,6; გამოც.13,10.

53 იქნებ გგონია, რომ არ შემიძლია შევევედრო ჩემს მამას და მან წარმომიდგინოს ახლა თორმეტზე მეტი ანგელოზთა ლეგიონი?
დან.7,10.

54 მაშინ როგორ აღსრულდება წერილი, რომ ასე უნდა მოხდეს?
ფს.21,2; ეს.53,2; დან9,26.

55 იმ საათს უთხრა იესომ იმ ხალხს: თითქოს ავაზაკის წინაალმდეგ, მახვილებით და კეტებით გამოხვედით ჩემს შესაპყრობად: ყოველდღე ვიჯექი ტაძარში სასწავლებლად, და არ შემიპყრიეთ მე.

56 ყოველივე ეს მოხდა იმიტომ, რომ აღსრულდეს წინასწარმეტყველთა წერილები. მაშინ ყველა მოწაფემ მიატოვა იგი და გაიქცა.

### სინედრიონის სამსჯავროზე

57 იესოს შემპყრობლებმა კი წაიყვანეს მღვდელმთავარ



კაიაფასთან, სადაც შეკრებილიყვნენ მწიგნობარნი და უხუცესნი.
მარ.14,53; ლუკ.22,54.

58 ხოლო პეტრე მოშორებით მიჰყვებოდა მას მღვდელმთავრის ეზომდე, შევიდა შიგნით და მსახურებთან დაჯდა აღსასრულის სანახავად.

59 მღვდელმთავარნი და მთელი სინედრიონი ეძებდნენ ცრუმოწმეობას იესოს წინაალმდეგ, რომ სიკვდილით დაესაჯათ იგი.
ფს 26,12; 34,11; მარ.14,55.

60 და ვერ პოულობდნენ, თუმცა ბევრი ცრუმოწმე მოდიოდა; ხოლო ბოლოს მოვიდნენ ორნი

61 და თქვეს: ეს ამბობდა: შემიძლია ღვთის ტაძარი დავანგრიო და სამ დღეში ავაშენო.
მათ.27,40; მარ.14,58; იოან.2,19

62 მაშინ წამოდგა მღვდელმთავარი და უთხრა მას: არაფერს უპასუხებ, ესენი რომ შენს წინაალმდეგ მოწმობენ?

63 იესო დუმდა. მაშინ მღვდელმთავარმა უთხრა მას: ცოცხალ ღმერთს გაფიცებ, გვითხარი, შენ ხარ ქრისტე, ძე ღმერთისა?
ეს.57,7; საქ.8,33.

64 უთხრა იესომ: შენ თქვი. მაგრამ მე გეუბნებით თქვენ: ამიერიდან იხილავთ ძე კაცისას ძალის მარჯვენივ მჯდომარეს და ცის ღრუბლებზე მომავალს.
ფს.109,1; დან.7,13. იოან.6,22; საქ.14,11; 1თეს.4,16; გამოც.1,7

65 მაშინ მღვდელმთავარმა დაიხია თავისი სამოსელი და
თქვა: ეს გმობს. რაღად გვჭირდება მოწმენი? აი, ახლა გესმათ
გმობა.
66 რას ფიქრობთ თქვენ? ხოლო მათ მიუგეს პასუხად:
სიკვდილს იმსახურებს.
67 მაშინ აფურთხებდნენ მას სახეში და ცემდნენ და სილას
აწნავდნენ. ეს.50,6;53,3.
68 და ეუბნებოდნენ: გვიწინასწარმეტყველე, ქრისტე, ვინ
დაგარტყა?

*უარყოფა პეტრეს მიერ*

69 ხოლო პეტრე იჯდა გარეთ, ეზოში. მივიდა მასთან ერთი
მოახლე და უთხრა: შენც იესო გალილეველთან იყავი.
70 მან კი უარყო ყველას წინაშე და თქვა: არ ვიცი, რას
ლაპარაკობ. მარ.14,68.
71 როცა ჭიშკრის გარეთ გამოდიოდა, სხვამ დაინახა და
უთხრა იქ მყოფებს: ეს იესო ნაზარეველთან იყო.



72 მან კვლავ უარყო ფიცით: არ ვიცნობ ამ კაცს.
73 ცოტაოდენის შემდეგ მიუახლოვდნენ მდგომნი და
უთხრეს პეტრეს: ნამდვილად მათგანი ხარ შენც, ვინაიდან
შენივე ლაპარაკი გამხილებს შენ.
74 მაშინ იწყო წყევლა და ფიცი: არ ვიცნობ ამ კაცს.
მყისვე იყივლა მამალმა. მარ.14,72
75 და გაახსენდა პეტრეს იესოს ნათქვამი სიტყვა: სანამ
მამალი იყივლებდეს, სამჯერ უარმყოფ მე. გამოვიდა გარეთ და
მწარედ ტიროდა.

## თ ა ვ ი 27

*იუდას აღსასრული; პილატეს სამსჯავრო*

1 დილის დადგომისთანავე გამართეს მღვდელმთავრებმა და
ხალხის უხუცესებმა ბჭობა იესოს წინააღმდეგ მის მოსაკლავად.
ფს.2,2.
2 შეკრეს იგი, წაიყვანეს და გადასცეს პილატეს,
მმართველს. მარ.15,1; ლუკ.23,1
3 როცა იუდამ, რომელმაც გასცა იესო, დაინახა რომ მას
მსჯავრი დაადეს, ინანა და დაუბრუნა ოცდაათი ვერცხლი
მღვდელმთავრებს და უხუცესებს.
4 და უთხრა: შევცოდე, რომ უდანაშაულო სისხლი გავეცი.
მათ კი უთხრეს: ჩვენ რა? შენ უყურე.
5 გადაყარა ვერცხლი ტაძარში, გამოვიდა, წავიდა და თავი
ჩამოიხრჩო. საქ.1,8
6 ხოლო მღვდელმთავრებმა აიღეს ის ვერცხლი და თქვეს:
დაუშვებელია ამის დადება საგანძურში, ვინაიდან სისხლის
საფასურია იგი.
7 მოითათბირეს და იმით იყიდეს მეკეცის მინდორი
უცხოელთა სასაფლაოდ.
8 ამის გამო იმ მინდორს დღემდე ეწოდება სისხლის
მინდორი. საქ.1,19.
9 მაშინ აღსრულდა წინასწარმეტყველ იერემიას მიერ ნათ-
ქვამი, რომელმაც თქვა: და აიღეს ოცდაათი ვერცხლი, ფასი
შეფასებულისა, ვინც შეაფასეს ისრაელის ძეებმა. იერ.32,9;
ზაქ.11,12.

10 და მისცეს იგი მეჭურჭლის მინდვრისათვის, როგორც
მიბრძანა მე უფალმა.
11 ხოლო იესო დადგა მმართველის წინაშე და ჰკითხა მას
მმართველმა: შენ ხარ იუდეველთა მეფე? იესომ კი უთხრა: შენ
ამბობ. მარ.15,2; ლუკ.23,3; იოან.18,37; 1ტიმ.6,13.
12 და როცა ბრალს სდებდნენ მას მღვდელმთავარნი და
უხუცესები, არაფერი არ უპასუხა. მათ.26,63
13 მაშინ უთხრა მას პილატემ: არ გესმის, რამდენს
მოწმობენ შენს წინააღმდეგ?
14 არაფერი არ უპასუხა არც ერთ მის სიტყვაზე, ისე რომ
ძალიან უკვირდა მმართველს.
15 დღესასწაულზე ჩვეულებად ჰქონდა მმართველს
– ხალხს უთავისუფლებდა პატიმარს, რომელსაც მოისურვებდნენ.
16 ხოლო მაშინ ჰყავდათ ცნობილი პატიმარი, ბარაბად
წოდებული.
17 და როცა შეიკრიბნენ ისინი, უთხრა მათ პილატემ: ვინ
გსურთ გაგითავისუფლოთ: ბარაბა თუ იესო, ქრისტედ
წოდებული? მათ.21,11
18 ვინაიდან იცოდა, რომ შურით გადასცეს იგი.
19 როცა ის სასამართლო სკამზე იჯდა, მისმა ცოლმა
გაუგზავნა და უთხრა: არაფერი გაუკეთო მაგ მართალს,
ვინაიდან მე დღეს სიზმარში ბევრი ვიტანჯე მაგის გამო.
20 ხოლო მღვდელმთავრებმა და უხუცესებმა შეაჯერეს
ხალხი, რომ ბარაბა გამოეთხოვათ, ხოლო იესო დაეღუპათ.
მარ.15,11; ლუკ.23,18; იოან.18,40; საქ.3,14.
21 ასე უპასუხა და უთხრა მათ მმართველმა: ამ ორიდან
რომელი გსურთ, რომ გაგითავისუფლოთ? მათ უთხრეს: ბარაბა.
22 უთხრა მათ პილატემ: რაღა ვუყო იესოს, ქრისტედ
წოდებულს? ყველამ თქვა: ჯვარცმულ იქნეს!
23 ხოლო მან თქვა: რა ბოროტება ჩაუდენია? მაგრამ ისინი
კიდევ უფრო მეტად ყვიროდნენ: ჯვარცმულ იქნეს!
24 პილატემ, რაკი დაინახა, რომ ვერაფერს შველის, არამედ
შფოთიც კი იწყება, წყალი აიღო, ხელები დაიბანა ხალხის
წინაშე და თქვა: უდანაშაულო ვარ ამ მართლის სისხლისაგან;
თქვენ უყურეთ.
25 და მთელმა ხალხმა მიუგო პასუხად: ჩვენზე და ჩვენს
შვილებზე მაგის სისხლი.
26 მაშინ გაუთავისუფლა მათ ბარაბა, ხოლო იესო



გაშოლტვის შემდეგ გადასცა, რომ ჯვარს ეცვათ იგი.
მარ.15,15; იოან.19,1

*ძოწეული და ეკლის გვირგვინი; ჯვარცმა*

27 მაშინ მმართველის ჯარისკაცებმა წაიყვანეს იესო სასა-
ძართლოში და შეკრიბეს მასზე მთელი რაზმი.
28 გახადეს მას და მოასხეს ძოწეულის მოსასხამი.
29 და დაწნეს ეკლის გვირგვინი, დაადგეს თავზე, მარჯვენა
ხელში ლერწამი მისცეს. მის წინაშე მუხლი მოიყარეს,
დასცინოდნენ და ეუბნებოდნენ: გიხაროდეს, იუდეველთა მეფევ.
30 აფურთხებდნენ მას, აიღეს ლერწამი და სცემდნენ თავში.
31 და როცა დასცინეს, მოხსნეს მოსასხამი, ჩააცვეს
თავისივე სამოსელი და წაიყვანეს, რომ ჯვარს ეცვათ.
32 როცა გამოდიოდნენ, პოვეს კაცი კვირინელი, სახელად
სიმონი; ის აიძულეს, რომ ეტარებინა მისი ჯვარი.
33 მივიდნენ ადგილას, რომელსაც ჰქვია გოლგოთა, რაც
ნიშნავს: თხემის ადგილი. მარ.15,22; ლუკ.23,33; იოან.19,17; ებრ.13,12.
34 მისცეს მას ნაღველთან შეზავებული ღვინო სასმელად;
რომ იგემა, დალევა არ ენდომა. ფს.68,22.

35 როცა ჯვარს აცვეს, გაიყვეს მისი სამოსელი წილის ყრით.
ფს.21,19.
36 ისხდნენ და იქ ყარაულობდნენ მას.
37 და მის თავს ზემოთ დადგეს დაწერილი მისი ბრალდება:
ეს არის იესო, იუდეველთა მეფე.

*დაცინვა იესოსი*

38 მაშინ მასთან ერთად ჯვარს აცვეს ორი ავაზაკი: ერთი
მარჯვნივ და ერთი – მარცხნივ. ეს.53,12.
39 გამვლელები კი თავიანთ თავებს აქნევდნენ და გმობდნენ
მას.
ფს.21,8;108,25.
40 და ამბობდნენ: ტაძრის დამნგრეო და სამ დღეში ამშე-
ნებელო, იხსენი შენი თავი: თუ ღმერთის ძე ხარ, გადმოდი
ჯვრიდან.
მათ.26,61; მარ.14,58.
41 ასევე მღვდელმთავარნი მწიგნობრებთან და უხუცესებ-
თან ერთად დასცინოდნენ, და ამბობდნენ:
42 სხვებს იხსნიდა, საკუთარი თავის ხსნა კი არ შეუძლია;
თუ იგი ისრაელის მეფეა, დაე გადმოვიდეს ჯვრიდან და
ვიწამებთ მას.



43 ღმერთზე იყო მინდობილი; ჰოდა, ახლა იხსნას იგი, თუ
სურს იგი, ვინაიდან თქვა, ძე ღმერთისა ვარო. ფს.21,9.18.
44 ასევე მასთან ჯვარცმული ავაზაკებიც ლანძღავდნენ მას.

*იესოს შეძახილი ჯვრიდან; მისი სიკვდილი*

45 ხოლო მეექვსე საათიდან ცხრა საათამდე სიბნელე დადგა
მთელ დედამიწაზე. ამოს8,9.
46 დაახლოებით მეცხრე საათზე შესძახა იესომ დიდი ხმით:
ელი, ელი! ლამა საბაქთანი? ეს არის: ღმერთო ჩემო, ღმერთო
ჩემო, რატომ მიმატოვე? ფს.21,2; მარ.15,34.
47 იქ მდგომთაგან ზოგიერთებმა მოისმინეს და თქვეს:
ილიას უხმობს იგი.
48 უცბად გაიქცა ერთი მათგანი, აიღო ღრუბელი, ძმრით
გაავსო, წამოაგო ლერწამზე და მიაწოდა სასმელად. იოან.19,29.
49 სხვები კი ამბობდნენ: მოიცათ, ვნახოთ, თუ მოვა ილია
მის გამოსახსნელად.
50 ხოლო იესომ კვლავ შესძახა დიდი ხმით და სული
განუტევა.
51 და აჰა ტაძრის ფარდა გაიხა ორად ზემოდან ქვემოთ; და
იძრა დედამიწა, და კლდენი დასკდნენ.გამოს.26,31;2ნეშტ.3,14; ებრ.10,20.
52 სამარხნი გაიხსნენ და ბევრი განსვენებული წმიდანის
სხეული აღდგა.
53 გამოვიდნენ სამარხთაგან მისი აღდგომის შემდეგ და
შევიდნენ წმიდა ქალაქში და ბევრს ეჩვენენ.
54 ხოლო ასისთავსა და მათ, ვინც მასთან ერთად
ყარაულობდა იესოს, მიწისძვრა და ყოველივე მომხდარი რომ
ნახეს, მეტისმეტად შეეშინდათ და თქვეს: ჭეშმარიტად ძე
ღმერთისა იყო ეს.
55 იქ იყო აგრეთვე და შორიდან უყურებდა ბევრი
დედაკაცი, რომლებიც გალილეიდან გამოჰყვნენ იესოს და ემსა-
ხურებოდნენ მას.
56 მათ შორის იყვნენ მარიამ მაგდალინელი, იაკობისა და
იოსეს დედა მარიამი და ზებედეს ძეთა დედა.

*დაკრძალვა*

57 როცა მოსაღამოვდა, მოვიდა კაცი მდიდარი
არიმათიიდან, სახელად იოსები, რომელიც აგრეთვე თვითონაც
იესოს მოწაფე იყო. მარ.15,42; ლუკ.23,50; იოან 19,38

58 იგი მივიდა პილატესთან და ითხოვა იესოს გვამი. მაშინ
პილატემ ბრძანა – მიეცათ.
59 აიღო იოსებმა გვამი და შეახვია იგი სუფთა ტილოში.
60 და დაასვენა თავის ახალ სამარხში. რომელიც კლდეში
გამოკვეთა: და სამარხის კართან დიდი ლოდი მიაგორა და
წავიდა.
61 იქვე იყვნენ მარიამ მაგდალინელი და სხვა მარიამი.
რომლებიც სამარხის პირდაპირ ისხდნენ.

*სამარხის დაცვა*

62 მეორე დღეს. რომელიც არის პარასკევს შემდეგ. მღვდელ-
მთავარნი და ფარისევლნი შეიკრიბნენ პილატესთან.
63 და თქვეს: ბატონო. გაგვახსენდა. რომ იმ მატყუარამ.
როცა ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. თქვა: სამი დღის შემდეგ
აღვდგებიო.
64 ამიტომ უბრძანე მესამე დღემდე უყარაულონ სამარხს.
რომ არ მოვიდნენ მოწაფეები. არ მოიპარონ იგი და ხალხს არ
უთხრან: მკვდრეთით აღდგაო: და უკანასკნელი მოტყუება
პირველზე უარესი იქნება.
65 უთხრა მათ პილატემ: თქვენ გყავთ დაცვა. წადით და
უყარაულეთ. როგორც თქვენ მიგაჩნიათ.
66 ისინი წავიდნენ. სამარხი უსაფრთხო ჰყვეს: დალუქეს და
დაცვა დააყენეს.

## თ ა ვ ი 28

*ანგელოზი უმჟღავნებს მარიამს იესოს აღდგომას*

1 შაბათი რომ გავიდა. კვირის პირველი დღის განთიადზე
მოვიდნენ სამარხის სანახავად მარიამ მაგდალინელი და სხვა
მარიამი. მარ.16.1; ლუკ.24.1; იოან.20.1
2 და აი. მოხდა დიდი მიწისძვრა. ვინაიდან ციდან
ჩამოსული უფლის ანგელოზი მოვიდა. გადააგორა ლოდი და
დაჯდა ზედ.
3 მისი შესახედაობა ელვასავით იყო და მისი ტანისამოსი
თოვლივით სპეტაკი.
4 მისგან შიშით შეირყნენ მცველები და მკვდრებივით
გახდნენ.
5 ანგელოზმა კი მიმართა დედაკაცებს და უთხრა: ნუ



გეშინიათ. ვინაიდან ვიცი, რომ ჯვარცმულ იესოს ეძებთ. მარ.16.6.
6 აქ არ არის. ვინაიდან აღდგა. როგორც თქვა. მოდით.
ნახეთ ადგილი. სადაც იწვა. მათ.12.40;17.23.
7 მალე წადით და უთხარით მის მოწაფეებს. რომ იგი
აღდგა მკვდრეთით და. აი. თქვენს წინ მიდის გალილეისკენ: იქ
ნახავთ მას. აი. გითხარით თქვენ.
მათ.26,32; მარ.14,28; იოან.21,1;საქ.1,3;10,41; 1კორ.15,5.

*იესოს შეხვედრა დედაკაცებთან*

8 აჩქარებით წასულნი სამარხიდან შიშით და დიდი
სიხარულით გარბოდნენ. რომ ეცნობებინათ მისი მოწაფეე-
ბისათვის.
9 და აი. იესო შეხვდა მათ და უთხრა: გიხაროდეთ! ისინი კი
მივიდნენ. ფეხებზე მოეხვივნენ და თაყვანი სცეს მას.
მარ.16.9; იოან.20.24.
10 მაშინ უთხრა მათ იესომ: ნუ გეშინიათ. წადით და
აუწყეთ ჩემს ძმებს. რომ წავიდნენ გალილეას. და იქ მნახავენ
მე. იოან.20.17; ებრ.2.11.

*მცველების მოსყიდვა მღვდლების მიერ*

11 როცა ისინი მიდიოდნენ, აი, მცველთაგან ზოგიერთები
მივიდნენ ქალაქში და განუცხადეს მღვდელმთავრებს ყოველივე.
რაც მოხდა.
12 ისინი შეიკრიბნენ უხუცესებთან ერთად, მოითათბირეს
და დიდძალი ვერცხლი მისცეს ჯარისკაცებს
13 და უთხრეს: თქვით, მისი მოწაფეები მოვიდნენ ღამით და
მოიპარეს იგი, როცა ჩვენ გვეძინა.
14 და თუ ამას გაიგონებს მმართველი, ჩვენ დავარწმუნებთ
მას და დაგიხსნით უსიამოვნებისაგან.
15 მათ კი აიღეს ვერცხლი და ისე მოიქცნენ, როგორც
დაარიგეს. და ეს სიტყვა გავრცელდა იუდეველებს შორის
დღევანდელ დღემდე.

*იესო ევლინება თერთმეტს: წადით და ასწავლეთ ყველა ხალხს*

16 ხოლო თერთმეტი მოწაფე წავიდა გალილეას, იმ მთაზე,
რომელიც იესომ დაუთქვა მათ.
17 და რომ ნახეს იგი, თაყვანი სცეს, ხოლო ზოგიერთი
დაეჭვდა.



18 და მიუახლოვდა იესო, ელაპარაკა მათ და უთხრა:
მოცემული მაქვს მე მთელი ძალაუფლება ზეცაში და
დედამიწაზე. მათ.11.27; ლუკ.1.32, იოან.3.35;13.3;17.2;
1პეტ.3.22; რომ 14.9; ეფს.1.10; ფილ.2.9.
19 ამიტომ წადით და გახადეთ მოწაფეებად ყველა ხალხი,
მონათლეთ ისინი სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა
წმიდისათა.
20 ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ. და
აი, მე თქვენთან ვარ ყველა დღეს წუთისოფლის აღსასრულამდე
ამინ

— [illegible] —

# ახალი აღთქმა
# უფლისა ჩვენისა
# იესო ქრისტესი

Institute for Bible Translation
Box 20100
S-104 60 Stockholm

საცდელი გამოცემა

1980
ბიბლიის თარგმანის ინსტიტუტი

7

XXI. =

როგორც აღვნიშნე, იერუსალიმის ძველი ქალაქი ორჯერ დავათვალიერე 18-ს და 19-ს აგვისტოს 1981 წელს და ახლა მსურს გაგაცნოთ, ძვირფასო მსმენელებო, ჩემი შთაბეჭდილებანი:

1981 წლის 18-ი აგვისტოს ნაშუადღევის 2-რ საათზე იერუსალიმის "ძველი ქალაქის" იაფას ჭიშკრის დათვალიერების შემდეგ, მივედი ჩემს "ეილონის-ჰოტელში", საიდანაც ტურისტთა ერთი ჯგუფი ისრაელელმა გიდმა ავტობუსით წაგვიყვანა იერუსალიმის "ძველი ქალაქის" დასათვალიერებლად.

იერუსალიმის "ძველი ქალაქის" დათვალიერება, როგორც გიდმა გვითხრა, ყოველთვის იწყება "იაფას ჭიშკრიდან". მთელი "ძველი ქალაქი" შემოღობილია მეტად მაღალი კედლით, რომლის ირგვლივ საავტომობილო გზაა, და პირველად ავტობუსით შემოუარეთ მთელ ძველ ქალაქს, ეს გზა სულ 5-ი მაილი, ე.ი. დაახლოებით 8-ა კილომეტრი, როგორც გიდმა გვითხრა.

"ძველი ქალაქის" ავტობუსით შემოვლა დაიწყო "იაფას ჭიშკრიდან", სადაც მარჯვნივ "იერუსალიმის ქალაქი მუზეუმია"— "მეფე დავითის ციტადელში", რომელსაც აგრეთვე ""დავითის კოშკი" ეწოდება. აქედან შემდეგ გავყევით "ძველი ქალაქის" მეტად მაღალ კედლებს, გავიარეთ "სიონის ჭიშკარი", "ღუნგის ჭიშკარი", "ორკარიანი ჭიშკარი", "სამკარიანი ჭიშკარი", "ერთკარიანი ჭიშკარი", "ოქროს ჭიშკარი", "ლომის ჭიშკარი", "ჰეროდეს ჭიშკარი", "დამასკოს ჭიშკარი", "ახალი ჭიშკარი", და ისევ მივედით "იაფას ჭიშკართან". ამის შემდეგ შევედით "ძველ ქალაქში" და ჯერ გიდმა დაგვათვალიერებინა "მეფე დავითის ციტადელი" ანუ "დავითის კოშკი", სადაც ერთ სარდაფში მოთავსებულ კინოთეატრში გვაჩვენეს ფილმი ქალაქ იერუსალიმის წარსულისა და აწმყოს შესახებ. შემდეგ გიდმა დაგვათვალიერებინა ახალი აღმოჩენები დავითის ციტადელში, რომელთა გათხრა შეჩერებულია, ვინაიდან ებრაული რელიგიის ორთოდოქსალური მორწმუნეები იმის წინააღმდეგი არიან, რომ ამ ციტადელში დაკრძალულ გარდაცვლილთა "მყუდროება დარღვეულ იქნას". ამგვარად, "მეფე დავითის ციტადელის" მრავალი საიდუმლოების გარკვევის პროცესი შეჩერებულია, და - რამდენადაც ეს მოსჩანს ამ ნანგრევებიდან უდავოდ ბევრი, შეიძლება, სამიათას-წლოვანი საიდუმლოება მოელის მზის სინათლეს.

ამის შემდეგ გიდმა დაგვათვალიერებია იერუსალიმის "ძველი ქალაქის" სომხური ნაწილი: სომხური სემინარია, სომხური საპატრიარქო, სომხური ბიბლიოთეკა და მოზრდილი სომხური ბაღნარი,რომლების ყველა "ძველი ქალაქის" საზღვრებშია სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. შემდეგ დავათვალიერეთ იერუსალიმის "ძველი ქალაქის" ებრაული ნაწილი "ოთხი მწყემსის სინაგოგა","როტშილდის სახლი" თუ "ჰაბადის სინაგოგა", და ზევიდან გადავხედეთ დიდ მოედანს,რომლის ერთ კუთხეშია ებრაელთა უწმინდესი ადგილი "გოდების კედელი",სადაც უამრავი მლოცველები იყრიან თავს ყოველდღიურად; ხოლო ებრაული დღესასწაულების დროს ათიათასობით მლოცველი იყრის აქ თავს,რომ ილოცოს ამ წმინდა ადგილზე. "გოდების კედელი" მართლაც სოლომონის მიერ აშენებული უძველესი ებრაული რელიგიური ტაძრის კედელია,მაგრამ არა თვით სოლომონის ტაძრის, არამედ - როგორც ამბობენ - ამ წმინდა ადგილზე შემოვლებული კედელი, ამ წმინდა ადგილისა, რომელიც აკმარისად დიდი მაღლობი-მოედანია,რომლის ცენტრშია ის კლდე,საიდანაც - ისლამური რწმენით - მოჰამედი თავისი რაშით ამაღლდა ზეცაში. ამიტომაა, რომ ამ კლდის წვერზე აგებულია ისლამური რელიგიის ღირსშესანიშნავი "კლდის ტაძარი",რომელიც - მეკასა და მედინას შემდეგ - მაჰმადიანებისათვის ყველაზე უფრო წმინდა ადგილია.

აგვიყვანა რა "გოდების კედლის" მხრიდან ისლამური რელიგიის ამ წმინდა მაღლობზე, და შევედით რა აღმოსავლეთის ე.წ-ლ "მოორის ჯიშკრიდან" ეზოში, ჩვენს თვალწინ გადაიშალა შესანიშნავ ნაგებობათა მთელი კომპლექსი: მარჯვნივ,კუთხეში, "ისლამური მუზეუმი"; მარჯვნივ უძველესი "ელ-აქსა მეჩეთი"; შემდეგ "ჯაჭვის ტაძარი" და სხვა მრავალ პატარპატარა ნაგებობათა ცენტრში მართლაც არქიტექტორული სასწაული "კლდის ტაძარი",რომელიც ბიზანტიური მოხაზულობით, ბიზანტიელი,ე.ი.ბერძენი არქიტექტორების მიერ იქნა შექმნილი. ამ შესანიშნავი მაღლობ-ბაღნარის მარჯვნივ,-ე.ი.დასავლეთით განლაგებულია "ოქროს ჭიშკარი",ხოლო ჩრდილოეთით სხვადასხვა დანიშნულების

ისლამური ნაგებობა. ამგვარად, იერუსალიმის "ძველი ქალაქი" შემოვლებულია, როგორც აღვნიშნე, მაღალი კედლებით ყოველი მხრიდან და ამ ძველ ქალაქში ისლამური წმინდა ადგილიც, რომელიც მაღლობზეა განლაგებულია, გამოყოფილია მაღალი კედლებით ქალაქის სხვა ნაწილებისაგან, რომლის ცენტრშია აღნიშნული "კლდის ტაძარი".

შემდეგ ისრაელელმა გიდმა დაგვათვალიერებინა ე.წ-ლი"ვია დოლოროზა", ე.ი. იესო ქრისქეს წამების გზა, რომელიც, გადმოცემით, იესო ქრისტეს წამების გზის 14-ი "შეჩერება", "შემთხვევა", "სადგურისაგან" შესდგება, ე.ი. იმ მოვლენათა ჯაჭვისაგან, რომელთაც ადგილი ჰქონდა იესო ქრისტეს ჯვარცმის დროს. ყოველ პარასკევს, 15-ტ საათზე, იტალიელ "ფრანცისკანელების" წინამძღოლობით, მიემართება მლოცველთა პროცესია "ვია დოლოროზას" პირველი"შეჩერებიდან" იესო ქრისტეს საფლავის ეკლესიამდე; აი ეს"საფეხურები"="შემთხვევა"="შეჩერება"

თუ "სადგურები", რომელთა დათვალიერება მე მეორე დღესაც, ე.ი.20-ც აგვისტოს, 1981 წელსაც მოვახერხე, რომლის დროს მაგნეტოფონის ფირზე ჩავწერე ჩემი მაშინდელი სვლა იესო ქრისტეს წამების გზაზე მის ჯვარცმამდე გოლგოთაზე. აი ეს"სადგურები" და ჩემი ჩანაწერები მაგნეტოფონის ფირზე:

<u>პირველი სადგური:</u> მიუხედავათ იმისა, რომ - გადმოცემით - იესო ქრისტე
=================

რომაელ მპრ[illegible]ანებელთა სასახლის ეზოში, ე.წ-ლ "ლითოსტროტოში" იქნა სიკვდილით დასჯილი, იმ ადგილზე, სადაც, გადმოცემით, პონციუს პილატემ იესო ქრისტე დაკითხა, რომის ციხესიმაგრეში, აქ იწყება "ქრისტეს წამების" აღნიშნული პროცესია=სვლა ყოველ პარასკევს, 15-ტ საათზე.

(ფირი...................)

ცხვრებს მი[illegible] ვიწრო ქუჩაში და თხა ბღავის.... ეხლა მე ვარ იერუსალიმში იმ ადგილას, სადაც, როგორც ქრისტიანული სარწმუნოება გვაუწყებს, არის პირველი შეჩერება იესო ქრისტესი; რომელსაც ინგლისურად ეწოდება "ჰორსტ სტეიშენ", გერმანულად "ერსტე სტაციონ", ქართულად, მე ვიტყოდი, იქნებოდა "პირველი შეჩერება", სადაც სასახლეში პონციუს პილატემ დაჰკითხა იესო ქრისტე, აი ეს, მისი სასახლის შესასვლელთან მდებარე, როგორც გვაუწყებს ქრისტიანული რელიგია; ე.ი. ეს არის ქრისტეს წამების გზის დასაწყისი - პირველი შეჩერება.

მეორე სადგური: "ვია დოლოროზა",საერთოდ, ვიწრო მიხვეულ-მოხვეული ანტიკური ქუჩაა,რომელიც,ვფიქრობ, თითქმის ამ ორი-ათასი წლის განმავლობაში აქ,იერუსალიმის ძველ ქალაქში, სრულიად არ შეცვლილა. და ამ "წამების გზაზე" მეორე სადგურია ის ადგილი, სადაც იესო ქრისტეს ზურგზე "მძიმე ჯვარი",რომ თვით წაეღო ის "ჯვარცმის" ადგილამდე.

ეხლა მე ვარ,პატივცემულო მსმენელებო,მეორე შეჩერებასთან, ე.ი. მეორე სადგურთან, სადაც, გადმოცემით, ქრისტეს მისცეს ხის ჯვარი, რომელიც მას უნდა ეზიდა. ეს ჯვარი, როგორც ცნობილია, დამზადებული იყო იმ ხისაგან, რომელზედაც, რომლის მონაჭერზედაც შემდეგ აგებული იქნა ქართული "ჯვარის" ნონასტერი. აი ეს მეორე შეჩერება, მეორე სადგური ქრისტეს წამების გზისა წოდებულია შემდეგნაირად: აქ ქრისტეს მისცეს ხის ჯვარი, რომელზედაც ის შემდეგ იქნა ჯვარცმული, და ქრისტემ დაიწყო ამ ჯვარის ტარება აქედან, რომელსაც დღეს ეწოდება "ვია დოლოროზა".

აქაა დღეს "ფრანცისკანელთა-ერთობის" შესასვლელი ორი სამლოცველოთი:

"გაწკეპვლის" სამლოცველო=ეკლესია,სადაც,გადმოცემით, იესო ქრისტე გაწკეპლეს არყის ხის წკეპლეთა კონით,რაც გაწკეპვლის უფრო რბილ ფორმად ითვლებოდა, ჯოხზე დამაგრებულ ტყავის თასმათა კონით გაწკეპვლასთან(ფლაგრუმ= Flagrum ) შედარებით.

"გაწკეპვლის" სამლოცველოს მარცხნივ დგას "დასჯის სამლოცველო", სადაც იესო ქრისტე გადასცეს პონციუს პილატეს. პროცესი ჩატარდა, როგორც ავღნიშნე, სასახლის ეზოში,ვინაიდან რომაულ სასახლეში შესვლა, რომაელთა რწმენით,"უწმინდურ"="ურწმუნო" პირს არ უნდა შეძლებოდა.

ცოტაოდენი მოშორებით ამ ადგილიდან, ვია დოლოროზაზე გადაჭიმულია თაღი,რომელსაც ეწოდება"Ecco-Homo"- იმის გამო, რომ აქ პონციუს პილატეს - შეხედა რა იესო ქრისტეს - უთქვამს:"შეხედეთ, რა ადამიანია!" თუ "შეხედეთ,ადამიანს!" სინამდვილეში კი ეს თაღი შექმნილ იქნა კეისარ ჰადრიანის დროს(117-138),როგორც ნაწილი ერთი ტრიუმფალური კარისა.

ამ თალის შემდეგ, ვია დოლოროზა="წამების ქუჩა" ემვება დაბლა.

იესო ქრისტეს წამების ეპიზოდს ამ ადგილას მოციქული მარკოზი ახე აღწერს:

პილატეს ჯარისკაცებმა შეიყვანეს იესო ქრისტე დასასჯელ ნაგებობა-
ში და დაუძახეს თავისიანებს. მათ მოასხეს ქრისტეს პურპურის მო-
სასხამი და დაწნეს ეკლის გვირგვინი და დაადვეს მას თავზე. მათ
დაიწყეს იესოს მისალმება:"შესალმებით შენ, მეფეო ებრაელებისა!"
და ისინი არტყამდნენ თავში ლერწს, აფურთხებდნენ, იჩოქებდნენ
მის წინაშე და თაყვანს სცემდნენ მას. და ამგვარი დაცინვის შემდეგ,
გახადეს მას პურპურის მოსასხამი, ჩააცვეს მისი საკუთარი ტანსაცმე-
ლი, და გაიყვანეს გარეთ,რომ მათ ის ჯვარზეეცვათ. - ახე მოგვით-
ხრობს მოციქული მარკოზი ამ ეპიზოდს.

(ფ ი რ ი......................)

ეხლა მე ვარ,პატივცემულო მსმენელებო, ბერძნულ მართლმადიდებელი
ეკლესიის საპატრიარქოს წინ,იერუსალიმში,და აქ,გადმოცემით,უნდა ყოფი-
ლიყო ქრისტეს საპატიმრო, ე.ი. ბერძნული საპატრიარქო იერუსალიმისა
ქრისტეს საპატიმრო.

დაიწყო რა გადმოცემით ქრისტემ თავისი მძიმე ჯვარის ზიდვა და გაჰყვა
რა დღევანდელ "ვია დოლოროზას" ამ გზაზე დღეს არსებობს რამდენიმე სამლ-
ცველო ერთი არის ინგლისური სამლოცველო,რომელიც უახლესათ აგებული იქნა
1927 წელს. შემდეგ არის სამლოცველო,რომელსაც ეწოდება"ქრისტეს დასჯის",
ე.ი. განაჩენის გამოტანის სამლოცველო; შემდეგ არის "ეცე ჰომო"-თალი,
ე.ი. აქ ჩვცვიეს პილატემ,შეხედა რა ქრისტეს,თქვა"ექცე ჰომო", ე.ი. ეს
ადამიანია? ეს არის ის ადამიანი? ასეთი გაგებით და ახე მივდივართ მესამე
შეჩერებასთან

მესამე სადგური: იესო ქრისტეს წამების გზის მესამე შეჩერებაა იერუ-
სალიმის ძველი ქალაქის დამასკოს ჭიშკრის მარცხენა კუთხეში - რა
თქმა უნდა,ქალაქის შიგნით -,სადაც,გადმოცემით იესო ქრისტე, ვერ

ზიდა რა "მძიმე ჯვარი", პირველად დაეცა მიწაზე. ამ ადგილასაა დღეს პოლონური სამლოცველო,რომელიც აგებულ იქნა 1946-ს წელს და [illegible] სომხური კათოლიკური ეკლესია.

(ფ ი რ ი:...................)
=============================

ეხლა მე ვდგევარ იმ ადგილას,რომელიც წოდებულია მესამე "შეჩერებათ"-იესოს ქრისტეს წამების გზაზე,და ამ ადგილას,გადმოცემით,იესო ქრისტემ ვერ ზიდა თავისი მძიმე ჯვარი და პირველად დაეცა. ამ ადგილას აგებულია ერთი პოლონური სამლოცველო და მეორე მხარეს აგებულია სომხური კათოლიკური ეკლესია.სხვათაშორის წარწერა აქვს სომხურ ეკლესიას სომხურად და შემდეგ ფრანგულად-"პატრიარქატ არმენიან კათოლიკ."

მეოთხე სადგური: ეს არის იესო ქრისტეს წამების გზის ის ადგილი, სადაც ქრისტე შეხვდა მის დედა მარიამს. ამ ადგილას "ორატორიუმის" კედელზე იესო ქრისტესა და მარიამის რელიეფია,

(ფ ი რ ი......................)
=============================

ეხლა,პატივცემულო მსმენელებო, მე ვდგევარ მეოთხე შეჩერებასთან, ე.ი. ქრისტეს წამების გზის მეოთხე შეჩერებასთან, სადაც იესო ქრისტე შეხვდა მის დედას მარიას, აქ გამოსახულია კედელზე იესო ქრისტე, რომელიც ჯვარს ეზიდება და მას ეგებება მარია-დედა მისი. _

XXII.

წ.წ. გადაცემაში [illegible] "ძველი ქალაქის" ე.წ. "ვია დოლოროზას", ე.ი. ქრისტეს [illegible] "[illegible]" [illegible]

მეხუთე სადგური: გავყევი რა "ვია დოლოროზას",ე.ი.ქრისტეს წამების გზას, მივედი იმ ადგილას,სადაც ქრისტეს ჯვარი კირენელ სიმონს გადასცეს წასაღებად. ამის შესახებ მოციქული ლუკა მოგვითხრობს შემდეგს:

"და როდესაც ·მათ· იესო ქრისტე მიყავდათ, ამ დროს დააკავეს მათ

ერთი კაცი - ხირენელი სიმონი, რომელიც ყანაში მუშაობიდან მოდიოდა. მათ მოადვეს მას ზურგზე ჯვარი, რომ იესო ქრისტეს გაყოლოდა და თან წაეღო."

(ფ ი რ ი.........................)

"ეხლა ვარ, პატივცემულო მსმენელებო, იესო ქრისტეს წამების გზის იმ ადგილას, სადაც მან მისი მძიმე ჯვარი ვერ ზიდა და ამ დროს სამუშაოდან მოდიოდა სიმონი ჩინერელი, რომელსაც, სრულიად შემთხვევით, გადასცეს იესო ქრისტეს ჯვარი და მან თან გაყვა იესო ქრისტეს და ზიდა ეს ჯვარი. ეს არის მეხუთე მნიშვნელოვანი მოვლენა იესო ქრისტეს წამების გზაზე. უნდა აღინიშნოს, პატივცემულო მსმენელებო, რომ მთელი ეს ვია როზა არის მეტად ვიწრო ქუჩა ორი, სამი, ოთხი მეტრის სიგანის, რომლებიც მარცხნივ და მარჯვნივ სავსეა სხვადასხვა სახის მაღაზიებით და აქ, გასაგებია, მანქანა, არც სხვა სატრანსპორტო საშუალება არ შეიძლება მოძრაობდეს და ყველა დადის ფეხით, ე.ი. ვაჭრობის ადგილია მარცხნივ და მარჯვნივ, და იმ დროსაც, როდესაც ქრისტე აწამეს, მაშინაც დაახლოებით ასეთივე სახიათის იყო, თუმცა დროთა განმავლობაში სახე იცვალა შეხობებმა."

(ფირის დასასრული)

შემდეგ მივდივართ, [illegible]

მეექვსე სადგურთან: აქ, გადმოცემით, ადგილი ჰქონია ეპიზოდს, რომლის თანახმად წმინდა ვერონიკას ქრისტეს ოფლის-სახოცი შეუნახავს, რომელიც 707-ი წლიდან რომის წმინდა პეტრეს ტაძარში ინახება.

(ფ ი რ ი.........................)

ეხლა მე ვარ, პატივცემულო მსმენელებო, ქრისტეს წამების გზის მეექვსე სადგურზე, სადაც გადმოცემით ერთი ოფლის მოსახოცი გადმოუგდო წმინდა ვერონიკამ ქრისტეს, რომლითაც მან მოიწმინდა თავისი ოფლი; და ამ ადგილას გამოსახულია კედელზე, რომ აქ მოხდა ეს ამბავი.

ამ ადგილას აგებულია, პატივცემულო მსმენელებო, "წმინდა სახის" ეკლესია და ეს ეკლესია არის ბერძნულ-კათოლიკური საპატრიარქოს განკარგულების ქვეშ.

(ფირის დასასრული)

ამას შემდეგ, [illegible], [illegible]

მეშვიდე სადგურთან: აქ იესო ქრისტე მეორეჯერ დაეცა. მან, უთუოთ, 

ქალაქი დატოვა ე.წ-ლი "განაჩენის ჭიშკრით", რაც ასე იწოდებოდა

იმიტომ, რომ სასიკვდილო განაჩენებს ამ კარზე აკრავდნენ.

(ტირი........................)

მე ვარ ეხლა, პატივცემულო მსმენელებო, მეშვიდე შეჩერებაზე, რომელიც იწოდება იმ ადგილათ, სადაც იესო ქრისტე მეორეჯერ დაეცა, აქ ნიშანია იმისა, რომ ეს არის ის ადგილი სადაც იესო ქრისტე მეორეჯერ დაეცა.

(ვიოლინ დასასრული)

ამას შემდეგ, ტაუგე "ვია დოლოროზა", ე.ი. ქრისტეს წამების ქუჩა-გზის და მოკვდი

მერვე სადგურთან: აქ არის ის ადგილი, სადაც ქალებს, რომლებიც იესო ქრისტეს ზედს დასტიროდნენ, იესო ქრისტემ მიმართა, რომ მათ იტირონ არა მასზე, არამედ თავისთავსა და თავიანთ ბავშვებზე.

"განაჩენის ჭიშკრის" გზის გასწვრივ გოლგოთასაკენ, გადმოცემით, ყოფილა ქრისტეს წამების დროს ახალგაზრდა ვერხვის ხეების ალეეა, რომლებსაც ქრისტეს წამების პარასკევს წვერები დაუხრიათ, რომ მეტი ჩრდილი ჰქონოდა იესო ქრისტეს ამ გზის გავლისას. მხოლოდ ერთ ვერხვს არ დაუხრია წვერი, რომლისთვისაც იესო ქრისტეს ისე ნაღვლიანად შეუხედავს, რომ ვერხვს დაუწყია ცახცახი, და ამიტომაა, რომ ვერხვები დღესაც ცახცახებენ.

(ტ ი რ ი.....................)

ლაპარაკობს დავით თაზორიძე იერუსალიმიდან!

ეხლა, პატივცემულო მსმენელებო, მე ვარ მერვე სადგურთან, იესო ქრისტეს მერვე შეჩერებასთან, სადაც მას შეხვდენ იერუსალიმის ქალები და დასტიროდენ მას. მაგრამ ქრისტემ უთხრა, რომ ისინი ნუ სტირიან, და რომ უკეთესია იზრუნონ მათ შვილებზე.

(ვიოლ. დასასრული)

**მეცხრე სადგური:** ვინაიდან პირდაპირი გზა მერვე სადგურიდან მეცხრე სადგურამდე ჯერ კიდევ შუასაუკუნეებში იქნა შენობებით გადაჭრილი, "ვია დოლოროზას" მეცხრე სადგურის მიღწევა შესაძლებელია ბაზრის გავლით, სამხრეთით, შემდეგ კიბეზე ასვლით, მარჯვნივ. აქ იესო ქრისტე დაეცა მესამეჯერ:

**(ფ ი რ ი....................)**

ეხლა, პატივცემულო მსმენელებო, მე ვარ იესო ქრისტეს წამების გზის მეცხრე შეჩერებაზე, ე.ი. მეცხრე სადგურზე, სადაც იესო ქრისტე მესამეჯერ დაეცა, და ეს ადგილი აღნიშნულია ერთი რომაული სვეტით, რომელიც დგას აბისინიის მონასტრის წინ , ეხლა კი მივდივარ მთავარ ეკლესიაში, სადაც უკვე ხდება იესო ქრისტეს წამება, ე.ი. გოლგოთას მთაზე მისი ჯვარცმა, შემდეგ ჩამოხსნა ჯვრისაგან , შემდეგ დასვენება და შემდეგ დამარხვა და შემდეგ ქრისტეს აღდგომა, ამაღლება, და ეს ადგილები ყველა მოცემულია ქრისტეს ე.წ. საფლავის ეკლესიაში.

**მე-10, მე-11, მე-12, მე-13 და მე-14 სადგურები ქრისტეს წამებისა** გოლგოთასთანაა, რომლებიც უშველებელი ე.წ-ლი ქრისტეს "წამების" თუ "საფლავის" ტაძრით იწოდება. ეს ტაძარია ნაგებობათა მთელი კომპლექსი: პირველი ტაძარი, გადმოცემით, აქ ააშენა ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე დიდმა 335-წ წელს, რასაც წინ უძღოდა კონსტანტინე დიდის დედის - ელენას - სტუმრობა იერუსალიმში, რომელსაც ეპისკოპოსმა მაკარიოსმა უთხრა, რომ იესო ქრისტეს წამების ადგილი გოლგოთა - და ქრისტეს საფლავი იმ იუპიტერისა და ვენერას ტაძრებს ქვეშაა, რომლებიც ააშენა რომის იმპერატორმა ჰადრიანმა 135-წ წელს. კეისრის დედამ თხოვა შვილს კონსტანტინეს გათხრები ეწარმოებია ამ ადგილზე და გოლგოთა და ქრისტეს საფლავი თითქმის სრულიად

დაუზიანებელი იქნა აღმოჩენილი. ამის შემდეგ კონსტანტინე დიდმა გასცა ბრძანება ამ ადგილას აეშენებინათ ქრისტეს საფლავის ტაძარი, რომლის აშენება დაიწყო 326-ს წელს და დამთავრდა 335-ტ წელს. იმ დროს როცა ეს ადგილი ტაძრის აშენებისათვის იქნა მომზადებული, გოლგოთას კლდე გასწორებულ იქნა,მაგრამ ორი ბორცვი გოლგოთა და ქრისტეს საფლავი დღესაც შესამჩნევადაა დარჩენილი. თვით ქრისტეს საფლავის ადგილი კი ახლა იმყოფება უშველებელი გუმბათის ქვეშ,რომლის დიამეტრი 38-ი მეტრია,რაზედაც მიშენებულია უამრავი სხვა ნაგებობა.

კეისარ კონსტანტინე დიდის მიერ აშენებული ტაძარი 614-ტ წელს დანგრეულ იქნა სპარსელების მიერ,როცა სპარსთა მეფე ქორსოსმა მეორემ დაიპყრო ეს წმინდა ადგილი. მაგრამ სპარსელების მიერ გატაცებული პატრიარქის მოადგილემ მოდესტოსმა დაიწყო ამ დანგრეული ტაძრის ისევ-აშენება. 1009-ა წელს კი ფატიმიდენ-ყალიფმა ელ-ჰაკემმა სრულიად დაანგრია ეს თვით ქრისტეს წამების კლდის - გოლგოთას ბორცვის ჩათვლით.

1048-ა წელს კი დაამთავრა "ქრისტეს საფლავის" ტაძრის მშენებლობა კეისარმა კონსტანტინე-მონომახოსმა, მაგრამ სხვა ფორმით. და როცა ჯვაროსნებმა 1099-ი წლის 15-ტ ივლისს იერუსალიმი დაიპყრეს, მათ მაშინვე დაიწყეს ამ ტაძრის გაფართოება და გალამაზება; და მიუხედავათ იმისა, რომ ეს უშველებელი ტაძარი მონღოლების და სხვების მიერ - დროთა განმავლობაში - დაზიანდა, ის მე-19 საუკუნის დასაწყისამდე თითქმის უცვლელი დარჩა. მაგრამ 1808-ა წელს ამ ნაგებობის დიდი ნაწილი გაანადგურა ხანძარმა, და ისევ-აშენება ვერ ჩატარდა საკმარისი სტილისტური ცოდნითა და გამოცდილებით. პირველად 1958-ტ წელს დამთავრდა ამ ნაგებობის სრული რესტავრაცია.
დღეს იესო ქრისტეს ამ უშველებელი ე.წ-ლი"საფლავის" ტაძრის ნაგებობათა პატრონობა უმთავრესად ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის ხელშია, თუმცა კათოლიკური და მონოფიზიტური ეკლესიებიცაა აქ წარმოდგენილი."გოლგოთას ალტარი=სამშოვველო" აგებულია იმ ადგილას,სადაც

გოლგოთას კლდეში ჩასობილ იქნა ჯვარი, რომელზედაც აწამეს იესო ქრისტე. ამ სამმოცველოს ცენტრშია ბერძნული ალტარი; მის მარჯვნივ — კათოლიკური, ხოლო მის მარცხნივ სომხური და კოპტური ალტარი. აქვე

"მაღამოს მარმარილოს ქვა", რომელზედაც - გადმოცემით - იესო ქრისტეს ცხედარი მაღამოთ იქნა დაზელილი; კათოლიკების ამგვარ აზრს კი არ იზიარებს ბერძნული ეკლესია, რომლის თანახმად ამ ადგილზე - ღვთისმშობლის თანდასწრებით - ჩამოხსნილ იქნა იესო ქრისტეს ცხედარი ჯვარიდან.

"ქრისტეს საფლავი" მოთავსებულია მეტად ვიწრო და დაბალ ნაგებობაში, სადაც - გადმოცემით - იყო ქრისტეს საფლავი, რომელიც იქვე მდებარეობს, რომელზედაც დაახლოებით ორ-მეტრიანი სიგრძის, მარმარილოს ფილა, რომლითაც დაფარულია ქრისტეს საფლავი. აქედან - გადმოცემით - იესო ქრისტე ამაღლდა.

და აქ მსურს მოვიყვანო ამონაწერი საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალიდან "ჯვარი ვაზისა",რომელშიც ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში,სხვათა შორის,ნათქვამია:

XVI საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში ჩავიდა, მზეჭაბუკ ათაბაგის მიერ გაგზავნილი პირი ამბროსი, შემდეგ, — ბეენა ჩოლოყაშვილი — „ჯვარის მამად მივლინებული". იერუსალიმში ბ. ჩოლოყაშვილმა ფრანგთა გოლგოთა დააგდებინა და სომხებს დავა გაუმართა იაკობის ტაძრის გამო. დიდი შეწირულებით ესტუმრა ზოსიმე კუმურდოელი იერუსალიმს და კვლავ დაიხსნა გოლგოთა, — „მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთაი წაევართუეს და მან დაიხსნა, ოთხასი ფლური გამოიღო".

იერუსალიმში ქართველთა ხშირი ჩასვლა, მათ ზრუნვა ჯვარსა და სხვა სავანეებზე, ძველ უფლებათა აღდგენაზე, ძველი ხელნაწერების ბედზე საკმაოდ შესამჩნევი იყო. აღნიშნულის შესაბამისად ქართველებს იქ პატივს სცემდნენ, მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია, ამაზე საგანგებოდ წერდნენ უცხოელი მოღვაწენი: ი. პასიმტეინსკი (1493), მ. ბაუმგარტენი (1507), ლ. ჩუდი (1519), ბ. დე სალინიაკი (1522) და სხვ. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ქართველები კვლავ გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით, — საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მსხდომნი, — თავისუფლად, ბაჟის გადაუხდელად, შედიოდნენ იერუსალიმში. მაგალითად, ჩეხი მოგზაური ი. პასიმტეინსკი, იერუსალიმში ყოფნისას აღნიშნავს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში რვა ქრისტიან ხალხს აქვს თავისი სამლოცველო: „პირველთა აქვთ საერთო სარწმუნოება ჩვენთან (იგულისხმება რომაელი კათოლიკეები, — ე. გ.), მეორენი არიან ბერძნები, მესამენი — ქართველები, მეოთხენი — იაკობიტელნი, მეხუთენი — სირიელნი, მეექვსენი — ინდოელნი, მეშვიდენი — სომხები და მერვენი — მარონიტები". საყურადღებო ფაქტი ისიცაა; რომ ამ ხალხებიდან ქრისტეს საფლავის ეკლესიაში: რომაელებს ჰქონიათ 11 კანდელი, ბერძნებს — 9, ქართველებს — 13, იაკობიტელნებს — 5, სირიელებს — 5, ეთიოპელებს — 4, სომხებს — 4 და მარიონიტებს — 5. ასე, რომ მე-15 საუკუნის ბოლოს და მე-16 საუკუნის დასაწყისშიც ქრისტეს საფლავის ეკლესიაში კვლავ პრივილეგიებით სარგებლობენ და პირველი ადგილი უჭირავთ ქართველებს (იხ. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960, გვ. 6–7). ერთ-ერთი საზღვარგარეთელი მოგზაური ლ. სუდჰეიმი კი (1331–1341 წლებში იყო იერუსალიმში) პირდაპირ მიუთითებს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღებს ქართველები ფლობენო („არხიევ დე ლ'ორიანტ ლატინ", II, პარიზი, 1884, გვ. 353–354; დამოწმებული აქვს რ. ჟანენს „ქართველები იერუსალიმში"). უცხოელ მეცნიერთა აღიარებით ქართველებს ეს უფლება XV საუკუნის ბოლომდე ჰქონიათ.

XXIII.

წინა საუბარში ავსახე "ვია დოლოროზას",ე.ი. ქრისტეს წამების ქუჩა-გზის ცალკეული სადგურები ანუ შეჩერებები და მივედით ქრისტეს საფლავის უზარმაზარ ტაძართან; და დავათვალიერეთ ალტარი, რომელიც იმყოფება ამ ტაძარში იქ, სადაც მოხდა ქრისტეს ჯვარცმა, გოლგოთან მთის ბორცვზე.
აი ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე ამ ალტართან,სამლოცველოსთან:

---

(ფ ი რ ი ..............................)
====================================

ეხლა,პატივცემულო მსმენელებო,მე ვარ ალტართან=სამლოცველოსთან,სადაც არის გოლგოთას მთას ის ადგილი,სადაც ქრისტე აცვეს ჯვარს. აქ მოცემულია რამდენიმე ალტარი: ერთი რომაულ-კათოლიკური ალტარი, ე.ი. სამლოცველო; შემდეგ ბერძნული ალტარი, შემდეგ სომხური ალტარი, კოპტური ალტარი.

ყველა ეს ალტარი ადიდებს , პატივსცემს გოლგოთას მთაზე ქრისტეს ჯვარცმას. უნდა აღინიშნოს,რომ ყველაზე უბრალო,სადა-არის რომაულ-კათოლიკური ალტარი,ხოლო მართლმადიდებლური ალტარი უფრო მრავალფეროვნადაა მორთული; და,გასაგებია,ეს ადგილი არის ცენტრი ქრისტიანული სარწმუნოებისა მთელს მსოფლიოში. ეხლა განვაგრძობთ ამ ეკლესიათა კომპლექსის ზოგი

სხვა ადგილების დათვალიერება . აქედან შეგვიძლია ჩავიდეთ დაბლა, სადაც არის ის ადგილი,სადაც მოხდა იესო ქრისტეს დაბანვა...ეხლა,პატივცემულო მსმენელებო მე ვარ იმ ადგილას სადაც მოხდა იესო ქრისტეს,ჯვრიდან ჩამოხსნის შემდეგ,დაბანვა,ე.ი. აქ მოცემულია სურათი=ხატი, რომელზედაც ის არის დასვენებული და ხდემა მისი,ასევთქვათ,დაბანვა, დაკრძალვის წინ. ამ ადგილას არის ის ქვა,რომელზედაც გადმოცემის თანახმად,მოხდა ქრისტეს დაბანვა. გასაგებია, ეს ადგილი აღნიშნულია სხვა და სხვა მორთულობით უმთავრესად ჯვრით და მუდმივად მნათი სანთლებით...

(ფ ი რ ი)

ეხლა მე ვარ, პატივცემულო მსმენელებო, იმ ადგილას, სადაც ქრისტე იქნა დაკრძალული. აქ შესვლა მეტად ძნელია, ვინაიდან არის დაბალი და ადამიანმა უნდა ძალიან დაღუნოს თავი, რომ შიგ შესვლა მოახერხოს. მე, რათქმა უნდა, შევედი შიგ და იქ ვერ ჩავწერე მაგნეტოფონის ფირზე, მაგრამ ბერმა, რომელიც იქ არის, ჩემისახელით აანთო ერთი სანთელი.

(ფირის დასასრული)

სხვა მრავალ ნაგებობიდან, რომლებიც აქაა მოთავსებული ავღნიშნავ კიდევ ე.წ.-ლ "კათოლიკონს", ე.ი. "მთავარ ტაძარს", რომელიც უშველებელი გუმბათითაა დაგვირგვინებული, რომლის დაბლა იატაკი - თავისებურ პლასტიკურ გამოსახულებას წარმოადგენს, რომელსაც უწოდებენ "მსოფლიო ჭიპს", რაც ნაგულისხმობს, რომ ესაა შუა-ალაგი გოლგოთას მთასა, რომელზედაც ქრისტეს აწამეს, და ქრისტეს საფლავს შორის. ალეგორიულად კი ამ ადგილს ხალხი უწოდებს მსოფლიოს ცენტრს საერთოდ.

(ფირი)

ამგვარად, პატივცემულო მსმენელებო, გამოვედი მე ეხლა ქრისტეს დაკრძალვის ეკლესიიდან, რომელშიც სხვადასხვა ადგილებია მოცემული ქრისტეს წამების გზისა; აქ არის, როგორც ავღნიშნე, ქრისტეს ჯვარცმის ადგილი გოლგოთას მთაზე, სადაც არის ალტარი = სამლოცველო, შემდეგ არის მისი დაბანვის ადგილი = ქვა, სადაც ის იქნა დაბანილი; შემდეგ არის მოცემული ის ადგილი, სადაც ის იქნა დაკრძალული, და მოცემულია აგრეთვე ის ადგილი საიდანაც ქრისტე აღსდგა. სხვათაშორის თქვენ ამ ლაპარაკის დროს გესმით მეჩეთის მინარეთიდან ისლამის მღვდლის სასულიერო პირის ძახილი ლოცვისაკენ; როგორც ავღნიშნე იერუსალიმი არის რელიგიათა სამშობლო; აქ სამ დიდ რელიგიას აქვს თავისი კერა; ეს არის, ქრონოლოგიურად რომ ვთქვათ, იუდაიზმი-ებრაული რელიგია, ქრისტიანული რელიგია, და ისლამური-მაჰმადიანური რელიგია. აი თქვენ გესმით ეხლა მინარეთიდან ისლამის სასულიერო პირის მოწოდება ლოცვისაკენ, და ეხლა არის 11 საათი და ორმოცი წუთი, ე.ი. დღის 11 საათი და ოცი წუთი.

-(ფირის დასასრული)

აი ჩემი დაკვირვებანი და შთაბეჭდილებანი, რომლებიც შემემქნა იმ დროს, როცა 1981 წლის 19-ც აგვისტოს ნაშუადღევს ტურისთან ერთ

ჯგუფთან ერთად დავათვალიერე იერუსალიმის ძველი ქალაქი, და იგივე ადგილები მეორეჯერ - მაგნეტოფონით ხელში - დავათვალიერე 1981-ი წლის 20-ც აგვისტოს დილით, განსაკუთრებით იესო ქრისტეს წამების გზა - "ვია დოლოროზა".

და ქრისტეს საფლავის ტაძრის აღწერის ბოლოს იხევ(გაგრძელება გვ.249).

მსურს მოვიყვანო ამონაწერი საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალიდან "ჯვარი ვაზისა", რომელშიც ქართველთა მოღვაწეობის შესახებ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

> XVI საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში ჩავიდა მზეჭაბუკ ათაბაგის მიერ გაგზავნილი პირი ამბროსი, შემდეგ. — ბეენა ჩოლოყაშვილი — „ჯვარის მამად მივლინებული". იერუსალიმში ბ. ჩოლოყაშვილმა ფრანგთა გოლგოთა დაავლებინა და სომხებს დავა გაუმართა იაკობის ტაძრის გამო. დიდი შეწირულებით ესტუმრა ზოსიმე კუმურდოელი იერუსალიმს და კვლავ დაიხსნა გოლგოთა, — „მას ჟამსა ფრანგთა გოლგოთაი წაეეართვეს და მან დაიხსნა, ოთხასი ფლური გამოიღო".
>
> იერუსალიმში ქართველთა ხშირი ჩასვლა, მათი ზრუნვა ჯვარსა და სხვა სავანეებზე, ძველ უფლებათა აღდგენაზე, ძველი ხელნაწერების ბედზე საკმაოდ შესამჩნევი იყო. აღნიშნულის შესაბამისად ქართველებს იქ პატივს სცემდნენ, მათ ჯერ კიდევ შენარჩუნებული ჰქონდათ ზოგიერთი პრივილეგია. ამაზე საგანგებოდ წერდნენ უცხოელი მოღვაწენი: ი. პასიმტეინსკი (1493), მ. ბაუმგარტენი (1507), ლ. ჩუდი (1519), ბ. დე სალინიაკი (1522) და სხვ. ისინი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ ქართველები კვლავ გაშლილ-აფრიალებული ეროვნული დროშებით, — საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ აქლემებსა და ცხენებზე მსხდომნი, — თავისუფლად, ბაჟის გადაუხდელად, შედიოდნენ იერუსალიმში. მაგალითად, ჩეხი მოგზაური ი. პასიმტეინსკი, იერუსალიმში ყოფნისას აღნიშნავს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიაში რვა ქრისტიან ხალხს აქვს თავისი სამლოცველო: „პირველთა აქვთ საერთო სარწმუნოება ჩვენთან (იგულისხმება რომაელი კათოლიკეები, — ვ. გ.), მეორენი არიან ბერძნები, მესამენი — ქართველები, მეოთხენი — იაკობიტელნი, მეხუთენი — სირიელნი, მეექვსენი — ინდოელნი, მეშვიდენი — სომხები და მერვენი — მარონიტები". საყურადღებო ფაქტი ისიცაა, რომ ამ ხალხებიდან ქრისტეს საფლავის ეკლესიაში: რომაელებს ჰქონიათ 11 კანდელი, ბერძნებს — 9, ქართველებს — 13, იაკობიტელნებს — 5, სირიელებს — 5, ეთიოპელებს — 4, სომხებს — 4 და მარიონიტებს — 5. ასე, რომ მე-15-საუკუნის ბოლოს და მე-16 საუკუნის დასაწყისშიც ქრისტეს საფლავის ეკლესიაში კვლავ პრივილეგიებით სარგებლობენ და პირველი ადგილი უჭირავთ ქართველებს (იხ. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, 1960, გვ. 6—7). ერთ-ერთი საზღვარგარეთელი მოგზაური ლ. სუდჰეიმი კი (1331—1341 წლებში იყო იერუსალიმში) პირდაპირ მიუთითებს, რომ ქრისტეს საფლავის ეკლესიის გასაღებს ქართველები ფლობენ („არხივე დე ლ'ორიანტ ლატინ", II, პარიზი, 1884, გვ. 353—354; დამოწმებული აქვს რ. ჟანენს „ქართველები იერუსალიმში"). უცხოელ მეცნიერთა აღიარებით ქართველებს ეს უფლება XV საუკუნის ბოლომდე ჰქონიათ.

ლოიალური ჩემი საუბრის დასასრულს, მსურს შევნიშნო შემდეგი:
ისრაელში გაცხოველებული კამათი წარმოებს, განსაკუთრებით არქეოლოგებსა და ორთოდოქსალური იუდაიზმის პოლიტიკური პარტიის "აგუდათ-პარტიის, ეთ. "ტრადიციული-პარტიის" მიმდევრებს შორის, რაც გამოიწვია იმან, რომ აგუდათ-პარტია წინააღმდეგია არქეოლოგიური გათხრების წარმოებისა იქ, სადაც კი აღმოჩნდება ადამიანის ძვალი,ვინაიდან ადამიანის ძვლები - ორთოდოქსალური იუდაიზმის მორწმუნეთა აზრით - ხელშეუხებელია. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ მეფე დავითის სასახლე, იერუსალიმის ძველ ქალაქის დასავლეთ ნაწილში, რომელიც აღმოჩენილ და გაწმენდილ იქნა უკანასკნელ წლებში, ხელუხლებლადაა დატოვებული, ვინაიდან ამ ციტადელში არქეოლოგიური გათხრების დროს, ადამიანის სასაფლაოები აღმოჩნდა, რის შემდეგ, აგუდათ-პარტიის მოთხოვნით, შეწყდა ამ ადგილების არქეოლოგიური შესწავლა.

ახლა მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა, ვინაიდან აგუდათ-პარტიას სურს ისრაელის ქნესეთმა, ე.ი. პარლამენტმა მიიღოს კანონი, რომლის ძალით აკრძალული იქნება ყოველგვარი არქეოლოგიური გათხრების წარმოება იქ, სადაც აღმოჩნდება ადამიანის ძვალი. ეს კი ნიშნავს, არქეოლოგების აზრით, არქეოლოგიის მოსპობას. გაზეთმა "ჯერუსალემ პოსტმა", რომელიც გამოდის ინგლისურ ენაზე, 1982 წლის 8-ა თებერვალს გამოაქვეყნა მოწინავე, რომელშიც მხარი დაუჭირა არქეოლოგებს. ისრაელის სახელგანთქმულმა არქეოლოგმა, ისრაელის პრემიერ-მინისტრის ყოფილმა მოადგილემ - იგალ იადინმა - განაცხადა, რომ გაზაფონებულ რელიგიურ პარტიას არ უნდა მიეცეს იმის საშუალება, რომ "ტოტალური კონტროლი დაამყაროს არქეოლოგიაზე". არქეოლოგია რომ ამ გზას დადგომოდა, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ჰეროდესდროინდელი ციხესიმაგრის მასადას არქეოლოგიური შესწავლა, რომ აგუდათ-პარტიის მიერ ახლა წამოყენებული კანონპროექტი ძალაში ყოფილიყო. იუდაიზმის კანონებით - დასძინა იგალ იადინმა - სრულიადაც არ არის ხელუხებელი ადამიანის ძვლები. ცნობილი არქეოლოგ-პროფესორი ბენიამინი მაზარი
კამანს,
კი რომ ეხაა "შეცნობის ხის ამოთხრის ცდაო!"

—— • ——

XXIV.

# მოგზაურობა ბეთლემში

1981-ი წლის 20-ც აგვისტოს - ტურისტთა ერთ ჯგუფთან ერთად -,ნაშუადღევს, იერუსალიმიდან გავემგზავრე იესო ქრისტეს დაბადების ადგილ ბეთლემისაკენ.

ნაშუადღევის ორ საათზე, ავტობუსით დავტოვეთ იერუსალიმი, გავიარეთ კიდრონის ხეობა და "ზეთის მთასთან" მოუხვიეთ მარჯვნივ, და დაახლოებით 10-ი კილომეტრის გავლის შემდეგ გამოჩნდა ბეთლემი=Bethlehem, არაბულად "ბეიტ ლამ"=Beit Lahm, პატარა ქალაქი სულ 21.000-ხი მცხოვრებით,რომელთა უმრავლესობა არაბი ქრისტიანებია. ამ ქალაქში, გადმოცემით, დაახლოებით სამი-ათასი წლის წინათ დაიბადა მეფე დავითი, ხოლო 1981-ი წლის წინათ იესო ქრისტე.

სანამ ბეთლემში შევიდოდით, ჩვენი ტურისტთა ჯგუფი,რომელთა ყველა წევრი,ჩემს გარდა, ებრაელები იყვნენ,ამერიკის შეერთებულ შტატებიდან თუ ინგლისიდან, გიდმა("რახელის საფლავის სინაგოგა რომელიც ბეთლემის გარეუბანში,გორაკთან,გზის პირასაა. ებრაელთა ამ ერთერთი წმინდა ადგილის დათვალიერების შემდეგ,სადაც მრავალი სხვა მლოცველებიც იყვნენ, ჩავჯექით ავტობუსში და შევედით ბეთლემში, რომელიც უკვე თანამედროვე ქალაქის მთაბეჭდილებას ტოვებს. ჩვენმა გიდმა,სხვათა შორის, გვითხრა:

(ფ ი რ ი...)

გიდი განმარტავს, რომ ბეთლემში სამი-ათასი წლის წინათ დაიბადა მეფე დავითი,ხოლო დაახლოებით ორი-ათასი წლის წინათ იესო ქრისტე. შემდეგ აღნიშნა, რომ ბეთლემში ყოველწლიურად მოდის დაახლოებით ერთი მილიონი ტურისტი.

(ფირის დასასრული...)

ამასობაში მივედით ქრისტეს დაბადების ტაძრის მოედანთან, სადაც - გამოვედით რა ავტობუსიდან, - წავედით,მაჰეგნულად, არც ისე შესანიშნავი ტაძრის მთავარ შესასვლელისაკენ.

(ფ ი რ ი........................)

(ფირი---)

ლაპარაკობს დავით თაბორიძე ბეთლემიდან

დღეს არის 1981 წლის 19 აგვისტო და მე ვარ ბეთლემში სადაც როგორც გადმოგვცემენ დაიბადა იესო ქრისტე, და აი სწორედ იმ ადგილას სადაც იესო ქრისტე დაიბადა აშენებულია ეკლესია რომელიც გარედან ლამაზად არ გამოიყურება ვინაიდან როგორც ისტორიიდან არის ცნობილი აქ ჯვაროსნებმა როდესაც აიღეს ეს ადგილი შუასაუკუნეებში ეს წმინდა ადგილი აქციეს გარედან ციხე სიმაგრედ ამიტომ გარშემორტყმულია გალავანით და ვიწრო ფანჯრებით რომ მტრებისათვის გზა გადაეღობათ

(ფირის დასასრული...)

ამასობაში, მივედი, პატივცემულო მსმენელებო, ქრისტეს დაბადების ეკლესიის მთავარ შესასვლელთან:

(ფ ი რ ი......)

---

ლაპარაკობს დავით თაბორიძე ბეთლემიდან!

ეხლა მე ვარ, პატივცემულო მსმენელებო, ბეთლემში ქრისტეს დაბადების ეკლესიის წინ. ეს ეკლესია გარედან არ გამოიყურება ისე ლამაზად როგორც [illegible] დახატული იყო, მაგრამ ეს გამოწვეულია იმით, რომ [illegible] ჯვაროსნებმა [illegible] გალავანი, ე.ი. გახადეს [illegible] და ამის შემდეგად ეკლესია არის შიგნით, რომლის შესასვლელი კარი, როგორც ქართული ჯვარის მონასტრისა იერუსალიმში, მეტად დაბალია, რომ მტრებს, ე.ი. მაჰმადიანური რელიგიის ჯარებს არ შესძლოდათ ცხენით ადვილად შესვლა.

ამის შემდეგ, შევედი ქრისტეს დაბადების ეკლესიაში, ბეთლემში, სადაც მიმდინარეობდა წირვა:

(ფ ი რ ი .........)

აქ მსურს, პატივცემულო მსმენელებო, მოგაგონოთ ორი ამონაწერი საქართველოს ეკლესიის კალენდრიდან "ხარებისა" ქრისტეს შობის შესახებ:

# მარტი

25 აპრ. 7 | ბრწყინვალე შვიდეული. ბრწყინვალე შვიდეულის ორშაბაში.

**ხარება ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის და მარად ქალწული მარიამისა.**

## ხარება

როდესაც ყოვლადწმიდა და მარადის ქალწული მარიამი ცხოვრობდა ნაზარეთში, იოსების სახლში, გამოეცხადა მას მთავარანგელოზი გაბრიელი და უთხრა: „გიხაროდეს, მიმადლებულო. უფალია შენთან. კურთხეული ხარ შენ დედათა შორის“. მარიამი გაოცდა. „რას უნდა ნიშნავდეს ყველაფერი ეს?“ გაიფიქრა მან. მთავარანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინია, მარიამ! მოგეცა სიკეთე ღვთისაგან. შენ შობ ძეს და უწოდებ მას სახელს იესოს. ის იქნება დიდებული და ძე მაღლისა ეწოდება მას. მის მეუფებას არ ექნება დასასრული“.

მარიამმა ჰკითხა მთავარანგელოზს: „როგორ მოხდება ეს, როდესაც მე მამაკაცი არ ვიცი?“.

მთავარანგელოზმა უპასუხა: „სულიწმიდა გადმოვა შენზე და ძლიერება მაღლისა გადმოგფარავს შენ, და ამისათვის დაბადებულს ეწოდება ძე ღვთისა“.

ყოვლადწმიდა ქალწულმა მიუგო: „მე მონა ვარ უფლისა და დაე იყოს ჩემზე შენი სიტყვის თანახმად“ და მთავარანგელოზი განშორდა მას.

ამრიგად მთავარანგელოზმა ახარა ყოვლადწმიდა მარიამს, რომ მას უფლის ნებით ჩაესახებოდა ძე. მართლაც, როგორც ვიცით, ცხრა თვის შემდეგ — 25 დეკემბერს მარიამმა შვა იესო. ამიტომ 25 მარტი დაწესდა როგორც საღმრთო დღესასწაული და ეწოდება მას ხარება.

ტროპარი: დღეს ცხოვრებისა ჩვენისა თავი არს, და საუკუნითგან დაფარულისა მის საიდუმლოისა გამოცხადება, რამეთუ ძე ღმრთისა ძედ ქალწულის იწოდების, და გაბრიელ ახარებს მადლსა მას, რომელსა ჩვენცა ხმა მაღლად უღაღადებთ: გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანა.

კონდაკი: ზესთა მბრძოლისა ჩემისა-თვის და მოღვაწისა უძლეველისა, ვითარცა შენ მიერ ხსნილნი განსაცდელთაგან, სამადლობელსა აღვსწერთ ღვთისმშობელო. ქალწულო, შენდა მომართ მონანი შენნი, არამედ ვითარცა გაქვს ძლიერება უბრძოლეელი, ყოველთაგან ვნებათა განმათავისუფლენ ჩვენ, რათა გიგალობდეთ შენ, კურთხეულო: გიხაროდენ, სძალო უსძლოო.

25 ოთხ. 7 | **ხორციელად შობა ჩვენი ღმერთის და მაცხოვრის იესო ქრისტესი.**

## შობა ჩვენი უფლის იესო ქრისტესი

რომის იმპერატორმა ავგუსტინემ ბრძანა მასზედ დაქვემდებარებულ ქვეყნებში ხალხის აღწერა ჩაეტარებინათ. ამისათვის ყველა უნდა წასულიყო და ჩაწერილიყო იმ ქალაქში თუ სოფელში, სადაც ცხოვრობდნენ მისი წინაპრები. იოსები და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი წარმოშობილნი იყვნენ დავითის შტოდან, ამიტომ ნაზარეთიდან წავიდნენ იერუსალიმის ბეთლემში. იქ მათ ვერ ნახეს ბინა, ვინაიდან აღწერებთან დაკავშირებით ჩამოსული იყო ბევრი ხალხი და ყველა ბინა დაკავებული იყო. ისინი იძულებული გახდნენ შესულიყვნენ ღამის გასათევად გამოქვაბულში, სადაც მწყემსები ცუდ ამინდში შერეკდნენ ხოლმე საქონელს. ამ გამოქვაბულში უწმიდესმა ქალწულმა მარიამმა შვა ყრმა, შეხვია და დააწვინა ბაგაში.

იმ ღამეს მწყემსები ნახირს აძოვებდნენ მინდორში. მოულოდნელად ისინი გაანათა სინათლემ და მათ წინ გამოცხადდა ანგელოზი. მწყემსები შეშინდნენ, მაგრამ ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინიათ! მე გაუწყებთ თქვენ დიდ, სასიხარულო ამბავს, რომელიც მოევლინება ყველა ხალხს: ამ ღამით ბეთლემში დაიბადა მხსნელი, უფალი ქრისტე. აი ნიშანიც — თქვენ იპოვით ყრმას შეხვეულს, ბაგაში მწოლარეს". ამ დროს ცაზე გამოცხადდნენ ურიცხვი ანგელოზები, რომელნიც ადიდებდნენ ღმერთს და გალობდნენ: „დიდება ცათა შინა მაღალ ღმერთს და სათნოება კაცთა შორის მიწაზე". როდესაც ანგელოზნი გაუჩინარდნენ, მწყემსებმა თქვეს: „წავიდეთ ბეთლემში და ვნახოთ, რაც გვაუწყა ჩვენ უფალმა". ისინი მივიდნენ გამოქვაბულში და ნახეს იქ ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, იოსები და ბაგაში მწოლი ყრმა. მათ თაყვანისცეს ყრმას და უამბეს იოსებსა და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს, რაც ნახეს და გაიგონეს ანგელოზებისაგან. შობის მერვე დღეს ყრმას გაუკეთეს წინადაცვეთა და უწოდეს მას სახელი იესო.

ტროპარი: შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო, აღმოუბრწყინვა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ, რომელნი იგი ვარსკვლავსა მსახურებდეს, ვარსკვლავისაგან ისწავეს თაყვანის-ცემაი შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მაღლით აღმოსავალთათ, უფალო, დიდება შენდა.

კონდაკი: ქალწული დღეს არსებად უზესთაესსა შობს ჩვენთვის, და ქვეყანა ქვაბსა შეუხებელისა შესწირვენ, ანგელოსნი მწყემსთა თანა დიდების-მეტყველებენ, ხოლო მოგვნი ვარსკვლავისა-თანა მოგზაურობენ, რამეთუ ჩვენ-თვის იშვა ყრმა ახალი, პირველ საუკუნეთა ღმერთი.

აი ამონაწერები საქართველოს ეკლესიის კალენდრიდან"ხარებისა" და ქრისტეს შობის შესახებ. და აქვე მოვისმინოთ,პატივცემულო მსმენელებო, ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე ბეთლემში,1981 წლის 19-ტ აგვისტოს:

(ფ ი რ ი.....)

ლაპარაკობს დავით თაბორიძე ბეთლემიდან!

ეხლა ვარ,პატივცემულო მსმენელებო,ბეთლემის ქრისტეს დაბადების ტაძარში და გიდმა ჩაგვიყვანა დაბლა,სადაც არის ბაგა და სადაც დაიბადა იესო ქრისტე. ეხლა მე ვდგევარ იმ ბაგის წინ,სადაც დაიბადა ქრისტე. ეს წმინდა ადგილი,როგორც ქრისტიანული რელიგია მეტყველებს,არის ცენტრი ქრისტიანული რელიგიისა და აქ არის ორი სამლოცველო: ერთი სამლოცველო ეკუთვნის ბერძნულ ეკლესიას,სადაც დაიბადა ქრისტე, და მეორე სამლოცველო არის მის გვერდით,სადაც ქრისტე აკვანში იქნა ჩაწვენილი დაბადების შემდეგ. ვარ რა,პატივცემულო მსმენელებო,ქრისტეს დაბადების ადგილას ბეთლემში, ვიმყოფები რა ქრისტე დაბადების ბაგის წინ,მაგონდება ჩვენი ქრისტიანული, ქრისტეს შობის დღესასწაული,რომელიც ბავშობაში არაერთხელ აღნიშნულა ჩემს ოჯახშიც.მაგრამ ჩემდროს ეკლესიები ყველა დაკეტილი იყო,და მხოლოდ ოჯახში შეიძლებოდა ქრისტეს შობისა და სხვა რელიგიური დღესასწაულების აღნიშვნა, მაგონდება აგრეთვე ერთი ერთი ახეთი ქრისტეს შობის გალობა,რომელსაც ეწოდებოდა:"ოცდახუთსა დეკემბერსა ქრისტე იშვა ბეთლემსაო."

როგორც თვით გიდმა თქვა, ყოვეწლიურად ამ წმინდა ადგილზე მოდის დაახლოებით ერთი მილიონი მორწმუნე რომ ნახოს ეს წმინდა ადგილი. ვიმეორებ,დღეს არის 1981 წლის 19 აგვისტო.

ლაპარაკობს დავით თაბორიძე ბეთლემიდან!

ქრისტეს დაბადების ეკლესიის ბაგიდან,სადაც,1981 წლის წინათ,დაიბადა იესო ქრისტე. გიდმა აღნიშნა,პატივცემულო მსმენელებო, ამასთანავე,რომ აქ ბეთლემში,დაახლოებით სამიათასი წლის წინათ,დაიბადა მეფე დავითი,რომელმაც დიდი როლი ითამაშა ებრაელი ერის ცხოვრებაში.

(ფ ი რ ი ს დასასრული.....)

## იესო ქრისტეს შობის ეკლესია:

ბეთლემში ეკლესიაა აგებული იმ ადგილას,სადაც,გადმოცემით,დაიბადა იესო ქრისტე. კეისარმა კონსტანტინე დიდმა,330 წელს,ააგო ამ ადგილას ეკლესია. კეისარმა იუსტინიანმა,529-ა წელს,პირველი ეკლესიის ნანგრევებზე,რომლებიც დღესაც შემორჩენილია, ააგო უფრო დიდი ეკლესია - ბაზილიკა სვეტებით -,რომელიც არსებითად დღევანდლამდე შემორჩა. ჯვაროსნებმა 1099 წელს დაიპყრეს ბეთლემი, შეაკეთეს ქრისტეს დაბადების ეკლესია და შემოავლეს მას ციხე-სიმაგრის-მაგვარი კედელი, რაც დღემდე შემორჩენილია.

ეკლესიაში,ალტარის=სამლოცველოს ქვეშ ერთი ვერცხლის ვარსკვლავი მიანიშნებს იმ ადგილას,სადაც დაიბადა იესო ქრისტე. ამ ადგილის გვერდით მარმარილოთი მორთულია ის ადგილი,სადაც-მოციქულთა მათესა და ლუკას მიერ აღნიშნული ბაგა იყო. ამ <u>მღვიმესთანაა</u>, კარით გამოყოფილი, მიწისქვეშა დერეფანი=გასასვლელები იოსების სამლოცველოსა და <u>სენაკისაკენ</u> წმინდა ილარიონისა(ჰირონიმუს)', რომელიც აქ 420 წლამდე ცხოვრობდა.
ამგვარი გვირაბი-გამოქვაბულები=მღვიმეები დღესაც კეთდება ხოლმე ბეთლემში სახლთან გვერდით და იყენებენ საქონლისათვის, როგორც ბაგას.

შესასვლელი ამგვარ კატაკომბების-მსგავს მღვიმეებში იქვემდებარე ეკატერინას კათოლიკური ეკლესიიდანაა,რომელიც აგებულ იქნა 1882 წელს შუასაუკუნეებში აგებულ სამლოცველოს ადგილას. ამ ეკატერინას ეკლესიაში ტარდება საშობაო წირვა-ლოცვა,რომელიც რადიო-ტელეხედვით გადაიცემა ხოლმე მთელს მსოფლიოში.

იესო ქრისტეს დაბადების ტაძარი კი ბერძნული მართლმადიდებელი ეკლესიის ხელშია.

=======================

წინა საუბარში ჩვენ შევეხეთ ჩემს მოგზაურობას ბეთლემში, ქრისტეს დაბადების დაბა-ქალაქში. ახლა განვაგრძობ ამ საკითხზე საუბარს:

შევედით რა იესო ქრისტეს დაბადების ტაძარში - ბეთლემში -, ჩვენი ტურისტთათ ჯგუფის გიდმა მიგვიყვანა ტაძრის მთავარი ნავის ერთ ადგილას,- სადაც ამ ტაძრის დღევანდელი იატაკის ქვეშ,დაახლოებით ერთი მეტრის სიღრმეში,რომელიც ფიცრებითაა დაფარული(რომლის გაღება შეიძლება, გვაჩვენა ბეთლემის პირველი ეკლესიის მოზაიკური იატაკი,რომელიც დღემდე შემორჩენილია. გადმოცემით ბეთლემის ქრისტეს დაბადების ადგილას, ე.ი. იმ "ბაგის" ადგილას,სადაც დაიბადა იესო ქრისტე, კეისარმა კონსტანტინე დიდმა 326-ს წელს ააშენა ტაძარი,რომელიც 540-ც წელს კეისარმა იუსტინიანმა ხუთ-ნავიან ტაძრად გადააკეთა. ტაძრის ხუთი ნავი გაყოფილია თერთმეტ-თერთმეტი სვეტით. კედლებზე და იატაკზე კი შემორჩენილია ნარჩენები ძველი ფრესკებისა და მოზაიკებისა.

გიდმა შემდეგ შეგვიყვანა ამ ტაძრის სამლოცველოს=ალტარის მარცხენა ნაწილში, სადაც ერთი ბერძენი სასულიერო პირი სანთლებს ყიდდა, და - მივედი რა მასთან - მაშინვე შემეკითხა ბერძენი ხომ არ ვარ!?.. როცა მე ავუხსენი,რომ ქართველი ვარ მეთქი, მან გაიგო თუ რა არის "საქართველო" და რა არის"ქართველი", თუმცა მან ბერძნული ენის გარდა არც ერთი სხვა ენა არ იცოდა. ვიყიდე რა რამდენიმე სანთელი,რომელთაგან ერთი იქვე ავანთე და სამშოცველოში დავასვენე, ამ ბერძენმა სასულიერო პირმა მეტად გულთბილად და მეგობრულად მომეპყრო, შეიძლება, იმიტომაც, რომ - როგორც ავღნიშნე - ჩვენს ტურისტურ-მლოცველთა ჯგუფში ერთადერთი ქრისტიანი მე ვიყავი.

ამის შემდეგ, ამ ტაძრის ალტარის მარჯვენა მხრიდან, კიბით ჩავედით დაბლა,სადაცაა ქრისტეს დაბადების ადგილი ბაგა. აი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე ამ ადგილიდან:

(ფ ი რ ი.......................)
=========================

(ფ ი რ ი.........)

ლაპარაკობს დავით თაზორიძე ბეთლემიდან!
დღეს არის 1981 წლის 19 აგვისტოს და დღეს ვინახულე,ნაშუადღევის 4-ს საათზე ქრისტიანიზმის წმინდა ადგილი ბეთლემი.

შევედი რა ქრისტეს დაბადების ეკლესიაში, აქედან არის ჩასასვლელი დაბლა,სადაც მოთავსებულია ბაგა-ქრისტეს დაბადების ადგილი, ეკლესიიდან ჩასასვლელი გაკეთებულია,რათქმა უნდა, მასშემდეგ,როდესაც ეკლესია აგებული იქნა,ამ წმინდა ადგილზე.მაგრამ,როგორც თვით გიდმა გვითხრა,მეორე კიბე,რომელიც მარცხნიდან არის,არის კიბე იმ სახლისა,რომლისაგან კიბე ჩადიოდა ამ ბაგაში, განმარტებულია აგრეთვე ისიც,რომ ბაგა იმდროს,როდესაც იესო ქრისტე დაიბადა,იყო სახლის გვერდზე,ე.ი. ბაგაში ჩასასვლელი კიბე ამოდიოდა სახლიდან; ასე რომ საქონელი, პირუტყვი და ადამიანები ცხოვრობდენ ერთმანეთთან ახლოს და მათშორის არსებობდა შენობრივი კავშირიც; აქიდან ბაგა არ არის,ასეცთქვათ,ისეთი ადგილი,სადაც უწმინდურება სუფევს;და აი აქ ამ ბაგაში არის ორი ადგილი:ერთი არის ბერძნული ეკლესიის ქვეშ;ის ადგილი სადაც ქრისტე დაიბადა;და მეორე ადგილი არის იმის მარჯვნივ.ე.ი. ამ დაბადების ადგილის მარჯვნივ,სადაც ქრისტე ჩაწვენილ იქნა აკვანში, ე.ი. ორივე ადგილი არის ერთმანეთის გვერდზე შუაში არის შემოსასვლელი ეკლესიიდან და შესამჩნევია ისიც ე.ი. თვით ბაგა სადაც ქრისტე დაიბადა არის ბერძნული ეკლესიის თვალყურეობის და ღვთის მსახურობის ქვეშ და აკვანი სადაც ქრისტე იქნა ჩაწვენილი აკვანში ეს-არის კათოლიკური ეკლესიის მფარველობის ქვეშ; ე.ი. აქაც,ქრისტეს დაბადების ადაგას **მოსჩრს** ქრისტიანული რელიგიის ამ ორი დიდი მიმართულების-მართლმადიდებლებისა და კათოლიკების- სხვაობა ქრისტეს მოძღვრებისადმი, ზევითკი,ამ ბაგას ზევით აშენებულია ეკლესია,რომელიც მთლიანათ ბერძნების ხელშია. ძოვედი რა ამ წმინდა ადგილს,შემოსვლისას ბერძა-არვიცი რაჯომ-შემეკითხა - თქვენ იტალიელი ხომ არა ხართო? და როდესაც მე უპასუხე,რომ მე ვარ ქართველი,ე.ი. უთხარი "გეორგიანო",ვფიქრობ, ბერძენმა გაიგო, ღიმილით შემომხედა და მე მას გამოვართვი სამი სანთელი. ამ სამი სანთლიდან-ერთი ავანთე ალტართან-სამლოცველოსთან ქრისტეს დაბადების ეკლესიაში,რითაც მე მსურდა ჩემი ოჯახის გარდაცვლილთა სულის მოხსენება.

იესო ქრისტეს დაბადების ადგილის ბაგისა და ამ ბაგაზე აღმართული უშველებელი "დაბადების ტაძრის" გულდასმითი დათვალიერების შემდეგ, გამოველი ტაძრის წინა მოედანზე, და აქ მომაგონდა გალობა "ალილო", რომელსაც ბავშვები იესო ქრისტეს დაბადების წინა ღამეს, ე.ი. 24-ს დეკემბერს - ძველი სტილით - ვმღეროდით მეზობლების ეზოებში, რომლის შემდეგ საჩუქრებს - ჩურჩხელებს თუ სხვა ტკბილეულობას - ვღებულობდით. გასაკვირია მხოლოდ ის, რომ - მიუხედავად იმისა ეკლესიები საქართვე-ლოში მაშინ დაკეტილი იყო - "ალილოობა", "ქრისტეს შობის" დღესასწა-ულის აღნიშვნა ოჯახებში მაინც შემორჩენილი იყო. და ახლა, ვიყავი რა ქრისტეს დაბადების ქალაქში მეთლემში - ისევ მომაგონდა ეს "ქრისტეს შორის" გალობა, რომელიც ე.წ-ლი" "პლეი-ბეკის" მეთოდით - ისევ შევქმენი, და მსურს მოვისმინოთ ჩვენი რეპორტაჟის ამ ადგილას:

ამ ალილოს ტექსტი აი ასეთია:

"ვივხილოთ შობა უფლისა...
ოცდა-ხუთსა ამ თვესაო,
ქრისტე იშვა ბეთლემსაო.
ეს რომ მწყემსებმა გაიგეს,
მივიდნენ და თაყვანი სცეს!..

ეს ტექსტი, ჩემის აზრით, "ნაწყვეტები" უნდა იყოს, მაგრამ
მოვისმინოთ თვით გალობაც:

(ფირი:გალობა................)

სხვათა შორის, ბეთლემი და მისი შემოგარენი მთაგორიანი ადგილია და თვით ბეთლემი მდებარეობს ზღვის დონიდან 777-ი მეტრის სიმაღლეზე. მოსახლეობა კი უმთავრესად ეწევა სოფლის მეურნეობას, მაგრამ შემოსავლის მთავარი წყარო ახლა ტურიზმია,ვინაიდან ყოველწლიურად მილიონობით ადამიანები მიდიან,როგორც მლოცველები, ქრისტეს დაბადების ადგილის წმინდა ტაძრისა და ბაგის დასათვალიერებლად. ამითაა განპიროვნებული ისიც, რომ ბეთლემი უკვე სასტუმროებისა და ტურისტთა სხვა სამომხმარებლო ნაგებობათა ქალაქია, რომელშიც განუწყვეტელი მშენებლობა მიმდინარეობს.

იესო ქრისტეს დაბადების ტაძრის დათვალიერების შემდეგ, გიდმა მიგვიყვანა ერთ დიდ სუვენირების მაღაზიაში, რომელშიც შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ "ვალუტის მქონე" ტურისტებს და სადაც - როგორც წესი სუვენირთა დიდ მაღაზიებში - ყავას თუ ჩაის უფასოდ აწოდებენ ტურისტებს. შევედი რა ამ მაღაზიაში, ერთმა,ალბათ, სულ-რაღაც 12-ი წლის არაბმა ბიჭმა,რომელიც ყავას თუ ჩაის აწვდიდა ტურისტებს, მეტად დააკვირდა ჩემს მაგნეტოფონს და როცა შემეკითხა თუ რა არის

ეს აპარატიო, მე მას ვერაფერი გავაგებინე,ვინაიდან მან არაბულს გარდა სხვა ენა არ იცოდა; და გაგებინების მიზნით მისი ხმა ჩავწერე მაგნეტოფონის ფირზე და შემდეგ მოვასმენინე. ეს კი ისე მოეწონათ იქ მოსამსახურე თითქმის ყველა ბავშვს, რომ მთხოვა კიდევ ჩამეწერა მისი ხმა,რის შემდეგ მან კარგი ხუთი წუთი ილაპარაკა მიკროფონში. ამის შემდეგ მოვიდა ერთი თარჯიმანი არაბი ქალიშვილი,რომელსაც შევეკითხე თუ რა ილაპარაკა ამ ბიჭმა მიკროფონში,რის შემდეგ თარჯიმანმა მითხრა, რომ იმ ბიჭმა თქვა,როცა გაიზრდება წავა ამერიკაში და გააკეთებს ბევრ ფულს და იცხოვრებს მდიდრულადო!.. გამიკვირდა რა ამ არაბი ბავშვის ასეთი ნატვრა, არაბმა თარჯიმანმა-ქალიშვილმა,რომელიც, როგორც ჩანს, იცნობდა ცხოვრებას ევროპა-ამერიკაში, ნაღვლიანად დასძინა:"აქ არა მარტო ბავშვებს ჰგონიათ, რომ ამერიკაში ფული ქუჩაში ყრიაო!.." ეს ეპიზოდი კი ჩამრჩა თავში იმიტომ, რომ ზოგიერთი ადამიანი, ბავშვების ჩათვლით, ახე თუ ისე დუხჭირი ცხოვრების გამოსწორებას ადგილზე,ადგილობრივი შესაძლებლობანით კი არ ცდილობს, არამედ ფანტაზიური სამოთხისებური წარმოდგენებით"კვებავენ"თავიანთ თავს; და რა გასაკვირია, რომ ბავშვები ყველაზე უფრო ადვილად ექცევიან ამგვარი ფანტაზიის გავლენის ქვეშ, თუმცა იმის უარყოფაც არ შეიძლება, რომ ინდუსტრიულ ქვეყნებში,უთუოთ, უფრო უკეთესი ცხოვრების პირობებია,ვიდრე ე.წ-ლ "განვითარებად" თუ ნაკლებად ინდუსტრიულ ქვეყნებში. მაგრამ ეს,სხვათა შორის.

აქ მსურს დავამთავრო ჩემი დღევანდელი რადიოდოკუმენტაციის გადაცემა ჩანაწერით მაგნეტოფონის ფირზე:

<u>(ფ ი რ ი....)</u>

ლაპარაკობს რადიო თავისუფლება!..

დღეს არის 1981 წლის 19 აგვისტო, და დღეს ვინახულე ქრისტიანიზმის წმინდა ადგილი - ბეთლემი.

==================

(ფესი [illegible]...) XXVI.

ბეთლემიდან გიდმა წაგვიყვანა ჰებრონში, ქალაქში,რომელიც 927-ი მეტრის სიმაღლეზეა გაშენებული ზღვის დონედან და მასში 53.400-სი სული მცხოვრებია. ეს წმინდა ადგილი დიდი მნიშვნელობისაა როგორც ებრაელების,ისევე მაჰმადიანებისათვის,ვინაიდან აქ 1115-ტ წელს აღმარ-თულ ეკლესიაში,რომელიც ახლა მეჩეთია, განისვენებენ აბრამი, ისაკი და იაკობი მათი მეუღლეებით, რომელთაც ორივე რელიგია ებრაული და მაჰმადიანური - რელიგია მათს წმინდანებად,წინაპრებად თვლიან.

ამ მეჩეთ-სინაგოგაში, წესისამებრ, შესვლა შესაძლებელია მხოლოდ თავზე ქუდ-დახურული, ხოლო ვისაც ქუდი არ გააჩნია, მათ შესასვლელთან აძლევენ შავ-სქელ-ქაღალდისაგან ნაუცბათევად გაკეთებულ სვანური ქუდის მსგავს პატარა ზომის ქუდს, რომლის დახურვის შემდეგ, მეც შევედი ამ შესანიშნავ ნაგებობაში; დავათვალიერე ეს ნაგებობა - აბრამის, ისაკის ,და იაკობის უშველებელი აკლდამები მათი მეუღლეებითურთ, - ისეთი ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ყველაფერმა ამან ჩემზე, რომ გარეთ გამოსვლისას დამავიწყდა ქუდის უკან დაბრუნება; და როცა ქალაქში ერთმა ორტოდოქსალურმა, ე.ი.ღრმად მორწმუნე ებრაელმა დამიწყო ლაპარაკი,ხოლო მე ვერაფერი გამაგებინა,მაშინ ეჭვის თვალით შემხედა თავზე...მაშინ მივხვდი, რომ მას მე ღრმად მორწმუნე ებრაელი ვეგონე,რის შედეგად მაშინვე მოვიხადე ეს ქუდი. როგორც შემდეგ ერთმა ებრაელმა ტურისტმა ამიხსნა, ასეთ ქუდს ეწოდება ებრაულად "ფესი",რომელიც ყველამ უნდა დაიხუროს სინაგოგაში შესვლის დროს. თვით ამგვარი ქუდის დედააზრი ის ყოფილა, რომ მორწმუნემ იცოდეს, რომ მას ზევით უზენაესია,ღმერთია.

გზაში - ბეთლემიდან ჰებრონამდე და შემდეგ ჰებრონიდან იერუსალიმამდე - არაერთი კიბუცი დაგვანახა ჩვენმა გიდმა,რომელმაც სათანადო ახსნა-განმარტება და ერთი ბროშურაც მოგვცა კიბუცების შესახებ; და აი ამის გაცნობა თქვენთვის,ვფიქრობ,საინტერესოა.

და აქ მსურს გესაუბროთ, პატივცემულო მსმენელებო, კიბუცების შესახებ ისრაელში:

ხელთ მაქვს, პატივცემულო მსმენელებო, ბროშურა "კიბუცი ისრაელში", და, ვფიქრობ, მიზანშეწონილი იქნება თუ გავეცნობით ამ ბროშურის მთავარ ადგილებს; მიზანშეწონილად განსაკუთრებით იმიტომ ვთვლი ამ ბროშურის მთავარი ადგილების ციტირებას, რომ პარტიული პროპაგანდა, ვთქვათ, ჟურნალი "საქართველოს კომუნისტი" - თავის 1982 წლის მესამე,ე.ი.მარტის ნომერში კიბუცს ისრაელში ასე ახასიათებს:

"ბურჟუაზიულ-რეფორმისტული იდეოლოგიის რეაქციული არსი."

"კიბუციზმი - "დემოკრატიული სოციალიზმის" სიონისტური მოდელი", რომლის დროს ცნება "დემოკრატიული სოციალიზმი" ბრჭყალებშია ჩასმული. და ამ სტატიის ავტორია ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ.ჭანუყვაძე.

ვითომ სინამდვილეს შეესაბამება პროფესორ ჭანუყვაძის ამგვარი მტკიცება? - აი მოვიყვანოთ ამონაწერები აღნიშნულ წიგნაკიდან:

"შეუძლიათ ადამიანებს ნამდვილად ერთად იცხოვრონ, იმუშაონ და შექმნან ღირებულებანი ასეთ საზოგადოებაში, რომელიც კონკურენციას კი არ იცნობს, არამედ თანამშრომლობას და ურთიერთ დახმარებას?"- დაყენებულია საკითხი ამ წიგნაკში და იქვე მოცემულია შემდეგი პასუხი:

"ხშირად შეეცადნენ ასეთი ცხოვრების ყაიდა დაენერგათ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში,მაგრამ ვერსად ვერ გაიხარა მან გარდა კიბუცებში,ისრაელში. ისრაელში კიბუცებში ცხოვრობენ უკვე მეოთხე თაობა, და კიბუცების წარმატებებმა ისრაელში უკვე მიიპყრო ყურადღება მთელს მსოფლიოში. კიბუცი არის ერთი სამართლიანი, პროდუქციული და ნებაყოფლობაზე დაყრდნობილი საზოგადოება,რომელშიც

ადამიანები ცხოვრობენ საკუთარი ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების შესაბამისად სხვებთან ერთად და არავინ მათი მუშაობისათვის არავითარ ფინანსიურ ანაზღაურებას არ ღებულობს."

შემდეგ ამ ბროშურაში ვკითხულობთ:

"პირველი კიბუცები შექმნილ იქნა ახალგაზრდა ებრაელთა ჯგუფებიდან, რომლებიც სიონისტური მომავლის იმედებითა და ჰუმანიტარული იდეალებით იყვნენ გამსჭვალულნი. ისინი, დაახლოებით ორმოცი წლის წინათ ისრაელის სახელმწიფოს შექმნამდე, ე.ი. ჩვენი საუკუნის დასაწყისში (ისრაელის სახელმწიფო შეიქმნა 1948 წელს) დასახლდნენ ისრაელში, რომლის ტერიტორია მაშინ გაპარტახებული იყო,-და იდეალისტური აღტკინებით, ჯანსაღი რეალისტური მიდგომით ცხოვრებისადმი, შეუდგენ მუშაობას. და მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, მათ შეძლეს შეექმნათ ერთგვარი ცხოვრების სტილი,რომელიც ეყრდნობოდა საერთო შრომის პრინციპებს, საერთო ქონებას, სოციალურ სამართლიანობას და თანასწორობას.".

"კიბუცები - ნათქვამია შემდეგ ამ ბროშურაში -, ჩამოყალიბების მჭლე წლების შემდეგ, მომრავლდა. კიბუცები შეეგუა შექმნილ ახალ მდგომარეობას,რის შედეგად განსაზღვრულ აღორძინებას ჰქონდა ადგილი. დღესდღეობით ისრაელის სხვადასხვა კუთხეში არსებობს 250-მდე კიბუცი, რომელთა წევრთა რაოდენობა 80-ცსა და 1000-ს შორის მერყეობს. საერთო რაოდენობა კიბუცების წევრებისა მთელს ისრაელში უდრის 110.000-სს."

"დასაწყისში, - ვკითხულობთ შემდეგ აღნიშნულ წიგნაკში -, კიბუცები სოფლის მეურნეობით იყო დასაქმებული, რომლის დროს - თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გამოყენებით - დიდ წარმაცებას მიაღწიეს და დღეს კიბუცების მიერ მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია ყველაზე უფრო მაღალია მთელს მსოფლიოში. მაგრამ ვინაიდან ისრაელი არც მიწებითა და არც წყლებით მდიდარია, უკანასკნელ წლებში კიბუცები იძულებული გახდა ინდუსტრი-

ული განვითარებისათვისაც მიეშყო ხელი.და დღეს თითქმის არ მოი-
პოვება კიბუცი ისრაელში,რომელსაც არ გააჩნია მისი ფაბრიკა. ყო-
ველი სახის პროდუქციას ამზადებს ახეთი სახის საწარმო: ელექ-
ტრონულ ხელსაწყოებს, ავეჯს, ოჯახში მოსახმარ საქონელს, კერა-
მიკას, დამუშავებულ სურსათ-სანოვაგეს, პლასტმასის ნაწარმს,
სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და სარწყავ ხელსაწყოებს. მრავალ
რაიონში კიბუცები გაერთიანდნენ და შექმნეს რეგიონალური ინდუს-
ტრიული ზონები მოდერნული ფაბრიკა-ქარხნებით, შეფუთვის მოწყობი-
ლობებითა და საწყობებით. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ
ისრაელის ყველა კიბუცში გაერთიანებულია ისრაელის მოსახლეობის
მხოლოდ 4-ი(ოთხი) პროცენტი,რომელიც ქმნის ისრაელის სასოფლო-
სამეურნეო პროდუქციის 40-ც პროცენტს, და ისრაელის ინდუსტრიული
ნაწარმის ექსპორტის 7-ღ პროცენტს."

როგორაა მოგვარებული თვით კიბუცის წევრების ყოფა-ცხოვრება? -
კიბუცი უზრუნველჰყოს მის წევრებს დაბადებიდან სიკვდილამდე.
ავადმყოფობის, ინვალიდობის და სხვა უბედურების დროს, [illegible]
კიბუცის წევრები, არა მარტო მის ნათე-
სავების,მოყვრებისა და მეგობრებისაგან,არამედ მოცემული კი-
ბუცის მთელი ერთობისაგან. თვით კიბუცში კი ფულს არ იყენებენ.
კვება, ბინა, აღზრდა, მოვლა ავადმყოფობის დროს და სხვა -
უფასოა, რომლის დროს - კიბუცის საერთო ეკონომიკური მდგომა-
რეობის შესაბამისად- თითოეულის მოთხოვნილება დაკმაყოფილე-
ბულია. კიბუცის ყოველი წევრი, ამას გარდა, დამატებით ღებულობს
განსაზღვრულ თანხას, რომელსაც ის იყენებს სურვილისამებრ.
მაგრამ კიბუცის "საერთო მაღაზიაში" რომ,მაგალითად, საჩუქარი
იყიდოს ან კიბუცის ავტომობილით მეგობართან წავიდეს, - ამისა-
თვის ფული არ არის საჭირო: საიჭროა მხოლოდ
სიაში სახელისა და გვარის ჩაწერა, რომლის შემდეგ ლირებულება
გამოკლებულ იქნება მისი თანხიდან,რომელსაც ის ღებულობს კი-

ბუციდან. ხარჯებისათვის კი კიბუცს გარეთ, ყოველ წევრს შეუძლია დახარჯოს თავისი ფული საკუთარი კონტოდან."

"საცხოვრებელი ბინები, სასადილო, სკოლა და თავშესაყარი დარბაზები თითქმის ყოველთვის ცენტრალურ ადგილზეა, ხოლო მამუ-ლები, მინდვრები და ფაბრიკები გარე-რაიონებშია. თვით კიბუცში თითქმის არ არსებობს მოტორიზებული მოძრაობა; ხალხი იყენებს ველოსიპედებს ან დადიან ფეხით. მიუხედავათ იმისა, რომ ყოველ ოჯახს სახლში სამზარეულო გააჩნია, კიბუცის წევრები უმთავრესად ჭამენ საერთო სასადილოებში. ამგვარ სასადილოებშიც მუშაობენ კიბუცის წევრები, ისევე როგორც ხეხილის ბაღებში,ფაბრიკა-ქარხ-ნებში,სამრეცხაოებში,სკოლებში თუ ბუხალტერიაში. კიბუცის წევრების უმრავლესობა მუშაობენ კიბუცის მეურნეობის განსაზღვრულ სექტორში. მაგრამ კიბუცის ზოგიერთი წევრები მუშაობენ აგრეთვე რეგიონალური კიბუცების საწარმოში, სახელმწიფო უწყებებში თუ სხვა სამუშაოზე, თ[illegible]ას მისი პროფესიის ამაღლება სურს და ამის შესაძლებლობა კიბუცში არ გააჩნია. ამას გარდა, ზოგჯერ საჭირო ხდება კიბუ-ცის სამუშაოზე მიღებულ იქნას მოცემული კიბუცის არა-წევრი, რომელიც, ამ დროს, ხელფასს ღებულობს ჩვეულებრივად."

"ბავშვთა აღზრა - ვკითხულობთ შემდეგ ამ წიგნაკში - განსა-კუთრებული წესითაა ორგანიზებული კიბუცებში. ყველაფერი ხდება საბავშვო სახლებში, სადაც ღებულობენ კვებასაც. ბევრი ბავშვი ღამეს ათევს აგრეთვე ამგვარ საბავშვო სახლებში; ზოგიერთები კი მიყავთ მშობლებს სახლებში და მეორე დღეს,დილით ისევ მიყავთ ბავშვთა სახლებში. ნასადილევს და საღამოს ყველა ოჯახი დროს ატარებენ ერთად. მართალია, კიბუცებს გააჩნიათ საბავშვო ბაგები, ბავშვთა ბაღები და დაწყებითი სკოლები, მაგრამ საშუალო სკოლაში მიდიან რეგიონის ცენტრში, და საშუალო სკოლის დამთავრების შემ-დეგ, ვისაც სურს,შეუძლია სწავლა განაგრძოს უნივერსიტეტში ან უმაღლეს სასწავლებელში, განსაკუთრებით მაშინ,როცა სტუდენტის პროფესიული მისწრაფება საზოგადოების - კიბუცის - ინტერესებს

შეესაბამება. ამ შემთხვევაში კიბუცი იხდის სტუდენტის ხარჯებს სწავლის დროს ქალაქში."

"მმართველობა კიბუცში წმინდა დემოკრატიულია. კიბუცის ყოველ წევრს აქვს ერთი ხმა საერთო კრებაზე, რომელიც,ჩვეულებისამებრ,კვირაში ერთხელ ტარდება. ამგვარ საერთო კრებაზე წყდება საერთო მოქმედების დადგენა, და კომიტეტების არჩევა ყოველდღიური ცხოვრების ყველა სექტორში - აღზრდა, ბინა, თავისუფალი დრო, შრომის პრობლემები, ფინანსები,ჯანმრთელობის დაცვა და სხვა. საერთო კრება წყვეტს აგრეთვე კიბუცში ახალი წევრების მიღების საკითხს, რომლის დროს წესით, ახლადმიღებულმა,ერთი წელიწადის განმავლობაში უნდა გამოამჟღავნოს, რომ შეეგუება ცხოვრებას კიბუცში,რის შემდეგ მიღებულ იქნება მასში. კიბუცის წევრები დღესასწაულებს ზეიმობენ ერთად; მათ შორის, მუსიკალური კონცერტები, ცეკვები, წარმოდგენები, ზოგჯერ პიკნიკები, დაპატიჟებები, მოსავლის დღესასწაულები თუ შეკრებანი. ასევე ერთად აღინიშნება დაქორწინება,ნათლა, დაბადების დღეების აღნიშვნა,რომლის დროს ნათესავები და სტუმრები მიდიან კიბუცში ქალაქიდანაც."

"კიბუცი - ვკითხულობთ შემდეგ ამ წიგნაკში - ერთადცხოვრების განსაკუთრებულ საზოგადოებრივ ფორმას, რომელიც შექმნილია არა მთავრობის გადაწყვეტილებებით, არამედ მათი წევრების ბუნებასთან განუყრელი კავშირით განსაზღვრული ცხოვრების ყაიდით, რის საფუძველია ნებაყოფლობითი იდეალიზმი ერთად იშრომონ, როგორც ამას აკეთებდნენ კიბუცის წევრთა მამები და ბაბუები."

და-ბოლოს ბროშურაში "კიბუცი ისრაელში", რომელიც გამოცემულია ისრაელში, - მოთხრობილია თუ რა საფუძველზე წარმოიშვა ისრაელში კიბუცები. "ამგვარი ცხოვრების ყაიდა - ვკითხულობთ აქ - წარმოიშვა ორგანიულად რეალური და სპეციფიური საჭიროებიდან პიონერული საზოგადოებისა და ისევაღორძინებული ერის წიაღიდან. წელთა განმავლობაში, კიბუცების მოძრაობა გაიზარდა და ახალ პირობებთან შეთავსებით ახალ საზოგადოებრივ და ეკონო-

მიკურ ერთობად იქცა. და მიუხედავად იმისა, რომ კიბუცებში ისრაელის მოსახლეობის მხოლოდ 4-ი პროცენტია გაერთიანებული, ამ ერთობიდან ისრაელმა მიიღო და ღებულობს მრავალ თვალსაჩინო წამყვან პირებს. კიბუცებმა დააკავშირა ერთმანეთთან იდეალიზმი და პატრიოტიზმი. კიბუცებმა ითამაშეს მნიშვნელოვანი როლი ისრაელის საზოგადოების შექმნაში იმ დროს, როცა ეს გადამწყვეტი იყო ებრაელი ერისათვის."

და მე მსურს,ჩემი მხრივ,დავძინო, რომ კიბუცი წმინდა ებრაული ეროვნული მოვლენაა ისრაელში, რის საფუძველი და მრწამსი იყო და დარჩა ეროვნული, კიდევ მეტი, ეროვნულ-რელიგი-ური მეობა ებრაელი ერისა. ამდენად, კიბუცის სისტემის წაბაძვა ან გადანერგვა სხვა რომელიმე ერში შეუძლებელია. სხვათა შორის, 1981 წლის 19-ტ აგვისტოს, როცა იერუსალიმიდან, ტურისტთა ერთ ჯგუფთან ერთად, ჯერ დავათვალიერე ბეთლემი,იესო ქრისტეს დაბადების დაბა-ქალაქი, შემდეგ ჰებრონი, აბრაჰამის წმინდა ქალაქი და ვბრუნდებოდით ისევ იერუსალიმში, - ჩვენმა გიდმა გზაზე დაგვათვალიერებია ერთი კიბუცი, რომელსაც - ქართულად რომ ვთარგმნოთ - ეწოდება "ისევ მოვალთ". ამ კიბუცის ისტორია ასეთი ყოფილა: პირველი შემქმნელები, დამაარსებელნი კიბუცისა "ისევ მოვალთ"- დაუარსებიათ დღეს. ამ კიბუცში მცხოვრებთა მა-მებს, რომელთაც თავს დასხმიათ ერთ დღეს არაბები,ყველა დაუხოცავთ და ნაგებობანი გადაუწვავთ. ამ მამების შვილებს, რომლებსაც მოუს-წრიათ იერსუალიმში გახიზნება, შემდეგ,როცა მდგომარეობა ოდნავად მიწყნარებულა, ისევ მოსულან ამ ადგილას და ისევ აღუდგენიათ ეს კიბუცი,ხოლო ახლა უწოდებიათ სახელად "ისევ მოვალთ". ეს ფაქტი კი ნათელჰყოფს, რომ კიბუცების სისტემის წარმატება ის-რაელში სწორედ ამგვარ ეროვნულ,კიდევ მეტი,ეროვნულ-რელიგიურ იდეა-ლიზმს უნდა მიეწეროს, რაც საფუძველია არა მარტო კიბუცის საზო-გადოებრიობისა ისრაელში.

(ფ ი რ ი.........)

ლაპარაკობს დავით თაბორიძე ბეთლემიდან!..
დღეს არის,პატივცემულო მსმენელებო, 1981 წლის 20 აგვისტო
და  ახლა მე ვარ ქრისტეს დაბადების დაბა-ქალაქ ბეთლემში.

(ფირის დასასრული...)

როგორც წინა საუბრებში აღვნიშნე, პატივცემულო მსმენელებო, 1981 წლის 16-ს აგვისტოს მე ჩამოვედი იერუსალიმში, დავათვალიერე იქ ჩვენი კულტურულ-რელიგიური დიდი ცენტრი იერუსალიმის ჯვარის მონასტერი, დავათვალიერე აგრეთვე იერუსალიმის ძველი ქალაქი, და შემდეგ ვიმოგზაურე პალესტინის,ე.ი.ისრაელის სხვა ადგილებში და ჩავედი ქრისტეს დაბადების დაბა-ქალაქ ბეთლემში, რომელიც დაწვრილებით ავღწერე ჩემს რადიოდოკუმენტაციებში.
1981 წლის 20-ც აგვისტოს - დავამთავრე რა ბეთლემის დათვალიერება
ეს წმინდა ქალაქი არ მსურდა დამეტოვებინა ისე, რომ არ მომესმინა ბეთლემის ქრისტეს დაბადების ეკლესია-ტაძრის ზარების რეკვა.
და აი, მოისმინეთ ახლა, ძვირფასო მეგობრებო ქრისტეს დაბადების ტაძრის ზარების რეკვა:

(ბეთლემის ტაძრის ზარების რეკვა....)

დავამთავრე რა ბეთლემის,ქრისტეს დაბადების წმინდა ადგილის დათვალიერება, ტურისტთა  ჯგუფთან ერთად გავუდექით გზას ებრაელთა და არაბთა წმინდა ქალაქ ჰებრონისაკენ. გზაში მრავალი ე.წ-ლი კიბუცი და მოშავა დავინახეთ.

წინა გადაცემაში ჩვენ ვისაუბრეთ კიბუცის შესახებ ისრაელში და ავღნიშნეთ, რომ ეს სასოფლო-სამეურნეო ერთობა ეყრდნობა ისრაელელი ერის ეროვნულ-რელიგიურ მრწამსს, და მათში დასაქმებულია ისრაელის მოსახლეობის მხოლოდ 4-ი პროცენტი.

მაგრამ ისრაელში კიბუცებზე უფრო გავრცელებულია ე.წ-ლი მოშავს, მოშავების სასოფლო-სამეურნეო დასახლებანი.

და ახლა მოკლედ შევეხოთ აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო დასახლებებს, რომლებიც "მოშავის"=Moschaw სახელწოდებითაა ცნობილი:

"მოშავა" არის სასოფლო-სამეურნეო დასახლება, რომელიც აერთიანებს დაახლოებით 60-ც კომლს. ყოველ კომლს გააჩნია თავისი სახლი, ამუშავებს თავის საკუთარ მიწას და ცხოვრობს ამის შემოსავლისაგან. მოშავას ყველა ოჯახი არის საერთო კოოპერატივის წევრი,რომელიც აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვას და ამარაგებს მის წევრებს საჭირო საქონლით. ამასგარდა კოოპერატივი ხელმძღვანელობს სწავლა-განათლებას, კულტურულ ცხოვრებას, სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფას.

მოშავას სასოფლო-სამეურნეო ცხოვრება ემყარება ოთხ მრავარ დებულებას:

1. მიწა-წყალი არის ეროვნული საკუთრება,

2.ოჯახის შრომის ნამდვილი ერთობა,

3.მოშავას წევრები ვალდებულებას იღებენ თავიანთ-თავზე ერთმანეთს დაეხმარონ და იზრუნონ დასახლების საერთო კეთილდღეობისათვის,

4.მეურნეობის მოსავალს ყიდის კოოპერატივი. ის აწოდებს აგრეთვე მოშავას წევრებს სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და მოწყობილობას და აგრეთვე ზრუნავს მეურნეობაში მოდერნული მეთოდების დანერგვისთვის.

მოშავას ჩანასახს ადგილი ჰქონდა ებრაელი ერის ისტორიაში ჩვენი წელთაღრიცხვის ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში; მაშინ ისრაელი წარმოადგენდა აყვავებული სამოვრებისა და სოფლის მეურნეობის ქვეყანას. და ამ ხანიდან დაწყებული თანამედროვე ხანამდე ებრაელებს მრავალ ეროვნულ,აფრიკულ და შუაამოსავლეთის ქვეყანაში უკრძალავდნენ მიწა-წყლის საკუთრებასა და დამუშავებას.

დაახლოებით 100-ი წლის წინათ, ჯგუფ-ჯგუფებად გაიქცნენ ებრაელი ახალგაზრდები - ებრაულ-რელიგიური რწენახნხის რწმენით გამსჭვალულნი - მათი მამების ქვეყანაში, რომელიც მაშინ თურქების

ბატონობის ქვეშ იყო. პირველი კიბუცი -"დაგანია" - შექმნილ იქნა 1909 წელს, ხოლო ათი წლის შემდეგ კიბუც "დაგანიას" წევრებმა შექმნეს კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო სისტემა და ასე წარმოიშვა "ნაჰალალ-ის" 1921 წელს,ესდრელონის ხეობაში, პირველი მოშავა. და როცა ისრაელის სახელმწიფო დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1948 წელს, მაშინ უკვე არსებობდა 58-ი ასეთი დასახლება, ხოლო 1980-ი წლისათვის მათი რიცხვი გაიზარდა 400-სამდე. 50-იან წლებში, ისრაელში,სამშობლოში დაბრუნდენ თითქმის 2000-სი წლის უცხო ქვეყნებში ცხოვრების შემდეგ, ებრაელები ევროპიდან, არაბულ ქვეყნებიდან თუ აფრიკიდან,რომელთა რიცხვი 600.000-ზე მეტი იყო. და ამ ხალხს, რომელთაც არავითარი გამოცდილება არ გააჩნდათ სოფლის მეურნეობაში მუშაობისა, მოშავის კოოპერატივებმა დაეხმარეს, და ასე შეიქმნა უკაცრიელ ნეგევის უდაბნოში, იუდეას კლდეებში თუ გალილეას გორებზე აყვა-ვებული სოფლის მეურნეობა.

ყოველი მოშავის კოოპერატივის წევრი იღებს მიწაწყალს იჯარით 49-ა წლის ვადით. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულება ავტომა-ტურად გრძელდება. მოშავის ყოველი ოჯახი ღებულობს მიწას ერთნაირი პირობებით. მოშავის წევრს უფლება აქვს მისი მიწაწყალი მემკვიდ-რეობით გადასცეს მის რომელიმე შვილს. ქალი და კაცი ერთნაირი უფლებებით სარგებლობს მოშავაში და არიან თანასწორუფლე-ბიანი პარტნიორები. მოშავის ცალკეული ოჯახის მიწაწყალი ისეა დაყოფილი, რომ მისი დამუშავება შეუძლია ოჯახს უცხო მუშახელის გარეშე, თუმცა დათესვისა და მოსავლის მოწევის დროს შეუძლია მას დამხმარე მუშის დაქირავება შესაბამისი დღიური ხელფასით. მოშავის წევრ-ოჯახის მიწაწყლის სიდიდე სხვადასხვა რაიონში სხვადასხვა სიდიდისაა, რაც განისაზღვრება მოსაყვანი კულტურის თავისებურობით და მორწყვისათვის საჭირო წყლის რაოდენობით. მოშავის სტრუქტურა,როგორც ავღნიშნე, ეყრდნობა ცალკეულ ოჯახს, რომლებიც თაობათა განმავლობაში ცხოვრობენ ხშირად ერთსადაიმავე

ფერმაში. ისრაელის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა და აგრონომებმა შექმნეს სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სახის ახალი მეთოდები, მაგალითად, მეფრინველეობაში, მეცხოველეობაში, მებაღეობაში, მემარცვლეობაში თუ სათბურების გამოყენებაში, რომლებიც შეფარდებულია ცალკეული ოჯახის სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან. მოშავას ყოველი წევრი-ოჯახი თვითონ სწყვეტს თუ რა უნდა დათესოს და მოიყვანოს მან, რის განსაზღვრას ოჯახი აწარმოებს საერთო ბაზრის მოთხოვნილების შესაბამისად, რის მამოძრავებელი მოტორია ე.წ-ლი „თავისუფალი ბაზრის" მიწოდებისა და მოთხოვნილების მექანიზმი. ვინაიდან მოშავის ოჯახს მისი ფერმა მხოლოდ მის ერთ შვილს შეუძლია გადასცეს მემკვიდრეობით, დანარჩენი შვილები გადაიბარებენ სხვა ფერმას, თუ რომელიმე განთავისუფლდა, ანდა შედიან სხვა მოშავაში წევრებად. და თუ სხვა მოშავაშიც არ მოიპოვება თავისუფალი ფერმა, მაშინ უნდა ეძიოს სხვა სამუშაო. მოშავას კოოპერაციში მუშაობენ აგრეთვე, როგორც მოსამსახურეები, ტრაქტორისტები, მასწავლებლები, ბუხჰალტერები, სანიტარული მომსახურებისა და მმართველობის სპეციალისტები, რომლებიც მოშავას კოოპერატივში მოდიან უმთავრესად მორიდან.

მოშავას კოოპერატივის ხელმძღვანელობა ასრულებს აგრეთვე დასახლების კომუნალურ ამოცანებსაც. იმ შემთხვევაში კი თუ რომელიმე ოჯახი, მოშავის კოოპერატივის რომელიმე წევრი-ოჯახი დავალიანდება, მას გარანტირებული აქვს უზრუნველყოფა კოოპერატივისაგან. მოშავას საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის ზრუნავს კოოპერატივი: ყოველ მოშავას გააჩნია თავისი კლუბი, რამდენიმე საბავშვო ბაღი, სკოლა თვით მოშავაში ან ახლომდებარე რეგიონალურ ცენტრში თვით სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლის ჩათვლით. ყოველ მოშავას გააჩნია აგრეთვე ბიბლიოთეკა, კინოთეატრი, საცეკვაო დარბაზები, რესტორნები და სხვადასხვა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალგაზრდობისა და ტრადიციების მიხედვით ცხოვრების ყა-

იდას. მოშავების უმრავლესობას გააჩნია საკუთარი პოლიკლინიკები ან არიან ახლომდებარე კლინიკების მომსახურების ქვეშ. მოშავას ყოველი წევრი დაზღვეულია საავადმყოფო კასაში. ცალკეული მოშავა კი არის დემოკრატიული ავტონომიური ერთობა. მისი უმაღლესი ორგანოა საერთო კრება,რომელიც,ჩვეულებრივად, ყოველ 6-8 კვირაში იკრიბება. წლიურ საერთო კრებაზე კი ირჩევენ მოშავას მართველობას,რომელიც განაგებს მოშავას მუნიციპალურ და სამეურნეო საქმეებს. საერთო კრება ირჩევს აგრეთვე სხვადასხვა კომისიებს,რომლებიც განაგებენ სოფლის-მეურნეობის, ჯანმრთელობის, სწავლა-განათლების, თუ კულტურული მომსახურების საქმეებს. ყველა ეს პირები მუშაობენ უხელფასოდ; ხელფასს ღებულობს მხოლოდ მოშავას ორი საქმისმწარმოებელი,რომელთა მოვალეობაა ყოველდღიურად მიმდინარე საქმეების - კავშირები მთავრობის უწყებებთან,ბანკებთან თუ საქონლის ყიდვა-გაყიდვის ორგანიზაციებთან - წარმოება.

და-ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ მოშავას მოძრაობამ დიდი როლი ითამაშა ისრაელის უკაცრიელი ადგილების დასახლება-აყვავებაში, რაც არა მარტო ეკონომიკური,არამედ დემოგრაფიული პრობლემების მოწესრიგებას ემსახურება, განსაკუთრებით ისრაელის სასაზღვრო რაიონებში, სადაც მყარი დასახლებების შექმნა ისრაელის უშიშროების მიზნებსაც ემსახურება. მოშავას წევრები აქტიურად მოღვაწეობენ აგრეთვე, თავიანთი წარმომადგენლებით, სამთავრობო უწყებებში, პარლამენტში, და პოლიტიკურ პარტიებში თანამშრომლობენ ისრაელის პროფკავშირულ მოძრაობა "ჰისტადრუტ-ში". მოშავას დასახლებები, რომლებსაც უკვე 60-ი წლის ისტორია გააჩნია, ყველაზე უფრო გავრცელებული დასახლების ციპია ისრაელში, რის შედეგია ის, რომ მოშავას კოოპერატივების წვლილი ისრაელის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების საერთო ექსპორტში უდრის 50-თ პროცენტს.

აი, ისრაელის მოდერნული სოფლის მეურნეობის თავისებური სისტემების - კიბუცისა და მოშავას - რაობა,რის ჩართვა ჩემს რადიოდოკუმენტაციაში საჭიროთ მივიჩნიე. Kibbuz — Moschaw

====================================

ჰებრონის დათვალიერების შემდეგ, ცურისცთა ჯგუფი გავბრუნდით იერუსალიმში, რომლის დროს ჩვენმა გიდმა გზაში ვაზის არაერთი მამულები და აგრეთე ე.წ-ლი "კიბუცები" დაგვანახა, რომლის დროს "კიბუცების" ვენახები თუ ბაღები მეტად კარგად იყო მოვლილი,მაგრამ ამ ქვიან,მთაგორიან ადგილებში,აქა-იქ-მიმოფანტული უსაროთა და უმავთულოთ მიწაზე გაშილი ვენახების ბუჩქები,-მაინცდამაინც კარგად მოვლილად არ გამოიყურებოდა. ამის შესახებ კი გიდმა გვითხრა, რომ ეს ასე თუ ისე მოუვლელი ვენახები არაბებს ეკუთვნით,ვინაიდან მათ ეს ასე სურთ ჰქონდეთო. ჩვენმა ხოვლის მეურნეობის სპეციალისცემა - თქვა ებრაელმა გიდმა - შეეცადენ ეწარმოებიათ მოლაპარაკება არაბ მევენახეებთან, რომ მათ შეუძლიათ გააორკეცონ მოსავალი თუ გამოიყენებენ სოფლის მეურნეობის თანამედროვე ცექნიკას,რაშიც ისრაელის მთავრობა მათ დაეხმარება და სხვა. მაგრამ არაბმა მევენახეებმა უარი თქვეს ამგვარ მოწინავე ცექნიკაზე, ვინაიდან განაცხადეს:"რათ გვინდა მოსავლის გაორკეცება,როცა ჩვენ ჩვენი მოსავალი გვყოფნის!.." ამის შემდეგ დასძინა გიდმა -ჩვენმა სპეციალისცებმა დაჟინებით აღარ მოითხოვეს არაბი მევენახეების გადაბირება,ვინაიდან ამას შეიძლება მოყვეს ამხედრება მთავრობის წინააღმდეგო!..

1981-ი წლის 20-ც აგვისცო-საღამოს კი,როცა მოვედი ჩემს "ეილონის-ჰოცელში", ჯერ კიდევ მზე არ იყო ჩასული, და - ვინაიდან მეორე დღეს,ე.ი.21-თ აგვისცოს დილის 7-დ საათზე უკვე ცელ-ავივის ჰაეროდრომზე უნდა ვყოფილიყავი საბერძნეთის დედაქალაქ ათენში გასაფრენად, - წავედი ისევ იერუსალიმის"ჯვარის" მონასცრისაკენ, რომ საღამოს-ჟამს გადამეხედა კიდევ ერთხელ ამ ქართულ წმინდა ადგილ-მამულისათვის. მივედი რა ისევ "ჯვარის" მონასცერთან დასავლეთიდან, "სა-ადია-გაონის" ქუჩიდან, გადავხედე "ჯვარის" მონასცერსა და ხეობას,რომელიც უკვე სიბნელეში ჩაფლული იყო, თითო-ოროლა ელექცრონის ფანურები აქ მდებარე გზებს ანათებდნენ, "წმინდა ადგილის მთაბეჭდილებას ქმნიდა ჩემში.

(XXVIII.)

და აქ ისევ მხურს მოვიყვანო ამონაწერი საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალიდან"ჯვარი ვაზისა",რომელშიც ქართველთა მოღვაწეობის შესახებ იერუსალიმში,ხხვათა შორის, ნათქვამია:

ხელნაწერებით, მოგზაურთა ჩანაწერებით, მოსახსენებელი ალაპებითა და სხვა სახის საისტორიო წყაროებით მეცნიერულად დადასტურებულია, რომ პალესტინაში ქართველებს შემდეგი მონასტრები ჰქონიათ:

1. ჯვარი, — ქართველთა უდიდესი სავანე, კოლონიის ცენტრი./

2. წმ. მოციქულთა, — აშენებული საქართველოს მეფის გიორგი I მიერ.

3. მამამთავრის აბრაამისა, — განახლებული გიორგი აბაშიძის მიერ.

4. წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული საქართველოს დედოფლის ელენეს მიერ.

5. წმ. იოანესი, — აშენებული სამცხის ათაბაგის მიერ.

6. წმ. ვასილისა, — აშენებული ამირანდო ამილახვრისა და თაქოს მიერ.

7. მეორე სავანე წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეების მიერ.

8. წმ. თეოდორესი, — აშენებული ბექან და ბაადურ ჩოლოყაშვილების მიერ.

9. წმ. თეკლასი, — აშენებული ქრისტეფორე ზედგენიძის მიერ.

10. წმ. გიორგისა (ურიათ უბანში), აშენებული თავად ლადიანის მიერ.

ღვდაის მონასტერი პატივად ძირქძისა უფლისა, — აშენებული რაჭის ერისთავის მიერ.

12. წმ. დიმიტრისა, — აშენებული შალვა ქსნის ერისთავის მიერ.

13. წმ. ქალწულ მოწამის ეკატერინას სახელობის ქართველ დედათა მონასტერი, — აშენებული ციციშვილებისა და მაჩაბლების მიერ.

14. ტაძარი ქრისტეს აღდგომისა გოლგოთაზე.

15. ტაძარი წინასწარმეტყველისა სამუელისა.

16. წმ. მოციქულისა და იაკობ ზებედესი (ჯვრის შემდეგ, „სიმდიდრითა და მშვენიერებით არც ერთი ეკლესია არ შეედრება მას").

17. ტაძარი მამისა საბა განწმედილისა (საბაწმიდა). „საბას ლავრა იყო უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს უძველესი საზღვარგარეთული ცენტრი ქართული კულტურისა და მწერლობისა, სადაც VIII—IX საუკუნეებში დუღდა ქართველების ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება" (კ. კეკელიძე).

18. სვიმეონ ღმრთის მიმრქმელისა.

19. წმ. იოანე ნათლისმცემლისა იორდანის ნაპირზე.

ახლა კი მსურს გაგაცნოთ, პატივცემულო მსმენელებო, ზოგიერთი ფაქტები ქართველთა მოღვაწეობის შესახებ პალესტინაში და ამით იერუსალიმში:

ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის იერუსალიმის საპატრიარქოს მიერ 1965-თ წელს გამოცემულ ბროშურაში -"ჯვარის მონასტერი" - ვკითხულობთ:

"რაც საბუთებით ყოვლად        უტყუარად დასტურდება, ეს არის ის, რომ ქართველმა ბერებმა ეს მონასტერი ააგეს (თუ აღადგინეს) XI საუკუნეში, და ეს სწორედ ის ორიგინალური მონასტერია,რომელიც დღემდე შემორჩენილა".

======================

ქართველ მეცნიერთა ექსპედიციამ 1960-ი წლის შემოდგომაზე - აკადემიკოსებმა აკაკი შანიძემ, გიორგი წერეთელმა და ირაკლი აბაშიძემ - იერუსალიმში ყოფნისას ჯვრის მონასტერში ხელახლა აღმოაჩინეს რუსთაველის ფრესკული პორტრეტი,რომელიც დაკარგულად ითვლებოდა.

======================

ისტორიკოსი ა.ლადინსკი წერილში -"უკანასკნელი გზა ვლადიმირ მონომახისა"(1966 წ.) წერს:

ივერიის გამგებლებს ყოველთვის თავი მოჰქონდათ ბიბლიური დავითის ჩამომავლობით, "თავიანთ თავს თვლიდნენ არა მარტო ფსალმუნის შემქმნელის, არამედ ღვთისმშობლის ჩამომავლებად, რაკი იგი დავითის ოჯახიდან იყო გამოსული, და ამტკიცებენ მისი გვირგვინი იერუსალიმში ჯერ ნაბუქოდონოსორის ხელში გადავიდა, მისგან კი - ივერიის მეფეებთანო".

==================

ქრისტეს შობის ადგილის - ბეთლემის - დათვალიერებისას ჩვენ მომაგონდა ივანე სტოვბუნის შემდეგი ამონაწერი მისივე ბროშურიდან "შოთა რუსთაველის ფრესკა"; ის წერს:

"...ფაქტია, რომ IV-სე საუკუნიდან ქართველები არა მარტო მიმოიხილავენ პალესტინის „წმინდა ადგილებს“, არამედ აქ აარსებენ თავიანთ საკუთარ საეკლესიო-კულტურულ კერებს, აჩაღებენ აქტიურ რელიგიურ მწიგნობრულ მოღვაწეობას.

ქართული კოლონიის მრავალრიცხოვნობაზე თავისთავად მეტყველებს იერუსალიმის მახლობლად ქართველთა სოფლის მალხას (ამჟამად იერუსალიმის გარეუბანი — მინხატი) არსებობა. ამ ადგილის არჩევაც, ალბათ, შემთხვევით არ მომხდარა. ყველას, ვინც „წმინდა ქალაქის“ — და ბეთლემის ნახვას ეშურებოდა, „ჯერ მალხაში უნდა“ გაევლო. სადაც, გადმოცემით, თავის დროზე „ქრისტეს საფლავის“ მცველი ქართული გარნიზონი ყოფილა დაბანაკებული.

იბერიის შვილთა კულტურული მოღვაწეობა პალესტინაში განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს მას შემდეგ, რაც იქ მკვიდრდება დიდი ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერი (411—491). სიცოცხლეშივე „საქართველოს სიამაყედ“ აღიარებული ამ სასულიერო პირის, ენერგიული და დაუცხრომელი საქმიანობის ერთ-ერთი შედეგი იყო პალესტინაში მრავალი ქართული ტაძრის, მონასტრისა და ქარვასლის აგება.

ბევრი ქართულყოფილი ძეგლი დღეს გარდასული საუკუნეების მტვერით არის დაფარული, მაგრამ, ალბათ, მრავალ საიდუმლოსაც ინახავს. ეს ნათლად დასტურდება თუნდაც იტალიელი არქეოლოგის ვირჯილიო კორბოს ხელმძღვანელობით ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციის მონაპოვრებით. ექსპედიციის მიერ ბეთლემის მახლობლად ბირ-ელ-კუთის მაღლობზე მიკვლეული და გათხრილი ძეგლი აღმოჩნდა თვით პეტრე იბერის მიერ დაარსებული წმინდა თევდორეს სახელობის ქართული მონასტრის ნანგრევები. განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული ღირებულებისაა სატრაპეზოს მოზაიკური იატაკის წარწერები, რომელთაგან ერთი თითქმის ნახევარი საუკუნით უსწრებს ბოლნისის ტაძრის მანამდე უძველესად მიჩნეულ ქართულ წარწერას.

ბეთლემის წარწერები ზუსტად აღწერა ვ. ჩაჩანიძემ[2], ხოლო წაიკითხა და გამოიკვლია უცხოეთში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა მ. თარხნიშვილმა. გარდა ამისა, მათ საგანგებო შრომა მიუძღვნა გამოჩენილმა აღმოსავლეთმცოდნემ, აკადემიკოსმა გ. წერეთელმა.

[წარწერები გვამცნობენ:

1. „შეწევნითა ქრისტესითა და მეოხებითა წმიდისა თევდორესითა შეიწყალენ ანტონი აბაჲ და იოსია, მომსხმელი ამის სუფისაჲ და დედა-მამაჲ იოსიაისი. ამენ“.
2. „წმიდაო თეოდორე მაროეან და ბოერზენ [-ში (ს) რ] . ენ ამი [ს (?)] „ე . . . .“
3. „და ძოე ძეოელნი მ აონ. ბაკოერ და გრი ორმ იზდ დ. ნ ამობნი მათნი ქრისტე შეიწყალე ნ ა მენ“.]

რ.პ.ბლეიკი-ს("ქართული ხელნაწერების კატალოგი იერუსალიმში", 1922-1926 წლები)- აზრს ივანე ხცოვბუნი ასე გადმოგვცემს: "პალესტინაში არაბთა ბატონობის ერთ პერიოდში მაცხოვრის საფლავის მთავარი ტაძრის მნიშვნელოვანი ნაწილი ქართველების გამგებლობაში ყოფილა, რაც დიდ პრივილეგიაზე ლაპარაკობს და რისი მიღწევაც იმ დროს არც ისე ადვილი იყო. ამავე ცნობას ადასტურებს 1347 წელს გერმანელი მოგზაური, რომლის სიტყვითაც ქრისტეს საფლავის ტაძრის "გასაღები ქართველებს აქვსო".

======================

ივანე ხცოვბუნი წერს:
"...ჯვრის მონასტერი V საუკუნეში დაარსებულა, როცა ბიზანტიის გავლენის სფეროში მოქცეულ ქვეყნებში ინტენსიურად გაჩაღდა სამონასტრო-საეკლესიო მშენებლობა. გადმოცემით, წმინდა ქალაქის ეს ადგილი ბიზანტიის იმპერატორს უბოძებია ქართველთა პირველი ქრისტიანი მეფის მირიანისათვის და მასაც აქ ეკლესია აღუმართავს, რომელიც შემდეგ გაუფართოებია ვახტანგ გორგასალს". (გვ.22).

======================

"ჯვარის" მონასტრის შესახებ თეიმურაზ ბაგრატიონი ცნობილ ფრანგ ქართველოლოგს მარი ბროსეს სწერდა:
"იმისი საფუძველი დიდის კონსტანტინე ბერძენთა და რომთა იმპერატორის დროს მირიან მეფეს დაუდვია. რადგანაც პირველად ქრისტიანობის სარწმუნოებაზე მირიან მეფე მოიქცა კერპთმსახურებისაგანა, ამისათვის დიდმა კონსტანტინემ, პირველის მსოფლიო კრების განჩინებითა, მრავალი შეწევნა მისცა ქრისტიანობის განსამტკიცებლად საქართველოს და იერუსალიმშიაც ადგილები მისცეს".
(თ.ბაგრატიონის წერილები,"მეცნიერება",თბილისი,გვ.37).

ნიკო მარი:.
ქართველებს იერუსალიმსა და მის მიდამოებში ჰქონიათ 20-ზე მეტი ეკლესია და სასტუმრო სახლი, ხოლო ნაზარეთსა და ტიბერიადის ტბის პირას დაახლოებით 40-ი ეკლესია(იგულისხმება მცირე სამლოცველოებიც) და სასტუმრო სახლი.(თეიმურაზ ბაგრატიონის წერილები აკადემიკოს მარი ბროსესადმი,თბილისი"მეცნიერება",1964 წ.,გვ.37).

========================

რუსი ბერი დანილი,რომელიც 1167 წელს იერუსალიმში ყოფნისას "ჯვარის" მონასტერსაც ეწვევია, წერს:
"ეს ადგილი შემოზღუდულია ციხისებური გალავანით და მის შიგნით დგას წმინდა ჯვრის ეკლესია, ერთიანად მოხატული, მაღალ საკურთხეველს ქვემოთ არის წმინდა ხის გადანაჭერი, რომლის ნახვა შეიძლება თეთრი ქვის ფილებით დაფარულ იატაკში ამოჭრილი ხვრელიდან".
(Petrus der Iberer, Herausgegeben und uebersetzt von R.Raabe,I885).

===========================

განსაკუთრებით ტრაგიკული ამბები დაატყდა თავს XIII საუკუნის ბოლოს, როდესაც ეგვიპტის სულთანმა მალეხან-ნასერ ბენ ხალუინმა ქართველი ბერები მონასტრიდან გააძევა, მონასტერი მეჩეთად გადააქცია და სახელად დეირელ-მუსა-ლიბა უწოდა.

მუსულმანი ალუმარი, რომელსაც მამელუქებთან დიდი თანამდებობა ეკავა, ალტაცებით მოგვითხრობს ზვრებში და ზეთისხილისა და ბროწეულის ბაღებში ჩაფლულ მონასტერზე: „ადრე აქ მუსულმანური მეჩეთი მიზგითი იყო, მაგრამ ქართველთა მეფის მოთხოვნით მონასტერი ისევ ქართველებს დაუბრუნდათ, რამაც ისლამის იერუსალიმელი თავკაცების უკმაყოფილება გამოიწვია, მაგრამ მათ იმედი აქვთ, რომ მონასტერს კვლავ დაიბრუნებენ". ავტორი დასძენს: „ალაჰს ალთქმა მიეცი, ყველა ღონე ვიხმარო, რათა მონასტერი უკან დავიბრუნო. ალაჰია ამის მოწმე". თხრობას იგი ასე ამთავრებს: „ბერებმა მიამბეს, რომ ამ მონასტრის სახელზე მათ ქვეყანაში დიდძალ ქონებას სწირავენ... ძირითადად — იალაღებზე მიშვებული ცხენების რემას, რომლის გაყიდვის შემდეგ აღებული თანხა ყოველწლიურად ბერებს ეგზავნებათ. ეს თანხა კი ძალზედ დიდია"[8].

ი.ხცოვბუნი:

"ყოველ შემთხვევაში, უდავო ფაქტია, რომ XVII საუკუნეში ჯვრის მონასტერში კვლავაც ქართველები იყვნენ".(გვ.27).

=====================

ხ.ვარდი აღნიშნავს:

„XIV-XV საუკუნისათვის ქართველებმა შექმნეს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი სათვისტომო წმინდა მიწაზე. ეს მდგომარეობა მათ შეინარჩუნეს მამელუკთა ბატონობის დროსაც, რადგან მათთან კარგ ურთიერთობაში იყვნენ მამელუკთა დიდი ნაწილის კავკასიური წარმომავლობის გამო. გამოდიოდნენ რა ორთოდოქსალიზმის მთავარ წარმომადგენლებად და დამცველებად, ქართველებს აქ ეკავათ ცნობილი მონასტრები, მათ შორის ჯვრის მონასტერი, რომელიც ადმინისტრაციული და სასულიერო ცენტრი იყო. მონასტერი კარგად იყო მოწყობილი. იგი ფლობდა საკუთარ მამულებს როგორც პალესტინაში, ისევე, საქართველოში... მაგრამ XV საუკუნის დამლევიდან,

განსაკუთრებით თურქთა მიერ 1517 წელს იერუსალიმის დაპყრობის შემდეგ, ქართველთა პოზიცია პალესტინაში სუსტდება. იმდროინდელი საქართველო უკვე ცალკეულ სამთავროებად დაქუცმაცებული სახელმწიფო იყო და გაუთავებელი ომებით აკლებული. პოლიტიკურ დაცემულობას მოჰყვა ეკონომიკურიც და საქართველოს უკვე აღარ შესწევდა უნარი შეენახა თავისი სასულიერო ცენტრები უცხოეთში, ეგზავნა მოგზაურები და ბერები"[10].

[10] ხ. ვარდი, „ისრაელის ქრისტიანული ახალი ამბები", ფრანგულ ენაზე. ტ. XI, № 1, 1960 წ. იერუსალიმი.

==================================

ი.ხცოვბუნი წერს:

მე-17 საუკუნეში მონასტერი შეისყიდა ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის საპატრიარქომ [illegible]. ქართველები იძულებული იყვნენ ასე მოქცეულიყვნენ იმიტომ, რომ სხვა უკეთესი გამოსავალი არ დარჩენოდათ. სხვებს ისევ ერთმორწმუნე ბერძნები არჩიეს. მონასტრის ბედის ამგვარად გადაწყვეტა, ცხადია, უპირველეს ყოვლისა განაპირობა ფეოდალური შინააშლილობით აწეწილი ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების დაცემულობამ, რასაც მოჰყვა ქართველთა პოლიტიკური და სულიერი გავლენის შესუსტება პალესტინაში(გვ.29).

სერბიულ ენაზე

**ხერბიული წყარო:** 1662 წელს შედგენილ მანუსკრიპტში, რომელიც იერუსალიმის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში ინახება, კვლავ ლაპარაკია „პატივდებულ ჯვრის მონასტერზე" და იმაზე, რომ იგი „იბერიულია" და გამოირჩევა მეტად ლამაზი გუმბათით. ტაძრის „მარმარილოს იატაკი, — ვკითხულობთ ამ დოკუმენტში, — დამშვენებულია დიდებული მოზაიკით. ხოლო საკურთხევლის შიგნით, წმიდა ტრაპეზს ქვემოთ, არის ადგილი, სადაც მოიჭრა წმინდა ხე... და არის იქ აგრეთვე ხატი წმინდა მთავარ-ანგელოზისა"[11].

[11] M. Tarkhnichvili. Le grand lectionnaire géorgien de l'église de Jerusalem. 1959.

==========================

**გერმანელი ბერი:** მე-18 საუკუნის დასაწყისში იერუსალიმში მცხოვრებ ერთ გერმანელ ფრანცისკანელ ბერს ლათინურ ენაზე შეუდგენია მოგონებები, რომელიც ამჟამად ვატიკანის ბიბლიოთეკაში ყოფილა შენა!ული. ბერის სიტყვებით, მის დროს მონასტერში ცხოვრობდა „რამდენიმე ქართველი და ბერძენი ბერი"[12]. ტექსტს ახლავს ჩანახატი, რომელზედაც გამოსახულია მონასტერი, იერუსალიმიდან ეინ-კარემისაკენ მიმავალი გზა, რომელსაც ორი მოგზაური შესდგომია. ნახატის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მონასტრის გარეგნული ხედი მას შემდეგ თითქმის არ შეცვლილა.

ცნობილი ტიშენდორფიც 1846 წელს წერდა: „აქ ცხოვრობს ოთხი ქართველი ბერი და მათი მომვლელი ერთი ხნიერი ქალი".

[12] P. V. Gorbo. Cli Slavi di Khirbet siyar el-Chanam ei Monasteri dei Dintorlini, Gerusalemme, 1955.

==========================

**ი. სტოვბუნი:**

თავიანთ ხელში მოქცეული მონასტერი ბერძნებმა გადააკეთეს, ქართული წარწერები წაშალეს, უნიკალური ძველი ფრესკები ბათქაშით დაფარეს და კედლების ერთი ნაწილი თავიდან მოხატეს. ყველაფერი ეს მიმართული იყო „წმინდა მიწაზე" ბერძნების გავლენის გაძლიერებისაკენ.

უკეთესი ხვედრი საუკუნეების მანძილზე არც აქ დაგროვებულ ქართულ ხელნაწერებს რგებიათ. ისინი გადაიტანეს ბერძნული ეკლესიის საპატრიარქოში, ძველ იერუსალიმში, სადაც დღემდე ინახება. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ გადატანის პროცესში და შემდგომაც ბევრი ხელნაწერი დაიკარგა.

(მვ. 81)

დღეს გაგაცნობთ, პატივცემულო მსმენელებო, ამონაწერს ლევან მენაბდის ნარკვევიდან -

ლევან მენაბდე

## იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიის ზოგიერთი საკითხი

XI საუკუნის შუა წლებისათვის ქართველი მოღვაწენი მრავლად იყვნენ იერუსალიმისა თუ მისი შემოგარენის ეკლესია-მონასტრებში, მაგრამ არ არსებობდა მძლავრი ცენტრი, რომელიც უხელმძღვანელებდა პალესტინის სავანეებში გაფანტულ ქართველობას, სათავეში ჩაუდგებოდა და ორგანიზებულად წარმართავდა მის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას. ასეთი ცენტრის არარსებობა მწვავედ იგრძნობოდა, მით უფრო, რომ საჭირო იყო წინაპრების ღვაწლის წარმოჩენა და ქართველთა უფლებების დაცვა ე. წ. წმინდა ადგილებზე. ამასთანავე, საქართველოს პოლიტიკურმა აღმავლობამ განაპირობა ქართველ მეფე-დიდებულთა მეტი ყურადღება პალესტინისა და იქ მოღვაწე ქართველთა ბედისადმი. ყოველივე ამან მოამწიფა საკითხი ახალი სავანის დაარსებისა და, მართლაც, იერუსალიმის ახლოს აშენდა ჯვრის მონასტერი, სადაც თავი მოიყარა ქართველთა დიდმა ჯგუფმა. იგი იქცა პალესტინელი ქართველების მთავარ შესაკრებ პუნქტად და პილიგრიმთა საიმედო თავშესაფრად, იერუსალიმისა და მისი სანახების სავანეებში მოსახლე ქართველთა რელიგიური და კულტურული მოღვაწეობის ცენტრად, მწიგნობრულ-შემოქმედებითი მუშაობის მნიშვნელოვან კერად[1].

ცნობები ჯვრის მონასტრის დაარსების ისტორიაზე შედარებით სრული სახით შემოგვინახა ტ. გაბაშვილმა. მის „მიმოსლვაში" ვკითხულობთ: „უკეთუ გნებავს ცნობად, თუ ქართველნი ვითარ იპყრობდნენ იერუსალიმს, ესრეთ ეპოვენით მენ წერილთა შინა. რამეთუ პირველი ქრისტიანე ქმნილი მეფე საქართველოსა მირიან ხოსროიანი ნინოს მიერ წარმოვლენილ არს, მეფე კოსტანტინე უხილავს და იერუსალიმად მისრულ არს და ჯვარისა მონასტრის ადგილი მას უშოვნია... ხოლო ამისა შემდგომად სულიერი ვინმე მონაზონი შავთელი, სახელად პროხორე, მისრულ არს მონასტერსა და ლავრასა წმიდისა საბასსა დაყუდებულა. და მეფესა საქართველოსასა ბაგრატ კურაპალატს საფასე დიდძალი წარმოუცემია ღირსისა პროხორესათვის, რათამცა ჯვარის მონასტერი აღაშენა, და მას აღუშენებია ჯვარის მონასტერი შესაკრებელად ქართველთათვის. მირიან ხოსროიანის მოსლვის შემდგომად მოსრულ არს დიდად სახელოვანი საქართველოთ მეფე ვახტანგ გორგასლან. რამეთუ მდებარე არს წერილთა შინა მენ, ვითარმედ სულთანი მისირ-ეგვიპტისა ევედრა მეფესა ქართველთასა ვახტანგს გურგასლანს, რათა წარმოვიდეს ლაშქრითა და იერუსალიმს ფრანგნი რომელნიცა იპყრობდენ, განდევნოს და თვით დაიპყრას. ამისთვის მოვიდა სპითა დიდითა და განიოტნა ფრანგნი და თვით დაიპყრა იერუსალიმი და აღაშენა მონასტერნი მრავალნი"[2].

ამრიგად, ტ. გაბაშვილის ცნობით, ჯვრის მონასტრისათვის ადგილი მირიან მეფემ იშოვა, ხოლო ტაძარი იქ პროხორემ ააგო. მის თხრობაში აღრევაა და ნათლად არ ჩანს ვახტანგ გორგასლის ურთიერთობა ჯვართან. ეს ფაქტობრივ-ქრონოლოგიური შეუსაბამობა შენიშნა თ. ბაგრატიონმა. მან რამდენადმე შეასწორა, დააზუსტა, შეავსო და განავრცო ტ. გაბაშვილის ცნობები და თავისი აზრი ასე ჩამოაყალიბა: მირიანმა იშოვა ადგილი მონასტრისათვის, მანვე ააგო

---

[1] Д. Кипшидзе, Житие Прохора, муч. Луки и муч. Николая Двали, ИКИ-АИ, II (1927), გვ. 32—33.

მცირე ეკლესია; ვახტანგ გორგასალმა განავრცო ჯვარი, ხოლო ბაგრატ მესამის დროს პროხორემ განაახლა ძველი ტაძარი[3].

ტ. გაბაშვილისა და თ. ბაგრატიონის ცნობები სხვადასხვა ვარიაციით და ზოგჯერ ახალი მასალებით შევსებულ-გავრცობილი წლების მანძილზე მეორდებოდა ჩვენს სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში. თუ თავს მოვუყრით სხვადასხვა დროს გამოთქმულ აზრებს ჯვრის მონასტრის დაარსების თარიღზე, ძირითადი შეხედულებანი შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

1. მირიან მეფემ იშოვა ადგილი მონასტრის ასაგებად (ტ. გაბაშვილი, თ. ბაგრატიონი, პ. იოსელიანი, მ. ჯანაშვილი, ა. ცაგარელი, თ. ჟორდანია, კ. საძაგლიშვილი და სხვ.);

2. მირიანმა იშოვა ადგილი, მანვე ააგო ჯვრის ტაძარი (თ. ბაგრატიონი, მ. ჯანაშვილი, პ. კარბელაშვილი და სხვ.);

3. მირიანის მიერ აგებული ტაძარი განავრცო და კეთილმოაწყო ვახტანგ გორგასალმა (თ. ბაგრატიონი, მ. ჯანაშვილი და სხვ.);

4. ჯვრის ტაძარი ააგო ვახტანგ გორგასალმა (თ. ჟორდანია, შ. ნუცუბიძე, ს. კაკაბაძე და სხვ.):

5. ჯვრის ტაძარი ვახტანგ გორგასლის შემწეობით ააგო პეტრე ქართველმა (თ. ჟორდანია დ სხვ.);

6. ჯვრის ძველი ტაძარი განაახლა პროხორემ XI საუკუნეში (თ. ბაგრატიონი, პ. იოსელიანი, მ. ჯანაშვილი. შ. ნუცუბიძე, კ. პალია და სხვ.):

7. ჯვრის ტაძარი ააგო პროხორემ XI საუკუნეში (ტ. გაბაშვილი, მ. ბროსე, დ. ბაქრაძე, ა. ცაგარელი, ე. თაყაიშვილი, კ. კეკელიძე, ე. მეტრეველი და სხვ.).

ზოგჯერ ყოველგვარი საბუთისა და კომენტარის გარეშე აღნიშნავდნენ — ჯვრის მონასტერი V საუკუნეში აშენდაო (ა. წერეთელი, ნ. კონდაკოვი და სხვ.), ზოგჯერ მის ამგებად ქართველ მეფესა თუ მთავარს ტატიანს ასახელებდნენ (ვ. ბარსკი, პ. იოსელიანი, პ. უსპენსკი და სხვ.), ხოლო განახლებას იმ-

[2] ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ე. მეტრეველმა, თბ., 1956. გვ. 77—78.

[3] თ. ბაგრატიონი, ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა. რომელ არს სრულიად საქართველოისა, სპბ., 1848, გვ. 275—276, 279, 289—291.



პერატორ იუსტინიანეს მიაწერდნენ (პ. იოსელიანი და სხვ.). იყო ცდა ჯვრის ტაძრის მეშვიდე (რ. ჟანენი) თუ მეათე (მ. ბროსე, პ. იოსელიანი) საუკუნით დათარიღებისა.

რამდენად სწორია ტ. გაბაშვილისა და სხვათა ცნობები? რა ვითარებაა ძველ წყაროებში? რა მასალა გვაქვს ხელთ ჯვრის მონასტრის დასათარიღებლად? რამდენად სანდო და სარწმუნოა ეს მასალა?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად საჭიროა გავითვალისწინოთ და გავაანალიზოთ მთელი ის იკონოგრაფიული, ლიტერატურული თუ სხვა მასალა, რომელშიც რამე ცნობა მოიპოვება ჩვენს საკითხზე.

ჯვრის მონასტრისათვის ადგილის მოპოვებისა და იქ ქართული სავანის აშენების შესახებ არსებული გადმოცემის ანარეკლი შეინიშნება ჯვრის ტაძრის ფრესკებსა და წარწერებშიც. მართალია, ამჟამად აღარც ფრესკები ჩანს და აღარც მათი წარწერები, მაგრამ თვითმხილველთა[4] ჩანაწერებით ნაწილობრივ მაინც ხერხდება ადრინდელი ვითარების გათვალისწინება. მათი ცნობებით, ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის კედელზე დახატული ყოფილა სამი ქართველი მეფე (მირიანი, ვახტანგ გორგასალი, ბაგრატ კურაპალატი), მაგრამ ამ მხატვრობიდან ნათლად არ ჩანს, თუ რა კავშირში არიან ეს მეფეები ჯვართან, რატომ მოათავსეს მათი პორტრეტული გამოსახულებანი ამ ნაგებობის საპატიო ადგილას. მხატვრობის მიხედვით დაბეჯითებით ვერც იმას ვიტყვით, ამ მეფეებს რამე ღვაწლი მიუძღვით ჯვრის მონასტრის დაფუძნებაში, თუ ისინი გამოსახული არიან ვითარცა თავისთავად გამოჩენილი ქართველი მოღვაწენი.

რა აზრი ჩააქსოვა ქართველმა შემოქმედმა ამ მხატვრობაში, ჩვენთვის სულ გარკვეული არაა. შეიძლება ეს აზრი გასაგები გამხდარიყო, მეფეთა პორტრეტების წარწერების წაკითხვა რომ იყოს შესაძლებელი, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ეს ხერხდება.

ა. ცაგარლის ცნობით, ქართველ მეფეთა გამოსახულების ზემოთ იყო ქართული წარწერა, რომელიც დაზიანების გამო მხოლოდ ნაწილობრივ იკითხებოდა: „ქ. მირიან... კონსტანტინე... მეფემ ეს ჯვარი... მოვიდეს... და დაიპყრა იერუსალიმი დაააშენა ესე ჯვარი“. ა. ცაგარლის გადმონაწერი ტექსტი თ. ჟორდანიამ თავისებურად შეავსო და გამართა: „ქ. მირიან [მეფეს წმიდამან] კონსტანტინე [დიდმა, იმპერატორმა უბოძა] ეს ჯვარი. [შემდეგ] მოვიდეს [სპარსნი და დაიპყრეს იერუსალიმი. მაშინ მეფე ქართველთა მხედრობით წარმოემართა] და დაიპყრა იერუსალიმი და აღაშენა ესე ჯვარი“.

ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის საკურთხევლის დაზიანებული წარწერა ა. ცაგარელმა ასე გადმოიწერა: „ესე წმიდა და ყოვლად პატიოსანი მონასტერი... მადლითა და შეწევნითა... სალს (პავლეს? პროხორეს?) აუშენებია“[5]. თ. ჟორდანიამ ეს წარწერაც განავრცო და შეავსო: „ესე წმიდაჲ და ყოვლად პატიოსანი მონასტერი [ჯუარისაჲ] მადლითა და შეწევნითა [ღმრთივ-სადთა მეფესა ვახტანგ გორგა] სალს აღუშენებია“[6].

[4] ჯვრის მონასტერში ქართველ მეფეთა პორტრეტები ნახეს ვ. ბარსკიმ, ტ. გაბაშვილმა, ი. გედევანიშვილმა, ნ. ჩუბინაშვილმა, ა. ცაგარელმა, გ. ნადარეიშვილმა და სხვ.

[5] А. Цагарели, Памятники грузинской старины в святой земле и на Синае, ППС. ტ. IV. ნაკვ. 1 (1888), გვ. 245—246.

[6] ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და გამოცემული თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა ს მიერ, I, თბ., 1892, გვ. 360; II, თბ., 1897, გვ. 524, შენ. შდრ. პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, რუსთველიანას ეპილოგი, წიგნში: თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963, გვ. 789—790.



რასაკვირველია, ძნელია შევიწყნაროთ თ. ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული ტექსტი, რადგან მკვლევარი თავისუფლად ეკიდება შემორჩენილ რამდენსამე სიტყვას, მაგრამ პირველ წარწერაში ჯვრის მონასტრის შესახებ გავრცელებული გადმოცემის ანარეკლთან რომ გვაქვს საქმე, ეს საკამათო არ უნდა იყოს. წარწერის შემსრულებელი მირიანისა და კონსტანტინეს სახელების წერისას უთუოდ ძველი გადმოცემით ხელმძღვანელობდა.

ამრიგად, ჯვრის მონასტრის მთავარი ტაძრის მხატვრობა (წარწერებითურთ) სავანის დაარსების თარიღსა და დამაარსებელზე გარკვეულ ცნობას არ გვაწვდის. იქ მხოლოდ ძველი გადმოცემის გამოძახილი შეინიშნება. ამ მასალით მირიან მეფის როლის გარკვევა ჯვრის სავანის ისტორიაში შეუძლებელი ჩანს. საგულისხმოა, რომ მირიანის მიერ ჯვრის მონასტრისათვის ადგილის მოპოვება მოხსენიებული არაა არც ერთ ძველ წყაროში: არც საისტორიო-აგიოგრაფიულ თხზულებებში, არც ჯვრის მონასტრის აღაპებში, არც სინის მთის სულთა მატიანეში, არც ჯვრის მონასტრის მშენებლისადმი მიძღვნილ სპეციალურ სვინაქსარულ ცხოვრებაში, სადაც ყველაზე მეტად იყო მოსალოდნელი მისი მოხსენიება. ასე რომ, ჩვენს ხელთ მხოლოდ გადმოცემაა, რომელიც არეკლილია ჯვრის მხატვრობაში, წარწერებში, ტ. გაბაშვილის „მიმოსლვაში“.

აღნიშნული გადმოცემით, პირველმა ქართველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა კონსტანტინე დიდის წყალობით მიიღო მიწის ნაკვეთი ჯვრის ტაძრისათვის. ამჯერად ჩვენთვის არაა არსებითი, თუ ვინ მეფობდა ქართლში ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ რელიგიად გამოცხადებისას, ან ვინ იყო იმ დროს კეისრად — ეს საკითხი კარგა ხანია ცილობას იწვევს, ჩვენთვის საინტერესოა, თუ რას ემყარება ეს გადმოცემა, რა შეიძლება გამხდარიყო საფუძვლად ასეთი გადმოცემის შემუშავებისათვის.

რასაკვირველია, მირიანის დაკავშირება ჯვართან შემთხვევით არაა. არც მირიანის დაკავშირებაა კონსტანტინე დიდთან მოულოდნელი და უჩვეულო. ძველ წყაროებში არა ერთგანაა აღნიშნული, რომ მირიანი და კონსტანტინე

თანამედროვენი იყვნენ და მირიანმა თხოვნითაც კი მიმართა კონსტანტინეს („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ლეონტი მროველი). დამოწმებულ ტექსტებში ერთად არიან მოხსენებულნი მირიანი, ნინო, კონსტანტინე, „ძელი ცხოვრებისაჲ“; აღნიშნულია, რომ ეს უკანასკნელი მირიანმა მიიღო მას შემდეგ, რაც მან ნინოს რჩევით მიმართა კონსტანტინეს. ამ ცნობებში ბევრი რამაა ისეთი, რაც შეიძლებოდა გამხდარიყო ერთგვარ საფუძვლად ჩვენთვის საინტერესო გადმოცემის შექმნისათვის.

საინტერესოა, როგორ დაუკავშირდა მირიანი ჯვრის ტაძარს, რის საფუძველზე შემუშავდა გადმოცემა, რომელიც მირიანს ჯვრის ტაძრისათვის მიწის ნაკვეთის მომპოვებლად მიიჩნევს.

სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი აპოკრიფული თხზულება, რომელიც ეხმაურება ქრისტეს ჯვრის ისტორიას და ამდენად ზოგ რამეს გვამცნობს იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ბიბლიურ-ლეგენდარული წარსულიდან. იგი ერთგვარ კავშირშია ქართლის სამეფოში ქრისტიანობის გავრცელებისა და დამკვიდრების ცალკეულ მომენტებთან და მირიანის საეკლესიოსაამშენებლო საქმიანობასთან. ამ აპოკრიფითა და გვიანდელი ჩანაწერებით იერუსალიმის ჯვრის მონასტერი აშენდა იმ ადგილას, სადაც ოდესღაც ლიბანის მთიდან მიტანილი ნაძვი ხარობდა. ასევე სვეტიცხოველი, — „მოქცევაჲ ქარ-



თლისაჲს“ ცნობით, — აშენდა ლიბანიდან მოტანილი და მცხეთას დარგული ნაძვის ადგილას. ასე რომ, — როგორც მართებულად შენიშნა კ. კეკელიძემ, — იერუსალიმის მონასტრისა და სვეტიცხოვლის აგების ისტორია ერთმანეთს ეხმაურება, აქ არსებითად მსგავს გადმოცემებთან გვაქვს საქმე[7].

საფიქრებელია, თავდაპირველად შეიქმნა და გავრცელდა აპოკრიფული მოთხრობა იერუსალიმის ახლოს ნაძვის ხის მოჭრისა და მისგან ჯვრის დამზადების შესახებ. ამის შემდეგ აღნიშნული ადგილი დიდებით შეიმოსა და მისი ზღაპრული ისტორია თაობიდან თაობას გადაეცა. პოპულარულმა აპოკრიფმა გავლენა მოახდინა ქართულ მწერლობაზე, კერძოდ, ამ აპოკრიფით სარგებლობდა „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ავტორი სვეტიცხოვლის აშენების ისტორიის გადმოცემისა და მირიანის მოღვაწეობის აღწერისას[8]. თავის მხრივ, საფიქრებელია, „მოქცევაჲ ქართლისაჲში“ ჩამოყალიბებულმა სვეტიცხოვლის აშენების ისტორიამ, რომელიც უშუალოდ მირიანის მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული, ხელი შეუწყო ჯვრის მონასტრის ირგვლივ გადმოცემის ჩამოყალიბებას და ამ გადმოცემის აგრეთვე მირიანის სახელთან დაკავშირებას (ე. მეტრეველი)[9]. XXVIII = "B"

მირიანის მიერ ჯვრის მონასტრისათვის ადგილის შოვნის შესახებ არსებული გადმოცემის შექმნა-გავრცელებისა და გადამუშავების გზა შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: პალესტინა→ქართლი→პალესტინა. გადმოცემის უკანასკნელი ვარიანტის გაჩენასა და ჯვრის მონასტერთან დაკავშირებას, ალბათ, ამ სავანის მშენებლობის პროცესში ჰქონდა ადგილი.

ამრიგად, ჯვრის მონასტერთან მირიან მეფის დასაკავშირებლად კონკრეტულ-ისტორიული საბუთი არ არსებობს. მსჯელობა მირიანის მიერ ჯვრის მონასტრისათვის მიწის ნაკვეთის მოპოვებისა და მის მიერ ჯვრის ტაძრის აგების შესახებ მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია და მხოლოდ ძველი გადმოცემის გამეორებას წარმოადგენს. ასე რომ, ჩვენ არავითარი საბუთი არ მოგვეპოვება იმისათვის, რომ ჯვრის სავანე IV საუკუნეში დაარსებულად მივიჩნიოთ.

რამდენიმე სიტყვა ვახტანგ გორგასალზე. როგორც აღვნიშნეთ, ზოგიერთი ავტორი ვახტანგს მიიჩნევდა ადრე აშენებული (IV ს.) ჯვრის ტაძრის კეთილმოწყობად, ხოლო ზოგი — ტაძრის ამგებად. ასეთი ვარაუდისათვის ერთგვარი საფუძველი შექმნა ფოლკლორული (იერუსალიმში გავრცელებული გადმოცემა), იკონოგრაფიული (ჯვრის ტაძრის მოხატულობა) და წერილობითი („ქართლის ცხოვრება“) წყაროების ჩვენებამ.

იერუსალიმში გავრცელებული გადმოცემა ჯვრის მონასტერთან ვახტანგ გორგასლის კავშირ-ურთიერთობის შესახებ, — გადმოცემა, რომელიც ფიქსი-

რებულია ტ. გაბაშვილის „მიმოსლვაში“ და არეკლილია მთავარი ტაძრის მხატვრობაში, — უნდა ემყარებოდეს ჯუანშერის ზოგიერთ მცდარ ცნობას (ვახტანგისა და მისი ახლობლების იერუსალიმს გამგზავრება იქაურ სიწმიდეთა მოსახილველად, სპარსთა მეფის მიერ პერძენთათვის იერუსალიმის დამკვიდ-

[7] კ. კეკელიძე, წერილები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, A. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 72.

[8] „ნინოს ცხოვრების“ ჩამოყალიბებაზე ჯვრის ხის ლეგენდის გავლენა ადრევე შენიშნა ზ. ავალიშვილმა (იხ. მისი ჯვაროსანთა დროიდან, პარიზი, 1929, გვ. 39).

[9] ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 0216.



რება და სხვ.)[10], რომელთა მეცნიერული ღირებულება კარგა ხანია გარკვეულია. ცნობა ვახტანგისა და მისი ახლობლების იერუსალიმში მოგზაურობის შესახებ უნდა წარმოადგენდეს IV—V საუკუნეებში ქართველთა პალესტინაში პილიგრიმობის ანარეკლსა და გამოძახილს. ჩანს, ისე გავრცელებული ყოფილა პალესტინის სიძველეთა მოხილვა, რომ ქართველმა საზოგადოებრიობამ ვახტანგ გორგასალიც კი მიიჩნია ერთ-ერთ პილიგრიმად[11].

ამრიგად, საფიქრებელია იერუსალიმში გავრცელებული ტრადიციისათვის ამოსავალი იყო ჯუანშერის ცნობები, ხოლო ისინი კონკრეტულ-რეალურს არაფერს შეიცავენ. ჯუანშერის ცნობების პერიფრაზი ზეპირი გზით გავრცელდა იერუსალიმში, დამკვიდრდა ტრადიცია, რომელიც ასახა იკონოგრაფიაში (ჯვრის მონასტრის მხატვრობა), მემუარულ ლიტერატურაში („მიმოსლვა“) და ა. შ. არავითარი საფუძველი ჯვრის მონასტრის V საუკუნით დასათარიღებლად არ არსებობს. ვახტანგ გორგასალი არც მშენებელია მისი და არც კეთილმომწყობი თუ რესტავრატორი. სახელოვანი ქართველი მეფისათვის ასეთი მისიის დაკისრება და ასეთი პატივის მიპყრობა არაფრით არაა გამართლებული და დასაბუთებული. ჩვენ ვერც იმ აზრს შევიწყნარებთ, რომ თითქოს ჯვრის ტაძარი ვახტანგ გორგასლის შემწეობით ააგო პეტრე ქართველმა. პეტრემ რომ იერუსალიმში ტაძარი ააგო, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ ამ ტაძრის ჯვრის მონასტრად მიჩნევა ყოვლად დაუშვებელია. იოანე რუფუსის ცნობით, პეტრემ ტაძარი ააგო იერუსალიმში, სიონის ეკლესიის ზემოთ, დავითის კოშკთან[12], ხოლო ჯვრის მონასტერი იერუსალიმიდან ოდნავ მოშორებით იდგა, სამხრეთ-დასავლეთ მხარეს. ძველი წყაროების ჩვენებით, იგი მდებარეობდა „მახლობელად წმიდისა ქალაქისა იერუსალიმისა“, „მახლობელად იერუსალიმს, დასავლით კერძო“[13]. ამას ერთხმად აღნიშნავენ როგორც ქართველი (ი. გედევანიშვილი, გ. ავალიშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ა. ცაგარელი და სხვ.), ისე არაქართველი მოღვაწენი (დანიელ წინამძღვარი, ვ. გაგარა, ვ. ბარსკი და სხვ.).

ყოველივე ზემოთქმული, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს კატეგორიულად უარვყოთ ჯვრის მონასტრის IV—V საუკუნეებით დათარიღების ცდები. აქ აღარაფერს ვიტყვით შემთხვევით გამოთქმულ შეხედულებებზე ჯვრის მონასტრის VII თუ X საუკუნეებით დათარიღების შესახებ. ისინი არ ემყარებოდნენ ძიების შედეგად მოპოვებულ მასალებს და მხოლოდ ზოგად განცხადებებს წარმოადგენდნენ. ზედმეტად მიგვაჩნია განხილვა იმ თვალსაზრისისა, რომელიც ჯვრის ტაძრის ამგებად ქართველ მეფესა თუ მთავარს ტატიანს მიიჩნევდა. ტატიანი სხვა არავინაა, თუ არა ცნობილი მოღვაწე ლევან დადიანი (1611—1657). ასე რომ, ჩვენ ისღა დაგვრჩენია, XI საუკუნეში ჩატარებული

[10] ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, I, თბ., 1955, გვ. 183, 186, 192.

[11] კ. კეკელიძე. К вопросу об иерусалимском происхождении грузинской церкви, წიგნში: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, IV, თბ., 1957, გვ. 359.

[12] გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, II. ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო ს. ყაუხჩიშვილმა, თბ.,

1965, გვ. 277. იხ. აგრეთვე რ. ჟანენ, ქართველები იერუსალიმში, სტამბოლი, 1921, გვ. 13.

[13] А. Цагарели. Памятники. გვ. 185; ქრონიკები. I. გვ. 180—181; II. გვ. 523; ИКИ-АИ. II (1927). გვ. 58.



მშენებლობის მაუწყებელი მასალები განვიხილოთ. სახელდობრ, შევჩერდეთ ისეთ ძეგლებზე, როგორიცაა პროხორეს სვინაქსარული ცხოვრება, გიორგი ათონელის ცხოვრება, ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები, სინის მთის სულთა მატიანე და ა. შ., რომლებიც ჯვრის მონასტრის მშენებლად შავშელ მოღვაწეს გიორგი-პროხორეს მიიჩნევენ. დასახელებული წყაროებიდან ცნობათა სისრულით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს და შედარებით ყველაზე სარწმუნო წყაროს წარმოადგენს პროხორეს ცხოვრება[14]. მისი ცნობით, პროხორე, — „ნათესავით ქართველი, ქუეყანით შავშეთით", — ჯერ კლარჯეთში მოღვაწეობდა, წყაროსთავის სავანეში, შემდეგ „წელნი მრავალნი" საბას ლავრაში გაატარა, უკანასკნელად „მახლობელად იერუსალჱმს, დასავლით კერძო... აღაშენა და განასრულა და შეამკო ეკლესიაჲ ყოვლითა სამკაულითა", შემოიკრიბა მოღვაწენი. როდესაც „სრულ-ყო ესე ყოველი", სიბერე ეწია, დაუძლურდა. დატოვა „ჯუარისა მონასტერი", წავიდა „უდაბნოსა არნონს" და „შემდგომად მცირედისა ჟამისა", 1066 წელს, გარდაიცვალა[15].

ჯვრის მონასტრის დიდი ტაძრის მშენებლადაა დასახელებული პროხორე გიორგი ათონელის ცხოვრებაშიც. აგიოგრაფის ცნობით, ბაგრატ მეოთხის დედის — მარიამ დედოფლის დავალებით გიორგი ათონელი იერუსალიმში მაშინ ჩავიდა, როდესაც „მამაჲ პროხორი ოდენ ჯუარისა მონასტერსა აშენებდა". გიორგი ეწვია და დაეხმარა — „საფასითა ფრიად შეეწია"[16].

პროხორე „ჯვრის აღმშენებლად" იხსენიება სინის მთის სულთა მატიანეშიც[17]. იგი, — როგორც მოსალოდნელი იყო, — პატივით იხსენიება ჯვრის მონასტრის აღაპებშიც. მართალია, იქ საგანგებოდ არაა აღნიშნული, რომ პროხორე ჯვრის აღმშენებელია, მაგრამ ეს არც იყო საჭირო. მთავარია ის, რომ პროხორეს სვინაქსარული ცხოვრება არის იერუსალიმის სვინაქსარში (Jer. № 24—25) შეტანილი პირველი ქართველი მოღვაწის ცხოვრება, ხოლო მისი აღაპი — პირველი აღაპი ჩაწერილი იმავე სვინაქსარში. ყოველივე ეს საფიქრებელს ხდის, რომ დასახელებული სვინაქსარი საგანგებოდ გადაიწერა, რათა მასში შეეტანათ ჯვრის აღმშენებლის აღაპი და საფუძველი დადებოდა ჯვრის მონასტრის პირველ სააღაპე წიგნს[18].

---

[14] ცნობილია პროხორეს ცხოვრების შემცველი ხუთი ხელნაწერი (Jer. № 24—25; H №№ 886, 1661; Q №№ 75, 105-ა). გამოცემები: ქრონიკები, II, გვ. 523—524: ИКИ-АИ. II (1927), გვ: 58—59 (იქვეა რუსული თარგმანიც — გვ. 59—60); ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი ს. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., 1947, გვ. 215; ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I (V—X სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქაჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჰანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963, გვ. 345—346.

[15] ИКИ-АИ. II (1927), გვ. 37—38; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I[4], თბ., 1960, გვ. 103.

[16] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II (XI—XV სს.), დასაბეჭდად მოამზადეს ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ვ. დოლაქიძემ, ც. ქურციკიძემ, ც. ჰანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ.. 1967, გვ. 143—145.

[17] ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 244.

[18] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის (XI—XVII სს.), თბ., 1962, გვ. 49, 53, 72. 94, 159.

გარკვეულ ინტერესს იწვევს ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერთა ჩვენებაც. რ. ჯანენის ცნობით, ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში საუბარია პროხორეს მიერ ტაძრის განახლებაზე და არა აშენებაზე, რის გამოც პროხორე უნდა მივიჩნიოთ ჯვრის სავანის აღმდგენელ-განმაახლებლად და არა დამაარსებლად[19]. ამთავითვე უნდა განვაცხადოთ, რომ ეს ცნობა სწორი არაა: ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებში პროხორეს მიეწერება ჯვრის მონასტრის დაარსება და არა აღდგენა. საკმარისია გავეცნოთ რამდენიმე ხელნაწერის ჩვენება, რომ ცხადი გახდეს რ. ჯანენის მსჯელობის უსაფუძვლობა.

თავდაპირველად დავიმოწმებთ პროხორეს სიტყვებს: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი-პროხორე, სახელად ოდენ მღდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდასა ამას ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ადგილსა“[20]; „ღირს მყო ღმერთმან მე, გლახაკი პროხორე დაწერად ამის სულთა განმანათლებელისა წმიდათა მოწამეთა წიგნისა და გავასრულე და შევმოსე და დავდევ ნებითა ღუთისაჲთა და შეწევნითა ყოვლითა წმიდაჲთა ჩემ მიერ აღშენებულსა ეკლესიასა წმიდისა ჯუარისასა“[21].

პროხორეს მიერ ჯვრის მონასტრის დაარსებაზე ცნობებს გვაწვდიან სხვა ქართველი მწიგნობრებიც. დავიმოწმებთ მათ სიტყვებსაც: „დაიწერა და განსრულდა წმიდაჲ ესე წიგნი იერუსალიმს, მონასტერსა წმიდისა ჯუარისასა, წმიდისა მამისა ჩუენისა პროხორეს აღშენებულსა“ (მიქაელ დვალი); ხელნაწერი შევწირეთ „ჯვარს, რომელი აღეშენა ჴელითა... პროხორესითა“ (გაბრიელ და იოვანე ივანწმიდელ-საფარელნი): „ქრისტე, ადიდენ სულითა მოძღუარი და მამაჲ ჩუენი გიორგი და ყოველნი შეილნი მათნი სულიერნი, რომელნი შემოგუკრიბნა წმიდასა ამას ადგილსა, რომელი დიდითა შრომითა მიჰმადლა ღმერთმან და აღაშენა ყოველთა სულთა შესაკრებელად“ (შავი იოვანე): პროხორემ „შუენიერად და კეთილად აღაშენა მონასტერი ცხოველსმყოფელისა და პატიოსნისა ჯუარისაჲ“ (იოვანე დვალი) და ა. შ.

ამრიგად, ყველა წყარო, რომელიც საგანგებოდ დავიმოწმეთ (პროხორეს სვინაქსარული ცხოვრება, გიორგი ათონელის ცხოვრება, ჯვრის მონასტრის ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერები და სხვ.), ჯვრის მონასტრის მშენებლად პროხორეს მიიჩნევს და ჩვენ არავითარი საფუძველი არ გაგვაჩნია იმისათვის, რომ ამ წყაროთა ჩვენებაში ეჭვი შევიტანოთ. ასე რომ, სავსებით მართალნი არიან ის მკვლევარნი, რომელნიც ჯვრის სავანის დამაარსებლად XI საუკუნის მოღვაწეს გიორგი-პროხორეს აღიარებენ.

ჯვრის მონასტრის მშენებლობის დაწყებას მკვლევარნი XI საუკუნის პირველ მეოთხედში სდებენ. „მონასტრის აშენება პროხორეს დაუწყია ექვთიმე მთაწმიდლის ბრძანებით, მაშასადამე, მეთერთმეტე საუკუნის პირველი მეოთხედის გასულს მაინც. მონასტერი შენდებოდა 1025 წლიდან“ (კ. კეკელიძე)[22]; „მთაწმიდელთა (ექვთიმე მთაწმიდელის) ინიციატივითა და ბაგრატ IV-ის ეკონომიური მხარდაჭერით იერუსალიმის მახლობლად XI საუკუნის პირ-

---

[19] რ. ჯ ა ნ ე ნ, ქართველები იერუსალიმში, გვ. 32.

[20] A. Ц а г а р е л и. Памятники. გვ. 186—187; ქრონიკები, I, გვ. 178.

[21] P. P e e t e r s. De codice hiberico Bibliothecae Bodleianae Oxoniensis. AB. XXXI (1912). გვ. 302.

[22] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I[4], გვ. 103.



ველ მეოთხედში დაიწყო ჯვრის მონასტრის მშენებლობა“ (ე. მეტრეველი)[23]; „მონასტრის მშენებლობა იმ სახით, როგორც ის შემდეგ იყო ცნობილი, დაიწყო XI საუკუნის პირველ მეოთხედში საბაწმიდელმა მოღვაწემ გიორგი-პროხორე შავშელმა, ცნობილი ათონელი მოღვაწეების ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელების ინიციატივითა და მეფე ბაგრატ მეოთხის დახმარებით“ (ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი)[24].

როგორც დამოწმებული ციტატებიდან ჩანს, მკვლევარნი პროხორეს უკავშირებენ ექვთიმე ათონელს (955—1028), მას მიიჩნევენ ჯვრის მონასტრის მშენებლობის ინიციატორად და მშენებლობასაც ამის მიხედვით ათარიღებენ. რა შუაშია ექვთიმე ათონელი? რა კავშირშია იგი პროხორესთან ან ჯვრის მონასტრის მშენებლობასთან?

აღსანიშნავია, რომ ჯვრის მონასტრის მშენებლობის ინიციატორად და პროხორეს აღმზრდელად ექვთიმე ათონელს სხვა მკვლევარნიც მიიჩნევენ. პირველად ეს აზრი ა. ცაგარელმა გამოთქვა[25]. შემდეგ იგი უყოყმანოდ მიიღო და გაიმეორა ბევრმა მეცნიერმა (პ. პეეტერსმა, ე. თაყაიშვილმა, შ. ნუცუბიძემ, შ. ამირანაშვილმა და სხვ.). რამდენად სწორია ექვთიმეს მიჩნევა პროხორეს აღმზრდელად? რა მასალა მოგვეპოვება ამ საკითხზე?

პროხორეს აღმზრდელად თუ მოძღვრად წყაროებში რამდენიმე პირია დასახელებული (არსენი, იოვანე, ექვთიმე). ამჯერად ჩვენ მხოლოდ ექვთიმეს საკითხი გვაინტერესებს. ვფიქრობთ, არა გვაქვს საფუძველი იმისათვის, რომ ეს ექვთიმე ათონელ მოღვაწედ მივიჩნიოთ. ასევე დაუშვებელია ექვთიმე ათონელის პროხორეს მასწავლებლად და ჯვრის მშენებლობის ინიციატორად მიჩნევა, რადგან არც ექვთიმეს ბიოგრაფი, რომელიც ზუსტად და დეტალურად გადმოგვცემს ექვთიმეს თავგადასავალს, და არც სხვა წყარო არავითარ ცნობას არ გვაწვდის ექვთიმეს პროხორესთან (ან ჯვართან) ურთიერთობის შესახებ. საფიქრებელია, მკვლევართა შეცდომა გამოიწვია ერთი ხელნაწერის ცნობამ: ჯვარი ააშენა „მამამან პროხორე, ბრძანებითა და მოღუაწებითა კურთხეულისა კაცისა, მამისა ეფთჳმესითა"[26]. ეს ექვთიმე უნდა იყოს არა ათონელი, არამედ წყაროსთაველი მოღვაწე, ექვთიმე გრძელი[27].

ექვთიმე ათონელის საკითხი იმიტომ იწვევს განსაკუთრებულ ინტერესს, რომ, როგორც ვნახეთ, მას უკავშირებენ ჯვრის სამონასტრო კომპლექსის მშენებლობის წამოწყების თარიღსაც. მაგრამ, რადგან ეს საკითხი იხსნება, დამოწმებულ დათარიღებასაც საფუძველი ეცლება. საჭიროა დათარიღებისათვის სხვა საბუთების დაძებნა.

ყურადღებას იპყრობს ძველ ხელნაწერებში შემონახული რამდენიმე ცნობა, რომელთა მიხედვით შესაძლებელი ხდება ჯვრის მონასტრის მშენებლობის მიახლოებით დათარიღება.

---

23 ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, გვ. 0172.

24 ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი, შოთა რუსთველი ჯვრის მონასტერში, „კომუნისტი", 22.XI. 1960, № 271 (11882).

25 А. Цагарели. Памятники, გვ. 42, 44, 92—93, 110, 174.

26 იქვე, გვ. 173; ნ. მარი, იერუსალიმის ბერძნული საპატრიარქო წიგნსაცავის ქართული ხელნაწერების მოკლე აღწერილობა, თბ., 1955, გვ. 17.

27 ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტ. I, ნაკვ. II, თბ., 1962, გვ. 432—434.



პირველ რიგში ერთხელ კიდევ უნდა დავიმოწმოთ პროხორეს მინაწერი 1038 წლისა: „ღირს ვიქმენ მე, გლახაკი და ფრიად ცოდვილი გიორგი პროხორე, სახელად ოდენ მღდელი, ხოლო საქმითა არა ღირსი, რომლითა შემძლებელ ვიქმენ უძლურებითა და სიგლახაკითა ჩემითა აღშენებად წმიდასა ამას ცხოველსმყოფელისა ჯუარისა ადგილსა". იგი საფიქრებელს ხდის, რომ 1038 წელს ჯვრის ტაძრის მშენებლობა უკვე მიმდინარეობდა; საინტერესოა ჩვენება იმ ხელნაწერისა, რომელიც ამჟამად ლონდონშია დაცული (Addit. № 11281). მისი გადამწერის — შავი იოავანეს ანდერძით საფიქრებელი ხდება, რომ 1042 წლისთვის მთავარი ტაძრის მშენებლობა დამთავრებული იყო[28]; ვფიქრობთ, ამასვე უნდა ამოწმებდეს იოვანე დვალის ანდერძი 1055 წლისა[29], თორემ მონასტრის სხვა ნაგებობათა მშენებლობა, როგორც ვნახეთ, გიორგი ათონელის იერუსალიმში ყოფნისას, ე. ი. 1056 წელსაც[30] გრძელდებოდა; პროხორეს სვინაქსარული ცხოვრებით, პროხორეს ჯვრის სავანეში ყოფნისას დასრულდა მონასტრის მშენებლობა (მან „აღაშენა და განასრულა და შეამკო ეკლესიაჲ ყოვლითა სამკაულითა"). 1065 წლიდან პროხორე ჯვარში არ ჩანს, ე. ი.

მონასტრის მშენებლობა 1056—1065 წლებში დამთავრებულა.

ამრიგად, გიორგი-პროხორემ XI საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო ჯვრის მონასტრის მშენებლობა, ხოლო დაამთავრა იგი 50-იანი წლების მიწურულსა. თუ 60-იანი წლების დამდეგს.

[25] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I[4], გვ. 103.

[29] А. Цагарели, Памятники, გვ. 173.

[30] კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I[4], გვ. 103, 216—217.

# ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1976

XXVIII-ᲰC

ელენე მეტრეველი

## ჯვრის მონასტრის კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი ჯვაროსანთა მოსახსენებლებით

საქართველოსა და ჯვაროსნების ურთიერთობაზე არაერთი გამოკვლევა დაიწერა. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „საქართველოსა და ჯვაროსნებს შორის არსებობდა გარკვეული ურთიერთობა, რომელიც ორთავე მხარის ინტერესებით იყო გაპირობებული"[1]. იგი ვრცელდებოდა იერუსალიმის ქართულ მონასტრებზეც, კერძოდ, ჯვარის მონასტერზე იერუსალიმში ლათინთა სამეფოს არსებობის წლებში (1099—1187 წწ.).

ჩვენ გვქონდა შემთხვევა, ისტორიული პირველწყაროების საფუძველზე გვეჩვენებინა, რომ იერუსალიმის ლათინთა სამეფოს არსებობის მანძილზე ქართველები გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ[2]. ამასვე ადასტურებს, სხვა მასალასთან ერთად, XII ს. 50-იან წლებში ჯვაროსანთა აღაპ-მოსახსენებლები, ჩაწერილი ჯვრის მონასტრის ერთ-ერთ ქართულ ხელნაწერში (H—1661)[3]. ამ მოსახსენებლების შესწავლამ აშკარა გახადა, რომ ისინი ეკუთვნიან ჯვაროსნების ტამპლიერთა ორდენის წევრებს. მასში დასახელებულნი არიან ტამპლიერთა ორდენის თანამდებობის პირები: კომანდორი, პერი, სირი, ბჟე, ეკონომოსი და სხვ. ამის თაობაზე ჩვენ ვწერდით: „ეს აღაპები საინტერესოა არა მარტო იმით, რომ აქ შემორჩენილია ტამპლიერთა ორდენის წარჩინებულ წევრთა სახელები, არამედ, პირველ ყოვლისა, იმით, რომ აშკარავებენ ჯვაროსანთა და კერძოდ ტამპლიერთა რაინდების დამოკიდებულებას ჯვარის ქართველთა მონასტრისადმი"[4]. ჯვარის მონასტრის ქართული ხელნაწერების შესწავლამ გამოავლინა ჯვაროსანთა აღაპ-მოსახსენებლების შემცველი კიდევ ერთი ხელნაწერი.

[1] ე. კოპალიანი, საქართველოს ურთიერთობა ჯვაროსნებთან და ბიზანტიასთან (XI—XII საუკუნეთა მიჯნაზე); XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები (თსუ-ს შრომები, ტ. 125, ისტ. მეცნ. სერია, VI, გვ. 108).

[2] ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის. თბ., 1962, გვ. 56.

[3] ე. მეტრეველი, იერუსალიმის ერთი ხელნაწერი. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XVB, გვ. 45.

[4] იქვე, გვ. 47.

პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართულ ხელნაწერთა გაცნობისას ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხელნაწერმა — Géorg. 28. იგი საკმაოდ დეტალურად აღწერილი აქვს ექ. თაყაიშვილს[5].

ხელნაწერი შეიცავს ოთხთავის ტექსტს, დაწერილს კალიგრაფიული ნუსხურით შესანიშნავ თხელ, თეთრ ეტრატზე. ტექსტს ახლავს მახარებელთა გამოსახულებები, შესრულებული ეტრატის თეთრ ფონზე. ხელნაწერის ანდერძებიდან ირკვევა, რომ იგი გადაიწერა საქართველოში და ჯვარისთვის შეუწირავთ ბასილი და დემეტრე მონაზონებს. ერთ-ერთ მათგანს — დემეტრეს, განზრახული ჰქონია პირადად წაეღო ხელნაწერი იერუსალიმში: „საცნაურ იყავნ სიწმიდისა თქუენისა, რომელ ჟამი აღსასრულისა ჩემისაჲ შაგას მონასტერსა შინა გამეგო. გარნა სიღრმემან სიბერისამან და თჳთმპყრობელთა ჴელმწიფებამანცა არღარა მაუფლეს. ესე წმიდაჲ სახარებაჲ სულიერისა შვილისა ჩემისა სჳმეონ ხუცისა ჴელითა მიითუალეთ“. ბასილი და დიმიტრი ხელნაწერის მომგებლები ყოფილან, ხოლო ხელნაწერის გადამწერი კი „ცოდვილი მალდავეთის ძე“: „ამისი დამწერელი ცოდვილი მალდავეთის ძე ლოცვასა ღირს მყავთ, ვინცა ჰნახოთ“, ვკითხულობთ იოანეს თავის ბოლოს (224v). ანდერძი დაწერილია წერილი კალიგრაფიული ნუსხურით. თარიღი ხელნაწერს არ გააჩნია, მაგრამ ტექსტის ხელის მიხედვით ის XII საუკუნისაა. თუმცა ექ. თაყაიშვილი პალეოგრაფიულად მას XIII საუკუხით ათარიღებს.

ამ ხელნაწერის უფრო ზუსტ დათარიღებაში გვეხმარება ხელნაწერის ერთი მოსახსენებელი, რომელიც ჯვაროსნების მოსახსენებელთა რიგშია მოთავსებული.

„ქ. ო̄ ღ̄ო, დაიცვენ და შეიწყალენ ძმანი ჩუენნი იოსებ და იოანე. გაბრიელ შეჰანის მაშენებელისა შვილის შვილნი და ღირს ყვენ ჩუენ ჯუარელთა ძმობასა და შეჰანისსაჲ“ (246v).

ამ მოსახსენებლის შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ აქ მოხსენიებული გაბრიელ შეჰანელი ჯვარის მაშენებლის გიორგი-პროხორეს უმცროსი თანამედროვეა, ე. ი. XI საუკუნის II ნახევრის მოღვაწეა. ამის მიხედვით მის შვილის შვილთა მოღვაწეობის ხანა XII საუკუნის I ნახევარს ბევრად ვერ გასცილდება[6]. მაშასადამე, Géorg. 28 არ შეიძლება ამ თარიღზე უფრო გვიან იყოს გადაწერილი. Géorg. 28 ხელნაწერი XII ს. შუა წლებით უნდა დათარიღდეს.

ხელნაწერის 246 r-სა და v-ზე მოთავსებულია სხვა მოსახსენებლებიც, დაწერილი აგრეთვე XII საუკუნის ხელით. ნაწილი ამ მოსახსენებლებისა, ყოველგვარი კვალიფიკაციის გარეშე, გამოქვეყნებული აქვს ექ. თაყაიშვილს[7].

246r-ზე: „შეიწყ(ა)ლე, ო̄ჲ(!) ღმერთო, უისტასი: გარნიელ: გატიერ: დამიდ: უისტასი: პუედ: რინირ: მუსურ: არჩნბატ:“[8].

დიდი ნაწილი მოსახსენებლებისა მოთავსებულია 246v-ზე. ამათგან ნაწი-

[5] ექ. თაყაიშვილი, პარიზის ნაციონალური ბიბლიოთეკის ქართული ხელნაწერები და ოცი ქართული საიდუმლო დამწერლობის ნიშანი, პარიზი, 1933, გვ. 61.

[6] ე. მეტრეველი, შეჰანის უდაბნო, XI საუკუნის უცნობი სამწერლობო კერა პალესტინაში (იბეჭდება: „მრავალთავი“, ტ. V.).

[7] ექ. თაყაიშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 64.

[8] ეს მოსახსენებელი ექ. თაყაიშვილს გამოქვეყნებული არა აქვს.

და აქ ისევ მხურს მოვიყვანო ამონაწერი საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალიდან"ჯვარი ვაზისა",რომელშიც ქართველთა მოღვაწეობის შესახებ იერუსალიმში,ხხვათა შორის, ნათქვამია:

> ხელნაწერებით, მოგზაურთა ჩანაწერებით, მოსახსენებელი აღაპებითა და სხვა სახის საისტორიო წყაროებით მეცნიერულად დადასტურებულია, რომ პალესტინაში ქართველებს შემდეგი მონასტრები ჰქონიათ:
>
> 1. ჯვარი, — ქართველთა უდიდესი სავანე, კოლონიის ცენტრი./
>
> 2. წმ. მოციქულთა, — აშენებული საქართველოს მეფის გიორგი I მიერ.
>
> 3. მამამთავრის აბრაამისა, — განახლებული გიორგი აბაშიძის მიერ.
>
> 4. წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული საქართველოს დედოფლის ელენეს მიერ.
>
> 5. წმ. იოანესი, — აშენებული სამცხის ათაბაგის მიერ.
>
> 6. წმ. ვასილისა, — აშენებული ამირანდო ამილახვრისა და თაქოს მიერ.
>
> 7. მეორე სავანე წმ. ნიკოლოზისა, — აშენებული პაატა და ქაიხოსრო წულუკიძეების მიერ.
>
> 8. წმ. თედორესი, — აშენებული ბეჟან და პაპუნა როლოყაშვილების მიერ.
>
> 9. წმ. თეკლასი, — აშენებული ქრისტეფორე ზედგენიძის მიერ.
>
> 10. წმ. გიორგისა (ურიათ უბანში), აშენებული თავად დადიანის მიერ.
>
> 11. დედათა მონასტერი პატიოსან მირქმისა უფლისა, — აშენებული რაჭის ერისთავის მიერ.
>
> 12. წმ. დიმიტრისა, — აშენებული შალვა ქსნის ერისთავის მიერ.
>
> 13. წმ. ქალწულ მოწამის ეკატერინას სახელობის ქართველ დედათა მონასტერი, — აშენებული ციციშვილებისა და მაჩაბლების მიერ.
>
> 14. ტაძარი ქრისტეს აღდგომისა გოლგოთაზე:
>
> 15. ტაძარი წინასწარმეტყველისა სამუელისა.
>
> 16. წმ. მოციქულისა და იაკობ ზებედესი (ჯვრის შემდეგ „სიმდიდრითა და მშვენიერებით არც ერთი ეკლესია არ შეედრება მას").
>
> 17. ტაძარი მამისა საბა განწმედილისა (საბაწმიდა). „საბას ლავრა იყო უმნიშვნელოვანესი და ამავე დროს უძველესი საზღვარგარეთული ცენტრი ქართული კულტურისა და მწერლობისა, სადაც VIII—IX საუკუნეებში დუღდა ქართველების ნამდვილი ინტენსიური ლიტერატურული შემოქმედება" (კ. კეკელიძე).
>
> 18. სვიმეონ ღმრთის მიმრქმელისა.
>
> 19. წმ. იოანე ნათლისმცემლისა იორდანის ნაპირზე.

## ახლა ზოგიერთი ფაქტი "ჯვარის" ქართული მონასტრის შესახებ იერუსალიმში:

მწერალი და დიპლომატი გიორგი ავალიშვილი თავის წიგნში, რომელიც დაწერა 1819—20 წლებში იერუსალიმში მოგზაურობის შედეგად, აღნიშნავს, რომ ბერძენთა მიტროპოლიტს წმინდა სინოდის სახელით, მისთვის უბოძებია მონასტერში დაცული ქართული წიგნები და ხელნაწერები. ავალიშვილს აქედან აურჩევია მხოლოდ 9 ხელნაწერი და რამდენიმე ნაბეჭდი წიგნი. იმაზე კი არაფერს წერს, თუ რატომ არ წამოიღო ესოდენ ძვირფასი საჩუქარი მთლიანად. მოგზაური არც შ. რუსთაველის ფრესკას ახსენებს[13].

ა. ცაგარელს მხოლოდ 138 წიგნი დახვედრია და მათი სია შეუდგენია. მეორედ ეს ხელნაწერი წიგნები აღწერა აკადემიკოსმა ნ. მარმაც

[13] ავალიშვილი. მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმში. თბ., 214—215.

=====================

## ი.რურუა, გ.პატარაია, გ.მელქაძე:

1966 წლის მაისში საქართველოს ტელევიზიის წარმოგზავნილებმა ი. რურუამ, გ. პატარაიამ და გ. მელქაძემ დიდი სიძნელეების გადალახვის შემდეგ შეძლეს მიეღოთ ბერძნული ეკლესიის საპატრიარქოს ბიბლიოთეკის ნახვის ნებართვა ძველ იერუსალიმში. მათ ეს ხელნაწერები და წიგნები არასახარბიელო პირობებში დახვდათ.

იმავე ძველ იერუსალიმში, ამჟამად სომეხთა ხელში მყოფი იაკობის ტაძრის მონახულებისას მათ აჩვენეს პერგამენტზე გადაწერილი ქართული ხელნაწერების რამდენიმე დაფანტული ფურცელი, რომლებიც ბეჭდეური წიგნების დასაცავად იყო გამოყენებული, როგორც გარეკანი. ფირზე გადაღებული ამ 32 გვერდის გაცნობის შემდეგ პროფესორებმა ილია აბულაძემ და ელენე მეტრეველმა დაასკვნეს, რომ ხელნაწერების მეტი ნაწილი X-XI საუკუნეებისაა.

=====================

## ი.ხცოვბუნი -"ჯვრის" მონასტრის შესახებ -:

ისრაელში ჩვენი მუშაობის დროისათვის ჯვრის მონასტერში კიდევ იყო შემორჩენილი რამდენიმე ქართული წარწერა ტაძრის კედლებსა და სვეტებზე. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ტაძრის შუაგულში ძველებური მოზაიკით მოფენილი იატაკის ცენტრში დაჭედილი ლითონის დისკო ქართული წარწერით: „სდექით მტკიცედ და შეურყევლად“. ნიკიფორე ჩოლოყაშვილის ხელის ნამოქმედარი თითქოს ეხმიანება რუსთაველის გმირულ მოწოდებას — „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსა“.

, კარგა ხანს მოქმედებდა ბერძნების მიერ 1855 წელს¹ დაარსებული სასულიერო სემინარია. პირველი მსოფლიო ომის დაწყების წინ ბერძნები იძულებული გახდნენ, მონასტერი დაეხურათ და თავიანთი ბერები სხვაგან გადაეყვანათ. მოქმედად დარჩა მხოლოდ მთავარი ტაძარი, შემთხვევით შემორჩენილი პილიგრიმებისა და მლოცველების იმედით.

1948 წელს მონასტერში განალაგეს ისრაელის მხედრიობის ნაწილი, რომელსაც იგი მთელი 10 წლის მანძილზე ეკავა. ჩვენი იქ ყოფნის დროს მონასტერი მოუვლელ მდგომარეობაში იყო, ერთი ბერძენი მღვდლისა და რამდენიმე მომსახურე კაცის ამარა. აქ დროდადრო ტურისტები და მოგზაურები თუ შემოიხედავდნენ. მონასტრის კარებში შემოსულს პირველი ხვდებოდა ძველი, ტანმსხვილი ვაზი და მისი ლერწებით შეკრული საგრილობელი. ასეთს იერუსალიმის სხვა ტაძრებში არ შევხვედრივარ. ესეც, ალბათ, მისი ერთ-ერთი ქართული ნიშანია.

========================

არქიმანდრიტი ხ. პოპანდოპოლოხხ,

ბერძენი მემატიანე წერს: „ლეგენდარულმა თამარ მეფემ, რომლის კარზეც ცხოვრობდა მგოსანი შოთა რუსთაველი, 1192 წელს იგი იერუსალიმის „წმინდა ადგილებში" გააგზავნა“ (გვ. 650) და კიდევ: „თამარის მიერ ჯვრის მონასტერში გაგზავნილ რუსთაველს, მისგან ნაბრძანები ჰქონდა, რომ იგი არა მარტო მხარში უნდა ამოსდგომოდა მონასტრის სასულიერო მოღვაწეობას, არამედ უნდა განეახლებინა იგი, რესტავ- ꟷ აცია გაეკეთებინა მისთვის და აღედგინა დანაკლისი, რომელიც მას ჯვაროსნებმა მიაყენეს“. (გვ. 651)¹.

==========================

ირაკლი აბაშიძემ, აკაკი შანიძემ და გიორგი წერეთელმა 1960-ც წელ აღმოაჩინეს შოთა რუსთაველის სურათი წარწერით:

„ამისა დამხატავსა შოთას შეუნდოვს ღმერთმან, ამინ“. ქვევით, თავთან არის წარწერა, რომელიც მარცხნიდან იწყება და მარჯვნივ მთავრდება: „რუსთაველი“. პ. ინგოროყვა ფიქრობს, რომ ამ ფრესკაზე შ. რუსთაველია გამოსახული დაახლოებით 1245—1250 წლებში.

ფრესკის აღმოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს რუსთველოლოგიისათვის. იგი ყველაზე დამაჯერებლად ასაბუთებს შოთა რუსთაველის შესაძლო ყოფნას პალესტინაში.

უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი ფრესკაზე გამოსახულია არა ბერის სამოსელში, არამედ ქართველი დიდებულისათვის დამახასიათებელ საერისკაცო ტანსაცმელში. მხრებზე მოსხმული აქვს ყარყუმის ბეწვის საყელოიანი შინდისფერი ფერის მანტია. თავზე, შავი ფერით გაწყობილი თეთრი ბეწვის ქართული ქუდი ახურავს.

¹ Х. Попадополос, Святой монастырь Креста и духовная семинария, сборник «Новый Сион», том. II, Иерусалим, 1905. На греческом языке.

ხალხური გადმოცემებით რუსთაველმა თავისი სიცოცხლე უცხოეთში დაასრულა და ჯვრის მონასტერში აღესრულა.

ამ გადმოცემას მეცნიერებიც იზიარებენ. ზოგიერთი მათგანის აზრით, რუსთაველს შემოქმედებითი მოღვაწეობა არც პალესტინაში შეუწყვეტია, ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა და დაახლოებით 1250 წელს გარდაიცვალა. დასაფლავებული უნდა იყოს ჯვრის მონასტრის საკრებულო ტაძრის იმ სვეტის ძირში, რომელზედაც მისი პორტრეტია გამოსახული. ასეთი ვარაუდის საფუძველს იძლევა ძველთაგან მომდინარე საეკლესიო ტრადიცია: გამოჩენილი მოღვაწის პორტრეტი ჩვეულებრივ, მისი სამარის თავზე იხატებოდა.

==================================

დაბოლოს გაგაცნობთ, პატივცემულო მსმენელებო, ამონაწერს პალესტინის პატრიარქის დოსითეოსის 1706 წლის ივლისში გამოგზავნილ ეპისტოლედან საქართველოს მეფე ვახტანგ VI-სადმი, რომელშიც ნათქვამია:

---

— ჩვენ არა თუ არ მოვითხოვთ რაიმე საფასურს ივერიელებისაგან (ქართველებისაგან), არამედ ვუბრუნებთ მათ როგორც წმიდა ჯვრის მონასტერს, აგრეთვე სხვებსაც: წმ. ნიკოლოზის, წმ. თევდორეს, წმ. ბასილის, წმ. ანასა და ებრაულ წმ. გიორგის (იგულისხმება წმ. გიორგის ქართველთა მონასტერი, რომელიც დგას იერუსალიმის ებრაულ ნაწილში, — „მონასტერი წმიდასა გიორგისი ურიათ უბანში დადიანთა აღშენებული" — ე. გ.), ვალებგადახდილს და ყოველგვარ მიმართებათ თავისუფალს, და არც ჩვენ თვითონ და არც ჩვენს შემდეგ წმიდა ქალაქ იერუსალიმის უწმიდესი პატრიარქები, არც ყოვლადწმიდა საფლავის მამები და მოსაყდრეები არ მოითხოვენ ივერიელებისაგან არავითარ ფულს, არც დიდს და არც მცირეს... და იყოს თავისუფალი მათი მონასტრები ყოველგვარი მაძიებლობით, ყოველგვარი ვალებისა და თავმომაბეზრებელი, აბეზარი საქმეებისაგან და, იყონ მათი ნამდვილი და სრული ბატონ-პატრონები ღვთისმოყვარე ივერიელები. ხოლო როცა ღმერთი ინებებს და ივერიიდან მოვა იღუმენი, მაშინ მან ძველებურად აიღოს თავის ხელში ძალაუფლება ყველა მონასტერზე", — ვკითხულობთ ქალაქ იერუსლიმის და სრულიად პალესტინის პატრიარქის დოსითეოსის 1706 წლის ივლისში გამოგზავნილ ეპისტოლეში საქართველოს მეფის ვახტანგ VI-ისადმი.

მე-18 საუკუნის დასაწყისში, დიდი ხარჯითა, საჩუქრითა და „სიგლითა მტკიცითა", „ღვთის მოყვარე ივერიელებმა" მთლიანად გადაიხადეს ვალი და კვლავ დაიბრუნეს ჯვრის მონასტერი, ქრისტეს საფლავი, გოლგოთა, ბეთლემი" და სხვანი მონასტერნი ქართველთა". მაგრამ ეს იყო იურიდიული აქტი, რომელსაც პრაქტიკული განხორციელება არ ღირსებია.

---

ვისურვოთ, რომ მალე დადგეს ის დრო, როცა საქართველოს ეკლესიის საპატრიარქო ისევ დაეპატრონება არა მარტო "ჯვარის" ქართულ მონასტერს იერუსალიმში. და ამგვარი სურვილით მსურს დავამთავრო ჩემი მოგზაურობა სამი მსოფლიო მნიშვნელობის რელიგიის ქალაქ იერუსალიმსა და იერუსალიმის ქართულ"ჯვარის"მონასტერში.

==========================

(XXX.)

## იერუსალიმიდან ათონის მთისაკენ

1981 წლის 21-თ აგვისტო დილას, 7-დ საათზე, მიფრინავდა ჩემი თვით-მფრინავი ტელ-ავივის აეროდრომიდან ათენში,საბერძნეთის დედაქალაქში, რისთვისაც იერუსალიმის "ელიონის-ჰოტელიდან" უკვე დილის 5-თ საათზე გავემგზავრე ტაქსით ტელ-ავივის აეროდრომისაკენ, რომლის დროს გზაში ჩემი ყურადღება მიიპყრო საავტომობილო გზის ორივე მხარეს სასოფლო-სამეურნეო მინდვრებზე ერთმოტორიანმა თვითმფრინავებმა,რომლებიც გზაში სამ-ჯერ დავინახე, და რომლებიც, როგორც შევამჩნიე, სხვადასხვა სახის ხსნარით თუ ფქვილოვანი სასუქით რწყავდნენ თუ აყრიდნენ მინ-დვრებს სხვადასხვა სახის ნათესებით თუ ნარგავებით. ამ დროს კი ჩემი თვალით ვნახე, თუ როგორი მოდერნული,ვიტყოდი,"ამერიკული" წესით ხდება ისრაელის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა,რაც, სპეციალის-ტების, აზრით, სამაგალითოა არა მარტო ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები-სათვის. ამიტომ,ვფიქრობ, მოუსავლიანი,ხრიოკი ადგილების ათვისების საქმეში ბევრი რამეს სწავლა შეუძლია ყოველ ქვეყანას ისრაელისაგან, რომელმაც მის საზღვრებში ბევრი უდაბნო,ხრიოკი და მოუსავლიანი ადგი-ლი უკვე ბაღნარად აქცია; და,უთუოთ, საქართველოსაც ბევრი რამეს სწავლა შეუძლია არა მარტო ამ სფეროში ისრაელისაგან. მაგრამ ეს სხვათა შორის.

გამოვედით რა 5-თ საათზე იერუსალიმიდან, 6-ს საათზე უკვე ტელ-ავივის აეროდრომზე ვიყავი, სადაც დაიწყო ისევ სავალდებულო სასტიკი კონტროლი,რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული ტერორისტთა გარევა მგზავრებს შორის, თუმცა თვით ისრაელიდან გამგზავრებისას ამგვარი საშიშროება მინიმალურია. განაწესისამებრ, 7-დ საათზე ავფრინდით ტელ-ავივის აეროდრომიდან და უკვე 10-თ საათზე დავეშვით ათენის ინტერნაციონალურ-საერთაშორისო აეროდრომზე,სადაც დაუყონებლივ უნდა გადავჯდარიყავი თესალონიკში მიმავალ თვითმფრინავში,მაგრამ ეს შეუძლებელი გახდა,ვინაიდან საბერძნეთში - ისრაელთან შედარებით - დრო ერთი საათით წინ იყო გადაწეული, და,ამას გარდა, საბერძნეთის

საშინაო ავიამფრინავთა ფრენის აეროდრომი ათენში, საკმარისად შორს ყოფილა ათენის საერთაშორისო ფრენის აეროდრომიდან. ამის გამო ათენიდან თესალონიკში გაფრენა შევძელი მხოლოდ ნაშუადღევის 3-მ საათზე, და უკვე 4-ს საათსა და 15-ც წუთზე თესალონიკის აეროდრომზე დავეშვი, საიდანაც ტაქსით წავედი ქალაქში; დავბინავდი "კონტინენტალის" სასტუმროში და იმავე წუთს შევუდექი ათონის მთაზე წასასვლელი ნებართვის მიღების საქმეს საბერძნეთის ჩრდილოეთის რაიონის სამინისტროსაგან,რომელიც თესალონიკში იმყოფება. გავიკითხე რა ტურისტულ ბიუროში, ათონის წმინდა მთაზე წასვლის ნებართვის საქმე, მითხრეს, რომ ეს არც ისე ადვილი საქმეა, და მხოლოდ 22-რ აგვისტოს დილით შემეძლო ჩრდილოეთ საბერძნეთის სამინისტროს შესაბამის ბიუროში მისვლა. ამგვარად, 21-თ აგვისტოს,საღამოს თესალონიკის დათვალიერებით დავკმაყოფილდი,რაც ჩემთვის ნაცნობი იყო,ვინაიდან 15-ი წლის წინათ, ე.ი.1967 წლის იანვარში უკვე ვიყავი თესალონიკში,როცა პირველად მივიღე ნებართვა ათონის წმინდა მთის ნახვისათვის.

22-რ აგვისტოს, 1981 წელს, გასაგებია, დილით 8-ა საათსა და 30-თ წუთზე უკვე ჩრდილოეთ საბერძნეთის სამინისტროს შენობაში ვიყავი,რომელიც თესალონიკში მდებარეობს ქალაქ თესალონიკის "აიო დიმიტრიუს" ქუჩაზე, და რომელსაც "დიიკიტირიონს" უწოდებენ. ამ სამინისტროს შესასვლელთან,ეზოში,ყარაულთა ჯიხურში, გუშაგების უფროსმა მითხრა, რომ ბიუროს საათები 9-დან·12-ც საათამდეა, და მირჩია, მანამდე,ე.ი.9-ა საათამდე იქვე,ქუჩის მეორე მხარეს საყავეში მომეცადა. მეც შევედი საყავეში,ვისაუზმე, და ამავე დროს გადავხედე სხვადასხვა საინფორმაციო ილუსტრირებულ ბროშურებს,რომლებიც მე წინა საღამოს ე.წ-ლ"დუკას ტურისტთა მომსახურების" ბიუროში, ვენიზელის ქუჩაზე მომცეს. ერთ ასეთ ბროშურაში,სხვათა შორის, წავიკითხე:

ათონის წმინდა მთის დათვალიერება ქალებისათვის აკრძალულია. მამაკა-
==================
ცებისათვის კი დღიურად გაიცემა 10-ი ნებართვა, თუ ისინი უნივერსიტეტის პროფესორები, მასწავლებლები და სტუდენტებია თეოლოგიის, ფი-

ლოსოფიის, ისტორიის, ხელოვნების ისტორიის, არქიტექტურისა და ხელოვნების განხრით. მოწყობა ათონის მთის დამთავლიერებლის მხურველის შესახებ წარდგენილ უნდა იქნას. სტუდენტებისათვის საკმარისია სტუდენტობის მოწმობა. ათონის მთაზე ყოფნის ხანგრძლივობა საერთოდ განსაზღვრულია 4-ი დღით. პირებს,რომლებიც ჯერ კიდევ 21-ი წლის არ არიან, უნდა ახლდეს გამცილებელი არა ნაკლებ 30-ი წლისასაკისა.თავისთავად ნათელია, რომ ათონის მთის დამთვალიერებელი-მხურველი შესაფერისად, წესიერად იქნება ჩაცმული; სასურველი არ არის მოკლე შარვლები,ე.ი. "შორტს" და გაშვებული,გრძელი თმები.

ათონის წმინდა მთის დათვალიერების განსაკუთრებული ნებართვისათვის საჭიროა, რომ მხურველი პირადათ უნდა გამოცხადდეს თავისი ქვეყნის საელჩოში - ათენში - ან საკონსულოში - თესალონიკში -,რომ მიიღოს რეკომენდაციის მოწმობა.

ამ მოწმობით მხურველი პირადათ უნდა მივიდეს საბერძნეთის საგარეო სამინისტროში, განყოფილება ეკლესია, ათენში ან ჩრდილოეთსაბერძნეთის სამინისტროში,თესალონიკში, აიო-დიმიტრიუს ქუჩაზე, და მივიდეს 218-ტ-219-ტ ოთახში. აქ უნდა ჩაბარდეს სარეკომენდაციო მოწმობა საელჩო ან საკონსულოდან, და მხურველი მიიღებს ნებართვას ათონის წმინდა მთის ვიზიტისათვის.

დამატებითი ნებართვა ქალაქ თესალონიკის პოლიციის უცხოელთა განყოფილებისაგან - ციმისკის ქუჩა 25-,თესალონიკი - ათონის მთაზე მისასვლელ ნავსადგურ - დაფნის - პოლიციის უწყებისათვის საჭიროა.

ათონის მთაზე მისვლა თესალონიკიდან შეიძლება ავტობუსით,რომელიც მიდის ათონის მთის ყელთან ქალაქ ურანოპოლში,საიდანაც შემდეგ მოტორიანი ნავი მიდის ნავსადგურ დაფნიმდე. ავტობუსით მგზავრობა თესალონიკიდან ურანოპოლამდე ღირს 230-ი დრახმა და გრძელდება ოთხ-საათნახევარი. ტურისტებს, რომლებიც აღნიშნულ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებენ, შეუძლიათ თესალონიკში ტურისტულ ბიუროებში მივიდნენ,რომლებიც აწყობენ ერთ-დღიან მგზავრობას ათონის მთაზე. დამატებითი ცნობების

მიღება შესაძლებელია "საბერძნეთის ცენტრალური სატურისტო ბიუროს" განყოფილებაში,რომელიც მდებარეობს მიტროპოლეოს ქუჩაზე 34-ტ ნომერში, თესალონიკში.

ჩვეულებრივი პროსპექტები,ე.ი.ტურისტული ბროშურები ათონის წმინდა მთის შესახებ არ არსებობს,ვინაიდან ათონის თეოკრატიული რესპუბლიკა ტურისტული რაიონი არ არის.

აი,ახსნა-განმარტება მსურველებისათვის, რომლებიც მიემგზავრებიან ათონის მთის დასათვალიერებლად. რა თქმა უნდა, სანამ ჩრდილოეთ-საბერძნეთის სამინისტროში მივიდოდი, გავიგე საქმის ვითარება აღნიშნულ ტურისტულ ბიუროში, და გამოირკვა, რომ ათონის წმინდა მთის ეს ე.წ-ლი "ერთ-დღიანი-დათვალიერება" გამოიხატება იმაში, რომ მსურველი მოტორიანი ნავით განსაზღვრული დაშორებით ჩაუვლის,ტურისტთა დიდ ჯგუფთან და ბერძენ გიდთან ერთად, ათონის მთის დასავლეთ ნაწილს და შორიდან შეხედავს ათონის წმინდა მთის დასავლეთ-მხარეს მდებარე მონასტრებს, რომლის დროს - გასაგებია - ტურისტს უფლება არ აქვს გადავიდეს ათონის მთის სანაპიროზე. გასაგებია, ათონის მთის ამგვარი ე.წ-ლი "დათვალიერება" ჩემთვის სრულიად გამოუსადეგარი იყო, და ამიტომ მივადექი ჩრდილოეთი საბერძნეთის სამინისტროს.

9-ა საათზე,22-რ აგვისტოს,1981 წელს, შევედი ჩრდილოეთი საბერძნეთის სამინისტროში,მივედი 218-219 ოთახების შესასვლელთან, და იქვე, ე.ი.219-ტ ოთახში მიმიღო ამ განყოფილების უფროსმა ქალბატონმა თემელიძე: Themeli; ავუხსენი რა ჩემი მდგომარეობა, მან მითხრა, რომ ათონის მთაზე წასვლის ნებართვის მიღების ჩემი რიგი იქნება 28-ა აგვისტოს,ვინაიდან მანამდე ყველა ადგილი,ე.ი.ყოველდღიურად ათ-ათი ნებართვა, უკვე შეკვეთილიაო. ადვილი წარმოსადგენია ჩემი აღელვება, ვინაიდან მე სწორედ 28-ა აგვისტომდე მქონდა საშუალება დამეთვალიერებინა ათონის მთა. ქალბატონი თემელი გამოდგა მეტად "გამგებიანი" ადამიანი,თუმცა,შეიძლება, ჩემმა დაჟინებითმა მოთხოვნამ,რომ იქედან

ფეხს არ მოვიცვლიდი,სანამ ნებართვას არ მივიღებდი, შეიძლება მასზე მოახდინა ზეგავლენა; შეიძლება იმანაც მოახდინა ზეგავლენა, რომ მე ვუთხარი,რომ ქართველი ვარ, მსურს "ყოფილი" ქართული მონასტრის "ივერი-ონის" დათვალიერება, რომ მოვდივარ იერუსალიმიდან,სადაც უკვე და-ვათვალიერე "ჯვარის" მონასტერი, და რომ მე მხოლოდ 28-ა აგვისტომდე შემიძლია საბერძნეთში დარჩენა. ქალბატონ თემელიმ მითხრა, რომ ჩვენ ყოველდღიურად ათ კაცს ვაძლევთ ათონის მთის დათვალიერების ნებართვას, და რომ ყველა ახეთი პირები წინდაწინ ტელეფონით გვირეკავენ და იგებენ თუ როდის შეუძლიათ ამგვარი ნებართვის მიღება, და თქვენც შეგეძლოთ ერთი-ორი კვირით ადრე დაგერეკათ და თქვენც შეტანილ იქნე-ბოდით მსურველთა სიაში. ახე იყო თუ ისე, მითხრა მოიცადეთო, და მეც სხვა რა გამოსავალი მქონდა!?..

არ გასულა ნახევარი საათი და ისევ მივადექი ქალბატონ თემელის, რომელმაც უსიტყვოთ კიდევ ერთხელ გადახედა ათონის მთის დამთვალიერებლების მსურველთა სიას, და იმედი მომეცა, რომ ერთ ფურცელზე ერთი კაცის სახელი და გვარი წაშლილი იყო. ქალბატონმა გადახედა ჩემს მოწმობებს, და გამომიწერა ორი ფურცელი,რომლებიც ცალკცალკე კონვერტებში ჩადო, და მითხრა, რომ თქვენ შეგეძლებათ ათონის მთაზე ასვლა მხოლოდ 24-ს აგვისტოს,ორშაბათს დილიდან სამი დღით. ჩემმა ხვეწნამ,რომ ერთ დღეს ნუ დამაკარგვინებს და უკვე 23-მ აგვისტოდან მომცეს ათონის მთაზე ასვლის უფლება, არ გაჭრა, მაგრამ - ჩემი თხოვნის შემდეგ -"სამი"დღე"ოთხად"გადააკეთა,ე.ი. უფლება მომცა ოთხი დღე დავრჩენილიყავი ათონის მთაზე.

მომცა რა ეს ორი კონვერტი წერილებით, ქალბატონმა მითხრა, რომ ერთი ეს წერილი უნდა მივიტანო თესალონიკის პოლი-ციის უცხოელთა განყოფილებაში,საიდანაც პოლიციის ნებართვას მივი-ღებ, როლო მეორე კონვერტი ნებართვით უნდა გადაცემა პოლიციისათვის ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიაში. რა თქმა უნდა, გახარებული წავედი თესალონიკის პოლიციის უცხოელთა განყოფილებაში,სადაც - გადა-ვეცი რა აღნიშნული კონვერტი - ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მომცა

ერთმა ახალგაზრდა პოლიციელმა მოწმობა-ნებართვა იმის შემდეგ, როცა ჩემი ვინაობა ზუსტად შეიტანა უშველებელ დავთარში.

(ფირი.......................)

---

ლაპარაკობს დავით თაბორიძე სალონიკიდან,

ან, როგორც თვით ბერძნები ამბობენ, თე-სალონიკიდან. პატივცემულო მსმენელებო, 20 აგვისტოს, 1981 წელს, როდესაც მე დავათვალიერე ქრისტეს დაბადების ადგილი ბეთლემი, — იერუსალიმიდან დაახლოებით 15 კილომეტრის დაშორებით, — შემდეგ წამოველი ათენში, ე.ი. გამოვფრინდი იერუსალიმიდან ათენში; ათენიდან შემდეგ თესალონიკში, და თესალონიკში ჩამოველი 1981 წლის 21 აგვისტოს; და მეორე დღესვე, დილით წავედი თესალონიკში არსებული ჩრდილოეთ საბერძნეთის სამინისტროში, სადაც მსურდა ამეღო ნებართვა ათონის მთის ნახვისა, ე.ი. ათონის მთაზე ასვლის ნებართვა მსურდა ამეღო. მივედი რა ჩრდილოეთ საბერძნეთის ამ სამინისტროს ერთ ბიუროში, რომელსაც ხელმძღვანელობს ქალბატონი ემელი, მითხრა, რომ ათონის მთაზე წასვლას ესაჭიროება რიგი; ასე რომ, უნდა დაგერეკა ჯერ, რომ შემდეგ საშუალება გქონდათ პირდაპირ წასულიყავით ათონის მთაზე ან პირდაპირ, ასე ვთქვათ, უარი მითხრა ნებართვის მოცემაზე.

საქმე იმაშია, რომ, როგორც აღვნიშნე, ათონის მთის ნახვა შეუძლია ერთდროულად ათ კაცს და როგორც ჩანს ამ ათი კაცის სიას ისინი ადგენენ ადრე; და ვინც დაურეკავს სხვადასხვა ქვეყნებიდან და დაიკავებს ადგილს, ისინი მოსვლის-თანავე ღებულობენ ნებართვას. მაგრამ მე ასეთი ადგილის შეკვეთა არ გამიკეთებია, ვინაიდან არ ვფიქრობდი თუ ასეთი სიძნელეები წამოიჭრებოდა აქ. ვდგევარ რა ამგვარი სიძნელის წინაშე, აუხსენი მას, რომ მე ცდა არ შემიძლია. მან კი თქვა, რომ უნდა იცადო სულ ცოტა ერთი კვირა. მაგრამ ერთი კვირა თესალონიკში მოცდა ჩემთვის შეუძლებელი იყო. ამიტომ ვთხოვე, რომ როგორც ქართველს, ე.ი. იმ ერის შვილს, რომელმაც ათასი წლის წინათ ათონის მთაზე დაარსა "ივერიონის" ქართული მონასტერი, გააკეთოს გამონაკლისი და მომცეს ათონის მთაზე წასვლის ნებართვა. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ, დიდი სიძნელეე-

ზის შემდეგ, როგორც იქნა, დამეთანხმა, რომ მოეცა ჩემთვის ნებართვა, მაგრამ არა 21 აგვისტოსათვის, როდესაც მე მასთან ვიყავი, არამედ 23-ი აგვისტოსათვის, ვინაიდან ერთმა დამთვალიერებელმა უარი თქვა წასვლაზე და ის ადგილი დამითმო მე. ერთის სიტყვით, მან მომცა ნებართვა ე.ი. ამ ქარზაცონმა თემელმა მომცა ნებართვა ჩრდილოეთი საბერძნეთის სამინისტროს სახელით, და შემდეგ გამგზავნა ფესალონიკის პოლიციაში, სპეციალური წერილით. მივედი ფესალონიკის პოლიციაში, სადაც კიდევ გასინჯეს ჩემი პასპორტი. შეკითხვები-თუ რატომ მივდივარ ათონის მთაზე, და ამის შემდეგ გამოწერა პოლიციამ ნებართვა, რომ მე შემიძლია ათონის მთის დათვალიერება და დრო განსაზღვრა 23 დან 27 აგვისტომდე. ეხლა ახე ვთქვათ ფესალონიკში ნებართვა მივიღე რომ ათონის მთაზე წავიდე, ეხლა საჭიროა წავიდე ურანოპოლში რომელიც არის საზღვარი ათოსის მთასთან და რომელიც ფესალონიკიდან დაახლოებით არის 200 კილომეტრით დაშორებული. ეს გზა უნდა დავფარო ავტობუსით. ერთის სიტყვით, გავყვეთ გზას და გავცნობებთ თუ როგორ გაგრძელდება ეს ჩემი მგზავრობა ათოსის წმინდა მთაზე ქართული ივერიონის მონასტრის დასათვალიერებლად.

([illegible])

XXXI



1981 წლის 22-რ აგვისტოს

მივიღე თესალონიკის პოლიციის ნებართვა თუ არა, მაშინვე წაველი სასტუმროში, ავიღე ბარგი და ტაქსით მივედი ავტობუსის სადგურში. 12-ზე საათზე უკვე გავუდექი გზას ავტობუსით ურანოპოლისაკენ, რომელიც, როგორც უკვე ავღნიშნე, ათონის მთის ყელთან, დასავლეთით მდებარეობს. მართლაც, მგზავრობა, როგორც ტურიზმის ბროშურაში წავიკითხე, თითქმის ხუთი საათი გაგრძელდა, თუმცა გზები, ასე თუ ისე, კარგი იყო, მაგრამ ავტობუსი ყოველ პატარა სოფლებშიდაც ჩერდებოდა, რასაც დიდი დრო მიჰქონდა. საინტერესოა აგრეთვე ისიც, რომ 15-ი წლის განმავლობაში ბერძენთა ცხოვრების პირობები, სულ ცოტა გარეგნულად, გაცილებით გაუმჯობესებული მომეჩვენა: უფრო კარგად გაკეთებული გზები, სახლები, მაღაზიები, და ხალხი მხიარული, ისე როგორც ეს "სამხრეთულ ქვეყნებშია" საერთოდ. 15-ი წლის წინათ კი, უფრო ზუსტად, 1967 წლის იანვარში, როცა პირველად ვიმოგზაურე ათონის მთაზე, ასეთი კეთილდღეობა არ ემჩნეოდა აქაურობას, თუმცა ადამიანები მაშინაც "მხიარულად" გამოიყურებოდა. გზაში კი, – თესალონიკიდან ურანოპოლამდე –, მაღაზიები, პატარა სოფლებშიდაც კი, სავსე იყო ყოველი სახის საქონლით, რაც განსაკუთრებით იმიტომაც ჩამჩა მეხსიერებაში, რომ სავსე იყო ხილი – ყურძენი, ვაშლი, ლეღვი თუ ბოსტნეული, რამაც საქართველო, ჩვენი სამშობლო მომაგონა, თუმცა არ ვიცი როგორაა ამგვარი საქონლით და სურსათ-სანოვაგით მომარაგების საქმე ჩვენს, საქართველოს შესაბამის სოფლებსა და დაბებში.

გზაში, რამდენადაც ვუახლოვდებოდით ათონის მთას, ე.ი. ურანოპოლის, უფრო მეტი ბერები გამოჩნდა ავტობუსის მგზავრებს შორის; და თვალში მომხვდა აგრეთვე ისიც, რომ ბერთა უმრავლესობა ახალგაზრდები იყვნენ. ამასობაში გავიარეთ გზის უკვე დიდი ნაწილი და შევედით იერისოში, რომელიც ათონის ნახევარკუნძულის ყელთნაა განლაგებული აღმოსავლეთით; შემდეგ მივედით ნეა რომაში, საიდანაც – როგორც გადმოგვცემენ – სპარსეთის მეფეს ქსერქსეს მე-5 საუკუნეში ქრისტეს დაბადების წინ, როცა საბერძნეთს იპყრობდა, – გაუყვანია არხი, რომ თავისი ხომალდები

არა მარტო სწრაფად გაეყვანა ათონის მთის აღმოსავლეთი ნაწილიდან – დასავლეთ ნაწილში, არამედ ამასთანავე – გრძელ სანაოსნო გზასთან ერთად-თავი აერიდებინა ეგეის ზღვის ძლიერ ღელვისათვის, რომელიც განსაკუთრებით ძლიერია ათონის მთის ნახევარკუნძულის, ზღვაში შეჭრილ აღმოსავლეთ-სამხრეთ ნაწილში. ნეა როდადან მალე მივედით ტრიპიტიში, რომელიც უკვე ათონის მთის ყელის დასავლეთში მდებარეობს; და შემდეგ მივედით ურანოპოლში, რომელიც უკანასკნელი                ნავსადგურია ათონის წმინდა მთის საზღვართან.

აი ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე:

(ფ ი რ ი...........)

ლაპარაკობს დავით თაზორიძე ურანოპოლიდან!

დღეს არის, პატივცემული მსმენელებო, 1981 წლის 22 აგვისტო, და ეხლა ვარ მე ურანოპოლისში დავუცდი დროს, როდესაც შემეძლება ათონის მთაზე წასვლა. როგორც აღვნიშნე, ათონის მთაზე წასვლა არა-ბერძენისათვის ადვილი საქმე არ არის. ყოველდღიურად შეიძლება ხუთ ათ-კაცს მიეცეს უფლება ავიდეს ათონის მთაზე, ე.ი. შევიდეს ათონის თეოკრატიულ რესპუბლიკაში და ამჯერად თითქმის, აგვისტოს ბოლომდე ყველა ადგილი დაკავებული იყო და, დიდი დავიდარაბის შემდეგ, როგორც აღვნიშნეე მივიღე ნებართვა 23 აგვისტოს აქიდან ურანოპოლისიდან წავიდეს ნავით დაფნში, რომელიც უკვე ათონის თეოკრატიული რესპუბლიკის, ასე ვთქვათ, ნავსადგურია. დღეს შემიძლია აღვნიშნო მხოლოდ ის, რომ დიდი საშუალება გავწიე იმისათვის, რომ მომზადებული მივსულიყავი ათონის მთაზე; და-ვდგევარ რა ურანოპოლისში – ათონის მთის თეოკრატიულ რესპუბლიკის საზღვართან, ასე ვთქვათ, ცოტა მოთმინება აღარ მყოფნის, აქ ვიჯდე, დავუცადო დროს, როცა მომეცემა საშუალება წავიდე ათონის მთაზე, მაგრამ ვიმედოვნებ ხვალ დილით, შვიდ საათზე უკვე ნავი გადის ურანოპოლისიდან და ხვალ, ალბათ, ნაშუადღევს, ვიქნები ჩვენის ივერიონის ქართულ მონასტერში.

(ფირის დასასრული...)

აქ მსურს შევნიშნო შემდეგი:

ურანოპოლის გასული 15-ი წლის განმავლობაში,როცა მე აქ უკანასკნელად ვიყავი, უკვე - ასე თუ ისე - მოდერნულ ტურისტულ ქალაქად გადაქცეულა: აქ უკვე მრავალი კარგადმოწყობილი სასტუმრო,მაღაზიები,სასადილოებით,სუვენირების კიოსკები, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კლიმატიური პირობებით ამ დალოცვილ ადგილს ესაჭიროება ტურიზმის, სტუმრების მიღებისათვის. მე გავჩერდი სასტუმრო რომელიც საბანაო პლაჟის ნაპირას დგას; და ვინაიდან მე უკვე 1981-ი წლის 22-ი აგვისტოს საღამოს დაახლოებით 5-თ საათზე უკვე ურანოპოლში ვიყავი, ხოლო ათონის მთაზე წასვლა მხოლოდ 24-ს აგვისტოს შემეძლო, შევეცადე გავცნობოდი ათონის ნახევარკუნძულის საზღვარზე-მდებარე ამ პატარა ქალაქისა და მისი შემოგარენის გაცნობას.

ურანოპოლის მოსახლეობა მისდევს სოფლის მეურნეობას,მესაქონლეობასა და მეთევზეობას, მაგრამ მთავარი შემოსავლის წყარო, ჩემის აზრით, მაინც ტურიზმი უნდა იყოს. თვით ადგილმდებარეობა მთაგორიანი და ნაყოფიერია; მევენახეობა,მეხილეობა,მებოსტნეობა - აი,ვფიქრობ, მთავარი დარგები,რომლებსაც მისდევს ადგილობრივი მოსახლეობა. აქაური ხილი კი,ვფიქრობ, ერთერთი საუკეთესოა საბერძნეთში,თუმცა ციტრუსები ამ ადგილებში არ დამინახავს. ვყიდულობდი რა მაღაზიებში ყურძენს,ვაშლს თუ სხვა ხილეულობას, ლეღვი ვერსად ვერ შევნიშნე და ერთ გამყიდველს შევეკითხე-სად შემეძლო ლეღვის ყიდვა. გამყიდველმა გაიცინა და მითხრა ლეღვის მეტი რა არის ურანოპოლის შემოგარენში... და თუ გინდა წადი,მოკრიფე და ჭამეო. მართლაც, ურანოპოლის გარშემო

თითქმის ყველგან დავინახე ლეღვის ხეები,რომლებიც აგვისტოს დამლევს მართლაც სავსე იყო დამწიფებული ლეღვებით, და - რჩევისამებრ - მეც შევექეცი ამ გემრიელ და სხვადასხვა სახის ლეღვებს. ლეღვის ხეების მესაკუთრეები,შევამჩნიე, უყურებდნენ, რომ არა მარტო მე ვკრეფდი და ვჭამდი მათ ლეღვებს, მაგრამ არაფერს არ ამბობდნენ. ამგვარად, ურანოპოლში ლეღვის ყიდვა არ დამჭირვებია ჩემი იქ ყოფნის დროს.

თვით ურანოპოლში არავითარი ისტორიული მნიშვნელობის ნაგებობა არ არსებობს ერთი,უთუოთ, შუასაუკუნეების კოშკისა, რომელიც დღესაც დგას ამ პატარა ქალაქის ნავსადგურში,საიდანაც მოტორიანი ნავები მიემართებიან ათონის მთის ნავსადგურ დაფნისა და მეზობელი ნახევარ კუნძულების სითონიასა და კასანდრას ნავსადგურებისაგან. ამასობაში დადგა 24-ი აგვისტო,ორშაბათი, და დილის 7-დ საათზე უკვე ურანოპოლის ნავსადგურში ვიყავი,საიდანაც მოტორიანი ნავი უნდა წასულიყო დაფნის - ათონის წმინდა მთის ნავსადგურისაკენ.

მოახლოვდა თუ არა 7-ი საათი, გამოჩნდა ერთი პოლიციელი, რომელმაც გადაღობა ნავზე მისასვლელი გზა და ყველას თხოვდა ნავზე ასვლის ნებართვას. ბერძნებისათვის,როგორც ჩანს, ათონზე ასვლის უფლების მიღება მეტად ადვილია, დიდი ფორმალობანი საჭირო არ არის, მით უმეტეს, რომ ბერძნები-მუშები, რომლებიც ათონის მთაზე მონასტრებშიმუშაობენ, ყოველდღიურად მიდიან იქ ნავით და - თუ ათონის მთავზე არ ათევენ ღამეს - ისევ ბრუნდებიან უკან,ურანოპოლში. მაგრამ უცხოელებისათვის კონტროლი ნავზე ასვლისას მეტად მკაცრია: მე მივეცი თესალონიკში,პოლიციაში მიღებული ათონის მთაზე ასვლის ნებართვა, პოლიციელმა ჩამომართვა ეს ქაღალდი,ჩემი პასპორტიც და ამიშვა ნავზე. ჩემს თხოვნაზე, რომ პასპორტი უკან დაებრუნებია, მან მითხრა, რომ პასპროტსა და ათონის მთაზე ოთხი დღით ყოფნის ნებართვასაათონის მთის დედაქალაქ კარიაში მიიღებო. მეც ავედი ნავზე,რომელიც,დაახლოებით, სანახევროდ იყო სავსე,ხულ,ალბათ,50-ი კაცი,რომელთა ნახევარი თუ იქნებოდა ტურისტი-მლოცველი;დანარჩენები იყვნენ ბერები თუ მუშები,რომლებიც უთუოთ მუშაობენ ათონის მთაზე

მონასტრებში. ცოტა გადაცილებული იყო 7-დ საათზე,როცა ჩვენი მოტორიანი ნავი დაიძრა ათონის მთის ნავსადგურ დაფნისაკენ.

გავშორდით რა ურანოპოლის პატარა ნავსადგურს და შემოუარეთ რა ნავსადგურთან-მდებარე შუასაუკუნოვან კოშკს, ავიღეთ კურსი ათონის წმინდა მთის მთავარ ნავსადგურ დაფნისაკენ,რომელიც, დაახლოებით, ამ ნახევარკუნძულის შუაში მთისძირას მდებარეობს. უკვე გამოჩნდა ათონის წმინდა მთის დასავლეთის სანაპიროებთან-მდებარე მონასტრები, მაგალითად,ზოგრაფუს მონასტერი,რომელიც მაღლა,მთის ფერდობზეა აშენებულია და ამავე მონასტრის ნავსადგური,რომელიც დაბლა ზღვისპირასაა; შემდეგ გამოჩნდა,იქვე ახლოს,მთის ფერდობზე კონსტამონიტუს მონასტერი, ხოლო იქვე დაბლა დოხიარიუს მონასტერი; შემდეგ ნავით ჩაუარეთ ქსენოფონტოს მონასტერს და მის შემდეგ პანტელეიმონოს მონასტერს, და მივედით დაფნის ნავსადგურში.

დაფნის ნავსადგურში გემბანის დატოვებისას და საკონტროლო პუნქტის გავლისას, არავითარ კონტროლს არ ჰქონია ადგილი,ვინაიდან კონტროლი უკვე ურანოპოლში,ნავსადგურში მოახდინა პოლიციელმა. 15-ი წლის განმავლობაში, რაც მე დაფნიში არ ვყოფილვარ, უფრო კეთილმოწყობილი მომეჩვენა ეს სულ რამოდენიმე შენობისაგან შემდგარი ნავსადგური, სადაც პოლიცია, საბაჟო განყოფილება და რამდენიმე საყავე-მაღაზიაა თავმოყრილი. იქვე ნავსადგურის ბაქანთან დაგვხვდა ერთი საშუალო სიდიდის ავტობური,"მერსედესის"ტიპისა, და ცოტა პაუზის შემდეგ, რომლის დროს მაღაზიების დათვალიერება და საყავეში ერთი ყავის დალევა მოვასწარი, ჩავჯექით ავტობუსში, და გავუდექით გზას ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქ კარიასაკენ. გზა კარიამდე დღესაც მოასფალტებული არ არის, რის გამო ავტობუსს არაერთი ოღრო-ჩოღრო და მიხვეულ-მოხვეული გზის გარდალახვა უხდებოდა. ნავსადგურ დაფნიდან გზა თანდათანობით,მიხვეულ-მოხვეულად ადის მთაზე,რომლის ერთერთ ფერდობზე მოთავსებულია ნაგებობანი ერთი დიდი წმინდა ანდრიას"სკიტესი",
ე.ი. [illegible]
იქედან ნელნელად ავტობუსი მიიზლაზნებოდა უმთავრესად წაბლის ტყეში გაჭრილ ამ ვიწრო გზაზე, და,დაახლოებით, სამი-მეოთხედი საათის

ხვლის შემდეგ, გადავედით მთის ხერხზე და მივადექით ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქ კარიას,რომელიც მეჩხრად დასახლებულ პატარა დაბის მთაზექდიულებას ცოვებს, რომლის ცენტრია ათონის წმინდა მთის მთავრობის, "ეპისცაზიას",ე.ი.მთავარი"მეთვალყურეობის" სადგომი-სასახლე,რომლის გვერდით დგას კარიას "კათოლიკონ"="მთავარი ეკლესია".

გადმოვედით თუ არა ავცოზუხიდან, მაშინვე გავეშურეთ კარიას პოლიციაში,სადაც პოლიციის თანამშრომელმა იხევ გადასინჯა ჩემი დოკუმენცები და მომცა ქაღალდი-ნებართვა,რომლითაც წავედი კარიას მთავრობის სასახლე-შენობაში,სადაც უკვე ათონის "წმინდა ერთობის", ე.ი.მთავრობის სახელით ბერებმა მომცეს ოფიციალური ნებართვა,რომლითაც ოთხი დღე-ღამე შემეძლო ათონის მთაზე გაჩერება,ე.ი.24-ი აგვისცოდან 27-დ აგვისცომდე. მივიღე რა და-ბოლოს ათონის მთაზე ოთხი დღით ყოფნის უფლება, გამოვედი ათონის მთის მთავრობის შენობიდან, და ჯერ ნოცა-ოდენი დავისვენე ამდენი გასაჭირის შემდეგ, და დავგეგმე ჩემი ეს ოთდღიანი დროს მონაკვეთი.

პირველად აქ, კარიას მთავარ მოედანზე,სადაც ავცოზუსის გაჩერებაა,ვიგრძენი,რომ მშვენიერი,მზიანი ამინდი იყო; ალბათ, იმანაც იმოქმედა ჩემს განწყობილებაზე, რომ ორი-სამი საათის შემდეგ უკვე ვიქნებოდი ჩვენს "ივერიონის" მონასცერში, რის მოლოდინი, გასაგებია, ყოველ ქართველს აღელვებს. პირველად შევედი იქვე ერთ მაღაზიაში და ვიყიდე ყველა წიგნი,ბროშურა,რუკა თუ ღია ბარათი,რომლებიც ათონის მთას და ამით მონასცერს"ივერიონსაც"ეხებოდა. მაღაზიაში კი კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ათონის მთაზე ბერები,რამდენადაც მე ეს განვიცადე, მხოლოდამხოლოდ ბერძნულ ენაზე ლაპარაკობენ,რაც მეცად მიშლიდა ხელს, ვინაიდან ბერძნული მე არ მესმის. მაღაზიაში მომუშავე ბერებს,როგორც იქნა, გავაგებინე, რომ მე ქართველი ვარ და მსურს "ივერიონის" მონასცრის ნახვა-დათვალიერება, რაზედაც მათ გახარებული მითხრეს, რომ - რამდენადაც გავიგე - "ივერიონის" მონასცერში მოდის 7-დი თუ 8-ა ქართველი სასულიერო პირი,რომელთა შორის ერთი ეპისკოპოზია და 27-დ აგვისცოს,ახალი სცილით, საღამოს დიდ წირვა-ლოცვას ჩაა-

ტარებენ "ივერიონის" მონასტრის "მთავარ ეკლესიაში"="კათოლიკონშიო". რა თქმა უნდა, ეს მეტად გამიხარდა, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი სწორად გავიგე მე ამ ბერების ნათქვამი თუ არა. XXXII.

შემდეგ კარიაში დავათვალიერე "კათოლიკონი", ე.ი. "მთავარი ეკლესია", ბიბლიოთეკა, რომელიც იქვემდებარე კოშკშია მოთავსებული, თვით მთავრობის სასახლის თაღოვანი შენობა, და შემოვიარე თითქმის მთელი კარია, რომელიც, როგორც ავღნიშნე, მეჩხრად დასახლებული სოფ-ფელ-დაბის შთაბეჭდილებას ტოვებს. ცენტრში, კი, სადაც მაღაზიები-მაღაზიებზეა მიდგმული და ჩვენებული "დუქნების" შთაბეჭდილებას ტოვებს, ერთ კუთხეში გამოჩნდა ერთი ორსართულიანი სახლ[illegible]რიგი, რომელზედაც ეწერა ლათინური ასოებით "პოტელი-სასტუმრო". რა თქმა უნდა, შევედი შიგ და ღარიბულად, უსტოლსაფროდ მორთულ სასადილოს რამდენიმე მაგიდათა ერთ კუთხეში, შევნიშნე ერთი შუახნის კაცი, რომელსაც, შევატყვე, გაუხარდა, რომ რესტორანში შევედი და მაშინვე დამიწყო ლაპარაკი ჯერ ესპანურად,— ალბათ, იფიქრა, მე ესპანელი ვიყავი,—და როცა პასუხი ვერ გავეცი, დამიწყო ლაპარაკი ფრანგულად, და ასე გავმართეთ საუბარი ჩვენს "მჭლე" ფრანგულ ენაზე. მან მომითხრო, რომ ესპანეთიდან ჩამოვიდა ათონის წმინდა მთის დასათვალიერებლად, მაგრამ რა?.. ვერსად ვერ ვნახე აქ ერთი ბერიც კი, რომელთანაც შემეძლებოდა ან ესპანურად ან ფრანგულად გასაუბრება, რის შედეგად ვერაფრის გაგება ვერ მოვახერხეო. ამასობაში ამ სასტუმრო-სასადილოს "პატრონმა"-ბერმა ამ ესპანელს მოუტანა ერთი ნაჭერი პური და პამიდორის სალათა, ნაჭერი ყველით; და ვინაიდან მეც არ შემეძლო ჩემი სურვილი მეთქვა ამ ბერისათვის, მეც ვანიშნე მიმიკურად, რომ ისეთივე საჭმელი მოეტანა ჩემთვისაც, რაც მალე მომიტანა და შევექეცით საჭმელს. ამ ესპანელთან საუბარისას გაირკვა, რომ ამ სასტუმროში გაუთევია ღამე, როგორც მან თქვა, "სპარტანულად", ვინაიდან კომფორტი ამ სასტუმროს საერთოდ არ გააჩნია, მხოლოდ ხის ლოგინი და ერთი საბანი, და რომ უკვე გადაწყვიტა დატოვოს ათონის მთა და გაბრუნდეს ესპანეთში, თუმცა მან ამ წმინდა მთის დათვალიერება ვერ მოახერხა ენის უცოდინარობის გამო. ჩემმა რჩევამ სასტუმროში კი

არა მონასტრებში გაათიოს ღამე და, შეიძლება, ბერი თუ არა ტურისტი-მლოცველი აღმოაჩინოს ესპანურ-ფრანგულის მცოდნე, მან,როგორც შევატყვე, ჭკუაში დაუჯდა. მე კი დროს დაკარგვა არ მინდოდა, მოვთხოვე ბერს ჩემი საჭმლის ანგარიში,მითხრა თითებით 25-ი დრახმა ღირსო. მე კი 50-ი დრახმა მივეცი და ვანიშნე,რომ ასე სწორია მეთქი. აქვე შევნიშნავ, რომ ათონის მთაზე მონასტრებში ღამის გათევა და სასმელ-საჭმელი უფასოა,მაგრამ სასურველია,რომ სტუმარმა-მლოცველმა ცოტაოდენი თანხა აჩუქოს-დაუტოვოს მონასტერს,თუმცა არაფრის მიცემის შემთხვევაში, მოპყრობა და მოვლა-პატრონობა ტურისტ-მლოცველისა მეტად თავაზიანი და უანგაროა. გადავიხადე რა ფული ათონის წმინდა მთის ამ ერთადერთ"ღარიბულ"სასტუმრო-რესტორანში, დავემშვიდობე ჩემს"იმდეგაცრუებულ" ესპანელს, ვუსურვე კარგი მოგზაურობა და გამოვედი "ჰოტელ-რესტორნიდან", გავედი კარიას "მთავარ მოედანზე",სადაც ავტობუსის დასადგომია, მივედი ერთი დიდი წაბლის ხის ქვეშ,ჩრდილში, და ამ მშვენიერ ადგილას,სიგრილეში გავშალე ჩემი წიგნები,ბროშურები თუ რუკები,რომლებიც კარიაშივე ვიყიდე, და რომლებშიც მოთხრობილია ათონის წმინდა მთისა და ცალკეული მონასტერბის წარსული და აწმყო. ამგვარი წიგნები,ბროშურები თუ ილუსტრირებული ალბომები გამოცემულია მეტად კარგად ოთხ ენაზე:ბერძნულად, ინგლისურად,ფრანგულად და გერმანულად,რომლის დროს,რა თქმა უნდა, ბერძნულიდანაა თარგმნილი ინგლისურ-ფრანგულ-გერმანული გამოცემები. გავშალე რა ყველა ეს მასალა ათონის მთის წარსულისა და აწმყოს შესახებ,

სანამ"ივერიონის" ქართულ მონასტერში გავუდგებოდი გზას, - ჯერ ამ მასალათა გაცნობა გადავწყვიტე; და აი გავეცნოთ,პატივცემულო მსნელებო, ამ მასალათა მნიშვნელოვან ადგილებს,რომლებიც უმთავრესად ეხება ათონის მთას - საერთოდ - და "ივერიონის" მონასტერს - კერძოდ. ვიმედოვნებ; ამგვარი ინფორმაცია ხელს შეგვიწყობს ჩვენი ქართული მონასტრის"ივერიონის" წარსულისა და აწმყოს გარკვევისათვისაც. [აქ გაგანობთ მთავარ ადგილებს შემდეგი წიგნებ-ბროშურებისაგან:

1.სოტირის კადას:ათონის მთა, ათენი, 1980 წელი.
2.თეოხარის პროვატაკის: მთა ათონი,თესალონიკი,1980(?).
3.კლ.გრიგორულის:ათონი, 1980(?).
4.ანასტასიოს ვასილიადის:ქალკედონი - ათონი, ათენი,1980(?).
5.და-ბოლოს კი გავეცნოთ ქართულ მასალებს ათონის მთის შესახებ.]

==========================

და აქ მხურს ჩავრთო ჩემი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე:

(ფ ი რ ი..................)

ლაპარაკობს დავით თაზორიძე კარიადან, ე.ი. ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქიდან.

დღეს არის, პატივცემულო მსმენელებო, 1981 წლის 23 აგვისტო, პატივცემულო მსმენელებო, თქვენ გესმით, ალბათ, მოტორის ხმა და ეს არის ტრაქტორი, რომელსაც ორი ბერი ამუშავებს და ეხლა უდგებიან გზას სამუშაოდ.

დღეს დილით, პატივცემულო მსმენელებო, შვიდ საათზე, გამოვედი ჩემს სასტუმროდან და ავედი ნავზე, რომელიც ურანოპოლისიდან მოდიოდა აქეთ, ათონის მთისაკენ, როგორც ავღნიშნე, პატივცემულო მსმენელებო, როდესაც მე ათონის მთაზე ვიყავი 15 წლის წინათ, მაშინ ერთად-ერთი ავტობუსი არსებობდა ათოსის მთაზე, რომელიც ნავსადგურ დაფნიდან ადიოდა მთავარ ქალაქ კარიეში. დღეს კი ამ მხრივ, ე.ი. 15 წლის შემდეგ, ათონის მთაზე მდგომარეობა იმდენათ შეცვლილია, რომ აქ უკვე არსებობს არა ერთი და ორი ავტობუსი, რომელიც მოძრაობს დაფნისა და კარიეს შორის, არამედ აგრეთვე საზარგო მანქანები და ტრაქტორები.

ამით იმის თქმა მსურს, რომ ათონის წმინდა მთაზე უკვე შემოიჭრა ტეხნიკა, თუმცა მაინც შეზღუდული ფორმით, ვინაიდან გზები აქ არ არსებობს და არც უნდათ გააკეთონ. ასფალტირებული გზები საერთოდ არ არის და დაფნიდან კარიეში მოსვლა-სულ რაღაც 10 კილომეტრი გზა-გრძელდება ნახევარი საათი.

მაგრამ ღრმთაგანმავლობაში ეს, ალბათ, შეიცვლება, ვინაიდან 15 წლის წინად ვერავინ ვერ იფიქრებდა, რომ აქ იქნებოდა რამდენიმე მანქანები და რამდენიმე მსუბუქი ჰანქანბიც, ტრაქტორებიც და სხვა მოწყობილობა; მაგრამ, როგორც ჩანს, ტეხნიკის შეჩერება საზღვრებს დღეს აღარ შეუძლია; მითუმეტეს, რომ აქ სოფლის მეურნეობა მთავარი წყაროა, ამ წმინდა მთის არსებობისა და, როგორც ხჩანს, ამ მუშაობაში დიდი საშუალება ტეხნიკის გამოყენება, პირველყოვლისა ტრაქტორებისა. ეხლა ჩვენს ირგვლის ჩაიარა საზარგო ავტომობილმა, რომელიც ეკუთვნის ათოსის მთას და გაემგზავრა მანქანა იმ მიმართულებით, საითაც მე უნდა წავიდე, ე.ი. იმ გზაზე, რომელიც მიემართება "ივერიოსის" მიმართულებით. კარიედან-ივერიოსამდე მე მივდივარ ფეხით, ვინაიდან ავტომობილი, ავტობუსი, რომლითაც შეიძლება იქ მისვლა, არის დღეში ერთხელ და ისიც დილით; მე ამ პირველ ავტობუსს ვერ მოვუსწარი; აქ ღამის გათევა არ მინდა, და ვცდილობ, დღესვე მივიდე ჩვენს "ივერიონის" მონასტერში.

(ფირის დასასრული....)

ახლა გაგაცნობთ ამონაწერებს,
სხვადასხვა წიგნებ-ბროშურებიდან ათონის მთის შესახებ:

Sotiris Kadas: DER BERG ATHOS,Athen 1980
========================================

სოტირის კადას: ა თ ო ნ ი ს მ თ ა. დასურათებული სახელმძღვანელო
==============================================================
მონასტრებისა: ისტორია და ძვირფასეულობანი, ათენი 1980 წელი.
==============================================================

შენიშვნა: ბერძენი არქეოლოგის სოტირის კადას ეს ნარკვევი, რომე-
========= ლიც ათონის მთაზე და თითქმის მთელ საბერძნეთში იყიდება,
განკუთვნილია ათონის მთის დამთვალიერებელ-მლოცველებისათვის, და გა-
მოცემულია ოთხ - ბერძნულ,ინგლისურ,ფრანგულ და გერმანულ ენებზე. მე
ვიყიდე ამ წიგნის გერმანული გამოცემა და ვთარგმნე,მეტ-ნაკლები, შე-
მოკლებით ის ადგილები,რომლებიც - ჩემის აზრით - საინტერესოა ჩვენი
რადიომსმენელებისათვის.ამ წიგნსა და სხვა უფრო მომცრო დასურათებულ
წიგნებ-ბროშურებში ჩვენთვის,ქართველებისათვის, განსაკუთრებით საინ-
ტერესოა თუ როგორ აღწერენ ბერძენი ავტორები"ივერიონის" რაობას.

მ ი თ ო ს ი დ ა ნ   ი ს ტ ო რ ი ა მ დ ე
========================================

ათონის მთა,"წმინდა მთა"= Hagion Oros მართლმადიდებლებისა, არის ქალკედონის ნახევარკუნძულებიდან ყველაზე უფრო აღმოსავლეთით მდებარე ნახევარკუნძული,რომელიც ეგეის ზღვის ლურჯ წყლებში იჭრება. ის არის დაახლოებით 60-ი კილომეტრი სიგრძის და 8-10-ი კილომეტრის სიგანის; მისი ფართობია დაახლოებით 360-ი კვადრატული კილომეტრი. ამ ნახევარკუნძულის დასაწყისის ზედაპირი ვაკეა რამდენიმე დაბალი გორაკებით. მაგრამ შემდეგ ის მაღლდება რიგ მწვერვალამდე,რომელთა სიმაღლე თანდათანობით მატულობს და ბოლოს გადადის ცაში აშოლტილ მოტიტვლებულსა და მაღალ მარმარილოს პირამიდა-ათოსზე,რომლის სიმაღლე ზღვის დონედან ორი-ათას მეტრზე მეტია.

ათონის მთის სახელწოდების და მისი უძველესი ისტორიის შესახებ არსებობს მრავალი ერთიმეორესაგან განსხვავებული ლეგენდები და გადმოცემები. ანტიკურ ეპოქაში ამ ვიწყო ნახევარკუნძულს ეწოდებოდა "აკტე"= Akte. "ათოს" - ეს სახელწოდება, უთუოთ, არის სახელი თრაკიული გიგანტისა,რომელმაც - ერთი გადმოცემით - უშველებელი ქვის მასივი ესროლა პოსეიდონს-უძველესი დროის შეტაკებების დროს გიგანტებსა და ღმერთებს შორის. მაგრამ არსებობს სხვა ლეგენდაც,რომლის თანახმად პოსეიდონმა ამხედრებული გიგანტი

სასტიკი და საშინელი ბრძოლების დროს, დაამარცხა და ამ უშველებელი კლდის ქვეშ დამარხა. სხვა ლეგენდის მიხედვით,რომელსაც გვაწვდის მრავალი ისტორიული წყარო, ალექსანდრე მაკედონელის ხუროთმოძღვარს - დეინოკრატესს სურდა მთელი ათოსის დამუშავება ისე, რომ მისთვის მიეცა ალექსანდრე მაკედონელის დამახასიათებელი გამოსახულება,რომელსაც ერთ ხელში ექნებოდა დაკავებული სახლმრავალი ქალაქი, ხოლო მეორე ხელიდან, ნაკურთწყლიანი მდინარე ჩაეშვებოდა ზღვაში. ალექსანდრე მაკედონელს უარყვია ეს წინადადება და გაუცია ბრძანება, რომ ათონის მთას ხელს ნუ ახლებენ, ვინაიდან მის მთამომავლებს არ სურს დაუტოვოს თვითმოყვარეობისა და განდიდების მეორე ძეგლი,როგორც ეს პირველად მოიმოქმედა სპარსეთის მეფე ქსერხესმა,რომელმაც ათონის ნახევარკუნძულის ყელში 481-თ წელს ქრისტეს დაბადების წინ იერისოს უბესა დასიგნიცის უბეს შორის გაიყვანა არხი,რომ მისი ხომალდები გაეყვანა შიგ და ამით თავი აერიდებია მძვინვარე ღზვისათვის ათონის ნახევარკუნძულის წვერთან აკროთოოისთან. ზოგიერთი ისტორიკოსი კი ეჭვს გამოთქვამენ, რომ ქსერხესმა საერთოდ გაიყვანა ამგვარი არხი; მათი აზრით ქსერხეს გაუცია მხოლოდ ბრძანება მათი ხომალდები ათონის მთის ვიწრო ყელთან გადაეთრიათ ერთი უბიდან მეორეში.

ათონის მთის ისტორია რჩება ბუნდოვანი მომავალ საუკუნეებშიც. წყაროები ლაპარაკობენ სხვადასხვა "პოლისმატა-ზე"= Polismata "პატარა ქალაქებზე",რომლებიც განლაგებული ყოფილა თაონზე,როგორც, მაგალითად, სანე, თისოს, კლეონე, დიონ, ოლოპიქსოს, აკროტოოი,აპოლონია, რომელთა განლაგების ადგილები ჯერ განსაზღვრული არ არის. ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ეს ქალაქები,მიუხედავათ იმისა რომ ძველ დროში აყვავებული იყო, მოგვიანებით უნდა განადგურებულიყო,როცა ამ მთაზე დაიწყო მისვლა ახალმა მცხოვრებლებმა: ბერებმა.

## ათონის წმინდა მთის ბერები:

ბერობა ნიშნავს იმას, რომ ადამიანი უარს ამბობს ამქვეყნიერ საგნებზე და თავს აფარებს მყუდრო ადგილებს სულის გადასარჩენად და ღმერ-

თთან დაკავშირებისათვის, რამდენადათ შეიძლება უფრო ახლოს.ქრისტიანო-
ბაში ბერობამ თავი იჩინა, მიუხედავათ იმისა რომ ამგვარი ცენდენციები
ადრეც არსებობდა, - პირველად 4-ე საუკუნის დასაწყისში, როგორც რეაქ-
ცია იმდროინდელ მორალურ გახრწნილობაზე. ქრისტიანული ბერობა განსა-
კუთრებით ჩამოყალიბდა ქრისტიანიზმის დევნის დროს პირველ სამ საუკუ-
ნეში, სახარების მოძღვრების, ებრაული ასკეტიზმისა და იმდროინდელი
ბერძნული ფილოსოფიის საფუძვლებზე. ამგვარ ბერთა ცხოვრების იდეალი
იყო უმანკოება, სიღატაკე და მორჩილება,რომელიც განუწყვეტელი ფიზი-
კური და სულიერი შეცადინეობით, აგრეთვე სრული მინდობით ღმერთზე
უნდა იქნას მიღწეული. XXXIII.

პირველი მონასტრული ცენტრები, რომლებშიც ბერობამ იჩინა თავი
და გადაცემულ იქნა მომდევნო თაობებზე, იმყოფებოდა ეგვიპტეში, სი-
რიისა და მცირე აზიაში; აგრეთვე მოგვიანებით პალესტინასა და კონსტან-
ტინოპოლში. ყველა ამათგან, რომლებიც დროთა განმავლობაში დაიშალა,
დღეს დარჩენილია მხოლოდ მცირე რიცხვი მონასტრებისა მცირერიცხოვანი
ბერებით; მაგრამ შემორჩენილია მონასტერთა ნანგრევები,რომლებიც
ნათელჰყოფენ მათი არსებობის ბრწყინვალებას. მხოლოდ ათონის მთაზეა
დღეს მონასტერთა დიდი ცენტრი შემორჩენილი,რომელიც შედარებით უფრო
ახალგაზრდაა,ვიდრე იყო მონასტერთა სხვა ცენტრები. მაგრამ ათონის
მთა იყო და არის აღმოსავლეთის მართლმადიდებლობის დიდი ცენტრი და
აღმოსავლეთის ქრისტიანიზმის ჯებირი.

ლეგენდის თანახმად, ღვთისმშობელი,იოანესთან ერთად,მიემგზავრე-
ბოდა ნავით კვიპროსზე ლაზარეს სანახავად; ათონის მთის შემოვლის
დროს,ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და ღვთისმშობელი ათონის მთაზე
გადავიდა ნაპირზე იქ,სადაც დღეს "ივერიონის" მონასტერია. აქ შეისვე-
ნა ღვთისმშობელმა ცოტა ხანს, და-აღტაცებაში მოიყვანა რა ათონის
მთის ბუნების სიმშვენიერემ, თხოვა მის შვილს (იესო ქრისტეს) აჩუქოს მას მთელი ეს
ათონის მთა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ მთის მცხოვრებლები "დასა-
წყისიდან ბოლომდე" წარმართები არიან. და ამ დროს გაისმა ხმა,რო-
მელმაც აუწყა:

"ეს ადგილი არის შენი საკუთრება, შენი ბაღი და სამოთხე, და, მას ზევით, გადასარჩენი ნავსადგური ყველა მათთვის, რომლებსაც სურთ გადარჩენ". ასე გახდა ათონის წმინდა მთა საკუთრება და ბაღი ღვთისმშობლისა.

როგორც შესაფერისი ადგილი ასკეტური(უმანკოებით) შეჯახებებისა, ათონის მთა ზე თავი მოიყარეს ბევრმა ბერმა, რომლებიც ბიზანტიის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებიდან მოდიოდნენ. ამიტომ ეწოდა მთელ ამ ნახევარკუნძულს "წმინდა მთა". რა თქმა უნდა, ასე უწოდა ამ ნახევარკუნძულს პირველად თვით ხალხმა. მაგრამ მე-11 საუკუნეში ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე II-ე მონომახოსმა "ოქროს სიგელის ბრძანებულებით"=Chrysobullოფიციალურად დადასტურებულ იქნა ეს სახელწოდება. ანალოგიური სახელწოდებებით აღინიშნებოდა აგრეთვე მონასტრული სხვა ცენტრები,როგორც,მაგალითად, სინას მთა ეგვიპტეში და ოლიმპიის მთა ბითიაში, სადაც არსებობდა მრავალი მონასტერი.

უცნობია დღესაც პირველი მონასტრული დასახლებების დრო ათონის მთაზე,ისევე როგორც მონასტრული ცხოვრების აყვავების ხანა ამ წმინდა ადგილზე. არსებული წყაროები ამ საკითხის შესახებ,განსაკუთრებით მე-9 საუკუნის შესახებ, არა მარტო მეტად მჭლეა,არამედ უმთავრესად ეყრდნობა სხვადასხვა ლეგენდებს. მეორე მხრივ, წმინდა მთის მცხოვრებლები, მონასტრების დაარსებას წმინდა მთაზე აწერენ კონსტანტინე დიდს(06-337). ხალხის გადმოცემითვე მონასტრები ათონის მთაზე დაუნგრევია ბიზანტიის კეისარ იულიან(იულიანუს)-(361-363),რომელსაც ქრისტიანები "აპოსტატა-ს"=Apostata, ე.ი."ჩამოშორებულ","ქრისტიანობის უარმყოფელს" უწოდებდნენ. კეისარს თეოდოსიუს დიდს(379-395) კეისარ -ქალს პულხერიას(დაიბადა 399-გარდაიცვალა 453) ისევ აუშენებიათ. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ შეგვიძლია განსაზღვრული დარწმუნებით ვთქვათ, რომ ათონის მთაზე უკვე მე-7 საუკუნეში ცხოვრობდნენ ბერები.

რაც შეეხება ბერობის გავრცელებასა და გაძლიერებას ათონის მთაზე, ამის ისტორიულ ფაქტებით შეიძლება მოყვანილ იქნას შემდეგი:

1.ათონის მთაზე უნდა მომხდარიყო იქ არსებული პატარა ქალაქებისა და დასახლებების დაცემა-გაპარტახება,რის შედეგად ეს ადგილი გაველურდა, რაც შესაფერისი ადგილი გახდა მიეზიდა ბევრი ბერი.
2.არაბების გამოჩენამ და   ეხპანსიურმა პოლიტიკამ რომის იმპერიის განსაკუთრებით აღმოსავლეთ ნაწილის(ბიზანტიის) მიმართ, ამ რეგიონში არსებული მრავალი მონასტრული ცენტრი დაარგრია და მრავალი ბერი იძულებული გახდნენ ახალი თავშესაფარი მოენახათ, რომ განეგრძოთ ასკეტური ცხოვრება.
3.კეისარისა და დედაქალაქ კონსტანტინოპოლის მცხოვრებთა საერთო უარყოფითი დამოკიდებულება ბერების ასკეტური ცხოვრების ყაიდისადმი.

როგორც ოფიციალური ცენტრი მონასტრული ცხოვრებისა, ათონის მთა შევიდა ისტორიაში მე-9 საუკუნეში. პირველად ათონის ბერები მონაწილეობას ღებულობენ ეკლესიის კონსტანტინეპოლის ადგილობრივ კრებაზე 843 წელს,რომელიც მოიწვიეს ბიზანტიის მცირეწლოვანმა კეისარმა მიქაელ მე-III(842-867) და დედამისმა თეოდორამ.

ამ ხანას ეკუთვნის წმინდა მთის ორი მნიშვნელოვანი პირი ბერი პეტროს ათონიტეს და ბერი იოთიმიოს თესალონიკელი. მიუხედავათ იმისა, რომ ეს ორი პიროვნება თითქმის თანამედროვეები იყვნენ, იცავდნენ განსხვავებულ ასკეტურ ტენდენციებს:
პირველი განდეგილობას; ხოლო
მეორე "ლავრიოტიზმს"=Lavriotismus, ე.ი."საზოგადოებრივ","ერთად" ცხოვრებას.
ასე დაიწყო თაონის მთაზე მონასტრული ცენტრის  შექმნა აღმოსავლეთისა და კონსტანტინოპოლის რეგიონში არსებული მონასტრების მსგავსად. და-ბოლოს კი,კეისარ ბასილ პირველის 885 წლის ბრძანებულებით, დადგენილ იქნა, რომ ათონის მთაზე ცხოვრების უფლება აქვთ მხოლოდ ასკეტებს, რითაც მწყემსები და სხვები გამორიცხულ იქნენ ეცხოვრათ "ღვთისმშობლის ბაღში".

უთუოდ, ათონის მთის მონასტრულმა ცხოვრებამ განვითარების ისეთივე სამსაფეხურიანი გზა განვლო, როგორც მის წინანდელმა სხვა მონასტრული

ცენტრების განვითარებამ: პირველი საფეხური, უთუოთ, იყო ბერთა ასკეტური(უმანკოებითი) ცხოვრების ყაიდა; მეორე საფეხური უთუოთ იყო თავისუფალი ერთობლივი, საზოგადოებრივი ცხოვრების ყაიდა; და ბოლოს, მესამე საფეხური, უთუოთ, იყო "კინოვიტიური", ე.ი. სასტიკად ორგანიზებული მონასტრული ერთობილივი ცხოვრების ყაიდა.

დასაწყისში ცალკეული ბერები, უთუოთ, დაბინავდნენ ათონის მთის ყელთან მცირე მთაგორიან ადგილებში, რომ განსაკუთრებით თავი აერიდებიათ თავდასხმებისათვის სარაცენთა პირატების მხრიდან. დროთა განმავლობაში, ეს ბერებია თანდათანობით დასახლდნენ ათონის მთის შუა, უფრო მიუვალ ადგილებში უამრავ მთებსა და ძნელად მისახვლელ ფერდობებზე, რომ უფრო თავი აერიდებიათ თავდასხმებისაგან. მომდევნო ხანში კი ასკეტები თავს იყრიდნენ ე.წ-ლ "ლავრებში" ჯგუფ-ჯგუფებად, რომლებიც განსაზღვრული წესით იყო ორგანიზებული. ბერთა ამგვარი ორგანიზაციიბიდან, ორია ცნობილი:

"ტუ კლემენტოს"=tou Klementos დღევანდელი "ივერიონის" მონასტრის ახლოს, და Kathedra ton Geronton = "კათედრა ტონ გერონტონ"=მოხუცთა სადგომი", რომელიც იმყოფებოდა სიგოს მაღლობზე.

"კინოვიტური" მესამე ფორმა გამოჩნდა აგრეთვე მე-9 საუკუნეში, რომლის პირველი წარმომადგენელია წინამძღვარი იოანესი მონასტერ "კოლობუ-ში"= Kolobou - დაბა იერისოს ახლოს; თვით ათონის წმინდა მთაზე დაიწყო ამგვარი ცხოვრების წესი, დაახლოებით ერთი საუკუნის შემდეგ, მონასტერ "მაგისტი ლავრა-ს"= Megisti Lavra დაარსებით ათანასეს მიერ.

"კათედრა ტონ გერონტონ"-ის ბერები თავს იყრიდნენ ცენტრში აშენებულ ეკლესიაში საერთო ღვთისმსახურებისათვის.

"სინაქსენში"=Synaxen - კი ერთობლივი ღვთისმსახურებისათვის თავს იყრიდნენ ცალკეული განდეგილთა უხუცესები ღვთისმსახურებისათვის. რეგულარულად ღვთისმსახურება ტარდებოდა აგრეთვე "კოიმესის"= Koimesis, ე.ი. ღვთისმშობლის მიძინების დღეს, 15-ტ აგვისტოს, ძველი სტილით, და შობას.

შემდეგ ათონის მთის ყველა ბერმა თუ მათ წარმომადგენლებმა "პროტოს"= Protos, ე.ი."პირველის" თავჯდომარეობით თავის მოიყარე ერთად, რომ ეწარმოებიათ მოლაპარაკებები საერთო საჭირბოროტო საკითხებზე.ბიზანტიის კეისარის რომანოზ I-ის 934 წლის ბრძანებულებაში "კათედრა" წოდებულია "მველად",რაც იმას ნიშნავს, რომ ის მანამდეც არსებობდა, უთუოთ,მე-9 საუკუნიდან. მე-10 საუკუნეში კი ათონის მთაზე დაარსებულ იქნა ახალი მონასტრები,რომლებშიც თავი მოიყარეს არსექტებმა, რის შედეგად "კათედრა ტონ გერონტონ-ის"="მოხუცთა სადგომების" ბერთა რაოდენობა შემცირდა,თანდათანობით დაიშალა და ბოლოს სრულიად გაქრა. ბერთა ცხოვრების ამგვარი განვითარების შედეგად, ათონის მთის"პროტოსი" იძულებული გახდა თავისი სადგომი ათონის წმინდა მთის შუაალაგას ე.წ-ლ "მესი-ში"Messi- გადაეტანა,რომელსაც შემდეგ ეწოდა "კარიას"=Karyes, რომელიც დღემდე დარჩა ათონის წმინდა მთის მთავარი ქალაქი.

"კინოვიტური" ბერობის გამოჩენილი დამაარსებელი ათონის წმინდა მთავზე არის წმინდა ათანასიოს ათონიტეს,რომელიც იყო მეგობარი და სულიერი მამა ბიზანტიის კეისარ ნიკეფოროს ფოკასის. ათანასე ათონელმა 963 წელს საფუძველი ჩაუყარა ათონის წმინდა მთაზე ყველაზე უძველეს "მაგისტი ლავრა-ს" მონასტერს,რომელიც დღესაც პირველი რანგის მონასტრად ითვლება ათონის მთაზე. ასე შეიცვალა ხის ნაგებობანი ქვის მყარი შენობებით, და ბერთა განდეგილი ცხოვრების ყაიდა შეცვალა ჯგუფურმა ცხოვრების ყაიდამ. რა თქმა უნდა, ოპოზიციასაც ჰქონდა ადგილი ათანასე ათონელის ამგვარი სიახლის წინააღმდეგ. მოწინააღმდეგეთა მეთაური გახდა ბერი პავლოს ქსეროპოტამენოსი,რომელიც იყო ბიზანტიელი კეთილშობილი გვარის ოჯახიდან,და რომელსაც"ასკეტიზმში" ესმოდა განდეგილი ცხოვრებისა და სრული განმარტოებული ყოფნის სასტიკი ფორმებით.ამიტომ იყო ის ქმედებითი ცხოვრების სასტიკი მტერი. ათანასე ათონელი იყო არა მხოლოდ დიდი მორალისა და უმანკო ადამიანი, არამედ გააჩნდა აგრეთვე ფართო გონებრივი ჰორიზონტი,ორგანიზატორული ნიჭი, და ბერთა განცალკავებული ცხოვრების გვერდით არ ივიწყებდა ბერების

დასაქმებასა და საერთო ცხოვრების ყაიდას. და ვინაიდან ეს ორი პირო-ვნება ათანასე ათონელი და პავლოს ქსეროპოცამენოს სრულიად განსხ-ვავებულ პოზიციებზე იდგნენ, გარდაუვალი გახდა შეჯახება. ამ დავამ მიიღო ისეთი მიმართულება, რომ ბერი პავლოს,მისი მომხრე ბერებით, გაემგზავრა ბიზანციის დედაქალაქ კონსცანცინოპოლში და ბიზანციის კეისართან იოანე ციმისკესთან უჩივლა ათანასე ათონელს, რომ ის ათო-ნის წმინდა მთაზე განებივრებული ცხოვრების ყაიდას ამკვიდრებს და ძველ წესსა და აგრეთვე ათონის მთის სიწმინდეს ანგრევს,ანადგურებს. ბიზანციის კეისარმა საქმის გამოსარკვევად ათონის წმინდა მთაზე გაგ-ზავნა ბერი ოითიმიოს სცუდიცეს. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფორმალობა,ვი-ნაიდან ათანასე კეისრის მეგობარი იყო და ყოველმხრივ მას მფარველობდა. და ბოლოს კეისარმა აღიარა ათონის წმინდა მთაზე დიდი მონასცერბის უფლებები ათანასე ათონელის შეხედულებების შესაბამისად. ეს ათანასე ათონელის წესების მიხედვით მიღებული გადაწყვეცილებანი არის ათონის წმინდა მთის პირველი "ციპიკონ"=Typikon- "მონასცერთა კონსციცუცია", რომელიც დათარიღებულია 971-972 წლებით, და დღემდე დარჩა ძირითადი კანონი,რომელიც აწესრიგებს ათონის წმინდა მთის საქმეებს.

ათანასე ათონელის ლიბერალურმა წარმოდგენამ ბერობის შესახებ, დიდი ინცერესი გამოიწვია ბერებში,რომლებიც მანამდე მივარდნილ ად-გილებში განდეგილად ცხოვრობდნენ. მათ შორის იყვნენ ქართველები, სომ-ხები და ლათინელები,რომლებმაც თავიანთი ნებასურვილით მონასცერი "თეოცოკუ ცონ ამალფინონ"=Theotokou ton Amalphinon მაგისცი ლავრას ჩრდილოეთით მორფონეს უბეში დაარსეს.[შენიშვნა: ეჭვს ბადებს ჩემში სომეხი ბერების ყოფნა თაონის მთაზე,ვინაიდან - როგორც ცნობილია - ათონის მთა იყო და დარჩა მართლმადიდებელი ბერების მოღვაწეობის ადგილი,ხოლო სომხები "გრეგორიანები"=მონოფიზიცებია და ვითომ მონოფიზიცი სომეხი ბერებიც იყვნენ ათონის წმინდა მთაზე?.. თუ ეს სომეხი ბერები,შეიძლება,მართლ-მადიდებელნი იყვნენ?..]. ეს მონასცერი,რომლის სახელწოდება სამხრეთ იცალიაში არსებული კონს-ცანცინოპოლური დასახლების სახელწოდებიდან -"ამალფი" - იყო წარმოშო-ბილი, გაპარცახდა იმის გამო, რომ მართლმადიდებელმა ბერებმა მცრული

დამოკიდებულების გზას დაადგნენ ლათინური(კათოლიკური) ბერების მიმართ. დღეს ამ მონასტრიდან შემორჩენილია მხოლოდ შესანიშნავი კოშკი,რომელიც ამშვენებს ათონის წმინდა მთის ზღვის ამ უბეს, და უკვე გადაქცეულია "ივერიონის" მონასტრის ნიშანსვეტად.

მე-10 საუკუნეში, გარდა მაგისტი ლავრას მონასტრისა, დაარსებულ იქნა კიდევ ორი დიდი მონასტერი -"ვატოპედი" Vatopedi და"ივერიონი"= Iviron. გარდა ამისა დაარსებულ იქნა აგრეთვე სხვა პატარა მონასტრე-ბი,როგორც,მაგალითად, "დოხიარიუ"=Dochiariou, "ფილოთეუ"= Philotteou, და "ქსენოფონტოს" Xenophotos და სხვებიც,რომლებიც დღეს მხოლოდ სახელწოდებებითაა ცნობილი XXXIV.

მე-11 საუკუნეში, იმის შემდეგ როცა ათონის წმინდა მთაზე "კი-ნოვიტური" ცხოვრების ყაიდა განმტკიცდა, - ჩამოყალიბებულ იქნა მრავალი მონასტერი, ხულ 180-მდეც კი, თუმცა მათი უმრავლესობა უფრო მოდიდო განდეგილთა დასახლებას წარმოადგენდა, ვიდრე მონასტრებს, დღევანდელი გაგებით. მაგრამ მე-11 საუკუნის დასასრულიდან, სახელდობრ კეისარ ალექსიოს პირველის კომნენოს ბატონობის დროს - მონასტერთა განსაზ-ღვრული აყვავება ათონის წიმნდა მთაზე ოდნავად წყდება იმ გაუთავე-ბელი თავდასხმების გამო,რომლებსაც აწარმოებდნენ პირატები ათონის წმინდა მთის მონასტრებზე,რომლის დროს ზოგიერთი მონასტერი დანგრეულიც კი იქნა. იმავე ხანაში ვალახთა მრავალი მწყემსი მოედვა ათონის მთას და ამით ხელს უშლიდენ მონასტერთა მყუდრო განვითარებას წმინდა მთაზე. ამ მოვლენამ გამოიწვია კეისარ ალექსიოს პირველის ბრძანებულება,რომლის თანახმად,სხვათა შორის, აკრძალულ იქნა დედრობითი სქესის ათონის მთაზე ასვლა და ცხოვრება.

მე-12 საუკუნეში ახალი მონასტრების დაარსება ათონის მთაზე კლებულობს,რის შედეგად განდეგილთა დასახლებები ღებულობენ მონასტრის სტატუსს. ბერძნებს გარდა, ათონის წმინდა მთაზე მიდიან სხვა ერების ბერებიც - ქართველები, ლათინელები, სერბები და რუსები,რომლებიც ყვე-ლა მართლმადიდებლური რწმენით იყვნენ შეკავშირებული. მომავალ მე-13

საუკუნეში,როცა მე-4 ჯვაროსნული ომის შედეგად გაბატონდა ლათინელები, 1204-1261 წლებში,-ათონის წმინდა მთა,ისევე როგორც ბიზანტიის მთელი იმპერია დიდ გასაჭირში იყო ფრანკთა თავდასხმების შედეგად. ლათინელების ბატონობის დროს ათონის წმინდა მთა დამორჩილებულ იქნა თესალონიკის სახელმწიფო გუბერნატორისადმი,რის შედეგად ათონის წმინდა მთის ბერები სასტიკი დაწოლის ქვეშ მოექცნენ,რომ ეცნოთ აღმოსავლეთის,ე.ი. მართლმადიდებელი და დასავლეთის,ე.ი.კათოლიკური ეკლესიების ერთობა. ამგვარი პოლიტიკა გაგრძელდა კეისარ მიხეილ მე-VIII-ის და პატრიარქ იოანე ბეკოს დროსაც,რომლებიც ამგვარი გაერთიანების მომხრენი იყვნენ. გადმოცემით, ამგვარმა იძულებითმა ცდამ-მოეხდინათ ათონის მთის ბერთა გალათინელება -ისეთი სასტიკი ფორმები მიიღო, რომ ბერები ათონის მთაზე სასტიკი დევნის ქვეშ მოექცნენ,მრავალი ნაგებობა დანგრეულ იქნა და პროტატონის წმინდა მამები კარიაში,ათონის მთავარ ქალაქში,აგრეთვე ვატოპედის, ზოგრაფუსა და სხვა მონასტრებში მოუკლავთ.

კეისარ მიხეილ VIII-ეს სიკვდილის შემდეგ კი ისევ დაიწყო აყვავება ათონის წმინდა მთის მონასტრებში, და უმთავრესად იმიტომ, რომ მიხეილ VIII-ეს შვილი და მემკვიდრე - ანდრონიკოს II-ე მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიის გაერთიანების მოწინააღმდეგე იყო. ერთადერთი შავი ლაქა ანდრონიკოს მე-II ბატონობის ხანისა არის ის, რომ კეისარის დაქირავებულმა კატალონიურმა ათასეულმა, მე-14 საუკუნის დასაწყისში, თავს დაესხა ათონის წმინდა მთასაც, გაანადგურა მთელი ეს ნახევარკუნძული,აწამა ბერები,დაწვა მონასტერი, და როცა ათონის მთა დატოვეს თან წაიღეს ათონის წმინდა მთის მონასტერთა დაუფასებელი ძვირფასეულობანი. ამის შედეგად თაონის მთაზე მონასტერთა რაოდენობა შემცირდა 25-მდე,რომელთაგან 19-ი დღემდეა შემორჩენილი.

კატალონიელთა მიერ ათონის წმინდა მთის მონასტერთა ამგვარი განადგურების შემდეგ,ისევ დაიწყო მონასტერთა შეკეთება,რაშიც დიდი დახმარება გაუწია კეისარ ანდრონიკოს მე-II-ეს გარდა,კონსტანტინოპოლის და ტრაპიზონის სხვა კეისრებმა. ამას გარდა, ამ დროში ხდება სერბიის ხალხის

აღმავლობა-აყვავება,რომლის თავადები დიდ საჩუქრებს უგზავნის ათონის მონასტრებს,განსაკუთრებით მონასტერ "ჩელანდარს"=Chelandar, სადაც მაშინაც და დღესაც სერბიელები მოღვაწეობენ. ამავე ხანაში ათონის მთაზე დაარსებულ იქნა მრავალი განდეგილთა დასახლება,როგორც მონასტერთა დაქვემდებარებული ერთეულნი, და მრავალი მათგანი,დროთა განმავლობაში, გახდა მონასტერი,რასაც მოყვა აგრეთვე მრავალ მონასტერთა გაერთიანებაც კი.

მე-15 საუკუნეში ათონის წმინდა მთაზე, მრავალი კატასტროფის შემდეგ, - დადგა მშვიდობიანი განვითარების ხანა. ათონის წმინდა მთის ბერები სასტიკად ილაქრებდნენ მართლმადიდებელი და კათოლიკური ეკლესიების გაერთიანების წინააღმდეგ. მაგრამ თურქების მიერ თესალონიკის 1430-თ წელს, ხოლო კონსტანტინოპოლის 1453-ც წელს დაპყრობის შემდეგ, ათონის წმინდა მთაც მოექცა თურქების ბატონობის ქვეშ. ათონის ბერებმა შეეცადეს კარგი დამოკიდებულება ჰქონოდათ სულთანებთან,რის შედეგად სულთან მურად II-ეს შესთავაზეს მორჩილება,როცა სულთანმა დაიპყრო თესალონიკი. სულთანმა აღიარა მონასტრების მფლობელობა ათონის მთაზე, რაც შემდეგ აგრეთვე სულთანმა მოჰამედ II-მაც ცნო, როცა მან კონსტანტინოპოლი დაიპყრო. ახე უზრუნველყოფილ იქნა ათონის დამოუკიდებლობა,რაც სულთანთა "ფირმაში" აღნუსხული იყო ახე:"მიწა, სადაც ღმერთის სახელი ქებადიდებით იხსენება დღე და ღამე, ღარიბებისა და უცხოელების თავშესაფარი".

ამ პერიოდში განსაზღვრული კეთილდღეობა სუფევს ათონის წმინდა მთაზე,რაც მე-16 საუკუნეშიც გრძელდება. ერთი ნიშანსვეტი ამგვარი კეთილდღეობისა არის სტავრონიკიტას=Stavronikita - მონასტრის დაარსება,რომლითაც მონასტერთა რიცხვმა ათონის მთაზე მიაღწია ოცამდე, რომლებიც დღესაც არსებობენ. ამ ხანაშიც, თვით სერბიის დაპყრობის შემდეგაც თურქების მიერ, მრავალი სერბი მიდის ათონის მთაზე,რასაც მოყვა ის, რომ ათონის წმინდა მთის "პროტოს" რამდენიმეჯერ იყო სერბი არჩეული.

მაგრამ მომდევნო ხანაში თურქების მიერ მონასტრების მიწების ჩამორთმევის შედეგად დიდ ეკონომიკურ კრიზისს ჰქონდა ადგილი ათონის მთაზზე. ამან კი გამოიწვია "იდიორითმული" ცხოვრების ყაიდის დამკვიდრება ათონის მთაზე, ჯერ რამდენიმე მონასტერში,ხოლო მე-18 საუკუნის დასაწყისში გახდა საერთო გაბატონებული ცხოვრების წესი ათონზე. შეიძლება ითქვას, რომ ათონის მთის ამ მძიმე პერიოდში,"იდიორითმული" ცხოვრების ყაიდა ერთადერთი გამოსავალი იყო. ამ ახალი წესით, მონასტრების ხელმძღვანელნი შეცვლილ იქნენ "კომისიებით",რომელშიც შედიოდა რამდენიმე წევრი. მაგალითად, ათონის მთავარი ქალაქის კარიას "პროტოს" შეცვლილ იქნა ოთხი"ეპისტატით". ამავე დროს ბერების რაოდენობა ათონის მთაზე მეტად მცირდება. ზოგიერთ მონასტერში სულ რამდენიმე ბერი ბერთა რჩება. ამავე ხანაში თავი იჩინა ათონის მთაზე "სკიტიოტურ" ცხოვრების ყაიდამ, პაწარ-პაწარა "სკიტებში",რომლებიც დღემდე არსებობენ ათონის მთაზე.

ათონის წმინდა მთის მფარველობასა და მზრუნველობას იჩენენ ამ მძიმე პერიოდში უნგრეთის, მოლდავიისა და ვალახის თავადები, მოგვიანებით რუსეთის მეფეები ისევე როგორც მრავალი პატრიარქი და საერთოდ ღრმად მორწმუნე ქრისტიანები. მათი სახელები სამართლიანად აღნუსხულია, უკვდავყოფილია მონასტრებში დამაარსებელთა და მზრუნველთა შორის,ვინაიდან მათ ათონის მწინდა მთის მონასტრებში მრავალი რესტავრაცია მოახდინეს თურქების მძიმე ბატონობის დროს. ამავე დროს ათონის მთის ბერებს ნება დართეს განსაზღვრული დროში ემოგზაურათ აღნიშნულ ქვეყნებში, მორწმუნეებისათვის სხვადასხვა ქრისტიანული რელიქვიები ეჩვენებინათ და ამ გზით შემოწირულება დაეგროვებინათ ათონის წმინდა მთის მონასტრებისათვის. ფინანსიური დახმარება და სხვა სახის საჩუქრები,რომლებსაც ეს ქვეყნები აძლევდნენ ათონის ბერებს, -სინამდვილეში იყო ანაზღაურება ათონის მთის ბერების სხვადასხვა სახის სამსახურისა,რომლებსაც განსაკუთრებით უწევდნენ მოლდავიისა და ვალახის თავადებსა და ხალხს როგორც მღვდლები,მასწავლებლები, მოქადაგეები და სხვა. ამგვარი დახმარება იყო აგრეთვე ნიშანი

მადლიერებისა, ათონის ქრისტიანული რელიქვიების და ხატების მიერ გამოწვეული სასწაულებისა,რასაც ამ ქვეყნებში ჰქონდა ადგილი.

ამ გზით კი ათონის მთის ბერები თავისებურ სამსახურს უწევდნენ თურქეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნებსა და ხალხებს. განსაკუთრებით ბერძნებისათვის ათონის მთა გახდა მე-17-მე-18 საუკუნეში სულიერი ცენტრი და მრავალი განათლებული პირი მისცა ბერძენ ერს – პატრიარქები, სასულიერო პირები, მასწავლებლები და მოქადაგეები. ასეთი პირები კი იმ დროს მეტად ესაჭიროებოდა ბერძენ ერს, რომ ეროვნული რწმენა აღორძინებულიყო. ამას კიდევ უფრო ხელი შეუწყო "ათონის აკადემიის" დაარსებამ და მოღვაწეობამ–მონასტერ ვატოპედისთან ახლოს,სადაც დიდი და გამოჩენილი პიროვნებები ასწავლიდნენ,როგორც,მაგალითად, ევგენიოს ვულგარის, ათანასიოს პარიოს, ეთოლიენი კოსმას და სხვები. მე-18 საუკუნის შუა ხანში კი ათონის წმინდა მთაზე ბერმა კოსმას ლავრიოტცისმა დაარსა სტამბა,საიდანაც დაბეჭდილმა წიგნებმა გზა გაიკაფეს არა მარტო ათონის მთაზე,არამედ მთელს საბერძნეთში. მაგრამ სტამბა თურქებმა დაანგრიეს.

როცა 1821 წელს დაიწყო ბერძენთა განმათავისუფლებელი ბრძოლები თურქების წინააღმდეგ, ათონის მთის საერთო აღმავლობა შეფერხდა. ათონის მთის ბერები,სხვადასხვა გზით,ჩაერიენ ბერძენი ხალხის ამ განმათავისუფლებელ ბრძოლებში. მრავალმა მათგანმა დატოვეს თავიანთი მოღვაწეობის კერები ათონის მთაზე;სადაც თურქეთის ჯარები ბატონობდნენ, ზოგიერთებმა ბერობის ტანსაცმელი გაიხადეს, ხელში ხმალი აიღეს და ჩაებნენ ეროვნულ განმათავისუფლებელ ბრძოლებში. ათი წლის შემდეგ, ბერები,რომლებიც ცოცხლები გადარჩნენ, ისევ დაბრუნდნენ ათონის მთაზე და ისევ დაიწყო ათონის მთის მონასტრების განახლება,აღმშენებლობა; და ასე აყვავდა და გაიფურჩქნა მონასტერული მოღვაწეობა ათონის მთაზე,რომელიც დღემდე განუწყვეტლად მიმდინარეობს, განსაკუთრებით იმის წყალობით, რომ საბერძნეთი 1831 წელს ისევ გახდა დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფო,რომლის მფარველობა ათონის წმინდა მთას არასოდეს არ მოკლებია.

გასულ მე-19 საუკუნეში მრავალი არაბერძენი ბერი დასახლდა ათონის მთაზე - ბულგარელები,რუმინელები და განსაკუთრებით რუსები, რომელთაც, - როგორც ბერძენი არქეოლოგი ხოცირის კადას წერს, - წამოაყენეს ათონის წმინდა მთის "ინცერნაციონალიზაციის" ტენდენცია, რასაც წარმატებით ვერ მიაღწიეს. "ახე გამოამჟღავნეს ათონის ბერებმა კიდევ ერთხელ მათი უპირატესობა უცხოეთის სხვადასხვა პროპაგანდისცული ცდების წინააღმდეგ, და ათონის წმინდა მთა დარჩა ერთი ნაჭერი ბერძნული მიწა, ისე როგორც - მიუხედავათ სხვა ერების ბერების ყოფნისა ათონის მთაზე - ყოველთვის იყო, ხადაც ბერძნული ენა და ბერძნული ელემენცი გაბაცონებული იყო და არის", - დასძენს ხოცირის კადას.

## ა თ ო ნ ი ს   მ თ ა   დ ღ ე ს

ათონის მწინდა მთაზე დღეს არსებობს 20-ი დასახლებული მონასტერი; ესენია - იერარქიული რიგით - შემდეგი:

1. მაგისცი ლავრა= Megisti Lavra
2. ვაცოპედი= Vatopedi
3. ივერიონი= Iviron
4. ჩელანდარი= Chelandar
5. დიონისიუ= Dionysiou
6. კუცლუმუსიუ= Koutloumousiou
7. პანტოკრატორის = Pantokratoros
8. ქსეროპოცამუ= Xeropotamou
9. ზოგრაფუ= Zographou
10. დოხიარიუ= Dochiariou
11. კარაკალუ= Karakalou
12. ფილოთეუ= Philotheou
13. სიმონო პეცრა= Simonopetra
14. აი პავლუ= Agiou Pavlou
15. სცავრონიკიცა= Stavronikita
16. ქსენოფონცოს= Xenophontos
17. გრიგორიუ= Grigoriou
18. ესფიმენუ= Esphigmenou
19. აი პანცელეიმონოს= Agiou Panteleimonos
20. კონსცამონიცუ= Konstamonitou.

მონასტერთა ეს რიცხვი მყარია და,ათონის მთის კონსტიტუციის თანახმად , მე-21 მონასტრის დაარსება ათონის მთაზე აკრძალულია. თუ ბერთა რაოდენობა თაონის მთაზე ისე გაიზრდება, რომ მონასტრებში ვერ დაეტევიან, მაშინ ისინი მოთავსებული უნდა იქნან მონასტრებიდან დამოკიდებულ ცალკე ა "სკიტებში",ე.ი.ცალკეულ თუ ჯგუფურ დასახლებებში.

მონასტრები ათონის მთაზე უფლებრივად არიან ავტონომიური, რის შედეგად ათონის მთის მთელი ტერიტორია გაყოფილია შესაბამისად ოც რაიონად. ამ მონასტრებს ეკუთვნიან აგრეთვე ყველა დასახლება,რომლებიც არსებობს ათონის მთაზე. მხოლოდ კარია,ათონის მთის მთავარი ქალაქი, წარმოადგენს გამონაკლის,სადაც ათონის წმინდა მთის ხელმძღვანელობა იმყოფება, და გააჩნია დამოუკიდებლობა.

მონასტრებს გააჩნიათ აგრეთვე თვითმართველობის უფლება,ე.ი.უშუალოდ არ ემორჩილებიან ეკლესიის სხვა მმართველობას, კონსტანტინეპოლის მსოფლიო საპატრიარქოს გარდა,რომელთაგან წმინდა ხულიერი დამოკიდებულება არსებობს. ათონის მთის ყველა მონასტერი იწოდება "კეისარული", "პატრიაქული" და "ჯვარის წყაროდან აღმოცენებული". "კეისარული"ეწოდება მათ,ვინაიდან მათი დაარსება ბიზანტიის კეისრის განკარგულებით მოხდა,ან კეისარის ბრძანებულებით."პატრიარქული" იწოდებიან ისინი, ვინაიდან ხულიერი კავშირი აქვთ კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქოსთან, და ბოლოს "ჯვარის წყაროდან აღმოცენებული"იწოდებიან ათონის მონასტრები იმიტომ, რომ პატრიარქი ან ეპისკოპოზი მონასტრის აგე-
წინ
ზის ჯვარით ლოცავდა ამ წმინდა მშენებლობის ფუნდამენტს-სარძიკვლებს.

ცხოვრების ყაიდის მიხედვით, ათონის წმინდა მთის მონასტრები იყოფა ორ კატეგორიად:

პირველი: "კინოვიტური" ცხოვრების ყაიდა ბერებისა გამოიხატება იმაში, რომ მათი მონასტერში საერთო ბინა გააჩნიათ, ერთად მუშაობენ,ერთად ლებულობენ სასმელ-საჭმელს და ერთად ლოცულობენ.

მეორე: "იდიორითმული" ცხოვრების ყაიდა ბერებისა გამოიხატება იმაში, რომ მათ,მართალია, ბინა და ლოცვა ერთად აქვთ,მაგრამ მუშაობასა და

სასმელ-საჭმელს, არსებითად,თვითონ ბერები აწერიგებენ თავიანთვის. არქიტექტურის მხრივ, ათონის წმინდა მთის ორივე კატეგორიის მონასტრები ერთნაირია,ვინაიდან ყველა დასაწყისში როგორც "კინოვიტური" მონასტრები იქნა დაარსებული და დიდი ხნის განმავლობაში როგორც ასეთები არსებობდნენ. ბერთა"იდიორითმული"ცხოვრების ყაიდა ათონის ზოგიერთ მონასტერში მოგვიანებით იქნა შემოღებული,რის შედეგად მოხდა მონასტერთა ამ ორი კატეგორიის დაშორება ერთმანეთისაგან, თუმცა ყოველწლიური დიდი დღესასწაულების დროს იდიორითმული მონასტრებიც კინოვიტური წესრიგით დღესასწაულობენ.

XXXV.

ათონის მთის ამ ორი კატეგორიის მონასტერბის სისტემებს უფლებრივად განვიხილავთ, მაშინ ნათელი ხდება, რომ "კინოვიტურ"მონასტერში კანონმდებლობითი ძალაუფლება გააჩნია "უხუცესთა საბჭოს"="გერონტია"= Gerontia, რომელიც ბერთა განსაზღვრული რიცხვისაგან შესდგება.აღმასრულებელი ძალაუფლება კი მონასტრის ხელმძღვანელის ხელშია,რომელიც მონასტრის ხულიერ მამად ითვლება; მას ირჩევს მონასტრის ყველა ბერი მთელი სიცოცხლის განმავლობაში. არჩევა კი შეიძლება ბერისა,რომელიც 6-ი სრული წლის განმავლობაში ცხოვრობდა მოცემულ მონასტერში. მონასტრის ხელმძღვანელს გვერდში უდგას კომისია, რომელიც ორი ან სამი ბერისაგან შესდგება და არჩეულია "უხუცესთა საბჭოს" მიერ ერთი წლის ვადით. "კინოვიტურ" მონასტერში ბერთა ცხოვრება მკაცრადაა ორგანიზებული; მარხვები სასტიკადაა დაცული; და ბერები რეგულარულად მუშაობენ სხვადასხვა სამუშაოებზე,ე.წ-ლ"დიაკონემატა"-ზე,რომელთაც მათ ანდობენ ყოველი წლის დასაწყისში. "კინოვიტური" მონასტრების ბერებს არ გააჩნიათ არავითარი საკუთარი, პირადი ქონება; მათ მოთხოვნილებებს კი აკმაყოფილებს მონასტერი.

"იდიორითმულ" მონასტრებში კანონმდებლობითი ძალაუფლება გააჩნია "წინამძღოლთა საბჭოს",რომელთა წევრები მთელი სიცოცხლის განმავლობა-
"წინამძღოლთა საბჭოს"
შია არჩეული. მონასტრის აღმასრულებელი ძალაუფლება კი არის ორი ან სამი წევრის ხელში,რომლებიც არჩეულია ერთი წლის ვადით. სხვადასხვა

სამუშაო, რომელთაც ბერები ასრულებენ, ნაწილდება კომისიის მიერ, მაგრამ ბერები დამატებით სხვა სამუშაოებსაც ასრულებენ, რომ მათ, მათი მწირე ანაზღაურება მონასტრის მხრიდან, ოდნავად გაზარდონ. ამგვარად, "იდიორითმულ" მონასტერში ყოველი ბერი თავის ცხოვრებას აწესრიგებს თვითონ, რა თქმა უნდა, იმ შეზღუდვების სფეროში, რომელიც დაკანონებულია ათონის წმინდა მთაზე მცხოვრებ ბერებისათვის.

დღესდღეობით ათონის წმინდა მთაზე არსებობს 13-ი "კინოვიცური" და 7-ი "იდიორითმული" მონასტერი. ეს უკანასკნელებია:

1. მაგისტი ლავრა,

2. ვატოპედი,

3. ივერიონი,

4. ჩელანდარი,

5. პანტოკრატორის,

6. ქსეროპოტამუ, და

7. დოხიარიუ.

ათონის წმინდა მთაზე დღესდღეობით არსებული კონსტიტუციის - ძირითადი კანონის - საფუძველზე, "იდიორითმულ" მონასტრებს შეუძლიათ გადავიდნენ "კინოვიცური" ცხოვრების წესზე თუ ბერებს ეს სურთ. მაგრამ "კინოვიცური" მონასტრების გადასვლა "იდიორითმული" მონასტრების წესებზე - აკრძალულია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ერთი მონასტრის ამგვარ გადასვლას ერთი წესიდან მეორეზე, უკანასკნელ ხანში ჰქონდა ადგილი, ხოლო მონასტერი "ჩელანდარი" გარდამავალ პერიოდშია და მოსალოდნელია, რომ მალე გადაიქცეს "კინოვიცურ" მონასტრად.

ათონის წმინდა მთაზე სხვა სახის [illegible] მონასტრული ერთეულებია, რომლებიც იმყოფებიან რომელიმე დიდი მონასტრის უფლებამოსილებაში. ესენია - ეგრედწოდებული "სკიტები" = Skiten = "ბერთა სოფლები",

"კელია" = Kellia = "უჯრედები", "[illegible]",

"კალივეს" = Kalyves = "კარავები",

"კათისმატა" = Kathismata = "სავრძლები", "[illegible]",

"ჰესიხასტერიები" = Hesychasterien = "მყუდრო ადგილები", "[illegible]".

"ხკიცები" ანუ "ბერთა ხოფლები": ათონის წმინდა მთაზე არის ხუთ 12-ი "ბერთა ხოფელი", რომელთა შორის განსხვავებაა, როგორც მონასტრებს შორის: არიან "კინოვიცური" და "იდიორითმული" "ხკიცები". მათში მცხოვრები ბერები დასაქმებული არიან ხოფლის მეურნეობით, ხატების მხატვრობით, ხის გამოჩუქურთმებით, მუსიკით და სხვა.

"კინოვიცური" "ბერთა ხოფლებია - "წინასწარმეტყველი ელიას", რომელიც რუსი ბერების ხელშია და ექვემდებარება პანტოკრატორის მონასტერს. "იოანე ნათლისმცემლის" "ბერთა ხოფელი" რუმინელი ბერებისაა და ექვემდებარება მაგისტი ლავრა-ს მონასტერს. "წმინდა ანდრეას" "ბერთა ხოფელი" რუსი ბერების ხელშია და ექვემდებარება ვატოპედის მონასტერს; ეს "ხკიტი" იწოდება აგრეთვე "სერაი". "ღვთისმშობლის" ე.ი. ბულგარულად "ვოგოროდიცა" ბულგარელ ბერთა ხელშია და ეკუთვნის პანტელეიმონის მონასტერს. ამ "ბერთა ხოფლების" უმრავლესობა გარედან მონასტრის შთაბეჭდილებას ტოვებენ, მათ ეზოში ცენტრალურად განლაგებული ეკლესიით, ე.წ-ლი "კირიაკონ-ით". "ხკიცებს" მართავენ "დიკაიოს" = Dikarios, ე.ი. "სამართლიანი", რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე დანიშნულია და "კინოვიცური" მონასტრის ხელმძღვანელის პოსტს შეესაბამება.

"იდიორითმული" ანუ "არხეტიპური" = Archetytisch "ბერთა ხოფლებია" ხუთ 8-ა, რომლებიც ყველა ბერძნული "ხკიცებია". მათაც ხელმძღვანელობს "დიკარიოს" =, ე.ი. "სამართლიანი", მაგრამმას ყოველი წლის 8-ა მაისს ირჩევს "უხუცესნი". "დიკაიოსს" გვერდში უდგას ორი ან ოთხი ბერისაგან შემდგარი საბჭო, რომლის ნახევარი ეკუთვნის მოცემულ "ბერთა ხოფელითან", ხოლო მეორე ნახევარი ამ "ხკიცზე" მაღლა მდგომ მონასტრიდანაა.
ვიდრე გააჩნ.

"კალივეს" ანუ "კარავები": უფრო მცირე ხიდილს ნაგებობანი,
"კელიას" = Kelliæ. ამგვარ "კარივეს" არ გააჩნიათ მიწა ხოფლის მეურნეობის წარმოებისათვის. აქ ბერები ცხოვრობენ ჯგუფ-ჯგუფებად, ისე როგორც "ხკიცებში" = "ბერთა ხოფლებში" და ამზადებენ ხელოვნებისა და ხელოსნობის ნაწარმს. მრავალი "ხკიცი" და "კარივეს" წააგავს მეკრულ დასახლებას, მაგრამ მათ ერთმანეთს შორის არ გააჩნიათ ურთიერთობა და არც საერთო ორგანიზაცია.

"სენაკები"

"კელია"= Kellia ე.ი. "უჯრედები": "კელიები" არიან ფართო მონასტრული ნაგებობანი, დაახლოებით როგორც გლეხთა დასახლება, რომელშიც აგებულია ეკლესიაც და გააჩნია საკმაოდ დიდი მამული, მათი ისტორიული განვითარების შესაბამისად. ამგვარ "კელიებს" მონასტერთა ჯგუფები აბარებენ სამ ან მეტ ბერს, რომლებიც უმთავრესად დასაქმებული არიან ხოფლის მეურნეობით და სხვა სამუშაოებით.

"კათისმატა"= ე.ი. "საჯდომები"("სადგომები"): ესენია მცირე ნაგებობანი, "კარავების" მსგავსად. ისინი განლაგებულია მონასტრებთან ახლოს და არიან მათ უფლებამოსილების ქვეშ. "კათისმატაში" ცხოვრობს მხოლოდ ერთი ბერი, რომელიც თავის სასმელ-საჭმელს მონასტრიდან ღებულობს და ამისათვის მცირე თანხას უხდის მას.

"ჰესიხასტერიები"= Hesychasterien, ე.ი. "მყუდრო ადგილები"("დასასვენებელი ადგილები"): "მყუდრო ადგილები" ანუ "ასკეტების სადგომი" განლაგებულია მიუვალ ადგილებში, განსაკუთრებით ათონის წმინდა მთის სამხრეთ ნაწილში და წარმოადგენენ მხოლოდ მცირე სიდიდის კარავებს ან რამდენიმე ამოჩენებულ გამოქვაბულებს, რაც არწივის ბუდეებს შეიძლება შეედაროს. ასეთ ადგილებში იმყოფებიან ბერები, რომლებიც სასტიკ ასკეტურ ცხოვრებას ეწევიან. ამგვარი "ჰესიხასტერიები" ერთმანეთისაგან დაშორებულია კლდეებითა და ხევით და მხოლოდ ვიწრო ბილიკით, კიბეებით ან ჯაჭვებითაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

## ა თ ო ნ ი ს   წ მ ი ნ დ ა   მ თ ი ს   მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა

ათონის წმინდა მთის მმართველობის(მთავრობის) სისტემა ეყრდნობა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, შვიდ "ტიპიკა-ს"=Typika ="მონასტერთა კონსტიტუციას"="ძირითად კანონს", რომლებიც ათონის მთაზე მონასტრების დაარსებიდან გასული საუკუნის დასაწყისამდე იქნა გამოცემული. ამ "შვიდ ტიპიკა-დან"უმთავრესია 971–972-ტ, 1046-ს, 1394-ტ და 1810-თ წლებში გამოცემული მონასტერთა ძირითადი კანონები. საბოლოოდ

ათონის წმინდა მთის მმართველობა წარმოებს 1924-ი წლის კონსტიტუციის საფუძველზე, რომელიც ორი წლის შემდეგ, 1926-ს წელს, დამტკიცებულ იქნა კანონის ძალით.

ამ კონსტიტუციის ძალით, ათონის მთის კანონმდებლობის ძალაუფლების ორგანოა "იერა სინაქსის"=Hiera Synaxis, ე.ი."წმინდა კრება",რომელიც ოცი წევრისაგან შესდგება, ესე-იგი ათონის ოცი მონასტრის წინამძღოლ ან ხელმძღვანელისაგან,რომელიც წელიწადში ორჯერ იყრის თავს ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქ კარიაში, რომ განსაზღვრული საკითხების გადაჭრას უყარონ კენჭი. განსაკუთრებულ შემთხვევებში ხდება "ორმაგი" კრების მოწვევა,რომელშიც მონაწილეობას ღებულობს ორმოცი ბერი.

ათონის წმინდა მთის მ თ ა ვ რ ო ბ ა "იერა კოინოტეს"= Hiera Koinotes, ე.ი."წმინდა ერთობა" -ოცი წარმომადგენელისაგან შესდგება,ე.ი.ყოველი მონასტრიდან ერთი წარმომადგენელი, რომელთა არჩევა ხდება ყოველი წლის 1-ლ იანვარს ერთი წლის ვადით. მთავრობის სადგომია ათონის მთავარი ქალაქი კარია. აღმასრულებელი ორგანო კი არის "იერა ეპისტაზიას"="წმინდა მეთვალყურეობის" ხელში, რომელიც ოთხი წევრისაგან შესდგება, შესაბამისად ათონის წმინდა მთის მონასტერთა ხუთი ჯგუფისა,რომელთაგან-იერარქიული რიგის თანახმად- პირველი მონასტრის წარმომადგენელი ასრულებს "იერა ეპისტაზიას"="წმინდა მეთვალყურეობის" ორგანოს თავჯდომარის მოვალეობას-და ეწოდება "პროტოს"= Protos = "პირველი" ან "პროტეპისტატის"= Protepistatis="პირველი მეთვალყურე". "პროტოს" არჩევის უფლება აქვთ ათონის წმინდა მთის ხუთ უმნიშვნელოვანეს მონასტერს; ესენია -

1.მაგისტი ლავრა, 4.ჩელანდარი და
2.ვატოპედი, 5.დიონისიუ, რის გამო
3.ივერიონი, ეს მონასტრები ერთ დამატებით წარმომადგენელს გზავნიან ათონის მთავარ ქალაქ კარიაში "პროტოს" თანამდებობისათვის. დანარჩენი სამი წევრი "წმინდა მეთვალყურეობისა" ამავე დროს არიან ""იერა კოინოტეს"="წმინდა ერთობიდან",ე.ი.მთავრობის ორგანოდან. "იერა ეპისტაზიას"="წმინდა მეთვალყურეობის" არჩევა

ხდება ყოველი წლის 1-ლ ივნისს და იმავე დღეს იწყებს ათონის მთის მმართველობას, ერთი წლის ვადით.

და ბოლოს მართლმსაჯულებითი ძალაუფლება ეკუთვნის სხვადასხვა უწყებებს, რომლებიც როგორც ათონის წმინდა მთაზე, ისევე მის გარეთ იმყოფება.

ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქ კარიაში იმყოფება აგრეთვე გუბერნატორი, რომელიც ემორჩილება საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ვალდებულია თვალყური ადევნოს ათონის წმინდა მთის კანონების ცხოვრებაში ზუსტად გატარებას. ათონის მთის საგუბერნატორო პასუხისმგებელია აგრეთვე საერთო უშიშროებისა და წესრიგისათვის ათონის მთაზე. გუბერნატორს გვერდში უდგას პატარა შტაბი მოხელეებისა, პოლიციელებისა და სხვა, რომლებიც ერთად არიან საბერძნეთის სახელმწიფოს სუვერენობის წარმომადგენლები ათონის მთაზე, რომელიც საბერძნეთის კონსტიტუციითა და ათონის წმინდა მთის აღნიშნული "ძირითადი კანონების" თანახმად, საბერძნეთის სახელმწიფოს ავტონომიურ ნაწილს წარმოადგენს.

## ბერების ცხოვრება ათონის მთაზე

ათონის წმინდა მთაზე დღე-ღამის 24-ი საათი იზომება ბიზანტიური დროით, რომელიც წელიწადის დროთა შესაბამისად იცვლება ისე, რომ მზის ჩასვლისას ნული საათია. მხოლოდ მონასტერი ივერიონია გამონაკლისი, ვინაიდან ის ნულ საათს მზის ამოსვლისას ანგარიშობს "ქალდეური სისტემის" შესაბამისად. დღე-ღამის 24-ი საათი მონასტრებში განაწილებულია სამ-ჯერ რვა საათად: რვა საათი ლოცვა, რვა საათი მუშაობა და რვა საათი დასვენება.

## ლ ო ც ვ ა

ბერთა ლოცვისას ერთმანეთისაგან ასხვავებენ საერთო-ერთად ლოცვასა და კერძო-პირად ლოცვას. საერთო-ერთად ლოცვა ტარდება ცენტრალურ ეკლესიაში ან სხვადასხვა სამლოცველოში.

ათონის წმინდა მთის ბერები განსაკუთრებით თავყანს სცემენ ღვთისმშობელს, რომელიც ათონის წმინდა მთის ერთადერთ დედოფლადაა აღიარებული.

## შ რ ო მ ა

ათონის მთის ბერები, რომელთა რიცხვი დღედღეობით დაახლოებით 1300-ია, ასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს, რომელთაც მათ მიუჩენენ მათი წინამძღვრები. მაგრამ მონასტრები სამუშაოებს აძლევენ არა-ბერებსაც, რომლებიც ათონის მთაზე ასრულებენ სხვადასხვა სახის სამუშაოებს.

აი რამდენიმე სამუშაოები, რომელთაც ასრულებენ ათონის მთის ბერები:

1. "პილოროს" ან "პორტარის"= Pyloros, Portaris, ე.ი. "მეჭიშკრე", რომელიც ცხოვრობს განსაკუთრებულ ოთახში მონასტრის მთავარ ჭიშკართან და ამოწმებს მონასტერში შემავალ მლოცველთა ნებართვებს და შეაქვს მისი სახელი და გვარი სპეციალურ სტუმართა წიგნში.
2. "არხონტარის"=Archontaris, ე.ი. "სტუმრის მიმღები" ზრუნავს მლოცველთა სასმელ-საჭმელისა და ღამის გასათევი ბინისათვის.
3. "კოდონოკრუსტის" ან "კამპანარის"= Kampanaris, Kodonokroustis, ე.ი. "მეზარე": მისი მოვალეობაა ხისინაჭერზე, რომელსაც "სიმანტრონ"=Simantron ეწოდება, დაარტყას(დარეკოს) და მლოცველებს წირვაზე დაუძახოს, ან რეკავს ზარებს ყოველსაათიანი ლოცვის ანდა ცალკეული საეკლესიო დღესასწაულებისათვის.

4."ეკლესიასტიკოს" ან "ეკლესიარხის"= Ekklesiastikos,Ekklesiaschis, ე.ი.ეკლესიის გამგეობა": მისი მოვალეობაა ეკლესიის მოწყობა ლოცვის ჩატარებისათვის.

5."ვიმატარის"=Vimataris ე.ი.ალტარის=სამლოცველოს მომწყობი,რომელიც იცავს წმინდა სალოცავ საგნებს ეკლესიისა და აწვდის მათ შესაბამის რელიგიური ლოცვისას წირვის ჩამტარებელს.

6."ტიპიკარის"=Typikaris, ე.ი."ცერემონიის"ჩამტარებელი,რომელიც ზრუნავს წესრიგისათვის ეკლესიაში და აძლევს მითითებებს მგალობლებს.

7."ანაგნოსტოს" ან "დიავასტის"= Anagnostis,Diavastis, ე.ი."წამკითხველი", რომელიც კითხულობს სახარებიდან წირვისა და საერთო სადილობა-ვახშმობის დროს.

Trapezaris
8."ტრაპეზარის"="სასადილოს გამწყობი": ის არის პასუხისმგებელი სასადილო მაგიდებისა და მათი გაწყობისათვის.

9."მაგირას"=Magiras, ე.ი."მზარეული",რომელიც მონასტრის სამზარეულოში ამზადებს საჭმელებს.

10."მანგიპას"=Mangipas, ე.ი."მეპურე",რომელიც მონასტრის ფურნეში აცხობს პურს.

11.დოხიარის"=Dochiaris, რომელიც განაგებს მონასტრის საწჩობებს.

12."ნოზოკომოს"=Nosokomos, ე.ი."ავადმყოფთა მოვლელი",რომელიც უვლის ავადმყოფ ბერებს საავადმყოფოში.

13."გეროკომოს"=Gerokomos, ე.ი."მოხუცთა მოვლელი",რომელიც უვლის მოხუცებულ ბერებს,რომელთა თავიანთითავის მოვლა არ შეუძლიათ; ჩვეულებისამებრ ახეთი მოხუცი ბერები იმყოფებიან საავადმყოფოში ან მასთან არსებულ მოხუცთა სახლში.

14."ვივლიოფილაქს" ანუ "ვივლიოთიკარიოს"=Vivliophylax,Vivliothikarios, ე.ი."ბიბლიოთეკარი", რომლის ხელშია ბიბლიოთეკის გასაღები და ის არის მისი პასუხისმგებელი.

15."სკევოფილაქს"= Skevophilax, ე.ი."ხელსაწყოს გამგებელი", რომლის ხელშია მონასტრის ძვირფასეულობანი, განძეულობა.

16."სინოდიკარის"=Synodikaris - პასუხისმგებელია იმ დარბაზისა, სადაც ტარდება მონასტრის ხელმძღვანელთა თათბირი.

17."პროსმონარიოს"=Prosmonarios - ემსახურება სასწაულმომქმედ ღვთისმშობლის ხატს, უვლის მას და იმ სამლოცველოს,სადაც ის მოთავსე-ბუჟია და ღებულობს მლოცველების შეწირულებებს.

18."ვორდონარის" ან "ხაცლარის"= ე.ი. "თავჟის გამგებელი": ის უვლის მონასტრის თავლასა და ცხოველებს.

19."არსანარის"=Arsanaris - "ნავსადგურის მეთვალყურე", რომელიც ცხოვრობს ნავსადგურთან ან მიდის იქ, რომ მონასტრის მოთხოვნილებანი და შეკვეთები გადასცეს მენავეს.

## კ ვ ე ბ ა

ათონის წმინდა მთაზე კვება საერთოდ არის მეცად უბრალო,ჩვეულებრივად პური,ზეთი, ღვინო, ზეთის ხილი,თხილი თუ ნიგოზი და ბოსტნეულობა. ხორ-ცი მეტად იშვიათია წმინდა მთაზე, ხოლო "კინოვიცურ" მონასტრებში იჯი საერთოდ არ არის. ასკეტები გამოქვაბულებში კი გამვლელებისაგან მოე-ლიან რაიმეს გაგზავნას ან დატოვებას,ჩვეულებრივად ნამცხვრებსა და ზეთის ხილს.

ათონის წმინდა მთის მონასტერში ფაქიზათ ინახავენ ძველ სტუმართმო-ყვარეობას ყოველი სტუმრის მიმართ. მრავალი მლოცველი და მუშა,განსა-კუთრებით ზაფხულის თვეებში, უფასოდ ათევენ ღამეს და ღებულობენ სას-მელ-საჭმელს ათონის მონასტრებში. სასტუმრო ოთახები ყოველთვის ღიაა, და ვინც მხოლოდ კი შეივლის მონასტერში, მას მიართმევენ ერთ ჭიქა წყალს, არაყს,რომელსაც "უზო"= Ouzo ეწოდება, ტკბილეულობასა და ყავას.

## XXXVI.

ათონის წმინდა მთის მთავარი ქალაქი კ ა რ ი ა = Karyes;

მონასტრულ დასახლებების გარდა, ათონის წმინდა მთაზე არსებობს ერთი პატარა ქალაქი - კარია = Karyes ,რომელიც ითვლება ათონის თეოკრა-

ტიული-ბერთა რესპუბლიკის დედაქალაქად. კარიას დაარსება დაემთხვა "კათედრა ტონ გერონტონის" დაშლას, როცა ათონის მთის "პროტოს" იმუდმივი გახდა "ციგოს" მაღლობიდან ათონის ნახევარკუნძულის ცენტრში ("მეხის" რაიონში) გადაეცანა. "პროტოსმა" აქ დაარსა ლავრა, რომელსაც მოგვიანებით "კარია" ეწოდა. თანდათანობით მოიპოვა კარიამ თავისი უფლებები, როგორც ათონის მთის მთავარი ქალაქისა, რაც ყველა მონასტრისაგან ცნობილ იქნა. თვით კარიას ნაგებობათა განლაგება კი ნათელჰყოფდა "იდიორითმული" "სკიტეს" ხასიათს.

"პროტოს" უწყება არსებობდა ჯერ კიდევ მე-6 საუკუნეში. პირველ "ტიპიკონში", ე.ი. ათონის მთის კონსტიტუციაში, რომელიც გამოცემულ იქნა კეისარ იოანე ციმისკეს მიერ 971-972 წლებში, აღნიშნულია "პროტოს" არჩევის წესი, და დახასიათებულია როგორც ათონის მთის უფროსი. სინამდვილეში კი მისი უფლებამოსილება იყო მხოლოდ საერთო ხასიათის; საკითხები, რომლებიც ყველა მონასტერს ეხებოდა, არ შეეძლო გადაეწყვიტა მას მონასტერთა ხელმძღვანელების კრების .აზრის მოსმენის გარეშე.

"პროტოს" არჩევა ხდებოდა მონასტერთა წინამძღოლების კრებაზე, რის შემდეგ "პროტოს" ყველა სხვა თანამდებობაზე უარი უნდა ეთქვა, რომ კარიას მმართველობა გადაებარებია, სადაც მისი მთელი ცხოვრების სამუდამო ადგილი იყო. მაგრამ "პროტოს" უფლებამოსილება მეტად შეკვეცილ იქნა მე-11 საუკუნეში მეორე "ტიპიკონის"=ათონის მთის კონსტიტუციის - საფუძველზე, რომელიც გამოსცა კეისარმა კონსტანტინე IX- მონომახოსმა 1046-ს წელს, როცა ბერთა რაოდენობა ათონის მთის სამ დიდ მონასტერში - მაგისტი ლავრა, ვატოპედი და ივირონი - მეტად გაიზარდა. "პროტოს" უფლებები შეზღუდულ იქნა ისე, რომ მას შეეძლო ცალკეული საკითხების გადაჭრა საბჭოს დახმარებით, რომელშიც შედიოდა ათი ან ხუთი ბერი.

მოგვიანებით, განსაკუთრებით კატალონიელი ათახეულის მიერ ათონის წმინდა მთის საშინელი დარბევის შემდეგ, მე-14 საუკუნის დასაწყისში "პროტოს" იყო ერთადერთი ავტორიტეტი, რომელსაც შეეძლო ათონის ბერთა რესპუბლიკის რეორგანიზაცია. კონსტანტინოპოლისპატ-

რიარქმა ნეპონმა ხხვადახხვა ხახის პრივილეგიები მიანიჭა ათონის მთის პროტოხს, რაც შემდეგ კეიხარმა ანდრონიკოს მე-II. დაადახტურა 1313-ი წლის ბრძანებულებით. მე-3-მე "ტიპიკონით"(ძირითადი კანონით) კი 1394-ც წელს იერისოს ეპისკოპოსის ზეგავლენა ათონის მთაზე შეზღუდულ იქნა,რითაც კიდევ უფრო გაძლიერდა "პროტოს"უფლებამოსილება.მომდევნო პერიოდში, განსაკუთრებით მე-16 საუკუნეში "პროტატონმა" დაკარგა თავისი ქონების დიდი ნაწილი და დარჩა მხოლოდ ნაგებობანი,რომლებიც ათონის მთის მონასტრების საერთო საკუთრება იყო. თვით "პროსტოს" თანამდებობაც იქნა გაუქმებული და მის ადგილზე დააყენეს ოთხი ეპისტატე- ბი, ე.ი."მეთვალყურეები". ამავე დროს გადიდებულ იქნა იერისოს ეპისკოპოსის უფლებამოსილება,რომელსაც ამიერიდან ეწოდებოდა -"იერისოს და წმინდაიმთის ეპისკოპოსი" და მონაწილეობას ღებულობდა ათონის მთი ს მონასტერთა წარმომადგენლების კრებაში, კარიაში.

რამდენიმე ხნის შემდეგ "პროტოს" თანამდებობა ისევ იქნა შემოღებული, რომელსაც გვერდში ედგა მონასტერთა ოთხი-ხუთმონასტრიანი ჯგუფი

დღეს კარიას თითქმის ყველა ნაგებობა ეკუთვნის 20-ც დიდ მონასტერს, რომლებიც გაყიდულ იქნა 1661-ს წელს ათონის მთის მთავარი ქალაქის კარიას დიდი ეკონომიკური კრიზისის დროს.

ათონის წმინდა მთის 19-ი მონასტრის წარმომადგენლობა მთავარ ქალაქ კარიაში; მე-20-ე მონასტერს - "კუტლუმუსიუს" მონასტერს კი ამგვარი წარმომადგენლობა არ გააჩნია კარიაში,ვინაიდან ეს მონასტერი იქვე ახლოსაა განლაგებული. კარიას "უჯრედებში" ცხოვრობენ ბერები და არაბერი მომუშავენი,რომლებიც არიან ვაჭრები,მუშები,მეურმეები, ჯორების მომვლელნი და სხვა. აქ ცხოვრობენ აგრეთვე საბერძნეთის სახელმწიფო მოხელეები. ათონის მთის წმინდა ერთობას კი ეკუთვნის შენობა,სადაცაა კანონმდებლობისა და აღმასრულებელი ორგანოს სადგომი; ამას გარდა რამდენიმე ნაგებობა და კარიას ეკლესია "პროტატონ".

ეს ეკლესია "პროტოს" საპატივცემლოთ"პროტატონ"- ათ ის არის. ა ღვთისმშობლის მარიახადმი მიძღვნილი,რომლის ოფიციალური

ღღესასწაულია 15-ი აგვისტო მეელი სტილით. ეს ეკლესია არის ყველაზე უფრო მველი "მთავარი ეკლესია",ე.ი."კათოლიკონ"= Katholikon - ათონის წმინდა მთაზე. ეს "კათოლიკონი" აშენებულ იქნა ჯერ კიდევ ათანასე ათონელის წინა პერიოდში,ალბათ, მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში. 1282-1328 წლებში ეს ეკლესია შეაკეთა კონსტანტინოპოლის კეისარმა ანდრონიკოს მე-II. პალეოლოგოსმა, და ასეთი ფორმის დარჩა ის დღემდე. არქიტექტორულად, კარიას "კათოლიკონი"="მთავარი ეკლესია" "სამნავიანი" ბაზილიკაა, ოთხკუთხოვანი სვეტებით და ამაღლებული შუანავით,რომელზედაც ფანჯრებია. ამ ეკლესიის სამლოცველოში დასვენებულია სასწაულმომქმედი ხატი ღვთისმშობლისა,რომელსაც ეწოდება "აქსიონ ესტი"=Axion Esti, ე.ი."ის არის ღირსი",რომელიც,გადმოცემით,შექმნილ იქნა მე-10 საუკუნეში.ამ ეკლესიის აღმოსავლეთით აშენებულია სამრეკლო,რომელიც აგებულ იქნა 1534-1535 წლებში და შემდეგ იქნა შეკეთებული.

"პროტატონის" ბიბლიოთეკა მოთავსებულია სტაბილურად აგებულ კომკში,რომელშიც მოთავსებულია 117-ი ხელნაწერები, მათგან 47-ი პერგამენტზე, აგრეთვე ნაბეჭდთა მნიშვნელოვანი ნაწილი. კარიას"პროტატონის" არქივში კი ინახება 1-ლი "ტიპიკონი"("ძირითადი კანონი") წმინდა მთისა,რომელსაც უწოდებენ "ტრაგოს"=Tragos, ე.ი."ვაცის ტყავი",ვინაიდან ის დაწერილია ვაცის ტყავზე.

ა თ ო ნ ი ს   წ მ ი ნ დ ა   მ თ ი ს   ო ც ი   მ ო ნ ა ს ტ ე რ ი

ათონის წმინდა მთის დღესდღეობით არსებული ყველა 20-ი მონასტრის აღწერა,პატივცემულო მსმენელებო, მეტად შორს წაგვიყვანდა. ამიტომ მოკლედ შევჩერდეთ ათონის წმინდა მთის იერარქიულად პირველ მონასტერზე - "მეგისტი ლავრა"-ზე,სადაც დასაწყისში,სანამ "ივერიონის" ქართული მონასტერი დაარსდებოდა, მოღვაწეობდა,სხვათა შორის, იოანე იბერიელი ანუ იოანე ათონელი.

## მონასტერი "მ ე გ ი ს ტ ი   ლ ა ვ რ ა"= Megisti Lavra

მონასტერი "მეგისტი ლავრა" არის პირველი და უდიდესი მონასტერი ათონის წმინდა მთაზე, და აგებულია ათონის მთის კლდის ზეგანზე, სადაც ათონის ნახევარკუნძული მთავრდება, ეშვება ზღვაში, და მრავალ მწვანე მაღლობებს შეიცავს. "ლავრა" დაახლოებით 20-ი წუთის ფეხით სავალი გზითაა დაშორებული ზღვის ნაპირისაგან, სადაც განლაგებულია ამ მონასტრის ნავსადგური.

"მეგისტი ლავრას" მონასტერი ნაკურთხია ათანასე ათონელის სახელზე, რომელიც აღინიშნება ყოველი წლის 5-თ ივლისს. ამ მონასტერს ძველი დოკუმენტებით გააჩნია სხვადასხვა სახის სახელწოდება, როგორც, მაგალითად,

"ლავრა ტონ მელანონ"=Lavra ton Melanon, ე.ი.""შავების ლავრა",
"ლავრა ტუ კირუ ათანასიუ"= Lavra tou Kyron Athanasiou, ე.ი."ათანასეს ლავრა",
"ლავრა ტუ აგიუ ათანასიუ"=Lavra tou Agiou Athanasiou, ე.ი."წმ.ათანასეს ლავრა",
"მეგისტი ლავრა"= Megisti Lavra, ე.ი."დიდი ლავრა", ახლა უბრალოდ "ლავრა", რაც "ხალხმრავალ მონასტერს" ნიშნავს.

"მეგისტი ლავრას" მონასტერი დაარსებულ იქნა 963-მ წელს ათანასე ათონელის მიერ, და იერარქიულად ითვლება პირველ მონასტრად ათონის წმინდა მთაზე. ამ უშველებელი მონასტრის სხვადასხვა ნაგებობებიდან, აღსანიშნავია "მთავარი ეკლესია", ე.ი."კათოლიკონ", რომელიც ერთერთი პირველთაგანი ეკლესიაა ათონის მთაზე. უნდა აღინიშნოს აგრეთვე "მეგისტი ლავრას" ბიბლიოთეკა, რომელიც ყველაზე უფრო მდიდარი ბიბლიოთეკაა / ათონის წმინდა მთაზე. ამ ბიბლიოთეკაში ინახება 2046-ი ხელნაწერი, რომელთაგან 470-ი პერგამენტზე, ხოლო 50-ი პერგამენტის დახატულ რგოლებზეა დაწერილი; "მეგისტი ლავრას" ბიბლიოთეკის სხვა განყოფილებაში ნოთავსებულია 10.000-სი(ათი-ათასი) ნაბეჭდი წიგნი, რომელთა შორისაა მეირფასი ძველთაძველი წიგნები.

"მეგისტი ლავრა" "იდიორითმული" მონასტერია, რომელიც ითვლის 376-ტ ბერს, რომელთაგან 56-ი თვით მონასტერში ცხოვრობს, ხოლო დანარჩენები სხვადასხვა "დამოკიდებულ" ნაგებობებში.

## მონასტერი "ვატოპედი"= Vatopedi

"ვატოპედიც" დიდი მონასტერია,იერარქიული რიგით მეორე ათონის წმინდა მთაზე. 972-ი წლის "1-ლ ტიპიკონში",ე.ი."მირითად კანონში" მოხსენებული არ არის "ვატოპედის" მონასტერი; 985-ი წლის ათონის მთის "პროტოს" თომას დოკუმენტზე კი ხელმოწერაა ვატოპედის წინამძღოლის ნიკოლოზის; ესე-იგი,ვარაუდობენ, რომ ვატოპედის მონასტერი დაარსდა 972-985-თ წლებს შუა.

ვატოპედის მონასტრის ბიბლიოთეკაც მეტად მდიდარია: მასში ინახება 1700-ზე მეტი ხელნაწერი და 10.000ზე მეტი წიგნი.

ვატოპედის მონასტერში დღესდღეობით ცხოვრობს დაახლოებით 60-ი ბერი,რომელთაგან ნაწილი ცხოვრობს სხვადასხვა "დამოკიდებულ" ნაგებობებში.

## მონასტერი "ივერიონი"= Iviron. ეს, ისე, [illegible] ამ ქართველთა მონასტრის შესახებ ბევრი ისტორიკოსის [illegible]:

"ივერიონის" რიგით მესამე მონასტერი განლაგებულია ათონის წმინდა მთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილზე,ზღვის პირას,მცირე უბეში,სადაც პატარა მდინარე უერთდება ზღვას. "ივერიონის" მონასტერი ღვთისმშობლის წილდობილია, რომლის დღესასწაული აღინიშნება ყოველი წლის 15-ც აგვისტოს ძველი სტილით. ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიადან, დაახლოებით ერთ-საათ-ნახევარში ფეხით შეიძლება მისვლა ივერიონში, რომელიც დაარსებულ იქნა მე-10 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, მონასტრების ლავრასა და ვატოპედის დაარსების მოკლე ხნის შემდეგ იმ ადგილას, სადაც ადრე "ლავრა ტუ კლემენტოს"=Lavra tou Klementos იდგა. "ივერიონის" მონასტრის დაარსებას აწერენ იოანე იბერიელს და იოანე თორნიკეს. მაგრამ, ალბათ,ესენი იყო ერთიდაიგივე პირი, თუმცა ქართული წყაროები მათ ერთმანეთისაგან ასხვავებენ. იოანე თორნიკე, იბერიის თავადის დავითის კარზე მდგომი, და ბიზანტიის კარზე დამსახურებული, წავიდა ბერად ათონის მთაზე,მიატოვა რა ყველაფერი საერო. პირველად ცხოვრობდა რომელდაც

მონასტერში მაკედონიაში, შემდეგ ოლიმპის მონასტერში და ბოლოს წავიდა ათონის მთაზე მეგისტის ლავრას ერთერთ მივარდნილ ადგილზე, სადაც მას შესაძლებლობა მიეცა გაეცნო ათანასე ათონელი, რომელსაც მან ნებართვა სთხოვა დარჩენილიყო მასთან ახლოს. იქვე მიიყვანა მან თავისი შვილი ექვთიმე და მისი ძმიშვილი გიორგი.

ბიზანტიის კეისარმა ბასილ II. მოუწოდა თორნიკეს, უკვე ბერად გამხდარს, დაბრუნებულიყო დედაქალაქ კონსტანტინოპოლში და სთხოვა მას დახმარება სხვადასხვა დიპლომატიურ და სამხედრო საქმეებში, განსაკუთრებით აჯანყებულ ბარდას სკლეროსის ჩახშობის საქმეში, რომელიც ბიზანტიის სახელმწიფოს წინააღმდეგ გაილაშქრა და ბიზანტიის ჯარი უკვე დაამარცხა. თორნიკემ დაეთანხმა კეისრის მოთხოვნას, მოისხნა ბერის ტანსაცმელი და დაუყონებლივ გაილაშქრა, თავად დავითთან ერთად, ბარდას სკლეროსის წინააღმდეგ და წარმატებით დაამთავრა ეს ბრძოლა. ამის შემდეგ თორნიკე ისევ დაბრუნდა ათონის მთაზე და კეისრის მდიდარი საჩუქრებითა და ომის აურაცხელი ნადავლით დაიწყო და ააშენა დღევანდელი მონასტერი, უფრო ზუსტად, გაადიდა "ლავრა ტუ კლემენტოს". ამ დიდი მშენებლობის წარმატებით დამთავრება თორნიკემ შესძლო კეისრის დიდი საჩუქრებითა და ომის ნადავლით.

XXXVII.

დღევანდელი მონასტერი დასაწყისში წოდებულ იქნა "ივერიონად"= Iviron, ე.ი. "იბერიულად", დამაარსებლის ქართული წარმოშობის მიხედვით და პირველი ბერების წარმოშობის შესაბამისად, რომლებიც იქ მივიდნენ. ეს სახელწოდება დღემდე შეინარჩუნა ამ მონასტერმა. მაგრამ კონსტანტინეპოლის პატრიარქის კალისტოს მე-II-ეს სიგელით ეს ქართველთა მიერ დაარსებული მონასტერი გადავიდა ბერძენთა ხელში, ვინაიდან ბერძენი ბერები რიცხვობრივად და გონებრივად ჯობდნენ ქართველ ბერებს.

Kallistos II.

რა თქმა უნდა, "ივერიონის" მონასტერიც ვერ გადაურჩა სხვადასხვა თავდასხმებს ათონის ნახევარკუნძულზე, რასაც მოყვა მძიმე შედეგები.

ასე, მაგალითად, დიდი ზარალი მიაყენეს ამ მონასტერს პირატებმა, კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიების გაერთიანების მომხრეებმა დასავლეთიდან და კატალონიელების საშინელმა ათასეულმა. მაგრამ დანგრეული მონასტერის ისევ წესრიგში მოყვანაში დიდი წვლილი შეიტანა ხერზიის პალეოლოგ-კეისარმა სტეფან დუშანმა და განსაკუთრებით ქართველმა თავადმა გორგორანმა და მისმა მემკვიდრეებმა.

"ივერიონის" მონასტერის ეს ახალი აყვავება გრძელდება მე-16 საუკუნის დასასრულამდე. მაგრამ ამ პერიოდში ადგილი ჰქონდა მძიმე ეკონომიკურ სიძნელეებს. გამოუვალ მდგომარეობიდან რომ თავი დაეღწიათ, "ივერიონის" ბერები წავიდნენ მათ სამშობლოში და მივიდნენ თავად ალექსანდრე VI-სთან, რომ მისთვის მონასტრის გასაღები გადაეცათ და ეთხოვათ მათთვის გაეწიათ ფინანსიური დახმარება. ამ მოქმედების შედეგი იყო ის, რომ - სხვა ქვეყნებშიც მათი მოგზაურობის შემდეგ - დიდი თანხა დაგროვდა, რომლითაც "ივერიონის" მონასტერმა არა მარტო გადაიხადა ვალი, არამედ შეძლო ნაგებობათა გაფართოებაც.

მე-17 საუკუნის შუახანში ქართველია ბერებიჯრუსეთის მეფის ალექსეის თხოვნით, წავიდნენ რუსეთში. მათ მიიტანეს როგორც საჩუქარი ერთი ხატი, პირი-ახლი ღვთისმშობლის ხატისა, რომელსაც ეწოდება "პორტაიტისა"=Portaitissa, ე.ი.მეჭიშკრე", რომლითაც განკურნებულ იქნა რუსეთის მეფის ქალიშვილი. ამის გამო მეფემ ღვთისმშობლის და ბერების სამადლიეროდ ,სხვა დახმარებათა გარდა, გადასცა ნიკოლოზის მონასტერი მოსკოვთან ახლოს.

"ივერიონის" მონასტრისადმი დიდ ინტერეს ამ ხანში იჩენდნენ აგრეთვე პატრიარქებიც, რომლებიც ყოველი შესაძლებელი საშუალებით ეხმარებოდენ ამ მონასტერს. მოკლე ხნით ცხოვრობდა ამ მონასტერში აგრეთვე ეროვნული წამებული, პატრიარქი გრიგორიოს V-ე. საბერძნეთის თავისუფლებისათვის ბრძოლების დროს, 1821-1830 წლებში, მონასტერი "ივერიონი" ჩავარდა ისევ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ "ივერიონმა" დიდი ხარჯები გაიღო ბერძენი ხალხის საერთო თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. ამას გარდა მონასტრის ერთი ნაწილი სასტიკად დაიწვა

ორი ხანძრის დროს 1845 წელსა და 1865 წელს. მაგრამ მონასტერი მაინც აშენებულ იქნა მისი მდიდარი ქონებისა და ქრისტიანების მრავალ შემოწირულებათა წყალობით.

"ივერიონის მონასტრის"მთავარი ეკლესია"=Katholikon ="კათოლიკონ":

ეს "ღვთისმშობლის" ეკლესია აგებულ იქნა მე-11 საუკუნის პირველ-ნახევარში ქართველი ბერის გიორგი ვარაშვაძის Varasvatse-ს მიერ,რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იყო "ივერიონის" მონასტრის წინამძღოლი. 1513-ც წელს ეს ეკლესია იქნა შეკეთებული. იგი დგას "ივერიონის" მონასტრის ეზოს დაახლოებით შუაში და არქიტექტურულად აგებულია ბიზანტიური სტილით. პირველი "მთავარი ეკლესიიდან",ე.ი."კათოლიკონიდან" დარჩენილია მხოლოდ მშვენიერი მარმარილოს იატაკი, სხვადასხვა სახის გეომეტრიული ნიმუშებით და ირგვლივ მოფენილი დიდი ასოებიანი წარწერით, შემდეგი შინაარსის:(თარგმნილია გერმანულიდან):

"მე დავახვე შენი ხელები მკვიდრად, და მარადიულად არ შეირყევიან. გრიგოლი, ბერი, იბერიელი და აშენებელი".

(შენიშვნა: ამ წიგნის ავტორი ხოტირის კადას "ივერიონის" მთავარი ეკლესიის აშენებლად ჯერ ასახელებს გიორგი ვარაშვაძეს,ხოლო იატაკის წარწერაში ლაპარაკია "გრიგოლზე"!).

"მთავარი ეკლესიის"="კათოლიკონის" კედლის მხატვრობა ეკუთვნის სხვადასხვა ეპოქებს, მე-16 საუკუნიდან მე-19 საუკუნამდე. ამ უკანასკნელ საუკუნეში ადგილი ჰქონდა აგრეთვე დახატულებზე ახალი სურათების ისევ დახატვას...

"ნაკურთი ჯა" არსებობს "ივერიონის მთავარი ეკლესიის წინ,რომელიც 1865-ი წლის ხანძრის შემდეგ განახლებულ იქნა.

"რეფექტორიუმი"= Refektorium, ე.ი."სასადილო დარბაზი" აგებულ იქნა არქიმანდრიტ ათანასე აკარნანიელის მიერ რომელიც 1848-ა წელს განახლებული და გადიდებულ იქნა.

"სამრეკლო" აგებულ იქნა აგრეთვე 1848 წელს.

"ივერიონის" მონასტრის მთავარი შესასვლელის(ჭიშკრის) პირდაპირ

უკან,დაახლოებით სამხრეთი მხრის შუაში, განლაგებულია 1725-თ წელს აგებული თავდაცვის კოშკი,რომელიც დღეს მეტად დაზიანებულია. მეორე მშვენიერი "კოშკი არსანას" ე.ი. ნავსადგურის კოშკი, ზღვის პირას, კი,რომელიც აგებულ იქნა 1626-ს წელს, კარგადაა შემონახული.

"ივერიონის" მონასტერში "მთავარ ეკლესიის" გარდა არსებობს აგრეთვე 16-ი სამლოცველო=კაპელა,რომელთაგან ორს გააჩნია მოხატული კედლები...ერთ ამ სამლოცველოში დასვენებულია წმინდანთა საგნები= "რელიქვიები" დაახლოებით 150-ი წმინდანისა, მათ შორის, ხელსაწყოები,რომლებიც გამოყენებული იყო ქრისტეს ჯვარცმის დროს და ერთი ნაჭერი წმინდა ჯვარცმის ხისა. ორი მნიშვნელოვანი სამლოცველო=კაპელა=ეკლესია აგებულია აგრეთვე "ივერიონის" მონასტრის ეზოში: ღვთისმშობლის "პორტაიტისა"="მეკიშკრის" და ნათლისმცემლის ეკლესიები. პირველში,რომელიც აგებულ იქნა 1680-ც წელს, დასვენებულია სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის "პორტაიტისას"="მეკიშკრის" ხატი. ეს ხატი მდიდრულადაა მოოქროებულ-მოვერცხლილი. გადმოცემით ღვთისმშობლის ეს ხატი ზღვის ტალღებმა მიიტანეს კონსტანტინოპოლიდან ათონის მთის "ივერიონის" მონასტრის ზღვის პატარა უბეში. ამ სამლოცველოს კედლების მხატვრობა დამთავრებულ იქნა 1683-მ წელს. "იკონოსტაზი" კი დამთავრებულ იქნა 1785-თ წელს. აღნიშნულ უნდა იქნას აგრეთვე, რომ 1774-ც წელს წმინდანთა გვერდით აქ დასაფლავებულ იქნენ ბერძენი ბრძენნი - სოლონი, სოფოკლეს, თუკიდიდეს, პლატონი, არისტოტელეს და პლუტარქი, აგრეთვე მეფეები ალექსანდრე მაკედონელი და დარეოსი.

მეორე სამლოცველო-კაპელა-ეკლესია - იოანე ნათლისმცემელისა - აგებულ იქნა 1710-თ წელს მონასტრის წინამძღოლ აგაპიოს მიერ და უკვე 1714-ც წელს იქნა მოხატული; მისი "იკონოსტაზი" არის საუკეთესო ნიმუში ხის გამოჩუქურთმებისა,რომელიც შექმნილ იქნა 1711-ც წელს.

"ივერიონის" მონასტრის უძლებამოსილების ქვეშაა აგრეთვე 11-ი "კათისმატა"=სადგომები, 13-ი "უჯრედები",რომლებიც განლაგებულია მთავარი ქალაქ კარიას მიმართულებით; სამი განლაგებულია მონასტერ ფილოთეუს მიმართულებით და ათი კარიაში და მის გარშემო,რომელ-

თაგან ერთერთია "ივერიონის" მონასტრის სადგომი კარიაში. ამას გარდა "ივერიონის" მონასტერს გააჩნია მამულები ათონის წმინდა მთის გარეთ, მაგალითად, სამოთრაკში და სხვაგან. "ივერიონის" მონასტერს ეკუთვნის აგრეთვე სკიტე იოანე ნათლისმცემელისა და სკიტე "იბერიის" სახელწოდებით, რომელიც დასავლეთით ნახევარი საათის ფეხით სასიარულო გზითაა დაშორებული. ესაა ბერძნული იდიორითმული სკიტე, რომელიც დაარსებულ იქნა 1730-თ წელს; მისი ეკლესია კი აგებულ იქნა 1779 წელს, ხოლო მოხატული 1799 წელს.

განსაკუთრებით მდიდარია "ივერიონის" მონასტრის "სკევოფილაკიონ"= Skevophylakion, ე.ი."საჭურჭლე-განძეულობა" ერთერთი ყველაზე უფრო მდიდარია ათონის წმინდა მთაზე, რაც მოთავსებულია - ბიბლიოთეკასთან ერთად - "ივერიონის" მონასტრის ეზოსი (შუაში), ერთსართულიან შენობაში. აქ თავმოყრილია დაუფასებელი ძვირფასეულობა - ოქრომქარგულობანი, საეკლესიო მოწყობილობა, ძვრები, თასები, მკერდის ჯვრები, გვირგვინები, კონსტანტინეპოლის პატრიარქის დიონისიოს მე-IV. სრული ტანსაცმელი, გრიგორიოს მე-V. მოსასხამი და სხვა მრავალი ძვირფასეულობა.

მდიდარი და კარგად მოწესრიგებულია აგრეთვე "ივერიონის" მონასტრის ბიბლიოთეკა: აქ ინახება 2000-ზე მეტი ხელნაწერი მეტად მრავალფეროვანი შინაარსით; აგრეთვე 15-ი ლიტურგიული ნაწერის დახვეული რგოლი. მათგან 123-ი დაწერილია პერგამენტზე; ამას ემატება კიდევ 100-ი პერგამენტი ქართულ ენაზე დაწერილი ხელნაწერებს გარდა, "ივერიონის" მონასტრის ბიბლიოთეკაშია აგრეთვე 15.000-ზე მეტი დაბეჭდილი წიგნი. ბიბლიოთეკაში ინახება აგრეთვე კეისრებისა და პატრიარქების მრავალი ძვირფასი სიგელ-დოკუმენტები, პირველ ყოვლისა ბიზანტიის კეისრის კონსტანტინე მე-VII.-ის, პორფიროგენეტოს(946-958), რომანოზ მე-II-ის(960), ბაზილეიოს მეII-ის(980) და სხვებისა.

"ივერიონის" მონასტერი, ათონის წმინდა მთის ოც მონასტერს შორის, იერარქიულად მესამე ადგილს იკავებს. ეს მონასტერი "იდიორითმულია" და დაარსებულ იქნა, როგორც უკვე ავღნიშნეთ, ქართველების მიერ და მასში ცხოვრობდნენ ბერები საქართველოდან. საქართველო მაშინ იყო მნიშვნე-

ლოვანი ხელიერი ცენტრი. უკანასკნელი ბერი საქართველოდან გარდაიცვალა 1955-ტ წელს. დღეს "ივერიონის" მონასტერში ითვლება სულ დაახლოებით 75-ი ბერი,რომლებიც თვით მონასტერსა და მასზე დამოკიდებულ ნაგებობებში - "სკიტებსა" და "უჯრედებში" ცხოვრობენ.

შენიშვნა: ამ წიგნში შემდეგ აღწერილია ათონის წმინდა მთის დანარჩენი 17-ი მონასტრის ისტორიული და დღევანდელი რაობა; [ესენია:

მონასტერი "ჩელანდარ", "დიონისიუ","კუტლუმუსიუ","პანტოკრატორის", "ქსეროპოტამუ","ზოგრაფუ","დოხიარიუ","კარაკალუ","ფილოთეუ","სიმონოპეტრა","აგიუ პავლუ","სტავრონიკიტა","ქსენოფონტის","გრიგორიუ", "ესფიგმენუ","აგიუ პანტელეიმონის","კონსტამონიტუ".]

## ხელოვნება ათონის მთაზე

ათონის წმინდა მთა მდიდარი განძეულობის საცავია ბიზანტიური ხელოვნებისა. ხელოვნების ყველა დარგია აქ წარმოდგენილი,რომელთაც ნამდვილი ბიზანტიური ხელოვნების ბეჭედი აქვს დასმული.

## ა რ ქ ი ტ ე ქ ტ უ რ ა

ათონის წმინდა მთის ყველა მონასტერი,[გარდა "კინოვიური" "სკიტებისა",] მათი გარეგნულად ციხე-სიმაგრული იერით, ქმნიან შეკრულ ერთობის შთაბეჭდილებას. ამ მონასტრების არქიტექტურაა ტიპიური ბიზანტიური მონასტრების [illegible] რომელიც შექმნილ იქნა ორიენტალური და ელენისტური ტრადიციების მიხედვით. განსაკუთრებით თავდაცვისა და ადგილობრივ პირობებთან შეთავსების მიზნით, ამგვარი მონასტრები უმთავრესად ოთხ-კუთხოვანია და მაღალი კედლებითაა შემოვლებული პატარპატარა კოშკებით; მონასტრის ეზოს ყველაზე უფრო მაღალ ან სუსტ ადგილას მაღალი კოშკია აღმართული,რომელიც სამეთვალყურეო ფუნქციას და ალყის შემორტყმის შემთხვევაში ბერთა თავშესაფარის ფუნქციას ასრულებდა. ამგვარი მაღალი

კოშკი ჩვეულებისამებრ ოთხ-სართულიანია,რომლის მაღლა სამლოცველოა. მონასტრის ჭიშკრის პასუხისმგებელია "მეჭიშკრე"="პილაროს"="პორტარის"= Portaris, Pylaros, რომელიც ყოველ დღე მზის ჩასვლის შემდეგ ჭიშკარს კეტავს, ხოლო მზის ამოსვლის შემდეგ აღებს. მონასტერს გააჩნია აგრეთვე მეორე პატარა ჭიშკარი="პარაპილიდა"="პარაპორტი"= Parapylida, Paraporti, რომელიც თითქმის ყოველთვის მთავარი ჭიშკარის მოპირდაპირე მხარეზეა კედელში აგებული.

მონასტრის ეზოში,შუა ალაგას აგებულია "მთავარი ეკლესია"= "კათოლიკონ"= Katholikon და მასთან ახლოს "ნაკურთხი ჭა" თუ "კურთხეული ჭა"="ფიალე"= Phiale - მონასტერს გააჩნია აგრეთვე "სასადილო დარბაზი"="რეფექტორიუმი"="ტრაპეზა" Refektorium Trapeza, მრავალი ეკლესია-სამლოცველო, ბიბლიოთეკა და სხვა ნაგებობანი.

## ხუროთმოძღვრება, ქანდაკება ათონის მთაზე

მხატვრობის საწინააღმდეგოდ, ქვისაგან შექმნილი ქანდაკებანი მეტად მიცრეა თონის წმინდა მთაზე; სხვათა შორის, ეს ეხება თვით ბიზანციის მთელ იმპერიასაც. ამიტომ ათონის მთაზე უფრო საქმე გვაქვს ხუროთმოძღვრებით-ქანდაკებებთან,როგორც,მაგალითად, სვეტები,ფასადები თუ სვეტთა თავები.

## მ ხ ა ტ ვ რ ო ბ ა და"მონუმენტალური"მხატვრობა

ათონის მთაზე მრავალი ეკლესია მოხატულია მაღალი ესთეტიკური გემოვნების ხატებ-სურათებით,რომლებიც ბიზანციური მხატვრობის ნიმუშებად შეიძლება ჩაითვალოს. მრავალი ხელოვანი მივიდა ბიზანციის იმპერიის დროს და შემდეგ ათონის მთაზე,რომლებმაც შექმნეს სხვადასხვა სტილის ხატებ-სურათები,რომლებითაც მოხატულია მრავალი ეკლესიის მთელი კედლები,რაც მონუმენტალურ შთაბეჭდილებას ქმნიან. უმეტესი კედლის მხატ-

ვრობა,რომელიც დღესაც შენახულია ათონის მთაზე, ეკუთვნის მე-12-ე საუკუნეს.

## "ტ რ ა გ ი კ ო ნ ე ნ"=Tragikonen ="ხეზე დახატული ხატები"

ათონის წმინდა მთაზე უამრავი ხეზე დახატული ხატებია,რომელთაც დიდი მხატვრული,ხოლო ათონის ბერებისათვის, დიდი სარწმუნოებრივ-სულიერი მნიშვნელობა აქვს. მეტად მდიდარი ხატების კოლექცია გააჩნიათ მონასტრებს -მეგისტი ლავრას, ვატოპედის, ივერიონს,ჩელანდარს, პანტოკრატორს, კუტლუმუხიუს, აიო პავლუსა და კარაკალუსს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი სასწაულმოქმედი ხატი,რომლებიც დასვენებულია ათონის წმინდა მთაზე; ესენია "სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი",რომელიც დასვენებულია მეგისტი ლავრას მონასტერში, და "იდერიის სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი" -"მეჭიშკრე",რომელიც დასვენებულია "ივერიონის" მონასტერში.

## ხელნაწერები და მინიატურები ათონის მთაზე

ათონის წმინდა მთაზე ინახება სულ 12.000-ზე მეტი ხელნაწერი,პერგამენტსა და სხვა ქაღალდზე დაწერილი. ამ მხრივ ათონის მთის ბიბლიოთეკები ყველაზე უფრო მდიდარია მთელს მსოფლიოში. მრავალი ხელნაწერი მოხატულია მინიატურებით,სურათებით, რომლის დროს ზოგჯერ თვით ასოებიც კი სურათების მთაბეჭდილებას ქმნიან."ივერიონის" მონასტერში კი,როგორც ავღნიშნეთ, ინახება ქართული ხელნაწერებიც, რომლებიც შესანიშნავადაა მოვლილი და კატალოგში აღნუსხული.

ათონის წმინდა მთის სულიერი ულიდესი მნიშვნელობის გვერდით, შეუძლებელია ათონის წმინდა მთის მატერიალურ სიმდიდრეთა,განსაკუთრებით ხელოვნების ნიმუშთა სრული აღწერა. "ამიტომ...- დასძენს ბერძენი არქეოლოგი სოტირის კადას - ყოველი მკვლევარისა და მლოცველის ან მშვენიერების მეგობრისათვის ღირს ესტუმროს ათონის წმინდა მთას და რამდენიმე ხანს დაჰყოს იქ მოშორებული ღღევანდელი მსოფლიოსაგან, მაღლა შეუდარებელ გეოგრაფიულ ადგილზე,რომელიც ერთდაიმავე დროს სულისა და ლოცვის კერაა".

==================================

XXXVIII.

თეოხარის პროვატაკის: მთა ათონი, თესალონიკი,1980(?)

Theocharis Prowatakis: BERG ATHOS, Thessaloniki

შენიშვნა:ხელთ მაქვს ათონის მთის დასურათებული წიგნი,რომლის ავტორია თეოხარის პროვოტაკის, და რომელშიც აღწერილია ათონის წმინდა მთის ისტორიული,კულტურული და დღევანდელი რაობა. ამ ილუსტრირებული წიგნიდან გაგაცნობთ მხოლოდ ამონაწერებს,რომლებშიც ასახულია ათონის წმინდა მთის და იქ მცხოვრები ბერების ისეთი მხარეები,რომლებიც განსხვავდებიან ჩემ მიერ გადმოცემული აზრებისაგან ათონის წმინდა მთის შესახებ."ივერიონის" მონასტრის შესახებ კი შეუმოკლებლად გაგაცნობთ ამ წიგნის, ე.ი.ამ წიგნის ავტორის შეხედულებას.

თეოხარის პროვატაკის დასურათებულ წიგნში ჯერ აღწერილია ათონის წმინდა მთის ისტორია,ნაგებობანი,ბერების ცხოვრება, მონასტრები და მათი ფორმები, ათონის მთის მმართველობის(მთავრობის) სისტემა, ათონის მთის ეროვნული მნიშვნელობა ბერძენი ხალხისათვის, და შემდეგ აღწერილია დაფნი - ათონის წმინდა მთის ნავსადგური, სადაც მიდის ყოველი მლოცველი,როცა სურს ათონის მთაზე ასვლა. აი ეს ტექსტი:

## დ ა ფ ნ ი

დაახლოებით ორი საათის საჭირო, რომ ურანოპოლისიდან,რომელიც ათონის წმინდა მთის ყელთანაა განლაგებული ნავით მისვიდეთ ათონის მთის ნავსადგურ დაფნიში. ამ ნავსადგურის სახელი დაფნისაგან წარმოსდგება,ვინაიდან მეტად ბევრი დაფნებია ათონის მთის ამ ადგილზე.

ამ პატარა ნავსადგურში მლოცველს ეგებება პოლიციისა და საბაჟოს წარმომადგენლები. აქვე დგას ერთი ავტობუსი,რომლითაც სტუმრები და ათონზე მცხოვრები ბერებიც დაფნიდან მიემგზავრებიან ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიასაკენ.

## დაფნიდან კარიამდე

კარია დაფნიდან დაშორებულია ავტობუსით ნახევარი საათის სავალი გზით; ფეხით კი საჭიროა დაახლოებით ორ-ნახევარი საათი. მგზავრი

დაფნიდან კარიამდე ცკვება თოვლით მოთეთრებული წვერით ათონის მთისა, მჭიდრო ცყიანი ხევებისა და გორაკების სიმშვენიერით, რაც განსაკუთრებით სიამოვნებისმომგვრელია კარიაში ფეხით  სვლის დროს...

როცა კარიაში გადასახვლელი მთის ხერხე გადადის მგზარი, მის თვალწინ იშლება - მარჯვნივ - ქსიროპოცამოს მონასტერი მასში მცხოვრები ბერებით და თვალუწვდენელი თხილის, დიდი ვაშლის ხეებისა და წაბლარის ბუჩქნარ-ხეთა ფერდობები...

...და შემდეგ შედიხარ ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქ კარიაში.

## კ ა რ ი ა

კარია არის ათონის წმინდა მთის მთავარი ქალაქი; ათასი წლის წინათ ამ ადგილს ეთქვა "მესი". ამ ქალაქის ცენტრში დგას ლამაზი შენობა, რომელშიც მოთავსებულია ათონის ოცი მონასტრის წარმომადგენელთა "წმინდა ერთობა" და აქვე ტარდება მათი თათბირები. იქვეა კარიას ეკლესია "პროცაცის", 19-ი მოდიდო სახლი,რომლებშიც იმყოფებიან ათონის მთის მონასტერთა წარმომადგენლები, მონასტერ კუცლუმუხიოს წარმომადგენლის გამოკლებით,ვინაიდან ეს მონასტერი კარიათან ხრულიად ახლოს მდებარეობს და ამიტომ მისი წარმომადგენელი თვით მონასტერში ცხოვრობს. კარიაშია აგრეთვე 82-ი "უჯრედი",რომლებშიც ცხოვრობენ უმთავრესად ბერძენი,მაგრამ აგრეთვე რუსი,ბულგარელი,სერბი და რუმინელი ბერები.

ათონის წმინდა მთის ცერიცორიაზე ყოფნისათვის აუცილებელია ამ მთაზე გაჩერების უფლების მიღება,რომელსაც იძლევა "წმინდა ერთობა" კარიას პოლიციის ნებართვის მიღების შემდეგ.

კარიაშია აგრეთვე რამდენიმე სავაჭრო,რომლებიც ყიდიან წიგნებსა და დასურათებულ ჟურნალებს ათონის წმინდა მთის შესახებ, ჯვრებს, ხატებს,სურათებს, ხისაგან გამოჩუქურთმებულ ნაწარმს და სხვა.

კარიაში მცხოვრები ბერები და ხელმძღვანელობა ესალმებიან ერთმანეთს "ქებადიდება უმღვენით მას!", რაზედაც პასუხია -"ღმერთს!"

ბაღნარი,რომელშიც ჩაფლულია კარია, შედგება უმთავრესად ათასწლოვანი წაბლის ხეებისაგან.

## წმინდანთა ხატების მხატვრები

ათონის წმინდა მთაზე,განსაკუთრებით მის მთავარ ქალაქ კარიაში მეტად გავრცელებულია წმინდანთა ხატების მხატვრობა,რომელთაგან ცნობილია "ათონიას" მხატვართა სტილი,სკოლა;"მაკედონიური" სტილი,სკოლა;"კრე-ტული" სტილი,სკოლა; და სხვა. 1963-ი წლიდან ქალაქ კარიას ცენტრში არსებობს ათონის წმინდა მთის მხატვართა მუდმივი გამოფენა, სადაც მნახველს შეუძლია ბევრი შესანიშნავი ნამუშევარის ნახვა-დათვალიერე-ბა.

## "ი ვ ე რ ი ო ნ ი ს" მ ო ნ ა ს ტ ე რ ი

დასურათებულ წიგნში-"მთა ათონი"- შემდეგ აღწერილია მოკლედ ათონის წმინდა მთის ყველა ოცი მონასტერი და სხვა მნიშვნელოვანი ნაგებობანი, რომელთაგან ახლა გაგაცნობთ სრულ ტექსტს "ივერიონის" მონასტრის შესახებ:

ცნობილი დიდი მონასტერი "ივერიონი" აგებულია წყაროსა და მშვიდ ადგილას ერთი ძველი ქალაქის ნანგრევებზე,რომელიც აქ ოდესღაც არსე-ბობდა. ათონის მთის მონასტერ სტავრონიკიტადან "ივერიონამდე" ერთი საათის ფეხით სავალი გზაა,ხოლო ნავს კი სჭირდება 15-ი წუთი.

პირველ შესანიშნავ შთაბეჭდილებას ტოვებს მნახველში ლამაზი"კიოსკი", ცივი წყლის წყარო და მონასტრის საუკეთესო შესასვლელი სვეტებით.

"ივერიონის" ეზოში შესვლისთანავე მნახველი ხედავს "მთავარ ეკლესიას"="კათოლიკონს" შუაში, სასწაულმომქმედი ღვთისმშობლის ხატის ეკლესიას მარცხნივ და ბიბლიოთეკას მარჯვნივ. აქვეა აგრეთვე სამლო-ცველო,სამრეკლო და კოშკი უკან.

გადმოცემით, იმ ადგილას,სადაც ახლა "ივერიონის" მონასტერია

განდაგებული, ზღვის საშინელი ღელვის გამო, ღვთისმშობელი მარია,
იოანეს თანხლებით,როცა ისინი კვიპროსზე მიდიოდენ ლაზარეს სანახა-
ვად, თავი შეაფარეს ათონის მთის ამ ადგილას. ამ ხანიდან ბერები
თაყვანს სცემენ ღვთისმშობელს როგორც ათონის წმინდა მთის პატრონს.
გადმოცემითვე, მესამე საუკუნეში ამავე ადგილას მოვიდა იერუსალიმის
მოსახლეობაში
ეპისკოპოსი კლინის=Klinis,რომ ქრისტიანიზმი ექადაგა ამ ნახევარკუნძულ-
ზე და დაეარსებია მონასტერი. მე-7 საუკუნეში პირატებს დაუნგრევიათ
ეს მონასტერი, და კეისარ კონსტანტინე-პოგონატოს აუშენებია იგი ისევ.
მე-10 საუკუნის დასასრულს(986 წელს) მივიდენ ათონის წმინდა მთაზე
ქართველი თავადი იოანე თორნიკიოს და მისი შვილი ექვთიმე,აგრეთვე
მისი ბიძაშვილი გიორგი. ისინი გახდნენ ბერები და დასახლდნენ მონას-
ტერ მეგისტი ლავრას ახლოს. ამ დროს კეისარ ვასილიოს ბულგაროკტონოს
წინააღმდეგ აჯანყდა გენერალი ვარდას სკლიროს. კეისარს ჭირდებოდა
საქართველოს თავადის დავითის დახმარება,რომელიც თორნიკესთან დამე-
გობრებული იყო. ბიზანტიის კეისარმა გაგზავნა წერილი ათონის მთაზე
და თხოვა დახმარება ბერებს. ბერი თორნიკე დაბრუნდა თავის სამშობ-
ლოში, დაითანხმა დავითი და 979-ტ წელს იბრძოლეს ორივემ როგორც გენე-
Pagalia
რლებმა აჯანყებულ ვარდას წინააღმდეგ, რომელიც "პაგალია-სთან"=
ბრძოლებში დაამარცხეს. ამ ბრძოლის შემდეგ თორნიკე დაბრუნდა ათონის
წმინდა მთაზე,სადაც მან მისი შვილთან ექვთიმესა და მის ძმისშვილთან
გიორგისთან და აგრეთვე იოანე ივირას=თან(Iwiras) ერთად მონასტერი
"ივერიონი" დაარსა,უთუოთ, მონასტერ "კლიმენტოს"=Klimentos,- შეხა-
სხვა.
ძლებელია პაწარა მონასტრების–გადიდების ბაზაზე. შემდეგ, კეისრის
თესალონიკის
ბრძანებულებით "ივერიონის" მონასტერს შეუერთდა "ლეონტიუ-ს=Leontiou-ს
იერისოს Kolowu-ს
მონასტერი და იოანუ კოლოვუს=Ioannu მონასტერი. და ბოლოს "ჩალ-
der Chaldin
დინის სავას"=Sawwas და "კასპაკოს"=Kaspakos მონასტრები.

კეისარ მიხეილ პალაიოლოგოსა და პატრიარქ იოანის ვეკოს დროს,
"ივერიონის" მონასტერშიც მოხდა ის,რასაც ადგილი ჰქონდა ვატოპედის
მონასტერში,ვინაიდან ბერებს არ სურდათ რწმენის შეცვლა,რასაც მათ-
გან ლათინელები(კათოლიკური ეკლესია) მოითხოვდა. ესენიც იქნენ მოკლუ-

ლული და გადაყარეს ზღვაში. რამდენიმე ხნის შემდეგ კატანოლიელთა ათახეულმა დაახრულეს "ივერიონის" მონასტრის რბევა-დანგრევა. 1357-ც წელს "ივერიონის" მონასტერი - კონსტანტინოპოლის პატრიარქის კალისტოს ბრძანებით - გადავიდა ბერძენი ბერების ხელში.

"ივერიონის" მონასტერი წარმოადგენდა "ერთობას", მაგრამ 1880-ი წლიდან გახდა ის საკუთრება. საუბედუროდ, 1865-ი წლის აპრილში "ივერიონის" მონასტერი დაიწვა, მაგრამ ბერებმა, მიუხედავათ დიდი სიძნელეებისა, მაინც ააშენეს ის. "ივერიონის" მონასტრის "მთავარი ეკლესია"="კათოლიკონ" აგებულ იქნა იბერიელი გიორგი ვარაშვაძის= Waraswatze-მიერ 1030-თ წელს, ხოლო ამ ეკლესიის კედლების მოხატვა შესრულებულ იქნა მე-16 საუკუნიდან მე-19 საუკუნამდე. ამ ეკლესიის მთავარ ნავში, წმინდანთა სახეებს შორის, დახატულია აგრეთვე სოფოკლეს, თუკიდიდეს, პლატონის, არისტოტელეს, პლუტარქისა და სხვების სურათები. საბერძნეთის განმათავისუფლებელი ბრძოლების დროს - 1821-1830 წლებში - "ივერიონის" მონასტერმა დიდი დახმარება გაუწია თავისუფლებისათვის მებრძოლებს. უკანასკნელი იბერიელი ბერი გარდაიცვალა 1955-ც წელს.

დღეს მონასტერ "ივერიონში" დროს იზომება ქალდეური სისტემის მიხედვით: დღე იწყება მზის ჩასვლით. ათონის წმინდა მთის სხვა მონასტერში კი იყენებენ დროს ბიზანტიურ სისტემის გაზომვას, რომლის თანახმად დღე იწყება მზის ამოსვლით. ამგვარად, როცა მზე ჩადის "ივერიონის" მონასტრისათვის მაშინ არის ნული საათი, ხოლო როცა მზე ამოდის მაშინ ათონის მთის ყველა დარანჩენი მონასტრისათვის არის ნული საათი... "ივერიონის" მონასტერში არის 17-ი პატარა ეკლესია-სამლოცველო.

"ივერიონის" ბიბლიოთეკაში, რომელსაც ცალკე შენობა გააჩნია, ინახება 200-სი ხელნაწერი და 13-ი-ათასი ბროშურა. "ივერიონის" მონასტრის წმინდა ლერიქვიებიდან აღსანიშნავია ღვთისმშობლის სასწაულმომქმედი ხატი "მეჭიშკრე", ვერცხლის ლამპა, პატრიარქ გრიგოლ მე-V-ეს მოსასხამი, კეისარ იოანის ციმისკის "ტომარა", ნაჭერი იესო ქრისტეს ჯვარცმის ჯვარის სისა, მრავალ წმინდანთა ნეშთი, ეკლესიის მოწყობი-

ლობა და სხვა მრავალი, რომლებიც მეტად კარგადაა მოვლილი და შენა-
ხული. "ივერიონის" მონასტრის უფლებამოსილებაშია 13-ი "უჯრედი", სენაკი, ე.ი. "ივერიონზე" დამოკიდებული ბერთა ერთობები.

"უჯრედა", სენაკი,

"სკიტე" ტიმიუ პროდრომუ ანუ "იბირიტიკი"=Ibiritiki, ე.ი. "იბერია":

"ივერიონის" მონასტრის დასავლეთით, ერთი საათით ფეხით სასიარულო გზით, 200-სი მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან, განლაგებულია ბერძნული "სკიტე" "პროდრომუ" ანუ "იბირიტიკი". ის არის საკუთრება და დაარსებულ იქნა 1779-ც წელს. ამ "სკიტეს" ბერები დასაქმებული არიან სოფლის მეურნეობაში, ხატავენ აგრეთვე წმინდანთა სახეებს და აჩუქურთმებენ სისაგან სხვადასხვა საგნებს.

XXXIX

თეოხარის პროვატაკის ამ დასურათებულ წიგნის "მთა ათონის" ბოლო ნაწილში ლაპარაკია "ათონის მისტიციზმზე", რომელშიც ვკითხულობთ:

## ბერი და სიმშვიდე

ათონის მთაზე ბერი ცხოვრობს წყნარად და მარტო, როცა ის ეკლესიაშია თუ მუშაობს. არავითარი ყვირილი, არავითარი ხმაურობა, არავითარი ხმამაღლა სიცილი. არსაიდან არ ისმის ცხვრის ფარის ზარის რეკვა ან მამლის ყივილი. ყველა ისვენებს სიწყნარის გარემოში...აქ პოვულობს ბერი სულიერ სიმშვიდეს და მის აზროვნებას განცდების გარეშე. სულერთია სად მიდის, სად დგას, საით აპყრობს მის მხედველობას - ყველგან ბატონობს უსასრულო სიმშვიდე. ადამიანს ჰგონია, როცა ფეხით მიდის ათონის მთაზე, ყოველ წუთს შეიძლება გამოჩნდეს წმინდანი, წმინდა ათანასე, ღვთის ანგელოზები თუ ღვთისმშობელი, რომელსაც ბერები განსაკუთრებით თაყვანს

სცემენ. ამავე დროს დახმარება მოდის თვით წმინდა ადგილიდან,სადაც სულიერი კავშირია გარე რეალობის სილამაზესა და სულის სილამაზეს შორის. შეიძლება აგრეთვე, რომ აქაური ბუნების სიმშვენიერე ამოსავალი წერტილია სულიერი სამყაროს დაპყრობისათვის. ამიტომაა, რომ მლოცველებს გარე-ბუნებრივი სიმშვენიერე და სიხარული ბუნებრივი ცხოვრებისა სრულიად იპყრობს და ნაბიჯს არ დგამენ წინ, რომ საიდუმლოებანი დაიპყრონ, და ნაბიჯს არ დგამენ წინ, რომ საიდუმლოებანი შეიცნონ,დაიპყრონ, და პოულობენ ჭეშმარიტებას მხოლოდ მარტოობაში. მლოცველები ტკბებიან მხოლოდ ბუნების სიმშვენიერით და ეს სიტკბოება არის მხოლოდ ცრუობა ჩაფიქრებისაკენ და არ ცდილობენ ბერების ცხოვრების ყაიდაში შეიჭრან. ამიტომ მლოცველები ბრუნდებიან ისევ ყოველდღიურ ცხოვრებაში ბერების ცხოვრების ყაიდის გაგების გარეშე.

## ლიტურგიული(მლოცველობითი) ცხოვრება ბერებისა

ლიტურგიული ცხოვრება აუცილებელია ყოველი ბერისათვის. წმინდა ლოცვა არის მოგონება, თვითგანწირვა, კავშირი....

## ბერების შთაგონების მიღების გზაი

ბერები წმინდა ლიტურგიის დროს ყალიბდებიან. ბერებისათვის წმინდანთა სახეები ნათელს ხდიან უჩინარობას და ადასტურებს დამსწრეობას, სინამდვილესა და აქტიურობას. წმინდანის სახე, ერთი ჯვარი ბერებისათვის არ არის უბრალო ნიშანი...,არამედ საგნობრივი შუაწერტილი,სადაც ქმედება ისვენებს, ღვთის ძალა,რომლის: ადამიანის საქმიანობასთან დაკავშირება ხდება...

## შინაგანი მონოლოგი ბერებისა

ბერი. ემორჩილება განუწყვეტლივ მის შინაგან ადამიანურობას ჩუმი

განაუზრებითი ვარჯიშობით,რომელიც მისტიკური დიალოგით ღმერთთან მთავრდება...

## საშუალება ბერის სიწმინდისა

ლოცვა, მარხვა, სიფხიზლე, ღარიბთა დახმარება და სხვა ქრისტიანული თვისება - ბერ ისიხიოს თქმით - წარმოადგენენ არა მარტო მიზანს მართლმადიდებლური ქრისტიანული ცხოვრებისა, არამედ ისინი არიან საჭირო საშუალებანი თუ ის იესო ქრისტეს სახელით სორციელდება...

## მოვლა ბერებისა

ბერის მოვლა კი არ არის ვარჯიშობის წერტილი ან შუასაფეხური, არამედ მდგომარეობა, რომელიც სამუდამოთ გრძელდება...

## ბერის ლოცვა

ბერი სიწყნარის სამყაროში ხედავს ღმერთს როგორც წარმომადგენელს უსასრულო სიყვარულისა და როგორც წამებულ[ს] წამებული სიკვდილისა ადამიანის მოდგმისათვის...

## ბერის დაკავშირება ღმერთთან

ღმერთთან დაკავშირება წამებაა,რომლის აღწერა შეუძლებელია...

ათონის მშვიდი სამყარო

მშვიდი,

ათონის მთის გარდაცვლილ ბერთა ძვალთა
მარადიული საფლავია ცალკეული მონასტერის თუ სხვა ნაგებობათა აკლდა-

მეზი,სადაც ერთადაა დასვენებული რიგითი ბერის, წინამძღოლის,პატრიარ-ქის თუ კეისარის ძვლები, რომელთა სული უკვდავყოფილია...

## ბერი და სიკვდილი

ათონის წმინდა მთაზე მცხოვრებ ბერს არ ეშინია სიკვდილის. მას სურს რაც შეიძლება ჩქარა მის მიზანდასახულობას მიაღწიოს...სიკვ-დილი, ბერთა რწმენით, ეხება სხეულს,ხოლო სული უკვდავია...

==========================

<u>შენიშვნა:</u> აი ზოგიერთი აზრები და ამონაწერები თეოხარის პროვაკაცის დასურათებულ წიგნიდან -"მთა ათონი",რომელიც გამოცემულია თესალო-ნიკში და უმთავრესად განკუთვნილია ათონის წმინდა მთის მნახველ-მლო-ცველებისათვის.

## კლ.გრიგორუდის:"ათონი", თესალონიკი,1980(!)

*Cl. Grigoroudis: ATHOS, Thessalonique*

შენიშვნა: ახლა გაგაცნობთ კლემენტ(?) გრიგორუდის დასურათებულ ყურნალს ~~ათონის~~ წმინდა მთის შესახებ, რომელიც გამოცემულია თესალონიკში და განკუთვნილია უმთავრესად ათონის წმინდა მთის დამთვალიერებლებ-მლოცველებისათვის. მე ხელთ მაქვს ამ გამოცემის ინგლისური თარგმანი. როგორც წინა საუბრებში ავღნიშნე, ათონის წმინდა მთის შესახებ წიგნები,ბროშურები თუ დასურათებული"აღწერილობანი გამოდის ოთხ - ბერძნულ,ინგლისურ,ფრანგულ და გერმანულ ენებზე; ტექსტი კი,გასაგებია, დაწერილია ბერძენი ავტორების მიერ და შემდეგ თარგმნილია აღნიშნულ ენებზე. ამგვარად, ჩემი ეს ქართული ტექსტი ნათარგმნის-ნათარგმნია,რომლის დროს, მეტ-ნაკლებად, არა მარტო შევამოკლე ამ წიგნ-ბროშურათა ესა თუ ის ნაწილი,არამედ ზოგიერთები მთლიანად გამოვტოვე კიდეც - იმ ვარაუდით, რომ ყველა ეს მასალა თქვენთვის, ძვირფასო მსმენელებო,ვფიქრობ, იმდენადაა საინტერესო,რამდენადაც ის პირდაპირ თუ არაპირდაპირ - "ივერიონის" მონასტრის რაობის გარკვევას უწყობს ხელს.

კლემენტ(?) გრიგორუდის ამ დასურათებულ გამოცემაშიც ჯერ აღწერილია ათონის წმინდა მთის ოცი მონასტრის რაობა,რომლის დროს - გასაგებია - აღწერს "ივერიონის" მონასტრის რაობასაც, სადაც ვკითხულობთ:

### "წმინდა მონასტერი იბირონ"

ეს მონასტერი დაარსებულ იქნა 980 წელს იოანე იბირონის მიერ. იბერიელთა დასუსტების შემდეგ, ამ მონასტერში გაბატონდა ბერძნული ენა კონსტანტინეპოლის პატრიარქის კალისტოს მიერ. ეს მონასტერი გახდა პირატების მსხვერპლი. მაგრამ მე-17-მე-18 საუკუნეებში "ივერიონი" ისე გამდიდრდა, რომ მან ფული ასესხა სხვა მონასტრებს. 1865-თ წელს."ივერიონის" მონასტერი დაიწვა, მაგრამ ისევ იქნა აშენებული.

ამ მონასტრის მთავარი დღესასწაულია ღვთისმშობლის მარიამის დღე, 15-ი აგვისტო ძველი სტილით. "ივერიონის" მთავარ შესასვლელ-ჭიშკართან მარჯვნივ პატარა ეკლესიაა. იქვეა მეორე პატარა ეკლესია,რომელშიც დასვენებულია სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი,ე.წ-ლი"მეჭიშკრე". "ივერიონის" მონასტრის ეზოშია აგრეთვე ბიბლიოთეკა, რომელშიც თავმოყრილია მე-7, მე-12 და მე-14 საუკუნეების ხელნაწერები. ამ მონასტერში გაერთიანებულია 13-ი ბერთა "უჯრედი",რომელთაგან 10-ი მდებარეობს ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქ კარიაში.

კლემენტ(?) გრიგორულის ამ ილუსტრირებულ კრებულში,რა თქმა უნდა, მოთავსებულია აგრეთვე "ივერიონის" მონასტრის შესანიშნავი ფოტოსურათები, თვით სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის, ე.წ-ლი"მეჭიშკრის" ხატის ჩათვლით.

## ანასტასიოს ვასილიადის:"ჰალკიდიკი - ათოს",ე.ი."ქალკედონი და ათონი", ათინა, 1980(?) წელი

## Anastasios Vassiliadis:"HALKiDiKi - Athos," Athen

მეოთხე დასურათებული წიგნი,რომელიც ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქ კარიაში ვიყიდე და რომელიც მიძღვნილია ათონის წმინდა მთის მონასტრებისადმი, ეკუთვნის ანასტასიოს ვასილიადის; წიგნის ტიტრია -"ჰალკიდიკი - ათოს",ე.ი."ქარკედონი და ათონის მთა", რომელშიც ათონის წმინდა მთის გვერდით, ლაპარაკია აგრეთვე ათონის ნახევარკუნძულის დასავლეთით მდებარე ორ ნახევარკუნძულებზედაც, რომელთა სახელწოდებაა "სითონია"= Sithonia და "კასანდრა"= Kassandra. მაგრამ,გასაგებია, ამ წიგნშიც არსებითად ლაპარაკია ათონის წმინდა მთის წარსულსა და აწმყოზე. ამ წიგნში,სხვათა შორის, ვკითხულობთ:

ათონი არის ჰალკედონის სამი  ნახევარკუნძულიდან აღმოსავლეთითმდებარე, რომლის სიგრძეა 50-ი კილომეტრი და იჭრება ეგეის ზღვაში. მისი ტერიტორიაა 332-ი კვადრატული კილომეტრი. მის სამხრეთ ნაწილშია მთა ათონი,რომლის სიმაღლეა 2033-ი მეტრი. ათონია[ს] ის მთა,სადაც არქიტექტორ დეინოკრატის სურდა ალექსანდრე მაკედონელის მეგლის გამოკვეთა, მაგრამ ალექსანდრე მაკედონელმა 332-ტ წელს ქრისტეს დაბადების წინ უპასუხა:

"ერთმა მეფემ(ის გულისხმობდა ქსერქსეს,რომელმაც 481-თ წელს ათონის მთის ყელში დიდი არხი გათხარა) - დიდი ზიანი მიაყენა ათონის

მთას, და მერე სრულიად არ ესაჭიროება,ეს მთა კიდევ უფრო დაან-გრიოს".

პირველი ქრისტიანები, გადმოცემით, ათონის მთაზე მივიდნენ მე-4 საუკუნეში, მაგრამ,ყოველშემთხვევაში, 500-ი წლის შემდეგ, ქრისტეს დაბადებიდან, ათონის მთაზე ცხოვრობდნენ ემერიტები.

963-მ წელს ბერმა ათანასე ათონელმა დაარსა პირველი მონასტერი ათონის მთაზე "მეგისტი ლავრა" ამ მთის სამხრეთ ნაწილში და შეეცადა ყველა ამ მთაზე მცხოვრები ერემიტი ერთად ცხოვრებისათვის გადაებირებია. მაგრამ წინააღმდეგობას ჰქონდა ადგილი ფანატიკოს-ემერიტების მიერ,რამაც აიძულა ბიზანტიის კეისარის იოანე ციმისკის გამოეცა "პირველი ტიპიკონი",ე.ი.ბერების ცხოვრების წესი მონასტერში 972-ტ წელს,რომელსაც ეწოდება "ტრაგოს",ვინაიდან ის ვაცის ტყავზეა დაწერილი. ამგვარ სამონასტრო ცხოვრება ისე წარმატებით წარიმართა, რომ მე-13 საუკუნის დასაწყისში ათონის წმინდა მთაზე იყო 300-ი პატარა და დიდი მონასტერი, რომლებიც ერთობლივად ცხოვრობდნენ 1204-ს წლამდე, როცა ლათინელებმა(კათოლიკებმა) დაესხნენ თავს ათონის მთას,რომელიც დაანგრიეს,გაძარცვეს,გარეკეს იქიდან ბერები და გაყიდეს როგორც ძონები. სამასამდე ბერი,რომლებიც ათონის მთაზე კიდევ დარჩა,იყვნენ მეტად ღარიბი,რომ თავიანთი თავი გამოეკვებად, რამაც გამოიწვია ის, რომ ისინი ათონის მაღალ მთებში ცხოვრობდნენ "იდიორითმული", ე.ი.ცხოვრების დამოუკიდებელი წესით.

თესალონიკი თურქებმა დაიპყრეს 1430-თ წელს, და უკვე მანამდე იცნეს ათონის მთის ბერებმა სულთანის ბატონობა და გადაუხადეს მას 130.000-ი ვერცხლის ფული როგორც გადასახადი და დარჩენ,ასე თუ ისე, დამოუკიდებელი სულთანისაგან. მიუხედავათ თურქების ბატონობისა, ათონის წმინდა მთაზე ვითარდებოდა ბერთა ცხოვრება. ამ ხანში დაარსდა პირველი სკოლა "ათონიას",რომელიც დღესაც არსებობს. მონასტერ მეგისტი ლავრაში დაარსდა პირველი სტამბა.

1912-ი წლის 2-რ ნოემბერს საბერძნეთის სამხედრო საზღვაო ფლოტმა

გაათავისუფლა ათონის წმინდა მთა თურქების ბატონობისაგან, რის შემდეგ შეეცადნენ რუსები ათონის მთა მოექციათ მათი ბატონობის ქვეშ. მაგრამ რუსეთის ამგვარი ცდა მარცხით დამთავრდა ლონდონის 1913-ი წლის, ბუქარესტის 1913-ი წლისა და ნოის(საფრანგეთი) 1919-ი წლის ხელშეკრულებების საფუძველზე, რომელთა თანახმად, ათონის წმინდა მთა "საბერძნეთის სახელმწიფოს თვითმართველობითი ნაწილი" გახდა. XXXX.

დღესდღეობით ათონის მთაზეა 20-ი მონასტერი,12-ი "სკიტე" და დაახლოებით 700-ი სხვა შენობა. 20-ც მონასტრიდან 17-ია ბერძნული, ერთი რუსული, ერთი სერბიული და ერთი ბულგარული. ბერების რაოდენობა ათონის მთაზე 1976-ც წელს იყო 1588, რომელთაგან 1329-ა იყო ბერძენი ბერი,114-ი რუმინელი, 90-ი რუსი, 30-ი სერბიელი, 25-ი ბულგარელი ბერი. 1978-ც წლამდე ათონის მთას მიემატა დაახლოებით 200-ი ბერძენი ბერი და 25-ი რუსი ბერი.

1046-ს წელს ბიზანტიის კეისარმა კონსტანტინე IX. მონომახოსმა მოაწერა ხელი "მეორე ტიპიკონს" - ძირითად კანონს -,რომელიც ცნობილია "ავატონის" სახელწოდებით, რომლის ძალით ქალებს აეკრძალათ ათონის მთაზე მისვლა.

ათონის მწინდა მთის ყველა მონასტერს ძველი კალენდარი გააჩნიათ, რომელიც,ახალ კალენდართან შედარებით, 13-ი დღით გვიანება, ათონის მთაზე აგრეთვე სხვა საათია ძალაში: 19-ც მონასტერში დღე იწყება მზის ჩასვლით, ,როცა არის "ნული საათი". მეოცე- ივერიონის - მონასტერში კი დღე იწყება მზის ამოსვლით.

## მ თ ა ვ რ ო ბ ა:"წმინდა ერთობა"

1810-ი წლიდან ათონის წმინდა მთაზე არსებობს "წმინდა ერთობა", რომელშიც შედის ათონის მთის 20-ი მონასტრის 20-ი წარმომადგენელი, რომელსაც ყოველი მონასტერი ირჩევს ყოველი წლის პირველ იანვარს და გზავნის ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიაში. ეს 20-ი მონასტრის 20-ი წარმომადგენელი თათბირობენ ყოველ კვირაში სამჯერ:ორშაბათს,ოთხშაბათს და პარასკევს, მარხვის დროს კი ორშაბათს,სამშაბათს და ხუთშაბათს,

ან,თუ საჭიროა, ყოველ სხვა დღეს. "წმინდა ერთობა" შეიძლება იწოდოს ათონის მთის მთავრობად.

## "წმინდა ე პ ი ს ტ ა ს ი ა"

"წმინდა ეპისტასია",ე.ი."უმაღლესი მეთვალყურეობა" არის მმართველობისა და აღმასრულებელი ორგანო,რომელსაც აგრეთვე ეკისრება ბაზრის კონტრო-

"წმინდა ეპისტასია" შედგება ოთხი "ეპისტატეს"="მეთვალყურისაგან", რომლებიც ყოველი წლის 1-ლ ივნისს ირჩევა განსაზღვრული რიგით,რომლის საფუძველზე ათონის მთის ყოველი მონასტერი ხუთ წელიწადში ერთხელ ათონის მთის მთავრობაში წარმოდგენილია. ამგვარი სახის მთავრობა ათონის მთაზე არსებობს 1783-ი წლიდან.

### მონასტერთა რიგი კი ასე გამოიყურება:

| ჯგუფი I. | ჯგუფი II. | ჯგუფი III. | ჯგუფი IV. | ჯგუფი V. |
|---|---|---|---|---|
| ლავრა | ვატოპედი | ივერიონი | ჩილანდარი | დიონისიუ |
| დოჰიარიუ | კუტლუმუსიუ | პანტოკრატორის | ქსიროპოტამუ | ზოგრაფუ |
| ქსენოფონ | კარაკალუ | ფილოთეუ | პავლეს | პანტელეიმონ |
| ესფიმენუ | სტავრონიკიტა | ს.პეტრას | გრიგორიუ | კონსტამონიტუ |

ცალკეული ჯგუფის პირველად დასახელებული მონასტრის წარმომადგენელი "წმინდა ეპისტასიაში" არის წინამძღვარი,ე.ი."უმაღლესი მეთვალყურე".

## ბ ე რ თ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ა

ქრისტიანიზმის პირველ წლებში ბევრმა ადამიანმა დატოვეს საზოგადოება, რომ მარტო ღმერთისათვის ეცხოვრათ. ამ ადამიანებს უწოდებდნენ "ას-კეტებს"="ასკეო=askeo ="ვარჯიში". ბერები და ერემიტები,აგრეთვე ბერძენი ფილოსოფოსები "ასკეზე-ს" მეტად მნიშვნელოვნად თვლიდენ... "ასკეზას" ეყრდნობა დღესაც ბერების ცხოვრება ათონის წმინდა მთაზე. უბრალო და განათლებული ადამიანები ცდილობდნენ სადმე მარტოობაში თაყვანი ეცას ღვთისათვის, ვინაიდან მათ სწამდათ,რომ ამ გზით ახლოს

მივიდოდნენ ღმერთთან,რის გამო ისინი ბევრ დროს ანდომებდნენ ლოცვას. დანარჩენ დროში კი მუშაობდნენ.

ათონის წმინდა მთის მონასტრები ორ-გვაროვანია:

1."კოინობიტური"მონასტერი,რომელშიც ბერები ცხოვრობენ ერთად და ერთად მუშაობენ მონასტერში. მონასტრის მმართველობა წინამძღოლის ხელშია, რომელიც არჩეულია მთელი სიცოცხლის მანძილზე. "კოინობიტური" მონასტერია ათონის მთაზე სულ 11-ი.

2."იდიორითმული" მონასტერი, რომელთა რაოდენობა ათონის მთაზე 9-აა, ბერთა ერთობაა,რომლის დროს თითოეული ბერი ცხოვრობს მისი საკუთარი "რითმით" და მონასტრისათვის ასრულებს განსაზღვრულ სამუშაოებს. ამგვარ მონასტერს გააჩნია წარმომადგენლობითი მმართველობა.

მხატვრობის ორი ცნობილი სკოლა წარმოიშვა ათონის მთაზე: მაკედონიური და კრეტული სკოლა. ათონის მთაზე ხატთა მხატვრობის დიდი ტრადიცია გრძელდება დღესაც.

მონასტრის ნაგებობა ქმნის შუასაუკუნეების ციხესიმაგრის შთაბეჭდილებას,რაც უზრუნველჰყოფს ბერთა ერთობასა და უშიშროებას. მონასტრის მთავარი ფასადის იქეთაა ეზო,რომელიცაა შინაგანი და ლოცვის მოსამზადებელი ადგილი. "კათოლიკონ"="მთავარი ეკლესია" დგას ეზოს ცენტრში. ათონის მთაზე არსებობს 100.000-სი კვადრატული მეტრი მოხატული ფართობი, და ხატთა რიცხვი აჭარბებს 20.000-სს.

"ტრაპეზა"="მაგიდა" - იწოდება ის ადგილი,სადაც "კოინობიტურ" მონასტრებში ყოველდღიურად,ხოლო "იდიორრითმულ" მონასტერში განსაზღვრულ დღეებში ბერები სადილობენ ერთად.

"არსანას" ეწოდება მონასტრის ნავსადგურს.

შენიშვნა:ანასტასიოს ვასილიადის ამ წიგნში შემდეგ აღწერილია ათონის წმინდა მთის ყველა მონასტერი, და "ივერიონის" მონასტრის შესახებ წერს:

## მონასტერი "ივერიონი":

ერთმა თავადმა საქართველოდან(რუსეთი)  იოანე თორნიკემ,მისი შვილითან და ძიძაშვილთან ერთად 986-ს წელს მივიდა ათონის მთაზე და კეისარ ბულგაროკტონოს დახმარებით დაარსა "ივერიონის" მონასტერი. რამდენიმე ხნის განმავლობაში აქ ცხოვრობდნენ მეტად ბევრი ქართველი ბერები; უკანასკნელი ქართველი ბერი გარდაიცვალა 1955-ც წელს. რაც დღემდეა შემორჩენილი, ესაა "ივერიონის" მონასტრის საათის დრო,რომელიც ქალდეურ სისტემას ეყრდნობა და მზის ამოსვლისასარის "ნული საათი".

"ივერიონის" მონასტრის"მთავარი ეკლესია"="კათოლიკონ" აგებულ იქნა 1030-თ წელს იბერიელ <u>გიორგი ვარაშვაძის მიერ</u>, და მოხატულ იქნა მე-16 და მე-19 საუკუნეებში. მონასტერს "ივერიონს" ეკუთვნის კიდევ 17-ი ეკლესია-სამლოცველო,რომელთა შორის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ეკლესია,რომელიც დასვენებულია ღვთისმშობლის სასწაულმომქმედი სატი,ე.წ-ლი"მეჭიშკრე".

"ივერიონის" მონასტერია "იდიორრითმული",რომელიც ცხოვრობს 30-ი ბერი; ამას გარდა ამ მონასტერშია 60-ი მშრომელი.

<u>შენიშვნა:</u> ათონის წმინდა მთაზე ცხოვრობენ ბერები,რომელთაც ჰყავთ "დამხმარე პირები",რომლებიც ათონის მთაზე მიდიან სამუშაოდ საზერძნეთის, განსაკუთრებით ათონის მთასთან ახლომდებარე რაიონებიდან.

ანასტასიოს ვასილიადის წიგნში:"პალკიდიკი - ათოს" გამოქვეყნებულია აგრეთვე მრავალი ფოტოსურათი,მათ შორის, ფოტოსურათი "ივერიონის" მონასტრისა,რომელსაც აქვს შემდეგი წარწერა:

"მონასტერი ივერიონი წოდებულია იბერიის-საქართველოს-რუსეთის მიხედვით; ეს მონასტერი დაარსდა მე-10 საუკუნეში, და ითვლება მესამედ ათონის მონასტერთა იერარქიულ რიგში."

==============================

ახლა გაგაცნობთ ამონაწერებს ლევან მენაბდის ნარკვევიდან -

ლევან მენაბდე

# ქართული კულტურის კერა ათონზე

L. MENABDE

# SEAT OF GEORGIAN CULTURE ON ATHOS

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО ТБИЛИССКОГО УНИВЕРСИТЕТА
TBILISI UNIVERSITY PRESS

თბილისი 1982 TBILISI

1980 — 1983 წლებში სრულდება ათონის ივერთა მონასტრის დაარსების 1000 წელი. ლ. მენაბდის ნარკვევში, რომელიც ეძღვნება ამ საიუბილეო თარიღს, მოთხრობილია უდიდესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მწიგნობრულ-ლიტერატურული კერის თავგადასავალი, წარმოჩენილია მისი წვლილი ქართული კულტურის ისტორიაში. იგი განკუთვნილია ფილოლოგების, ისტორიკოსებისა და საერთოდ ქართული კულტურით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

В 1980 — 1983 гг. исполняется 1000 лет со времени основания Иверского монастыря на Афоне (в Греции). Очерк Л. В. Менабде, который публикуется в связи с этой знаменательной датой, рассказывает о значительном вкладе этого важнейшего научно-просветительского и книжно-литературного очага в истории грузинской культуры. Он рассчитан на филологов, историков, а также на круг читателей, интересующихся историей грузинской культуры.

The years 1980-1983 mark the millenary of the foundation of the Iberian monastery on Athos (Greece). The present anniversary essay by L. Menabde tells the story of the monastery and the significant contribution made to the history of Georgian culture by that major seat of scholarship, enlightenment and literature. The book is intended for philologists, historians, and the general readership interested in the history of Georgian culture.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1982

ლევან მენაბდე

# ქართული კულტურის კერა ათონზე

ქართული კულტურა ინტენსიურად ვითარდებოდა როგორც საკუთრივ საქართველოში, ისე საზღვარგარეთ. ქართველმა მოღვაწეებმა ნაყოფიერი კულტურულ-აღმშენებლობითი და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობა გააჩაღეს სამშობლოში, სირია-პალესტინაში, ბიზანტიაში, რუსეთში. ქართველთა სამოღვაწეო პუნქტებში — ჩვენში თუ უცხოეთში — იქმნებოდა ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის დიდებული ნიმუშები, ჩქეფდა ლიტერატურული ცხოვრება, იწერებოდა ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა უცხოური ძეგლები, მრავლდებოდა ხელნაწერები, მდიდრდებოდა ეროვნული კულტურის საგანძური.

ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების მნიშვნელობა საკმაოდ ცნობილი და აღიარებულია. „ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებული არა ერთი და ორი [სავანე] დღესაკ პლალადებს ათონის მთაზედ, სინაზედ, სირიაში, იერუსალიმის ახლომახლო, რომ ქართველთა თავგამომეტებით და დიდის მხნეობით უღვაწნიათ თავისი ქვეყნის გარეთაც“ (ი. ჭავჭავაძე).

ი. ჯავახიშვილი წერდა: „საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად დიდი იყო. იმ დიდი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში დაუნჯებული ჰქონდა, უცხოეთში მყოფი მონასტრების წყალობით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისათვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი რაც კი იქ ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში მომუშავე ქართველი მოღვაწეების, მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით საქართველოსაც საშუალება ჰქონდა სცოდნოდა: საუკეთესო თხზულებანი ან ითარგმნებოდა, ანდა გადმოქართულებული იყო ჭულმი“.

ამ სიტყვებში ისე ამომწურავადაა დახასიათებული და წარმოჩე[redacted] კერების მნიშვნელობა და რო-[redacted] მატოთ, მართლაც, ამ კერების მეშვეობით ქართველობა თვალს ადევნებდა განათლებული წრეების საქმიანობას, ეცნობოდა მათ წარმატებას, ითვისებდა და თარგმნიდა ყოველივე კარგსა და საყურადღებოს, ქმნიდა წანამძღვრებს ეროვნული ლიტერატურის შემდგომი ზრდა-განვითარებისათვის.

ქართველებს ადრეული ხანიდანვე ინტენსიური ურთიერთობა ჰქონდათ ახლო აღმოსავლეთთან. ეგვიპტის, პალესტინისა და სირიის ბევრი უდაბნო ქართველ მოღვაწეთა საიმედო თავშესაფრად იქცა. ჩვენმა წინაპრებმა უკვე IV—V საუკუნეებში მიაშურეს ამ ქვეყნების სავანეებს.

ეგვიპტეში უკვე IV საუკუნეში მოღვაწეობდა გამოჩენილი ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტოელი, ხოლო V საუკუნეში იქაურ უდაბნოში ქართული ბაზილიკაც აშენდა.

კიდევ უფრო მრავლად ჩანან ქართველები პალესტინაში (იერუსალიმსა და მის ახლოს არსებულ სავანეებში), სინის მთაზე, შავ მთაზე (სირიაში).

საუკუნეთა მანძილზე ახლო აღმოსავლეთი ქრისტიანული მწერლობის მძლავრი ცენტრი და გამოჩენილ მწიგნობართა სამოღვაწეო ასპარეზი იყო. იერუსალიმი, საბაწმიდა, პალავრა, სინა, ანტიოქია, შავი მთა — ამ მწერლობის სახელგანთქმული ცენტრებია. ქართველი მოღვაწეები, იჩენდნენ რა დიდ ინტერესს ქრისტიანული მწერლობისადმი, განსაკუთრებით ეტანებოდნენ ამ მწერლობის ცენტრებს; მათ ჯერ სხვათა სადგომებს მიაშურეს, ხოლო შემდეგ ქართული კოლონიები დააარსეს, საკუთარი სავანეები შექმნეს და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაც გააჩაღეს.

თუ ადრე ქართველები ახლო აღმოსავლეთისაკენ ისწრაფოდნენ და ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქაურ ასკეტურსა და სამწერლო ასპარეზზე, IX საუკუნიდან მათ დასავლეთისაკენ აიღეს გეზი და თანდათან დაიწყეს ბიზანტიის სამონასტრო კოლონიზაცია, რაც პირდაპირი შედეგი იყო საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობის გაძლიერებისა. დროთა განმავლობაში ქართველ მოღვაწეთა დასახლებამ

ბიზანტიაში ფართო ხასიათი მიიღო და ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაცხოველების შედეგად სულ უფრო შესამჩნევი ხდება.

XXXI.

ქართველთა სამკვიდროს სამხრეთ-დასავლეთიდან საუკუნეთა მანძილზე ესაზღვრებოდა მძლავრი ფეოდალური სახელმწიფო — ბიზანტიის იმპერია, რომელთანაც ჩვენს წინაპრებს მრავალმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ — სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური, საეკლესიო-სარწმუნოებრივი, კულტურულ-ლიტერატურული.

ბიზანტია, — ვითარცა ძლიერი სახელმწიფო, — ხშირად ცდილობდა ჩვენი მიწების მიტაცებასა და მითვისებას, ქართველთა ძლევასა და დამორჩილებას. ასე რომ, არცთუ იშვიათად იგი გამოდიოდა ჩვენი უშუალო მტრისა და მოწინააღმდეგის როლში; ერთმორწმუნეობა მას სრულიადაც არ უშლიდა ხელს ჩვენი ქვეყნის მიმართ მტაცებლური ზრახვების განხორციელების ცდაში. ასეთ დროს ქართველები ძალასა და ენერგიას არ იშურებდნენ მოძალებულ ბიზანტიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და თავგამოდებით იცავდნენ სამშობლოს ეროვნულ-პოლიტიკურ დამოუკიდებლობას.

ზოგჯერ ისეთი პოლიტიკური სიტუაცია იქმნებოდა, რომ ბიზანტია არა მარტო ანგარიშს გვიწევდა, არამედ ჩვენთან კავშირის დამყარება-განმტკიცებას ცდილობდა, საერთო მტრის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლისაკენ მოგვიწოდებდა, მისი ინტერესების დაცვას გვთხოვდა. საგულისხმოა, რომ ბევრი ქართველი აქტიურად მონაწილეობდა ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, სამხედრო ოპერაციებში.

ბიზანტიასთან ურთიერთობა ქართველთათვის ერთობ რთულ პრობლემას წარმოადგენდა, რადგან ამ ურთიერთობის ისტორია

რამატიზმით იყო დამძიმებული. მაგრამ, — მიუხედავად ამისა, —
რთმორწმუნე ქვეყანასთან დაახლოებას მაჰმადიანთაგან შევიწროე-
ული საქართველოსათვის მაინც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ამას-
ანავე, ქართულ-ბიზანტიური სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური
ავშირის განმტკიცებას შესაბამისად სდევდა ურთიერთობის გაშლა
ულტურულ-ლიტერატურულ სფეროში.

ბევრი რამ გვაკავშირებდა ბიზანტიასთან საეკლესიო-სარწმუნო-
ბრივ სფეროშიც. ამ ერთმორწმუნე ქვეყანასთან ერთად გვიხდე-

ბოდა ბრძოლა ქრისტიანობის მოწინააღმდეგე რელიგიებთან, აგრეთ-
ვე, საკუთრივ ქრისტიანობის წიაღში აღმოცენებულ სხვადასხვა მიმ-
დინარეობასთან. მართლმადიდებლური ეკლესიის პრინციპების დაც-
ვა-განმტკიცება ქართულ-ბიზანტიური ეკლესიების ერთობლივ საზ-
რუნავს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც მაჰმადიანურ გარემოცვაში
მომწყვდეულმა იერუსალიმმა დაკარგა ძველი მნიშვნელობა და
კონსტანტინოპოლის ეკლესიამ საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, ქარ-
თული ეკლესიის სწრაფვა დასავლეთისაკენ საყოველთაოდ შესამჩ-
ნევი გახდა.

IX—X საუკუნეებში აღმავლობის გზას ადგა ბიზანტიური კულ-
ტურა, განსაკუთრებულ წარმატებას მიაღწია ბიზანტიურმა ლიტერა-
ტურამ. შემოქმედებით არენაზე გამოვიდნენ გამოჩენილი მწერლე-
ბი, რომელთაც ეპოქა შექმნეს არა მარტო ბიზანტიური, არამედ
საერთოდ ქრისტიანული ლიტერატურის ისტორიაში. მათი მრავალ-
მხრივი მწიგნობრულ-საგანმანათლებლო მუშაობის შედეგად ბიზან-
ტიურმა ლიტერატურამ მსოფლიო სახელი და ავტორიტეტი მოიპო-
ვა, ბიზანტია ქრისტიანული მწერლობის ცენტრად იქცა. მალე ბი-
ზანტიაში შესამჩნევად ამაღლდა განათლების დონეც, განვითარდა
ფილოსოფიური აზროვნება, აყვავდა ფილოლოგიური სკოლა, თან-
დათანობით მომზადდა ის ნიადაგი, რომელიც ერთ-ერთ საფუძვლად
იქცა ევროპული რენესანსისა.

ყოველივე ამას ხედავდნენ, ამჩნევდნენ და აფასებდნენ ქართვე-
ლები. ბიზანტია, — ვითარცა ქრისტიანობის ბურჯი და მწიგნობრო-
ბის ცენტრი, — ანდამატურად იზიდავდა ქართველ მოღვაწეებს,
რომლებმაც აუცილებლად მიიჩნიეს ბიზანტიური კულტურის საფუძ-
ვლიანი გაცნობა, გულდასმითი შესწავლა, შემოქმედებითი ათვისე-
ბა, ქართულ სინამდვილეში გადმონერგვა; მათ საჭიროდ მიიჩნიეს
ბიზანტიის კულტურულ-საგანმანათლებლო კერებში (თუ მათ ახ-
ლოს) დასახლება, რათა იქიდან კარგად ედევნებინათ თვალი ბიზან-
ტიელთა შემოქმედებითი მუშაობისათვის და ნიადაგ ყოფილიყვნენ
საქმის კურსში, რათა შეძლებოდათ ყოველგვარი სიახლის დროუ-
ლად გაცნობა-ათვისება. ამიტომაც IX—XI საუკუნეებში ბიზანტიის
სხვადასხვა პუნქტში (ოლიმპზე, ათონზე, პეტრიწონში და სხვ.) სა-
ფუძველი ჩაეყარა ქართული კულტურის ცენტრებს, ზოგან ჩამო-
ყალიბდა ქართული ლიტერატურული სკოლები, რომლებიც თავი-
სებურად მიუდგნენ ბიზანტიური კულტურის ათვისების საკითხს.

თავისებური მიდგომა კი აუცილებელი იყო, რადგან ბიზანტიელებს
პირველობის პრეტენზია ჰქონდათ, მათი ქედმაღლობა ყოველგვარ
საზღვარს სცილდებოდა. ქართველებს ესმოდათ, რომ საჭირო იყო
ბიზანტიური კულტურის ათვისება, მაგრამ არა მონური ქედმოხრა
და ბრმა მორჩილება, არამედ შემოქმედებითი მიდგომა — თავის შე-
კავება წამლეკავი გავლენისაგან, მექანიკური გამეორებისაგან და თა-
ვისთავადი სახის შენარჩუნება. ქართველებმა გააჩაღეს მრავალმხრივი
მუშაობა ბიზანტიური კულტურის შემოქმედებითი ათვისებისათვის,

ყოველივე კარგის გადმონერგვისათვის, ეროვნული ლიტერატურის გამდიდრებისათვის. ყოველივე ეს კულტურული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ნიშნით კეთდებოდა. ამასთანავე, ამიერიდან ბერძნულ-ქრისტიანული მწერლობის ქართულად გადმოღება არა მარტო კულტურული, არამედ მეტად დიდი მნიშვნელობის პოლიტიკური ღონისძიებაც იყო, რამეთუ იგი ხელს უწყობდა საქართველოს დაწინაურებას ახლო აღმოსავლეთში.

ბიზანტიაში ქართველთა მომრავლებას და ქართული კოლონიების დაარსებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი კულტურის ისტორიისათვის. კონსტანტინოპოლის, ათონის, პეტრიწონისა თუ სხვა სავანეთა ქართველობას ახლო კავშირი ჰქონდა ბიზანტიური კულტურის გამოჩენილ მოღვაწეებთან, მას შეეძლო თვალი მიედევნებინა ბიზანტიური მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისათვის და კვალდაკვალ მიჰყოლოდა მას, ქართული ლიტერატურა გაემდიდრებინა ახალი ორიგინალური შრომებითა თუ ბერძნულიდან თარგმნილი წიგნებით და ეროვნული მწერლობა აემაღლებინა ზოგადქრისტიანული ლიტერატურის დონემდე.

დასავლეთში აღმოცენებულმა ქართულმა კოლონიებმა ღირსეულად გაართვეს თავი რთულ ამოცანას; მათ მიერ შექმნილ კულტურულ-ლიტერატურულ მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ეროვნული მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისათვის. ამასთანავე, დასავლეთში მოღვაწე ქართველმა მწერლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს საკუთრივ ბიზანტიური ლიტერატურის განვითარებაშიც.

ძველი ქართული კულტურის საზღვარგარეთულ კერათა შორის ეროვნული მწერლობის განვითარებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის სავანეს, „რომელიც გადაიქცა იმ წყაროდ,

საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი. თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა XI—XII საუკუნეებში, ეს ივერთა მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც სამართლიანად ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონზე, შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწესებულებას ისეთი მნიშვნელობა არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორც ათონის ივერთა მონასტერს. უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“ (კ. კეკელიძე).

ათონის სავანე მდებარეობს საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულის (ბერძნული ქალკიდიკის) აღმოსავლეთ შვერილზე — აიონ-ოროსის (მთაწმიდის), ათონის, ვიწრო, გრძელი და მთაგორიანი ნახევარკუნძულის აღმოსავლეთ ნაწილში, ათონის მთის ქვედა კალთაზე, ეგეოსის ზღვის პირას. კარგი ბუნებრივ-კლიმატური პირობებითა და შესანიშნავი მცენარეული საფარით (ზეთისხილის ბაღებით, ფოთლოვანი ტყეებით და ა. შ.) იგი ძველთაგანვე იზიდავდა მოწესეებს. ადრე, — ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე, — იქ იკრიბებოდნენ მორწმუნენი და თავიანთ ღმერთებს სცემდნენ თაყვანს თუ სწირავდნენ მსხვერპლს, ხოლო შემდგომ ათონი ქრისტიანთა სამოღვაწეო ადგილად იქცა.

პირველი ქრისტიანი მოწესენი ათონზე VIII—IX საუკუნეებიდან ჩანან, ხოლო X საუკუნის ბოლოსათვის იქ ბერძნული მონასტრების

ცენტრმაც გადაინაცვლა; 870 წელს იოანე კოლოვუმ დააარსა პირველი სავანე, ხოლო მომდევნო ხანაში სამონასტრო მშენებლობა ისე შესამჩნევად გაიშალა, ერთიმეორის მიყოლებით იმდენი მნიშვნელოვანი სავანე აღმოცენდა, რომ მალე ათონის მთას მთაწმიდა ეწოდა. რადგან ათონზე ბევრ ხალხს ჰქონდა თავისი სათვისტომო, ბუნებრივი იქნებოდა იქ ქართველებსაც დაედოთ ბინა. მართლაც, მას შემდეგ, რაც საქართველო-ბიზანტიის ურთიერთობა გაცხოველდა და ქართველები მომრავლდნენ ბიზანტიის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურსა თუ საეკლესიო-სამონასტრო ასპარეზზე, მათ ათონზე დასახლებაც დაიწყეს — ჯერ ბერძენთა სადგომს შეაფარეს თავი, ხოლო შემდეგ ქართული სავანეც დააარსეს (მართალია, ქართველნი X საუკუნის შუა წლებში, — 50-იან, განსაკუთრებით 60-იან წლებში, —ჩანან ათონის მთაზე — ათოს სავანეში, კლემენტის მონასტერში, ათანასეს ლავრაში. მაგრამ მათ ჯერ ეროვნული მონასტერი კიდევ არ ჰქონდათ).

965 წელს ათონის მთას ეწვია გამოჩენილი ქართველი მოღვაწე იოანე, რომელსაც ახლდნენ ვაჟიშვილი ექვთიმე და მოწაფენი. მათ ათანასე ათონელის (920—1000) ლავრას მიაშურეს, ათანასეს ახლოს დაისადგურეს. მალე მათ შეუერთდა ცნობილი სარდალი თორნიკე.

ათონელ ქართველთა საქმიანობა გახმაურდა; „განითქუა ჰამბავი მათი“ და თანამემამულეებმა მათ სამყოფს მიაშურეს. მოწესეთა მომრავლების გამო იოანემ და მისმა ახლობლებმა ათანასეს ლავრაში დარჩენა შეუძლებლად მიიჩნიეს და სხვა ადგილას ცხოვრება ირჩიეს, „ლავრისაგან განშორებულად, უდაბნოსა შუენიერსა წმიდისა იოვანე მახარებელისა ეკლესიაჲ აღაშენეს და სენაკები, და მუნ იყოფოდეს მრავალ ჟამ“.

ამ პერიოდში ბიზანტიის მცირეწლოვან უფლისწულებს ბასილსა და კონსტანტინეს აუჯანყდა მცირეაზიელი ფეოდალი ბარდა სკლიაროსი. მეამბოხეთა ლაშქარმა თითქმის მთელი მცირე აზია იგდო ხელთ და ბიზანტიის ცენტრალურ ხელისუფლებას საფრთხე შეუქმნა. საიმპერატორო კარმა დახმარებისათვის ერთგულ დიდებულებს მიმართა. მან გადაწყვიტა დავით კურაპალატისათვის (961—1001) მიმართვა და დახმარება-შუაკაცობა ათონელ ქართველებს სთხოვა. იოანემ ეს საქმე თორნიკეს მიანდო. ბიზანტიელებმა თორნიკეს ხელით დავით კურაპალატს წერილი გამოუგზავნეს და დახმარება სთხოვეს. დავითმა 12000 რჩეული მხედარი გამოყო და სარდლად თორნიკე მიუჩინა. ბიზანტიელთა და ქართველთა ლაშქარმა სასტიკად დაამარცხა მეამბოხეთა მხედრობა (979 წ.).

თორნიკემ დიდძალი დავლა იგდო ხელთ. იგი გამარჯვებული და ხელდამშვენებული დაბრუნდა ათონზე. იქაურმა ქართველებმა ახალი, ეროვნული სავანის დაარსება განიზრახეს (მათ უკვე ჰქონდათ სამისო მატერიალური შესაძლებლობა), მალე (980 წელს) ქართული მონასტრის მშენებლობა დაიწყეს და 983 წელს დაასრულეს კედელ[illegible] ასე დაარსდა ათონის ივერთა (ქართველთა) მონასტერი, ივირონი, რომელსაც ჩვენი წინაპრები ასე იხსენიებდნენ: „ლავრაჲ დიდებული და ყოვლითა შუენიერებითა შემკული“ (გიორგი ათონელი), „დიდი ლავრაჲ“ (გიორგი მცირე), „დიდი ლავრაჲ ქართველთაჲ“ (ეზრა ათონელი), „ლავრაჲ დიდებული“ (ზოსიმე მონაზონი) და ა. შ.

ათონის ივერთა მონასტერს თავდაპირველად იოანე ხელმძღვანელობდა. მან ენერგიულად იწყო ზრუნვა ქართული სავანის განმტკიცება-გაძლიერებაზე; შეიძინა მამულები, მონასტერი უზრუნველყო შემოსავლით, თანამემამულეები ჩააბა როგორც საეკლესიო-სამონასტრო, ისე სამეურნეო საქმიანობაში და ა. შ.

იოანესა და თორნიკეს მცდელობით, ბიზანტიელთა დახმარებითა და ათონელ ქართველთა ენერგიული მოქმედებით ივირონი 985 წლისათვის სავსებით დასრულებულ, ჩამოყალიბებულ ფეოდალურ-საეკლესიო სენიორიად იქცა. იოანემ და თორნიკემ როგორც ბიზანტიელთა, ისე თანამოღვაწე ქართველთა სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურეს. მონასტრის მშენებელთა ღვაწლის აღიარებას მოწმობს ათონელთა „ცხოვრების" შექმნა ქართულ-ბერძნულ ენებზე, ბერძნული ეპიგრამა, რომელიც იოანე ქართველს მიეძღვნა ადრეულ საუკუნეებში, და სხვ.

როდესაც იოანე და თორნიკე მონასტერს აარსებდნენ, მათ, რასაკვირველია, სურდათ ქართველ მოღვაწეთათვის ეროვნული სავანე შეექმნათ, მაგრამ მათი აღმშენებლობითი საქმიანობა მხოლოდ ქართველ მოწესეთა ბედზე ზრუნვით არ შეიძლება აიხსნას. მათ კარგად ესმოდათ, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ქართველებისათვის ბიზანტიური კულტურის გაცნობას, მწერლობისა და მეცნიერების ცენტრებთან ახლოს ყოფნას, ბიზანტიელ მწიგნობრებთან კავშირ-ურთიერთობას. ამიტომაც იოანემ და თორნიკემ თავიდანვე ინტერესი გამოიჩინეს ბიზანტიური ლიტერატურისადმი და დაიწყეს ზრუნვა მშობლიური მწერლობის ზრდა-განვითარებაზე. მათ გარკვეული ყურადღება მიაქციეს ქართული მწიგნობრობის განვითარებას და შეუმჩნეველი წვლილი შეიტანეს ეროვნული წერილობითი კულტურის გამდიდრების საქმეში. იოანესა და თორნიკეს ინიციატივით ათონის ივერთა მონასტერში საკმაოდ ადრე, ყოველ შემთხვევაში, X საუკუნის 70-იანი წლებიდან მაინც, ფართოდ გაიშალა მუშაობა ხელნაწერთა გამრავლების, ძვირფასი ნუსხების დამზადების მიზნით. მათ დაკვეთით მუშაობდა ქართველ მწიგნობართა მოზრდილი

ჯგუფი, მათი თაოსნობით დამზადდა არაერთი ძვირფასი ხელნაწერი. იოანე გულმოდგინედ ადევნებდა თვალს ბიზანტიური მწერლობის წინსვლას, ინტერესით ეცნობოდა ბერძნულენოვან ტექსტებს, არჩევდა სათარგმნელ მასალას. იგი გრძნობდა ხარვეზს, რომელიც ზოგიერთი მნიშვნელოვანი ბიზანტიური ძეგლის ქართული თარგმანის არარსებობით იყო გამოწვეული და ენერგიულად ილვწოდა მდგომარეობის გამოსწორებისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ იოანეს მოწოდებით გამოვიდა შემოქმედებით ასპარეზზე მისი ვაჟი ექვთიმე, რომელსაც წილად ხვდა დიდი პატივი ათონის ლიტერატურული სკოლის დაარსებისა. არსებითად მის სახელთანაა დაკავშირებული ამ სკოლის ჩამოყალიბება და მისი საქმიანობის წარმართვა, ბიზანტიურ კულტურასთან ქართული მწერლობის შემდგომი დაახლოება და ეროვნული საგანძურის გამდიდრება, ბიზანტიური ლიტერატურული ტრადიციების გადმონერგვა ჩვენს სინამდვილეში და მშობლიური მწერლობის მსოფლიო სარბიელზე გაყვანა. XXXXII.

იოანეს გარდაცვალების შემდეგ, — 14 წლის განმავლობაში (1005—1019),—ქართველთა მონასტერს ექვთიმე ათონელი ხელმძღვანელობდა. იგი ჯერ კიდევ მამის სიცოცხლეში, — იოანეს ავადმყოფობის გამო, — უძღვებოდა ქართული სავანის მთელ საქმიანობას — საეკლესიო-სამონასტროს, სამეურნეო-ადმინისტრაციულსა და სხვ., აქტიურად იყო ჩაბმული ათონელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში და ნაყოფიერად ხელმძღვანელობდა თანამემამულეთა მრავალრიცხოვან ჯგუფს. ასეთივე დატვირთვით მუშაობდა ექვთიმე მამის გარდაცვალების შემდეგაც, როდესაც წინამძღვრის მოვალეობას ასრულებდა. ამასთანავე, იგი არა მხოლოდ ქართული მონასტრის საქმეებს განაგებდა, არამედ დიდად ირჯებოდა საერთოდ ათონის მთის მონასტრებისათვის.

ექვთიმე ათონელი მრავალმხრივ საქმიანობას ეწეოდა. სახელდობრ, ძველი საბუთების გამოყენებითა და ხელისუფალთა მხარდა-

პერით განამტკიცებდა ივირონის ძლიერებას და აუმჯობესებდა მის მატერიალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, ყიდულობდა მამულებს და ზრუნავდა მათ შეუვალობასა და გადასახადებისაგან განთავისუფლებაზე, გულმოდგინედ იღვწოდა მოწესეთა შორის კეთილგანწყობილებისა და კარგი ურთიერთობის დამკვიდრებისათვის, მონაწილეობდა ათონის მთის ბინადართა საადგილმამულო დავის მშვიდობიან გადაჭრაში, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა თავის თანამოღვაწეთა და მოწაფეთა ცხოვრების პირობებს და მათ კეთილდღეობასაც უზრუნველყოფდა. იგი არა მხოლოდ თვით ეწეოდა აღმშენებლობით საქმიანობას და ახალ ეკლესიებს აგებდა, არამედ არაქართველ მოღვაწეებსაც ეხმარებოდა და არაქართული სავანეების დაარსებაზეც ზრუნავდა.

მიუხედავად ამისა, ექვთიმე ათონელის ღრმაშინაარსიან ცხოვრება-მოღვაწეობაში მთავარი და არსებითი ლიტერატურულ-შემოქმედებითი საქმიანობა იყო. სწორედ მისი თაოსნობით იქცა ათონის სავანე არა მხოლოდ დასავლეთში მყოფ ქართველთა ძირითად საეკლესიო-სამონასტრო ცენტრად, არამედ ქართული კულტურის მძლავრ კერადაც. მართალია, ექვთიმე ათონელს მუშაობაში შესამჩნევად უშლიდა ხელს სხვა საქმეებით გადატვირთვა და დღენიადაგ მოუცლელობა, მაგრამ ამან ხელი ვერ ააღებინა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე (ვინაიდან ხშირად დღისით ვერ პოულობდა დროს, ღამით მუშაობდა და თავდადებით იღვწოდა მშობლიური ლიტერატურის გამდიდრებისათვის). მისი ბიოგრაფის სიტყვით, ექვთიმე მრავალმხრივი პრაქტიკული საქმიანობის „თანა კეთილსა მას შრომასა თარგმანებისასა არა დააცადებდა, არცა სცემდა განსუენებასა თავსა თჳსსა, არამედ ყოვლადვე იპირვინ და ღამეთა ათევნ, რამეთუ უფროჲსნი წიგნნი ღამით სანთლითა უთარგმნიან ფრიადისა უცალოებისაგან და საურავთა“.

როგორც აღვნიშნეთ, მწიგნობრული ინტერესი ქართველთა სავანეში ადრევე შეინიშნებოდა, ცნობილია მონასტრის პირველ მოღვაწეთა — იოანესა და თორნიკეს თაოსნობით დამზადებული წიგნები, მაგრამ იქ გაჩაღებული კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის ინიციატორი და სულისჩამდგმელი, იქაური ლიტერატურული სკოლის ფუძემდებელი და მამამთავარი იყო ექვთიმე ათონელი. არ დარჩენილა ქართული საეკლესიო-სასულიერო მწერლობის არც ერთი დარგი, რომ მის განვითარება-გამდიდრებაში ექვთიმეს აქტიური მონაწილეობა არ მიეღო. იგი წერდა ორიგინალურ თხზულებებს ქართულად და ბერძნულად, ეწეოდა ორმხრივ მთარგმნელობით მუშაობას. საკმარისია მოვიხსენიოთ ცნობილი აგიოგრაფიულ-მორალური და ასკეტიკურ-დოგმატიკური თხზულება, შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული სულთამარგებელი რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“, რომელიც მან ქართულიდან თარგმნა ბერძნულ ენაზე (მალე გაჩნდა ლათინური თარგმანი, ხოლო შემდეგ ითარგმნა მრავალ ევროპულ ენაზე).

ექვთიმე ათონელმა თავის მთავარ მიზნად ქართულ-ბიზანტიური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის გაძლიერება და ქართული მწერლობის საგანძურის ბერძნული ენიდან თარგმნილი თხზულებებით გამდიდრება დაისახა. იგი ხელმძღვანელობდა საგანგებოდ შემუშავებული მთარგმნელობითი პრინციპებით, გულდასმით არჩევდა სათარგმნ მასალას, ითვალისწინებდა ქართველ მკითხველთა მომზადების დონეს და მოთხოვნილებას, საჭიროებისდა მიხედვით ცვლიდა ტექსტს და იძლეოდა განსხვავებულ რედაქციას.

ექვთიმე ათონელის საქმიანობამ საყოველთაო აღიარება პოვა. მადლიერი თანამემამულენი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ ექ-

ვთიმემ „განანათლა და შეამკო ნათესავი და ენაჲ ჩუენი“ (გიორგი ათონელი), „განავრცელა და განანათლა ქართველთა ენაჲ“ (სვიმეონ ჳვალი) და სხვ. დავით კურაპალატმა მას „ახალი ოქროპირი“ უწოდა. ქართველებს განსაკუთრებით ის ეამაყებოდათ, რომ ექვთიმეს „სახელი და ღირსებაჲ არა ხოლო საქართველოსა ოდენ განეფინა, არამედ საბერძნეთსაცა“. სწორედ ამის შეგნებამ აღავსო ისინი კანონიერი სიამაყის გრძნობით და ათქმევინა (ექვთიმეზე) შემდეგი სიტყვები: „ეგევითარი თარგმანი, გარეშე მათ პირველთასა, არღარა გამოჩინებულ არს ენასა ჩუენსა და ვჰგონებ, თუ არცაღა გამოჩინებად არს“. ექვთიმე ათონელის დამსახურების აღიარებას მოწმობს მისი ცხოვრება-მოღვაწეობის ვრცლად აღწერა, მისი „ცხოვრების“ სვინაქსარული რედაქციები, მის სახელზე დაწერილი საგალობლები, რომელთაგანაც ზოგიერთი ბერძნულ სადღესასწაულოშიც კი შევიდა, ათონელთა მიერ დადებული აღაპები და ა. შ.

ექვთიმე ათონელს გარს ეხვია თანამოღვაწეთა და თანამშრომელთა დასი (იოანე გრძელისძე, არსენ ნინოწმიდელი, იოანე ხახულელი, ზაქარია მირდატისძე და სხვ.), რომელმაც გარკვეული წვლილი შეიტანა ქართული წიგნადი ფონდის გამდიდრებასა და ათონის ლიტერატურული სკოლის განვითარების საქმეში.

ათონის ქართველთა მონასტერი არა მხოლოდ იოანესა და ექვთიმეს სიცოცხლეში გამოირჩეოდა, არამედ მომდევნო პერიოდშიც კარგა ხანს წარმოადგენდა ქართული კულტურის მძლავრ კერას, იქ გრძელდებოდა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა, რომელშიც მონაწილეობდა ქართველ მოღვაწეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი (გრიგოლ მთაწმიდელი, სტეფანე ხარტულარი, მიქაელი და სხვ.). ეს მუშაობა კიდევ უფრო ნაყოფიერი გახდა, როდესაც იქ დამკვიდრდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე გიორგი ათონელი (1009—1065) რომელმაც განაგრძო, განავითარა და გააღრმავა ექვთიმეს მიერ წამოწყებული საქმიანობა. იგი 1044—1056 წლებში ივირონის წინამძღვრად იყო, მრავალმხრივ პრაქტიკულ მოღვაწეობას ეწეოდა და ენერგიულად ხელმძღვანელობდა ქართული სავანის ბინადართა საეკლესიო-სამონასტრო ცხოვრებას. საქართველოს სამეფო კარის ხელშეწყობითა და დახმარებით მან ათონის ქართველთა მონასტერი გაამდიდრა, განამტკიცა და გააძლიერა, აღმშენებლობითი სამუშაოც ჩაატარა და მამულებიც შემოიმატა-შემოიმტკიცა.

გიორგი ათონელის ბიოგრაფიაში, მის მოღვაწეობაში მთავარი და ძირითადი მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა იყო. თავისი შემოქმედებითი მუშაობით, ნაყოფიერი მთარგმნელობითი საქმიანობითა და პრაქტიკული მოღვაწეობით მან დიდი წვლილი შეიტანა ქართული სულიერი კულტურის საგანძურში. იგი თავგამოდებით იბრძოდა ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ძლიერებისა და სარწმუნოებრივი სიწმინდისათვის, მშობლიური მწიგნობრობის ზრდა-განვითარებისა და კულტურის დონის ამაღლებისათვის.

გიორგი ათონელის მემკვიდრეობაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს „ცხორებაჲ ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანესი და ეფთჳმესი და უწყებაჲ ღირსისა მის მოქალაქობისა მათისაჲ“ — ძვირფასი საისტორიო წყარო, რომელიც არა მხოლოდ პირველ ქართველ ათონელთა თავგადასავალს გვაცნობს, არამედ მონასტრის ქართველთადმი კუთვნილებასაც ადასტურებს. ბერძენ ბერთა მოძალებამ, ქართველთა მდგომარეობის გართულებამ, ჩვენი უფლებების დაცვის აუცილებლობამ დააწერინა ავტორს წიგნი, რომელიც ემყარება რა სარწმუნო წერილობით წყაროებსა და ზეპირგადმოცემებს, მოგვითხრობს ქართული სავანის აღმოცენების ისტორიას, ასახავს მონასტრის შინაგან წყობილებას, წარმოაჩენს იქ გაჩაღებულ კულტურულ-შემოქმედებით მუშაობას.

გიორგი ათონელმა, ერთი მხრივ, მაღალმხატვრული და ღრმაიდეური თხზულების სახით დიდებული ძეგლი აუგო ივერთა მონასტრის დამაარსებელთ, ხოლო, მეორე მხრივ, თავისი მოღვაწეობით წინ წასწია, ახალ საფეხურზე აიყვანა ქართული მთარგმნელობითი ხელოვნება.

გიორგი ათონელის ცხოვრება-მოღვაწეობის პერიოდში ათონის ქართულ სავანეში კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა კვლავ ინტენსიურად გრძელდებოდა. გიორგი, — ვითარცა მეცნიერულ-ლიტერატურული საქმიანობის მეთაური და მთელი ინტელექტუალური ცხოვრების ხელმძღვანელი, — თავისი პირადი მაგალითით — თავდადებული შრომითა და შემოქმედებითი წვლილით, — სტიმულს აძლევდა თანამოღვაწეთ და მწიგნობრულ ინტერესს უღვივებდა, შთააგონებდა და მუშაობისაკენ მოუწოდებდა. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია მოვიხსენიოთ გიორგი ათონელის მოწაფე და თანამოღვაწე გიორგი მცირე, რომელიც ყველგან თან ახლდა თავის სასახელო მოძღვარს და ყველაზე უკეთ იცნობდა მის ყოველდღიურ პრაქტიკულ საქმიანობასა თუ ლიტერატურულ მოღვაწეობას. სწორედ ამიტომ აღწერა მან ასე დაწვრილებით გიორგი ათონელის თავგადასავალი („ცხორებაჲ და მოქალაქობაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გიორგი მთაწმიდელისაჲ“) და საკმაოდ სრულად წარმოაჩინა მისი დამსახურება მშობელი ხალხისა და ეროვნული კულტურის წინაშე. აქვე უნდა მოვიხსენიოთ სხვა ქართველი მწიგნობრებიც — არსენ გოგოფა, იაკობი, იოანე ხარტულარი, ჰიმნოგრაფი ეზრა, სტეფანე ათონელი, ბასილი და ა. შ.

მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა ათონის ქართველთა მონასტერში გრძელდებოდა გიორგი ათონელის მომდევნო წინამძღვრების — თეოდორესა და, განსაკუთრებით, გიორგი ოლთისარის დროსაც. სწორედ მაშინ მოღვაწეობდა იქ მოზრდილი ჯგუფი (ევსტრატი დეკანოზი, ზოსიმე მონაზონი, კვირიკე დიაკონი, სვიმეონ თავშიშველი, იაკობ დეკანოზი, მიქაელ დაღალისონელი და ა. შ.), რომელმაც შესამჩნევი წვლილი შეიტანა ათონის ლიტერატურული სკოლის ისტორიაში.

ქართული სავანის საკეთილდღეოდ თავგამოდებით იღვწოდნენ როგორც დასახელებული, ისე სხვა წინამძღვრებიც (არსენ თარსმანყოფილი, ევგენი, ვასილი, იოანე ბუქაისძე და ა. შ.), მაგრამ ივირონის მდგომარეობა მაინც გართულდა და იქაურ ქართველთა შემოქმედებითი მუშაობა შესუსტდა; ისინი მეტწილად ხელნაწერების დამზადებით კმაყოფილდებოდნენ და მხოლოდ ახალი ნუსხებით ამდიდრებდნენ იმ წიგნსაცავს, რომელიც დღესაც ათონის ფასდაუდებელი საგანძურია და ნათლად წარმოაჩენს ათონელ ქართველთა დიდ მეცნიერულ-ლიტერატურულ ინტერესსა და გონებრივი ჰორიზონტის სიფართოვეს.

ათონის ქართველთა მონასტერში შემოქმედებითი ცეცხლის განელება და ბოლოს ჩაქრობა შემთხვევითი არ ყოფილა; ეს ბუნებრივი შედეგი იყო იმ დევნა-შევიწროებისა, რომელსაც ჩვენი წინაპრები განიცდიდნენ ათონზე ჯერ კიდევ XI საუკუნიდან.

უკვე ექვთიმე ათონელის მომდევნო წინამძღვრის გიორგის (1019—1029) დროს დაიწყო ივირონში ქართველთა შევიწროება-შემცირება და ბერძენთა მომრავლება. მართალია, გიორგიმ ერთგვარად დაამუხრუჭა ბერძენთა მოძალება და ხელი შეუშალა მათ მტაცებლური განზრახვის შესრულებაში, მაგრამ მალე ბიზანტიელებმა დრო იშოვეს და ქართველთათვის მონასტრის წართმევა მოიწადინეს. ათონელმა ქართველებმა საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნიეს მტკი-

ცედ შეკავშირება და შემჭიდროება, სათანადო საბუთების დაძებნა თუ ახალი დოკუმენტების შედგენა და მათი მეოხებით თავიანთი უფლებების დაცვა-განმტკიცება. მათ საგანგებოდ შეადგინეს „მოსაქსენებელი" ქართველ-ბერძენთა ურთიერთობისა ათონის მთაზე, ხაზგასმით აღნიშნეს მონასტრის ქართველთადმი კუთვნილება, აღწერეს მისი აღმოცენებისა და განვითარების ისტორია, წარმოაჩინეს იოანეს, თორნიკესა და ექვთიმეს ღვაწლი სავანის წინაშე, დაგმეს და გაკიცხეს ქართველთა უფლებების ხელმყოფელი და ქართული მონასტრის მიტაცების მოსურნე ბიზანტიელები.

რასაკვირველია, „მოსაქსენებელმა" ვერ შეაჩერა ბიზანტიელთა შეტევა, მომდევნო ხანაში მათი იერიში კიდევ უფრო საშიში გახდა. აქტიურად იღვწოდნენ ათონელი ქართველები, ენერგიულად მოქმედებდნენ ივირონის მესვეურები, უხვად ეხმარებოდნენ მათ ქართველი მეფე-დიდებულები თუ გამოჩენილი საეკლესიო მოღვაწენი (ბაგრატ მეოთხე, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე; გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძენი, იოანე მწიგნობართუხუცესი; ნიკოლოზ გულაბერისძე, პავლე ქუთათელი და ა. შ.), მაგრამ მოძალებულ ბიზანტიელებთან გამკლავება თანდათან უფრო ძნელდებოდა. ამას ერთოდა გარეშე მტრების ხშირი თავდასხმაც, რამაც შესამჩნევად დაასუსტა ქართველთა სავანე.

1259 წელს ათონის ნახევარკუნძული, კერძოდ, იქაური მონასტრები დაარბიეს ჯვაროსნებმა. მტერს ვერც ივირონი გადაურჩა. იმავე საუკუნის 80-იან წლებში ათონი ერთხელ კიდევ დაარბიეს მომხდურებმა, რომელთაც ბერებს კათოლიკობის შეწყნარება და რომის პაპის უზენაესობის აღიარება მოსთხოვეს. ათონელები არ დაეთანხმნენ მოძალადეთა წინადადებას, რის გამოც სასტიკად დაისაჯნენ.

XIV საუკუნის დამდეგს ათონი რამდენჯერმე იქცა მტრის სათარეშო არენად. 1304 წელს იქაური მონასტრები დაარბიეს თურქებმა, 1306 წელს — კატალონიელებმა, 1308 წელს — არაბებმა. რასაკვირველია, არც ქართველებს დაუდგებოდათ კარგი დღე. მართლაც, არაბმა პირატებმა უმოწყალოდ გაძარცვეს ქართული სავანე და მთავარი ტაძრის დანგრევაც კი განიზრახეს, მაგრამ მარმარილოს სვეტები ადგილიდან ვერ დაძრეს და გუმბათიანი ნაგებობის ჩამოქცევა ვერ მოახერხეს. XXXXIII.

1320—1324 წლებში თურქი პირატები არბევდნენ და ძარცვავდნენ ათონის სავანეებს.

მომხდური ლაშქრის თარეშმა შეარყია ივირონის ძლიერება, საგრძნობლად დაასუსტა ქართველთა კრებული. მონასტერში მდგომარეობა გართულდა, ბერძენ-ქართველთა ურთიერთობა გამწვავდა, ბერძენთა მტაცებლური ტენდენცია სულ უფრო შესამჩნევი გახდა. დროთა განმავლობაში ქართველთა რიცხვმა, — განსაკუთრებით XIII საუკუნიდან, როდესაც საქართველოს პოლიტიკური ძლიერება დაეცა, — საგრძნობლად იკლო. მომრავლებული ბერძნები აქტიურად ამოქმედდნენ, ივერთა მონასტრის მთავარი ტაძრისათვის ბრძოლამ კულმინაციას მიაღწია. მოძალადეებმა მიიმხრეს არა მარტო ათონის მონასტრების საბჭოს თავკაცები, არამედ კონსტანტინოპოლის პატრიარქი კალისტე პირველი (1350—1363), რომელმაც დააკმაყოფილა ბერძენთა პრეტენზიები და საქმე მათ სასარგებლოდ გადაწყვიტა.

კალისტემ ქართველთა კანონიერი უფლებები უგულებელყო, დამსახურება და ღვაწლი დაივიწყა და მათ ერთგვარი ბრალდებებიც კი წაუყენა. მისი მტკიცებით, ქართველები უსაფუძვლოდ იჩემებდნენ პირველობას, დაუმსახურებლად ავიწროებდნენ ბერძნებს და თვით კი არ შეეძლოთ მონასტრის მართვა, საამისოდ ძალა არ შეს-

წევდათ. მისი დასკვნით, სულიერად ამაღლებულსა და რიცხობრივად გამრავლებულ ბერძენ მოწესეთა რაზმს უფრო შეეფერებოდა სავანის მესვეურობა; ამიტომ მან ქართველებს ჩამოართვა მთავარი საკრებულო ტაძარი, აუკრძალა მონასტერში პასუხსაგებ თანამდებობათა დაკავება და სამოღვაწეოდ პატარა ეკლესია მიუჩინა. ვერ ვიტყვით, რომ ამის შემდეგ ქართველები კვლავ ფაქტობრივი ბატონ-პატრონნი იყვნენ სავანისა, მაგრამ ჯერ კიდევ ყველაფერი დაკარგული არ იყო.

ბერძენთა მიერ ქართული სავანის ხელში ჩაგდება ერთბაშად არ მომხდარა და კალისტეს გადაწყვეტილებით არ დაგვირგვინებულა. ბერძნები თანდათან ეუფლებოდნენ მას და მხოლოდ გვიან მიაღწიეს საბოლოო გამარჯვებას. ამჯერად — XIV საუკუნის შუა წლებში — მათ მხოლოდ დროებითი წარმატება მოიპოვეს, მაგრამ, როგორც ჩანს, კალისტეს გადაწყვეტილება ბოლომდე არც მაშინ განხორციელებულა. ეს არცაა გასაკვირი: მონასტერი პატრიარქს არ უბოძებია ქართველთათვის და, ბუნებრივია, არც ჩამორთმევის უფლება ჰქონდა. მართალია, იქ ბერძნები ჰარბობდნენ, მაგრამ ფაქტობრივად იგი მაინც საქართველოს კუთვნილებად იგულისხმებოდა და ნომინალურად ასეც ითვლებოდა.

წინააღმდეგ კალისტეს გადაწყვეტილებისა, ქართველები გვიან ხანაშიც (1363 წ., 1399 წ., 1513 წ. და სხვ.) ჩანან მონასტრის წინამძღვრებად; მონასტრის ქართველთადმი კუთვნილებით აიხსნება ისიც, რომ გაჭირვების დროს იქაური ქართველები თანამემამულეებს მომართავდნენ და ქართველი მეფე-დიდებულებიც (ყვარყვარე და მზეჭაბუკ ათაბაგები, ლევან კახთა მეფე, აშოთან მუხრანბატონი, ერეკლე მეორე და სხვ.) შეძლებისდაგვარად მფარველობდნენ და ეხმარებოდნენ; არც ისაა ინტერესს მოკლებული, რომ გვიანი ხანის ქართველი მოღვაწენი (ამბროსი სამცხელი, ფილიპე შაქარაშვილი და სხვ.) ივერთა სავანეს „ჩუენ მონასტრად" იხსენიებდნენ. ასე რომ, კალისტეს ტენდენციურმა გადაწყვეტილებამ ბერძნებს საბოლოო გამარჯვება ვერ მოუტანა და ქართველებს თავიანთ ძველ სავანეზე ხელი ვერ აალებინა.

1453 წელს დაემხო ბიზანტიის იმპერია. თურქებმა ხელთ იგდეს კონსტანტინოპოლი, დაიპყრეს ათონის ნახევარკუნძული და დაარბიეს იქაური სავანეები; მთაწმიდა, სადაც ქალებს ძველთაგან ეკრძალებოდათ ფეხის დადგმა, სულთნის დედის საკუთრებად გამოცხადდა. გასაგებია, რომ ამიერიდან ათონზე მოსახლე ქართველთა ცხოვრება კიდევ უფრო გაძნელდა, ხოლო XV საუკუნის უკანასკნელ წლებში აუტანელი გახდა. მტრის მრავალგზისმა თავდასხმამ, უმოწყალო ძარცვამ და დაუნდობელმა რბევამ სავანე დაასუსტა და დააუძლურა. ცხადი გახდა, რომ სამშობლოდან დახმარების მიუღებლად ათონელი ქართველების ყოფაცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება და გაპარტახებული სავანის აღდგენა შეუძლებელი იყო. რადგან სხვა გზა არ ჩანდა, ქართველმა მოღვაწეებმა თანამემამულეებს მომართეს და დახმარების სათხოვნელად საქართველოში წარმომადგენლები გამოგზავნეს. ათონელთა თხოვნამ მალე გამოიღო სასურველი შედეგი, მათ დამხმარე ხელი გაუწოდეს სამცხელმა ათაბაგებმა — ყვარყვარე მეორემ (1451—1498) და მზეჭაბუკმა (1500—1515).

ქართველთა დახმარებამ და შეწირულებამ XVI საუკუნის დამდეგისათვის რამდენადმე შეცვალა ათონელთა მდგომარეობა: გაჩაღდა აღმშენებლობითი საქმიანობა და დანგრეულ ნაგებობათა აღდგენა-განახლება, რასაც ბუნებრივად მოჰყვა მოღვაწეთა რიცხვის ზრდაც.

XVI საუკუნის დასასრულიდან ათონის ისტორიაში შესამჩნევია ერთი გარემოება: რუსეთის საერო თუ სასულიერო ხელისუფლება მეტ ყურადღებას უთმობს ათონის სავანეებს. ამ დროისათვის რუსეთის ხელისუფალთ შეუმუშავდათ აზრი, რომ ისინი იყვნენ ბერძნების მემკვიდრენი და მათ ევალებოდათ აღმოსავლეთში ქრისტიანობის დაცვა-მფარველობა. სწორედ ამის გამო დაეხმარნენ რუსთა მეფეები ივირონს 1584—1586 წლებში. მაგრამ ასეთმა ეპიზოდურმა დახმარებამ მდგომარეობა არსებითად ვერ შეცვალა. მას შემდეგ, რაც სულთან სელიმმა ათონის ყველა მონასტერს ჩამოართვა მამულები, ბერმონაზონთა მატერიალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე და აუტანელი გახდა. „დიდსა გაჭირვებასა და ვიწროებასა შინა“ იყო ქართველთა მონასტერიც, რომელიც „მრავალსა ვალსა შეეყენა აგარიანთაგან“. იგი ამჯერადაც საქართველოდან მისულმა შეწირულებამ იხსნა დიდი ვალისაგან.

XVII საუკუნიდან ათონელებს კვლავ ეხმარებოდნენ თანამემამულენი (თეიმურაზ პირველი, მარიამ დედოფალი, აშოთან მუხრანბატონი, გიორგი მეთერთმეტე და სხვ.),ივერთა მონასტერში გრძელდებოდა აღდგენით-აღმშენებლობითი სამუშაოები. იქ ხშირად მიდიოდნენ ქართველი პილიგრიმები (მაგალითად, 1622 წელს იქ იყო ტიმოთე იკორთელი, 1630 წელს — პავლე დორიაული, 1640 წელს —ელისე საგინაშვილი და სხვ.).

XVIII საუკუნეში ათონს ეწვია არაერთი მოღვაწე, რომელთაგან ზოგიერთმა აღწერა ქართველთა ძველი სავანე. სახელდობრ, 1701 წელს იქ იყო ი. კომნინი, 1709 წელს — ი. ვიშენსკი. პირველად 1725 წელს, ხოლო მეორედ 1744 წელს ათონის მთაზე იყო ცნობილი რუსი მოგზაური ვასილ გრიგოროვიჩ-ბარსკი (1701—1747), რომელმაც აღწერა იქაური მონასტრები, სათანადო ადგილი დაუთმო ივერთა მონასტერს — სხვადასხვა ხასიათის წყაროების გამოყენებით მიმოიხილა მისი ისტორია და ქართველთა აღმშენებლობითი საქმიანობა, აღტაცება გამოთქვა მთავარი ტაძრის მშვენიერების გამო, ყურადღებით გაიცნო ბიბლიოთეკა, რომელიც, მისი სიტყვით, უმდიდრესი იყო ათონზე.

XVIII საუკუნის შუა წლებში ათონზე რამდენჯერმე იყო გამოჩენილი მწერალი და მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი (გარდ. 1764 წ.). მან შეისწავლა ათონის სიძველენი, გამოიკითხა ზეპირი ტრადიციული ცნობები, გამოიყენა წერილობითი წყაროები, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქართულ მონასტერს (მატერიალური კულტურის ძეგლებს, ხელნაწერებს და ა. შ.), ვრცლად აღწერა დიდი ტაძარი, ხუროთმოძღვრებისა და ფერწერის ნიმუშები დაათვალიერა და შეაფასა ისტორიკოსის თვალით და ა. შ. მან დაგვიტოვა მოგზაურობის აღწერილობა — უაღრესად მნიშვნელოვანი თხზულება, რომელშიც უხვადაა მოცემული ავტორის შთაბეჭდილებანი, მეცნიერული დაკვირვებანი, ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის ცნობები.

ტ. გაბაშვილმა სწორად გაიგო და გაიაზრა ათონის კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობა, ათონელთა მიერ ეროვნული მწიგნობრობის განვითარებაში შეტანილი დიდი წვლილი. მისი სიტყვით, ათონის ქართველთა მონასტრის შემწეობით „განათლდა საქართველო წიგნთა თარგმანებითა“.

ტ. გაბაშვილმა შემოგვინახა მრავალი საინტერესო ცნობა ათონის ქართულ სავანესა და იქაურ სიძველეებზე, ქართველთა კულტურულ-აღმშენებლობითსა და მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობაზე. მისი თხზულება — „მიმოსლვა“, — რომელიც მხატვრულ-დოკუმენტური პროზისა და მეცნიერულ-ისტორიული ნაშრო-

მის შერწყმას წარმოადგენს, — ადგილზე მოპოვებული კონკრეტულ-ფაქტობრივი მასალით, საისტორიო წყაროებში დაძებნილი ცნობებით და განსწავლული მოგზაურის შთაბეჭდილებათა სიუხვით დღესაც ცხოველ ინტერესს იწვევს.

ათონზე ყოფნისას ტ. გაბაშვილი ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა. მოღწეულია „მიმოსლვის" უძველესი ავტოგრაფი, რომლის უდიდესი ნაწილი ათონზეა დაწერილი. იქვე დაუწერია ტ. გაბაშვილს ორი „სწავლა", აგრეთვე, „მიმოსლვის" ტექსტში ჩართული „იროიკო მთაწმიდისა და იამბიკო მსოფლიო", რომლის უკანასკნელი სტროფები თეიმურაზ მეორისა და ერეკლე მეორის ქებას წარმოადგენს.

XVIII საუკუნის 80-იან წლებში ათონზე იყო მწერალ-მოგზაური იონა გედევანიშვილი (1737—1621), რომელმაც საინტერესო ცნობები შემოგვინახა ქართულ სიძველეებზე. მისი სიტყვით, „მონასტერი ესე ივერიისა, რომელ არს საქართუელოსი, არს მშუენიერი და მდიდარი ყოველთა მთაწმიდისათა უმჯობესი".

XVIII საუკუნეში — საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარებისა და ეკონომიკური მდგომარეობის გამო — ქართველებმა ათონისადმი დახმარება შესამჩნევად შეამცირეს, მაგრამ, რასაკვირველია, სულ არ დაივიწყებიათ ძველი სავანე: ძღვენით, ყმა-მამულის შეწირვით, ძველი მამულების დამტკიცებითა და აღრინდელი უფლებების აღდგენით მას დაეხმარნენ თეიმურაზ მეორე (1746 წ.), სოლომონ პირველი (1757 წ.), ერეკლე მეორე (1769 წ., 1791 წ.) და ა. შ.

XIX საუკუნის დამდეგიდან ქართველთა მდგომარეობა ათონზე კიდევ უფრო გართულდა. მას შემდეგ, რაც ივერთა მონასტერმა დაკარგა მფარველ-შემწენი ქართველ მეფეთა სახით, ხოლო ქართულმა ეკლესიამ — დამოუკიდებლობა, ბერძნებმა ათონელი ქართველები უფრო მეტად შეავიწროვეს, სულ განდევნეს ძველი სავანიდან და მთლიანად დაეპატრონენ მას. ამიერიდან რუსეთი უნდა დახმარებოდა გაჭირვებაში ჩავარდნილ ქართველობას, მაგრამ დასავლეთის ამბებმა, მძაფრმა პოლიტიკურმა სიტუაციამ, სამამულო ომმა მისი ყურადღება ჩამოაშორა ათონს. ამით ისარგებლეს ბერძნებმა და მტკიცედ დამკვიდრდნენ ივერთა მონასტერში.

მალე ბერძნებსაც ცუდად წაუვიდათ საქმე. 1821—1830 წლებში ათონის ნახევარკუნძულს თურქები ფლობდნენ. ბერძნები, რომლებიც დასუსტებულ ქართველებს ამდენ ხანს ჯიქურ უტევდნენ, ახლა დაფრთხნენ და დაიფანტნენ, ხოლო ქართველთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი მოღვაწენი (ბესარიონ ქიტიშვილი, ილარიონ ყანჩიშვილი და სხვ.), რომლებიც არ შეუშინდნენ მოძალებულ მაჰმადიანებს, დარჩნენ მონასტერში, გაამხნევეს თანამოძმენი, ერთგვარი გავლენაც მოახდინეს თურქთა ჯარის უფროსზე ლაბუტ-ფაშაზე (რომელიც წარმოშობით ქართველი იყო), იხსნეს ივერთა სავანე და ზოგიერთი სხვა მონასტერიც.

თურქეთ-საბერძნეთის ომის დამთავრების შემდეგ ათონს კვლავ ბერძნები დაეპატრონენ (1830 წ.). ისინი დაბრუნდნენ ივერთა მონასტერში და თანდათან შეავიწროვეს ქართველთა მცირერიცხოვანი კრებული; ჯერ დიდი ტაძარი იგდეს ხელთ, ხოლო შემდეგ ქართველები სულ გამოაძევეს მონასტრიდან და საცხოვრებლად ილიას სავანე მიუჩინეს. ბ. ქიტიშვილი და მისი მოწაფენი იქ გადასახლდნენ, ხოლო ი. ყანჩიშვილი სულ განმარტოებით ცხოვრობდა („სამხოლოეში") და იქ განაგრძობდა მწიგნობრულ-ლიტერატურულ საქმიანობას. სხვათა შორის, 1836 წელს ი. ყანჩიშვილმა შეადგინა კატალოგი, — „ქართული წიგნების სახელები ივერიის მონასტერსა შინა

ქლებარეთა მთაწმიდას", — რომელშიც მოგვაწოდა ცნობები იქაურ ბიბლიოთეკაში დაცული რამდენიმე ათეული ქართული ხელნაწერის შესახებ. რადგან ათონის ქართულ ხელნაწერთა კოლექცია მძიმე მდგომარეობაში იყო, ბევრი ძვირფასი ხელნაწერი „მოშლილი და ჰიისაგან განრყუნილი და სიძველისაგან" დაზიანებული იყო და წაკითხვა ჰირდა, ი. ყანჩიშვილმა მხოლოდ ნაწილობრივ გაართვა თავი რთულ საქმეს, მაგრამ მისი კატალოგი მაინც მნიშვნელოვანი დოკუმენტია. ი. ყანჩიშვილი არსებითად პირველი მწიგნობარია, რომელმაც შედარებით სრული ცნობები შემოგვინახა ათონზე დაცულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაზე.

1845 და მომდევნო წლებში ივირონში რამდენჯერმე იყო რუსი მკვლევარი პორფირი უსპენსკი (1804—1885). მან შეკრიბა გადმოცემები, ძველ წყაროებში დაძებნა საყურადღებო ცნობები, შეისწავლა იქაურ ბიბლიოთეკაში დაცული მასალები, გამოავლინა ქართველთა მოღვაწეობის საინტერესო ფაქტები, მიმოიხილა ქართული სავანის ისტორია.

1849 წელს ათონზე იყო ისტორიკოსი პლატონ იოსელიანი (1809—1875). მან აღწერა ათონელთა იმდროინდელი მოღვაწეობა, შეისწავლა ქართული სიძველენი, ნაყოფიერად იმუშავა წიგნსაცავში. სახელდობრ, გაიცნო ბევრი ქართული ხელნაწერი, გადმოიწერა ზოგიერთი ძეგლი, შეადგინა აღწერილობა რამდენიმე ხელნაწერისა და ა. შ.

ათონის ქართველთა მონასტრის ხელნაწერთა კოლექცია ადრე ბედის ანაბარა იყო მიტოვებული. პ. იოსელიანმა მიმართა ხელისუფლების ორგანოებს და რამდენადმე გააუმჯობესებინა წიგნსაცავის მდგომარეობა.

პ. იოსელიანის მისვლამ ივერთა მონასტერში გამოაცოცხლა იქაური მოღვაწენი. მათ წერილობით მიმართეს სტუმარს და რუსეთის ელჩთან შუამდგომლობა და ისტორიული უფლებების დასაბუთება-დაბრუნება სთხოვეს. მაგრამ ქართველთა მდგომარეობა არც ამჯერად გამოსწორდა. იგი კიდევ უფრო მძიმე გახდა 60-იანი წლებიდან. თუ ადრე ათონელი ქართველები ულუფას ბერძნებსავით იღებდნენ, საქართველოდან მისულთ კრებულში ჩარიცხვა შეეძლოთ და სტუმრად მისულ ქართველ პილიგრიმებს საზრდო და სადგომიც ეძლეოდათ, ქართველ მოღვაწეთა მეთაურის ბ. ქიტიშვილის გარდაცვალების (1861 წ.) შემდეგ მდგომარეობა არსებითად შეიცვალა და საგრძნობლად გაუარესდა. ბერძნებმა იერიში გააძლიერეს, ქართველ პილიგრიმებს აღარ იღებდნენ და ძმობაში ქართველთა ჩარიცხვაც აკრძალეს. ბ. ქიტიშვილის დარჩენილ ოთხ მოწაფეს ნება დართეს გარდაცვალებამდე მონასტრიდან ულუფის მიღებისა, მაგრამ საერთოდ ქართველთა უფლებები ივერთა მონასტერზე საბოლოოდ უარყვეს. ამ დროს მივიდა იქ ვახტანგ ბარკალაია (1834—1911) და ბერად აღკვეცის სურვილი განაცხადა, მაგრამ უარით გამოისტუმრეს. საქართველოში დაბრუნებულმა მიიღო ბერობა (ბენედიქტეს სახელით), შეკრიბა შეწირულება და თორმეტი ბერის თანხლებით მიაშურა ათონს. იქ მან შეიძინა (1870 წ.) დანგრეული სავანე და მის აღდგენა-განახლებას შეუდგა, მაგრამ ბერძნების წინააღმდეგობას წააწყდა. ბერძნებმა უარი უთხრეს სამშენებლო მასალის მიყიდვაზე, სანახევროდ რესტავრირებული ტაძრის დანგრევაც კი დაუპირეს, მაგრამ ბ. ბარკალაიამ მიზანს მაინც მიაღწია — ივერთა მონასტრის ახლოს ქართველთა ახალი სავანე—იოანე ღვთისმეტყველის სავანე დააარსა და იქ შეკრიბა ათონის მთაზე მიმოფანტული ქართველობა.

ახალი სავანის წინამძღვარი ბ. ბარკალაია შემდეგაც აქტიურად მოქმედებდა — მიმართავდა რუს ხელისუფალთ და გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს და დახმარებას სთხოვდა, ბეჭდავდა წერი-

ლებს, რომლებშიც წარმოაჩენდა ქართველთა დამსახურებას ივერთა სავანის დაარსება-განვითარებაში, ამხელდა ბერძენ სამღვდელოპირთა მიმტაცებლობასა და ძალმომრეობას, ითხოვდა ქართველთა კანონიერი უფლებების აღდგენას, თანამემამულეებს მოუწოდებდა ენერგიული მოქმედებისა და ქართული მონასტრის დახსნისაკენ.

მიუხედავად ამისა, ქართველთა მდგომარეობა ათონზე კიდევ უფრო გაუარესდა. ბერძენთა მოძალება და ქართველთა შევიწროება ყოველგვარ ზღვარს გასცილდა. ქართველი საზოგადოებრიობისა თუ რუსეთის საერო და სასულიერო ხელისუფლების მხარდაჭერამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ბერძნები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და ქართველთა ნაკვალევის მოსპობა-განადგურებას შეუდგნენ. ერთი ათონური ხელნაწერის ცნობით, 1883 წელს „ბერძნებმა მონასტერში დახატული ქართველი მეფის და დედოფლების სახელი ამოხოცეს და ბერძნის დაწერეს, ვითამცა მათი მეფეები ყოფილიყოს. თორნიკეც ამოიღოცეს“.

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება ივირონის წიგნსაცავის გულდასმითი გაცნობა, ხელნაწერთა კოლექციის მეცნიერული შესწავლა და ქართული მასალების გამოვლენა. პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ქართული წერილობითი ძეგლების თავდადებული მოპირნახულე პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი (1844—1929), რომელიც 1883 წელს ეწვია ათონს. მან განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინა ათონის ქართული ხელნაწერებისადმი, რომელიც დიდი გულისყურით გაიცნო, შეისწავლა და აღწერა. მის მიერ შედგენილი კატალოგი ივირონის ქართული ხელნაწერებისა ათონის ქართულ ხელნაწერთა პირველი მეცნიერული აღწერილობაა. ა. ცაგარელმა გამოავლინა ორიგინალური და თარგმნილი თხზულებანი, ავტორები და მთარგმნელები, კალიგრაფები და მკაზმაეები, დაახასიათა და წარმოაჩინა ათონის როლი ქართული კულტურის ისტორიაში.

მომდევნო ხანაში რამდენიმე ქართველმა მეცნიერმა გაიცნო ათონის ქართული ხელნაწერები. სახელდობრ, ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ (1888 წ.), აკადემიკოსმა ნიკო მარმა (1898 წ.), პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა (1902 წ.).

დ. ბაქრაძემ (1826—1890) გამოავლინა ზოგიერთი უცნობი ხელნაწერი, ნ. მარმა (1864—1934) შეადგინა რამდენიმე ხელნაწერის დეტალური აღწერილობა და გამოსცა ათონურ ხელნაწერებში შემონახული თხზულებანი, ა. ხახანაშვილმა (1866—1912) დაამზადებინა იქაურ ხელნაწერთა პირები, რომელთა საფუძველზე გამოაქვეყნა არაერთი ძველი ტექსტი.

XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის პირველ წლებში ათონს კვლავ ნახულობდნენ ქართველი პილიგრიმები, იქ კვლავ ამრავლებდნენ ხელნაწერებს ქართველი მწიგნობრები.

1899 წლის ივნის-ივლისში ათონზე იყო პეტრე კონჭოშვილი (1836—1909), რომელმაც ვრცლად აღწერა ივირონი, ყურადღება დაუთმო ახალ სავანეს—იოანე ღვთისმეტყველის სახელზე აგებულ ტაძარსა და იქაურ მოღვაწეებს. მან ჩაიწერა გადმოცემები ათონზე, მოგვაწოდა ცნობები ათონის ძირინდელ ისტორიაზე, ქართველ ქტიტორთა და მწიგნობართა საქმიანობაზე, იქაურ წიგნსაცავზე, გამოთქვა გულისწყრომა ბერძენთა ძალმომრეობის გამო („ყოველგან მოუსპიათ ნაშთნი და კვალნი ქართველთა მამათა აქ მოღვაწეობისა“. „მაგიერ ჩვენის დიდებულის სპასპეტის თორნიკისა მოსჩანს ახლა ნიკიფორე, ბერძენთა კეისარი“).

პ. კონჭოშვილის ათონზე ყოფნისა და მომდევნო პერიოდში იოანე ღვთისმეტყველის სავანეში ნაყოფიერად მუშაობდა და გულმოდგინედ ამრავლებდა ხელნაწერებს ალექსი ბაქრაძე. ოდნავ გვი-

ან იქვე ამზადებდნენ ახალ ნუსხებს ილია ფანცულაია, პიმენ ასათიანი და სხვ. პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის შემდეგ ქართველი მოღვაწენი იოანე ღვთისმეტყველის სავანიდანაც გამოაძევეს.

1931 წელს ათონის სიძველენი გაიცნო, ქართულ ხელნაწერთა კოლექცია საფუძვლიანად შეისწავლა და ვრცლად აღწერა ამერიკელმა ქართველოლოგმა, პროფესორმა რობერტ ბლეიკმა (1886—1950), რომელმაც თავისი კატალოგი ფრანგულად დაბეჭდა პარიზში. ამ კატალოგის გამოქვეყნება ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ჩვენს კულტურულ-მეცნიერულ ცხოვრებაში — გამოვლინდა არაერთი მთარგმნელი და კალიგრაფი, ცნობილი გახდა ბევრი ძვირფასი ხელნაწერი.

1972 წელს საბერძნეთის მთავრობამ გააუქმა ათონის მთის ათასწლოვანი ავტონომია და იგი თავის ინტერესებს დაუმორჩილა. რამდენიმე წლის შემდეგ — საბერძნეთში სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის შედეგად — ათონი კვლავ ავტონომიურ სამონასტრო რესპუბლიკად იქცა.

უკანასკნელ ხანს საბჭოთა კავშირსა და საბერძნეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარდა, რის შედეგად ქართველ და ბერძენ მოღვაწეთა მეცნიერულ-ლიტერატურული თანამშრომლობის კონტურებიც მოიხაზა. გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა ათონის ივერთა მონასტრის ქართულ სიძველეთა შესასწავლად.

1977 წელს საქართველოს სატელევიზიო ფილმების სტუდიის კინოექსპედიციამ (რეჟისორი გურამ პატარაია, ოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი) გაიცნო ათონის ქართული სიძველენი და გადაიღო სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი, რომლითაც ქართველმა საზოგადოებრიობამ ნათლად გაიგო, თუ რა ერთავენული საგანძური ინახება ათონის მთაზე.

1979 წელს ათონს ეწვია პროფესორი ალექსანდრე ალექსიძე, რომელმაც ბერძენ კოლეგებთან ერთად განიხილა ქართულ ხელნაწერთა საფუძვლიანი შესწავლისა და მიკროფილმირების შესაძლებლობანი. მანვე მოგვცა ივირონის მოკლე აღწერილობა, რომელსაც, ვითარცა ბოლოდროინდელ ცნობას, შემოკლებული სახით აქვე ვიმოწმებთ: „საუკუნეთა მანძილზე მტერთაგან დაცვის საჭიროებამ ივერთა მონასტერი გარეგნულად ციხესიმაგრეს დაამსგავსა. პირველი, რასაც ხედავთ ივირონთან მიახლოებისას, არის ნავსაყუდელთან აზიდული საგუშაგო კოშკის და სათოფურებიანი ნაგებობის ნანგრევები.

ივირონის ციტადელი ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ოთხკუთხედი გალავანი მის კედლებში მოთავსებული ოთახებითა და სენაკებით, გარედან გადმოკიდებული, ვაზის ფოთლებით დაჩრდილული აივნებით. გალავნის შიგნით, მწვანე ბალახით დაფარულ ფართო ეზოში განლაგებულია მთავარი ნაგებობანი, მათ შორის ფუძემდებელთადროინდელი ღვთისმშობლის მიძინებისა და იოანე ნათლისმცემლის ტაძრები. XVI საუკუნეში ქაიხოსრო და მზეჭაბუკ ათაბაგების მიერ აგებული პატარა ეკლესია ღვთისმშობლის ცნობილი ხატისათვის.

არქიტექტურა, განსაკუთრებით ცენტრალური, ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა მეტად ეკლექტურია, დამძიმებული სხვადასხვა საკულტო და ესთეტიკური მოტივით ნაკარნახევი, მიშენებული და დაშენებული ნაწილებით.

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი გარდაქმნებისა, პროფესიული არქიტექტურული ანალიზის შედეგად უთუოდ შესაძლოა ნაგებო-

ზათა პირვანდელი გეგმის, ადრინდელი ფენებისა და დეტალების გამოვლენა. ასეთი ელემენტები უთუოდ მოჩანს ორივე ტაძრის მოზაიკაში, კედლის ჩუქურთმებიან ფილებში, მარმარილოს სვეტთა ორნამენტებში".

უკანასკნელ წლებში ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვასა და შესწავლას. რესპუბლიკაში გაშლილი მრავალმხრივი მუშაობა და ჩვენი წარსულით საერთო-სახალხო დაინტერესება გვიმტკიცებს რწმენას, რომ ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების, კერძოდ, ათონის ივერთა მონასტრის სიძველეებზე ზრუნვა და მისი შესწავლა საპატიო ადგილს დაიჭერს ქართველი სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოებრიობის საქმიანობაში. ივირონის, — ამ უდიდესი სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მწიგნობრულ-ლიტერატურული კერის, — კომპლექსური შესწავლა ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა. ვიმედოვნებთ, ათონის ქართული სავანის ხელნაწერთა კოლექცია, რომლის მიკროფილმები ახლახან მიიღო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, დიდად შეუწყობს ხელს ამ ამოცანის გადაჭრას.

მე კი, ჩემის მხრივ, მსურს დავუმატო შემდეგი: ივერიონის ქართული მონასტერი ისევ უნდა გახდეს საქართველოს ეკლესიის, ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წირვა-ლოცვის კერად, როგორც ეს იყო საუკუნეების განმავლობაში; და ამაში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ და კათოლიკოს-პატრიარქმა.

ქართული კულტურის კერა ათონზე 5
Очаг грузинской культуры на Афоне 30
Seat of Georgian Culture on Athos 37

In 1977 a filming expedition (director: G. Pataraia, cameraman: I. Onoprishvili) of the Georgian Television Film Studio visited Mount Athos and made a TV documentary film of its Georgian antiquities, clearly showing the Georgian public the national treasure-house preserved on the mountain.

Recently the state and political situation in Greece has changed and the relations between our two countries have improved. Antecedents have been created for the cooperation of Greek and Soviet researchers. Steps have been taken towards studying the Georgian antiquities of the Iviron monastery on Mount Athos.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

ჩვენს ამ რადიოდოკუმენტაციაში, პატივცემულო მსმენელებო, კიდევ გაგაცნობთ სხვა ავტორთა აზრებს ათონის მთისა და ამით ივერიონის მონასტრის შესახებ. მაგრამ ახლა მოვისმინოთ ჩემი ჩანაწერი მაგ-ნეგნეტოფონის ფირზე - ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქ კარიაში:

(ფ ი რ ი............)

ლაპარაკობს დავით თაბორიძე კარიადან, ე.ი. ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქიდან;

დღეს არის, პატივცემულო მსმენელებო, 1981 წლის 23 აგვისტო,

თქვენ გესმით, ალბათ, მოტორის ხმა, და ეს არის ტრაქტორი, რომელსაც ორი ბერი ამუშავებს და ეხლა უდგებიან გზას სამუშაოდ.

დღეს დილით, პატივცემულო მსმენელებო, შვიდ საათზე გამოვედი ჩემს სასტუმროდან და ავედი ნავზე, რომელიც ურანოპოლისიდან მოდიოდა აქეთ, ათონის მთისაკენ; როგორც აღვნიშნე, პატივცემულო მსმენელებო, როდესაც მე ათონის მთაზე ვიყავი 15 წლის წინათ, მაშინ ერთად-ერთი ავტობუსი არსებობდა ათონის მთაზე, რომელიც ნავსადგურ დაფნიდან ადიოდა მთავარ ქალაქ კარიეში, დღეს კი ამ მხრივ, ე.ი. 15 წლის შემდეგ, მთელ ათონის მთაზე მდგ-მარეობა იმდენათ შეცვლილია, რომ აქ უკვე არსებობს არა ერთი და ორი ავტობუსი, რომელიც მოძრაობს დაფნისა და კარიეს შორის, არამედ აგრეთვე საზარგო მანქანები და ტრაქტორები, რომელიც თქვენ ეხლა მოისმინეთ, ერთი ტრაქტორის ამუშავება და რომელიც უკვე ბერებმა წაიყვანეს სამუშაოდ მინდორში. ამით იმის თქმა მსურდა, რომ ათონის წმინდა მთაზე უკვე შემოიჭრა ტეხნიკა, თუმცა მაინც შეზღუდული ფორმით, ასფალტირებული გზები საერთოდ არ არის და დაფნიდან კარიეში მისვლა, სულ რაღაც 10 კილომეტრი გზა, გრძელდება ნახევარი საათი, ეს ორღო-ჩორღო გზებია, რომელიც ავტომობილებისათვის გამოუსადეგარია, მაგრამ ღრმთაგანმავლობაში ეს, ალბათ, შეიცვლება, ვინაიდან 15 წლის წინად ვერავინ ვერ იფიქრებდა, რომ აქ იქნებოდა რამდენიმე მსუბუქი მანქანები, ტრაქტორებიც და სხვა მოწყობილობა, მაგრამ, როგორც ჩანს, ტეხნიკის შეჭრება საზღვრებს დღეს აღარ შეუძლია, მიუთუმეტეს, რომ აქ სოფლის მეურნეობა მთავარი წყაროა ამ წმინდა მთის არსებობისა და, როგორც სჩანს, ამ მუშაობაში დიდ ტეხნიკის გამოყენება, პირველყოვლისა ტრაქტორებისა. ეხლა ჩვენს ჩაიარა საზარგო ავტომობილმა, რომელიც ეკუთვნის ათონის მთას, და გაემგზავრა იმ მიმართულებით, საითაც მე უნდა წავიდე, ე.ი. იმ გზაზე, რომელიც მიემართება ივერიონის მიმართულებით, კარიედან ივერიონამდე მე მივდივარ ფეხით, ვინაიდან ავტომობილი-ავტობუსი, რომლითაც შეიძლება იქ მისვლა, არის დღეში ერთხელ და ისიც დილით. მე ამ პირველ ავტობუსს ვერ მოვასწარი, აქ ღამის გათევება არ მინდა, და ვცდილობ დღესვე მივიდე ჩვენს ივერიონის მონასტერში.

## კარიადან "ივერიონის" მონასტრამდე

XXXXV.

წინა გვერდებში,-

გავეცანი რა ბერძენი ავტორების ზოგიერთ წიგნებს, ბროშურებს თუ დასურათებულ ალბომებს ათონის წმინდა მთის და განსაკუთრებით "ივერიონის" მონასტრის წარსულისა და აწმყოს, და-ბოლოს მოვიგონეთ·რა ქართული მასალებიც ამ წმინდა ადგილის შესახებ, - ვფიქრობ, ახლა დროა გავუდგეთ გზას ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქ კარიადან ქართულ მონასტერ "ივერიონისაკენ". როგორც აღვნიშნე, ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქ კარიადან დილის 7 საათზე და ავტობუსი მიდის "ივერიონის" მონასტერში, შემდეგ ბრუნდება კარიაში, შემდეგ კარიადან მიდის ათონის წმინდა მთის ნავსადგურ დაფნიში და დაფნიდან ისევ ბრუნდება კარიაში. ამგვარად, ავტობუსი კარიადან "ივერიონის" მონასტერში მიდის მხოლოდ ერთხელ, დილის 7-დ საათზე და ისევ ბრუნდება კარიაში. მე კი ფეხით წასვლა ვამჯობინე კარიდან"ივერიონის" მონასტერში 1981-ი წლის 24-ს აგვისტოს ნაშუადღევს არა მარტო იმიტომ, რომ მეორე დღემდე,ე.ი.25-თ აგვისტო დილამდე ავტობუსისათვის მოცდა და ამით დროს დაკარგვა არ მინდოდა კარიაში, არამედ იმიტომაც, რომ მინდოდა ნელნელა ფეხით მივსულიყავი ჩვენს ამ ქართულ მონასტერში, წყნარად, ყოველგვარი ავტობუსის ხმაურის გარეშე; მით უმეტეს, რომ ათონის მთაზე ფეხით სიარული, აქ არსებული თვალწარმტაცი ბუნებისა და სიწყნარის გამო, მართლაც დიდი სიამოვნებაა.

გავუდექი რა უასფალტო,ავტობუსისათვის,თითქოს, სახელდახელოთ გაყვანილ მტვერიან გზას, მართლაც რომ ვიგრძენი"მარტოობა ბუნებაში"; ასეთ პირობებში მართლაც რომ იტყვიან ხოლმე -"არსაიდან ხმა, არსაც მახილი": მხოლოდ ჩიტების გალობა და ჩხივილი გაისმოდა ამ სამოთხისებურ ბუნებაში. გზა-და-გზა ვნახე რამდენიმე მიტოვებული ნაგებობა სამლოცველო-ეკლესიებით,სადაც,როგორც ჩანს, ერთ დროს ბერები ცხოვრობდნენ,მაგრამ დღეს უკვე მიტოვებულია. აქა-იქ კი ანალოგიური ტიპის ნაგებობებიც გამოჩნდა ,რომლებიც კარგადაა მოვლილი

ბაღებითურთ,რაც მოწმობს , რომ აქ ბერები დღესაც ცხოვრობენ, თუმცა          ფეხით სიარულის დროს-კარიადან "ივერიონის" მონასტრამდე ერთი ბერიც-კი არ მინახავს; ვფიქრობ, იმიტომ, რომ ნასადილევი იყო და,ალბათ, ამ დროს ბერები აქ ისვენებენ.

ამასობაში გავიდა საათზე მეტი დრო;დავიღალე, და ერთ ბერის ეზოში შესასვლელ ჭიშკართან,რომელიც მეტად გემოვნებით იყო მორთული და ჭიშკრის გვერდზე ერთი გრძელი დასაჯდომი სკამიც იდგა, უთუოთ, მგზავრთათვის,—გავჩერდი,მოვიხსენი ჩემი,ასე ვთქვათ, "აპარატურა" - მაგნეტოფონი,ფოტოაპარატი,შტატივი, - და "ხვირჯინი" და დავაწყვე ამ სკამზე, და დასვენებისას ისევ გადავხედე ათონის წმინდა მთის რუკას, საიდანაც დავინახე, რომ ნახევარი გზა "ივერიონის" მონასტრამდე უკვე          გავლილი მქონდა.

არ გასულა დიდი ხანი  და გზაში გამოჩნდა ერთი შუახნის, ქერა კაცი,რომელიც ჩემი მიმართულებით მიდიოდა; დამიახლოვდა თუ არა, როგორც აქ,ათონის მთაზეა წესი, მომესალმა          ინგლისურად; მეც მივესალმე და ასე გავაბით საუბარი: ისიც "ივერიონის" მონასტერში მიდიოდა.მისი მეტად სუსტი ინგლისურის გამოთქმაზე შევატყვე, რომ რუსი უნდა ყოფილიყო, და როცა რუსულად შევეკითხე -"რუსი ხომ არ ხარ მეთქი", - მან სიხარულით შეიყვირა და დამიწყო ლაპარაკი, რომ ის რუმინეთიდანაა და ათონის მთაზე ჩამოვიდა ამ წმინდა ადგილის დასათვალიერებლად. მეც ვუთხარი, რომ მე ქართველი ვარ და მივდივარ "ივერიონის" მონასტერში,რომელიც,არსებითად, ქართული მონასტერია, მაგრამ დღეს იქ ქართველი ბერები არ ცხოვრობენ მეთქი. მან,როგორც მითხრა, "ივერიონის" ამგვარი ისტორიის არაფერი არ იცოდა, მაგრამ მითხრა ერთად წავიდეთო!.. მე კი თავაზიანად, მიხვეულ-მოხვეულად არ დავეთანხმე,ვინაიდან მე მარტო მინდოდა მგზავრობა;და ამას გარდა გამიკვირდა: როგორ  მოახერხა რუსმა,ისიც რუმინეთიდან,საიდანაც თითქმის არავის არ უშვებენ უცხოეთში, წამოსულიყო ოფიციალურად ათონის მთაზე!?.. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ათონის წმინდა

დაახლოებით 30-ამდე რუმინელი ბერია სხვადასხვა მონასტერში, თუმცა რუმინელებს თავიანთი მონასტერი ამ წმინდა ადგილას არასოდეს არ ჰქონიათ. ასე იყო თუ ისე, თავაზიანად ვუპასუხე, რომ მე კიდევ დიდხანს დავისვენებ აქ, და რომ ჩვენ კიდევ შევხდებით ერთმანეთს ამ მოგზაურობის დროს მეთქი. მან გაიგო ჩემი სურვილი,დამემშვიდობა "ნახვამდისო" და გაუდგა გზას. მე კი,მართლაც, დიდხანს დავრჩი ამ მშვენიერ ადგილას; გადავიღე ფოტოსურათები,ჩემი ხმაც ჩავწერე მაგნეტოფონის ფირზეც:

(ფ ი რ ი.......................)
==============================

დაპარაკობს დაჭით თაზორიძე ათონის წმინდა მთიდან

მე ეხლა ვარ,პატივცემულო მსმენელებო,გზაში ჩვენს ივერიონის მონასტრისაკენ, უნდა ავღნიშნო,რომ გზა ასფალტით მოვლებული არ არის, მაგრამ გაცილებით უკეთესად არის გაკეთებული'ვიდრე იყო ამ 15 წლის წინად,ე.ი. 1967 წლის იანვარში,როდესაც მე აქ პირველად აქ ვიყავი; ამ 15 წლის განმავლობაში,როგორც ავღნიშნე,ის ცვლილება მომხდარი ათონის მთაზე, რომ თანდათანობით შემოჭრილია,ასე ვთქვათ,მანქანები. აქ საავტომობილო გზა უკვე გადის დაფნიდან კარიემდე,იქიდან შემდეგ ივერიონამდე; გზა, როგორც ავღნიშნე, არ არის ასფალტირებული, მაგრამ მაინც ფართე გზა არის. შევნიშნე,რომ ათონის მთაზე დღეს მრავალი ავტომანქანა, ტრაქტორი და მსუბუქი მანქანაცაა,რომელნიც ცალკეული მონასტრების განკარგულებაშია, ე.ი. ის ხრული იზოლაცია,რომელიც არსებობდა ამ 15 წლის წინად,დღეს უკვე ტეხნიკამ გაარღვია იმდენად,რომ მანქანებს იყენებენ სოფლის მეურნეობაში და სხვა სატრანსპორტო საშუალებათ.

ამის შემდეგ ისევ ავიკარი ჩემი ზარგი, გავიარე დაახლოებით ეს უკანასკნელი ორასი-თუ-სამასი მეტრი გზაც და მივედი "ივერიონის" ნავსადგურის კოშკთან, საიდანაც გამოჩნდა "ივერიონის" მონასტრის მთელი გარემო - მარჯვნივ ეს უშველებელი მონასტერი დიდი ეზოთი, რომელიც მიდის ზღვის პირამდე, სადაც - ზღვისპირის გასწვრივ - გზაა და თვით ზღვაში იჭრება "ივერიონის" ნავსადგურის ერთი, საკმაოდ ფართო რკინაბეტონის ნავთა მისადგომი. აქვე აგრეთვე ლამაზად დაწყობილი ხეების გროვა, რომელზედაც დავაწყვე ჩემი ზარგი, და - ვტკბებოდი აქაური შესანიშნავი ბუნებრივი სიმშვენიერით, შესანიშნავი ნაგებობებით, - ხურათების გადაღების შემდეგ, მაგნეტოფონის ფირზე ჩავწერე შემდეგი:

(ფ ი რ ი..................)

---

დაპარაკობს დაჭით თაზორიძე ათონის წმინდა მთიდან!..

ეს ეს არის, პატივცემულო მსმენელებო, მოვედი ფეხით ივერიონის ქართულ მონასტერთან, ათონის მთაზე; დღეს არის 1981 წლის 23 აგვისტო, და დღეს მოვედი მე აქ იმისათვის, რომ ვნახო, დავათვალიერო ჩვენი ეს ქართული კულტურის ცენტრი ამ მონასტრის დაარსებიდან ათასი-წლის თავთან დაკავშირებით; როგორც ცნობილია, ივერიონის მონასტერი დაარსებულ იქნა ცხრაას ოთხმოც წელს და მისი, ახეკრქვათ, აგება-აშენება გაგრძელდა 980-დან 983-მ წლამდე; ე.ი. ეხლა არის ივერიონის დაარსებიდან ათასი-წლის-თავი; და, გასაგებია, რომ ეს მნიშვნელოვანი თარიღი მესაფერის შთაგონებით და მშანაარსიანსით გვსურს აღვნიშნოთ. მე როგორც მოგახსენეთ აქ ვიყავი, ე.ი. ივერიონის მონასტერი ვინახულე 1967 იანვარში, დაახლოებით 15 წლის წინათ.

ამის შემდეგ, პატივცემულო მსმენელებო, გავისეირნე ივერიონის მონასტრის ზღვისპირას და ამ შესანიშნავ ბუნებრივ ხიმშვენიერეში, ისევ ჩამოვჯექი ლამაზად დაწყობილ ხის მორების გროვაზე. აი ჩემი მაშინდელი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე:

(ფ ი რ ი.............)

## ლაპარაკობს დავით თაბორიძე ათონის წმინდა მთიდან

დღეს არის, პატივცემულო მსმენელებო, 1981 წლის 23 აგვისტო, ნაშუადღევის ორი საათი და ოცდაათი წუთი, და ეს-ეს-არის მე მე ჩამოვედი ათონის მთის მთავარ ქალაქიდან—კარიადან-ფეხით ქართულ ივერიონის მონასტერში, რაც გაგრძელდა დაახლოებით ორსაათ-ნახევარი; გზები, როგორც ავღნიშნე, ახფალტით მოვლებული არ არის, მაგრამ შედარებით უკეთესია ვიდრე იყო ამ თხუთმეტი წლის წინათ, როდესაც მე აქ ვიყავი პირველად; ეს იყო 1967 წლის იანვარი. გზების შეკეთებასთან დაკავშირებით, საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ათონის მთაზე მაშინ, ე.ი. 15 წლის წინათ, მხოლოდ ერთი ძველთაძველი ავტობუსი მიმოდიოდა ათონის მთის ნავსადგურ დაფნისა და ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიას შორის; დღეს უკვე დავინახე რამოდენიმე ავტობუსი, უფრო მოდერნული, უფრო კომფორტაბელური; მაგრამ ამავე დროს დავინახე ტრაქტორები, საბარგო ავტომობილები, და დავინახე აგრეთვე მსუბუქი ავტომანქანებიც, რაც იმას მოწმობს, რომ ტექნიკა თანდათანობით შემოდის ათონის მთაზედაც, მიუხედავათ რომ ათონის მთის მართველობა, წმინდა მართველობა ცდილობს შენარჩუნებული იქნას ამ მთის ძირითადი დანიშნულება: იყოს ლოცვისა და ვედრების წმინდა მთა და არ გახდეს, ახევთქვათ, ტურიზმის, მასობრივი ტურიზმის მსხვერპლი ეს უკვე ათასწლოვანი ტრადიციული ღვთისმსახურების ადგილი.

მე ვარ ეხლა, პატივცემულო მსმენელებო, ივერიონის მონასტერთან, ჩრდილოეთით, და აქიდან მოსჩანს ჩვენი მონასტრის ერთი ნაწილი, დანარჩენი კი მოფარებულია გორის მეორე მხარეს; აქიდან მოსჩანს აგრეთვე რამოდენიმე შენობა, აგრეთვე ივერიონის მონასტრის კოშკი, და მოსჩანს აგრეთვე ერთი ეკლესია, რომელიც ივერიონის მონასტრიდან მარცხნითაა განლაგებული; აგრეთვე აქიდან გზა მიემართება წმინდა მთის სამხრეთით, სადაც განლაგებულია, როგორც ცნობილია, ყველაზე უფრო ძველი მონასტერი ათონის მთაზე დიდი ლავრა; გასაგებია, პატივცემულო მსმენელებო, რომ ჩემი აღელვება, ახევთქვათ, ჩემი ცნობის მოყვარეობა მეტად დიდია განსაკუთრებით იმიტომ, რომ მიმდინარე 1981 წელს სრულდება ათასი წელი მას შემდეგ, რაც დაარსებული იქნა ათონის ივერიონის ქართული მონასტერი. როგორც ცნობილია მონასტრის მშენებლობა დაიწყო 980 წელს და დამთავრდა 983 წელს, ე.ი. სამი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ ჩვენი ქართული კულტურის ცენტრის ივერიონის ქართული მონასტრის მშენებლობა. მაშ, პატივცემულო მსმენელებო, მივიდეთ და შევიდეთ ამ მონასტერში, და შევეცდები გაგაცნოთ მისი დღევანდელი მდგომარეობა ჩემი მიკროფონით.

სანამ ივერიონის მონასტრის შინა-ეზოსაკენ წავიდოდი, პატივცემულო მსმენელებო, ისევ გადავშალე ქართული მასალები ივერიონის მონასტრის შესახებ,სანამ შევიდოდი ამ ჩვენს მონასტერში.
აქ ისა[illegible] [illegible]ითხულობთ:

**ა თ ო ნ ი ს  წ მ ი ნ დ ა  მ თ ა:**

*Hagion Oros*

ქალკედონის სამ-ნახევარკუნძულთა აღმოსავლეთი ნახევარკუნძული,რომლის სიგრძეა 45-ი კილომეტრი,სიგანე კი 10-ი კილომეტრი, იწოდება ათონის მთად,ვინაიდან ამ ნახევარკუნძულზეა 2033-ი მეტრის სიმაღლის ათონის მთა. მაგრამ ოფიციალურად ამ ნახევარკუნძულს ეწოდება "წმიდა მთა"= "აიონ ოროს=*Hagion Oros* ესაა ამ ნახევარკუნძულის ოფიციალური სახელწოდება,რომელიც მას მიანიჭა ბიზანტიის="ახალი რომის"=რომა ნოვას=*Roma Nova*=კეისარმა კონსტანტინე IX-მ 1046 წელს.

ძველად ათონის მთას ეწოდებოდა ა ქ ტ ე,რომლის ყველაზე უფრო ვიწრო ყელში სპარსეთის მბრძანებელს - ქსერქსეს - ძველი სტილის 480 წელს საბერძნეთის წინააღმდეგ გამოლაშქრებამდე არხი გაუჭრია, რომლის კვალი დღემდეა შემორჩენილი.

მე-7 - მე-8 საუკუნეებში ნახევარკუნძულ აქტეზე,ე.ი.ათონის მთაზე დაწყებულა განდეგილების და შემდეგ მონაზონთა დამკვიდრება და სამონასტრო მშენებლობა. როგორც "ქართული საბჭოთა ენციკლოპედია" წერს, "მე-8 საუკუნის ბოლოს ქართველ მონაზვნებს ათონის მთაზე მცირე სავანე - "ა თ ო" - დაუფუძნებიათ".
შემდეგ,არაბთა თავდასხმების შედეგად, ათონის მთა რამდენჯერმე გაუკაცრიელებულა. მე-10 საუკუნეში პირველი დიდი მონასტერი "მეგისტის ლავრას"=*Megistis Lavras*="დიდი ლავრა" დაარსა და ააგო ათანასე ათონელმა ათონის მთის სამხრეთ ნაწილში, 963-მ წელს.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ათანასე ათონელი იყო ბიზანტიის მაშინდელი კეისრის ნიკეფოროს ფოკასის პირადი მეგობარი და მისი ფინანსიური დახმარების გარეშე,საეჭვოა, რომ შეხძლებოდა "დიდი ლავრას" მონასტრის აგება ათანასე ათონელი. შემდეგშიაც დიდ დახმა-

[რებას უწევდნენ ბიზანტიის კეისრები და სხვა მართლმადიდებელი ქვეყნების მმართველნი ბერებს ათონის მთაზე.

ათანასე ათონელის დროსვე ათონის მთაზე დაარსდა მონასტერი ვატოპედი და ათონის ივერიონის მონასტერი. ბერძნებსა და ქართველებს გარდა ათონის მთაზე მონასტრები ააშენეს სერბებმა, სახელწოდებით "ხილანდარი", ბულგარელებმა "ზოგრაფუ", რუსებმა "როსიკონი", და სხვა.

მართალია, როგორც ცნობილია, ბიზანტიის კეისარი ნიკეფოროს ფოკას მოკლა იოანე ციმისხემ, რომელიც შემდეგ კეისარი გახდა, მაგრამ მან ათონის მთა ოფიციალურად დამოუკიდებელ თეოკრატიულ რესპუბლიკად გამოაცხადა და დაუქვემდებარა პირდაპირ ბიზანტიის კეისარს. ეს პირველი თვით იოანე ციმისხეს მიერ ხელმოწერილი კონსტიტუცია ინახება დღეს ათონის წმინდა მთის რესპუბლიკის მთავარ ქალაქ კარიასში, რომელიც არის აგრეთვე ათონის მთის მმართველობის ცენტრი.
მე-15 საუკუნეში ათონის მთაზე უკვე იყო 30-ი მონასტერი და დაახლოებით 30.000-სი ბერი; 1961 წელს კი ათონის მთაზე იყო 20-ი მონასტერი სულ 2.687-ი მცხოვრებით.

ბიზანტიის იმპერიის დამხობის პერიოდში, განსაკუთრებით თესალონიკეს დაცემის შემდეგ 1430 წელს, ათონის მთა დაიპყრეს ოსმალებმა და დააუწესეს ყოველწლიური გადასახადი, მაგრამ მონასტრებს თვითმართველობა და კულტის თავისუფლება მიანიჭეს.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ათონის მთა საბერძნეთის შემადგენლობაში შევიდა, ხოლო ათონის მონასტრებზე უმაღლესი იურისდიქციის უფლება კონსტანტინოპოლის პატრიარქის ხელშია. ათონის მონასტრებს და ამით ამ თეისტურ რესპუბლიკას მართავს იქმდებარე ოცი მონასტრის ოცი წარმომადგენელი, რომელიც წარმოადგენს საბჭოს. აღმასრულებელი ხელისუფლება კი ეკუთვნის მორიგეობით არჩეულ საბჭოს 4-ს წევრს და კრების თავჯდომარეს პროტოსს (Prótos), რომლის ადგილსამყოფელია, როგორც ავღნიშნე, ათონის წმინდა მთის მთავარი ქალაქი კარიასი = Kariai]

## წ ე ს ე ბ ი

მეტად მკაცრია წესები, რომელთა საფუძველზე ცხოვრობენ ბერები ათონის წმინდა მთაზე. ყოველ ბერს მოეთხოვება სიღარიბეში ცხოვრება, უმანკოება, მორჩილება და სიმტკიცე. აგრეთვე ხორცის ჭამა იყო აკრძალული. თვით წმინდა მთაზე კი მისვლის უფლება არ ჰქონდა - როგორც ნათქვამია - "ყოველ ქალს, ყოველ ბავშვს, ყოველი სახის დედრობითი სქესის ცხოველს, ყოველ საჭურისს და ყოველ ქოსა სახეს". დღესდღეობით კი ათონის მთაზე ზოგიერთ მონასტერში ბედავენ დედლების ყოლას. ამავე დროს უკვე ძალაში არ არის ათონის მთაზე მისვლის აკრძალვა ქოსა მამაკაცებისათვის.

უკვე მე-10 საუკუნედანვე აირჩიეს ბერებმა ათონის ცენტრალურ ადგილას მდებარე სავანე კარიასი ამ თეისტური რესპუბლიკის მმართველობის ცენტრად. მართველობის წესი თითქმის დემოკრატიული იყო და დღესაც არის: ყოველი დიდი მონასტერი, და ასეთია ახლა ათონის მთავზე 20-ი, - გზავნის კარიასში ერთ წარმომადგენელს; ეს უხუცესთა საბჭო,როგორც ავღნიშნე, ირჩევს საბჭოს,რომელიც შესდგება 4-ი კაცისაგან "პროტოსის" თავჯდომარეობით.

თვით მონასტრებს კი გააჩნიათ ორი სახის სოციალური ფორმები: "კოინობიტური" და "იდიორითმული" სახეები, რომელთაგან პირველი უფრო ძველია. "Koinobitisches" – Idiorhythmisches" Kloster.

"კოინობიტური" ცხოვრების წესი შემოღებულ იქნა მე-10 საუკუნიდან და მოითხოვს, რომ ყველაფერი უნდა იქნას გაყოფილი ბერებს შორის. "იდიორითმული" ცხოვრების წესი კი შემოღებულ იქნა მე-14 საუკუნეში, რომელიც უფრო ინდივიდუალურია,ვინაიდან ამ წესით ბერები არ უნდა გამოცხადდენ ყოველ,მეტად მჭლე სადილზე; შეუძლიათ საკუთარი კერა გააჩნდეთ,ხშირად მოწაფეებითა და დამხმარებლებით და აგრეთვე ვალდებულნი არ არიან რეგულარულად მონაწილეობა მიიღონ ღამის წირვა-ლოცვაში.]

["კოინობიცური" მონასტრებისაგან განსხვავებით, რომლებსაც მთელი ხიცოცხლის მანძილზე არჩეული ხელმძღვანელები მეთაურობენ, — "იდიორითმულ" მონასტრებს ხელმძღვანელობენ ოთხ-წევრიანი ორგანო, რომელსაც ბერები ყოველწლიურად ირჩევენ.

მონასტრების გვერდით, ათონის მთაზე არსებობს აგრეთვე "სკიცები"= Skiten: ერთ ეკლესიის ირგვლივ მდებარე,ერთმანეთისაგან დაშორებული 'სოფლები",რომლებშიც ბერები ცხოვრობენ ან "კოინობიცური" ანდა "იდიო-რითმული" წესებით, და არიან ხელოსნები, მებაღეები ან სოფლის მეურ-ნეები,რომელშიც მეცხოველეობა არავითარ როლს არ თამაშობს, ვინაიდან დედრობითი სქესის ცხოველების ყოლა აკრძალულია.
ათონის მთაზე არსებობს აგრეთვე განცალკავებული "კელიები"= Kellien", რომლებშიც სამიდან-ექვს ბერამდე მუშაობენ თავიანთი სარჩოსათვის. და ბოლოს, არსებობს ნამდვილი გამოქვაბულები,რომლებშიც ცხოვრობენ განდეგილები, მაგრამ ყოველი ბერი — როგორღაც არ უნდა იყოს ის დამოუკიდებელი — უნდა ექვემდებარებოდეს ერთ რომელიმე მონასტერს.

## საერთო მდგომარეობა

კაცობრიობის ისტორიის ეს უკანასკნელი ათასწლეული ყოველგვარი ზეგავლენის გარეშე გადაიცანა ათონის თეისცურმა რესპუბლიკამ, სადაც თითქოს დრო გაჩერებულია, თუმცა ერთი პრობლემა სულ უფრო მწვავედ დგას დღის წესრიგში: ახალი თაობა სდება სულ უფროდაუფრო მცირერიცხოვანი,ვინაიდან ათონის მთაზე ადამიანები კვდებიან,მაგ-რამ არ იბადებიან.ბერები სულ უფრო და უფრო ხანში შესულებია და ამასთანავე თანდათანობით მცირდება მათი რიცხვი. მე-16 საუკუნე-ში,მაგალითად, ათონის მთაზე იყო 40-ი მონასტერი 40-ც-ათასამდე ბერებით. დღეს კი 20-ც მონასტერში,რომელთაგან 17-ი ბერძნების, ერთი ბულგარელების, ერთი სერბებისა და ერთი რუსების სელშია, იმყოფება სულ ორი-ათასამდე ბერი.]

## ივერიონის ქართული მონასტერი "Iviron"

ივერიონის ქართული მონასტერი დაარსდა ათონის მთაზე 980-983 წლებში. მისი დაარსება დაკავშირებულია იოანე ათონელისა და თორნიკე ერისთავის მოღვაწეობასთან. "ივერიონის" თუ,როგორც ახლა უწოდებენ ბერძნები, "ივირონის" მონასტრის მშენებლობა კი დაკავშირებულია საქართველოს ისტორიის იმ მონაკვეთთან, როცა ბიზანტიის საიმპერატორო კარმა თურქ-სელჩუკთა წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარება სთხოვა ქართველთა მეფეს დავით კუროპალატს, რომელსაც მოციქულად ათონის მთაზე აღკვეცილი ყოფილი მთავარსარდალი თორნიკე გაუგზავნა. საქართველოს მეფემ დაეხმარა ბიზანტიის კეისარს 12.000-ი მხედრით,რომლებმაც ბერძნებთან ერთად დაამარცხეს სელჩუკთა ჯარი და ამგვარად ბიზანტია განადგურებას გადარჩა. მადლობის ნიშნად, ბიზანტიის საიმპერატორო კარმა ქართველებს ნება დართო ათონის მთაზე აეშენებია საკუთარი მონასტერი; და 980-983 წლებში აშენებულ იქნა "ივერიონის" ქართული მონასტერი იმ დიდძალი ნადავლით,რომელიც თორნიკე ერისთავმა ხელთ იგდო,როცა მან 979 წელს სასტიკად დაამარცხა თურქ-სელჩუკთა ლაშქარი ბარდა სკლიაროსის სარდლობით. "ივერიონის" მონასტრის კომპლექსში მრავალი სხვადასხვა სახის დანიშნულების ნაგებობა არსებობდა და არსებობს. ამ არქიტექტურული კომპლექსის ცენტრია "დიდი ეკლესია"-გუმბათოვანი ტაძარი,რომელიც მრავალჯერ გადაკეთდა და დღესაც არსებობს.

## ათონის ქართული ლიტერატურული სკოლა

"ივერიონის" ქართული მონასტერი ათონის მთაზე იყო არა მარტო ღვთის მსახურების წმინდა ადგილი, არამედ ამასთანავე ამ მონასტერში შეიქმნა ქართული ლიტერატურული სკოლა, ხელნაწერთა უმდიდრესი ბიბლიოთეკით, რის შემდეგ ათონის "ივერიონის" მონასტერი იქცა ქართული ლიტერატურისა და ფილოსოფიის უდიდეს ცენტრად. ამ უდიდესი ეროვნული კულტურის ცენტრის საფუძვლის ჩაყრა მჭიდროდაა დაკავშირებული სამი დიდი ქართველი მოღვაწის - იოანე ათონელის, თორნიკე ათონელის(ერისთავის) და იოანეს მე ექვთიმე ათონელის სახელთან.

ათონის ქართული ლიტერატურისა და ფილოსოფიის ცენტრის "ივირონის" მიზანდასახულობა ნათლად მოსჩანს, თუ გნებავთ, ათონის მწიგნობართა თავკაცის - <u>იოანე ათონელის</u> - სიტყვებიდან,რომლითაც ის არიგებდა, პირველ რიგში,თავის შვილს ექვთიმეს:

"შვილო ჩემო! - მიმართავდა იგი მცირეწლოვან მას,ექვთიმეს, - ქართლისა ქვეყანაი დიდათ ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლიან და ვხედავ, რომელ ღმერთსა მიუმადლებია შენდა: აწ იღუაწ, რათა განამრავლო სასყიდელი შენი!" XXXVI.

დიდი სამსახური,რომელიც ათონის ლიტერატურულმა და ფილოსოფიურმა სკოლამ გაუწია ქართულ კულტურას გამოიხატებოდა იმაში, რომ "ივირონის" მონასტერში გაჩაღდა მთარგმნელობითი მუშაობა,რომლის დროს შემოღებულ იქნა <u>ზუსტი თარგმანის პრინციპი</u>. ამგვარი სისტემატიური და დაუღალავი მუშაობის შედეგად, ქართველმა მოღვაწეებმა შესძლეს უმოკლეს ვადაში ქართულად ეთარგმნათ თითქმის ყველაფერი,რაც ამდენ ხანს ქართულ ენაზე არ არსებობდა. ათონის ქართველთა სავანეში ითარგმნა ბიზანტიის მაშინდელი ლიტერატურის, ფილოსოფიისა და მეცნიერების უმთავრესი ძეგლები - ბელეტრისტიკის, პოეზიის,ფილოსოფიის, იურისპრუდენციის, რიტორიკის, პოლემიკის, ფსიქოლოგიისა და ასტრონომიის დარგებიდან. ამგვარად, ეს დიდი ეროვნული კულტურული საქმიანობა თაობიდან თაობაზე გადადიოდა და უკვე მე-12 საუკუნის შუაწლებისთვის ქართულ ენაზე გადმოტანილი იყო ყველაფერი მოწინავე და ღირსშესანიშნავი,რაც კი არსებობდა ბიზანტიურ დამწერლობაში. ამით იოანე ათონელმა, თორნიკე ათონელმა, ექვთიმე ათონელმა გიორგი ათონელმა, ეფრემ მცირემ, არსენ იყალთოელმა, იოანე პეტრიწიმ და სხვა მრავალმა ღირსშესანიშნავი ფურცლები ჩასწერეს ქართულ ეროვნულ კულტურაში და ამით ქართველი ერის ისტორიაში.

<u>ქართული სიტყვა კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში</u>

ათონის ქართულმა ლიტერატურულმა და ფილოსოფიურმა სკოლამ აგრეთვე

თავისი სიტყვა თქვა კაცობრიობის აზროვნების განვითარებაში ქართული კულტურისა და აზროვნების მსოფლიო სარბიელზე გამოტანით. მსოფლიო ქრისტიანული კულტურის არსებითი ათვისების და მოწინავე მეზობელ ხალხებთან კულტურული მეტოქეობის გზით, საქართველოში მე-12 საუკუნის დამლევისას თავი იჩინა აღორძინებით, რენესანსულმა აზროვნებამ, რომლის კულმინაციური წერტილია შოთას "ვეფხისტყაოსანი". და"ივირონის" ქართული ლიტერატურული და ფილოსოფიური სკოლა თავის მოღვაწეობის სფეროს ხედავდა არა მარტო "ყველაფერი მოწინავის, პროგრესიულის" ქართულ ენაზე თარგმნა-გადმოტანაში, არამედ ამავე დროს უყურადღებოდ არ ტოვებდა ქართული ლიტერატურის მსოფლიო ასპარეზზე გატანასაც. ექვთიმე ათონელს, მაგალითად, ქართულიდან ბერძნულ ენაზე გადაუკეთებია მსოფლიო ლიტერატურის ერთერთი სანიმუშო ნაწარმოები "ვარლაამი და იოსაფი" ანუ "ბალავარიანი" , რომელიც ბიზანტიური ლიტერატურის ერთერთ შედევრად ითვლება. შემდეგ იგი ბერძნული ენიდან, ლათინური ენის გზით, ევროპის თითქმის ყველა ენაზე ითარგმნა და შუა საუკუნეების ევროპაში ყველაზე პოპულარულ სასულიერო რომანად ითვლებოდა. "თავის მხრივ, - წერს პროფესორი ელგუჯა ხინთიბიძე -, ვარლაამისა და იოასაფის ამბავი სათავეს შორეული ინდოეთიდან იღებს. სანსკრიტული ენიდან იგი ფალაურში შესულა, აქედან არაბულში. არაბული რედაქციიდან გადამუშავებულა ამ თხზულების პირველი ქრისტიანული ვერსია ქართულ ენაზე, რაც ექვთიმე ათონელს ბერძნულად აგიოგრაფიულ-მორალური სახის ბრწყინვალე სასულიერო რომანად უქცევია".

მე-11 საუკუნის დასაწყისში გადაწერილი აგიოგრაფიულ საკითხავთა კრებული, მაგალითად, სხვა თხზულებათა შორის, აერთიანებს "მიქელ საბაწმინდელის მარტვილობას", რომელიც ქართულიდან ბერძნულად უთარგმნია ექვთიმე ათონელს.

ამგვარად, ათონის ქართული ივერიონის მონასტრის ლიტერატურულ-ფილოსოფიური სკოლის ღვაწლი ქართულ კულტურაში მეტად დიდი მასშტაბისაა. ამიტომ, გასაგებია, როცა, მაგალითად, კორნელი კეკელიძე წერდა,

რომ ათონის ქართული მონასტერი - "გადაიქცა იმ წყაროდ,საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადიო". ივანე ჯავახიშვილი კი წერდა:"იგი შეიქმნა მკვიდრ სამწერლობო-სამეცნიერო დაწესებულებად, რომელიც საქართველოს მაშინდელ განათლებულ ქვეყნებთან აერთიანებდაო".

ათონის,სინას მთის,იერუსალიმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის მიკროფილმები თბილისში

ამდენად, გასაგებია დიდი კმაყოფილება ყოველი ქართველისა, რომ - როგორც საბჭოთა ქართული პრესა იტყობინება - უკვე თბილისის უნივერსიტეტის ხელშია ფოტოპირები=მიკროფილმები ქართული ხელნაწერებისა, რომლებიც ინახება ათონის ივერიონის მონასტერში, სინას მთის მონასტერსა და იერუსალიმის ["ჯვარის" ქართული მონასტრის] ბიბლიოთეკაში. და ამ დაუფასებელი მასალის შესწავლა რომ კიდევ უფრო სინათლეს მოჰფენს საქართველოს, ქართველი ერის ასე დიდსა და უნიკალურ ისტორიას, კულტურას, - ამაში ეჭვის შეტანა შეუძლებელია.

[დღეს ათონის "ივერიონი" და იერუსალიმის "ჯვარი" ბერძენთა ხელშია

საქართველოს ისტორიისა და კულტურის "ოქროს ხანის" დაცემის პერიოდი ლოგიკურად ემთხვევა ქართველ მოღვაწეთა შევიწროებას და ბოლოს სრულ განდევნას ათონის "ივერიონისა" და აგრეთვე იერუსალიმის "ჯვარის" ქართული მონასტრებიდან. სხვა მრავალი ქართული მონასტერი კი იერუსალიმში,შავ მთაზე სირიაში სრულიად დანგრეულ და განადგურებულ იქნა. დაწყებული მე-11-მე-13 საუკუნეებიდან, ბერძნებმა თანდათანობით შეავიწროეს ქართველი ბერები, ხოლო მე-19 საუკუნეში მთლიანად დაეპატრონენ მათ, თუმცა,მაგალითად,"ივერიონის" მონასტერში ქართველი ბერები შემდეგაც განაგრძობდნენ მოღვაწეობას. 1900 წელს,მაგალითად, როგორც "ქართული საბჭოთა ენციკლოპედია" წერს, "ივერიონის" მონასტერში ყოფილა 51-ი ქართველი ბერი.]

---

# ილია ჭავჭავაძე – ათონის ქართული სავანის [illegible] – წერილ:

I

ტფილისი, 29 ნოემბერი, 1886 წ.

საქართველო, როცა კი მოიცლიდა ხოლმე გარეშე მტერთა შემოსევისა და მოძულეებისაგან, მაშინვე შეუდგებოდა ხოლმე ქრისტეს სარწმუნოების განმტკიცების და გაძლიერების საქმესა. როცა-კი ქვეყნის მდგომარეობა ნებას აძლევდა, ქართველნი, ცნობილნი სულიერის მოღვაწეობითა და აღტყინებულნი ღვთის მოსაობით და სარწმუნოების გრძნობითა, გამოდიოდნენ [illegible] და მისარჩლედ მართლმადიდებლის სარწმუნოებისა აღმოსავლეთში: მცირე აზია, სირია და თვითონ პალესტინის [illegible] თვისდა ახლო მახლო კუნძულებითა დღესაც მოწმობენ ქართველთა მოღვაწეობას სარწმუნოებისათვის. აქ ყველგან მრავალ გვარი ნაშთია დღესაც უტყუ, [illegible] უტყუარ მოწმედ იმისა, რომ გულმოდგინებას ქართველებისას სარწმუნოებისათვის შორსაც გაუდგამს ფეხი და ხელი გაუწვდენია. მონასტრები, ქართველთა ხარჯით და ფულით აშენებულნი, არა ერთი და ორი დღესაც ჰლაღადებს ათონის მთაზედ, სინაზედ, სირიაში, იერუსალიმის ახლო-მახლო, რომ ქართველთა თავგამომეტებით და დიდის მხნეობით უღვაწნიათ თავის ქვეყნის გარეთაც სადიდებლად თვისის სარწმუნოებისა. მრავალი მაგალითებია დაშთენილი, მრავალი საბუთები ისტორიული, რომ ამ უცხო ქვეყნების მონასტრებში წინამძღვარობა და ხელთმძღვანელობა ჰქონიათ ქართველთა სულიერთა მამათა, რომელთა ცხოვრება და საქმენი თავმოსაწონად ექმნება ქართველსა ყოველთვის.

საქართველოს მეფენი, ჰგრძნობდნენ რა სიდიადეს წმიდათა მამათა მოღვაწეობისას საქართველოს გარეთ, არა ჰზოგავდნენ არა სახსარს, რომ ქონებით ულონობა და ნაკლებულობა არა ჰქონოდათ მონასტრებსა და ეკლესიებს ქართველებისას. ამისთვისაც ყველაზედ უხვად შემწირველნი მეფენი იყვნენ: დიდძალი მამულები შესწირეს, დიდძალი ყმები, რომ ამ გზით წყარო ცხოვრებისა შეუწყვეტელი ყოფილიყო ქართველთა მოღვაწეთათვის საქართველოს გარეთ სადიდებლად და გასაძლიერებლად ქრისტეს სარწმუნოებისა.

იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის სიგელ-გუჯარი, გამოცემული 1706 წელს იელისის თვესა, ამტკიცებს, რომ მაშინ იერუსალიმს ქართველთა ჰქონიათ ექვსი მონასტერი: წმ. ჯვარისა, წმ. ნიკოლოზისა, წმინდათა თეოდორეთა, წმ. ბასილისა, წმ. ანასი და წმ. გიორგისა. იმ ხანებში, როცა ზემოხსენებული გუჯარი გამოსცა პატრიარქმა დოსითეოსმა, საქართველო დაუძლურებული იყო შინაურ და გარეულ მტერთაგან და ხელი შველისა და მფარველობისა ვეღარ მიეწვდინა ამ მონასტრებისათვის. რადგანაც ამ საუბედურო გარემოების გამო იქაურ ქართველთა იმედი მოესპოთ შველისა და მფარველობისა საქართველოდამ და შური და მტრობა ოსმალთა მეტად აწუხებდათ, ერთი სახსარიღა დარჩათ: რომ მონასტრები არ გაუქმებულიყო და როგორმე შეერჩინათ, ვიდრე უკეთესი დღე

დაუდგებოდათ, ალეს და იგი მონასტრები ჩააბარეს თანამორწმუნეთა თვისთა ბერძნებსა საპატრონებლად, მათვე გარდასცეს ყოველი მამული და მამულების შემოსავალი, რაც-კი რამ ქართველთაგან შეწირული იყო გუჯრებითა, ხოლო იმ პირობით კი, რომ როცა უკეთესი დრო დაუბრუნდებათ ქართველთა, ყოველივე ეს უკანვე ჩაებარებინათ შეუწყვეტილის მოღვაწეობის განსაგრძობად.

ზემოხსენებულ პატრიარქის დოსითეოსის გუჯარში აღწერილია მიზეზი, რის გამოც ქართველთა მონასტრების გამგეობა მიეცა ბერძენთა სამღვდელოებასა და სხვათა შორის აი რა სწერია:

[illegible] ღმერთი ინებებს და ივერიიდამ მოვა წინამძღვარი [illegible], მაშინ იმან უნდა ჩაიბაროს და თავის გამგეობის ქვეშ მოიყვანოს ყველა მონასტრები [illegible].

[illegible] გუჯარში ის გარემოებაც, რომ [illegible] ლავრაკი იმ [illegible] ანგარიშის [illegible]. რომელიც [illegible] მონასტრებს, [illegible] ბერძნების სამღვდელოების ხელში იქნებოდნენ [illegible] და საპატრონებლად. ამ საგანზედ აი რა არის [illegible] გუჯარში:

[illegible] თვითონ [illegible] წმინდა პატრიარქები [illegible], წმინდა მამანი და მთავარნი ყოვლად [illegible] ქართველთაგან [illegible], [illegible] სამაგიეროს, რაც ჩვენ მივიღეთ [illegible] და [illegible], არც მის სამაგიეროს, რაც ჩვენ შევსწირავს მონასტრებს [illegible], რაც ჩვენ დავაბარეთ ეპიტროპებსა, [illegible] და სხვა [illegible]; ხოლო იყვნენ იგი მონასტრები [illegible] დავისა, [illegible] და [illegible] მათთა ჭეშმარიტ და [illegible]».

[illegible] როცა საქართველო [illegible] ხელმწიფის მფარველობის [illegible] ქართველთა მოღვაწეთა, რომელნიც დღეს საქართველოს გარეთ არიან და კარის ღვთისმშობლის მონასტერი [illegible] ათონის მთაზედ, დიდი იმედი და სასოება მიეცათ ქართველთა მონასტრების უკანვე დაბრუნებისა. დღეს იგი ელიან, ამბობენ იგინი, რომელსაც ამოდენა ხანს მოველოდებოდით, რომ ჩვენი დიდი ხნის წყურვილი აგვესრულებინა და უკანვე დაგვებრუნებინა იგი წმინდა ადგილები, სადაც ქართველთა ხელით აშენებულნი ამოდენა სახსოვარნი ჰმოწმობენ საქართველოს შვილთა ჭეშმარიტს სარწმუნოებას, დიდებას მათის სარწმუნოების მოღვაწეობისას, და რომელნიც ამასთანავე თავმდებნი არიანო იმ იმედისა, რომ სიმტკიცე ქრისტიანულის გრძნობისა კვლავ უწინდელებრ გაიშლება საზოგადო სასულიერო საქმეთათვისაო.

იგი განზრახვა, რომლის გამოც ხსენებული ექვსი მონასტერი ქართველებისა იერუსალიმში ჩაებარდა ბერძენთა სამღვდელოებას, რათა დრომდე უპატრონონ თვით მონასტრებსა და მისი ქონება შეინახონ ხელუხლებლად მერმისისათვის, როგორც დაავალებდნენ შემწირველთა საქართველოს მეფეთა და ბიზანტიის იმპერატორების ანდერძითა, — იგი განზრახვაო, ამბობენ ათონის ბერ-მონაზონნი ქართველნი, დღეს, სწორედ დღეს ითხოვს, მონასტრები ქართველებისა ისევ ქართველთ

დაუბრუნდეს თავის მამულებითაო, თორემ საფიქრებელია, რომ მონასტრებიც დაგვეკარგება და მათი კუთვნილი მამულებიცაო.

ეს შიში უსაბუთო არ არის. არზაში, რომელიც ამ საგანზედ ხსენებულ ბერ-მონაზონთა რუსეთის უმაღლესს მთავრობისათვის მიურთმევიათ, საბუთი იგი ნაჩვენებია ცხადად და თვალსაჩინოდ. ამაზედ ხვალ მოვილაპარაკებთ.

ტფილისი, 27 ნოემბერი, 1885 წ.

იმისი შიში, რომ ქართველებს მონასტრები იერუსალემში ხელიდამ გამოეცლებათ, და თვითონ მონასტრებსაც წყარო ცხოვრებისა დაუშრება, იქიდამ წარმოსდგა, რომ ბერძნები დღეს აღარ უბრუნებენ მონასტრებს და მის მამულებსა ჰყიდიან. ჯერ მინამ ამის ამბავს გამოვუდგებოდეთ, საჭიროა ვიცოდეთ რა პირობითა აქვთ ამ მონასტრებს შეწირული მამულები. სიგლები და გუჯრები, რომლის ძალითაც მამულები საქართველოში დაჰკუთვნებიათ ხსენებულ მონასტრებს, ცხადად და ნათლად გვაუწყებენ ამ პირობასა. ჯერ ერთი ეს, რომ მამულები შეუწირავთ ქართველთა მონასტერთათვის იერუსალემში, და თუ იგი მონასტრები ქართველთა მონასტრები არ არიან და ბერძნები ჰჩემულობენ, აშკარაა მამულები ბერძნებმა ვერ უნდა დაიკუთვნონ. მეორე ისა, რომ მამულები შეუწირავთ

იმ პირობით, რომ მარტო შემოსავლით ისარგებლონ და თვითონ მამულები კი ყოველთვის ძირს დარჩეს მუდმივის და დაუშრეტელის სარგებლობისათვის.

უწმიდესმა პატრიარქმა იერუსალიმისამ ნიკოდიმემ კი სულ სხვაფრად განაგო ეს საქმე. 21 ივლისს 1885 წ. გამოსცა ბრძანება ეკლესიის ნდობით შემოწმებული არხიმანდრიტის კირ-დამიანის სახელობაზედ და დანიშნა იგი მთავარ ვექილად და პატრიარქის წარმომადგენლად კავკასიაში. მეექვსე მუხლი ამა ბრძანებისა მამა-არხიმანდრიტს ავალებს:

„სამონასტრო გალავანს გარეშე მიჰყიდე ჩვენი მიწები, რომელიც მეტად დიდი ხანია უქირავებიათ [illegible] საეკლესიო მამულებში, აგრეთვე გაჰყიდე იგი მიწებიც, რომელსაც ჰხმარობენ დიდის ხნიდამვე გლეხნი სხვა [illegible], და საზოგადოდ ყველა ის მიწებიც, რაც სხვა სახელის, [illegible] და [illegible] ხელში უჭირავს“.

ამ მინდობილობის ძალით, ქართველთა მონასტრების კუთვნილი მამულები მამა არხიმანდრიტს კირ-დამიანეს უკვე გაუყიდნია რიცხვით 3234 ქცევა მიწა ქუთაისის გუბერნიაში 47,494 მანათად და თქმა არ უნდა, რომ დანარჩენებსაც გაჰყიდის ამ მოკლე, თუ გძელ ხანში. გლეხთათვის მიყიდვა მამულებისა ურიგო არ არის, მაგრამ საქმე იმაშია, — ფულად განაღდებული მამულები სად მიდის? ეგ ფული ხომ ძირის ფულად უნდა დარჩეს, რადგანაც, თანხმად შემწირველთა სურვილისა, გუჯრებში აშკარად გამოცხადებულია, მონასტრებს ნება მისცემია მხოლოდ შემოსავლის სარგებლობისა და სხვა არარისა. ეგ იმითიც მტკიცდება, რომ ბერ-მონაზონობა საქართველოსი აღმოსავლეთში მესაკუთრე კი არ იყო იქაურ მონასტრებისა და მონასტრებისათვის შეწირულ მამულებისა,

არამედ მარტო სამფლობელოდ და სახმარისად ჰქონდა ერთიცა და მეორეცა, როგორც საქართველოს ხელშეუხებელი კუთვნილება. იერუსალიმის პატრიარქმა კარგად იცის, რომ იგინი მთელის საქართველოს საკუთრებანი ყოფილან და არიან და არა იმ ბერ-მონაზონთა, რომელთა ხელშიაც დროთა ვითარება ჩააგდებდა. ეხლა, როცა საქართველო შეადგენს ნაწილს რუსეთის იმპერიისას, იგი მონასტრები თავისის მამულებით უნდა შეადგენდნენ სახელმწიფო კუთვნილებას რუსეთისას კავკასიაში. ამიტომაც გაყიდვა იმ მონასტრების მამულებისა ბერძენთა ბერ-მონაზონთაგან რუსეთის საკუთრების მართლიერების დარღვევად უნდა ჩაითვალოს.

რომ ეს ასეა, და სწორედ ამ თვალით უყურებს ამ საგანს თვით უზენაესი მთავრობა რუსეთისა, აშკარადა და ნათლად სჩანს შემდეგიდამ. 6-ს მარტს 1873 წ. უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა მოხსენება სახელმწიფო კანცლერისა განსვენებულის თ. გარჩაკოვისა, სადაც სხვათა შორის ამ საგანზედ ეს არის ნათქვამი:

> „ჩვენს მთავრობას ვალად აწევს ზედამხედველობა იქონიოს მასზედ, რომ ქონება წმინდათა ადგილთა (святых мест), რომელთაც უნდა სამარადისოდ აძლიონ მათ სახსარი საზრდოებისა და კეთილმოქმედებისა, უკანონობისაგან არ იქმნას გაძარცვული".

ამ სიტყვით აშკარაა, რომ თვით უზენაესს მთავრობას ჩვენსას საფუძვლად თავისის ზედამხედველობისა და მოქმედებისა ის დაუდვია, რომ წყარომ საზრდოებისამ ამ მონასტერთათვის სამუდამოდ შეუწყვეტლად იდინოს მამულების შემოსავლიდამა. ეხლა-კი, როცა ის მამულები ისყიდება და ფული ამ გზით განაღდებული მიაქვთ ბერძნებსა, რა არის თავდები იმისი, რომ იგი ფული არ დაიხარჯება და ამით იგი სამუდამო შემოსავალი სათავეშივე არ მოისწყდება. ჩვენის ფიქრით, ამ სახით განაღდებული ფული ძირის ფულად უნდა დაიდვას, რუსეთის ხაზინამ უნდა ჩაიბაროს და მონასტრებს მხოლოდ მისი სარგებელი აძლიოს. იმას აღარ ვიტყვით, რომ თვით მაგ მამულების გასყიდვის საქმეც რუსეთის სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს საქმე უნდა იყოს და არა ბერძნების ბერ-მონაზონთა. ამ სახით, ფულად ნაქცევი ქონება მონასტრებისა ხელუხლებლად შეენახება მონასტრებს, რომელნიც, დღეს იქნება, თუ ხვალ, თავის ჭეშმარიტს პატრონებს უნდა ჩაჰბარდეს. მაინც და მაინც ბერძნებს დაჰრჩებათ ეს მონასტრები, თუ კვლავ ძლიერის რუსეთის მფარველობით უკან დაუბრუნდება ქართველ ბერ-მონაზნებსა. ქონება მონასტრებისა, თანახმად უზენაესის ნებისა, რომელიც გამოცხადებულია თ. გარჩაკოვის უმაღლესად დამტკიცებულ მოხსენებაში, დაცული და შენახული იქმნება მტაცებლობისაგან.

ამ საგანზედ დღეს ათონის მთის კარის ღვთის-მშობლის ქართველთა ბერ-მონაზონთა არზა მიურთმევიათ, — თუ აპირობენ მირთმევას, კარგად არ ვიცით, — კავკასიის მთავარმართებლისათვის და სთხოვენ თურმე, რომ, თუ მაინც და მაინც არ დაეშლებათ ბერძენთა ბერ-მონაზონებს ჰყიდონ ქართველთა მონასტრების აქაური ქონება, ის განკარგულება მაინც მოახდინოს მთავრობამ, რომ გასყიდულის ფული რუსეთის ხაზინამ ჩაიბაროს, ბერძნებს მხოლოდ მისი სარგებელი აძლიოს,

ვიდრე იგი მონასტრები თავის ჭეშმარიტს პატრონს უკუ დაუბრუნდება განსაგებლად და მოსავლელად. დღეს ეს ფრიად საყურადღებო საქმე ამ მდგომარეობაში და ამ გზაზეა. ჩვენის ფიქრით, ამ თხოვნას დიდი სამართალი და ცხადი საბუთი მიუძღვის და არა გვგონია მთავრობამ უყურადღებოდ დასტოვოს და თვისი ძლიერი შემწეობა და მფარველობა არ გაუწიოს მთხოვნელთა. სასურველია, რომ ეს ჩვენი იმედი არ გამტყუნდეს.

ათონის ქართული სავანის შესახებ

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი

# ილია ჭავჭავაძე

## თხზულებათა სრული კრებული

ათ ტომად

ტ. III.

პ. ინგოროყვას
რედაქტორობით

## საზოგადოებრივი ცხოვრების დღიური

საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა
თბილისი — 57

## "Iviron" = "ივერიონის" ქართული მონასტრის დათვალიერების დღევანდელი წესი

ათონის მთაზე მონასტრების დათვალიერება შესაძლებელია თუ დაცული იქნება შემდეგი წესები:

ჯერ საჭიროა, რომ მსურველს გააჩნდეს მისი საკონსულოდან ან საელჩოდან საბერძნეთში წერილი, რომელშიაც გამოთქმულია სურვილი, რომ მოცემულ პირს მიეცეს ათონის მთაზე მისვლის უფლება.

შემდეგ პასპორტითა და ორი ფოტოსურათით მსურველი უნდა მივიდეს საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში ან ჩრდილოეთ საბერძნეთის სამინისტროში ქალაქ თესალონიკში, ათონის მთაზე ვიზიტის ნებართვის მისაღებად.

ამგვარი ნებართვის შემდეგ მსურველი უნდა გამოცხადდეს ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიას პოლიციაში, სადაც სტუმარი მიიღებს მშვენივრად გაფორმებულ ე.წ-დ "დიამონიტირიონს", ე.ი. ნებართვას სამიდან შვიდ დღემდე დაჰყოს ათონის მთაზე. ამგვარ 'პასპორტს" იძლევა ათონის, ასე ვთქვათ, მთავრობა. ამგვარად, ათონის მთის დათვალიერებისათვის მხოლოდ საბერძნეთის ვიზა საკმარისი არ არის.

ყოველ მონასტერში შესვლისას, ეს პასპორტი უნდა ჩააბაროს მონასტერს და იქიდან წასვლისას მიიღებს ისევ.

განსაზღვრულ სიძნეს წარმოადგენს ათონის მთის სტუმრისათვის ის, რომ ამ თეოკრატიულ რესპუბლიკაში საავტომობილო გზა და ამით ავტომობილიც საერთოდ არ არსებობს. ერთადერთი მეტად "სანდაზმული" ავტობუსი მიმოდის მხოლოდ ნავსადგურ დაფნიდან მთავარ ქალაქ კარიასამდე; ესაა და ეს. ცალკეულ მონასტრებში წასასვლელად.

თესალონიკიდან კი საავტომობილო გზა მთავრდება ურანოპოლისში, ათონის მთის ყელთან. იქიდან შესაძლებელია მოტორიანი ნავით, დაახლოებით ორი საათის შემდეგ, მისვლა აღნიშნულ ნავსადგურ დაფნიში, საიდანაც ავტობუსი მიდის კარიასში. ცალკეულ მონასტრებში მისვლა კი შესაძლებელია ჯორებით ან ფეხით. ჯორები გამყოლით და

გამყოლის გარეშეც შეიძლება დაიქირაოს სტუმარმა მონასტრეში თვით კარიას ჩათვლით. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჯორით მგზავრობა გამოუცდელისათვის და ისიც ხის უნაგირზე, რომლის დროს ჯორი მიხვეულ-მოხვეულ, აღმართ-დაღმართ თითქმის გაუვალ გზებზე - მეტად დამღლელია. ფეხით სიარული სურჯინით კი უფრო სასიამოვნოა, თუმცა ესეც დამღლელია ქვიანი ვიწრო ბილიკების თუ ოღრო-ჩოღრო გზების გამო. ამიტომ გამძლე ფეხსაცმელი და წვიმის მოსასხამი აუცილებლად საჭიროა, ვინაიდან უცბათ შეიძლება დაიწყოს წარღვნის-მაგვარი წვიმა - ზაფხულშიც კი -, რაც ათონის ამ წმინდა მთას ფლორასა და ფაუნას ხელს უწყობს მუდამ სიმწვანეში იყოს ჩაფლული. ათონის მთის ტყეები კი სავსეა აყვავებული ბუჩქებით, მუხის, ვერხვის თუ წაბლის უშველებელი ხეებით.

ყოველ მონასტერში შესვლა სტუმარს შეუძლია მხოლოდ "მზის ჩასვლამდე". ღამის გასათევი ლოგინი და სასმელ-საჭმელი მეტად სპარტანულია, მაგრამ უფასოა. თუმცა ყოველი მონასტერი მიიღებს ყოველი ღამის გათევაში 50-თ დრახმას "შეწირულების სახით" მონასტერიდან წასვლის დროს.

ათონის მთაზე მყოფი ბერების დიდი უმრავლესობა უბრალო ხალხია, რის შედეგად უცხო ენებს ვერ ფლობენ. ათონის მონასტრების ბიბლიოთეკებში მომუშავეთა რიცხვი კი მცირეა. მაგრამ ამგვარი ენობრივი ჯებირების გარდალახვას ბერები ცდილობენ თავიანთი თავაზიანი და გულკეთილი მოპყრობით სტუმრებისადმი.

ათონის მთის მონასტრების დათვალიერება შესაძლებელია აგრეთვე ნავით ურანოპოლისიდან, საიდანაც სტუმრები ნავით შემოუვლიან ათნის მთის ნახევარ კუნძულს და დაათვალიერებენ მთავარ მონასტრებს. ათონის მთის ამგვარი დათვალიერება გრძელდება სულ სამიოთხი დღე და იძლევა კარგ საშუალებას ათნის მთის გაცნობის კარგ საშუალებას.

ათონის მთაზე მისვლის უფლებას კი ღებულობენ ისეთი პირები, რომლებიც შესწავლით მიზნით ესტუმრებიან ამ წმინდა მთას და მის მონასტრებს.

## კარიას *Kariai*

ათონის მწინდა მთის თეოკრატიული რესპუბლიკის მთავარი ქალაქია კარიასი. აქ არის მე-16 ყთუკუნეში აშენებული ათონის სარეპრეზენტა-ციო მთავრობის სასახლე,რომელშიც მოთავსებულია ათონის მთის მმარ-თველობა - "ლიამონიცირიონი",რომელიც იძლევა მეტად მშვენიერი ფორ-მის ათონის მთაზე მისვლის ნებართვას. აქვეა ორი მოხელესაგან შემდგარი პოლიცია,სადაც სტუმარი ლებულობს სიგელიან დოკუმენტს. კარიას გააჩნია აგრეთვე რამდენიმე მაღაზია, ფოსტა. კარიას რელი-გიური ცენტრი კი არის ბაზილიკა,რომელშიც X შესანიშნავი ფრესკებია მე-16 საუკუნეში შექმნილი.

## "*Stavronikita*"

### მონასტერი"სტავრონიკიტა"

ეს შედარებით პატარა გამაგრებული მონასტერი აგებულ იქნა მე-16 საუკუნეში და აშენებულია,როგორც ათონის მთის მონასტრების უმრავ-ლესობა კლდეზე ღზვის პირას. გარდა საუკეთესო ფრესკებისა და საშუა-ლოსაუკუნეების მოზაიკებისა წმინდა ნიკოლოზის ხატით, ამ მონას-ტერს გააჩნია აგრეთვე ბიბლიოთეკა,რომლის ყველაზე უფრო შესანიშ-ნავი ეგზემპლიარია მინიატურებით მოთული "დავითნი" მე-12 საუკუ-ნიდან.

სტავრონიკიტას მონასტერიდან შესანიშნავი ხედია მისგან 13-ი კილო-მეტრით დაშორებულ ათონის 2033-ი მეტრის სიმაღლის მთისაკენ. მონას-ტერი სტავრონიკიტა,სხვათა შორის, მდებარეობს ახლოს ქართული "ივე-რიონის" მოსნასტერთან,ე.ი.ათონის მთის აღმოსავლეთ ნაწილში.

## "*Iviron*"= "ივერიონის"="ივირონის" მონასტერი

მდებარეობს კლდოვან ამაღლებულ ადგილზე ზღვის პირას. "ივირონის" მონასტერი ნაგებობათა მთელი კომპლექსია, რომელთაგან თვალში ხვდება ადამიანს კოშკი,რომელიც აგებულ იქნა მე-10 საუკუნეში. ამ ნაგებობა-თა ცენტრი კი არის მე-11 საუკუნეში აგებული ბიზანტიური სტილის მთავარი ეკლესია,რომელიც თვალწარმტაციაათავისი ინტერიერით,თუმცა ამ ტაძრის ცნობილი ფრესკები ნაუცბათევად რესტავრირებულ შთაბეჭდილე-

ბას ტოვებს. ამ მთავარი ეკლესიის გვერდით მდებარეობს ერთი პატარა ეკლესია, რომელშიც ასვენია ცნობილი სასწაულმოქმედი "ღვთისმშობლის" ხატი.

## "Megistis Lavras"

### "დიდი ლავრას" მონასტერი

არის ყველაზე უფრო უძველესი მონასტერი ათონის მთაზე და ამით გახდა წაბაძვის ობიექტი სხვა მონასტრების მშენებლობის დროს. დიდი ლავრა აგებულია მაღლა კლდეზე ზღვის პირას, რის გამო ის ტოვებს ციხე-სიმაგრის,ქალაქის თშაბეჭდილებას. სხვა მონასტრებისაგან განსხვავებით, დიდ ლავრაში არასოდეს არ ჰქონია ადგილი ხანძარს, რის შედეგად მისი პირველი სახე არსებითად შემორჩენილია.

ათონის თეოკრატიული რესპუბლიკის დამაარსებელი ათანასე ათონელია ამ მონასტრის აშენებელი. გუმბათის მშენებლობის დამთავრების დროს კი, ერთი ქვა ჩამოვარდა მირს და მოკლა ათანასე. იგი დასაფლავებულია ამ მონასტრის მთავარ ეკლესია - კათოლიკონში,რომელიც შესანიშნავადაა მორთული კრეტული სტილით შესრულებული ფრესკებით და სხვა მრავალ შესანიშნავ ნახატებითა და ხატებით,რომლებიც შესრულებული იქნა უმთავრესად 16- საუკუნეში.დიდი ლავრას ბიბლიოთეკა შეიცავს 5.000-ს ტომს და 2.000-ს .ძველ ხელნაწერს, რომელთა შორისაა მოციქულ პავლეს "კორინთული წერილი" ასლი,რომელიც შესრულებულ იქნა ჩვენი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში. დიდი ლავრას ეზოში კი დღესაც დგას დიდი კვიპაროსი(სარო),რომელიც დაურგავს თვით წმინდა ათანასე ათონელს,ე.ი. უკვე არის 1000-ს წელზე მეტი ხნის,ვინაიდან დიდი ლავრა დაარსებულ იქნა 963-მ წელს.

## "Agios Pavlou"

### "აიოს პავლუს"მონასტერი

შესანიშნავია იმით, რომ ის აგებულია ათონის მთის ციცაბო კლდის

ერთ გვერდზე ისე თითქოს მიწებებულია მასზე. და სწორედ იმ ადგილას, სადაც მთიდან ანკარა წყარო მოჩუხჩუხებს,რაც ამ ადგილს "ხევის" იერსაც აძლევს. წმინდა პავლეს ამ მონასტრიდან კი ყველაზე უფრო შთამბეჭდავი ხედით ზვისაკენ,რომელიც გარს ევლება ათონის წმინდა მთავს აღმოსავლეთით,დასავლეთითა და სამხრეთით.

## "Agios Dionisiou"

"აიოს დიონისიუს"=წმინდა დიონისეს

ოთხსართულიანი მონასტერი

აგებულია ზღვის ნაპირთან 60-ი მეტრის სიმაღლეზე აღცყორცნილ კლდეზე, რომელიც მისი ბალკონებითა და მერცხლის ბუდის-მაგვარი მიშენებული სადგომებით მნახველში - სიღამაზის გვერდით - სიდიადის გრძნობას ჰბადებს. წმინდა დიონისეს მონასტერი აგებულ იქნა მე-14 საუკუნეში და ამით არის ერთერთი ყველაზე უფრო ახალი მონასტერი ათონის მთაზე.

## "Simonos Pétras"

"სიმონოს პეტრას" მონასტერი

ათ-სართულიანი ნაგებობაა,რომელიც ისეა აგებული, რომ თითქოს კლდეზეა "ამოსული",რომელსაც მრავალი ხის ბალკონები გააჩნია,რომლებიც გარ-შემოვლებულია მთელს შენობაზე.

## "Grigoriou"

"გრიგორიუ-ს" მონასტერი

მდებარეობს "სიმონოს პეტრას" მონასტრის დაბლა ზღვის პირას, რომლებიც ერთმანეთისაგან დაშორებულია საათ-ნახევარი ფეხის

სასიარულო გზით. "გრიგორიუ-ს" მონასტერი ხანძარის შედეგად დაიწვა და ისევ აგებულ იქნა მე-18 საუკუნეში.

## "Zographou"

### "ზოგრაფუ-ს" ბულგარული მონასტერი

ეს ბულგარული მონასტერი გადაკეთებულ იქნა მე-19 საუკუნეში და დღეს ტოვებს სასახლის-მაგვარ შთაბეჭდილებას. "ცოგრაპუ-ს" მონასტერი ათონის მთაზე ითვლება ყველაზე უფრო მდიდარ მონასტრად მისი ტყეებით, ნივზისა და ზეთის ხილის ხეებით,რის შედეგად ეს მონასტერი ვაჭრობასაც აწარმოებს. წარმოიდგინეთ, ამ მონასტერს ერთი საზარგო ავტომობილიც კი ჰყავს, რომლითაც სასოფლო-სამეურნეო და ტყის ნაწარმი ნავმისადგომთან მიაქვთ.

## "Chiliandariou"

### "ხილანდარიუ-ს" მონასტერი

მე-16 საუკუნემდე ეს მონასტერი იყო სერბების ხელში."ჩილიანდარიუ-ს" მდებარეობს მთაგორიან ადგილებსა და ვენახებს შუა. ამ მონასტერში შესანიშნავია მთავარ ტაძარში დასვენებული "სამხელიანი მადონა, აგრეთვე საუკეთესო მაკედონიური კედლის მხატრობა.

## "Esfigménou"

### "ესფიგმენუ-ს" მონასტერი

მდებარეობს ზღვის უბეში,რომლის გარშემო ხშირი ტყის ფერდობებია;იგი შემოვლებულია გალავნით,რომელსაც ამშვენებს ორი კოშკი.ამ მონასტრის ბიბლიოთეკა შეიცავს მშვენივრად დახატულ მინიატურულ ხელნაწერებს მე-11 საკუნიდან.

# "Vatopediou"

## "ვატოპედიუ-ს" მონასტერი

განლაგებულია ღზვის უბეში და გააჩნია ერთი პატარა ნავსადგური. "ვატოპედიუ-ს" მონასტერი ითვლება ყველაზე უფრო მდიდარ, ყველაზე უფრო კეთილმოწყობი და ყველაზე უფრო მდიდარ მონასტრაც ათონის მთა-ზე.წარმოიდგინეთ, ამ მონასტერს თავის ელექტროსადგურიც კი გააჩნია, რაც ასე იშვიათი მოვლენაა ათონის მთაზე; გააჩნია აგრეთვე ტელეფონი და ქათმებიც კი. ნავსადგურში კი გააჩნია აგრეთვე სათევზაო ნავებიც. "ვატოპედიუ-ს" მოგრძო მონასტრის ეზოში განლაგებულია რამდენიმე ეკლესია და სამლოცველო. მთავარი ეკლესიის ბრინჯაოს პორტალის ზევით არის ყველაზე უფრო უძველესი მოზაიკა ათონის მთაზე. მაგრამ ასევე შესანიშნავია აგრეთვე მე-14 საუკუნეში შესრულებული მაკედონიური ფრესკები,რომლებიც 300-სი წლის წინათრესტავრირებულ იქნა."ვატოპედიუ-ს" მდიდარი ბიბლიოთეკა გამოირჩევა მისი ძვირფასი გეოგრაფიული ხელნაწერებითა და კარტებით შუა საუკუნეებიდან.

მოკლე აღწერა მთავარი,მაგრამ არა ყველა მონასტრისა ათონის მთაზე, რაც ვთარგმნე გერმანული ენის ქვეყნებისათვის შექმნილი ცნობარიდან. ამ აღწერაში კი,სამწუხაროთ, ერთი სიტყვაც კი არარის ნათქვამი იმის შესახებ, რომ "ივირონი",ე.ი."ივერიონის" მონასტერი ქართველებმა დაარსეს და მისი ბიბლიოთეკა მდიდარ ქართულ ხელნაწერებს შეიცავს.

ხხვათა შორის,როცა ივერიონის მონასტერში მოვდიოდი,

იმ ეზოში,რომლის ჭიშკართან მე დავისვენე არავინ არ ჩანდა; ეზოშიც ხრული ხიწყნარე ხუფევდა!..ალბათ, იქ მცხოვრები ბერი თუ ბერებიც ნახადილევს ისვენებდნენ,როგორც ეს წესი ყოფილა ათონის წმინდა მთაზე. დასვენების შემდეგ, ავიკრიფე ჩემი არც ისე მძიმე ბარგი და გავუდექი გზას. გზაში, ორივე მხარეს ხავსე იყო მწიფე მაყვალი, მაგრამ მისი ჭამა შეუძლებელი იყო,ვინაიდან ხულ ხავსე იყო მტვრით,რომელიც,უთუოთ, დგებოდა ამ გზაზე ავტობუსის გავლის დროს. მე მაინც გულმა ვერ მომითმინა,მოვკრიფე მაყვალი, ხულის დაბერვით მოვაშორე მტვერი და მაინც ვჭამე. როგორც ჩანს, "ქართული კუჭი" ოჯნავ მტვერიან მაყვალსაც ინელებს!..

ამახობაში დავუახლოვდი ზღვის პირას იქ,სადაც გზაჯვარედინია: მარჯვნივ მიდის აღნიშნული საავტომობილო გზა "ივერიონის" მონასტრისაკენ, ხოლო მარცხნივ,შედარებით, უფრო ვიწრო გზა მონასტერ სტავრონიკიტასაკენ. რა თქმა უნდა, მე გავყევი "ივერიონის" მონასტრისაკენ მიმავალ გზას, და მივედი იმ მოსახვევთან,საიდანაც უკვე გამოჩნდა "ივერიონის" მონასტრის კოშკი,რომელიც დგას ამ მონასტრის ნავსადგურთან.

გავუდექი "ივერიონის" მონასტერში
მისასვლელ გზას, რომელიც ამ მონასტრის ნავსადგურიდან მთავარ ჭიშ-
კამდე დიდი ქვებითაა მოპირკეთებული, რომლის მარცხენა მხარეს ერთი
დიდი თუთის(ბჟოლის) ხეა, რომელიც ახლა, აგვისტოს 23-მ დამწიფებული
იყო და ეს გზა ჩამოცვენილი თუთის თითქმის შავად შეეღება. თვალში
მომხვდა აგრეთვე ისიც, რომ ეს გზა-ნავსადგურიდან "ივერიონის" მონას-
ტრის მთავარ შესასვლელამდე, თვით შესასვლელთან არსებული არც ისე მცირე
მოედნის ჩათვლით-მეტად კარგად იყო დახვეწილი; და ამის დანახვის
დროს, მომაგონდა ათონის მთის მთავარ ქალაქში კარიაში ბერების ნათ-
ქვამი, რომ "ივერიონის" მონასტერში 27-დ აგვისტოს - ახალი სტილით -
ე.ი.14-ს აგვისტოს - ძველი სტილით - საღამოს დიდი დღესასწაულია,
რომელზედაც [illegible] ჩათვლით რვა ქართველი სასულიერო პირი, მათ შორის, ერთი
ეპისკოპოზი და ქართულად ჩაატარებენ ღვთისმსახურებას ღვთისმშობლის
მარიამის -"მარიობის" - დღესასწაულზეო, რომელიც 15-ს აგვისტოსაა -
ძველი სტილით. ამასობაში მივედი ივერიონის მონასტრის მთავარ შესას-
ვლელ ჭიშკართან, რომელიც ერთერთი უმშვენიერესი-სვეტებიანი ფასადის
მქონე- შესასვლელი-ფასადია ათონის მთაზე.

სვეტებიანი ფასადის უკან, სვეტების პარალელურად, გრძელი
სკამია, რომელზედაც რამდენიმე ტურისტი-მლოცველი დავინახე წამოწოლი-
რომლებიც ისვენებდნენ. ამ სვეტების მარჯვენა მხარეს კი "ივერიო-
ნის" მონასტერში შესასვლელი ფართო ჭიშკარია, რომელთან იჯდა ერთი
ბერი და ერთი საპოქალაქო პირი, ალბათ, მისი დამხმარე, რომლებიც
მონასტრის ეზოში შემსვლელთ თავაზიანად ესალმებოდნენ. მე დავაწყვე
ჩემი ბარგი ამ სვეტების გასწვრის მდებარე სკამზე, ავიღე ხელში ჩემი
ფოტო-აპარატი და ჭიშკართან მდგომ ბერის მისალმების შემდეგ, შევე-
დი "ივერიონის" მონასტრის ეზოში, სადაც შუაში, მარცხნივ დგას "მთა-
ვარი ეკლესია", ე.ი. "კათოლიკონ", რომელიც მე-11 საუკუნის პირველ ნა-
ხევარში აგებულ იქნა ქართველი ბერის [illegible] მიერ,
რომელიც, ამასთანავე, მრავალი წლის განმავლობაში იყო "ივერიონის"
მონასტრის წინამძღვარი. ეს ეკლესია 1513-ს წელს შეაკეთეს, რის

გამომისხი პირვანდელი ფორმიდან ზოგიერთი რამ შეიცვალა, თუმცა დარჩენილია მისი პირვანდელი მშვენიერი მარმარილოს იატაკი, ხხვადასხვა სახის გეომეტრიული მოხაზულობანით, რომელთა ირგვლივ კი მოფენილია ქვები, რომელშედაც დიდი ასოებით დღესაც არის შემდეგი წარწერა:

"მე დავასვე შენი სვეტები მკვიდრად, და მარადიულად არ შეირყევიან. გრიგოლი, ბერი, იბერიელი და აშმენებელი".

აქვე უნდა შევნიშნო, როგორც უკვე ავღნიშნე, რომ წარწერის შინაარსი ამოღებულია ხოტირის კადას წიგნიდან "ათონის მთა", რომელშიც ის ჯერ ლაპარაკობს, რომ "ივერიონის" მონასტრის მთავარი ეკლესია ააშენა ბერმა "გიორგი" ვარაშვაძემ, ხოლო წარწერაში კი "გრიგოლზეა" ლაპარაკი. [რომელია სწორი, ამის დადგენა ვერ მოვახერხე.]

"ივერიონის" მთავარი ეკლესიის წინ კი დგას მშვენიერი თაღებიანი წრიული შენობა ე.წ-ლი"ნაკურთხი ჭა". მის პირდაპირ, მონასტრის მთავარი შესასვლელიდან ოდნავად მარჯვნივ დგას სამრეკლო, რომელიც აგებული ყოფილა, ხოტირის კადას ცნობით, 1848-ა წელს.

"მთავარი ეკლესიის" მარცხნივ დგას ორი საკმაოდ დიდი ეკლესია. პირველშია, რომელიც მთავარი შესასვლელთან უფრო ახლოსაა, "ივერიონის" "სასწაულმომქმედი ღვთისმშობლის სატი" დასვენებული. და შევედი რა მონასტრის ეზოში, რა თქმა უნდა, პირველად ამ ეკლესიისაკენ გავეშურე, რომლის შესასვლელთან შემხვდა სწორედ ის ტურისტი-მლოცველი, რომლის შესახებ უკვე გესაუბრეთ, როცა კარიადან მივდიოდი ფეხით "ივერიონის" ქართულ მონასტერში. ვინაიდან ეს ეკლესია ჯერ კიდევ ღია არ იყო, გადავიღე მრავალი ფოტოსურათი "ივერიონის" მონასტრის ნაგებობების ეზოში; შემდეგ მოვიდა ერთი საშუალო ხნის ბერი, რომელმაც მომეგება მე, ჩამომართვა ხელი და დამიწყო მეტად მეგობრული საუბარი. ჯერ ვერ გავიგე თუ რატომ ასე გაუხარდა მას ჩემი ნახვა, მხოლოდ შემდეგ "მიმიკური ენით", ე.ი. ხელებითა და სახის გამომეტყველებით გამაგებინა, რომ მე მას კარგად ვახსოვარ, როცა მე პირველად - 1967-ლ წელს ვიყავი "ივერიონის" მონასტერში, და ისიც მოიგონა, რომ მე მაშინ

XXXXVII.

კარგად გადავიღე "ივერიონის" მონასტრის ზარების რეკვა; ამ მეტად სათნო ბერმა იქიდანაც კი არ დაიხია უკან, რომ ჩემთვის გაეგებინებინა მისი გუნებები,"ზარების რეკვას" მისი ხმითაც წაბაძა-"ბუმ-ბუმ"-, რის შემდეგ მეც ვაგრძნობინე,რომ გავიგე თუ რის თქმა უნდოდა მას. შემდეგ შემიყვანა სასწაულმომქმედი ღვთისმშობლის ხატის ეკლესიაში,და შევხედე ამ მართლაც სასწაულოებრივი სილამაზისა და ძვირფასეულობით შემკულ ხატს, რომელზედაც გამოსახულია ღვთისმშობელი ბავშვით; და მე ამ ხატში უფრო "ქართველი დედა ბავშვით" დავინახე, ვინაიდან მისი სახის გამომეტყველება ქართველ დედას და ქართველ ბავშვს ჰგავს, სულ ცოტა, ჩემთვის ასე წარმომიდგა ეს შთამაგონებელი ხატი. ავანთე სანთელი ამ ძვირფასეულობით ასე შემკული ხატის წინ; თავი დავხარეთ მოწიწებით ამ ხატის წინაშე ბერთან ერთად, და ცოტა ხნის შემდეგ გამოვედით ეკლესიიდან გარეთ. ბერმა ეს ეკლესია ისევ დაკეტა, და დამიწყო ისევ "მიმიკური საუბარი",ე.ი.მელაპარაკებოდა ბერძნულად, რომელიც მე არ მესმოდა, მაგრამ - როგორც იქნა - გავიგე, რომ მართლაც 27-დ აგვისტოს "ივერიონის" ქართულ მონასტერში ჩამოდიან 7-დი თუ 8-ა ქართველი სასულიერო პირი,რომელთა შორისაა ერთი ეპისკოპოსი, და"ღვთისმშობლის მარიამის" დღეს დიდ სადღესასწაულო წირვას ჩაატარებენ ამ მონასტრის"მთავარ ეკლესია=კათოლიკონში" ქართულ ენაზე. ამავე ბერმა მითხრა, რომ "ივერიონის" მონასტერი, ამ დიდი დღესასწაულის გამო, 27-დ აგვისტომდე სტუმარ-მლოცველებს არ ღებულობს,ვინაიდან მონასტერში დიდი მზადებაა ამ დიდი დღესასწაულისათვის, მაგრამ მე, როგორც ქართველს, შემეძლება ამ მონასტერში დარჩენა.

ამ მეტად საინტერესო ამბების გაგების შემდეგ, ამ ბერმა დამათვალიერებინა მონასტერ "ივერიონის" მთავარი ადგილები,პირველ ყოვლისა, ბიბლიოთეკა, რომელიც საუკეთესოდაა მოვლილი,"რეფრექტორიუმი",ე.ი.სასადილო დარბაზი და სხვა. მას შევეკითხე, თუ სად არის ის ბიბლიოთეკარი,რომელიც ფრანგულად ლაპარაკობდა და მე დამათვალიერებინა ეს ბიბლიოთეკა 1967-ი წლის იანვარში,როცა პირველად ვიყავი აქ მეთქი. მან მითხრა, რომ ის ბიბლიოთეკარი-ბერი უკვე

გარდაიცვალა, რაც მე მეტად მეწყინა იმისთვისაც, რომ უცხო ენების მცოდნე სხვა ბერი "ივერიონში" ვერ აღმოვაჩინე, რამაც მეტად შემიშალა ხელი გამეგო ზუსტად ამ მონასტრის დღევანდელი მდგომარეობა.

"ივერიონის" მონასტრის დათვალიერების შემდეგ, ჩემი ბარგი დავტოვე ამ მონასტრის ფასადის სვეტების უკან განლაგებულ გრძელ სკამზე, ავიღე მხოლოდ მაგნეტოფონი და ფოტოაპარატი და შემოუარე ამ ჩვენს მონასტერს როგორც შიგნიდან,ისევე გარედან. მართლაც, მშვენიერ, თვალწარმტაც ადგილზეა აგებული "ივერიონის" მონასტერი: ეგეის უფრო ხშირად მშვინვარე ზღვის არც ისე ღრმად ათონის ნახევარკუნძულის აღმოსავლეთის დაახლოებით შუა-ალაგას შეჭრილ უბეში, დაახლოებით ნახევარი კილომეტრის სანაპირო ჯერ მინდორია, რომლის სიღრმეში, დაახლოებით, სამასი მეტრის დაშორებით აგებულია უშველებელი "ივერიონის" მონასტერი,რომლის არქიტექტურა შუასაუკუნოვან ოთხკუთხოვან ციხე-სიმაგრეს მოგვაგონებს, თუმცა მაღალ , ირგვლივ-შემოვლებულ კედლებს კიდევ სიმაღლეს მატებენ ბალკონიან საცხოვრებელ-სახლთა ჯაჭვი ., რომლებიც,როგორც გვირგვინი, დადგმულია ამ კედლებზე,რაც კედლებს არა მარტო სიმაღლეს,არამედ მონუმენტურობასაც ანიჭებენ. რა თქმა უნდა, ეს ბალკონიანი ბინები "ივერიონის" მონასტრის ზღვისპირის მხრიდან არქიტექტორული "მთლიანობით", სტილიური ერთობით ვერ არის აგებული,მაგრამ მაინც განსაზღვრულ სილამაზეს ჰგვრის მთელ ამ ნაგებობას. მარცხნივ და მარჯვნივ ივერიონის მონასტრის წინმდებარე მინდორის მაღლობებია, რომლებიც მარცხენა მხარეს უფრო მკვეთრად, მარჯვენა მხარეს კი უფრო ნაკლებად მაღლდება და სიღრმეში ათონის მთას უერთდება, ასე რომ, "ივერიონის" მონასტერი ბუნებრივადაც ერთ მთლიანობას წარმოადგენს მთელი მისი შემოგარენით, რომლის მარჯვენა მხარეს - ზღვის პირიდან - მოსჩანს თითქმის ათონის მუდამ ყინულოვანი 2033-ი მეტრის სიმაღლის მთა. და რა გასაკვირია, რომ - როგორც გადმოგვცემენ - , როცა ღვთისმშობელი იოანესთან ერთად კუნძულ კვიპროსზე მიდიოდა ლაზარეს სანახავად, ქარიშხალს თავი დააღწია,როცა იმ ადგილას მივიდა,სადაც დღეს "ივერიონის" მონასტერია. ათონის მთის სიმშვენიერემ ღვთისმშობელი ისე მოიყვანა აღტაცებაში,

რომ მის შვილს - იესო ქრისტეს - თხოვა მისი წილხვდომილი გახადოს ეს ნახევარკუნძული და ასე გახდა ათონის წმინდა მთის მფარველი ღვთისმშობელი, რომლის დღეს 15-ი აგვისტოს დიდი დღესასწაულია არა მარტო ათონის წმინდა მთის "ივერიონის" ქართულ მონასტერში.

"ივერიონის" მონასტრის გარემოს დათვალიერებისას, ჩემი ყურადღება მიიპყრო ამ მონასტრის უკანმდებარე მამულმა,სადაც მრავალი არაბერი,ე.ი.სამოქალაქო პირებიც მუშაობდნენ,რომლებიც ათონის მთის ახლოსმდებარე რაიონებიდან მოდიან აქ სამუშაოდ. ამის შედეგია ის, რომ "ივერიონის" მონასტერში სულ 30-ი ბერია, ხოლო დამხმარე პირები სამოცს აღემატება, თუმცა ეს თანაფარდობა, ბერთა გარდაცვალებისა და ახალ ბერთა მოსვლის შედეგად, ნათელია, იცვლება. "ივერიონის" მონასტრის მამული,ბაღ-ბოსტანი კი საქართველოს მოგვაგონებს: სიმინდი,ლელვი, რომელიც ამ დროს მწიფე იყო,რომელსაც მეც შევექეცი, ლობიო,პამიდორი, ვაშლი,მსხალი,თხილი...ერთი სიტყვით, აქ ხარობსა და მოყავთ ყველაფერი, რაც ამგვარ დალოცვილ კლიმატიურ პირობებში ხარობს. სოფლის მეურნეობაში მუშაობა კი უმთავრესად ხელით წარმოებს, თუმცა გამწევ ძალად ჯორები ჰყავთ,რომელთაგან რამდენიმე"ივერიონის" მონასტრის წინ,მინდორზეც კი დავინახე. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თანამედროვე სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები 15-ი წლის წინათ, 1967-ღ წელს, როცა პირველად ვიყავი ათონის წმინდა მთაზე არსად არ ჩანდა; ერთადერთი ძველი ავტობუსი მაშინ მოძრაობდა დაფნიდან კარიამდე - კარიიდან ივერიონამდე და უკან. ახლა,მართალია, იმავე ხაზზე მაინც ერთადერთი ავტობუსია ათონის მთაზე, მაგრამ უკვე რამდენიმეჯერ დავინახე სხვადასხვა სიდიდის ტრაქტორი,რომლებსაც ბერები იყენებენ სხვადასხვა სახის სამუშაოზე; ერთი სიტყვით, თანამედროვე "მექანიზაცია" რამდენიმედ შეიჭრა ათონის წმინდა მთაზედაც.

"ივერიონის" მონასტრის ეზოსა და შემოგარენის გულდასმითი დათვალიერების შემდეგ, ისევ მივედი მთავარ შესასვლელთან,სადაც, როგორც ავღნიშნე, იდგა ერთი შუა-ხნის ბერი, და გავმართე მასთან ისევ,ასე ვთქვათ,"მიმიკური"საუბარი: მასსა და მის გვერდით მდგომ

ერთ ბერძენ სამოქალაქო პირს,რომელიც - როგორც გავიგე - "ივერიონის" მონასტერში მუშაობს როგორც მიწის მუშა, მეტად უხაროდათ, რომ მე ქართველი ვესტუმრე ამ ქართულ მონასტერს, მაგრამ ამავე დროს თქვეს, რომ ღამის გაჟევა ტურისტმლოცველებისათვის "ივერიონის" მონასტერში,დიდი დღესასწაულის გამო, 28-ა აგვისტომდე არ შეიძლებათ. მათ მოილაპარაკეს ერთმანეთს შორის, და შემდეგ დამიწერეს ერთ ნაჭერ ქაღალდზე რაღაც ბერძნულად, და მითხრეს, როცა,საღამოს წირვის შემდეგ, სტუმარ-მლოცველთა მიმღები ბერი მოვა აქ,მთავარ შესასვლელთან, აჩვენე ეს ქაღალდი-წერილი,

Δύναμαι να μείνω
απόψε να παρακολουθήσω
τον εσπερινό και
την πρωινή Θ. Λειτουργία;
Είμαι Ιβηρός και
μένω στο Μόναχο

Δύναμαι να μείνω
απόψε να παρακολουθήσω
τον εσπερινό και
την πρωινή Θ. Λειτουργία;

Είμαι Ίβηρας και
μένω στο Μόναχο

**I can stay to record on tape the vespers and the morning holy liturgy. I am a Georgian and live in Munich.**

ლავრი და თქვენ,ვფიქრობთ, აუცილებლად გაგათევინებს ღამეს აქ. და ამ ბერმაც გაიმეორა ის, რომ "ივერიონის" მონასტერში ჩამოდიან 7-ი თუ 8-ა ქართველი სასულიერო პირი,რომელთა შორის ერთი ეპისკოპოსიც არისო, და მირჩიეს მეც დავრჩენილიყავი მონასტერში 27-ი აგვისტოს ჩათვლით, რომ დავსწრებოდი"ივერიონის" მონასტერში ქართულ ღვთისმსახურებას. მათ შეკითხვაზე თუ ხანამდე მაქვს მე ათონის მთაზე გაჩერების უფლება, მე ვაჩვენე ჩემი ნებართვა,რომელშიც ეწერა, რომ მე ნება მაქვს დავრჩე ათონის წმინდა მთაზე 27-დ აგვისტომდე, ე.ი.ათონის მთა უნდა დამეტოვებია სწორედ იმ დღეს, როცა "ივერიონის" მონასტერში იქნებოდა ამ დიდი დღესასწაულისადმი - "მარიობისადმი" - მიძღვნილი ღვთისმსახურება. მათ კიდევ გამართეს ერთმანეთს შორის საუბარი, და შემდეგ,როგორც იქნა, გამაგებინეს, რომ კარიაში,ათონის მთის დედაქალაქში, შესაძლებელი იქნება გამონაკლისი გაკეთდეს და ერთი დღით გაგიგრძელონ ათონის მთაზე დარჩენის უფლებაო. ერთი სიტყვით, ამ ბერმა და ერთმა სამოქალაქო პირმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ჩემთვის "ივერიონის" მონასტერში ღამისგათევა მოეწყოთ და,თუ საჭირო იქნებოდა, ეზრუნათ ჩემი ათონის მთაზე გაჩერების ნებართვის ერთი დღით - 28-ა აგვისტომდე - გაგრძელებისათვისაც. ამასობაში გაისმა ზარის ხმა,რომელსაც სცემავენ ხოლმე წირვის დაწყების წინ, რაც ნიშნავდა იმას, რომ ვისაც სურდა წირვაზე დასწრება შეეძლო "ივერიონის" მთავარ ეკლესიაში=კათოლიკონში შესვლა და ლოცვა.

აი,ჩემი მაშინდელი ჩანაწერი მაგნეტოფონის ფირზე:

(ფ ი რ ი........)

ლაპარაკობს დავით თაზორიძე ივერიონის მონასტრიდან!..

ახლა ვარ,პატივცემულო მსმენელებო,ივერიონის ეზოში,და ეს ესაა დაიწყება ხუთი საათის წირვა-ლიტურგია ივერიონის მონასტრის მთავარ ტაძარში. დღეს არის 1981 წლის 23 აგვისტო,და ეს ლიტურგია დაიწყება ნაშუაღღევის ხუთ საათზე . და აი ეხლა მივდივარ ივერიონის მთავარ ეკლესიაში,სადაც იწყება ნაშუაღღევის ხუთი საათის წირვა-ლიტურგია. (წირვა "ივერიონის" კათოლიკონში---)

შევედი ეკლესიაში,სადაც წირვა უკვე დაწყებული იყო, ავანთე ჩემს მიერ სახლიდან თანწაღებული სანთელი და მივიტანე საკურთხეველის მარჯვენა მხარეს მდებარე შანდალთან და დავასვენე იქ. როგორც უკვე შეამჩნიეთ, პატივცემულო მსმენელებო, ბერძნულ მართლმადიდებლურ წირვა-ლოცვაში გუნდური გალობა თითქმის საერთოდ არ არის,რაც ასე განსხვავდება ქართული მართლმადიდებლური წირვისაგან,რომელშიც გუნდის გალობა ერთერთი მთავარი ელემენტია. თვით ბერძნული წირვა-ლოცვა კი მეტად შთამაგონებელია. და ვარ რა ახლა "ივერიონის" ქართულ მონასტერში, ვფიქრობ, როდის აჟღერდება კიდევ აქ ქართული ენაზე წირვა-ლოცვა,გალობა?.. ვითომ 1981-ი წლის 27-ი აგვისტო გახდება ერთადერთი თარიღი იმისა, რომ საუკუნეების შემდეგ "ივერიონის" ქართულ მონასტერში ისევ აჟღერდა ქართული წირვა-ლოცვა,გალობა?.. (XXXVIII).

ნაშუაღღევის წირვის დამთავრების შემდეგ,"ივერიონის" ქართულ მონასტერში, როგორც მითხრეს, უნდა მივსულიყავი სტუმართ-მლოცველთა მიმღებ ბერთან, რომ მას ჩემთვის ნება დაერთო "ივერიონის" მონასტერში დარჩენისა და ღამის გათევისა. როგორც ავღნიშნე, სტუმარ-მლოცველთა მიღება "ივერიონის" მონასტერში 28-ა აგვისტომდე შეწყვეტილი იყო იმის გამო, რომ დიდ დღესასწაულს "მარიობას" აღნიშნავდნენ 27-ღ აგვისტოს და შვიდ-რვა სასულიერო პირს მოელოდნენ საქართველოდან.

ჩემს წინაშე კი დადგა საკითხის: დავრჩე თუ არდავრჩე"ივერიონის" მონასტერში, და დავესწრო თუ არდავესწრო ქართველ სასულიერო პირთა წირვას ამ მონასტერში 27-ღ აგვიტოს?..

ამგვარი კითხვა დამებადა იმიტომ, რომ არ ვიცოდი,რომელი გზა იყო უფრო გამოსადექი ქართული საქმისათვის: თუ მე დავრჩებოდი"ივერიონის"

ეს ნაწყვეტი არ გადაიცემოდა!..

ქართულ მონასტერში და დავესწრებოდით ქართველ სასულიერო პირთა წირვა-ლოცვას,გალობას, ეს ჩემთვის იქნებოდა,უდავოა, უდიდესი მთამაგონებელი მოვლენა, მით უმეტეს, რომ მე თან მქონდა მაგნეტოფონი,შემეძლო ამ წირვა-ლოცვის,გალობის მაგნეტოფონის ფირზე ჩაწერა, და ჩვენი რადიოთი შემეძლო თქვენთვის გადმოცემა. ეს,ვიმეორებ, იქნებოდა მართლაც დიდი შთამაგონებელი მოვლენა ჩვენთვის პირადათ და თქვენთვისაც,როგორც რადიომსმენელებისა. მაგრამ,ამავე დროს, ჩაუფიქრდი ამ საქმის "მეორე მხარესაც": ჩვენი რადიო"თავისუფლება",როგორც ყოველდღე გაცნობებთ თქვენ,პატივცემულო მსმენელებო, ფინანსდება ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის მიერ, და,გავიფიქრე, ამ ფაქტმა შეიძლება ხელი შეუშალოს საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა ურთიერთობის გაფართოებას "ივერიონის" ქართულ მონასტერთან, თუ მეც დავესწრებოდი საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა წირვა-ლოცვასა და გალობას "ივერიონის" ქართულ მონასტერში 1981 წლის 27-ს აგვისტოს. სიმართლე გითხრათ, არ ვიცოდი როგორ გადამეწყვიტა ეს საქმე!.. დიდი ფიქრის შემდეგ, მივედი დასკვნამდე, რომ მაინც ჯობია არ დავრჩე "ივერიონის" მონასტერში 27-ი აგვისტოს ჩათვლით და არ დავესწრო საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელთა წირვა-ლოცვას,გალობას "მარიობის" დღესასწაულზე,27-ს აგვისტოს, რომ ჩემი ამ წირვა-ლოცვაზე დასწრებითა და ქართველ სასულიერო პირებთან შეხვედრით, "საქმე არ გავაფუჭო",ე.ი. ხელი არ შეუშალო საქართველოს ეკლესიის ამ მეტად დიდ და საპასუხისმგებლო საქმის წამოწყებას, რომელიც,ვიმედოვნებ, ერთ დროს იმით დაგვირგვინდება, რომ "ივერიონის" მონასტერში ისევ თავს მოიყრიან ქართველები ბერებიც, რა თქმა უნდა, ბერძენთა თანხმობით. რა თქმა უნდა, მეტად გული დამწყდა, რომ უარი ვთქვი "მარიობის" დღესასწაულზე დასწრებაზე "ივერიონის" ქართულ მონასტერში, უარი ვთქვი ქართულ წირვა-ლოცვაზე დასწრებაზეც და საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებთან გაცნობა-გასაუბრებაზე, მით უმეტეს,რომ ყველაფერ ამის ჩაწერა მე შევეძლო მაგნეტოფონის ფირზე,რაც თავისებური

"ისტორიული დოკუმენტიც" შეიძლება გამხდარიყო, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ჩემი გადაწყვეტილება იყო სწორი, ვინაიდან, ჩემის აზრით, არავინ არ უნდა შეუშალოს ხელი ისეთ საქმეს, რომელიც გამიზნულია იქითკენ, რომ საქართველომ, საქართველოს წარმომადგენლებმა ისევ აღადგინონ ან სრულიად ახლად დაამყარონ კავშირები უცხოეთში სხვადასხვა ჩვენთვის საჭირო უწყებებთან თუ კულტურის ცენტრებთან, და ერთერთი ასეთი უდიდესი კულტურის ცენტრის ჩვენთვის რომ "ივერიონის" ქართული მონასტერია, ამაში არ შეიძლება ორი აზრი არსებობდეს.

უარი ვთქვი რა "ივერიონის" მონასტერში დარჩენაზე, მზე კიდევ ჩასული არ იყო, გავუდექი გზას "ივერიონის" მონასტრიდან დაახლოებით ერთი საათით ფეხით სასიარულო გზით დაშორებულ მონასტერ "სტავრონიკიტასაკენ". მონასტერ "ივერიონიდან" მონასტერ "სტავრონიკიტამდე" ორი გზაა: ერთი, ასე ვთქვათ, "საავტომობილო" გზა, ე.ი. ასე თუ ისე ფართო გზა, რომელიც უფრო გრძელია, და მეორე ფეხით სასიარულო ბილიკი, რომელიც ეგეის ზღვის ნაპირს მიუყვება და უფრო ახლოა. ვინაიდან, წესით, მონასტერში სტუმარი-მლოცველი "მზის ჩასვლამდე" უნდა მივიდეს, რომ მიღებულ იქნეს როგორც სტუმარი, მე წავედი აღნიშნული ბილიკით, მაგრამ ეს გზა ისეთი "გაუვალი" გამოდგა, რომ ზოგჯერ კლდიდან 50-100-ი მეტრის სიღრმეში მდებარე ზღვის ტალღებში გადავარდნის საშიშროებაც კი არსებობდა სახელდახელოთ კლდეში გაკვეთილ ბილიკიდან. ასე იყო თუ ისე, როგორც იქნა გაოფლიანებული და ძალღონე მიხდილი მივაღწიე "სტავრონიკიტას" მონასტრამდე, სადაც დაახლოებით ოცზე მეტი სტუმარი-მლოცველი ელოდებოდა სტუმარ-მლოცველთა მიმღებ ბერს. "სტარვონიკი-

ცახ" მთავარ ეკლესიაში=კათოლიკონში წირვის დამთავრების შემდეგ, სტუმარ-მლოცველთა მიმღები ბერი მოვიდა ამ მონასტრის მთავარ ჭიშკარ-თან, შევიდა ჭიშკრის გვერდზე ერთ სპეციალურ სასტუმრო ოთახში, ჩვენც დავჯექით ირგვლივ ჩამწკრივებულ სკამებზე, და ჩამოგვართვა ყველას ჩვენი ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიაში მიღებული ათონის მთაზე სტუმრობის ნებართვა-ქაღალდი; გადაშალა "სტუმართა" დიდი წიგნი და დაიწყო ცალკეულ სტუმართა სახელი და გვარის ჩაწერა. სულ ვიყავით, როგორც დავთვალე, 23-ი სტუმარი-მლოცველი, რომელთაგან მხოლოდ ორი - ერთი, როგორც მან თქვა, შვეიცარიელი და მეორე მე - ვიყავით არაბერ-ძენი. ეს მონასტერი "სტავრონიკიტა" გამოდგა "კოინობიტური" ტიპის მონასტერი, რაც ჩემთვის მეტად საინტერესო გამოდგა, ვინაიდან პირვე-ლად ვიყავი ისეთ მონასტერში, სადაც მეტად მკაცრი წესრიგი არსებობს და ბერები ყველა სამუშაოს, წირვა-ლოცვას თვით საჭმელის მიღებასაც ერთად აკეთებენ. თვით მონასტერ "სტავრონიკიტაში" კი სულ 15-ი ახალ-გაზრდა ბერი ყოფილა, თუმცა მე ვახშმისას 17-ც ბერამდე დავითვალე. როცა სტუმართ-მლოცველთა მიმღებმა ბერმა დაამთავრა ჩვენი სახელისა და გვარის "სტუმართა წიგნში" ჩაწერა, შემდეგ წაგვიძღვა წინ და შეგვიყვანა ერთ დიდ სასადილო დარბაზში, ე.წ-ლ"რეფრენქტორიუმში", სადაც უკვე მაგიდა გაწყობილი იყო, და ყოველი ბერი და ყოველი სტუ-მარი დადგა გაწყობილი მაგიდის წინ, რის შემდეგ ერთმა ბერმა დაიწყო, რამდენადაც ამის გაგება მე შევძელი, სუფრის დალოცვა, რომლის შემდეგ ყველა ბერმა და სტუმარმა პირისჯვარი გადაიწერა და მიუსხდენ მაგიდას. სასმელ-საჭმელი კი, როგორც ყოველ არა მარტო კოინობიტურ მონასტერში იყო უხორცო. ხის ფინჯანში იყო კერძი, რომელიც შესდგებოდა უმთავრესად ბადრიჯანისაგან, რაც მეტად გემრიელი იყო. ამასთანავე ცალკე, ხისვე ფინჯანზე, იყო პამიდორის სალათა სახვით, ხოლო საერთო ხის ფინჯანზე თვით მონასტერში გამომცხვარი პური დაჭრილი. ამასგარდა, როგორც დესერ-ტი, მაგიდაზე იყო ფინჯანშივე ლეღვი და სასმელად დოქი წყალით და ჭიქები. ერთი სიტყვით, საჭმელი იყო მეტად, ასე ვთქვათ, "უბრალო", მა-

გრამ გემრიელი. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ იმ დროს,როცა ჩვენ - სტუმრები და ბერები - ვახშმობდით, ერთი ბერი განუწყვეტლივ განაგრძობდა,ვფიქრობ,სახარებიდან კითხვას,რამაც ჩემში მეტად ღრმა შთაბეჭდილება დატოვა. ვახშმის დამთავრების შემდეგ, გამოვდიოდით რა სასადილო დარბაზიდან, ორი ახალგაზრდა ბერი, რომლებიც გვემსახურებოდნენ, თავდახრილი, წელში მოღუნული და მარჯვენა ხელი გულზე დადებული გვემშვიდობებოდნენ, თუმცა ამგვარი პატივისცემის დედააზრი ჩემთვის გაუგებარი დარჩა.

ვახშმის შემდეგ, სტუმართა მიმღებმა ბერმა წაგვიყვანა სასტუმრო ოთახებში, რომლებიც "სტავრონიკიტას" მონასტრის მეტად მაღალ კოშკშია მოთავსებული. ავედით რა მესამე თუ მეოთხე სართულზე ამ თითქმის კლდეზე აშენებული მონასტრის კოშკში,რომელიც ირგვლივ სხვა შენობებითაა შემოვლებული, ბერმა მე შემიყვანა ერთ ხუთლოგინიან ოთახში, რომელშიც დაგვაბინავა სამი ბერძენი, ერთი შვეიცარიელი და მე,ე.ი.სულ ხუთი კაცი. ჩვენი ფანჯრიდან ზღვის ღელვა კარგად ისმოდა, და გადავიხედე რა ჩვენი ოთახის ფანჯრიდან, დაბლა,შორს კლდის სიღრმეში ზღვა მოსჩანდა, რაც განსაზღვრულ შიშსაც კი იწვევდა. ბერმა გვაჩვენა აგრეთვე სუფთად მოწყობილი საპირფარეშო, კარგი ძილი გვისურვა და წავიდა. ამასობაში დაბნელდა კიდეც, და,როგორც წესი, ჩვენც დავწექით,ვინაიდან ათონის მთაზე დაწოლის დრო დაბნელებასთანაა დაკავშირებული. ცოტა გამომესაუბრა ჩემს გვერდით ლოგინზე დაწოლილმა შვეიცარიელმა, რომელიც,როგორც შევატყვე, მეტად კარგად ლაპარაკობდა გერმანულად, მაგრამ ჩემთან საუბარი რატომღაც ფრანგულად უნდოდა, რაც,შევატყვე, მასაც უჭირდა. მან მომითხრო, რომ ის თითქმის ათონის მთის ყველა მონასტერში იყო, და დასძინა, რომ ყველაზე კარგი ბინა და სასმელ-საჭმელი ამ, "სტავრონიკიტას" მონასტერშიაო. მიუხედავათ იმისა, რომ ამ უცხო გარემოში და ამდენ უცხო ადამიანებთან ერთ ოთახში დაძინება შეუჩვეველისათვის - და ასეთი ვიყავი მე - ადვილი საქმე არ არის, მაგრამ ისე ვიყავი დაღლილი, რომ დაუყონებლივ

ჩამეძინა, და გამომეღვიძა მაშინ, როცა ჩვენს ოთახში მძინარე სამი ბერძენის ჩუმი ლაპარაკი და ხმაური მომესმა, როცა ისინი დგებოდნენ და წასასვლელად ემზადებოდნენ. ადგენ,დაიბანეს,ჩაიცვენ წყნარად და წავიდნენ რა ოთახიდან, მე უკვე აღარ მეძინებოდა; მეც ავდექი,პირი დავიბანე,ჩავიცვი,ავიკარი ჩემი ბარგი და ჩამოვედი დაბლა მონასტერ "სტავრონიკიტას" ეზოში, და ვეძიე რომელიმე ბერი, რომ მისთვის, როგორც მირჩიეს, შეწირვის სახით ორასი დრახმა მიმეცა. მაგრამ ჩემი ძებნა უშედეგო გამოდგა; ვერავინ ვნახე და ასე წამოვედი "სტავრონიკიდას" მონასტრიდან.

გამოვედი თუ არა გარეთ,გავუდექი გზას,რომელიც მიდის როგორც ათონის წმინდა მთის მთავარ ქალაქ კარიასაკენ,ისევე "ივერიონის" მონასტრისაკენ. ამასობაში უკვე სინათლემ იმატა და დაახლოებით ერთი საათის შემდეგ მივედი "ივერიონ"-კარიას გზაჯვარედინზე, სადაც მოშორებით ის სამი ბერძენიც დავინახე, რომლებმაც ჩემთან ერთად გაათიეს ღამე ოთახში "სტავრონიკიტას" მონასტერში. ამასობაში გათენდა და შორიდან მომესმა ავტობუსის ხმა,რომელიც, როგორც მიხვდი, კარიადან მიდიოდა "ივერიონის" მონასტრისაკენ; და როცა ავტობუსი დამიახლოვდა,ვუჩვენე ხელით "ივერიონისაკენ" მინდა წასვლა მეთქი, შოფერმა ავტობუსი გააჩერა და ასე გავეშურე ისევ "ივერიონის" მონასტრისაკენ 24-ს აგვისტოს, 1981 წელს.

ჩამოვედი რა ავტობუსიდან,ასე დილაადრიანად, ისევ გავეშურე ივერიონის მონასტრის ნავსადგურისაკენ; ისევ ჩამოვჯექი ხის მორზე და მაგნეტოფონის ფირზე ჩავწერე შემდეგი: (ფ ი რ ი..............)

ლაპარაკობს დავით თაბორიძე ათონის წმინდა მთიდან.

დღეს არის,პატივცემულო მსმენელებო,1981 წლის 24 აგვისტო და ეხლა მე ვზივარ ზღვის პირას ქართული ივერიონის მონასტრის ეზოს წინ, საიდანაც მოსჩანს ჩვენი ეს ერთერთი დიდი კულტურის ცენტრი "ივერიონის" ქართული მონასტერი. ზღვისპირას ათონის მთასთან,დაახლოებით,ორასი მეტრის დაშორებით აღმართულია კედლები ივერიონის მონასტრისა რომელიც აქედან ტოვებს, ასე ვთქვათ,ციხე-სიმაგრის შთაბეჭდილებას,თუმცა ზევით მოსჩანს სახლები,ბალკონებით,რომლებშიც ცხოვრობენ ამ მონასტერში მცხოვრები ბერები. და ვარ რა ახლა აქ ივერიონის ქართულ მონასტ-

ერში, როგორ შეიძლება სხვაგვარად იყოს, მაგონდება ამ ივერიონის მონასტრის ფუძე-მდებლები ექვთიმე თაწმინდელი, თორნიკე ერისთავი და შემდეგ მაგონდება აგრეთვე მესამე დიდი პიროვნება გიორგი მთაწმინდელი, შვილი ექვთიმე თაწმინდელისა, რომელმაც ახეთი დიდი წვლილი შეტანა არა მარტო ივერიონის ქართული მონასტერის განმტკიცება-გაძლიერების საქმეში. ვარ რა ეხლა აქ ივერიონის ქართული მონასტრის წინ ზღვის პირას მინდა, პატივცემულო მსმენელებო, მოგაგონოთ მთავარი მონაკვეთები, მთავარი ხაზები ცხოვრებისა და მოღვაწეობისა ექვთიმე თაწმინდელისა, რომელიც ასე ხატოვნათ არის აღწერილი საქართველოს კალენდარში, საქართველოს ეკლესიის კალენდარში, რომელიც მე თან მაქვს წამოღებული; აი, გავეცნოთ ამ მთავარ ხაზს ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობისა, რომელიც სწორედ აქ დაიწყო და აყვავდა, სადაც ეხლა მე ვიმყოფები, ე.ი. ათონის მთის ქართული ივერიონის მონასტრის ზღვის ნაპირას.

## ექვთიმე მთაწმიდელი

ექვთიმე მთაწმიდელი ანუ ათონელი დაიბადა დაახლოებით 955 წელს. ის იყო უმცროსი შვილი საქართველოს მეფის დავით კურაპალატის გამორჩენილი მხედართმთავრის, დიდებული იოანესი, რომელმაც უარი სთქვა მიწიერ ცხოვრებაზე და ბერად აღიკვეცა ათონის ივერიის მონასტერში. მცირეწლოვანი ექვთიმე მძევლად მიუციათ კონსტანტინეპოლში. იმ ხანებში იოანე ოლიმპოს მთაზე იყო, როდესაც გაიგო შვილის მძევლად გაგზავნა, დაუყოვნებლივ გაეშურა კონსტანტინეპოლში, შვილი დაიბრუნა და ოლიმპოს მთაზე წაიყვანა.

ბუნებრივია, რომ ყოფილი მხედართმთავარი, რომელიც სარწმუნოებამ და ღვთის განგებამ ასკეტური ცხოვრების გზაზე დააყენა, თავის შვილს ექვთიმეს ზრდიდა მაღალ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ საფუძველზე, უნერგავდა ღვთის სიყვარულს, სიკეთისა და მორჩილების გრძნობას, სამშობლოს სიყვარულს, მიაღებინა ქართული განათლება; ბერძნული კი ექვთიმემ შესანიშნავად შეისწავლა ჯერ კიდევ ბავშვობის დროს.

ოლიმპოს მთიდან იოანე შვილითა და რამდენიმე მოწაფით ათონის მთაზე გადასახლდა და ათანასე დიდის ლავრაში დაემკვიდრა. როდესაც იოანე დარწმუნდა, რომ შვილს სათანადო მომზადება და უნარი აქვს, ურჩია დაეწყო მთარგმნელობა. საქართველოს ეკლესია განიცდიდა საეკლესიო მწერლობის სიმცირეს და ახალგაზრდა ექვთიმემ 975 წლიდან დაიწყო საეკლესიო წიგნების თარგმნა ბერძნულიდან ქართულად. მთარგმნელობითი საქმიანობის უდიდესი ნაწილი მან შეასრულა მამის სიცოცხლეში. ექვთიმე დაამთავრებდა თუ არა რომელიმე ნაშრომის თარგმანს, უგზავნიდა მეფე დავით კურაპალატს საქართველოში. მამის სიკვდილის შემდეგ, 1005 წელს ექვთიმე გახდა წინამძღვარი ათონის ივერიის მონასტრისა. რადგანაც მონასტრის წინამძღვრობა მას დიდ დროს ართმევდა, თოთხმეტი წლის შემდეგ, 1019 წელს, ეს მოვალეობა სხვას გადაულოცა და ისევ მთარგმნელობით მოღვაწეობას შეუდგა.

მისი თარგმანები ძირითადად მოიცავს შემდეგ დარგებს: ბიბლიოლოგიას, აპოკრიფებს, ეგზეგეტიკას, პოლემიკას, ასკეტიკას და მისტიკას, ჰომილეტიკას, აგიოგრაფიას, ლიტურგიკას, საეკლესიო სამართალსა და ჰიმნოგრაფიას. სულ ექვთიმე ათონელმა თარგმნა 160 ნაშრომი.

მან აგრეთვე თარგმნა ქართულიდან ბერძნულად „ბალავარი" და „აბუკურაი".

სარწმუნოებისათვის თავდადებულ მშრომელსა და სამაგალითო მამულიშვილს აქვს ორიგინალური ნაშრომიც — „ცხოვრება ილარიონ ქართველისა" და ბერძნულ ენაზედ დაწერილი ნაშრომი, რომელიც შემდეგ მანვე თარგმნა ქართულად: „წესი, თუ ვითარ ჯერ არს ცხოვრება დაყუდებულისა, გინა მარტომყოფისა". ბედით თუ უბედობით სამშობლოდან გადახვეწილ ექვთიმე მთაწმიდელს ეს გადახვეწა უფრო უძლიერებდა სამშობლოს სიყვარულს. ჭეშმარიტად ძლიერია სული, რომელიც შეიცნობს ამქვეყნიურ ამაოებას, განუდგება მას, მაგრამ ამ განდგომით როდი სცილდება ცხოვრებას, პირიქით: ემსახურება მარადიულობას, უკვდავებას სარწმუნოებისას, ერისას და საკუთარი სულისას.

გარდაიცვალა ექვთიმე მთაწმიდელი ათონზე 1028 წელს.

---

 აი ახე ვკითხულობთ, პატივცემულო მსმენელებო, საქართველოს ეკლესიის კალენდარში ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, რაც მომაგონდა მე ახლა აქ, როდესაც ვარ ივერიონის ქართული მონასტრის წინ, ზღვის პირას, 1981 წლის 24 აგვისტოს, ივერიონის ქართული მონასტრის დაარსების ათასი წლის თავზე

ლაპარაკობს დავით თაზორიძე ივერიონის ქართული მონასტრიდან!..

XXXXIX.

წინა ხაუზარში ჩემი გადაცემა მე შევწყვიტე მაშინ, როცა ვიჯექი ივერიონის მონასტრის წინ, ზღვის პირას, და მოვიგონეთ ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრება და მოღვაწეობა ამ მონასტერში. ახლა მოვისმინოთ აგრეთვე სხვა ჩანაწერებიც-მაგნეტოფონის ფირზე-ივერიონის მონასტრის ღზვისპირას:

(ფ ი რ ი..............)

---

ლაპარაკობს დავით თაზორიძე ათონის მთიდან!..

დღეს არის, პატივცემულო მსმენელებო, 1981 წლის 24 აგვისტო, და ეხლა მე ვზივარ ათონის "ივერიიონის" ქართული მონასტრის წინ, ზღვის პირას, და აქედან კარგათ მოსჩანს ივერიონის ქართული მონასტრის ეზო, და ეზოს იქეთ, ჩვენი ქართული მონასტერი ივერიონი, რომელიც გარედან, ე.ი. ზღვის მხრიდან ციხე-სიმაგრის, ასე ვთქვათ, შთაბეჭდილებას სტოვებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მას ზევით, ე.ი. კედლებზევით მოსჩანს მრავალი ბანკონი, ფანჯრები, სადაც ცხოვრობენ ბერები, რომლებიც გახაგებენ, ხელმძღვანელობენ და პატრონობენ ამ ჩვენს უძველეს კულტურის ცენტრს; და მოვედი რა ივერიონის ქართული მონასტერში, ამ მონასტრის დაარსების ათასი წლის თავზე, (როგორც ცნობილია ივერიონის მონასტერი დაარსდა 980- და

983 წლებში, მსურს მოვიგონო ის ქართველები, ის დიდი ქართველები, რომლებმაც დიდი ღვაწლი შეიტანეს არა მარტო ამ მონასტერის დაარსება-შექმნაში, არამედ ქართულ კულტურაში საერთოდ, და ერთერთი ასეთი დიდი პიროვნებაა გიორგი მთაწმინდელი; ხელთ მაქვს რა საქართველოს ეკლესიის კალენდარი, მსურს მოგაგონოთ ამ დიდი ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარი მომენტები:

## გიორგი მთაწმიდელი

გიორგი მთაწმიდელი დაიბადა 1009 წელს თრიალეთში. მამამისს ერქვა იაკობი, დედას — მარიამი. დაბადებიდანვე ის მშობლებმა განუკუთვნეს ღმერთს სამონასტრო სამსახურისათვის. შვიდი წლისა მიიყვანეს ტაძრისის დედათა მონასტერში, სადაც იზრდებოდა მისი და. მონასტერში გიორგიმ დაჰყო სამ წელს და ათი წლისა გადავიდა ხახულის მონასტერში, სადაც მოღვაწეობდნენ მისი მამის ძმები — გიორგი და საბა. ბიძებმა გიორგის მოძღვრად დაუყენეს ილარიონ თვალელი. მან გამოიჩინა დიდი გულისხმიერება და შეისწავლა ძველი და ახალი სჯული. ხახულის მონასტრიდან გიორგი გადაიყვანეს კონსტანტინეპოლში, სადაც სწავლობდა თორმეტი წელი. მას თავისი ბეჯითობითა და ნიჭით გაკვირვებაში მოჰყავდა ყველანი. მან სრულყოფილად შეისწავლა ბერძნული ენა. 1034 წელს 25 წლის გიორგი დაბრუნდა ხახულში თავის ბიძა საბასთან და ბერად აღიკვეცა, 1036 წელს კი გადავიდა შავ მთაზე, სვიმეონ საკვირველმოქმედის მონასტერში. 1039 წელს გიორგიმ იმოგზაურა იერუსალიმში, მოინახულა იქაური წმიდა ადგილები, თაყვანი სცა იმ მიდამოებს, სადაც დადიოდა ჩვენი მაცხოვარი - და შავ მთაზე დაბრუნდა თავის მოძღვარ გიორგი შეყენებულთან. მოძღვარმა ნახა, რომ გიორგი საკმაოდ განსწავლულია საეკლესიო წიგნების ქართულად გადმოსათარგმნად და გაგზავნა ათონის ივერთა მონასტერში, სადაც იმ დროს გაჩაღებული იყო ლიტერატურული მუშაობა.

გიორგი იყო გასაოცრად თავმდაბალი და არ ჩათვალა თავისი თავი ღირსად და მომზადებულად იმისათვის, რომ ეთარგმნა წმიდა საეკლესიო წიგნები. ის რამოდენიმე წელს იყო მორჩილად და მთლიანად გამოავლინა თავისი ბუნება: სულიერი სიწმიდე, სიმდაბლე, მოთმინება და სიყვარული. მხოლოდ 1042 წელს, ე. ი. ოცდაცამეტი წლის ასაკში, მონასტერში ოცდაოთხი წლის ცხოვრებისა და დიდი განსწავლის შემდეგ მიიღო მღვდელობა, მალე დეკანოზობაც, და დაინიშნა ეკლესიის მთავრად. 1044 წელს გიორგი მისი სურვილის საწინააღმდეგოდ აირჩიეს ათონის ივერიის მონასტრის წინამძღვრად. გიორგის არ შეეძლო დავალებული საქმის ზერელედ შესრულება, ამიტომ ის მთლიანად ჩაეფლო სამონასტრო საქმეებში და დრო აღარ რჩებოდა წიგნების თარგმნისათვის. რამოდენიმე წლის შემდეგ მან თავი გაითავისუფლა წინამძღვრობიდან, ისევ შავ მთაზე გადავიდა და ისევ დაიწყო შემოქმედებითი მუშაობა. მან გადაამუშავა და ბერძნულ დედანს დაუახლოვა ექვთიმე ათონელის მიერ შესრულებული თარგმანები, თარგმნა სხვა მრავალი წიგნიც. ამავე დროს ეწეოდა მრავალმხრივ მოღვაწეობას, რითაც დაიმსახურა ანტიოქიის პატრიარქთა ყურადღება. როდესაც

ბაგრატ მეფემ გაიგო, რომ გიორგიმ დაამთავრა მრავალი წიგნის თარგმნა, მიიპატიჟა ის საქართველოში საეკლესიო საქმეების მოსაგვარებლად. სწორედ იმ დროს თურქეთი აწარმოებდა დიდ დაპყრობით ომებს და გიორგიმ დიდი წვალების შემდეგ მოაღწია საქართველოს, სადაც დაჰყო ხუთი წელი და მოახდინა საეკლესიო საქმეების რეორგანიზაცია. ამის შემდეგ უანგარო მამულიშვილმა წაიყვანა საქართვე-

ლოდან ითხოვეს იბოლი პავშე ათონის მონასტერში ქართველთა რიცხვის გასაძლიერებლად. 1065 წელს გიორგი კონსტანტინეპოლში ჩავიდა და იმავე წელს იქვე გარდაიცვალა. კონსტანტინეპოლში მყოფმა ქართველებმა ის დიდი მწუხარებით დაიტირეს, მისი ნეშტი ათონზე გადაასვენეს და დაკრძალეს ივერიის მონასტერში.

გიორგიმ დაგვიტოვა ორმოცზე მეტი ნაშრომი, რომელნიც ისევე როგორც ექვთიმე ათონელისა, ძირითადად ეხება: ბიბლიოლოგიას, აპოკრიფებს, ეგზეგეტიკას, დოგმატიკას, ლიტურგიკას, ჰომილეტიკას, აგიოგრაფიას, საეკლესიო სამართალს, ჰიმნოგრაფიას. გიორგის აქვს მხატვრული ბიოგრაფიული ხასიათის ნაშრომიც — „ცხოვრება იოანესი და ექვთიმესი". მას ჰქონდა დიდი პოეტური ნიჭი, რომელიც გამოვლინდა საეკლესიო ჰიმნების თარგმნისას.

სხვა რა შეგვიძლია ვთქვათ? თავისთავად ნათელია: დიდი სულიერი სიწმიდე, უანგარო მორჩილება, ასეთივე თავმდაბლობა, ავბედობის დროს ვაჟკაცური გამძლეობა და მოთმინება, მამულის უზადო სიყვარული და საერთოდ მოყვარული გული — ასეთი იყო ჩვენი ღირსი მამა გიორგი მთაწმიდელი. ჭეშმარიტად მხოლოდ მონასტრის ზეგარდმო მადლსა და სისპეტაკეს შეეძლო აღეზარდა ასეთი მაღალი სული.



(შალომა---)

ახლა გაგაცნობთ, პატივცემულო მსმენელებო, გიორგი ნოზაძის,ცნობილი რუსთველოლოგის დოქტორ ვიქტორ ნოზაძის ძმის, მოგონებას ივერიონის მონასტრის შესახებ. გიორგი ნოზაძემ ივერიონის მონასტერი მოინახულა 1963 წელს და რჩეული მოხსენება გააკეთა მისი მოგზაურობის შესახებ ქართულ სათვისტომოში - პარიზში. შემდეგ ეს მისი მოგონება დაიბეჭდა ჟურნალ"კავკასიონში",პარიზში,1964 წელს.

გიორგი ნოზაძე წერს:

გიორგი ნოზაძე

# ივერიელთა მონასტერი ათონზე

(მოგზაურობის შთაბეჭდილებანი)

(მოხსენებად წაკითხული და სურათებით გაშუქებული პარიზის ქართულ საზოგადოებაში, დეკ. 14-ს 1963)

მსოფლიო მართლმადიდებელმა ეკლესიამ წელს იდღესასწაულა წმიდა ათონის მთის მონასტერთა დაარსების ათასი წლისთავი.

ეს დატა დაკავშირებულია პირველი მონასტრის, დიდი ლავრას დაარსებასთან — 963 წელს. ხოლო ქართველებმა „ივერიონის" მონასტერი დააარსეს ოცი წლის შემდეგ; ასე რომ არსებითად ეს იუბილე მასაც მიეკუთვნება.

ჩვენ როგორც ქართველებს, გვაინტერესებს ათონის მთის ივერიელთა მონასტრის წარსული და მისი დღევანდელი მდგომარეობა.

+

ჩვეულებრივ დროს ათონის მთაზე წასვლის ნებართვის აღება სიძნელეს ეღობება. იუბილეის გამო უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო ვიზის მიღება. გარდა ამისა ჩემმა მეგობარმა ალექსანდრე კინწურიშვილმა ერთი ნაცნობი ფრანგი ელჩისაგან სარეკომენდაციო ბარათიც მიიღო და 20 აპრილს 1963 წ. შევუდექით შორეულ გზა!

ოთხი დღის მგზავრობის შემდეგ (ავტომობილით) უკვე საბერძნეთის სატახტო ქალაქ ათინაში ვიყავით. აქ წყდებოდა ჩვენი ბედი — შევძლებდით თუ არა ათონის მთაზე წასვლას.

აქ საფრანგეთის საკონსულომ დახმარება მართლაც აღმოგვიჩინა. ფრანგმა კონსულმა სთხოვა საბერძნეთის საგარეო სამინისტროს, რათა მას აღეძრა ათონის მთის მმართველობის წინაშე შუამდგომლობა ჩვენთვის ათონის მთაზე ასვლის ნებართვა მოენიჭებინათ. სანამ ალექსანდრე კონსულთან შესვლას უცდიდა, გამოგველაპარაკა საკონსულოს ერთი მოხელე ბერძენი და როცა გაიგო ჩვენ ათონის მთაზე გვსურდა წასვლა, მან ღიმილით გვითხრა:

— რა გაგიჭირდათ ამ სიშორიდან რომ მოსულხართ! რა უნდა ნახოთ ათონზე, გარდა ჭუჭყიან ფანატიკოს ბერებისა, ბაღლინჯოებისა და სიბინძურისა?

ამაზე მას ჩვენ პასუხი არ გავეცით, მაგრამ მე გამახსენდა რანდოლ კოატ-ის წიგნი ათონზე, სადაც იგი მოგვითხრობს ზოგი მონასტრის სიბინძურეზე; ხან და ხან იძულებული ვიყავითო ღამე გარეთ გაგვეთია, ცის ქვეშ, რათა ბაღლინჯოების შეტევას გადავრჩენოდითო! გამახსენდა ისიც, რომ ალექსანდრემ თან წამოიღო, ვიღაცის რჩევით, ფხვნილი დეტეტესი, ბაღლინჯოების წინააღმდეგ თავის დასაცავად. ცოტა არ იყოს, ცუდ გუნებაზე დავდექით.

საფრანგეთის საკონსულოს ბარათი წავიღეთ საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სარელიგიო საქმეთა განყოფილებაში. აქ ჩვენთვის უნდა მოეცათ ათონის მთის მმართველი წრის წინაშე შუამდგომლობის ქაღალდი ნებართვისათვის. სამინისტროს მოხელემ ორივეს პასპორტი გვთხოვა, ჩვენი პასპორტები გასინჯა და მიმართა ალექსანდრეს:

— მხოლოდ თქვენ მოგცემთ სარეკომენდაციო ბარათს; ამას კი, ვერ მივცემთ — და მიუთითა ჩემზე.

— რატომ?

— ბრძანება მაქვს, რაც შეიძლება შევამცირო ტურისტთა რიცხვი, რადგან ბერებს ტურისტები არ უყვართ! —

ალექსანდრემ პროტესტი განაცხადა — ეს არის ჩემი შოფერი და სპეციალისტი ათონის მთისა. მე უამისოდ ვერ გავემგზავრები; დღესვე დავბრუნდები პარიზს...

რასაკვირველია, ამ უარში ბერები არაფერ შუაში იყვნენ; მოხელეს არ მოეწონა ჩემი ემიგრანტული პასპორტი!

შემდეგ მაინც მოხელე დაგვეთანხმა ჩვენთვის მოეცა ბარათი და გვითხრა, ხვალ შემობრძანდითო.

— ამდენი დრო არა გვაქვს და გთხოვთ დღესვე დაგვიმზადოთ ბარათები....

ასეც მოხდა. ერთი საათის ცდის შემდეგ მივიღეთ სარეკომენდაციო ბარათები ათონის მთის რესპუბლიკის მმართველობასთან.

+

წმიდა ათონის მთის ტერიტორია წარმოადგენს ნახევარ კუნძულს, რომელიც შეჭრილია ეგეის ზღვაში. მისი სიგრძე უდრის 45 კილომეტრს, ხოლო უფართოესი განი ათი კილომეტრისაა. ძველ საბერძნეთში ათონის მთა ითვლებოდა წმიდა ადგილად; იგი მიკუთვნებული იყო ღმერთ ზევესისადმი და ამ ნახევარ კუნძულს ეწოდებოდა — მწვერვალი ღმერთისა.

ქრისტიანული გადმოცემის მიხედვით, ღვთისმშობელმა მარიამმა მოციქულ იოანესთან ერთად ათონზე იქადაგა ქრისტიანობა; ამიტომ ბერძნებმა ეს ნახევარი

კუნძული ღვთისმშობლის წილხვდომილად გამოაცხადეს.

ათონის მთაზე პირველი მონასტრის გაშენებამდე, ე. ი. მეათე საუკუნემდე, იქ უკვე ცხოვრობდნენ განყენებული, განდეგილი ბერები, რომელთაც ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ დიდმა (876 — 886) მიანიჭა ყოველგვარი პრივილეგია, ხოლო იმპერატორმა მონომახმა განსაკუთრებული ბრძანებით დაადგინა ათონის მთის ხელშეუხებლობა.

+

ცნობილი არ არის, თუ როდის დაიწყო ათონის მთაზე ქრისტიანული სამონასტრო ცხოვრება. გამორკვეულია მხოლოდ, რომ 963 წელს ბერმა ანტონიტმა ა თ ა ნ ა ს ე მ , რომელიც იყო მოძღვარი და სულიერი მამა ბიზანტიის იმპერატორ ნიკიფორე ფოკას-ი, ათონის მთაზე დააფუძნა მონასტერი — ჰაგია ლავრა — რასაკვირველია, იმპერატორის დახმარებით. ეს იყო პირველი მონასტერი ათონის მთის ნახევარ კუნძულზე.

სწორედ იმავე ხანაში, ესე იგი, პირველი მონასტრის დაფუძნების შემდეგ, ოცი წლის მერმე, ქართველებმა ააშენეს ქართული მონასტერი. ამ მონასტერის დამფუძნებელი იყო ბერი ი ო ა ნ ე , ერისკაცობაში გვარად ჩორჩანელი ხურსიძე. და ამ მონასტერს ეწოდა ბერძნულად „ივირონ", ხოლო ქართულად ივერიონი.

ათონის მთის დიდებამ შუა საუკუნეთა მანძილზე უმაღლეს წერტილს მიაღწია; მონასტრების რიცხვი 180-ზე ავიდა. მას შემდეგ რაც თურქებმა საბერძნეთი-ბიზანტია დაიპყრეს (მეხუთმეტე საუკუნეში), მონასტერთა რიცხვმა თანდათან იკლო და 1822 წელს მხოლოდ ოცდაერთ მონასტერში გაისმოდა გალობა! დღეს კი მონასტერთა რიცხვი ოცს უდრის.

+

ათონის მთის მონასტრები ვანაწილებული არიან ოთხ მთავარ მონასტერს შორის; ამათი სახელია: ლავრა, ვოლოპედი, ივირონი და შილანდარი, ხოლო ადმინისტრატიულ ადგილად ითვლება კარიეს. აქ არიან ოთხივე მონასტრის წარმომადგენლები, რომლებიც ათონის მთის მმართველობას წარმოადგენენ. ყოველ ოფიციალურ ქაღალდზე, ან დადგენილებაზე ოთხივე მონასტრის ბეჭედი უნდა იყოს დასმული. კარიესში იმყოფება საბერძნეთის მთავრობის წარმომადგენელიც, გუბერნატორის სახელწოდებით.

1927 წელს ბერძნული კონსტიტუციის ძალით ნახევარკუნძულზე გამოცხადებულია საბერძნეთის უზენაესობა, მაგრამ მის შინაგან მმართველობაში საბერძნეთი ვერ ჩაერევა. ასე რომ ათონი წარმოადგენს არსებითად თეოკრატიულ რესპუბლიკას, რომელსაც 4 ბერი განაგებს. ეს ბერები ყოველ წელს იცვლებიან.

ათინაში დავრჩით ექვსი დღე. ვინახულეთ ათინის ცნობილი ძეგლები, ანტიკური და ბიზანტიური მუზეუმი. პირველ დღესვე, დილით თავს დაგვადგა ჩვენი ძველი მეგობარი ბერძენი ვაფიდის, რომელმაც თავისი დაპატიჟებითი დაპირებანი პირნათლად შეასრულა. პირველად ყოვლისა გაგვიწია ბერძნული სტუმართმოყვარეობა; გვაცნობდა თანამედროვე საბერძნეთის მიღწევებს, და, რაც მთავარია, მოგვიტანა ერთი ბერძენის ბარათი ივერიის მონასტრის ილუმენთან წასაღებად, რომლის სახელი ყოფილა ათანასე. მის ბარათში ნათქვამი იყო, რომ ჩვენ მისი მეგობრები ვართ, ქართველები, რომელთაც სურთ მოიხილონ ივირონის მონასტერი და უმორჩილესად სთხოვდა ილუმენ ათანასეს მონასტრის გაცნობაში დაგვხმარებოდა. ამ წერილმა ძლიერ გაგვახარა. ვიფიქრეთ, ეს წერილი გვიშველის, რათა ათონის მთაზე განგვასხვაონ იმ აუარებელი ტურისტისაგან და მლოცველისაგან, რომლებიც იქ ყოველდღიურად თავს იყრიან...

ათინიდან წავედით სალონიკში, საიდანაც გზა მიდის ათონისაკენ. აქ ჩვენ დავტოვეთ ჩვენი თანამგზავრი მეუღლენი, რადგან ვიცოდით, რომ ათონის მთაზე ასვლის უფლება მდედრობით სქესს არა აქვს. შემდეგ თვითონ მთაზე გავიგეთ, რომ არამც თუ ქალებს, არამედ ყოველგვარ მდედრობითი სქესის ცხოველს არ შეუძლია ფეხის დადგმა ათონის მთაზე. აქ ნახავთ მხოლოდ ჯორებს, რომელთაც სამუშაოდ და სამგზავროდ იყენებენ.

არის გადმოცემა, თითქოს იმპერატორ იუსტინიანეს მეუღლე, ცნობილი თეოდორა, ძვირფასი ძღვენით დატვირთული, მიადგა ათონის მთას, გადავიდა იქ, მაგრამ ბერებმა იგი წინ არ გაუშვეს და გაწბილებული იმპერატრიცა გამობრუნდა, ხოლო იმ ადგილზე, სადაც მან ფეხი დასდგა, ბერებმა კირი მოასხეს და ჯვარი აღმართეს!

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ როგორც ძველ საბერძნეთ—ჰელლადაში, ისე ბიზანტიაშიც ლეგენდების დიდი სიმდიდრეა, განსაკუთრებით მონასტრები არიან მდიდრები სასწაულმოქმედების ისტორიებით. თითოულ მონასტერს აქვს თავისი სასწაულის ისტორია და, რასაკვირველია, ქართული მონასტერიც არ წარმოადგენს გამონაკლისს, მაგრამ ამის შესახებ ქვემოდ მოგახსენებთ.

+

ეგეის ზღვა ტბასავით წყნარი და მშვიდი იყო. მზიანი დღეც დაგვიდგა. ორი საათის სვლის შემდეგ უკვე გამოჩნდნენ კლდეებზე გადმოკიდებული, განყენებული ბერების სკიტები. ტურისტებმა თავისი ფოტოაპარატი მოიმარჯვეს და არც ჩვენ ჩამოვრჩით მათ. შორიდან ვხედავთ მონასტერს; ესაა მონასტერი სტავრონიკიტას

სახელწოდებით.

10 საათზე მივედით დიდ მონასტერში, რომელსაც ეწოდება ვოტოპედი; მისი ფასადი არის აგურის ფერად შეღებილი; შორიდან იგი გამაგრებულ სასახლეს ჰგავს; მაღალი კოშკები იცავენ მას. აქ ლურჯ ზღვაზე შენობების ანარეკლი ფანტასტიურ ფერებს იძლევა.

აი, გამოჩნდა ქართული მონასტრის — ივერიონის — სილუეტი!

ზღვიდან ჩვენი მონასტერი ჰგავს გამაგრებულ ციხე-ქალაქს. ნავთსადგურიდან მარჯვნივ სდგას მაღალი კოშკი; მეორე, უფრო დიდი სიმაგრე მარცხენა მხარეს იცავს; წინა ნაწილი მაღალ კედლებზეა აშენებული; აქ ბერების სენაკებია ჩამწკრივებული; წინ ვენახია გაშენებული; გარშემო სიმაღლეები ხშირი ტყით არის დაფარული.

მონასტრების არქიტექტურული პლანი თითქმის ყველა ერთნაირია. ციხე-სიმაგრეში არის შიგნით დიდი ეზო, სადაც მთავარი ადგილი უკავია ეკლესიას და ოთხკუთხი მოედანი გარეშემო შეკრულია შენობებით, სადაც ბერების საცხოვრებელი ბინები ანუ კელიები, სენაკები არიან გაწყობილი. და სტუმრებისათვის მისაღები დარბაზები. მაღალი კოშკები. რომლებიც ძველად საზვერავ მოვალეობას ასრულებდნენ, დღეს გამოყენებული არიან ან ბიბლიოთეკად, ან უბრალო საწყობად. ყველა მონასტერს გარშემო აკრავს ბაღი და ბოსტანი, ზოგჯერ ვენახიც. მონასტრის გარეთ არის სხვა და სხვა პატარა შენობა მონასტრის მეურნე მუშებისათვის. მონასტრების სახე თუ ერთმანეთს წააგავს, განსხვავება მაინც არის; ზოგ მონასტერში მთავარი ეკლესიის გარდა არიან პატარა ეკლესიებიც. სამრეკლოები.

ეზოში მოჩუხჩუხე წყარო, ან აუზი ნაკურთხი წყლით, გადახურულია პატარა ოთხკუთხი, ან რგვალი ფანჩატურით. მონასტრები განსხვავდებიან ფერითაც — წითელი, იისფერი, მარწყვის ფერი და ლურჯი ფერი ამკობს მათ. ყველა მონასტერს აქვს მაღალი სამრეკლო, საიდანაც ზარის ხმა იშვიათად მოისმის. მის მაგიერობას ასრულებს ქსილომანდრონი — ეს არის გრძელი დაფა, რომელზედაც ბერი ხის ჩაქუჩით ურტყამს და მისი ხმა შორს გაისმის. ყოველ ღამე, ორ საათზე, მოისმის ეს ყრუ ხმა და ამ დროს კელიებში აენთნენ სანთლები და შავი აჩრდილები ბერთა ეკლესიისაკენ მიეჩქარებიან. გარეთ ისევ სიწყნარე სუფევს, ხოლო მონასტერში გაისმის გალობა ბერთა. ერთი საათის შემდეგ ბერები უკან ბრუნდებიან, მაგრამ გათენებამდის ისევ გაისმის ძელის ზარის ხმა და ისევ იწყება ლოცვა. შუადღემდე ორი წირვაა; საღამომდე კიდევ ერთი წირვა და ასე გაუთავებლად. დიდ დღესასწაულებზე ხომ გამუდმებული წირვალოცვაა.

ნავი 11 საათზე მიადგა ივერიონის მონასტრის ნავთსადგურს. ნაპირზე სდგას ერთი ბერი, ტურისტების მისაღებად. ბერს სახე მოღუშული აქვს, თითქოს ტურისტების ნახვა არ სიამოვნებდეს! მას ვუჩვენეთ ბარათი იღუმენ ათანასესათვის. ბერი არც კი მობრუნებულა ჩვენსკენ; მხოლოდ ხელი გაიწვდინა მონსტრისაკენ და სთქვა — მონასტერ! მონასტერ!

+

ყველა გაეყევით ამ ბერს. გერმანელებმა მოიკიდეს თავისი ზურგჩანთები; დანარჩენებმა — პატარა ჩემოდნები; ავყევით აღმართს.

ზღვიდან სამასი მეტრის სიშორეზე მივადექით დიდ კარს. აქ მოგვეთხოვეს ის ქაღალდები, რაც საბერძნეთის საგარეო სამინისტროს მიერ იყო მოცემული ათონის სამმართველოსათვის კარიეს-ში. ამის შემდეგ გავვიარეს დიდი ეზო და მის სიღრმეში მეორე სართულზე მიგვიწვიეს მისაღებ დარბაზში.

დარბაზში შესვლისთანავე თვალში მეცა ნაცნობი სურათი. მას მივუახლოვდი და ვხედავ—ეს არის წმიდა ნინოს სურათი, ამართული ჯვარით. დავუძახე ალექსანდრეს:

— ხედავ! ეს პირველი ქართული ნიშანია!

ვაკვირდები სურათს: შუაშია მცხეთის სვეტიცხოველი: მარჯვნივ სდგას წმიდა ნინო და ხალხი; მარცხნივ იმყოფება მუხლ-მოდრეკილი მირიან მეფე თავისი დიდებულებითა და ლაშქარით. სურათს წარწერა აქვს პატარა ასოებით — საბინინი.

+

მახსენდება ძველი ამბავი — ეს სურათი ხშირად მინახავს ჩვენში საეკლესიო დღესასწაულებზე, ბაზრობაზე — ამ დროს ჰყიდდენ ხოლმე ასეთ სურათებს!

საბინინი ცნობილი მოღვაწე იყო წარსულ საუკუნეში; მან დაბეჭდა დიდი წიგნი ქართულად, რომელსაც ერქვა „საქართველოს სამოთხე". ეს იყო ქართველ წმიდანთა ისტორია, ზოგი მართალი, ზოგი მოგონილი, მაგრამ, რაც მთავარია, წიგნში იყო ბევრი სურათი. ამ წიგნის წინასიტყვაობაში საბინინი მოგვითხრობს, რომ ეს სურათები მან გააკეთებინა პეტერბურგში ერთ ცნობილ მხატვარს. საბინინმა მას მიაწოდა ძველი ქართული ეკლესიებიდან გადაღებული ფოტოგრაფიული მასალები; და ამის მიხედვით რუსმა მხატვარმა ქართველ წმიდანთა ხატები დახატა. საბინინი მოგვითხრობს თავის წიგნში, რომ ქართულმა მოწინავე საზოგადოებამ დაიწუნა მისი ნამუშევარი, მე ვფიქრობდი, დიდ ქართულ საქმეს ვაკეთებდიო. მიუხედავად ამისა, საბინინის წიგნი დიდად პოპულიარული გახდა ქართველთა შორის, განსაკუთრებით მის მიერ გაკეთებული სურათები წმიდანთა. ეს სურათები ბეჭდვითი გზით ფართოდ გავრ-

ცელდა ქართველ ხალხში — წმიდა ნინო, თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, არჩილ მეფე, დავით და კონსტანტინე, აბო თბილელი, შუშანიკი, ქეთევან დედოფალი და სხვა და სხვა, საბინინის წყალობით მთელ საქართველოს მოეფინა. ხოლო ნამდვილი, ძველ მხატვართა მიერ შექმნილი ხატები ისევ იმ ტაძართა კედლებზე დარჩნენ, რომელთაც საბინინის თაობა და შემდეგიც სათანადოდ ვერ აფასებდა. ყველაფერი ეს გამახსენდა, როცა წმიდა ნინოს სურათს მივჩერებოდი.

როგორ მოხვდა ეს სურათი ათონის მთაზე? შესაძლებელია, იგი ვინმე ქართველმა მლოცველმა მიიტანა იქ; ან თვითონ საბინინმა გაუგზავნა ქართულ მონასტერს ათონზე.

+

რამოდენიმე წუთის შემდეგ დარბაზში მოგვართვეს თურქული ყავა, მაგარი სასმელი ჭიუზო, რახათლუკუმი და ცივი წყალი. შემდეგ მოვიდა ერთი ახალგაზრდა ბერი თარჯიმანი და მან წაგვიყვანა სასწაულმომქმედი ღვთისმშობლის ხატის საჩვენებლად და მთავარი ეკლესიის დასათვალიერებლად.

ჩვენი გამყოლი ბერი იყო დიდად ახოვანი, უზარმაზარი ტანის კაცი; იგი ბერძნულად გველაპარაკებოდა, ხოლო ერთი პატარა ბერი ხან ინგლისურად, ხან გერმანულად გვითარჯმნიდა. მე და ერთ გერმანელს გვინდოდა ხატის სურათის გადაღება, მაგრამ ბერმა მკაცრად აგვიკრძალა.

ამ ბერმა მთავარი ეკლესიის შუაგულში დაგვაყენა, გუმბათის ქვეშ, ლეინისფერ მრგვალი მარმარილოს გარშემო, რომელსაც თეთრი მარმარილოს არშია უვლის. მასზე იყო ირგვლივ ბერძნული წარწერა. თარჯიმანი თარგმნის — მე აღვაშენე ეს ეკლესია. რომელიც იარსებებს სამუდამოდ. გიორგი ივერიელი, დამფუძნებელი. —

ამ დროს ალექსანდრემ წამოიძახა:

— ეს ამშენებელი იყო ქართველი! ჩვენ აქ მოსული ორი ქართველი ვართ!

ბერებმა და ტურისტებმა ჩვენ გაკვირვებით შემოგვხედეს; ერთი ბერი გავიდა ტრაპეზის უკან, გამოიტანა გრძელი ჯოხი და მით ჩამოიღო ტრაპეზის წინ ჩამოკიდებული ვერცხლის ჰურჭელი...

— თუ ქართველები ხართ, აბა წაიკითხეთ აქ რა სწერია! იღუმენ ათანასეს, რომლის ნახვა თქვენ გინდათ, აინტერესებსო!

ტურისტებიც ძალიან დაინტერესდნენ ამ შემთხვევით. მე ძალზე შევშინდი: ვაი თუ ხუცურად სწერია! და თუმცა ხუცური ანბანი თან მქონდა წაღებული, მაგრამ იქ ანბანთა ძებნა დიდად სასახელო არ იქნებოდა! მადლობა ღმერთს: წარწერა მხედრული ასოებით იყო შესრულებული, რაც უკვე ადვილად წავიკითხეთ. იგი იყო ასეთი: „უფალო, ამ ბარძიმის მომრთმევი და ამკვიდრე სასუფეველსა შენსა ამინ ვარ არისო ჩულდ“ (ეს უდრის 1434 წელს).

+

ამის შემდეგ ეკლესიიდან გამოგვიყვანეს და გამოგვიცხადეს —

— აიღეთ თქვენი ბარგი და წაბრძანდით კარიეს-ში ვიზების მისაღებად...

ტურისტები გზას გაუდგნენ; ჩვენ კი არ ვინძრეოდით. მოგვიახლოვდა თარჯიმანი ბერი და გვეუბნება —

— თქვენ რატომ არ მიდიხართ? აქ უვიზოდ დარჩენა აკრძალული არის!

— ჩვენ გვაქვს ბარათი მონასტრის წინამძღვართან, ათანასესთან და სანამ მას არ ვიხილავთ, აქედან ფეხს არ მოვიცვლით!

— მაგისთანა ბარათები ყოველ დღე მოაქვთ ტურისტებს! — გაბრაზებით ამბობს ბერი.

— ჩვენ ქართველები ვართ; მოვდივართ შორიდან, რათა ჩვენ წინაპართა მიერ აგებულ ეკლესიაში ვილოცოთ და იგი დაწვრილებით დავათვალიეროთ. ჩვენ უბრალო ტურისტები არ გახლავართ! ჩვენ ცნობისმოყვარეობის გულისათვის არ მოვსულვართ!

— მაშ კარგი! ახლა იწყება წირვა; დაესწარით მას; ილოცეთ. და შემდეგ ვნახოთ.

ამ ბრძანებამ დიდად გაგვახარა.

+

შევდივართ მთავარ საყდარში ივერიონისა; ბერები ცალ-ცალკე მოდიან; ისინი თითქმის ყველანი ხანდაზმულნი არიან; ერთი ბერი მოგვიახლოვდა; მიგვიყვანა საპატიო ადგილზე და იქ გაგვაჩერა.

სამლოცველოს კედლების გასწვრივ მაღალი სკამებია; ბერები, ზოგი ნახევრად დამჯდარი; ზოგი ფეხზე მდგომი უსმენენ წირვას. მარცხნივ და მარჯვნივ სდგას ორი მოხუცი მგალობელი ბერი; ტრაპეზთან ახლოს იმყოფება ორი ახალგაზრდა დიაკონი; წირავს ძვირფასად შემოსილი მღვდელი, რომელიც საკურთხეველიდან იშვიათად გამოდის. მონასტრის წირვა განსხვავდება ეკლესიის წირვისაგან; გალობა არის დიალოგებით; ჯერ ერთი გალობს; მერმე მეორე ორი მას უპასუხებს; შემდეგ ყველა ერთად გალობს.

„ქრისტე აღსდგა“ როცა იგალობეს, ალექსანდრემ ქართულად დაბალი ხმით იგალობა „ქრისტე აღსდგა“. ქართული გალობა უკვე დიდი ხანია ივერიის მონასტერს აღარ გაუგონია!

+

წირვის შემდეგ მივმართეთ ჩვენ გამყოლ ბერს:

— გთხოვთ ეს ბარათი გადასცეთ იღუმენ ათანასეს;



იეირონის მონასტრის იოანე ნათლისმცემლის სახელობის მცირე ეკლესია, დაარსებული 983 წ. ამ ჟამად განახლებული.

და თუ ის უარს გეეტყვის მიღებაზე, მაშინ წავალ აქედან.

— ათანასე ბერს სძინავს; შეუძლოდ არის; ყოველ შემთხვევაში მას ნაშუადღევის ოთხ საათამდე ვერ ნახავთ. — მან ბარათი ჩამოგვართვა და წავიდა. ნახევარი საათის შემდეგ იგი მობრუნდა:

— ოთხ საათზე მიდით მთავარი ეკლესიის დერეფანში და იქ ნახავთ ათანასეს — გვითხრა ღიმილით — ახლა კი, წამობრძანდით სასადილოდ.

— გაეიმარჯვეთ! ველოდებით!

სასადილო დარბაზში სადილობდა ჩვენს გარდა, სტუმრად მოსული ორი ბერი. სადილად მოგვიტანეს ლობიოს წვენი, ერთი ჭიქა ღვინო და პური. ეს იყო მათი სადილი. თვითონ ბერები თავ-თავის საკანში სადილობენ, ზოგ მონასტერში კი საერთო სასადილოში.

იეერიონის წინამძღვარ ათანასესთან შეხვედრამდე დაგვრჩა ორი საათი. გაედით ეზოში. ჩვენს მეტი სულიერი იქ არავინ სჩანდა! შემდეგ გავიგეთ, რომ ოთხ საათამდე თურმე ყველას სძინავს, ბერებსაც და მუშებსაც. შევუდექით ფოტოაპარატით სანახების გადაღებას — სამრეკლო, კოშკები, ბერთა საკნები, ეზოს შუა გულში მარმარილოს ფონტენი, სადაც წირვის შემდეგ ბერები ნაკურთხ წყალს სვამენ და სხვა მრავალი ნაგებობა.

გაედიეართ ეზოს გარეთ. გარშემო კარგად დამუშავებული ბოსტნებია და ზეთისხილის მრავალი მცენარე. გვერდზე ჩამოდის პაწაწა მდინარე. გარემო გორაკები დაბურული ტყით არის შემკობილი. მდებარეობა წარმტაცია თავისი მომხიბლეველი სილამაზით. შორს მოსჩანს ათონის მთის მწვერვალი.

ცნობილი ქართველი მოგზაური, ტიმოთე გაბაშვილი, რომელმაც ათონის მთა მოილოცა 1775 წელს თავის „მიმოსვლა"-ში სწერს —

„გაეიცადე რა ადგილთა შვენიერება, ხეხილთა, ვენახთა და წყაროთა, ედემის შესწორებულ იყვნეს"-ო.

ხოლო თვით გიორგი მთაწმიდელის აზრით, მონასტერი იეერიელთა:

„რომლისა ჰაეროვნებაჲ და შვენიერებაჲ უაღრეს ქებასა აღმატებულ იყო", „ფრიადნი იყვნენ მონასტენი, გარნა მსგავსი მისი არ მოიპოვებოდა არა მხოლოდ მთასა, არამედ სხუათაცა მრავალთა ადგილთაცა"-ო...

მზე სასტიკად აცხუნებს; ჩაედიეართ ზღვისპირას; გვინდა გავგრილდეთ, მაგრამ ზღვაში ბანაობას ვერ ვბედავთ. ბერების კელიების ერთი ნაწილი ზღვაზეა გადმომდგარი — შეუძლიათ დაგვინახონ! ზღვის ნაპირას აღმართული კოშკის ჩრდილში წამოწოლილი არიან მუშები და სძინავთ. გავიხადეთ ფეხსაცმელები და ჩავდექით ზღვაში მუხლებამდე. ცოტა გაგრილებული უკან ებრუნდებით და დანიშნულ ადგილზე ვუცდით წინამძღვარ ათანასეს. ამ დროს ვხედავთ, ეზოში შემოდის სამი კაცი, რომელთაც უკან მოჰყვებიან სამნი, დატვირთულნი ყუთებითა და აპარატებით. ისინი ჩვენს ახლოს დასხდნენ. მუშებმა ბარგი იქვე დააწყვეს და მოშორებით გაჩერდნენ. მოგზაურნი მოგვესალმნენ თავის დაქნევით. ჩვენ, რასაკვირველია, დავინტერესდით მათი ვინაობით. მათ შორის ახალგაზრდა ხან ინგლისურად, ხან გერმანულად ლაპარაკობდა; ერთი ფრაზაც ფრანგულად გამოურია. ეტყობოდა უთარგმნიდა ერთ საპატიო შეხედულების კაცს მეორის ნათქვამს, რომელიც სხვებისაგან განსხვავდებოდა თავისი ჩაცმულობით. გამოველაპარაკეთ ამ უკანასკნელს ფრანგულ ენაზე:

— კინორეჟისორი ხომ არ ბრძანდებით, ამდენი აპარატით რომ მოსულხართ?

ეს კაცი, მხიარული და უხვი მოლაპარაკე აღმოჩნდა. იმ წამსვე გაგვაცნო თავი:

— მისტერ კ. ვარ დაბადებული ამერიკაში. რუსეთიდან ჩემი დედმამა პირველი ომის წინ ამერიკას გაიხიზნა; ერთ დროს საფრანგეთშიც ვიცხოვრე; პროფესიით ვარ რეპორტიორი და ჟურნალისტი; ცნობილი ამერიკული ერთი ჟურნალისაგან მაქვს დავალებული წმიდა ათონის მთის მონასტრების სურათების გადაღება. ათინიდან წამოვიყვანე პროფესორი ე. და ახალგაზრდა თარჯიმანი. პროფესორი მხოლოდ გერმანუ-

ლად ლაპარაკობს კარგად; იგი არის დიდი სპეციალისტი ათონისა და ბერები მას დიდი პატივით ეპყრობიანო. თქვენ ვინ ხართ? გეტყობათ, ფრანგები არა ხართ!

— ჩვენ ვართ ქართველები. აქ მოვედით, მოვილოცოთ ჩვენი ქართული მონასტერი, ჩვენ წინაპართა მიერ აშენებული.

— ქართველები?! იქნებ რუსული იცით? რუსული უფრო მეხერხება, ვიდრე ფრანგული. არ ვიცოდი, თუ აქ ქართველებს თავისი საკუთარი მონასტერი გქონდათ. მე ვინახულე და გადავიღე ყველა მონასტერი — ბერძნების, ბულგარელების, სერბების, რუსების და როგორ მოხდა, რომ ჩემმა პროფესორმა არ მითხრა, რომ ეს მონასტერი ქართველებისა არის?!

— სამწუხაროდ, იყო და აღარ არის! არც ვიცით, კიდევ არიან აქ დარჩენილი ქართველები თუ არა. ამას გავიგებთ, როცა იღუმენ ათანასეს შევხვდებით. მას ვუცდით აქ.

— ჩვენც მას ველოდებით.

— მისტერ! ერთი ჰკითხეთ მაგ თქვენს პროფესორს, თუ იცის, რომ ეს მონასტერი ქართველებისა არის?

თარჯიმანის საშუალებით იგი ეკითხება პროფესორს და პროფესორი უპასუხებს:

— ეს მონასტერი მეათე საუკუნეში იოანე თორნიკოსმა ააშენა, ივერიიდან იყო, გენერალი.

— სად არის თქვენი აზრით ივერია? — ვეკითხები.

— ივერია იმყოფება შავი ზღვის მეორე მხარეს.

— იმ ივერიას დღეს საქართველო ეწოდება — ვუპასუხებ მე.

— საქართველო საბჭოთა ქვეყანაა! იქიდან მობრძანდით სალოცავად?! — გაკვირვებული სახით გვეკითხება პროფესორი.

— არა. ჩვენ საფრანგეთში მცხოვრებნი ვართ, პარიზიდან მოსულნი. — პროფესორი კმაყოფილი დარჩა ამ პასუხით.

+

ნარტექსის შესავალში, ჩვენ პირდაპირ, ეკიდა ქართული ხატი, რომელზედაც ქართული წარწერა არის. ამერიკელს ვეკითხები:

— თქვენ ხომ ყველა ენა იცით?! აბა წაიკითხეთ, რა სწერია ამ ხატზე! აი, შეხედეთ!

ამერიკელი უცქერის ხატის წარწერას და გაკვირვებული თავს აქნევს, — არ ვიციო.

— ეს არის ქართული წარწერა. აი, პირველი საბუთი იმისა, რომ ეს მონასტერი ქართული იყო!

— თუ შეგიძლიათ გვიამბეთ, როდის და როგორ დააარსეს ქართველებმა ეს მონასტერი. ჯერ კიდევ დრო გვაქვს, სანამ წინამძღვარი მოვიდოდეს.

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ ერთი პირობით: თქვენ უნდა მოიხსენიოთ თქვენს რეპორტაჟში ყველასაგან დავიწყებული ეს ისტორია.

— ვეცდები...

— ათონის მთის ივერიის მონასტერი დაარსებულია 980 — 983 წლებში. მისი დაფუძნების დაწვრილებით ცნობებს იძლევა ამ მონასტერშივე არსებული ხელნაწერი, „ათონის კრებულად" ცნობილი. ათონის მონასტრის დამაარსებლად ითვლება ქართველი ბერი — ი ო ა ნ ე . იგი იყო საქართველოს ერთი მხარის, ტაოკლარჯეთის დიდად წარჩინებული პიროვნება, დავით კურაპალატის ახლო მყოფი, განთქმული მხედარი, გარეგნობით მაღალი და მშვენიერი, გონებით ბრძენი, მქმნელი მრავალი კეთილი საქმისა. იგი იყო დიდად მლვიეე მორწმუნე; მან მიატოვა ცოლშვილი, სოფლის დიდება და ჩუმად გაიპარა საქართველოში არსებულ ოთხთა ეკლესიათა ლავრაში. საქართველოში ხმა გავრცელდა მისი ბერად შედგომის შესახებ და ხალხი მოაწყდა მას სანახავად. ამიტომ იგი წავიდა მცირე აზიაში. ულუმბოს მთის მონასტერში იგი მსახურობდა მეჯორედ და მისი სახელი ამიტომ იყო „ხარტულარი", (ქართულად: მეჯორე). იქ მან მიიყვანა თავისი უმცროსი შვილი ე ქ ვ თ ი მ ე , რომელიც შემდეგში გახდა საეკლესიო მოღვაწე და მწერალი. ულუმბოდან მამა-შვილი მალე გადასახლდა ათონის მთაზე და აქ ისინი შეეკედლნენ წმიდა ათანასეს მიერ ახლად დაარსებულ დიდ ლავრას. თვით ეს დამაარსებელი ლავრისა იყო ნახევრად ქართველი, რადგან დედა მისი იყო მოდგმით ლაზი, ანუ ქართველი. მალე მათ შეუერთდნენ სხვა ქართველი ბერები და მათ შორის იყო ცნობილი მხედარი თ ო რ ნ ი კ ე ე რ ი ს თ ა ვ ი . იგი უკვე ბერად იყო აღკვეცილი. რადგან ბერთა რიცხვი თანდათან იზრდებოდა, ლავრაში სივიწროვე შეიქმნა. ათანასეს რჩევითა და კურთხევით ქართველებმა აქვე დააარსეს მახლობლად, წარმტაცი ბუნების წიაღში მონასტერი ივერიელთა, სადაც ახლა ჩვენ ვიმყოფებით. ივერია მაშინ დღევანდელ საქართველოს ეწოდებოდა. ქართველთა მიერ აგებული პირველი შენობა იყო პატარა ეკლესია ი ო ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ზ ე . ამასთან ერთად ააშენეს ქართველ ბერთათვის პატარ-პატარა სენაკები. ამ დროს ბიზანტიაში მოხდა დიდი ამბავი. მცირე-წლოვან ბიზანტიის იმპერატორებს, ძმებს ბასილს და კონსტანტინეს აუჯანყდა იმპერიის აღმოსავლეთი მხარის მმართველი, ბარდას სკლეაროს. აჯანყებულებმა სასტიკად დაამარცხეს იმპერატორთა ლაშქარი და თვით სატახტო ქალაქი კონსტანტინოპოლი საფრთხეში ჩავარდა. იმპერატრიცა თეოფანამ გადასწყვიტა დახმარება ეთხოვა საქართველო-

ში მეფე დავით კურაპალატისათვის. ბიზანტიის სატახტო ქალაქში კარგად იცოდნენ, რომ ათონის მთაზე ბერად იმყოფებოდა დიდი სტრატეგი და განთქმული მეომარი, თორნიკე ერისთავი, ახლა ბერი იოანე და სწორედ მას მიმართეს. იგი გაიწვიეს კონსტანტინოპოლს, სასახლეში; რათა მცირეწლოვანი შვილები შეებრალებინა ბერისათვის, იმპერატრიცამ ფეხთ ჩაუგდო ბერს იმპერატორები და სთხოვა საჩქაროდ მოციქულად წასულიყო საქართველოში, დავით კურაპალატთან.

— ეს საქმე სიკვდილზე უფრო მძიმედ მიმაჩნია, — ამბობდა ბერი. მაგრამ მან გაითვალისწინა, რომ აჯანყებას მეტად ცუდი შედეგები მოჰყვებოდა, შეიძლება ათონის მონასტერიც ცუდ მდგომარეობაში ჩავარდნილიყო, ამიტომ გადაწყვიტა დავით კურაპალატთან გამგზავრებულიყო და თან წაიღო იმპერატრიცას სავედრებელი წიგნი. მეფე დავით კურაპალატმა შეაგროვა 12.000 რჩეული მხედარი, ხოლო მისი სარდლობა თვითონ თორნიკე ერისთავს დაავალა. ქართველთა ჯარმა სასტიკად დაამარცხა აჯანყებულთა ლაშქარი და გადარჩენილნი სპარსეთისაკენ გადაჰყარა. დიდ-ძალი ქონება ჩაუვარდა ხელში გამარჯვებულ თორნიკე ერისთავს; ერთი ნაწილი მას ერგო და დიდი სიმდიდრით ისევ ათონის მთას დაუბრუნდა ბერად. მან მთელი ეს სიმდიდრე ჯვადასცა მონასტრებს და, რასაკვირველია, ქართულ მონასტერსაც. ამ ქონების წყალობით ქართული მონასტერი ივერიონი გაადიდეს და გააძლიერეს... თვით დავით კურაპალატმა მიიღო საჩუქრად მთელი მისი სიცოცხლისათვის ივერიის მოსაზღვრე მხარეები.

— მაშასადამე, ქართველები-ივერიელები მაშინ ისე ძლიერი იყვნენ, რომ მათ გადაარჩინეს ბიზანტიის ტახტი? — გაკვირვებით კითხულობს ამერიკელი.

— ეს ჩემი აზრი კი არ არის... ამის საბუთები ქართულსა და ბიზანტიურ ანალებში მოიპოვება. ქართველები ისე ძლიერი იყვნენ ეკონომიურად და კულტურულად, რომ მათ, არა მარტო ათონის მთაზე, არამედ სხვაგანაც გააშენეს მონასტრები. სირია, პალესტინაში და ბიზანტიის სხვა მხარეშიც და სხვაგანაც. ამ მონასტერთა კულტურულმა კერებმა ააყვავეს ქართული კულტურა, მაგრამ ჩვენ ბერებს თავისი წვლილი შეჰქონდათ აგრეთვე თვით ბიზანტიურ მწერლობაშიც. მაგალითად, ამ მონასტერში მოღვაწე ბერმა ე ქ ვ თ ი მ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ მ ა ქართულიდან ბერძნულად თარგმნა მსოფლიოში ცნობილი რომანი „ბალავარიანი", ანუ ისტორია ვარლაამისა და იოსაფისა. აქვე მოღვაწეობდა ცნობილი მთარგმნელი და კომენტატორი, გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი; ცნობილნი არიან ქართველი ფილოსოფოსები: ეფრემ მცირე, პეტრიწონელი, არსენ იყალთოელი და სხვანი. ამ მონასტერში ინახება ზემოხსენებული ქრისტიანული რომანი „ბალავარიანი", რომლის დასურათება-მინიატურები გეტყვიან თქვენ თუ რა სიმაღლეზე იდგა ძველ ქართველთა შორის აგრეთვე მხატვრობა. ნახეთ იგი მისტერ კ.!

— ამ მონასტერის ამბავი და მისი ღვაწლი ახლა ხომ კარგად იცით, ბ. კ. — ეუბნება მას ალექსანდრე. — ახლა თქვენს წერილებში ათონის მონასტრის შესახებ, იმედი გვაქვს, ქართულ მონასტერსაც მოიხსენებთ!

ერთი თვის შემდეგ გამოქვეყნდა ამერიკულ ჟურნალში მისტერ კ.ს მიერ გადაღებული სურათები, ივერიონის მონასტრის სურათიც, მაგრამ ქართველებზე ერთი სიტყვაც არ იყო შიგ. ასე უშედეგოდ დასრულდა ჩვენი პროპაგანდა...

+

ამ ბაასის დროს უკვე ოთხმა საათმა მოაღწია და ვხედავთ გვიახლოვდება წარმოსადეგი მოხუცი ბერი, სათნო, მოღიმარი სახით; მან ბერძენი პროფესორი იცნო, ხელი ჩამოართვა და მას ცოტა ხნით ბერძნულად ესაუბრა; შემდეგ ჩვენკენ მობრუნდა და ფრანგულად იკითხა:

— ვინ არიან თქვენ შორის ქართველები?

ჩვენ წინ წავდექით.

— თქვენ მოხვედით თქვენ წინაპართა მონასტერში სალოცავად, თუ ვით ცნობისმოყვარე ტურისტები?

— დიდი ხანია სურვილი გვქონდა ათონზე სალოცავად მოვსულიყავით. დიდი გზაც გამოვიარეთ ამ მიზნით. რა თქმა უნდა ამასთან ერთად გვაინტერესებს ქართულ ნაშთთა ნახვაც. თუ ამის საშუალებას მოგვეცემთ. დიდად მადლობელი დავრჩებით — უპასუხებს ალექსანდრე.

— უსათუოდ ყველაფერს გაჩვენებთ; თქვენ ქართველები ხართ. მოხარული ვარ თქვენი მოსვლით. ეს მონასტერი თქვენი წინაპრების მიერ არის აშენებული და ღირსი ხართ დაწვრილებით მოიხილოთ იგი. ხომ ნახეთ დილით, რა სწრაფად გაისტუმრეს აქედან ტურისტები!? თქვენ შეგიძლიათ აქ დარჩეთ, რამდენხანსაც გსურთ; ჩვენი სტუმრები იქნებით. მე ავად ვარ, სიცხე მაქვს; მაგრამ რომ გავიგე ქართველების მოსვლა, თავს ძალა დავატანე და მოვედი თქვენს სანახავად. 1906 წელს მე თბილისში ვიყავი. მაშინ ახალგაზრდა ბერი, თან გავყევი ერთ დელეგაციას; ქართველებს კარგად ვიცნობ...

+

გამახსენდა ილია ჭავჭავაძის წერილი, რომელიც საქართველოში ათონიდან მოსულ ბერებს ეხებოდა. ეს ამბავი მოხდა 1886 წელს და ამ ამბავში, ეს ჩვენი ათა-

ნასე ბერი მონაწილეობას ვერ მიიღებდა. მაშინ ჩასულან საქართველოში ათონის ბერები და ჰყიდნენ თურმე ქართულ მიწებს, რომელიც ათონის ივერიის მონასტერს ეკუთვნოდა! ილია ჭავჭავაძე სწორედ ამის გამო აცხადებდა პროტესტს...

+

ჩვენი მასპინძელი ბერი ათანასე მოგვითხრობს ლეგენდას სასწაულმოქმედ ღვთისმშობლის ხატის შესახებ. ამ ხატს ბერძნები უწოდებენ: პორტაიტისა-ს, ე. ი. კარის ღვთისმშობლის ხატი. ეს პორტაიტისა დიდად ცნობილი ხატია; მისი თავგადასავალი აღწერილია ათონის წიგნებში; იგი აღწერა ტიმოთე გაბაშვილმაც, თავის „მიმოსლვა“-ში; ფრანგმა მოგზაურმა რანდოლ კოლტმა და ბევრმა სხვამაც დაახლოებით ყველა ერთსა და იმავე ლეგენდას მოგვითხრობს:

ბიზანტიის იმპერატორ თეოფილეს დროს (829 — 842) ატყდა დიდი დავა ხატის თაყვანისმცემელთა და ხატის მოწინააღმდეგეთა შორის. ესენი ხატებს უარსა ჰყოფდნენ, იტაცებდნენ, სწვავდნენ, ვითარცა კერპთაყვანისმცემლობის ნიშანს. მათ მიემხრო თვით იმპერატორიც და ბრძოლა დიდად გამწვავდა. მეფის ერთი მოხელე ქალაქ ნიკეაში, შესულა ერთი დედაკაცის ბინაში ხატის წასაღებად; მოხელეს გადამალული ღვთისმშობლის ხატი აღმოუჩენია და გაჯავრებულს ხატისათვის ხმალი დაურტყამს. ნახმალევზე ხატს სისხლი გამოსვლია. ამ სანახაობით შეშინებული მოხელე გიჟივით გაქცეულა, ხოლო შეშინებულ დედაკაცს ეს ხატი ზღვაში გადაუგდია. ზღვის ზვირთებს ეს ხატი მიუცურებია ათონის მთასთან ახლოს. ღამღამობით ხატზე ზეცით შუქი ანათებდა ხოლმე. წმიდა მამებს გადაუწყვეტიათ ამ უცნაური ხატის გამოტანა და ნავით მისულან, მაგრამ ყოველი მიახლოვებისას, ხატი მათ შორდებოდა და იგი ტალღებს შორის მიჰქონდა. ამის გამო ბერები დიდად შეწუხებული ყოფილან. მაგრამ ერთ დღეს მათ მოესმათ ხმა ციდან: ხატის გამოყვანის ღირსი არისო მხოლოდ ქართველი ბერი გაბრიელი. ბერები მივიდნენ ქართველთა მონასტერში და იკითხეს ბერი გაბრიელი. იგი მონასტერში არ აღმოჩნდა. ძებნის შემდეგ მიაკვლიეს: იგი თურმე დაყუდებული ბერი ყოფილა მიყრუებულ ადგილზე, მთაში.

გაბრიელ ბერს აუხსნეს საქმის ვითარება, მაგრამ მან ნავში ჩაჯდომაზე უარი განაცხადა; იგი ფეხით გავიდა ზღვაზე და ხატი მას მიუახლოვდა. შემდეგ ეს ხატი დაასვენეს ქართულ მონასტერში, „ივერიონ“-ში.

ტიმოთე გაბაშვილის გადმოცემით, აშოთან მუხრანბატონს აუშენებია ამ ხატისათვის მონასტრის კართან გუმბათიანი პატარა ეკლესია, სადაც ეს ხატი დაუსვენებიათ. აქედან არის მისი ბერძნული სახელი პორტაიტისა, ანუ კარისა. როგორც იქვე ტიმოთე გაბაშვილი ამბობს, ყვარყვარე ათაბაგს ეს ხატი მოუჭედინებია და მდიდრულად შეუმკია.

+

ჩვენმა მასპინძელმა ათანასე ბერმა დამატებით გვიამბო ამ ხატის სხვა სასწაულზე — წარსულში მეკობრეები, ზღვის ავაზაკები თავს დასხმიან მონასტერს გასაძარცვად. ერთ ავაზაკს ამ ღვთისმშობლის ხატისათვის ჩაუკრავს შუბი ყელში. იმ ადგილზე ჭრილობა გაჩენილა და სისხლი გამოსულა. ასეთ სასწაულს დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია იმ ავაზაკზე; მას თავისი ცოდვა მოუნანიებია და ქრისტიანობა მიუღია. ამ ეთიოპელი პირატის სურათი გამოსახულია ამავე ეკლესიის შესავალ კართან, მარჯვნივ.

ტიმოთე გაბაშვილიც გვიამბობს ერთ სასწაულს — როდესაც იგი მეთვრამეტე საუკუნეში ქართულ მონასტერს ათვალიერებდა, მას ერთ ადგილზე ნამწვარი შეუნიშნავს და მიზეზი უკითხავს; მისთვის განუმარტებიათ: ამ ორი წლის წინად, ერთმა ბერმა ღამით შეალო ტაძარი სალოცავად და იხილა ბრწყინვალედ მოსილი დედაკაცი, რომელმაც მას უთხრა: წადი, აცნობე ბერებს, თქვენი მონასტერი იწვისო! ბერმა ასტეხა განგაში და ცეცხლი სწრაფად ჩააქრეს. ამგვარად გადარჩა მონასტერი.

ტიმოთე იმასაც გვიამბობს, რომ მონასტრის სასნეულო, სენაკები და გოდოლნი განუახლებია ქართველთა მეფეს ალექსანდრეს; სხვა გოდოლნი და გალავანი — დადიანსა და გურიელს, ხოლო ტრაპეზი — აშოთ მუხრანს და სხვა შენობები ნიკოლოზ კათოლიკოსს და სხვა ქართველთ... ტიმოთეს დროს, 1755 წელს ივერიონში წირვის დროს იხსენიებდნენ ხოლმე შემომწირველთა სახელებს; მას თვითონ ამ სიისათვის დაუმატებია თეიმურაზ და ერეკლე მეფის სახელი, რათა არა დასცხრესო მოხსენება მათი სამარადისოდ.

არა მგონია, რომ დღევანდელი ბერები ძველ ქართველებს წირვის დროს იხსენიებდნენ ამ ჟამად.

+

საინტერესოა გავიხსენოთ, თუ როგორ იხდიდნენ ბერები შობას. ტიმოთე გვიამბობს:

იყო ღამის თევა მწუხრით ცისკრამდე და განთიადისას ჰკრეს დიდთა ზართა და შეიმოსნენ წინამძღვარი და მამანი და გამოასვენეს ხატი პორტაიტისა ლამპრებითა მრავლითა, დროშებითა და ფარნებითა თითოსანითა და განვედით ზღვათ ღელესა მუნ წყლისასა და მოიტანეს საიაზმო დიდი ბადია ძვირფასი, შემოწირული ქართველთა და კახთა მეფისა ლეონის მიერ და ზედან ქოლგა მძიმედ ნაკერი, აშოთან მუხრან ბატონისა მიერ შეწირული. და აღკიდეს ფარდა



ივირონის მონასტერი ათონის მთაზე

მძიმე, სეიმონ ქართველი ბატონის მიერ შემოწირული. ორი სახარება, მერასა, დაასვენეს; ერთი დიდი სახარება, მძიმე თვალით შემკული, პეტრე რუსთა იმპერატორის მიერ შეწირული და მეორე მინანქრისა სახარება, ბაქარ ვახტანგის ძისა ქართველთ ბატონისა მიერ შეწირული და იწყეს კურთხევა წყალთა. და წინამძღვარი დიდებულისა მონასტრისა ჯვარსა შთაასვენებდა წყალთა და მდგომარე იყვნეს გუნდ გუნდებად და მწყობრად განკრძალულნი მონაზონნი და განშორებულნი და დაყუდებულნი, მთით და კლდით და ნაპრალით გამოსულნი ხილვად ნათელთა, ესოდენ იყო ვითა მინდორი ვერ იტევდა... და აღსრულებისა შემდგომად ზლუდეებით მონასტრისათ და ბურჯებით იყო დიდი ზარბაზანთ ცემა, ხმა ჰექისა და სიხარულისა მონაზონთაგან ესეოდენ, ვითა მიწა იძვროდა. და წირვის შემდგომად — ტრაპეზობა და სერი დიდებული დღესასწაულსა მას ღმრთისასა...

+

— ახლა თუ არიან ამ მონასტერში ქართველი ბერები? — ვეკითხები წინამძღვარ ათანასეს.

— არავინ. უკანასკნელი ქართველი ბერი გარდაიცვალა აქ 1956 წელს; მას ერქვა ტიხონი. 90 წლისა იყო; იგი იყო არაჩვეულებრივი კარგი კაცი და დიდი მორწმუნე. ჩვენ ყველა მას დიდ პატივს ვცემდით და გვიყვარდა იგი. სიკვდილის წინ მან მთავარი ეკლესიის კედელზე ამოჭრა კუთხეში ერთი ფრაზა ქართულად.

შემდეგ გავიგეთ, რომ ეს უკანასკნელი ქართველი ბერი ყოფილა გვარად ფალავა.

ამასობაში ამერიკელმა თავისი აპარატები ამოალაგებინა და უცდიდა ჩვენი ბაასის დასრულებას, რათა გადაღების საქმეს შედგომოდა. მამა ათანასე მიუბრუნდა მათ და უთხრა: მე ამათ მოვრჩები და შემდეგ თქვენს განკარგულებაში ვიქნები.

ეს ამბავი ამერიკელს და მის თანამგზავრთ არ მოეწონათ; სახე მოეღუშათ; მაგრამ სიტყვა არ დაუძრავთ.

+

ათანასე ბერმა ჯიბიდან ამოიღო უზარმაზარი გასაღები და გაგვიძღვა.

— თუ შეგვიძლია ფოტოსურათების გადაღება?

— თქვენთვის არ არის აკრძალული; ისე კი საჭიროა

სპეციალური ნებართვა, რაც კაირესში უნდა მიიღონ. ხშირად ეს ნებართვაც არაა საკმარისი, რადგან ჩვენ გვაქვს უფლება მომსვლელებს არ ვაჩვენოთ ყველაფერი, განსაკუთრებით, ჩვენი განძეულობა. თქვენ ყველაფერს გაჩვენებთ...

პირველად ვინახულეთ პატარა ეკლესია, რომელიც სპეციალურად აუშენებიათ ცნობილ პორტაიტისას ხატისათვის.

ათინაში ჩვენმა მეგობარმა ბერძენმა დაგვავალა მის ნაცვლად ამ ხატის წინ სამი სანთელი აგვენთო. მის დანაბარებს ვასრულებთ.

კედლებზე არის ზოგი ახალი, ზოგი ძველი ფრესკა. ვიცოდი, რომ აქ პორტრეტები იყო გამოსახული ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა: პლატონისა, არისტოტელისა და სხვათა, რის გამო ძველად ქართველ ბერებთან უსიამოვნება ჰქონიათ ბერძნებს.

ფრანგი მკვლევარი რ. ჟოატ ეხება ქართული მონასტრის კედლებზე ელინურ ფილოსოფოსთა გამოსახულებას და ამბობს — ქართველთა ელინური მიმართულების გამო, მეთოთხმეტე საუკუნეში, ბერძნები თავს ესხმიან ელინიზმის მიმდევარ ქართველებს და მონასტრიდან აძევებენო.

მაგონდება აგრეთვე აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის წიგნი, ქართული ხელოვნების ისტორიაზე, სადაც იგი ამბობს, რომ ათონის მთაზე მოღვაწე ქართველებს სურდათ ძველ ელინთა აზროვნება შეერწყმიათ, შეეთავსებინათ ქრისტიანობასთანო.

— მამა ათანასე! როგორ ხსნით ამას, რომ ქრისტიანულ ტაძარში წარმართულ ფილოსოფოსთა პორტრეტებია გამოსახული?

— ესენი იყვნენ ზეკაცები., ღვთისაგან ამორჩეულნი და შთაგონებულნი. ამიტომ ვცემთ მათ პატივს.

ამ დროს მოდის ერთი ბერი და წინამძღვარ ათანასეს უჩურჩულებს. იგუმენი მერმე ჩვენ გვეუბნება:

— დიდი გემით ოთხასი კათოლიკე მოემგზავრება ათონზე... თუ პირველად აქ მოვიდნენ, ცუდია, ხელს შეგვიშლიან! მანამ კი ჩვენი საქმე მოვათავოთ.

გემმა არ შემოუხვია ივირონთან; პირდაპირ წავიდა ნავთსადგურ დაფნ-ისაკენ. მოიტანა ასეთი ცნობა ცოტა ხნის შემდეგ მორჩილმა. ეს რომ ათანასემ გაიგო, შვებით ამოისუნთქა. ეტყობა, მას რომაელი კათოლიკები არ უყვარს, არც მათი მხატვრობაც მოსწონს:

— აბა, რას წარმოადგენენ მათი მადონები! გაშიშვლებული უსირცხვო ქალების პორტრეტები! ხომ ნახეთ ჩვენი ღვთისმშობელი? სახის მეტი არაფერი ჩანს! ტანისამოსით, ან ლითონით არის დაფარული!

გამოვდივართ გარეთ. მამა ათანასე მიდის მთავარი დიდი ეკლესიისაკენ. მე მას ვეკითხები:

— მამა ათანასე! ეს მეორე პატარა ეკლესია ვისი სახელობისაა? თუ შეიძლება მისი დათვალიერება? (ვიცოდი, რომ ამ პატარა ეკლესიაში ცნობილი ფრესკები იყვნენ).

ალექსანდრე ფრანგულად ამბობს ისე, რომ ათანასემ გაიგონოს:

— ნუ ვაწუხებთ მამა ათანასეს, ავად არის; რაც თვითონ მას სურს, ის გვიჩვენოს!

— არა, არ მაწუხებთ! რადგან გაინტერესებთ, ამასაც გიჩვენებთ.

მოეტრიალდით და ამ პატარა ეკლესიაში შევედით. აქ მართლაც შესანიშნავი ფრესკები არიან.

— გრეკოს მოწაფის მიერ არიან დახატული — ამბობს ათანასე და განაგრძობს:

— ეს ეკლესია მესამე საუკუნისაა და მის ადგილზე ძველად იყო აპოლონის ტაძარი. ქრისტიანებს ის დაუნგრევიათ და მის ადგილზე იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია აუშენებიათ. ამ ეკლესიის ქვეშ დამარხული არიან წარმართული კერპები, მათი ძეგლები, რათა არასოდეს მზის შუქი არ მოხვდეს მათ.

ეს ამბავი ცოტა საეჭვოდ მივიჩნიე — მესამე საუკუნის ნაგებობას არა ჰგავს ეს ეკლესია! გადავწყვიტე ზემოდ დასახელებულ პროფესორთან შემემოწმებინა ათანასეს ნაამბობი.

+

აქედან მივდივართ მთავარ ეკლესიაში; ამ საყდარს წინ ახლავს ნარტექსი (დერეფანი), რომელიც მთლიანად მოხატულია ფრესკებით. ფრესკა ზოგი ძველია, ზოგი ახალი. უძველესი არის მხატვარ ბერის თ ე ო ფ ა ნ ე ს მიერ მოხატული მე-16 საუკუნეში.

საერთოდ მონასტრების მხატვრობა არის ტრაფარეტული. არსებობდა სახელმძღვანელო, რომელიც აღმოაჩინა ერთმა ფრანგმა 1845 წელს. ამ სახელმძღვანელოს მიხედვით დაკანონებული იყო, რა და როგორ უნდა დაეხატათ, რა ფერები უნდა ეხმარათ და რა ადგილზე მოეთავსებინათ. ასე რომ, ამ შებორკვითა და განსაზღვრით თანდათან დაქვეითდა სამონასტრო მხატვრობა, ძველი ბიზანტიური ხელოვნება.

აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ცნობით, უკანასკნელ საუკუნეებში ბერძენი მხატვრები ისე დაქვეითებულან, რომ იძულებული გამხდარან ათონზე მიეწვიათ ქართველი მხატვარი მარკოზი, რომელმაც მოხატა ივერიის კედლები 1590—1600 წლ. ხოლო 1842 წელს მოუხდენიათ რესტავრაცია და ამიტომ გარჩევა ძველი და ახალი რესტავრირებული მხატვრობისა შეუძლებელია.

იღუმენ ათანასეს ვუამბე ეს. ათამასემ ამის შესახებ

არაფერი იცოდა, მხოლოდ ცოტა უკმაყოფილებით ამბობს:

— რა მნიშვნელობა აქვს ამას, ის მხატვარი ბერძენი იყო, თუ ქართველი, ან სხვა?! აქ მოსული მოღვაწე პირველად ყოვლისა მართლმადიდებელი კაცია და ეს არის საკმარისი.

+

გალერიის შესავალში არის ჩარჩოში ჩასმული ფერადი დიდი ხატი; მას ზემოდ აწერია მხედრული ასოებით: „დედა ღვთისა, იესო ქრისტე, წმ. იოანე ნათლისმცემელი". ხატ ქვეშ არის თარიღი: 1902 წ.

ეს ხატი შესრულებულია რუსულ-ბიზანტიური სტილით.

— ქართველი ბერის დახატული უნდა იყოს; ქართული წარწერა ამას მოწმობს — ვამბობ.

— რატომ? შეიძლება ბერძენმა დახატა, რომელმაც ქართული წერა იცოდა! ჩვენ არქივში მრავალი ხატია შენახული, სხვა და სხვა დროს შესრულებული... ეს ხატი მე მომეწონა და სარდაფიდან ამოვიტანე, აქ დავკიდე.

+

ათანასე განგვიმარტავს აქ, ამ მთავარი ეკლესიის კედლის მხატვრობას; შინაარსი ამოღებულია, ცხადია, ძველი და ახალი აღთქმიდან. მამა ათანასე კარგად ერკვევა მხატვრობაში; მიგვითითებს ძ ვ ე ლ ს ა და განახლებულ ხატებზე; ეს განახლებული მხატვრობა არც მას მოსწონს და მწუხარებით აღნიშნავს:

— აღარ არიან კარგი მხატვრები — და მერმე ნაღვლიანად დასძენს: — მე როცა აქ მოვედი, ახალგაზრდა ვიყავი; მაშინ აქ ორასი ბერი ცხოვრობდა; ახლა აქ თექვსმეტი მოხუცი დავრჩით და მხოლოდ ექვსი ახალგაზრდა ბერი გვყავს! სხვა აქაური მონასტრებიც ცარიელდებიან. ახლა ცუდი დრო არის... კომუნისტებმა მოწამლეს მთელი მსოფლიოს ატმოსფერა; სულიერად ვიტანჯები; ფიზიკურად დავსუსტდი; ხშირად ავადემყოფობ...

— უნდა მოუაროთ თავს, წინამძღვარო! — მიმართავს მას ალექსანდრე.

— რისთვის უნდა მოვუარო თავს?! ის მირჩევნია, მალე განვიდე ამ წუთისოფლიდან, თუ ამას ღმერთი ინებებს...

+

შევდივართ მთავარ საყდარში. ეკლესია აშენებულია ბერძნული ჯვრის ფორმის პლანზე; გუმბათი დაყრდნობილია პანდატივებზე; შუაში უზარმაზარი კანკელია ჩამოკიდებული; იგი ბრინჯაოსია.

— ეს კანკელი იმპერატორ ჰერაკლიოსმა მოიტანა სპარსეთიდან, გამარჯვების შემდეგ — ამბობს ათანასე.

წინამძღვარი მიგვითითებს ეკლესიის ცენტრში მარმარილოს ფიქალზე, სადაც ბერძნულად ამოჭრილია გიორგი პირველი-მშენებელის სიტყვები; მამა ათანასე ამ სიტყვებს ფრანგულად გვითარგმნის:

ნამდვილად კი აქ არის ფსალმუნიდან ამოღებული სიტყვები (ფსალმუნი 74,3):

„მე დავამტკიცენ სვეტნი მისნი და უკუნისამდე არ შეიძრნენ" — გიორგი მონაზონი ქართველი და აღმაშენებელი —.

დატა დაფუძნებისა ზედ არ არის. აკადემიკოს კორნელი კეკელიძის აზრით, ეს გიორგი I არის ვარაზვაჩე, რომელიც აქვე იყო წინამძღვრად 1204 წელში. მაშასადამე, ეკლესიის დაარსება ამ ხანას ეკუთვნის. გიორგი II კი იყო ცნობილი მწიგნობარი, გიორგი მთაწმიდელის სახელწოდებით.

+

აქედან გადავდივართ ძვირფას საუნჯეთა საწყობში. მის დიდ კარებს დიდი გასაღები აღებს. აქ არის გასაოცარი სიმდიდრე: სხვა და სხვა ფორმის ბარძიმები, მრავალი ძვირფასი ჯვარი, ოქროსი, ან ვერცხლისა, ძვირფასი თვლებით შემკული... ყველაფერი ეს შეწირულია ქართველთა მიერ და ამის დაწვრილებით ცნობებს გვაწვდის მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი, მე-18 საუკუნეში.

ვნახეთ აგრეთვე პეტრე დიდის მიერ შეწირული სახარება, რომელიც ბაჯაღლო ოქროს ყდით არის შეკრული და შემკული ძვირფასი თვლებით — განსაცვიფრებელი თავისი სიდიდით.

— ამის გახსნა არ არის საჭირო. ძველი რუსული ენით არის — გვეუბნება ათანასე. — ახლა მე თქვენ გაჩვენებთ ქართველი ბერის გაბრიელის სახეს, რომელმაც პორტაიტისა გამოიტანა ზღვიდან. — ათანასემ ანიშნა მორჩილს და მან გაალო განჯინა; იქიდან გამოიღო ოქრომკედით მოქსოვილი აბრეშუმი, რომელზედაც გამოქარგულია გაბრიელისა და ერთი წმიდანის სახე.

მერმე მივბრუნდით იქ, სადაც ამერიკელი კორესპონდენტი თავისი მხლებლებით გვიცდიდა. დავსხედით. ვისვენებთ. ათანასე ჩვენ მოკვემართავს:

— საღამოზე მწუხრის ლოცვა იქნება; თუ გნებავთ დაესწარით. ხვალ კი დილის ექვს საათზე უსათუოდ მოდით დილის წირვაზე. წირვის შემდეგ განვაგრძოთ დათვალიერება.

— ძალიან გვაინტერესებს ქართული ხელნაწერები და ბიბლიოთეკა...

— ყველაფერს ნახავთ; მხოლოდ ამ ამერიკელს არა უთხრათ რა, თქვენ რომ სურათები გადაიღეთ!

ალექსანდრეს სურდა უსათუოდ რაიმე წამოეღო სა-

ნახსოვროდ ათონიდან და ამიტომ იგი მამა ათანასეს მიმართავს დიპლომატიურად:

— მამაო ათანასე! ასეთი პატივი დაგვდევით და ნება გვიბოძეთ შემოვწიროთ თქვენს მონასტერს (გულისხმობდა, რასაკვირველია, ფულს).

— როგორ გეკადრებათ! ჩვენთვის საკმარისია, რომ მოიტანეთ რწმენა და სიყვარული ამ მონასტრისა! ეს სავსებით საკმაოა!

— მაშ, იქნება აქედან ვაკვატანოთ სახსოვრად რამე!

— ამალამ ვიფიქრებ. ხვალ ენახოთ.

+

ამით დავშორდით წინამძღვარ ათანასეს და იქვე ჩამოვჯექით. შევცქერით გალერეის ფრესკებს. ხმამაღლა ლაპარაკი ისმის. ამერიკელს ვეკითხებით:

— რატომ ჯავრობს თქვენი პროფესორი?

— აი, ეს მაღალი გამხდარი ბერი ნებას არ გვაძლევს სასწაულმოქმედი ხატის სურათი გადავიღოთ.

— თქვენ ხომ გაქვთ მთავარი სამმართველოდან ნებართვა?!

— ნებართვა რამდენიც გინდათ გვაქვს, მაგრამ ამ ბერსაც ალბათ აქვს უფლება, უარზე რომ არის! ასეთი შემთხვევა კიდევ მქონდა ერთ-ერთ ეკლესიაში.

— ქრთამი ჯოჯოხეთსაც ანათებს — ვეუბნები მას ხუმრობით.

— ფული მაგათ არ აინტერესებთ. ეს მონასტერი ყველაზე მდიდარია. ყველა დიდი ოტელი სალონიკში ამ მონასტერს ეკუთვნის...

არ ვიცი, რამდენად სწორია ამერიკელის ეს ცნობა. ამის შესახებ მამა ათანასეს ვერ გავუბედეთ შეკითხებოდით.

ბერსა და პროფესორის დავაში ჩვენი ათანასე არ ჩარეულა. ბოლოს შესწყვიტეს კამათი და ათანასე გაჰყვა ამერიკელს ეკლესიაში.

გულში მიხაროდა: აჰა! ყოვლად შემძლე და უმდიდრესი ამერიკული ჟურნალის წარმომადგენელს სურათის გადაღების უფლება არ მისცეს და ჩვენ კი, უბრალო გარდახვეწილებმა ასე იოლად, ათანასის წყალობით შევძელით ეს.

რადგან სხვა საქმე არ გვქონდა, ჩვენც ავედევნეთ ამერიკელს და ხელმეორედ ვინახულეთ ფრესკები და სხვა ძეგლები.

+

ამასობაში ვახშმობამაც მოატანა. ჩვენ ორი, ამერიკელი, პროფესორი და თარჯიმანი ვახშმად მიგვიწვიეს. სასადილოში უკვე ისხდნენ სალოცავად მოსული ორი ბერი და სტამბოლიდან მოსული ერთი ბერძენი. ვერ ვხედავთ სამ მუშას, რომელთაც ამერიკელის აპარატები და ბარგი მოიტანეს.

— სად არიან თქვენი მომყოლები? — ვეკითხებით ამერიკელს.

— აქ სოციალური იერარქია ძველებურია კიდევ... ისინი, გარეთ რომ შენობა არის, იქ ვახშმობენ და იქვე დაიძინებენ.

ვახშამიც ღარიბული გამოდგა. მოგვიტანეს ერთი საინი უცნაური გემოს თევზი წვენით, პური და ერთი ჰიქა ღვინო. ეს საჭმელიც ისეთი უგემური იყო, რომ ერთი კოვზი ძლივს ჩადავყლაპეთ.

— ნუ მიეძალებით მაგ საჭმელს — გვეუბნება ამერიკელი. — მე მაქვს წამოღებული სურსათი. დამეწვიეთ.

აბა, უარს როგორ ვიტყოდით! დილის ხუთი საათიდან ლობიოს წვენის მეტი არ ჩაგვსვლია პირში!

— გადაეცით ჩვენი მადლობა თქვენს პატივცემულ რედაქციას...

— ამერიკის პროგრამაშია: ყველას, მშიერთა და მწყურვალთა დახმარება — სიცილით ამბობს ამერიკელი და გვაწვდის საჭმელს და კიდევ რაღაც მაგარ სასმელს.

როდესაც ყველა დავნაყრდით, გაიმართა საუბარი, ცხადია, ათონის შესახებ. ამით ვსარგებლობ და პროფესორს ვეკითხები ზოგ რამეს; მაინტერესებს ამ ბერძენი მეცნიერის პასუხი.

მამა ათანასეს განმარტება, თითქო პატარა ეკლესია მესამე საუკუნეში აშენებულიაო, მას საეჭვოდ მიაჩნია.

— ეს მთა ლეგენდებით არის ჩატენილი...

— ისე როგორც ძველი საბერძნეთი — უმატებს ამერიკელი.

პროფესორი ამტკიცებს, რომ ათონის მთაზე ქრისტიანები — ჰერმიტები — უკვე 50-ან წლებში ცხოვრობდნენ.

— ალბათ რადიოთი მიიღეს ცნობა ქრისტეს მოძღვრების შესახებ! — ხუმრობს ამერიკელი.

პროფესორს სახეზე ეტყობა, ეს ხუმრობა არ მოსწონს და განმარტავს:

— როდესაც ცნობილი პეტრე ანტონიტი აქ მოვიდა, მან აქ იცხოვრა ორმოცდაათი წელიწადი გამოქვაბულში; აქ უკვე განყენებული, განდეგილი ბერები ცხოვრობდნენ, მაღალ კლდეებზე. მათ არ გააჩნდათ საჭმელი; შიმშილობდნენ ნებაყოფლობით; მხოლოდ სამოწყალოდ თუ ვინმე მოუტანდა მათ მცირეოდენ სანოვაგეს....

— ივერიელებს არ წაუბაძავთ მათთვის, რომ ასეთ მშვენიერ ბუნების წიაღში გაუმართავთ მონასტერი...

— ახლა კი არც ერთი ქართველი აღარ არის აქ...

— ყველა მონასტერში დიდად დაიკლო ბერთა რიცხვმა — მიპასუხებს პროფესორი — აი, მაგალითად: რუსების მონასტერში, წმიდა პანტელეიმონის სახელო-

ბისა, ორი ათასი ბერის სამყოფელია; ამ ჟამად ასამდე თუ იქნება! საბჭოთა რუსეთს უნდოდა 150 ახალგაზრდა ბერი გამოეგზავნა აქ, მაგრამ ბერძნებმა უარი უთხრეს მათ შემოშვებაზე.

+

წარსულ საუკუნეში, ათონის მთაზე დიდი გავლენა ჰქონდა ძველ რუსეთს, რადგან მონასტრები ათონის მთაზე იმ ხანაში გაღარიბდნენ, რუსებმა დაიწყეს მიწებისა და ეკლესიების შესყიდვა. და რუსების მფარველობა ბევრმა მონასტერმა მიიღო მაშინ. რუსებიც მათ მამულებს მოურავობას უწევდნენ, მაგრამ მამულთა შემოსავალს რუსეთის მთავრობა მონასტრებს არ აძლევდა, თუ მათი წინამძღვარნი რუსთა მომხრე და გამგონე არ იქნებოდნენ. მაგალითად: 1885 წლიდან ივერიონის მამულების მოურავი იყო რუსეთის ხელისუფლება. ივერიონს მამულები ჰქონდა: მოსკოვში, ბესარაბიაში, კავკასიაში; რუსები იღებდნენ შემოსავალს და ივერიის მონასტერს ყოველ წლიურად უხდიდნენ ასი ათას ოქროს ფრანკს. ერთ დროს რუსეთის სინოდმა მას ეს თანხა დაუკავა და მოსთხოვა ივერიონის მონასტერში ოცი ქართველი ბერისათვის ადგილი დაეთმოთ. ბერძნები იძულებული იყვნენ ამას დასთანხმებოდნენ.

+

ათონის მთა ამ ჟამად კრიზისს განიცდის. მას შემოწირულებაც აღარ შემოსდის — ამბობს პროფესორი — პირველი ომის შემდეგ რუსეთი, რუმინეთი და სხვა სლავური ქვეყნები ხელს ველარ უწყობენ ათონის მონასტრებს; მათ ჩვენმა, საბერძნეთის მთავრობამ ჩამოართვა ნახევარკუნძულის გარეშე არსებული მათი მიწები და ამის ნაცვლად წლიური რენტა დაუნიშნა, რაც ბერძნული ფულის დაცემის გამო ძალიან მცირე თანხას წარმოადგენს. ახალგაზრდები ბერად აღარ მიდიან, რათა შეავსონ მოხუცთა კადრები; მაინც და მაინც მოხუცებს არც კი სურთ ბევრი ახალგაზრდა ბერი მოვიდეს აქ და თავისი სუსტი შემოსავალი მათ გაუყონ. თუ 1912 წელს აქ იყო შვიდი ათასი ბერი, ახლა აქ მხოლოდ ათასამდე ბერია დარჩენილი...

— ჩემი აზრით — ამბობს ამერიკელი: საუკეთესო გამოსავალი იქნება, რომ მონასტრები მუზეუმებად გადააქციონ, ხოლო მონასტერთა შენობები კი გააწყონ ოტელებად. ეს ზღვა და ეს მშვენიერი ბუნება დიდ კონკურენციას გაუწევს ფრანგულ კოტდაზურსა და იტალიურ რივიერას...

ამ ჟურნალისტ ბიზნესმანის ნათქვამმა საერთო სიცილი გამოიწვია.

— თქვენ ცანმარტავთ, ბატონო პროფესორო, ათონის კრიზისს მხოლოდ ეკონომიური მიზეზით; იქნებ სხვა მიზეზიც არის? — ეკითხება მას ალექსანდრე. — მე მგონია, ეკონომიური კრიზისის გარდა უნდა იყოს სულიერი კრიზისიც. თქვენი მონასტრები კათოლიკურთან შედარებით კულტურულად უფრო დაბლა სდგას; არა აქვთ სკოლები, სემინარიები, არ ეტანებიან მეცნიერებას; მონასტრების სარდაფები სავსეა უძველესი ხელნაწერებითა და ნივთებით; და არავინ იწუხებს თავს მათ შესასწავლად და გამოსაცემად, დასაბეჭდად...

— ნაწილობრივ ვიზიარებ თქვენს აზრს, მაგრამ გავიწყდებათ, რომ მონასტერი კულტურული ცენტრი კი არ არის, არამედ სარწმუნოებრივი კერაა — ამბობს პროფესორი.

— აი, ეს ჩვენი მასპინძელი, ამერიკელი ჟურნალისტი იძულებული იყო ათინიდან თქვენ მოეყვანეთ, რომ ახსნა-განმარტება თქვენგან მოესმინათ...

პროფესორი გვიპასუხებს:

— მონასტერ ვოლოპედის მახლობელ გორაკზე არის ნანგრევი ერთი შენობისა... იქ არსებობდა ძველად ანტონიას სკოლა, რომელიც წარსულში დიდ ცენტრს წარმოადგენდა თეოლოგიურ და ფილოსოფიურ საკითხთა შესასწავლად. დღევანდელ ხანაში ეს საკითხები ისწავლებიან და ირკვევიან უნივერსიტეტებში...

— ბატონო პროფესორო! — მივმართავ მას: მოგახსენებთ ათონის სპეციალისტთა აზრს ამ საკითხზე. ერთი ფრანგი ეხება დღევანდელ აქაურ ბერთა უვიცობას და მას განმარტავს და ამბობს, რომ არისო ორი საუკუნე მას შემდეგ, რაც ბერძნული ეკლესიის იერარხიის მეთაურობა დარწმუნებულია, თითქოს გონებრივ საკითხთა სწავლა-განვითარება იწვევსო ერესს. ამიტომ ურჩევნიათ ალტკივარი თავი არ აიტკივონ. საინტერესოა კიდევ ცნობილი ბიზანტოლოგის პ. უსპენსკის აზრი, რომელმაც კარგად შეისწავლა ათონის მონასტრების რაობა 1845 წელს და დიდი შრომაც დასწერა. მისი აზრით, ათონზე ბერძენი და სლავი ბერები მეათე საუკუნის ბოლოდან დღემდე თავის სიცოცხლეს ატარებდნენ ღმერთზე ფიქრსა და ლოცვაში; მხოლოდ თავისი სულის ცხონებაზე ზრუნავდნენ. ამიტომ ისინი სწავლას, მეცნიერებას არ ეტანებოდნენო. პირადად ამას უნდა დავუმატო — ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდნენ ქართველი ბერები, რომლებიც მეცნიერულ და ლიტერატურულ მუღვაწეობას მისდევდნენ. ამისი საუკეთესო საბუთია ის აურაცხელი ხელნაწერი, ქართულ თუ ბერძნულ ენაზე, ამ ივერიონის მონასტერში ჯერ კიდევ შემონახული. ვამბობ: „ჯერ კიდევ", რადგან საქართველოში გავრცელებული შეხედულებით, ამ საუკუნეთა გასწრივ ბერძნებმა გასაჩუქრეს, თუ გაჰყიდეს ბევრი ხელნაწერი...

— ეს შეუძლებელია! — ამბობს გაჯავრებული ტონით პროფესორი.

— ფაქტებს დაგისახელებთ: 1880 წელს ათონზე ყოფილა ქართველი მოგზაური ბარკალაია; მას უნახავს ბერძენი ბერები, რომლებიც ქართულ ხელნაწერთა ფურცლებს ბოთლების დასაცობად ხმარობდნენო! მასვე უნახავს კონსტანტინოპოლში, ბაზარზე გატანილი გასასყიდად, ქართული ხელნაწერები, ათონის მთიდან გამოტანილი.

— ეს ცნობა საკმარისი არ არის ასეთი ბრალდების დასამტკიცებლად —ამბობს უკმაყოფილო პროფესორი.

— ძალიან კარგი, ამ ქართველს ნუ დაუჯერებთ, მაშ, როგორ აღმოჩნდნენ მოსკოვში ქართული ხელნაწერები, წაღებული ათონიდან? ივერიის მონასტერიდან?! საქმე ასე იყო: 1665 წელს მოსკოვს ათონის მთიდან დაბრუნდა რუსი, არსენ სუხანოვი და მან თან მიიტანა მოსკოვს ხუთასამდე ხელნაწერი, რომელიც მან მოსკოვის სინოდალურ ბიბლიოთეკას ჩააბარა! სამი მეოთხედი ხელნაწერთა ათონის ივერთა მონასტერს ეკუთვნოდა! რუსმა არქიმანდრიტმა ვლადიმერმა შეადგინა კატალოგი ამ ხელნაწერთა. ვატიკანის ბიბლიოთეკაშიც ბლომად არის ივერიონის მონასტრიდან წაღებული ხელნაწერი...

პროფესორი ჩემს განმარტებაზე არაფერს ამბობს; მხოლოდ მეკითხება, დაწყნარებული:

— საინტერესოა, რა შინაარსისა არის ყველა ეს წაღებული ხელნაწერი?

— თუ გაინტერესებთ, მოგახსენებთ: ქართველმა პროფესორმა ჰ. ბერაძემ, დიდი ხანი არაა მას შემდეგ, გამოკვლევა გამოაქვეყნა, სათაურით: „ბერძნული კლასიკური ხანის ძეგლები ათონის ივერთა მონასტერში". აქედან ვიგებთ, რომ მოსკოვს მიტანილი, ვამბობ, ქართველთა მონასტრიდან წაღებულ ხელნაწერთა შორის, არის ძველ ბერძენთა დიდი მწერლების — ესხილოსის, სოფოკლესის ტრაღედიები, არისტოფანესის კომედიები, ჰომეროსის ილიადა და ოდისეა, პინდარის ნაწარმოებნი და სხვა აგრეთვე მრავალი სასულიერო წიგნი.

მთელი ეს ვეებერთელა შრომა დაწერილია პერგამენტზე! ყველა მას აქვს თანდართული კომენტარიები. ქართველმა მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ გადამწერლები იყვნენ ქართველი ბერები. ზოგ ხელნაწერზე აღნიშნულიც არის გადამწერის სახელი: ქართველი ბერი თეოფანე, რომელსაც დიდი მუშაობა გაუწევია მეთერთმეტე საუკუნის დამდეგს. ხომ ხედავთ, ძველი ქართველი ბერები შეზღუდული არ ყოფილან მარტო რელიგიური საკითხებით; ქრისტიანული წიგნების გარდა ისინი ძველი კლასიკური კულტურითაც იყვნენ გატაცებული და მის გავრცელებას ცდილობდნენ...

პროფესორი ჩაფიქრდა და ცოტა ხნის შემდეგ სთქვა:

— როგორც ერთჯერ უკვე მოგახსენეთ, ამ მეცნიერულ და კულტურის საქმეს დღეს მონასტრები აღარ ეწევიან; ეს არის დღეს უნივერსიტეტის დანიშნულება; დღეს კი მონასტრების დანიშნულება არის მართლმადიდებლური სარწმუნოების დაცვა-შენახვა. ამ მოვალეობას ის პირნათლად ასრულებს. თვითეული ბერისათვის სულიერი ცხოვრების გარეშე ქვეყანა არ არსებობს; არც ნათესავი; არც მეგობარი; ყველაფერი შენაცვლებულია ღმერთით. მხოლოდ ლოცვა; ლოცვა წმიდა, სიმხურვალე გულისა; სიჩუმე ფიქრისა; განწმედა აზროვნებისა, გონებისა; მისტერიის ხილვა, ნათელი გულისა — აი, მათი დანიშნულება და ამიტომ ისინი ბედნიერად გრძნობენ თავს, რადგან სულიერად ძლიერი არიან...

— ყველაფერ ამას მიეყევართ ფანატიზმისაკენ — ამბობს ამერიკელი.

— ივერიონში, წირვის დროს. — ვამბობ: ვუკვირდებოდი ბერების პირისახეს; მათი თვალების გამომეტყველება რაღაც უცნაური იყო! თუ თვალები ადამიანის სულიერი განწყობილების გამომსახველია, მე იქ დავინახე უსაზღვრო შინაგანი ძალა, სათნოება, სიყვარული...

— ამ შინაგან ძალაზე მოგახსენებდით წელან — ამბობს პროფესორი — ამ მთაზე არიან ისეთი ბერები, რომლებსაც გარედან მოსული ხალხი ვერასოდეს ვერ იხილავს!

— აქ არის ბერების ერთი ჯგუფი, რომელსაც ჰქვია „აკიტიმ". ამათ არასოდეს არ სძინავთ. არც დღით, არც ღამით. ასეთია მათი აღთქმა. არიან აქ „ვინოვაგ"-ები. რომლებიც არსად არ ცხოვრობენ, არა აქვთ ბინა, მხოლოდ დადიან და დადიან, ერთ ადგილზე არ ჩერდებიან. არიან „ჰეზიშასტ"-ები, რომლებიც შეუჩერებლივ იესო ქრისტეს სახელს იმეორებენ. თუ თავი არ მოგაწყინეთ, ზოგ საკვირველ ამბავსაც გიამბობთ...

+

წმიდა მაკარი, რომელმაც 90 წელიწადი იცოცხლა, კვირაში მხოლოდ ერთჯერ კომბოსტოს ერთ ფურცელს ჭამდა! ერთხელ შემთხვევით მოჰკლა კოღო; ამ ამბავმა იგი ისე შეაწუხა, რომ თავისი თავის დასასჯელად წავიდა იმ გამოქვაბულში, სადაც კოღოების ბუდე იყო; იქ კოღოების ნაკბენისაგან ისე გასივდა იგი, რომ დაბრუნებისას ბერებმა იგი მხოლოდ ხმით იცნეს!

ერთ ახალგაზრდა ბერძენს სურდა გაექურდა ერთი მონასტერთაგანი და ამ მიზნით ბერად შესდგა. რამდენიმე წელიწადი ცხოვრობდა ბერებთან, მათთან ერთად მუშაობდა, მარხულობდა, ლოცულობდა. ბოლოს მან დიდად დაიმსახურა და დანიშნეს იგი ხაზინადარის მოადგილედ. იგი ნელნელა იპარავდა ძვირფას ნივთებს



კედლის მხატვრობა ივირონში:
იოანე ნათლისმცემელი

და შეუმჩნევლად აგზავნიდა თავის სოფელში. როდესაც იგი დარწმუნდა, რომ ის უკვე მდიდარი კაცია და შეუძლია კმაყოფილი ცხოვრება და თავისი სატრფოს შერთვაც, რომელიც წლობის განმავლობაში უცდიდა, ბერებს გამოუცხადა თავისი გადაწყვეტილება მონასტრის დატოვების შესახებ და დანიშნა დრო წასვლისა. მაგრამ მოხდა უცნაური ამბავი: რაღაც მისტერიული ძალით, ქურდი ბერი ავიდა სამრეკლოზე და მთელი თავისი ძალით დაიწყო ზარების რეკა. არა ჩვეულებრივ დროს ზარების რეკამ ყველა ბერი შეაგროვა სამრეკლოს მოედანზე. ყველა გაკვირვებული შესცქეროდა ზევით. უცებ ზარების რეკა შესწყდა და ახალგაზრდა ქურდი ბერი მოსწყდა სამრეკლოს და იგი ძირს უსულოდ დაეცა.

პროფესორმა ბევრი რამ საკვირველი ამბავი გვიამბო ბერების ცხოვრებიდან, ზოგი — ძველი; ზოგი — ახალი. შევეცადეთ საუბარი უფრო საინტერესო თემაზე გადაგვეტანა და პროფესორს ვეკითხები:

— წარსულში ათონის მონასტერი ყველა მართლმადიდებელ ქვეყანას აქ გაკეთებულ ხატებს აწვდიდა. შემდეგ რუსეთი გახდა ხატების მიმწოდებელი; იგი ათონს მეტოქეობას უწევდა; ახლა რუსეთში ხატებს აღარ აკეთებენ. როგორ არის ათონის მხატვრობის საქმე ამ ჟამად?

— ამ ნახევარი კუნძულის სამხრეთ ნაწილში არის ორი სკოლა მხატვრობისა, მაგრამ ორივეს შემოქმედება თითქმის ერთი და იგივეა. საერთოდ კი ძველი ბიზანტიური მხატვრობა მივიწყებულია...

— აბსტრაქტულ ხელოვნებას ალბათ არავითარი გავლენა არ მოუხდენია მათზე! — სიცილით ამბობს ამერიკელი.

— აქ დახატული ხატები ბევრი მიაქვთ ბერძნებს ამერიკაში, კანადაში, ავსტრალიაში, აბისინიაში — ამბობს პროფესორი.

— ბატონო პროფესორო! თქვენ ბრძანეთ, რომ ეს მონასტერი ივერიელთა დაარსებულია მეათე საუკუნეში. იქნებ ისიც გვითხრათ, როდის და როგორ გამოდევნეს ამ მონასტრიდან ბერძნებმა ივერიელები?

— ამის შესახებ ვერაფერს გეტყვით. თუ თქვენ გაქვთ რაიმე ცნობა, გთხოვთ გამაცნოთ იგი.

— დიდი სიამოვნებით. მონასტრის დამაარსებელ ქართველებს განეზრახათ დასაწყისში: აქ მხოლოდ ქართველი ბერები უნდა ყოფილიყვნენ; მაგრამ რადგანაც ისინი საკმაო მუშა-ხელს ვეთ შოულობდნენ, ამიტომ ქართველი ბერები ბერძნებს იღებდნენ, რომლებიც თან და თან მომრავლდნენ. შემდეგ ივერიელთა მონასტრის სილამაზითა და სიმდიდრით მოხიბლული ბერძნები შეეცადნენ აქედან ქართველების გაძევებას და მონასტრის დაპატრონებას. მეთოთხმეტე საუკუნედან ბერძენ ბერთა რიცხვი უფრო გაიზარდა ამ ქართულ მონასტერში. ამავე დროს საქართველოში მონღოლთა შემოსევების შედეგად ქართული სახელმწიფოს მთლიანობა დაირღვა და, ცხადია, მას უცხოეთშიაც გავლენა და პატივი დაეკარგა; ვერც მონასტრებს ეხმარებოდნენ ქართველები; ამით ისარგებლა პატრიარქმა კ ა ლ ი ს ტ ე - მ და 1353 წელს, მისი ბრძანებით, რადგან ბერძნების რიცხვი მეტი იყო ქართველთა ამ მონასტერში, და თითქოს თავისი სულიერი თვისებებით ქართველები ბერძნებზე დაბლა იდგნენ, აკრძალა ქართველებისათვის მაღალ თანამდებობაზე არჩევა; ხოლო მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს, როდესაც რუსეთი საქართველოს დაეპატრონა და ქართული ეკლესიის ავტოკეფალიაც

გააუქმეს რუსებმა, ბერძნებმა ქართული მონასტრიდან საბოლოოდ განდევნეს ქართველი ბერები და მათ მიეცათ უფლება ეცხოვრათ მხოლოდ მონასტრის გარეთ. აი, მოკლე ისტორია ქართულ-ბერძნული ურთიერთობისა ამ ქართული მონასტრის გარშემო.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველები აღარ მეთაურობდნენ ივერიონს, ქართველი მეფე და მთავრები მაინც ზრუნავდნენ მისი კეთილდღეობისათვის. აქ მოხსენებულია ალაპებში გიორგი მეფე, ალექსანდრე მეფე, ერეკლე მეორე და სხვებიც; ესენი სწირავდნენ ხოლმე ქართულ მონასტერს დიდ საფასურს...

პროფესორი, როგორც ჩანს, ძალიან დაინტერესდა ჩვენი განმარტებით, რადგან ამბობს:

— ეს ცნობები თქვენ გაქვთ ქართული წყაროებიდან მიღებული. საინტერესოა ბერძნული ცნობები ამავე საკითხზე. ოდესმე ვეცდები ეს საკითხი შევისწავლო ბერძნული წყაროების მიხედვით.

+

ამ ბაღში ვიყავით გარეთ და ვერ შევამჩნიეთ კაშკაშა მთვარე რომ ამოსულიყო! ყველა გავედით აივანზე. აქედან მოსჩანდა სამრეკლო, კოშკები და გუმბათები. მთვარის შუქზე მისტერიულად გამოიყურებოდა შენობათა ჩრდილი. იყო სიმშვიდე. მხოლოდ ფრინველთა გალობა ისმოდა. ყველას გაუკვირდა ღამით ფრინველთა ჭიკჭიკი.

ახალგაზრდა თარჯიმანმა სთქვა:

— ეს მთვარიანი ღამე ისე ნათელია, ალბათ ფრინველებს დღე ჰგონიათ და გალობენ.

ამერიკელს გამოაქვს ფეხზე შემდგარი ფოტოაპარატი და აყენებს მას. მე ვეკითხები:

— არა სჯობია დღის სინათლეზე გადაიღოთ ეს სურათი?

— არა უშავს-რა. იდგეს ასე აპარატი. იქნებ საყურადღებო რამე გადაიღოს ავტომატიურად! ომის დროს ვიყავი ათინაში. ღამით ჟურნალისტები ოტელის ტერასაზე ვიკრიბებოდით ხოლმე. მე ყოველ საღამოს გამომქონდა ჩემი ფოტოაპარატი და ვაყენებდი; ვინ იცის, რა მოხდეს?! მართლაც, ერთ ღამეს მოფრინდა ინგლისური აეროპლანი და ათინაზე გადმოჰყარა სხვა და სხვა ფერის შუქურები! ფეერული სანახაობა იყო! სხვა კორესპონდენტები დატრიალდნენ, მოარბენინეს თავისი ფოტოაპარატები, მაგრამ უკვე გვიან იყო! იქ გადაღებულ სურათში მე პრემია მივიღე!

— ალბათ, ახლაც ფიქრობთ პრემია მიიღოთ! იქნებ ანგელოზები ჩამოფრინდენ და ეკლესიის გუმბათზე ჩამოსხდენ! — ხუმრობს თარჯიმანი.

+

უკვე გვიანაა. მივდივართ დასაძინებლად. მე და ალექსანდრეს მოგვცეს სუფთა დიდი ოთახი. ელექტრონის განათება აქ არ არსებობს; ანთია ნავთის სანათი. ერთ მდიდარ ბერძენს შეუთავაზებია მის ხარჯზე ელექტრონის სადგურის აშენება, მაგრამ ათონის მთის მართველობას უარი უთქვამს. ამერიკელებს, ომის შემდეგ საბარგო ავტომობილები შეუწირავთ და გზის გაყვანას შეჰპირებიან. ამაზედაც უარი უთქვამთ.

ასე რომ, თანამედროვე ცივილიზაციის მიღწევები აქ არ არსებობს. ცხოვრება გაყინულია საშუალო საუკუნეებზე. ერთად ერთი პროგრესი — ეს არის ტელეფონი, რომლითაც მთავარი მონასტრები დაკავშირებული არიან მთავარ სამმართველოსთან კარიესში. მხოლოდ ერთმანეთთან მონასტრებს სატელეფონო კავშირი არ აქვთ.

ქვეშსაგებელი და თეთრეული სუფთა არის.

ძილი არ მეკარება მიღებულ შთაბეჭდილებათა გამო; ყველაფერი მეორდება ფიქრში. მთვარემ შემოანათა და ამან სულ გამომაფხიზლა! ჩიტების გალობა გრძელდებოდა...

მიუხედავად უძილობისა და დაღლილობისა, დილის ხუთ საათზე ორივე ფეხზე ვართ. ცისკრის ლოცვას უნდა დავესწროთ. ლოცვის შემდეგ წინამძღვარი ათანასე წაგვიძღვება ბიბლიოთეკაში...

— ასი ათასამდე წიგნია ჩემს ბიბლიოთეკაში — ამბობს იღუმენი ათანასე. — თქვენ გაინტერესებთ ხელნაწერები; აი, აქ არის ქართულ ხელნაწერთა განყოფილება; აი მათი კატალოგი. ორი კატალოგია, ბლეიკისა და დუმენილის მიერ შედგენილი. ყველა ხელნაწერს, რასაკვირველია, ვერ ნახავთ. სანიმუშოდ იხილეთ რამოდენიმე...

და მას თაროდან გადმოაქვს დიდი წიგნი, შავ ყდაში ჩასმული. ეს არის ქართული ბიბლია, დაწერილი ხუცური ასოებით.

ვფურცლავთ ამ ბიბლიას და განცვიფრებული ვართ; გეგონებათ ნაბეჭდი ასოები! ამ ბიბლიაზე ვნახეთ წარწერა მხედრული ასოებით: „წაეიკითხე და განვიხილე წიგნი ესე აქა მთასა წმიდას ყოფნას ჩემისა. პლატონ იოსელიანი".

ეს, ოშკის ბიბლიის უძვირფასესი ხელნაწერი შესრულებულია 978 წელში. ქართველი მეცნიერები მას დიდ ყურადღებას აქცევენ. ლ. მენაბდის ცნობით, 1849 წ. პლატონ იოსელიანს იგი ათონიდან თბილისში მოუტანია; ის გადაუწერიათ ორ ცალად; ერთი სამეგრელოს მთავარის, დავით დადიანისათვის, ხოლო მეორე — თბილისის სიონის ტაძრისათვის. შემდეგ ეს ბიბლია დაუბრუნებიათ ისევ ათონის მთაზე.

პირველი ომის წინ რუსეთის სამეცნიერო აკადემიას დაუწყია ოშკის ბიბლიის ბეჭდვა; მაგრამ ეს საქმე ომის



იეირონის წიგნთსაცავი:
ქართულ ხელთნაწერთა განყოფილება

გამო შერჩეულა. 1947 წელს თბილისში დაიწყო მისი ბეჭდვა აკადემიკოს აკაკი შანიძის რედაქციით და ჯერ კიდევ დასრულებული არ არის.

ოპიზის სახელგანთქმული სახარება 913 წლით თარიღდება. სხვა მრავალი ხელნაწერია ამ ათონის ქართულ მონასტერში თავმოყრილი, მოტანილი უმთავრესად ტაო-კლარჯეთის სავანეებიდან. ოსმალთა მიერ ამ მხარის დაპყრობის შემდეგ, მე-15-16 საუკუნედან, ტაო-კლარჯეთში ქართული მონასტრები იხურებოდნენ და იქაური ბერები თავიანთი ხელნაწერებით მიდიოდნენ ათონზე, რათა იქ განეგრძოთ თავისი მოღვაწეობა. ისინი მტკიცედ იცავდნენ ძველ სამწერლო ტრადიციას, ათონზე ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელის მიერ დამკვიდრებულს.

ყველა ხელნაწერი ყდაში არის ჩასმული, დანომრილი და კარგად შენახული. ხელნაწერთა უმრავლესობა პერგამენტზეა დაწერილი.

მანუსკრიპტების ასე კარგად შენახვა-მოვლამ გამაკვირვა და ძალიან გამახარა.

— ახლა გაჩვენებთ ბერძნულ ენაზე დაწერილ მანუსკრიპტს. ეს არის სასულიერო რომანი, გადაწერილი და დასურათებული მეთერთმეტე საუკუნეში: ვარლაამისა და იოასაფის ამბავი...

ამ რომანის დასურათება მართლაც შესანიშნავია: ნაზი ფერები, ფაქიზი ხაზები; სრულებით არ ეტყობა ჟამთა დაღი!

— მამაო ათანასე! — მივმართავ მას: ეს დიდებული ხელნაწერი, რომელიც თქვენ ასე სამართლიანად შეაქეთ, მართალია დაწერილია ბერძნულ ენაზე, მაგრამ მისი ავტორი იყო თქვენი წინამორბედი, ცნობილი მწერალი, წინამძღვარი ივერიონისა, ექვთიმე მთაწმიდელი, რომელიც მეათე საუკუნეში აქ ცხოვრობდა. მან იგი ქართულიდან ბერძნულად სთარგმნა, ხოლო შემდეგ ბერძნულიდან გავრცელდა მაშინდელ ქრისტიანულ ქვეყნებში.

მამა ათანასე გაკვირვებული მიყურებს. მე განვაგრძობ: პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში არის ეს წიგნი, მეხუთმეტე საუკუნის ტექსტით, რომელზედაც არის წარწერა, რომ იგი ქართულიდან ბერძნულად სთარგმნა ექვთიმე ივერიელმა. ვენეციაში წმიდა მარკოზის ეკლესიის ბიბლიოთეკაშიც არის მეთერთმეტე საუკუნის იგივე მანუსკრიპტი, ასეთივე წარწერით. აქვე ბიბლიოთეკაში არის გიორგი მთაწმიდელის თხზულება, რომელმაც აღწერა ექვთიმეს ცხოვრება მეთერთმეტე საუკუნეში. მისი ცნობაც იგივეა. საქართველოში მეცნიერებმა ნ. მარმა, ივ. ჯავახიშვილმა, პ. ინგოროყვამ, შ. ნუცუბიძემ საბოლოოდ დაამტკიცეს, რომ ექვთიმე მთაწმიდელი არის ბალავარიანის ბერძნული ტექსტის ავტორი.

— ეს სადავო საკითხია. გამიგონია, რომ ევროპიელი ზოგი მეცნიერი სხვა აზრისა არის...

— ყველა არა! ჰომელი, პეტერსი იზიარებენ ექვთიმეს ავტორობის აზრს.

— დავანებოთ ამას თავი! მეცნიერებმა იმტვრიონ თავი, თუ ვინ დასწერა იგი. ჩემთვის საკმარისია, რომ იგი დაწერილია მართლმადიდებელი ადამიანის მიერ!

— ძალიან მოხარული ვარ, რომ ეს ხელნაწერები ასე კარგად არიან დაცული. ჩვენ ამ სასიხარულო ამბავს გადავცემთ ჩვენ თანამემამულეებს; მათ შორის გავრცელებულია შეხედულება, თითქოს ეს ხელნაწერები მოვლილი არ არიან და იკარგებიან კიდეც.

— შესაძლებელია წინა ხანებში ეს ხდებოდა. წარსულ საუკუნეებში ეს მონასტერი ხშირად გაძარცული იყო თურქების, არაბების, „ფრანკების“, კატალანების მიერ. 1285 წელს „ფრანკები“ დაესხნენ თავს ამ მონასტერს და მოსთხოვეს ქართველებს რომის პაპის უფლების აღიარება. ქართველებმა უარი უთხრეს მათ, რასაც მოჰყვა მონასტრის გაძარცვა. 1306 წ. კატალანებმა დაარბიეს ეს მონასტერი. 1308 წ. — არაბებმა. ამ მარბიელთ ძვირფას ნივთებთან ერთად მიჰქონდათ აგრეთვე ხელნაწერებიც. ახლა ეს შეუძლებელია: ჩვენ ისეთი სისტემა გვაქვს დადგენილი, რომ მოპარვა აქედან არ შეიძლება, არც დაიკარგება რამე. რასაკვირველია, ამ სისტემას თქვენ ვერ გაგაცნობთ — ამბობს ღიმილით მამა ათანასე.

+

— ახლა წავიდეთ ზემო სართულში, სადაც ნაბეჭდი წიგნების განყოფილებაა.

დერეფანში ვიტრინებია, სადაც გამოწყობილია სხვა და სხვა საგანი. ჩვენი ყურადღება მიიქცია ერთმა სამოსელმა, რომელიც ოქრომკედით და მრავალი პატიოსანი თვალით იყო შემკული...

— ეს არის იმპერატორ კანტაკუზენის სადღესასწაულო სამოსი, რომელიც მან ჩვენს მონასტერს შემოსწირა...

ნაბეჭდ წიგნთა ბიბლიოთეკა ძალიან დიდია, ხოლო ქართული წიგნები ცოტაა. რაც არის, უმთავრესად ვახტანგ მეფის სტამბიდან არის გამოსული. ერთ წიგნს ასეთი წარწერა აქვს: „შეწირულია მეფის ძის თეიმურაზის კარის ეკლესიისაგან"; გობრონ საბანინის მიერ დაბეჭდილი პეტერბურგში 1882 წელს „საქართველოს სამოთხე" და სხვა.

ნაბეჭდ წიგნებს ვერ გაუძლიათ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ბევრად უფრო ახალი არიან დროის მიხედვით. ბევრ მათგანს ჩრჩილი მოსდებია და დაუჭამია.

ბიბლიოთეკიდან შევდივართ წინამძღვრის კაბინეთში და ვბაასობთ სხვა და სხვა თემაზე.

— მამა ათანასე — მიმართავს მას ალექსანდრე: გუშინ ჩვენთან ერთად მოგზაურობდა ერთი ბერძენი, რომელიც ფრანგულ ლეგიონ ეტრანჟერ-ში ყოფილა ომის დროს; მას უნდოდა აქ ბერად აღკვეცა. რა ბედი ეწევა მას? დართეთ თუ არა მას ნება?

— არა. არ მივიღეთ. იგი ხანში შესულია და დაავადებულიც. ჩვენი მონასტერი არც მოხუცთა თავშესაფარია და არც საავადმყოფო.

— ჩვენ რომ მოვისურვოთ აქ დარჩენა და ბერად შედგომა? — ვეკითხები ხუმრობით.

— ვერც თქვენ მიგიღებთ. ჩვენი წესია: ბერად შედგომა შეუძლია მხოლოდ ახალგაზრდას; კანდიდატმა სამი წელიწადი უნდა იმუშაოს მიწაზე; სამი წლით სკოლაში იგზავნება; ასე შეუძლია გახდეს ჩვენი წევრი.

— ძალიან ძნელი პირობები ყოფილა! ამიტომ არის, რომ თქვენი მონასტრები თან და თან ცარიელდება!

იღუმენი ცოტა ხნით ჩაფიქრდა და ბრძანა:

— თურქობის დროს უარესი იყო; ამის ნახევარიც არ ვიყავით, რაც დღესა ვართ. ღვთის წყალობით, კრიზისი გადავიტანეთ. დღესაც გადავიტანთ. მაგრამ ხან და ხან ეჭვი მეპარება, როცა დღევანდელ კაცობრიობას ვუყურებ. ხალხმა ღვთის შიში და სახელი დაჰკარგა. იმედი მაქვს, რომ თქვენ შვილებს ჩაუნერგავთ ქრისტიანულ რწმენას. მიხარია, რომ გადმოხვეწილ ქართველებს პარიზში მართლმადიდებელი ეკლესია შეგიქმნიათ. მე თქვენ გაგატანთ ორ საჩუქარს ივერიელთა მონასტრიდან. ერთი იქნება პარიზის ქართული ეკლესიისათვის, მეორე — თქვენთვის.

მე და ალექსანდრემ სიამოვნებით გადავხედეთ ერთმანეთს. ათანასე აღებს დიდ ზანდუკს და იქიდან ამოაქვს ორი მოზრდილი ფურცელი...

— ეს არის ივერიონის სასწაულმოქმედ ღვთისმშობლის ხატის რეპროდუქცია. თქვენ როგორც ქართველებს მოგიძღვნით მას. დეე, მისი ძალა და კურთხევა ნუ მოგაკლოთ ღმერთმა. დამილოცნია თქვენთვის გზა, რომ მშვიდობით დაბრუნებულიყავით შინ.

ამ სიტყვებით გამოგვისტუმრა ამ კეთილმა ადამიანმა, ტომით ბერძენმა, ჩვენ ორი ქართველი, მისული შორიდან ჩვენ მამაპაპათა შრომითა და სიყვარულით შექმნილ სავანეში.

+

ნავის მოსვლამდე გვრჩებოდა ორი საათი. წავედით მიდამოების სანახავად.

ქართული მონასტრიდან სამასი მეტრის მოშორებით არის ერთ სართულიანი გრძელი შენობა. ეს ქართველი ბერების ყოფილი სენაკები არიან ჩამწკრივებული. აქ ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები მას შემდეგ, რაც ისინი ივერიონის მონასტრიდან გამოასახლეს. დღეს ეს ადგილი გულსაკლავად გამოიყურება: შენობა ჩანგრეულია; ერთ დროს ბაღად გაშენებული მიდამო ყამირად გადაქცეულა. გადავიღეთ სურათი, რათა ძველი დიდების ეს ნიშანი მაინც დარჩეს სამახსოვროდ. შემდეგ ვსხდებით ივერიონის ტერასაზე და ვტკბებით მიდამოს ცქერით.

ორ საათზე მოვთავსდით ნავში. წყნარ ზღვაზე ნავმა ნელ ნელა გასცურა. უკანასკნელად შევცქერით დაკარგულ სამოთხეს, რომელსაც ასეთი უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული კულტურისათვის.

ეხება რა ივერიელთა მონასტრის მნიშვნელობას აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე სათანადოდ განმარტავს:

„თუ ქართული მწერლობა უაღრესად განვითარდა მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეში, ეს ივერიის მონასტრის მეოხებითაც, სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები, რომელთაც მიზნად დაისახეს გაეცნოთ თავიანთ თანამემამულეთათვის დასავლეთის ლიტერატურული სიმდიდრე და მემკვიდრეობა. აქ ითარგმნა და გადაიწერა მომეტებული ნაწილი იმ ლიტერატურული განძეულობისა, რომლითაც ამაყობს ჩვენი ძველი მწერლობის ისტორია. აქ, ათონის მთაზე ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო და საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დასტოვა ჩვენს წარსულში. ერთი სიტყვით, არც ერთ სამონასტრო დაწე-

სებულებას არ ჰქონია ჩვენი მწერლობისა და კულტურის ისტორიაში, როგორიც ათონის ივერიის მონასტერს, უმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო."

ნელ-ნელა ვშორდებით საშუალო საუკუნეებს; ვუბრუნდებოდით მეოცე საუკუნეს და თან მოგვაქვს წარუშლელი შთაბეჭდილება ჩვენ წინაპართა მიერ დაფუძნებული სავანისა, — გრძნობა სიამაყისა და დამცირებისა, სიხარულისა და მწუხარებისა.

გიორგი ნოზაძე

ბიბლიოგრაფია:


1. ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლა".
2. კ. კეკელიძე — ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან. ტომი მეორე — მეოთხე.
3. ლ. მენაბდე — ძველი ქართული მწერლობის კერები.
4. კახაძე — ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში.
5. საბინინი — საქართველოს სამოთხე.
6. P. J. Launay — Grèce. Paris 1957.
7. G. Zographakis — Athos. Athènes 1962.
8. R. Coate — Mont Athos. Paris 1948.
9. J. Bies — Mont Athos. Paris 1963.
10. Ch. Bayet — l'Art Byzantin.
11. A. Schidke. Das Klosterland des Athos. Leipzig, 1903.
12. S. Avalichvili — La succession du Curopalat. Bruxelles 1933.


# კავკასიონი

## IX

# KAVKASSIONI

## Recueil littéraire

(en Géorgien)


PARIS

პარიზი

1964

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული
უცხოური წყაროების კომისია

აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი

# გეორგიკა

## ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

ტომი მერვე

ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო
სიმონ ყაუხჩიშვილმა

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი—1970

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

# GEORGICA

## SCRIPTORUM BYZANTINORUM EXCERPTA AD GEORGIAM PERTINENTIA

TOMUS VIII

Textum graecum cum versione iberica edidit commentariisque instruxit
Sim. Kauchtschischwili

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА"
ТБИЛИСИ — 1970

SUMPTIBUS „MEÇNIEREBA"
THBILISIIS, MCMLXX

## ქართული მასალები ივერთა მონასტრის მამულების შესახებ

ძველქართულ მასალებში, უპირატესად ათონის აღაპებში მოიპოვება ისეთი ცნობები, რომლებიც ზედმიწევნით ადასტურებენ ბერძნულ საბუთებში (ხრისოვულებში, პრაქტიკონებში და სხვ.) მოყვანილ ცნობებს ივერთა მონასტრის კუთვნილი მამულების შესახებ.

ავიღოთ, მაგალითად, 1104 წლით დათარიღებული პრაქტიკონი. თავში ნათქვამია, რომ ჯერ კიდევ 6610 (=1102) წელს დავა ატყდა

იევრთა მონასტრის ბერებსა და კონსტანტინე ევრცას შორის Χλιαροποταμός-ის მამულის გარშემო. საკითხი კეისრის კარზედაც იქნა მიტანილი. ბოლოს, დავა იმით გადაწყდა, რომ მოდავეებმა გაცვალეს მამულები.

ამ პრაქტიკონში აღწერილია იევრთა მონასტრის მამულები, როგორც ძველი ისე ახალი.

Φαίνεται ἐκ τοῦ Πρακτικοῦ ὅτι ὁ βασιλεὺς ἐδωρήσατο τοῖς Ἰβηρίταις μοναχοῖς 100 παροίκους ἐλευθέρους... ὅτι ὑπῆρχε καθηγούμενος Μιχαὴλ μοναχός... ὅτι ἀφηρέθη ἡ μονὴ τῶν Ἰβήρων τὰ ἀνευλόγως παρ' αὐτῆς κατεχόμενα.

პრაქტიკონიდან ჩანს, რომ მეფემ არუქა ივირონელ მონაზონებს 100 გლეხი („პარიკი“) თავისუფალი... რომ წინამძღვრად იყო მიხეილ მონაზონი... რომ იევრთა მონასტერს ჩამოერთვა ის, რაც მას უსაფუძვლოდ (უკანონოდ) ეკავა.

შემდეგ მოდის Περιορισμός „განსაზღვრა მამულთა საზღვრებისა“, და ამ მამულთა შორის მოხსენებულია, მაგალითად,

Προάστειον Δοβροβίκεια (πάροικοι...)

პრასტინი დობროვიკია (გლეხები...)

Ἐν Καλαμοκοπίῳ ἑτέρα ἐκκλησία μὲ δύο ὀσπήτια καὶ χωράφια

კალამოკოპიონში სხვა ეკლესია ორი სახლით და სახნავებით

Προάστειον ὁ Βολβὸς συνορεύει τὸ προάστειον τοῦ Ῥουσίου σχοινία υλβ.

პრასტინი ბოლბოსი ესაზღვრება რუსიონის პრასტინს, 432 სხოინით.

# ИВЕРთა მონასტრის ისტორია *

*Origo caenobii Iberorum in monte sancto erecti, et admiranda apparitio imaginis B. Virginis, quam Portaitissam vocant. Venetiis MDCCXIII Typis Antonii Bortoli superiorum permissu.*

*მთაწმინდაზე აღმართული იბერთა საკანის დაარსება და საკვირველი გამოჩენა ნეტარი ქალწულის ხატისა, რომელსაც პორტაიტისას ეძახიან. დაიბეჭდა ვენეციაში ანტონი ბორტოლის სტამბაში ზემდგომთა ნებართვით.*

Imperanto piissimo ac celeberrimo Constantino, florebat christiana religio, idolorum templa destruebantur, monachorumque multiplicabantur ordines: qui ubique locorum et urbium templa aedificabant.

უმოწყალეს და უაღრესად სახელგანთქმულ კონსტანტინეს მეფობაში ყვაოდა ქრისტიანული სარწმუნოება, კერპთა ტაძრები იმსხვრეოდა, და მრავლდებოდა მონაზონთა დასები, რომლებიც ყველგან აშენებდნენ ტაძრებს, სოფლებსა და ქალაქებში.

Post multum temporis fuit vir quidam Petrus nomine inter caeteros virtutes erga deum pietatem adnumerans. Optabat iste[1] aliquem locum quietum adinvenire, ubi mundo relicto, haud turbatum degerit vitam.

დიდი ხნის შემდეგ იყო ერთი კაცი, სახელად პეტრე, სხვა სათნოებათა შორის ღმერთისადმი მოწიწების მქონე. მან მოინდომა დასვენების ისეთ ადგილას მისულიყო, სადაც, ამ ქვეყნიდან განდგომის შემდეგ, არა-ხმაურ ცხოვ-

Deum rogavit probus vir, dei consilium quo peteret postulavit:

ლებას გაატარებდა. [ამ] ღირსეულმა კაცმა ღმერთს (მიმართა) თხოვნით, ღვთის რჩევას იშველიებდა.

* ეს მასალაც, 1713 წელს დაბეჭდილი ნარკვევი ივერთა მონასტრის მოკლე ისტორია, მოიპოვება იმავე „აქტებში" (გვ. 9—16), სადაც ივერთა მონასტრის სიგელებია.

[1] აქაც და ქვევითაც iste ნახმარია არა ძველი კლასიკური მნიშვნელობით, არამედ იმავე მნიშვნელობით როგორც ille.



Haec deprecanti apparet per visionem sanctissima Virgo dicitque: fili, in monte Atho sit tibi requies: hunc ego montem a Filio meo in haereditatem petii, hunc statui a mundo, mundanisque negotiis sese abdicantibus confugium, quibus ego protectio ero et auxilium.

ამის მთხოვნელს ჩვენებაში გამოეცხადა უწმინდესი ქალწული და უთხრა: შვილო, ათო-ს მთაზე იყოს შენთვის დასასვენებელი; ეს მთა ჩემი ძისაგან გამოვითხოვე სამემკვიდროდ, ის დავაწესე მე თავშესაფარად ამ ქვეყნისაგან და ქვეყნიურ საქმეთაგან განდგომილთათვის, რომელთათვის შველა და დახმარება ვიქნები მე.

Expergefactus Petrus post actas deo, deique matri gratias in illum montem secessit. Hic contra demones pugnavit valide, gloriose vicit: multas habuit angelorum visiones, divina matre intercedente, et post multa peracta miracula vitam hanc meliore vita et aeterna gloria commutavit.

რომ გამოიღვიძა პეტრემ, ღმერთსა და უფლის დედას მადლობა უძღვნა და იმ მთას მიაშურა. აქ მან ძლიერად იბრძოლა დემონების წინააღმდეგ და სანაქებოდ გაიმარჯვა: ანგელოზთა მრავალი ჩვენება გამოეცხადა მას, ღვთაებრივი დედის მეწევნებით, და მრავალი საკვირველების მოხდომის შემდეგ ეს ცხოვრება უკეთეს ცხოვრებაზე და საუკუნო დიდებაზე გაცვალა.

Postea vero venit et noster pater Athanasius qui Laurae conventum aedificavit: iis pariter temporibus erat et pater noster Ioannes genere Iber regio sangvine, divitiis pollens; omnibus vero relictis in monasterium se contulit. Hic famam sancti montis et sancti Athanasii auditam venit, et invento Athanasio uterque bonum ac salutare certamen certabat.

შემდეგ კი მოვიდა ჩვენი მამაც ათანასე, ააშენა ლავრის საკრებულო; თითქმის იმავე ხანებში იყო ჩვენი მამაც იოანე, ტომით იბერი, მეფური სისხლისა, მბრწყინავი [თავისი] სიმდიდრით: ხოლო ყველაფერი დასტოვა და მონასტერს მიაშურა. მას სმენოდა მთაწმინდისა და წმინდა ათანასეს სახელგანთქმულობა და, ათანასე რომ იპოვა, ორივე შეუდგა კეთილსა და საცხოვრებო ბრძოლას.

Paulo transacto tempore cum filium suum nosset Euthymium pacem inquirentem pervenisse Byzantium, hunc abiit quaesitum, quem nactus una cum eo, ad optatam utrique quietem et ad magnum Athanasium fuit reversus.

ცოტა ხანი გავიდა და, როცა შეიტყო, რომ მისი ვაჟი ექვთიმე ბიზანტიონში ჩასულიყო მშვიდობის საძიებლად, გაეშურა მის საძებნად და, ის რომ ნახა, მასთან ერთად ორივესთვის სასურველი დასვენების მოსაპოვებლად დაბრუნდა ათანასესთან.

Ab Athanasio doctus philo-

ექვთიმემ ათანასესგან ისწავ-

sophiam Euthymius totam nostram scripturam in Iberorum dialectum traduxit.

Post pauci decursum temporis monachus factus magnus Tornicius, qui regi Iberorum dux fuerat, multis contra hostes facinoribus praeclarus, multis partis victoriis relatisque trophaeis celebris.

Iis temporibus impia Persarum gens Romani imperatoris morte audita, sub duce quodam cui nomen Scliarus erat, contra reginam defuncti regis uxorem exercitum instruxerunt. Scliarus in Orientem penetravit terrasque urbesque depopulans ad id filiorum regis parvitate adjutus, qui tanto hosti obstare adeo parvuli minime poterant. Regina vero dolore angebatur non ignorans barbaros appropinquasse; omnique alia spe destitúta Tornicii meminit: desperansque salutem,

ლა ფილოსოფია და მთელი ჩვენი [საღვთო] წერილი იბერთა ენაზე თარგმნა.

ცოტა დრომ რომ გაირბინა, ბერად შედგა დიდი თორნიკე, რომელიც იბერთა მეფის სარდალი იყო, მტრების წინააღმდეგ მიმართული მრავალი ბრძოლით სახელგანთქმული, მრავალი გამარჯვების მომპოვებელი და დიდძალი ნადავლის ხელში ჩამგდები.

იმ ხანებში სპარსთა ურჯულო ტომმა, რომაელთა (ე. ი. ბიზანტიელთა) მეფის სიკვდილი რომ შეიტყო, ერთი სარდლის მეთაურობით, რომლის სახელი იყო სკლიაროსი, გარდაცვლილი მეფის ცოლის, დედოფლის, წინააღმდეგ ჯარები დარაზმა. სკლიაროსი აღმოსავლეთში შეიჭრა და დაარბია სოფლები და ქალაქები, საამისოდ გათამამებულმა მეფის ვაჟების მცირეწლოვანობით, რომელთაც არ შეეძლოთ გამკლავებოდნენ ასეთ ძლიერ მტერს, რადგან ძალიან პატარები იყვნენ. დედოფალი[1] დიდმა მწუხარებამ

[1] ეს არის დედოფალი თეოფანო, რომელიც სახელმწიფოს ედგა სათავეში თორჩი მემკვიდრეების, ბასილისა და კონსტანტინეს მცირეწლოვანობის გამო (ესენი არიან ბასილ მეორე ბულგართმძლეტი, რომელიც მეფობდა 979—1025 წლებში და კონსტანტინე IX მონომახოსი, რომელიც მეფობდა 1025—1029 წლებში) — ს. ყ.

nisi Iberorum dux opitularet, misit! ad sanctum Montem Athanasio et Joanni deprecatorias litteras, illos observans, ut ad se Tornicium mittant. Restitit primum Tornicius, cessit deinde sanctorum virorum praecepto, petiitque Byzantium. Huic, magna alacritate viso, commendatae sunt pupillorum sortes, quas ab ipsa uno pendere regina asseruit. At Tornicius classe profectus tótum trucidavit barbarorum exercitum, multisque captivis habitis victor reversus. Totus illi senatus occurrit: multo fuit iste affectus honore, a regina praecipue, quae gratiis actis victori Tornicio multum illi pecuniae obtulit. Respuit ille oblatum munus, qui suas própter Dominum relictus

მოიცვა და არ იცოდა[2] რით ეშველა, ბარბაროსები უკვე მოახლოვებული იყვნენ[3]; ყოველგვარი სხვა იმედი რომ გადაუწყდა, გაახსენდა თორნიკე: რადგან ხსნის იმედი არ ჰქონდა, თუ იბერთა სარდალი დახმარებას არ აღმოუჩენდა, წერილები გაგზავნა ათონის მთაზე და სთხოვდა ათანასეს და იოანეს, რომ მასთან გაეგზავნათ თორნიკე. თავდაპირველად თორნიკე წინააღმდეგი იყო [დედოფალთან წასვლისა], მაგრამ შემდეგ დაუთმო წმინდა მამების რჩევას და ბიზანტიონში გაემგზავრა. მას, ბიზანტიონში სწრაფად ჩასულს, ობლების ბედი შეავედრა თვით დედოფალმა. თორნიკე გაემგზავრა ათი ხომალდებით და ბარბაროსთა მთელი ჯარი გაწყვიტა, მრავალი ტყვეც იგდო ხელთ და გამარჯვებული დაბრუნდა. მთელი სე-

opes alienas excipere dedecere se dixit: petiit tamen a regina, ut si vellet, in sancto Monte caenobium aedificari juberet, quod hospitio Iberorum genti inserviat. Annuit regina libenti animo; missisque viris innumera auri copia, iisque iussis illud opus adeo diligenter perficere, ut omnibus venustate praestaret, non aliter confectum fuit: argenteis deinde aurisque vasibus ornavit templum, totumque Caenobium super caetera locupletavit.

ნატი მას ეახლა; ის დიდი პატივით აღჰურეს, განსაკუთრებით დედოფალმა, რომელმაც გამარჯვებათა მომპოვებელ თორნიკეს მადლობის ნიშნად დიდძალი ფული შეაძლია. მან კი მოწოდებული საჩუქარი უკუაგდო და უთხრა: ღვთის გულისთვის მივატოვე ჩემი საქმეები და სხვისას შევწირე თავიო, და მხოლოდ ის სთხოვა დედოფალს, რათა, თუ ისურვებდა, მთაწმინდაზე ებრძანა სავანე აეშენებინათ, რომელიც იბერთა ტომის ხალხისთვის იქნებოდა სასტუმროდ. დედოფალმა აღუთქვა მისი ნების შესრულება; გაგზავნა კაცები, ურიცხვი ოქრო გაატანა და უბრძანა მათ ეს საქმე ისეთი მონდომებით შეესრულებინათ, რომ თავისი სიმშვენიერით ყველაზე უკეთესი ყოფილიყო და არა სხვანაირად გაკეთებული: შემდეგ მან ვერცხლისა და ოქროს ჭურჭლით შეამკო ტაძარი და მთელი სავანე დანარჩენ სავანეებზე უფრო გაამდიდრა.

Sed de caenobio desinat sermo et de sacra Portaitissae imagine dicamus aliquid.

დე, სავანეზე ამით დამთავრდეს სიტყვა და ვთქვათ რამე პორტაიტისის წმინდა ხატის შესახებ.

Imperante Theophilo imaginum persecutore, magna in sacras imagines exercebatur infectatio; hic enim impius imperator plures orthodoxos expulit christianos, variisque tradidit cruciatibus, iussitque imagines omnes templis detrahi easque penitus extingui, missit et milites in omnes urbes, qui scrutarentur, et quotquot invenirent effigies, flammis dederent.

ხატისმებრძოლი თეოფილეს მეფობის დროს ხატების დიდი დევნა წარმოებდა; ამ ურჯულო მეფემ მრავალი მართლმადიდებელი ქრისტიანი გაძევა, მრავალნაირი წამება არგუნა და ბრძანება გასცა ტაძრებიდან გაეთრიათ ყველა ხატები და სრულიად მოესპოთ ისინი; ქალაქებში ჯარისკაცებიც დაგზავნა, რომელთაც იქაურობა უნდა დაეჩხრიკათ და, რასაც კი იპოვიდნენ გამოსახულებებს (ე. ი. ხატებს), დაეწვათ.

Erat autem quaedam vidua in Nicaea unici mater filii, divitiis pollens, distincta virtutibus: haec prope suam domum templum aedificavit, et divinae Matris habebat imaginem. Ubique igitur locorum rimantes regii milites domum tandem piae illius feminae pervenere, cumque per rimulam dic-

იყო ერთი ქვრივი ნიკეაში, ერთადერთი ვაჟის დედა, განთქმული თავისი სიმდიდრით, გამორჩეული თავისი სათნოებით: მან თავისი სახლის მახლობლად ტაძარი ააშენა და იქ ჰქონდა ღვთაებრივი დედის (ე. ი. ღვთისმშობლის) ხატი. როდესაც, ამრიგად, მეფის ჯარისკაცები იქაურობას ქექავდნენ, ბოლოს ამ სათ-

[1] დედანში სწერია: imissit.

[2] არ ილოდა — იყვნენ] ლათინურ ტექსტში სხვანაირად სწერია: „არ ილოდა, რომ ბარბაროსები მოახლოებულნი იყვნენ—ს. ყ.

ti jam templi inspectantes sacram vidissent imaginem, laetati sunt, per eam satis numorum adipisci fidentes, dixeruntque mulieri: vela' te nobis danda pecunia est, vela nobis tibi mors per varios cruciatus infrigetur[1].

ნო ქალის სახლსაც მიადგნენ და, როდესაც ხსენებული ტაძრის კუნჭულში შეიჭერიტეს, დაინახეს წმინდა ხატი, გაუხარდათ, რომ მისი წყალობით საკმაო ფულს შეიძენდნენ, და უთხრეს დედაკაცს: ან ფული უნდა მოგვცე, ან და ნაირნაირი წამებით სიკვდილი იქნება შენი ხვედრიო.

Respondit prudens vidua: plures vobis crastina die donabo numos, nec enim mihi in promptu domi sunt. His auditis, illi quidem profecti sunt: ista vero noctu una cum filio suo ecclesiam ingressa flexit genua, et oculis palmisque ad coelum elatis orabat plorans, lacrymisque terram humectans, surrexit tandem magnoque timore ac devotione cum filio suo acceptam imaginem ad mare duxit.

გონიერმა ქვრივმა უპასუხა: ხვალ ბევრ ფულს მოგცემთ თქვენ, ხოლო ახლა ხელთ არა მაქვს შინ. ეს რომ ესმათ, ისინი წავიდნენ, • LVI. ხოლო იმავე ღამით თავის ვაჟთან ერთად ეკლესიაში შევიდა, მუხლები მოიყარა, თვალები ზეცას მიაპყრო და ტირილით ილოცა, დედამიწა ცრემლებით დაალბო; ბოლოს წამოდგა და დიდის შიშით და ღთქმით ვაჟთან ერთად ზღვისკენ წავიდა და ხატი წაიღო.

Tunc rursus deprecata dixit. Regina mundi, tu, quae utpote dei mater auctoritatem potestatemque exerces super caeteras creaturas, nos quoque ab ira impii regis servare potes, tuamque insignem imaginem a fluctuum indignatione eripere. Haec profata, tradidit mari effigiem, quae (mirabile dictu!) super aquas non procidit, verum recta super aequor occasum versus pergebat. Hoc

მაშინ კვლავ ევედრებით თქვა: ქვეყნის დედოფალო, რადგანაც შენ როგორც ღვთის-მშობელმა გავლენა და ძალა აჩვენე სხვა ქმნილებებზე, ჩვენც შეგიძლია დაგვიცვა ურჯულო მეფის რისხვისაგან და შენი შესანიშნავი ხატი გამოსტაცო ტალღების რისხვას. ეს რომ თქვა ზღვას მისცა ხატი, რომელიც (სათქმელადაც საკვირველია!) წყალს ზემოთ კი არ დაეცა, არამედ სწორად აღმართული ზედაპირს ზემოთ და-

[1] infringetur.

adeo stupendum miraculum intuita mulier, deo et sanctissimae eius matri debitas agebat gratias.

სავლეთისაკენ გაემართა. ამ საკვირველებით გაშტერებულმა დედაკაცმა ღმერთს და მის უწმინდეს დედას კუთვნილი მადლობა უძღვნა.

Deinde ad filium conversa haec lacrymans dixit:. clarissime fili, nunc nostra apparebit in deum pietas, in sanctam Virginis imaginem devotio. Equidem utpote mulier in longinquam urbem non possum secedere; vel ergo memet occultare studebo, vel si me habuerint, promptus est mihi animus

შემდეგ მიმართა მან შვილს და აცრემლებულმა უთხრა: „ძვირფასო შვილო, ახლა ღვთივ გამოვლინდება ჩვენი სათნოება, ღთქმა ქალწულის წმინდა ხატისადმი, რასაკვირველია რადგან მე როგორც დედაკაცი შორეულ ქალაქში ვერ შევძლებ წასვლას; ან, მაშასადამე, ვეცდები დავიმალო, ან, თუ მე შემიპყრობენ,

ad mortem, pro dei Matrem oppetendam; tu vero in Graeciae partes recedas, ne male patiaris.

მირჩევნია სიკვდილი, ღვთისმშობლის გულისათვის; შენ კი საბერძნეთის მხარეებში უნდა გარდიხვეწო, რათა არაფერი გევნოს".

His dictis, sibique ad invicem vale dicentes, lacrymantes recesserunt. At juvenis absit Thessalonicam, inde ad montem sanctum, pervenitque ad sacrum Iberorum caenobium, ibi monachus factus sancte vixit, sancteque mortuus requievit in dominum, quem optarat.

ამ სიტყვების შემდეგ ერთმანეთს გამოეთხოვნენ და აცრემლებულნი წავიდნენ. ჭაბუკი თესალონიკეში გაიხიზნა, აქედან მთაწმინდას მიაშურა და იბერთა წმინდა სავანეში მივიდა, სადაც ბერად აღიკვეცა და წმინდანად ცხოვრობდა, წმინდანადვე ჰპოვა უფლისა მიმართ განსვენება, რასაც ნატრობდა.

Fuit fortasse divinae providentiae veluti quoddam lineamentum, ut illuc perveniret juvenis, et de sacra imagine id, quod procedebat, eis nuntiaret. Ille enim quae scripsimus enarravit. Sed jam sermonem prosequamur.

იქნებ ღვთის განგების რაღაც გეგმა იყო, რომ იქ მივიდა ჭაბუკი და მათ (*ე. ი. მონაზვნებს*) უამბო წმინდა ხატის შესახებ ის, რაც მოხდა. მან ხომ უამბო *ყველაფერი*, რაც ჩვენ აღვწერეთ. მაგრამ გავყვეთ სიტყვას,

Imago itaque sanctae Virginis in occulto loco per plures latitabat annos, vel in terra, vel in mari, quod sciverit sciens omnia deus. Sedentes vero quidam sancti senes in Iberorum coenobio, et de Salute animae disserentes vident repente in mari veluti flammam ignis perinde, ac si esset aliqua columna, cuius vertex coelos usque pertingeret. Id intuiti surrexerunt et clamoribus reliquis fratrum acersitis(?) omnes jam collecti videbant quidem mirandum illud phaenomenon, et admirabantur, causam vero penitus ignorabant.

წმინდა ქალწულის ხატი საიდუმლო ადგილას იმალებოდა მრავალი წლის განმავლობაში, ხან ხმელეთზე, ხან ზღვაზე, რაც ყოვლის მცოდნე ღმერთმა უწყოდა. როდესაც *ერთხელ* წმინდა ბერები, რამდენიმე, იბერთა სავანეში ისხდნენ და სულის ცხონებაზე კამათობდნენ, უცბად დაინახეს ზღვაზე თითქოს ცეცხლის ალი, თუ რაღაც სვეტი, რომლის თავი ზეცას ებჯინებოდა. ისინი გაშტერებულნი წამოხტნენ, ყვირილით დანარჩენ ძმებს მოუხმეს და ყველანი ერთად ხედავდნენ იმ საოცარ მოვლენას, და უკვირდათ, ხოლო მიზეზს კი სრულიად ვერ მიმხვდარიყვნენ.

Istud autem ne dum die apparebat, verum etiam noctu magis fulgebat. Propterea omnes illius montis monachi hoc portentum mirati, congregati sunt in Iberorum caenobio cum navigiis a Laura, Batopedio, caeterisque monasteriis. Appropinquantes autem viderunt sanctam divinae matris imaginem; quoque magis illi appropinquabant eo magis ista recedebat. Praepositus vero Iberorum jussit, ut in templo omnes congregarentur et orarent deum, ut

ხოლო ეს *საკვირველება* მარტო დღისით კი არა ჩანდა, არამედ ღამით უფრო მეტად ელავდა. ამიტომ იმ მთის (*ე. ი. მთაწმინდის*) ყველა ბერები, გაკვირვებულნი ამ სასწაულით, შეიკრიბნენ იბერთა სავანეში ხომალდებით ლავრიდან, ვატოპედიდან და სხვა მონასტრებიდან. რომ მიუახლოვდნენ *იმ* ადგილს, დაინახეს ღვთისმშობლის წმინდა ხატი; რაც უფრო მას უახლოვდებოდნენ, მით უფრო ის *მათ* შორდებოდა. იბერთა წინამძღვარმა ბრძანა ყველანი ტაძარში

illos dignos efficeret Sanctae Virginis imaginem accipere, illam suae solamen peregrinationis haberent, et haud frustra precatos exaudiit illos Dominus, et audite quomodo.

შეკრებილიყვნენ და შევედრებოდნენ ღმერთს, რომ ამ ღირსეული ადამიანებისათვის შეეძლებინებია წმინდა ქალწულის ხატი ხელთ ჰქონოდათ, ნუგეშად ჰყოლოდათ იგი თავისი მგზავრობისათვის. და უფალმა ისმინა მათი ლოცვა, არც თუ ფუჭად ჩატარებული, და აი როგორ!

Monachus erat tunc temporis in ipso Iberorum caenobio, Iber et genere, nomine Gabriel, moribus simplex, solitariam degens vitam, et in recessu illo deum orans incessanter. Hic aestate quidem altiora montis quietis gratia occupabat, hyeme vero inferius nivium rigore degebat. Asperum induebat vestitum, silvestribus vescebatur herbis, potabat aquam. Inerat illi sancta simplicitas, ut caeteris omnibus ex Iberorum genere, et dici vere poterat terrestris angelus, coelestis homo. Hic quondam orando cum paululum dormitasset, vidit sanctam Virginem nimia perfulgentem gloriae coruscatione, audiitque ita secum loquentem: Vade in coenobium, nuncia superiori, me velle illis tradere meam imaginem in eorum auxilium, tu vero nil haesitans mane ingredere, per aquas incede, ut omnibus meus erga vos vestrumque caenobium amor ac providentia innotescat.

იმ დროს იბერთა სავანეში იყო ერთი ბერი, ტომით იბერი, სახელად გაბრიელი, მარტივი თავისი ზნითა, დაყუდებულის ცხოვრების მიმდევარი, რომელიც იმ საკანში განუწყვეტლივ ევედრებოდა ღმერთს. ზაფხულობით მთის მაღლობზე იყო ხოლმე, დასვენების მიზნით, ხოლო ზამთარს კი უფრო დაბლა ატარებდა თოვლის სუსხის გამო, იცვამდა უხეშ სამოსელს, იკვებებოდა ტყის ბალახებით, მხოლოდ წყალს სვამდა. მასში წმინდა უბრალოება იყო, როგორც იბერთა ტომის ყველა დანარჩენ ბერებში, და მართლაც რომ იტყოდი: მიწიერი ანგელოზია, ზეციური ადამიანი. ერთხელ ლოცვის დროს ცოტათი რომ ჩაეძინა, იხილა წმინდა ქალწული, დიდების არაჩვეულებრივი შუქით გაბრწყინებული, და მოესმა ასეთი სიტყვებით ელაპარაკებოდა მას: „წადი სავანეში, აუწყე უფროსს, რომ მსურს მათ (ე. ი. ბერებს) ჩემი ხატი გადავცე მათ შემწედ, შენ კი ნულარ აყოვნებ, დილით ადრე შემოდი, გაჰყევ წყალი, რათა ცნობილი გახდეს ჩემი თქვენდამი და თქვენი სავანისადმი სიყვარული და მზრუნველობა".

Haec facta evanuit ab eius aspectu; ille vero fere divinus homo descendit in conventum festinans, et praeposito, quae viderat audieratque, annunciavit. Praepositus omnes in ecclesiam monachos advocari jussit, exierantque accensis lampadibus, thuribulis funantibus, devotisque cantibus incedentes.

ეს ყველაფერი გაქრა მხედველობიდან; ის კაცი კი ღვთაებრივი დაეშვა, სასწრაფოდ წავიდა კრებაზე და აუწყა წინამძღვარს, რაც ნახა და მოისმინა. წინამძღვარმა ბრძანა ეკლესიაში (თუ კრებაზე) მოეწვიათ ბერები; ისინიც გამოვიდნენ ანთებული ლამპრებით, აღგზებული საცეცხლურებით: და გაემართნენ აღთქმული გალობით.

Ubi perventum ad mare fuit, ingressus mare Gabriel

როგორც კი ზღვაზე მიეიდნენ, ზემოხსენებული გაბრიელ

jam dictus, super aquas mirabiliter incedebat. Tunc vero appropiuquantem imaginem in sinum recepit, et exultante ore canebat, inter haec accurrens superior obviam invit sancto seni, egressisque in terram, magna fuit laetitia et exultatio in omnibus monachis tres dies noctesque tres pervigilantibus et canentibus, deinde parva erecta ara prope mare, sacrum celebrarunt.

შევიდა ზღვაში, საკვირველებრ წყალზემოთ მიდიოდა. მაშინ მოახლოვებული ხატი წიაღში მიიღო და გალობდა სიხარულისაგან გაბრწყინვებული. ამასობაში ის (ალბათ ხატი) ზევიდან წმინდა მოხუცის შესახვედრად გამოეშურა; ხმელეთზე რომ გამოვიდნენ, დიდი იყო სიხარული და აღფრთოვანება ყველა მონაზონებში, რომლებმაც სამი დღე და სამი ღამე გაათიეს გალობით; შემდეგ პატარა საკურთხეველი აღმართეს ზღვის მახლობლად და ზეიმი გადაიხადეს.

Postea vero sanctam imaginem in monasterium duxerunt, eamque in intimum Sanctuarii posuerunt, rursusque tota nocte insomni ducta et sancto Missae celebrato sacrificio, recessit in cellam quisque suam.

ხოლო შემდეგ წმინდა ხატი მონასტერში შეიტანეს და საკურთხევლის შიგნით დაასვენეს, კვლავ მთელი ღამე უძილოდ და ხმიან ჟამისწირვაში გაატარეს, შემდეგ კი თვითეულმა თავის სენაკს მიაშურა.

Postea die ingressus ecclesiam accensor lampadum hora matutini secundum ordinem praeparaturus, non invenit imaginem in loco, in quo fuerat posita; et ubique scrutati eam tandem reperierunt supra monasterii januam in oppidi muro, ipsam acceptam denuo in pristinum reduxere locum. At rursus idem evenit ne dum bis et ter, sed multoties. Monachi vero in hoc haesitantes, quid facerent ignorabant.

მეორე დღეს მნათე დილით ადრე წესისდა მიხედვით წინასწარ სამზადისისთვის ეკლესიაში რომ შევიდა, ვერ ნახა ხატი იმ ადგილას, სადაც ის დასვენებული იყო; და როდესაც ძებნას შეუდგნენ, იპოვეს, ბოლოს, მონასტრის ჭიშკრის ზემოთ ქალაქის კედელში და იგი, მოპოვებულ, ძველ ადგილას ხელახლა დააბრუნეს. და იგივე კვლავ მოხდა არა ორჯერ და სამჯერ, არამედ ბევრჯელ, ბერებმა კი, ასეთ მდგომარეობაში ჩაცვივნულებმა, აღარ იცოდნენ, რა ექნათ.

Rursus regina mundi apparuit ante dicto Gabrieli dixitque: monasterium pete, monachis dicito, ne me huc illuc ferent referantque; non enim ego veni ut a vobis custodirer, sed ut vos in me custodem ac defensorem haberetis, non modo nunc temporis, verum etiam in futurum saeculum. Quotquot igitur monachi in hoc monte degerint, dei timorem ac erga ipsum devotionem servantes, pro viribus suis virtutes excolentes fidant et sperent in filii et dei mei misericordia. Et hoc vobis do

კვლავ ქვეყნის დედოფალი მოევლინა ზემოხსენებულ გაბრიელს და უთხრა: მიდი მონასტერში და უთხარი ბერებს, ნუღარ მატარებენ აქეთ-იქით; მე ხომ იმიტომ არ მოვსულვარ, რომ თქვენ მიყარაულოთ, არამედ იმიტომ, რომ თქვენ ჩემში ყარაული და მცველი გყოლოდათ, არა მარტო დღეს, არამედ აგრეთვე მომავალშიც, სანამ, ამრიგად, ბერები ამ მთაზე არიან, და იცავენ ღვთის შიშსა და, მაშასადამე, თვით დადებულ აღთქმას, თავიანთი ძალ-ღონის მიხედვით სათნოება-სიკეთეს მისდევენ. სწამდეთ და იმედი ჰქონდეთ ჩემი

signum: usquequo in monasterio imaginem meam videbitis, non deerit vobis gratia et misericordia filii mei.

ძისა და ღმერთის წყალობისა, და მე ასეთ ნიშანს გაძლევთ: სანამ მონასტერში ჩემს ხატს ხედავდეთ, არ მოგაკლდებათ ჩემი ძის წყალობა და შეწევნა“.

His auditis Gabriel descendit in conventum festinans, et omnia superiori retulit. Hic vero nimis laetatus, congregat fratres omnes, ipsisque jam sibi dicta retulit. Postea vero in coenobii porta templum aedificarunt, sanctissimae Virginis Portaitissae dicatum, et portam alibi aperuerunt, sicuti vel nunc temporis apparet in veritatis testimonium. Ex eo igitur in illo loco innumera fiunt miracula.

ეს რომ მოისმინა გაბრიელმა, სასწრაფოდ ჩავიდა საკრებულოში და ყველაფერი მოახსენა უფროსს. ამან კიდევ ძალიან გაიხარა, შეკრიბა ყველა ძმები და მათ მოახსენა ის, რაც მას უთხრა. შემდეგ სავანის კარიბჭესთან ტაძარი ააგეს, მიძღვნილი პორტაიტისის უწმინდესი ქალწულისადმი, და ჭიშკარი სხვაგან გაალეს, როგორც ეს დღესაც ჩანს ჭეშმარიტების სამოწმოდ. და იმ დროიდან ამ ადგილას ურიცხვი სასწაულები ხდება.

Quondam impiae Persarum gentis contra Constantini urbem terra marique innumeras instruxerunt in potentissimum exercitum copias, nec impari marte plura congregarunt in formidabilem classem navigia. Classis autem praefectus sciens in monte sancto complura adesse monasteria, ad montem quindecim navibus perveniens, Iberorum caenobio appulit, et confestim eggressi e navibus barbari voluti[1] feri, et inanes[2] raptores caenobium circumvenere. Monachi vero barbarorum mirati multitudinem ipsorumque impetum, templum ingressi, sacra vasa, Portaitissae imaginem et semet ipsos in pariete, in quo sacrorum vasuum habebant cellarium, occultarunt.

ერთხელ კონსტანტინეს ქალაქის წინააღმდეგ, ხმელეთითა და ზღვით, სპარსელთა ურჯულო ტომის ურიცხვი ლაშქარი დარაზმეს უძლიერეს ჯარად და მრავალი ხომალდი შეკრეს საზარელ ფლოტად. ფლოტის უფროსმა იცოდა, რომ მთაწმინდაზე იყო მრავალი მონასტერი, მთაზე თხუთმეტი ნავი მივიდა, იბერთა სავანეს მიადგა და ერთბაშად ნავებიდან გამოსულმა ბარბაროსებმა, როგორც გამხეცებულმა და საზარელმა მტაცებლებმა, ალყა შემოარტყეს სავანეს. ბერებს თავზარი დასცა ბარბაროსების სიმრავლემ და მათმა თავდასხმამ; ისინი შევიდნენ ტაძარში, წმინდა ჭურჭელი, პორტაიტისის ხატი და თვით თავიანთი თავიც დამალეს კედელში, რომელშიც ჰქონდათ წმინდა ვაზების საკუჭნაო.

At barbari neminem nacti contrapugnantem, coenobium invaserunt; quod posteaquam penitus depopulati sunt, navium funibus acceptis, templi alligarunt columnas, tentaruntque per vim sacrum aedificium prosternere. sed frustra. Monachi haec videntes ac audientes eximo corde illa profetica[1] dicebant verba: „Deus, venerunt gentes in haereditatem tuam, polluerunt templum sanc-

ბარბაროსებმა რომ ვერავინ ნახეს მოწინააღმდეგე, სავანეში შეიჭრნენ; მის შემდეგ რაც შიგნით დაარბიეს, ხომალდთა ბაგირები მოიტანეს, მოაბეს ტაძრის სვეტებს და სცადეს ძალით დაენარცხებიათ წმინდა შენობა, მაგრამ ამაოდ! ბერებმა ეს რომ დაინახეს და მოისმინეს, გულის სიღრმიდან შემდეგი წინასწარმეტყველური სიტყვები აღმოხდათ: „ღმერთო, მოვიდნენ ტომები შენს სამფლობელოში, შებილწეს შენი

tum tuum; cito anticipent nos misericordiae tuae", et his similia: lacrymisque terram humectantes, sanctamque Virginis exaltantes imaginem dicebant: Regina, haec nobis promissa dedisti? Non ne es pollicita, te nostri custodem fore? Ne igitur nos tradas in finem, quamquam peccatores et beneficiis indignos, dignos suppliciis, ne forte dicant hostes: ubi est deus eorum?

Haec monachi: at invicta Dux citissima se invocantium auxiliatrix virgo, dei mater, non desperit eorum preces, nec promissis non stetit, at illa perfecte adimplevit et in extremam ruinam hostiles dispersavit turbas. Quis vero Virginis enarret miracula? Posteaquam vesperavit, repente tanta surrexit in mari procella, ut navigia omnia infracta post se reliquerit praeter unicam praefecti navem. Et hoc, ut insipiens ille in peccati sui cognitionem deveniret, sicuti revera evenit.

წმინდა ტაძარი; დე, მალე მოგვეელინოს შენი წყალობა" და ამის მსგავსი. ცრემლებით დანამეს დედამიწა, ქალწულის წმინდა ხატი აღმართეს (!) და თქვეს: „დედოფალო, ეს იყო შენი დაპირება? შენ არ დაგვპირდი, რომ ჩვენი მცველი იქნებოდი? ნუ თუ გადაგვცემ აღსასრულს, როგორც ცოდვილებს და წყალობის უღირსებს, სასჯელის ღირსებს, რომ მტრებმა თქვან: სად არის მათი ღმერთიო?"

ეს თქვეს ბერებმა: ხოლო უძლეველმა მძღოლმა, მისდამი მვედრებელთა უსწრაფესმა მშველელმა ქალწულმა, ღვთისმშობელმა, მათი ლოცვა უსასოო არ დასტოვა, არც დაპირებები დაივიწყა, პირიქით, სრულყოფით აასრულა და მტრის ბრბოები უკიდურესად გააცამტვერა. ვინ მოგვითხრობს ქალწულის სასწაულებს? როგორც კი შემოსაღამოვდა, ზღვაზე ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, რომ ხომალდები ყველა დამსხვრეული დასტოვა გარდა ერთისა, წინამძღოლის ნავისა, ისიც, რათა იმ ბრიყვს თავისი შეცოდება შეეცნო, რაც მართლაც მოხდა.

[1] ე. ი. prophetica.

Miraculum enim sequebatur miraculum. Illuxit, et monachi extincta viderunt barbarorum corpora, quae una cum navigiorum fragmentis collecta in cumulum veluti coaluerant. Tunc extinctorum praefectus navalem illam miratus cladem, faciem suam percutiebat, et caput cinere aspersus habituque humilis se supplicem benignumque exhibet, qui antea fera erat, monachis talia fatus: orate servi dei veri, ne et ego peream: deditque iis innumeram auri argentique copiam; excipite, dicens, hos nummos, reaedificate monasterii vestri parietes; nos altiores efficite, ne forte denuo hostes adveniant vobisque noceant. Mona-

სასწაული სასწაულს მოსდევდა. გათენდა და მონაზონებმა იხილეს დაღუპულ ბარბაროსთა გვამები, რომლებიც ხომალდთა ნამსხვრევებთან ერთად დაეხვავებინათ როგორც ერთიმეორეს შეზრდილები. დაღუპულთა წინამძღოლმა, თავზარდაცემულმა ამ საზღვაო უბედურების გამო, თავისი სახე დაიკრა, თავზე ნაცარი დაიყარა, გარეგნობით თავმდაბლურად კეთილმოწყალედ და მთხოვნელად გამოაჩინა თავი, თუმცა წინათ ის მხეცი იყო, და ასე მიმართა ბერებს: „ილოცეთ ჭეშმარიტი ღმერთის მსახურნო, რომ მე არ დავიღუპო", და მისცა მათ ურიცხვი რაოდენობა ოქროსი და ვერცხლისა; და თან დააყოლა: „მიიღეთ ეს ფული, აღადგინეთ თქვენი მონასტრის კედ-

chi exceptis numis ad eam usque altitudinem muros fabricarunt, quousque ad hodiernam diem sese elevant[1].

ლები; ისინი უფრო მაღალი აღმართეთ, რათა შემთხვევით კვლავ არ მოვიდნენ მტრები და არ გავნონ". ბერებმა მიღებული ფულით იმ სიმაღლემდე ააშენეს კედლები, რომ დღევანდელ დღემდე არიან აღმართული.

---

[1] მერე პ. უსპენსკის მასალებში სწერია რუსულად: Далее расказал другие чудеса Богоматери: —По случаю недостатка муки она внезапно наполнила ею житницы монастыря. В другой раз наполнила бочки вином. Некогда Елей подала.

ათონის ივერთა მონასტრის სიგელები

# ჯვარი ვაზისა

# 2

საქართველოს საპატრიარქო

თბილისი—1978



ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი


## ათონის ივერთა მონასტერი და მისი მნიშვნელობა*

* სტატია ნაწილია ავტორის დიდი ნაშრომისა: „ათონის ივერთა მონასტერი". იბეჭდება პირველად.

აღმოსავლეთის სამონასტრო ცხოვრების უდიდესი ცენტრი — ათონი ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანის ძვირფასი სალოცავია. განსაკუთრებით ძვირფასი იგი მაინც მათთვისაა, ვისაც თავისი ცხოვრების მიზნად ღვთისმსახურების სრულყოფილი იდეალი დაუსახავს. ჭეშმარიტად, ათონის წმიდა მთა ამ იდეალის განსახიერებაა.

კარგად რომ წარმოვიდგინოთ, საერთოდ, ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისა და, კერძოდ კი, ქართული ეკლესიისათვის ათონის მნიშვნელობა, საჭიროა, გავერკვეთ მისი არსებობის მთავარ მიზანში, იდეაში.

ვფიქრობთ, წმიდა ათონის მთის მნიშვნელობა ბოლომდე გასაგები მხოლოდ მაშინ იქნება, როცა ადამიანი ღრმად ჩაწვდება მის მკვიდრთა სულიერ ცხოვრებას, როცა იგი თავისი გულით დაუკავშირდება იმ ყოფას, იმ სამყაროს, რომლითაც ცხოვრობდნენ ეს წმიდა მამანი.

„წმიდა მამანო, ათონის ღვთაებრივი და წმიდა მთის მკვიდრნო! იცოდეთ, ქვეყნად არსებობს კონსტანტინეპოლის მსგავსი ქალაქთა მეუფე ქალაქი და კიდევ მეტი — ყველა მათზე მაღალი, უსამეფოესი და ულვთაებრიესი თქვენი მთა, რომელიც ყველა ამქვეყნიურ მთაზე მაღალია. თქვენ კი ხართ ნათლით მოსილნი და მარილნი ამა სოფლისანი. ასე ვფიქრობთ და ასე გვწამს ჩვენ", — წერდა იმპერატორი ალექსი კომნენი.

ასეთ დიდ შეფასებას აძლევდნენ ათონს ძველთაგანვე.

ათონის სამონასტრო ცხოვრება საუკუნეთა მანძილზე წარმოადგენდა დიდ რელიგიურ განმანათლებლურ ინსტიტუტს, ქრისტიანული მოძრაობის სულიერი ზრდისა და განვითარების მძლავრ კერას, რომელსაც, შეიძლება ითქვას, არა მხოლოდ საერთო ქრისტიანული, არამედ, მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა.

ჭეშმარიტად, ათონი იყო და რჩება ქრისტიანული მრწამსის უმაღლეს საზომად ყველა დროისა და ვითარებისა.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ათონის მთის ივერიის მონასტერს საქართველოსათვის.

მისი სიმაღლიდან ნათელივით გადმოსწვდა ჩვენს ქვეყანას მართლმადიდებლური იდეები: იგი იყო ქრისტიანული მოძღვრების სიწმიდის მფარველი და ნათლის სვეტივით მიუძღოდა გზას ყველას ცათა სასუფეველისაკენ.

მისი მკვიდრნი, როგორც მარილნი ამა ქვეყნისანი, თავიანთი სიწმიდით, ქრისტიანული ცხოვრებითა და მორალით მუდამ მაგალითის მიმცემნი იყვნენ ყველასათვის.

ივერიის მონასტერში მოღვაწე წმიდა ბერები ჩვენ იმითაც გვიზიდავენ და გვხიბლავენ, რომ რელიგიური სამსახურის პარალელურად ისინი ერთი წამითაც არ



პალიმფსესტი. ოთხთავი. V—VI ს.ს. (პალიმფსესტი ისეთი ეტრატია, რომელზედაც რაღაც ნაუწერიათ, მერმე ეს წაუშლიათ, სხვა წაუწერიათ. ასეთ ეტრატს სინათლეში რომ გახედავ, ძველსაც შეამჩნევ და ახალსაც).

იღწყებდნენ თავიანთ მრავალტანჯულ სამშობლოს — საქართველოს, მის ერს, მის ეკლესიას. ქართველი ერის სიხარულით ცხოვრობდნენ, მისი ტანჯვით იტანჯებოდნენ. დიდი რელიგიური მრწამსით და თავიანთი საქმიანობით უმაღლეს სიწმიდემდე მიღწეულნი, კარგად ხედავდნენ ქართველი ხალხისა და ეკლესიის ტკივილებს. და ყოველივე ეს მწუხარებითა და საქვეყნო საქმეებზე ზრუნვით ავსებდა მათ სულებს. სწორედ ამიტომ, საფრთხის ჟამს, ზოგჯერ დროებით ტოვებდნენ წმიდა მთას და საქართველოში ჩამოდიოდნენ, რათა ზოგიერთი გზასაცდენილი თანამემამულისათვის ქრისტეს მცნება ხელახლა ექადაგნათ და ისინი ჭეშმარიტების გზაზე მოებრუნებიათ.

იოანე და ექვთიმე მთაწმიდელების ცხოვრებაში ნათქვამია, რომ ხანდაზმულობის მიუხედავად, ექვთიმე ათონელი არ შეუშინდა შორეულ, ძნელ მგზავრობას ათონიდან საქართველოში და ოთხი წლის მანძილზე უქადაგებდა და ასწავლიდა ხალხს ქრისტეს მცნებას, უჩვენებდა სწორ გზას, მათს ქცევებსა და ჩვეულებებში შესწორებები შეჰქონდაო.

ამ თვალსაზრისით, კიდევ უფრო მეტი გიორგი მთაწმიდელმა გააკეთა. იგი ბაგრატ IV-მ საგანგებოდ გამოიხმო ათონის მთიდან, რათა ხალხს საკუთარი თვალით დაენახა და გულით შეეგრძნო ის დიდი სიწმიდე, რომლითაც ნათელმოსილი იყო ეს ღირსი მამა... გიორგი მთაწმიდელი გულმხურვალედ გამოეხმაურა საქართველოს მეფის თხოვნას, ჩამოვიდა საქართველოში და ენერგიულად მოჰკიდა ხელი საეკლესიო საქმიანობის გამოღვიძებას და მის აღორძინებას. სწორედ მან მოუმზადა ნიადაგი იმ დიდ საეკლესიო რეფორმას, რომელიც 1103 წელს რუის-ურბნისში ჩატარდა. მისი სახელი ბევრი ქართველი ქრისტიანისათვის იქცა სამაგალითო გზად ცხოვრებისა.

თავიანთი პირადი მოწამებრივი ცხოვრებით, ღვთისა და მშობელი ქვეყნისადმი თავდადებული საქმიანობით იევრიის წმიდა მამებმა მართლაც შესძლეს არა თუ მხოლოდ ეკლესიის მსახურთა, არამედ, მთელი სამწყსოს გამოღვიძება. მათი განსაკუთრებული გულისხმიერების საგანი იყო არა მთამომპავლობა და სიმდიდრე, არამედ — ადამიანის პირადი ღირსებები. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ მთავარი და მნიშვნელოვანი მთელს მათს მოღვაწეობაში, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ის არის, რომ ივერიელი მამები, ცხოვრობდნენ რა საკუთარი სამშობლოდან შორს, ერთი წუთითაც არ წყვეტდნენ მასზე ფიქრს, მუდამ საქართველოს ეკლესიისათვის ლოცულობდნენ და გულმხურვალედ მფარველობდნენ მის ავტოკეფალიას.

ცნობილია: XII საუკუნეში ჯვაროსანთა მიერ ანტიოქიისა და იერუსალიმის თურქთაგან გამოხსნას აღმოსავლეთის მართლმადიდებლობისათვის საკმაოდ არასასურველი შედეგი მოჰყვა, რაც იმაში გამოიხატა, რომ ამ ქალაქების მართლმადიდებელი პატრიარქები გადააყენეს, ხოლო მათი ადგილი დაიკავეს ლათინებმა. ლათი-

ნები დამკვიდრდნენ ანტიოქიაშიც, და პატრიარქის ტახტზე ავიდა თეოდოსი, რომელმაც გადაწყვიტა თავისი უფლებები მთელ აღმოსავლეთში განემტკიცებინა და საქართველოს ეკლესიაც თავისთვის დაექვემდებარებინა, — თითქოსდა, იმ საბაბით, რომ მეხუთე საუკუნემდე იგი ანტიოქიას მორჩილებდა.

თეოდოსიმ გამოიძახა ღირსი მამა გიორგი მთაწმიდელი და ასეთი სიტყვებით მიმართა მას:

— ნეტარო მამაო, შენ ქართველი ხარ, მაგრამ ცოდნითა და განსწავლულობით ჩვენ გვიტოლდები. ამიტომაც მოგმართავთ: — თქვენი ეკლესია და სამწყსო თქვენი აუცილებელია, რომ გვმორჩილებდეს ჩვენ, რამეთუ იგი სამოციქულო არაა და იმთავითვე ჩვენზე დამოკიდებული იყო.

გარდა ამ განცხადებისა, პატრიარქმა მუქარით აცნო გიორგი მთაწმიდელს, რომ, თუ საქართველოს ეკლესია მის განჩინებას არ დაემორჩილებოდა, აღმოსავლეთის სხვა პატრიარქთა მხარდაჭერით, მას ანათემას გადასცემდა.

გიორგი მთაწმიდელმა მოითხოვა წიგნი, რომელშიაც მოთხრობილი იყო მოციქულ ანდრია პირველწოდებულის ცხოვრება და მოღვაწეობა, იქ ნათლად ეწერა, რომ ანდრია პირველწოდებულმა ქრისტეს მცნება იქადაგა საქართველოში.. ამის შემდგომ მან ასეთი რამ უპასუხა პატრიარქს:

„წმიდა მეუფეო! შენ აღნიშნავ და თავი მოგწონს იმით, რომ ზიხარ მაღალყოვლადღირსი მოციქულის პეტრეს ტახტზედ. იცოდე კი, რომ ჩვენ განგვანათლა ანდრია პირველწოდებულმა, პეტრეს ძმამ, თვით პეტრეს განმანათლებელმა, მისთვის ჭეშმარიტი სინათლის მეკვლემ. ჩვენი განმანათლებელი მათ შორის უპირველესია, ხოლო ერთი თორმეტ მოციქულთაგანი, სიმონ კანანელი, დაკრძალულია ჩვენს ქვეყანაში, აფხაზეთში, — ძველი ნიკოფსიის მიდამოებში. მხმობელი ვალდებულია დაემორჩილოს ხმობილს ისე, როგორც წმ. პეტრე მოციქული, მოხმობილი თავისი ძმისაგან, უნდა დაემორჩილოს მას, როგორც მის მეკვლეს ჭეშმარიტების გზაზე. ამიტომ თქვენი ტახტი წესით ჩვენსას უნდა ჰმორჩილებდეს“. ასეთი იყო გიორგი მთაწმიდელის პასუხი, მაგრამ მხოლოდ ამით არ დაკმაყოფილებულა იგი. მან სათანადო არგუმენტებით დაუდასტურა ანტიოქიის პატრიარქს შემდეგი: იყო დრო, როცა ბიზანტიაში ისე შერყეული იყო მართლმადიდებლობა, რომ ადგილის პოენაც ჭირდა მოციქულთა სწავლების საქადაგებლად, მაშინ, როცა საქართველო მუდამ მტკიცედ ინახავდა მოციქულთა გადმოცემებს... და სხვ.

ამ განცხადების შემდეგ ანტიოქიის პატრიარქი იძულებული შეიქნა დამორჩილებოდა გიორგი მთაწმიდელის სიტყვებს. მან თქვა:

— ხედავთ ამ მონოზონს. იგი ყველაფერზე სწორ და ამომწურავ პასუხს გვაძლევს. ნუღარ შევედავებით მას, თორემ როგორც სიტყვით, ისე საქმითაც დაგვიმ-

ტკიცებს თავის სიმართლეს და ჩვენ დამარცხებულნი აღმოვჩნდებით.

გიორგი მთაწმიდელში ფეთქავდა ნამდვილი ქართველი მამულიშვილის გული. არც მას და არც ივერთა მონასტრის მკვიდრ სხვა ბერებს არ შეეძლოთ გულგრილნი დარჩენილიყვნენ საქართველოსა და ქართული ეკლესიის ბედ-იღბლის მიმართ.

ეთხოვებოდნენ რა თავიანთ სამშობლოს, მას უტოვებდნენ თავიანთ გულებს და საჭირო შემთხვევაში მუდამ მზად იყვნენ მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მაგრამ არა მარტო ამისთვისაა ქართველთათვის ძვირფასი ივერთა მონასტერი. იგი საუკუნეთა მანძილზე იყო ქართული საეკლესიო მწიგნობრული კულტურის დიდი კერა. აქ მიმდინარეობდა დიდი შემოქმედებითი -- ორიგინალური თუ მთარგმნელობითი მუშაობა. სწორედ ათონში შემუშავდა ბრწყინვალე სალიტერატურო ენა, რომელიც იმთავითვე მიიღო და შეითვისა ქართულმა მწერლობამ. ათონის მთის ივერთა მონასტერი იყო ის მთავარი საყრდენი, საიდანაც ჩვენი ქვეყანა ეზიარებოდა ბერძნულ კულტურას. ცხადია, ეს კავშირი არ ყოფილა ცალმხრივი და მაშინდელი ქართული კულტურის მიღწევებიც სწორედ ათონის მთიდან გადიოდა ბიზანტიასა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებში.

დიდმა მთაწმიდელებმა თავიანთი მისია შეასრულეს. ივერთა მონასტერი, სადაც მოღვაწეობდნენ დიდი ფილოსოფოსები, მწერლები, მთარგმნელები, მეცნიერები, საქართველოსათვის ბიზანტიისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის დიდ ცენტრად იქცა.

ამასთან ერთად, იგი მუდამ იყო ჩვენი უძველესი საქრისტიანო ქვეყნის რელიგიური ცხოვრების შთაგონებული სალოცავი.

საუკუნეთა მანძილზე, თუმცა არათანაბრად, მაგრამ მაინც მუდამ ჩქეფდა აქ ქართველთა დიდი საეკლესიო, სამწერლობო ცხოვრება და მხოლოდ ბოლო საუკუნეში შეწყდა. ჩვენი ნატვრაა, კვლავ აღვადგინოთ იგი.



დღეს გაგაცნობთ ცნობებს იმის შესახებ თუ როგორ იქნა მიღებული ბატონი დიმიტრიოს კამისი - ათონის მთის გუბერნატორი - თბილისში 1978 წელს. ამის შესახებ საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალში "ჯვარი ვაზისა", სხვათა შორის, ვკითხულობთ:

LVIII.

## ათონის მთის გუბერნატორი, თბილისში 1978 წელი

ნატვრა, რომ კვლავ აღდგეს ჩაწყვეტილი ფესვები ათონის მთის მონასტერთან, თანდათან რეალურ სახეს იღებს. ამის ერთ-ერთი საიმედო დასაწყისია ათონის მთის გუბერნატორის, სალონიკის უნივერსიტეტის პროფესორის, ბატონ დიმიტრიოს ცამისის სტუმრობა თბილისში.

ბატონი დიმიტრიოს ცამისი საქართველოში ჩამობრძანდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის მოწვევით.

ბატონი დიმიტრიოს ცამისი გაეცნო საქართველოს ისტორიას, ქართველ მეცნიერებს, ჰქონდა შეხვედრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, საბჭოთა კავშირ-საბერძნეთის საქართველოს განყოფილების საზოგადოებასთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული რელიგიის საქმეთა საბჭოს რწმუნებულთან საქართველოში — თენგიზ ონოფრიშვილთან.

ქართული ეკლესიის, ქართველი მორწმუნე ერის და პირადად თავისი სახელით სიონის საპატრიარქო ტაძარში მას მიესალმა უწმიდესი და უნეტარესი ილია II. დაბოლოს, მოეწყო ქართველი საზოგადოების შეხვედრა დიმიტრიოს ცამისთან.

# ႠႧႭႬႨႱ ႫႧႨႱ ႫႭႬႠႱႲႤႰႨ

### თორნიკე ერისთავიდან

ათონის მაღალ მთაზედა,
მთაწმიდად სახელდებულსა,
სადაცა უდაბნოებსა
და ტაძრებს წმიდად გებულსა
რიცხვი არა აქვსთ, იქ ლაერა,
დაუდებელი ფასისა,
ყველაზე პირველი არის
დიდისა ათანასისა.
გინდ დარი იყოს საამო,
გინდა ავდარი საზარი,
სამოთხის სადგურს გვაგონებს
ბალღობზე მდგომი ტაძარი.
ხან ღრუბლით შემობურვილი,
გარშემო ირტყამს ელვასა
და გადაჰყურებს შორის ზღვის
ტალღების გროვა-ღელვასა;
ხან ისარივით სხივები
დილის მზეს ეტყორცნებიან,
თითქოს იმ საღმრთო ნათელსა
ნათლითა ეხორცებიან.
ხან ღამით მთვარე გავსილი,
თითქოს მიმსვლელი იქ ბინად,
თავზედ ედგმება წმიდასა
წმიდა დიდებულ გვირგვინად.
და ვარსკვლავებიც იმავ დროს
დაჰფეთქენ, დასჭიკჭიკობენ
და ამ გალობით ძალთა ძალს
ამაღლებულად ამკობენ.
წინ უძევს ბაღი ხეხილის,
ხელოვნად შენაკაზმისა,
და იქვე წყარო ჩუხჩუხებს
წმიდისა აიაზმისა.
მთა მწვანე ზეთისხილისა
და ყვავილები ველისა,
საკურთხად აღმომფშვენელნი
ბუნებით საკმევლისა,
ჰაერსა შეაზავებენ
სამკურნალოდ და მარგადა
და სასულდგმულოდ ცხოველთა
ჩიანიჭებენ ხარკადა!..
მეუდაბნოედ მიდიან
საქრისტიანოს ყოველ მხრით
და იქ იჩენენ სავანეს
სასოებით და ცრემლის ღვრით.
წიაღგახსნილი უდაბნო
უჩენს, ვინც მივა, ბინასა
და მორწმუნეთა იზიდავს,
ვით ანდამატი რკინასა.

აკაკი წერეთელი

## საქართველოს საპატრიარქო

## თბილისი—1978

# სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ

## ილია II-ის სიტყვა

1978 წელი

ბატონებო და ქალბატონებო...

გვაქვს პატივი — ჩვენი მოწვეული, საქართველოს ეკლესიას ესტუმრა საბერძნეთის ერთ-ერთი დიდი საზოგადო მოღვაწე, სალონიკის უნივერსიტეტის პროფესორი, თეოლოგი და ათონის მთის გუბერნატორი, ბატონი დიმიტრიოს ცამისი. ეს ჩვენთვის დიდად სასიხარულოა. როგორც ჩანს, აღდგენას იწყებს ის დიდი ტრადიციული ურთიერთობანი, რომელიც საუკუნეების განმავლობაში არსებობდა საქართველოსა და საბერძნეთს შორის.

ბატონო დიმიტრიოს ცამის, მოგესალმებით საქართველოს ეკლესიის სახელით... იმ ეკლესიისა, რომელმაც მსოფლიოს მრავალი საზოგადო და საეკლესიო მოღვაწე აჩუქა, რომელმაც აღზარდა საბერძნეთში კარგად ცნობილი იოანე, ექვთიმე, გაბრიელ, გიორგი მთაწმიდელები — დიდი მთაწმიდელები... მოგესალმებით იმ ეკლესიის სახელით, სადაც განგებითა ღვთისათა, ჩამოიტანეს და დაკრძალეს კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, სადაც ქადაგებდნენ და მოღვაწეობდნენ იესო ქრისტეს მოციქულები — ანდრია პირველწოდებული და სვიმონ კანანელი. როგორც ვხედავთ, ჩვენს ურთიერთდამოკიდებულებას, ძალიან დიდი და ნაყოფიერი ტრადიცია აქვს, მაგრამ იმ რთულმა ისტორიულმა პირობებმა, რაც საუკუნეთა მანძილზე გამოიარეს ჩვენმა ქვეყნებმა — ბერძენი და ქართველი ერების უამრავმა ავბედობამ, გარკვეულ პერიოდში შეანელა და შეწყვიტა ეს ურთიერთშორისი კავშირი... ამჟერად კი, ჩვენთვის დიდად სასიხარულოდ, ხდება მისი თანდათანობითი აღდგენა. ეს აუცილებელია როგორც ეკლესიური, ისე საზოგადოებრივი თვალსაზრისით; ეს საჭიროა, როგორც ქართველი, ისე ბერძენი ერისათვის. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს საერთო... ვფიქრობთ, უფრო უნდა განვითარდეს ყოველივე ეს.

სულ რამდენიმე დღეა, თქვენ ბრძანდებით საქართველოში. ეს არის თქვენი პირველი ვიზიტი ჩვენს ქვეყანაში და დარწმუნებულნი ვართ, ამას უსათუოდ კარგი და სასურველი შედეგი მოჰყვება.

როგორც ერთ-ერთი თქვენი გამოსვლის დროს ბრძანეთ, უნდა აღდგეს ხიდი და ამ ხიდზე უნდა იყოს მიმოსვლა. ჩვენც ამ აზრისანი ვართ. გვჯერა, რომ ეს არის მხოლოდ დასაწყისი. გვჯერა, რომ თქვენ მომავალში კიდევ არაერთხელ გიხილავთ აქ. ვიხილავთ სხვა საზოგადო მოღვაწეებსაც საბერძნეთისას. ჩვენთვის მეტად სასიამოვნოა, რომ თქვენ ბრძანდებით ათონის მთის გუბერნატორი, იმ მთისა, სადაც საუკუნეთა მანძილზე არსებობდა საქართველოს დიდი საეკლესიო და სამეცნიერო კერა — ივერიის ათონის მონასტერი. იქ მოღვაწეობდნენ, შრომობდნენ, ლოცულობდნენ, შეჰღაღადებდნენ ღმერთს ჩვენი დიდი წინაპრები: იოანე, ექვთიმე, გაბრიელი, არსენი, გიორგი და მრავალნი სხვანი. ჩვენ გვინდა და გვწყურია — კავშირი, რომელიც არსებობდა საქართველოსა და ათონის მთას შორის, ისევ აღდგეს, ისევ გაცხოველდეს. ათონის მთის ივერიის მონასტერში ინახება დიდი საგანძური ქართველი ერისა — მრავალი ხელნაწერი. ეს ყოველივე კი მეტყველებს იმ დიდ ურთიერთობაზე, რომელიც არსებობდა ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის. აი, ამ კავშირს მოწყურებულნი მოგესალმებით თქვენ. მოგესალმებით სიყვარულით და შევთხოვთ უფალს, მოგანიჭოთ დღეგრძელობა, ოჯახსა თქვენსა კეთილდღეობა, წარმატებანი თქვენს სამეცნიერო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში...

იცოცხლეთ!

## ბატონ დიმიტრიოს ცამისის სიტყვა

1978 წელი

დიდად მოხარული ვარ, რომ საშუალება მეძლევა ამ უწმიდეს და უძველეს ტაძარში გამოვხატო უდიდესი მადლობა პირადად თქვენს მიმართ, თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, ჩემი საქართველოში მოწვევისათვის,—ეს ჩემთვის დიდი პატივია. მადლობელი ვარ იმისთვისაც, რომ ამ სიტყვის თქმის საშუალება მომეცა ხმამაღლა, ქართველ ქრისტიანთა წინაშე. ჩვენს ორ უძველეს სახელმწიფოს შორის ურთიერთობასა და მეგობრობას ხომ უშორეს საუკუნეებში უდგას ფესვები... ბევრი ტანჯვა და წვალება გამოიარეს ჩვენმა ქვეყნებმა, მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, მაინც მტკიცედ დაიცვეს და დღემდე მოიტანეს ჭეშმარიტი მართლმადიდებლური სარწმუნოება. ცხადია, დიდი და მძიმე იყო ეს გზა. ისევ ისტორიის ბედუკუღმართობის გამო, ხშირად ჩვენი ურთიერთობები ჩაწყვეტილიც იყო, ამჯერად კი ხდება მათი აღდგენა. ამის ერთი საწინდარი ეს შეხვედრაცაა. ვიმედოვნებ, მომავალში უფრო ახლობლური და ნაყოფიერი იქნება ჩვენი თანამშრომლობა.



ჩვენ ბევრი რამ გვაკავშირებს ერთმანეთთან. ბევრი რამ ვიცით დღევანდელი საქართველოს შესახებაც. ბოლო წლებში ჩვენთან ჩამოვიდნენ ბერძნები, რომელთაც სიყვარულთან ერთად ჩამოიტანეს საინტერესო ცნობები დღევანდელი საქართველოს ცხოვრებისა და მისი ისტორიის შესახებ.

და მე მინდა დღეს, ამ წმიდა ტაძარში, ჩემი მცირე ლოცვით, გამოვხატო გულითადი პატივისცემა და სიყვარული ქართველი ერისადმი, პირადად თქვენდამი, ვილოცო პირადად თქვენთვის.

## დიმიტრიოს ცამისი

### 1978 წელი

ძალიან ბევრმა და სამახსოვრო წუთმა მოიყარა თავი. ყველაფერი ეს რაღაც ფანტასტიურ, საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს ჩემს სულზე. წლითა ვერავითარი სრბოლა ვერ გაანელებს ამ შთაბეჭდილებებს; პირიქით, უფრო გაალრმავებს, უფრო ძვირფასს გახდის ჩემთვის. მე არ ვარ ერთადერთი ადამიანი, რომელსაც ასეთი დამოკიდებულება გაუჩნდა საქართველოსთან; ყველა ბერძენი, ვინც კი აქ ყოფილა, ვისაც საშუალება ჰქონია გასცნობოდა თქვენს ხალხსა და ქვეყანას, მუდამ დიდი სიყვარულით არის აღსავსე საქართველოსადმი.

ჩვენი ისტორიები მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან. ძალიან ხშირად იყვნენ ერთად ქართველი და ბერძენი ბერები, ერთად მოღვაწეობდნენ, ერთად ქმნიდნენ მართლმადიდებელი ეკლესიის საგანძურს, რომელთა დიდი ნაწილი დღეს მსოფლიო ხელოვნების შედევრებს მიეკუთვნება. ერთი ასეთი ხელოვნების შედევრი ათონის მთის ივერიის მონასტერია, სადაც ქართველ ბერებთან ერთად ბერძნებიც ხშირად ლოცულობდნენ, ქვეყნის გასაჭირის დროს კი ეს ბერები ბერძნებთან ერთად იბრძოდნენ, მხარში ედგნენ ერთმანეთს. ათონის წმიდა მთაზე დღესაც მრავალი ძვირფასი ქართული ხელნაწერია შემონახული და ჩაკეტილი. სამწუხაროა, რომ ქართველი ერი ვერ ეწაფება მას. და არა მარტო ხელნაწერი, ყოველივე, რაც იქ შემორჩა, იქნება ეს კედლის ქართული წარწერა, ფრესკები, ხატები, თუ სხვა, რა თქმა უნდა, ძვირფასია და ქართული კულტურის განძს წარმოადგენს. იგი ელოდება გამოცდილ მკვლევარს. ვფიქრობთ, ამ ხელნაწერებისა და საერთოდ, მთელი საგანძურის შესწავლა-დამუშავება საქართველოს ისტორიის ბევრ საინტერესო ფურცელს მოჰფენს სინათლეს.

მინდა მოგახსენოთ, რომ ნატვრა, რომელიც ქართველ და ბერძენ ხალხებს ამ თვალსაზრისით აერთიანებს, მალე ასრულდება. მე ამას ვამბობ არა მარტო ჩემი სახელით, არამედ. ბერძენი ხალხისა და ბერძენი ბერების სახელით.

როგორიც არ უნდა იყოს სამადლობელი სიტყვები, იგი მთლიანად მაინც ვერ გამოხატავს გრძნობებს. აი, იმ გამოუთქმელი გრძნობებით მინდა, თქვენო უწმიდესობავ, გადმოგცეთ ჩემი მადლობა, დიდი მადლობა.

ვიმედოვნებ, ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს, შევხვდებით საბერძნეთში და მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ თქვენი ნატვრა ასრულდეს.

დაბოლოს, ერთი და მთავარი, რაც მინდა გისურვოთ, არის ის, რომ თქვენი სახელი და სახე თქვენი, მშვენიერი სახე, ისტორიას შემორჩეს, როგორც ფრესკა, როგორც ნათელი.

---

* სიტყვა, წარმოთქმული საზეიმო მიღებაზე.





ადამიანის ცხოვრებაში, იშვიათად, მაგრამ მაინც არსებობს წუთები, როდესაც არ შეიძლება გამოითქვას გრძნობები, რომელიც მას ეუფლება. ყველა სიტყვა, რომელიც შეიძლება მე ახლა ვთქვა, ღარიბი და უფერული იქნება ჩემს განცდებთან შედარებით. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ჩემს მეორე სამშობლოში ვიმყოფებოდე.. მთელი ჩემი შესაძლებლობებით ვეცდები ვიყო თქვენი ჭეშმარიტი მეგობარი. ყოველივეს მოვიმოქმედებ, რათა განმტკიცდეს კავშირი ჩვენს ერებს შორის.

გფარავდეთ მოციქულთა სწორი, წმიდა ნინო.

დიმიტრიოს ცამისი

1978 წელი



ახლა გადმოგცემთ, პატივცემულო მსმენელებო, ჩემს ჩანაწერს მაგნეტოფონის ფირზე, როცა მე – 1981 წლის 24 აგვისტოს – ვიყავი ივერიონის მონასტრის წინ,ზღვის პირას. აი ეს ჩანაწერი:

(ფ ი რ ი..........)

ლაპარაკობს დავით თაზორიძე ივერიონის ქართული მონასტრიდან

მე ეხლა ვდგევარ,პატივცემულო მსმენელებო,ივერიონის ქართული მონასტრის წინ,ზღვის პირას,საიდანაც მოსჩანს ჩვენი ეს მონასტერი, რომლეს დაარსებიდან შესრულდა ათასი წელი, ვინაიდან,როგორც ცნობილია,ივერიოოის ქართული მონასტერი დაარსებული იქნა 980-983 წლებში. ლაპარაკობს დავით თაზორიძე ივერიონის ქართული მონასტრიდან ათონის მთაზე , დღეს არის 1981 წლის 24 აგვისტო.

ეხლა მე ვზივარ,პატივცემულო მსმენელება,ხის დაჭრილ მორებზე, რომლებიც დაწყობილია ზღვის პირას,ივერიონის ქართული მონასტრის წინ; ეს ხის მორები,ალბათ,დაწყობილია იმისათვის,რომ შემდეგ ნავით გატანილი იქნას აქედან(გაყიდული, ვინაიდან აქ არის პატარა ნავსადგური,რომელიც ივერიონის ნავსადგურია, სადაც ჩამოდგება ხოლმე პატარა ნავები,რომლითაც ხდება ტრანსპორტირება არა მარტო საჭირო მასალებისა,არამედ აქ მომხვლელებისაც კი; უნდა აღინიშნოს აგრეთვე,რომ ივერიონის მონასტერი არის ერთადერთი მონასტერი,სადაც საავტომობილო გზა,ე.ი. არა ასფალტირებული საავტომობილო გზა მოდის დაფნიდან,რომელიც არის ათონის წმინდა მთის დასავლეთ სანაპიროზე; იქიდან ამოდის ავტობუსი მიდის კარიეში,ეს არის კარია,მთავარი ქალაქი ათონის მთისა,და კარიადან შემდეგ ჩამოდის აქ,ივერიონის მონასტერში; და ეს ერთადერთი გზაა,სადაც მოძრაობს ავტობუსი და გადაჰყავს ხალხი,ე.ი. უმთავრესად ბერები და მლოცველები,რომლებიც მოდიან აქ ათონის მთაზე. ამიტომ ივერიონის ქართული მონასტერი ყველაზე უფრო კარგადაა დაკავშირებული სხვა ადგილებთან,ვინაიდან ყველა მონასტერს,როგორც აღვნიშნე,არ გააჩნია ასეთი სამიმოსვლო გზა; თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს რომ ნავი,მაგალითად,რომელიც ყოველდღე შვიდ საათზე-ჯერ მოდის ივერიონის მონასტერში და აქედან მიდის დიდი ლავრას მონასტრის მიმართულებით — ყოველდღე ვერ მოძრაობს,ე.ი. დამოკიდებულია იმაზე ზღვა არის წყნარი თუ ღელვაა; თუ დიდი ღელვა არის,მაშინ ეს ნავი აღარ მოდის ამ დროს ერთადერთი დამაკავშირებელია ავტობუსი,რომელიც ივერიონიდან მიდის კარიაში და კარიიდან შემდეგ გადადის დაფნის ნავსადგურში; აქვე უნდა აღინიშნოს,პატივცემულო მსმენელებო,რომ თქვენ გესმით უკვე მოტორის ხმა,ათონის ცხოვრებაში შემოიჭრა ტექნიკა. უკვე აქ ნახავთ მრავალ საბარგო ავტომობილს, ტრაქტორს,და მსუბუქ ავტომანქანასაც კი,რომლებიც რათქმაუნდა ეკუთვნის აქ მონასტრებს

და მათ იყენებენ ბერები, ე.ი. აქ მცხოვრები ბერები სოფლის მეურნეობაში, საქონლის გადასაზიდათ და სხვა საქმისათვის, ე.ი. ტექნიკა აქ უკვე შემოიჭრა, თუმცა ტექნიკის შემოჭრასაც განსაზღვრულ ზღვარს უდებს თვით ამ წმინდა მთის მართველობა, რომ არ დაკარგოს ის ძირითადი სახე, რომელიც მას გააჩნია უკვე ათასი წელიწადია, ე.ი. იყოს ღვთის დიდებისა და რელიგიური სიწმინდის ადგილი, თუმცა ტექნიკის შემოჭრა ათონის მთაზე არ მოხდება ისეთი ძალით, როგორც ეს ჩვეულებრივი ცხოვრებაში ხდება, რაც უთუოდ მისასალმებელია; ივერიონის ქართული მონასტერი არის ჩაფლული, ვიტყოდი მე, მთებსა და მთებში; მხოლოდ ღია არის ზღვის მხრიდან , მარცხნიდან უკანიდან , ზემოდან სულ მთებითაა. შემოფარგლული, რომლის ხეობაში, ვიტყოდი მე, არის მამული, რომელიც ასე ვთქვათ, არის მთავარი საარსებო წყარო აქ მცხოვრები ბერებისა და მუშებისა, რომლებიც ამუშავებენ ამ ადგილ-მამულებს; საერთოდ უნდა ითქვას, რომ 15 წლის წინად, როდესაც მე აქ ვიყავი, ასე კარგად მოვლილი არ იყო ეს მონასტერი, ვინაიდან მაშინ, როგორც სჩანს, ყველაფერი კეთდებოდა ხელით.

(ფირის დასასრული....)

LIX.

1981 წლის 24 აგვისტოს, როგორც წინა საუბრებში აღვნიშნე, გავათიე რა ღამე "სტავრონიკიტას" მონასტერში, ისევ დავბრუნდი ავტობუსით ივერიონის მონასტერში და ისევ წამოიჭრა საკითხი: დავრჩე "მარიობის" დიდ დღესასწაულზე, რომლის დროს, როგორც მითხრეს, შვიდი-რვა ქართველი სასულიერო პირი მოდის საქართველოდან, თუ წავიდე აქედან, რომ ჩემმა აქ ყოფნამ და ქართველ სასულიერო პირებთან შეხვედრამ "საქმე არ გააფუჭოს", ე.ი. რაიმე ზიანი არ მიაყენოს ასეთ მეტად საჭირო კავშირების აღდგენას "ივერიონის" მონასტერსა და საქართველოს ეკლესიას შორის, ვინაიდან მე რადიო"თავისუფლებიდან" ვარ. რა თქმა უნდა, ჩემი გული, ჩემი გრძნობა არ მემორჩილებოდა ისე მინდოდა დარჩენა და "ივერიონის" მონასტრის მთავარ ეკლესიაში ისევ წირვა-ლოცვისა და გალობის მოსმენა ქართულ ენაზე, მაგრამ "მშრალი გონება"

უფრო ძლიერი გამოდგა, და,შეიძლება, უფრო სწორიც, და კიდევ ერთხელ გადავწყვიტე არ დავრჩენილიყავი "მარიობის" დიად დღესასწაულზე "ივერიონის" ქართულ მონასტერში. ამგვარად, ისევ ჩავჯექი ავტობუსში, რომელიც იქ იცდიდა და წამოვედი ათონის მთის მთავარ ქალაქ კარიასაკენ, თუმცა, კიდევ ერთხელ მსურს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღება ადვილი არ იყო ჩემთვის.

ჩამოვედი რა კარიაში, ამის შემდეგ ათონის წმინდა მთაზე გაჩერებას ჩემთვის აზრი აღარ ჰქონდა,ვინაიდან მე აქ მოვედი მხოლოდ იმისათვის, რომ "ივერიონის" მონასტერი მენახა, განსაკუთრებით ამ მონასტრის დაარსების ათასი წლისთავზე, და ვინაიდან "ივერიონიდან" წამოვედი, კარიაში ჯერ ვიყიდე სხვადასხვა ხის გამოჩუქურთმებული ნაწარმი ხის ჯვრების ჩათვლით, და შემდეგ გამოვემგზავრე ათონის წმინდა მთის ნავსადგურ დაფნისაკენ.

დაფნიში კი ისევ ცნობილი პროცედურა: კონტროლი მოტორიან ნავზე ასვლისას იყო მეტად მკაცრი,ვინაიდან მეზაყეები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სტუმრებ-მლოცველებს ხომ არ გააქვთ ათონის წმინდა მთიდან რაიმე ძვირფასი საგანი,ვინაიდან,როგორც აღვნიშნე, ათონის წმინდა მთაზე საუკუნოვანი აურაცხელი საგანძურებია თავმოყრილი მონასტრებში და,უთუოთ, ზოგიერთები ცდილობენ ასეთი ძვირფასი ისტორიული მნიშვნელობის საგნების გამოტანას ათონის მთიდან. ამდენად, - მიუხედავათ იმისა, რომ ამგვარი სასტიკი კონტროლი მგზავრობისას სასიამოვნო არ არის, - მე ვფიქრობ, ეს საჭირო და აუცილებელიცაა, თუ ჩვენ გვსურს, რომ ათონის მთაზე საუკუნეების განმავლობაში თავმოყრილი ისტორიული საგანძური შენახული და მოვლილი იქნეს მომავალი თაობებისათვის კონტროლის შემდეგ, გავედი რა ნავის მისადგომ ბაქანზე, ჩემს მახსოვრობაში ჩამბა ერთი პატარა ლეღვის ხე,რომელიც აქ, დაფნის პოლიციის სადგომის კიბესთან დგას მარჯვნივ და რომელიც ისეა სავსე მწიფე ლეღვებით, რომ ფოთლებიც კი თითქმის დაფარულია, თუმცა ამ ლეღვს,როგორც დაფნიში მისვლისას და იქიდან წამოსვლისას შევატყე, არავინ არ ჭამს. როგორც ჩანს, ლეღვი ისეთი დიდი "პატივისცემით" არ

სარგებლობს საბერძნეთში,როგორც,მაგალითად, ჩვენში; თუ იმდენი ღელვია საბერძნეთში,რომ უკვე ბევრს აღარ სურს მისი ჭამა?!..

წამოვედით რა მოცონიანი ნავით ათონის მთის ნავსადგურ დაფნიდან ურანოპოლისაკენ, ჩვენ ისევ ჩაუარეთ პანტელეიმონის, ქსენოფონტოს,დოხიარიუს, კონსტამონიტუს, ზოგრაფუს მონასტერზსა და სხვა მრავალ ნაგებობას ათონის მთის დასავლეთით. მაგრამ ათონის მთის სხვა დიდი მონასტრების დანახვისათვის საჭიროა მთელი ათონის ნახევარკუნძულის შემოვლა, რაც,როგორც მითხრეს, არ ხდება. ამგვარად, ათონის ყველა მონასტრის ნახვა შესაძლებელია მხოლოდ ამ მონასტრებში ფეხით მისვლით; ეს ტურისტ-მლოცველისათვის,რომელსაც მხოლოდ ოთხი დღე და ღამე შეუძლია დარჩეს ამ წმინდა მთაზე, თითქმის შეუძლებელია.

კიდევ ერთი განსაკუთრებულობა,სხვა მრავალთა შორის, იგრძნობა ათონის წმინდა მთაზე: არსად აქ,გახაგებია, არ ჩანს ბავშვები, ქალები, შინაური ცხოველები თუ ფრინველები, გარდა თითო-ოროლა ჯორებისა და,ამ ბოლო ხანებში, აქა-იქ ქათმებისა. ეს კი ამ წმინდა ადგილს ანიჭებს რაღაც "იმ-ქვეყნიურ" იერს, რომლის განსაზღვრა სიტყვებით ძნელია,შეიძლება, შეუძლებელიცაა, ვინაიდან ამის,ალბათ, მხოლოდ "გრძნობა","შეგრძნობა" შეიძლება. დაინახავ,მაგალითად, ათონიმ წმინდა მთაზე სახლებს, სოფლის თუ დაბის თუ ქალაქის მაგვარ დასახლებებს, მოელით, რომ აქ გამოჩნდებიან ბავშვები,ქალები,საერთოდ, ჩვეულებისამებრ,"ხალხი",მაგრამ ამგვარი გრძნობა გრძნობათ რჩება: ყველგან სუფევს სიმშვიდე, სიწყნარე და ამგვარ გარემოში გეჩვენება,თითქოს, ბუნებამაც იცვალა სახე და,ზოგჯერ, რომანტიკულად დახატული სურათის შთაბეჭდილებასაც კი ქმნის ამ განსაკუთრებულ გარემოში მყოფ ადამიანში. და ამ დროს ხშირად მომაგონდა გამონათქვამი ერთი ფრანგი ჟურნალისტისა, რომ

ათონის მთაზე ადამიანები მხოლოდამხოლოდ კვდებიან, და არა იბადებიან!..მაგრამ თუ გავითვალისწინეთ ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობას, მაშინ,უთუოთ, ჭეშმარიცად მორწმუნე ადამიანებისათვის,-და ასეთებია ათონის წმინდა მთაზე მცხოვრები ბერები,- "ამ-ქვეყნიური" ეს ხანმოკლე ცხოვრება, "იმ-ქვეყნიურ" მარადიულობაში პოულობს უკვადავებას, და ამგვარ რწმენას რომ ცოცხანური ნებისყოფა ესაჭიროება, ეს არაერთხელ დაადასტურებს ათონის წმინდა მთაზე მცხოვრებმა ბერებმა ამ უკანასკნელი ათასი წლის განმავლობაში.

და ვის შეუძლია თქვას, რომ "სახელოვანი სიკვდილის" ერთერთი ფორმა არ არის ამგვარი რწმენით "იმ-ქვეყანაში" "გადასვლა", საიდანაც, როგორც შექსპირი ამბობს, არავინ უკან აღარ ბრუნდება?!..

აი, ახე დავამთავრე ჩემი მეორე მოგზაურობა ათონის წმინდა მთაზე, ქართულ მონასტერ "ივერიონში", სადაც, სამწუხაროთ, დღესდღეობით ქართველი ბერები არ არიან. მაგრამ იმ რწმენით მსურს დავამთავრო ეს ჩემი მეორე მოგზაურობა ათონის მთაზე, რომ მესამე მოგზაურობის დროს ამ წმინდა ადგილებში, რომლის განხორციელება განზრახული მაქვს, "ივერიონში" უკვე მენახოს ქართველი ბერებიც. აი ამ ღრმა რწმენით მსურს დავამთავრო ჩემი გადაცემა ათონის მთის შესახებ "ივერიონის" მონასტრის 1000-სი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით.

და-ბოლოს კი,პატივცემულო მსმენელებო, გაგაცნობთ ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსის ანანია(ჯაფარიძის) - ათონის წმინდა მთისა და მონასტერ ივერიონის შესახებ - ლიურს, რომელიც გამოქვეყნებულია საქართველოს საპატრიარქოს ჟურნალის "ჯვარი ვაზისა" მე-2 ნომერში.

# ჯვარი ვაზისა

2

საქართველოს საპატრიარქო


## ათონზე

### ვმადლობ უფალსა ჩვენსა


ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის
ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე)


1981 წლის 19 სექტემბერს საბერძნეთში იეერთა მონასტრის მოსალოცად გაემგზავრა ჩვენი ხუთკაციანი ჯგუფი, რომელსაც მეთაურობდა ურბნელი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე. მარშრუტი ასეთი იყო: თბილისი-მოსკოვი-სოფია-ათენი-თესალონიკი-ურანოპოლისი-იეერონი, ურანოპოლისიდან ათონის ნახევარკუნძულისაკენ გაეემგზავრეთ პატარა გემით. ათონის ნახევარკუნძულზე, ანუ მთაწმიდაზე განლაგებულია ორი ათეული მონასტერი. მათ შორისაა იეერონის მონასტერიც. ინტენსიური სამონასტრო ცხოვრება აქ დაწყებულა ადრეულ შუა საუკუნეებში და უწყვეტად მიმდინარეობს დღემდე. ათონის მონასტრებში დაცულია მსოფლიო მნიშვნელობის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლები, უამრავი ხელნაწერი, მინიატურა, ისტორიული საბუთი, მხატვრობა, მდიდარი სამონასტრო განძი, ისტორიულ პირთა მემორიალური ნივთები და წმიდანთა ნაწილები. ათონის ნახევარკუნძული ნამდვილი განძთსაცავია. ამიტომაც არავის უშვებენ სპეციალური ნებართვის გარეშე. პირველ რიგში საჭიროა კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნებართვა. ამ ნებართვის საფუძველზე საბერძნეთის შინაგან საქმეთა სამინისტრო იძლევა ათონის ნახევარკუნძულზე შესასვლელ საშვს. ჩვენ

კონსტანტინეპოლის პატრიარქის ნებართვა თბილისშივე მივიღეთ, ხოლო ათენში ქორეპისკოპოს ქრიზოსტომოსის თავაზიანი დახმარებით მივიღეთ საშვი.

ხამშაბათს ათონის ნახევარკუნძულის პატარა ნავმისადგომ „დაფნისში“ დაგვხვდა ივერთა მონასტრის ერთ-ერთი წინამძღვარი პროილუმენი, არქიმანდრიტი კალინიკე.

დიდი, მომქანცველი გზის გავლის შემდეგ მასპინძლის შეხვედრამ ძალზე გაგვახარა. დაფნისიდან ივერონისაკენ გავემგზავრეთ ავტობუსით. პროილუმენმა კალინიკემ შორიდან დაგვანახა ივერონი. დიდებულია ივერთა მონასტერი.

„მამანი ჩვენნი... მოიწინეს... განმამრავლებლად ნათესავისა ჩვენისა... აღაშენეს დიდებული ესე ლავრა სამკვიდრებელად ქართველთა“ — წერს გიორგი მთაწმიდელი. საუკუნეთა მანძილზე მოღვაწეობდნენ ქართველი ბერები ივერონში. მათი ღვაწლის შედეგი იყო ის, რომ „შეიმკო და აღყვავდა ენა ჩვენი“, „განათლდა ქართველთ ქვეყანა და ენა“.

ივერთა მონასტრის შესასვლელ მშვენიერ კარიბჭესთან შეგვხვდნენ მონასტრის მმართველი უხუცესთა საბჭოს წევრები, ბერები. მღვდელმთავართან შეხვედრის ტრადიციული წესის შესაბამისად, მეუფე კონსტანტინეს მოახურეს მანტია, მიართვეს სამღვდელმთავრო კვერთხი, ამთხვევინეს სახარებაზე და დარეკეს ზარები. მონასტრის ეზოში შეგვიძღვა ორი ახალგაზრდა ბერი. ანთებული გრძელი სანთლებით, მასპინძლებთან ერთად, საზეიმო საგალობლით შევედით ივერთა მონასტრის მთავარ ტაძარში. უცებ სხვა სამყაროში მოვხვდით. ესაა ყავისფერ-ოქროსფერი უსასრულობა, რომელიც იწვევს სასოებისა და მოკრძალების გრძნობას. აქ სრულებით იცვლება ადამიანი. დიდებულია ტაძრის ინტერიერი — კანკელი, ჰალები, დიდი ქორკანდელი, გამოქანდაკებული შანდლები, მშვენიერი უძველესი, მოოქროვილპერანგიანი, სასწაულთმოქმედი ხატები, ფრესკები, მდიდარი საეკლესიო სამკაულები.

ტაძრის გუმბათი ეყრდნობა 4 მძლავრ მარმარილოს სვეტს. მის ცენტრში გუმბათის ქვეშ დამაგრებულია „კილო“ — მრგვალი სპილენძის რკალი, რომელზედაც წერია: „მე დავამყარე ოთხი ბოძი და არ შეირყევა უკუნითი უკუნისამდე — გიორგი მონაზონი, ივერი ქტიტორი“*.

დიახ, ქართველებმა ავაგეთ ივერონი. ივერონი სიამაყეა ათონის წმიდა მთისა, საბერძნეთისა და მთელი მართლმადიდებლობისა. ჩვენ ივერები ვართ. ამიტომაც ვართ აქ ასეთი ყურადღებისა და მზრუნველობის ქვეშ.

ივერონის მთელი მონასტერი საქართველოს ისტორიისა და ქართველი ერის კულტურის ნამდვილი მუზეუმია. გასაოცრად ცოცხლდება აქ ჩვენი ერის წარსული, თითქმის უწყვეტად, X ს-დან დღემდე. მონასტრის ყველა შენობა უკავშირდება რომელიმე ქართველ საეკლესიო, სახელმწიფო, ან საზოგადო მოღვაწეს.



ივერიის ღვთისმშობლის ხატი

ტაძარი, რომელშიც დასვენებულია ივერიის სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატი — „პორტაიტისა“, აგებულია აშოტ მუხრანბატონის მიერ. იგი ამავე ტაძარშია გამოხატული, დასავლეთის კედელზე. აქვე, კარიბჭის შესასვლელთან, ექვთიმე მთაწმიდელის ცნობილ კოშკში იწერებოდა ქართული სახარება. მთავარი ტაძარი აგებულია გიორგი მთაწმიდელის მიერ. მონასტრის იცავს უმშვენიერესი, ძალზე დიდი კოშკი, ბიზანტიური სტილისა, აგებული ყვარყვარე ათაბაგის მიერ. მასვე აუშენებია სატრაპეზო. მესამე ტაძარი აგებულია ყველაზე უფრო ადრე, იოანე მთაწმიდელის მიერ. ქართველების აგებულია სამრეკლოც და საერთოდ, ძველი ნაგებობების უმრავლესობა. მონასტრის გარშემო არის XIX და წინა საუკუნეებში ქართველი ბერების მიერ აშენებული სამლოცველოები და „სკიტები“.

ივერონში განსაკუთრებული მოწიწებით უყვართ ამ მონასტრის დამაარსებელნი. ყოველი წირვა-

* წარწერა ბერძნულია. თავდაპირველი, ქართული, არ შენახულა.

ლოცვის დროს, მონასტრის ტიპიკონის შესაბამისად, ჩამოლოცვისას აუცილებლად დღეში რამდენჯერმე მოიხსენიება იოანე, ექვთიმე, გაბრიელ, გიორგი მთაწმიდელები. მათ შესახებ ერთმანეთსა და სტუმრებს უყვებიან ძველ გადმოცემებს. ისინი არიან წმიდანები, ღირსი მამები; რომელთაც თხოვენ შველასა და დახმარებას, მეოხებას ღვთის წინაშე. სიხარულითა და სიამაყით უჩვენებენ მომლოცველებს მათ ნივთებს, თუ წერილებს. მათი ხსოვნა არა მარტო ივერონში, არამედ მთელს ათონის მთაზე ცოცხლობს.

ათასი წლის წინ მოღვაწე ჩვენი წმიდა მამები გზას გვიკვალავდნენ საბერძნეთსა და ათონზე. მაგალითად, ათონზე ერთი მონასტრის მოლოცვისას გზაზე შემოგვხვდა ბერი, რომელმაც არ იცოდა ჩვენი ვინაობა. ავუხსენით, მაგრამ ვერ გაიგო. შემდეგ ვუთხარით, რომ იმ ქვეყნიდან ვართ, საიდანაც იყვნენ იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები. მაშინვე მიხვდა. რომელ ქვეყანაზე იყო ლაპარაკი და ჩვენს მიმართ აშკარა მოწიწებისა და პატივისცემის გრძნობით განიმსჭვალა. ივერონის მონასტრის ათასი წლის აღსანიშნავად მოჭრეს სამახსოვრო მედალი, საკმაოდ დიდი დიამეტრისა. მასზე გამოხატულნი არიან ქართველი წმიდა მამები: იოანე, ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელები.

ათონზე ოცზე მეტი მონასტერია. შევძელით მოგველოცა ათამდე მონასტერი, სადაც ჩვენ, ივერიელ ეპისკოპოსებს, გასაოცარი სიყვარულითა და და სიხარულით. ტიპიკონის სრული დაცვით გვხვდებოდნენ. ზოგიერთ მონასტერში გაკვირვებასაც კი გამოთქვამდნენ, რატომ არ იყვნენ ივერთა მონასტერში ივერიელები, ქართველი ბერები.

მთელს ათონზე გაბნეულია ქართული წიგნები და ნივთები. მაგრამ სულ სხვაა ივერონი, ესაა ქართული კულტურის ცენტრი. უამრავი ქართული ეროვნული, ისტორიული, საეკლესიო ნივთით, შენობით. წიგნით. ძალზე საგულისხმო იყო ჩემთვის ქართული დრო. დიახ, ივერონი მუშაობს დროის სადღეღამისო აღრიცხვის საკუთარი სისტემით, რომელსაც ქართულ დროს ეძახიან. ეს მოდის ძველთაგანვე. საერთოდ, ათონის მონასტრებში დროის აღრიცხვა განსხვავებულია საბერძნეთისა და მთელი ევროპის დროისაგან. ათონის მონასტრები მუშაობენ ბიზანტიური დროით. მათგან განსხვავებით მხოლოდ ივერონი მუშაობს, როგორც აღვნიშნეთ, დროის საკუთარი აღრიცხვით — ქართული დროით. ეს დრო, როგორც გვითხრეს, [illegible] ყოფილა ძველ საქართველოში.

ყველაფერი მნიშვნელოვანია ივერონში, უბრალო წერილმანიც კი, მაგრამ მაინც შეუძლებელია განსაკუთრებით არ აღინიშნოს ივერონის სამი სიამაყე — ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი — „პორტაიტისა“, ბიბლიოთეკა — ქართული ხელნაწერი წიგნებით და მუზეუმი — ქართული ნივთებით.

საყოველთაოდ ცნობილია, თუ რა დიდი სიყვარულით სარგებლობს ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს შორის ივერიის ღვთისმშობლის ხატი. წარმოუდგენელია ივერთა მონასტერი ამ უწმიდესი სიდიადის გარეშე. ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისა, თუ როგორ ამხნევებს და სულიერად აძლიერებს „პორტაიტისა“ მონასტრის ბერებს. ამ ხატთან ყოველ დილით სრულდება პარაკლისი ივერიის ღვთისმშობლისა. ივერიის ღვთისმშობელი მოჭედილია. ახალი მოჭედილობის ქვეშ ჩანს ძველი ქართული მოჭედილობა. ხატზე ჩამოკიდებულია ოქროსა და ძვირფასი ლითონების ნაკეთობანი, მედალიონები, ჯვრები და სხვა. ეს შემოწირულობაა. ასე ყოფილა ძველ საქართველოშიც. ცნობილია, ხახულის ღვთისმშობლის ხატსაც სწირავდნენ ჩვენი მეფეები და მლოცველები ძვირფას ნივთებს. ძნელი ასაწერია ის ზემოქმედება, რომელსაც ახდენს „პორტაიტისა“ მთელს ივერონსა და ათონზე. როგორც ვთქვით, იგი არის სიამაყე, სიქადული, ღირსება ივერონის მონასტრისა და არა მარტო ივერონისა, შეიძლება ითქვას, მთელი საბერძნეთისა და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანისა. და რაოდენ სასიხარულოა ჩვენთვის, ქართველებისათვის, რომ ეს ცნობილი ხატი დაკავშირებულია ქართველი ბერის — გაბრიელის და ივერონის ქართველი მამების სახელთან.

ივერონის ქართული ბიბლიოთეკა შედარებით კარგადაა ცნობილი საქართველოში. ამ ბიბლიოთეკის ხელნაწერების მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულია ჩვენი საზოგადოებრიობა. ამ ხელნაწერების მიკროფილმები ჩამოტანილია საქართველოში, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ავტორიტეტმა. ჩვენ მოწმენი ვიყავით იმისა, თუ რა დიდ პატივს სცემენ უწმიდეს ილია II. ეს ჩანდა ოფიციალურ შეხვედრებზე საბერძნეთის ეკლესიის მეთაურთან, მთავარეპისკოპოს სერაფიმესთან ათენში, თესალონიკის მიტროპოლიტ პანტელეიმონთან, ათონის წმიდა მთის მმართველ კინოტთან, საბერძნეთის ყველა მონასტერში. ეს პატივისცემა იგრძნობოდა არაოფიციალურ, შინაურ შეხვედრებზედაც. ივერონში, სტუმრების მისაღებ მთავარ დარბაზში, სადაც გამოფენილი აქვთ საბერძნეთის მეფეებისა და დედოფლების, მსოფლიო პატრიარქის, მონასტრის წინამძღვართა პორტრეტები, მოთავსებულია დიდი სურათი უწმიდეს ილია II. სწორედ ილია II პირადი თხოვნით დაუშვეს ივერონის ბიბლიოთეკაში ხელნაწერების მიკროფილმების გადასაღებად საქართველოს ტელევიზიის მუშაკები. სხვათა შორის, მთელს ათონზე კინოგადაღება აკრძალულია, მაგრამ ეს გამონაკლისი მაინც დაუშვეს. ბიბლიოთეკაში დაცულია ისტორიულ პირთა ნივთები. აქვე ინახება თორნიკე ერისთავის ჯაჭვის პერანგის ნაწილი.

ჩვენში ყველაზე ნაკლებადაა ცნობილი ივერონის მუზეუმი; პირიქით კი უნდა იყოს. აქ იმდენი

ძველი, ღირებული, მნიშვნელოვანი ქართული წიგნია. გვიჩვენეს მონასტრის სიგელები, ქართული მინაწერებით. მინაწერების უმრავლესობა ისეა გამქრალი, რომ მათი ფოტო- ან კინოფიქსაცია შეუძლებელია. მინაწერების ამოკითხვა იქვე, ადგილზე შეუძლია მხოლოდ სპეციალისტს. მაგალითად სიგელ № 8-ზე არის ქართული წინადადება; უფრო ზუსტად, წინადადების ფრაგმენტები

„ყოვლისა(?) მთისაგან(?) დაწერილი
რომელს(?) ერის ას არავინ
გარდახდებოდეს"

ასევე არის № 10 და № 11 ხელნაწერზე. ეს ხელნაწერი სიგელები ბერძნულია, მინაწერები კი ძველ ქართული. მუზეუმში გვაჩვენეს ქართული დაფარნები ქართული წარწერებით. ერთ დაფარნას აქვს წარწერა — ეპისკოპოსი ელისე. გვიჩვენეს ქართული ენქერები, ბარძიმ-ფეშხუმები ქართული წარწერებით, მოჭედილი სახარებები ასევე ქართული წარწერებით. არის ბერძნული სახარება, აგრეთვე, ალსავლის კარებზე ჩამოსაფარებელი კრეტსაბმელი, რომელზეც გამოხატულია თორნიკე ერისთავი. არის უამრავი ქართული ოქრომკედით შესრულებული სამღვდელო და სამღვდელმთავრო სამოსელი, ქართული უმშვენიერესი პეტრახილები, სამაჯურები და სხვა.

ქართული შესამოსლით ყოველ აღდგომის დღეს აუცილებლად უნდა შეიმოსოს მთავარ ტაძარში მწირველი მღვდელმთავარი. — ასეთია ტრადიცია. მუზეუმში ინახება ქართული წმიდა ნაწილები.

ივერონში 30-მდე ბერია. ყველაზე ახალგაზრდა ბერი, იოაკიმე, 24 წლისაა, ყველაზე მოხუცი, დამიანოსი — 90-ის. იგი ივერონში მივიდა 1910 წელს და 71 წელი გაატარა მონასტერში. იგი ამჟამადაც ერთ-ერთი ყველაზე საპატიო მეთაურია ივერონისა. ძალზე გამჭრიახი და ნათელი გონებისაა. მონასტერში ერიდებიან ახალგაზრდა ბერების მიღებას. მსურველმა ჯერ უნდა გაიაროს კურსი სპეციალურ სკოლაში. ასეთი სკოლა არის ათონის „დედაქალაქ" კარიესში. სკოლის დამთავრების შემდეგ გაანაწილებენ რომელიმე მონასტერში, სადაც მან მორჩილად უნდა დაჰყოს მნიშვნელოვანი დრო (1 წელი მაინც). მორჩილების ვადა დამოკიდებულია თვით მორჩილზე, მის ქცევაზე, ბერობისთვის მზადყოფნაზე. თუ მორჩილი გამოიჩენს თავს, მას ბერად აღკვეცავენ. ბერი დიდი პატივისცემით სარგებლობს. ის გამორჩეული ადამიანია. როგორც გვითხრეს, ივერონის მონასტრის ბერი ევსევიოსი თეოლოგიის პროფესორია, ბერი გენადიოსი — ენათმეცნიერების დოქტორი, ბერი გერასიმე — ფილოლოგი, ერთი ბერი ექიმია. საერთოდ, ბერები ნათელი გონების, ძალზე განვითარებული, ერუდირებული ადამიანები არიან. მათ ყველა პირობა აქვთ შექმნილი მუშაობისა და შემოქმედებისათვის; აქვთ მშვენიერი ბინები მონასტრის შენობებში, მიწის საკუთარი ნაკვეთები საცხოვრებელთან ახლოს, საკუთარი ბაღები. ისინი ცხოვრობენ ცალ-ცალკე, დამოუკიდებლად, მაგრამ ქმნიან ერთ მთლიან შემჭიდროებულ კოლექტივს. უმთავრესად მათ აერთიანებთ წირვა-ლოცვა, რომელსაც დღე-ღამეში დაახლოებით 8 საათი ეთმობა. დანარჩენ დროს სრულებით თავისუფლები არიან.

მონასტრები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ტიპიკონის მიხედვით. ტიპიკონი — ესაა მონასტერში ბერების ცხოვრების წესი. ცხადია, ბერს რომელი მონასტრის ტიპიკონიც მოსწონს, იმ მონასტრის ძმობაში შევა. მაგალითად, მონასტერ სტავრონიკიტაში უფრო მკაცრი ტიპიკონის ბერები ~~არიან; მონასტერ სიმონ-პეტრეში კი პირიქით; ნაკ-~~ლები სიმკაცრეა. სამაგიეროდ, აქ ყურადღება გამახვილებულია სასულიერო ხელოვნების შესწავლა-განვითარებაზე.

ათონი სარგებლობს ავტონომიით. ათონის ადმინისტრაციულ ცენტრში, კარიესში, ანუ კარეაში, არის ათონის მთის გუბერნატორის რეზიდენცია, ქალაქის ხელისუფლება და ათონის წმიდა მთის მონასტრების მმართველი საბჭო — კინოტი. საბჭოს წევრებს ირჩევენ დიდი მონასტრებიდან ყოველწლიურად. 1982 წელს ამ საბჭოში უფროსი იქნება ივერონის წარმომადგენელი.

ოთხშაბათს კარეაში ვეწვიეთ წმიდა კინოტს, სადაც მოგვიწყეს ოფიციალური, ძალზე საზეიმო შეხვედრა. გადავიხადეთ საერთო პარაკლისი „დედაქალაქის" მთავარ ტაძარ პროტატში. შემდეგ მიგვიწვიეს რეზიდენციაში. მმართველმა მოგვმართა სიტყვით. დიდი სურვილი აქვთ, უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ საქართველოს სამოციქულო ეკლესიასთან.

ხუთშაბათს გავემგზავრეთ დიდ, ანუ ათანასეს ლავრაში. გზად მოვილოცეთ მონასტერ კარაკალაში. მონასტერში სულ 12 ბერია, მაგრამ მათი სამონასტრო ცხოვრება და სულიერი სიმაღლე სამაგალითოა. კარაკალას შემდეგ მოვილოცეთ მონასტერი ფილოთეოსი. ეს მონასტერი საინტერესოა ქართველი კაცისათვის. შეგვხვდნენ განსაკუთრებული ზეიმითა და სიხარულით. როგორც შემდეგ შევიტყვეთ, ეს სიხარული გამოწვეული ყოფილა იმით, რომ ჩვენ ვიყავით საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები. ქართველებს დიდად უმოღვაწიათ ამ მონასტრის აღდგენასა და გამშვენიერებაზე, მისი სულიერი განმტკიცება-აყვავებისათვის. პარაკლისის შემდეგ მიგვიწვიეს სადილზე. შევედით მშვენიერ, დიდ სატრაპეზოში. სწორედ აქ შევიტყვეთ ქართველთა ღვაწლის შესახებ. სატრაპეზოს კედელზე გამოხატულნი არიან კახეთის მეფეები: ლევანი და მისი ძე — ალექსანდრე. მათ ხელში უჭირავთ მოდელი მონასტრისა (არა ერთი ტაძრისა, არამედ მთელი სამონასტრო ანსამბლისა). ეს იმას ნიშნავს, რომ მათ მთელი მონასტრის აღდგენა-გამშვენებაში მიუძღვით დიდი ღვაწლი. მო-



საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ათონზე

ეპისკოპოსი ანანია, დეკანოზი მიხეილი (დიდენკო), პროიღუმენი მაქსიმე (ათონიდან), დეკანოზი ალექსანდრე (მათირიშვილი), მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (დელეგაციის ხელმძღვანელი)

ნასტრის თავდაპირველი მაშენებელი იყო ფილოთეოსი, რომლის სახელსაც ატარებს მონასტერი. ჩვენს კითხვაზე, იყო თუ არა ამ მონასტერში ქართული წიგნები, ან რაიმე ნივთი, გვიპასუხეს, რომ არის ერთი ქართული წიგნი, რომელშიც ჩაწერილია სია იმ პირებისა, რომელთაც იხსენიებდნენ წირვა-ლოცვის დროს. ეს წიგნი ვერ ვნახეთ, რადგან მონასტრის იღუმენი იმჟამად არ იყო მონასტერში. ჩვენც ვჩქარობდით. ყველა მათ სიტყვაში იგრძნობოდა სიყვარული საქართველოსა და ქართველების მიმართ. ხალისით გვაჩვენეს შავი ყურძენი, გვითხრეს ქართულიაო. იგი გავრცელებულია მთელს ათონზე. აქვე გამოთქვეს წუხილი ივერონში ქართველი ბერების არყოფნის გამო. „ფილოთეო" ძალზე დიდი მონასტერია, — სუფთა, მდიდარი, გამორჩეული. აქ არის 70-მდე ბერი. აქ ჩვენი მკვლევარი ძალზე ბევრს ქართულს აღმოაჩენდა და შეისწავლიდა. აუცილებლად საჭიროა ქართველი მკვლევარის მივლინება.

ათანასეს დიდი ლავრა ათონზე მთავარი ლავრაა არა სიდიდით, არამედ თავისი მნიშვნელობით. იგი წმიდა ათანასემ, ათონზე სამონასტრო ცხოვრების დამწყებმა დააარსა. ამიტომაც ამ მონასტერს განსაკუთრებული ავტორიტეტი აქვს. როგორც გვითხრეს, წმ. ათანასეს დედა ქართველი ყოფილა, ლაზი. მისგან ჰქონდაო ათანასეს სიყვარული ქართველების მიმართ. ამით ასაბუთებენ განსაკუთრებულ მზრუნველობასა და მფარველობას, რომელსაც წმ. ათანასე იჩენდა წმ. იოანე მთაწმიდელის, „ივერონის" დამაარსებლისადმი. წმ. ათანასემ მისცა იოანეს მონასტრის აშენების ნებართვა. ეს ნებართვა ახლაც შენახულია. ათანასეს ლავრა განთქმულია თავისი ბიბლიოთეკითა და მუზეუმით. ბიბლიოთეკაში რამდენიმე ქართული ხელნაწერი გვიჩვენეს, ერთი ქართული ხელნაწერის ნომერი იყო Z¹—37. ამას გარდა, სხვა ქართული ხელნაწერებიც არის. ყველა ხელნაწერის მიკროფილმია გადაღებული. ისინი ინახება სალონიკში. მუზეუმში არის ქართული ნივთები, ძალზე იშვიათნი და ძალზე საინტერესონი. ზოგიერთი გამოფენილია ვიტრინაში. მაგალითად, აქ არის XVI საუკუნის ეპიტრახილი ქართული წარწერებით. როგორც გვითხრეს, ძალზე ბევრია აქ ქართული ნივთები. მათი უმრავლესობა ჩაწყობილია ყუთებში და არაა გამოფენილი.

ათანასეს ლავრა ათონის ნახევარკუნძულის ბოლოშია, ყველაზე ძნელად მისასვლელ ადგილზე. ამჟამად იქამდე მიდის ახლად გაყვანილი მოუკირწყლავი გზა.

სამაგიეროდ, ივერონი ყველაზე კარგ ადგილზეა. აქ მიდის ყველაზე უკეთესი გზა. ახლოა ცენტრთან. ათონზე ჩამოსული სტუმარი აუცილებლად უნდა ეწვიოს ივერონს. ეს გამოწვეულია სიახლოვით და ივერონის გამორჩეული სტუმართმოყვარეობით. ივერთა მონასტრის პროიღუმენი კალინიკე ხუმრობდა — წმ. ათანასე ბერძენი იყო, ცხადია, ძუნწი და არასტუმართმოყვარე: ამიტომაც დააარსა თავისი მონასტერი ხალხისათვის ძნელად მისადგომ და ძნელადმისაგნებ ადგილზე. სამაგიეროდ, იოანე მთაწმიდელი ქართველი კაცი იყო, სტუმართმოყვარე, ამიტომაც ადვილად მისადგომ ადგილზე დააარსაო მონასტერი. ივერონში ნებისმიერი სტუმარი აუცილებლად უნდა მიიღონ, ღამე გაათევინონ და კარგად გაუმასპინძლდნენ. ასეთია საუკუნოვანი ტრადიცია. ამ ტრადიციით ეს მონასტერი განსხვავდება სხვა მონასტრებისაგან. ეს ცნობილია საყოველთაოდ.

პარასკევს ივერონის მთავარ ტაძარში წირვა შესრულდა ქართულ ენაზე. ამავე დღეს თაყვანი ვეცით ივერონის წმიდა ნაწილებს. წმიდა ნაწილებით, საერთოდ, მდიდარია ივერონი. ისინი აქ, მთავარი ტაძრის ერთ-ერთ ოთახში, ვიტრინებშია გამოფენილი. ვიტრინებს მთელი ოთახი უკავიათ. აქ არის წმ. გიორგის ქვედა ყბა.

თითქმის ყველა წმიდანის წმიდა ნაწილი ინახება ათონზე. ნებისმიერი მონასტრის უმთავრეს სიმდიდრედ წმიდა ნაწილები ითვლება. მაგალითად, მონასტერი „ქსიროპოტამი" სახელგანთქმულია იმით, რომ აქ ინახება ცხოველმყოფელი ჯვრის (ანუ იმ ჯვრის, რომელზედაც დამსჭვალეს უფალი იესო ქრისტე) ყველაზე დიდი ნაწილი, ხოლო მონასტერი სიმონ-პეტრე ამაყობს მარიამ მაგდალინელის ხელის ნაწილით. ეს ნაწილი ხანდახან თბება. ეს მარიამ მაგდალინელის დიდი სიყვარულის სითბო არისო, გვითხრეს ბერებმა. ჩვენ გვქონდა ბედნიერება, გვეღოცა სულ სხვადასხვა წმიდანის წმიდა ნაწილებთან. მონასტრის მლოცველისას სტუმარს თუ წმიდა ნაწილს აჩვენებენ, ეს ნიშნავს, რომ ის მიღებულია ძალზე საპატიო სტუმრად.

ათონელები ძალზე არიან დაინტერესებულები საქართველოში საუკუნეთა მანძილზე დაცულ წმიდა ნაწილთა ბედით. ბერები გვეკითხებოდნენ მათ შესახებ. მაგალითად, აინტერესებდათ, ამჟამად სად

ინახება ღვთისმშობლის სარტყლის ნახევარი. ამ სარტყლისათვის XIX საუკუნეში, ზუგდიდში აუშენებიათ სპეციალური ტაძარი. სარტყლის მეორე ნახევარი ამჟამად დაცულია საბერძნეთში და ქვეყნის მთავარ სიწმიდედ ითვლება. აინტერესებდათ, სად ინახება ამჟამად წმიდა საბა განმწმედელის დიდი ნაწილი, რომელიც XX ს დასაწყისში საფარის მონასტერში იყო დაცული. გვეკითხებოდნენ სხვადასხვა უამრავ ნაწილთა შესახებ. აინტერესებდათ ბედი იმ ცხოველმყოფელი ჯვრის ნაწილისა, რომელიც ლევან კახთა მეფემ იერუსალიმიდან ჩამოასვენა ალავერდის მონასტერში, აგრეთვე, ლანგრისა, რომელიც საიდუმლო სერობის დროს იხმარეს და თომა მოციქულის თავის ქალასთან ერთად XIX ს-ში დაცული ყოფილა ქვაბთახევის მონასტერში, გვეკითხებოდნენ ფერხთა ფიცრისა და ქრისტეს სამსჭვალთა შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ადრევე გაუტანიათ საქართველოდან, მაგრამ ისევ დაუბრუნებიათ ქართველობას შუა საუკუნეების დროს და სხვა.

ათონის საზოგადოებრიობა ძალზეა დაინტერესებული საქართველოში დაცული წმიდა ნაწილების ბედით. შეიძლება ითქვას, დაინტერესებულია ისევე, როგორც ჩვენი, ქართული საზოგადოებრიობაა დაინტერესებული ათონზე დაცული ქართული ხელნაწერებითა და ნივთებით. ჩვენ შეგვეძლო ერთმანეთს შორის გაგვეცვალა ინფორმაცია ამ სიწმიდეთა შესახებ. ეს ჩვენთვის ძალზე სასარგებლო იქნებოდა, რადგანაც ათონზე გაბნეულია უამრავი ქართული ნივთი და ხელნაწერი წიგნი.

შაბათს მე ვწირე „პორტაიტისას" ტაძარში. ამ მცირე, აშოტ მეხრან-ბატონის მიერ აგებულ ტაძარში მართლმადიდებელ ქრისტიანთა საუნჯე — ივერიის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი არის დასვენებული. აქ უწყვეტად მიმდინარეობს წირვა-ლოცვა და პარაკლისი. თვით ის გასაოცარი ფაქტი, რომ ჩვენ ამ წმიდა ტაძარში ნება დაგვრთეს ქართული წირვისა, მეტყველებს ქართული ეკლესიის ახლანდელი დიდი ავტორიტეტის შესახებ. ეს იყო ნიშანი მოკრძალებისა და პატივისცემისა ივერიელი ქტიტორებისადმი. ჩვენ წინასწარ რამდენჯერმე გაგვაფრთხილეს, გვეწირა მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე. მათ მიაჩნდათ, რომ ქართული წირვის შემდეგ იოანე, ექვთიმე, გიორგი და გაბრიელ მთაწმიდელები უფრო მეტი მეოხნი და მფარველნი იქნებოდნენ ღვთის წინაშე ივერთა მონასტრისა, რომ ქართულ მონასტერში, ქართული წირვის შემდეგ, ღმერთი უფრო მეტ მოწყალებას გაიღებდა მონასტრისადმი. ვწირე მარტო, რადგანაც საკურთხევლის სიმცირის გამო სხვების თანამონაწილეობა წირვაში უხერხულობას შექმნიდა.

მე შემმოსეს XVI საუკუნის ქართული შესამოსელით. ეს ჩემთვის იყო დიდი ბედნიერება და მოწყალება ღვთისა. ვმადლობ უფალს, რომ ღირსი გამხადა ქართულად მეწირა ივერთა ღვთისმშობლის უწმიდესი ხატის ტაძარში.

შაბათს, წირვის შემდეგ, მოვილოცეთ ათონის მონასტრები — სიმონ-პეტრე, ქსიროპოტამი, პანტელეიმონი, სტავრონიკიტა.

სიმონ-პეტრეს მონასტერი აშენებულია უზარმაზარ კლდეზე და შორიდან ციხე-ქალაქს ჰგავს. დაუვიწყარია სიმონ-პეტრეს ბერები. ყველა უმაღლესი განათლებითაა. ამით ეს მონასტერი გამორჩეულია. კდემამოსილება, სიყვარული და სათნოება აღბეჭდილი მათ ფერმკრთალ სახეებზე. მიუხედავად განათლებისა და სულიერი სიმაღლისა, ისინი ყველანი მორჩილნი და თავმდაბალნი არიან. სიმონ-პეტრედან წასვლისას ჩვენს გასაცილებლად მონასტრიდან ბერები გამოიშალნენ. ისინი ჩვენი დელეგაციის წევრმა, მამა ალექსანდრე შათირიშვილმა შეადარა ბარტყებს მერცხლის ბუდეში. სიმონ-პეტრე მართლაც ჰგავს კლდეზე აშენებულ მერცხლის ბუდეს, ხოლო ბერები შავი შესამოსლით და საყელოზე თეთრი ზოლით — მერცხლებს. აქ 50 ბერია.

„პანტელეიმონის" რუსთა მონასტერში დიდი სიხარულით შეგვხვდნენ. ვემთხვიეთ წმიდა პანტელეიმონის ნაწილებს. ღვთისმშობლის საფარველის ტაძარში თაყვანი ვეცით იერუსალიმის ღვთისმშობლის ხატს. პარაკლისის შემდეგ მიგვიწვიეს სადილზე.

მონასტერი სტავრონიკიტა პატარა, მაგრამ ცნობილი მონასტერია. ის მდებარეობს ივერონის მონასტრის მეზობლად. ივერონელები მის ბერებს დიდ პატივს სცემენ.

კვირას ივერონის მთავარ ტაძარში ჩავატარეთ შერეული, ქართულ-ბერძნული წირვა. მწირველები ვიყავით ყველანი. შეიმოსა მაღალყოვლადუსამღვდელოესი მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე. აგრეთვე, მე და ჩვენი დელეგაციის წევრები. ყველა ჩვენთაგანმა ვიგრძენით, როგორ გარდამოვიდა ჩვენზე მადლი ღვთისა — ეს გამოიხატა ერთმანეთის მიმართ მომეტებული სიყვარულისა და პატივისცემის შეგრძნებით. წირვის შემდეგ მიგვიწვია ივერონის უხუცესთა საბჭომ. გამოითქვა სურვილი ჩვენს შორის ურთიერთობის კიდევ უფრო გაღრმავებისა. აქვე დაადგინეს, საპასუხო ვიზიტით გამოეგზავნათ ივერონის სამი ბერი საქართველოში. მართლაც, საქართველოში ჩვენი დაბრუნების შემდეგ, ჩვენს სამოციქულო ეკლესიას ეწვია სამი მეთაური — პროიღუმენი მაქსიმე, პროიღუმენი კალინიკე და საქმეთა მმართველი ანთიმოზი.

კვირა საღამოს გამოსათხოვარი ქართული პარაკლისი გავმართეთ ივერონის ღვთისმშობლის ხატთან. ჩვენ ვეთხოვებოდით დედა-ღვთისას — მფარველს და მეოხს ქართველი ერისას, ვეთხოვებოდით ივერონსა და ათონს. ამ დროს ძნელი იყო ცრემლის დამალვა. ჩვენ ცრემლით, ტირილით ვთხოვდით დედა-ღვთისას შემწეობასა და მფარველობას მისდამი წილხვედრი ივერთა მიწისა და ერისა.

ორშაბათს პროტომენმა კალინიკემ ნავსადგურ დაფნიმდე მიგვაცილა. თესალონიკში ოფიციალური მიღება გვქონდა თესალონიკის მიტროპოლიტ პანტელეიმონთან. მან მოგვმართა სიტყვით, რომელშიც გაგვაცნო თესალონიკის ეკლესიის ახლანდელი მდგომარეობა. ის მეთაურია თესალონიკის უნივერსიტეტისა. მან გამოთქვა ამ უნივერსიტეტში 2 ქართველი სტუდენტის მიღების სურვილი. საქართველოს ეკლესიიდან წარმოგზავნილ ორ ახალგაზრდას უნივერსიტეტში ჩვენივე ხარჯებით და სტიპენდიით მივაღებინებთ განათლებას. მანვე გაგვაცნო გეგმა, რომლის მიხედვით გადაწყვეტილი აქვს შექმნას მართლმადიდებლობის შემსწავლელი თეოლოგიური ცენტრი თესალონიკში, ყველა ეკლესიიდან წარმომადგენლების მონაწილეობით. მან გამოთქვა სურვილი, საქართველოს ეკლესიამაც წარგზავნოს მუდმივი წარმომადგენელი ამ ცენტრში. საპასუხო სიტყვაში ვუსურვეთ აყვავება თესალონიკისა და საბერძნეთის ეკლესიას. მიტროპოლიტმა პანტელეიმონმა დაგვაჯილდოვა წმიდა სიმონის მედლებით.

თესალონიკში ვილოცეთ სამიტროპოლიტო და დიმიტრი თესალონიკელის უძველეს, დიდებულ ტაძარში.

ათენში დავყავით რამდენიმე დღე. ვცხოვრობდით ათენის ახლოს, პენდელის მონასტერში, ჩვენი კეთილი მასპინძელი იყო ამ მონასტრის წინამძღვარი, ელადის ეკლესიის მეთაურის ქორეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი. ის ადრე იყო სინას მთის მონასტრების იღუმენი — მეთაური. მას ხელი მიუწვდება სინას მთის ქართულ ხელნაწერებზე.

რამდენიმე დღე გვქონდა ათენის დასათვალიერებლად, მისი შემოგარენის, მონასტრებისა და ეკლესიების მოსალოცად. ათენში 1000 მოქმედი ეკლესიაა — ეკლესიები დიდებულადაა მოვლილი. ჩვენზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება დატოვა ქალთა მონასტერმა — დაუ-პენდელმა. ეს მონასტერი მეათე საუკუნემდე დაუარსებიათ ტაოდან ჩამოსულ ქართველ ბერებს — ასეთია ადგილობრივი გადმოცემა. მონასტრის მთავარი ტაძრის ერთი ნაწილი მართლაც ჰგავს ქართულ ტაძარს — ჯვრის ტიპისას. ასეთივეა ათონზე, ტყეში ჩაკარგული ერთი ტაძარი — ესაა ორმეოც მოწამეთა ეკლესია, — ასევე მსგავსი ჯვრის ტიპისა. ძალზე კარგად არის მოწყობილი სამონასტრო ცხოვრება ქალთა მონასტერ დაუ-პენდელში. აქაური მონოზვნები ხატავენ ხატებს, ქარგავენ, გამოჰყავთ მცენარეთა და ყვავილთა ნერგები. ჰყავთ მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის ფარები, კეთილად აწყობენ ეკლესიასა და საცხოვრებელ ბინებს. გასაოცარია მათი ლოცვა-მორჩილება. აქ დაინტერესდნენ ქალთა ქართული მონასტრების ცხოვრებით. მათ შემოგვთავაზეს ჩვენთვის ძალზე საინტერესო აზრი: გამოცდილების გასაზიარებლად მიიწვიონ საქართველოდან 2—3 მონოზონი. ეს მონოზნები იცხოვრებენ დაუ-პენდელში, მცირე ხნით.

ათენში საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლები ოფიციალური ვიზიტით ვეწვიეთ საბერძნეთის ეკლესიის მეთაურს — ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოს სერაფიმეს.

შეხვედრისა და გულითადი მოკითხვის შემდეგ მთავარეპისკოპოსმა კონსტანტინემ სიტყვით მიმართა მის უნეტარესობას, მთავარეპისკოპოს სერაფიმეს და იქ დამსწრე პირთ.

თქვენო უნეტარესობავ, ბატონო სერაფიმე, ყოვლადსამღვდელონო ეპისკოპოსნო, მღვდელნო და დიაკონნო. ჩვენ წმიდა მთიდან, ათონიდან მობრუნებულნი გეახელნით, ვინაიდან ვერ მოგვეხერხდა თქვენი ნახვა იქით წასვლისას (თქვენ თათბირებზე ბრძანდებოდით დაკავებული). ჩვენ წმიდა მთიდან მოვბრუნდით აუწერელი შთაბეჭდილებებით. „ივერონის" გარდა, მრავალი მონასტერი მოვილოცეთ და მრავალი სიწმიდის თაყვანისცემის ღირსნი გავხდით. ათონის ხილვამ კიდევ უფრო გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ჩვენი ერების ურთიერთობაზე, მის წარსულსა და აწმყოზე. ქართველ და ბერძენ ერთა მეგობრობა შორეული წარსულიდან არის გასხივოსნებული. პირველი მღვდლები, რომელთაც ხალხი მონათლეს მცხეთაში, კონსტანტინე დიდმა უბოძა საქართველოს. ჩვენი წმიდა დედისა და მოციქულთა სწორის, ნინოს რჩევით, კეთილმეგობრული ურთიერთობა დაამყარა მირიან მეფემ კონსტანტინე დიდთან. ეს იყო მე-4 საუკუნის დასაწყისი.

დღეს კი, ახალმა ეკუმენურმა ურთიერთობამ კვლავ დაგვაახლოვა, კვლავ გამრთელდა ის ისტორიული ძარღვი, რომელიც დროებით შესუსტებული იყო.

ჩვენმა წარმომგზავნმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს პრეზიდენტმა, ილია II მოგიკითხათ ძმური, ქრისტიანული სიყვარულით და ელადის წმიდა ეკლესიას უსურვა შემდგომი აყვავება, ბერძენ ხალხს — გაძლიერება და გამრავლება... მაგრამ აქვე მინდა გამოვთქვა გულისტკივილი იმის გამო, რომ თქვენს (წინა წლების) საეკლესიო კალენდარში საქართველოს ეკლესია მოხსენიებულია არა როგორც ავტოკეფალური ეკლესია, ისე როგორც ეს მომდინარეობს ისტორიულად, V საუკუნიდან, არამედ, როგორც ავტონომიური მართლმადიდებელი ეკლესია. ამავე დროს, ხშირად არ-

ღვევენ მოხსენიების წესს: საქართველოს ეკლესიას არ იხსენიებენ თავის ადგილზე. გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ეს და თქვენს მომავალი წლის კალენდარში შეიტანოთ შესწორება და საქართველოს ეკლესია მოიხსენიოთ, როგორც ერთ-ერთი უძველესი, ავტოკეფალური ეკლესია, რომელმაც V საუკუნის მეორე ნახევარში დიდი მეფის, ვახტანგ გორგასალის დროს, ანტიოქიის ეკლესიისაგან მიიღო ავტოკეფალია. იმედი გვაქვს, ჩვენი მეგობრული ურთიერთობა სწორი გზით განვითარდება. ჩვენ დაიმედებულნი წავალთ ჩვენს სამშობლოში იმით, რომ არა მარტო ვიხილეთ მრავალი კარგი და დიდებული რამ, არამედ ჩვენს ეკლესიებს განვუმტკიცეთ და გავუადვილეთ მომავალი საქმიანობა და მეგობრობა.

საპასუხო სიტყვაში ათენისა და სრულიად ელადის მთავარეპისკოპოსმა იმედი გამოთქვა, რომ მომავალში მოხდება საქართველოსა და საბერძნეთის ეკლესიების უფრო მეტად დაახლოება.

„ჩვენ არა მარტო შევიტანთ შესწორებას ჩვენს კალენდარში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ, არამედ შევეცდებით მოვიწვიოთ მართლმადიდებელ ეკლესიათა მეთაურების თათბირი და საქართველოს ეკლესიას განვუკუთვნოთ თავისი ადგილი, როგორც ოდითგანვე ეპყრა მას. მოხარული ვიქნებით, თუ წარმოგზავნით ორ-სამ სტუდენტს ჩვენს უნივერსიტეტებში სასწავლებლად." უნეტარესმა სერაფიმემ ილაპარაკა ახალ გეგმებზე, რაც მიმართულია მართლმადიდებელი ეკლესიის გაძლიერებისაკენ. მან მთავარეპისკოპოს კონსტანტინე და მე მშვენიერი პანაღიებით, ხოლო დელეგაციის დანარჩენი წევრები ჯვრებით დაგვაჯილდოვა.

ჩვენივე თხოვნით მიგვიღო საბჭოთა კავშირის ელჩმა ათენში, ვლადიმერ თევდოროვიჩ კოპოშკინმა. მიგვიღო თავის რეზიდენციაში, მოგვმართა ძალზე ღრმააზროვანი სიტყვით. გადმოგვეცა საჩუქრები. შემდეგ თვითონვე დაგვათვალიერებინა საბჭოთა საელჩოს ახალი შენობა.

მოგზაურობა დამთავრდა. შთაბეჭდილებები ღრმა და მრავალი იყო. ვმადლობ უფალს, რომ ღირსი გამხადა ათონის ივერთა მონასტრის ხილვისა და ივერიის ღვთისმშობლის წმიდა ხატის მოლოცვისა.



ა თ ო ნ ზ ე. მარცხნიდან დეკანოზი ალექსანდრე შათირიშვილი, იღუმენი იოანე (შეყლაშვილი), მთავარეპისკოპოსი კონსტანტინე (დელეგაციის ხელმძღვანელი), ეპისკოპოსი ანანია, დეკანოზი მიხეილი (დიდენკო).

წმიდა მამანო, ათონის ღვთაებრივი და წმიდა მთის მკვიდრნო, თქვენ ხართ ნათელნი და მარილნი ამა სოფლისანი.







## კონსტანტინოპოლის-სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტერი LXII

ვიმოგზაურე რა 1981 წლის 16-ი აგვისტოდან 31-ტ აგვისტომდე ისრაელში და საბერძნეთში, და ვინახულე რა იერუსალიმში ქართული "ჯვარის" მონასტერი, ხოლო ათონის წმინდა მთაზე "ივერიონის" ქართული მონასტერი, ამჯერად კონსტანტინოპოლში-სტამბოლში ვერ წავედი იქ ქართული კათოლიკური მონასტრის დასათვალიერებლად, მაგრამ ვინაიდან ეს მონასტერი პირველად 1967-დ წელს, იანვარში, "ჯვარისა" და "ივერიონის" ქართული მონასტრების დათვალიერების შემდეგ ვინახულე და შემდეგ ორჯერ ვიყავი ამ ქართულ კათოლიკურ მონასტერში, უკანასკნელად 1977-დ წელს, ეს ჩემი რადიოდოკუმენტაცია მსურს დავამთავრო ქართული კათოლიკური მონასტრის აღწერით კონსტანტინოპოლში-სტამბოლში.

კონსტანტინეპოლის=სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტერი პირველად დავათვალიერე 1967 წლის 22-23-მ იანვარს, და - გაგაცანით რა ჩემი შთაბეჭდილებები ამ ქართული მონასტრის შესახებ, მაშინ მე, სხვათა შორის, ავღნიშნე:
"...ეს ჩვენი მონასტერი მდებარეობს კონსტანტინოპოლის ერთ უბანში, რომელსაც ეწოდება "შიშლი". გული დამწყდა, რომ ამ ერთადერთ კათოლიკურ ქართულ მონასტერში დღეს არის ქართველი და სწორედ მასთან საუბრის საშუალება არ მქონდა. აქაც უნდა ვთქვათ "ნახვამდის"!.. ვინ იცის, ერთ დროს, შეიძლება, კიდევ შევძლო კონსტანტინოპოლში ჩამოსვლა და მაშინ შეიძლება ვესაუბრო მის ქართველ გამგებელს."

და მართლაც, 1977-ი წლის 18 სექტემბერს, ესე-იგი, ათი წლის შემდეგ გამართლდა ჩემი სურვილი, ისევ ვესტუმრე კონსტანტინოპოლს=სტამბოლს და ამით ქართულ კათოლიკურ მონასტერს ამ ქალაქში, და, რაც მთავარია, მომეცა საშუალება გამეცნო ამ ქართული მონასტერის გამგებელი პავლე¨აკობაშვილი-ადგულაძე, რომელმაც დიდი

მოახლინა ჩემზე, განსაკუთრებით მასთან საუბარმა. პავლე აკობაშვილი-ადგულაძე მეტად განათლებული კაცია, მრავალ უცხოურ ენას ფლობს და,მიუხედავათ მისი ასაკისა, ენერგიით სავსე და "ახალგაზრდული" საქმიანობითაა გატაცებული. ამ ქართულ მონასტერში, როგორც მან მოგვითხრო, სკოლაცაა გახსნილი ადგილობრივი ბავშვებისათვის და ამ სკოლაში თვით პავლე აკობაშვილი ასწავლის ფრანგულ ენასა და ლიტერატურას.

ბატონმა პავლემ დამათვალიერებინა კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური მონასტრის მთელი კომპლექსი, და ბოლოს შემიყვანა მონასტრის ბიბლიოთეკაში, და მაჩუქა ჩვენი აწ უკვე ცნობილი თანამემამულის მიხეილ თამარაშვილის ფრანგულ ენაზე დაწერილი და გამოცემული წიგნი "საქართველოს ეკლესიის ისტორია დასაწყისიდან დღევანდლამდე",რომელიც გამოცემულ იქნა რომში, 1910-თ წელს.



MICHEL TAMARATI

L'ÉGLISE GÉORGIENNE

DES ORIGINES JUSQU'A NOS JOURS

AVEC 104 PORTRAITS

ET REPRODUCTIONS DE MONUMENTS GÉORGIENS

DEUX CARTES GÉOGRAPHIQUES

ET DE NOMBREUX DOCUMENTS INÉDITS

ROME

Imprimerie de la Société Typographico-Editrice Romaine

1910

ბატონმა პავლემ დიდი შეფასება მისცა მიხეილ თამარაშვილის ამ ფუნდამენტალურ ნაშრომს და განსაკუთრებით აღნიშნა, რომ მიხეილი იყო არა მარტო დიდი მეცნიერი, არამედ უაღრესად სპეტაკი და თავდადებული ქართველი პატრიოტი, და მისი მეცნიერული მუშაობაც დაუკავშირა კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური მონსტარის მოღვაწეობასაც. და აქ მსურს გაგაცნოთ,პატივცემულო მსმენელებო, ამონაწერები 1978 წლის17-ი ნოებრისა და იმავე წლის 1-ლი დე-კემბრის "ლიტერატურულ საქართველოდან", ამონაწერები მიხეილ თა-მარაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ:




Eglise latine des Saints Pierre et Paul à Tiflis, construite en 1877.

ლიტერატურული საქართველო | 17 ნოემბერი, პარასკევი | 1978 | № 46 (2149)

# მიხეილ თამარაშვილის დაბრუნება

მიხეილ თამარაშვილი! ჩვენი ახალგაზრდა თაობისათვის იქნებ ეს სახელი და გვარი ბევრს არაფერს ამბობდეს, საქართველოს ისტორიის პრობლემებით ახლო [illegible] კარგად კი იცის, რა თქმა უნდა, ახსოვს თავის სამშობლოში მიხეილ თამარაშვილი [illegible] არც მაშინ, [illegible] რომელმაც ფრანგულ ენაზე დაწერილი „საქართველოს ეკლესიის ისტორია" გამოსცა და ევროპის აკადემიურ პირველსავე კვირებში. როდესაც ეს უზარმაზარი ნაშრომი წიგნის ბაზარზე გამოვიდა, მასზე ოცდაათზე მეტი რეცენზია სხვადასხვა ენაზე გამოხმაურება [illegible]. [illegible] და ევროპის სხვა ქვეყნების წიგნი კონსტანტინოპოლის, ვატიკანის, მილანის, პალერმოს და სხვა არქივებში მრავალი წლის თავაუღებელი მუშაობის ნაყოფი იყო და ისტორიკოსის მიერ მოძიებული მასალის საქვეყნოდ გამომზეურების პირველ ცდას წარმოადგენდა. თუმცა არც პირველი. ამ დროს თბილისში ქართულ ენაზე უკვე გამოცემული იყო „ეკლესიის ისტორიის" ერთი ნაწილი „კათოლიკობა ქართველთა შორის".

დიდი ღვაწლი, რომელიც თავის [illegible] მეცნიერის, [illegible] და ყოველგვარი საქმის [illegible] იყო მიხეილ თამარაშვილი მეორე ქართლის ცხოვრების შემქმნელი ეწოდება. ერთ მათგანს ზედგამოჭრილი შეჩხასება [illegible] [illegible] მიხეილ თამარაშვილმა, პირველი [illegible]

დაწყებითი განათლება მშობლიურ ახალციხეში მიიღო, დამოუკიდებელი ცხოვრება [illegible] დაიწყო და შემდეგ წელი [illegible] [illegible] ცხადი, პირველი ქრისტიანობის სამშობლოს საქართველოში მიიტანა. ის ჯერ კონსტანტინოპოლში სწავლობდა, სადაც ფრანგული, ლათინური, იტალიური და სხვა ევროპული ენები შეისწავლა, რაც სხვადასხვა არქივში მიხნეული უცხოური საბუთების ორიგინალში წაკითხვა, ხოლო კი რომის სასულიერო აკადემიის სრული კურსიც დაასრულა, და ღვთისმეტყველების მაგისტრის წოდება მიიღო. არ არის მეორე ქართველი, ვისაც ცხოვრების ასე დიდი ნაწილი, თითქმის ორი მესამედი, მშობლიური კერას მოწყვეტილს გაეტარებინოს და ასე ბევრი გაეკეთებინოს საქართველოსთვის, როგორც მიხეილ თამარაშვილმა გააკეთა. ის ჯერ კიდევ ახალგაზრდა, 46 წლისა დაიღუპა; [illegible] [illegible] თამარაშვილის, როგორც მეცნიერის, [illegible] [illegible] თამარაშვილის [illegible]

[illegible] საქართველოსთვის, ვინ დაჰკარგა მეცნიერის სამშობლომ, რა დიდი და აუნაზღაურებელი იყო დანაკლისი, იმ ნისლიან დღეს ხმელთაშუა ზღვის [illegible] საქართველოს, რომ [illegible].

სასიხარულოა, რომ თამარაშვილის უზარმაზარი არქივი, საქართველოს ისტორიის ფასდაუდებელი წყარო, რომლის ბევრი უცხოურ ენაზე შექმნილი საბუთი ჯერ კიდევ არ უთარგმნიათ და სამეცნიერო მიმოქცევაში არ ჩაურთავთ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის და ახალციხის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის ხელთაა. ალბათ თუ გვიან ეს საბუთები ალაპარაკდებიან და საქართველოს ისტორიის ბევრ ბნელით მოცულ მონაკვეთს შუქს მოჰფენენ. აკი გამოვიდა კიდეც პირველი მერცხალი — დონ ქრისტიანი კახელის „ცნობები ალბანეთისა და საქართველოს შესახებ".

მაგრამ რა ბედი ეწია თვით ისტორიკოსის ნეშტს? სად ჰპოვა ბინა თავის სამუდამო განსასვენებელი? [illegible] ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს [illegible] დაინტერესებული [illegible] თანამემამულე მწერალი რევაზ თაბუკაშვილი და სწორედ თამარაშვილისეული [illegible] [illegible] გამოქვეყნდა და მსმენელს თაობის [illegible] [illegible] [illegible] გაიმეორა. რევაზ თაბუკაშვილს შესანიშნავად უქრია კალამი და თვითონ დაწერს, რა როგორ იყო. მე კი აქ სწორედ მის შესახებ მსურს ვილაპარაკო. ჩვენი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის თაოსნობა ქებისა და უაღრესი მადლიერების ღირსია. რ. თაბუკაშვილმა ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც თავისი ქვეყნის წარსულსა, აწმყოსა და მომავალზე თავდაუზოგავად შეყვარებულ ინტელიგენტს შეეძლო. მან ისტორიკოსის, მამულიშვილის, დიპლომატის გასაოცარი ნიჭი და ალღო გამოავლინა, არამარტო თავად იარა, სხვებიც აიარა, დაიჯერა, რომ კეთილი საქმისათვის იბრძოდა და ა. შ. შედეგიც: მიხეილ თამარაშვილის სავლავი ნაპოვნია და ნაპოვნია არა სანტა-მარინელაში, საიდაც [illegible] არამედ ჩივიტა-ვეკიაში! და არა მარტო ნაპოვნია. ნეშტი თამარაშვილის წმიდა ნეშტი უკვე ჩამოსვენებულია საქართველოში, მიწაში ის ქვეშ დაღუპული მეცნიერის ნეშტს ამ დღეებში მიიღებს მშობლიური ქართული მიწა. თამარაშვილი დაბრუნდა!

ეს პირველად არ ხდება, რომ რევაზ თაბუკაშვილი თავის შესამჩნევ ენერგიას ახმარს მადლიან საშვილიშვილო საქმეს. ეს უნდა ითქვას, უნდა ითქვას ხმამაღლა, გარკვევით. კეისარს მიუზღველს კეისრისა! ქვეყნად გაწეული საქმე, ისევე როგორც ადამიანი, არავის უნდა დავაკარგოთ. რამდენის თქმაც ის უანგარო პიროვნება, რომელიც რ. თაბუკაშვილმა ტექსტის [illegible] [illegible] ნასეიმაშვილების გაუწია. თუ ტაძრის [illegible] ხელზე დახვეულ გმირთა საქმეები დღეს ასეც ცოცხლობენ და მათი სახელები ყოველ პატიოსანი მოქალაქის გულში მადლიერებას და მოწიწებას აღვიძებენ, ამას რევაზ თაბუკაშვილის თავგამოდებასაც უნდა ვუმადლოდეთ.

მიხეილ თამარაშვილის ნეშტის სამშობლოში გადმოსვენებამ, რაც რევაზ თაბუკაშვილმა თავა და კიდევაც აღასრულა, ხელახლა დააყენა საკითხი ისტორიკოსის უმთავრესი ნაშრომის „საქართველოს ეკლესიის ისტორიის" გადმოთარგმნისა და მშობლიურ ენაზე გამოცემის შესახებ. რაკი დიდი ილიას ნათქვამით, მიხეილ თამარაშვილი მეორე „ქართლის ცხოვრების" შემქმნელია, რატომ ვაყოვნებთ, განა არ დადგა დრო იგი საქართველოს საისტორიო მეცნიერების კუთვნილებად ვაქციოთ? ახლა საქმე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ისტორიის ინსტიტუტის და საისტორიო საზოგადოების კუთვნილია [illegible]

**რევაზ ჯაფარიძე**



ლიტერატურული საქართველო

1 დეკემბერი, პარასკევი | 1978 | № 48 (2151)

# „შენს მიწას მიმაბარეო...“

28 ნოემბერს მშობელმა მიწამ მიიბარა ექვს ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ გარდაცვლილი შვილი — გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და მეცნიერი მიხეილ თამარაშვილი.

ადამიანი, რომელთან გამოსათხოვებლად ეგზომ ძალი ხალხი მოვიდა, სამოცდაშვიდი წლის წინათ გარდაიცვალა და, ამდენად, უკანასკნელი ვალის მოსახდელად მოსულთა უმრავლესობა მისი გარდაცვალების ტრაგიკული წლის შემდეგაა დაბადებული. მაგრამ ზღვა ხალხში, რომელმაც იმ დღეს ხელოვნების მუზეუმთან მოიყარა თავი, თითქმის ვერ ნახავდით უბრალო ცნობისმოყვარეებს, როგორც ასეთ ვითარებაში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე. იგრძნობოდა განსაკუთრებული მოკრძალება და პატივისცემა. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ თამარაშვილის დიდი, მამულიშვილური ღვაწლი და ქართული მეცნიერების წინაშე დამსახურება აქამდე, სამწუხაროდ, მხოლოდ სპეციალისტთა ვიწრო წრისათვის იყო ცნობილი, ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ, რომ დაკრძალვაზე მოსულ იმდენ ხალხში ყველას კარგად ჰქონდა შეგნებული და გათვალისწინებული მნიშვნელობა მისი მოღვაწეობისა. და, თუმცა იმ დღეს მართლაც ზღვა ხალხი მოვიდა, მოსულთა დიდი ნაწილი ვერც შევიდა ხელოვნების მუზეუმში, სადაც მეცნიერის ნეშტი იყო დასვენებული, მხოლოდ შორიდან ისმენდა მიტინგზე წარმოთქმულ სიტყვებსა და მუსიკის ჰანგებს, ყველგან [illegible] და სამაგალითო წესრიგი სუფევდა — ხელოვნების მუზეუმის წინა მოედანზეც, იქიდან დიდუბის პანთეონისკენ დაძრული პროცესიის დროსაც, როცა რუსთაველის პროსპექტი და პანთეონამდე გაჭიმული სხვა ქუჩები ხალხით გაივსო, პანთეონის შესასვლელშიც, სადაც მიტინგი გაგრძელდა. და ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ მთელი ეს პროცესი — მიხეილ თამარაშვილის ნეშტის გადმოსვენება, დაკრძალვა და ამასთან დაკავშირებული ინფორმაციები პრესისა თუ რადიო-ტელევიზიის საშუალებით — ასევე სადად, უსენსაციოდ და უკომენტაროდ მოხდა, ისე, როგორც მუდამ უნდა ხდებოდეს ხოლმე მსგავს ვითარებაში.

თქვენ იქ ისმენდით სევდიან მუსიკას, ძველ ქართულ საგალობლებს, კლასიკური მუსიკის ჰანგებს... და ისე იყო ყველაფერი შერჩეული, რომ ხელს უწყობდა სასურველი განწყობილების შექმნას, უხდებოდა იმ ამაღლებულ სევდანარევ სიხარულს, რასაც იმ დროს ყველა ადამიანის გულში დაესადგურებინა; იმის შეგნებით აღძრულ სიხარულს, რომ მშობლიურ მიწას დაუბრუნდა უცხოობაში დიდი ხნით გადაკარგული ღვიძლი შვილი; იმ გაუცნობიერებელი რწმენით გაბრწყინებულ განცდას, რომ ამიერიდან ქართული ისტორიოგრაფიის სამსახურში უფრო აქტიურად ჩადგება დიდებული მეცნიერის მთელი მოღვაწეობა.

ყველა მოვლენას რამდენიმე განზომილება აქვს. გარდა იმისა, რომ ჩვენ მადლიერების გრძნობით ვალი მოვიხადეთ ღვაწლმოსილი და დამსახურებული წინაპრის მიმართ, მიხეილ თამარაშვილის გახსენებას კიდევ ის მნიშვნელობა აქვს, რომ მეცნიერებისა და სამშობლოს სამსახურში მისი უანგარო და თავდადებული შრომა მაგალითი უნდა იყოს ყველა თაობის ადამიანებისათვის.

და კიდევ, რასაც განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი, ამგვარი მოვლენა სწორედ ასე უნდა ტარდებოდეს — სადად და, უბრალოდ, სწორედ ისე, როგორც ამ დიდებული ადამიანის ჩუმსა და უანგარო მოღვაწეობას შეეფერება, ვის პატივსაცემადაც მოიყარა თავი იმ დღეს მრავალმა ადამიანმა.

რამდენიმე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოითქვა, ხალხმა მოისმინა მიხეილ თამარაშვილის ერთ-ერთი პირველი დიდი პატივისმცემლისა და მეგობრის ხმაც: მიტინგის დასასრულს დიდუბის პანთეონს მოეფინა ყველასათვის საყვარელი და კარგად ნაცნობი ხმა აკაკი წერეთლისა; დიდი ხნის წინათ ფირზე ჩაწერილი დიდებული ლექსის სტრიქონები ისეთი მოხდენილი დამამთავრებელი აკორდი გამოდგა, ისე კარგად მოუხდა ყველაფერს, თითქოს დიდ პოეტს საგანგებოდ ამ მოვლენისათვის დაეწეროს:

ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დაბრუნებულსა,
მკურნალად შემეყარეო...
...დედამშვილობას, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო.

აქედან ჩანს, რომ კონსტანტინოპოლის=სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტერი დაარსებულ იქნა 1861-თ წელს და 1961-თ წელს, დაარსების ასი წლისთავი, აღნიშნულ იქნა შესაფერისი სიფაქიზითა და შთაგონებით.

დავამთავრეთ რა კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური მონასტრის დათვალიერება, ამ მონასტრის გამგებელმა პავლე აკოპაშვილმა - ოპტიმისტურად შეაფასა ამ მონასტრის მომავალიც, თუმცა ის თვითონ ოთხმოც-წელს უახლოვდება, მაგრამ,მადლობა ღმერთს, ენერგიით სავსეა და საქმეც კარგათ მიყავს. მონასტრის ეზოდან გამოსვლისას, ჩაუარეთ რა გალავანით შემოვლებული ეზოს მოპირდაპირე მხარეს-მდებარე შემოღობილ მიწას,რომელიც ერთი ქუჩითაა გამოყოფილი მონასტრის ნაგებობათაგან, ბატონმა პავლემ თქვა, რომ აქ დიდი გარაჟია მშენებლობაში, სადაც ახლო მცხოვრებთ შესაძლებლობა ექნებათ ავტომობილების დაყენებისა და ესეც განსაზღვრულ შემოსავალს მისცემს ქართულ მონასტერს.ვიმედოვნებთ, რომ ბატონი პავლე შეძლებს მისი შესაფერისი შემცვლელის მონახვასა და შესაფერისად გათვითცნობიერებას, რომ ქართული კულტურის ეს ერთერთი კერა უცხოეთში მომავალშიაც ქართველ ხელმძღვანელთა ხელში დარჩეს, და არ ეწიოს ისეთი ბედი, რომელიც გაიზიარეს "ჯვარის" მონასტერმა იერუსალიმში და "ივერიონის" მონასტერმა ათონის წმინდა მთაზე, სადაც უკვე ქართველები აღარ მოღვაწეობენ. პირველ ყოვლისა, გასაგებია, რომ ქართველი მღვდელის შოვნა,რომელიც ისევ განაახლებდა წირვა-ლოცვას ამ ეკლესიაში ქართულ ენაზე, ადვილი საქმე არ არის, მით უმეტეს, რომ საჭიროა ქართველი კათოლიკური მღვდელი, რაც თვით საქართველოშიაც ბევრი არ არის. დღესდღეობით, როგორც ბატონმა პავლემ თქვა, კონსტანტინოპოლის ქართულ მონასტრის ტაძარში წირვა-ლოცვას ატარებს იტალიელი ღვდელი, და მლოცველთა უმრავლესობაც ქართველები არ არიან. ჩემი აზრით, კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური ეკ-

ლესიის ქართული სახის შენარჩუნება დიდათაა დაკავშირებული იმასთან თუ ამ მონასტრის დღევანდელი ხელმძღვანელობა შესძლებს კავშირების დამყარებას საქართველოში არსებულ კათოლიკურ ეკლესიებთან და ამ გზით საჭირო მღვდლის გამონახვას კონსტანტინოპოლის ამ მონასტრისათვისაც. ეს გზა, დღევანდელ პირობებში, უთუოდ, რთულია, მაგრამ ერთადერთი შესაძლებელი და რეალური გზა იმისათვის, რომ კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური მონასტერი ისევ დარჩეს ქართველთა ხელში.

სხვათა შორის, ამ მონასტრის შესასვლელ რკინის ჭიშკარის ზემოთ გაკეთებულია სამენოვანი წარწერა: თურქულად -"გიურჯი კათოლიკ კილიზესი", ქართულად -"ქართველ მამათა სავანე, ქართული ტაძარი" და ფრანგულად-"სანქტუერ ჟეორჟიან დე ნოტრ დამ დე ლურდ".




გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

## რომის პაპი იოანე პავლე მეორე და საქართველოს პატრიარქი ილია მეორე:

1980 წლის 6-ს იუნისს რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ - რომში,ვატიკანის რეზიდენციაში მიიღო სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და ჰქონდა მასთან მეგობრული საუბარი.

უთუოთ, ისტორიულ მოვლენად უნდა ჩაითვალოს რომის პაპის იოანე-პავლე მეორესა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეხვედრა რომში, მით უმეტეს, რომ (სხვა) ისტორიული თარიღი მსოფლიო კათოლიკური ეკლესიისა და საქართველოს ეკლესიის მეთაურების შეხვედრისა,თუ ასეთს საერთოდ ჰქონდა ადგილი, ჩემთვის უცნობია. ამ შეხვედრის დროს,როგორც კორესპონდენტები იტყობინებოდენ, რომის პაპმა იოანე-პავლე მეორემ მეტად მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ეკლესიის დამსახურებას ქრისტიანული რწმენის დაცვის საქმეში როგორც მშვიდობიანობის, ისევე დევნის დროს. იოანე-პავლე მეორემ განუცხადა აგრეთვე საქართველოს ეკლესიის წარმომადგენლებს, რომ ყველა ქრისტიანის მთავარი ამოცანაა ერთიანობის აღდგენა რწმენის საკითხში.

აქ რომის პაპმ შეეხო იმ "თეოლოგიურ დიალოგს",რომელზედაც ლაპარაკი იყო,იოანე-პავლე მეორესა და კონსტანტინეპოლისა და მსოფლიო პატრიარქის დიმიტრიოს ის შეხვედრის შემდეგ; 1979 წლის 30-თ ნოემბერს გამოქვეყნებული კომუნიკეს იმ ადგილზე,სადაც ნათქვამია

შედეგი: ორივე მხარე "გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ ყველაფერი შესაძლებელი გაკეთდება მალე იმ დღის დადგომისათვის", როცა სრული ერთობა იქნება აღდგენილი კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის. ამგვარ "თეოლოგიურ დიალოგს" კი აწარმოებს სპეციალური კომისია, რომელიც შესდგება კათოლიკური და მართმადიდებლური ეკლესიების 31-ტ წარმომადგენლისაგან. ამ კომისიის პირველი შეხვედრა შესდგა საბერძნეთის კუნძულ პათმოსზე მიმდინარე წლის 29-ა მაისს, რომლის დროს ოფიციალურად გაიხსნა ამ კომისიის სესია; სამუშაო სესიები კი შესდგება საბერძნეთის კუნძულ როდოსზე. ამ კომისიაში, კათოლიკური ეკლესიის მხრიდან, შედის ქრისტიანული ერთობის ვატიკანის სამდივნოს პრეზიდენტი, კარდინალი იან ვილებრანტი; მხოლოდ მართლმადიდებლური ეკლესიებიდან კი კომისიამში შედიან რუმინეთის, პოლონეთის, უკრაინის, რუსეთის, ბულგარეთის, ჩეხოსლოვაკიის, საქართველოსა და სხვა ეკლესიების წარმომადგენლები; საქართველოს ეკლესიიდან ამ კომისიაში შედის ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსი, საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავჯდომარე ნიკოლოზი და ბათუმ-შემომქმედელი ეპისკოპოსი დავითი.

რა საკითხებში არსებობს უთანხმოება ქრისტიანულ ეკლესიებს შორის? - პირველმა უთანხმოებამ მხოლოდ ქრისტიანულ ეკლესიაში იჩინა თავი მე-5 საუკუნეში მხოლოდ საეკლესიო კრებაზე, რომელიც ჩატარდა 451-ტ წელს ქალაქ ქალკიდონში. კრების განხილვის უმთავრეს საკითხს შეადგენდა კონსტანტინეპოლელი არქიმანდრიტის ევტიქის მსწავლებლური სწავლების უარყოფა, რომელიც ამტკიცებდა, რომ იესო ქრისტეს ჰქონდა ერთი ღვთაებრივი ბუნება და ერთი ნებისყოფა, ე.ი. თვლიდა ღმერთად და არ თვლიდა ღმერთ-კაცად. ამ სწავლებას ეწოდა მონოფიზიტობა ანუ ერთბუნებიანობა. მხოლოდ საეკლესიო კრებაზე წაკითხულ იქნა პაპის ლევის წერილი, რომელშიც გადმოცემულია დოგმატი, რომ "იესო ქრისტე არის ჭეშმარიტი ღმერთი და ჭეშმარიტი კაცი, ჩვენი მსგავსი, ცოდვის გარეშე; განსხვავებისას მას აქვს ერთი პირი და ორი ბუნება, შეერთებული მასში ერთპირად, შეურევნელად და განუყოფელად."

[ქალკიდონის მსოფლიო საეკლესიო კრებაზე კოპტური,სომხური და სირიულ იაკობიტთა ეკლესიები გაჰყვენ მონოფიზიტურ,ე.ი.ქრისტეს მხოლოდ ღვთიური ბუნების რწმენას.

განხეთქილების მიზეზები  კათოლიკურ და მართმადიდებლურ ეკლესიებს შორის ასახულია შიზმათა, ე.ი."განხეთქილებათა" მთელს სერიაში,რომლებიც გამოიცა მე-9-ე საუკუნიდან მე-15-ე საუკუნემდე. ამ უთანხმოებათა მთავარი მიზეზებია შემდეგი:
მართმადიდებლური ეკლესიები არ სცნობენ რომის პაპის უზენაესობას, პირველობას და მის ავტორიტეტს რწმენის საქმეში. ამიტომაა, რომ კონსტანტინეპოლისა და მსოფლიო პატრიარქი, ამჟამად დიმიტრიოს პირველი, იწოდება "პირველად თანასწორთა შორის"("პრიმუს ინტერ პარეს"), რომლითაც ხაზგასმულია ცალკეული მართლმადიდებლური ეკლესიების,მათ შორის საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია,დამოუკიდებლობა. მართლმადიდებლური ეკლესიები აგრეთვე უშვებს ცოლ-ქმარის გაყრას განსაკუთრებულ პირობებში,მაგალითად, ღალატისას; კათოლიკური ეკლესია კი გაყრის უფლებას საერთოდ არ სცნობს.

როგორც ვხედავთ, უთანხმოება კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის ეხება რწმენის მეტად რთულ საკითხებს. ამიტომაა, რომ რომის პაპი იოანე-პავლე მეორე ქრისტიანული ეკლესიების გაერთიანებას შესაძლებლად თვლის მიმდინარე საუკუნის დამლევისათვის; კონსტანტინეპოლისა და მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს პირველი კი უფრო ფრთხილია ამ მოლაპარაკებების სანგრძლივობის საკითხში.

მაგრამ ერთი რამ უდავოა: კათოლიკურ და მართლმადიდებლურ ეკლესიებს შორის რაიმე საერთო ენის გამონახვა,უთუოდ, დადებითი მოვლენა იქნებოდა საქართველოს მთელი ცხოვრებისათვის,ვინაიდან ქართველი ხალხი,საქართველო ყოველთვის ხმელთაშუაზღვის,ე.ი.ევროპის კულტურის წრეს ეკუთვნოდა და ეკუთვნის რელიგიის სფეროშიც.

გესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..]

## მიხეილ თამარაშვილის ნეშცის გადასვენება საქართველოში:

1978 წლის 26 ნოემბერს შრობელმა მიწამ,
როგორც გაზეთი "ლიცერაცურული საქართველო" წერს თავის პირველი
დეკემბრის ნომერში - მიიბარა ექვს ათეულ წელზე მეცი ხნის
წინათ უცხოეთში გარდაცვლილი ქართველი მოღვაწე და მეცნიერი მიხეილ
თამარაშვილი. რა ვიცით ამჯერად ამ დიდი პიროვნების შესახებ?
მიკროფონთან არის დავით თაბორიძე:

1977-ი წლის სექცემბერში თურქეთში ვიმოგზაურე და,როგორც
წესი, ვინახულე კონსცანცინეპოლში-სცამბოლში ქართული კათოლიკური
მონასცერი,რომლის გამგეა უკვე რამდენიმე ათეული წლების განმავლო-
ბაში ქართველი დამსახურებული მოღვაწე - პავლე აკოფაშვილი. მან ჩვე-
ული ქართული სცუმართმოყვარეობით მიგვიღო მე და ჩემი მეუღლე,დაგვა-
თვალიერებია მონასცერი და ბოლოს,როგორც ნიშანი დიდი პაცივისცემისა,
მაჩუქა მიხეილ თამარაშვილის სქელცანიანი წიგნი საქართველოს ეკლე-
სიის შესახებ. ამ წიგნის ყდაზე ვკითხულობთ:

Michel Tamarati

L'ÉGLISE GÉORGIENNE

DES ORIGINES JUSQU'A NOS JOURS

ROME 1910

ესე-იგი:"მიშელ თამარაცი, - საქართველოს ეკლესია - დასაწყისიდან
დღემდე, რომი 1910 წელი". როგორც ვხედავთ, ის უცხოელ მეცნიერებში
ცნობილია მიხეილ თამარაცის,ე.ი.თამარაშვილის სახელით.

თვით ეს წიგნი სულ 710-თ გვერდიანია და კარგადაა გამოცემული,

[თუმცა ყდა თხელია. რაც შეეხება ამ წიგნის მეცნიერულ ღირსებას, მე ვიტყოდი, ეს არის არა მარტო საქართველოს ეკლესიის, არამედ საქართველოს, ქართველი ერის, როგორც ასეთის, რაობის მეცნიერული გარკვევა. მიხეილ თამარაშვილის ამ დიდი მეცნიერული ნაშრომის დასაფასებლად საკმარისია მოვიყვანოთ ილია ჭავჭავაძის აზრი, რომელიც მიხეილ თამარაშვილის ამ ნაშრომს "მეორე ქართლის ცხოვრების შემქმნელს უწოდებდა". და ილიას ეს სიტყვები არაერთხელ გაიმეორა გაზეთმა "ივერიამ", როგორც ახლა, თავის 17-ი ნოემბრის(1978) ნომერში იმეორებს გაზეთი "ლიტერატურული საქართველოც".

მიხეილ თამარაშვილის ცხოვრების (დასასრული) შეიძლება ტრაგიკულად ჩაითვალოს: ის დაიბადა მესხეთში; დაწყებითი განათლება მიიღო ახალციხეში; შემდეგ ის სწავლობდა კონსტანტინოპოლში, სადაც შეისწავლა ფრანგული, იტალიური, ლათინური და სხვა ევროპული ენები, რომ სხვადასხვა არქივში გაბნეული უცხოური საბუთები ორიგინალში შეესწავლა, და-ბოლოს დაამთავრა რომის სასულიერო აკადემია და მიიღო ღვთისმეტყველების მაგისტრის წოდება. ის დაიღუპა სულ 52-ი წლის ასაკში' ტრაგიკულად:

აღელვებულ ზღვაში სხვის საშველად გადაეშვა, ის სხვა იხსნა, ხოლო თვითონ დაიღუპა. ამ ტრაგიკულმა ამბავმა მაშინ მთელი იტალია შეძრა, განსაკუთრებით იმათში, რომლებიც კარგად იცნობდნენ მიხეილ თამარაშვილს, როგორც მეცნიერის ფასს. მიხეილ თამარაშვილი, რომელსაც იტალიელები მიშელ თამარატის სახელით იცნობენ, დაიღუპა ზღვაში სანტა-მარინელაში, ხოლო დაკრძალულ იქნა ჩივიტა-ვეკიაში; და მიხეილ თამარაშვილის საფლავის აღმოჩენაში დიდი ჯაფა გაუწევია მწერალ რევაზ თაბუკაშვილს, რომელსაც უკისრია აგრეთვე მიხეილ თამარაშვილის ნეშტის გადატანის საქმეც საქართველოში. და, როგორც "ლიტერატურული საქართველოს" მიმდინარე წლის პირველი დეკემბრის ნომერი იტყობინება, 26-ს ნოემბერს მიხეილ თამარაშვილის ნეშტი მიუბარებიათ ქართული მიწისათვის. რუსთაველის პროსპექტიდან თანთეონამდე, ქუჩები, როგორც იგივე გაზეთი იტყობინება, ხალხით იყო სავსე, ითქვა რამდენიმე გამოსათხოვარი სიტყვა, გაისმოდა ძველი ქართული საგალობლები, კლასიკური მუსიკის ჰანგები. დიდუბის პანთეონში კი, როცა მიხეილ თამარაშვილის ნეშტი]

- წერს გაზეთი -

ჩასვენებულ იქნა ქართულ მიწაში, გაისმა აკაკი წერეთლის დიდი ხნის წინათ ფირზე ჩაწერილი ლექსის სტრიქონები, თითქოს ისინი ჩვენს დიდ პოეტს საგანგებოდ ამ მოვლენისათვის დაეწეროს:

"ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო
ჩემო სამშობლო მხარეო,
სნეული დავბრუნებულვარ,
მკურნალად შემეყარეო...
...დედაშვილობას, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო..."

ეს შთამაგონებელი მოვლენა - დიდი მეცნიერის მიხეილ თამარაშვილის ნეშტის იტალიიდან საქართველოში გადასვენება - იძლევა იმის საბაბსაც, რომ ერთ დროს სხვა ქართველი დამსახურებული (ქართული) ნეშთებიც, რომლებიც მიმოფანტულია მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ეღირსება მარადიულ მოსვენებას საქართველოს მიწაზე. ამ-ჯერად კი, უთუოთ, დიდი მადლობის ღირსნი არიან ის პირები, რომლებმაც ეს სვედრი არგუნეს ჩვენს დიდ მეცნიერს მიხეილ თამარაშვილს.

და-ბოლოს უნდა აღინიშნოს მეცნიერ მიხეილ თამარაშვილის დიდი მეგობრისა და პატივსმცემლის, ქართლი კათოლიკური მონასტრის გამგის იაკობ აკოპაძვილის აზრი ამ დიდი ქართველი მეცნიერის შესახებ:

მიხეილ თამარაშვილი - თქვა მან ჩემთან საუბრისას ქართულ კათოლიკურ მონასტერში კონსტანტინეპოლში - იყო არა მარტო დიდი ქართველი და მეცნიერი, არამედ მეტად სათნო, კეთილი და უანგარო ადამიანი, როგორც ეს ასახიათებს ნამდვილ მორწმუნე ქართველ ადამიანს. მისი ღვაწლი საქართველოს, ქართველი ერის კულტურის სფეროში იმდენად დიდია, რომ მისი სრული განსჯვრეტა მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როცა მისი ეს ნაშრომი გადაითარგმნება და გამოიცემა ქართულ ენაზე საქართველოში, და ხელმისაწვდომი გახდება მკითხველთა ფართო მასებისათვისო.

ქართული კათოლიკური მონასტრის გამგის - პავლე აკოპაშვილის - ეს აზრი რომ მალე საქმედ იქცევა, ე.ი. მიხეილ თამარაშვილის ფრანგულ ენაზე დაწერილი ეს ნაშრომი ქართულად გადაითარგმნება და გამოიცემა - ამაში არავის არ შეიძლება ეჭვი შეეპაროს!..

...ესაუბრებოდათ დავით თაბორიძე!..

# ჯვარი ვაზისა

# 2

## საქართველოს საპატრიარქო

თბილისი—1978

## მიხეილ თამარაშვილი

ჯერ გაზეთებმა და ტელევიზიის ეკრანმა აუწყა საქართველოს მისი დაბრუნება... კუბოზე ისევ ცოცხლად ეწყო თურმე, 72 წლის წინათ დაკრეფილი ყვავილები... სხეული მისი უცხო მიწაში ჩაიმალა... სული კი, ის ძლიერი, ნათელი სული, იმ წუთიდან თავის სათაყვანო სამშობლოს ზეცას დაუბრუნდა...

ჩვენ, რა თქმა უნდა, ადრეც ვიცოდით მისი სახელი... უმეტესწილად, იქნებ ზოგადად, მაგრამ ვიცნობდით მის წიგნებს, შრომებს მისას, სამშობლოს სიყვარულით ანთებული გული რომ წერდა იმ შორეულ ქვეყანაში. იგი არის ავტორი უნიკალური წიგნისა — „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის". თავის დროზე ამ წიგნს დიდმა ილია ჭავჭავაძემ მეორე „ქართლის ცხოვრება" უწოდა...

ამაღელვებელია მისი ცხოვრების ისტორია, ამაღელვებელია მისი სიცოცხლის უკანასკნელი დღეც... მან, ქართველმა კაცმა, იქ, იტალიაში სხვისი სიცოცხლის გადასარჩენად გასწირა თავი... შემოდგომის თუ ზამთრის ერთ ნაღვლიან დღეს, ქუჩაში მიმავალმა უეცრად დაინახა, რომ მდინარეში ვიღაც იღრჩობა, ცურვა არ იცოდა, მაგრამ ერთი წამითაც არ დაფიქრებულა და წყალში გადაეშვა. მომაკვდავი გადაარჩინა, მაგრამ თვითონ დაიღუპა... მომხიბვლელია ეს ტრაგიკული და მაინც ულამაზესი დასასრული მისი სიცოცხლისა, ქრისტიანული დასასრული... ადამიანის ცხოვრებაში გადადგმულ ასეთ ნაბიჯს ხშირად დიდი შემოქმედების მწვერვალებსაც უთანაბრებენ... და ეს ასეცაა... ძვირფას წიგნებს შორის, რომელიც მან თავის ერს დაუტოვა, ერთ-ერთი საუკეთესო იმ უცნობი იტალიელი მოქალაქის გადარჩენილი სიცოცხლეცაა...

სწორედ ამის გამო და მადლიერების ნიშნად ჩაუტანებიათ მისთვის ეს მშვენიერი, ვინ იცის, ვისი ხელით მოტანილი ყვავილები... რომელთაც 72 წლის მანძილზე არ ეწერათ დაშლა... თითქოს სიმბოლურად, ცოცხალივით შენახულიყვნენ ისინი, რათა საბოლოოდ, ქართველი კაცის თვალს ენახა და ამ ხილვის ამსახველი, ამაღელვებელი კინოკადრები სამშობლოში ჩამოეტანა... სამშობლოში ჩამოეტანა თვით ნეშტი მისი...

ქართული ეკლესია, უწმიდესის ლოცვა-კურთხევითა და მადლიერების გრძნობით იხსენიებს ვინმე კორნელადო კურციოს, იტალიელ მოქალაქეს, რომლის უანგარო ზრუნვის შედეგად საგანგებოდ შეინახეს მიხეილ თამარაშვილის სამარე იტალიის ქალაქ ჩივიტავეკიას მონასტერში.

მადლიერების გრძნობით იხსენიებს მწერალ რევაზ თაბუკაშვილს, რომელმაც თამარაშვილის ნეშთი საქართველოში ჩამოასვენა.

რა საოცარი იყო ის დღე... ხალხი რომ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა ჯერ საქართველოს ხელოვნების მუზეუმის შენობისაკენ, შემდეგ, რუსთაველის პროსპექტის გავლით... მზეში ამრიალებული ჰადრების ხეივანსა და საზეიმო მდგომარეობაში მოპქონდათ ამჯერად უკვე ქართულ მიწაზე მოსული ყვავილებით შემკული მისი საოცრად მშვენიერი, თეთრი სასახლე.

დიდუბის წმიდა მიწას მიაბარეს იგი.

უმშვენიერესი ქართული გალობის ხმები სწვდებოდა სმენას... ქართველი გოგონების გალობის ხმები... დაბოლოს, რაოდენ სიმბოლური იყო დიდი აკაკის ხმა რომ გაისმა ეთერში:

„დედამშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმაბარეო..."

იყო ცრემლიც, იყო ღიმილიც და ყველაზე მეტი იყო სიხარული... ხალხმა, ქართველმა ხალხმა, ამ ნათელ დღეს ერთხელ კიდევ ღრმად იწამა თავისი უკვდავება... ერთხელ კიდევ ეზიარა იმ მაღალ სიწმიდეს, რომელიც ასე აუცილებელი და საჭიროა მისთვის...

და სიტყვებშიც, რომელიც იმ დღეს გაისმოდა იქ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ეს სიხარული და მადლიერება იგრძნობოდა.

„ჩვენი ერი და ეკლესია საუკუნეთა მანძილზე მუდამ იყო ერთად... დღეს ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა... ჩვენ დღეს ვართ ერთად და მომავალშიც მუდამ ერთად უნდა ვიყოთო" — თქვა თამარაშვილის გაჭრილ საფლავთან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

და მან, ვინც იმ დღეს ეს სიტყვები მოისმინა, ერთხელ კიდევ იწამა მისი ჭეშმარიტი სიბრძნე.

ჩვენმა დიდმა თანამემამულემ მიხეილ თამარაშვილმა თავისი კეთილშობილური მოღვაწეობა ხელუხლებელი საარქივო მასალების ძიებით დაიწყო. დრამატიზმით სავსე, მოკლე სიცოცხლეც ამ უვალ გზაზე დაასრულა. დიდია მისი ღვაწლი როგორც საერო, ისე სასულიერო მოღვაწეობის ასპარეზზე. ყველაფერი, რაც მან თავისი სიცოცხლის მოკლე დროში შექმნა, შეუდარებლად ძვირფასია და ერთი ადამიანის შესაძლებლობას აღემატება.

საქართველოს ისტორიისათვის უძვირფასესი საბუთების მიგნებამ, მათმა დამუშავება-გამოქვეყნებამ შარავანდედით შემოსა მისი სახელი. იმის გარდა, რომ მიხეილ თამარაშვილმა გამოსცა სამი წიგნი (მათ შორის, „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის"), მის პირად არქივში დამუშავებული და დაუსტამბავი დარჩა საინტერესო მასალა XVII საუკუნიდან მოყოლებული XVIII საუკუნის დასასრულამდე. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის საარქივო ფონდში შემონახულია მ. თამარაშვილის პირადი არქივი, რომელშიც თავმოყრილია ამ შესანიშნავი მკვლევარ-ისტორიკოსის მიერ მოძიებული სრულიად უცნობი ავტორების ფრანგულ-იტალიური და ლათინურენოვანი დოკუმენტები. ამ უცნობ ავტორთა რიცხვი 50-ზე მეტია.

საქართველოს ისტორიის ყველა უბანზე მოღვაწე მიხეილ თამარაშვილი პირველ ყოვლისა, ცდილობდა შეესწავლა ქართული ეკლესიის წარმოშობისა და განვითარების ყველა ეტაპი. საამისოდ მას ხელთ ჰქონდა უნიკალური ქართული წყაროები და მატიანეები. მან მთელი სიცოცხლე შეალია ამ საქმეს ვატიკანის ხელუხლებელ ფონდებში. რომის არქივში ზღვა მასალა დახვდა ქართული ეკლესიის ისტორიის გასაშუქებლად. და ამ სრულიად ახალი დოკუმენტების საფუძველზე საქართველოს ისტორიის მთელი რიგი უცნობი ფაქტები აღმოაჩინა და დაადგინა.

მ. თამარაშვილის მიერ მოძიებული ისტორიული დოკუმენტები ფასდაუდებელი წყაროა ქართული ეკლესიის სრულყოფილი შესწავლისათვის. ვატიკანის არქივიდან ამოკრებილი ხუთენოვანი საბუთები 1500 წლის პერიოდის ამბებს აშუ-

ქებს. საქართველოს ცხოვრების ამსახველი ეპისტოლარული დოკუმენტები ფართოდ გვახედებს საუკუნეების სიღრმეში და აქტუალურ სახეს აძლევს ეროვნული ისტორიის შესწავლის პრობლემებს.

იტალიელი მისიონერების მიერ აღწერილი XVII—XVIII საუკუნეების საქართველოს ვითარება რომ ფართოდ ცნობილი გახდეს, ეს დიდად შეუწყობს ხელს საქართველოს ისტორიის შევსებასა და მის სრულყოფილად დამუშავებას. ვატიკანის არქივში მოპოვებული ისტორიული მასალა, — იმის გარდა, რომ დღემდე გამოუქვეყნებელია, — სრულიად უცნობია ქართული ისტორიოგრაფიისათვის. მ. თამარაშვილის მიერ მიკვლეული საქართველოს ისტორიისათვის მნიშვნელოვანი წყაროები ძვირფას ცნობებს, ახალ დეტალებს შეიცავენ აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ვითარების შესასწავლად.

იტალიელი მისიონერების მიერ შემჩნეული საინტერესო ფაქტები, რომლებიც საქართველოს სინამდვილეში ხდებოდა, ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან გარდასული საუკუნეების ცხოვრებაზე.

როგორც ცნობილია, ქართველმა საზოგადოებამ უკვე გაიცნო დონ ჯუზეპე ჯუდიჩეს „წერილები საქართველოზე“, დონ პიეტრო ავიტაბილეს „წერილები საქართველოზე“, დიონიჯო კარლი და პიაჩენცას „თბილისის აღწერა“, ბორომეოს წერილი და სხვა. ამ მეტად საინტერესო ნაშრომებზე რომ დღეს ხელი მიგვიწვდება, მათი შესწავლა და ფართო საზოგადოებისათვის მიწოდება რომ შევძელით, ესეც ჩვენი სულმნათი მიხეილ თამარაშვილის დამსახურებაა. ზემოხსენებულმა ავტორებმა შემოგვინახეს უტყუარი ისტორიული ცნობები საქართველოზე და ამით ფასდაუდებელი მასალა შესძინეს ქართულ ისტორიოგრაფიას, სრულად ჩაგვახედეს თავიანთი საუკუნის ცხოვრებისეულ მატიანეში და მრავალი ფაქტობრივი მასალით ნათელი მოჰფინეს ჩვენი საისტორიო წყაროების ზოგიერთ ბინდით მოცულ საკითხს.

მართალია, მისიონერების საანგარიშო მოხსენებებს მოცულობით დიდი ადგილი არ უჭირავთ საისტორიო ლიტერატურაში (სულ 50 თაბახია), მაგრამ თავისი მნიშვნელობით დიდად ამეტებენ ბევრ სხვა ამგვარი ხასიათის თხზულებებს, რადგან ჩვენ გვაქვს თანამედროვეთა თვალით ნანახისა და გაგონილის უშუალო აღწერილობა, დაკვირვება, დოკუმენტურად ფიქსირება სინამდვილისა და არა რაიმე სუბიექტური მოსაზრების ინტუიციით გაანალიზება.

ისტორიული დოკუმენტების ენით დაწერილ მოკლე ინფორმაციებში, რომლებსაც მისიონერები სამოღვაწეო ქვეყნის ადგილსამყოფლიდან რომში გზავნიდნენ, დაწერილებითი ცნობებია შეკრებილი საქართველოს მკვიდრ მოსახლეობაზე და დროდადრო სრული ანგარიშია წარდგენილი ვატიკანში.

მ. თამარაშვილს თავისი ნაშრომების მეოთხე ტომში განზრახული ჰქონდა ეჩვენებინა სრული სურათი საქართველოს მღელვარე ისტორიისა XVI საუკუნიდან მოკიდებული XVIII საუკუნის დასასრულამდე.

მ. თამარაშვილის გამოუქვეყნებელ არქივში ქართული ისტორიოგრაფიისათვის სრულიად უცნობ წყაროთა შორის გამოირჩევა მისი-



ონერთა ეპისტოლარული დოკუმენტების კრებული და ვრცელი რელაციონები საქართველოზე, დელი ანჯოლის აღწერილობა ქეთევან წამებულის ტრაგედიისა. ამ საშინელი ამბის თვითმხილველი ავტორი შემზარავი სურათებით ხატავს, როგორ აწამეს ქეთევან დედოფალი შირაზში სპარსეთის მთავარსარდლისა და ბეგლარბეგის — იმამ-ყული-ხანის ბრძანებით. საინტერესო ცნობებს გვაწვდის XVIII საუკუნის საქართველოზე მისიონერ ლეონის რელაციონი. ეს გამოუქვეყნებელი წყარო შეიცავს ერეკლე II-სა და სოლომონ I-ის მეფობის პერიოდს. მასში განხილულია საქართველოს წყობილება, სათავადოები, მოხელე-ყმები; ნაჩვენებია ადმინისტრაციული ერთეულები, ტერიტორიული დაყოფა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში; ცალ-ცალკე დახასიათებულნი არიან ერეკლე II და სოლომონ I, სქემატურად გადმოცემულია სომხეთისა და ირანის პოლიტიკური მდგომარეობა და სხვა.

ვატიკანის არქივში მოპოვებული დოკუმენტების გარდა მ. თამარაშვილმა მიაკვლია სხვა უცხოელ ავტორთა ისეთ უცნობ ნაშრომებს, რომლებიც გვაწვდიან უძვირფასეს ცნობებსა და აღწერილობებს საქართველოზე. ასეთ ავტორთა რიცხვს ეკუთვნის დონ არქანჯელო ლამბერტის მეორე წიგნი, სახელწოდებით „წმინდა კოლხეთი, ანუ კოლხების წმინდა ისტორია", რომელიც ქართულად ჯერაც არ არის გამოცემული. მასში განხილული და შესწავლილია კოლხეთის სოციალურ-პოლიტიკური კულტურა და რიგი სხვა საკითხებისა. მოყვანილია იმდენად საინტერესო ფაქტები, რომ თავისი შინაარსით ხარისხობრივად სჯარბობს პირველ წიგნს — „სამეგრელოს აღწერილობას". მასში ჩამოთვლილია მთელი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს კულტურის ცენტრები. ისტორიული ექსკურსის შემდეგ ავტორი საგანგებოდ ჩერდება ზნე-ჩვეულებების ანალიზზე, შედარებებზე და სხვა.

მ. თამარაშვილის არქივში ყურადღებას იქცევს პიეტრო დელა ვალეს იხზულებებიდან ამოწერილი ის ადგილები, რომლებიც საქართველოს ამბებს მოგვითხრობენ; ცნობები მეტად საინტერესოა, რადგან ავტორი თანამედროვე იყო თეიმურაზ მეფისა, შირაზში პირადად გაეცნო ქეთევან წამებულს, ცოლად შეირთო ქეთევან დედოფალთან ახლო ურთიერთობაში მყოფი ქართველი ქალი თინათინ-ძიბა, რომელსაც თვითონ მარიუჩა დაარქვა.

ისევ და ისევ მ. თამარაშვილს უნდა ვუმადლოდეთ XVI საუკუნის პორტუგალიელი ავტორის დონ ანტონიო დე გოვეას რელაციონის გაცნობას საქართველოზე. იგი დღეს უმნიშვნელოვანესი ცნობების შემცველი წიგნია, ბიბლიოგრაფიული იშვიათობაა, რომელშიც თავმოყრილი ამბები უდიდესი ინტერესით იკითხება იმის გამო, რომ ავტორმა ძალზე დეტალურად აგვიწერა ქეთევან დედოფლის დროს სახელმწიფოებრივ მმართველობაში მომხდარი ფაქტები: დედოფლის შამახიაში გამგზავრება, მხედრულად გამოწყობილ ქართველ 300 ქალთან ერთად დიპლომატიური დემარშების მოწყობა და სხვა. მ. თამარაშვილმა გადმოიწერა იოსეფუს სილოსის ნაშრომის მეხუთე თავი, რომელშიც მოთხრობილია საქართველოში მოღვაწე მისიონერების ისტორია და გაშუქებულია ნახევარსაუკუნოვანი ამბები, როცა აღმოსავლეთ და, განსაკუთრებით, დასავლეთ საქართველოში მიმდინარეობდა დამანგრეველი შინაფეოდალური ომები და ამასთან დაკავშირებული სპარსეთ-თურქეთის აგრესიული ექსპანსიები საქართველოს ტერიტორიაზე.

გულმხურვალე პატრიოტს, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიური ისტორიის დასაწერად დიდძალი მასალა შეუგროვებია, რომლის დამუშავება და გამოქვეყნება მან ვეღარ შეძლო.

მ. თამარაშვილის დაღუპვიდან 72 წლის შემდეგაც მზის სინათლეს ვერ ხედავს მისი მთელი რიგი ნაშრომები.

**ხვიჩა გიორგაძე**



დიდების პანთეონი. მ. თამარაშვილისადმი მიძღვნილ მიტინგზე სიტყვას წარმოთქვამს უწმიდესი და უნეტარესი ილია II.



[illegible]

ათონის მთიდან ათენამდე
=====================

LXIII.

ურანოპოლისში დავრჩი ერთი დღე, რომ დამესვენა; იმდენი- კიარე ფეხით არა მარტო ათონის მთაზე, არამედ თვით იერუსალიმშიდაც,— რომ თან წაღებული ერთადერთი წყვილი სტაბილური ფეხსაცმელი დაიმალა და მისი შეკეთება დამჭირდა. ერთი დღის დასვენების შემდეგ, ურანოპოლიდან ავტობუსით გავემგზავრე თესალონიკისაკენ, ხაიდანაც თვითმფრინავით ჩავფრინდი ათენში, ხადაც მსურდა ერთი ქართველის ოჯახის ნახვა. [და, თუ შესაძლებელი იქნებოდა, ორი ახალგაზრდა ქართველი სტუდენტის ნახვა, რომლებიც, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა განაცხადა თავის ქადაგებაში პარიზში, 1980 წლის თებერვალში, პარიზის წმინდა ნინოს ეკლესიაში, - სწავლობენ ათენის უნივერსიტეტში ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე.]

ჩავედი რა ათენში, ჯერ წავედი პირეუსში, ე.ი. ათენის იმ ნაწილში, სადაც ნავსადგურია, და მივადექი ΛΕΩΦΟΡΟΣ ΣΥΓΓΡΟΥ-ს

გამზირის 104-ხ ნომერს, სადაც ცხოვრობდა ქართველი- მოხევე კონსტანტინე ხუჯაშვილი. როცა ათენში და შემდეგ ათონის მთაზე ვიყავი 1967-ი წლის იანვარში, მაშინ კონსტანტინე ხუჯაშვილს სურდა ჩემთან ერთად წამოსულიყო ათონის მთაზე და ერთად დაგვეთვალიერებინა "ივერიონის" ქართული მონასტერი, და ეს მე მეტად მახარებდა იმიტომაც, რომ კონსტანტინე ხუჯაშვილი, რომელიც 20-ან წლეებიდან ცხოვრობდა ათენში, ზედმიწევნით ფლობდა ბერძნულ ენას და,გახაგებია, მისი საშუალებით შეგვეძლებოდა "ივერიონის" მონასტრის ბერებთან ახე საჭირო გასაუბრება. მაგრამ,სამწუხაროთ, მაშინ კონსტანტინე ხუჯაშვილი ავად გახდა, საავადმყოფოში დააწვინეს და რამდენიმე თვის შემდეგ გარდაიცვალა. ახლა,15-ი წლის შემდეგ, მსურდა გამეგო თუ როგორ ცხოვრობს მისი მეუღლე - ოლია - და როგორ მიდის მისი ავტომობილის დიდი სარემონტო-სახელოსნოს საქმე,რომელიც - კონსტანტინე ხუჯაშვილის სიცოცხლის დროს ერთერთი უდიდესი იყო ათენში.

კონსტანტინე ხუჯაშვილს ჰქონდა აგრეთვე რამდენიმე პატენტი გამოგონებისა,რომლის მეშვეობით მან გამონახა გზები ავტომობილის შეკეთების დაჩქარებისა და ამით ნაკლები ხარჯებისათვის. საბოლოო ჯამში, ის იყო,ახე ვთქვათ, შეძლებული,რომლის საკუთრება იყო არა მარტო დიდი, მოდერნულად მოწყობილი საავტომობილო შესაკეთებელი სახელოსნო, არამედ მას ეკუთვნოდა უშველებელი ოთხ-სართულიანი შენობაც,რომლის დაბლა სწორედ ეს სახელოსნო იყო მოთავსებული; და ყველაფერი ეს ათენისა და დღეს მის გარეუბან პირეუს ფართე შემაერთებელ ლეოფორის სინგროუს გამზირზე, 104-ხ ნომერში.

მივედი რა ამ სახლის წინ, წარწერა "ხუჯაშვილი" ძველებურად იყო ამ სახლის მცხოვრებთა სიაში, მაგრამ ავტომობილის სახელოსნო უკვე აღარ არსებობს; აქ ახლა მოთავსებულია მაღაზია.

ვინაიდან კონსტანტინე ხუჯამვილის მეუღლე სახლში არ იყო, გადავწყვი-
ტე კიდევ ერთხელ დამეთვალიერებია ათენის მართლაც ღირსშესანიშნავი ადგილები, პირველ ყოვლისა, ანტიკური კლასიკური ხელოვნების ნიმუში აკროპოლის. აქაც, ჩვეულებისამებრ, ფეხით წავედი ამ ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად. (ფირი---)

Philopappos

[ჯერ ავედი ე.წ-ლ"ფილოპაპოს-გორზე",სადაც 115-ტ წელში აგებულ იქნა სირიელი თავადის ფილოპაპოს მეგლი,ესე-იგი,ეს სახელწოდება შედარებით ახალია და არა ანტიკური ხანის; დავათვალიერე აქ ის ადგილი, სადაც,გადმოცემით, იყო სოკრატეს საპყრობილე და აქედან მართლაც რომ შესანიშნავია ამ "ფილოპაპოს-გორაკის" პირდაპირ-მდებარე"გორაკზე-"აკროპოლისის"არქიტექტურულ-მხატვრული სიმშვენიერე.]

(ფ ი რ ი..........................)

==================================

---

დაპარაკობს დავით თაზორიძე ათენიდან, დღეს არის,პატივცემულო მსმენელებო,1981 წლის 28 აგვისტო და ახლა მე ვიმყოფები საბერძნეთის დედაქალაქ ათენში, იმ ადგილას სადაც არის ე.წ. ფილოპაპუს მთა,აკროპოლის მოპირდაპირე მხარეს და ვზივარ იმ ადგილას,სადაც გადმოცემით იყო ფილოსოფოსის სოკრატეს ციხე;და აი აქ ყოფილა სოკრატე იმ დროს,მეხუთე საუკუნეში ჩვენს წელთა აღრიცხვამდე,დაპატიმრებული.

[როგორც წინასაუბრებში გაგაცანით,ჩემი მოგზაურობა დაიწყო იერუსალიმით, ჩავედი იერუსალიმში,რომ მენახა ქართული ჯვარის მონასტერი და შემეწერა მისი დღევანდელი მდგომარეობა. ვიყავი რა იერუსალიმში,რაც უნდა,წავედი აგრეთვე იმ ადგილას,სადაც დაიბადა იესო ქრისტე,ე.ი.ბეთლემში,და ამის შემდეგ გავემგზავრე იერუსალიმიდან ათონის მთაზე. ათონის მთაზე წასასვლელად,რაც უნდა,აუცილებელი გახდა ჯერ თვითმფრინავით იერუსალიმიდან-ათენში ჩამოფრენა, შემდეგ ათენიდან-ფესალონიკში,ე.ი. ჩრდილოეთ საბერძნეთის ინდუსტრიულ ქალაქ ფესალონიკში ჩაფრენა; იქიდან შემდეგ წავედი ავტობუსით(დაახლოებით 200 კილომეტრი) ქალაქ ურანოპოლისში, რომელიც არის უკვე ათონის მთაზე,ათონის თეოკრატიული რესპუბლიკის საზღვართან,და იქიდან წავედი დაფნში მოტორიანი ნავით. დაფნიდან ავედი კარიაში. კარია ეს არის ათონის მთის მთავარი ქალაქი,და იქიდან მივედი ჩვენს ქართულ"ივერიონის"მონასტერში ფეხით,რაც გაგრძელდა კარიადან დაახლოებით ორ საათ ნახევარი. ივერიონის ქართული მონასტერი,როგორც მოგახსენეთ,მდებარეობს ათონის წმინდა მთის აღმოსავლეთით,დაახლოებით შუა ადგილას. დავათვალიერე რა ჩვენი ქართული]

მონასტერი, ამის შემდეგ ისევ დავბრუნდი ჭარიაში, ე.ი. ათონის მთის მთავარ ქალაქში; შემდეგ ისევ დაფნი; დაფნის შემდეგ ურანოპოლისში, ურანოპოლისიდან ფესალონიკში; ფესალონიკიდან შემდეგ ჩამოვფრინდი ათენში და აი ეხლა 1981 წლის 28 აგვისტოს ვარ ათენში, როგორც მოგახსენეთ, ე.წ. ფილოპაპუს მთაზე, იმ ადგილას სადაც გადმოცემით იყო სოკრატეს საცუხალო, ე.ი. სოკრატე იყო ამ ადგილას დაცუხალებული. ჩემს თვალწინ გადაშლილია პანორამა, პატივცემულო მსმენელებო, რომელიც, ასე ვთქვათ, კაცობრიობის ისტორიაში გასუმეორებელია: ეს არის აკროპოლისი.

ათენი დღეს, პატივცემულო მსმენელებო, არის მოდერნული ქალაქი. სხვათაშორის, უკვე რამოდენიმეჯერ ვარ ათენში ანტიკური, ე.ი. ძველი ბერძნული ნაგებობანი დავათვალიერე, მებადება ერთი და იგივე კითხვა: როგორც ცნობილია, ბერძნებმა კლასიკურ პერიოდში შექმნეს ისეთი შესანიშნავი ნაგებობა, როგორიც არის ესაკროპოლისი, სხვა ნაგებობანი, ხელოვნება, ლიტერატურა, თვით დემოკრატიის შამშობლოც ხომ ეს ათენი არის!.. და მიუხედავათ ამგვარი ჰუმანიტარული ხელოვნებისა, ლიტერატურისა , სახელმწიფოებრივი წყობილებისა, არსებობდა მონათმფლობელობა, ე.ი. ყველაფერი ეს, რასაც ჩვენ ნანგრევების სახით დღეს ვხედავთ, პრინციპში აგებულია სწორედ მონების მიერ და მიუხედავათ იმისა რომ ასეთი სახემწიფოებრივი–საზოგადოებრივი წესწყობილება არსებობდა შეიქმნა ხელოვენბა, ლიტერატურა სახელმწიფო მართვის დემოკრატიული წესი ,რომლის ცენტრში იდგა ადამიანი, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი. მაგრამ საინტერესოა აგრეთვე ის მომენტიც, რომ ანტიკურ პერიოდში– გიმნაზიებში–ადამიანებს ანვითარებდენ ორი მიმართულებით,

ადამიანის აღზრდა ხდებოდა ორი მიმართულებით: ფიზიკური და ამავე დროს გონებრივი; მაგრამ აღზრდაში არსად არ არის შრომა, ვინაიდან ანტიკური სრულყოფილი პიროვნება ეს იყო ფიზიკურად და გონებრივად განვითარებული ადამიანი, მაგრამ მისთვის შრომა არ იყო ცხოვრების არსებითი, ასე ვთქვათ, ატრიბუტი, ვინაიდან შრომისათვის მათ ყავდათ მონები. გაუგებარია ხელოვნებისა და საზოგადოებრივი წესწყობილების ამგვარი დაპირისპირება, ამგვარი შეუსაბამობა. როგორც ჩანს, საზოგადოებრივი განვითარება და ხელოვნების განვითარება ყოველთვის არ ემთხვევა ერთიმეორეს, რაც ისეთი რთული საკითხია, რომ ამის გარკვევა აქ, ჩემის აზრით, შეუძლებელია.

(ფირის დასასრული........)

შემდეგ ჩავედი ფეხით ე.წ-ლ"პრიქსის"=Pnyx-ფერდობზე, სადაც აკვანია ანტიკური დემოკრატიისა("დემოს"="ხალხი";"კრატეი"="ბატონობა"), და ერთ დროს ათენის დიდი მეფე პერიკლე თუ ათენის დიდი ორატორი დემოსტენეს ამ ადგილზე,-სადაც სიტყვის წარმომთქმელის სადგომი ადგილი დღესაც კარგადაა აქაურ ბუნებრივ კლდეში გამოკვეთილი,- ხალხს=დემოსს უსაბუთებდნენ თავიანთ შეხედულებებს და ხალხიდგანვე ღებულობდენ თანხმობას თუ უარყოფას. მართალია, ანტიკური დემოკრატიაც მეოთხე-მეხამე და მომდევნო საუკუნეებში,ჩვენს წელთაღრიცხვამდე,"გადაგვარდა","დაეცა", მაგრამ მისი საფუძველი იმდენად ძლიერი და შეურყეველი გამოდგა, რომ დღესაც თვით ყოველი ჯურის დიქტატორიც კი იძულებულია ზოგჯერ "დემოკრატიული" უწოდოს მის ბატონობას, რომ ამით მის ხელქვეითთა განსაზღვრული მორჩილება უზრუნველჰყოს.

ანტიკური ათენის ამ კრებების უშველებელი ოდნავ-ჩაზნექილი ადგილიდან, ჩავედი თესეის="თესეიონის" ანტიკურ ტაძართან,რომელიც ანტიკური აგორის,ე.ი.ბაზრის,საყრილობო ადგილის, საერთოდ ათენის=ატიკის კანონმდებლობის,მთავრობისა და მართლმსაჯულების ადგილი იყო მრავალგვარი ამ მიზნებისათვის განკუთვნილი ნაგებობებით, რომელთაგან ზოგიერთების ნანგრევები დღემდეც შემორჩენილია. თუ რა სილამაზის,სიმშვენიერის ადგილი იყო ეს აგორა და აქ მოთავსებული სხვადასხვა სახის ნაგებობანი, ამის თვალსაჩინო მეგლია დღეს ე.წ-ლი"ატალოს-სტოა",რომლის რეკონსტრუქცია მოახდინეს ამერიკელებმა ამ უკანასკნელ წლებში, და დღეს ყველას შეუძლია დატკბეს ამ 120-ი მეტრის სიგრძის, ორსართულიანი
კორინთული სტილის
სვეტებიანი გალერეის სიმშვენიერით, რომელიც მეორე საუკუნეში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე, იქნა აგებული.

აგორადან,ლოლიკურია, ავედი ზევით აკროპოლსზე, რომელიც თავისი ანტიკური კლასიკური ნაგებობების შედევრია საერთოდ: დასავლეთიდან შესასვლელი,ე.წ-ლი"პროპილეები",თავისი დორიული და კორინთული სვეტებით; მარჯვნივ 432-421-თ წლებში აშენებული ე.წ-ლი"ნიკეს",გამარჯვების ღმერთის ტაძარი-თავისი შესა-

ნიშნავი კოპწია კორინთული ხვეტებით; პერიკლეს მიერ 447-438-ტ წლებში აგებული აკროპოლის უდიდესი ცენტრალური ნაგებობა "პართენონის" ტაძარი,რომლის შემქმნელებია ცნობილი არქიტექტორები იქტინოს და კალიკრატეს, ხოლო მის მოჩუქურთმება-გაფორმება ცნობილ მოქანდაკე ფიდიას და მის მოწაფეებს ეკუთვნის, რომლის ცენტრში იდგა ფიდიას მიერ შექმნილი 12-ი მეტრის სიმაღლის, მოოქროვილ-მოვერცხლილი შედევრი-ძეგლი ე.წ-ლი"ათენა პართენოსი". ამ 72-ი მეტრის სიგრძისა და 34-ი მეტრის სიგანის ტაძარი გარშემორტყმულია ათ-მეტრიანი დორიული ხვეტებით, ჩუქურთმებით,ქანდაკებებით,რელიეფებით,რომლებიც გამოხახავენ,სხვათა შორის, ღმერთების ბრძოლას გიგანტების წინააღმდეგ.

პართენონის ტაძრის გვერდზეა 421-406-ს წლებში აგებული "ათენა პოლიას" ტაძარი,რომელიც მანამდე "ნახევრად-ღმერთს" ერეხტეიონსა და ათენის ქალაქის სხვა ღმერთებისადმი იყო მიძღვნილი, და ამიტომ დღესაც "ერეხტეიონს" უწოდებენ.

აკროპოლის ფერდობზე, აგორას მოპირდაპირე მხარეს, განლაგებულია ნაგებობათა მთელი კომპლექსი, რომლებიდან ყურადღების ცენტრშია"დიონისეს" თეატრი, სადაც,ანტიკურ ეპოქაში, წარმოდგენილი იყო ესქილეს, სოფოკლეს,ევრიპიდეს თუ არისტოფანეს დრამატული შედევრები. დღეს კი ამ თეატრის ნანგრევები შემორჩენილია "რომაული სტილით",ვინაიდან რომაელებმა გადააკეთეს,მათი ბატონობის დროს, ეს ბერძნული სტილის თეატრი, თუმცა მისი პირველადი ფორმის დანახვა, ასე თუ ისე, დღესაც შესაძლებელია. უფრო ახალი ხანის ე.წ-ლ "ოდეიონ ჰეროდეს ატიკუს", ე.ი."ატიკუს ამფითეატრი" აგებულ,უფრო სწორად, გამოკვეთილ იქნა კლდეში 160-ც წელს ქრისტეს დაბადების შემდეგ,რომელიც დღეს ნაწილობრივ აღდგენილია და ყოველ ზაფხულობით მასში იმართება ე.წ-ლი "ათენის თეატრალური ფესტივალი",რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ სხვადასხვა თეატრების დასები უცხოეთიდანაც. ერთ დროს, რამდენადაც მახსოვს, მგონი რუსთაველის თუ მარჯანიშვილის თეატრიც იყო მიწვეული ამ ფესტივალზე,მაგრამ რატომღაც მაშინ ვერ მოხერხდა ამის განხორციელება. მე კი,ვიყავი რა 1981 წლის 28-ა აგვისტოდან

31-ც აგვისტომდე ათენში,-30-თ აგვისტოს, კვირას ამ "აციკუს ამფი-თეატრში" დავესწარი სოფოკლეს ცნობილი ტრაგედიის "ფილოკლეტეს" დადგმას ახალ ბერძნულ ენაზე, რომელიც წარმოადგინა საბერძნეთის ეროვნულმა თეატრმა; გასაგებია, ამგვარი წარმოდგენის ნახვა ამ დიდი ტრადიციის ადგილზე, დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე, და ამ მხრივ არც მე ვარ გამონაკლისი. მაგრამ ვის შეუძლია აღწეროს ხელოვნების ყველა ის შედევრი,რომლებიც საბერძნეთში,რომ იტყვიან ხოლმე, "ყოველ ნაბიჯზეა"?.. ათენის ეროვნული არქეოლოგიური მუზეუმი,მაგალითად, ან დელფოსი და დელფოსის მუზეუმი, ანდა(კრეტა) ჰერაკლიონის არქეოლოგიური მუზეუმი, სადაც თავმოყრილია"მინოური კულტურის"(კნოსოსის სასახლე) ნიმუშები თუ სხვა მრავალ ბერძნულ და ელენისტურ კულტურის ნიმუშები,რომლებიც დღესაც ინახება დღევანდელი თურქეთის ხმელთაშუაზღვის განაპირა რაიონებში - განცვიფრებას არ იწვევს მნახველ-დამთვალიერებელში?..და ყოველთვის მე პირადათ მებადება კითხვა: როგორ მოხდა, რომ მონადმფლობელობის პირობებში წარმოიშვა ასეთი ჰუმანიტარული კულტურა,ხელოვნება, რომლის ცენტრში იდგა ადამიანი,როგორც პიროვნება, როგორც"ღვთიური არსება"?..ვითომ ჰუმანიტარული ხელოვნება ჰუმანიტალური საზოგადოების პარალელურად ვერ ვითარდება?..

შევწყვიტე არ მეტად რთულ საკითხზე ფიქრი, ჩამოვედი აკროპოლიდან დღევანდელი ათენის ქალაქში და შევედი დასასვენებლად ქალაქის შუაში-მდებარე ე.წ. ეროვნულ ბაღში,რომლის წინ გამყიდველები გამვლელთა თვალწინ ჭყინტ ხიმინდ წვავდნენ ხპეციალურ ნახშირის ქურაზე და ყიდდენ ერთ ტაროს 25-თ დრახმათ,მანეთით რომ ვინაგარიშოთ, დაახლოებით 30-თ კაპიკად. რა იქმა უნდა, მეც ვიყიდე ერთი ტარო შემწვარი ჭყინტი ხიმინდი,შევედი ბაღში და ხხვა მრავალ მოხეირნეთა შორის მეც შევექეცი ამ ჩემთვის მეტად გემრიელ საჭმელს.

აკროპოლისის დათვალიერების შემდეგ, წავედი ჩვენი თანამემამულის კონსტანტინე ხუჯაშვილის ოჯახის სანახავად; და აქ მხურს რამოენიმე სიტყვით შევეხო ამ ქართველის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

კონსტანტინე სუჯაშვილი:

კონსტანტინე სუჯაშვილი დაიბადა 1898 წელს სოფელ გერგეთში(ყაზბეგის რაიონი) და გარდაიცვალა ათენში 1967 წელს. სწავლა დაიწყო ყაზბეგში და ხუთი კლასის შემდეგ გადავიდა ქალაქ ორჯონიკიძეში,ხოლო შემდეგ თბილისში,სადაც სწავლობდა სამხატვრო სკოლაში. ის ისევ დაბრუნდა ორჯონიკიძეში და სწავლობდა სახელოსნო სასწავლებელში,რომელიც 1917-ი წლის რევოლუციის შედეგად დახურეს. როცა 1918-ი წლის 26-ს მაისს გამოცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, კონსტანტინე სუჯაშვილი მაშინვე წავიდა თბილისში და მოხალისედ შევიდა,თავის სამი წლით უფროს ძმასთან ერთად, საქართველოს ახალგაზრდა არმიაში. საქართველოს არმიაში ის განაწესეს არმიის ავტომობილის სამექანიკო სკოლაში,რომელიც მან წარმატებით დაამთავრა 1920 წელს. იმავე წლის დეკემბერში საქართველოს მთავრობამ დიპლომატიური მისია გაგზავნა თურქეთში, სიმონ მდივანის ხელმძღვანელობით -თურქეთის ქემალ-ფაშის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის, სიმონ მდივანი იყო ბოლშევიკ ბუდუ მდივანის უფროსი ძმა. ბუდუ მდივანი თვით ბოლშევიკებმა დახვრიტეს 1935 წელს, ხოლო მისი უფროსი ძმა სიმონ მდივანი გარდაიცვალა პარიზში 1937 წელს.

კონსტანტინე სუჯაშვილი იყო საქართველოს მთავრობის დიპლომატიური მისიის ტრანსპორტის ხელმძღვანელი, და როცა ამ მისიის წევრები ავტომობილებით ჩავიდნენ სამსუნში, უეცრად მოვიდა დიდი თოვლი, რის შედეგად საქართველოს მთავრობის მისიის წევრები ცხენებით გაემგზავრნენ ანკარისაკენ, ხოლო კონსტანტინე სუჯაშვილი დარჩა სამსუნში. ამასობაში, 1921 წლის თებერვალში დამოუკიდებელ საქართველოს თავს დაესხა საბჭოთა რუსეთის მრავალრიცხოვანი არმია,ლენინის ბრძანებით, და როცა საქართველო დაიპყრეს ბოლშევიკებმა, კონსტანტინე სუჯაშვილი იძულებული გახდა დარჩენილიყო

უცხოეთში. მან,როგორც ავტომექანიკოსმა, ჯერ სახელოსნო გახსნა სამსუნში, ხოლო 1925 წელს გადასახლდა საბერძნეთში. "ძნელი იყო უცხოეთში ნორმალური ცხოვრების პირობების შექმნა, - მომითხრო კონსტანტინე სუჯაშვილმა 1967 წელს ათენში, - მაგრამ სპეცია-ლობა მქონდა და შევძელი ჩემი ცხოვრების ასე თუ ისე მოწესრი-გებაო". მან ათენში ჯერ გახსნა პატარა ავტოსახელოსნო,შემდეგ თანდათანობით გაადიდა ისე, რომ მისი სახელოსნო ერთერთი უდიდესი საავტომობილო სარემონტო იყო მთელს ათენში - აღჭურვილი უახლესი მოწყობილობით; და ამ გზით, შეიძლება ითქვას, გახდა ის შეძლე-ბული და პატივცემული პიროვნება ათენში.

კონსტანტინე სუჯაშვილი, როგორც ავღნიშნე, გარდაიცვალა 1967 წელს ათენში, და მის პიროვნებაზე იმიტომაც შევჩერდი, რომ ხელთ მაქვს მისი ერთი ლექსი,რომელიც მან დაწერა 1921 წელს სწორედ იმ დროს, როცა საბჭოთა რუსეთის წითელი არმია იპყრობდა დამოუკიდებელ საქართველოს, და ამ ლექსში გამოსჭვივის მისი დიდი სიყვარული და თავდადება თავის-უფალი ქართველი ერის, თავის-უფალი საქართველოსათვის. აი ეს ლექსიც:

ერთხელ ზღვის პირას მჯდომარეს,დარდიდან ჩამძინებოდა,
ვხედავდი სიზმრად სამშობლოს, ვარდი უმანკო სჭკნებოდა.
მზე სხივებს რევდა უკვალოდ, მთვარე, ვარსკვლავი კრთებოდა,
ზღვა ტალღებს სცემდა, ღელავდა, ცა ქუხდა მიწა სწყდებოდა.

ბუნება ძაძაში ღრუბელს ცრემლებად ფწურფდა,
ურიცხვი მტერი ესვია, მკერდით ვერ უმაგრდებოდა,
მაგრამ დაცლილი სისხლითა, სულით არ უვარდებოდა.

ვხედავდი ჩემსა საყვარელს, საფლავში რომ ვარდებოდა,
ძველად დამტვრეულ-დაფუშულ ჯაჭვებში იხლართებოდა
და ბნელ ციხეში ტუსაღად, მონად იმასვე რჩებოდა.

გულის ფანცქალით წამოვხდი, სატრფოვე შელანდებოდა,
არა მჯეროდა მღვიძარსა, რომ საყვარელი კვდებოდა.
ისევ დავხუჭე თვალები, სიკვდილი შენატრებოდა,
რომ სატრფოს მკერდზე მე ღირსად სამუდმოდ დამძინებოდა.

========================

("შენ ხარ ვენახი")

ამგვარად, პატივცემულო მსმენელებო, მოვინახულე რა ქართული ჯვარის მონასტერი იერუსალიმში, შემდეგ ივერიონის ქართული მონასტერი ათონის წმინდა მთაზე, და გესაუბრეთ რა ამავე დროს ქართული კათოლიკური მონასტრის შესახებ კონსტანტინოპოლში-სტამბოლში, და ბოლოს კიდევ ერთხელ ავღნიშნავ, რომ მალე მოვესწროთ იმ დღეს როცა ამ ქართულ სავანეებში ისევ განაახლებენ მოღვაწეობას ქართველები, და ამით ისევ აღსდგება ის ტრადიციული კავშირები, რომლებიც არსებობდენ ამ წმინდა ადგილებსა და საქართველოს შორის.

და აქ მსურს მოვისმინოთ, პატივცემულო მსმენელებო, ზარების რეკვა ბეთლემის ქრისტეს დაბადების ტაძრიდან:

(ზარების რეკვა ბეთლემიდან......)

ივერიონის ქართული მონასტრის 1000-სი წლისთავი, მართალია, დიდი მასშტაბით არა,მაგრამ მაინც აღნიშნულ იქნა საქართველოში,რაც, უდავოა, მისასალმებელია. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ 1982 წლის 29-ა ოქტომბრის გაზეთ "ლიტერატურულ საქართველოში";

# კულტურის დიდი კერა

## ათონის ქართული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის 1000 წლისთავი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ორ დღეს მიმდინარეობდა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა ათონის ქართული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დაარსების 1000 წლისთავს.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ ცნობილი ქართველი, რუსი და უცხოელი მეცნიერები.

სესიაზე ქართველ მეცნიერთაგან სიტყვებითა და მოხსენებებით გამოვიდნენ: ალ. ალექსიძე, ალ. ბარამიძე, ნ. ლომოური, მ. ლორთქიფანიძე, ლ. მენაბდე, ე. მეტრეველი, მ. შანიძე, ე. ხინთიბიძე, გ. ჯიბლაძე, რუსი მკვლევარებიდან: ლ. ევსეევა, ი. ლებედევა, კ. პუცკო, ი. სალტიკოვი. მოხსენებები წაიკითხეს აგრეთვე უცხოელმა ქართველოლოგებმა: ჯ. ნ. ბერძოლმა, ქ. ვივიანმა (ინგლისი), ბ. ი. ოზარმა, ჟ. ლეფორმა, ჟ. პ. მაემ, ბ. უტიემ (საფრანგეთი), ვ. ბოედერმა, კ. ჰ. შმიდტმა (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), მ. ვან ესბრუკმა (ბელგია). ბევრმა მათგანმა მოხსენება ქართულ ენაზე წაიკითხა.

მონაწილეებმა აღნიშნეს ათონის ქართული სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის დიდი მნიშვნელობა და განსაკუთრებული წვლილი არამარტო ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის განვითარების საქმეში; ისაუბრეს ამ კერის დაარსების ისტორიაზე, მის დამაარსებლებზე, თვალსაჩინო ქართველ მოღვაწეებზე — იოანე და თორნიკე ათონელებზე, აგრეთვე აქ მოღვაწე დიდ ქართველ მთარგმნელებსა და განმანათლებლებზე: ექვთიმე და გიორგი ათონელებზე, გიორგი მცირეზე და ქართული კულტურის სხვა მნიშვნელოვან მოღვაწეებზე; განიხილეს ათონის კერაზე შექმნილი ჰაგიოგრაფიული თუ ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები, გაანალიზეს და შეაჯერეს მათი ცალკეული რედაქციები.

რეჟისორმა გ. პატარაიამ დამსწრეთ უჩვენა დოკუმენტური ფილმი „ათონი", ისაუბრა ფილმის შექმნის ისტორიაზე.

ახალგაზრდა მეცნიერმა ა. მიქაბერიძემ დამსწრეთ გააცნო ათონის სლაიდები.

სესიის დასასრულს ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა ცნობილ უცხოელ ქართველოლოგებს: ბერნარ უტიესა და ვინფრიდ ბოედერს.

უცხოელმა მეცნიერებმა ხაზი გაუსვეს ათონის კერის მნიშვნელობას, თქვეს რომ მისი როლი მართლაც განუზომელია მარტო ქართული კი არა, მსოფლიო კულტურისათვის, რადგან აქ არაერთი ძეგლი ითარგმნა ქართულიდან ბერძნულ ენაზე და ამ ენიდან კი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში გავრცელდა. ათონის მთაზე, საქართველოსაგან მოშორებით, ქართველებს მეტი საშუალება ჰქონდათ მჭიდრო ურთიერთობისა ბერძენ თუ სხვა ერის მოღვაწეებთან. მათ კმაყოფილება გამოთქვეს სესიის მუშაობით, აღნიშნეს მოხსენებათა მაღალი დონე.

ბერნარ უტიემ და ვინფრიდ ბოედერმა თქვეს: ამ სესიის განსაკუთრებული მნიშვნელობა ისაა, რომ ის ხელს უწყობს ქართველი მეცნიერებისა და უცხოელი ქართველოლოგების უფრო მჭიდრო კავშირსა და დაახლოებას.

შეკითხვაზე, თუ რაზე მუშაობენ ამჟამად, ბ. უტიემ თქვა, რომ ამზადებს „ძველქართულ-ფრანგულ ლექსიკონს", ხოლო ვ. ბოედერი მალე დაასრულებს ნაშრომს ქართველური ენების შედარებითი გრამატიკის საკითხებზე.

თავის მხრივ, მკვლევარებმა ჩვენი გაზეთის მკითხველებს უსურვეს დიდხანს სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ხოლო ქართველ მეცნიერებს—ათონის დიდი ტრადიციის ღირსეული გაგრძელება.



ათონის მონასტერი.

ლიტერატურული საქართველო, 29 ოქტომბერი, 1982

საყურადღებოა მხოლოდ, რომ ამ ცნობაში ლიტერატურა ათონის ქართველთა ივერიის მონასტრის მხოლოდ სამეცნიერო-საგანმანათლებლო და არა მის რელიგიურ-სულიერ მნიშვნელობა ზე.



ავთანდილ მიქაბერიძე მონასტრის წიგნსაცავში



პაატა ნაცვლიშვილი

# თანამედროვე არგონავტიკა

სამშობლო

1982 წლის იანვარი, № 2



ივერთა მონასტერი ათონის მთაზე

ათასი დაბრკოლება გამოიარა ბერძენთა ხომალდმა „არგომ", სანამ კოლხეთის ნაპირებს მოადგებოდა. ელადელ გმირებს და მათ წინამძღოლს — ძლევამოსილ იაზონს — ნაპირზეც არაერთი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდათ, სანამ ხელში ჩაიგდებდნენ ოქროს საწმისს — რაღაც იდუმალი ცოდნისა თუ სასწაულმოქმედი ძალის სიმბოლოს.

არგონავტთა მითი ქართული კულტურის ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ბავშვობაში იგი თავისი ზღაპრულობით გვხიბლავს, შემდეგ კი — გეოგრაფიული, ლიტერატურული, ისტორიული თუ ეთნოგრაფიული პარადიგმების სიღრმითა და სიმრავლით. ეს მითი მრავალ ბრწყინვალე ლიტერატურულ, მუსიკალურ თუ სახვითი ხელოვნების ნაწარმოებს დაედებოდა საფუძვლად და ამის ილუსტრაციად ევრიპიდეს, აპოლონიოს როდოსელის, ეჟენ დელაკრუას, ჟან ანუის, დარიუს მიიოს სახელებიც კმარა. ქართულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ მიუზღო თავისი წვლილი ამ ზოგადსაკაცობრიო მითს. თქმულება არგონავტთა შესახებ და მისი ლიტერატურული ვერსია-ინტერპრეტაციები დიდი ხანია სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერთა შეუნელებელი ყურადღებისა და საგანგებო შესწავლის საგნად იქცა. ამ მეცნიერთაგან ერთ-ერთი გახლავთ ავთანდილ მიქაბერიძე — ახალგაზრდა ქართველი ფილოლოგი. ბუნებრივია, ავთანდილ მიქაბერიძეზე წერილის წერა რომ დავიწყე, უპირველესად სწორედ არგონავტიკა ამოტივტივდა გონებაში.

1981 წლის 24 აპრილს გაზეთი „პრავდა" წერდა:

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა საბერძნეთიდან ჩამოტანილი ფასდაუდებელი რელიქვია — ათონის ივერთა ლავრაში დაცული ძველი ქართული ხელნაწერების 78 მიკროფილმი.

ამ მიკროფილმების გადაღებასა და ჩამოტანაში დიდი წვლილი შეიტანეს რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, კინორეჟისორმა გ. პატარაიამ და ახალგაზრდა ქართველმა მეცნიერმა, თბილისის უნივერსიტეტის აღზრდილმა ა. მიქაბერიძემ, რომელიც ახლა ათენის უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტზე სწავლობს".

გურამ პატარაიასთან ერთად მრავალი დაბრკოლების გადალახვა მოუხდა ავთანდილ მიქაბერიძეს, სანამ სანუკვარი ოქროს საწმისივით ხელში ჩაიგდებდა ათონის უძვირფასეს ხელნაწერთა მიკროფილმებს.

• • •

ძნელია ქართული კულტურის მეორე ისეთი ცენტრის დასახელება, რომელიც თავისი მნიშვნელობით ათონს გაუტოლდებოდეს. ათონის მთაზე მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები, მეცნიერები, სასულიერო მოღვაწენი, რომლებმაც, ერთი მხრივ, ევროპულ ცივილიზაციას აზიარეს საქართველო, ხოლო მეორე მხრივ, ქართული კულტურა გაიტანეს მსოფლიო არენაზე. ათონზე დაფუძნებული იყო ქართული ლიტერატურული და მთარგმნელობითი სკოლა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში უდიდეს როლს ასრულებდა ჩვენი ერის სულიერ ცხოვრებაში.

ათონის მთა ანუ მთაწმინდა (ბერძნულად — აიონ-ოროსი) ხალკიდიკის „სამთითა" ნახევარკუნძულის აღმოსავლეთის კიდეზე მდებარეობს და მისი სიმაღლე 2033 მეტრია. ათონზე ანტიკურ ეპოქაში მრავლად უნდა ყოფილიყო საკულტო ნაგებობები, რომელთა კვალი იგრძნობა ამჟამად, მთაწმინდაზე ქრისტიანობის ათასწლოვანი ბატონობის შემდეგ. დღესაც გვირგვინად ამშვენებს ათონის მთას XI საუკუნის ფერისცვალების ეკლესია, პირველი ქრისტიანული სალოცავი კი ამ მთის კალთაზე ათანასე ათონელს აუგია 1163 წელს.

„ათანასე დედით კოლხი იყო და მე დარწმუნებული ვარ, ქართულიც კარგად უნდა სცოდნოდა, — მეუბნება ავთანდილ მიქაბერიძე. — ყოველ შემთხვევაში, აშკარაა მისი სიმპათიები ქართველთა მიმართ. უდაოდ ათანასეს დამსახურებაც არის, რომ ქართველები პირველები ვართ უცხოელთაგან, რომლებმაც ათონზე საკუთარი მონასტერი ააშენეს, თანაც ლავრის აგებიდან სულ რაღაც ოცი წლის შემდეგ. ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ათანასეს ანდერძით მისი მემკვიდრე და მისი საქმის გამგრძელებელი ექვთიმე მთაწმინდელი გახდა. ათანასესა და პირველი ქართველი ათონელების ეს დამოკიდებულება გარკვეულწილად აისახა ათანასეს ლავრისა და ათონის ივერთა მონასტრის ტრადიციულ ურთიერთობაში. დღესაც კი ლავრის მთავარ დღესასწაულზე — ათანასეს დღეობაზე — ივერთა მონასტრის იღუმენი ან დელეგაციის ხელმძღვანელი არის მთავარი მწირველი, ხოლო ივერთა მონასტრის მთავარ დღესასწაულებს — ღვთისმშობლის მიძინებისა და ქტიტორთა დღეებს — ლავრის დელეგაციის მეთაური წარმართავს. ათონზე ბერძენ-ქართველთა თავდაპირველი ურთიერთობის ეს მომენტი, სამწუხაროდ, ჯეროვნად არ არის წარმოჩენილი თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში".

დღეს ათონი თეოკრატიული რესპუბლიკაა. იგი საუკუნეების განმავლობაში იცავს ავტონომიას და მხოლოდ კონსტანტინეპოლის პატრიარქს ცნობს. ათონს მართავს სხვადასხვა მონასტრის ოთხი ბერი, რომელთაც ყოველწლიურად ირჩევს წმინდა კინოტი ანუ სინოდი, ათონის ყველა მონასტრის თითო წარმომადგენელს რომ აერთიანებს და რომლის შემადგენლობა ყოველწლიურად ახლდება. ათონის დედაქალაქია პატარა დაბა კარეასი, დამოუკიდებლობის ნიშნად საკუთარი პოლიციაც რომ ჰყავს.

დღეს ათონზე ოცი დიდი მონასტერია (ბერძენთა, ქართველთა, სერბთა, ბულგარელთა, რუსთა...): ეს-

ფიგმენტ, სტავრონიკიტა, ხილანდრი, ზოგრაფუ, ვატოპედიუ, პანტოკრატორი, რუსიკონი, კარაკალუ და სხვა. ათონის ივერთა მონასტერს ივირონი ჰქვია („ტონ ივირონ“ „ივერთას“ ნიშნავს, მაგრამ ამ სიტყვამ თავისი სემანტიკა დაკარგა და ათონზე ძალზე ცოტამ თუ იცის მისი შინაარსი).

რაკიღა ქართველებმა საშინაო საქმეთა მოუწესრიგებლობის გამო ჯეროვანი ყურადღება ვეღარ მიაქციეს ივირონს, შუა საუკუნეების ბოლოდან იგი მთლიანად ბერძენთა ხელში გადავიდა, თუმცა ქართველი ბერები ლამის ჩვენს დღემდე მოღვაწეობდნენ ათონზე: უკანასკნელი ქართველი ბერი — ტიხონ ფაღავა 1958 წელს გარდაიცვალა, როცა 90 წლისა გახლდათ. დღეს საქართველოს ეკლესია ცდილობს ათონის მთაზე ქართველთა უფლებების აღდგენას და, რამდენადაც ვიცით, ამ მხრივ უკვე გადაიდგა პირველი ნაბიჯები.

„ეს თუ მოხდება, მე ერთი პირველთაგანი გადავალ ივირონში, — მითხრა სკანდინაველმა ასკეტმა ანტონიუსმა, რომელიც ათონის ერთ-ერთ მონასტერში გავიცანი. იგი უკვე ათი წელიწადია ათონზე ცხოვრობს და, როგორც აღმოჩნდა, დიდად დაინტერესებული ყოფილა საქართველოს ისტორიით, ქართული სიძველეებით, იმდენად, რომ ქართულის შესწავლაც კი დაუწყია. მე მას „დედაენა“ ვაჩუქე“.

ვათვალიერებთ ათონის მთაზე გადაღებულ ფერად ფოტოებსა თუ სლაიდებს. საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს თითქოსდა პირდაპირ ზღვიდან ამოზიდული დათოვლილი მთა, რომლის კალთები მწვანით შემოსილა, აქა-იქ მინდვრის ყვავილებივით გაფანტულა მონასტერთა შენობები.

„ეს იოანე ღვთისმეტყველის სავანეა. მეცხრამეტე საუკუნეში სავანეს თავი შეაფარეს ივირონიდან დევნილმა ქართველებმა. ეს სლაიდი პირველია, რომელიც მე ათონზე გადავიღე. ჩვეულებრივ, კარეასიდან ივირონში ერთი დანჯღრეული ავტობუსით დადიან, მაგრამ მე ათონზე პირველი ჩასვლისას, მიუხედავად იმისა, რომ ბარგი ბლომად მქონდა, ფეხით გავლიე საათნახევრის სავალი. ჩემს ქვემოთ ივირონი რომ გამოჩნდა, ლამის მუხლი მომეკვეთა; არა, დაღლილობისაგან კი არა. დამერია რაღაც გაურკვეველი გრძნობა, რომელშიც იყო აღტყინებაც, კრთომაც, სიამაყეც, მოლოდინიც... თავი ზღაპარში მეგონა...

ივირონის ანსამბლის არქიტექტურაში ქართული არაფერია, თუმცა იმ პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრება მეტად ძლიერია, — ეს ის ხანაა, როცა ვაშენებთ ტაო-კლარჯეთის ცნობილ საყდარ-მონასტრებს. ათონის პირველი აღმშენებლებიც სწორედ ტაო-კლარჯეთიდან ყოფილან, მაგრამ ათონზე მისულთ ათონური ქუდი დაუხურავთ, რაკი მათი უპირველესი მიზანი აქ დამკვიდრება ყოფილა და არა ქართული არქიტექტურის ნიმუშების შექმნა. თანაც, როგორც ეტყობა, ათონზე გაბატონებული არქიტექტურული სტილის დარღვევის უფლებას არ იძლეოდნენ. ეს სტილი კი გუმბათიან სამაბსიდიან ტაძარს გულისხმობს თავისი სენაკებით, სატრაპეზოებით, სიბლიოთეკებითა და სხვა სათავსოებით, სადაც შედარებით მეტი თავისუფლება ეძლეოდა მშენებელს...

ეს ჩემი მანქანაა — „რენო-12-ავტომატიკ“, თუმცა ამაზე მერე გიამბობ...“

ერთ სლაიდზე ჩვეულებრივი რუხი კატაა აღბეჭდილი.

„ეს კატა იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ მდედრობითი სქესისა გახლავთ. საქმე ის არის, რომ ათონზე არ დაიშვება არა მარტო ქალი, არამედ მდედრობითი სქესის ნებისმიერი სულიერი (აქ, რა თქმა უნდა, არ იგულისხმება გარეული ცხოველ-ფრინველი და მწერები, რომელთაც ბერები, ბუნებრივია, კონტროლს ვერ უწევენ). ერთადერთი გამონაკლისია კატა, რომელიც ათონელებს ვირთხებთან საბრძოლველად სჭირდებათ... ამ რამდენიმე წლის წინათ ერთ შენს კოლეგა ქალს კაცურად გადაუცვამს და ათონზე შეპარულა. ბერებმა იგი გამოაამჟღავნეს და, როგორც მითხრეს, დღესაც საპატიმროშია...

ეს ის ადგილია, სადაც, ტრადიციით, „პორტაიტისა“ — კარის ღვთისმშობელი გამოვიდა ზღვიდან. ჰო, სანამ „პორტაიტისაზე“ გეტყოდე: კარეასში, წმინდა კინოტის წინ დგას X საუკუნის ტაძარი — პროტატონი, რომლის გარეთა გალერეაში არის თორმეტი ქტიტორის — სხვადასხვა მონასტრის აღმშენებელთა ფრესკა. ჩვენთვის ეს ფრესკა იმით არის საინტერესო, რომ მასზე ორი ქართველია აღბეჭდილი. ერთი ექვთიმე გახლავთ, მეორეს კი წარწერა გაბრიელ ქართველად გვაცნობს. გაბრიელ ქართველი ათონის ივერთა მონასტრის ტრადიციულ ქტიტორებთან (იოანე, ექვთიმე, გიორგი) ერთად წყაროებში არ იხსენიება, მაგრამ მას მაინც თვლიან ქტიტორად, ვინაიდან მის სახელს უკავშირდება მონასტრის მთავარი ხატის — კარის ღვთისმშობლის — გამოტანა ზღვიდან. სასულიერო ლეგენდით, როცა ეს სასწაულმოქმედი ხატი ზღვიდან გამოვიდა, მას ვერავინ მიეკარა, რადგან ცეცხლოვანი შარავანდედი ადგა. ამ დროს მთიდან ჩამოვიდა ასკეტი გაბრიელი, რომელსაც წინა ღამეს ღვთისმშობელი გამოცხადებია სიზმარში და ზღვიდან ხატის გამოტანა უბრძანებია. გაბრიელმა ხატი ზღვიდან გამოიტანა და მონასტრის მთავარ ეკლესიაში დაასვენა. ამ ხატთან დაკავშირებული მეორე ლეგენდა გვიამბობს, რომ ხატი ყოველ ღამე გამოდიოდა ეკლესიიდან და კარის ზღურბლზე ჩერდებოდა, სანამ იგი საბოლოოდ არ დაასვენეს ტაძრის კარიბჭესთან და ამის გამო კარის ღვთისმშობელი — „პორტაიტისა“ — არ უწოდეს. მოგვიანებით მისი ასლი რუსეთში ჩაიტანეს და საგანგებო სამლოცველოც აუგეს. ეს ხატი რუსეთში ცნობილია „ივერიის ღვთისმშობლის“ სახელით და რუსული ეკლესიის ერთ-ერთ უძვირფასეს ხატად ითვლება. ალბათ გახსოვს: ტოლსტოის „ომსა და მშვიდობაში“ აღწერილი აქვს ხატის გამოსვენების გრანდიოზული სურათი, როცა მას ნაპოლეონთან გამარჯვებას ევედრებიან...

ამ კიპარისებთან საინტერესო ლეგენდაა დაკავშირებული. კიპარისები ათანასესა და ექვთიმეს დარგულია. მოხდა ისე, რომ ექვთიმეს კიპარისმა ზრდაში გაუსწრო ათანასესას. ათონის ბერებს დიდი დავა მოსვლიათ იმის გამო, თუ რომელი უფრო დიდი წმინდანი იყო — ექვთიმე თუ ათანასე. ამას წინათ (რა თქმა უნდა, „ათონური დროით“, თორემ ისე რამდენიმე საუკუნის ამბავს ჰყვებიან) ექვთიმეს კიპარისს მეხი დასცემია და ბერებიც მორიგებულან: ათანასე უფრო დიდი წმინდანი ყოფილა!..

ეს ეკლესია ივირონ-ლავრის გზაზეა. ექვსი საათის ფეხით სავალი ივერთა მონასტრიდან ათანასეს ლავრამდე და ამ გზაზე ბევრია ამგვარი მიტოვებული ნაგებობა. ისეა ბილიკები დაფარული ტყითა და ჯაგით, რომ ბევრს ადამიანი ვერც მიუდგება. აქ, ალბათ, სადმე ქართველთა კვალიცაა საგულვებელი...

ეს მონასტერიც ივირონ-ლავრის გზაზეა, ფილოთეოსი ეწოდება. XVI საუკუნის 40-იან წლებში იგი მთლიანად აღუდგენიათ კახეთის მეფეს ლევანს და მის ვაჟს — ალექსანდრეს. სატრაპეზოში არის მათი ფრესკაც, რომლის ბერძნული წარწერა გვაუწყებს: „ლეონ ვასილევს კახეტიუ“. სხვათა შორის, ეს წარწერა ჩვენში ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გამოქვეყნდა, ხოლო რაც შეეხება ფრესკას, იგი ქართველ მეცნიერთაგან არავის უნახავს — ეს ფერადი ფოტო პირველი ვიზუალური ინფორმაციაა მის შესახებ.

ეს მოლდო-ვლახიის პრინცია — მიხაილი, რომელმაც XVII საუკუნეში დააფინანსა აღდგენითი სამუშაოები ივირონის ლავრაში.

ეს კი, ჩემი ვარაუდით, იოანე თორნიკე-ყოფილი უნდა იყოს. ფრესკა ივირონის ეკლესიის გარეთა მინაშენშია და ბერძნებს მისთვის დღემდე არ მიუქცევიათ ყურადღება, თუმცა იგი მეტად საინტერესოა, რადგან მასზე, იოანეს გარდა, სხვა ისტორიული პირებიც არიან გამოსახულნი; ვთქვათ, ბასილი და კონსტანტინე...

ეს ივირონის ბიბლიოთეკაა, ადრე ბიბლიოთეკა მთავარი საყდრის ერთ-ერთ მინაშენში იყო. ოციოდე წლის წინათ კი მისთვის საგანგებოდ ააშენეს ეს ერთსართულიანი შენობა. ბიბლიოთეკის ქართულ განყოფილებაში ნაბეჭდ წიგნებიანად 106 ერთეულია დაცული. 105-ე ბერძნული წიგნია, რომელიც ბერებს მაინც ამ განყოფილებაში მოუთავსებიათ, რაკი რამდენიმე ქართული მინაწერი აქვს. ესაა იოანე ოქროპირის ლიტურგია და ბერძნებს იგი არ აღუნუსხავთ. 88 ქართული ხელნაწერის კატალოგებთან შეჯერებასა და გადანომვრას საკმაო დრო დასჭირდა. ამის გარდა, დავამუშავე კიდევ ერთი ქართული ხელნაწერი — „ივირონ-67“, რომელსაც არც ცაგარელი და არც ბლეიკი არ იხსენიებენ. ეს არის ახალი აღთქმა, ვფიქრობ, XII საუკუნის ხელნაწერი, და იგი თავისი მოჭედილი ყდის წყალობით, რომელიც XVII საუკუნისა უნდა იყოს, განძთსაცავში ინახება. წიგნს ახლავს ოთხი ორგანული (საკუთარი) და ერთიც ადრინდელი მინიატურა. გურამ პატარაიამ და ირაკლი ონოფრიშვილმა თავის ფილმში აჩვენეს ეს სახარება, მაგრამ მისი გადაშლა მაშინ ვერ მოხერხდა, რადგან საკეტი დაზიანებული იყო. ამჯერად კი გადავშალეთ და მისი მიკროფილმირებაც მოვახერხეთ.

დასასრულს კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო შემდეგი:

ვიმოგზაურე რა პირველად 1967-ი წლის იანვარში, ხოლო მეორეჯერ 1981-ი წლის 16-ი აგვისტოდან 31-ც აგვისტომდე ჯერ იერუსალიმში, სადაც დავათვალიერე "ჯვარის" ქართული მონასტერი, შემდეგ ათონის წმინდა მთაზე, სადაც დავათვალიერე "ივერიონის" ქართული მოსნასტერი, და ბოლოს კონსტანტინეპოლში, სადაც დავათვალიერებე ქართული კათოლიკური მონასტერი,

შევეცადე ჩემი დაკვირვებები და შთაბეჭდილებანი გამეზიარებია თქვენთვის, ძვირფასო მსმენელებო, რომლის დროს გაგაცანით მაგნეტოფონის ფირზეც ჩემ მიერ ჩაწერილი ხმა ამ ქართული კულტურის ცენტრების ხსვადასხვა ადგილებიდან. ვიმედოვნებ, ნაწილობრივ მაინც შევძელი ქართული კულტურის ამ ცენტრთა დღევანდელი მდგომარეობის გაცნობა, თუმცა ჩემი მთავარი სიძნელე ამ მოგზაურობისა იყო ბერძნული ენის უცოდინარობა. მაგრამ ვიმედოვნებ, რომ საქართველოს საპატრიარქო უფრო გააძლიერებს კავშირებს ბერძნულ საპატრიარქოებთან საბერძნეთში, კონსტანტინოპოლში და იერუსალიმში, რითაც ქართველებსაც გზა გაეხსნებათ ჯვარის თუ ივერიონის მონასტრებისაკენ. ეს კი იქნება იმის წინა პირობა, რომ მალე ქართველი ბერები უთუოთ გამოჩნდებიან ათონის მთაზე თუ იერუსალიმშიც, და, გასაგებია, რომ ახეთი პირები, თავის დროზე, უფრო ფართო და დასაბუთებულ ინფორმაციებს მიაწვდის საქართველოს, ქართველ ერს არა მარტო აღნიშნული ქართული კულტურის ცენტრების შესახებ უცხოეთში.

[მაგრამ შეიძლება ჩემი ეს რადიოდოკუმენტაცია "ივერიონის" ქართული მონასტრის ათასი წლისთავთან დაკავშირებით იმიტომაა საინტერესო, რომ ის არა ბერის, სასულიერო პირის, არამედ საერო პირისაგანაა შექმნილი?!..]

("შენ ხარ ვენახი"...)



Le R. P. PIERRE CARISTCHIARIANTI,
fondateur de la Congrégation géorgienne de Constantinople († 1890).



Couvent et église des Pères Géorgiens à Constantinople.



Notre-Dame de Lourdes
vénérée dans le sanctuaire des Pères Géorgiens à Constantinople.



Eglise latine de l'Immaculée Conception à Koutaïs, commencée en 1826 et achevée en 1860.



Eglise latine de l'Immaculée Conception, à Batoum, construite en 1903, aux frais d'Etienne Zoubaloff.




ათონის წმინდა მთა(საბერძნეთი)-"ივერიონის"ქართული მონასტერი



ათონის წმინდა მთა(საბერძნეთი) -"ივერიონის"ქართული მონასტერი
ეზო:ღვთისმშობლის ეკლესია(მარჯვნივ)-სამრეკლო(შუაში)-მთ.კამარი
დაარსების მე-1000 წლისთავი - 980/983 - 1980/1983 წლები

ΑΓΙΟΝ ΟΡΟΣ Ι. Μ. Ιβηρων
MOUNT ATHOS. Monastery of Iviron
MONT ATHOS. Monastere d. Iviron
BERG ATHOS. Kloster Iviron

Printed in




ღვთისმშობლის ეკლესია(მარცხნივ)
და მთავარი ეკლესია(მარჯვნივ)
დაარსების მე-1000 წლისთავი - 980/983 - 1980/1983 წლები



ათონის წმინდა მთა(საბერძნეთი) -"ივერიონის"ქართული მონასტერი
ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი
დაარსების მე-1000 წლისთავი - 980/983 - 1980/1983 წლები

Jerusalem






იერუსალიმი. ქართველ"ჯვარის"მონასტერი. "იმისი საფუძველი დიდის კონსტანტინე ბერძენი-და რომთა იმპერატორის დროს მირიან მეფეს დაუდვია". (მარი ბროსე). "ივერიის მეიდთა კულტურული მოღვაწეობა პალესტინაში განსაკუთრებით ინტენსიურ ხასიათს იღებს მას შემ-დეგ, რაც იქ მკვიდრდება დიდი ქართველი მოაზროვნე პეტრე იბერი(411-491): ი.სყოვმენი.

**Jerusalem: Kreuzkloster (im Hintergrund ein Teil der Neustadt Rehavia)**

JERUSALEM MONASTERY OF THE CROSS 5713

Tag

München/Tel Aviv

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 16.08.1981 Sonntag | 13.35 Uhr | Abflug München | | EL AL Israel Airlines |
| | 17.20 Uhr | Ankunft Tel Aviv | | Flug Nr. 352 Y-class |

Tel Aviv/Thessaloniki

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20.08.1981 Donnerstag | 07.20 Uhr | Abflug Tel Aviv | | Trans World Airlines |
| | 10.20 Uhr | Ankunft Athen | | Flug Nr. 847 Y-class |
| | 11.10 Uhr | Abflug Athen | | Olympic Airways |
| | 12.00 Uhr | Ankunft Thessaloniki | | Flug Nr. 906 Y-class |

Thessaloniki/Athen

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 27.08.1981 Donnerstag | 09.00 Uhr | Abflug Thessaloniki | | Olympic Airways |
| | 09.50 Uhr | Ankunft Athen | | Flug Nr. 905 Y-class |

Athen/München

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 31.08.1981 Montag | 18.45 Uhr | Abflug Athen | | Lufthansa |
| | 20.15 Uhr | Ankunft München | | Flug Nr. 317 Y-class |

Bitte lassen Sie sich Ihre Weiterflüge jeweils bei Ankunft rückbestätigen.

Wir wünschen Ihnen eine angenehme und erfolgreiche Reise!

# ათონის ივერთა მონასტერი



...DIVISION NATIONALITIES SERVICES

Responsible Editor:

GEORGIAN SERVICE

Producer:

DAILY FORMAT AND WORK PLAN

- 519 -

Date: Thursday

| .../Source and Date | Subject | Editor | Transl./Comp. | Producer | Voice | Min. |
|---|---|---|---|---|---|---|
| PART I. | BILLBOARD: | | | | | |
| | CONTENTS: | | | | | |
| | ANNOUNCEMENTS: | | | | | |
| | NEWS: - I. | | | | | |
| | " - II. | | | | | |
| | DAILY TOPICAL FEATURE | | | | | |
| | PRESS REVIEW | | | | | |
| | INTERNATIONAL POLITICAL AND ECONOMIC TOPICS | | | | | |
| | CROSS REPORTING AND OTHER TOPICS OF COMMUNIST AFFAIRS/ EAST EUROPE | | | | | |
| | GEORGIAN/USSR | | | | | |
| | Broadcast Schedule+Sign-off | | | | | |
| PART II. | Billboard: | | | | K.I. | 0:30 |
| | SPECIAL PROGRAM: | | | | | |
| Inasaridse | Radio-Documentation: 1000th Anniversary of Georgian Monastery "Iverioni"("Iviron") on Holy Athos: Holy Monastery of IVIRON............... Holy Monastery of Cross(Jerusalem)..... Holy Catholic Monastery (Constantinopol-Istambul )............................ (Interviews,Reportages,Quotations, Church Songs, Church Bells etc.......) | K.I. | | J.S. | K.I. | 29:0( |
| | Sign-off | | | | K.I. | 0:30 |

# ათონის ივერთა მონასტერი



საბჭოთა ხელოვნება

ჟურნალი გამოდის 1921 წლიდან

10 / 1982

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ყოველთვიური ჟურნალი

# პეტრიწონი — ბაჩკოვო

საქართველოს ძველი კულტურის ისტორიის წარმოსადგენად უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ ცენტრების შესწავლას, რომლებიც ჩვენი ქვეყნის გარეთ შეიქმნა. სამონასტრო ცენტრების შექმნა ადრიდანვე დამკვიდრდა უცხოეთის ქვეყნებში. მონასტერი, ფაქტიურად, კულტურის მრავალმხრივ ცენტრს წარმოადგენდა. აქ იქმნებოდა ლიტერატურული ნაწარმოებები, თარგმნიდნენ უცხო ენებიდან, მუშაობდნენ ხელნაწერი წიგნების გადაწერა-გამრავლებაზე, იგი იყო სწავლა-განათლების კერა.

კულტურის ეს ცენტრები ათეული და ასეული წლების მანძილზე შენდებოდა და ყალიბდებოდა. თითოეულს საკუთარი ისტორია ჰქონდა. ზოგმა მონასტერმა უფრო დიდხანს იარსება, ზოგის სიცოცხლე კი ხანმოკლე აღმოჩნდა, ვინაიდან მას სპობდა მტრულად განწყობილი რწმენის ხალხის იმ ადგილებში დამკვიდრება.

ქრისტიანული მონასტრები თუმცა ზოგჯერ სხვა რელიგიის მქონე ქვეყნებშიც განაგრძობდნენ არსებობას, მაგრამ მათ უწინდელი მასშტაბი უკვე აღარ ჰქონდათ.

საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების პირველი ხანებიდანვე, IV-V საუკუნეებიდან, ეგვიპტის, სირიის, პალესტინის არაერთი უდაბნო ახალ რელიგიას დაწაფებული ფანატიკოსების სამყოფი გახდა. IV საუკუნეში ეგვიპტეში მოღვაწეობდა ცნობილი ქართველი მოაზროვნე ევაგრე პონტოელი. ცნობილია ისიც, რომ V საუკუნეში ქართველებმა იქ ეკლესია ააგეს[1].

ქართველთა ლტოლვა წინა აღმოსავლეთის ქრისტიანული ქვეყნებისაკენ, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო რელიგიური პრინციპებით: მორწმუნენი ცდილობდნენ მიახლოებოდნენ ქრისტესა და მის მოწაფეთა კერებს. აინტერესებდათ ყველაფერი, რაც ახალ მოძღვრებაზე იყო დაწერილი. ისინი ამ წიგნების გადაწერა-გამრავლებაზეც მუშაობდნენ და თვითონაც ახალს ქმნიდნენ. სწორედ ქრისტიანული მოძღვრების ამ მძლავრ ცენტრებში თავს იყრიდა ქართველ ბერთა ერთი ნაწილი. ანტიოქია, სინა, ათონი, პალავრა, შავი მთა, საბაწმინდა, იერუსალიმი. აი, ის მთავარი ადგილები, სადაც ქართველებმა დაიწყეს მოღვაწეობა. პირველად სხვის სავანეებს შეკედლებულნი, შემდგომ თვითონ აშენებენ დიდ თუ პატარა მონასტრებს.

პალესტინაში, იერუსალიმსა და ბეთლემის მახლობლად პეტრე იბერის მიერ გაშლილი ფართო მასშტაბის მოღვაწეობა[2], ახლა ჩვენთვის ჭეშმარიტად დიდი განძია[3].

საბერძნეთის ტერიტორიაზე, ქალკედონის ნახევარკუნძულზე, ათონის ივერთა მონასტრის მოღვაწეებმა, X-XI საუკუნეებში, საქართველოსკენ მომართეს მაშინდელი სამყაროს მოწინავე კულტურის ნაკადი. ქართული ლიტერატურის განვითარებას დიდი ღვაწლი დასდეს XI საუკუნეში ექვთიმე და გიორგი ათონელებმა. დაუფასებელია ჰიმნოგრაფების — ბასილის, ზოსიმესა და ეზრას მოღვაწეობა.

ერთ-ერთი ასეთი ცენტრი, რომელიც შედარებით სხვა ცენტრებზე გვიან გაჩნდა, იყო პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში. ამ

მონასტერს სხვა რომ არავინ მოეცა გენიალური ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის გარდა, მაინც დიდების ღირსი იქნებოდა[4].

X-XII საუკუნეებში ბიზანტიაზე ძლიერი და მაღალი კულტურის ქვეყანა არ არსებობდა. საქართველოს მასთან სხვადასხვა დროს განსხვავებული დამოკიდებულება ჰქონდა. იმპერატორის კარზე არაერთ ქართველს უსახელებია თავი. ერთ-ერთი მათგანი იყო ტაოელი ქართველი გრიგოლ ბაკურიანის ძე.

გრიგოლი ჯერ ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის ნაწილში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ — დასავლეთში. მას, როგორც კარგ მებრძოლს და გონიერ გამგებელს, მიუღწევია იმპერიის ევროპული ნაწილის დომესტიკოსობამდე, მთავარსარდლობამდე, ამირსპასალარობამდე. მისი რეზიდენცია ყოფილა ადრიანოპოლში, ხოლო ადგილ-მამულები სხვაგანაც ბევრი ჰქონია. ერთ-ერთი მათგანი იყო ფილიპოპოლში, ბულგარეთის დღევანდელ ქალაქ პლოვდივში. სწორედ ამ ქალაქთან ახლოს, როდოპის მთებში, სტანიმაკიდან (დღევანდელი ასენოვგრადიდან) ათიოდე კილომეტრის მანძილზე სოფელ პეტრიჩში, დღევანდელ ბაჩკოვოში, 1083 წელს გრიგოლი აარსებს მონასტერს.[5] ამ სამონასტრო ანსამბლში შედიოდა სამი ეკლესია და ერთი სამარხი, საძვალე (კრიპტა).

თუ რა დარჩა ამ ნაგებობებიდან, ან რა არის მათში ქართული, ამის შესასწავლად მიმავლინა უნივერსიტეტმა 1979 წლის ოქტომბერში.

სოფელი ბაჩკოვო მდებარეობს მდინარე რეპელარსკას ვიწრო ხეობაში, რომელიც მაღალი მთებითაა შემოზღუდული. როდოპის მთებში გამავალი სატრანსპორტო გზა საბერძნეთში ჩადის. ჩანს, ყოველივე ეს გათვალისწინებული ჰქონდა ბაკურიანის ძეს, როცა მონასტრისათვის ამ ადგილს ირჩევდა. ბაჩკოვოს ერთ-ორ სართულიანი სახლები მჭიდროდაა ერთმანეთზე მიდგმული, რუხი კედლების ფონზე კრამიტით დახურული სახლები ლამაზი სანახავია.

პეტრიწონის მონასტერიც მდინარის მარჯვენა მხარეს, მცირე მანძილზე გაშლილ ფერდობზეა აღმართული.

ბაკურიანის ძეთა საძვალე, ანუ „კოსტნიცა", როგორც მას ბულგარელები ეძახიან, ოთხასიოდე მეტრზეა. მაღალი ფერდობის მწვანე ფონზე მიდგმული ეს აგურისფერი შენობა იშვიათი სანახავია. აქ საქართველოდან რამდენიმე ათას კილომეტრზე, ქართველთა კულტურის ცენტრია. ცხრაასი წლის წინათ გრიგოლ ბაკურიანის ძემ საფუძველი დაუდო დიდ ეროვნულ საქმეს, რამდენიმე ასწლეულის მანძილზე აქ ქართველები იღვწოდნენ. ახალი კულტურის წინსვლისათვის ზრდიდნენ მოაზროვნეებს.

პეტრიწონის მონასტრის შესწავლის საქმეში დიდ დახმარებას გვიწევს აკადემიკოსების — აკაკი შანიძისა და ნიკო ბერძენიშვილის შრომები. ისინი სპეციალური მივლინებით ბაჩკოვოში იყვნენ 1949 წელს. ბერძენიშვილმა მოგზაურობის დღიური „ძლევაჲ" (გამარჯვება) გამოსცა,[6] ხოლო შანიძის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართველთა მონასტერი ბულგარეთში" ყოველთვის იქნება გზის გამკვალავი და დასაყრდენი ამ სფეროში მომუშავეთათვის[7].

მშენებლობის დამთავრებისთანავე გრიგოლ ბაკურიანის ძეს თავისი მონასტრისათვის დაუწერია ტიბიკონი ანუ წესდება. მას მონასტერი გაუთავისუფლებია ყოველგვარი გადასახადისა და საკუთარ ნათესავთა პრეტენზიებისაგან. თვით მონასტერი კი საგანგებოდ მოუწყვია. მისთვის შეუწირავს ციხე-ქალაქები, სოფლები, საძოვრები, ზვრები, წისქვილი და სათევზაო ტბაც კი. მონასტერს ჰქონდა აგრეთვე საკუთარი საავადმყოფო, სამი სასტუმრო სახლი სხვადასხვა ადგილას. ამრიგად, მონასტერი ეკონომიურად სრულიად უზრუნველყოფილი იყო[8].

ეკლესია აივსო საეკლესიო წიგნებით, ხატებით, ჯვრებით, სამოსლით. მონასტერთან დაარსდა სკოლა, სემინარია, რომელთაგან საუკეთესონი მონასტრის მსახურნი ხდებოდნენ.

ტიბიკონის თანახმად, მონასტერში 50 ქართველი, ხოლო ერთი — ბერძენი უნდა ყოფილიყო. ბერძენი სჭირდებოდათ საბერძნეთში, ამ შემთხვევაში ბიზანტიის სამყაროში მიწერ-მოწერისათვის. როცა ერთიანი სამეფოს დასუსტების გამო პეტრიწონს დააკლდა

ქართველების ხელი, მონასტერი თანდათან ბერძნებმა იგდეს ხელთ[9].

მონასტრის ტიპიკონი, წესდება დაიწერა ორ ენაზე, — ქართულსა და ბერძნულზე.

თვით ტიპიკონში ამის თაობაზე ვკითხულობთ: „დაიწერა უკუე და დაემტკიცა წესი ესე განგებისა ამის პატიოსნისა მონასტრისა ჩუენისა... წ ე რ ი ლ ი თ ა ბ ე რ ძ ნ უ ლ ი თ ა დ ა ქ ა რ თ უ ლ ი თ ა“[10].

ტიპიკონის მიხედვით გრიგოლ ბაკურიანის ძეს პეტრიწონში აუგია სამი ეკლესია: მთავარი ტაძარი (ღვთისმშობლის სახელზე), ორი მომცრო ეკლესია (ნათლისმცემლისა და წმ. გიორგის სახელზე) და სამარხი, საძვალე, ანუ კრიპტა, რომელსაც ბულგარელები „კოსტნიცას“ ეძახიან. ამ ნაგებობიდან ჩვენამდე მოაღწია დაზიანებული სახით მხოლოდ განცალკევებით მდგარმა საძვალემ.

სამონასტრო კომპლექსი XV ს. მეორე ნახევარში თურქებმა ერთიანად გაუნადგურებიათ. მონასტრის აღდგენა დაწყებულა XV ს. ბოლოს და მის შემდეგ მშენებლობა, გადაკეთება, მოხატვა დღემდე გრძელდება. მონასტრის მთავარი ტაძარი კი ხელახლა აუგიათ 1604 წ.[11]

ბულგარელ სპეციალისტებს პირვანდელი ნაგებობის ნაშთების გამოსავლენად მცირე მასშტაბის გათხრები უწარმოებიათ და ტრიკონქის, ე. ი. სამაფსიდიანი ეკლესიის ნაშთები უპოვნიათ. თუ ეს ასეა, მაშინ უნდა ვიგულისხმოთ, რომ იგი საქართველოში X ს. მეორე ნახევარსა და XI ს. პირველ ნახევარში გავრცელებულ ტიპს იმეორებს. საქართველოში დიდი ზომის ეს ტაძრები ერთმანეთისაგან ძალიან შორი-შორს დგანან. ერთი ასეთია ალავერდი კახეთში, მეორე ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, მესამე—ოშკის ტაძარი ტაოშია. გრიგოლ ბაკურიანის ძე ხომ ტაოელი იყო. უნდა ვიფიქროთ, რომ მის მიერ შერჩეული ხუროთმოძღვარიც ტაოელი იქნებოდა. ძეგლის საბოლოო გათხრები სინამდვილეს დაადგენს. 1083 აგებული ტეტრაკონქის ტიპის ტაძარი დაამშვენებს ქართული არქიტექტურის ისტორიასაც. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ თუ XI ს. პირველ ნახევარში მრავლად გვაქვს ერთმანეთზე უკეთესი ძეგლები, იმავე საუკუნის მეორე ნახევრიდან კი თითქმის აღარაფერი მოგვეპოვება.

უშუალოდ მონასტრის ტერიტორიაზე XI საუკუნის რაიმე ძეგლი არ ჩანს, მაგრამ არის ოქრომჭედლობის ორი ბრწყინვალე ნივთი — ჯვარი გუმბათზე და ხატი — ეკლესიაში.

ჯვარი ამჟამად აღმართულია მთავარი ტაძრის გუმბათზე. იგი სპილენძისაა, მოოქროვილი. მკლავებსა და ბუნზე (ძირზე) ასომთავრული წარწერებია. მკლავებზე წარწერას აკადემიკოსები ნიკო ბერძენიშვილი და აკაკი შანიძე კითხულობენ, „ძლევაჲ იესუს ქრისტესი“. მართალია, ეს ჯვარი თავიდანვე ტაძრის გუმბათზე აღსამართავად არ ყოფილა დამზადებული, მაგრამ წარწერის ხასიათით იგი აკად. ნ. ბერძენიშვილს XI საუკუნისად მიაჩნდა. აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: „წარწერის შინაარსი და ჯვრის სიდიდე იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ეს „ძელი ცხოვრებისა“ შესაძლებელია სამხედრო დანიშნულებისა იყოს. ბუნებრივად გვაგონდება, რომ ტიპიკონში გრიგოლ ბაკურიანის ძის შეწირულებათა შორის იხსენიება „საზოლავროჲ ჯვარი ერთი ვერცხლისაი ოქროჲთა ცურვებული“.

ავტორი ამ ჯვარს გრიგოლის საზოლავრო, სამხედართმთავრო ჯვრად მიიჩნევს[12].

ამ ჯვრის წარწერა უფრო გვიან განიხილა აკად. აკ. შანიძემ და იგი პალეოგრაფიული ნიშნებით XIV საუკუნით დაათარიღა.[13]

მონასტრის ყველაზე ძველი და ყველაზე საინტერესო ნივთი ხატია. მას მთავარ ტაძარში მთავარი ადგილიც უჭირავს. მისთვის ეკლესიის შიგნით, კართან ახლოს, სპეციალური ჩარდახია გამართული. მას განათებაც სპეციალური აქვს.

ეკლესიაში შემსვლელი მლოცავი პირველად ამ ხატს ემთხვევა.

მლოცველთა ერთმა ნაწილმა არც იცის თუ რა ხატთან აქვს საქმე, მაგრამ ეკლესიის მსახურ-გამგებლები სასწაულმოქმედად თვლიან უამრავი ლეგენდის გამო, რომლებიც მასზე არსებობს.

ეს ხატი ჯერ არ არის მეცნიერულად სათანადოდ შესწავლილი, პირველი ფენა, რომელიც ხეზე დახატულ ღვთისმშობელს გამოსახავს, პეტრიწონის მონასტრის აგების დროინდელი უნდა იყოს. ღვთისმშობლისა და ჩვილის სახე ცუდადაა შემონახული. ხატი მოოქროვილი ვერცხლით მოუჭედიათ 1311 წელს. მომდევნო საუკუნეებში იგი დაზიანებულა და 1819 წელს ხელახლა მოუჭედიათ. დაზიანებული ადგილები დაუფარავთ[14].

1311 წელს რელიეფურ მოჭედილობაზე შესრულებული ვრცელი ასომთავრული წარწერა მრავალმხრივაა საინტერესო.

წარწერის ცნობათაგან, უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ იგი მოუჭედიათ პეტრიწონში ბერად აღკვეცილ ტაოელ ძმებს — ათანასი და ოქროპირ ეგნატის შვილებს[17]. აქედან აშკარად ჩანს, რომ XIV საუკუნეში პეტრიწონის მონასტერი ჯერ კიდევ ქართველების ხელშია და ორი ბერიდან ერთი მოძღვარია, მასწავლებელია, ე. ი გრიგოლის მიერ XI ს-ში დაარსებული სკოლა-სემინარია კიდევ არსებობს. შესაძლოა, მონასტრის მსახურთა შევსება, ცელა ისევ ტაოდან ხდება, ალბათ, ტრადიცია გრძელდებოდა.

ტაო, ხატის გაჭედვის დროს, მონგოლთა ბატონობის გამო, სამშობლოს სანახევროდ მოწყვეტილი იყო. წარწერაში „ქართლის" მეფეებად კი მოხსენიებულია კონსტანტინე და დიმიტრი. ასეთი სახელის მეფეები ამ ეპოქაში ქართულში არ არიან ცნობილნი. აკადემიკოს ა. შანიძის ვარაუდით, კონსტანტინე უნდა იყოს იმერეთის მეფე, დიმიტრი კი — მისი მემკვიდრე[18].

ბოლოს საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ ხატი დამკვეთებს დაჯდომიათ 125 პერპერი (ბიზანტიური ოქროს მონეტა).

მონასტრის ეზოში უამრავი სხვადასხვა დანიშნულების შენობაა. იქვე, ერთ მონაკვეთში განლაგებულია მონასტრის მუზეუმი. იქ საინტერესო ნივთი ბევრია, მაგრამ ძველი და იქვე ქართული არაფერი ჩანს.

მთავარი ეკლესიის სამხრეთით, ძველი სატრაპეზოს ადგილზე, XVI ს-ში ახალია აგებული. იგი შიგნით და გარეთ XIX საუკუნეში მოუხატიათ. როგორც ეტყობა, აქ ტრადიციას, ისტორიას თუ გადმოცემებს მეტად დიდ პატივს სცემენ.



პეტრიწონი. ბაკურიანისძეთა საძვალე

სატრაპეზოს გარე კედელზე, რამდენიმე მეტრის სიგრძეზე, პეტრიწონის პანორამაა დახატული[17]. ცენტრში დიდი ზომით გამოხატული არიან მონასტრის დამაარსებელნი, ტაოელი ძმები—გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძეები. მათ შორის დგას ბიზანტიის იმპერატორი ალექსი კომნინოსი. მხატვარს განმარტებითი წარწერაც დაურთავს: „მშენებელნი მონასტრისა გრიგოლი და ასპასიოსი ძმა მისი. ალექსი კომნინოსი იმპერატორი".

იქვეა დახატული ის პროცესია, რომელიც ყოველი აღდგომის მეორე დღეს იმართება და



ბაჩკოვოს მონასტერი. ღვთისმშობლის ხატი. 1311 წ.

ღვთისმშობლის ქართულ ხატს კლოვიაში, ოდესღაც გადამალვის ადგილას, მიასვენებს.

სატრაპეზოს შიდა კედლები მოხატულია 1643 წ. აქ მრავალ სცენას შორის ერთი იპყრობს ყურადღებას. ეს არის სამხრეთით, მაღლა მდებარე სცენა — მაღალი კოშკისებური შენობა და მის გვერდით წამოწოლილი მამაკაცი წარწერით: „მადლი მისი“. ბერები განმარტავენ: ეს ის კაცია, ვინც ქართული ანბანი შემოიღოო[18]. საიდან იციან, გადმოცემით?

ქართული ანბანის შემომღების გამოსახულება საქართველოშიც არა გვაქვს და როგორ გაჩნდა იგი ბულგარეთში?

ბულგარეთის დამპყრობლებმა, ოსმალთა ურდოებმა, XV ს. მეორე ნახევარში მონასტერი დაანგრიეს, მაგრამ, როგორც ეტყობა, სამარხ შენობას ყურადღება არ მიაქციეს, რადგან მოცილებით, განცალკევებულად დგას. მას არ ჰქონდა ქრისტიანული რელიგიის დაცვის ან გავრცელების დანიშნულება.

სამარხი წვრილ და გრძელ ორსართულიან შენობას წარმოადგენს (ზომები: 20,0×7,0 მ.). იგი მაღალ, ციცაბო კლდეზეა მიდგმული, ამიტომ მისი დათვალიერება სამი მხრიდან უკეთ ხერხდება.

შენობა ორსართულიანია. სართულები შიდა გადაწყვეტით თითქმის ერთნაირია, ხოლო დანიშნულებით განსხვავდებიან. ქვედა სართული სამარხს წარმოადგენს, ხოლო ზედა სამლოცველოა, ეკლესიაა. პირველი სართულის იატაკში 15 ქვის სარკოფაგია ბერების ძვლებით.

აქვე, საძვალეს შიგნით, ან გარეთ უნდა იყოს დამკვეთის, გრიგოლ ბაკურიანის ძისა და მისი ძმის აბაზის საფლავები, მაგრამ მინიშნებული არ არის.

ნაგებობა გარედან მხატვრულადაა დამუშავებული. პირველ სართულს, კედელზე მიდგმის გამო, მხოლოდ ორი ფასადი აქვს. ორივეს მხოლოდ კონსტრუქციული თაღები ახლავს. დასავლეთის თაღი, ფაქტიურად, შესასვლელის მომჩარჩოებელია.

პირველისგან განსხვავებით მეორე სართულის ოთხივე ფასადი ერთი მიდგომითაა დეკორირებული: ესაა თაღედი. იგი ოთხივე ფასადს უწყვეტად გასდევს. ლილვოვანი ფორმის თაღედი დამახასიათებელია სწორედ XI საუკუნის საქართველოსთვის, ბულგარეთში კი იგი გვხვდება მხოლოდ ასი წლის შემდეგ. შესაძლოა, გრიგოლ ბაკურიანის ძემ ხუროთმოძღვარი საქართველოდან, კერძოდ, ტაოდან წაიყვანა.

შენობა უკანასკნელი ორასი წელი უსახურავოდ მდგარა. ჩანგრეულ კამარაში ჩასულ ნალექებს კედლები დაუზიანებია და ფრესკები ჩამოურეცხავს. შედარებით უკეთაა მოღწეული პირველი სართულის კედლის მხატვრობა.

საძვალეს მხატვრობას ბევრი სპეციალისტი შეხებია, — ბულგარელები, ფრანგები, რუსები... ბულგარელი სპეციალისტები, განსაკუთრებით ბოლო წლებში, აშკარად სწორ გზას ადგანან და კარგად ხედავენ თუ რა არის საძვალეს არქიტექტურაში ქართული, ან ბულგარული. ამ მხრივ გამოირჩევა ე. ბაკალოვა, რომელმაც „კოსტნიცას“ მხატვრობაზე საკანდიდატო დისერტაცია დაიცვა და სქელტანიანი წიგნიც გამოსცა[19].

მართალია, ავტორი საძვალეს მხატვრობის პირველ ფენას XII საუკუნის მესამე მეოთხედით ათარიღებს და არა XI საუკუნის უკანასკნელი წლებით, როგორც ეს ლოგიკური იქნე-

ბოდა მშენებლობასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს არ არის საბოლოო დასკვნა.

საჭირო იქნება არა მარტო ბიზანტიისა და კერძოდ კონსტანტინეპოლის სკოლასთან პეტრიწონის მხატვრობის შედარება, არამედ ქართულ ფრესკებთანაც. XI-XII საუკუნეების ქართული მხატვრობის სტილისტიკური ანალიზი, იმდროინდელი ბიზანტიური სამყაროს კედლის მხატვრობასთან ერთად, მოგვცემს ოპტიმალურ პასუხს პეტრიწონის მხატვრობის თარიღზე. ამ სკრუპულოზური სამუშაოს ჩატარება ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა ვალია.

წინასწარი დაკვირვებით ფრესკული მხატვრობის პირველი ფენა მონასტრის აგების დროინდელია, 1083 წელსაა შესრულებული. მეორე ფენა მართლაც XII ს. მეორე ნახევრისა ჩანს.

არის მესამე ფენაც, რომელიც მიეკუთვნება XIV ს. შუა ხანებს. ეს ის პერიოდია, როდესაც ბულგარეთის ტერიტორიიდან ბერძნები განდევნა და ქვეყნის შემაკავშირებელი-გამაძლიერებელი გახდა მეფე ივანე ალექსანდრე (1331-1371 წწ.), რომელმაც აღორძინა მონასტერი და მას დიდი ქონება შესძინა. მეფე იქვე მეორე სართულის კარიბჭეშია დახატული.

ამ შენობის ფრესკულ მხატვრობაში ქართველთა მუშაობის ორი მომენტია აღსანიშნავი. პირველი და მთავარია ქართული წარწერა, რომელიც კედლიდან 1896 წ. გადმოუწერია პროფ. დ. ლასკოვს (სამწუხაროდ, ეს წარწერა 1912 წ. უკვე აღარ ყოფილა. თუ თხუთმეტი წლის განმაელობაში ეს ერთი წარწერა გაქრა, 900 წლის განმაელობაში რამდენი დაიკარგებოდა!).

ამ ძველქართულ-ასომთავრულ წარწერაში იკითხება: „წმინდა გიორგი ქაშუეთისა". გრიგოლ ბაკურიანის ძემ პეტრიწონში აგებული სამი ეკლესიიდან ერთ-ერთს მებრძოლი წმინდანის გიორგის სახელი უწოდა და ქაშუეთს მიუძღვნა[20].

მეორე წარწერა ბერძნულად იყო შესრულებული. იგი 1931 წ. გამოცემული აქვს პროფესორ ი. გოშევს. წარწერის ქართული თარგმანი ასეთია: „მოიხატა ყოვლად პატიოსანი ესე ტაძარი ზემოთ და ქვემოთ იოანე მხატვრის იევროპულოსის ხელით და თქვენ წამკითხველნო, ილოცეთ ჩემთვის წინაშე უფლისა".

ეს წარწერაც კარგა ხანია აღარ არის. წარწერით ირკვევა, რომ ფრესკული მხატვრობის შემსრულებელია იოანე ივეროპულოსი. მკვლევართა უმრავლესობა მას ქართველად მიიჩნევს[21], ნაწილს კი ეჭვი ეპარება: „იეეროპულოსის", ე. ი. „ქართველიშვილის" ქართველობა აუცილებელი არ არისო[22].

ჩემი აზრით, აქ მაინც საგულისხმოა იოანეს იევროპულოსობის ხაზის გასმა. ფაქტი ნამდვილად დამაფიქრებელია!.

1974 წ. მეორე სართულზე, კარიბჭის ჩრდილო კედელზე მეფე ივანე ალექსანდრეს გვერდით აღმოჩენილა ქართული ასომთავრული წარწერა, სადაც იკითხება „იოანე ღმრთისმეტყველი"[23].

შესაძლოა, ეს წარწერაც „იევროპულოსის" ქართველობაზე მეტყველებდეს.

საძვალის პირველი სართულის კარიბჭის ჩრდილოეთის ნიშაში მოთავსებულია ფრესკა მონასტრის მშენებლების — გრიგოლისა და აბაზი ბაკურიანის ძეების გამოსახულებით. გრიგოლს, როგორც აშენებელს, ეკლესიის

გრიგოლ და აბაზ ბაკურიანისძეები. პეტრიწონი. ბაკურიანისძეთა საძვალე.



მოდელი უჭირავს. ორივე ფიგურა მოძრაობაში საკმაოდ ექსპრესიულად არის გადმოცემული. ჩაცმულობა მდიდრულია. კომპოზიციას აგვირგვინებს პატარა ქრისტე, რომელიც ლოცავს მათ საქმიანობას.

იმავე კედლის მარჯვენა ნიშაში მოთავსებულია ეკლესიის მეორედ აშენებლები, განმაახლებლები — გიორგი და გაბრიელი (ეს განახლება XIV საუკუნეში მომხდარა). სამწუხაროდ, მხატვრობა ძალიანაა დაზიანებული და, გარდა იმისა, რომ სამონაზვნო ტანისამოსში არიან გამოწყობილნი, სხვა არაფრის თქმა შეიძლება. ისინი პირისპირ დგანან და თითქოს რაღაცაზე ცხარედ კამათობენ.

როგორც აღვნიშნეთ, პირველი სართულის კედლის მხატვრობა უკეთაა შემორჩენილი. პირველი სართულის კედლის მხატვრობის თემატიკა ძირითადად დაკავშირებულია მარტირიუმების, წმინდანთა სამარხების ციკლთან. ხშირად გვერდიგვერდ არის სცენები ბიბლიიდან და სახარებიდან.

საძვალეს აფსიდს შემორჩა დეისუსის სცენა. სავარძელში ზის ქრისტეს ძლიერი ფიგურა. მისი სახისა და მკერდის ნაწილი აცვენილია, შედარებით უკეთაა მოღწეული მარცხნივ მდგარი ღვთისმშობელი, რომლის დგომაში, ვედრების პოზაში შერწყმულია ღვთაებრიობა და დედის სიკეთე, ზრუნვა ადამიანებზე. კომპოზიციის ფერები საკმაოდ მაყორულია. აქ მოიისფრო ფონზე ღვთისმშობლის წითელი მოსასხამი და ყვითელი შარავანდი სასიამოვნო კონტრასტს ქმნის.

მთელი დასავლეთის კედლის თაღზე დიდი სცენაა წინასწარმეტყველი იეზეკიელის ცხოვრებიდან. მხატვარი ერთნაირი ძალით გადმოსცემს შიშველ თუ ჩაცმულ ფიგურებს, როგორც სხვაგან, ისე აქ, მთავარი ყოველთვის გამოყოფილია.

ქვედა რეგისტრზე, აფსიდაში და სხვა კედლებზეც, მრავლადაა გამოსახული წმინდანები. თითოეულ მათგანს აქვს განმარტებითი ტექსტი, მაგრამ მხოლოდ ნაწილია დარჩენილი.

შედარებით კარგადაა დაცული მხატვრობა საძვალეს კარიბჭეში. აქ, ჩრდილოეთის ნიშებში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქტიტორთა ორ-ორი ფიგურა მოთავსებული, ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის კედლებზე „დღეგანკითხვისას" მრავალჯგუფიანი სცენებია განლაგებული. ფიგურები გამოირჩევიან მშვიდი, წყნარი პოზებით. მხატვარი ხშირად მიმართავს წითელ ფერს. აქაც იგი ღვთისმშობლის მოსასხამზეა გამოყენებული. იქვე, კარის თავზე დიდი სცენაა. ტახტზე მჯდომი ღვთისმშობლის უკან, ორსავე გვერდით, თავდახრილი მთავარანგელოზები დგანან. ღვთისმშობლის ტანსაცმელი მუქი შვინდისფერია. ამავე ფერს აძლიერებს ფონის თეთრი ფერი, რომელიც სავარძლის ზურგზეა გაფენილი. კონტრასტისათვის ანგელოზების მოსასხამები მუქი მწვანეა, შარავანდი კი მოყავისფრო, მთლიანად სურათი სიმშვიდის გამოხატულებაა.

მეორე სართულის ფრესკები ძალიანაა დაზიანებული, მაგრამ მხატვარ იოანე იეროპულოსის გამოცდილი ხელი ყველგან კარგად ჩანს. აქ უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ავტორი მსოფლიო ქრისტიანული ეკლესიის აღიარებულ სწავლულ-მოღვაწეთა გვერდით ათავსებს ისეთ დიდებულ ქართველ მოღვაწეებს, როგორიცაა ილარიონ ქართველი და გიორგი და ექვთიმე ათონელ-მთაწმინდელები. ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ არცერთი მათგანი არ არის მხატვრის თანამედროვე, მაგრამ ისე ცნობილნი იყვნენ, რომ ასეული წლების შემდეგაც იგონებენ და ეკლესიაში საპატიო ადგილს უჩენენ.

დასავლეთის კედელზე ამ სამი ქართველი წმინდანის გამოსახულება თითქმის ნატურალური ზომითაა მოცემული. ფეხზე მდგომი სწავლული-ბერები მკაცრ პოზებში არიან გამოსახულნი. სამივე წვეროსანია, მაგრამ თითოეულ მათგანს ინდივიდუალური სახე აქვს. ტანისამოსის ფერებით და მოძრაობითაც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

ეკლესიის საკურთხევლის კონქი დაზიანებულია. მხატვრობა ქვემოთ შედარებით კარგადაა მოღწეული. კრიპტას (საძვალეს) საკურთხევლის კონქში ცენტრში თუ ქრისტე იყო, აქ ღვთისმშობელია. მარიამს კალთაში ჩვილი უზის, გვერდით მთავარანგელოზები არიან. კონქი ორნამენტოვანი ფრიზითაა გამოყოფილი. სარკმლების თავზე, მედალიონებსა და სწორკუთხედებში წმინდანების წელზევითი გამოსახულებებია. ქვედა რეგისტრი მოკავებული აქვთ ბასილ დიდის, გრიგოლ ღვთისმეტყველისა და სხვათა გამოსახულებებს. ეკლესიის მამათა პოზები ჩვეულებრივია იმ ეპოქისათვის.

ეკლესიის კამარა მთელ სიგრძეზე ჩანგრეულია და დღეს დროებითი სახურავი აქვს. გვერდით კედლების არქიტექტურული დამუშავება კარგად ჩანს. თითოეული მხარე პილასტრებითა და თაღებით ოთხ-ოთხ არათანაბარ მონაკვეთადაა დაყოფილი. თაღის დონეზე, კედლებზე მხატვრობა ორ რეგისტრადაა განლაგებული. სცენები სახარებიდან ძირითადად ზედა რეგისტრზეა განთავსებული. ქვემოთ მრავალფიგურიანი კომპოზიცია სულ ორია, დანარჩენი ადგილი კი მოკავებული აქვს წმინდანთა ცალკეულ ფიგურებს.

ზედა რეგისტრიდან აღსანიშნავია — აფსიდის მომდევნო თაღებზე, ზიარების სცენები. ერთ მხარეზე თუ პურით ზიარებაა, მეორე მხარეს — ღვინით. ამას მოსდევს ნათლისღება, იერუსალიმად შესვლა, გარდამოხსნა და სხვა.

დასავლეთის კედლის თაღის არეში ღვთისმშობლის მიძინების რთული სცენაა წარმოდგენილი.

ეკლესიის კარიბჭის კედლებზეც უხვადაა ნახატი, მაგრამ ამჟამად ამათგან ჩვენ გამოვყოფთ მხოლოდ ორს: ღედაღვთისა ყრმით ხელში, მოთავსებული ეკლესიის კარის ტიმპანზე და მეფე, გამოსახული ჩრდილოეთის კედლის მარცხენა თაღში.

მეფე ბულგართა სათაყვანებელი ის ივანე ალექსანდრეა, რომელმაც XIV საუკუნეში ქვეყანა შეაკავშირა, ბიზანტიელები განდევნა და პეტრიწონის მონასტერიც განაახლა. ფიგურის დგომა, მისი ძლიერი სახე მართლაც კარგად გადმოსცემს მხატვრული ხერხებით იმას, რაც მასზე მატიანეების ფურცლებზე თქმულა.

ორივე სართულის მხატვრობას უხვად ახლავს მცენარეული და გეომეტრიული ორნამენტი.

პეტრიწონის, ბაჩკოვოს სამონასტრო ნაგებობები, განსაკუთრებით კი სამარხი ეკლესია, მისი არქიტექტურა, მხატვრობა, წარწერები, უდავოდ დიდი მნიშვნელობის ძეგლია, აუცილებელია მისი კომპლექსური შესწავლა. ქართველი სპეციალისტების მუშაობა ბულგარელ კოლეგებთან ერთად, ალბათ, თავის ნაყოფს გამოიღებს.

სოფიაში სამხატვრო აკადემიის ხელოვნებათმცოდნეობის კათედრასთან შეხვედრისას გამოითქვა საერთო აზრი, რომ მოხდეს ლექტორთა გაცვლა. ისინი ბულგარული ხელოვნების ციკლს წაგვიკითხავენ. ჩვენ კი ქართული ხელოვნების ციკლს წავუკითხავთ. ასეთი გაცვლა, ჩემი აზრით, მეტად სასარგებლო იქნება.

ბულგარეთიდან ჩამოტანილ დიდძალ მასალას დამუშავება სჭირდება. ჩვენს წინაპართა ნაამაგარს, დიდი ფილოსოფოსის იოანე პეტრიწის სამყოფელის ისტორიას, ეგებ, მცირე რამ მიემატოს.

პარმენ ზაქარაია

[1] ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, გვ. 9, 277.

[2] შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I, თბ., 1956, გვ. 137—171.

[3] გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ. 1960.

[4] ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში, თბ., 1971 წ.; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, თბ., 1980, გვ. 253—276.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. II, თბ., 1948, გვ. 18, ლ. მენაბდე, მით. ნაშრ., გვ. 260—261.

[6] ნ. ბერძენიშვილი, ძლევაჲ, თბ., 1949.

[7] ა. შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ. 1971.

[8] იქვე, გვ. 69—74.

[9] ა. შანიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22.

[10] აკ. შანიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 125.

[11] Бачковски Ставропижален монастыр, стр. 2.

[12] ნ. ბერძენიშვილი, ძლევაჲ, გვ. 3.

[13] ა. შანიძე, მით. ნაშრ., გვ. 363—364.

[14] Г. Н. Чубинашвили. Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, стр. 625-626.

[15] ნ. ბერძენიშვილი, ძლევაჲ, გვ. 33—35.

[16] აკ. შანიძე, მით. შრ., გვ. 360—361.

[17] გ. ჩავრიკოვი, ბაჩკოვოს მონასტერი, საბჭოთა ხელოვნება, 1980, № 1, გვ. 87.

[18] აკ. ურუშაძე, ქართული კულტურის კერა ბულგარეთში, თბ., 1969, გვ. 54—55.

[19] Е. Бакалова, მით. შრ. გვ. 175—184, 215—219.

[20] ნ. ბერძენიშვილი, დას. შრ., გვ. 30—31.

[21] Е. Бакалова, დას. შრ. გვ. 218.

[22] ნ. ბერძენიშვილი, დას. შრ., გვ. 30.

[23] Р. Сирадзе. Новооткрытая древнегрузинская надпись из Костницы бачковского монастыря. Всесоюзная научная конференция, Тб., 1975, стр. 103.

SUMMARIES OF ORIGINAL SCRIPTS

GEORGIAN SERVICE
Language

Date: 1980/1983

| Author | Summaries(please double-space; |
|---|---|
| | **SPECIAL PROGRAMS:** |
| Inasaridse | GEORGIAN MONASTERY"IVERIONI"("IVIRON") ON HOLY MOUNT ATHOS: |

Reports and Documents

1000th Anniversary of the Georgian Monastery "Iverioni" was mentioned in a few Articles in Soviet Georgia.

Radio Liberty Nationalities Services sent Mr. Inasaridse to the centers of Georgian Culture in Jerusalem, where that is the Georgian Monastery of the Holy"Cross", and to the Holy Mount Athos, where that is Georgian Monastery "Iverioni"("Iviron"). From August 16,1981 to August 31,1981 materials were gathered, Interviews taken, Church Songs, Church Bells etc. recorded in the Monasteries of the Holy"Cross"and "Iverioni", and also in the Georgian Catholic Monastery in Constantinople-Istanbul.

The Georgian Service broadcast and will continue to broadcast SIXTY-SIX HALF-HOUR Special Programs on those subject every Thursday during 1982/1983.

Source:

Georgian Monastery of Holy "CROSS"(Jerusalem,Isreel).

Georgian Monastery "IVERIONI" on Holy Mount Athos(Greece).

Georgian Catholic Monastery in Constantinople-Istanbul.

## ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვა.....................................................1

რადიორეპორტაჟები: 1967 წელი: **1967**

წინასიტყვა.....................................................4

"ჯვარის" მონასტერი - 1 - ..............................6

"ჯვარის" მონასტერი - 2 - ..............................16

"ჯვარის" მონასტერი - 3 - ..............................23

"ჯვარის" მონასტერი - 4 - ..............................30

"ჯვარის" მონასტერი - 5 - ..............................37

ქართული კათოლიკური მონასტერი.......................50

"ივერიონის" მონასტერი - 1 - ..........................65

"ივერიონის" მონასტერი - 2 - ..........................74

"ივერიონის" მონასტერი - 3 - ..........................83

"ივერიონის" მონასტერი - 4 - ..........................92

"ივერიონის" მონასტერი - 5 - ..........................98

რადიოდოკუმენტაციები: 1981 წელი: **1981**

სულ გადაიცა რადიოთი 66 (სამოცდაექვსი) ნახევარსაათიანი გადაცემა 1982-1983 წლებში.

"ჯვარის" მონასტერი იერუსალიმში.........................113

ი.სტოვბუნი "ჯვარის" შესახებ.............................120

ი.აბაშიძე:"პალესტინის დღიურიდან"......................143

თ.ქადაგიძე:"ათონი,ჯვარი,პეტრიწონი"......................168

პ.ინგოროყვა:"რუსთველიანას ეპილოგი"....................177

ჟურნალი"ჯვარი ვაზისა" ჯვარის მონასტრის შესახებ........188

"რუსთაველის სახელობის საზოგადოება" თელ-ავივში.........215

მოგზაურობა ბეთლემში.....................................251

ე.მეტრეველი:"ჯვარი...."..................................281

"ივერიონის" მონასტერი ათონის მთაზე......................296

ს.კადას ათონის შესახებ...................................303

თ.პროვოტაკის ათონის შესახებ.............................340

კ.გრიგორულის ათონის შესახებ.............................349

ა.ვასილიადის ათონის შესახებ.............................351

ლ.მენაბდე ივერიონის შესახებ..............................358

ი.ჭავჭავაძე ათონის შესახებ...............................389

გ.ნოზაძე ივერიონის შესახებ...............................419

"გეორგიკა" ივერიონის შესახებ.............................438

ჟურნალი "ჯვარი ვაზისა" ივერიონის მონასტრის შესახებ... 450

ეპისკოპოსი ანანია(ჯაფარიძე) ივერიონის შესახებ........ 465

კონსტანტინოპოლის ქართული კათოლიკური მონასტერი...... 474

დასასრული.................................................509

დამატება:პ.ზაქარაია:პეტრიწონი - ბაჩკოვო...............521